თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში

ანალიტიკა
პრაგმატიკა
სტატისტიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი

ლაშა ჩხარტიშვილი, მაკა ვასაძე, ელენე ბაბაკიშვილი

თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა 2011-2013 წწ.

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი
თბილისი, 2014

ავტორები:

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი
მაკა ვასაძე, თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელენე ბაბაკიშვილი, კულტურის მენეჯერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის პროექტების მენეჯერი

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი ცქიტიშვილი - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თამარ ბოკუჩავა - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ირინა ღოღობერიძე - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის პრეზიდენტი
ნიკოლოზ წულუკიძე - თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი

კრებულზე მუშაობდნენ:

თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები: მანანა გეგეჭკორი, თამარ ქუთათელაძე, მაკა ვასაძე, ლელა ოჩიაური, ირინა ღოღობერიძე, გიორგი ყაჯრიშვილი, დავით ბუხრიკიძე, თეა კახიანი, გვანცა გულიაშვილი, ნერონ აბულაძე.
სოციოლოგიისა და სტატისტიკის ჯგუფი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები: მარიამ ცუცქირიძე, მარიამ ცხოვრებაშვილი, მარიამ გედევანიძე, მარიამ ნამგალაური, დავით არჩვაძე, მერაბ ხარაზიშვილი.
ჯგუფის ხელმძღვანელი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური კვლევების პროგრამის დოქტორანტი ნატალია თვალჭრელიძე.

ჩაწერილი ინტერვიუები გააციფრულა თეატრმცოდნე მარინა ვასაძემ

გარეკანის დიზანი და კომპიუტერული უზრუნველყოფა: ეკატერინე ოქროპირიძე
კორექტორი: მანანა სანადირაძე

გამოცემა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციასთან თანამშრომლობითა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებული მადლობა: ნეკა სებისკვერაძეს, სოფიო სიხარულიძესა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის საბჭოს წევრებს, თეატრმცოდნეებს: ვასილ კიკნაძეს, დოდო ხურცილავას, მანანა გეგეჭკორს და ნიკოლოზ წულუკიძეს.

კრებულში შესული ყველა მასალა თავად თეატრებმა მოგვაწოდეს.

ინტერვიუებში მაქსიმალურად შენარჩუნებულია რესპოდენტთა საუბრის სტილი.

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი/Modern Georgian Theatre Researche Center
© ლაშა ჩხარტიშვილი, მაკა ვასაძე, ელენე ბაბაკიშვილი
© Lasha Chkhartishvili, Maka Vasadze, Elene Babakishvili

ISBN 978-9941-0-5269-9

სიამოვნებით მივიღებთ თქვენს შენიშვნებს, კეთილ სურვილებს ან ინფორმაციას ხარვეზების შესახებ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: georgiantheatre@iliauni.edu.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი:

5 - წინასიტყვაობა

თეატრები

6 - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
28 - შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
51 - კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
85 - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
116 - ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
138 - მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
142 - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
168 - გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
176 - ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი“
180 - ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
200 - პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
206 - ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
211 - სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრი
227 - პანტომიმის თეატრი
235 - თავისუფალი თეატრი
253 - სამეფო უბნის თეატრი
268 - ილიას უნივერსიტეტის თეატრი
291 - თეატრი ათონელზე
296 - სტილიზებული ფოლკლორული თეატრი „ნაბადი“
301 - მოძრაობის თეატრი
309 - თითების თეატრი
314 - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
321 - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
327 - მულტი-პულტის სამყაროს თეატრი
332 - რკინის თეატრი-ანდღულაძის არენა
339 - თეატრი გლობუსი
344 - თეატრი ფაბრიკა
346 - თეატრების რეიტინგი

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის საერთო შედეგები

348 - სოციოლოგიური კვლევის ოფიცრების შეფასებები
353- მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის საერთო შედეგები
363 - რეჟისორთა რეიტინგები
364 - მსახიობთა რეიტინგები
375 - თეატრმცოდნეთა/კრიტიკოსთა რეიტინგები
377 - თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსებული სპექტაკლების სტატისტიკური ანალიზი
379 - თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სპექტაკლების თეატრმცოდნეობით-ანალიტიკური ანალიზი
436 - სოციოლოგიური გამოკითხვის მარგალიტები

გამოცემა ეძღვნება

2013 -2014 წელს გარდაცვლილი

თეატრის მოღვაწეების,

მსახიობების: ოთარ მელვინეთუხუცესის,

გურამ საღარაძის, რეზო თავართქილაძის,

რეჟისორების: ლილი იოსელიანის,

გიგა ლორთქიფანიძის, ლევან მირცხულავას,

სცენოგრაფ თემურ ნინუას და

თეატრმცოდნეების: მიხეილ კალანდარიშვილის,

ნათელა ურუშაძისა

და კოტე ნინიკაშვილის ნათელ ხსოვნას

წიგნის გარეკანზე დაბეჭდილია იმ მსახიობთა ფოტოები, რომლებიც მოექცნენ მაყურებელთა სოციოლოგიური გამოკითხვის რეიტინგის ზედა სკალაში. ფოტოები, რომლებიც განთავსებულია გამოცემის გარეკანზე, შეარჩიეს და მოგვაწოდეს თავად მსახიობებმა, თეატრების პიარ სამსახურებმა და ადმინისტრაციებმა.

ფოტოების წყობის თანმიმდევრობა, ზომა და განლაგება არ გამოხატავს მსახიობთა რეიტინგს.

წიგნის გარეკანის ორივე გვერდზე დაბეჭდილია თაკო რობაქიძის, ანდრია როგავას, თინა კაზახიშვილის, თიკო ზუკაკიშვილის, ირაკლი ღუღუნიშვილის, ნინო სუხიაშვილის, თეონა კვეზერელის, ინანო მუშკუდიანის, ნია გვათუას, ირინა კვარაცხელიას, ალექსანდრე სტატიკოვის, საშა პრისტვინის, იური მურადოვის, ლადო ვაჩნაძის, გურამ წიბახაშვილის, მაკა პეტრენკოს, ქეთი ყირიმლიშვილის, მარიამ აბზიანიძის, ზვიად კვარაცხელიას, თამო გონჯილაშვილის, ირმა შარიქაძის და სხვათა ფოტოები.

ზოგიერთი ფოტოს ავტორის ვინაობა ვერ დავადგინეთ, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდით.

„თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში (ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა)“ - წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევითი პროექტის „თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში“ შემადგენელ ნაწილს. კვლევის პირველი ეტაპი მოიცავდა საქართველოს რეგიონებში ფუნქციონირებად სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრებს, ხოლო მეორე ეტაპი წარმოადგენს თბილისში არსებული სახელმწიფო და კერძო პროფესიული თეატრების კვლევას 2010-2013 წლებში. პროექტის მეორე ეტაპი მოიცავს თბილისის 27 თეატრის (ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის,კინომსახიობთა,თოჯინების,მოზარდმაყურებელთა,გრიბოედოვის,თავისუფალი,სამეფო უბნის, ახმეტელის, პანტომიმის, ჩრდილების, მოძრაობის, ილიაუნის, მუსიკისა და დრამის, მარიონეტების, თეატრი ათონელზე, რკინის, თითების, მულტი-პულტის სამყაროს, თეატრი ფაბრიკა, თეატრი “გლობუსი” “ნაბადი”, ცხინვალის, სოხუმის, სომხური, აზერბაიჯანული თეატრები) შემოქმედებითი ცხოვრების მეცნიერულ გაანალიზება - დამუშავებას 2010-2013 წლებში. ამ პერიოდის რეპერტუარის გაცნობას, შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ტექსტური მასალის მოპოვებას, შესწავლა-დამუშავება-ანალიზს სტატისტიკურად, მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებასა და შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. ამ ყველაფერმა თავი მოიყარა გამოცემაში ,,თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში (ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა)“.

დედაქალაქში არსებული ოცდაშვიდი თეატრის შესწავლას ვიწყებთ იმ პერიოდიდან, როდესაც თბილისში კულტურული ცხოვრება შედარებით გამოცოცხლდა, 2010-2013 წლების თბილისის თეატრალური ცხოვრება აჯამებს თეატრებში მმართველის სისტემის ავკარგიანობას. მოიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა თეატრების მართვის სისტემა და 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“. კანონის ამოქმედებას დედაქალაქის თეატრებში არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. თუმცა გარკვეული პრობლემები, რომლებიც თეატრების წინაშე იდგა, დღემდე გადაუჭრელია.

პრობლემების გადასაჭრელად მათი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში განხილვა არ კმარა. საჭიროა თეატრებში განვითარებული შემოქმედებითი პროცესების მეცნიერული კვლევა-ანალიზი, მაყურებლის (საზოგადოების) გამოკითხვა, სოციოლოგიური კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი, რათა განისაზღვროს მომხმარებლის მოთხოვნილებები, გათვითცნობიერების დონე და პასუხობს თუ არა თანამედროვე ქართული თეატრი საზოგადოების მოთხოვნებს. შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კი, პროფესიული კრიტიკა, რომელიც (ობიექტური მიზეზების გამო) ბოლო დროს ნაკლებად თანმიმდევრული იყო, აქტიური და მობილური უნდა გახდეს. ეს პროექტი სწორედ ამ პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრის მცდელობას წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტის განხორციელება სავარაუდოდ ხელს შეუწყობს თავად თეატრებს, რათა მათი საქმიანობა გახდეს უფრო მეტად ეფექტური და თუნდაც, ოდნავ მაინც შეივსოს ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ათწლეულების განმავლობაში წარმოიშვა.

წინამდებარე გამოცემა მცირედით მაინც ხელს შეუწყობს თეატრებს სარეპერტუარო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, მაყურებელთან კომუნიკაციის გამტკიცებაში, მარკეტინგულ და პიარ საქმიანობაში. ასევე თვითშეფასებასა და გაწეული მუშაობის კრიტიკულად შეფასებაში, სახელმწიფო უწყებებთან და ბენეფიციარებთან ურთიერთობაში.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

საქართველოში ოპერის თეატრის დაარსება იმ ზოგად პოლიტიკურ-კულტურული პროცესების უშუალო გამომახილი და გაგრძელება იყო, რამაც იგი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ მოიცვა და მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა კულტურული ცხოვრების და ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გააქტიურების თვალსაზრისით.

1844 წელს საქართველოში დანიშნულმა კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა, დიპლომატმა გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა მრავალ, სხვადასხვა სახის კულტურულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. 1845 წელს მან სტავროპოლიდან მოიწვია მსახიობთა დასი იაცენკოს ხელმძღვანელობით, რომელთაც სპეციალური სცენა გამოუყო. ამ მიზნით იაცენკომ მანეჟის შენობა გამოიყენა, რომელიც გადააკეთებინა საოპერო სცენად და შეიქმნა თეატრის დირექცია ცხრა კაცის შემადგენლობით. დასმა სპექტაკლების გამართვა 1845 წლის 20 სექტემბრიდან დაიწყო. წარმოდგენები კვირაში ორჯერ იმართებოდა და უმთავრესად ვოდევილებისა და კომედიებისაგან შედგებოდა.

1845-1846 წლების სეზონში თეატრში დირიჟორობდნენ კამენსკი და პეტროვი, შემდეგ მოიწვიეს მალაგანი და შენინგი.1846 წლის 15 სექტემბერს მალაგანის ხელმძღვანელობით სპექტაკლის დაწყებამდე შესრულდა ობერის ოპერა „ფენელას“ უვერტიურა, ხოლო შესვენების დროს - მალაგანის სიმფონია, რაც ოპერისათვის განკუთვნილ სცენაზე სიმფონიური მუსიკის შესრულების პირველი პრეცედენტი იყო. შემდგომში ეს ტრადიციადაც კი იქცა. ვორონცოვმა მსახიობები საიმპერატორო თეატრებიდანაც მოიწვია. შემდგომში წარმოდგენები ქართულ ენაზეც ითარგმნებოდა.

1850 წლის 2 იანვარს დაიდგა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. ამ პროცესების პარალელურად თბილისში მუდმივი საოპერო თეატრი შენდებოდა. 1851 წლის გაზაფხულზე თბილისში მოწვეული იყო იტალიური საოპერო დასი იმხანად ცნობილი დირიჟორის - ბარბიერის ხელმძღვანელობით, რომელმაც სამი თვის განმავლობაში თორმეტი საოპერო დადგმა განახორციელა. ამასთან დაკავშირებით ორკესტრი გამდიდრდა ახალი საკრავებით, ნოტებით. თბილისში ჩამოვიდნენ და დამკვიდრდნენ უცხოელი ორკესტრანტები.

1851 წლის 9 ნოემბერს თბილისის პირველი საოპერო სეზონიც გაიხსნა. წარმოდგენილი იყო გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, რომელსაც გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად, მასპინძლები ბარბიერის დასს და ოპერაში იმ საღამოს შეკრებილ საზოგადოებას მტკვრის მარცხენა სანაპიროსკენ წამოუძღვნენ. ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად ქცეულმა სანახაობამ პირდაპირ მდინარე მტკვარში გადაინაცვლა, სადაც ტივებზე მოკალათებული ხალხი მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდა ოპერის თეატრის გახსნას თბილისში. არიებს იტალიური ოპერიდან დილამდე ენაცვლებოდა ადგილობრივი ქალაქური მუსიკის ჰანგები.

პირველ წარმოდგენას მოჰყვა „ერნანი“, „ნორმა“, „სევილიელი დალაქი“ და სხვა ოპერები. ამ შესანიშნავმა თეატრმა ახალდადგმული საოპერო სპექტაკლებით მნიშვნელოვნად აამაღლა თბილისის კულტურული ცხოვრების საერთო დონე. თბილისელ მელომანთა შორის იტალიელი კომპოზიტორებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ბელინი, დონიცეტი, როსინი, ვერდი. ლამაზი საბალეტო სცენებით და ვირტუოზული ვოკალური ტექნიკის მდიდარ საოპერო სპექტაკლებს არ შეიძლებოდა არ მიეზიდა სანახაობებისადმი ემოციური დამოკიდებულებით გამორჩეული ტემპერამენტული აუდიტორია. მას ხიბლავდა მეიერბერის „ჰუგენოტები“ და „აფრიკელი ქალი“, ჰალევის „კარდინალის ქალიშვილი“, ობერის „ფენელა“. მოგვიანებით თბილისში საოცარ დაინტერესებას იჩენდნენ გერმანული ოპერის, კერძოდ რიჰარდ ვაგნერის მუსიკის მიმართ. შესანიშნავია ისიც, რომ ევროპაში შექმნილი ყოველი მაღალმხატვრული საოპერო თხზულება ერთი ან ორი წლის შემდეგ უკვე თბილისის ოპერის სცენაზე იდგმებოდა.

თბილისი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივად „ოპერომანიით“ იყო შეპყრობილი. ამ გარემოებამ გადაწყვიტა საოპერო დასის შექმნაც, რაც აუცილებელი იყო სრულფასოვანი დადგმების განსახორციელებლად. ამ მიზნით 1852 წელს, უკვე მეორე სეზონზე მოიწვიეს რუსული საბალეტო დასი პეტერბურგიდან, რომელმაც 1852 წლის 5 ოქტომბერს მაყურებელს შესთავაზა ტალიონის ბალეტ „სილფიდას“ II მოქმედების ნაწყვეტი და სხვადასხვა ცეკვები. ეს იყო პირველი საბალეტო წარმოდგენა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე. პირველი მთლიანი საბალეტო სპექტაკლი კი ბალეტმაისტერ მანოხინის მიერ დადგმული შმიდტის ბალეტი „გიტანა“ იყო, რომლის პრემიერა 1894 წლის 18 იანვარს შედგა. თეატრი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ საოპერო სპექტაკლებით და 1860 წლის ზაფხულში ორკესტრი შენინგის და კატანის დირიჟორობით კონცერტებსაც მართავდა იმხანად ყველაზე დიდ, მუშთაიდის პარკში, აგრეთვე თბილისის სხვა შენობებში.

1874 წელს ოპერის შენობა დაიწვა, მიუხედავად ამისა, დასმა მუშაობა არ შეწყვიტა და დროებით „საზაფხულო თეატრის“ სცენაზე გადაინაცვლა. ამ პერიოდმა 22 წელი გასტანა. თბილისის კულტურული ცხოვრება ახალ-ახალი ღირსშესანიშნავი მოვლენებით მდიდრდებოდა. თეატრის სცენაზე მუშაობა დაიწყო რუსულმა საოპერო დასმა; დაიდგა პეტრე ჩაიკოვსკის, ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის, ანტონ

რუბინშტეინის ოპერები. თეატრის მხატვრული დონის ამაღლებას ხელი შეუწყო რუსი კომპოზიტორის-მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მოღვაწეობამ, რომელიც თეატრს სათავეში 1883-1893 წლებში ედგა. 80-იან წლებში განსაკუთრებით გამოცოცხლდა ქალაქის საკონცერტო ცხოვრება. თბილისში კონცერტებით გამოდიოდნენ ცნობილი შემსრულებლები: გალი, პატი, ბარძი, მაზინი, კუბელიკი, ჩაიკოვსკი, რუბინშტეინი, რახმანინოვი, ზარუდნაია, იაკოვლევი, უსატოვი და ამ უკანასკნელის მოწაფე, დიდი რუსი მომღერალი ფიოდორ შალიაპინი.

თეატრის ახალი შენობა 1896 წლის 3 ნოემბერსგაიხსნა მიხაილ გლინკას ოპერით „ივან სუსანინი“. ეს დადგმა განახორციელა რუსულმა საოპერო დასმა, რომლის რეპერტუარის წყალობით ქართული საზოგადოებარუსკომპოზიტორთასაოპერონაწარმოებებსაცგაეცნო. სხვადასხვადროსამსცენაზეცნობილი საოპერო და საბალეტო დასები გამოდიოდნენ: იტალიური ოპერა (1897-98, 1910), ვენის საიმპერატორო ოპერეტა (1903), მოსკოვისა და პეტერბურგის კომიკური ოპერები (1907), პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი (1907-08, 1913); მღეროდნენ XIX-XX საუკუნეში მოღვაწე შესანიშნავი მომღერლები: შალიაპინი, სიბირიაკოვი, მოზჟუხინი, დავიდოვი, სობინოვი და სხვა. აღსანიშნავია, რომ 1905 წელს დაფუძნებულმა თბილისის ფილარმონიულმა საზოგადოებამ განახორციელა რუსული და დასავლეთ ევროპული ოპერების ქართულ ენაზე დადგმა, რაც საოპერო ხელოვნების შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და შესაბამისად, მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს იზიდავდა. ყოველივე ამან და ქართულმა სასიმღერო თუ პოეტურმა ტრადიციამ ხელი შეუწყო ქართული ეროვნული ოპერის შექმნას, რომელსაც ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიის პირველი ეტაპი უკავშირდება.

თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი პირველი ქართული ოპერა იყო გოგნიაშვილის „ქრისტინე“ (1918 წლის 17 ივნისი), თუმცა ამ ჟანრის პირველ კლასიკურ ნიმუშებად ითვლება 1919 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმული ოპერები: 5 თებერვალს - დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 21 თებერვალს - ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, 11 დეკემბერს ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. პირველი ქართული ოპერა დაკავშირებულია მელიტონ ბალანჩივაძის სახელთან. ფრაგმენტები მისი ოპერიდან „თამარ ცბიერი“ შესრულდა 1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგში, თუმცა სრული სახით თბილისის ოპერის სცენაზე მხოლოდ 1925-26 წლების სეზონში დაიდგა. ამ ოპერებმა პირველი წარმოდგენებიდანვე განსაზღვრა ქართული საოპერო თეატრის ეროვნული სახე. სწორედ მათში ავლენდნენ თავიანთ განსაკუთრებულ თვისებებს ქართული ვოკალური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი, დავით მჭედლიშვილი, ბათუ კრავეიშვილი, ნადეჟდა ხარაძე, ნადეჟდა ცომაია, ვერა დავიდოვა, მერი ნაკაშიძე და სხვები.

1937 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ქართველი კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს. თეატრი ამაყობს ისეთი შესანიშნავი მომღერლებით, როგორებიც არიან: ლამარა ჭყონია, მედეა ამირანაშვილი, თამარ გურგენიძე, ცისანა ტატიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ სოტკილავა, პაატა ბურჭულაძე, თემურ გუგუშვილი, ლიანა კალმახელიძე, ჯემალ მდივანი, ელდარ გეწაძე, ვალერიანო გამგებელი (ესპანეთი),ლადო ათანელიშვილი (ლადო ათანელი, გერმანია), ნაირა გლუნჩაძე (გერმანია), ეთერ ჭყონია (ეთერ ლამორისი, ესპანეთი), იანო ალიბეგაშვილი (იანო თამარი, იტალია), შალვა მუქერია (ავსტრია), რომლებიც სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუშაობდნენ ქართველი დირიჟორები: ივანე ფალიაშვილი, ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ვახტანგ ფალიაშვილი,დიდიმ მირცხულავა, ზაქარია ხუროძე, ჯანსუღ კახიძე; რეჟისორები: ალექსანდრე წუწუნავა, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე; მხატვრები: ვ. სიდამონ-ერისთავი, სერგო ქობულაძე, თამარ აბაკელია, სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე, ივანე ასკურავა. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართული ოპერები გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამიერიდან ისინი იდგმებოდა არა მხოლოდ თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, არამედ საზღვარგარეთაც (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, პოლონეთი, გერმანია, ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი.1966 წელს თბილისის ოპერის თეატრმა მონაწილეობა მიიღო უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში - „სეგედის საერთაშორისო თამაშობანი“ და საფრანგეთში გამართულ პარიზის მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალში, სადაც წარმოადგინა ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“ და დავით თორაძის „გორდა“.

საქართველოს დიდი მეგობრის ჰერმან ვედეკინდის ინიციატივით 1974 წელს გერმანიის ქალაქ საარბრიუკენში, ქართული კულტურის დღეებზე, ადგილობრივი ოპერის თეატრის სცენაზე ქართულმა სადადგმო შემოქმედებითმა ჯგუფმა განახორციელა „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ დადგმები. გივი აზმაიფარაშვილის დირიჟორობით შედგა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ პრემიერა.

შენობის შესახებ

ვორონცოვის თაოსნობით 1847 წლის 15 აპრილს საძირკველი ჩაეყარა ოპერის თეატრის მშენებლობას, რომელიც იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის ხელმძღვანელობით ოთხი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და 1851 წლისათვის დასრულდა. ინტერიერი მოხატა და გააფორმა

რუსმა მხატვარმა გ. გაგარინმა. თეატრი აიგო თბილისის ცენტრალურ, მაშინდელ ერევანსკის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი, ქალაქის მერიის მიმდებარე ტერიტორია). შენობის დაგეგმარების თავისებურება მშენებლობის პირობებით იყო ნაკარნახევი. მეფის ხაზინა უარს ამბობდა დაფინანსებაზე, ამიტომ კერძო პირს, თბილისელ ვაჭარს, ვინმე თამამშევს მიმართეს წინადადებით, რომ თეატრის გარდა შენობის დიდ ნაწილში სავაჭროები მოთავსდებოდა. ამასთან, მაღაზიები მის საკუთრებაში რჩებოდა, ხოლო თეატრი კი ქალაქს გადაეცემოდა. იტალიური რენესანსის სტილში აგებული მონუმენტური შენობა მაშინვე გაბატონდა მოედანზე.

მუსიკალური თვალსაზრისით ერთობ „ჭრელი“ ქალაქური ფოლკლორის პირობებში, თბილისის ოპერის თეატრი ქვეყნის კულტურული ყოფის უმნიშვნელოვანეს კერად გადაიქცა. ამიერკავკასიის მასშტაბით პირველი ოპერის თეატრი, რომელიც 800 მაყურებელს იტევდა, ფასადით და შიდა ინტერიერით იმხანად არსებულ ევროპის თეატრებს შორის არქიტექტურული იერით გამოირჩეოდა. 1851 წლის 12 აპრილს თეატრი გაიხსნა გრანდიოზული მეჯლისით, რომელსაც თბილისის მაღალი საზოგადოება დაესწრო. რამდენიმე თვეში XIX საუკუნის ერთ-ერთ პოპულარულ პარიზულ გაზეთში „ილუსტრასიონი“ (1851 წლის 25 ოქტომბრის ნომერი) დაიბეჭდა ედმონდ დე ბარესის ვრცელი სტატია თეატრის შიდა ხედის ორი სურათით. სტატიის ავტორი წერდა: „ქალაქის ეს ერთადერთი თეატრი, რომლის ინტერიერი მთლიანად მავრიტანული სტილითაა გაფორმებული, უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ელეგანტურ, მოხდენილ და წარმტაც სათეატრო ნაგებობას, რისი აღქმაც ადამიანს შეუძლია“.

ძველი შენობა 1874 წლის 11 ოქტომბრის ხანძარმა გაანადგურდა, პრაქტიკულად არ გადარჩა არც ერთი დეკორაცია, კოსტიუმი, თუ რეკვიზიტი, ვერ მოხერხდა მდიდარი სანოტო ბიბლიოთეკის გადარჩენაც. შენობა იმდენად დაზიანდა, რომ გადაწყდა ახლის აშენება (აღადგინეს მხოლოდ ზედა ნაწილი, სადაც ქარვასლა მდებარეობდა).

1896 წლის 3 ნოემბერს გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) დამთავრდა არქიტექტორ შრეტერის მიერ დაპროექტებული ახალი - ე. წ. „სახაზინო თეატრის“ მშენებლობა, რომელიც 1200 კაცზე იყო გათვლილი (ეს არის დღევანდელი ოპერის თეატრის შენობა). თეატრის გეგმის პროტოტიპად რიჰარდ ვაგნერის ბაიროითის თეატრი იყო აღებული.

შენობის სახეს ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა განსაზღვრავს (კედლის სიბრტყის დამანაწევრებელი მუქი და ღია ფერის ჰორიზონტალური ზოლები, სწორკუთხა ნიშაში ჩასმული შეისრული და ნალისებური ღიობები, სტალაქტიkური ფრიზები, სტუკოს ტექნიკით შესრულებული კედლის მონაკვეთები, მუშარაბიანი სარკმლები და სხვ.). ფასადის მთავარ აქცენტს წარმოადგენს უხვად შემკული ორსართულიანი პორტიკი. ინტერიერს ნაძერწ შემკულობასთან ერთად ფსევდო-მავრიტანული მოხატულობა და ელეგანტური წვრილი სვეტების და აჟურული კონსოლებისგან შემდგარი რკინის კონსტრუქციები ამკობს.ახალ შენობასაც 1973 წელს ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც თითქმის მთლიანად დაზიანა ინტერიერი.

ხანძრის შემდეგ თეატრის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა (არქიტექტორები - მემმარიაშვილი, ჩაჩანიძე). რეკონსტრუქციის ავტორებმა შეძლეს შენობის აღმოსავლური, ფსევდომავრიტანული სტილის შენარჩუნება, რომელსაც ქმნის ისრული თაღები, დეკორატიული კოშკურები, სტალაქტიკური მორთულობა, ორნამენტული მოტივები და ა. შ; შენარჩუნდა შენობის წინა ფასადი. ცვლილება განიცადა გვერდითმა ფასადებმა, ზოგ ადგილას დაემატა ერთი სართული. განსაკუთრებით შეიცვალ ა დ ა გაიზარდა სცენის ნაწილი, საფუძვლიანად შეიცვალა მაყურებელთა დარბაზის ფორმა და იერსახე. თეატრის მაყურებელთა დარბაზი 1065 მაყურებელს იტევს. სცენის პორტალის ზომებია 16x10 მ. სცენას აქვს 4 მოძრავი ბაქანი. თეატრში ექვსი სარეპეტიციო დარბაზია, მათ შორის სამი საბალეტო, ორი საოპერო და ერთი - ორკესტრისთვის. საორკესტრო ორმოს კონსტრუქცია ასაწევ-დასაწევი იატაკით სიმფონიური კონცერტების ჩატარების საშუალებას იძლევა. თეატრის ფოიეში მდებარეობს შესანიშნავი დარბაზები, ე. წ. წითელი დარბაზი და სარკეებიანი დარბაზები, სადაც შეიძლება კამერული კონცერტებისა და სხვადასხვა სახის შეხვედრების გამართვა. 2010 წ. თეატრის შენობამ ხელახლა განიცადა რეკონსტრუქცია. გვერდით ფასადებზე დაშენებული მესამე სართული გადაკეთდა ღია გალერეებად. ასევე განხორციელდა სხვა ცვლილებები.

2014 წლის ბოლოს რეკონსტრუირებული შენობა ექსპლუატაციაში შევა. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაცია საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ ორგანიზებითა და ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელდა.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

დაარსების თარიღი - 1851 წელი

თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

თეატრის ხელმძღვანელი პირები - სამხატვრო ხელმძღვანელის მ.შ. - ზურაბ ოიკაშვილი;

დირექტორი - გიორგი კილაძე

თეატრის ელ-ფოსტა - operatbilisi@gmail.com

ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - ზურაბ ოიკაშვილი z.oikashvili@gmail.com,
გიორგი კილაძე gogikila@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - www.opera.ge
თეატრის მისამართი - რუსთაველის პროსპექტი 25
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 315 (სოლისტი-მომღერალი - 43, ორკესტრის მუსიკოსი - 137, გუნდის მსახიობი - 85, ბალეტის სოლისტი - 7, ბალეტის კორიფე - 8, კორდებალეტი - 35)
შემოქმედებითი პერსონალი - 71
ტექნიკური პერსონალი - 139
ადმინისტრაცია - 39

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	44 703 583			
2012	6 313 637			
2013	6 396 992			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 101 967 ლარი
2012 წელი - 117 808 ლარი
2013 წელი - 193 941 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა
2011 წელი - 34
2012 წელი - 48
2013 წელი - 54

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი - 6 841
2012 წელი - 10 309
2013 წელი - 18 257

ბილეთის ფასი და ტარიფები: მინიმუმი – 5 ლარი, მაქსიმუმი – 120 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? ≈100 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? ≈ 70 000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? 10 000 ლარი - „მადამ ბატერფლაი“; 51 600 ლარი - „ამაო სიფრთხილე“ დადგმა და უფლება.
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? ≈ 2 300 ლარი
მსახიობის ხელფასი: უმაღლესი - 2 250 ლარი; უმდაბლესი - 400 ლარი.

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით
2011 წელი
15 აგვისტო - ბათუმი, თეატრის ორკესტრმა ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით, პარტნიორობა გაუწია მაესტრო მიშელ ლეგრანსა და თამარ გვერდწითელს.
11-14 სექტემბერი - თელავი, ქუთაისი, აშშ-ის საელჩოსა და თეატრის ორგანიზებით გაიმართა კონცერტები, სოლისტი - სტივენ ბიუსი(ფ-ნო, ა.შ.შ.), დირიჟორი - დავით მუქერია.
2012 წელი
23 – 25 აგვისტო - ბათუმი, ხელოვნების ცენტრი; „ოლივერ!“ (ლაიონელ ბარტი)
2013 წელი
22 – 25 ივნისი - ბათუმი, კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი; თეატრის ორკესტრის გასტროლი.
ოქტომბერი - ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი; თეატრის ანსამბლ „სულიკოს“ გასტროლი.
დეკემბერი - კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; თეატრის ანსამბლ „სულიკოს“ გასტროლი.

გასტროლები ქვეყნის გარეთ
2011 წელი
23 თებერვალი - 20 მარტი - ბეირუთი - ლიბანი, ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-18 საერთაშორისო ფესტივალი; მოცარტი - ოპერა „მითრიდატე, პონტოს მეფე“; ოპერის თეატრის ორკესტრი, მომღერლები, რუსთაველის თეატრის მსახიობები, დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო.

9, 10 თებერვალი - ტალინი - ესტონეთი, ტალინის ევროპის კულტურული დედაქალაქის სტატუსის მინიჭებისადმი მიძღვნილი კულტურული პროგრამა; საბალეტო დასის გასტროლი.
22 თებერვალი - 14 მარტი - ტაოუანი, ტაიპეი, იუნლინი - ტაივანი; საბალეტო დასის გასტროლი.
18 – 27 მარტი - კატანია - იტალია; მასიმო ბელინის თეატრი; საბალეტო დასის გასტროლი.
30 აპრილი - 2 მაისი - კატანია - იტალია; საბალეტო დასის გასტროლი.
5 - 7 ნოემბერი - ნიუ-იორკი, ვაშინგტონი - აშშ; საბალეტო დასი, ორკესტრი, დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო;
23 – 26 ნოემბერი - გუაკილი, კუენკასი - ეკვადორი; საბალეტო დასის გასტროლი, ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად.
15 – 23 დეკემბერი - ფორბახი - საფრანგეთი; ფოლკლორული ანსამბლ „სულიკოს“ გასტროლი.
2012 წელი
3 – 11 მარტი - ბეირუთი - ლიბანი, ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალი; თეატრის ორკესტრის გასტროლი.
22 – 27 მარტი - მინსკი - ბელორუსი, კიევი - უკრაინა; საბალეტო დასის გასტროლი.
10 – 15 მაისი - ხიხონი - ესპანეთი; თეატრის ორკესტრის გასტროლი, დირიჟორი - მარიანო რივასი.
18 მაისი - პარიზი - საფრანგეთი; თეატრის გუნდის გასტროლი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი;
20 ივნისი - 20 ივლისი - ტოკიო, ნიშინომია, ოკინავა, ივაკუნი, ნაგოია, შიზუიკა - იაპონია; საბალეტო დასის გასტროლი.
21- 24 დეკემბერი - სარაგოსა, ესპანეთი; საბალეტო დასის გასტროლი.
17 – 31 დეკემბერი - პეკინი, შენიანგი, დალიანი, აწშანი, ჰეფეი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა; თეატრის ორკესტრის საგასტროლო ტურნე.
2013 წელი
17 – 27 მარტი - ბეირუთი - ლიბანი, ალ ბუსტანის მე-20 საერთაშორისო ფესტივალი; თეატრის ორკესტრის გასტროლი.
21 – 28 ივლისი - საარემა - ესტონეთი, „საარემას ოპერის დღეები“; თეატრის გუნდი, ორკესტრი, საბალეტო დასი, სოლისტები;
17 – 24 დეკემბერი - ბარსელონა - ესპანეთი; საბალეტო დასის გასტროლი.
თებერვალი - ჟენევა - შვეიცარია, ჟენევის საერთაშორისო ფესტივალი; ანსამბლ „სულიკოს“ გასტროლი.
7 ნოემბერი - ვილნიუსი - ლიტვა (საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში); თეატრის საფორტეპიანო ტრიო „სემპრეს“ გასტროლი.
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 10 000-20 000 ლარი
საზღვარგარეთ - 100 000–150 000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი/დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით – არა
ქვეყნის გარეთ – არა

თეატრმა უმასპინძლა შემდეგ ხელოვანებს:
2011 წელი
ალექსანდრე კორსანტიას სტუდენტთა კონცერტი; სივან როტემი; ატილო ტომასელო (დირიჟორი); ჩინსია ფორტე; ანტონელო პალომბი; კარლო გუელფი; ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო); სტივენ ბიუსი (ფორტეპიანო); ფილიპ მანი (დირიჟორი); ელისო ბოლქვაძე (ფორტეპიანო); ზეინეფ უჩბაშარანი (ფორტეპიანო); ვახტანგ მაჭავარიანი (დირიჟორი); თათია შარანგია - შევარდნაძე (ფორტეპიანო); მაია მახათელი; ვიაჩესლავ ლოპატინი; ელენე გლურჯიძე; არიონელ ვარგასი.
2012 წელი
დენის კლიმუკი; ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო); შინობუ ტაკიტა; სერგეი სიდორსკი; ვახტანგ მაჭავარიანი; ბრიგიტე ვოლფარტი; ვალერი სოკოლოვი; ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი; რამაზ ჩიკვილაძე; კატია სკანავი (ფორტეპიანო).
2013 წელი
კატია სკანავი; მარტა აბრაჰამსი (ვიოლინო); გიორგი ხარაძე (ვიოლონჩელი); ნანა ქავთარაშვილი; ირინე ალექსიძე; გიორგი ონიანი; გიორგი გაგნიძე; თამარ ივერი; მზია ნიორაძე; ნინო სურგულაძე; ნანა ქავთარაშვილი; ქეთევან ქემოკლიძე; ბადრი მაისურაძე; შალვა მუქერია; თამთა (ტარიელი) ტარიელაშვილი; გიორგი ონიანი; ნუგზარ (ვალერიანო) გამგებელი.

კოპროდუქცია (2011-2013 წწ.)
17, 19 მარტი, 2011 - „მითრიდატე, პონტოს მეფე“ (ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი), პრემიერა. ალ ბუსტანის მე-18 საერთაშორისო ფესტივალი. დამდგმელი დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო, დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე, დამდგმელი მხატვარი - ნინა კობიაშვილი. საპრემიერო სპექტაკლებში

ოპერის თეატრის ორკესტრთან, მომღერლებთან და გასტროლიორ ტენორ იანგ იანგთან (ჩინეთი) ერთად მონაწილეობდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები.

17, 18, 20 ივნისი, 2012 - „ოლივერ!“ (ლაიონელ ბარტი), მიუზიკლი, პრემიერა. ოპერის თეატრის, რუსთაველის თეატრისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი; დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე, დამდგმელი დირიჟორი - ირაკლი ჩოლოყაშვილი, დამდგმელი მხატვარი - ნინა კობიაშვილი, დამდგმელი ქორეოგრაფი - ტეტ კასკი.

21-28 ივლისი, 2013 - ესტონეთში, საერთაშორისო ფესტივალში „საარემას ოპერის დღეები“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამივე საოპერო კოლექტივმა: თითო სპექტაკლი წარმოადგინეს ბათუმისა („ლუჩია ლამერმურიდან“ , დირიჟორი - დავით მუქერია) და ქუთაისის („ჩიო ჩიო სანი“, დირიჟორი - რევაზ ჯავახიშვილი) თეატრებმა, თბილისის თეატრმა ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით, ააჟღერა ვერდის „რიგოლეტო“ და „ატილა“.

გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - საჭიროების მიხედვით

გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დიახ

გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - საჭიროების მიხედვით

გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - საჭიროების მიხედვით

ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი - თეატრს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელშიც მუშაობს 17 ადამიანი.

გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ

გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - არა

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი

ყველაზე ახალგაზრდა - ნინო გულორდავა -18 წლის (ბალეტი)

ყველაზე ხანდაზმული - ლილი ქათამაძე - 79 წლის (ორკესტრის მსახიობი)

საოპერო რეპერტუარი

ზაქარია ფალიაშვილი

აბესალომ და ეთერი

დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუღ კახიძე

დამდგმელი რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი

დამდგმელი მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი

დამდგმელი ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი

ზაქარია ფალიაშვილი

დაისი

დამდგმელი დირიჟორი - დიდიმ მირცხულავა

დამდგმელი რეჟისორი - ალექსანდრე წუწუნავა

დამდგმელი მხატვარი - ივანე ასკურავა

დამდგმელი ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი

სპექტაკლი აღადგინეს ზურაბ და ჯემალ ანჯაფარიძეებმა

ვიქტორ დოლიძე

ქეთო და კოტე

დამდგმელი დირიჟორი - რევაზ ტაკიძე

დამდგმელი რეჟისორი - გიგა ლორთქიფანიძე

დამდგმელი მხატვარი - თეიმურაზ მურვანიძე

კოსტიუმების მხატვარი - ივანე ასკურავა

დამდგმელი ქორეოგრაფი - დავით ჯავრიშვილი

ცეკვები აღადგინა - ირაკლი თუშიშვილმა

ოთარ თაქთაქიშვილი

მინდია

დამდგმელი დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი

დამდგმელი რეჟისორი - გეორგ რუტერინგი

დამდგმელი მხატვარი - პოლინა რუდჩიკი

კოსტიუმების მხატვარი - ნელი კილასონია

გიორგი ჩლაიძე

დარისპანის გასაჭირი

დამდგმელი დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო

დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე

ჯუზეპე ვერდი
აიდა
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი - პოლინა რუდჩიკი
დამდგმელი ქორეოგრაფი - ირაკლი შენგელია

ჯუზეპე ვერდი
ატილა
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - ჟან ლუი გრინდა, დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი - ჟან პიერ კაპეირონი
მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი

ჯუზეპე ვერდი
ბალ-მასკარადი
დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი
დამდგმელი მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი
დამდგმელი ქორეოგრაფი - ნუკრი მაღალაშვილი
სპექტაკლი აღადგინა გოგი ჭიჭინაძემ და თამარ გურგენიძემ

ჯუზეპე ვერდი
დონ კარლოსი
დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი რეჟისორი - გურამ მელივა
დამდგმელი მხატვარი - უშანგი იმერლიშვილი

ჯუზეპე ვერდი
რიგოლეტო
დამდგმელი დირიჟორი - გოგი ჭიჭინაძე
დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი

ჯუზეპე ვერდი
ტრუბადური
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - ვერნონ მაუნდი
დამდგმელი მხატვარი - ქრის დევილდე

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
დონ ჯოვანი
დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი
დამდგმელი მხატვარი - იური გეგეშიძე
დამდგმელი ქორეოგრაფი - იური ზარეცკი
სპექტაკლი აღადგინა და განაახლა შემოქმედებითმა ჯგუფმა
დირიჟორი - გოგი ჭიჭინაძე
რეჟისორი - ლელა გვარიშვილი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
ქორეოგრაფი - ჩუქურთმა გუდიაშვილი

გაეტანო დონიცეტი
დონ პასკუალე
დამდგმელი დირიჟორი - გოგი ჭიჭინაძე
დამდგმელი რეჟისორი - მაია გაჩეჩილაძე
დამდგმელი მხატვარი - გიორგი ნადირაძე
დამდგმელი ქორეოგრაფი - ირაკლი შენგელია

რუჯერო ლეონკავალო
ჯამბაზები
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
დამდგმელი მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი

პიეტრო მასკანი
სოფლის ღირსება
დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი - მირიან შველიძე

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
მითრიდატე, პონტოს მეფე
დამდგმელი დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო
დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი - ნინა კობიაშვილი

გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი
რადამისტო
დამდგმელი დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო
დამდგმელი რეჟისორი და სცენოგრაფი - გურამ მელივა

ჯუზეპე ვერდი
ტრავიატა

ჯუზეპე ვერდი
ნაბუქო

ჯაკომო პუჩინი
ტოსკა

ჯუზეპე ვერდი
ბადის ძალა

ჯუზეპე ვერდი
რეკვიემი

საბალეტო რეპერტუარი

კლასიკური ბალეტები

პეტრე ჩაიკოვსკი
გედების ტბა
მარიუს პეტიპას და ლევ ივანოვის ქორეოგრაფია
ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა, დიმიტრი კორნეევი
დამდგმელი მხატვრები - ვიაჩესლავ ოკუნევი, გიგა ლაპიაშვილი
განათების მხატვარი -პოლ ვიდარ საევარანგი
განათების მხატვრის ასისტენტი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – თამაზ ჯაფარიძე

ლუდვიგ მინკუსი
დონ კიხოტი
მარიუს პეტიპას, ალექსანდრე გორსკის და ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია
ალექსეი ფადეეჩევის და ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა, იულიანა მალხასიანცი
დამდგმელი მხატვარი – ვიაჩესლავ ოკუნევი
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

ადოლფ-შარლ ადანი
ჟიზელი
ლიბრეტოს ავტორები - თეოფილ გოტიე და ჟიულ ანრი სენ-ჟორჟი
ქორეოგრაფები - ჟან კორალი, ჟიულ პერო და მარიუს პეტიპა
დამდგმელი ბალეტმაისტერი - ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი - ტატიანა რასტორგუევა
დამდგმელი მხატვარი - ვიაჩესლავ ოკუნევი
განათების მხატვარი - პოლ ვიდარ საევარანგი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

სერგეი პროკოფიევი
რომეო და ჯულიეტა
ლეონიდ ლავროვსკის ქორეოგრაფია
ლიბრეტოს ავტორები - ლეონიდ ლავროვსკი, სერგეი პროკოფიევი, სერგეი რადლოვი
უილიამ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით
დამდგმელი ქორეოგრაფი - მიხეილ ლავროვსკი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები - დიმიტრი კორნეევი, ირინა ივანოვა, ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი -ვიაჩესლავ ოკუნევი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ჯონ ბ. რიდი
დირიჟორი - რევაზ ტაკიძე

ალექსანდრე კრეინი
ლაურენსია
ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია და ლიბრეტო
ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა
დამდგმელი ქორეოგრაფი - ნუგზარ მაღალაშვილი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი - მედეა მაღალაშვილი
დამდგმელი მხატვრები - ალექსანდრე ვასილიევი, დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი -რევაზ ტაკიძე

ანდრე მესაჟე
ორი მტრედი
ქორეოგრაფი ფრედერიკ ეშტონი
დამდგმელი ბალეტმაისტერები - მარგარეტ ბარბიერი, დენის ბონერი
დამდგმელი მხატვრები - ალექსანდრე ვასილიევი, დავით მონავარდისაშვილი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

ა. გლაზუნოვი
რაიმონდა
მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიის მიხედვით
ნინო ანანიაშვილისა და ალექსეი ფადეეჩევის დადგმა

პ. ჩაიკოვსკი
მაკნატუნა
დამდგმელი ქორეოგრაფი - ალექსეი ფადეეჩევი
თოჯინების ცეკვების დამდგმელი - გია მარღანია

ფ. ჰეროლდი, ი. ჰერტელი
ამაო სიფრთხილე
დამდგმელი ქორეოგრაფები - ნინო ანანიაშვილი, ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა, ეკა შავლიაშვილი

ერთმოქმედებიანი ბალეტები

ქრონოს კვარტეტი
წამი გარდასახვამდე
ქორეოგრაფი - თრეი მაკინტაერი

დამდგმელი ბალეტმაისტერი - ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ბალეტმაისტერის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა, ელინა პალშინა
კოსტიუმების მხატვრები -გ. ბაბაევა, ნ. ბაბენკოვა
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
ანტონიო ვივალდი
Green
ქორეოგრაფი - სტენტონ უელში
დამდგმელი ბალეტმაისტერი - ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ბალეტმაისტერის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა
კოსტიუმების მხატვარი - სტენტონ უელში
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

ლ. ეტო, ნ. იამაგუჩი, ა. ტოშა
სიზმრები იაპონიაზე
ქორეოგრაფი - ალექსეი რატმანსკი
დამდგმელი ბალეტმაისტერი - ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ბალეტმაისტერის ასისტენტები - ტატიანა რასტორგუევა
დამდგმელი მხატვარი - მიხეილ მახარაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი -თამაზ ჯაფარიძე

ფელიქს მენდელსონი
ზაფხულის ღამის სიზმარი
დამდგმელი ქორეოგრაფი - თრეი მაკინტაერი
დამდგმელი მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - ალექსანდრე სოტნიკოვი

ლეონარდ ბერნსტაინი
ლ ე ა
დამდგმელი ქორეოგრაფი - ალექსეი რატმანსკი
დამდგმელი მხატვარი - მიხეილ მახარაძე
განათების მხატვარი - ვიაჩესლავ კუტეევი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

ჟ.ბიზე
ვარიაციები
დამდგმელი ბალეტმაისტერი -ალექსეი რატმანსკი
კოსტიუმების მხატვარი - მიხეილ მახარაძე
ფორტეპიანო - თამარ მაჭავარიანი

საგალობელი
ქართულ ხალხურ მელოდიებზე, იოსებ კეჭაყმაძის, არჩილ კერესელიძის,
რევაზ ლაღიძის, გიორგი ცაბაძის, მერაბ მერაბიშვილის მუსიკაზე
დამდგმელი ბალეტმაისტერი - იური პოსოხოვი
მხატვარი - ანა კალატოზიშვილი
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
მუსიკოს - შემსრულებელთა ჯგუფი “ჩანგი“ (ხელმძღვანელი უჩა პატარიძე)

რიჰარდ შტრაუსი
მანიერიზმის მშვენიერებანი
დამდგმელი ქორეოგრაფი - ალექსეი რატმანსკი
კოსტიუმების მხატვარი - მიხეილ მახარაძე

შოპენიანა
მუსიკა - ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები
ნინო ანანიაშვილის დადგმა
ბალეტმაისტერის ასისტენტი - ეკა შავლიაშვილი

უფრთოთ ფრენა წყვდიადში
ერთმოქმედებიანი ბალეტი ოთარ ჭილაძის პოემა "სინათლის წელიწადის" მოტივებზე
სპექტაკლში გამოყენებულია ღმრთისმშობლის ტროპარი და ესტონელი კომპოზიტორის ერკი-სვენ უურის ნაწარმოები "Dedication".
დამდგმელი ქორეოგრაფი - ტეტ კასკი
დეკორაციებისა და კოსტიუმების მხატვარი - ტეტ კასკი
განათების მხატვარი - მარკუს ვაიგფური
ხმის მონტაჟი - გიორგი მშვენიერაძე

Tampopo
მუსიკა: არვო პიარტი
ქორეოგრაფი - ტეტ კასკი
კოსტიუმების მხატვარი -ნინო ჩუბინიშვილი
სცენოგრაფია - ტეტ კასკი
განათების მხატვარი - მარგუს ვაიგური
სპექტაკლში მონაწილეობს Trio per Te თეა ჭკუასელის (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძის (ვიოლინო) და გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შემადგენლობით.

ანარეკლი
მუსიკა - ფელიქს მენდელსონი, სიმფონია No.1
ქორეოგრაფი - იური პოსოხოვი
სცენის და კოსტიუმების დიზაინი - სანდა ვუდალი
განათების მხატვარი - დევიდ ფინი

ეს თავდაყირა სამყარო
მუსიკა: The Shins
ქორეოგრაფი: თრეი მაკინტაერი
კოსტიუმების მხატვარი - სანდა ვუდალი
განათების მხატვარი - ტრეივის რიჩარდსონი
დამდგმელი ბალეტმაისტერი - ტრეივის უოკერი

ქუჩა
გამოყენებულია ფრანც იოზეფ ჰაიდნის და ეკა ჭაბაშვილის ორიგინალური მუსიკა. მუსიკალური კოლაჟის ვერსია ეკა ჭაბაშვილისა
იდეის ავტორი და ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
სცენოგრაფია და კოსტიუმების მხატვარი - ანკა კალატოზიშვილი

საიდუმლო ბაღი
კომპოზიტორები - სებასტიან პლანო და ოლაფურ არნალდსი
ქორეოგრაფია - საშა ევთიმოვა
ვიდეო ანიმაცია - პრედრაგ მილოშევიჩი
კოსტიუმები და სცენოგრაფია - საშა ევთიმოვა

1st Flas
მუსიკა - სიბელიუსის სავიოლინო კონცერტი
დამდგმელი ქორეოგრაფი - იორმა ელო
ბალეტმაისტერი - ქრისტოფ დოზი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენეტები - ნინო ოჩიაური, გიორგი ჩხაიძე

გელინო
ჯგუფ „შინ"-ის კომპოზიციები
დამდგმელი ქორეოგრაფი საშა ევთიმოვა

ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები

პეტრე ჩაიკოვსკი
სერენადა

იგორ სტრავინსკი
აპოლონ მუსაგეტი

ჰერში კეი
სიმფონიური ვესტერნი
დამდგმელი ქორეოგრაფი - ბარტ კუკი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი - მარია კალეგარი
დამდგმელი მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვრი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

პეტრე ჩაიკოვსკი
მოცარტიანა

ქრისტოფ ვილიბალდ გლიუკი
ჩაკონა
დამდგმელი ქორეოგრაფები - ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი მხატვარი - რუბენ ტერ-არუთინიანი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

იგორ სტრავინსკი
Duo Concertant

ლუი მორო გოტჩოკი
ტარანტელა

პეტრე ჩაიკოვსკი
პა დე დე (პრემიერა შედგა სეზონის დახურვაზე - 3 ივნისს)
დამდგმელი ქორეოგრაფი - ბარტ კუკი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი -ზაზა კალმახელიძე

ტოშირო მაიუზუმი
ბუგაკუ
დეკორაციების მხატვარი - დეივიდ ჰეისი
დეკორაციების მხატვარ-შემსრულებელი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ბარბარა კარინსკა
მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფია
ჰ.ს. პაული
კონსერვატორია

ე. ჰელსტედი, ჰ. ს. პაული
პა დე დე ბალეტიდან "ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში"
დამდგმელი ბალეტმაისტერები - ფრენკ ანდერსენი, ევა კლობორგი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი

ციმბირიდან მოსკოვამდე (მსოფლიო პრემიერა)
იდეისა და ჩანაფიქრის ავტორი - ფრენკ ანდერსენი
მუსიკა - კარლ ქრისტიან მიოლერი.
პ. ჩაიკოვსკი - საზეიმო უვერტიურა (დანიის ეროვნულ ჰიმნზე), თხზ. 15
ლეკური ზ. ფალიაშვილის ოპერიდან "დაისი", ზურაბ ნადარეიშვილის გაორკესტრება
აღდგენილია ფრენკ ანდერსენის, დინა ბიორნის, ან მარი ვესელ შლიუტერის და
ევა კლობორგის მიერ
დამდგმელი ქორეოგრაფების ასისტენტი - ეკა შავლიაშვილი
დამდგმელი მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ალექსანდრე ვასილიევი

კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ჯონ ბ. რიდი
მუსიკალური კონსულტანტი - ოლე ნიორლინგი
დრამატურგიული დახმარება - ქრისტიან კრონმანი
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია
ფრედერიკე შტონის ქორეოგრაფია
დღესასწაული
მუსიკა ალექსანდრე გლაზუნოვისა
დამდგმელი ბალეტმაისტერი - ქრისტოფერ კარი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია

ჟიულ მასნე
ტაისი პა დე დე
დამდგმელი ბალეტმაისტერი - გრანტ კოილე
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია

იოჰან შტრაუსი II
გაზაფხულის ხმები
(პა დე დე)
დამდგმელი ბალეტმაისტერი - გრანტ კოილე
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია

ლეო დელიბი
სილვია
(პა დე დე)
რიჩარდ თემფლ სევიჯის გაორკესტრება
დამდგმელი ბალეტმაისტერი - გრანტ კოილე
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია

კატა
მუსიკა - ჟ. ოფენბახი from La Chatte metamorphosee en femme,1858
ფილიპ გამონის გაორკესტრება
დამდგმელი ბალეტმაისტერი - გრანტ კოილე
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია

მარგარიტა და არმანი
მუსიკა - ფერენც ლისტი
საფორტეპიანო სონატა სი მინორი დადლი სიმპსონის გაორკესტრება
მსოფლიო პრემიერა გაიმართა 1963 წლის 12 მარტს
ინგლისის სამეფო ოპერის თეატრში
დამდგმელი ბალეტმაისტერი - გრანტ კოილე
დეკორაციების მხატვარი - დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი - ამირან ანანელი
ფორტეპიანო - თინათინ კიკნაძე
დირიჟორი - დავით მუქერია

ირჟი კილიანის ბალეტები
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
SECHS TÄNZE
დადგმა - პატრიკ დელკრუა
სცენა და კოსტიუმები - ირჟი კილიანი

განათება - იოპ კაბოორტი
დირიჟორი - დავით მუქერია
სცენისა და განათების ადაპტაცია ქეის თიებესი, ამირან ანანელი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი - ნათია სირბილაძე

FALLING ANGELS
ირჟი კილიანის ქორეოგრაფია
კომპოზიტორი - სტივ რიქი
Drumming/ ნაწილი I (1970/71)
დადგმა - ნენსი ეუვერინკი, ბრიჯიტ მარტინი
კოსტიუმების მხატვარი - ჯოუკ ვისერი
განათების მხატვარი - იოოპ კაბოორტი
განათების ადაპტაცია - ქეის თიებესი

Petite mort
მუსიკა - ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
დადგმა - პატრიკ დელკრუა
სცენისა და განათების ადაპტაცია - ქეის თიებესი, ამირან ანანელი

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
სულ გამოიკითხა 200 მაყურებელი, მათ შორის, 100 - საოპერო სპექტაკლების წარმოდგენების დროს, ხოლო 100 - საბალეტო სპექტაკლების წარმოდგენებისას.




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N =153
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
51%
9%
21%
14%
3%
2%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N =314
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
9%
32%
20%
39%
0%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების წამოშვარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N= 737
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
13%
12%
6%
3%
9%
8%
9%
14%
11%
4%
11%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საოპერო
საბალეტო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =419
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
11%
3%
35%
14%
3%
1%
15%
18%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N=535
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
18%
11%
27%
14%
7%
5%
18%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =543
25%
20%
15%
10%
5%
0%
14%
9%
11%
21%
19%
10%
16%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფინანსურ-ეკონომიური შინაარსი
საინტერესო აზრავე
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N =200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 17%
კი 39%
არა 44%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 200
მთლიანად ვენდობი 3%
ნაწილობრივ ვენდობი 57%
საერთოდ არ ვენდობი 39%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ლევან წულაძე	23
რობერტ სტურუა	22
დავით დოიაშვილი	9
ავთანდილ ვარსიმაშვილი	7
თემურ ჩხეიძე	7
გურამ მელივა	5
დავით საყვარელიძე	3
გოჩა კაპანაძე	2
გიზო ჟორდანია	2
გაგა გორგოშიძე	1
ზურაბ გეწაძე	1
რევაზ ჩხაიძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ნიკოლოზ ლაგვილავა	11
კახი კავსაძე	9
თემურ გუგუშვილი	8
ზურაბ ყიფშიძე	6
ნიკა თავაძე	6
ნატა მურვანიძე	5
მარინა კახიანი	5
ნინო ანანიაშვილი	5
აკაკი ხიდაშელი	5
ირმა რატიანი	4
მარიკა მაჩიტაძე	3
ეკა ჩხეიძე	3
ქეთი ცხაკაია	3
ნინო კასრაძე	3
გოჩა დათუსანი	3
ზაზა პაპუაშვილი	2
გურანდა გაბუნია	2
ჟანრი ლოლაშვილი	2
როლანდ ოქროპირიძე	2
მაყვალა ასპანიძე	2
ნანა ფაჩუაშვილი	2
ელდარ გეწაძე	2
არმაზ დარაშვილი	2
ლიანა კალმახელიძე	2
ლევან ქობლიანიძე	2
ნინელი ჭანკვეტაძე	2
ნიკა თავაძე	1
გია ბურჯანაძე	1
როლანდ ოქროპირიძე	1
ნანკა კალატოზიშვილი	1
დარეჯან ხარშილაძე	1
ზუკა პაპუაშვილი	1
ნინო გაჩეჩილაძე	1
ჯაბა კილაძე	1
გოგა პიპინაშვილი	1
ლელა ალიბეგაშვილი	1
ზურა ბერიკაშვილი	1
ზაალ ჩიქობავა	1
მურმან ჯინორია	1
დუტა სხირტლაძე	1
რუსკა მაყაშვილი	1
ონისე ონიანი	1

შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

ქართული დრამის თეატრს შოთა რუსთაველის სახელი 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა, მაგრამ რუსთაველი თეატრის ისტორია ბევრად ადრე დაიწყო. 1879 წელს ,,დრამატული კომიტეტის'' წევრებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, დიმიტრი ყიფიანმა, დავით ერისთავმა და ივანე მაჩაბელმა მიიღეს წესდება, შეარჩიეს შენობა სასახლის მოედანზე და 1879 წლის 5 სექტემბერს, მათი დიდი ძალისხმევით, პირველი სეზონი გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით ,,რას ვეძებდი და რა ვჰპოვე'' (რეჟისორი - გ. თუმანიშვილი). 1898 წელს გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის გამზირი) საძირკველი ჩაეყარა ,,არტისტული საზოგადოების სახლს" (შემდგომ რუსთაველის თეატრს). თუ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქართულ სცენაზე მსახიობთა თანავარსკვლავედი იდგა: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე და ეფემია მესხები, მეოცე საუკუნე რეჟისორ-ლიდერთა საუკუნე გახდა: კოტე მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა „სინთეზურ თეატრს".

XX საუკუნის 50-იან წლებში რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა განსხვავებული ხელწერისა და ინდივიდუალობის მქონე რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მან შემოიკრიბა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ ,,შვიდკაცას" სახელით გაიცნო: მიხეილ თუმანიშვილი, მედეა ჩახავა, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, გურამ საღარაძე და ბადრი კობახიძე. სწორედ თუმანიშვილის სახელს უკავშირდება მცირე სცენის გახსნა სპექტაკლით ,,ჭინჭრაქა" (1963 წ.). თუმანიშვილის სპექტაკლებმა: ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად" (1951 წ.), ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი" (1954 წ.), პ. კოჰოუტის ,,როცა ასეთი სიყვარულია" (1959 წ.)," ჟ. ანუის ,,ანტიგონე" (1968 წ.) ახალი ფურცელი ჩაწერეს რუსთაველის თეატრის ისტორიაში. სამოციანელთა თაობამ (რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანია...) თეატრში ახალი ესთეტიკა დაამკვიდრა. რობერტ სტურუას პირველი წარმატებული სპექტაკლი ა. მილერის ,,სეილემის პროცესია" (1965 წ.).

რობერტ სტურუას სპექტაკლებმა – "კავკასიური ცარცის წრე" და "რიჩარდი III" თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რუსთაველის თეატრს ტრიუმფალური გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ფინეთსა და ისლანდიაში. იგი ედინბურგის, ავინიონის, ათენის, ადელაიდას, რეიკიავიკის, იერუსალიმის ფესტივალების მონაწილეა.

რობერტ სტურუა და მის მიერ დადგმული სპექტაკლები მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო პრემიით და პრიზით დაჯილდოვდა. გიზო ჟორდანიას სამსახიობო კლასის კურსდამთავრებულებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს მცირე სცენას სპექტაკლებით: ,,ანა ფრანკის დღიური" (1987 წ.), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1987 წ.), ,"ამაღამ მგონი იქნება ქარი" (1987 წ.), „ჰამლეტი" (1991 წ.). მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში რეჟისორთა ახალმა თაობამ: ავთო ვარსიმაშვილი, ლევან წულაძე, ოთარ ეგაძე, ანდრო ენუქიძე, გოჩა კაპანაძე, დათო საყვარელიძე - თავისი წვლილი შეიტანა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. დღეს თეატრში ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები, უფროს თაობასთან ერთად, შემოქმედებით ძიებებს განაგრძობენ.

შენობის შესახებ:

რუსთაველის თეატრის (,,არტისტული საზოგადოების") შენობის პროექტის ავტორები საგუბერნიო ინჟინერი კორნელი ტატიშჩევი და თბილისის საქალაქო არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩი არიან. მშენებლობა ,,ისაია პიტოევისა და ამხანაგობის" სავაჭრო სახლმა ითავა. საძირკველი 1898 წლის 18 ნოემბერს გაიჭრა. არქიტექტორებმა გვიანდელი ბაროკოსა და როკოკოს ორნამენტიკა გამოიყენეს. თავდაპირველად შენობას მრავალფუნქციური დანიშნულება ჰქონდა, იგი საკლუბო ნაგებობას წარმოადგენდა. პირველ სართულზე განთავსებული იყო მაყურებელთა, ხოლო მეორეზე – საკონცერტო დარბაზი, სარდაფი რესტორან ,,ანონას" ეკავა, რომელიც მოგვიანებით, 20-იან წლებში, ,,ცისფერყანწელთა" კაფე-რესტორან ,,ქიმერიონად" გადაკეთდა. 1949 წლის 9 ივნისს ხანძარმა შენობა გაანადგურა, გადარჩა მხოლოდ ფასადი, რუსთაველის პროსპექტზე, რომლის აღდგენა ერთ წელიწადში მოხერხდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში ძნელაძის (ახლანდელი თაბუკაშვილის) ქუჩის მხრიდან შენობას შვიდსართულიანი ნაგებობა დაემატა, სადაც განთავსდა მსახიობთა საგრიმიოროები, სარეპეტიციო და სპორტული დარბაზები, ტექნიკური საამქროები. შენობას რეკონსტრუქცია 1982 - 87 და 2003 - 2005 წლებში ჩაუტარდა.გასული საუკუნის 80-იან წლებში ნაწილობრივ აღდგა კაფე ,,ქიმერიონის" უნიკალური ფრესკები, ხოლო ზედა ფოიეში განთავსდა კოკა იგნატოვის მიერ შესრულებული პანო –,,თეატრი".

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

დაარსების თარიღი - 1921წლის 25 ნოემბერი

თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები: სამხატვრო ხელმძღვანელი - რობერტ სტურუა
დირექტორი - იოსებ ლაღიძე
თეატრის ელ ფოსტა - info@rustavelitheatre.ge
ვებგვერდის მისამართი - http://rustavelitheatre.ge/
თეატრის მისამართი : ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი # 17
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 328
მსახიობთა რაოდენობა - 63
შემოქმედებითი პერსონალი - 20
ტექნიკური პერსონალი -185
ადმინისტრაცია - 60

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	1 976 385			
2012	2 617 800			
2013	2 635 245			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 355 592 ლარი
2012 წელი - 260 014 ლარი
2013 წელი - 213 670 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
2011 წელი - 241
2012 წელი - 207
2013 წელი - 170

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი- 37 700
2012 წელი - 25 650
2013 წელი – 23 800

სარეპერტუარო ჩვენების და მაყურებელთა დასწრების ცხრილი

2012 წელი

დასახელება	**სპექტაკლის რაოდენობა**	**მაყურებელი**	**შემოსავალი**
12 განრისხებული მამაკაცი	3	780 8.065	6291
ალვა	2	286 9.7546	2790
ბიდერმანი	3	395 7.9275	3131
გაუმარჯოს ბუშონს	8	412 7.6477	3151
გონზაგოს მკვლელობა	4	117 8.011	937
დაბოლილი მთვარე	4	466 8.0872	3769
დარისპანის გასაჭირი	6	600 8.0381	4823
ვანილის მოტკბო სევდიანი სურნელი	2	360 8.2086	2955
ვგავართ ჩვენ ახლა ლტოლვილებს	6	140 5.0849	712
ვთამაშობთ სტრინდბერგს	4	132 6.7797	895

ვინ არის ოლივერი	1	117 7.5474	883
კაცია-ადამიანი	6	1169 9.0466	10575
კომიქსი	5	97 5.0897	493
მაგრიტის შემდეგ	7	556 8.9867	4997
მარიამ სტიუარტი	11	1620 9.9069	16049
მზის დაბნელება საქართველოში	7	382 9.4907	3625
მინის სამხეცე	2	109 5.0848	554
მოიხედე მრისხანების ჟამს	2	111 5.0847	564
მოხუცი ჯამბაზები	12	2373 14.7082	34903

2013 წელი

მტრის ნიღაბი	5	238 8.033	1912
ნადირობის სეზონი	7	1473 8.4976	12517
ოლივერი	7	3465 16.1487	55955
პატარა უფლისწული	3	1518 8.1301	12342
პრინცი ჰომბურგი	4	660 9.3227	6153
რა საოცარი დღეა	4	236 6.2554	1476
რამაზ ჩხიკვაძე	1	229 9.9585	2281
საშობაო სიზმარი	16	1999 8.4746	16941
სტუმარ-მასპინძელი	11	702 8.0859	5676
სტუმარი	4	258 5.0848	1312
სულიერი არსებები	6	569 7.7269	4397
ქარი მწყურია მე პირდაპირი	14	1407 6.3821	8980
ყვითელი მთვარე	6	150 5.2655	790
შემეხე	6	227 8.4745	1924
შეშლილი სამყარო	7	287 5.0847	1459
შობის მეთორმეტე ღამე	4	1250 8.1552	10194
ჩრდილების თეატრი და ჯაზი	1	103 9.3961	968
წელიწადის ოთხი დრო	7	658 6.0121	3956
			251328

ბილეთის ფასი და ტარიფები
დიდი სცენა: 6 -12 ლარი
მცირე სცენა: 6 -10 ლარი
ექსპერიმენტული სცენა: 6 -10 ლარი

თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
2011 წელი - 430561 ლარი
2012 წელი - 781825 ლარი
2013 წელი - 342336 ლარი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა?
დიდი სცენა - 35 430 ლარი;
მცირე სცენა - 22 000 ლარი;
ექსპერიმენტაული სცენა - 3 700 ლარი;

დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 1 250 ლარიდან - 12 500 ლარამდე ;
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - ერთი სპექტაკლი - 50 - 25 ლარი;
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - 1 460 ლარი
უმაღლესი - 2 050 ლარი
უმდაბლესი - 700 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით
2011: გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი, მესტია;
2012: ბათუმი, ხულო, ზესტაფონი;
2013: ქუთaისი, თელავი;
ქვეყნის გარეთ
2011: უნგრეთი, სომხეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი;
2012: აზერბაიჯანი;
2013: უკრაინა, აზერბაიჯანი;

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით 1 500 -1 0 000 ლარი;
საზღვარგარეთ 15 000 – 50 000 ლარი;
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი?
ქვეყნის შიგნით - არა;
ქვეყნის გარეთ - არა;

კოპროდუქცია (2011-2013 წწ.)
1. შემეხე - ექსპერიმენტული სცენა
2. ივანე და ძაღლები - ექსპერიმენტული სცენა

რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - 2 900 – 3 860 ლარი.
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - არა
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - არა
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი
(რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - არა

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 25 წლის;
ყველაზე ხანდაზმული - 81 წლის;
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
„უფლისწული და მათხოვარი“ - ჯემალ ღაღანიძე

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2012 წლის საუკეთესო სპექტაკლისთვის - „გრან-პრი“ თეატრალური პრემია „დურუჯი“

„ნადირობის სეზონი“ - რუსთაველის თეატრი; რეჟისორ რობერტ სტურუას, მხატვარ თემურ ნინუას, მსახიობ ია სუხიტაშვილს

2012 წლის 16 ივნისს თეატრალური პრემია „დურუჯი“ გადაეცა საუკეთესო რეჟისურისთვის ბ-ნ რ.სტურუას - „ნადირობის სეზონი“ და საუკეთესო სცენოგრაფიისთვის ბ-ნ თემურ ნინუას ამავე სპექტაკლისთვის.
2013 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, თეატრალურმა საზოგადოებამ სცენოგრაფ თემურ ნინუას გადასცა პეტრე ოცხელის პრემია (ეს პრემია პირველად 2013 წელს გაიცა); თ.ნინუამ მიიღო პირველად ამ სახელობის პრემია.
2013 წლის 27 მარტს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი აჯილდოვებს პრემიით „მამაკაცის მეორე პლანის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“ დავით უფლისაშვილს („პრინცი ჰომბურგი“) ხოლო ქეთი სვანიძეს „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“ – „გაუმარჯოს ბუშონს“.
2013 წლის 31 მაისს გაიხსნა ნ.ფაჩუაშვილის „ვარსკვლავი“ და მიანიჭეს კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება.

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - აქვს
საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო დარბაზი - აქვს
ბუფეტი - აქვს
წიგნის მაღაზია - არ აქვს
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - აქვს

ტექნიკური აღჭურვა
განათება
დიდი სცენა: VS7- 53 ც; PC 1000- 150 ც; პროფილის პროჟექტორები - 24 ც; Ultralite Cyclo 1000 – 192 ც.
მცირე სცენა: Ultralite pc1000 – 22; Ultralite pc500 – 58; Rivera 500 – 24.
ექსპერიმენტული სცენა: PC quadro – 1200 – 36 ც; Rivera – 500/60^0 – 4 ც; Strand – SL23/50 180^0 – 3 ც.

გახმოვანება
დიდი დარბაზი: 1. სამიქშერო პულტი (24-არხიანი) – 1ც. 2. დინამიკები (აქტიური) – 16ც. 3. მინი დისკის დამკვრელი - 4ც. 4. კომპაქტ-დისკის დამკვრელი - 3ც. (CD) 5. მიკროფონები დინამიური - 8ც. 6. დისტანციური მიკროფონები (პეტლიჩკა) – 7ც. 7. დისტანციური მიკროფონები (ხელში დასაჭერი) – 6ც.
მცირე დარბაზი: 1. სამიქშერო პულტი (16-არხიანი) - 1ც. 2. დინამიკები (აქტიური)- 4 ც. 3. მინი დისკის დამკვრელი - 3 ც. 4. კომპაქტ-დისკის დამკვრელი (CD) -1ც.
ექსპერიმენტული დარბაზი: 1. სამიქშერო პულტი (16-არხიანი) – 1ც. 2. დინამიკები (აქტიური) – 10.ც

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე - 27მ.
სცენის სიგანე - 17,50მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - კალასნიკებამდე - 23მ.
სარკის სიგანე - 12,40მ.
სარკის სიმაღლე - 11მ.
საორკესტრო ორმოს სიგრძე - 13,40მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე - 2,40მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - 5,60მ. - სამუშაო - 1,85მ.
სცენის წრის დიამეტრი დიდის - 15; - პატარის - 7;
სცენის მარჯვენა ჯიბე - 175,60
შტანგეტების რაოდენობა - 36
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 0,05
სოფიტების რაოდენობა - 6
პორტალების სიმაღლე - 7,50

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა:
დიდი დარბაზი - 782 ადგილი, ამათგან: პარტერი - 374 ადგილი, ბენუარის ლოჟები - 48 ადგილი, ბელეტაჟის ლოჟები - 132 ადგილი, I იარუსი - 115 ადგილი, II იარუსი - 113 ადგილი;
მცირე სცენა - 262 ადგილი
ექსპერიმენტული სცენა - 182 ადგილი

რუსთაველის თეატრის რეპერტუარი 2012 - 2013 წ.წ.

დიდი სცენა

ილია ჭავჭავაძე

კაცია-ადამიანი?!

სცენური ვერსია - თამაზ გოდერძიშვილი და რობერტ სტურუა
დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
მხატვარი - მირიან შველიძე
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ლოტბარი - ანზორ ერქომაიშვილი
ქორეოგრაფი - გოგი ალექსიძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: დათო დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე

უილიამ შექსპირი

შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ

თარგმანი - ლილი ფოფხაძე და რობერტ სტურუა
რეჟისორი - რობერტ სტურუა
მხატვარი - გოგი ალექსი-მესხიშვილი
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ლელა ალიბეგაშვილი,ზაზა ბარათაშვილი, გოგა ბარბაქაძე, გოგა გველესიანი, თენგიზ გიორგაძე, ვანო გოგიტიძე, დათო გოცირიძე, ნინო თარხან-მოურავი, ნინო კასრაძე, მარინა კახიანი, ბაჩი ლეჟავა, ნანა ლორთქიფანიძე, რუსუდან მაყაშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მინდიაშვილი, გელა ოთარაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ნიკა ქაცარიძე, მალხაზ ქვრივიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ნანუკა ხუსკივაძე

უილიამ შექსპირი

ჰამლეტი

თარგმანი - ლილი ფოფხაძე და რობერტ სტურუა
რეჟისორი - რობერტ სტურუა
მხატვარი - მირიან შველიძე
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
ქორეოგრაფი - გოგი ალექსიძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: თენგიზ გიორგაძე, დათო გოცირიძე, დათო დარჩია, ბესო ზანგური, ნინო კასრაძე, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, მალხაზ ქვრივიშვილი, ზურაბ შარია, თემიკო ჭიჭინაძე

გია ყანჩელი

სტიქსი

რეჟისორი - რობერტ სტურუა
მხატვარი - თემურ ნინუა
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, გოგა გველესიანი, თენგიზ გიორგაძე, ვანო გოგიტიძე, დათო გოცირიძე, დათო დარჩია, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, ნინო კასრაძე, ბაჩი ლეჟავა, ნანა ლორთქიფანიძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მინდიაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ტრისტან სარალიძე, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, მალხაზ ქვრივიშვილი, ზურაბ შარია, თემიკო ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია

ლაშა ბუღაძე

ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი

რეჟისორი - რობერტ სტურუა
მხატვარი - თემურ ნინუა
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
სპორტული ილეთები - კახა ხოშტარია
რეჟისორის თანაშემწე - ციცინო გვაზავა

მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია, ნანუკა ხუსკივაძე

დავით კლდიაშვილი
დარისპანის გასაჭირი
დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორი - ზაზა პაპუაშვილი
მხატვარი - მირიან შველიძე
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: ზაზა ბარათაშვილი, დათო გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, ნინო კასრაძე, მამუკა ლორია, ეკა მინდიაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ნიკა ქაცარიძე, ქეთი ხიტირი

რეჯინალდ როუზი
თორმეტი განრისხებული მამაკაცი
თარგმანი - ლილი ფოფხაძე
დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორი - რევაზ ჩხაიძე
მხატვარი - თემურ ნინუა
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ვანო გოგიტიძე, დათო დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით კვირცხალია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, რევაზ ჩხაიძე, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, მურმან ჯინორია

ირაკლი სამსონაძე
ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი
დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
მხატვარი - მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: ლელა ალიბეგაშვილი, ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ია სუხიტაშვილი, დავით უფლისაშვილი, ზაალ ჩიქობავა

არჩილ სულაკაური
სალამურა
ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორები - რევაზ ჩხაიძე, დავით კვირცხალია
მხატვარი - კოკა იგნატოვი (სპექტაკლის მხატვრობა აღდგენილია გოგი ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით)
კომპოზიტორი - ნოდარ გაბუნია (გამოყენებულია საფონდო მუსიკალური ჩანაწერები რობერტ სტურუას მიერ 1971 წელს დადგმული სპექტაკლიდან "სალამურა", მღერის სალომე კორკოტაშვილი)
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
სპორტული ილეთები - კახა ხოშტარია
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ნინო არსენიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, მანანა გამცემლიძე, დათო გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, სოსო ლაღიძე, ბაჩი ლეჟავა, მამუკა ლორია, ეკა მინდიაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ირაკლი სანაია, ტრისტან სარალიძე, ნიკა ქაცარიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთი ხიტირი, ლევან ხურცია
მასობრივ სცენებში მონაწილეობენ: გელა თავბერიძე, ლევან კაციაშვილი, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ბექა სონღულაშვილი, გიორგი ქვრივიძე

მაქს ფრიში
ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი
თარგმანი და სცენური ვერსია - ლილი ფოფხაძე და რობერტ სტურუა
რეჟისორი - რობერტ სტურუა

რეჟისორის ასისტენტი - გურამ ბრეგაძე
მხატვარი - გოგი ალექსი-მესხიშვილი
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
ლოტბარი - მალხაზ თალაკვაძე
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, ნინო არსენიშვილი, ლელა ახალაია, დათო დარჩია, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, ნინო კასრაძე, ნანა ლორთქიფანიძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ნინო მაყაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ეკა მინდიაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ქეთი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ქეთი ხიტირი

ოსკარ უაილდი
ვარსკვლავბიჭუნა
თარგმანი და სცენური ვერსია - რობერტ სტურუა და ნინო კანტიძე
დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა
რეჟისორი - დათო მღებრიშვილი
მხატვარი - ანა ნინუა
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - ციცინო გვაზავა
მონაწილეობენ: ლელა ახალაია, გოგა გველესიანი, ზურა ინგოროყვა, დავით კვირცხალია, მამუკა ლორია, ირაკლი მაჭარაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ეკა მინდიაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, მალხაზ ქვრივიშვილი, ზურაბ შარია, დარეჯან ხარშილაძე

ირაკლი სამსონაძე, გიორგი თავაძე
დაბოლილი მთვარე
რეჟისორი - გიორგი თავაძე
მხატვარი - თემურ ნინუა
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, პაატა გულიაშვილი, დათო დარჩია, ნინო კასრაძე, რუსუდან მაყაშვილი, გაგი სვანიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ზაალ ჩიქობავა, ქეთი ხიტირი, ნანუკა ხუსკივაძე

ფრიდრიხ დიურენმატი
ვთამაშობთ სტრინდბერგს
თარგმანი - მანანა ჭელიძე
რეჟისორები - რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე
მხატვარი - მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია

თამაზ ჭილაძე
ნადირობის სეზონი
ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია ერთ მოქმედებად
რეჟისორი - რობერტ სტურუა
მხატვარი - თემურ ნინუა
კომპოზიტორი - გია ყანჩელი
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - ციცნო გვაზავა
სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ი. ს. ბახის, ფ. ჩერჩილის, ჰ. სტოტჰარტისა და ჰ. რუბის მუსიკალური ნაწარმოებებიდან
მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, ეპიზოდებში: ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ერთობლივი პროექტი
ო ლ ი ვ ე რ !
ჩარლზ დიკენსის - "ოლივერ ტვისტის" მიხედვით

რეჟისორი - დავით საყვარელიძე
დირიჟორი - ირაკლი ჩოლოყაშვილი
მხატვარი - ნინო კობიაშვილი
ქორეოგრაფი - ტეტ კასკი
მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი - ნათია აზარაშვილი
მხატვარი-გამნათებელი - გოჩა გიორგაძე
მხატვარი-დეკორატორი - მერაბ მერაბიშვილი
თარგმანზე იმუშავეს მიხეილ გელაშვილმა, ლაშა ბუღაძემ, ირინა სანიკიძემ და მანანა თევზაძემ
სპექტაკლი ეძღვნება ჩარლზ დიკენსის დაბადებიდან 200 წლისთავს
პროდიუსერი - ზაალ ჩიქობავა
მონაწილეობენ: რუსთაველის თეატრის მსახიობები - მანანა აბრამიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გოგა ბარბაქაძე, თენგიზ გიორგაძე, პაატა გულიაშვილი, დავით დარჩია, გელა თავბერიძე, ნინო თარხან-მოურავი, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, დავით უფლისაშვილი, რევაზ ჩხაიძე, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთი ხიტირი, ნანუკა ხუსკივაძე,
კინომსახიობთა თეატრის მსახიობი - გიორგი ნაკაშიძე,
აგრეთვე - გიორგი ადუაშვილი, ეკატერინე ამყოლაძე, ლენტო ბალიაშვილი, ნინო გველესიანი, გიორგი გიგაშვილი, ბონდო გოგია, ზუკა დარჯანია, ნიკა ეკალაძე, სანდრო ზაალიშვილი, პეტრე მალანია, ნიკა ნოზაძე, ჯუმბერიკო პატიაშვილი, მარიამ პაჭკორია, მარიამ სარდანაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, თეკლა ჯავახაძე, სანდრო ჯეგირაშვილი
მასობრივ სცენებში მონაწილეობენ: ელენე ადამაშვილი, სალომე ასპანიძე, ოთარ ბალიაშვილი, გიორგი ბარამიძე, ვასილ გვაზავა, ელენე გველესიანი, ანა დაშნიანი, ნინო დაშნიანი, მარიამ თათუაშვილი, გიორგი კაჭკაჭიშვილი, მარიამ კიკუაშვილი, ალექსანდრე მაისურაძე, ნიკოლოზ მდივანი, ნიკა მდივანი, ლიზი სამადაშვილი, ელენე ტაბატაძე, გიორგი შიოლაშვილი, გიორგი შულაია, ნიკოლოზ წერეთელი, ეკა ხეჩანოვა, თაზო ჯამალაშვილი

წარმოდგენაში მონაწილეობს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი.

ჰაინრიხ ფონ კლაისტი
პრინცი ჰომბურგი
თარგმანი - ვალერიან გორგოშიძე და ნინო კანტიძე
რეჟისორი - ვალერიან გორგოშიძე
სცენოგრაფიის ხელმძღვანელი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი
მხატვარი - ნინო თათარაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ეკა სოლოღაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშენწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, დავით დარჩია, გელა თავბერიძე, ზურაბ ინგოროყვა, კახა კუპატაძე, ბაჩი ლეჟავა, ირაკლი მაჭარაშვილი, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღაღანიძე, ბექა სონღულაშვილი, ია სუხიტაშვილი, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, მარინა ჯანაშია

ტომ სტოპარდი
მაგრიტის შემდეგ
თარგმანი - ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - გიორგი თავაძე
მხატვარი - მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე და გიორგი თავაძე
ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
რეჟისორის თანაშემწე - ციცინო გვაზავა
მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, ნინო კასრაძე, ედმონდ მინაშვილი, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია

მცირე სცენა
რონალდ ჰარვუდი
მოხუცი ჯამბაზები
თარგმანი - თამაზ გოდერძიშვილი და გოჩა კაპანაძე
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ანა ნინუა
მუსიკალური გაფორმება - გოჩა კაპანაძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე

რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: კახი კავსაძე, გურამ საღარაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე

ამელი ნოტომი
მტრის ნიღაბი
თარგმანი და სცენური ვერსია - ლილი ფოფხაძე და რობერტ სტურუა
რეჟისორი - რობერტ სტურუა
კოსტიუმების მხატვარი - ანა ნინუა
სპორტული ილეთები - კახა ხოშტარია
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: ზაზა ბარათაშვილი, ბესო ზანგური, ბაჩი ლეჟავა, მამუკა ლორია, გაგი სვანიძე

ვაჟა-ფშაველა
სტუმარ-მასპინძელი
რეჟისორი - გოშა გორგოშიძე
მხატვარი - გოგი ალექსი-მესხიშვილი
მხატვრის ასისტენტი - ნინო თათარაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, გოგა გველესიანი, კახა კუპატაძე, ბაჩი ლეჟავა, ედმონდ მინაშვილი, ბექა სონღულაშვილი, ია სუხიტაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ლევან ხურცია

ლაშა ბუღაძე
სულიერი არსებები
რეჟისორი - დავით საყვარელიძე
მხატვარი - მერაბ მერაბიშვილი
მუსიკალური გაფორმება - დავით საყვარელიძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: დათო დარჩია, თათული დოლიძე, ნინო თარხან-მოურავი, მარინა კახიანი, დავით კვირცხალია, რუსუდან მაყაშვილი, გელა ოთარაშვილი, დავით უფლისაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთი ხიტირი, მურმან ჯინორია

ზურაბ ანტონოვი
მზის დაბნელება საქართველოში
ინსცენირება - მანანა გეგეჭკორი და გოჩა კაპანაძე
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ანა ნინუა
მუსიკალური გაფორმება - გოჩა კაპანაძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, ნინო თარხან-მოურავი, მარინა კახიანი, სოსო ლაღიძე, ზაზა ლებანიძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია, მარინა ჯანაშია

ნედიალკო იორდანოვი
გონზაგოს მკვლელობა
თარგმანი - ზურაბ გოშაძე
რეჟისორი - გაგა გოშაძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, მარინა კახიანი, ბაჩი ლეჟავა, ნიკა ქაცარიძე, ჯემალ ღაღანიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ზაალ ჩიქობავა, ლევან ხურცია, მურმან ჯინორია

ფრიდრიხ შილერი
მარიამ სტიუარტი
განახლებული დადგმა
თარგმანი - რობერტ სტურუა და ლილი ფოფხაძე
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე

სცენოგრაფია - ბექა ჯანაშია
კოსტიუმების მხატვარი - ნინო ასათიანი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - გოჩა კაპანაძე
რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი
სპექტაკლში გამოყენებულია მუსიკა ბრეგოვიჩის, ლენგის, მუნსის და უილიამსონის ნაწარმოებებიდან.
მონაწილეობენ: ზაზა ბარათაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ვანო გოგიტიძე, ნინო თახან-მოურავი, მარინა კახიანი, კახა კუპატაძე, ეკა მინდიაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, ზურაბ შარია, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია, ნანუკა ხუსკივაძე, მარინა ჯანაშია, მურმან ჯინორია

ჟან დელი, ჟერალდ სიბლეირასი
გაუმარჯოს ბუშონს
თარგმანი - მალხაზ ასლამაზიშვილი და ალექსანდრე ბრაილოვსკი
რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე
მხატვარი - ავთო მოდებაძე
მუსიკალური გაფორმება - ალექსანდრე ნიკოლაძე და ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - კახა ბაკურაძე
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ: ზაზა პაპუაშვილი, ქეთი სვანიძე, გაგი სვანიძე, ნიკა ქაცარიძე

ექსპერიმენტული სცენა
ერიკ-ემანუელ შმიტი
სტუმარი
თარგმანი - ქეთევან კვანტალიანი
რეჟისორი - გოშა გორგოშიძე
მხატვარი - ანა რიაბოშენკო
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, ბაჩო ჩაჩიბაია

ვგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?!
ავტორი და რეჟისორი - ალეკ ბლაითი
ფოტოები - გია აბდალაძე
რეჟისორის თანაშემწე - მარინა ამაღლობელი
მონაწილეობენ: ედმონდ მინაშვილი, ლაშა ოყრეშიძე, ქეთი სვანიძე, თემიკო ჭიჭინაძე, მარინა ჯანაშია.

ჰამლეტი.comX
სურათები უილიამ შექსპირის "ჰამლეტიდან"
რეჟისორი - ლევან ხვიჩია
მხატვრები - შოთიკო ბაგალიშვილი, გიორგი უსტიაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, პაატა გულიაშვილი, გელა თავზერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი

"ქარი მწყურია მე პირდაპირი"
ინსცენირება, რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება - მურმან ჯინორია

შეშლილი სამყარო
იუკიო მისიმასა და პიტერ ვაისის მიხედვით
ტრაგიკული ფარსი ერთ მოქმედებად
ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი - ნინო ლიპარტიანი
დამდგმელი მხატვარი - თემურ ნინუა
კოსტიუმების მხატვარი - ქეთი ნადიბაიძე
კომპოზიტორი - მიშა მდინარაძე
ქორეოგრაფი - კახა ბაკურაძე
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, ლელა ახალაია, თათული დოლიძე, ზურაბ ინგოროყვა, მამუკა ლორია, რუსუდან მაყაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ედმონდ მინაშვილი, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან რობერტ სტურუასთან

– რა შემოქმედებითი წარმატება ჰქონდა რუსთაველის თეატრს ბოლო სამი წლის განმავლობაში?

- თამაზ ჭილაძის „ნადირობის სეზონი“, დანარჩენი, აქ რაც ვნახე, არ მომეწონა.

– რა შემოქმედებითი პრობლემების წინაშე დგას თეატრი?

- თეატრი დაშლილია. როგორც მე ვატყობ, ყველა თეატრი დაშლილია. როგორც იცით, მე ვმუშაობ რუსეთშიც, თეატრში Et Cetera. იქ, მუშაობენ საამქროები, მსახიობები და ტექნიკური პერსონალი დროზე ცხადდებიან თეატრში, დისციპლინა არ არის მორღვეული; ესეც ხომ თეატრის აუცილებელი ნაწილია. აქ, ეს ყველაფერი მორყეულია. ახლახანს ბათუმში ვიყავი, ველაპარაკე მსახიობებს, იქაც იგივე პრობლემებია. მე მგონი, საერთოდ საქართველოში თეატრებს, ცოტა არ იყოს, არც მაყურებელი და არც სამინისტრო არ ეპყრობა სათანადოდ. თვლიან, რომ თეატრი ზოგადად სადღაც ძალიან შორეულ პლანზეა სახელმწიფოსთვის.

– რა სიხშირით ხდება დასის განახლება?

- ჩვენთან თეატრში ტრადიციულად ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მოდის ახალი თაობა. მე მოვედი მსახიობთა დიდი ჯგუფით, ეს მთელი თაობაა. უნდა ხდებოდეს დასის განახლება 10-15 წელიწადში ერთხელ, ეს ნორმალურია. ალბათ, ყველა თეატრში ასე უნდა იყოს. სამწუხაროდ, ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ხალხს ვერ გავუშვებ, ვინაიდან შიმშილით დაიხოცებიან. რუსთაველის თეატრში ჩემს მოსვლას დიდი რეორგანიზაცია დაემთხვა, გაუშვეს 30 კაცი, რომელიც ახმეტელის დროიდან მუშაობდა აქ. მთავრობა დაეხმარა ამაში და მხარი აუბა თეატრის ხელმძღვანელობამ. ესენი იყვნენ: დორიან კიტია, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი და ამიტომ მოხდა ასეთი ე. წ. „დიდი რევოლუცია“, რომლის შემდეგაც თეატრმა ახალი მიმართულებით დაიწყო მუშაობა და რაღაცნაირად წამოიწია. მას მერე ძალიან გვიჭირს ხოლმე შემცირება.

- და ახალგაზრდებს ხომ იღებთ პერმანენტულად?

- ვცდილობთ.

– როგორც მსახიობებს, ასევე რეჟისორებს?

- ჩვენ რეჟისორებსაც ვპატიჟებთ. 90-იან წლებში აქ თითქმის ყველამ დადგა, გარდა დავით დოიაშვილისა. მას ახლაც ველაპარაკე და რაღაც გეგმები დავსახეთ.

– რა კრიტერიუმებით ხდება მსახიობების შერჩევა?

- ახლა ამას მე ვერ ვიტყვი. პირველ რიგში, ნიჭიერი უნდა იყოს, ინდივიდუალურად საინტერესო ტიპაჟი. პრინციპში, უნდა შეეძლოს ყველაფერი. პლასტიკა, ხმა უნდა ჰქონდეს კარგი, სიმღერა იცოდეს, მართალია, ჩვენ მიუზიკლები არ დაგვიდგამს, გარდა „ოლივერისა“. ისიც სხვა რამე იყო. ორმოცდაათი წლის წინანდელი მიუზიკლი, რომლის მიხედვითაც შესანიშნავი ფილმიც არის გადაღებული. მსოფლიოს არც ერთი ნაციონალური თეატრი არ დადგამდა „ოლივერს“.

საუბარი რუსთაველის თეატრის მარკეტინგისა და პიარის სამსახურის ხელმძღვანელთან ია შერაზადიშვილთან

– არსებობს თუ არა სპონსორის კულტურა საქართველოში?

- რა თქმა უნდა, არსებობს. თეატრი და არა მარტო თეატრი ვერ იარსებებს მხოლოდ სახელმწიფო სუბსიდიებზე. ეს ფული თეატრს ყოფნის მხოლოდ სახელფასო ფონდზე და კომუნალური ხარჯების დასაფარად. სპონსორინგის გარეშე ძალიან გაჭირდება მაღალმხატვრული სპექტაკლების დადგმა. აქედან გამომდინარე, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ სპონსორებთან. გვყავს პარტნიორები, სეზონის პარტნიორები. ახლა ზუსტად ვამთავრებთ და ვიწყებთ ახალ პარტნიორებზე მუშაობას - ვიღაცა გააგრძელებს ჩვენთან მუშაობას, ვიღაც ახალი შემოგვემატება. ცალკეულ პროექტებზეც გვეხმარებიან ბიზნესმენები.

– ანუ თქვენ გაქვთ ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზება?

- ჩვენ უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებული გვაქვს სასპონსორო შეთავაზებები - რას ვთავაზობთ პარტნიორებს და რას მოვითხოვთ მათგან.

– რომელ საერთაშორისო ან ადგილობრივ კომპანიებთან თანამშრომლობთ?

- ამ ეტაპზე ჩვენი მსხვილი პარტნიორები არიან „მაგთი“ და ვითიბი ბანკი. ასევე ჩვენი პარტნიორია „ასკანელი ძმები“ და ცალკეულ პროექტებზე ძალიან ბევრი კონკრეტული პროექტის პარტნიორები გვყავს. საერთაშორისო კომპანიებიც იყვნენ პარტნიორები, მაგალითად, ინგლისის ნაციონალურ თეატრთან ერთად რუსთაველის თეატრს ჰქონდა ბევრი საგანმანათლებლო პროექტი გაკეთებული. ამ ეტაპზე საერთაშორისო პარტნიორი არ გვყავს, მაგრამ ვმუშაობთ ამაზე და გვეყოლება.

– 2011-2013 წლებში რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- როგორც ვიცი, საგანმანათლებლო პროექტები ცოტა ადრე დაიწყო რუსთაველის თეატრში. მე მაშინ აქ ვმუშაობდი მარკეტინგის განყოფილებაში. ექსპერიმენტულ სცენაზე გვქონდა ახალგაზრდა რეჟისორთა და მხატვართა ლაბორატორია. სწორედ მაშინ ბრიტანეთის საბჭო იყო ჩართული ამ პროექტში და ისინი აფინანსებდნენ წარმატებულ ახალგაზრდა ნიჭიერ რეჟისორებს, მხატვრებს ინგლისში გასამგზავრებლად. 2011 წელს რა პროექტები იყო სპონსორებთან დაკავშირებით, მე ზუსტად ვერ გეტყვით, ვინაიდან მაშინ

თეატრში არ ვმუშობდი. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ თეატრს ჰქონდა პარტნიორობა ტელევიზიებთან. ეს იყო „იმედთთან“ – „ცეკვავენ ვარსკვლავები“, რის საფუძველზეც თეატრმა მიიღო საკმაოდ დიდი სარეკლამო თანხა-ბიუჯეტი. ასევე იყო პროექტი - „ვინ არის ოლივერი“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ეს გახლდათ ოპერისა და რუსთაველის თეატრების ერთობლივი ნამუშევარი. მაშინაც რუსთაველის თეატრმა მიიღო სარეკლამო თანხა-ბიუჯეტი საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ამ მხრივ, თეატრს კიდევ ჰყავს პარტნიორები თავის სარეკლამო რგოლების განსათავსებლად. ვთანამშრომლობთ რადიოებთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან გვაქვს მემორანდუმი, ჩვენი რეკლამები გადის პირველ არხზე. როგორც იცით, რაღაცა პერიოდი თეატრში შეჩერებული იყო ყველაფერი - შეიცვალა სტრუქტურა, მმართველობა, დაბრუნდა ბატონი რობერტი. გარდა იმისა, რომ „მაგთი“ სეზონის სპონსორია, დაგვიფინანსა გასვლითი სპექტაკლები თელავსა და ქუთაისში. ეს უკანასკნელი ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობაც დააფინანსა. გვქონდა გასტროლი კიევში. ახლა, ისევ ვიწყებთ ახალგაზრდა რეჟისორების კონკურსს. შარშან ჩატარდა ეს კონკურსი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ერთი რეჟისორი მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა. იმედი გვაქვს, რომ წამოვლენ ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორები და რუსთაველის თეატრის სცენაზე ვიხილავთ მათ ნამუშევრებს. ასევე გვქონდა მსახიობების კონკურსი. ავიყვანეთ 4 მსახიობი. ისინი ჯერ სტაჟირებაზე არიან. ერთი წლის შემდეგ თუ შეძლებენ და გაამართლებენ იმ იმედებს, რაც გვქონდა, შტატში ჩაჯდებიან.

- განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- მინდა გითხრათ, რომ რუსთაველის თეატრი არის ძალიან ძველი ბრენდი და საკმაოდ კარგი რეპუტაციის მქონე. ამიტომ რუსთაველის თეატრთან ასოცირება და პოზიციონირება ძალიან ბევრ ბრენდს სჭირდება. ხშირ შემთხვევაში თვითონაც მოდიან ჩვენთან და გვთავაზობენ პარტნიორობას. აქედან გამომდინარე, განვიხილავ კი არა, ვთვლი, რომ რუსთაველის თეატრი ერთ-ერთი საინტერესო ბრენდია, რომელთანაც ურთიერთობა სხვა ბრენდებს სჭირდებათ.

- რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა კომპანიებთან - ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- რა თქმა უნდა, ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას. ფულის შოვნის საშუალებაც არის, მაგრამ სასპონსორო თანხა მცირეა იმისთვის, რომ თეატრმა იარსებოს. გარდა ამისა, თეატრს სხვა შემოსავლის წყაროებიც აქვს: დარბაზის იჯარა, გაყიდული ბილეთებიდან რეალიზებული თანხა და სუბსიდია. ასე რომ სპონსორი და მის მიერ მოტანილი თანხა კიდევ ერთი საშუალებაა, წარმოაჩინო და უკეთ გააკეთო პროექტი. თორემ მარტო სპონსორიგნი არაფერს არ ნიშნავს.

- თუ გქონიათ სპონსორისაგან შემოთავაზება?

- მე უკვე გაგეცით პასუხი. საქართველოში ახალი ბრენდები როდესაც შემოდიან უცხოეთიდან, მხედველობაში მაქვს ბრენდები, რომლებსაც დიდი ხნის ისტორია აქვთ, მათ ძალიან სჭირდებათ ისეთ ბრენდთან პოზიცირება, როგორიც არის რუსთაველის თეატრი. ამიტომ ჩვენ ვირჩევთ. ყველას სახელს ჩვენი ბანერის ლოგოზე ვერ დავსვამთ. რუსთაველის თეატრმა იცის, ვინ უნდა იყოს მის გვერდზე, მის აფიშაზე და ბანერზე.

- თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა?

- რა თქმა უნდა, ასეთი გეგმა გვაქვს. ძალიან ბევრი პარტნიორი გვყავს, იმაზე მეტიც არ შეიძლება, რომ აფიშა და ბანერი პარტნიორების ლოგოებით იყოს სავსე. ამიტომ საკმაოდ ნორმალურად და ზომიერად მივდივართ ამ გზით.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს და დროის რა მონაკვეთზეა გათვლილი?

- რა თქმა უნდა.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის?

- რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული თანხა თეატრს ყოფნის მხოლოდ სახელფასო ფონდზე და კომუნალური ხარჯების დასაფარად. სპექტაკლის დადგმას კი სჭირდება ფული, საჭიროა დეკორაციის დამზადება და სხვა უამრავი რაღაც. ვიცით, რომ თეატრი არის სინთეზური ხელოვნება, თუ არ იქნება დრამატურგია, მუსიკა, მხატვრობა, მსახიობი - სპექტაკლი ვერ შედგება. რა თქმა უნდა, შეიძლება მინიმალური და ძალიან დიდი თანხითაც გაკეთდეს წარმოდგენა. შეიძლება მინიმალური თანხით გაკეთებული ისეთივე მაღალი ხარისხის ნაწარმოები იყოს, როგორც მაქსიმალური, დიდი დანახარჯით მიღებული სპექტაკლი. ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რომელიც უცხოეთში ყველა თეატრში უკვე არსებობს. მაგალითად, ფესტივალებზე თეატრებს, ტექნიკური თვალსაზრისით, ჩამოაქვთ საოცარი რაღაცეები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ყოველ წელს თეატრს ჰქონდეს თანხა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად. თუ ეს არის სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი თეატრი, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია გამოყოს დამატებითი ხარჯები ტექნიკური აღჭურვილობის გასაახლებლად. თუ ეს არის კერძო თეატრი, ის თვითონ მოიძიებს თანხებს ტექნიკური აღჭურვისათვის, სპექტაკლის დადგმისათვისაც და სახელფასო ფონდისათვის. აბსოლუტურად განსხვავებულია დოტაციაზე მყოფი, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი თეატრისა და კერძო თეატრის მუშაობა. ვთვლი, რომ წლიური ბიუჯეტი - რამდენი სჭირდება წლის განმავლობაში, თავად თეატრმა უნდა წარადგინოს და ის უნდა დაამტკიცოს, ამ შემთხვევაში, კულტურის სამინისტრომ, ვინაიდან ჩვენ ვართ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. თეატრმა ზუსტად იცის, სად აქვს გარღვევა და რაში რამდენი სჭირდება. ფაქტობრივად, ასეც ხდება, თეატრი წარადგენს ბიუჯეტს, მაგრამ სამინისტრო არასდროს არ აძლევს საკმარის თანხას. თავისთავად თეატრმა უნდა დაამტკიცოს, რაში სჭირდება ეს თანხა და რომ ეს

ჰაერში გადაყრილი არ არის. კონკრეტულად რუსთაველის თეატრს ძალიან დიდი თანხა სჭირდება, 34000 კვ. მეტრია რუსთაველის თეატრის შენობა, ყველაზე დიდი თეატრია და დიდი თანხები სჭირდება, რომ შევინახოთ.

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- თავიდან გავიმეორებ, - სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია, მეორე - გაყიდვები, ბილეთებიდან შემოსული თანხები; მესამე - იჯარიდან მიღებული შემოსავალი და მეოთხე არის სასპონსორო პაკეტებიდან მიღებული თანხები.

- ყველაზე მეტად დღეს რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?

- სპექტაკლი არის თეატრის პროდუქტი და თეატრში მაყურებელი მოდის ახალი სპექტაკლის სანახავად. თუ არ არის სპექტაკლი, არ გაიზარდა სპექტაკლების რაოდენობა, მრავალფეროვანი არ გახდა რეპერტუარი, თავისთავად თეატრში მაყურებელი არ მოვა. ვინაიდან თეატრში იყო პატარა პაუზა, შეიცვალა ხელმძღვანელობა, სპექტაკლების რაოდენობა, რა თქმა უნდა, შემცირდა. უკვე ჩაშვებულია ოთხი პიესა და 2014 წელს რუსთაველის თეატრი მაყურებელს შესთავაზებს ძალიან მრავალფეროვან, საინტერესო რეპერტუარს. გვაქვს ფინანსური პრობლემა, მაგრამ თუ გაქვს სპექტაკლები, საინტერესო პროექტები და კრეატიული შემოთავაზებები თეატრიდან, ფულის შოვნაც უკვე შესაძლებელია. რუსთაველის თეატრი ფესტივალებში იღებს მონაწილეობას, ეს პრობლემა იყო რაღაც პერიოდი. რუსთაველის თეატრი გაჩერებული იყო და არსად აღარ გადიოდა. ესეც, ალბათ, სპექტაკლების ხარისხიდან გამომდინარე. ამაზე ზუსტად ვერ გაგცემთ პასუხს იმიტომ, რომ ახალი დაწყებულია ამ თემაზე მუშაობა. ასევე არ მინდა ვთქვა, რომ მაყურებლის მოსვლა თეატრში პრობლემაა. მაყურებელი მოდის კარგ სპექტაკლზე. როგორც არ უნდა შევფუთოთ სპექტაკლი, ის მოვა ერთხელ და მეორედ აღარ მოვა. მაყურებლის მოსაზიდად პირველ რიგში საჭიროა ბევრი კარგი სპექტაკლი. სხვა საკითხია, როგორ გაზარდო მაყურებელი. ამ თემაზე ჩვენ დაწყებული გვაქვს მუშაობა, ბევრ აქციას ვაკეთებთ, როგორც სკოლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის და ჩვენ ძალიან მალე ახალგაზრდა მაყურებელი გვეყოლება.

- მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- რაც შეეხება მაყურებლის სეგმენტს და ასაკობრივ ზღვარს, თეატრი ის ორგანიზმია, რომელიც კონკრეტულად ერთ სეგმენტზე არ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ვართ მოზარდ მაყურებელთა თეატრი ან თოჯინების თეატრი, რომელიც მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ სამი წლიდან 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ჩვენ გვაქვს საბავშვო სპექტაკლებიც და ამიტომ სკოლის ასაკის ბავშვებისთვის სპექტაკლები, ფაქტობრივად, პროგრამებში აქვთ შეტანილი პედაგოგებს. სკოლის ასაკის ბავშვები და მოზარდები მოჰყავთ: „სტუმარ-მასპინძელზე“, „კაცია-ადამიანზე“, შემდეგ განხილვებიც ეწყობა. ასევე მუშაობს ჩვენი მუზეუმი. გვაქვს ძალიან ბევრი საგანმანათლებლო პროექტი. ჩვენ მოვიცავთ ალბათ რამდენიმე სეგმენტს. უფრო აქტიური სეგმენტი, ვინც თეატრში დადის, არის 18 წლიდან 45 წლის ასაკამდე. ეს ყველაზე აქტიური სეგმენტია. შემდეგ მოდის უკვე 45-დან 60 წლამდე და ასევე 12 წლიდან 18 წლამდე. დაახლოებით ერთნაირი პროცენტია. მაგრამ ყველაზე მაღალი არის 18-დან 25 წლამდე. ანუ ყველა სეგმენტისთვის ვმუშაობთ.

- რა იყო 2011-13 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?

- 2013 წლის ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი იყო სტუდენტებთან ურთიერთობა და სტუდენტური აქციები. მაყურებლის რაოდენობამ იმატა ზუსტად 200%-ით. თუმცა, რეკლამებიც ძალიან კარგად მუშაობს.

- საქველმოქმედო აქციებს თუ ეწევით?

- გარდა იმისა, რომ სტუდენტებთან ფასდაკლებები გვაქვს, ვღებულობთ მონაწილეობას სტუდენტურ ღონისძიებებში. რუსთაველის თეატრი გამოდის როგორც სპონსორი და გამარჯვებულ სტუდენტებს ვაჯილდოვებთ ბილეთებით. აქედან გამომდინარე, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს თითქმის ყველა უნივერსიტეტთან.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

- ყველაზე აქტიურად მაინც სოციალური ქსელები მუშაობს, შემდეგ უკვე რეკლამა - აფიშა, ბანერი, პოსტერი, სატელევიზიო რგოლი, რადიო რეკლამა.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
გამოიკითხა 200 მაყურებელი






რისთვის მიდიხართ თეატრში?
N=302
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
18%
30%
25%
26%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N=596
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
18%
17%
13%
4%
12%
10%
6%
4%
5%
3%
8%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
სპორტი
სახალუტო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =341
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
6%
1%
37%
20%
2%
1%
17%
16%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით


რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეატრში?
N =591
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
22%
25%
17%
18%
18%
თანამედროვე უცხოური
თანამედროვე ქართული
ისტორიული
ქართული კლასიკური რეპერტუარი
უცხოური კლასიკა


რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N =271
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
8%
13%
25%
1%
16%
25%
5%
6%
1%
წაკითხული მქონდა წაწარმოები
მინდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
ნაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =463
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
16%
20%
16%
15%
7%
5%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფანტაზიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა
საინტერესო აზრები
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N = 446
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
14%
6%
33%
17%
6%
4%
20%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N =200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 17%
კი 42%
არა 41%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N =198
მთლიანად ვენდობი 9%
ნაწილობრივ ვენდობი 61%
საერთოდ არ ვენდობი 30%


უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
N =200
კი 43%
არა 57%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
93%
1%
5%
1%
N =86
კაფე
ღამის კლუბი
კარაოკე კლუბი
დისკოთეკა


რესპონდენტთა სქესი
მამრობითი
33%
მდედრობითი
67%

რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენების რაოდენობა**
რობერტ სტურუა	86
ლევან წულაძე	41
გიორგი თავაძე	9
თემურ ჩხეიძე	9
ავთანდილ ვარსიმაშვილი	8
გოშა გორგოშიძე	7
გაბრიელ გოშაძე	7
დათა თავაძე	4
დავით დოიაშვილი	4
გოჩა კაპანაძე	3
ოთარ ეგაძე	3
ნიკა თავაძე	3
ნიკა როყვა	3
ანდრო ენუქიძე	2
ქეთი დოლიძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენების რაოდენობა**
ია სუხიტაშვილი	39
ბაჩო ჩაჩიბაია	24
ნიკა თავაძე	16
ნატო მურვანიძე	15
ლევან ხურცია	14
ბესო ზანგური	12
ზურა ყიფშიძე	12
გოგა ბარბაქაძე	11
ნანუკა ხუსკივაძე	10
მურმან ჯინორია	10
კახი კავსაძე	8
ზაზა პაპუაშვილი	8
ნინელი ჭანკვეტაძე	6
ნანკა კალატოზიშვილი	5
რუსკა მაყაშვილი	5
თათული დოლიძე	5
ნინო კასრაძე	5
გიორგი ყიფშიძე	4
პაატა ინაური	4
ეკა ნიჟარაძე	4
აპოლონ კუბლაშვილი	3
მარინე ჯანაშია	3
მარინა კახიანი	3
გია ბურჯანაძე	2
ლევან ბერიკაშვილი	2

ჟანრი ლოლაშვილი	2
არჩილ სოლოღაშვილი	2
მიხეილ გომიაშვილი	2
ზაია დვალიშვილი	2
ზურაბ ინგოროყვა	2
ბექა სონღულაშვილი	2
მალხაზ აბულაძე	2
დავით დარჩია	1
დუტა სხირტლაძე	1
ჯემალ ღაღანიძე	1
დათო გიცირიძე	1
დავით დარჩია	1
თინათინ კორძაძე	1
კახა მიქიაშვილი	1
ზაზა კოლელიშვილი	1
ნატუკა კახიძე	1
გიორგი ნაკაშიძე	1
გურანდა გაბუნია	1
ნანული სარაჯიშვილი	1
ბაჩი ლეჟავა	1
გივი ბერიკაშვილი	1
მანანა აბრამიშვილი	1
რუსუდან ბოლქვაძე	1
ბესო ბარათაშვილი	1
ლელა მებურიშვილი	1
ნანა შონია	1
დათა თავაძე	1
ნოდარ მგალობლიშვილი	1
გიორგი ჭუმბურიძე	1
მაკა შალიკაშვილი	1
თემიკო ჭიჭინაძე	1
მარიამ ჯოლოგუა	1
ირაკლი ჩოლოყაშვილი	1

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი რვა ათეული წელია მოღვაწეობს. 1922 წელს საქართველოში დაბრუნდა რუსეთში უკვე საყოველთაოდ აღიარებული ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და სათავეში ჩაუდგა ქართულ სახელმწიფო თეატრს (დღევანდელი რუსთაველის თეატრი), სადაც მნიშვნელოვანი რეპერტუარი შექმნა სანდრო ახმეტელთან ერთად.

1928 წელს მან შემოიკრიბა ნიჭიერი, ახალგაზრდა მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, ახალგაზრდა რეჟისორები და თეატრალური ტრადიციებით მდიდარ ქუთაისში ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. ამ თეატრს ქუთაის-ბათუმის თეატრიც ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ბათუმშიც წარადგენდა თავის სპექტაკლებს. ბათუმში ჩატარდა პოლიკარპე კაკაბაძის - "ყვარყვარე თუთაბერის" პრემიერა. პირველ სეზონში დაიდგა ერნსტ ტოლერის - "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!", ბერნარდ შოუს - "წმინდა ქალწული" ,ლოპე დე ვეგას - "ცხვრის წყარო", შალვა დადიანის - "კაკალ გულში", ვსევოლოდ კირშონის - "ლიანდაგი გუგუნებს", კარლ გუცკოვის - "ურიელ აკოსტა", კარლო კალაძის - "როგორ", პოლიკარპე კაკაბაძის - "ყვარყვარე თუთაბერი". მოსამზადებელი პერიოდი ისეთი დაძაბული და დამუხტული იყო, რომ უშანგი ჩხეიძე მას საბრძოლო მზადებას ადარებდა. პრემიერა წარმატებული გამოდგა - მაყურებელი თბილისიდან ქუთაისში არა მხოლოდ პრემიერებზე, არამედ რიგით სპექტაკლებზეც ჩადიოდა.

პირველ წლებში დასს ამშვენებდნენ მსახიობები - ქალები: მარო აბრამიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ბაბო გამრეკელი, მერი დავითაშვილი, ელენე და ირინე დონაურები, ანეტა დონჟანელი, სოფიკო ვაჩნაძე, სესილია თაყაიშვილი, მალიკო მრევლიშვილი, ელენე სიბილა, ანეტა ქიქოძე, მედეა და მერი ქორელები, თინა ჩარკვიანი, ცეცილია წუწუნავა, ხათუნა ჭიჭინაძე, ივლიტა ჯორჯაძე, მოგვიანებით - ტასო აბაშიძე და ელისაბედ ჩერქეზიშვილი; ვაჟები: კაპია აბესაძე, ჭიჭიკო ბეგალიშვილი, მიხეილ ბერიაშვილი, კუკური გოგიაშვილი, შაქრო გომელაური, ნიკო გოცირიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, აკაკი კვანტალიანი, პიერ კობახიძე, გრიგოლ კოსტავა, ალექსანდრე მაღლაკელიძე, მიხეილ მემმარიაშვილი, პოკო მურღულია, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, მიხეილ სარაული, ალექსანდრე სიხარულიძე, მიხეილ სულთანიშვილი, შალვა ღამბაშიძე, ვლადიმერ ჩომახიძე, უშანგი ჩხეიძე, დუდე ძნელაძე, სერგო ჭელიძე, პავლე ჯალაღონია, შალვა ჯაფარიძე, მოგვიანებით - ალექსანდრე იმედაშვილი და იუზა ზარდალიშვილი. მხატვრები: დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, მარჯანიშვილის აღმოჩენა - პეტრე ოცხელი; კომპოზიტორები: კოტე მეღვინეთუხუცესი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი - დავით მაჭავარიანი.

1930 წელს თეატრმა პირველი გასტროლები ჩაატარა ხარკოვსა (იმ დროის უკრაინის დედაქალაქი) და მოსკოვში. საგასტროლოდ წაღებული ჰქონდათ "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!", "როგორ", "ურიელ აკოსტა", "კაკალ გულში", 'თეთრები", "ხატიჯე", "ცხვრის წყარო" (ეს მხოლოდ მოსკოვში ითამაშეს) და თამარ ვახვახიშვილის "ხანძარი".

საბჭოთა კავშირის განათლების პირველმა მეცნიერ-მინისტრმა ანატოლი ლუნაჩარსკიმ უმაღლესი შეფასება მისცა თეატრს, "ეპოქის თანახმიერი" უწოდა მას და დასძინა, რომ "მარჯანიშვილმა თავისი გენია სამშობლოს დაუბრუნა". განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად კარლ გუცკოვის - "ურიელ აკოსტას" (დამდგმელი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი) და ხაზგასმით აღინიშნა ვერიკო ანჯაფარიძის ივდითისა და უშანგი ჩხეიძის ურიელის გამარჯვება.

"ურიელ აკოსტა" კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია, რომელმაც მრავალ სეზონს გაუძლო, იგი რამდენიმეჯერ აღადგინეს ახალი თაობის მსახიობების მონაწილეობით. პირველი შემსრულებლები იყვნენ უშანგი ჩხეიძე - ურიელი, ვერიკო ანჯაფარიძე - ივდითი, შალვა ღამბაშიძე - დე სილვა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი - ბენ აკიბა. "ისინი ქართული სამსახიობო ხელოვნების ლეგენდებად დარჩნენ".

ხარკოვისა და მოსკოვის შემდეგ თეატრმა გასტროლები თბილისში ჩაატარა. რის შემდეგაც მთავრობის 1930 წლის დადგენილებით ქართული სახელმწიფო თეატრი თბილისში გადმოიყვანეს სახელწოდებით - ქართული სახელმწიფო დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, ბინად მისცეს ზუბალაშვილების სახალხო სახლი, სადაც თეატრი ამჟამად მდებარეობს.

კოტე მარჯანიშვილი თავის თეატრში სულ ხუთი სეზონის განმავლობაში მოღვაწეობდა და 26 სპექტაკლი დადგა. მასთან ერთად იღწვოდნენ ახალგაზრდა რეჟისორები: დოდო ანთაძე, ვახტანგ აბაშიძე, გრიგოლ სულიაშვილი, ნიკო გოძიაშვილი, სერგო ჭელიძე. შემდგომ წლებში თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები, რომელთა შორის იყო ვასო ყუშიტაშვილი. იგი ადრე მონაწილეობდა საფრანგეთის თეატრალურ ცხოვრებაში, "მუსიე კუშიტას" სახელით, მიწვევით მუშაობდა ფირმენ ჟემიესთან "ანტუანის" თეატრში, ხოლო შემდგომ, ფრანგ მსახიობ შარლ დიუვალთან ერთად შექმნა ახალი თეატრი "ატელიე". მის მიერ დადგმულ სპექტაკლთაგან აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანი?!", უშანგი ჩხეიძის "გიორგი სააკაძე", ა. სამსონაძის "ბაგრატიონი", მიხეილ ლერმონტოვის "მასკარადი", ფრიდრიხ შილერის "მარიამ სტიუარტი", მიხეილ მრევლიშვილის "ზვავი".

1933 წელს მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრს სათავეში ჩაუდგნენ მისი უახლოესი

მოწაფეები: უშანგი ჩხეიძე - სამხატვრო ხელმძღვანელი, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე - სარეჟისორო კოლეგიის წევრები; დოდო ანთაძე - დირექტორი; დავით კაკაბაძე - მთავარი მხატვარი.

78 წლის განმავლობაში თეატრში სპექტაკლებს დგამდნენ თავად მსახიობებიც – ვასო გოძიაშვილი, შალვა ღამბაშიძე, აკაკი კვანტალიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი ... მაგ. "ძველი ოდევილები" დადგა ვასო გოძიაშვილმა, მთავარ როლსაც თავად ასრულებდა.

პოლიკარპე კაკაბაძის "კოლმეურნის ქორწინება" (დადგა შალვა ღამბაშიძემ), გვირისტინე – სესილია თაყაიშვილი, ლომკაცა – გრიგოლ კოსტავა, ირინე – ანეტა დონჟანელი, ხახული – აკაკი კვანტალიანი და ხარიტონი - გიორგი შავგულიძე; ლავრენტი არდაზიანის "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" (გასცენიურებული ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ, მისივე დადგმით);ალექსანდრე დიუმას "მარგარიტა გოტიე" ვერიკო ანჯაფარიძის შესრულებით (დამდგმელი რეჟისორი ბორის გამრეკელი); კიტა ბუაჩიძის სიცოცხლით სავსე კომედია "მკაცრი ქალიშვილები" (დამდგმელი რეჟისორი ბორის გამრეკელი); "ეზოში ავი ძაღლია" (დამდგმელი რეჟისორი გოგი თოდაძე), რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

1941 წელს ვასო გოძიაშვილმა აღადგინა კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული ლოპე დე ვეგას "ცხვრის წყარო". იმავე სეზონში, 1942 წელს ვასო ყუშიტაშვილმა დადგა ავქსენტი ცაგარელის "ხანუმა". ხანუმას როლს ელისაბედ ჩერქეზიშვილი ასრულებდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში თეატრში დაიდგა პატრიოტული, ჰეროიკული პიესები: ლევან გოთუას "მეფე ერეკლე" (დამდგმელი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი), მეფე ერეკლეს როლს ასრულებდა ვასო გოძიაშვილი; გიორგი მდივნის "პარტიზანები", (დამდგმელი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი), კონსტანტინე სიმონოვის "მელოდე" (დამდგმელი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი) , მიხეილ ჯაფარიძის "ჟამთაბერის ასული" (დამდგმელი რეჟისორი შალვა ღამბაშიძე), ა. სამსონაძის "ბაგრატიონი" (დამდგმელი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი), შესანიშნავი იყო სერგო ზაქარიაძე ბაგრატიონის როლში და გიორგი შავგულიძე - სენ-პრი, ლევან გოთუას "უძლეველნი" (დამდგმელი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი).

აღსანიშნავია შექსპირის დრამატურგია მარჯანიშვილის თეატრში. კერძოდ, თეატრში სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა "ოტელო" (დადგა კოტე მარჯანიშვილმა, 1932 წ.), "ჭირვეული ცოლის მორჯულება" (დადგა შალვა ღამბაშიძემ, 1944 წ.). "რომეო და ჯულიეტა" (დადგა ვახტანგ ტაბლიაშვილმა, 1949 წ.), "მეთორმეტე ღამე" (დადგა რეჟისორმა რამაზ ჭიაურელმა, 1950 წ.), "ანტონიუსი", "რიჩარდ III" (დადგა ვასო ყუშიტაშვილმა, 1957 წ.), "აურზაური არაფრის გამო" (დამდგმელი რეჟისორი ლილი იოსელიანი,1963 წ.), "მაკბეტი" (ლიტერატურული კომპოზიცია, საკონცერტო შესრულებით, დადგა დოდო ალექსიძემ), "ოტელო" (დადგა თემურ ჩხეიძემ, 1982 წ.), "ანტონიუსი და კლეოპატრა" (დადგა ინგლისელმა რეჟისორმა ჰილარი ვუდმა, 1991 წ.). 1995 წელს ქართულ შექსპირიანას მიემატა მარჯანიშვილის თეატრის "მეფე ლირი", რომელიც დადგა საიმდროოდ სრულიად ახალგაზრდა დავით დოიაშვილმა. ლირს თამაშობდა ოთარ მეღვინეთუხუცესი.

მარჯანიშვილის თეატრში მედეა კუჭუხიძის პირველი დადგმა იყო კარელ ჩაპეკის "დედა" (1965 წ.), მანამდე იგი სოხუმისა და სანკულტურის თეატრებში მუშაობდა. მისი აღმოჩენილია ქართული თეატრისათვის დრამატურგი ლალი როსება, რომლის ოთხი პიესა დადგა: "პრემიერა", "პროვინციული ამბავი", "სიყვარულის მზე" და "სახლის ანგელოზები". მათ შორის ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა "პროვინციულმა ამბავმა". ეს სპექტაკლები დიდი ხნის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან. "პროვინციულ ამბავში" ხუთი მსახიობი მონაწილეობდა – ოთარ მეღვინეთუხუცესი, კოტე მახარაძე (ჯემალ მონიავა), გურანდა გაბუნია, ნანი ჩიქვინიძე და გიზო სიხარულიძე.

გიგა ლორთქიფანიძის დადგმულ სპექტაკლებს შორის აღსანიშნავია კარლო გოლდონის "სასტუმროს დიასახლისი", რომელშიც დუეტს თამაშობდნენ მირანდოლინა – ვერიკო ანჯაფარიძე და რიპა ფრატა – სერგო ზაქარიაძე; მარიკა ბარათაშვილის "მარინე", კონსტანტინე ლორთქიფანიძის "კოლხეთის ცისკარი", ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "მე ვხედავ მზეს", სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე", მორეტის "ცოცხალი პორტრეტი", ლეონოვის "შემოსევა" და სხვ. გიგა ლორთქიფანიძის დამსახურებაა ქართულ სცენაზე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების დამკვიდრება, მისი არაჩვეულებრივი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" თავისი ბებია - სესილია თაყაიშვილით და ზურიკელა – ლეო ანთაძით.

თემურ ჩხეიძემ პირველი დადგმა 1976 წელს განახორციელა. ეს იყო ჰენრიკ იბსენის "მოჩვენებანი", რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, სოფიკო ჭიაურელი, გივი ბერიკაშვილი. შემდეგ თემურ ჩხეიძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს. 10 წლის განმავლობაში მან დადგა: ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბა", მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები". პირველად დადგა ტელესპექტაკლი, მეორედ - რუსულ სცენაზე, მოსკოვის სამხატვრო თეატრში და მესამედ - მარჯანიშვილში.

1989 წლის მოვლენების შემდეგ ეროვნული თვითგამორკვევის ტალღამ გადაუარა საქართველოს. ამ დროს ახალგაზრდა რეჟისორი, დავით ანდღულაძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, აკაკი ბაქრაძის შეთავაზებით, დგამს საქართველოში ცოტა ხნის წინ აკრძალული მწერლის, გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებს "გრაალის მცველნი".

შენობის შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპასა და რუსეთში პირველი სახალხო სახლები გამოჩნდა. განსაკუთრებით მრავალმხრივი და წარმატებული იყო სახალხო სახლების მოღვაწეობა ევროპაში.

წარმოდგენებთან ერთად ატარებდნენ მუსიკალურ - ლიტერატურულ საღამოებს, კონცერტებს, გამოფენებს, ლექციებს.

თბილისში 1901 წელს სახალხო სახლის დასაპროექტებლად გამოცხადებულ კონკურსში, აშენების უფლებით, გაიმარჯვა პეტერბურგელი არქიტექტორის ს. კრიჩინსკის პროექტმა. თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მეცენატმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და 1901 წელს თბილისის მოსახლეობისათვის თეატრის აშენება გადაწყვიტეს. მშენებლობა დაიწყო 1902 წლის 7 ნოემბერს, ახლანდელი კოტე მარჯანიშვილისა და დიმიტრი უზნაძის ქუჩების მარცხენა მხარის კუთხეში (იმ დროისათვის კირკისა და დიდი მთავრის ქუჩები). 1907 წელს მშენებლობა დასრულდა, თუმცა ოფიციალურად 1909 წლის 4 აპრილს გაიხსნა. ძმებმა ზუბალაშვილებმა იგი საჩუქრად გადასცეს ქალაქს. ზუბალაშვილების გვარი საისტორიო საბუთებში XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოჩნდა. ისინი ჩაბმული არიან ქვეყნის სავაჭრო, სახელოსნო, კულტურულ და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, საქველმოქმედო საქმიანობაში. დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები, მათ მიერ გაღებული თანხით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება დასავლეთ ევროპაში. თბილისში ძმები ზუბალაშვილების მიერ აშენებული სახალხო სახლის საძირკველში ჩატანებულია ლითონის ფირფიტა წარწერით: "კ.ი. ზუბალოვის სახალხო სახლს საფუძველი ჩაეყარა 1902 წლის 24 სექტემბერს, ზუბალოვის შთამომავლების ლევანის, სტეფანეს, პეტრე და იაკობის მიერ. ეს სახლი შენდება ამ შთამომავალთა სახსრებით. სახლის მშენებლობას ხელმძღვანელობს არქიტექტორი როგოისკი, საქალაქო ინჟინერის, არქიტექტორ ს. კრიჩინსკის პროექტის მიხედვით". სახალხო სახლის მშენებლობა 1907 წელს დასრულდა, ხოლო 1909 წლის 7 აპრილს გაიხსნა. ახალაშენებული ხელოვნების სახლი თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა. 630 კაციანი დარბაზი მუდამ სავსე იყო მაყურებლით. სპექტაკლები 12 ენაზე იდგმებოდა. იდგმებოდა დრამატული და საოპერო წარმოდგენები. სახალხო სახლის სამსართულიანი შენობის ძირითადი ნაწილია მისი თეატრალური დარბაზი, რომელიც შედგებოდა პარტერის და აივნისაგან. სცენის კიდეებში, საორკესტრო ორმოს მარცხნივ და მარჯვნივ განლაგებული იყო ბენუარის ლოჟა; მეორე სართულზე, სცენის პირდაპირ და დარბაზის ორივე კედლის გაყოლებით აივანია განთავსებული . დარბაზის განათებას ამავე სართულის გვერდით კედლებში გაჭრილი დიდი სწორკუთხა სარკმელები უზრუნველყოფდა. ვინაიდან დარბაზში მაშინ ხელოვნური განათება არ იყო, წარმოდგენები და საერთოდ ყველა ღონისძიება დღისით ტარდებოდა (ამჯერად ეს ფანჯრები ამოვსებულია და დეკორის ხასიათს ატარებს). 1930 წელს სახალხო სახლში ბინა დაიდო კოტე მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებულმა II სახელმწიფო ქართულმა თეატრმა, რომელსაც კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1933 წელს) კოტე მარჯანიშვილის სახელი ეწოდა.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების თარიღი - 1928 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - ლევან წულაძე (სამხატვრო ხელმძღვანელი);
ეკატერინე მაზმიშვილი (დირექტორი)
თეატრის ელ ფოსტა - info@marjanishvili.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - Eka@marjanishvili.com
ვებგვერდის მისამართი - www.marjanishvili.ge
თეატრის მისამართი - თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა #8

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 221
მსახიობთა რაოდენობა - 74
შემოქმედებითი პერსონალი - 11
ტექნიკური პერსონალი - 110
ადმინისტრაცია - 26

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	1570633.00			65200
2012	2457884.00		11000.00	44408.67
2013	2455371.00		50500.00	72363.75

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 309 086.00 ლარი
2012 წელი - 304 539.00 ლარი
2013 წელი - 390 852.00 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა

თარიღი →	**2011 წელი**	**2012 წელი**	**2013 წელი**
სპექტაკლის დასახელება↓			
მგზავრის წერილები	21	8	2
კაპიტან კორელის მანდოლინა	5		
დეკამერონი	30	15	6
ქალები	13	14	13
წიგნი	9	1	
რევიზორი	4	14	10
მოხეტიალე სული	1	10	
კონტროლიორი	9		
სული გამოძახებით	5		
გოტჩა (ჩაგავლე)	5	1	
როგორ ატყუებდა ის მის ქმარს	3		
მეწაღის ცოლის ამბავი	1		
ნაფტალინი		10	4
კოტე მარჯანიშვილი		7	5
თოვლის დედოფალი		2	18
მე დავბრუნდები		14	1
როგორც გენებოთ		9	13
მაქსიმალური ემოცია		4	
ზვავი		9	2
კრეპის უკანასკნელი ფირი		16	9
სილამაზის დედოფალი		4	
ჰაჯი მურატი		3	8
ტარტიუფი		7	5
გრონჰოლმის მეთოდი		4	26
მუუ			4
მთვრალი ალუბალი			4
პარად ალე			3
რეპეტიციის შემდეგ			12
ევროჯორჯია			9
დოდოს მოლოდინში			12
ჰამლეტი			10
აგნუს დეი			7
შერეული ემოციები			18
სიზმარი			11
კედელი			5
მემუარები			21
სევილიელი დალაქი			3
უფროსი ვაჟი			7
ბახტრიონი			3
კონტროლიორი			2
საშობაო სიმღერა			5

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი - 347
2012 წელი - 350
2013 წელი - 385

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი - 26 096
2012 წელი - 34 898
2013 წელი - 40 740

ბილეთის ფასი და ტარიფები: 4.00; 6.00; 8.00; 8.50; 10.50; 11.00; 14.00; 16.00 ლარი
თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის

გაქირავება და სხვა) 2011-2013 წლებში წლების მიხედვით

2011 წ. – არენდა: 598 28.00 ლარი; გაქირავება: 133354.00 ლარი.
2012 წ. – არენდა: 106 660 ლარი; გაქირავება: 15513.00 ლარი.
2013 წ. – არენდა: 130 117 ლარი; გაქირავება: 42340.50 ლარი.

2011-2013 წლების რეპერტუარი

AGNUS DEI
ალექსანდრე პუშკინის "მოცარტი და სალიერისა" და "ეგვიპტური ღამეების" მიხედვით
რეჟისორი - დათო ჩხარტიშვილი
მხატვარი - ირინა ყველიაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ირინა ყველიაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნინო კალანდაძე
მოქმედი პირნი და შემსრულებლები:
ჩარსკი - გივი ჩუგუაშვილი
იმპროვიზატორი - გაგა შიშინაშვილი
მოცარტი - შაკო მირიანაშვილი
სალიერი - ჯანო იზორია
ჩარსკის მსახური - დათო ბელთაძე
აგრეთვე მონაწილეობენ თითების თეატრის მსახიობები: თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, მარი ავალიშვილი

ანტიგონე
დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე
რეჟისორის თანაშემწე: ლია მამიაშვილი
დამდგმელი მხატვარი: გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილი
სპექტაკლში გამოყენებულია ჯონათან ლის მუსიკა
მონაწილეობენ:
ქორო - გიორგი (გია) ბურჯანაძე
ანტიგონე - ნატო მურვანიძე
კრეონი - ოთარ მეღვინეთუხუცესი
ჰემონი - ნიკოლოზ (ნიკა) თავაძე
ისმენე - ქეთევან გეგეშიძე
ძიძა - გურანდა გაბუნია
ჩაფარი ჟონა - დავით დვალიშვილი
ჩაფარი ბუდუსი - ნიკა კუჭავა
ჩაფარი დიურანი - როლანდ ოქროპირიძე
ჩაფარი მაცნე - ალეკო მახარობლიშვილი
ჩაფარი ევრიდიკე - ნანი ჩიქვინიძე

ART-ხელოვნება
იასმინა რიზა
გადმოაქართულა თამაზ გოდერძიშვილმა
დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - იური გეგეშიძე
კომპოზიტორი - გივი გაჩეჩილაძე
რეჟისორის თანაშემწე - ლია მამიაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მამია - ზურა ყიფშიძე
სერგო - მიხეილ გომიაშვილი
ივანე - ალეკო მახარობლიშვილი

ბახტრიონი
ვაჟა - ფშაველა
ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი

ბრმა მხედველი
ბრაიან ფრილი
(მოლი სუინი)
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი

ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის ასისტენტი - დავით თავაძე
რეჟისორის თანაშემწე - ნინო ჟორჟოლიანი
სპექტაკლში ჟღერს გია ყანჩელის მუსიკა
თარგმნა - თამაზ გოდერძიშვილმა
მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი

ჩემი ჰამლეტი
პიესის ავტორი - უილიამ შექსპირი
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
კომპოზიტორი - იოსებ ბარდანაშვილი
მუსიკალური ადაპტირება ზურაბ გაგლოშვილისა
დამლაგებლის ტექსტის ავტორი - ნინო კანტიძე
პროექტის პროდიუსერი - როჯერ მაკ კანი (დიდი ბრიტანეთი)
მონაწილეობს: ქეთევან ცხაკაია
მეთოჯინეები: ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებაღიშვილი

დეკამერონი
ჯოვანი ბოკაჩოს მიხედვით
ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე
რეჟისორის ასისტენტი - თემო კუპრავა
კომპოზიტორი - ვახტანგ კახიძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
ბატალური სცენები და ფარიკაობა - შოთა სხირტლაძე
რეჟისორის თანაშემწე - თეონა აფციაური
მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ზაზა გოგუაძე, ბექა გოდერძიშვილი, ბაია დვალიშვილი, მარლენ ეგუტია, ზაზა იაქაშვილი, პაატა ინაური, ჯაბა კილაძე, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, ეკა ნიჟარაძე, ონისე ონიანი, ზაზა სალია, ელენე საზანდარიშვილი, დავით ქუთათელაძე, მაკა შალიკაშვილი, გივი ჩუგუაშვილი, მარიამ ჩუხრუკიძე, ქეთი ცხაკაია, ნინო წულაძე,დავით ხურცილავა.

დოდოს მოლოდინში
პიესის ავტორი - დათო ტურაშვილი
რეჟისორი – ვახტანგ ჯუღელი
მხატვარი – ხატია დავითაშვილი
კომპოზიტორი – დათო ჯანეზაშვილი
რეჟისორის თანაშემწე – ნინო კალანდაძე
მონაწილეობენ:
მამა – დავით დვალიშვილი
მისი უმცროსი ვაჟი – კოკო როინიშვილი
მისი უფროსი ვაჟი – პაატა პაპუაშვილი
დოდო – ლილე ფილფანი
ლილი – ეკა მჟავანაძე
ოთარი – დავით ხურცილავა
კირია მარია – ქეთი ჩხეიძე
წარმომადგენელი პანსიონატიდან – ჯაბა კილაძე

ექსტრავაგანსა
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
რეჟისორი და ქორეორაფი - გია მარღანია
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
მუსიკალური გამფორმებელი - ზურა გაგლოშვილი
მონაწილეობენ: თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, გიორგი მებაღიშვილი, თინათინ წულაძე, ელენე ხეჩინაშვილი

ეუხენა ბალბოა
ალეჰანდრო კასონას პიესის „ხეები ზეზეურად კვდებიან“ მიხედვით
სცენური ადაპტაცია - ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი

დამდგმელი რეჟისორები - ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - ნინო სურგულიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
კონცერტმეისტერი - ნინო ბაგრატიშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა შალიკაშვილი
მონაწილეობენ:
ფერნანდო ბალბოა – გივი ბერიკაშვილი
ეუხენა ბალბოა – თამარ სხირტლაძე
მარტა – ეკა ჩხეიძე
დირექტორი – ზვიად სხირტლაძე
მაურისიო – ზურაბ ბერიკაშვილი
ხენოვევა – მაია ტატიშვილი
ფელისა – ეკა მჟავანაძე
ელენი – ლილე ფილფანი
მოხუცი – ლეო ანთაძე
პოლიციის ბრიგადირი – გურამ ჯაში
პოლიციელი – თენგიზ პაპიძე

ევროჯორჯია
პიესის ავტორი - დათო ტურაშვილი
რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული
მხატვარი – მალხაზ კუხაშვილი
გამოყენებულია - ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა
რეჟისორის ასისტენტი – ლია მამიაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დედა – ქეთი გეგეშიძე
მამა – ვალერი კორშია
უფროსი ძმა – როლანდ ოქროპირიძე
უმცროსი ძმა – ჯაბა კილაძე
სოფო – ნათელა ნიკოლაიშვილი

ფრანგულის გაკვეთილები
პიესის ავტორი - ნესტან ნენე კვინიკაძე
რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული
მხატვარი – მალხაზ კუხაშვილი
გამოყენებულია - ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა
რეჟისორის ასისტენტი – ლია მამიაშვილი
სალომე - თეონა ქოქრაშვილი
ირაკლი - კონსტანტინე როინიშვილი

მუუ ...
პიესის ავტორები - ზურაბ ქიქოძე, გაგა ნახუცრიშვილი
რეჟისორი - ზურაბ ქიქოძე
მხატვარი - ბაია მაჭავარიანი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
გახმოვანება: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი, მერი მიქელაძე, ლენა ოლეინიკ-აბულაძე, კახი კავსაძე, გოგი გეგეჭკორი, მიშა ჯოჯუა, გია აბესალაშვილი, გიორგი გურგულია, თენგიზ მირზაშვილი, თედ ჯონასი, ბესო ბერულაშვილი, დავით სოკოლოვი, იასონ ბადრიძე
მარიონეტების მხატვრები: თენგიზ მირზაშვილი, ირმა ქააძე, ბენო ჯიჯიაშვილი, როლანდ ჩატვინი.
მარიონეტების შესრულება: ირმა ქააძე, მანანა აბზიანიძე, ბენო ჯიჯიაშვილი
ხმის რეჟისურა: ვახტანგ ბაბუნაშვილი, გია ქარჩხაძე.
მეთოჯინე მსახიობები: მანანა აბზიანიძე, მანანა ბუზალაძე, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი, ბაია მაჭავარიანი, ბენო ჯიჯიაშვილი, ირაკლი მეტრეველი, ომარ გაიდაროვი, ზურაბ ქიქოძე.

ფაუსტი
პიესის ავტორი - იოჰან ვოლფგანგ გოეთე
რეჟისორი - ლევან წულაძე

მხატვარი და თოჯინების ავტორი - ნინო ნამიჭეიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურა გაგლოშვილი
მსახიობები: ქეთი ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი
მეთოჯინეები: მეგი ელბაქიძე, თეა კიწმარიშვილი, მაია მაზიაშვილი, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი, სოფო ხიზანეიშვილი, მალხაზ გაბუნია, ზურაბ გაგლოშვილი, ბესიკ კუპრეიშვილი

კონტროლიორი
პიესის ავტორი: აზიზ ნესინი
დამდგმელი რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი
დამდგმელი მხატვარი: სერგო შივცი
მუსიკალური გაფორმება: დავით ჩხარტიშვილი
მონაწილეობენ: ონისე ონიანი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე

კოტე მარჯანიშვილი
პიესის ავტორი - გურამ ბათიაშვილი
თეატრის შექმნის ამბავი ორ მოქმედებად
დამდგმელი რეჟისორები - ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - შმაგი სავანელი
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის თანაშემწე - ნინო ჟორჟოლიანი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მარჯანიშვილი - აკაკი ხიდაშელი
ვერიკო - ეკა ჩხეიძე
თამარა - მანანა კოზაკოვა
ელენე - ნინო დუმბაძე
ირინე - ლილე ფილფანი
ვახვახიშვილი - ლიკა ქობულაძე
დოდო - ზურა ბერიკაშვილი
უშანგი - დიმიტრი ტატიშვილი
შალიკო - ვარლამ კორშია
სანდრო - როლანდ ოქროპირიძე
კაკო - ნიკა კუჭავა
მაყვალა - ქეთი ცხაკაია
ნინელი - ეკა მჟავანაძე
მიტო - ონისე ონიანი
გედეონი - დავით ხურცილავა
I პარტმუშაკი - ზაზა გოგუაძე
II პარტმუშაკი - გურამ ჯაში
III პარტმუშაკი - მაია ფაჩუაშვილი
IV პარტმუშაკი - მაია კაციტაძე
აკაკი - როლანდ ოქროპირიძე
კრიტიკოსი - ნიკა კუჭავა
კრიტიკოსი ქალი - ანა სანაია
ნუგზარ ჩილინგარაშვილი - ალექსი გეწაძე
გიორგი - ზაზა გოგუაძე
პრასკოვია - ლილე ფილფანი
ფაცია - მაია კაციტაძე
ჭეიშვილი - გურამ ჯაში
კოხრეიძე - ზაზა გოგუაძე
ელიავა - გურამ ჯაში
კახიანი - ზაზა გოგუაძე
გურგენიძე - მაია ფაჩუაშვილი
ენუქიძე - გურამ ჯაში
ლუნაჩარსკი - ალექსი გეწაძე
გოგო - ეკა მახარობლიშვილი
ბიჭი - გოგი გუგუჩია

კრეპის უკანასკნელი ფირი
სამუელ ბეკეტის მიხედვით
რეჟისორი - ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი
მხატვარი - სერგეი შივცი
კომპოზიტორი - გიორგი ხოსიტაშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ლია მამიაშვილი
დადგმის ხელმძღვანელი - ლევან წულაძე
კრეპი - მარლენ ეგუტია

ლუარსაბ თათქარიძე
ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით
დამდგმელი რეჟისორი: გიზო ჟორდანია
რეჟისორის თანაშემწე: ნათელა შალიკაშვილი
დამდგმელი მხატვარი: შმაგი სავანელი
კოსტიუმების მხატვარი: ანა კალატოზიშვილი
მუსიკალური გაფორმებ: ზურაბ გაგლოშვილი
კონცერტმეისტერი: ნინო ბაგრატიშვილი
მონაწილეობენ:
ლუარსაბი - დავით დვალიშვილი
დარეჯანი - ქეთი ჩხეიძე
მოსე - გოჩა კაპანაძე
დავითი - ონისე ონიანი
ახალგაზრდა ლუარსაბი - დავით (ჯაპანა) ხურცილავა
ელისაბედი - ქეთევან გეგეშიძე
ლამაზისეული - მანანა კოზაკოვა
ხორეშანი - ქეთევან ცხაკაია
პაატა ინაური, გიორგი ყორღანაშვილი, გიორგი (გაგა) შიშინაშვილი, კატო კალატოზიშვილი, თამარ (II) კანდელაკი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთევან (ქეთა) შათირიშვილი, ანა წერეთელი, ია (იაკო) ჭილაია, თამარ ხურცილავა, თათა ხუსკივაძე

მე დავბრუნდები
სპექტაკლი დაიდგა აზერბაიჯანელი დრამატურგის ჰუსეინბალა მირალამოვის პიესის მიხედვით
სცენური ვერსიის ავტორი: ლევან წულაძე
დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი (დიმა) ხვთისიაშვილი
მუსიკალური გამფორმებელი: ზურაბ გაგლოშვილი
მონაწილეობენ: ზურაბ (ზაქარია) ბერიკაშვილი, ეკა მჟავანაძე, დიმიტრი ტატიშვილი, თეიმურაზ (თემო) კილაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, გურამ ჯაში

Mixed Emotions/შერეული ემოცია
რიჩარდ ბაერი
რეჟისორი - სანდრო ელოშვილი
სცენოგრაფია - ლევან წულაძის
კოსტiუმების მხატვარი - მარინა ნაცვლიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ნათელა შალიკაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
კრისტინა – ქეთევან ცხაკაია
ჰერმანი – დემეტრე (დუტა) სხირტლაძე
რალფი – ბექა გოდერძიშვილი
ჩაკი – ბაჩუკი დოღონაძე

მეწაღის ცოლის ამბავი
ფედერიკო გარსია ლორკა
რეჟისორი - ირაკლი ძნელაძე
მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის ასისტენტი - ლია მამიაშვილი
მონაწილეობენ:
საპატერა - ანა ალადაშვილი
მეწაღე - მალხაზ შაყულაშვილი

პატარა ბიჭი - გიორგი ტიგინაშვილი
ალკალდი - ოთარ ჩიქობავა
ბიჭები - გაგი შენგელია, გიორგი კიკნაძე
მეზობლები:
წითელკაბიანი - ანა ვასაძე
იისფერკაბიანი - ანა ზარიძე
შავკაბიანი - ანა ამილახვარი
მწვანეკაბიანი - ანა გრიგოლია
ყვითელკაბიანი - ლიზა ტრაპაიძე

მგზავრის წერილები...
ილია ჭავჭავაძე
(გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის პოეზია, აგრეთვე "კაცია-ადამიანის" ერთ-ერთი ვერსია, პუბლიცისტური წერილები: "ერი და ისტორია", "დავით აღმაშენებელი", "რა გითხრათ, რით გაგახაროთ" და სხვ.)
"მგზავრის წერილები"
დამდგმელი რეჟისორი – თემურ ჩხეიძე
ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი – დიმიტრი ხვთისიაშვილი
მონაწილეობენ:
I პროტაგონისტი, ავტორი, შვილიშვილი - როლანდ ოქროპირიძე
II პროტაგონისტი, გუბის ბინადარი, ბაბუა - ზვიად სხირტლაძე

მოხეტიალე სული
დამდგმელი რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი
დამდგმელი მხატვარი: ვახტანგ ქორიძე
კომპოზიტორი: იოსებ (სოსო) ბარდანაშვილი
მუსიკალური გამფორმებელი: ზურაბ გაგლოშვილი
ქორეოგრაფი: გია მარღანია
მონაწილეობენ: მარიამ ავალიშვილი, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, ვახტანგ ქორიძე

ფერხული
არტურ შნიცლერი
რეჟისორი და სცენოგრაფიის ავტორი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ანა კალატოზიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნინო ჟორჟოლიანი
მონაწილეობენ:
ჭაბუკი – ზურაბ ბერიკაშვილი
ახალგაზრდა ქმრიანი ქალი – თეონა ქოქრაშვილი
ქმარი – ირაკლი ჩოლოყაშვილი
მოახლე – ნინო წულაძე
სატრფიალო არსება – ნინო გაჩეჩილაძე
მსახიობი ქალი – ქეთი ცხაკაია
მეძავი – ნატა ბერეჟიანი
ჯარისკაცი – ბექა გოდერძიშვილი
თავადი – დავით ხუციელავა
მწერალი – როლანდ ოქროპირიძე
ბავშვი – ნუცა ტაბატაძე

გიულიჰ…
შიო არაგვისპირელის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზე
პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი - გიორგი თავაძე
მხატვარი - ანკა კალატოზიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - გიორგი თავაძე
რეჟისორის თანაშემწე - ლია მამიაშვილი
მონაწილეობენ:
ალი - მარლენ ეგუტია
იეთარ - თამარ სხირტლაძე

ლეილა - ნინო დუმბაძე
მიტრო - კოტე თოლორდავა
ისმაილ - დავითი ხურცილავა
გიული - ლელა მებურიშვილი
ალავერდ - ბექა გოდერძიშვილი
ქერბალაი - ზურა ბერიკაშვილი

გრონჰოლმის მეთოდი
ჟორდი გალსერანი
თარგმანი - თამაზ გოდერძიშვილის
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ნინო ჟორჟოლიანი
მონაწილეობენ:
მერსედესი - ეკა ჩხეიძე
ფერნანდო - ნიკოლოზ თავაძე
კარლოსი - აპოლონ კუბლაშვილი
ენრიკე - ალეკო მახარობლიშვილი

ჰაჯი-მურატი
ლევ ტოლსტოი
რეჟისორი და ინსცენირების ავტორი - გიზო ჟორდანია
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის ასისტენტები - ნათელა შალიკაშვილი, თამარ ფრუიძე
მოქმედი პირნი:
ავტორი, შამილი, ნიკოლოზ I, კამენეევი - გივი ჩუგუაშვილი
ჰაჯი-მურატი - პაატა ინაური
მაგომა - რატი გოგუაძე
ელდარი - გიორგი შავგულიძე
ხანეფი - გაგა შიშინაშვილი
ბუტლერი - ზაზა იაქაშვილი
პალტარაცკი - თემურ კილაძე
მიხეილ ვორონცოვი - მარლენ ეგუტია
ვასილ დალგარუკი - ნოდარ დოღონაძე
ალექსანდრე ჩერნიშევი - ზაზა გოგუაძე
მარია ვორონცოვა - ლელა მებურიშვილი
პეტრე ნაზაროვი - ბექა გოდერძიშვილი
მაშა - ნინო დუმბაძე
ბაბალე - ქეთი ჩხეიძე
ბახუ-მესიდუ - თამარ სხირტლაძე
სოფიათი - ნინო გაჩეჩილაძე
ნუნე - თეონა ქოქრაშვილი
ანა ულუხანოვა - თეკო ჩუბინიძე
დედა ნადეჟდა - ქეთი გეგეშიძე
კოპერვეინი - სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია

ჰ ა მ ლ ე ტ ი
უილიამ შექსპირი
რეჟისორი და მუსიკალური გაფორმება - თემურ კუპრავა
მხატვარი - ნინო სურგულაძე
სცენოგრაფი - ლევან წულაძე
რეჟისორის თანაშემწე - ნინო კალანდაძე
მოქმედი პირნი და შემსრულებლები:
ჰამლეტი - კოკო როინიშვილი
აჩრდილი - პაატა პაპუაშვილი
კლავდიუსი - მალხაზ აბულაძე
პოლინიუსი - ალეკო მახარობლიშვილი
გერტრუდა - ეკა ჩხეიძე
ოფელია - მარიამ ნადირაძე
ლაერტი - როლანდ ოქროპირიძე

პირველი მესაფლავე - ჯაბა კილაძე
მეორე მესაფლავე - ნოდარ დოღონაძე
მსახიობი - ბექა გოდერძიშვილი

ჟოლო (სიცილის აკადემია)
კოკი მიტანი
თარგმანი - ნინო კანტიძისა
დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე
რეჟისორი - თემო კუპრავა
სცენოგრაფი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
ტექნიკური რეჟისორი - თეონა აფციაური
მონაწილეობენ:
ნეო - ნატო მურვანიძე
ცუბაკი - ნიკა კუჭავა

კაპიტან კორელის მანდოლინა
ლუი დე ბერნიე
სცენური ვერსია მაიკ მარანის
ერთობლივი სპექტაკლი - თეატრი მერკური (კოლჩესტერი, დიდი ბრიტანეთი) მარჯანიშვილის თეატრი, საერთაშორისო ხელოვნებისა და კულტურის ფონდი (NFA International Arts and Culture), დიდი ბრიტანეთი
რეჟისორი - ლევან წულაძე
თოჯინები - ნინო ნამიჭეიშვილი
კომპოზიტორი - ვახტანგ კახიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მონაწილეობენ: მაიკ მარანი, გას გალაჰერი, ტონი ქეიზმენთი, როჯერ დელვს-ბროუტონი, ნატო კახიძე
მეთოჯინეები: მალხაზ გაბუნია, ზურაბ გაგლოშვილი, მემე ელბაქიძე, ანა იაკობაშვილი, გია მარღანია,
მაია მაზიაშვილი, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი, სოფიო ხიზანეიშვილი,ბენო ჯიჯიაშვილი

კ ე დ ე ლ ი
პინქ ფლოიდის მიხედვით
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი

მთვრალი ალუბალი
ტექსტის ავტორი და რეჟისორი: ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი
მხატვარი – ნინო სურგულაძე
სცენოგრაფი – ლევან წულაძე
ქორეოგრაფი – გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნინო კალანდაძე
მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დავით ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი, ნოდარ დოღონაძე, ზურა ბერიკაშვილი, პაატა ინაური, ნინო გაჩეჩილაძე, ნინო წულაძე, ზაზა სალია

ქალი ძაღლით
პიესის ავტორი – ანტონ ჩეხოვი
დადგმა და სცენოგრაფია – ლევან წულაძე
კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე
ქორეოგრაფი – გია მარღანია
კოსტიუმების და თოჯინების ავტორი – ნინო ნამიჭეიშვილი
სიმღერებს ასრულებენ – ვახტანგ კახიძე, ნანი ბრეგვაძე, ნატო კახიძე და ვოკალური ოქტეტი

ხმის რეჟისორი – მიხეილ კილოსანიძე
რეჟისორის თანაშემწე – ნინო ჟორჟოლიანი
მონაწილეობენ:
გუროვი – ნიკა თავაძე
ანა – ნანკა კალატოზიშვილი
სანიტარი და გუროვის ცოლი – ნატა კახიძე
პროფესორი – ბესო ბარათაშვილი
მეთოჯინეები: მალხაზ გაბუნია, ზურაბ გაგლოშვილი, მეგი ელბაქიძე, თეონა კიწმარიშვილი, გია მარღანია, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი.

პიგმალიონი
აკა მორჩილაძე, ლევან წულაძე
(ბერნარდ შოუს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით)
დამდგმელი რეჟისორი – ლევან წულაძე
კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე
მხატვარი – შმაგი სავანელი
კოსტიუმების მხატვარი – ანკა კალატოზიშვილი
ქორეოგრაფი – გია მარღანია
რეჟისორის ასისტენტი – ნინო ჟორჟოლიანი
სპექტაკლი ეძღვნება სოფიკო ჭიაურელს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
კატო – ნატო მურვანიძე
მიხეილ ახმეტელი – აკაკი ხიდაშელი
ელიზბარ რატიშვილი – გივი ჩუგუაშვილი
გრიგოლ ახმეტელი – გივი ბერიკაშვილი
ფრაუ ბუხი – მანანა კოზაკოვა
ქეთევანი – ნინო დუმბაძე
ანასტასია – თეონა ქოქრაშვილი
სიმონი – ნიკა კუჭავა
ქაქანოვი – ონისე ონიანი
ნესტან ამილახვარი – ლიკა ქობულაძე
დარეჯან ამილახვარი – ქეთევან გეგეშიძე
იმერელი – მაია კაციტაძე
აშოტა – ბესო ბარათაშვილი
კუკური – თენგიზ პაპიძე
ვახვახი – ბექა გოდერძიშვილი
ბაგრატიონების ოჯახი:
მამა – კოტე თოლორაია
დედა – თამარ სხირტლაძე
შვილები: ლევან კახელი, კატო კალატოზიშვილი
აგრეთვე მონაწილეობენ: გვანცა კორშია, სოფო სიმონიშვილი, ანა წერეთელი, სალომე მაისაშვილი, ია ჭილაია, ქეთევან შათირიშვილი, მაგდა ლებანიძე, თამარ კანდელაკი,
თამარ ხურცილავა, გაგა შიშინაშვილი, დათა თავაძე, პაატა ინაური, რატი გოგუაძე ,
გიორგი ყორღანაშვილი, გიორგი შავგულიძე, გიორგი ქართველიშვილი, სანდრო ლორთქიფანიძე

ქალები
ნილ საიმონი
რეჟისორი - ციცინო კობიაშვილი
თარგმანი და ადაპტირება - მაია ჯაფარიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
კოსტიუმების მხატვარი - ოლიკო ბერაძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
მხატვარი - ლევან წულაძე
მონაწილეობენ:
ქეთუსი - ნინო ზაუტაშვილი
ჯული - ნინო დუმბაძე
გრეტა - ქეთი ჩხეიძე
დუდანა - ქეთი გეგეშიძე
მანჩო - ირმა ბერიანიძე
გურანდა - ეკა მჟავანაძე
ჯერომი - ზაზა გოგუაძე
ტომასი - თემო კილაძე

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
გურამ ქართველიშვილი
მთავარი კონსულტანტი - პროფესორი ვახტანგ გურული
რეჟისორი - ლევან წულაძე
მხატვარი - შმაგი სავანელი
კოსტიუმების მხატვარი - ანკა კალატოზიშვილი
კომპოზიტორი - ნიკა მაჩაიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის თანაშემწეები - ნინო ჟორჟოლიანი, ნათელა შალიკაშვილი
მონაწილეობენ:
ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ნიკა თავაძე
სიმონიკო ჩოლოყაშვილი – ნიკა კუჭავა
ნინო მეღვინეთუხუცესი (ქაქუცას მეუღლე) – ლელა მებურიშვილი
ილია მეღვინეთუხუცესი (ნინოს მამა) – იოსებ გოგიჩაიშვილი
კოტე აფხაზი – გია ბურჯანაძე
ექვთიმე თაყაიშვილი – ზურა ბერიკაშვილი
სიმონ ბაგრატიონი – დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი
საშა სულხანიშვილი – როლანდ ოქროპირიძე
ელიზბარ ვაჩნაძე – ბექა გოდერძიშვილი
ლელო ჩიქოვანი – ზვიად სხირტლაძე
ბადურა – ივანე დუგლაძე, გაგა შიშინაშვილი
მალაქია მაისურაძე – ონისე ონიანი
გიორგი მაზნიაშვილი – ზაზა გოგუაძე
დავით ჭავჭავაძე – ვალერი კორშია
ნოე ჟორდანია – დავით დვალიშვილი
ფილიპე მახარაძე – ვალერი კორშია
თავადი ვაჩნაძე – ლეო ანთაძე
გენერალი – აკაკი მესაბლიშვილი
პოლკოვნიკი – თემურ კილაძე
ინტელიგენტი, ექიმი – თენგიზ პაპიძე
ქეთევან მეღვინეთუხუცესი – ნინო იოსელიანი, ანა სანაია
სუსლიკა ანდრონიკაშვილი – ლაშა-გიორგი პაპუაშვილი
კალე – მარლენ ეგუტია
ავქსენტი – ალეკო გეწაძე
გეო სუმიჩი – დავით ხურცილავა
შიო ჩიტაძე – დათა თავაძე, ლაშა გრძელიძე
გლეხის გოგო – გვანცა კანდელაკი
ქალიშვილი – ნინო იოსელიანი
ექთანი, მდივანი– სალომე ნადირაძე
გიმნაზისტი გოგონა – თეონა ქოქრაშვილი
ოფიცრები – ბექა გამეზარდაშვილი, ირაკლი კვანტალიანი, ლაშა-გიორგი პაპუაშვილი
ჯარისკაცები – რატი გოგუაძე, პაატა ინაური, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, გიორგი შავგულიძე

როგორც გენებოთ
უილიამ შექსპირი
ადაპტირების ავტორი – ლაშა ბუღაძე
რეჟისორი – ლევან წულაძე
კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე
მუსიკალური გაფორმება – ზურაბ გაგლოშვილი
ქორეოგრაფი – გია მარღანია
კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე
რეჟისორის ასისტენტი – ნინო ჟორჟოლიანი
მონაწილეობენ: ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ზურაბ ბერიკაშვილი, ნიკა კუჭავა, დავით ხურცილავა, ბესო ბარათაშვილი, მალხაზ აბულაძე, ნიკოლოზ თავაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნატა მურვანიძე, ქეთევან ცხაკაია, ქეთევან შათირიშვილი, ნატო კახიძე, მანანა კოზაკოვა

ურიელ აკოსტა
კარლ გუცკოვი
თარგმნა - ვალერიან გაფრინდაშვილი

დამდგმელი რეჟისორი - კოტე მარჯანიშვილი
აღადგინა - სოფიკო ჭიაურელმა
მხატვარი - პეტრე ოცხელი
დეკორაცია აღადგინა - შმაგი სავანელმა
კოსტიუმები აღადგინა - ანკა კალატოზიშვილმა
კომპოზიტორი - თამარ ვახვახიშვილი
ქორეოგრაფი - დავით მაჭავარიანი
ქორეოგრაფია აღადგინა - გია მარღანიამ
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა შალიკაშვილი
პრემიერა - 2006 წლის 30 სექტემბერი
მონაწილეობენ:
ურიელ აკოსტა – ნიკა თავაძე
ივდითი – ნატო მურვანიძე
დე–სილვა – დავით დვალიშვილი
დე–სანტოს – გივი ჩუგუაშვილი
ბენ–იოხაი – დიმიტრი ტატიშვილი
მანასე – მარლენ ეგუტია
ესთერი, ურიელის დედა – ნინო დუმბაძე
რუვიმი (ურიელის ძმა) – ზაზა იაქაშვილი
იოველი (ურიელის ძმა) – როლანდ ოქროპირიძე
ბენ–აკიბა – ლეო ანთაძე
ბარუხ სპინოზა – ნატო კახიძე
ვან–ებდენ – ზაზა გოგუაძე
მანასეს მსახური – ვაჟა კვიტაიშვილი
დე–სილვას მსახური – ნიკა კუჭავა
რაბინები – ვალერი კორშია, ივანე ოსაძე, იოსებ გოგიჩაიშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ზაზა სალია, თენგიზ პაპიძე
მოცეკვავეები – ნინო გაჩეჩილაძე, მაია კაციტაძე, ნინო წულაძე, ნიკა კუჭავა, ბექა გოდერძიშვილი, ჯაბა კილაძე
მესანთლეები – სოფო გრიგოლაშვილი, ლუკა კუჭუხიძე

საშობაო სიმღერა
ავტორი - ჩარლზ დიკენსი
რეჟისორი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
სცენოგრაფი - ლევან წულაძე, შალვა ჩაგუნავა
მუსიკალური გაფორმება- ზურაბ გაგლოშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის ასისტენტი - ნინო ჟორჟოლიანი, თამუნა ფრუიძე
მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია, ქეთი გეგეშიძე, ეკა მჟავანაძე, ეკა ნიჟარაძე, ზაზა იაქაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ნანი ჩიქვინიძე, თემო კილაძე, ნინო დუმბაძე, თენგიზ პაპიძე, ლიკა ქობულაძე, თეონა ქოქრაშვილი, ზაზა იაქაშვილი, გვანცა კორშია, დიმა გოზალიშვილი, გვანცა კორშია, გიორგი კლაინი, სანდრო შარაშიძე, ნუცა ტაბატაძე

სილამაზის დედოფალი
ავტორი - არტინ მაკდონაჰი
მთარგმნელი - შორენა შამანაძე
დამდგმელი რეჟისორი - გურამ ვაშაკიძე
დამდგმელი მხატვარი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ლევან ჭიჭინაძე
დამდგმელი ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა შალიკაშვილი
მონაწილეობენ:
მორინ ფოლანი - თამარ ბუხნიკაშვილი
მეგ ფოლანი - ნინო გომართელი
პატო დული - ირაკლი ჩოლოყაშვილი
რეი დული - პაატა პაპუაშვილი

ტარტიუფი
ავტორი - ჟან-ბატისტ მოლიერი
რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გამფორმებელი - ზურაბ გაგლოშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებლები:
ორგონი - ნიკა კუჭავა
ტარტიუფი - ზვიად სხირტლაძე
პერნელი - მანანა კოზაკოვა
დორინა - ბარბარე დვალიშვილი
ფლიპოტი - თამარ ბუხნიკაშვილი
კლეანტი - ზაზა იაქაშვილი
ლოიალი - ბესო ბარათაშვილი
ელმირა - თეონა ქოქრაშვილი
მარიანა - ანა ვასაძე
დამისი - გიორგი კიკნაძე
ვალერი - პაატა პაპუაშვილი

სასიყვარულო ბარათები
ალან გარნეი
თარგმნა - თამაზ გოდერძიშვილი
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - იური გეგეშიძე
მუსიკალური გაფორმება და შემსრულებელი - ეთერ ზანგურიძე
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა შალიკაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მელისა - ნანი ჩიქვინიძე
ენდი - გია ბურჯანაძე

პეიზაჟს აკლია სითბო
თამარ ბართაია
რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ლადო ჩხაიძე
მონაწილეობენ:
ნუცა – ეკა ჩხეიძე
ტატო – ვარლამ კორშია
ტასო – ლილე ფილფანი
ლუკა – დიმიტრი ტატიშვილი
მაო– ეკა მჟავანაძე
ჰანსი – ივანე დუგლაძე, ზაზა გოგუაძე
მარინა – ია შუღლიაშვილი
ინგა – ია ჭილაია

ტანგო ნაბიჭვართან
ინსცენირების ავტორები - ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე
ხუთი ნოველა როსმარ ზიბარტის, მარგარეტ დრებლის, მაკა ხარშილაძის, გაბრიელ არუს, თენეს უილიამსის ნაწარმოებების მიხედვით
რეჟისორები - ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე
მხატვარი და ქორეოგრაფი - ნინო კიტია
რეჟისორის ასისტენტი - ლია მამიაშვილი
მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი.

უფროსი ვაჟი
ალექსანდრე ვამპილოვის მიხედვით
რეჟისორი - ჯაბა პაპუაშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია

მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
ტექნიკური რეჟისორები - თამუნა ფრუიძე, ქეთი ბააკაშვილი
მონაწილეობენ:
ნატაშა - ნათია გუბენკო
ანდრო - გივი ჩუგუაშვილი
ანა - თამარ ბუხნიკაშვილი
მიხეილი - ბექა გოდერძიშვილი
სილოვანი - ჯაბა კილაძე
კოტე - პაატა პაპუაშვილი
ვასიკო - გიორგი კიკნაძე

რევიზორი
ნიკოლოზ გოგოლი
(თარგმანი ვალერიან გუნიასი, ადაპტირება გიზო ჟორდანიასი)
რეჟისორი - გიზო ჟორდანია
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე ნათელა შალიკაშვილი
ტექსტის კორექტორი რუსუდან ხვედელიძე
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ანტონ ანტონის ძე სკვოზნიკ დმუხანოვსკი - დავით დვალიშვილი
ანნა ანდრიას ასული - მანანა კოზაკოვა
მარი ანტონის ასული - ნატა ბერეჟიანი
ლუკა ლუკას ძე ხლოპოვი - ონისე ონიანი
ამოს ფედორის ძე ლიაპკინ-ტიაპკინი - როლანდ ოქროპირიძე
არტემ ფილიპეს ძე ზემლიანიკა - ავთანდილ მიქაძე
ივან კუზმას ძე შპეკინი- ზურა ბერიკაშვილი
პეტრე ივანეს ძე დოფჩინსკი - დავით ხურცილავა
პეტრე ივანეს ძე ბობჩინსკი - ნოდარ დოღონაძე
ივან ალექსანდრეს ძე ხლესტიაკოვი - ზვიად სხირტლაძე
ოსიპი - იოსებ გოგიჩაიშვილი
ფევრონია პეტრეს ასული პოშლიობკინა - ია ჭილაია
უნტერ ოფიცრის ქვრივი - თამარ ბუხნიკაშვილი
ეფროსინია - ნინო წულაძე
სვისტუნოვი - თენგიზ პაპიძე
ჟერმენი - ანა წერეთელი
სტეპან პროპკა - გიორგი შავგულიძე
სიმიონ რასტაგუევი - რატი გოგუაძე

რეპეტიციის შემდეგ
ინგმარ ბერგმანი
რეჟისორი - თემურ კუპრავა
სცენოგრაფი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
მუსიკალური გაფორმება - თემურ კუპრავა
რეჟისორის ასისტენტი - თამარ ფრუიძე
მოქმედი პირნი და შემსრულებლები:
რეჟისორი - ზურაბ ბეგალიშვილი
მსახიობი - ქეთა შათირიშვილი

სევილიელი დალაქი
ჯოაკინო როსინი
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური ადაპტირება - გური ზაქარეიშვილი, ირაკლი ათანელიშვილი, ზურაბ გაგლოშვილი
მონაწილეობენ:მალხაზ (ხრინკი) გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი

ონეგინი
ალექსანდრე პუშკინის პოემის "ევგენი ონეგინის" მიხედვით
თარგმანი - გრიგოლ ცეცხლაძე და ოთარ ჭელიძე
კომპლიკაცია - ბესო ხვედელიძე
რეჟისორი, დამდგმელი მხატვარი და ქორეოგრაფი - ირინა გაჩეჩილაძე
მხატვრები - ნინი ახობაძე, ანა ჩაკვეტაძე
სტილისტი - გელა მაქაცარია
ბუტაფორი - კახა ღონღაძე
მუსიკალური გაფორმება - ირინა გაჩეჩილაძე, ირაკლი ივანიშვილი
მონაწილეობენ:
ევგენი ონეგინი – დიმიტრი ტატიშვილი
ლენსკი – ზურაბ ბერიკაშვილი
ტატიანა – ქეთევან შათირიშვილი
ოლგა – ლელა მებურიშვილი
ლარინა – ლიკა ქობულაძე
ძიძა – ნათია გუბენკო
სწავლული კატა – ირაკლი ჩოლოყაშვილი
გენერალი – ვალერი კორშია
გოგოები – ანი წერეთელი, გვანცა კორშია, სალომე მაისაშვილი
სპექტაკლში გამოყენებულია დუეტი თამარ და მერაბ ახობაძეების შესრულებით.

პარად ალე!...
სპექტაკლის რეჟისორი - როლანდ ქარდავა
სპექტაკლის მხატვარი - აივენგო ჭელიძე
სცენარის ავტორი - ნანა ჭავჭანიძე
მსახიობი - ნათია კავსაძე

როგორ ატყუებდა ის მის ქმარს
ბერნარდ შოუ
რეჟისორი - ნიკა ლუარსაბიშვილი (შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, III კურსი, ლევან წულაძის ჯგუფი)
მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, ერეკლე გეწაძე, ირმა ბერიანიძე, კატო ჩხიკვიშვილი, ჯეჯი სხირტლაძე

სული გამოძახებით
ნოელ ქაუარდის პიესის მიხედვით
რეჟისორი - მიხეილ ჩარკვიანი
მხატვარი - ირინა ყველიაშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მონაწილეობენ:
დოქტორი ბრედმანი - ვალერი კორშია
მისის ბრედმანი - ლიკა ქობულაძე
ჩარლზ კონდომინი - ბექა გოდერძიშვილი
რუთ კონდომინი - სოფო სებისკვერაძე
ელვირა - ანა გულიაშვილი
მადამ არკადი - თამარ ტყემალაძე
ებიტი - გვანცა კორშია

თოვლის დედოფალი
ჰანს კრისტიან ანდერსენი
ინსცენირების ავტორი - მაია ჯაფარიძე, ციცინო კობიაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - ციცინო კობიაშვილი
მხატვარი სცენოგრაფი - ვახო ბარდაველიძე
კოსტიუმების მხატვარი - ოლიკო ბერაძე
მხატვარი დეკორატორები - მაია სხირტლაძე, მაია სულხანიშვილი, კახა ღონღაძე
ქორეოგრაფი - მარიამ ნადირაძე
მუსიკალური გაფორმება - ციცინო კობიაშვილი, ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის ასისტენტები - ლია მამიაშვილი, თამუნა ფრუიძე
მონაწილეობენ:
მხატვარი - ზაზა გოგუაძე
მწერალი - გიორგი კიკნაძე

ტროლი - მარლენ ეგუტია
ბებია - თამარ სხირტლაძე
გერდა - ანი გუჯეჯიანი
კაი - ნიკა გუჯეჯიანი
თოვლის დედოფალი - ლელა მებურიშვილი
ჟადოქარი ყვავილნარიდან - ნინო დუმბაძე
ყვავი - დავით ხურცილავა
ყვავის საცოლე - ეკა მჟავანაძე
პრინცი - ლაშა გრძელიძე, ვანო დუგლაძე
პრინცესა - ნინო წულაძე
ირემი - თემურ კილაძე
ყაჩაღების ატამანი - ქეთი ჩხეიძე
ატამანის შვილი - თეა ჩუბინიძე
ფინელი ჯადოქარი, ლაპლანდიელი ჯადოქარი - ქეთი გეგეშიძე
ტროლის ჭინკები და ყაჩაღები - არჩილ ოძელაშვილი, ნიკა რაზმაძე, ანი მამულაშვილი,გიორგი აბულაძე, ნიკა ლაჩაშვილი, გიორგი ქლაინი
სასახლის მცველები - გიორგი ედიშერაშვილი, ტატო გელიაშვილი
ანგელოზები - ქეთევან კოპალეიშვილი, ნინა კახიანი, ნინო მაჭარაშვილი, აკო არაბული, ლიზი ჯიბღაშვილი, თორნიკე და სოფო ბერიშვილი, ნუცა ტაბატაძე, მარიამ ზარკალიანი, გეგა საგინაშვილი, ანა-მარია უფლისაშვილი
ეზოს ბავშვები - თამარ ბარათაშვილი, მარიამ არაბული, ნიკოლოზ სხირტლაძე, შოთიკო კოხრეიძე, ქეთი აბულაძე, ანამარია და ავთო გურჯიძე

ნაფტალინი
ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - დავით საყვარელიძე
მულტიმედია - გოჩა აბაშიძე
მხატვარი - ნინო მაღლაკელიძე-შიიტი
მუსიკალური გაფორმება - დავით საყვარელიძე
ტექნიკური რეჟისორი - რუსუდან ხვედელიძე
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ნუნუ დეიდა - გურანდა გაბუნია
ლელა / რეზოს მდივანი - ნინაკა გელაშვილი
კობა - თემურ კილაძე
ვასილ მჟავანაძე - ოთარ მეღვინეთუხუცესი
წმინდა ილარიონი - იოსებ გოგიჩაიშვილი
გიორგი ვლადიმეროვიჩი, პარტკომი - ალექსანდრე გეწაძე
ეშმაკი - მაია ტატიშვილი
რეზო - ბექა გოდერძიშვილი
სტალინის სული / ანგელინა კოზიუბა / ღოჯიანი ქალი - ზაზა გოგუაძე, პატარა ავთო
სული - ვაჟა კვიტაიშვილი

ზვავი
თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით
რეჟისორი - დავით ჩხარტიშვილი
ლევან წულაძის სარეჟისორო ჯგუფი
(წინასადიპლომო ნამუშევარი)
მხატვარი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - თამარ ლომსაძე
მუსიკალური გაფორმება - დათო ჩხარტიშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ლია მამიაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ბებია - თამარ სხირტლაძე
ბაბუა - ლეო ანთაძე
დედა - მაია ფაჩუაშვილი
მამა - თემურ კილაძე
ბიჭი - როლანდ ოქროპირიძე
გოგო - თეონა ქოქრაშვილი
ბებია-ქალი - ლილე ფილფანი
თავმჯდომარე - აკაკი მესაბლიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა სალია

წიგნი
აკა მორჩილაძე
რეჟისორი - დავით საყვარელიძე
მონაწილეობენ: ოთარ მეღვინეთუხუცესი, თემურ კილაძე, ზურაბ სტურუა, ავთო მიქაძე, ალეკო გეწაძე, ვაჟა კვიტაიშვილი.
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომანტები: სალომე მწითური, თამარ ჭანუყვაძე, ლაშა გრძელიძე, ავთო ჟღენტი, ლევან შიშნიაშვილი, ზურაბ მარხვაშვილი

ტყუილ-მართალი
ავტორები - ზურაბ ქიქოძე და გაგა ნახუცრიშვილი
რეჟისორი - ზურაბ ქიქოძე
თოჯინების მხატვარი - ბენო ჯიჯიაშვილი, მანანა აბზიანიძე
სპექტაკლისთვის კოსტიუმები შეკერა - მანანა აბზიანიძემ
დეკორაციის მხატვარი - ბაია მაჭავარიანი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა?
2011 წ. - 22000. 00 ლარი
2012 წ. - 25000. 00 ლარი
2013 წ. - 30000. 00 ლარი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა?
2011 წ. - არ ყოფილა შემთხვევა
2012 წ. - არ ყოფილა შემთხვევა
2013 წ. - 5 000.00 ლარი

დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 5 000.00 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 62.5 ლარი
მსახიობის ხელფასი: უმაღლესი - 1 900.00 ლარი, უმდაბლესი - 435.00 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში

ქვეყნის შიგნით
2011 წ. - ახალციხე, ყვარელი, ქუთაისი, გორი, ამბროლაური, ბათუმი
2012 წ. - ბათუმი, ხულო, რუსთავი, ბაღდადი, ზესტაფონი
2013 წ. - ქუთაისი, ახალქალაქი, თელავი, ზუგდიდი
ქვეყნის გარეთ
2011 წ. - აზერბაიჯანი (ბაქო), რუმინეთი (სიბიუ), ინგლისი (კოლჩესტერი), ბულგარეთი (პასერჯიკი)
2012 წ. - ტუნისი (ტუნისი, ნაბეული), ინგლისი (ლონდონი), თურქეთი (ტრაპზონი), ეგვიპტე (კაირო), ინდოეთი
2013 წ. – ინგლისი (ლონდონი), თურქეთი (ადანა), გერმანია (ნოისი), რუმინეთი (სიბიუ), პოლონეთი გდანსკი)

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით: 200 - 1000 ლარი
საზღვარგარეთ: 10000 -20000 ლარი

ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) 2011-2013 წწ.
მაკედონიის თეატრს და აზერბაიჯანის თეატრს.
კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - კაპიტან კორელის მანდოლინა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა -დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - გიზო ჟორდანია, ციცინო კობიაშვილი
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი? 1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის განყოფილების უფროსი, 2. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი, 3. გარე რეკლამის დიზაინერი, 4. ვებ-გვერდის კოორდინატორი.
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 21 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 82 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
2014 წელს, ლეო ანთაძე , სპექტაკლი „ბახტრიონი“
თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
ლევან წულაძე - ბრწყინვალების ორდენი - 2013 წ.
თეატრალური პრემია - "დურუჯი", სპექტაკლი "ჟოლო" 2011 წ.
ქეთევან ცხაკაია თეატრალური პრემია "დურუჯის" ჯილდო "ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის" ჰამლეტის როლის განსახიერებისათვის სპექტაკლში "ჩემი ჰამლეტი" 2011 წ.
2011 წლის საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ დაწესებული პრემია - წლის საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი გადაეცა ლევან წულაძეს სპექტაკლისთვის „ტარტიუფი", ჟან ბატისტ მოლიერი.
წლის საუკეთესო მსახიობ მამაკაცად დასახელდა ზვიად სხირტლაძე, ტარტიუფის როლის შესრულებისთვის. ნომინაციაში წლის საუკეთესო „მეორე პლანის" როლი გადაეცა მსახიობ ბაია დვალიშვილს, დორინას როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ტარტიუფი"

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
- ფოიე - დიახ
- საგამოფენო სივრცე - დიახ
- საკონფერენციო დარბაზი - დიახ
- ბუფეტი - არა
- წიგნის მაღაზია - არა
- ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა
განათება

დიდი სცენა:
მოძრავი აპარატურა: VARECOLOR 7- 575w - 14 ცალი; VARESCAN 7 - 1200W - 18 ცალი
LED განათება: VERYLED ZOOM - 28 ცალი
პროჟექტორები: QOUADRO - 2000w - 38 ცალი, PAR 64 - 1000w -1 ცალი, ETC SORCE FOOR ZOOM 25-50 - ცალი, PARNEL - 575w - 52 ცალი, FOLLOW SPOTS - 2 ცალი
ეფექტები: ბოლის მანქანა -3 ცალი, ნისლის მანქანა - 4 ცალი, თოვლის მანქანა - 4 ცალი, ქარის მანქანა - ცალი, მძიმე ბოლის მანქანა (Dry ice) - 2 ცალი, ფერადი ბოლის მანქანა - 6 ცალი
განათების პულტი: COMPULITE-ULTRAVIOLET - 1 ცალი

ახალი სცენა:
მოძრავი აპარატურა: VARYLED - 3 ცალი
LED განათება: JB-LED A7 - 2 ცალი
პროჟექტორები: PAR -64 1000w - 30 ცალი, PARNEL 575 - 28 ცალი, VARYSCAN 1200w - 6 ცალი, UADRO 1000w - 24 ცალი
განათების პულტი: COMPULITE SPARK TOP - 1 ცალი

სხვენი:
პროჟექტორები: PAR -64 1000w - 15 ცალი, QUADRO -20 ცალი, ETC 25-50 - 20 ცალი, ETC 36 -13 ცალი PARNEL 575 - 4 ცალი, PALCO - 2 ცალი, CIKLORAMA 1000w - 3 ცალი
განათების პულტი: COMPULITE SPARK - 1 ცალი

გახმოვანება

დიდი სცენა:
დინამიკები: 3 - Way Cinema System lf: 800W, MF: 400W, HF: 75W : 2 ცალი; FRI – 122/64 - 300W : 2 ცალი, RX – 115/ 75 - 500W : 4 ცალი; EVI - 12 250W: 6 ცალი
რადიო მიკროფონები: EV RE - 2 Receiver: 10 ცალი, EV RE – 2 Receiver: 10 ცალი, EV BRU – 2 Transmitter: 2 ალი, EV N/DYM 267a Transmitter: 4 ცალი
მიკროფონები: EV Vocal Microphone N/D767a: 8 ცალი, EV Condenser Vocal Microphone COBALT ™ CO 11: 2 ალი, Microphone STEND: 10 ცალი
ეფექტები: LEXICON MRX550: 1 ცალი, T.C.ELECTRONIC M-ONE XL: 1 ცალი
ფლეიერები: TASCAM MD 350 : 2 ცალი, DAP OUDIO DUAL CD pleier: 1 ცალი

გახმოვანების მიქშერი: ALLEN & HEATH GL2200: 1 ცალი
ახალი სცენა:
დინამიკები: RX – 115/ 75 - 500W : 4 ცალი
ფლეიერები: TASCAM MD 350 : 2 ცალი, DAP AUDIO CD & FLASH PLAYER -1 ცალი
გახმოვანების მიქშერი: BEHRINGER - 1 ცალი

სხვენი:
ფლეიერები: SONY MINIDISC PLAYER - 1 ცალი, CD & FLASH PLAYER -1 ცალი
დინამიკები:REF 350w (გამაძლიერებლებით) - 2 ცალი
გახმოვანების მიქშერი: BEHRINGER - 1 ცალი

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
დიდი სცენა: პარტერი 296, აივანი 140
სხვენი 101
სარდაფი 138

კატალისტი (3D აპარატურა)
მედია სერვერი Catalyst DV V4.4 – 1 ცალი სერვერი (კომპიუტერი საიდანაც იმართება)
პროექტორი Panasonic PT-VX400NTE – 1 ცალი 4000 ლუმენი
კომპიუტერის მონიტორი – 1 ცალი
მაუსი და კლავიატურა USB კაბელით

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე: დიდი სცენა: 20.42მ/ სხვენი: 9.60მ/ ახალი სცენა: 16მ
სცენის სიგანე: დიდი სცენა: 15მ/ სხვენი: 9.60მ/ ახალი სცენა: 5.5მ
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე: დიდი სცენა: 16მ მინიმუმ/ სხვენი: 4.85მ/ ახალი სცენა: 4მ
იატაკიდან გამოყენებამდე: დიდი სცენა: 7მ შტანგეტებამდე/ სხვენი: 4.54 სოფიტებამდე/ ახალი სცენა: .7 სოფიტებამდე
სარკის სიგანე: დიდი სცენა: 10მ
სარკის სიმაღლე: დიდი სცენა: 10მ
საორკესტრო ორმოს სიგანე: დიდი სცენა: 10X2.60მ
საორკესტრო ორმოს სიმაღლე: დიდი სცენა: 2.15მ
საორკესტრო ორმოს რკალი:
სცენის წრის დიამეტრი: დიდი სცენა: 11.4მ
სცენის მარჯვენა ჯიბე - დიდი სცენა: 4X8-32 კვ/ სხვენი: 4.5X6.65- 30კვ/ ახალი სცენა: 8X12 - 96კვ
სცენის მარცხენა ჯიბე - დიდი სცენა: 4X8-32 კვ/ სხვენი: 4.47X2.36 - 10კვ/ ახალი სცენა: 3.7X13 - 48კვ
შტანგეტების რაოდენობა: დიდი სცენა: სულ 26 ცალი, ელექტრო 12 ცალი, ხელის 14 ცალი/ სხვენი: არ არის შტანგეტები, სოფიტებს ვიყენებთ ჩაცმულობის დასაფიქსირებლად
ახალი სცენა: არ არის შტანგეტები, სოფიტებს ვიყენებთ ჩაცმულობის დასაფიქსირებლად
შტანგეტებს შორის ინტერვალი: დიდი სცენა: 25სმ / სხვენი (სოფიტებს შორის ინტერვალი)1.02;1.0;1.0; 0.74;2,17;1.52;0.83/ ახალი სცენა: 1.50;1.80;1.30;1.50;1.50;1.30;1.60;1.50;1.70;2.10
სოფიტების რაოდენობა: დიდი სცენა: 8ცალი/ სხვენი: 9ცალი/ ახალი სცენა: 11 ცალი
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა
მოძრავი პორტალების სიმაღლე: დიდი სცენა: 11მ არ არის მოძრავი
მოძრავი პორტალების სიგანე: დიდი სცენა: 1.5 მ არ არის მოძრავი

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ლევან წულაძესთან

- რა იყო თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება 2011-13 წლებში?

- უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ...“, იმიტომ, რომ მსოფლიო აღიარება მოუტანა თეატრს. ორჯერ დაგვპატიჟეს ლონდონის „გლობუსის“ თეატრში, ხუთი გასტროლი გვქონდა ინდოეთში, გერმანიაში, პოლონეთში. მიპატიჟება გვაქვს იერუსალიმსა და ბელორუსში.

- რა პრობლემების წინაშე დგას ყველაზე მეტად თეატრი შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- ვეძებთ ახალ ქართულ პიესას, რამდენიმე დაიდგა და ძალიან ბედნიერი ვარ. ვდგამთ და ვეძებთ ერთდროულად. ყველაზე დიდ „შიმშილს“ განვიცდით ახალი ქართული პიესების სიმცირის გამო. ახალი ქართული თეატრი, რაღაცით უნდა დაიწყოს აუცილებლად, ამის ბიძგი კი შეიძლება გახდეს ახალი ქართული დრამატურგია.

- თეატრი მუშაობს დრამატურგებთან?

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს და ბევრი იდგმება. ახლა, ახალ პროექტს ვიწყებთ მცირე სცენაზე და გვინდა ეს სივრცე საერთოდ მივცეთ ახალ ქართულ დრამას. ლაშა ბუღაძეს ვაჩუქეთ ექვსი თვით ის სცენა, ცალკე დაფინანსებაც მოიპოვეს და ექვსი პიესა დაიდგმება, მხოლოდ თანამედროვე ქართული პიესა.

- ლაშა ბუღაძე პატარაა ასაკით, მაგრამ შემდგარი, წარმატებული, უკვე ევროპაშიც იდგმება მისი პიესები. აი, სულ ახალგაზრდები, რომლებიც მოდიან?

- სწორედ მათ ვეძებთ, მათი იმედი გვაქვს. მოდიან, არიან კიდეც და მნიშვნელოვანია, რომ ეს სეგმენტი შევავსოთ.

- რა სიხშირით აახლებთ დასს და რა პრინციპით ხდება მსახიობთა მიღება-შერჩევა. ახალგაზრდა რეჟისორებს თუ აძლევთ დადგმის უფლებას?

- სამწუხაროდ, დასის განახლება ძალიან რთულად ხდება. ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მოწვეული მსახიობები ძალიან ბევრია, რომლებიც 3-4 სეზონი თამაშობენ და როგორც კი ვახერხებთ, აგვყავს შტატში, ვუდებთ ხელშეკრულებას. ბევრია, რომელიც ელოდება ამას, ბევრს ვერ უძლებს ნერვები და სხვაგან მიდიან. ეს ცოტა რთული საკითხია, რამდენადაც ბევრი მსახიობი გვყავს და ცოტა გვიჭირს მსახიობის გაშვება. რაც შეეხება რეჟისორებს, ვინც მოდის, უარს არავის ვეუბნებით, თუ არ არის რთული, ასე ვთქვათ, ძვირადღირებული პროექტი. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, იმიტომ, რომ ძალიან ცუდია, როდესაც რეჟისორი იძულებულია თვითონ მოძებნოს გრანტი სპექტაკლის დასადგმელად. პროფესია იკარგება, ვინაიდან რეჟისორმა თავის პროფესიით უნდა არჩინოს ოჯახი, როდესაც ამას ვერ ახერხებს, მაშინ ის ეძებს რაღაცა სამსახურს, ხდება მოყვარული და არა პროფესიონალი. ეს ძალიან მძიმე შემთხვევაა, როგორც კი საშუალება გვეძლევა, ვცდილობთ ჰონორარი მივცეთ რეჟისორებს, რამდენიც შეგვიძლია. რა თქმა უნდა, ამაში შეზღუდულები ვართ. დამიჯერეთ, რომ გვქონდეს, მეტს მივცემდით. ამ წუთას არის 6 სპექტაკლი, რომლებსაც ახალგაზრდა რეჟისორები დგამენ, მიმდინარეობს რეპეტიციები. უკვე რამდენიმე პრემიერა შედგა. ამ მხრივ, თითქოს არ ვართ გაჩერებული.

- რა კრიტერიუმით იწვევთ თეატრში რეჟისორებს?

- ეს არის ახალი ხედვა. „ვაშავებთ“, ახალგაზრდებს რომ ვეძახით, მაგრამ მე მგონი, რომ მხარდაჭერა ახალგაზრდებს უფრო სჭირდებათ, რომ არ მიატოვონ პროფესია.

საუბარი თეატრის დირექტორთან ეკა მაზმიშვილთან

- არსებობს თუ არა სპონსორის კულტურა საქართველოში?

- მარტივად ეს საკითხი არ დგას, მაგრამ ეს კულტურა არსებობს. მარჯანიშვილის თეატრს უკვე 6 წელია ჰყავს გენერალური პარტნიორი ბანკი „რესპუბლიკა“, აგრეთვე სერიოზული პარტნიორი „ჯითიაი ინთერნეშენელის“ სახით. სხვადასხვა სპექტაკლზეც გვყავს პარტნიორები, ჩაი „გურიელი“, „ვინვერია“, „ნესტლე“, „კავკაზუს ონლაინი“. არის ასევე სხვადასხვა პროექტი. ანუ, თუ ეს არის ლაპარაკი დამოუკიდებელ ბიზნეს სექტორზე, ჩვენ ვეძებთ, ხან ვპოულობთ, ხან - ვერა. რა თქმა უნდა, დიდი სირთულეებია. ეს არის სხვადასხვა სირთულე საკანონმდებლო სისტემაში და ბევრად უფრო გამარტივდებოდა, სხვანაირად, რომ იყოს, მაგრამ მგონია, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ბევრ რამეს აკეთებენ.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- რა თქმა უნდა, რამდენიმე პაკეტია სხვადასხვანაირი.

- რომელ საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობთ?

- საერთაშორისო კომპანიებთან ვთანამშრომლობთ ფესტივალების დროს. მაგალითად, ბრიტანეთის საბჭოსთან, ისრაელის საელჩოსთან, პოლონეთის საელჩოსთან და დიდი სერიოზული პარტნიორი გვყავს, დასახელება არ შემიძლია, მაგრამ ამ მხრივ უფრო მეტი სირთულეები და პრობლემებია. ის საერთაშორისო ფონდები, რომლებიც მოქმედებენ ევროპაში, დავუშვათ და მსოფლიოს სხვა ტერიტორიებზე, უმეტესობა მათგანი საქართველოზე არ მუშაობს. მათი მოზიდვა ძალიან გაგვიადვილებდა საქმეს, თუნდაც პატარა პროექტებითაც. ასოცირების პროექტის დიდი იმედიც გვაქვს და მაშინ ევროსაბჭო დააფინანსებდა პროექტებს და ბევრად მეტი მოძრაობა იქნებოდა, ბევრად მეტი სუნთქვის საშუალება.

- 2011-13 წლებში რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- დიახ, სპექტაკლი „მთვრალი ალუბალი“ არის კონკრეტულად კომპანია „ნესტლეს“ მიერ დაფინანსებული. ბანკი „რესპუბლიკას“ დაფინანსება სხვადასხვა პროექტს ხმარდება. „ჯითიაი ინთერნეშენელი“ არა მარტო სეზონის პარტნიორია, არამედ კონკრეტულად სპექტაკლი „ნავიგატორი“ დააფინანსა. ასევე 2011 წელს დააფინანსა „ჟოლოს“ გასტროლი ბაქოში. ასეთი პროექტებიც გვაქვს.

- განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- აუცილებლად, 86 წლის თეატრია, თავისი განუმეორებელი ისტორიით. ქართული კულტურის განვითარებაში ძალიან დიდი როლი აქვს შესრულებული. ახლა არის ყველაზე აქტიური თეატრი, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს, არა მარტო როგორც შემოქმედებითი ერთეული, არამედ სოციალური მხრივაც. ამიტომ სპონსორებისთვის მე დარწმუნებული ვარ, მიმზიდველები ვართ და უნდა ვიყოთ. საერთაშორისო პროექტებიც ბევრი გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან პარტნიორობა უნდა იყოს ძალიან მიმზიდველი.

- რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა - კომპანიებთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- ფულის შოვნის საშუალება ზუსტადაც რომ არ არის. ჩვენ ვეძებთ თანამზრახველებს, მეგობრებს, ჩვენ ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთან ერთად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს თანამედროვე ქართული კულტურა, რომლებიც ჩვენთან ერთად ცდილობენ, რაღაც უკეთესი შექმნან. ძალიან ბევრი რამ გვაქვს მათთან საერთო და მუდმივად ძალიან ბევრ რამეში არიან ჩართულები. შესაძლოა უფრო მეტშიც ჩავრთოთ, მაგრამ ასეთი რეჟიმიც რთულია მათთვის. საკმაოდ გადაჯაჭვული ურთიერთობები და ერთბოლივი შეთანხმებები გვაქვს.

- თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა?

- დიახ, მუდმივი.

- თუ გქონიათ სპონსორის მხრიდან შემოთავაზება?

- გვქონია და ეს იყო სრულიად უნიკალური შემთხვევა.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს?

- რა თქმა უნდა.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის?

- არსებობს ასეთი გამონათქვამი, საერთოდ ფული არასოდეს არ არის საკმარისი. ახლა, მე რომ მქონდეს ხუთჯერ ამაზე მეტი თანხა, ხუთჯერ მეტს განვახორციელებდი. ხუთჯერ მეტ განსახორციელებელ შემოქმედებით პროცესს, ხუთჯერ მეტი რესურსი სჭირდება, როგორც მენეჯმენტის, ისე სადადგმოს მხრივ. რასაც ვაკეთებთ, ბევრად უფრო უკეთესად გავაკეთებდით, რომ გვქონდეს ამის შანსი. მაგალითად, ახლა ჩვენ ძალიან გვიჭირს უცხოეთიდან რეჟისორების მოწვევა, არადა, ეს ძალიან კარგი იქნებოდა ჩვენი რეალობისთვის, კულტურისთვის, თეატრისთვის. ამაზე, რა თქმა უნდა, თანხები არ გვყოფნის. ბუნებრივია, ამას ძალიან დიდი ფული სჭირდება. მოკლედ, ვცდილობთ. ეს მომავლის საქმეა და ალბათ, ქართული კულტურა ამ მიმართულებითაც განვითარდება. თანადაფინანსების პროექტები მაინც გაგვიჩნდა წელს. პირდაპირ რომ ვთქვათ, არ გვყოფნის. იმ რესურსით, როცა მარჯანიშვილის თეატრი მუშაობს, სამი სცენა აქტიურად დაკავებულია, როდესაც ამხელა მოთხოვნაა თეატრზე ან ამხელა მოთხოვნაა, რომ აქ დადგან სპექტაკლები, როდესაც ამდენი მაყურებელი გყავს, როცა განვითარების ძალიან ბევრი სხვა შანსი გაქვს, როდესაც ხვდები, რომ ვერ იყენებ იმიტომ, რომ არ გყოფნის თანხა. რა თქმა უნდა, უფრო უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ყოველთვის დგება საკითხი, აი, ბევრი ფული, რომ გქონდეს, რას გააკეთებ. მე ვიტყოდი ასე, მე ვიცი, რას გავაკეთებ და ის ბევრი ფული ვიცი რამდენიც არის. მაგრამ მზად უნდა იყო ამ ფულისთვის, ამის თქმა მინდა. ალბათ, ზოგჯერ არა ხარ ამისთვის მზად და ნამდვილად ძალიან რთულია ამ თანხების გადანაწილება. ვფიქრობ, რომ ჩვენ ნამდვილად მზად ვართ, რომ მეტი გვქონდეს. ერთია, რომ არ გვყოფნის იმიტომ, რომ ეს არის დიდი პრობლემა განსაკუთრებით ახლა. ამ წელს განსაკუთრებით დაგვიდგა ეს პრობლემა. და მეორეა, რომ ბევრად უკეთესები ვიქნებოდით, ამის შანსი რომ იყოს, მეტი თანხა რომ იყოს. მე ყოველთვის მგონია, რომ სახელმწიფო აუცილებლად უნდა ზრუნავდეს დიდ კულტურულ ინსტიტუტებზე, როგორც მარჯანიშვილის თეატრი, რუსთაველის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრია. ყველა თეატრი განსაკუთრებულია და ყველა ერთეული ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როცა არსებობს ასეთი ხანგრძლივი ისტორია, რაღაც კონკრეტული ხედვა უნდა გქონდეს, რომ განვითარდეს მისი ერთეულები. ალბათ, კარგი იქნებოდა დაგეგმილიყო გრძელვადიანი სტრატეგია, ანუ ერთობლივად რომ ვიაზროვნოთ და შესაბამისი თანხები არსებობდეს. ეს, ბევრ შედეგს მოიტანს მომავალში. ვერ აკეთებ, არ არის შანსი. დარწმუნებული ვარ, ყველა თეატრი, ამ შემთხვევაში, ჩვენ, ძალიან ბევრ რამეს ენთუზიაზმით ვაკეთებთ. ამ პროფესიაში ყოველთვის უნდა ახლდეს ადამიანს ენთუზიაზმი, მაგრამ არ ჯობია, რომ არსებულ საზღვრებს გავცდეთ? აი, კონკრეტულად თვისობრივად ახალი ნაბიჯი გადავდგათ და გავაკეთოთ, რაც აქამდე არ გაგვიკეთებია. თუნდაც, ძალიან თამამი იყოს ეს. თუნდაც, არ ვიცოდეთ, წინ რა გველოდება. ხომ კარგი იქნებოდა, რომ ასეთი ნაბიჯები გადავდგათ ყოველთვის. აი, ამის თანხები, რაღაცა განსხვავებულის, რაც შეიძლება მართლა ატრიალებდეს ისტორიას, ახალ ეპოქას იწყებდეს, თეატრს არასოდეს არა აქვს. თანაც 9-წლიანი მუშაობის შემდეგ კატასტროფული ტემპით გამოდის მწყობრიდან არსებული ტექნიკა და ახლის შეძენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ მხრივ, ძალიან სერიოზული პრობლემებია.

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- რა თქმა უნდა, ჩვენი ძალიან დიდი საყრდენი არის გაყიდული ბილეთები. მაგრამ ბილეთები დღგ-თი იბეგრება, არის კიდევ სხვა ბევრი გადასახადი და მათგან რამდენიმე არ მიგვაჩნია სწორად. ამ გადასახადებზე სახელმწიფოსთან მოგვიწევს ძალიან ბევრი ლაპარაკი, კამათი და ა. შ. მაგრამ სხვა რა გზა შეიძლება იყოს?! ანუ, შენი საკუთარი შემოსავლები ბევრად აღემატება სპონსორობით და ფანდრეიზინგით მოზიდულ თანხებს. არსებობს სახელმწიფო, რომელიც გაფინანსებს, მერიის კულტურის სამსახური, ზოგჯერ საერთაშორისო პროექტები. კიდევ სხვა რა გზა შეიძლება მოვნახოთ. არსებობს ასეთი აზრი და მე მგონი, საქართველოში იყო საერთაშორისო ლატარეის ფონდი. ამ ფონდს მგონი რაღაცა უნდა გაეხსნა, ასე მახსოვს. რაღაცა აზრები იყო ამ მიმართულებით. ძალიან დიდი ხნის წინათ, თუ არ ვცდები, 3 მილიონი გადაირიცხა კულტურული განვითარების მიმართულებით. მერე რატომღაც აღარაფერი ხდება, რატომ, არ ვიცი.

- ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?

- ეს არის ტექნიკური განვითარება.

- როგორია თეატრში მოსული მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- 2011-13 წლების გამოკვლევით მაყურებლის 65%-ს შეადგენს ახალგაზრდობა 25-დან 40 წლამდე. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია და ეტყობა კიდეც დარბაზს, რომ შედიხარ, ნახევარზე მეტი ახალგაზრდები სხედან. პირდაპირ რომ ვთქვათ, სეგმენტი საშუალო ფენაა.

- რა იყო 2011-13 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?

- ახალი სცენა. ეს შემოქმედებითადაც და მარკეტინგულადაც ყველაზე წარმატებული პროექტია.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

- ძალიან ბევრი მოზიდვის საშუალება გვაქვს, მაგრამ პოლიტიკა ასეთია - ჩვენ ყველაფერი მაყურებელზე გვაქვს მორგებული. ეს არის სხვადასხვა სახის შეღავათი, დაწყებული სარეპერტუარო პოლიტიკიდან, რაც ყველაზე მთავარია, დამთავრებული ფასებით, საჩუქრებით. სოციალური ქსელებით, სოციალური პროექტებით ჩვენ ძალიან ბევრს ვთანამშრომლობთ დაუცველ ფენებთან, ურთიერთობები გვაქვს სხვადასხვა ჯგუფებთან. ამას გარდა, ყოველდღე ვთამაშობთ სპექტაკლებს. ერთი დღეა დასვენება, ორშაბათი. მთავარი სარეპერტუარო პოლიტიკა - სპექტაკლების თამაშია. სამსახურებში შესვენების დროს გვაქვს ბილეთების ყიდვაზე აქციები და მორგებულია ორგანიზაციებზე. თუ ორგანიზაცია აქტიურია, ჩვენ ბილეთებს ვჩუქნით. მარკეტინგულად ჩვენთვის მნიშვნელოვანია პრემიერა. სამწუხაროდ, დიდი პრობლემაა, რომ არ არის სააფიშო სტენდები. ის, რომ მთელი ქვეყანა პოლიტიკითაა დაკავებული, ეს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა და ის, რომ თუნდაც კულტურის ადგილი მცირეა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებში, როცა რაღაცა ხდება განსაკუთრებით ნეგატიური, მაშინ არის დიდი ბლოკი. ვფიქრობ, რომ პოზიტიურ მოვლენებსაც შეუძლიათ ინტერესის გამოწვევა და ჩვენ ვცდილობთ, რომ ასე მოვიქცეთ. ამისთვის ფეისბუქს ვიყენებთ ძალიან კარგად. ამართლებს და ძალიან კარგად მუშაობს. მუზეუმის პროექტი გვაქვს საინტერესო - სკოლებთან ურთიერთობა, ექსკურსია მუზეუმში. გვსურს, ეს კონკრეტული პროექტი კიდევ უფრო გავზარდოთ და დავხვეწოთ, დღეში იქნება ორი მიღება, ერთის ნაცვლად.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა






რისთვის მიდიხართ თეატრში?
N =311
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
12%
27%
25%
35%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N =624
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
18%
15%
12%
3%
13%
9%
6%
5%
6%
2%
11%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საიუმორო
საბალეტო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =362
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
5%
2%
30%
30%
2%
2%
20%
9%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით


რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?
N= 716
25%
20%
15%
10%
5%
0%
20%
23%
18%
19%
19%
თანამედროვე უცხოური
თანამედროვე ქართული
ისტორიული
ქართული კლასიკური რეპერტუარი
უცხოური კლასიკა


რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N= 296
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
11%
18%
28%
1%
6%
17%
5%
12%
2%
წაკითხული მქონდა წაწარმოები
მიწდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
ნაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =519
25%
20%
15%
10%
5%
0%
20%
9%
13%
21%
20%
9%
8%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ზნეობრივ-ეღმრთოლოგიური შინაარსი
საინტერესო ამბავი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =520
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
16%
5%
27%
18%
7%
5%
22%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N=200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 15%
კი 45%
არა 40%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 197
მთლიანად ვენდობი 7%
საერთოდ არ ვენდობი 23%
ნაწილობრივ ვენდობი 70%


უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
N =200
კი 36%
არა 65%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
84%
3%
12%
1%
N= 69
კაფე
ღამის კლუბი
კარაოკეკლუბი
დისკოტეკა


რესპონდენტთა სქესი
N =200
მამრობითი
26%
მდედრობითი
74%

რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდეობა**
ლევან წულაძე	117
რობერტ სტურუა	29
თემურ ჩხეიძე	26
ავთანდილ ვარსიმაშვილი	21
გიზო ჟორდანია	7
დავით დოიაშვილი	5
დათა თავაძე	4
გოგი თოდაძე	2
ალექსანდრე ელოშვილი	2
გიორგი თავაძე	2
კოტე მირიანაშვილი	1
ოთარ ეგაძე	1
დიმიტრი ხვთისიაშვილი	1

მსახიობთა რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ნატო მურვანიძე	40
ნიკა თავაძე	33
ზურაბ ყიფშიძე	23
კახი კავსაძე	10
მიხეილ გომიაშვილი	10
მანანა კაზაკოვა	8
ნიკა კუჭავა	8
ეკა ჩხეიძე	7
გივი ბერიკაშვილი	7
მურმან ჯინორია	6
აპოლონ კუბლაშვილი	5
ბაია დვალიშვილი	5
გია ბურჯანაძე	5
გიორგი ყიფშიძე	5
ალეკო მახარობლიშვილი	4
ქეთი ცხაკაია	4
ია სუხიტაშვილი	4
ეკა ნიჟარაძე	4
თამარ სხირტლაძე	4
ჯაბა კილაძე	3
ზაზა პაპუაშვილი	3
ნინო გაჩეჩილაძე	2
გივი ჩუგუაშვილი	2
ნინო ბურდული	2

ქეთა შათირიშვილი	2
ჟანრი ლოლაშვილი	2
ნანუკა ხუსკივაძე	2
როლანდ ოქროპირიძე	2
ლეო ანთაძე	2
კოკო როინიშვილი	2
ონისე ონიანი	2
ბესო ბარათაშვილი	2
ლელა მებურიშვილი	2
გოგა ბარბაქაძე	2
ნანკა კალატოზიშვილი	2
ნინელი ჭანკვეტაძე	2
პაატა ინაური	2
მარინე ჯანაშია	2
ნატუკა კახიძე	1
თენგიზ არჩვაძე	1
თამარ ბუხნიკაშვილი	1
გიორგი ნაკაშიძე	1
რუსიკო ბოლქვაძე	1
კოტე თოლორდავა	1
დიმიტრი ტატიშვილი	1
ზურაბ ბერიკაშვილი	1
ზვიად სხირტლაძე	1
ანი ალადაშვილი	1
ეკა ანდრონიკაშვილი	1
დათო ხურცილავა	1
ლელა ალიბეგაშვილი	1
ლევან ხურცია	1
კახა კინწურაშვილი	1
კახა მიქიაშვილი	1
გურანდა გაბუნია	1
მარლენ ეგუტია	1
არჩილ სოლოღაშვილი	1
ირაკლი ჩოლოყაშვილი	1

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

მოზარდ მაყურებელთა თეატრი 1928 წელს შეიქმნა. მისი დაფუძნება ცნობილი ქართველი რეჟისორის, ალექსანდრე თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. თეატრის პირველი სპექტაკლი იყო ნ.საცის ,,ფრიც ბაუერი.“ მას მოჰყვა ს.ზაიაიცკის ,,რობინ ჰუდი,“ ვ.კურდიუმოვის „კაცი შავი სათვალეებით,“ ნ.ოგნევის ,,ჰაიავატა,“ მ.კლარპიცკაიას ,,დამსმენი“ და სხვა. სპექტაკლებს დიდი ინტერესით უყურებდნენ მოზარდები. ამაში, ა.თაყაიშვილის გარდა, დიდი დამსახურება მიუძღოდათ მსახიობებს: გ.კუპრაშვილს, თ.თვალიაშვილს, გ.დარისპანაშვილს, მ.ერგნელს, ცოტა მოგვიანებით - ვ.არეშიძეს, ი.ნინუას, ა.კაჭკაჭიშვილს, ნ.სიბილას, დ.ცხაკაიას, ნ.ხორავას, მ.ჯაჯანაშვილს, ი.დონაურს, გ.დეისაძეს, ა.ყიასაშვილს, დ.ძნელაძეს, ა.ღვინიაშვილს და სხვებს.

XX საუკუნის 30-იანი წლების თეატრის ცხოვრებას სათავეში ედგნენ ა.თაყაიშვილი და ბ.გამრეკელი. მათ ეკუთვნოდათ თითქმის ყველა დადგმა: შ.დადიანის ,,ბოთე და კუსპარა“. კ.ბუაჩიძის და ს.მთვარაძის ,,აურიე რგოლი“, დანიელ ჭონქაძის ,,სურამის ციხე,“ ო.თუმანიანის ,,გიქორი“, მიხეილ ჯავახიშვილის ,,არსენა მარაბდელი“, გიორგი ნახუცრიშვილისა და ბ.გამრეკელის ,,ნაცარქექია“, გიორგი ნახუცრიშვილის ,,პატარა მეომრები“, აკაკი წერეთლის ,,პატარა კახი“, ნიკო ლომოურის ,,ქაჯანა“ და სხვა. 40-იან წლებში დაიდგა უილიამ შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა“ და ,,ჭირვეულის მორჯულება,“ ა.ოსტროვსკის ,,შემოსავლიანი ადგილი“, ფრიდრიჰ შილერის ,,ვილჰელმ ტელი“. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში წარმოდგენებს დგამდნენ გამოცდილი და ახალგაზრდა რეჟისორები: ა.ჩხარტიშვილი, გ.ჟურული, ს.ჭელიძე, ლ.იოსელიანი, კ.სურმავა, ო.ალექსიშვილი, ა.ქუთათელაძე და სხვები. ამ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებში – ვ.დარასელის ,,კიკვიძე“, ვ.როზოვის ,,მისი მეგობრები“, ი.ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი“, ფ.შილერის ,,პრინცესა ტურანდოტი“ (კარლო გოცის მიხედვით), ა.აფინოგენოვის ,,მაშენკა“, გიორგი ნახუცრიშვილის ,,კომბლე“ გამოჩნდა ახალი აქტიორული სახეები.

თეატრთან, სხვადასხვა დროს, აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი მხატვრები: ე.ახვლედიანი, ს.ვირსალაძე, პ.ოცხელი, ი.სუმბათაშვილი, ნ.ყაზბეგი, დ.თაყაიშვილი, ფ.ლაპიაშვილი, მ.მალაზონია, მ.ჭავჭავაძე, ა.რამიშვილი, მ.მურვანიძე, გ.ალექსი-მესხიშვილი, ი.გეგეშიძე, თ.ნინუა, ა.ჭელიძე და სხვები. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში რეჟისორებმა - თ.მაღალაშვილმა, ნ.ხატისკაცმა და თ.ჩხეიძემ თავიანთი სპექტაკლებით: ,,სადა ხარ, სოფიკო?“, ,,მერი პოპინსი“, ,,უბედურება“, ,,დარისპანის გასაჭირი,“ ,,კიკვიძე“, ,,დონ სეზარ დე ბაზანი“.

მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში საინტერესო სცენურ სახეებს ქმნიდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები: გ.რევაზიშვილი, ა.ფხალაძე, ნ.ცერცვაძე, რ.თავართქილაძე, ფ.სონღულაშვილი, ლ.ძიგრაშვილი, ი.ელისაშვილი, მ.აბაშიძე, ხ.იოსელიანი, ი.ტყავაძე, ე.ასლამაზიშვილი, ე.სიხარულიძე, ლ.მექვაბიშვილი, ც.ჟორჟოლაძე, ო.ბაღათურია, ვ.მაზმიშვილი, ტ.გიორგაძე, ბ.ხაფავა, ნ.მაჭავარიანი, ნ.პაატაშვილი, ლ.ჯაყელი, ო.სეთურიძე, მ.გოგიჩაიშვილი, შ.ქრისტესაშვილი, ბ.ჯაფარიძე, ნ.ჯავახიშვილი, ჯ.ფილფანი, ა.იოსელიანი და სხვები.

თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეჟისორ შალვა გაწერელიას შემოქმედებას. მან წარმატებულ მსახიობთა არა ერთი თაობა აღუზარდა ეროვნულ სასცენო ხელოვნებას და 70-90-იან წლებში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სპექტაკლი დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში: კ.გუდრიჩისა და ა.ჰაკეტის ,,ანა ფრანკის დღიური“, ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი“, დავით კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება“ (დაჯილდოვდა კოტე მარჯანიშვილის პრემიით) და ,,ქამუშაძის გაჭირვება“, ბერტოლდ ბრეხტის ,,სიმონა მაშარის სიზმრები“, ბორის ლავრენევის ,,რღვევა“, მ.ჯაფარიძის ,,ჩვენებურები“, (დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით), ნოდარ დუმბაძის ,,კუკარაჩა“, ირაკლი სამსონაძის ,,აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“. ამ სპექტაკლებში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა: გ.ძნელაძემ, ნ.ბერაძემ, თ.ლოლაშვილმა, გ.მახათაძემ, მ.თევზაძემ, ა.მახარობლიშვილმა, იოსებ მოლოდინაშვილმა და სხვებმა.

შემდგომ პერიოდში თეატრში მუშაობდა ნიჭიერი რეჟისორი ქეთევან ხარშილაძე, რომელმაც განახორციელა დადგმები: გ.მამლინის ,,სალამი დინოზავრებს!“, ვალერი აგრანოვსკის ,,შეაჩერეთ მალახოვი!“, იაკობ გოგებაშვილის ,,იავნანა“, ასტრიდ ლინდგრენის ,,ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“, თამაზ ბაძაღუას ,,ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“, ედმონ როსტანის ,,შანტეკლერი“.

აღსანიშნავია, ოთარ ბაღათურიას, როგორც მსახიობის, რეჟისორისა და დრამატურგის მოღვაწეობა. მისი სპექტაკლები: ვლადიმერ ტენდრიაკოვის ,,ბანკეტი,“ დავით კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი,“ მისივე ,,ამიკო“ და ,,ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყეს?“ (იაროსლავ სტელმახის მიხედვით) ღირსეულ ადგილს იკავებდნენ თეატრის რეპერტუარში.

თეატრი ხშირად დადიოდა საგასტროლოდ საქართველოს ქალაქებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. გასული საუკუნის 90-იან წლებში თეატრი სერიოზული ორგანიზაციული და შემოქმედებითი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მას აღარ ჰქონდა საკუთარი შენობა (რუსთაველის გამზირზე მდებარე ნაგებობა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეეწირა), რაც სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას არ იძლეოდა. ეს პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

1998 წელს გაერთიანდა მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები საერთო

სახელწოდებით - ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი. მან ბინა დაიდო აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ყოფილ შენობაში, რომელსაც საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს" დახმარებით.

2007 წელს თეატრის მმართველად დაინიშნა რეჟისორი მიხეილ ანთაძე. მისი სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ,,ნაცარქექია", ,,კონკია", ,,პეპი", ,,წითელქუდა", ,,თოვლის ბაბუს არჩევნები", ,,ზღაპარი მუსიკის შესახებ". 2007-2012 წლებში თეატრის სცენაზე სპექტაკლებს დგამდნენ რეჟისორები: მაია შენგელია (ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი"), ანატოლი ლობოვი (,,კალაბოკი", ,,ალისფერი ყვავილი", ,,ოქროსთმიანი პრინცესა", ,,ჩექმებიანი კატა"), მიქაელ ხაჩატუროვი (ო.უაილდის ,,ვარსკვლავბიჭუნა"), თამარ თუხარელი (ო'ჰენრის ,,წითელკანიანთა ბელადი," ჰ.ანდერსენის ,,თოვლის დედოფალი"), დენ ხლიბოვი („კიდობანთან ზუსტად რვაზე"), რაჟდენ კერვალიშვილი (,,კოლხეთის შვილობილი"), გურამ ვაშაკიძე (ე.რადინსკის ,,მოხუცი მსახიობი ქალი"), ირაკლი ჯაოშვილი (,,სათაფლიას ზღაპარი") , გიორგი სავანელი (ედუარდო დე ფილიპოს ,,ნეაპოლი - მილიონერთა ქალაქი"), ეკატერინე შარიქაძე (,,იღბლიანი მკითხავი," ,,ბრემენელი მუსიკოსები"), გიორგი ქანთარია (კ.გოცის ,,მეფე-ირემი"), გიორგი თავაძე (მორის მეტერლინკის ,,ნიშნობა"). ამ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მსახიობები: რ.თავართქილაძე, ლ.მექვაბიშვილი, ბ.ხაფავა, ნ.მაჭავარიანი, მ.გოგიჩაიშვილი, მ.არჯევანიძე, ო.არველაძე, ო.მჭედლიშვილი, ტ.ალიოშკინა, მ.შარიქაძე, ნ.პაატაშვილი, ს.მოლოდინაშვილი, ნ.ლორთქიფანიძე, ნ.ლეჟავა, ვ.ჯანგიძე, ბ.მეგრელიშვილი, მ.მაისურაძე, კ.თოლორდავა, გ.ჩიქობავა, ვ.ხანდამაშვილი, დ.ხლიბოვი, ბ.გვაზავა, ლ.გვაზავა, ქ.ჩაჩუა, მ.ჩართოლანი, მ.ბარდაველიძე, კ.გაბელაია, დ.ხახიძე, გ.გოგიშვილი, ა.ხუროშვილი, ნ.ყურაშვილი, პ.მხეიძე, კ.ჭოლაძე, ს.შვედკოვი, ე.გაბედავა, ვ.ახალაძე, ნ.გელაძე, ა.ზამბახიძე, ზ.ავსაჯანიშვილი, თ.მამულაშვილი, ლ.მანაგაძე, ტ.სოროკინა, დ.ენუქაშვილი, ნ.კიკაჩეიშვილი, თ.ლორთქიფანიძე, რ.მიქელაძე, ა.ლეჟავა, ნ.კვანტალიანი, მ.კიტია, გ.კაჭახიძე და სხვები. გარკვეულ პერიოდში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე.

2013 წლის იანვრიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაიდგა: ა.პოპესკუს ,,მზის სხივი" (რეჟ. ბ.კუპრეიშვილი), ა.გელმანის ,,დეჟავიუ" (რეჟ.ხ.მილორავა), ვაჟა-ფშაველას ,,სათაგური" (რეჟ. ო.ბაღათურია), ბ.კიფის ,,ჩაგავლეთ!" (რეჟ.დ.ბახტაძე), გ.გორინის ,,ბარონი მიუნჰაუზენი" (რეჟ.ე.მაცხონაშვილი), ნ.დუმბაძის ,,კუკარაჩა" (რეჟ. შ.გაწერელია, აღადგინა ო.ბაღათურიამ), ,,ალისფერი ყვავილი" (ქართულ და რუსულ ენებზე, რეჟ.ა.ლობოვი), დ.კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება" (რეჟ.დ.ხვთისიაშვილი), გ.ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა" (რეჟ.გ.ქაჩიბაია, განახლებული დადგმა), ნ.დუმბაძის „სიცოცხლის ხე" (ნ.დუმბაძის მოთხრობების მიხედვით ქართულ და რუსულ ენებზე, რეჟ.კ.მირიანაშვილი), ე.ჰოფმანის ,,პატარძლის ამორჩევა" (რეჟ.მ.კუჭუხიძე).

თეატრის მთავარი მხატვარია ნ.ჩიტაიშვილი. სპექტაკლებს აფორმებენ: ა.ჭელიძე, ლ.მურუსიძე.2013 წლის 14 აპრილს თეატრის წინ გაიხსნა გამოჩენილი მსახიობის, რევაზ თავართქილაძის, 18 მაისს - ღვაწლმოსილი მსახიობების - ბერტა ხაფავასა და ლადო მექვაბიშვილის, 22 ივნისს კი - ცნობილი არტისტის, რეჟისორისა და დრამატურგის - ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავები.

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი

ამიერკავკასიაში პირველma მოზარდ მაყურებელთა თეატრმა 85-წლიანი საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი რეჟისორ ნიკოლოზ მარშაკის სახელთანაა დაკავშირებული. იგი სამი ათეული წლის მანძილზე ქმნიდა შესანიშნავ სპექტაკლებს: ა.წერეთლის „პატარა კახი", ა.სუმბათაშვილის „ღალატი", ფ.შილერის „ვერაგობა და სიყვარული" და ,,ყაჩაღები", ჰ.ბიჩერ-სტოუს ,,ბიძია თომას ქოხი", ბ.შოუს ,,ეშმაკის მოწაფე", ე.შვარცის ,,თოვლის დედოფალი," და სხვა.

მარშაკმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები: მსახიობები - ნ.რუსლანოვი (შემდგომში თეატრის დირექტორი), კ.შახ-აზიზოვი (შემდგომში მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრის დირექტორი და ასიტეჟის საბჭოთა ცენტრის პირველი პრეზიდენტი), ა.იუდინი, ნ.გლობენკო-თურმანიძე, ო.ორიოლი, ლ.რომანოვი, პ.ნერიასოვი, მ.ბუბუტეიშვილი, ჩ.კიროვა, ო.ბელენკო, თ.პაპიტაშვილი; რეჟისორი ე.ვახნიანსკი, პედაგოგიური ნაწილის გამგე კ.ვაისერმანი (შემდგომში თეატრის დირექტორი 30 წლის ganmavlobaSi), მხატვარი ი.შტენბერგი. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ მსახიობები: ა.ენგელგარდტი, ე.აგალაროვა, ე.ჭონიშვილი, ვ.ურუსოვი, ლ.კუბარევა, ი.სუხანოვი, მ.მინეევი, ფ.სტეპუნი.

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ინიციატივით შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს თბილისის მუშთაიდის ბაღში. სცენის მრავალი სახელგანთქმული ხელოვანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი რეჟისორის, გ.ტოვსტონოგოვის მიერ დადგმული სპექტაკლები: ა.ჩეხოვის ,,ხელის თხოვნა", ნ.გოგოლის ,,ქორწინება", ა.ბრუშტეინის ,,ცისფერი და ვარდისფერი", ბ.პერსონოვის ,,დიდი ერეტიკოსი", ა.რახმანოვის ,,შფოთიანი სიბერე." თეატრში მოღვაწეობდა გამოჩენილი მსახიობი ე.ლებედევი. თეატრის კულისებში თავის პირველ ლექსებსა და სიმღერებს ქმნიდა ცნობილი ბარდი ბულატ ოკუჯავა. იგი სცენის მემანქანედ მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თეატრში მოვიდა პროფესიონალი რეჟისორების ახალი ნაკადი: მ.გიჟიმყრელი, ვ.ვოლგუსტი, რ.შაფთოშვილი. ნ.მარშაკის შემდეგ თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი ივანე გვინჩიძე. მისი სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ნ.დოლინას ,,ისინი და ჩვენ", ვ.ტურის ,,ვინ მოკლა

ტომი?“ ე.რადზინსკის ,,104 გვერდი სიყვარულზე“, ვ.კანდელაკის ,,მაია წყნეთელი“.

საინტერესო კვალი დატოვეს თეატრის ცხოვრებაში რეჟისორებმა: თემურ აბაშიძემ (კ.გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური“, ნ.დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს“, ს.მარშაკის ,,კარუსელი,“ რ.როჟდესტვენსკის ,,რექვიემი“), ვ.ვოლგუსტმა (ლ.გერასკინას ,,სიმწიფის ატესტატი“, მ.ლერმონტვის ,,ესპანელები“, რ.სტივენსონის ,,განმთა კუნძული“, ლ.ალექსიძის ,,რისთვის?“ ს.მიხალკოვის ,,ზაიკა-ზაზნაიკა“), ლ.მირცხულავამ (ა.შტეინის ,,მომღერალი ქვიშა“, ა.ანჩაროვის ,,დრამატული სიმღერა).

თეატრში მუშაობდნენ გამოჩენილი მხატვრები: მ.გოცირიძე, ი.შტენბერგი, ფ.ლაპიაშვილი, ნ.ყაზბეგი, გ.ცერაძე, გ.მესხიშვილი, მ.ჭავჭავაძე, ვ.ტაგიროვი, მ.ციცქიშვილი, ნ.გაფრინდაშვილი, ი.გეგეშიძე ა.ჭელიძე, შ.გლურჯიძე, მ.ობრეზკოვი და სხვები.

1974 წლიდან თეატრი წარმოდგენებს მართავს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობაში.ამაში დიდი წვლილი თეატრის დირექტორს ირინე გოცირიძეს მიუძღვის. თეატრი აღჭურვეს უახლესი ტექნიკით, ორი დარბაზით:დიდი და მცირე.მცირე დარბაზში ი.გოცირიძის თაოსნობით აღდგა თოჯინური სპექტაკლები. ძალიან საინტერესო მიუზიკლი – ა.გაიდარის ,,ბუმბარაში“ – დადგა თეატრში ლატვიიდან მოწვეულმა შესანიშნავმა რეჟისორმა ა.შაპირომ. მასში დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა ე.ბასილაშვილმა.თეატრის სცენაზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ მსახიობები: ი.ბალა, გ.მალიშევა, ი.შვედკოვი, ი.აივაზოვი, გ.არველაძე, ო.არველაძე, ტ.ალიოშკინა, მ.მერგელოვი, ვ.ობრეზკოვი, ვ.კული, ს.ლიუტროვი, ო.მჭედლიშვილი, ს.შვედკოვი, ბ.გვაზავა, ს.ვარდანიანი, ა.ლობოვი, ს.შველიძე, ნ.ნელიუბოვა, ვ.ვინოგრადოვა, ს.ვინოგრადოვი, მ.არჯევანიძე და სხვები.

თეატრს 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა რეჟისორი ნიკოლოზ ჯანდიერი – ასიტეჟის ქართული ცენტრის პრეზიდენტი. მისი სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: გ.პოლონსკის ,,რეპეტიტორი“, ვ.ოლშანსკის ,,მოვდივარ საძებნელად!“, დავით კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება“, ა.დე მიუსეს ,,სიყვარულით არ ხუმრობენ“. მასთან ერთად წარმატებით მუშაობდა რეჟისორი გია კიტია, რომლის სპექტაკლები გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი გამომგონებლობითა და ფანტაზიით: ევგენი შვარცის ,,თოვლის დედოფალი“. ო’ჰენრის ,,წითელკანიანთა ბელადი“, ჯერომ კ ჯერომის ,,ტომი“, ვ.სერგიენკოს ,,ძაღლების ვალსი“, ,,ბრემენელი მუსიკოსები“. სპექტაკლებისთვის მუსიკას წერდა კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე. თეატრი ხშირად დადიოდა გასტროლებზე როგორც საქართველოში, ისე სხვადასხვა ქვეყანაში.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი
დაარსების თარიღი - 1928 წელი.
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები – სამხატვრო ხელმძღვანელი - დიმიტრი ხვთისიაშვილი,
დირექტორი – ლილი წულაძე
თეატრის ელ ფოსტა - info@mozardi.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - dimitri@mozardi.ge, lika@mozardi.ge
ვებგვერდის მისამართი - www.mozardi.ge
თეატრის მისამართი - აღმაშენებლის გამზირი 99/1; 0112 თბილისი , საქართველო

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 109
შემოქმედებითი პერსონალი - 21
ტექნიკური პერსონალი - 94
ადმინისტრაცია - 13

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	650000			
2012	1581076			
2013	1669061			35000(მერია)

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი 152400 ლარი
2012 წელი 157241 ლარი
2013 წელი 406413 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
2011 წელი – 418
2012 წელი – 606
2013 წელი – 618

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი - 40 500
2012 წელი - 50 000
2013 წელი - 92 054

ბილეთის ფასი და ტარიფები:
დიდი სცენა - 7–10 ლარი
მცირე სცენა - 7–10 ლარი
ექსპერიმენტული დარბაზი - 10 ლარი

თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან 2011-2013 წლებში წლების მიხედვით

2011წელი – 42000 ლარი
2012 წელი – 43828 ლარი
2013 წელი – 54000 ლარი

2011-2013 წლების რეპერტუარი

ჭირვეული პრინცესა (რუსული)
ავტორი – ჰანს ქრისტიან ანდერსენი
რეჟისორი – თამარ თუხარელი
მხატვარი – სოფო კიკაბიძე
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
პრემიერა – 4. 06. 2011წ.
მონაწილეობენ: ნოდარ ხუციშვილი, ნინო პაპიაშვილი, ლევან გვაზავა, ლელა მახნიაშვილი, მაია ჩართოლანი, მაია ხორნაული, მამუკა ბოგვერაძე, კოტე მჟავია, გივი ბეჟანეიშვილი, თამარ სოროკონა, ნინო მანაგაძე, მაია მალხაზიშვილი, ელენე აბულაძე

იღბლიანი მკითხავი
ავტორი – ნოდარ კეკელიძე
რეჟისორი – ეკატერინე შარიქაძე
მხატვარი – აივენგო ჭელიძე, ცირა ვახვახიშვილი
მუს. გაფორმება – ლიკა ორჯონიკიძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 1. 02. 2011წ.
მონაწილეობენ: ბესო მეგრელიშვილი, ვახტანგ ნოზაძე, მერაბ შარიქაძე, ნაირა გელაძე, მაია ჩართოლანი, გიორგი კაჭახიძე, ვამეხ ჯანგიძე, პავლე ნოზაძე, მერაბ შარიქაძე, იური ვასაძე, გიორგი გოგიშვილი, მამუკა ბოგვერაძე, რატი ნავაძე, ცოტნე საგინაძე, სოფიო ფერაძე, ირინე კუკულაძე, ანი ზამბახიძე, სოფიო ახუაშვილი, დიმიტრი თარბაია, ზურაბ არუსია, გივი ბეჟანეიშვილი, გოგიტა აზმაიფარაშვილი, ცოტნე საგინაძე

ვარსკვლავბიჭუნა (რუსული)
ავტორი – ოსკარ უაილდი
რეჟისორი – მიქეილ ხაჩატუროვი
მხატვარი – ქეთევან თოდაძე
მუს. გაფორმება – გიორგი არველაძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა –11. 02. 2011წ.
მონაწილეობენ: თამარ ლორთქიფანიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, ტატიანა ალიოშკინა, ედმონ გაბედავა, ანა ლეჟავა

ყველაზე მართალი ადამიანი
ავტორი – გრიგორი გორინი
რეჟისორი – ელენე მაცხონაშვილი
მხატვარი – ნინო კიტია
მუს. გაფორმება – შალვა მაცხონაშვილი
ქორეოგრაფი – გოგა ოსეფაშვილი
პრემიერა – 1. 09. 2011წ.
მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნინო პაპიაშვილი, კახა გაბელაია, ვახტანგ ახალაძე, ლელა მახნიაშვილი, ქეთი ქიტიაშვილი, ლევან კაციაშვილი, დენის ხლიბოვი, გიორგი კაჭახიძე, იოსებ ხაინდრავა, ალექსანდრე მელაძე

ჭინჭარაქა
ავტორი – გიორგი ნახუცრიშვილი
რეჟისორი – გიორგი ქაჩიბაია
მხატვარი – აივენგო ჭელიძე
მუს. გაფორმება – გოგა არველაძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 31. 03. 2011წ
მონაწილეობენ: იოსებ ხაინდრავა, ნიკოლოზ კვანტალიანი, ცოტნე საგინაძე, ნანა მირიანაშვილი, ნინო არჩაია, ვახტანგ ნოზაძე, ანა მღებრიშვილი, ვამეხ ჯანგიძე, მაია ხორნაული, მამუკა ბოგვერაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, სალომე წურწუმია, ბადრი გვაზავა, გივი ბეჟანეიშვილი, ზურაბ არუსია

ჩექმებიანი კატა (რუსული)
ავტორი – ანატოლი ლობოვი
რეჟისორი – ანატოლი ლობოვი
მხატვარი – ანა კუბეცევა
მუს. გაფორმება – ანატოლი ლობოვი
ქორეოგრაფი – გოგა ოსეფაშვილი
პრემიერა – 15. 04. 2011წ.
მონაწილეობენ: დავით ენუქაშვილი, ედმონ გაბედავა, ალექს ლობოვი, დენის ხლიბოვი, თამარ ლორთქიფანიძე, ლევან გვაზავა, ნინო არჩაია, სოფიო ახუაშვილი, რუსუდან შიოლაშვილი, გოგიტა აზმაიფარაშვილი, რატი ნავაძე, დიმიტრი თარბაია

უკვდავების ზღაპარი
ავტორი – ოთარ ჩხეიძე
რეჟისორი – მიხეილ ანთაძე
მხატვარი – ცირა ვახვახიშვილი
მუს. გაფორმება – მიხეილ ანთაძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა –2. 04. 2011 წ.

ზღაპარი მუსიკის შესახებ
ავტორი – მიხეილ ანთაძე
რეჟისორი – მიხეილ ანთაძე
მხატვარი – ქეთი თოდაძე, ნინო კაშირსკაია, სოფო კიკაბიძე
მუს. გაფორმება – მიხეილ ანთაძე
ქორეოგრაფი – გოგა ოსეფაშვილი
პრემიერა – 1. 02. 2012 წ.
მონაწილეობდნენ: ანი მღებრიშვილი, ელენე მუმლაძე, დავით როსტომაშვილი, გიორგი გუდაძე, ალექსანდრე მელაძე, მაია ჩართოლანი, ნინო მუმლაძე, მამუკა ბოგვერაძე, გოგა ბერიძე, ეკა თვაური, ქეთი ქიტიაშვილი, გოგა ოსეფაშვილი, მერი ნაკაშიძე, ნინო ოდიშვილი, ცოტნე საგინაძე, მარი მუზაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ბექა თურმანიძე, თამუნა ლორთქიფანიძე, სოფო ახუაშვილი, ანი ზამბახიძე, გივი ბეჟანიშვილი, ნინო ლეჟავა, დავით მეტრეველი, ბადრი გვაზავა, სოფო პაიჭაძე, ლევან გვაზავა, დიმიტრი თარბაია, ზურაბ ავსაჯანიშვილი, გიორგი ჩაბოშვილი, გუგა მგალობლიშვილი, გოგიტა აზმაიფარაშვილი, ლიკა შუკაკიძე, ნათია ბალაძე, სოფო ფერაძე, დავით ჩიქოვანი, ლევან კაციაშვილი, დავით ჭახრაკია, გიორგი გაგლოევი, ალისა ხომიჩი, მაკა ზამბახიძე, კოტე მჟავია, დათო მეტრეველი

კოლხეთის შვილობილნი (რუსული)
ავტორი – ირენა კესკიული
რეჟისორი – რაჟდენ კერვალიშვილი
მხატვარი – ნინო ჯაყელი
ქორეოგრაფი – ნინა კერვალიშვილი
პრემიერა – 5. 02. 2012წ.
მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ალექსი არველაძე, ოლია არველაძე, ლუკა კერვალიშვილი, ნინო კიკაჩეიშვილი, რამონა მიქელაძე, ანა ლეჟავა, ედმონ გაბედავა, ეთერ მაღლაკელიძე.

კოლხეთის შვილობილნი
ავტორი – ირენა კესკიული
რეჟისორი –რაჟდენ კერვალიშვილი
მხატვარი – ნინო ჯაყელი

ქორეოგრაფი – ნინა კერვალიშვილი
პრემიერა – 15. 02. 2012წ.
ალბერტ ვოიცეხ პოტოცკი - მიხეილ არჯევანიძე
კაროლინა - ნინო კიკაჩეიშვილი, ქეთი ჩაჩუა
თადეუშ ლადა-ზაბლოცკი - ვამეხ ჯანგიძე
ბარონი როზენი - ვახო ახალაძე, რაჟდენ კერვალიშვილი
ემილია - რამონა მიქელაძე
ეკატერინე ჭავჭავაძე - დადიანი - რამონა მიქელაძე
ნიკოლოზი - ცოტნე საგინაძე, ლაშა გრძელიძე
სალომე - რუსუდან შიოლაშვილი

წითელკანიანთა ბელადი
ავტორი – ო'ჰენრი
რეჟისორი – თამარ თუხარელი
მხატვარი – გ. მნათობიშვილი
პრემიერა – 1. 03. 2012წ.

ნაცარქექია
(მძლეთამძლე და 9 ყაჩაღი)
ავტორი – ხალხური ზღაპრების მიხედვით
რეჟისორი – მიხეილ ანთაძე, თამარ თუხარელი
მხატვარი – სოფო კიკაბიძე
მუს. გაფორმება – დ. მალაზონია
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა –18. 04. 2012წ.
მონაწილეობენ: გია გოგიშვილი, გეგი ფალიანი, ნინო ლეჟავა, ალეკო მელაძე, გიორგი ჩიქობავა, ვამეხ ჯანგიძე, პაატა მხეიძე, მერაბ მაისურაძე, მამუკა ბოგვერაძე, ვამეხ ჯანგიძე, ალეკო მელაძე,დევი რეხვიაშვილი, გივი ბეჟანიშვილი, ზვიად ურიდია

ოქროსთმიანი პრინცესა (რუსული)
ავტორი – ანატოლი ლობოვი
რეჟისორი – ანატოლი ლობოვი
მხატვარი – ა. კუბეცევა
მუს. გაფორმება – ა. ლობოვი
ქორეოგრაფი –ანანო სამსონაძე
პრემიერა –20.04.2012 წ.

კიდობანთან ზუსტად 8-ზე (რუსული)
ავტორი – ულრიჰ ჰუბი
რეჟისორი – დენის ხლიბოვი
მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება – ლევან გვაზავა
პრემიერა – 30. 04. 2012 წ.
მონაწილეობენ: ალექს ლობოვი, ლევან გვაზავა, ტატიანა ალიოშკინა, ნინო კიკაჩეიშვილი, რატი ნავაძე, ნათია გუდაძე

კიდობანთან ზუსტად 8–ზე
ავტორი – ულრიჰ ჰუბი
რეჟისორი – დენის ხლიბოვი
მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება – ლევან გვაზავა
პრემიერა – 10. 04. 2012 წ.

არავის ვეყმოთ, არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა
ავტორი – მ. მოსულიშვილი
რეჟისორი – გ. ქურციკიძე
მხატვარი – ა. ჭელიძე
მუს. გაფორმება – ნ. ქავთარაძე
პრემიერა – 8. 05. 2012 წ.
მონაწილეობენ: ლელა მახნიაშვილი, მერაბ შარიქაძე, სერგეი შვედკოვი, ალექსეი არველაძე, ბადრი გვაზავა, კახა ჭოლაძე, დიმა თარბაია, შალვა ანთელავა

ბრემენელი მუსიკოსები
რეჟისორი – ეკატერინე შარიქაძე
მხატვარი – ც. ვახვახიშვილი
მუს. გაფორმება – ლიკა ორჯონიკიძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 21. 05 .2012წ.
მონაწილეობენ: ანი ზამბახიძე, სოფიო ფერაძე, დავით როსტომაშვილი, სოფიო ახუაშვილი,ნინო შუშიაშვილი, ზაზა მელაძე, ნიკა ნანიტაშვილი, ზვიად ურიდია, ლაშა გრძელიძე, დავით ერაძე, დევი რეხვიაშვილი, შალვა ანთელავა, მერაბ შარიქაძე, ვამეხ ჯანგიძე, იური ვასაძე, ნინო არჩაია, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო პაპიაშვილი, ნინო კიკაჩეიშვილი, ნინო ლეჟავა, მარი მუზაშვილი, თამთა ნამიჭეიშვილი,ნინო გოშაძე, სოფო ჩხიტუნიძე, ვასილ ამურველაშვილი, ცოტნე საგინაძე, ზაზა მელაძე, ნიკა ნანიტაშვილი, სალომე წურწუმია

სტუმარი
ავტორი – ნიკოლოზ ანთაძე
რეჟისორი – გიორგი ქაჩიბაია
მხატვარი – სოფო კიკაბიძე
მუს. გაფორმება – დავით მალაზონია
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა –11. 05 2012 წ.
მონაწილეობენ: გიორგი ჩიქობავა, ნინო არჩაია, ლიკა შუკაკიძე, მერაბ მაისურაძე, ნინო ლეჟავა, ქეთი ჩაჩუა, სოსო ხაინდრავა, რატი მხეიძე

ხალიფა წერო (რუსული)
ავტორი – მიქაელ ხაჩატუროვი
რეჟისორი – მიქაელ ხაჩატუროვი
მხატვარი – ქეთევან თოდაძე
მუს. გაფორმება – გიორგი არველაძე
ქორეოგრაფი –ანანო სამსონაძე

კალაბოკი
ავტორი – ანატოლი ლობოვი
რეჟისორი – ანატოლი ლობოვი
მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება – ლ. ალპერტი
პრემიერა – 22. 09. 2012წ.
მონაწილეობენ: გია გოგიშვილი, ბადრი გვაზავა
ბებია - ლია ბერიაშვილი, კატო კვირკველია
კატა - გიორგი კუწაშვილი, დენ ხლიბოვი, ლაშა გრძელიძე
კალაბოკი - ალექსი ლობოვი, რატი ნავაძე
კურდღელი - ლევან გვაზავა, ცონტე საგინაძე
მგელი - ზურა არუსია
დათვი - ალეკო მელაძე, სერგეი შვედკოვი
მელია - ნინო ლეჟავა, ნინო კიკაჩეიშვილი
გაზაფხული - ნინო არჩაია, ნინო მანაგაძე
თაგვები - სოფო ჩხიტუნიძე, რუსუდან შიოლაშვილი,ნათია ბალაძე,ნინო გოშაძე,შორენა ზუბიაშვილი

მარეკ პეგუსის თავგადასავალი
ავტორი – ედმუნ ნიზიურსკი
რეჟისორი – მიხეილ ანთაძე
მხატვარი – ქეთი თოდაძე, სოფიო კიკაბიძე
მუს. გაფორმება – შუბერტის „ავე მარიას“ ინსტრ. და ვოკალი
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 21 სექტემბერი.2012 წ.
მარეკ პეგუსი - ქეთი ჩაჩუა
თეოდორ ჩესეკი - ანი ზამბახიძე
პირიდიონი - ნათია ბალაძე
პიკოლო პაპკევიჩი - ნინო ციმაკურიძე
ცელესტიან იანეკი - სოფო ჩხიტუნიძე
გჟესეკი - სოფო ფერაძე
ბუბა I - გიორგი გაგლოევი, გოგიტა აზმაიფარაშვილი
ბუბა II - რატი ნავაძე

ვაცა - თამარ ლორთქიფანიძე
ზუზია - სოფო ახუაშვილი
ლულია - თამთა ნამიჭეიშვილი
კრისკა - მარი მუზაშვილი, სალომე წურწუმია
პან პეგუსი - ვახტანგ ახალაძე,ვასილ ამურველაშვილი
ალეკი - იური ვასაძე
პან ფანფარა - მამუკა ბოგვერაძე
პან ცედური - კოტე თოლორდავა
მეთევზე - ალეკო მელაძე
პითაგორა - გია გოგიშვილი
პან იპოლიტ კვაასი - სოსო ხაინდრავა, რაჟდენ კერვალიშვილი
დირე - ალეკო მელაძე
I სანიტარი - გიორგი კუწაშვილი
II სანიტარი - გაგა მახათაძე
IIIსანიტარი - დათო ერაძე
IV სანიტარი - შაკო ივანიაშვილი
I გიტარისტი - გიორგი კუწაშვილი
II გიტარისტი - გიგა მახათაძე
დასარტყმელი ინსტრუმენტი - დათო ერაძე
Iტაქსის მძღოლი - შაკო ივანიაშვილი
IIტაქსის მძღოლი - გიორგი კუწაშვილი
ზოოპარკის დარაჯი - დათო ერაძე
ტელეოპერატორი - გაგა მახათაძე
Iპოლიციელი - ალეკო მელაძე
IIპოლიციელი - შაკო ივანიაშვილი
IIIპოლიციელი - დათო ერაძე
IVპოლიციელი - გაგა მახათაძე
პანი პეგუსოვა - ნინო კიკაჩეიშვილი, ლია ბერიაშვილი
დეიდა დორა - მაია ჩართოლანი, ლელა მახნიაშვილი
პანი ოკულუსოვა - კატო კვირკველია
ტელეწამყვანი - კატო კვირკველია
ექიმი - კატო კვირკველია
ოფიციანტი - ქეთი ჩაჩუა
ზოოპარკის თანამშრომელი - მაია ჩართოლანი, ლელა მახნიაშვილი
ალბერტ მათერი - დათო როსტომაშვილი
ბიგუმილ კადრილი - გივი ბეჟანეიშვილი
ქრიზოსტომ კაფანდარა - ვამეხ ჯანგიძე
თეოფილ ბოცმანი - დევი რეხვიაშვილი, გეგი ფალიანი
ანტონ ტურპისი - ზურა არუსია
ვენჩესლავ უჩინარი - პაატა მხეიძე
ბანდიტი ბლექბოი - გიორგი კუწაშვილი

მე რაღაც სხვა მსურდა
ტერენტი გრანელის პოეზიის მიხედვით
რეჟისორი – იგორ საბო
მხატვარი – ც. ვახვახიშვილი
მუს. გაფორმება – იგორ საბო
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 6 ოქტომბერი 2012წ.
მონაწილეობდნენ: ლაშა გრძელიძე, ნინო პაპიაშვილი, ელენე მახნიაშვილი

ნეზნაიკა (რუსული)
ავტორი – ნიკოლაი ნოსოვი
რეჟისორი – რაჟდენ კერვალიშვილი
მხატვარი – ნ. ჯაყელი, მ. სულხანიშვილი
მუს. გაფორმება – ლევან გვაზავა
ქორეოგრაფი –ანანო სამსონაძე
პრემიერა – 14 ნოემბერი 2012წ.
მონაწილეობდნენ: ნინო კიკაჩეიშვილი, თამარ ლორთქიფანიძე, მარი მუზაშვილი, ეთერ მაღლაკელიძე, თამთა ნამიჭეიშვილი, ანა ლეჟავა, თამარ სოროკინა, ანდრო სარიშვილი, რუსუდან შიოლაშვილი, გოგა არველაძე, ლოშა არველაძე, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ზაზა მელაძე, ალექსი ლობოვი.

მაკნატუნა
ამადეუს ჰოფმანის ზღაპრის მიხედვით
ინსცინსცენირება - თამარ ფხაკაძე
რეჟისორი – თამარ თუხარელი
მხატვარი – აივენგო ჭელიძე
მუს. გაფორმება – პეტრე ჩაიკოვსკის მუსიკა
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 9 დეკემბერი 2012წ.
ოსტატი დროსელმეიერი - დენ ხლიბოვი, ნიკა ნანიტაშვილი
დროსი, იგივე მაკნატუნა
პრინცესა მარი - პირლიპატი - ანი ზამბახიძე, ხატია მელქაძე
ფრიცი - დიმა თარბაია, რატი ნავაძე
მეფე - მამუკა ბიოგვერაძე, მერაბ შარიქაძე
დედოფალი - ნინო პაპიაშვილი, ანი ლეჟავა
მეფის ვარსკვლავთმრიცხველი - ვამეხ ჯანგიძე, პაატა კიკვაძე
ერიხ გრძელკუდა - რაჟდენ კერვალიშვილი, ვასილ ამურველაშვილი
თაგვი თაგვილდა - ქეთი ჩაჩუა, სოფო ჩხიტუნიძე
ცერემონმაისტერი - ვახო ახალაძე, დავით როსტომაშვილი
თოჯინა - შორენა ზუბიაშვილი
ფინიკეთის მეფე - იური ვასაძე, დევი რეხვიაშვილი
დედოფალი ფინიკია - მაკა ბარდაველიძე, ლელა მახნიაშვილი
პრინცესა ფინიკიტა - ნინო ციმაკურიძე, ნინო არჩაია
მაიმუნი ფიკო - გიორგი გაგლოევი, გოგიტა აზმაიფარაშვილი
ნუშის პრინცი - გიორგი კუწაშვილი
რაჯი - გიორგი გაგლოევი, გოგიტა აზმაიფარაშვილი
I სწავლული - იური ვასაძე, დევი რეხვიაშვილი
II სწავლული - გივი ბეჟანეიშვილი, გეგა ჩხაიძე
III სწავლული - გიორგი გაგლოევი, გოგიტა აზმაიფარაშვილი
მეფუნთუშე - ალეკო მელაძე, ზვიად ურიდია
I მყიდველი - იური ვასაძე, დევი რეხვიაშვილი
II მყიდველი - გივი ბეჟანეიშვილი, გეგა ჩხაიძე
III მყიდველი - გიორგი გაგოევი, გოგიტა აზმაიფარაშვილი
მზარეული - მაია ჩართოლანი, მარი მუზაშვილი
მომღერალი - ალეკო მელაძე, ზვიად ურიდია
I მსახური - მაია ჩართოლანი, მარი მუზაშვილი
II მსახური - გივი ბეჟანეიშვილი, გეგა ჩხაიძე
I მოახლე - სალომე წურწუმია, ფიქრია ნიქაბაძე
II მოახლე - თამთა ნამიჭეიშვილი, რუსუდან შიოლაშვილი

ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი
ხალხური ზღაპრების მიხედვით
რეჟისორი – თამარ თუხარელი
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
მონაწილეობდნენ: ნინო ლეჟავა, ალექსანდრე მელაძე, მამუკა ბოგვერაძე, გეგი ფალიანი, გიორგი მაისურაძე, დევი რეხვიაშვილი, ვამეხ ჯანგიძე, გივი ბეჟანეიშვილი, გიორგი ჩიქობავა, ზვიად ურიდია.

გურუ მასწავლებელი
ავტორი – მერაბ გეგია
რეჟისორი – მერაბ გეგია
პრემიერა – 18 დეკემბერი 2012 წ.
გურამ გურაშვილი (გურუ) - გია ჭყონია
გოგოთური - შალვა ანთელავა
ჯუანშერი - ლაშა გრძელიძე
თორნიკე - შალვა ივანიაშვილი
ბაადური - ცოტნე საგინაძე
გვანცა - ეკა შარიქაძე
თინა - ნინო შუშიაშვილი
პაატა პატაშური - კახა ჭოლაძე
ლამზირა - ლია ბერიაშვილი
ცისია ხვთისიაშვილი - თამთა გრიგალაშვილი

დეჟა ვიუ
ავტორი – ალექსანდრ გელმანი
რეჟისორი – ხათუნა მილორავა
არანჟირება და მუს. გაფორმება – დავით ნიკოლაიშვილი
ქორეოგრაფი – ნინო ლეჟავა
პრემიერა – 2. 02. 2013 წ.
მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა

მზის სხივი
ავტორი – ანრი პოპესკუ
რეჟისორი – ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი – ვახტანგ ქორიძე
მუს.გაფორმება – ზვიად გაგლოშვილი
ქორეოგრაფი – გია მარღანია
პრემიერა - 14. 02. 2013წ.
მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, ნინო პაპიაშვილი, მაია მალხაზიშვილი, მალხაზ გაბუნია, ელენე მაცხონაშვილი, მაია სულხანიშვილი, მალხაზ გაბუნია,ზურაბ გაგლოშვილი

სათაგური
ავტორი – ვაჟა-ფშაველა
რეჟისორი – ოთარ ბაღათურია
მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი
ქორეოგრაფია – გია მარღანია
მონაწილეობენ: დავით ხახიძე, ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, პაატა კიკვაძე, ნიკა ნანიტაშვილი, სალომე წურწუმია, გიორგი გოგიშვილი, მერაბ შარიქაძე, ხათუნა ბერძენიშვილი, ელენე ბეჟაშვილი, დავით ქარსელაძე, ანი მღებრიშვილი, გიორგი ჩიქობავა, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, რაჟდენ კერვალიშვილი, სალომე ლაფერაძე

ჩაგავლეთ?!
ავტორი – ბარი კიფი
რეჟისორი – დავით ბახტაძე
მხატვარი – გივი მაჭავარიანი
საუნდტრეკი – ლევან კაპანაძე (ჯგუფი "მძიმე ჯვარი")
სასცენო მოძრაობა– პაატა მხეიძე
პრემიერა - 23. 02. 2013 წ.
მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, კახა გაბელაია, ბადრი გვაზავა, ვანო დუგლაძე, პაატა მხეიძე, ლაშა გრძელიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, გიორგი მაისურაძე

ბარონი მიუნჰაუზენი
ავტორი – ა. გორინი
რეჟისორი – ლიკა მაცხონაშვილი
მხატვარი – ნინო კიტია
მუზ.გაფორმება – შალვა მაცხონაშვილი
ქორეოგრაფი – გოგა ოსეფაშვილი
პრემიერა - 16. 03. 2013წ.
მონაწილეობენ: ნინო პაპიაშვილი, კახა გაბელაია, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, ბესო მეგრელიშვილი, დევი რეხვიაშვილი, ვახტანგ ახალაძე, ქეთი ქიტიაშვილი, იოსებ ხაინდრავა, დენ ხლიბოვი, ელენე მახნიაშვილი, ნიკა ქარაული, ცოტნე ჯანგიძე, ალექსანდრე მელაძე, ვახტანგ ნოზაძე, იური ვასაძე

კუკარაჩა
ავტორი – ნოდარ დუმბაძე
ინსცენირება - შალვა გაწერელია
რეჟისორი – შალვა გაწერელია
აღადგინა – ოთარ ბაღათურია
მხატვარი – ნინო გაფრინდაშვილი
აღადგინა – აივენგო ჭელიძე
კომპოზიტორი – დავით ტურიაშვილი
მუს.გაფორმება – ია საკანდელიძე
ქორეოგრაფია – ვლადიმერ ჯულიხიძე, ბ. მონავარდისაშვილი
პრემიერა – 5. 04. 2013წ.

მონაწილეობენ: იოსებ მოლოდინაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი,მაია ჩართოლანი, ხათუნა ბერძენიშვილი, ნიკოლოზ კვანტალიანი, შალვა ანთელავა,თამარ ლოლაშვილი, ანა ხუროშვილი, ბერტა ხაფავა, სოფიო ებრალიძე, თამარ მამულაშვილი, ნინო გურულიშვილი, პავლე ნოზაძე, ნათია კუპატაძე, ნინო ანდრიაძე, კოტე თოლორდავა, ვახტანგ ჩაჩანიძე, ანი მღებრიშვილი, ეკატერინე ხატიაშვილი, ნინო ლეჟავა,ნინო არჩაია, ვახტანგ ახალაძე, მაკა გოგიჩაიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, ქეთი ქიტიაშვილი, ეკა შარიქაძე, კახა ჭოლაძე, ბადრი გვაზავა, გიორგი გოგიშვილი, გოგა ბერიძე, გიორგი კაჭახიძე, ლევან კაციაშვილი, მერაბ შარიქაძე, იოსებ ხაინდრავა, მაკა ბარდაველიძე, ასმათ ქურციკიძე, ვახტანგ ნოზაძე, შალვა ბახტაძე, ნიკა ნანიტაშვილი,რაჟდენ კერვალიშვილი, ზვიად ურიდია, დიმიტრი თარბაია, მარინე ძიმისტარაშვილი,ქეთევან შერვაშიძე,ვამეხ ჯანგიძე, ნიკა ქარაული, ლუკა ქარაული, ლაზარე კერვალიშვილი, ზურაბ ხვთისიაშვილი, ირაკლი ხვთისიაშვილი,

ირინეს ბედნიერება
ავტორი – დავით კლდიაშვილი
რეჟისორი – დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი – ლომგულ მურუსიძე
მუს.გაფორმება – ზვიად გაგლოშვილი
პრემიერა – 20. 04. 2013წ.
მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, დავით ხახიძე, კოტე თოლორდავა, თამარ ჭანუყვაძე,ლევან კაციაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, იოსებ მოლოდინაშვილი, ნათელა მაჭავარიანი, ნინო ლორთქიფანიძე, პავლე ნოზაძე, პაატა კიკვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, კახა ჭოლაძე,ნიკოლოზ კვანტალიანი, რატი გოგუაძე, ნიკა ნანიტაშვილი, გაგა შიშინაშვილი, სალომე წურწუმია, ლაშა გრძელიძე, მაია ხორნაული, ნაირა გელაძე, ალექსანდრე მელაძე, ქეთი ჩაჩუა, მამუკა ბოგვერაძე, ზვიად ურიდია, გიორგი შავგულიძე, ქეთევან შერვაშიძე, მერაბ ბრეკაშვილი, რევაზ თავართქილაძე

ჭინჭრაქა
ავტორი – გიორგი ნახუცრიშვილი
რეჟისორი – გიორგი ქაჩიბაია
მხატვარი – აივენგო ჭელიძე
მუს. გაფორმება – გოგა არველაძე
ქორეოგრაფი – ანანო სამსონაძე
პრემიერა – 11. 05. 2013წ.
მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, ნინო არჩაია, ბადრი გვაზავა, ვახტანგ ნოზაძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, სალომე წურწუმია, მაია ხორნაული, შალვა ანთელავა, ანი მღებრიშვილი,ზურაბ ავსაჯანიშვილი, დევი რეხვიაშვილი, ცოტნე საგინაძე, ლიკა შუკაკიძე, ვახტანგ ახალაძე, ვასილ ამურველაშვილი, ზურაბ არუსია, მამუკა ბოგვერაძე, თამარ ტყემალაძე,იოსებ ხაინდრავა, ნანა მირიანაშვილი, დიმიტრი თარბაია, ნიკა ნანიტაშვილი, იური ვასაძე

სიცოცხლის ხე (რუსულ ენაზე)
ავტორი - ნ. დუმბაძე
რეჟისორი - კ. მირიანაშვილი
მხატვარი - მ. ბაღაშვილი
კომპოზიტორი - დ. მალაზონია
პრემიერა შედგა - 28. 05. 2013 წ.
მონაწილეობენ: სერგო შვედკოვი, დენის ხლიბოვი, ლაზარე კერვალიშვილი, თამარ ლორთქიფანიძე, რამონა მიქელაძე, ტატიანა ალიოშკინა, ედმონ გაბედავა, დავით როსტომაშვილი

სიცოცხლის ხე
ავტორი - ნ. დუმბაძე
რეჟისორი - კ. მირიანაშვილი
მხატვარი - მ. ბაღაშვილი
კომპოზიტორი - დ. მალაზონია
პრემიერა - 7. 06. 2013წ.
მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თორნიკე ქინქლაძე, ირაკლი ხვთისიაშვილი, მაია ხორნაული, ნაირა გელაძე, ვახტანგ ახალაძე, დავით როსტომაშვილი

კალაბოკი (რუსულ ენაზე)
ავტორი - ანატოლი ლობოვი
რეჟისორი - ანატოლი ლობოვი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე

მონაწილეობენ: ნიკოლოზ დონი, ტატიანა ალიოშკინა, ანა ლეჟავა, დენ ხლიბოვი, ალექსი ლობოვი, ედმონ გაბედავა, სერგო შვედკოვი, ნინო კიკაჩეიშვილი, ნინო მუმლაძე, ნინო მანაგაძე, მაია მალხაზიშვილი, ევგენია კუროჩკინა, თამარ სოროკინა

რა მოხდა სამხეცეთში?
ედვარდ ოლბის პიესის მიხედვით
რეჟისორი — დავით ჭახრაკია
რეჟისორის თანაშემწე — ლევან არჩილაძე
მუსიკალური გაფორმება — გიორგი არველაძისა
მონაწილეობენ: გიგი მიგრიაული, გიორგი გოგუაძე
პრემიერა - 29.06.2013

კარებს აჯახუნებენ
ავტორი - მიშელ ფერმო
რეჟისორი - მაია ჩართოლანი
მხატვარი - ქეთევან თოდაძე
მუს. გაფორმება - ანა ზამბახიძე
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
პრემიერა - 13. 06. 2013წ.
მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ბერტა ხაფავა, იოსებ მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე, სალომე წურწუმია, შალვა ანთელავა, მაკა ბარდაველიძე,დევი რეხვიაშვილი, ცოტნე საგინაძე, ანი ზამბახიძე, სოფიო ჩხიტუნიძე, ლიკა შუკაკიძე, ნინო ციმაკურიძე, ედმონ გაბედავა, იოსებ ხაინდრავა

პატარძლის ამორჩევა
ავტორი - ამადეუს ჰოფმანი
რეჟისორი - მედეა კუჭუხიძე
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
პრემიერა - 7.07.2013 წ.
მონაწილეობენ: ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ნინო პაპიაშვილი, ბერტა ხაფავა, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, ბადრი გვაზავა, ვანო დუგლაძე, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, გაგა მახათაძე, ბესო მეგრელიშვილი, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ეკატერინე თვაური, ნათია გუდაძე, სოფიო ახუაშვილი, ნიკა ფაიქრიძე

ნაცარქექია
ავტორი - გიგა ნახუცრიშვილი
რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
პრემიერა - 4. 10. 2013წ.
მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე, კახა ჭოლაძე,ნიკოლოზ კვანტალიანი, ლაშა გრძელიძე, მაია ხორნაული, გიორგი მაისურაძე, მერაბ შარიქაძე, დავით როსტომაშვილი, ვახტანგ ახალაძე, ალექსანდრე მელაძე, ზურაბ არუსია, გოგა ბერიძე, მამუკა ბოგვერაძე, ნინო გურულიშვილი, ირაკლი გოგოლაძე, ირინე კუკულაძე, რატი ნავაძე, ზვიად ურიდია, თამარ ტყემალაძე, ქეთი ქიტიაშვილი, ასმათ ქურციკიძე, ეკა შარიქაძე, ეკატერინე ხატიაშვილი, დენ ხლიბოვი, გიორგი ჯიქურიძე, სოფიო ებრალიძე, გური ჭავჭანიძე, ირაკლი თვალავაძე

ზამთრის ზღაპარი
ავტორი - უილიამ შექსპირი
რეჟისორი - დათა თავაძე
მხატვარი - ქეთი ნადიბაიძე
მუს. გაფორმება - ნიკოლოზ ფასური
პრემიერა - 8.10. 2013წ.
მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ვამეხ ჯანგიძე, დავით ხახიძე, პავლე ნოზაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, რატი გოგუაძე, ნიკა ნანიტაშვილი, გაგა შიშინაშვილი, ანი ზამბახიძე, სალომე მაისაშვილი, გიორგი შავგულიძე, ია ჭილაია, იოსებ ხვედელიძე, ლუკა ქაჩიბაია

სევილიელი დალაქი
თოჯინური ოპერა ჯოაკინო როსინის ოპერAს „სევილიელი დალაქის“ მიხედვით
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
მუს. ადაპტირება - გური ზაქარეიშვილი, ზურაბ გაგლოშვილი, ირაკლი ათანელიშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია
პრემიერა - 26. 10. 2013წ.
მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ნინო პაპიაშვილი, მაია მალხაზიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ნინო მანაგაძე, თამარ სოროკინა, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა

კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა
ავტორი - გურამ დოჩანაშვილი
რეჟისორი - ზურაბ კანდელაკი
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუს. გაფორმება - ზურაბ კანდელაკი
პრემიერა - 15. 10. 2013წ.
მონაწილეობენ: გიორგი კაჭახიძე, ვახტანგ ნოზაძე, ლიკა შუკაკიძე, ეკატერინე თვაური,გიორგი შავგულიძე, გიორგი ჯიქურიძე, ზურაბ ცინცქილაძე

ემილის თავგადასავალი
ავტორი - ასტრიდ ლინდგრენი
რეჟისორი - ლევან ქობლიანიძე
მხატვარი - თეო კვიწინაძე
მუს. გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე, ლევან ქობლიანიძე
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
პრემიერა - 7. 11. 2013წ.
მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, შალვა ანთელავა,მაკა ბარდაველიძე, ცოტნე საგინაძე, თორნიკე ქინქლაძე, ვასილ ამურველაშვილი, სოფიო ახუაშვილი, ირინე კუკულაძე, დიმიტრი თარბაია, ალექსი ლობოვი, ნიკოლოზ ფაიქრიძე, ქეთევან შერვაშიძე, ნანა მირიანაშვილი

კლოუნადა
ავტორი - ნიკოლოზ საბაშვილი
რეჟისორი - ნიკოლოზ საბაშვილი
მხატვარი - მამუკა გიორგაძე
მუს. გაფორმება - ნიკოლოზ საბაშვილი
პრემიერა - 7. 11. 2013წ.
მონაწილეობენ: ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ნინო პაპიაშვილი, ლევან კაციაშვილი,ვახტანგ ნოზაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ ავსაჯანიშვილი, დევი რეხვიაშვილი, ანი ზამბახიძე, ირაკლი გოგოლაძე, ანა სანაია

ფიფქია და შვიდი ჯუჯა
ძმები გრიმების მიხედვით - ლ. უსტინოვი, ო. ტაბაკოვი
ინსც. - დიმიტრი ხვთისიაშვილი
რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
მუს. გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
პრემიერა - 5. 12. 2013წ.
მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი,გაგა შიშინაშვილი, ლაშა გრძელიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, შალვა ანთელავა, გიორგი გოგიშვილი, გიორგი ჩიქობავა, ზურაბ ავსაჯანიშვილი, დევი რეხვიაშვილი, ცოტნე საგინაძე, ანი ზამბახიძე, ლიკა შუკაკიძე, თორნიკე ქინქლაძე, დავით როსტომაშვილი,რამონა მიქელაძე, ვასილ ამურველაშვილი, მამუკა ბოგვერაძე, ირაკლი გოგოლაძე,დიმიტრი თარბაია, რაჟდენ კერვალიშვილი, ალექსი ლობოვი, რატი ნავაძე, ნინო მუმლაძე,ნიკოლოზ ფაიქრიძე, სოფიო ფერაძე, ეკა შარიქაძე, ია ჭილაია, თამარ ცქვიტინიძე, გიორგი ჯიქურიძე

იავნანამ რა ჰქმნა?!
ავტორი - იაკობ გოგებაშვილი
რეჟისორი - ოთარ ბაღათურია

მხატვარი - აივენგო ჭელიძე, მაია სხირტლაძე
კომპოზიტორი - ლექსო ტურიაშვილი
ქორეოგრაფი - ბაქარ ხინთიბიძე
პრემიერა - 27 . 12. 2013წ.
მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, ხატია მელქაძე, იოსებ მოლოდინაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, გიორგი გოგიშვილი, ხათუნა ბერძენიშვილი, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვახტანგ ახალაძე, ზურაბ არუსია, გოგა ბერიძე, მამუკა ბოგვერაძე, დიმიტრი თარბაია, რაჟდენ კერვალიშვილი, თამარ ლოლაშვილი, სალომე მაისაშვილი, ზვიად ურიდია, ეკატერინე ხატიაშვილი, გიორგი ჯიქურიძე, მერაბ ბრეკაშვილი, კესო მაისაშვილი, მარიამ ჯანხოთელი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა ? - 12.500 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა ? - 15 000 ლარი.
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი ? 2 000 ლარი – 10 000 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი ? 25 ლარი – 70 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) 800 ლარი - 280 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში

ქვეყნის შიგნით

2013 წლის გასვლითი სპექტაკლები საქართველოს რეგიონებში
10.07.2013 – 22.07.2013 დასავლეთ საქართველო
საჩხერე, ჭიათურა, სიმონეთი, ჩოხატაური, ფოთი, ოზურგეთი,
სენაკი, ბათუმი, ზუგდიდი, ხულო,შუახევი, ზესტაფონი
„კუკარაჩა“ – 10 სპექტაკლი
„ირინეს ბედნიერება“ – 2 სპექტაკლი
„დეჟა ვიუ“ – 5 სპექტაკლი
17.06.2013 ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია – „დეჟა ვიუ“
27.07.2013 თელავი – „კუკარჩა“
27.11.2013 რუსთავი – „დეჟა ვიუ“
29.11.2013 რუსთავი – „ემილის თავგადასავალი“

ქვეყნის გარეთ

10.11.2013–20.11.2013 სანქ-პეტერბურგის კამერული სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი “АртОкраина“.
სპექტაკლი „დეჟა ვიუ“ დაჯილდოვდა მაყურებლის სიმპათიის პრიზით

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/ - არა
ქვეყნის შიგნით- არა
ქვეყნის გარეთ - არა
ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ.
2013 წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა – დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – გვყავს
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – არა
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი)
თეატრს ჰყავს პიარ სამსახურის მენეჯერი – თათია პაქსაშვილი
მარკეტინგის სამსახური და გაყიდვების მენეჯერი.
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - არა
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა თორნიკე ქინქლაძე - 26.10.1991 წ.
ყველაზე ხანდაზმული იოსებ ხაინდრავა - 21.12.1939 წ.
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
დღემდე დაკავებულია მიმდინარე სპექტაკლებში: ჭინჭრაქა, კარებს აჯახუნებენ, ბარონი მიუნჰაუზენი
თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
სპექტაკლი „დეჟა ვიუ“ დაჯილდოვდა მაყურებლის სიმპათიის პრიზით
სანქ-პეტერბურგის კამერული სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი “АртОкраина“

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა (განათEბა და გახმოვანება)

შტატივი სამფეხა 307	ცალი	8
მოტორიზირებული ეკრანი 4მ*3მ	ცალი	1
ადაპტორი-გადამყვანი LM202080	ცალი	2
სითხე მსუბუქი ბოლის აპარატის SFDF25	ცალი	5
ჩასადები ფერადი ფილტრის ULAC20FF	ცალი	3
ჩასადები ფერადი ფილტრის ULP03FF	ცალი	33
ჩარჩო ფილტრის ETFFS4Z	ცალი	52
სანათი ულტრაიისფერი ULUVS400	ცალი	4
სითხე ნისლის აპარატის ULUNFL10	ცალი	20
შტატივის აქსესუარი (ადაპტორი) 014MS	ცალი	8
ფილტრი სანათის ფერადი შუშის 270*240*3 FGCY (ლურჯ) FGCY10BH	ცალი	5
აპარატი მსუბუქი ბოლის SFCPTD	ცალი	2
ჩანთა ამწევის ჯაჭვის შემაგროვებელი	ცალი	4
აპარატი მძიმე ბოლის გასაშვები LM202060	ცალი	2
ფილტრი სანათის ფერადი შუშის 270*240*3 FGCY10GE (ყვით) FGCY10GE	ცალი	14
ვიდეოპროექტორის ობიექტივი	ცალი	1
ფილტრი ფერადი სანათის OOOO	ცალი	20
ჩასადები ფერადი ფილტრის ULQ10FF	ცალი	66
პულტი დისტანციური მართვის	ცალი	1
აპარატი თოვლის ULSM110	ცალი	2
შტატივი სამფეხა 126U	ცალი	4
აქსესუარი გამყოლსხივიანი სანათის 070U	ცალი	4
აქსესუარი გამყოლსხივიანი სანათის ULTVZX	ცალი	4
სითხე ბუშტების აპარატის ULSEFL25	ცალი	4
აპარატი ბუშტების	ცალი	2
ჩასადები ფერადი ფილტრის ULQ20FF	ცალი	12
ნათურა 400 UV400	ცალი	8
პანელი სანათის ლინზების VZU 003 3*84	ცალი	20
ვიდეოპროექტორი	ცალი	1
ფილტრი სანათის ფერადი შუშის 270*240*3 FGCY1RO (წითელ) FGCY10RO	ცალი	24
მოტორიზირებული ეკრანი 7მ*5მ	ცალი	1
აპარატი ქარის SFFF	ცალი	1
ჩასადები სანათის ფერედი ფილტრის ULCYVB	ცალი	20
ფილტრი სანათის ფერადი შუშის 270*240*3 FGCY10G (მწვან) FGCY10GU	ცალი	20
აპარატი ნისლის ULUNDU	ცალი	2
მოწყობილობა სცენის განათების აპარატის სამართავი	ცალი	1
ნათურა 400 UV400	ცალი	8

პულტი სამართავი COL 102	ცალი	1
სანათი ნათურით VSP 301 250W	ცალი	4
სანათის აქსესუარი ULAC1GH	ცალი	2
სანათი თეატრალური (PC/AL)ლინზიანი ULP105ALN	ცალი	33
მარეგულირებელი შუქის გაშლის ULP03FT	ცალი	33
სანათი თეატრალური (PC)ლინზიანი ULQ05ALN	ცალი	34
მარეგულირებელი შუქის გაშლის ULQ05FT	ცალი	34
სანათი გამყოლსხივიანი ULFC1200N	ცალი	2
აქსესუარი გამყოლსხივიანი სანათის ULAC1GH	ცალი	2
სანათი თეატრალური (PC/AL)ლინზიანი ULQP20AL	ცალი	12
სანათი მიმართულსხივიანი 1კვტ	ცალი	58
მარეგულირებელი შუქის გაშლის ULQ20FT	ცალი	12
სანათი VL3841 3*84	ცალი	14
სანათი თეატრაური პროფილური	ცალი	50
სანათის აქსესუარი (სხივის დამაწვრილებელი)	ცალი	52
სანათი გაშლილი შუქის ULCY10S	ცალი	20
სანათი გამყოლსხივიანი	ცალი	2
სანათი მიმართულსხივიანი 0.3კვტ ULPA56SP	ცალი	26
სანათი თეატრალური (PC)ლინზიანი ULAC2009N	ცალი	3
სხივის დამაწვრილებელი ULACIR20	ცალი	3
სანათის აქსესუარი (გობოს-ტრაფარეტის-ჩასადები)	ცალი	3
სანათი თეატრალური (PC)ლინზიანი ULQ12ALN	ცალი	66
მარეგულირებელი შუქის გაშლის 1000/1200 ULQFT10	ცალი	66
სამაგრი სანათის (C464)	ცალი	499
სანათი ულტრაფიალეტის ULUVS400	ცალი	6
კონსოლი სცენის განათების (აპარატურის) სამართავი	ცალი	1
დიმერი ციფრული 12 არხიანი MA1237DW	ცალი	2
დიმერი ციფრული 12 არხიანი MA122HFI	ცალი	26
სანათი ნათურით VSP 601	ცალი	17
განათების მართვის პულტი	ცალი	1
დიმაგენერატორი ბოლის	ცალი	1

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
დიდი დარბაზი – 383, 16 ადგილი ლოჟაში.
მცირე დარბაზი – 83
ექსპერიმენტული სცენა – 60

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე: 17მ
სცენის სიგანე: 12მ
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე: 15მ
იატაკიდან გამოყენებამდე: 5მ
სარკის სიგანე: 10.5 მ
სარკის სიმაღლე: 5.2მ
სცენის წრის დიამეტრი: 8მ
სცენის მარჯვენა ჯიბე: 50მ
სცენის ამრცხენა ჯიბე: 50მ
შტანგეტების რაოდენობა: 27მ
შტანგეტებს შორის ინტერვალი: 0,5მ
სოფიტების რაოდენობა: 4 ცალი
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა: 6

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან დიმიტრი ხვთისიაშვილთან

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- მგონი რომ არა. ჯერჯერობით იშვიათი გამონაკლისის გარდა, სპონსორული თემები არის დამყარებული პირად ნაცნობობაზე. თუმცა, ჩემი თეატრის მაგალითზე ორმა ორგანიზაციამ სერიოზული დახმარება გაგვიწია. შარშან ეს იყო „სილქნეტი“ და „მაკდონალდსი“. ამათგან, ერთმა კონკრეტული სპექტაკლი დააფინანსა, მეორემ ხელი შეგვიწყო, რომ განგვეახლებინა დარბაზები, ვიზუალური თვალსაზრისით. მაგრამ რა არის, იცით, იგივე ბანკები, რომლებიც არიან სეზონის სპონსორები და ა.შ. სპონსორობა მე ცოტა სხვანაირად მესმის და როდესაც გეხმარები იმიტომ, რომ მე სარგებელი ვნახო, ეს ცოტა სხვა თემაა. თუმცა, ესეც მისაღებია, რატომაც არა, განვიხილოთ და ძალიან საინტერესო იქნება ურთიერთდახმარების თვალსაზრისით, რათა სარგებელი მიიღოს როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემაც. შეიძლება მე არასწორად ვფიქრობ, მაგრამ სპონსორი არ არის მეცენატი.

- მანაც უნდა ნახოს სარგებელი.

- რა თქმა უნდა.

- უფრო პარტნიორობის ფორმაა.

- დიახ. მე მგონი, რომ ეს იწყება. ჯერ არ არის მთლად ასე ჩამოყალიბებული. თუმცა, ისეთი ბრენდებისთვის, როგორიც არის, რუსთაველის თეატრი ან მარჯანიშვილის თეატრი, უფრო ადვილია სასპონსორო შეთავაზების გაკეთება. იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ ისინი არიან ბრენდები.

- თქვენს თეატრს თუ აქვს რაიმე სასპონსორო შეთავაზება მომზადებული?

- დიახ, აქვს. სხვადასხვა შეთავაზებები აქვს სხვადასხვა ნიხრიანი. ამაზე ქ-ნი ლილი უფრო დეტალურად გესაუბრებათ.

- თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ სპონსორი თვითონ მოვიდა თეატრში და შემოგთავაზათ რამე?

- არ ვიცი. შეიძლება იყო და ქ-ნმა ლიკამ ჩათვალა, რომ... ეს დირექტორის თემაა.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის წარმართვისათვის?

- არის ასეთი გამოთქმა - ფული უნდა ეყოს კაცსო. ამის მიხედვით, რა თქმა უნდა, საკმარისი არაფერი არ არის, მაგრამ ჩვენ ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც დამხვდნენ თეატრში და ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური ნიშნით თუ რაღაცა პირადი უკმაყოფილებით გაუშვეს თეატრიდან. ხარისხობრივად რომ ვთქვათ, გაშვებულთა შორისაც ძალიან ბევრი საინტერესო მსახიობია და აქ დამხვედრთა შორისაც. მაგრამ ვინაიდან იქ პოლიტიკური საფუძველი იდო, იძულებული გავხდი, ეს 40 კაცი უკან მომებრუნებინა, თუმცა, მე არ ვთვლი, რომ ორმოცივე ისეთივე საჭიროა, როგორც სხვა. ეს არის გარდამავალი ეტაპი. მაგალითად, წელს ხელფასები განისაზღვრა საჭიროების მიხედვით. შარშან სიმბოლურად იყო ეს ხალხი მობრუნებული, რამაც ჩვენი შტატი კიდევ უფრო გაზარდა. ამ წუთას თეატრის შტატში არის 110 მსახიობი. გასაგებია, რომ აქ არის ორი დასი - რუსულენოვანი და ქართულენოვანი. აქედან რუსულენოვან დასში 20 მსახიობია, ქართულენოვანში - 90 და თუ მარჯანიშვილის ან რუსთაველის თეატრის მაგალითს მივყვებით - ჩვენთან 20 ან 30-ით მეტი მსახიობია, მეორე მხრივ, თქვენივე გამოქვეყნებულ რეიტინგებს თუ მივყვებით, 2013 წელს 619 სპექტაკლი ვითამაშეთ. ანუ ჩვენ თვითმიზნურად საღამოს 30 სპექტაკლი ვითამაშეთ, ხოლო დანარჩენი იყო მოთხოვნა. ანუ ეს ჩვენ უნდა გვეთამაშა იმიტომ, რომ მოგვთხოვეს და ამ რეჟიმის გაძლება 40-50 მსახიობით ძნელია. ჩვენ გვაქვს სადუბლიორო პრინციპი, პარალელური სპექტაკლები და ამიტომ ერთადერთი თეატრი ვართ, რაში კიდევ იცით, 110 მსახიობიდან ერთს ვერ იპოვით, რომელიც თუნდაც ერთ სპექტაკლში არ თამაშობდეს. ჩვენი რეჟიმის მიხედვით თვიდან თვემდე 100 სპექტაკლი რომ გვაქვს, ის ერთი შეიძლება 15-ჯერაც გადის თვეში, ანუ იმ ერთ სპექტაკლში დაკავებული მსახიობი მაინც ძალიან აქტიურად არის დაკავებული.

- რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი დღეს ყველაზე მეტად არაშემოქმედებითი თვალსაზრისით?

- ყველაზე მეტად მაწუხებს ის, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი პროფესიული მუხტით არ არის არავისზე ნაკლები და არ შეიძლება იმაზე ნაკლები ხელფასი ჰქონდეს, ვიდრე სხვა დრამატული თეატრის მსახიობს. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა და იქნებ მომავალ წელს ეს ჩაიდოს ბიუჯეტში. რაც შეეხება არაშემოქმედებითი სახის პრობლემებს, სამწუხაროდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც 7-8 წლის წინ თითქოს აქ შეიცვალა და გარემონტდა, პირდაპირ ვიტყვი, სხვადასხვა ტიპის ავანტიურებმა თეატრს ზიანი მიაყენა, მაგალითად ვიღაცას არ მოსწონდა „ქართუს“ გაკეთებული ფასადი, შეცვალეს უფრო ცუდი ხარისხის მასალით და ცუდად, ყველა ღრიჭოდან უბერავს, ვეღარ ინარჩუნებს სითბოს. განსაკუთრებით ეს ეტყობა ფოიეებს, თან გამოცვლის ნებართვაც არ არის, მერიაში უნდა მოიპოვო. სცენაზე იყო არაჩვეულებრივი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც მოითხოვა ნაციონალური მოძრაობის რაღაცა ჯგუფმა. თეატრს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, არ ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა ამაზე, მაგრამ არსად არ არის დაფიქსირებული რაიმე ტიპის ხელშეკრულება. სამთავრობო ღონისძიებებისათვის განათებისა და გახმოვანების აპარატურის ნაწილი წაიღეს. ეს ღონისძიებები იმართებოდა ზღვისპირეთში და მოხდა ისე, რომ თავსხმა წვიმაში აპარატურა დარჩა გარეთ, აბსოლუტურად უპატრონოდ და ორი თვის თავზე ჩამოვიდა განადგურებული. აქ ყრია ეს არაჩვეულებრივი სკანერები, ლედები. ამის შეკეთებას ახლის ყიდვა სჯობია. ახალი ღირს 6-7 ათასი ევრო. თეატრს ამ ეტაპზე ამის საშუალება არ აქვს, ამიტომ, სამწუხაროდ, ჩვენს სცენაზე სპექტაკლებზე ბნელა. ახლაც შეტანილი მაქვს პროექტი კულტურის სამინისტროში განათების

რეაბილიტაციაზე. თუ მოხერხდა სამინისტროდან ფინანსების გამოყოფა, პირველ რიგში, განათება და სცენის ტექნოლოგიური აღჭურვაა მოსაწესრიგებელი. მაგალითად, სცენის არც ერთი ლუკი არ მუშაობს. 4 მბრუნავი წრიდან ერთადერთი მუშაობს, 6 ელექტრო შტანგეტიდან ერთი მუშაობს. მთელი რიგი აი ასეთი ტიპის პრობლემებისა.

- ანუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს?

- აბსოლუტურად. მით უმეტეს, საბავშვო თეატრში, სადაც ჯადოქრობაა, ზღაპრული სამყაროა; ვერც ერთ წრეს ვერ ვატრიალებ. მაგალითად, „ფიფქიაში“ სპექტაკლის მიმდინარეობის დროს გაწყდა ტროსი და მსახიობი ჩააგდო ქვემოთ. მოვიდნენ სპეციალისტები და კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, ეს სანამ არ გაკეთდება, სიცოცხლისთვის საშიშიაო. აი ასეთი სიტუაციაა. ეს რომ მითხრეს, მე კიდევ უფრო შეშინებული ვარ. რა ვიცი, რომელი შტანგეტი მოწყდება უცებ და ვის დაეცემა თავში. კიდევ ერთხელ ვამბობ, ფონდ „ქართუსი“ უკვე მერიდება მიუხედავად იმისა, რომ უკვე რაღაც დონეზე დიალოგები მქონდა, მაგრამ ალბათ სახელმწიფო დონეზე უნდა ჩავერიოთ, ცალკე დავიწყოთ სპონსორების მოძიება ამ მიმართულებით. ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს სცენების ტექნიკური აღჭურვილობა თავისი დინამიკებით, რადიომიკროფონებით თუ განათებით. ეს საერთოდ განადგურებულია. რადიო გვაქვს ერთადერთი, ოღონდ არა სასიმღერო. ჩვეულებრივი მიკროფონებიდან გვაქვს ორი დისტანციური მიკროფონი, რომელიც უკვე სულს ღაფავს. იგივე „ზამთრის ზღაპარში“, ხედავთ, პირველი ეპიზოდი რეჟისორს აქვს დადგმული მიკროფონებით და არც ერთი მსახიობის ხმა არ ისმის. ამ მხრივ, ტექნიკურად ძალიან რთული სიტუაციაა.

- მაყურებლის სეგმენტი ძირითადად გასაგებია, რომ ბავშვები და მოზარდები არიან, მაგრამ თუ გაიზარდა სეგმენტი თქვენი მოსვლის შემდეგ ანუ თუ გაფართოვდა ასაკობრივი ზღვარი?

- ასაკობრივი ზღვარი უნდა გაფართოვდეს. სამწუხაროდ, მე რომ მოვედი აქ, დამხვდა 10 წლამდე მაყურებლის სპექტაკლები და რეპერტუარი. 11, 12 წლის ბავშვს უკვე აღარ აინტერესებს ის სპექტაკლები. მე მყავს 11, 12 წლის შვილები და სანამ ახალი რეპერტუარი შემოვიდოდა, შევეცადე, მეჩვენებინა და მათზე მომესინჯა, მაგრამ „დეჟა ვუს“ უფრო დიდი სიამოვნებით უყურეს, ვიდრე „ჭინჭრაქას“. არადა, მოზარდ მაყურებელთა თეატრი სტრუქტურულად შეიქმნა 10-იდან 17 წლამდე სეგმენტისთვის. 10 წლამდე მომსახურება მიდიოდა თოჯინების თეატრში. რასაკვირველია, ახლა ისედაც დაიწია ასაკმა. თანამედროვე 3,4 წლის ბავშვის მსოფლმხედველობა გაიზარდა და შეიძლება იმ 4 წლის ბავშვს აინტერესებს „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, თუმცა, ადრე ამ ასაკის ბავშვები თოჯინების თეატრში დაყავდათ. ამიტომ ჩვენ რატომ უნდა დავკარგოთ, თუნდაც 4 წლის მაყურებელი, მაგრამ ძირითადი მიმართულება მაინც უნდა იყოს თინეიჯერების დაინტერესება, რომ ჩვენ კონკურენცია გავუწიოთ სხვა დრამატულ სახელმწიფო თეატრებს. იქაც ასევეა, 12-13 წლიდან 20 წლამდე. კვლევებიც იყო, მახსოვს, მაყურებლის ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის 13 წლიდან 20 წლამდე, ვინც დადის თეატრში - უფროსკლასელები და სტუდენტები არაინ. სხვათა შორის, მშობელი, რომელიც 20 წელზე ზევით ესწრება სპექტაკლს, ამიტომ ჩვენი მაყურებელი არის სწორედ 20 წლიდან 40 წლამდე მშობელი, რომელსაც მოჰყავს ბავშვი სპექტაკლზე და აფიშაზე გვერდზე რომ წერია „რომეო და ჯულიეტა“ ან „ზამთრის ზღაპარი“, ჩვენ მათაც ვთავაზობთ სპექტაკლს, რომ რაიმე ნახონ. თეატრში, მე-6 სართულზე იხსნება ექსპერიმენტული დარბაზი, რომელსაც ჩვენ რეზო თავართქილაძის სახელი მივანიჭეთ. იქ გაიმართება საღამოს სპექტაკლები 8 სთ-ზე ან 9 სთ-ზე და ცოტა თავისუფალი თემები იქნება, ცოტა უფრო სკანდალურიც შეიძლება ითქვას. პირველი სპექტაკლი იქნება ლაშა ბუღაძის „7+1 ანუ ნოველები“. მე არ ვიცი, რა გამოვა, მაგრამ თვითონ პიესიდან გამომდინარე ვამბობ, ის არის ცოტა სკანდალური, ერთი შეხედვით, მოზარდისთვის არაა, მაგრამ რაღაც ტაბუდადებულ თემებზე არ ელაპარაკო 15-16 წლის ბავშვს, რატომ არ უნდა ელაპარაკო?! მინდა კოტე თოლორდავასთვის „ღამე და თუთიყუშის“ გაკეთება. იქაც თაობის ტკივილია, რაღაცა ვერ დამკვიდრებაზეა პიესა, ლოთობაში, ნარკომანიაში იპოვა თითქოს გამოსავალი და ეს გამოსავალი არ არის. თანაც გმირი პოეტია, ხატავს და მიუხედავად ამისა, ვერ შედგა. სხვა შემოთავაზებებიც არის, ერთ-ერთმა რეჟისორმა „ელექტრაც“ შემოგვთავაზა. არის ასევე ნინო ხარატიშვილის თანამედროვე პიესა და ნინო ბურდულის ექსპერიმენტული ვარიანტი. ანუ აქ აგორდა უკვე სხვა მიმართულება. ანუ დღეს თეატრს თანამედროვე ქართული დრამატურგია აკლია, ჩვენ ცოტა კლასიკაში ვართ ჩართული. სამწუხაროდ, შეიძლება ეს ეწყინოთ მშობლებს, მაგრამ მოჰყავთ მარტო იმ ზღაპარზე, რომელიც თვითონ იციან. არ ვიცი, ხარისხობრივად როგორი გამოვიდა სპექტაკლი „პატარძლის ამორჩევა“, მაგრამ დავუშვათ თუ არ მოეწონა ვიღაცას, შეიძლება მოვიდეს პირველ სპექტაკლზე, მეორეზე კიდევ ცოტა, მესამეზე კიდევ უფრო ცოტა. არ მოსწონთ. გავიდა ხმა, რომ ცუდია. მაგრამ პირველივე სპექტაკლზე რომ ათი ბილეთის მეტი არ გაიყიდა, ეს უკვე მანიშნებელია იმისა, რომ არ გაუგია ჰოფმანის ნაწარმოები, მაგრამ გაუგია „ნაცარქექია“. ჯერ არ გამოსულა, სპექტაკლზე 20-25 ბილეთი იყო გაყიდული. 65-ე სპექტაკლი გვაქვს დღეს, „ ნაცარქექია“ მე-3 თვე გადის და არის სრული ანშლაგი. დეკემბერში „ფიფქია და შვიდმა ჯუჯამ“ მოხსნა ყველანაირი რეკორდი . 8-ჯერ გავიდა სპექტაკლი და 23000 შემოიტანა.

- რომელი იყო მარკეტინგულად ყველაზე წარმატებული პროექტი?

- ყველაზე წარმატებული პროექტები იყო „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „ემილის თავგადასავალი“, „ნაცარქექია“.

- ამას განაპირობებს ის, რომ ცნობილი ნაწარმოებებია?

- რა თქმა უნდა. ძირითადი სეგმენტიდან გამოთავისუფლება მაინც ჭირს და 10 წლამდე ადამიანები უფრო აქტიურები არიან. თოჯინების თეატრი რემონტშია, რეალურად არ ფუნქციონირებს. კვირაში ერთხელ ერთი სეანსი აქვთ კუს ტბის ასახვევში, რომელიც მისადგომად რთულია. კიდევ ერთხელ ვამბობ,

გუშინ „ირინეს ბედნიერებაზე“ იჯდა 120 ადამიანი და ჩემ გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ „ირინეს ბედნიერება“ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სპექტაკლია მაყურებლით ვერ დაიკვეხნის, ისევე როგორც „ზამთრის ზღაპარი“, რომელიც მგონია, მიუხედავად ჩემი პრეტენზიებისა, თვისობრივად, ესთეტიკურად თუ ნებისმიერი თვალსაზრისით არის სხვა თაობის ხედვა. აქ სათაურმა ჩაგვძირა - „ზამთრის ზღაპარი“. მოჰყავთ 4 წლის ბავშვი, ჰგონიათ ზღაპარი. არ უშვებს კაპელდინერი და აბრუნებს ბილეთს. უფროსს ჰგონია, რომ არის ზღაპარი და არ მოდის. არადა, პიარის თვალსაზრისით ძალიან დიდი შრომა ჩაიდო სწორედ ამ სპექტაკლში. ვიდეორეკლამის დამზადება, რომელიც საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა და მხოლოდ ამ სპექტაკლს დავუმზადეთ. ფლაერების დაბეჭდვა, ტელევიზიით სიუჟეტები წინასწარი სარეპეტიციო პერიოდის თუ პრემიერის შემდეგ. ფესტივალზე გატანა, უცხოელების დაპატიჟება. ყველაფერი გაკეთდა ამ სპექტაკლთან დაკავშირებით. მაგრამ არ იციან „ზამთრის ზღაპარი“, არ მოდიან. ახლა გამოვა „რომეო და ჯულიეტა“. უკვე რეკავენ, სალაროში ბილეთი დაჯავშნონ, გარდა იმისა, რომ სპექტაკლს დგამს ლევან წულაძე და ის უკვე არის ბრენდი, სახელი „რომეო და ჯულიეტა“ მუშაობს. იგივე „ირინეს ბედნიერება“ ულტრათანამედროვედ რომ განახორციელო, სამწუხაროდ, ეტყობა რაღაცა დრო სჭირდება კლდიაშვილს. მეტ-ნაკლებად მგონია, რომ ეს შეეხოს დუმბაძეს. იგივე „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც დადგეს ზაზა პაპუაშვილმა და ბატონმა რობერტ სტურუამ არ იყო ტიპიური კლდიაშვილი და მაინც არ ჰყავდა მაყურებელი. დავით კლდიაშვილი რომ ეწერება, შემოდგომის აზნაურები მაყურებლისთვის უკვე არის შტამპი. მახსოვს იგივე „ირინეს ბედნიერება“ ანდრო ენუქიძის დადგმული რუსთაველის თეატრის სცენაზე. ძალიან საინტერესო სპექტაკლი იყო, მერე პეტერბურგში ჰქონდათ გასტროლები. მაგრამ ისევ იქ ვარ, რომელიღაც ავტორები თითქოს ჩაიკეტნენ.

- თქვენ როგორ გგონიათ, თანამედროვე თეატრალურ სივრცეში მოზარდ მაყურებელთა თეატრს რა ადგილი უჭირავს და როგორი უნდა იყოს არსით მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ერქვა ცენტრალური საბავშვო თეატრი და დაბრუნდა როგორც მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ანუ ამ თეატრის მისია და არსი?

- არ ვიცი ინგლისურად რა, როგორ ჟღერს, მაგრამ ქართველის ცნობიერებაში მოზარდ მაყურებელთა თეატრი ასოცირდება თინეიჯერთან უფრო, ვიდრე ბავშვთან. აქედან გამომდინარე, სახელის შეცვლა იყო პრინციპული. ფსიქოლოგიურად მე ვარ იმ პერიოდის თინეიჯერი, როცა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავდიოდი „რღვევის“, „ჩვენებურების“ სანახავად , იგივე „კუკარაჩასი“, თუმცა, უკვე სტუდენტი ვიყავი რომ დაიდგა, მაგრამ ის სპექტაკლები დაიდგა ჩემი სკოლის პერიოდში. მაგალითად, „შეაჩერეთ, მალახოვი!“ იმ დროისათვის საკმაოდ სკანდალური სპექტაკლი იყო. უფრო მეტს გეტყვით, უცებ გამოგვიცხადეს, აბონემენტი გვაქვს ნაყიდი, რომ ბავშვებს არ შეუშვებენ და ამ აბონემენტით მოვიდეს მშობელი. რატომ? რატომ არ შეიძლება რომ ბავშვმა ნახოს ის, როგორ აღმოჩნდა მოზარდი ციხეში?! იქ ფსიქოლოგი იყო ჩართული, ბავშვი უნდა მოიყვანოს ჟურნალისტმა, რომელიც იკვლევს ამ ბავშვს. არაჩვეულებრივად თამაშობდნენ ოთარ ბაღათურია და რეზო თავართქილაძე, მამუკა ლორია იყო მალახოვი, ეს მისი პირველი როლი იყო და ამით დაიწყო. არ მაინტერესებდა მე მაგალითად, „წითელკანიანთა ბელადი“ , „ბიჭუნა და კარლსონი“. მახსოვს, შალვა გაწერელიას „წითელქუდაც“ კი არასაბავშვოდ იყო დადგმული. მგელს თამაშობდა რეზო თავართქილაძე და სანამ შეჭამდა ამ ბებიას, როგორც ქალი მოსწონდა და მთელი ამბავი იყო ამ ეპიზოდებში, მაგრამ ბავშვმა რომ ნახოს ეს კაცია, ის ქალია - ყველგან იყო ეს ჩადებული.

- რა კრიტერიუმებით იწვევთ რეჟისორებს, როგორ ხდება მათი შერჩევა?

- პირველ სეზონში, ფაქტობრივად, თბილისის თეატრების ყველა ხელმძღვანელს შევთავაზე, თუ არ ჩავთვლით რობერტ სტურუას, რომ მათ თითო სპექტაკლი დაედგათ. ასევე უფროსი თაობის რეჟისორებსაც, იმავე ქ-ნ მედეა კუჭუხიძეს, ბ-ნ გიზო ჟორდანიას, ბ-ნ თემურ ჩხეიძეს. ვიღაცა დაგვთანხმდა, ვიღაცამ ვერ მოიცალა და მერე მოიცლის. ძალიან ცუდ დღეში იყო თეატრი და მინდოდა, რომ მისი გადარჩენის საქმეში ჩართულიყო, ასე ვთქვათ, სრულიად ქართული თეატრი. ჩვენი ინიციატივით კვირას გვაქვს საქველმოქმედო აქცია ზუგდიდის თეატრის გადარჩენისთვის. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ 3000 ლარი უშველის ზუგდიდის თეატრს (თითო ანშლაგზე 3000 ლარი შემოდის სპექტაკლიდან), ეს არის ერთგვარი ბიძგი საზოგადოებისთვის, რომ ჩაერთოს თეატრის გადარჩენის საქმეში. ჩვენ ეს შეგვიძლია. უცებ ქ-ნი ეკა მაზმიშვილი, გიორგი კალანდია შემოგვეხმაურა. უკვე დაიწყო რაღაცა მოძრაობა და შეიძლება გამოჩნდეს მესამე, მეოთხე, რათა ჩვენ კოლეგიალურად დავეხმაროთ. აი ეს თემა იყო რეჟისორებთან მიმართებაშიც თავიდან. თუმცა, გვყავდა კიდევ შტატის რეჟისორი, გოგა თავაძე უმცროსი, რომელიც იყო გაშვებული და დღემდე იმიტომ არ დაბრუნდა, რომ შეიძლება სოხუმის თეატრში დაეწყო მუშაობა, ამიტომ ჩვენ ველოდებოდით ამ პროცესს. აღვადგინეთ სამსახურში ბ-ნი ოთარ ბაღათურია; როდესაც შტატის რეჟისორი გყავს, მას ორი სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის სეზონში. ახლა ნახეთ, სამი რეჟისორი უკვე 6 სპექტაკლია. სეზონზე რამდენ სპექტაკლს მოერევა თეატრი, ეს მეორე საკითხია. კი, 23-ს მოვერიეთო, ვამბობთ, მაგრამ იმ 23-ს იმიტომ მოვერიეთ, რომ ხარისხის თემა ნაკლებად მაინტერესებდა იმ შემთხვევაში, თეატრში რეპერტუარი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, წელს გიზო ჟორდანიაც კი ჩვენ გვითანხმებს, რა დადგას, მე რა უფრო მჭირდება. შარშან ასე არ იყო. მოვიდა დათა თავაძე, მისი იდეა იყო „ზამთრის ზღაპარი“ დაედგა და დადგა. იმავე ლევან წულაძის იდეა იყო „რომეო და ჯულიეტა“ და დადგა, გიორგი ქანთარიას „სამი მუშკეტერი“, ანუ ახლა უკვე იმაზე ვმუშაობთ, მე რა მჭირდება. რეპერტუარი, ფაბულა უნდა ჩამოვაყალიბოთ მე და სალიტერატურო ნაწილმა მთლიანად და მერე უკვე უნდა მოხდეს შერჩევა, ამ მხრივ კი უფრო რთულია ჩვენთვის და ესეც საჯილდაო ქვასავით იქნება.

- ანუ ამ ეტაპზე მთავარია ხარისხი და ის, თუ რა სჭირდება თეატრს?

_ დიახ. მახსოვს „გრაალის მცველნში“ სპექტაკლის დაწყებამდე 20 წუთით ადრე შემაგდეს სცენაზე. ტვინის შერყევა მიიღო ვიღაც მსახიობმა და მე ვითამაშე. მილოცავდა ყველა. ორი დღის მერე იყო იგივე სპექტაკლი, იქ უკვე სხვანაირად მიყურებდნენ. ის სხვა იყო, სპექტაკლი რომ გადავარჩინე. ზუსტად ეს სიტუაციაა ახლა. აი ის „შევარდნა“ იყო მთელი შარშანდელი წელი.

_ დასს რაც შეეხება. თქვენთან ვიცი, რომ მსახიობების ქასთინგი ჩატარდა. ამ მიმართულებით რაიმე ცვლილებები თუ იგეგმება და თუ შეიძლება, რომ ამ სეზონის განმავლობაში ახალი მსახიობები გამოჩნდნენ?

- გაჩნდა ახალი მსახიობი, კარგად დავიწყებული ძველი. მე ჩავთვალე, რომ არ შეიძლებოდა ეს მსახიობი ყოფილიყო თეატრის გარეშე. ეს არის მერაბ ბრეკაშვილი, რომელიც არის ჩვენი თეატრის დასში. აი ამ ტიპის მატებას, რა თქმა უნდა, განვიცდით ხოლმე. სხვათა შორის ამ სეგმენტში გვქონდა პრობლემა. უფროს ასაკში სულ 3-4 მსახიობი მამაკაცი გვყავს. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მიუხედავად იმისა, რომ დასში 110 მსახიობი მყავს, მუდმივად ვადევნებ თვალს სადიპლომო, საკურსო სპექტაკლებს, ვინმე ახალი ხომ არ მოდის. მაგალითად, ნიკა ნანიტაშვილი, გიო ჯიქურიძე, ნიკუშა ფაიქრიძე, თორნიკე ქინქლაძე - ესენი სულ პატარები, 22-23 წლის ბიჭები არიან. მათგან შეიძლება კარგი მსახიობი დადგეს იმიტომ, რომ ძალიან საინტერესო მასალაა. ამ ასაკის მსახიობი არც ერთ თეატრს არ ჰყავს. თითოეულ მათგანს დამახასიათებელი რამ გააჩნიათ და ერთმანეთს ავსებენ. სხვადასხვა ტიპები არიან, მაგრამ საინტერესო. ვახო ჩაჩანიძე ძალიან საინტერესო მსახიობი მგონია, ოღონდ უფრო კინოარტისტია, დიდი პაუზის შემდეგ ითამაშა მურტალო. ახლა თამაშობს ათოსს. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი იქნება მისი რაღაც გარეგნული სიშავიდან თუ პერსონაჟიდან გამომდინარე. ამიტომ ვნახოთ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ისევ გამოვაცხადებ ქასთინგს. მე ვერ ვხედავ იმ ვიღაცა მსახიობს, მე პირდაპირ კი არ ვუშვებ სახლში. მობრძანდი, ბატონო, ქასთინგი გავიაროთ. არ მოვიდა, არ დაგინახა არც ერთმა რეჟისორმა. 23 სპექტაკლი დადგა 17-მა სხვადასხვა რეჟისორმა. არავინ არ გაანაწილა.

_ იყო ასეთი მსახიობი?

_ რამდენიც გინდათ. დაახლოებით 30 მსახიობს 1 ივნისს აღარ გავუგრძელე ხელშეკრულება, მაგრამ გამოვაცხადე ქასთინგი 14 ვაკანსიაზე. ანუ 16 შტატი შევამცირე, მაგრამ იმ 30-იდან 15-ის მეტი არ გამოვიდა ქასთინგზე, იუკადრისეს და პირდაპირ წავიდნენ თეატრიდან. ვინც გავუშვი, იმაზე უკეთესი არც ქასთინგზე მოვიდა.

_ რა შემოქმედებითი წარმატება ჰქონდა თეატრს და რამ შეუწყო ხელი სპექტაკლს? ან თუ გამოარჩევთ რეჟისორულ ან სამსახიობო ნამუშევარს?

_ შემოქმედებითი წარმატება მგონია უკვე ის, რომ წლის მანძილზე რეალურად ერთი გამოცემა გვაქვს პროფესიული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ , გაზეთი „ქართული თეატრის დღე“ და რამოდენიმე თეატრმცოდნეს გაქვთ ბლოგი ინტერნეტში, მეტი არ არის სამწუხაროდ. თითქმის არც ერთი სპექტაკლი არ დარჩა პროფესიონალთა ყურადღების მიღმა. უცებ ვიღაცეებმა დაიფიქსირეს, რომ არსებობს ეს თეატრი. დაიწერა წერილი იგივე „ირინეს ბედნიერებაზე“. რამოდენიმე წერილი მიეძღვნა „ზამთრის ზღაპარს“. დაიწერა წერილი „კუკარაჩაზე“ და საერთოდ „კუკარაჩას“ აღდგენაზე. უცებ პირველი გამოჩნდა ფესტივალი, სადაც გავედით. რაღაც წინადადებები შემოდის. ამ ეტაპზე მიდის მოლაპარაკება ბრესტის ფესტივალთან და ჩვენი სპექტაკლებიდან „ზამთრის ზღაპარსა“ და „ირინეს ბედნიერებას“ შორის რომელიღაცა უნდა აირჩიონ. ოდესის ფესტივალმა კვლავ მოითხოვა „დეჟა ვუ“. კიდევ არის გაგზავნილი „მზის სხივი“ და ვნახოთ. მე მაინც მგონია, პროფესიონალები რომ მობრუნდნენ, ის რომ სტაბილურად 30, 40 ბილეთი იყიდება საღამოს სპექტაკლებზე, არის ძალიან დიდი მიღწევა დღეს, ხვალ კიდევ უფრო მეტი იქნება.

_ ანუ საერთაშორისო მიმართულებითაც დაიძრა ყინული?

- შარშან მაისის თვეში ჩვენ მიგვიწვიეს იმიჯინარის საბავშვო სპექტაკლების ფესტივალზე, ედინბურგში. უცებ რაღაცა მოხდა - იმუშავა პიარმა თუ ქ-ნმა ლიკამ. თუ გუნდია, ამიტომ არ მაინტერესებს, კონკრეტულად საიდან წამოვიდა ან როგორ, მაგრამ მოხდა ის, რომ როდესაც მოვედი იანვარში, უკვე ამუშავდა ვებგვერდი, შეიქმნა ფეისბუქზე თეატრის გვერდი და მარტის შუა რიცხვებში მიგვიწვიეს ლონდონში იუნიკორნის სპექტაკლების ჩვენების კვირეულზე. მსოფლიოს ბევრი თეატრი იყო მიწვეული, მათ შორის - საბავშვო. გვაჩვენეს, თუ რა პროცესები ვითარდება თეატრში და როგორ, რაღაცა მომეწონა, რაღაცა - არა.

- კლასიკაზე ორიენტირებული რეპერტუარის თვალსაზრისით ეს თეატრი არის ქართული და თუ იგეგმება უცხოური კლასიკის დადგმა თანამედროვე მულტიპლიკაციური გმირების მონაწილეობით, ანუ რაც ყველა ბავშვმა იცის?

- სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ სწორედ ამის გამოძახილია. ხვალ მთავრდება დრამატურგების კონკურსი, რომელიც გამოცხადებული გვაქვს. სექტემბრიდან 3-ჯერ გადავდეთ. დაახლოებით 60-მდე პიესაა შემოსული, მაგრამ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

- ანუ პრობლემა გვაქვს ქართველ დრამატურგებშიც, ვინაიდან ამ სეგმენტისთვის არ წერენ.

- სამწუხაროდ, არ წერენ ან თუ წერენ, არის ძალიან უხარისხო. ექსპერიმენტული სცენა სწორედ იმისთვის მინდა, რომ თეატრი განვითარდეს თანამედროვე დრამატურგთან ერთად. ლაშა ბუღაძის პიესა დავდგი და თუ გაჩნდა სურვილი, რატომაც - არა. შევთავაზე თანამშრომლობა ბასა ჯანიკაშვილს, დათო გაბუნიას, შადიმან შამანაძეს, მაგრამ არა. ასევე მქონდა საუბარი ირაკლი სოლომონაშვილთან.

_ უცხოური?

- ბარი კიფის „ჩაგავლე“ გადის და „დეჟა ვუ“. ორივე თანამედროვე უცხოური პიესაა. „დეჟა ვუ“ თუ არის

ცოტა კომუნისტური პერიოდის, ეს ახალი პიესაა და თან სკოლაზე. იმ დღეს ქვემოთ აფიშებთან მესმოდა - „ჩაგავლე“ წერია, წავიდეთ რა, კიდევ ვნახოთ. დაამახსოვრდა იმიტომ, რომ მის პრობლემებზეა. ანუ ეს ის ასაკია, როცა მშობელს არ მოჰყავს, თვითონ უნდა მოვიდეს. მაგრამ ზის კაფეში და არ აქვს მოთხოვნილება, სპექტაკლზე მივიდეს. ახლა რომ 10 წლის არის, ის ბავშვი კიდევ რომ მოვა, მომავალ წელს სხვა თემას დაახვედრებ. მოხდა წყვეტა. ახლა რომ მე-10 კლასშია, იმ ბავშვს 5, 7 წელია არ შემოუხედავს ამ შენობაში. დადიოდა მარჯანიშვილის ან რუსთაველის თეატრებში. აქ რისთვის შემოვიდეს?! უკვე დიდია. ანუ ფსიქოლოგიური გარდატეხა არის ჯერ მოსახდენი. თორემ „ჩაგავლეს“ სადადგმო ხარისხს არ ვგულისხმობ, თემატიკიდან გამომდინარე, არის ძალიან პრობლემატური და აქტუალური.

საუბარი თეატრის დირექტორთან ლიკა წულაძესთან

- რას ფიქრობთ სპონსორობის კულტურაზე საქართველოში? რა გამოცდილება შეიძინეთ და რა პრობლემებს წააწყდით?

- რა თქმა უნდა, სპონსორობის კულტურა საქართველოში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა, მაგრამ არა იმ პროცენტით, რომელიც იქნება დამაკმაყოფილებელი ამ შემთხვევაში თეატრისთვის. სამწუხაროდ, ძალიან ბევრს ჰგონია, რომ სპონსორობა არის რეკლამა. სპონსორობა რეკლამა არ არის. მაგალითად, რაც თეატრში ვმოღვაწეობ, მქონდა ურთიერთობა „სილქნეტთან“ და „მაკდონალდსთან“. იქნება სასაცილო, ვთქვა, რომ მათ გავუკეთე რეკლამა, რადგან მე მათ დამასპონსორეს. სპონსორობა არის ის, რომ კარგ საქმეში ჩაიდოს ფული და გვერდში დაუდგეს წარმატებულ საქმეს. მათ თავიანთი პროდუქცია და თავიანთი ბიუჯეტი აქვთ და ასევე აქვთ ბიუჯეტი, რომ კარგ საქმეში ჩადონ ფული - ჩვენ შემთხვევაში დაიდგას ხარისხიანი სპექტაკლი, რომ მაყურებლისთვის იყოს უფრო კარგად წარსადგენი.

- თუ გაქვთ ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებების პაკეტები?

- რა თქმა უნდა, გვაქვს სასპონსორი შეთავაზებების პაკეტები, მაგრამ ესეც ცოტა სასაცილოდ ჟღერს. აქაურ სპონსორს ის კულტურა არა აქვს, რომ სასპონსორო პაკეტს გაეცნოს გულდასმით. მაინც ჰგონიათ, რომ შენ გაუკეთებ რეკლამას. მე რეკლამას ვერ გავუკეთებ. მე როცა ვარ, ვთქვათ „სილქნეტი“, მაქვს ბევრი ფული, გიდებ კარგ საქმეში ფულს, რომ განავითარო შენ შენი საქმე.

- ანუ სპონსორობა რეალურად არის ურთიერთობა და პარტნიორობა ორ კომპანიას შორის, ვიდრე ერთმანეთის რეკლამა, მაგრამ რეკლამასაც უნდა შეიცავდეს?!

- დიახ, რეკლამასაც უნდა შეიცავდეს. სპონსორები ბევრნი არ არიან საქართველოში, მაგრამ რაღაცა 5% არსებობს სპონსორების, რომლებსაც საერთოდ არ უნდათ თავიანთი სახელის გაჟღერება. მე ახლა არ დავასახელებ ამ ადამიანებს, მაგრამ ვიცი, ძალიან ბევრ კარგ საქმეში აქვთ ფული ჩადებული, მაგრამ არც უნდათ თავიანთი სახელის ხსენება. ასე რომ 5% კი არ უნდა იყოს, არამედ - 55%.

- სპონსორობის რეალური გაგებიდან, თქვენეული ხედვიდან გამომდინარე რომელ საერთაშორისო ან ადგილობრივ კომპანიებთან გაქვთ ასეთი პარტნიორული ურთიერთობები? შეიძლება ფულს არ გაძლევთ, მაგრამ ეს იყოს ბარტერული გაცვლა?

- ჯერჯერობით აქ ერთი წელია ვარ. მქონდა ურთიერთობა „მაკდონალდსთან” და „სილქნეტთან“ და სხვათა შორის ძალიან წარმატებულად შედგა ჩვენი პარტნიორობა. იგივე კულტურის სამინისტრო სპონსორი არ არის? მერია სპონსორი არ არის? რამდენ კარგ საქმეში დებენ ფულს - კონცერტი, მხატვრობა, სპორტი... მაგრამ საქართველოში მაინც ჭირს სპონსორების მოძიება.

- საკანონმდებლო ბაზაც ხომ არ უშლის ამას ხელს?

- არა მგონია.

- ანუ რომ იყოს რაღაცა საკანონმდებლო ბაზა, თუ კულტურაში ჩადებ ფულს, კომპანიები არ დაიბეგრებიან, ამის მსგავსი?

- ამ თემაზე იყო საუბარი, მე როგორც მახსოვს. როგორც ქველმოქმედება, არ უნდა დაბეგრილიყო სპონსორობა, მაგრამ რაღაცა აღარ მოხდა ასე.

- რა დადებითი მხარე აქვს მოზარდ მაყურებელთა თეატრს სპონსორებთან შეთავაზების დროს? ანუ რამდენად საინტერესო პარტნიორია მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რა ბერკეტი აქვს ხელთ, რომ დაინტერესდეს სპონსორი?

-სეგმენტი უნდა იყოს. მაგალითად, „მაკდონალდსი“ წამოვიდა იმიტომ, რომ მისი სეგმენტია. „სილქნეტი“ წამოვიდა, რომ კარგ საქმეში უნდოდა ფულის ჩადება და ჩადო. აქედან მოგება არ უნახავს. ჩვენ ლოგოები განვათავსეთ ჩვენს პლაკატებზე, ვაცხადებდით ტელევიზიით, რადიოთი და ინტერვიუებშიც ვახსენებდით მათ სახელს. თეატრი იყო ჩაძირული და ახლა რომ გაივლით ჩვენი თეატრის წინ, ხედავთ, რამდენი სპექტაკლი დაიდგა ამ ერთი წლის განმავლობაში. ამით ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, დავაინტერესოთ სპონსორები, რომ ახალი სპექტაკლები დავდგათ და კარგი საქმე ვაკეთოთ მათი დახმარებით. აქ მარტო სახელმწიფოს დახმარებით ჩვენ წინ ვერ წავალთ. თუ ჩვენ სპონსორებსაც დავაინტერესებთ, მით უფრო ხარისხიან სპექტაკლებს დავდგამთ, მაყურებელიც მეტი გვეყოლება და აქედან გამომდინარე - შემოსავალიც. ჩვენი პრინციპია, დაიდგას კარგი სპექტაკლი, იყოს კარგი დასწრება და ჩემი აზრით, სპონსორები ამაზე წამოვლენ.

- საბავშვო სეგმენტზე, მომუშავე მსხვილ კომპანიებთან თუ გქონიათ რაიმე სასპონსორო შეთავაზება? მაგალითად, „ბარამბო“ გამახსენდა, „ნესტლე“ ...

- დიახ, „ბარამბოსთანაც“ გვქონდა შეთავაზება. სხვათა შორის არიან დაინტერესებული, მაგრამ ასეთი რაღაცაა, ვისაც ველაპარაკე მარტო „ბარამბოზე“ არ მაქვს საუბარი, ყველა ფეხს ითრევს. ანუ მე უკვე ბიუჯეტი გაწერილი მაქვს და ხომ ზუსტად ვიცი, რომ ეს პასუხი არ არის სიმართლე. ბიუჯეტი გაწერილი როგორ შეიძლება გქონდეს, როცა შეიძლება მარტში ან მაისში ისეთი მაგარი პროექტი შემოგთავაზონ, რომ დაასპონსორო. აი ზუსტად ეს არ ესმით ქართველ სპონსორებს, რომ ეს არის ფულის ჩადება კარგ საქმეში და არა ჩემი გარეკლამება. ამას რომ შეიგნებენ, ალბათ, უფრო დაფიქრდებიან, რომ ერთი ხელის მოსმით არ გაგისტუმრონ.

- თქვენი აზრით, რამდენად სტაბილური და საიმედო პარტნიორია თეატრი სპონსორისთვის?

- სპონსორისთვის იმედი ის არის, რომ ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის, თინეიჯერებისთვის არის საინტერესო, რათა ცოტა ხნით კომპიუტერს მოაშორო, ქუჩას მოაშორო, მომცე იმის შანსი, რომ კარგი სპექტაკლი დავდგა. ეს არის უკვე კარგი საქმის კეთება. ეს არის უკვე იმედი. თორემ მე „პროფილს“ ხომ არ ვთავაზობ სპონსორს?!. ვთავაზობ, კარგ საქმეში ჩადოს ფული, რომ მოზარდები მოვაშოროთ ქუჩას და დავაინტერესოთ თეატრით. სამწუხაროდ, კომპიუტერმა გააფუჭა მოზარდები, ურთიერთობები აღარ აქვთ ერთმანეთში. ანუ მე ჩემს ბავშვობაში ყოველდღე დავდიოდი სპექტაკლებზე. 5-6 წლიდან ბავშვს მშობელი მოიყვანს, თინეიჯერს კი ძალით თეატრში ვერ მოიყვან. როცა ხარისხიან სპექტაკლს დადგამ, ის თვითონ მეორეჯერ, მესამეჯერ მოვა.

- თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ სპონსორს რაღაცა შემოეთავაზებინა და თქვენ გითქვამთ უარი?

- ჯერჯერობით, არა. ასეთი შემთხვევა არ გვქონია.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს და რა დროის მონაკვეთზეა ის გათვლილი?

- ფანდრეიზინგზე ყოველდღე ვმუშაობ. რაც კი კომპანიები არსებობს, ყველასთან დამირეკია. აქ პერიოდს გააჩნია, ყველაფერი არის მოლაპარაკებაზე დამოკიდებული. გააჩნია, რა თანხაზეა საუბარი. შეიძლება რაღაცა თანხა გადაიხადოს და იყოს, ვთქვათ, ერთი სპექტაკლის სპონსორი. ან იყოს მთელი სეზონის პარტნიორი და ეს ეხებოდეს რამოდენიმე სპექტაკლს. აქ გააჩნია რაოდენობას. ისევ და ისევ მოვიყვან მაგალითად „სილქნეტს“, რომელმაც დააფინანსა ქ-ნი მედეა კუჭუხიძის სპექტაკლი და დღემდე სპექტაკლი „პატარძლის ამორჩევა“ არის რეპერტუარში.

- ანუ ის სპექტაკლი დააფინანსა, რომელმაც გაუძლო დროს და შემოსავლიანი აღმოჩნდა.

- დიახ.

- სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები თუ არის საკმარისი თეატრის ნორმალური შემოქმედებითი ცხოვრებისთვის?

- რა თქმა უნდა, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თეატრს დაეხმაროს. მაგრამ მეორე მომენტია, რომ თეატრისთვის თანხები არასდროს არ არის საკმარისი.

- მეც მგონია, რომ მარტო სახელმწიფოს შემყურე არ უნდა იყოს თეატრი, მაგრამ ვინ შეიძლება იყოს ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფონდი, რომელიც არ არსებობს და ამ თავისუფალ პროექტებს ისევ მერია, სამინისტრო აფინანსებს.

- ისევ და ისევ სპონსორების დაინტერესება ამ სფეროში და მეორე, კარგი სპექტაკლების დადგმა და დასწრება. ანუ ანშლაგები და შემოსავალი. მე თუ დავდგამ სპექტაკლს და დამიჯდა რაღაც კოლოსალური თანხა, 400-კაციან დარბაზში გავყიდე 3 ბილეთი ეს, რა თქმა უნდა, უკვე წაგებაა. თანაც დღეში მინიმუმ 4-5 სპექტაკლია.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა? ვიცი, რომ თქვენთან რაღაც სხვა სისტემა მუშაობს.

- რა თქმა უნდა, აბონემენტები, სკოლები. ყველაზე აუცილებელი არის მარკეტინგული გათვლა. სამწუხაროდ, ყველას ჰგონია, რომ მარკეტინგი არის გარეკლამება და გაყიდვა. ეს არის მხოლოდ ამის პროცესი. მარკეტინგში არ არის მხოლოდ ერთი ადამიანი ჩართული. მარკეტინგში არის ჩართული პიარი, კრიტიკა, რომელიც წერს ჩვენს სპექტაკლებზე. სამწუხაროდ, ჟურნალი არა გვაქვს თეატრზე, დავუშვათ ერთი, ან ორი. რეკლამა სატელევიზიო, რადიო, აქტუალური ურთიერთობა სკოლებთან, ინტერნეტით გავრცელება, ანუ კარგი მარკეტინგული მუშაობაა საჭირო იმისთვის, რომ მოიზიდო მაყურებელი. მაგრამ მარკეტინგულ მუშაობასაც სჭირდება თანხები, იmaვე ტელევიზიით რეკლამის განთავსებას ძალიან დიდი თანხა უნდა. კიდევ კარგი, ჩვენი მხარდამჭერი საზოგადოებრივი მაუწყებელია და რადიო „არ დაიდარდო“. ამ ერთი რადიოთი და ერთი არხით კარგ რეკლამას ვერ გააკეთებ. ისევ და ისევ ამაში ფულის ჩადება არის საჭირო, რომ სულ რეკლამა გადიოდეს. ასევე აუცილებელია კვლევის ჩატარება. ანუ ამ შემთხვევაში გაითვალისწინო მაყურებლის მოთხოვნილება, ვთქვათ, რა აინტერესებს 5 წლის ბავშვს, რა აინტერესებს 20 წლის თინეიჯერს. აქ ბილეთის ფასიც უნდა დარეგულირდეს, რისი გადახდის საშუალება აქვთ. დღესდღეობით საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ 10 ლარი ყველას არა აქვს, რომ ამ ფუფუნებაში გადაიხადოს. ეს არის ყველაფერი მარკეტინგი.

- ამ ერთი წლის განმავლობაში თეატრის მარკეტინგულად წარმატებული პროექტი?

- თეატრისთვის მარკეტინგულად წარმატებული პროექტი?! ნახეთ, რამდენი აფიშა გვაქვს დაბეჭდილი. მოზარდ მაყურებელთა თეატრს მგონი ცხოვრებაში აფიშა არ ჰქონია. მთელ ქალაქში არის ჩვენი აფიშები. კალენდარული აფიშები იბეჭდება ყოველდღე, მთელი კვირის რეპერტუარი გადის ინტერენეტის მეშვეობით, თეატრის წინ რამდენი ბანერია, რამდენი აფიშაა. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

- ყველაზე მეტად რა პრობლემაა თეატრში დღეს არაშემოქმედებითი მენეჯმენტის თვალსაზრისით?

- ძალიან ძნელია ილაპარაკო ამ თემაზე. ნამდვილად ძალიან კარგი გუნდი გვყავს. ძალიან კარგად მუშაობენ და დღითიდღე უკეთესი და უკეთესი მუშაობა მიდის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. პრობლემა

ასე ყველგან არის თეატრში, არა მარტო თეატრში, კინოშიც. ჩვენი მიზანია, პრობლემები გამოვასწოროთ და ვიაროთ წინ. პრობლემა ყოველთვის იქნება, პრობლემას ვერ გაექცევი. ბროდვეიზე არის პრობლემები და..

- თავისთავად. როცა პრობლემა ჩნდება მუშაობა მიდის იმისთვის, რომ გამოსწორდეს. აი ახლა რა პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობთ?

- ფაინდრეიზინგი. ისევ და ისევ თანხები. თორემ სხვა მხრივ ყველა ძალიან კარგად მუშაობს.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა






რისთვის მიდიხართ თეატრში?
N= 236
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
17%
23%
28%
24%
8%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N =294
25%
20%
15%
10%
5%
0%
23%
8%
11%
7%
9%
6%
12%
5%
6%
1%
12%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
სიუჟეტი
სასაღამო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =254
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
15%
6%
24%
16%
8%
4%
14%
13%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით


რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?
N =472
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
22%
19%
20%
18%
თანამედროვე უცხოური
თანამედროვე ქართული
ისტორიული
ქართული კლასიკური რეპერტუარი
უცხოური კლასიკა


რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N = 230
25%
20%
15%
10%
5%
0%
11%
16%
19%
7%
14%
11%
3%
13%
6%
წაკითხული მქონდა ნაწარმოები
მიწდოდა მეწახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
ნაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N = 307
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
12%
14%
16%
18%
17%
11%
12%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ზნეობრივ-ეზოთმცოდნეობითი შინაარსი
სინტეზური ამბავი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =326
25%
20%
15%
10%
5%
0%
19%
12%
23%
14%
10%
7%
15%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N =200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 26%
კი 38%
არა 36%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 200
მთლიანად ვენდობი
19%
ნაწილობრივ ვენდობი
58%
საერთოდ არ ვენდობი
23%


უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
კი
41%
არა
59%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
N =24
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
92%
8%
0%
0%
კაფე
ღამის კლუბი
კარაოკე კლუბი
დისკოთეკა


რესპონდენტთა სქესი
N= 200
მამრობითი
41%
მდედრობითი
59%

რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ლევან წულაძე	10
რობერტ სტურუა	7
თემურ ჩხეიძე	5
ავთანდილ ვარსიმაშვილი	5
დიმიტრი ხვთისიაშვილი	5
დათა თავაძე	3
დავით დოიაშვილი	2
ოთარ ბაღათურია	2
ვანო ხუციშვილი	1
ელენე მაცხონაშვილი	1
ვახტანგ ჯუღელი	1
ნანა კვასხვაძე	1
გოშა გორგოშიძე	1

მსახიობების რეტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ნინო ლეჟავა	10
ზურაბ ყიფშიძე	7
დათო ხახიძე	5
კახი კავსაძე	5
გივი ბერიკაშვილი	5
კოტე თოლორდავა	5
ნინო ლორთქიფანიძე	3
გიორგი ყიფშიძე	3
მურმან ჯინორია	3
ეკატერინე შარიქაძე	2
ნანკა კალატოზიშვილი	2
ეკა ნიჟარაძე	1
ვამეხ ჯანგიძე	1
თამარ ტყემალაძე	1
მიხეილ გომიაშვილი	1
ეკა ჩხეიძე	1
ქეთა შათირიშვილი	1
კახა კინწურაშვილი	1
მარინა კახიანი	1
შალვა ანთელავა	1
ალეკო მახარობლიშვილი	1
გიორგი ნაკაშიძე	1
მერაბ შარიქაძე	1
ნატა მურვანიძე	1
ანა ტყებუჩავა	1
ნანუკა ხუსკივაძე	1

თათული ედიშერაშვილი	1
თამარ ნიკოლაძე	1
ია სუხიტაშვილი	1
დავით დარჩია	1
გურანდა გაბუნია	1
ზაზა პაპუაშვილი	1
ირაკლი გოგოლაძე	1
გიორგი რევაზიშვილი	1
გიორგი ჯიქურიძე	1
მარიამ ჩუხრუკიძე	1
ნანა ლორთქიფანიძე	1
ზურა ავსაჯანიშვილი	1
მამუკა ბოგვერაძე	1
სოფო აბუაშვილი	1
ბაჩო გაბრეშაშვილი	1

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

მუსიკალური კომედიის თეატრმა 1926 წელს თვითმოქმედი კოლექტივის ,,მუშაკ-თეატრის" სახელწოდებით დაიწყო არსებობა. იმ წლებში უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებთან იქმნებოდა მხატვრული აგიტ-კოლექტივები, თვითმოქმედი მუსიკალური და ლიტერატურული წრეები. ისინი თავიანთი შემოქმედებით უაღრესად ყოფით-რეალისტური, აქტუალურნი და აგიტაციურნი იყვნენ. ეს იყო ,,ერთი დღის ხელოვნება", მაგრამ ამ ყოველდღიურობის სახელით დიდი სახელმწიფოებრივი საქმე კეთდებოდა - კულტურული რევოლუცია ფართო გზას უხსნიდა სახალხო ტალანტებს.

,,მუშაკ-თეატრის" თვითმოქმედი კოლექტივი უძლიერეს სავაჭრო ორგანიზაციასთან, მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივთან, უნივერმაღის შენობაში დაარსდა. ,,მუშკოპს" ხელმძღვანელობდა მუსიკალური ხელოვნების კარგად მცოდნე ა.ერისთავი, კულტგანყოფილების გამგე პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა და ,,მუშკოპი"-ს გამგეობის წევრი ნიკო ფერიაშვილი. ამ თვითმოქმედ კოლექტივ-თეატრს ,,ლურჯხელთათმანიანთა" თეატრიც ეწოდებოდა. იგი ცოცხალი გაზეთის სცენურ ფორმებს იშველიებდა. იდგმებოდა ინტერმედიები, სკეტჩები, მინიატურები. თეატრის პოლიტიკურად და სოციალურად მახვილი სატირა ბურჟუის, ნემპანის, კულაკის, მეწვრილმანის, გადამყიდველის რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

1927 წელს ,,მუშკოპმა" თვითმოქმედი თეატრის ხელმძღვანელად მიიწვია მიხეილ ჭიაურელი და დავით (დუდე) ძნელაძე. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა ამ კოლექტივის ცხოვრებაში.

იმ დროს დასი ათი კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა და პიანისტი გარიკ ასტვაცატუროვი. დასის წევრები: მარგო მესხი, თამარ ფერიაშვილი, შაქრო ოსეფაშვილი, ვასო გერსამია, მიხეილ დრეიმე, იროდიონ უგულავა, დავით მესხი და ნიკო ხურცია. თვითმოქმედი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა მ. ჭიაურელი, ხოლო დირექტორად და თანარეჟისორად დ. ძნელაძე. მ. ჭიაურელმა და დ. ძნელაძემ უპირველესად დასის ფორმირებას მიაქციეს ყურადღება. მოიწვიეს კომპოზიტორი ვალერიან ცაგარეიშვილი, რეჟისორები: გიგო ფრონისპირელი-ყიფშიძე (რომელმაც საინტერესო ლიტერატურული მუშაობა გასწია თეატრში) და გალაქტიონ რობაქიძე, პიანისტი სოსო შარაბიძე. თეატრს დაუკავშირეს შალვა დადიანი, გრიგოლ ბერძენიშვილი, ნიკო ფაშალიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი (ეს უკანასკნელი თავისი პიესებისათვის მუსიკასაც წერდა), შალვა შარაშიძე (თაგუნა) და სხვანი. შეივსო მსახიობთა დასიც, კოლექტივს შემოემატნენ: მარგო ციციშვილი, ბორის ჩეჩელაშვილი, ზიზო ჯალიაშვილი, შოთა მგალობლიშვილი, ალიოშა ყიფიანი, გოგი დოღორაძე, გრიშა ჟღენტი, უფრო მოგვიანებით: მარგო ინგილო, ალექსანდრე მეწუღიშვილი, კაპია აბესაძე, პიანისტი ქეთევან მაჩაბელი (მგალობლიშვილი), ელენე ციმაკურიძე, ილო ბაკაკური, ნიკოლოზ მოსეშვილი, გოგი ჭუმბაძე, ვახტანგ სალარიძე, მერი დავითაშვილი, ელენე აბაზაძე-ჟივიძე, თამარ კიკნაძე, ივლიტა ჯორჯაძე, ბარბარე იანვარაშვილი, ნინო თულაშვილი, ნინო ანდრონიკაშვილი, მარინა აბდუშელი, ალექსანდრა ყუფუნია, შურა ბაქარაია, შალვა ოსმანაშვილი, პოლიკარპე სუხიშვილი და სხვები. თეატრის ერთ-ერთი პირველი კონცერტმაისტერი იყო კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი, რომელიც სპექტაკლებს მუსიკალურადაც აფორმებდა (,,საბა ხუცესი", ,,მფრინავაძე", ,,მოგება" ,,საქორწინო მოგზაურობა").

თეატრის უპირველესი ამოცანა იყო საკუთარი რეპერტუარის შექმნა. ამ მიზეზით იგი ეძებდა თავის მწერლებსა და კომპოზიტორებს, აკავშირებდა მათ თეატრის ცხოვრებასთან. დადგმული პიესების ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის თეატრის პირველი წლების მუშაობის ხარისხს-ხასიათს: ,,დანგლა", ,,საკოლმეურნეო ბაზრობა", ,,დელეგატე მართა", ,,მფრინავაძე", ,,ნახუცარი", ,,სცენა ტრამვაიში", ,,საიქიო", ,,საპარიკმახეროში", ,,აურიე კესარია", ,,ორდენები", ,,მეთონე", ,,ნიღაბი", ,,თოქში", ,,თავი სიზმარში მგონია", ,,საბა ხუცესი", 1918 წელი ,,ოქტომბერი" და სხვა.

თეატრის პირველი ნამდვილი შემოქმედებითი წარმატება იყო მაღალ პროფესიულ დონეზე დადგმული სპექტაკლები - ს. ფაშალიშვილის ,,საიქიო" (რეჟისორი მ. ჭიაურელი, კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი) და გალაქტიონ რობაქიძის ,,დანგლა" (რეჟ. მ. ჭიაურელი და გ. რობაქიძე, კომპ. ვ. ცაგარეიშვილი). არსებითი სპექტაკლებიდან დაიწყო თვითმოქმედი ,,კოოპ-თეატრის" პირველი პროფესიულ თეატრად ჩამოყალიბების პროცესი. თეატრი იმთავითვე ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა მაყურებელთა შორის. იმდენად დიდი იყო თეატრისადმი მაყურებელთა მხარდაჭერა, რომ დაარსების ხუთი წლის თავზე თვით მაყურებელმა საზეიმოდ აღინიშნა თეატრის პატარა იუბილე. ამ სიყვარულს გარკვეული საფუძველი ჰქონდა. თბილისის არც ერთი პროფესიული თუ თვითმოქმედი კოლექტივი ისე აქტიურად არ ემსახურებოდა რესპუბლიკის ყველა კუთხეს, როგორც ,,კოოპ-თეატრი", იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს ეხმაურებოდა. მშრომელებთან კონტაქტი, ხალხთან მისვლა დაკანონდა. ყოველწლიურად აპრილიდან ოქტომბრამდე თეატრი წარმოდგენებს მართავდა წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მინდვრებშიც კი, სადაც გაცხოველებული საზაფხულო მუშაობა მიმდინარეობდა. ხშირად სტუმრობდა საავადმყოფოებს და სამხედრო ნაწილებს.

1932 წლის ბოლოსათვის თეატრი შორდება თავის პირველ მეცენატს, საკუთარი შემოსავლით

ინახავს თავს, ხელშეკრულებას აფორმებს ,,გლეხთა სახლთან“ და წარმოდგენებს მართავს როგორც გლეხთა სახლში“ ასევე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. 1934 წლის პირველი იანვრიდან „კოოპ-თეატრი“ გადადის პროფსაბჭოს სისტემაში, ეძლევა სახელმწიფო დოტაცია, დასის წევრები გათავისუფლდნენ წარმოება-დაწესებულებებიდან და თეატრში მუდმივ ხელფასზე გადავიდნენ.

თეატრს ეწოდა ,,მოძრავი მუსიკალური სატირის თეატრი“. იმავე წელს თეატრი გადადის განსახკომის სისტემაში, ხოლო 1935 წ.-დან აღიარებულ იქნა სახელმწიფო თეატრად.

გადიოდა წლები, ,,ერთი დღის ხელოვნებამ“ თავისი მისია შეასრულა და ისტორიას ჩაბარდა. პროფესიული დაოსტატების გზაზე თეატრი გაბედულად კიდებს ხელს ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს, ქართულ და მსოფლიო კლასიკას. თუ ადრე პატარ-პატარა სკეტჩებსა და მინიატურებს მუსიკალური თანხლებით წარმოადგენდნენ, ახლა სცენაზე აღიარებულ დრამატურგიას ვხედავთ, სადაც მუსიკა დრამატურგიასთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, სპექტაკლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ხდება. თანდათან, პრაქტიკულად მომწიფდა საქართველოში პირველი მუსიკალური კომედიის თეატრის დაარსების იდეა (უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მუსიკალური კომედიის თეატრის შექმნა ჯერ კიდევ რევოლუციამდე სცადა ვასო აბაშიძემ, მაკო საფაროვა-აბაშიძემ, დავით მგალობლიშვილმა. ამ მიზნით დადგეს ,,მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ და ,,მეჯლისი იტალიელებით“). 1935-36 წ. სეზონში მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით დაიდგა მოლიერის ,,სკაპენის ოინები“ (თარგმნა გ. ფრონისპირელმა, მუსიკა დაწერა კომპ. ვ. ცაგარეიშვილმა, მხატვრად – პ. ოცხელი, სასიმღერო კუპლეტები დაწერა ს. ფასალიშვილმა, თანარეჟისორი იყო დ. ძნელაძე). კომედიაში დიდი ადგილი დაეთმო მუსიკას, სასიმღერო კუპლეტებს, რეჩიჩატივებს,.

„სკაპენის ოინები“ იყო პირველი საეტაპო სპექტაკლი ამ თეატრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამავე სეზონში დაიდგა ოდრანის ოპერეტა ,,მასკოტა“ (ნატვრის თავლი). ნიადაგი მომზადებული იყო, შემოქმედებით კოლექტივს უნდა გადაეწყვიტა უმთავრესი ამოცანა - სცენაზე განეხორციელებინა თანამედროვე თემაზე დაწერილი ქართული მუსიკალური კომედია. 1937-38 წ.წ. თეატრალურ სეზონში ,,მუსიკალური სატირის“ თეატრში დაიდგა თანამედროვე თემაზე დაწერილი პირველი ქართული მუსიკალური კომედია ვ. კურტიდისა და მ. ლავერბაიას ,,ხაჯარათი“ (დადგეს მ. ჭიაურელმა და დ. ძნელაძემ, მხატვრულად გააფორმა ი. შტენბერგმა). ,,ხაჯარათი“ გახლდათ თეატრის მეორე საეტაპო სპექტაკლი. ამავე სეზონში პირველად იდგმება ქართული კლასიკა - დ. კლდიაშვილის ,,სოლომან მორბელაძის“ მიხედვით შექმნილი მუსიკალური კომედია ,,აზნაურები'' (კომპ. ვ. ცაგარეიშვილი, დამდგმელი რეჟ. გ. რობაქიძე) და თანამედროვე თემაზე დაწერილი ვ. ცაგარეიშვილის, მ. ჯაფარიძისა და გოგიაშვილის მუსიკალური კომედია ,,უჩინ-მაჩინი“.

თეატრი არც თავის პოლიტიკურ პოზიციებს თმობდა, მიხეილ ჭიაურელმა ამავე სეზონში განახორციელა შ. დადიანის ,,ნაპერწკლებიდან“, რომელმაც საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა. ვენური ოპერეტის კლასიკური ნიმუშის განხორცილების ცდა იყო ფრიმლისა და შტოტგარდის „როზ-მარი“, რომელიც დაიდგა 1941 წელს და თეატრის ერთ-ერთ საპატიო სპექტაკლად იქცა (დადგა რეჟ. ა. ჩხარტიშვილმა, მხატვ. - ი. შტენბერგი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი, დირიჟ. ვ. მაჩაბელი).

1941 წელის 7 აგვისტოდან თეატრი კვლავ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, შენობაც სანახევროდ სამხედრო საჭიროებას დაეთმო. საქართველოში ამ ჟანრის ერთ-ერთი თეატრი სრული ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე დადგა. თითქმის ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ კოლექტივი დაშლილიყო, გაფანტულიყო, მაგრამ პირიქით, მძიმე გამოცდის წლებში თეტრმა უდიდესი სულიერი ვაჟკაცობა გამოიჩინა, მთელი კოლექტივი გაასკაცებული ენერგიით მუშაობდა.

1942 წელს მიხეილ ჭიაურელი მიდის თეატრიდან, აქედან მოყოლებული 1952 წლამდე დუდე ძნელაძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხდება. 1947 წელს თეატრს მიენიჭა უპირველესი ქართველი კომიკოს მსახიობის ვასო აბაშიძის საპატიო სახელი. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის განვითარებისა და ფორმირების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, ბუნებრივია, დაუკავშირდა სახელოვან ქართველ კომპოზიტორთა ძველ, საშუალო და ახალგაზრდა თაობის გარკვეულ მოღვაწეებს: დ. არაყიშვილი, კ. მეღვინეთუხუცესი, რ. ლაღიძე, რ. გაბიჩვაძე, ა. კერესელიძე, ზ. აზმაიფარაშვილი, გ. ცაბაძე, რ. მოლორავა, ნ. გაბუნია, ა. შავერზაშვილი, ლ. იაშვილი, შ. ჯოჯუა, ს. ცინცაძე, ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი. 1948-50 წ.წ. თეატრის დირექტორად იყო ვ. მურღულია, ხოლო 1950-53 წლებში - გ. თევდორაძე. 1954 წლიდან 1971 წლამდე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებას ხელმძღვანელობდა შოთა მესხი. ყველა სერიოზული ძვრა, რომელიც მოხდა 50-60-იან წლებში, შ. მესხის და თეატრის დირექტორის, შესანიშნავი ორგანიზატორისა და თეატრალური მოღვაწის, აკაკი შანიძის სახელთან არის დაკავშირებული (1954-1973 წ.წ.). ა. შანიძემ, როგორც თეატრის დირექტორმა, ღირსეულად გაართვა თავი, როგორც ორგანიზაციულ, ასევე შემოქმედებით სიძნელეებს, თეატრს შეემატნენ როგორც კონსერვატორიის, ისე თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული მსახიობები: თ. მერკვილაძე, ე. გურაშვილი, ო. ბახტაძე, დ. მაჭავარიანი, ჯ. თალაკვაძე, ზ. კახიანი, მ. სურგულაძე, ი. ვასაძე, ნ. პეტრიაშვილი, ბ. ბეგალიშვილი.

1972 წელს თეატრის მიერ მთავარ დირიჟორად ინიშნება ავთანდილ მამაცაშვილი, 1973 წლიდან თეატრის დირექტორია თეატრმცოდნე ანზორ ტრაპაიძე, 1975 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად დაინიშნა გურამ მელივა. თეატრში ანშლაგებით მიდიოდა სპექტაკლები: „სიმღერა თბილისზე“, „პერიკოლა“, რომლებმაც გარკვეულად გადამწყვეტი როლი ითამაშეს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის ფორმირებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს

დრამატურგ ლ. ჭუბაბრიას, კომპოზიტორებს: შ. მილორავას და გ. ცაბაძეს. უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ორიგინალური ქართული მუსიკალური კომედიის სცენიურად განხორციელების თითქმის ყველა ცდა ამ გვარებთან არის დაკავშირებული.

გარდა ზემოაღნიშნული რეჟისორებისა, თეატრში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: გაიოზ ქართველიშვილი, ელიზბარ გედევანიშვილი, უშანგი დარჩია, გიგა ლორთქიფანიძე (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), მოწვეული რეჟიოსრები: აკაკი ვასაძე, მიხეილ ოშეროვსკი, ლერი პაქსაშვილი, დავით კობახიძე, შოთა დავითაშვილი და სხვები.

2004 წლის 22 ივნისს თეატრი ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 2004 წლის 4 მაისს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სამხატვრო ხელმძღვანელად ინიშნება დავით დოიაშვილი, ხოლო 2007 წელს 19 მარტს იგი ხდება ამავე თეატრის მმართველი.

თეატრის შენობა

თეატრის შენობა წლების მანძილზე იმყოფებოდა კარკასულ მდგომარეობაში, დასს პრაქტიკულად არ გააჩნდა დარბაზი და სცენა. 2004 წლიდან დაიწყო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მიუხედავად ჩვენი და სხვადასხვა ქველმოქმედთა ძალისხმევისა, ვერ მოხერხდა დიდი სცენის და დარბაზის სრულ სახემდე მიყვანა. ამიტომ, თეატრის ჰოლში მოვაწყვეთ დროებითი ექსპერიმენტალური სცენა და მაყურებელთა დარბაზი, რომელიც მხოლოდ 132 კაცზე იყო გათვლილი. 2005 წლის 14 იანვარს მოხდა მცირე სცენად ტრანსფორმირებული ფოიეს გახსნა (თეატრის ოფიციალური გახსნა საპრემიერო სპექტაკლით – ჯ.როსინის ოპერა-ფარსი "საქორწინო გარიგება"). და მას შემდეგ, უკვე ცხრა წელია, სწორედ ამ სცენაზე ვთამაშობთ სპექტაკლებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მაყურებელთა ინტერესი ჩვენი თეატრის მიმართ. იმ პირობებშიც კი, როდესაც ფოიეში მოწყობილ იმპროვიზირებულ სცენას არ გააჩნია თეატრის სცენისთვის საჭირო არცერთი აუცილებელი ატრიბუტი (შტანგეტები, კულისები, ფარდა, საგრიმიოროები და ა.შ.), თეატრის კოლექტივი მაინც ახერხებს საინტერესო და მაღალმხატვრული პროდუქციის შექმნას.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
დაარსების თარიღი - 1926 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები – სამხატვრო ხელმძღვანელი/დირექტორის, მოვალეობის შემსრულებელი – დავით დოიაშვილი, საფინანსო განყოფილების უფროსი – ლევან აბულაძე
თეატრის ელ ფოსტა - info@musictheatre.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - doiashvili@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - www.musictheatre.ge
თეატრის მისამართი - დავით აღმაშენებლის გამზ.# 182

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:

მსახიობთა რაოდენობა – 49
შემოქმედებითი პერსონალი – 18
ტექნიკური პერსონალი – 46
ადმინისტრაცია – 14

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	708 000			
2012	1 111 789			
2013	1 139 711			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან

2011 წელი - 67 507 ლარი
2012 წელი - 53 559 ლარი
2013 წელი - 56 330 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა

2011 წელი

#	სპექტაკლის დასახელება	რაოდენობა
1	იყო და არა იყო რა	11
2	ვერის უბნის მელოდიები	12
3	გაყრა	7
4	მაკბეთი	3
5	მუსიკის ჰანგები	2
6	აკრძალული თამაშები	13
7	სირანო დე ბერჟერაკი	11
8	წერილები ღმერთს	5
9	მერი პოპინსი	5

სულ 69 წარმოდგენა

2012 წელი

#	სპექტაკლის დასახელება	რაოდენობა
1	იყო და არა იყო რა	8
2	მერი პოპინსი	11
3	აკრძალული თამაშები	3
4	ვერის უბნის მელოდიები	7
5	წერილები ღმერთს	1
6	გაყრა	10
7	ფსიქოზი 4-48	8
8	პანთეონი	7
9	მაკბეთი	2
10	კარმენი	7
11	რომეო და ჯულიეტა	2
12	(შუა)ზაფხულის ღამის სიზმარი	6

სულ 72 წარმოდგენა

2013 წელი

#	სპექტაკლის დასახელება	რაოდენობა
1	კარმენი	11
2	გაყრა	16
3	(შუა)ზაფხულის ღამის სიზმარი	15
4	ანტიგონე	10
5	აკრძალული თამაშები	10
6	ფსიქოზი 4-48	4
7	წერილები ღმერთს	3
8	იყო და არა იყო რა	7
9	მერი პოპინსი	3
10	პანთეონი	2
11	ცეცხლსახოვანი	2
12	სიყვარულისთვის	3
13	ინტერმედია	2
14	მოჩვენებები	4
15	მაკბეთი	1

სულ 93 წარმოდგენა

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 – 69
2012 – 72
2013 – 93

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 – 6 368
2012 – 6 079
2013 – 6 272
ბილეთის ფასი და ტარიფები
8 ლარი – 10 ლარი

თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან 2011-2013 წლებში წლების მიხედვით
2011 წელი - 52 714 ლარი
2012წელი - 44 840 ლარი
2013 წელი - 43 660 ლარი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 6500 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 1500 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 1500 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 50 ლარი (ნათამაშები სპექტაკლების მიხედვით)

რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი - 1040 ლარი
უმდაბლესი - 300 ლარი

თეატრი გასტროლებზე 2011-2013 წლებში

ქვეყნის შიგნით – არა
2013 წელი 14 იანვარი – ქალაქი ქუთაისი – სპექტაკლით ,,გაყრა“ – ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით

ქვეყნის გარეთ
2011 წელი
საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ერევანი, სომხეთი, ,,მაკბეთი“
– რეჟისორი დავით დოიაშვილი
საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ლუბლინი, პოლონეთი, ,,მაკბეთი“
– რეჟისორი დავით დოიაშვილი

2012 წელი
საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,Moldfest Rampa.Ru“, კიშინიოვი, მოლდოვა, ,,ფსიქოზი 4.48“ – რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი
კოლაბორაციული პროექტი ,,Date with Carmen“ ლონდონის ,,Moving Theatre“-თან ერთად, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, ,,კარმენი“ (ქორეო-დრამა) – დამდგმელი ქორეოგრაფი კონსტანტინ ფურცელაძე
საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,Festival Iberoamerikano de Teatro de Bogota“ ბოგოტა, კოლომბია, ,,მაკბეთი“ – რეჟისორი დავით დოიაშვილი

2013 წელი
მუსიკალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,Life is Beautiful“ - ბუქარესტი, რუმინეთი - ,,კარმენი“ (ქორეო-დრამა) – დამდგმელი ქორეოგრაფი კონსტანტინე ფურცელაძე
საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,SIRENOS“ - ვილნიუსი, ლიტვა - ,,მაკბეთი“
– რეჟისორი დავით დოიაშვილი
ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, იალტა, უკრაინა ,,ფსიქოზი 4. 48“
– რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი
ედინბურგის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,Fringe“, ედინბურგი, შოტლანდია - ,,(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“ – რეჟისორი დავით დოიაშვილი
,,Cultural Night“ პერფორმანსი პრეზიდენტის სასახლეში, ვილნიუსი, ლიტვა - ,,კარმენი“ (ქორეო-დრამა) – დამდგმელი ქორეოგრაფი კონსტანტინე ფურცელაძე
კერალას საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ტრიშური, კერალა, ინდოეთი - ,,კარმენი“ (ქორეო-დრამა) – დამდგმელი ქორეოგრაფი კონსტანტინე ფურცელაძე

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით – გააჩნია კონტრაქტის პირობებს
საზღვარგარეთ – გააჩნია კონტრაქტის პირობებს
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით – არა
ქვეყნის გარეთ – გვაქვს შემოთავაზება ATM-ისგან
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) 2011-2013 წწ. – თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სპექტაკლებს
კოპროდუქცია (2011-2013 წწ.)
კოლაბორაციული პროექტი ,,Date with Carmen" ლონდონის ,,Moving Theatre"-თან ერთად , ლონდონი, დიდი ბრიტანეთი ,,კარმენი" (ქორეო-დრამა) – დამდგმელი ქორეოგრაფი კონსტანტინ ფურცელაძე

რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ – გააჩნია კონტრაქტის პირობებს. ასე, მაგალითად, კოლაბორაციული პროექტი ,,Date with Carmen" ლონდონის ,,Moving Theatre"–თან ერთად (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) დაჯდა 10 000 euro

გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დავით დოიაშვილი, გურანდა იაშვილი
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) – 2 (ორი) ადამიანი

გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება – გვაქვს შემოთავაზება ATM–სგან, თუმცა საწევრო საკმაოდ ძვირია, რის გამოც თეატრი ამ ეტაპზე თავს იკავებს გაწევრიანებისგან
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება – დიახ, სასურველია

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა – ლევან კახელი (23.01.1988 წ.)
ყველაზე ხანდაზმული – თინათინ მერკვილაძე (14.05. 1929)
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? – 2014 წელი – მუსიკალური სპექტაკლი ,,ჩიპოლინო" (გრაფინია ალუბლა)

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2013 წელი – საერთაშორისო თეატრალური პრემია ,,დურუჯი"
1 . საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი – დავით დოიაშვილი (სპექტაკლით ,,(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი" უ. შექსპირი)
2. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის – არჩილ სოლოღაშვილი (სპექტაკლით ,,(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი" უ.შექსპირი)
3. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის – ანა ალექსიშვილი (სპექტაკლით ,,(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი" უ. შექსპირი)

2012 წელი – საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი "Festival Iberoamerikano de Teatro de Bogota" (ბოგოტა, კოლუმბია)
საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი – დავით დოიაშვილი (სპექტაკლით ,,მაკბეთი" უ. შექსპირი

2011-2013 წლების რეპერტუარი

,,აკრძალული თამაშები"
ედნა მაზია
პიესა თარგმნა – მამუკა ბუცხრიკიძემ
დამდგმელი რეჟისორი – მანანა ბერიკაშვილი
სცენოგრაფი – მერაბ მოისწრაფიშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ელენე მალაზონია
ქორეოგრაფი – არჩილ სოლოღაშვილი
მუსიკალური გამფორმებელი – მარიამ ლოლაძე
ფოტოინსტალაცია – ნიკუშა მდივანი
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი

სპექტაკლის პრემიერა შედგა 2011 წლის 25 თებერვალს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დვორი მიხნასი, ბრალმდებელი – ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი
ასაფ სახაროვი, ვექილი – გიორგი ვარდოსანიძე
შმუელ კუპერი, ვექილი – სანდრო დავითაშვილი
სელა ბოროხოვი, ვექილი – კახაბერ კინწურაშვილი
გიდი ბაცარი, ვექილი – დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე

„სირანო დე ბერჟერაკი“
ედმონ როსტანი
პიესა თარგმნა მანანა ანთაძემ
რეჟისორი – დავით დოიაშვილი
სცენოგრაფი – მურაზ მურვანიძე
კოსტიუმების მხატვარი – ანანო მოსიძე
ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე
სასცენო მოძრაობა – კახა ხოშტარია
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2011 წლის 16 აპრილს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
სირანო დე ბერჟერაკი – იმედა არაბული
პირველი როქსანა – ანა ალექსიშვილი
მეორე როქსანა – ნინო მითაიშვილი
მესამე როქსანა – ბუბა გოგორიშვილი
მეოთხე როქსანა – ნანკა კალატოზიშვილი
მეხუთე როქსანა – ნანა ბუთხუზი
ბარონ კრისტიან დე ნევილიეტი – თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ვარდოსანიძე
გრაფ დე გიში – არჩილ სოლოღაშვილი
ლე ბრე – დავით ბეშიტაიშვილი
რაგნო – ალეკო ბეგალიშვილი
ლიზა - ანა ზამბახიძე
ვიკონტ დე ვალვერი – კახა კინწურაშვილი
მონფლერი, კარბონ დე კასტელ ჟალუ – ბადრი ბეგალიშვილი
თეატრის დირექტორი, ბერი - ტატო ჩახუნაშვილი
გვარდიელები: გოგა მოძმანაშვილი, გარი ბაღდასაროვი, ტატო ჩახუნაშვილი, კახა კინწურაშვილი, დავით ბეშიტაიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი
მცხობელები: ანა ალექსიშვილი, ნანა ბუთხუზი, ნანკა კალატოზიშვილი, ნინო მითაიშვილი

„წერილები ღმერთს“
ერიკ - მანუელ შმიტი
,,ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონის“ მიხედვით
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2011 წლის 16 ნოემბერს
პიესა თარგმნა - გია ჯოხაძემ
რეჟისორი – მამუკა ტყემალაძე
სცენოგრაფი, კოსტიუმებისა და მულტ. პერსონაჟების მხატვარი - ნინო თათარაშვილი
ანიმაცია – სტუდია ,ოპიო“
მონაწილეობენ:
ვარდისფერი ქალბატონი - ნინელი ჭანკვეტაძე
ოსკარი - კახა კინწურაშვილი

„ფსიქოზი 4.48“
სარა კეინი
თარგმანის ავტორი – თამუნა ჯაფარიძე
რეჟისორი – მაკა ნაცვლიშვილი
დამდგმელი მხატვარი – ნინო კიტია
მუსიკალური გამფორმებელი – გიორგი აფხაზავა
რეჟისორის ასისტენტი – ნინო ჭავჭავაძე
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2012 წლის 9 თებერვალს
მონაწილეობენ: მარი კიტია, რუსკა მაყაშვილი

პანთეონი
ლაშა ბუღაძე
(სპექტაკლი ერთ მოქმედებად)
სპექტაკლის ხანგრძლივობა 80 წთ
პიესის ავტორი – ლაშა ბუღაძე
რეჟისორი – გურანდა იაშვილი
კოსტუმების მხატვარი – ანანო მოსიძე
ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2012 წლის 25 აპრილს
მონაწილეობენ:
ზეინაბ უნგიაძე - ნინო გომართელი
კონსტანტინე უნგიაძე - გიორგი ტორიაშვილი
ვერა ანჩაბაძე - მარინა ჯოხაძე
ვიქტორ ანჩაბაძე - გოგა მოძმანაშვილი
სანდრო უნგიაძე - ტატო ჩახუნაშვილი
ელისო - ცისია მეტრეველი
მინისტრი ნოდარ მუხიგული - გიორგი ყველაშვილი
ქალბატონი ვალერია - სალომე ყიფიანი
საკო, ნანული - ანა ზამბახიძე
მანჯუ - ანა ჯავახიშვილი

რომეო და ჯულიეტა
უილიამ შექსპირი
ტრაგედია ორ მოქმედებად
თარგმანი – ნინო კანტიძისა და დავით მღებრიშვილის
დამდგმელი რეჟისორი – დავით მღებრიშვილი
მხატვარი – თამარ ოხიკიანი
მუსიკალური გაფორმება – საბა ჯოჯუა
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
პრემიერა შედგა 2012 წლის 12 ოქტომბერს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ჯულიეტა – ანუკა გრიგოლია
რომეო – სანდრო დავითაშვილი
ჯულიეტას ძიძა – ნანკა კალატოზიშვილი
ესკალუსი ვერონის პრინცი – გიგი ქარსელაძე
მონტეგი დიდგვაროვანი - ალეკო ბეგალიშვილი
კაპულეტი დიდგვაროვანი – გიორგი ყველაშვილი
მონტეგის მეუღლე – ბუბა გოგორიშვილი
კაპულეტის მეუღლე –ნინო მითაიშვილი
ბერი ლორენცო - ბადრი ბეგალიშვილი
პარისი, ახალგაზრდა კეთილშობილი ესკალუსის ნათესავი – იმედა არაბული
ტიბალტი, ქალბატონი კაპულეტის ძმისწული – თორნიკე გოგრიჭიანი
მერკუციო, პრინცის ნათესავი და რომეოს მეგობარი – დავით ბეშიტაიშვილი
ბენვოლიო, რომეოს მეგობარი – დევი ბიბილეიშვილი

კარმენი
ქორეოგრაფიული დრამა ერთ მოქმედებად
მუსიკა – ბიზე-შჩედრინი
ლიბრეტო – პროსპერ მერიმე
დამდგმელი ქორეოგრაფი – კონსტანტინე ფურცელაძე
კოსტუმების მხატვარი – ანანო მოსიძე
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
სპეტქკლის პრემიერა შედგა 2012 წლის 23 სექტემბერს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
კარმენი – ანა ალექსიშვილი
ხოსე – ბაჩო ჩაჩიბაია
ტორეადორი – არჩილ სოლოღაშვილი
ლეიტენანტი – გიორგი ტორიაშვილი

ქორო: ქეთევან ასათიანი, ნუცა გუჩაშვილი, ეკატერინე დემეტრაძე, ანა წერეთელი, ანა ჯავახიშვილი, გიორგი ბახუტაშვილი, ლევან კახელი, გიგი ქარსელაძე

„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“
უილიამ შექსპირი
თარგმანი - ვახტანგ ჭელიძე
ადაპტირებული ტექსტის ავტორი – მანანა ანთაძე
რეჟისურა და სცენოგრაფია – დავით დოიაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ანანო მოსიძე
ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე
ვიდეოპროექცია – სტუდია „ზებრა“
ანიმაციური ვიდეო – სტუდია ..ოპიო“
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2012 წლის 14 დეკემბერს
მოქმედნი პირნი და შემსრულებელნი:
თეზევსი, ობერონი – კახა კინწურაშვილი
იპოლიტა, ტიტანია – ბუბა გოგორიშვილი
ფილოსტრატე, პაკი – არჩილ სოლოღაშვილი
ეგეოსი – დავით ბეშიტაიშვილი
ჰერმია – ანა წერეთელი
ელენე – ანა ალექსიშვილი
ლისანდრე – ლევან კახელი
დემეტრიოსი – გიგი ქარსელაძე
მსახიობები:
კომშა, რეჟისორი – ტატო ჩახუნაშვილი
კოჭა, პირამოსი – გიორგი ვარდოსანიძე
სტვირა, თისბე – ალეკო ბეგალიშვილი
კოხტაპრუწა, ლომი – ნატა ბერეჟიანი
კნაჭა, მთვარე – გიორგი ტორიაშვილი
დრუნჩა, კედელი – გიორგი ბახუტაშვილი

ანტიგონე
სოფოკლე
ტრაგედია ერთ მოქმედებად
ადაპტირებული ტექსტის ავტორი – დავით გაბუნია
რეჟისორი – პაატა ციკოლია
მხატვარი – ქეთი ნადიბაიძე
კომპოზიტორი – არჩილ გიორგობიანი
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
სცენიური მოძრაობის კონსულტანტი – მარიამ ალექსიძე
ტექსტში გამოყენებულია გ. ხომერიკის, ფ.ზელინსკის, ს.შერვინსკის, პ. პოზნიაკოვის, დ. გაჩეჩილაძის, ფ.სტორის და სხვათა თარგმანები.
სპექტაკლი პრემიერა შედგა 2013 წლის 21 თებერვალს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ანტიგონე – ანა წერეთელი
კრეონტი – ალეკო ბეგალიშვილი
ისმენე – ანა ზამბახიძე
ჰემონი – ლევან კახელი
ტორესიას – ანდრო ბარათაშვილი
ევრიდიკე – ეკა დემეტრაძე
ქორო - გიორგი ვარდოსანიძე, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი ბახუტაშვილი
კორიფე – ანა ნიკოლაიშვილი

ცეცხლსახოვანი
მარიუს ვონ მაინბურგი
სპექტაკლი ერთ მოქმედებად
თარგმანი - შორენა შამანაძე
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2013 წლის 6 ოქტომბერს
რეჟისორი და მხატვარი – დავით პაპავა-გურჯი

კოსტიუმების მხატვარი – მარიამ შენგელია
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
ვიდეო-ინჟინერი – მამუკა გაბინაშვილი
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მამა – დავით ბეშიტაიშვილი
დედა – ცისია მეტრეველი
ჰელგა – ანა წერეთელი
კურტი – გიორგი ბახუტაშვილი
პოლი – გიგი ქარსელაძე

სიყვარულისთვის…
ქორეოგრაფიული დრამა ერთ მოქმედებად
მუსიკა – ოლაფურ არნალდსი, ჟან ბანგი, ვანგელისი, ლინსი სტირლინგი.
ლიბრეტო - უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მოტივებზე
დამდგმელი რეჟისორი და ქორეოგრაფი – თინათინ ქოიავა
სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი – ნინო ტაბატაძე
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ბექა მაღლაკელიძე
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2013 წლის 24 ოქტომბერს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
რომეო - გიორგი ძაგანია
ჯულიეტა - მაიკო ვაწაძე
ტიბალტი - ამირან ქაჩიბაია
მერკუციო - გიორგი ტატიშვილი
ჯულიეტას მეგობარი გოგონები - ქეთი გიორგაძე, თინი გალდავა
ლორენცო - გიორგი გოგუაძე
რომეოს მეგობრები:
ლაშა ხურციძე
გიორგი ალიმბარაშვილი
ნინი ლელუაშვილი
თიკო თაბაგარი
ტიბალტის მეგობრები:
ირაკლი ბიგვავა
თენგო ზარდიაშვილი
ნიკა ნიკოლაძე
ქეთი ეღიკაური
ანა ტაბატაძე

ინტერმედია
ერიკ - ემანუელ შმიტი
„ორი სამყაროს გასაყარზე“ და „კიკი ვან ბეთჰოვენის“ მიხედვით
თარგმანი – მერაბ ფიფია
რეჟისორი – ნინო ბურდული
მხატვარი – ნინო ბურდული
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2013 წლის 1 ნოემბერს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ბიჭი – გიგი ქარსელაძე
შ - ნატა ბერეჟიანი
კიკი – ბუბა გოგორიშვილი
მაგი – ზაზა ვაშაყმაძე
პრეზიდენტი – ტატო ჩახუნაშვილი
ლორა – ეკა დემეტრაძე
ჟულიენი – სანდრო დავითაშვილი

მოჩვენებები
ჰენრიკ იბსენი
თარგმანი - დავით გაბუნია
რეჟისორი – მიშა ჩარკვიანი

კომპოზიტორი – ნიკა ფასური
მხატვარი – ლევან ოჩხიკიძე
განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი
რეჟისორის თანაშემწე – ნინო დაშნიანი
სპექტაკლის პრემიერა შედგა 2013 წლის 26 ნოემბერს
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ჰელენე ალვინგი – ბუბა გოგორიშვილი
ოსვალდი – კახა კინწურაშვილი
პასტორი მანდერსი – ზაალ ჩიქობავა
ენგსტრანდი – ალექსანდრე ბეგალიშვილი
რეგინა ენგსტრანდი – ანა წერეთელი

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - კი
საგამოფენო სივრცე - კი
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - კი
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - არა

ტექნიკური აღჭურვა
განათება
განათების მართვის პულტი 1 ცალი – licon-1
მოძრავი განათების აპარატი (სკანერი) 20 ცალი – varyscan p-6
სანათი აპარატი - ETC 5ცალი
სანათი აპარატ ი - frensel -750 6 ცალი
სანათი აპარატი - PAR-64 20 ცალი
სანათი აპარატი - PAR LED 12 ცალი
სანათი აპარატი - FOLOW SPOT 2 ცალი

გახმოვანება
გახმოვანების პულტი 1 ცალი -MAK
დინამიკების სიმძლავრე 2 კოლოვატი
მინიდისკ პლეერი 2 ცალი SONY
დვდ პლეერი 1 ცალი LG
მიკროფონი 3 ცალი SHUR
რადიომიკროფონი 5 ცალი YAMAHA

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
თეატრს აქვს ერთი სათამაშო მოედანი.
თეატრის ერთადერთი დარბაზში განთავსებულია მხოლოდ ამფითეატრის ტიპის პარტერი 132 კაცზე.

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე - 8 მეტრი
სცენის სიგანე - 15 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 5 მეტრი
იატაკიდან გამოყენებამდე - 5 მეტრი
სარკის სიგანე - 15 მეტრი
სარკის სიმაღლე - 4.40 მეტრი
სცენის წრის დიამეტრი - არა
სცენის მარჯვენა ჯიბე - სპეციფიკური 7მX8მ
სცენის ამრცხენა ჯიბე - სპეციფიკური 6მX8მ
შტანგეტების რაოდენობა - სპეციფიკური 1 ცალი
შტანგეტებს შორის ინტერვალი - არა
სოფიტების რაოდენობა - სპეციფიური 1 ცალი
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - არა
მოძრავი პორტალების სიმაღლე - არა
მოძრავი პორტალების სიგანე - არა

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან დავით დოიაშვილთან

– საქართველოში ხელოვნების, ზოგადად კულტურის სპონსორობის პრობლემა დგას. რას ფიქრობთ ამის შესახებ და რას ნიშნავს სპონსორობა?

- ყოველთვის ვამბობდი, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, სანამ არ მიიღებენ კანონს სპონსორობის შესახებ, რაიმეს გაკეთების შანსი ნულია. თუ არ შეიკრიბება ძალიან სერიოზული ხალხი: პარლამენტარები, თეატრის ხელმძღვანელები, კულტურის სამინისტრო და არ მიიღებენ კანონს სპონსორობის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოშია მიღებული, რითიც არსებობს ყველა ნორმალური თეატრი, სანამ არ შეიქმნება ცალკეული ფონდები, მანამდე არაფერი გამოვა. თეატრი ყოველთვის იქნება ჩამოკიდებული სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფოს არასდროს არ ექნება იმდენი სახსრები, რომ ამდენ თეატრს, თუნდაც, ერთ თეატრს გაუძღვეს. მე მახსოვს, ჯერ კიდევ ადრე ამაზე დავიწყეთ მუშაობა, თითქმის გავაკეთეთ, სესილი გოგიბერიძე იყო მაშინ ჩართული ამ ყველაფერში, მაგრამ ვერ გავიდა ეს კანონი, ერთი ეტაპი გადალახა მხოლოდ. შემდეგ, სააკაშვილის დროსაც აქტიურად დავიწყეთ ამაზე მუშაობა, მაგრამ მაშინაც არ მიეცა ამას მსვლელობა. თუ ეს გაკეთდება, ყველა თეატრს მოევლება. ეს არის ჩემი აზრი.

– გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები და კონკრეტულად თუ შეგიძლიათ დაასახელოთ ვისთვის?

- დღესდღეობით ძალიან ძნელია კონკრეტულად ეძებო სპონსორი. შენ მიდიხარ სპონსორთან და ეუბნები, რომ მან უნდა მოგცეს, ვთქვათ, 10000 ლარი, ის ზემოდან კიდევ იბეგრება იმისთვის, რომ შენ გაძლევს ამ თანხას. ანუ, როცა შენ სთხოვ მანეთს, ფაქტობრივად, შენ სთხოვ სამ მანეთს. ამის გამო საქართველოში ძალიან რთულია სპონსორობა. ერთადერთი, რაც მეტნაკლებად, ამ ეტაპზე შესაძლებელია, გარკვეულ ფონდებთან მუშაობა და კოალოგორაცია, ანუ კოპროდუქციები საზღვარგარეთის თეატრებთან. ჩვენ გვქონდა რამდენიმე ასეთი კოალოგორაცია. აი, ვთქვათ „კარმენი“. შევთავაზეთ პროექტი, უფრო სწორად, წამოვიდა იდეა და მერე შევთავაზეთ, ჩვენ რას გავაკეთებდით. ჩვენ გავაკეთეთ მიმოდრამის სახით, ვიღაცამ გააკეთა რადიოპროექტი „კარმენი“ და ევროკავშირმა დააფინანსა ეს პროექტი. რამდენიმე სპექტაკლი დააფინანსა გოეთეს ინსტიტუტმა, ახლა შეიძლება უნგრეთთან ერთად სამსახიობო გაცვლა გავაკეთოთ. ნახევარზე მეტ თანხას იხდის უნგრეთის მხარე. რასაკვირველია, გარკვეული სასპონსორო შეთავაზებები გვაქვს. მაგალითად, ასეთი სასპონსორო შეთავაზება იყო „ლურჯი ფრინველი“. რეალურად ფილმი გადავიღე მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკა, დეკორაცია დამრჩენოდა და გადმოსულიყო თეატრში. დაახლოებით ამ დონეზე წყდება ეს შეთავაზებები. მით უმეტეს, მე ვარ მუსიკისა და დრამის თეატრი. მინდა, არ მინდა, უნდა ვაკეთო მიუზიკლები, ეს ჩემი მოვალეობაა. მუსიკა დღეს იმდენად ძვირი ჯდება, რომ ვერანაირი თეატრალური სახსარი ამას ვერ უძლებს. ვთანამშრომლობ ნიკა მემანიშვილთან, ის ჩემი მეგობარია და ამაში ფულს არ იღებს. აი, ასე, ვცვლით ხოლმე, მე იმას ვეხმარები რაღაცის დადგმაში, მერე ის მოდის და მე ორკესტრით მეხმარება. ყველაზე კარგია ფონდებთან თანამშრომლობა. ახლა, მაგალითად, რუმინეთმა დაუკვეთა სპექტაკლი კოტე ფურცელაძეს. ისინი თავისთავზე იღებენ ყველაფრის დაფინანსებას. აი, ასეთი ტიპის შეთავაზებებით ვარსებობთ.

– 2011-2013 წლებში თუ გითანამშრომლიათ რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- გვქონდა თანამშრომლობა „ჯეოსელთან“. იყო „საქართველოს ბანკი“. ზოგჯერ ისეთი წინადადებებით მოდიან, თანხმდები, რაც არ უნდა იყოს, არადა, ეს ცოტა რთული პროცესია, მით უფრო საქართველოში. უფრო მარტივია ფონდებთან ურთიერთობა.

– ანუ, ჯერჯერობით, სანამ ეს კანონი შემოვა, ჯობია ამ ფონდებთან ურთიერთობა?

- სამწუხაროდ, სხვა შანსი არ არის. მაგალითად, კულტურის სამინისტროში არის სადადგმო ხარჯები. ჩემთვის ესეც ძალიან ბევრია. იქითა წლიდან შევცვლი ჩემ მიერ არჩეულ ტენდენციას თუ ამ ფონდებთან ურთიერთობა კარგად აგვეწყო. მინდა გავაკეთო ასეთი რამ, სამი წლის განმავლობაში, ახალგაზრდები, რომლებიც მომწონდა, მომყავდა თეატრში. ახალგაზრდების მოყვანა კი ნიშნავს, რომ უნდა ირბინო იმათ ფულზე თავიდან ბოლომდე, მეორეც, არ იცი, რას შემოგთავაზებენ. არ მინდა, რომ უხეში ჩარევა მქონდეს ახალგაზრდებთან, ამიტომ, რაც უნდათ კონკრეტულად, ის გააკეთონ. თეატრი ყველაფერს მთლიანად იღებს თავის თავზე.

– და გაქვთ საშუალება, რომ ეს ახალგაზრდა მსახიობები შტატში აიყვანოთ?

- შტატი, - ასეთი ცნება უკვე გაუქმებულია. კულტურის სამინისტროსთან არსებულ ყველა ორგანიზაციას სიპის გაძლევენ კონკრეტულ ბიუჯეტს, დავუშვათ - 10 ლარს და ამ 10 ლარში უნდა ჩაეტიო. ამიტომ თავიდან, ვინც მომყავს, ყოველთვის გამოსაცდელი პერიოდით. თუ მივხვდი, რომ შევძლებ მასთან მუშაობას, შემდეგ უკვე ვიყვან საპატიო დასში, ხელშეკრულებით.

– განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში ძლიერ პარტნიორად?

- ნამდვილად განვიხილავ და ჩვენს თეატრს ბევრი რამ აქვს, რაც სპონსორს შემდგომში გამოადგება. ვთქვათ, მაქვს უფასო რეკლამა ტელევიზიით, მაქვს ძალიან ბევრი ადგილი ბილბორდისთვის, პლაკატისთვის, რაც სპონსორს სჭირდება. ერთადერთი, ღმერთმა ქნას, და ეს თეატრი აშენდეს, მაშინ ის გახდება 800-კაციანი; სპონსორისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულად ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით მის სასპონსორო ლეიბლს ნახავს 10000 კაცი. მე ჯერ კიდევ მცირე დარბაზში ვმუშაობ, სადაც სულ 130-150 ადგილია. ეს არ არის მაინცდამაინც მომგებიანი შეთავაზება სპონსორისთვის.

ამიტომ დიდი დარბაზი თუ გაკეთდა, ბევრად უფრო საინტერესო იქნება სპონსორებთან ურთიერთობა.

- და დაადგება ამ თეატრის გაკეთებას საშველი?

- გვეუბნებიან, რომ დაადგება. ასე გვეუბნებიან უკვე 9 წელია.

- როგორ განიხილავთ სპონსორობას, გაქვთ თუ არა კომპანიებთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა თუ ეს არის ფულის შოვნის საშუალება?

- გააჩნია რა შემთხვევაში. ურთიერთობა შეიძლება იყოს ერთჯერადიც, არ გამოვრიცხავ ასეთ ხელშეკრულებებს, მაგრამ რეალურად მე უნდა მაწყობდეს. ჩემთვის მთავარი არის, რა პირობებს მთავაზობს სპონსორი. ხშირად ყოფილა, დიდ ფულს გვაძლევენ რაღაცის გაკეთებაში, მაგრამ უარი გვითქვამს. ვთვლით, რომ ჩვენ ის არ უნდა გავაკეთოთ. ეს შემიძლია ვთქვა, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან ურთიერთობაზე.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგულ საქმიანობას და რა ვადებზე გაქვთ გაწერილი?

- ფანდრეიზინგი თავისთავად ძალიან რთული პროცესია. თუ მაგალითად, დღეს იწყებ ფანდრეიზინგს ჩვეულებრივ ევროპულ ქვეყანაში და ეძებ ფულს, ეს ნიშნავს, რომ ორწელიწადნახევარში იშოვნი იმ ფულს. რეალურად, ეს არის თეატრისთვის სასიკვდილო პერიოდი, ვინაიდან ამ პერიოდში რაღაცით უნდა იარსებო. არის პროექტები, რომლებიც შარშან გვაქვს დაწყებული. მაგალითად, ევროკავშირის ფონდთან, ევრაზიის ფონდთან, იუნესკოსთან, ვისთანაც ამ შემთხვევაში გვაქვს ურთიერთობა და გაწერილია გრძელვადიან პარტნიორობაზე. 2015 წლიდან, ალბათ, წამოვა გარკვეული დაფინანსებები და უფრო ხელგაშლილები ვიქნებით დადგმაშიც. მაგალითად, უცებ აღმოვაჩინეთ, რომ იაპონიის რომელიღაცა ფონდი აკეთებს სწორედ თეატრებზე ინვესტირებას. მივწერეთ და შეიძლება ჩამოვიდეს ძალიან დიდი კოლექტორი, რომელიც ძვირი ღირს და მიხარია, რომ შედგა ეს თანამშრომლობა. აი, ასე გავდივართ ფონს, მაგრამ ფანდრეიზინგი ძალიან ხანგრძლივი პროცესია და ამას ვაკეთებთ საკუთარი თანხებით.

- როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები საკმარისია თუ არა თეატრის შემოქმედებითი პროცესის წარმართვისათვის?

- იმის მიხედვით, თუ როგორი გეგმა და მიმართულება გაქვს აღებული, რაღაც მომენტში შეიძლება იყოს საკმარისი, რაღაც მომენტში - არა. გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ ამჟამად გამოცვლილია ურთიერთობა იმავე კულტურის სამინისტროს მხრიდან, ყოველ შემთხვევაში, მოსმენა მაინც დაიწყეს. გიფინანსებენ თუ არა, ეს ცალკე თემაა, მაგრამ გისმენენ. თუ ასე წავიდა, შეიძლება თანამშრომლობა შედგეს.15 წლის წინ მქონდა ასეთი შემთხვევა, ლიტში უნდა დამედგა „ზაფხულის ღამის სიზმარი“. დამირეკეს და მითხრეს, რომ დადგმისთვის გვაქვს 2 მილიონი ფუნტი და შესაბამისი იდეა თუ გაქვს, რომ გამოაგზავნოო?! მივხვდი, რომ არა მაქვს, აი ფულის ასათვისებელი შესაბამისი იდეა. თუმცა, მუშაობა რომ დამეწყო, ალბათ, ვიტყოდი, რომ ფული მაკლია. ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფო ძალიან ხელმოკლეა, მიუხედავად იმისა, ყველაზე დაბალი ბიუჯეტი, ყველაზე დაბალი ხელფასები ამ თეატრშია. მგონია, რომ კარგი მენეჯმენტის პირობებში, შეიძლება ასჯერ უკეთესად მუშაობა.

- ზოგადად კულტურას, ვთვლი, რომ ყველაზე დაბალი დაფინანსება აქვს და ეს არ არის სწორი.

- სანამ მთავრობა არ მიხვდება, რომ ეს არის არა უბრალოდ განვითარება, არამედ ის მარგალიტი, რომლითაც შეუძლიათ სერიოზული ბიზნესის გაკეთება, მანამდე არაფერი არ გვეშველება.

- 2011-13 წლებში მარკეტინგული თვალსაზრისით რა იყო თეატრის ყველაზე დიდი წარმატება?

- ზუსტად ვერ გეტყვი. მე არ ვჯდები იმ სტანდარტში, რა სტანდარტითაც შეიძლება ამ შემთხვევაში თეატრზე მსჯელობა. სულ 130 ადგილი გვაქვს და ძალიან უნდა მოინდომო, ისეთი რამე დადგა, რომ ბილეთი არ გაგეყიდოს. საბავშვო სპექტაკლი - ეს არის გარანტირებული ფინანსური წარმატება, როგორც კი ქართულ ვოდევილს ან მიუზიკლს დგამ, ეს გარანტიაა იმისა, რომ შემოსავალი გექნება ძალიან დიდი. თუმცა, ძალიან დიდია სხვაობა აქაურ და უცხოურ ბაზრებს შორის, ანუ, აქ რა იყიდება და იქ რა იყიდება. გააჩნია, რა წარმატებებზე მელაპარაკებით. თუ ლაპარაკია იმაზე, აქ რა გაიყიდა კარგად, შემიძლია დაგისახელოთ სპექტაკლები, რაც აქ გაიყიდა კარგად. თუ მელაპარაკებით, იქ რა გაიყიდა კარგად, შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მაკბეთი“. თეატრი გადავიდა იმ საფეხურზე, როცა სახელმწიფო თითქმის არ იხდის თეატრის გასტროლების თანხას. მომწვევი მხარე მთლიანად აფინანსებს მას და თითო სპექტაკლში მინიმუმ აძლევს 8000 ევროს. ეს არის მინიმუმი, რასაც ჩვენ დღეს ვიღებთ. „მაკბეთის“ გასვლა ამ წელიწადში 6-ჯერ იყო და ეს არ შეედრება იმ შემოსავალს, რომელსაც აქ ვიღებთ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენს თეატრში განსაკუთრებით არის გაყოფილი ეს ორი ზღვარი. ანუ, არის რაღაც, რაც კონკრეტულად იმ ბაზრისთვის კეთდება, რომ გაიყიდოს და შემოსავალი ჰქონდეს. თუმცა, მაგალითად „გაყრა“, იმიტომ გავაკეთეთ, რომ ედინბურგში წასასვლელად თეატრს არ ჰქონდა გზის ფული. დავდგით „გაყრა“ და გარეთ ვთამაშობდით. თითო სპექტაკლს დაახლოებით 500 კაცი ესწრებოდა და ძალიან დიდი ფული შემოვიდა. არ არსებობს დავნიშნო სპექტაკლი, რომ 3 დღით ადრე ბილეთი ქრება. უკვე მე-7 წელია ასეა. წელს ნიუ-იორკში სათვისტომომ მიგვიწვია, ამერიკაში ბილეთი 70 დოლარი ღირდა. ანუ, გააჩნია, ფულს საიდან ითვლი. აქ რა წარმატება ჰქონდა - ერთია, მეორეა - იქ როგორ მიიღეს სპექტაკლი და რამდენად გაყიდე.

- შემოქმედებითი თვალსაზრისით თეატრის ყველაზე დიდი წარმატება 2011-13 წლებში?

- მე ვთვლი, რომ თეატრის ყველაზე დიდი წარმატება იყო ახალგაზრდების მოყვანა თეატრში. დაახლოებით 9 კაცმა დადგა სპექტაკლი. აქედან, სამი ახალგაზრდა ქართულ თეატრში თავის სიტყვას ნამდვილად იტყვის. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატებაა. ასევე ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა „მაკბეტს“ ლიტვაში, „შუა ზაფხულის ღამის სიზმარს“. ეს ორი სპექტაკლი მოძრაობს

აქტიურად. უპირველეს ყოვლისა, შექსპირია, მეორე - ყველამ იცის და მესამე - ისეა გაკეთებული, რომ ნაკლებად სჭირდება ტიტრების კითხვა. ვთვლი, რომ იდეისთვის ეს იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტა. მომდევნო წლიდან, ალბათ, დავიწყებ ჩემი მეგობრების ჩამოყვანას უცხოეთიდან, რომლებიც დადგამენ აქ სპექტაკლებს. ეს ძალიან ბევრ რამეს შეცვლის, რაც ყველაზე სწორი ტაქტიკაა ამ ეტაპზე თეატრისთვის.

- რა შემოქმედებითი პრობლემის წინაშე დგას დღეს თეატრი?

- ძალიან ბევრი. პირველ რიგში, ეს არის ტექნიკური ბაზა და მენტალობა. თუ არ აღიჭურვა თეატრი ახალი ტექნოლოგიებით, უბრალოდ, ძალიან რთული იქნება დაეწიო იმ სალაპარაკო ენას, რომელზეც ლაპარაკობენ სხვები. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა. ჩვენ შორის განსხვავება არის მინიმუმ 15-20 წელი. აბსოლუტურად სხვა ფაქტურებით, სხვა ენით ვლაპარაკობთ. მესმის ქართული ენის ნიჭიერება, მესმის ქართველი არტისტების ნიჭიერება, მაგრამ დამიჯერეთ, ეს საკმარისი აღარ არის. დღეს თეატრში აუცილებელია ვიდეოინჟინერი, პროექციის მონტაჟი, რომელიც თითქოს თეატრთან არ არის კავშირში, ხმის რეჟისორი, რომელიც არ გვყავს. საქართველოში საერთოდ გამხმოვანებელი არ გვყავს. ისინი უნდა გავუშვათ, ვასწავლოთ და რომ ჩამოვლენ, რეალურად დავიწყოთ ხარისხზე ლაპარაკი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფულ მდგომარეობაშია ქართული თეატრი. იდეების ნაკლებობა შეიძლება დღეს იყოს, მაგრამ ხვალ ისეთი იდეები წამოვიდეს, რომ ყველას გაუკვირდეს. ჩემთვის მთავარი არის არსებობდეს ბაზა. ეს ბაზაა შესაქმნელი. ამის შემდეგ ვილაპარაკოთ, ვის რა შეგვიძლია. მე მქონდა ლაპარაკი მანანა ბერიკაშვილთან - იქნებ ვინმე გავუშვათ „ხმაზე“ სასწავლებლად. თეატრალურ ინსტიტუტში უკვე უყიდეს კამერები. აი, ახლა ვმუშაობ სპექტაკლზე, რომელიც მთლიანად უნდა აეწყოს პროექციაზე. მაგრამ მაქვს უხარისხო პროექტორი, უხარისხო ფირი, უხარისხო მიკროფონი. ამ დროს ყველაფერი ეს შეიძლება ათჯერ უკეთესი იყოს, რომ გქონდეს ნორმალური ხარისხი, სტაფი გყავდეს ისეთი, რომელიც ყველაფერს გაგიკეთებს.

- რა სიხშირით აახლებთ დასს, როგორ და რა პრინციპით ხდება მსახიობთა მიღება, შერჩევა?

- ძირითადად, მე მყავს ახალგაზრდული დასი. სულ ვცდილობ, რომ განვაახლო. პირველი, რასაც ვაკეთებ, აქტიურად დავდივარ ყველა გამოსაშვებ სპექტაკლზე და თუ სიმართლე გაინტერესებთ, საერთოდ არ ვუყურებ, როგორ თამაშობენ, ვუყურებ ფაქტურას და რამდენად ჩაეწერება ეს ფაქტურა არსებულ სიტუაციაში. აქვთ თუ არა მონაცემები: შეუძლიათ თუ არა სიმღერა, აქვთ თუ არა პლასტიკა, და ა. შ. თუ ამას ვხედავ, ძალიან ადვილად მომყავს. აუცილებელია, რომ ერთი სპექტაკლი ვითანამშრომლოთ და შევხედო, გავუგეთ თუ არა ერთმანეთს. თუ ვხვდებით, რომ ერთმანეთის გვესმის, ის რჩება დასში.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N= 100
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
40%
6%
21%
15%
11%
7%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N= 227
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
15%
20%
26%
30%
9%
გავიგო რაიმე ახალი
დასვეწებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N = 281
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
15%
12%
10%
6%
13%
11%
11%
5%
5%
2%
10%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საოპერო
სასაღლტო
ფიზიკური თეატრი
მერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N = 256
25%
20%
15%
10%
5%
0%
13%
10%
21%
20%
8%
5%
11%
12%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N = 310
25%
20%
15%
10%
5%
0%
16%
7%
15%
22%
19%
10%
11%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფანტაზიიდან ელფრიდელობითი შინაარსი
საინტერესო აქცია
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =305
25%
20%
15%
10%
5%
0%
19%
10%
23%
20%
8%
9%
11%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N= 200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 35%
კი 32%
არა 34%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 200
მთლიანად ვენდობი 31%
ნაწილობრივ ვენდობი 45%
საერთოდ არ ვენდობი 25%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
დავით დოიაშვილი	15
ლევან წულაძე	13
რობერტ სტურუა	10
თემურ ჩხეიძე	4
მანანა ზერიკაშვილი	3
ვანო ხუციშვილი	2
გიორგი სიხარულიძე	2
ავთანდილ ვარსიმაშვილი	1
გოგი ქავთარაძე	1
ოთარ ბაღათურია	1
ქეთი დოლიძე	1
თიკო ქოიავა	1
ოთარ ეგაძე	1
დათა თავაძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
კახი კავსაძე	10
გივი ბერიკაშვილი	6
ზურაბ ყიფშიძე	5
არჩილ სოლოღაშვილი	4
ბუბა გოგორიშვილი	4
ნანკა კალატოზიშვილი	3
ანკა ალექსიშვილი	3
თორნიკე გოგრიჭიანი	3
მურმან ჯინორია	2
ნატო მურვანიძე	2
ნინო გომართელი	1
მზია არაბული	1
სლავა ნათენაძე	1
ჯაბა კილაძე	1
სანდრო დავითაშვილი	1
დავით გიგოლაშვილი	1
გოგა ბარბაქაძე	1
როლანდ ოქროპირიძე	1
თამუნა ნიკოლაძე	1
ნინელი ჭანკვეტაძე	1
ნანუკა ხუსკივაძე	1
თამარ მამულაშვილი	1
ნინო კასრაძე	1
ზაზა პაპუაშვილი	1
ცისია მეტრეველი	1
ჟანრი ლოლაშვილი	1
ლელა მებურიშვილი	1
ნანა ბუთხუხი	1
რამაზ იოსელიანი	1
რუსკა მაყაშვილი	1
ია შუღლიაშვილი	1
დუტა სხირტლაძე	1
ნანა ფაჩუაშვილი	1
ლევან ხურცია	1
მარინა კახიანი	1
ნინო თარხან–მოურავი	1
ია სუხიტაშვილი	1

მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

რეზო გაბრიაძის თეატრი დაარსდა თბილისში 1981 წელს. ლენინგრადში, კოკისპირული წვიმის დროს ევგენი დემენის თეატრის თოჯინებთან მოულოდნელმა შეხვედრამ, ჰენრიხ ფონ კლაისტის წიგნმა მარიონეტების თეატრზე და იმ ადამიანების გაცნობამ, რომლებიც მომავალში გაბრიაძის უახლოეს თანამებრძოლებად იქცნენ, მიიყვანა ძველი თბილისის შავთელის ქუჩის 13 ნომერში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც გაისმა ჩაქუჩების ხმა და დაიწყო რესტავრაცია.

„მუსიე ლეონ არმან გერი ბრძანებდა, რომ ქვეყანა მარიონეტების თეატრის გარეშე არ უნდა თვლიდეს საკუთარ თავს თეატრალურ ქვეყნად“, – ერთ-ერთი ვერსიის შესაბამისად, მომავალი საქმის დადებითად გადამწყვეტ არგუმენტად გაბრიაძის მიერ შეთხზული ფრანგი კულტურის მინისტრის სიტყვები იქცა. საჯარო მოხელეების დარწმუნებაში დახმარება გაუწია დაუღალავმა ხეჩომ (ექსპერიმენტალური მარიონეტული ფილმის, „კოჯრის ტყის სიზმრების“, თოჯინამ, 1978 წელი).

თბილისობის დღესასწაულის წინ ქალაქის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება - თეატრისათვის გადაეცა ნახევარი შენობა, რომელიც კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა. მეორე ნახევარი ეკუთვნოდა რესტორანს. ორ სათავსოს შორის დატოვეს კარი და გასაღები გადასცეს რესტორნის პატრონს. იფიქრეს, რომ თეატრი დროებითი წამოწყება იქნებოდა.

მცირე დარბაზი 15კვ.მ სცენით არაუმეტეს 45 კაცს იტევდა. საშოვნელი იყო ხავერდი ფარდისათვის, პროჟექტორები, ცემენტი და საშენი მასალები. ყველაფერი საკუთარი ძალებით კეთდებოდა. თოჯინები და დეკორაციები ხელით იქმნებოდა. „ამ საქმეში რობინზონ კრუზო ვიყავი“, – იხსენებს გაბრიაძე. „მასავით მეც ვაშენებდი ტივს. ეს კი სულის საინტერესო და დამატყვევებელი მდგომარეობაა“.

პირველი დადგმისათვის შეირჩა ალექსანდრე დიუმას უკვდავი რომანის „ქალი კამელიებით“ და ჯუზეპე ვერდის მშვენიერი ოპერა „ტრავიატას“ სიუჟეტი. „ალფრედი და ვიოლეტა“-ს მოქმედება გადმოტანილია 70-იანი წლების თბილისში. როლებს ახმოვანებდნენ გამოჩენილი არტისტები: რამაზ ჩხიკვაძე (ნევერმორი), ეროსი მანჯგალაძე (ჟერმონი) და სხვ.

1981 წელს პრემიერა სრული ანშლაგით გაიმართა. გახსნას საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედუარდ შევარდნაძე, მთავრობის წევრები, უცხოელი სტუმრები და დიპლომატები ესწრებოდნენ.

გაბრიაძის სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. დარბაზი არ იშურებდა ოვაციებს. მოგვიანებით უცხოურ პრესაშიც დაიბეჭდა აღფრთოვანებული გამოხმაურებები არაჩვეულებრივი თოჯინების დადგმის შესახებ. თეატრმა ცხოვრება განაგრძო, რესტორნის კარი კი აჭედეს.

შემდგომში, 1983 წელს გაიმართა მეორე სპექტაკლის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტის“ პრემიერა. პიესა დაწერა გაბრიაძემ რუსთაველის სახ. თეატრის თხოვნით, როგორც ცნობილი „ხანუმას“ გაგრძელება. აქ ისმის ვერიკო ანჯაფარიძის (თეკლა), რამაზ ჩხიკვაძის (ხეჩო), ეროსი მანჯგალაძის (კნიაზი) და სხვა ცნობილი ქართველი არტისტების ხმა. 1984 წელს თეატრს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი. იწყება დიდი შენობის მშენებლობა, 100-ადგილიანი დიდი დარბაზით. 1986 წელს სპექტაკლის „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ პრემიერა გაიმართა. პიესის მთავარი გმირი პატარა ჩიტუნა ბორია გადაი რამაზ ჩხიკვაძის მსუყე, გრუხუნა და ტრაგიკული ხმით მეტყველებს. პერსონაჟებს შორის ადვილად იცნობთ რეზოს თანამედროვეთა თოჯინურ პორტრეტებს – რობერტ სტურუას და გია ყანჩელს. 1986 წელს გაბრიაძის თეატრის პირველი მოსკოვური გასტროლები ტაგანკაზე გაიმართა. პროგრამაში იყო სპექტაკლები „ალფრედი და ვიოლეტა“, „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ და „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“. „ჩვენ მოახლოებული თავისუფლების ოზონით ვსუნთქავდით“, – იხსენებს რეზო გაბრიაძე მოსკოვურ გასტროლებს. 1989 წელს სპექტაკლ „ტრაპიზონის იმპერატორის ქალიშვილის“ პრემიერა გაიმართა. პიესაში სარაინდო რომანის ჟანრს ემატება ლეგენდებისა და ზღაპრების, ხალხური მუსიკის მოტივები, ქართული ლირიკის მელოდიკა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. ეს გაბრიაძის ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური და ფერწერული ნამუშევარია.

არსებობის პირველი 10 წლის განმავლობაში რეზო გაბრიაძის თეატრმა მოიპოვა მსოფლიო სახელი და მოიარა გასტროლებით ძველი და ახალი სამყაროს მრავალი ქვეყანა. თოჯინების სპექტაკლები ყველგან აჯადოვებდა და აცვიფრებდა მაყურებელს. 90-იან წლებში რეზო ბევრს მუშაობს საზღვარგარეთ, მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში. 1996 წელს დიჟონში, საფრანგეთი, გაიმართა რეზო გაბრიაძის ერთ-ერთი ყველაზე მეტად განთქმული სპექტაკლის - „სტალინგრადის ბრძოლის“ პრემიერა. რომელიც იწყებოდა როგორც „სიმღერა ვოლგაზე“ (1994). ეს არის რექვიემი მიძღვნილი სამამულო ომისადმი. ამერიკელმა კრიტიკოსმა ბრიუს ვებერმა (Bruce Weber), “The New York Times“, პიესას „ნატიფი მაქმანისაგან“ შექმნილი „დროისმიღმა ელეგია“ უწოდა. 2001 წელს ლოზანაში, შვეიცარია, თეატრ ვიდი-ლოზანთან (Vidy-Lausanne) ერთად დაიდგა სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“.

რეზო გაბრიაძის თეატრი არაერთხელ მონაწილეობდა დიდ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში ავინიონსა და ედინბურგში. 2001 წელს დიდი წარმატებით მოეწყო რეზო გაბრიაძის სპექტაკლების ჩვენება ლინკოლნ-ცენტრის ყოველწლიურ ფესტივალზე ნიუ-იორკში, აშშ და ჰარბორფრონტ-ცენტრის ფესტივალზე ტორონტოში, კანადა; 2003 წელს სპოლეტოს ფესტივალზე ჩარლსტონში, აშშ

და BELEF ფესტივალზე ბელგრადში, სერბეთი; 2007 წელს ფესტივალზე „ბალის ბაღი“ მოსკოვში, თეატრ „სოვრემენნიკის“ სცენაზე. 2010 წლის ნოემბერში რეზო გაბრიაძის თეატრი რამდენიმეწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ ხელახლა გაიხსნა და 30 წლის იუბილე იზეიმა. აღდგენილ თეატრთან ერთად თბილისს რეზოს მიერ აშენებული საათიანი და ოქროსფრთება ანგელოზიანი ზღაპრული კოშკი მოევლინა.

წყარო: gabriadzetheatre.com

თეატრის შენობა

თეატრის შენობა აგებულია მე-19 საუკუნეში და მდებარეობს თბილისის ისტორიულ ცენტრში, შავთელის 13 ნომერში, ქალაქში შემორჩენილი ეკლესიებს შორის ყველაზე ძველი, ანჩისხატის ბაზილიკის გვერდით.

ფრონტონზე ოქროს ასოებით აწერია რეზო გაბრიაძის დევიზი – “Extra Cepam Nihil Cogito Nos Lacrimare“, რაც ნიშნავს – „დაე ცრემლები მხოლოდ ხახვის ჭრისაგან გვდიოდეს“. პატარა დარბაზში მაყურებლისათვის 80 ადგილია.

არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად საათიანი კოშკი იქცა, რომელიც რეზო გაბრიაძემ 2011 წელს ააშენა. საათში ერთხელ იხსნება მოხატული კარი, გამოჩნდება ოქროსფერთმიანი ანგელოზი და პატარა ჩაქუჩით ზარს რეკავს. დღეში ორჯერ კი, 12.00 სთ-სა და 19.00 სთ-ზე, შეგიძლიათ ნახოთ თოჯინების გასაოცარი წარმოდგენა „სიცოცხლის წრე“. ყველა თოჯინა რეზო გაბრიაძის ესკიზების მიხედვითაა გაკეთებული.

კოშკის ქვედა ნაწილში ორი კერამიკული პანოა. რამდენიმე ასეული შორენკეცი ხელოვანმა თავად დაამზადა და მოხატა. კოშკის სახურავზე ბრონზეულის ხე იზრდება. კოშკის მარჯვნივ არის შესასვლელი თეატრალურ კაფეში „გაბრიაძე“. ზაფხულობით კაფეს მიმდებარედ იხსნება მყუდრო ტერასა.

წყარო: gabriadzetheatre.com

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება – „თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი“
დაარსების წელი - 8.12.1980
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები – სამხატვრო ხელმძღვანელი– რევაზ გაბრიაძე
თეატრის ელ ფოსტა - gabriadzetheatre@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - gabriadzetheatre@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - www.gabriadze.com
თეატრის მისამართი - შავთელის ქ.26

მსახიობთა რაოდენობა – 8

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	165000			
2012	539500			
2013	529500			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 75327 ლარი
2012 წელი - 49782 ლარი
2013 წელი - 144190 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
2011 წელი – 103
2012 წელი – 65
2013 წელი – 155

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი – 7229
2012 წელი – 4513
2013 წელი – 10852

ბილეთის ფასი და ტარიფები - 5, 8, 10, 15, 20 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით
ქუთაისი–2011, 2013 წლები
ქვეყნის გარეთ
ლატვია–2011 წ., რუსეთი–2012, 2013 წლები

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - დაახლოებით 6000 ლარი, დამოკიდებულია გასტროლების ხანგრძლივობაზე
საზღვარგარეთ - ყველა ხარჯებს იღებდა მოპატიჟე მხარე
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - არა

ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ.
2013 – საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი“

2011-2013 წლების რეპერტუარი

რამონა
ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე
პრემიერა გაიმართა თეატრ „თეატრალური ხელოვნების სტუდიაში“ მოსკოვში, 2012 წლის 2 ნოემბერს
ანიმატორები: თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ვლადიმერ მელცერი, ანა ნიჟარაძე, ნინო საჯაია
როლებს ახმოვანებენ:
ერმონი – ზაზა პაპუაშვილი
რამონა – ნინო კასრაძე
ბაბახიდი – ალექსეი კოლგანი
სამარკანდსკი – რომან კარცევი
ქეთო – რუსუდან ბოლქვაძე
ვიქტორი – ზაზა პაპუაშვილი
ოლღა – ნინო არსენიშვილი
ბეგლარი – რუსლან მიქაბერიძე
მოხუცი – რეზო თავართქილაძე
ბოშა – ნანა შონია
ჯამბაზები უიმე და ვაიმე – დენის სურნოვი
მილიციონერი – დავით დვალიშვილი
გლეხი – ბადრი გვაზავა
ტექნიკური დირექტორი, თოჯინები, დეკორატორი - ვიქტორ პლატონოვი
მეორე რეჟისორი - ვიქტორ პლატონოვი
მუსიკალური გაფორმება - რეზო გაბრიაძე, ელენე ჯაფარიძე
განათება - მამუკა ბაქრაძე
ხმის ოპერატორი - მიხეილ კილასონიძე
რეჟისორის ასისტენტი - ვარვარა მაცენოვა
რადისტი - ზურაბ ნადარაია
თოჯინები და დეკორაცია - ვიქტორ პლატონოვი, ლუკა გონაშვილი, ალექსანდრე ხეიმანოვსკი, გელა ჯანგირაშვილი, ალექსანდრა ლუნიაკოვა, ოლეგ ერმოლაევი, სვეტლანა პავლოვა, გიორგი გიორგობიანი, ლევან კიკნაველიძე, არტემ ოზეროვი, ავთანდილ გონაშვილი, თამარ ჩალაური, თამარ კობახიძე, ნანა ჭეჟია

სტალინგრადის ბრძოლა
ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე
პრემიერა გაიმართა თეატრ „თეატრალური ხელოვნების სტუდიაში“ მოსკოვში, 2012 წლის 2 ნოემბერს
ანიმატორები - თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ვლადიმერ მელცერი, ანა ნიჟარაძე, ნინო საჯაია
როლებს ახმოვანებენ:
ერმონი – ზაზა პაპუაშვილი
რამონა – ნინო კასრაძე
ბაბახიდი – ალექსეი კოლგანი

სამარკანდსკი – რომან კარცევი
ქეთო – რუსუდან ბოლქვაძე
ვიქტორი – ზაზა პაპუაშვილი
ოლღა – ნინო არსენიშვილი
ბეგლარი – რუსლან მიქაბერიძე
მოხუცი – რეზო თავართქილაძე
ბოშა – ნანა შონია
ჯამბაზები უიმე და ვაიმე – დენის სურნოვი
მილიციონერი – დავით დვალიშვილი
გლეხი – ბადრი გვაზავა
ტექნიკური დირექტორი, თოჯინები, დეკორატორი - ვიქტორ პლატონოვი
მეორე რეჟისორი - ვიქტორ პლატონოვი
მუსიკალური გაფორმება - რეზო გაბრიაძე, ელენე ჯაფარიძე
განათება - მამუკა ბაქრაძე
ხმის ოპერატორი - მიხეილ კილასონიძე
რეჟისორის ასისტენტი - ვარვარა მაცენოვა
რადისტი - ზურაბ ნადარაია
თოჯინები და დეკორაცია - ვიქტორ პლატონოვი, ლუკა გონაშვილი, ალექსანდრე ხეიმანოვსკი, გელა ჯანგირაშვილი, ალექსანდრა ლუნიაკოვა, ოლეგ ერმოლაევი, სვეტლანა პავლოვა, გიორგი გიორგობიანი, ლევან კიკნაველიძე, არტემ ოზეროვი, ავთანდილ გონაშვილი, თამარ ჩალაური, თამარ კობახიძე, ნანა ჭეჟია

ჩემი გაზაფხულის შემოდგომა
ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე
სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ შექმნილია თეატრ VIDY-LAUSANNE-თან ერთად
პრემიერა შედგა - 2002 წელს ლოზანაში, შვეიცარია.
ანიმატორები - ვლადიმერ მელცერი, თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ანა ნიჟარაძე
როლებს ახმოვანებენ:
ბორია – რამაზ ჩხიკვაძე
დომნა – რუსუდან ბოლქვაძე
ვარლამი – ლეო ანთაძე
ნინელი – ნათია კავსაძე
კაკაურიძე – კახი კავსაძე
ფლორა – ნანა ფაჩუაშვილი
შალომი – კახი მაისურაძე
ადვოკატი – გივი ბერიკაშვილი
მოსამართლე – რეზო თავართქილაძე
პროკურორი – რუსლან მიქაბერიძე
მძიმე ინდუსტრიის მუშაკები – ციალა გურგენიძე, ნელი მინდიაშვილი, თინა კოზანოვა
აგენტი №23 – ბადრი გვაზავა
მუსიკალური გაფორმება - რეზო გაბრიაძე, ელენე ჯაფარიძე
რადისტი - ზურა ნადარაია
განათება - მამუკა ბაქრაძე
თოჯინები - ლუკა გონაშვილი, შმაგი სავანელი
დეკორაცია - ლუკა გონაშვილი, ვლადიმერ მელცერი, ავთანდილ გონაშვილი, გელა ჯანგირაშვილი
კოსტიუმები - გაიანე თაყაიშვილი, მაია კობახიძე, თამარ ამირეჯიბი, ირინა უჯმაჯურიძე, თამარ კობახიძე

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

1978 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, საზეიმოდ გაიხსნა კინომსახიობთა თეატრის სცენა და ეს იყო კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ქართული თეატრის ისტორიაში: მეოცე საუკუნის უდიდესმა ქართველმა რეჟისორმა, მიხეილ თუმანიშვილმა მისი საკუთარი თეატრის კარი გაუღო მაყურებელს. ძირითადი ბირთვი – მუდმივი დასი – მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეები იყვნენ, ექსპერიმენტული ჯგუფის რეჟისორები და მსახიობები. ნიჭიერი გამორჩეული ახალგაზრდები, თეატრზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანები, „სოლისტების ორკესტრი“, თუმანიშვილის „კამერული ანსამბლი“, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც „რეჟისორი (რუსთაველის) თეატრიდან წავიდა“.

თავდაპირველად მას კინოსტუდიის ბაზაზე არსებული „თეატრალური სახელოსნო“ ერქვა. თეატრს ჰქონდა მანიფესტი, რიტუალები. უმთავრესი იყო ყოველდღიური სტუდიური მუშაობა: ფსიქო-ფიზიკური ტრენაჟები. „ეტიუდი, იმპროვიზაცია ეტიუდზე, მერე ეპიზოდის გაკეთება... მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობაა ჩვენი საქმე“ – ამბობდა მიხეილ თუმანიშვილი. ულამაზეს სცენაზე ადიოდნენ როგორც ეშაფოტზე, რათა იქ „დაფერფლილიყვნენ“, ხოლო პატარა, მყუდრო დარბაზში შეკრებილი მაყურებელი თეატრალური სასწაულის ხილვით მონუსხულიყო.

თავისი თეატრალური ესთეტიკა, რეფორმატორმა მიხეილ თუმანიშვილმა ჯერ კიდევ რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის დროს შექმნა 50-იან წლებში. „ჩვენ ვიყავით ხიდი, რომლითაც რომანტიკური, დეკლამაციური, პათეტიკური, რიტორიკული თეატრი გადავიდა რეჟისორული მეტაფორების თეატრში... მოვედით იმისათვის, რომ ყველაფერი შეგვეცვალა“, - წერს მიხეილ თუმანიშვილი.

კინომსახიობთა სტუდიურ თეატრში შექმნილმა სპექტაკლებმა დიდი წარმატებით მოიარეს მსოფლიოს ცნობილი თეატრალური ფესტივალები ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტზე.

სპექტაკლი „დონ ჟუანი“ ედინბურგის ფესტივალის საუკეთესო ათეულში შევიდა. ეს ის ლეგენდარული სპექტაკლია, რომელზეც პიტერ ბრუკმა თქვა: „თუ გსურთ იხილოთ ნამდვილი მოლიერი, წადით საქართველოში, ნახეთ „დონ ჟუანი“. საუკეთესოა, რაც კი რამ მინახავს“.

„ზაფხულის ღამის სიზმარი“ შექსპირის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე, ლონდონში, ბარბიკანში, 1994 წელს, გამორჩეულ სპექტაკლად აღიარეს მსოფლიოს სახელოვან რეჟისორთა ნამუშევრების ფონზე. საერთაშორისო წარმატების მქონე სპექტაკლთა რიცხვში ცალკე აღნიშვნის ღირსია „ბაკულას ღორები“ - ქართული კლასიკის თუმანიშვილისეული ინტერპრეტაცია, რომელიც თეატრის დაარსებიდან დღემდე რეპერტუარშია 35 წლის განმავლობაში და უწყვეტად ნათამაშებ სპექტაკლებს შორის ყველაზე ხანდაზმულია ქართულ თეატრში.

საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდში, 90-იან წლებში, როცა თბილისის ქუჩებში ავტომატის ჯერი ისმოდა და თავისუფლებისაკენ ლტოლვა სისხლით იღებებოდა, მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობთა თეატრში დადგა „ზაფხულის ღამის სიზმარი“. “რატომ დავდგი ეს პიესა? მინდოდა მეთქვა – მთავარი სიყვარულია...“ 1996 წლის მაისში მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა „ალუბლის ბაღის“ რეპეტიციების დროს...

კინომსახიობთა თეატრში ძლიერი შემოქმედებითი სული ტრიალებს. თეატრში კვლავ მოღვაწეობენ თუმანიშვილის რჩეული მოწაფეები. მოვიდნენ ახალი სახეებიც. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა არ დაიკარგოს ამ თეატრის საუკეთესო ტრადიციები. იდგმება საინტერესო სპექტაკლები, ეწყობა შეხვედრები და ხორციელდება მრავალი შემოქმედებითი პროექტი. კინომსახიობთა თეატრის კარი ტრადიციულად მუდამ ღიაა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებისა თუ რეჟისორებისათვის, საინტერესო პროექტებისა და იდეებისთვის. თეატრს ამის სურვილიც აქვს და რესურსიც გააჩნია.

„თეატრის ენა გართულდა, აუცილებელია ახალი საშუალებები, ახლებური გადაწყვეტა, ახალი ხერხები და ფორმა. ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, ნება უნდა დავრთოთ, გაბედულად დაადგეს ექსპერიმენტებისა და ცდების გზას, არასოდეს დაგვავიწყდეს სტანისლავსკის სიტყვები: „მარადიული ხელოვნება - ეს გრძელი და უსასრულო შარაგზაა, გარკვეულ საზღვრამდე მიდის და ყოველ თხუთმეტ წელიწადში განახლებას ითხოვს“ - მიხეილ თუმანიშვილი.

კინომსახიობთა თეატრი – სარეპერტუარო თეატრია და სახელმწიფო აფინანსებს. მაყურებელთა დარბაზი 200 კაცს იტევს. ტექნიკურად გამართული სცენა კულისებისა და ფარდის გარეშე, რომელიც თუმანიშვილის სქემით აიგო და შექსპირის “გლობუსის” სცენას წააგავს – სამი მხრიდან არის გახსნილი. კინომსახიობთა თეატრს რეპერტუარში 20 სპექტაკლი აქვს. 2012 წელს გაიხსნა მცირე სცენა, რომელიც ძირითადად გამიზნულია თეატრალური ექსპერიმენტებისა და სტუდიური მუშაობისათვის. საგრიმიოროები კომფორტულია.თეატრის ვრცელ ფოიეში ფუნქციონირებს საგამოფენო დარბაზი და არტ-კაფე.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
დაარსების თარიღი- 1978 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - სამხატვრო ხელმძღვანელი - ქეთი დოლიძე; დირექტორი - ზურაბ გეწაძე
თეატრის ელ ფოსტა - info@tumanishvilitheatre.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - zuragets@yahoo.com, sikodolidze@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - www.tumanishvilitheatre.ge
თეატრის მისამართი - 0112 თბილისი, დავით აღმაშენებლის #164

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 43
შემოქმედებითი პერსონალი - 6
ტექნიკური პერსონალი - 36
ადმინისტრაცია - 11

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	610 795		10 000	
2012	1 041 080		2 960	
2013	2 005 280.58		72 780	50 000

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 22 131 ლარი
2012 წელი - 50 193 ლარი
2013 წელი - 51 009 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;

2011 წელი	სპექტაკლის დასახელება	სპექტაკლების რაოდენობა
1	7. პ. პ.	9
2	ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს	5
3	გაზაფხული მაინც მოვა	7
4	ბაკულას ღორები	5
5	მეა და იო	5
6	ჩვენთვის უცნობი ქვეყანა	4
7	რკინის ბიჭები	6
8	მელოტი მომღერალი ქალი	5
9	თავისუფალი წყვილი	2
10	რამ შემქმნა ადამიანად	2
11	ჩუპრი-ჩუპარ დარეჯან!	3
12	ბერნარდა ალბას სახლი	2
13	გოდოს მოლოდინში	8
14	ერთი საღამო პოეტებთან	3
15	მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი	4
16	იყო და რა...	2

2012 წელი	სპექტაკლის დასახელება	სპექტაკლების რაოდენობა
1	რომეო და ჯულიეტა	17
2	7. პ. პ.	7
3	ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს	2
4	სერობა	1
5	სამეფო ოჯახი	9
6	გაზაფხული მაინც მოვა	5
7	ზვავი	14
8	ბაკულას ღორები	3
9	ჩვენი პატარა ქალაქი	8
10	მეა და იო	4
11	სუფთა სახლი	5
12	ჰარალეთი, ჰარალეთი	6
13	რკინის ბიჭები	4
14	მელოტი მომღერალი ქალი	7
15	თავისუფალი წყვილი	5
16	რამ შემქმნა ადამიანად	2
17	ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!	3
18	ბერნარდა ალბას სახლი	3
19	გოდოს მოლოდინში	3

2013 წელი	სპექტაკლის დასახელება	სპექტაკლების რაოდენობა
1	7 პ.პ.	7
2	ამორი	11
3	ბაკულას ღორები	5
4	ბალადა ვეფხისა და მოყმისა	8
5	ბერნარდა ალბას სახლი	2
6	ჩუპრი–ჩუპარ,დარეჯან	2
7	ჩვენი პატარა ქალაქი	4
8	დრაკონი	3
9	გაზაფხული მაინც მოვა	3
10	გოდოს მოლოდინში	2
11	ჰარალეთი, ჰარალეთი	1
12	იკაროსი	11
13	ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს	1
14	მელოტი მომღერალი ქალი	5
15	პოლიცია	10
16	ქალი და მამაკაცი	10
17	რამ შემქმნა ადამიანად	3
18	რომეო და ჯულიეტა	4
19	სამეფო ოჯახი	3
20	სერობა	2
21	სუფთა სახლი	7
22	თავისუფალი წყვილი	2
23	ზვავი	4
24	undergraund	6
25	ჩიტის მოტანილი ამბავი	3

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011- 72 (თეატრში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები)
2013 - 125

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011- 11065
2012 - 16731
2013 - 17003

ბილეთის ფასი და ტარიფები - 10, 7 ლარი.
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 20 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 5 000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი - 3000 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 25 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი - მსახიობის ყველაზე დაბალი ხელფასი - 500 ლარი, უმაღლესი - 1700 ლარი.

გასტროლები 2011-2013 წლებში
2011 გასტროლი ქვეყნის შიგნით - გორი, საჩხერე, ქუთაისი.
2012 გასტროლი ქვეყნის შიგნით - ფოთი, ბათუმი, ხულო.
2012 წელს ქვეყნის გარეთ გასტროლი: სომხეთი - ქალაქი ერევანი, ფესტივალი „High Fest“
2012 წელი ქვეყნის გარეთ გასტროლი: აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში - ქართული დიასპორის მიწვევით.
2013 წელი ქვეყნის შიგნით გასტროლები: ქუთაისი, თელავი, ბათუმი, საჩხერე
2013 წელი ქვეყნის გარეთ გასტროლები: დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, დიასპორის სამინისტროს ორგანიზებით
2013 წელი: შოტლანდია-ედინბურგის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
2013 წელი ქვეყნის გარეთ გასტროლი: თურქეთი, თეატრალური ფესტივალი ქალაქი ანკარა
2013 წელი ქვეყნის გარეთ გასტროლი: თურქეთის ქალაქ ტრაპზონში, შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი.
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 10 000 ლარი
საზღვარგარეთ - 150 000 ლარი

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - თეატრების რეგიონალური ქსელი-(GRTN)
ქვეყნის გარეთ - INTERNATIONAL NETWORK FOR CONTEMPORARY PERFORMING ARTS -(ITEM)
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) 2011-2013 წწ.
2011 წელს თეატრში ჩატარდა:
საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამა“
მხატვარ ზურაბ გომელაურის პერსონალური გამოფენა.
თეატრში შედგა თუმანიშვილის თეატრის, თეატრის კრიტიკოსთა კავშირის და თეატრის საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექციის შეკრება.
2011 წელი გამოცხადდა მიხეილ თუმანიშვილის 90 წლისთავთან დაკავშირებით „მიხეილ თუმანიშვილის წლად“.
2012 წელს თეატრში გაიმართა:
მხატვრების: თანამედროვე ქართულ მხატვართა ჯგუფური გამოფენა - „ ჩახუტება“, „გაზაფხული“, ქეთევან დავლიანიძის, მარიამ ქორიძის, მიხეილ ხვიტიას, ანა იაკობაშვილის, ბაჩანა ჯინჭარაძის გამოფენა
2012 წელს ვუმასპინძლეთ ქუთაისის ლ. მესხიშვილის დრამატულ თეატრს, სპექტაკლით „დუპლეტი“ (რეჟისორი- კ. აბაშიძე)
თუმანიშვილის სახ. თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის და ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ერთობლივი პროექტი „ახალი ქართული პიესა 2012“
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, რუსეთის თეატრალური ხელოვნების უნივერსიტეტ „გიტისის“ თეატრის ისტორიის კათედრის პროფესორის ანა სტეპანოვას ლექცია.
„მულტი-პულტის სამყარომ“ წარმოადგინა საახალწლო სპექტაკლები.
სტაშევსკის თეატრალური პრაქტიკის ცენტრის ინტენსიური მასტერკლასი „გარჯენიცა“
მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სახელოვნებო მეცნიერება, პრაქტიკა, მენეჯმენტი“
პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის „სოლო კონცერტი“
გიორგი ცაბაძის სახელობის „ქართული სიმღერის მე-2 კონკურსი“

2013 წელს თეატრში გაიმართა:
მხატვრების გამოფენები: ზურაბ გომელაურის, რამაზ ყაზიშვილის, მანანა ქავთარაძის, ელენე ვასილკოვსკაიას და იგორ ვასილკოვსკის, არჩილ კუხიანიძის, მალხაზ კუხიანიძის, ლაშა კუხიანიძის და მზია მჭედლიშვილის, არტიომ ალაბულიანცის, ნინო ჩიტაიშვილის, სერგეი შივცის, თორნიკე ამბოკაძის, ნიკო ავალიშვილის, ხატია აფციაურის, ომარ დურმიშიძის, ზურაბ ბალანჩივაძის, ბაჩანა ჯინჭარაძის.
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა დრამატული კონკურსი „ახალი თარგმანი 2013“
დარეჯან ჯოჯუას წიგნის პრეზენტაცია -„გზა სიყვარულისა“
პაატა ბერიკაშვილის საავტორო წიგნის პრეზენტაცია „გალიმათიები“
ერლომ ახვლედიანის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
ვორქშოფი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივითა და მიხეილ თუმანიშვილის სახ. თეატრის მხარდაჭერით, სლოვენიელი ქორეოგრაფი გორან ბოგდანოვსკის ხელმძღვანელობით.
2013 წელს
ვუმასპინძლებთ, მ. თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საეთაშორისო ფესტივალს
„საჩუქარი“.
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ.
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ.
ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, ქეთი დოლიძე.
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი - გვყავს ერთი პიარ მენეჯერი; ერთი მარკეტინგის მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 25 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 80 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
2014 წლის 18 იანვარს ლია კაპანაძემ, რომელიც გახლავთ 80 წლის, ითამაშა სპეაქტაკლში „7 პატარა პიესა“ (რეჟისორი - ზ. გეწაძე)

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2010-2011 წელის თეატრალური პრემიის „დურუჯი“ კონკურსში მოხვდა ნომინანტთა ოთხეულში კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებულ პრიზზე - „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“, სპექტაკლით „გოდოს მოლოდინში“
2011-2012 წლის თეატრალური პრემია „დურუჯის“ გამარჯვებული გახდნენ „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“- გიორგი ნაკაშიძე და „საუკეთესო მსახიობი ქალი“ - ქეთევან შათირიშვილი, სპექტაკლში „R+J ბედისწერა დაბნეულია, რომეო და ჯულიეტა, მესამე მეხსიერება“ (რეჟისორი- მიხეილ მარმარინოსი) შესრულებული როლებისთვის.
2013 წელი - ქ. ტრაბზონი - შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი - სპექტაკლი „ზვავი“ დაჯილდოვდა - ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლის პრიზით.

2010-2013 წლების რეპერტუარი

ბაკულას ღორები
დავით კლდიაშვილი
რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი
ინსცენირების ავტორი - ცოტნე ნაკაშიძე
მხატვარი - გივი ცერაძე
მუსიკალური გაფორმება - გიული დარახველიძე
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, პაატა ბარათაშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ზურა გეწაძე, ირინა გიუნაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ვანო თარხნიშვილი, რამაზ იოსელიანი, გუგა კახიანი, ზაზა მიქაშავიძე, თემო ნატროშვილი, ლაურა რეხვიაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ზურა ყიფშიძე, ნინო ჩხეიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა.
ხანგრძლივობა: 1 სთ და 20 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 17.11.1978

ჩვენი პატარა ქალაქი
რეზო გაბრიაძე
(თორთონ უაილდერის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით)
დამდგმელი რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი
რეჟისორი - ზაზა მიქაშავიძე
მხატვარი - იური გეგეშიძე
მუსიკალური გაფორმება - გიული დარახველიძე, მაკა არუშიძე, ვლადიმერ ჩუბინიძე
კონცერტმეისტერი - მარინა წულუკიძე
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, პაატა ბარათაშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ზურაბ გეწაძე, ირინა გიუნაშვილი, ზურაბ გოგორიკიძე, ანა-მარია გურგენიშვილი, გვანცა გურგენიშვილი, დავით დვალიშვილი, ვანო თარხნიშვილი, გუგა კახიანი, მარი კიტია, ნანუკა ლითანიშვილი, ზაზა მიქაშავიძე, ეკა მოლოდინაშვილი, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, მიშა ჩეკურიშვილი, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია
ხანგრძლივობა: 2 სთ და 50 წთ / სამ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 08.02.1983

ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს
რაფიელ ერისთავი
რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი
მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
კომპოზიტორი - ნინო ჯანჯღავა
ქორეოგრაფი - ინგა თევზაძე
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ეკა ანდრონიკაშვილი, ქეთი ასათიანი, ზურაბ გეწაძე, ირინა გ იუნაშვილი, ვანო თარხნიშვილი, გუგა კახიანი, ნანუკა ლითანიშვილი, გიორგი პიპინაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ნინო ჩხეიძე, ნინელი ჭანკვეტაძე
ხანგრძლივობა: 2 სთ და 30 წთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 15.09.1995

თავისუფალი წყვილი
დარიო ფო
თარგმანი - მანანა ანთაძე
რეჟისორი - ქეთი დოლიძე
მხატვარი - ეკა მუხაძე, სიმონ მაჩაბელი
ნინელი ჭანკვეტაძის კოსტიუმების ავტორი - ავთანდილ ცქვიტინიძე
კომპოზიტორი - გოგი ძოძუაშვილი
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
მონაწილეობენ: იმედა არაბული, პაატა ბარათაშვილი, ვანო დუგლაძე, ნინელი ჭანკვეტაძე
ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 02.07.2004

ჰარალეთი, ჰარალეთი (ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა)
გურამ დოჩანაშვილი
ინსცენირების ავტორი და რეჟისორი - ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი
მხატვარი - თამაზ ხუციშვილი
მუსიკალური გაფორმება - გიორგი ჩლაიძე
ქორეოგრაფი - გოგი ოსეფაშვილი
რეჟისორის ასისტენტი – ხათუნა ჩამათაშვილი
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მალხაზ აბულაძე, ოთარ ანდღულაძე, პაატა ბარათაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ზურაბ გეწაძე, რევაზ თავართქილაძე, ვანო თარხნიშვილი, გუგა კახიანი, ლევან კაციაშვილი, პაატა კიკვაძე, ზაზა მიქაშავიძე, თემო ნატროშვილი, გიორგი ნაკაშიძე, ვეკა პირმისაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, ბექა ჯუმუტია, დარეჯან ხაჩიძე
ხანგრძლივობა: 2 სთ და 20 წთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 18.01.2007

რამ შემქმნა ადამიანად
ვაჟა-ფშაველა
რეჟისორი - ქეთი დოლიძე
მუსიკალური გაფორმება - გოგი ძოძუაშვილი
ქორეოგრაფი - გია მარღანია

მხატვარ-ფოტოგრაფი - ზურა გოგორიკიძე
მონაწილეობს - მზია არაბული
ხანგრძლივობა: 1 სთ / ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 17.03.2007
მელოტი მომღერალი ქალი
ეჟენ იონესკო
გადმოაქართულა - ზურაბ გეწაძემ
რეჟისორი - ზურაბ გეწაძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გეწაძე
მხატვარი - ნინო ქორიძე, მარიამ(სოფო) ქორიძე
მონაწილეობენ: მაია გელოვანი, ზურაბ გეწაძე, ვანო თარხნიშვილი, ნანუკა ლითანიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, თემო ნატროშვილი, ნანა შონია
ხანგრძლივობა: 1 სთ და 25 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 13.04.2007

რა მოხდა სამხეცეში
ედვარდ ოლბი
რეჟისორი - მამუკა ტყემალაძე
მხატვარი - ნანა თათარაშვილი
კომპოზიტორი - ია საკანდელიძე
მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ნიკა წერედიანი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 20 წთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 07.05.2007

სერობა
ერნესტ ბრილი
თარგმნა - ჯემალ ჭელიძე
რეჟისორი - ქეთი დოლიძე
მხატვარი - იური გეგშიძე
კერამიკა - გიორგი პაჭკორია
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მალხაზ აბულაძე, იმედა არაბული, მზია არაბული, გია ბურჯანაძე, რეზო თავართქილაძე, რამაზ იოსელიანი, გუგა კახიანი, დენის ხლიპოვი, იოანე] ხუციშვილი ხანგრძლივობა: 1 სთ და 40 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 4.01.2008

ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!
ილია ჭავჭავაძე
ინსცენირება, რეჟისურა და სცენოგრაფია - კოტე მირიანაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ეკა მაღალაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ხვიჩა მაღლაკელიძე
თოჯინების მხატვარ-შემსრულებელი - ირინა ბაგაური
ტექნიკური რეჟისორი – სოფო დანელია
მონაწილეობს: ლაურა რეხვიაშვილი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 10 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 29.11.2008

ბერნარდა ალბას სახლი
ფედერიკო გარსია ლორკა
მთარგმნელი - ნანა ხატისკაცი
რეჟისორი - ნანა კვასხვაძე
მხატვარი - იური გეგეშიძე
ქორეოგრაფი - ნანა კერვალიშვილი
მონაწილეობენ: მზია არაბული, თამარ ბზიავა, ირინა გიუნაშვილი, ლია კაპანაძე, ლილი მეტრეველი, ნუცა მჭედლიშვილი, ანი ნიკოლაიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ნანა შონია, ნინო ჩხეიძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა
ხანგრძლივობა: 2 სთ და 20 წთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 29.05.2009

ორნი აქა, იქა. . .
გურამ დოჩანაშვილი
რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი

მხატვარი: კახა ქორიძე
კოსტიუმების მხატვარი: მარიამ ქორიძე
კომპოზიტორი: კოკა ნიკოლაძე
სასაცენო მოძრაობა: გიორგი ოსეფაშვილი
მონაწილეობენ: ანა-მარია გურგენიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, თემო ნატროშვილი, მაია გელოვანი, ნათია მეტრეველი, გვანცა გურგენიშვილი, ნიკა წერედიანი, გუგა კახიანი, ბექა ჯუმუტია, ეკა გოგრიჭიანი, სოფო ებრალიძე, მარიამ მაჭარაშვილი, მაკა ცინცაძე, თამთა თათარაშვილი, რეზი გიორგობიანი, ცოტნე მეტონიძე, ბაჩანა პატარაია, ანრი ბიბინეიშვილი.
ხანგრძლივობა: 1 სთ და 20 წთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 16.06.2009

7 პ.პ. (შვიდი პატარა პიესა)
ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - ზურაბ გეწაძე
სცენოგრაფი - შოთა გლურჯიძე
კოსტიუმების მხატვრები - ნინო და სოფო ქორიძეები
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გეწაძე
მონაწილეობენ: ქეთი ასათიანი, რუსუდან ბოლქვაძე, მაია გელოვანი, ვანო თარხნიშვილი, ნანუკა ლითანიშვილი, ლია კაპანაძე, თემო ნატროშვილი, ნათია ფარჯანაძე, გიორგი ყიფშიძე, ნანა შონია, ეკა ჩხეიძე, ნიკა წერედიანი.
ხანგრძლივობა: 1 სთ და 10 წთ /ერთ მოქმედებად
პრემიერა შედგა: 13 .01.2010

სამეფო ოჯახი
ჯორჯ კაუფმანი, ედნა ფერბერი
თარგმანი – მანანა ანთაძე
რეჟისორი – ქეთი დოლიძე
მხატვარი – შოთა გლურჯიძე
კოსტიუმების მხატვარი – ლალი ბადრიძე
ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე
მონაწილეობენ: ქეთი ასათიანი, ანრი ბიბინეიშვილი, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ვანო დუგლაძე, რამაზ იოსელიანი, ლია კაპანაძე, ზაზა მიქაშავიძე, დარეჯან ჯოჯუა, ნინელი ჭანკვეტაძე, ილიკო ჭეიშვილი, აკაკი ხიდაშელი, სოსო ხვედელიძე,
ხანგრძლივობა: 2 სთ და 20 წთ /სამ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 06.07.2010

ჰამლეტი
უილიამ შექსპირი
თარგმანი - ივანე მაჩაბელი
დეკორი, ბგერა, განათება, მიზანსცენა - ამირან ამირანაშვილი
კოსტიუმი - ნინო თათარაშვილი
სპექტაკლში გამოყენებულია კეზიმირ მალევიჩის მოტივები
მონაწილეობენ: კახა კინწურაშვილი, გიორგი ზანგური, თეკო ჩუბინიძე, ვასო ბახტაძე, ბექა ჯუმუტია, ანა ნიკოლაშვილი, ნიაზ ხუციანიძე, ნიკა წერედიანი, დევი რეხვიაშვილი, სოსო ხვედელიძე, ნოდარ ხუციშვილი, რეზი გიორგობიანი, მარიამ მაჭარაშვილი, ცოტნე მეტონიძე, მაკა ცინცაძე, ილია ჭეიშვილი
ხანგრძლივობა: 3 სთ /სამ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 30.10.2010

გაზაფხული მაინც მოვა
პეტრე ბაგრატიონი-გრუზინსკი
რეჟისორი - ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი
მხატვარი - შოთა გლურჯიძე
მუსიკალური ხელმძღვანელი - გიორგი ჩლაიძე
მონაწილეობენ: ანა მატუაშვილი, ბექა ჯუმუტია
ხანგრძლივობა: 1 სთ და 10 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 9.04.2011

მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი ბიჭი
ჰანს ქრისტიან ანდერსენი
ინსცენირების ავტორი - სალომე სალუქვაძე

რეჟისორი - ავთო ბაქრაძე
მხატვარი - მარიამ ქორიძე
მონაწილეობენ: ირინა გიუნაშვილი, ბექა იაკობაშვილი, ნინი კვასხვაძე, ნინო მუჯირიშვილი, ილია ჭეიშვილი, დენ ხლიბოვი, გურამ ლალიაშვილი
ხანგრძლივობა: ს სთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 24.12.2010

გოდოს მოლოდინში
სემუელ ბეკეტი
ტექსტზე მუშაობდნენ: გიორგი აფხაზავა, გიორგი ხოსიტაშვილი, ლაშა ბერსენაძე, ლაშა შეროზია, ნიკა მეგრელიშვილი
რეჟისორი - გიორგი აფხაზავა
მხატვარი - ნინო კიტია
ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
მონაწილეობენ: გიორგი ნაკაშიძე, თემო ნატროშვილი, ზურაბ გეწაძე, ქეთი ჩაჩუა, სოსო იოსელიანი
ხანგრძლივობა: 2 სთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 24.02.2011

რკინის ბიჭები
ალდო ნიკოლაი
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახობთა თეატრისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის ერთობლივი პროექტი
რეჟისორი - კოტე აბაშიძე
სცენური ვერსიის ავტორი - კოტე აბაშიძე
მხატვარი - მაია სხირტლაძე
მუსიკა - ლეონ მანველი
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ვანო იანტბელიძე, სოფო გურგენიძე
ხანგრძლივობა: 3 სთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 23.09.2011

მეა და იო
თამარ ბართაია
რეჟისორი -კოტე აბაშიძე
მხატვარი - სოფო მარიამ ქორიძე
მუსიკალური გაფორმება - ანი მურღულია
მონაწილეობენ: ანა მატუაშვილი, გუგა კახიანი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 15 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 16.12.2011

ჩვენთვის უცნობი ქვეყანა
ნიკო ლორთქიფანიძე
მანანა სურმავას საავტორო სპექტაკლი
ქორეოგრაფი -ელენე ხაინდრავა
პლასტიკური გადაწყვეტა - გოგი ოსეფაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ცოცხალი შესრულება
ფორტეპიანო, ჩელო, ვიოლინო, ჰობოი, ფლეიტა, ბლოგ ფლეიტა - კვალიაშვილების ოჯახი
საყვირი - გიორგი გაბრიელაშვილი
ხანგრძლივობა: 1 სთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 3 0.10.2011

R+J ბედისწერა დაბნეულია
რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება
შექსპირის მიხედვით
რეჟისურა, იდეა და სივრცის გადაწყვეტა – მიხეილ მარმარინოსი
თარგმანი – ვახტანგ ჭელიძე
ორიგინალური ტექსტის თარგმანი – ვერიკო მგელაძე
ტექსტზე მუშაობდნენ – მანანა ანთაძე, დათა თავაძე
ორიგინალური მუსიკა – დიმიტრის კამაროტოსი
კოსტიუმების მხატვარი – უშანგი იმერლიშვილი
მხატვარი გრიმიორი – ანუკა მურვანიძე
რეჟისორის ასისტენტი – დათა თავაძე
რეჟისორის მეორე ასისტენტი – ეკა დემეტრაძე

მსახიობები – მაცნენი: მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, გიორგი ნაკაშიძე, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე
ხანგრძლივობა: 3 სთ /ორ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 14.01.2012

ზ ვ ა ვ ი
თუნჯერ ჯუჯენოღლუ
რეჟისორი – რუსუდან ბოლქვაძე
მხატვარი -ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი - ზურაბ ბეგლარიშვილი
ტექნიკური რეჟისორი – თამარ სესიაშვილი
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, გვანცა გურგენიშვილი, ნიკა წერედიანი, ვანიკო თარხნიშვილი, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, ლია კაპანაძე, გუგა კახიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე
ხანგრძლივობა 1 სთ და 10 წთ/ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 17.02.2012

სუფთა სახლი
სარა რული
თარგმანი – ნინი ჩაკვეტაძე
რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე
მხატვარი - გიორგი უსტიაშვილი
ქორეოგრაფი - ანა წერეთელი
მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ზაზა ვაშაყმაძე, სალომე მაისაშვილი, ეკა ჩხეიძე, დარეჯან ხაჩიძე
ხანგრძლივობა: 1 სთ და 20 წთ/ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 25.03.2012

იკაროსი
იუსტინას მარცინკიავიჩუსი
თარგმანი - თამაზ გოდერძიშვილი
დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი
რეჟისორი - ირინა ჟღენტი
მხატვარი - ნუგზარ მეტრეველი
კომპოზიტორი - გოგი ჩლაიძე
ქორეოგრაფი - გოგი ოსეფაშვილი
კოსტიუმების მხატვარი - მარიამ ქორიძე
ტექნიკური რეჟისორი - ხათუნა ჯამათაშვილი
მონაწილეობენ: ანრი ბიბინეიშვილი, რეზო თავართქილაძე, ანა მატუაშვილი, ნათო შენგელაია, ნიკა წერედიანი, ბექა ჯუმუტია, ანა მარია გურგენიშვილი, რეზი გიორგობიანი, თათა თათარაშვილი, ლევან კაციაშვილი, ცოტნე მეტონიძე, ელენე მონასელიძე, ვაჟა მღებრიშვილი, ბექა სტურუა, მაკა ცინცაძე, ხათუნა ჯამათაშვილი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 10 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 12.01.2013

„ბალადა ვეფხისა და მოყმისა“
დამდგმელი რეჟისორი – გიორგი სიხარულიძე
იდეის ავტორი და მხატვარი – ზურაბ გოგორიკიძე
პროექტის აღმასრულებელი პროდიუსერი – ანდრო კლებანსკი
მუსიკალური გაფორმება – გიორგი სიხარულიძე, ანი მურღულია
პლასტიკა – ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი
კოსტიუმების შემქმნელი – ხანა ანდრიაძე
ტექნიკური რეჟისორი – ხათუნა ჯამათაშვილი
მონაწილეობენ: მზია არაბული, გუგა კახიანი, ანა მატუაშვილი, გაგი შენგელია, ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი, ნანუკა კუპატაძე, ნინო იაშვილი, ანა–მარია გურგენიშვილი, სალომე დიდიძე, სალომე ცუხიშვილი, გვანცა ენუქიძე, დათო ზუროშვილი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 10 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 20.02.2013
თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისა და ააიპ „ვან გოგორის“ ერთობლივი პროექტი

amor უცნაური სუყვარულის ისტორია
პეტერ ჰირჰე
თარგმანი - ნინო ბურდული
რეჟისორი - ნინო ბურდული
ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
მონაწილეობენ: ქეთი ასათიანი, პაატა ინაური
ხანგრძლივობა: 1 სთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 14.02.2013

პოლიცია
სლავომირ მროჟეკი
თარგმანი - ჯემალ ჭელიძისა
რეჟისორი - ზურაბ გეწაძე
მხატვარი - შოთა გლურჯიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გეწაძე
მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი სპექტაკლში მონაწილეობენ ევგენი მიქელაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო განყოფილების მოსწავლეები; გუნდის ხელმძღვანელი - ეკა ჩიქოვანი
ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ /ერთ მოქმედებად/
პრემიერა შედგა: 07.06.2013

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - აქვს
საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი, კაფე - აქვს
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - აქვს

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
მთავარი დარბაზი - 183 ადგილი (დარბაზში მოძრავი სკამებია, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სპექტაკლზე სკამების რაოდენობა მცირდება)



ტექნიკური აღჭურვა

სცენის პარამეტრები

განათება


8.18
12.35
0.40
0.40
2.34
2.06
1.34
1.34
1.40
13.34
acting area
wing space
0.93
0.93
7.61
9.62
S-03
E-03
S-03
Audience
E-01
Hanging flybar
Sophit light bar
Lighting truss
catwalk balcony
PC Spot-28-50* 2000W/5
PC Spot-28-50* 1000W/20
LED-PAR RGB/12
Pacific-90*-Fixed-Beam/2
ETC-PARNEL/24
Strand/SL 10*/12
smoke machine /2
SL_zoom23-50*/6
SL_zoom 15-32*./6
SL_19*/6
Pacific-23-50*zoom/2
Follow spot 1500w/2
PC Spot-600W/20
186 Dimmer channels
ZERO Jester TLXtra lighting desK
200 generic(dimmer) control channels 30 fixtures inteligent (muving lights)
apollo right arm/8

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ქეთი დოლიძესთან

- 2011-13 წლებში კინომსახიობთა თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება?

- მგონია, რომ საინტერესო სეზონები გვქონდა. სამ სპექტაკლს გამოვყოფდი. ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა სპექტაკლს „რომეო და ჯულიეტა“; ძალიან საინტერესო გამოვიდა „ქალი და მამაკაცი“, ასევე „სუფთა სახლი“. ფოლკლორისა, თუ, რიტუალური სპექტაკლის მცდელობის მხრივ - „ვეფხვი და მოყმე“. მაყურებელიც კარგად არის განწყობილი ჩვენი თეატრისადმი.

- რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი ყველაზე მეტად შემოქმედებითი თვალსაზრისით?

_ მთავარი პრობლემა უფულობაა. მე მიმაჩნია, რომ საშინელი სისტემაა, როდესაც ჩვენ სახელმწიფო გვაძლევს ფულს. ამაში იგულისხმება კომუნალური გადასახადები და ხელფასები. მე მგონი ჩვენზე პატარა ხელფასი არც ერთ თეატრს არა აქვს, იმის მიხედვით, მაპატიეთ, თუ როგორი ვარსკვლავები დგანან ჩვენთან სცენაზე. ამას აღიარებენ უცხოელი რეჟისორებიც, ჩვენი ახლობლებიც, საცოდაობაა უბრალოდ. რა თქმა უნდა, ეს იწვევს მსახიობების გულისწყრომას. გარდა ამისა, ისინი გარბიან სხვა თეატრებში მარტო შემოქმედების გამო არა, იმიტომ რომ იქ სთავაზობენ ანაზღაურებას და ყველა ფიქრობს, როგორმე თავისი თავის გადარჩენას. ჩვენთან არის შეურაცხმყოფელად პატარა ხელფასები, უმაღლესი რანგის მსახიობებისთვის აღარ არსებობს კატეგორიები. ზურა გეწაძემ და მე ის მაინც მოვახერხეთ, რომ თითო სპექტაკლზე გარკვეულ თანხას ვუმატებთ მსახიობებს. ჩვენ ვერ ვუმტკიცებთ სახელმწიფოს, რომ კულტურას და ჩვენ სფეროს სხვანაირი მოვლა სჭირდება. ყველა მთავრობაში, ატავისტურად, სპორტი და კულტურა მოდის ბოლოში. სპორტსმენებსაც უჭირთ, მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გვიჭირს. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ჩვენთვის გაღებული თანხა, ეს არის მათხოვრებისთვის გადაგდებული თანხა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სულ ასეთი შეგრძნება გვაქვს. მე შემიძლია გითხრათ, წლევანდელი ქართული სეზონის დასაწყისი, ედინბურგში საკმაოდ ტრაგიკული იყო - დავით დოიაშვილის დეკორაცია არ ჩამოვიდა. ამაში არაფერ შუაში არ არიან ბრიტანელები. ეს არის ჩვენი გადამზიდავი კომპანიის ბრალი და ვერც ერთი სპექტაკლი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ არავის არ ეყო იმდენი ტაქტი, უკაცრავად ამას, რომ ვამბობ, ზურა გეწაძის „მელოტი ქალისა“ და ჩემი „გამარჯობა, ასდოლარიანო!“-ს წარმატება გამოეცხადებინათ. ეს იყო ტრაგიკული დამთხვევა, რომ დეკორაცია არ ჩამოვიდა და ვერ ითამაშეს. თუმცა, ყველა ვარიანტში მე დღესაც ვთვლი, რომ შეიძლებოდა ერთ კვირაში ფორსმაჟორულ სიტუაციაში იქვე აგვეწყო ყველაფერი. ეს ჩემი პირადი აზრია იმიტომ, რომ ეს ხდება ძალიან ხშირად. მაგალითად, შექსპირის თეატრი ჩამოვიდა აქ, არ ჩამოვიდა დეკორაცია და ჯინსებში და პერანგებში ითამაშეს. მე დღესაც ასე ვთვლი. მე არ ვიყავი ამ გასტროლის, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ხელმძღვანელი, ყველა თავის საქმეს აკეთებდა, მაგრამ მე კატეგორიულად არ დავუშვებდი იმას, რომ სპექტაკლები არ მეთამაშა. მგონია, რომ ეს იყო დიდი შეცდომა დათო დოიაშვილის მხრიდან, იმ სკამების ყიდვაც და იმ რაღაცეების შეკოწიწება ერთ კვირაში ნამდვილად შეიძლებოდა. ეს იყო მისი გადაწყვეტილება. კარგი ბატონო. მაგრამ მერე ის, რამაც გაიმარჯვა, ის რატომ არავინ დაინახა?! რატომ არ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ჩვენ მოვყვებოდით იმის შესახებ, თუ რა იყო ედინბურგში.

- ამის ორგანიზება ვინ გააკეთა?

- ჩვენ ძალიან ბევრჯერ მივმართეთ კულტურის სამინისტროს თხოვნით, ბოლოს აქვე გავაკეთეთ პრესკონფერენცია. მე მიმაჩნია, რომ ეს სწორი არ არის. იქ არასდროს არ იწერება შვიდფურცლიანი რეცენზიები. ჯოის მაკმილანის, ყველაზე მაღალი რანგის პროფესიონალის, ოთხი ვარსკვლავი უდრის სხვის 10 ვარსკვლავს. იმიტომ, რომ ის ხუთ ვარსკვლავს არ იძლევა საერთოდ. ჩამოვიტანეთ რეცენზიები, გავუშვით გაზეთ „რეზონანსში“, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება. მე საერთოდ მეგონა, ესეც მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი სეზონი ასე არ უნდა დამთავრებულიყო. უფრო სწორად, მე საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი, არ ვიყავით ბუკლეტში, ჩვენ-ჩვენი ინიციატივით წავედით იქ. ამიტომ მოვხვდით ძალიან ცუდი პროდიუსერის ხელში, რომელიც ფულის გაკეთების გარდა არაფერზე არ ფიქრობდა. გული ბევრ რამეზე მწყდება. იგივე „ჩემი თაობის ავტოპორტრეტი“, „კაბა“ - ინგლისურად ნათამაშები სპექტაკლები, ეს არის სპეცპროექტი და მას ძალიან ბევრ ქვეყანაში - ამერიკაში, ბრიტანეთში წარმატება ხვდა წილად. მაჩვენეთ სხვა, ვისაც ნაციონალურ თეატრში სპექტაკლი აქვს ნათამაშები ასეთი წარმატებით. ამ პატარა სპექტაკლს დაიჯელ ოზბორნის, ვანესა რედგრეივის მსგავსი ადამიანები შედევრს უწოდებენ. გულისტკივილით გეუბნებით, სურვილი არა მაქვს, რომ ქართულად ვითამაშო. მგონია, რომ მაინც ვერავინ დაინახავს. აქ ფოკუსირება ხდება მხოლოდ რამდენიმე რეჟისორზე. მაგალითად, ნანა კვასხვაძე ავიღოთ. ჩემი ღრმა რწმენით, ის ძალიან საინტერესო რეჟისორია. თუნდაც ის, რომ ასეთი ახალი თეატრი შექმნა, ასე ენთუზიაზმით. მგონია, რომ თუმანიშვილის თეატრში გაკეთებული „ბერნარდა ალბას სახლი“ - ძალიან საინტერესო სპექტაკლია. ეს იური გეგეშიძის ბოლო შედევრი იყო. ნებისმიერი პრემიის ღირსია ის, რაც იურამ გააკეთა ამ სპექტაკლში. აღარ ვლაპარაკობ იმ შვიდ მსახიობ-ქალზე, რომლებიც ერთიმეორეზე უკეთესად მუშაობენ. ძალიან სერიოზული ნამუშევარია. იგივე „ქალი და მამაკაცი“ ექსპერიმენტია, მაგრამ მხიარულია, საინტერესოა. როგორ არის იცით, თითქოს ნანა კვასხვაძე არ არსებობს, როგორც რეჟისორი. მე მაქვს ამის მიმართ პრეტენზია. მე ვერ ვიტყვი საყვედურს ჩემი სპექტაკლების გამო, მართალი გითხრათ, ცუდი რეცენზია არ მიმიღია. ამისდამიუხედავად, მე ქართველი თეატრალური რეჟისორების ჩამონათვალში არასდროს არ ვარ, არც თეატრალურ საზოგადოებაში, არც სხვაგან. ჩემს სპექტაკლს „გამარჯობა, ასდოლარიანო!“ სხვაგან მოაქვს ხუთი ვარსკვლავი.

- რა სიხშირით აახლებთ დასს და რა პრინციპით ხდება მსახიობის მიღება თეატრში?

- მსახიობის მიღება აუცილებლობიდან გამომდინარე ხდება. ჩვენს თეატრს დიდი ხანი ფიზიკურად ამის საშუალება არ ჰქონდა. მაგრამ შარშან, მაინც, კატეგორიულად გადავდგი ნაბიჯი და შტატში მივიღე პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, ქეთა შათირიშვილი, სოსო ხვედელიძე. მინდა, რომ ხშირად განვაახლო დასი, მაგრამ ეს წარმოუდგენელია, ვერავის ვერ გავუშვებ თეატრიდან. იდეალური სისტემა არ არსებობს, სახელმწიფოზე ვართ დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ყველაზე მომგებიანი სისტემა გვაქვს იმიტომ, რომ სარეპერტუარო თეატრი ვართ. და ისევ, და ისევ, ის გულისტკივილი მაქვს, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმარისი ბიუჯეტი. ამხელა რეპერტუარს არ ეკადრება ეს ბიუჯეტი. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სადადგმო ხარჯი არ შეიძლება შედიოდეს ბიუჯეტში. ყოველთვის ყოველ სპექტაკლზე ვართ მათხოვრებად ქცეულნი მერიასთან, რომელიც ასე თუ ისე გვიფინანსებს სადადგმო ხარჯებს. მერია რომ არ იყოს, რა გვეშველება. მაგრამ მერიისგან გამოყოფილი დაფინანსება არ გვყოფნის ერთ სპექტაკლზე. დავდივართ ასე მათხოვრებივით, ყველაზე მეტად კი მეზიზღება ფულის თხოვნა.

- რა კრიტერიუმებით ირჩევთ რეჟისორებს?

- საერთოდ ცუდი ადამიანი ვარ. მე არ მჯერა 45-50 წლის ასაკში გარეჟისორებული მსახიობების. არ მჯერა, არ მომწონს, არ მიყვარს და ვირჩევ პროფესიონალიზმს, იმ სპექტაკლების მიხედვით, რაც დადგეს ოდესღაც, სადღაც. ქართული თეატრალური სივრცე არის დახურული, არავის არ უშვებს შიგნით, მე არ ვიცი, რატომ აკეთებენ ამას. ამდენი ფესტივალი ჩატარდა ქართველი რეჟისორებისთვის. დაფიქრდნენ იმაზე, რომ დღეს სხვანაირად ფიქრობს ევროპა, მსოფლიო მუდმივად ახლის ძიებაში არიან. მე არ მგონია, ჩვენთან რომელიმე თეატრი იყოს ექსპერიმენტატორი, არც ერთი. 1996 წლამდე, რატომ არც ერთ მსახიობს არ გაუჩნდა სურვილი, ბატონი მიშას დროს, დაედგა სპექტაკლი? იმიტომ, რომ არ მისცემდა ამის უფლებას. მე მირჩევნია, საინტერესო, პროფესიონალი რეჟისორი. მსახიობის სპექტაკლი მაინც არის მსახიობის სპექტაკლი. მორჩა და გათავდა. მე ჯერჯერობით, მსახიობის მიერ დადგმული წარმატებული შედეგრი არ მინახავს. თქვენ თუ ნახეთ, ძალიან გთხოვთ, მითხარით.

- რა სიხშირით იწვევთ ახალგაზრდა რეჟისორებს?

- მე მგონი, ძალიან ხშირად. ვცდილობთ, რომ მოვიდნენ და დადგან სპექტაკლები. სამწუხაროდ, ახალგაზრდა რეჟისორების დადგმული რაც ვნახე, არაფერი არ მომეწონა. მე მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი დეფიციტი გვაქვს რეჟისორებისა.

საუბარი თეატრის დირექტორთან ზურა გეწაძესთან

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- ჩვენს რეალობაში სპონსორს ვეძახით მას, ვინც თანადაფინანსებაში შემოდის და რაღაც სარგებელი აქვს, თუ მეცენატი არ არის, რომელიც უბრალოდ აფინანსებს. ჩვენთან ამას ვეძახით ბარტერულ ხელშეკრულებას. ძალიან ხშირია ასეთი სპონსორობა, როცა კონკრეტულ პროექტზე, ან კონკრეტულ სპექტაკლზე მიდის მუშაობა. ოღონდ რაც დრო გადის, მით უფრო თვალნათლივ ჩანს, სპონსორი მოდის პროდუქტის გაცვლაზე, ანუ რეკლამის სანაცვლოდ გაძლევს პროდუქციას და არა თანხას. ფულს არც ერთი არ გვაძლევს. მაგალითად, თუ ჩვენ გვჭირდება საღებავი, მივალთ „კაპაროლთან“, ვდებთ ხელშეკრულებას ბარტერზე. ის გვაძლევს იმ საღებავს, რომელიც ჩვენ გვჭირდება და სანაცვლოდ ამ თანხის სარეკლამო მომსახურებას ვუწევთ. იგივეა, ეს, სასტუმრო იქნება, თუ სხვა ნებისმიერი კომპანია. მამუკა ხაზარაძე, „თიბისი ჯგუფი“ ხშირად გვეხმარება ხოლმე და გვიფინანსებს სპექტაკლებს.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- გვაქვს ჩამოყალიბებული რამდენიმე ტიპის შეთავაზება, სხვადასხვანაირი ტექსტით, ვიზუალური გაფორმებით.

- რომელ საერთაშორისო ან ადგილობრივ კომპანიებთან თანამშრომლობთ დღეს?

- სპონსორებიდან „მაგთი“ არის ჩვენი მეგობარი კომპანია. ვთანამშრომლობთ, მონობარათებით ეხმარება თეატრს. ძირითადად რადიოებთან გვაქვს ურთიერთობა და საერთაშორისო თეატრალურ კომპანიებიდან „IETM“-ის ორგანიზაციაში ვართ გაწევრიანებული. „ITI“-ს ქართული მხარის წარმომადგენლობასთან გვაქვს ურთიერთობა.

- 2011-13 წლებში რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- აღვნიშნავ „თიბისი“ ბანკთან ურთიერთობას. მცირე დარბაზში დაიდგა ახალგაზრდა რეჟისორ ნინი ჩაკვეტაძის პირველი სპექტაკლი „სუფთა სახლი“, შემდეგ რუსუდან ბოლქვაძის „ზვავი“, აქაც მამუკა ხაზარაძის თანადგომა იყო. მანამდე ამირან ამირანაშვილმა „ჰამლეტი“ დადგა ახალგაზრდებთან და ისევ მამუკა ხაზარაძის ფინანსური მხარდაჭერით.

- განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- რა თქმა უნდა, განვიხილავ. დღეს, სახელმწიფოს მხრიდან რომ შეიცვალოს კულტურის პოლიტიკა და თეატრის მიმართ დამოკიდებულება, დარწმუნებული ვარ, სპონსორების ურთიერთობაც შეიცვლება. ისინი ჯერ ვერ ხედავენ აუცილებლობას, რომ თეატრი დააფინანსონ. ეს ხომ მათთვისაც კარგი და პრესტიჟულია სამომავლოდ, როგორც ეს საზღვარგარეთ არის, ჩვენ კი შორს ვართ ამისგან.

- რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა, კომპანიებთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას, თუ

ფულის შოვნის საშუალებას?

- ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას. რაც არ გულისხმობს, მხოლოდ ერთი პროექტზე თანამშრომლობას. ურთიერთობა ღრმავდება და ჩვენ, ვთქვათ, „მაგთისთან“ თუ გვაქვს ურთიერთობა, ეს მხოლოდ არ ნიშნავს, ის მერე ვითარდება. მაგალითად, თუ „მაგთის“ საქველმოქმედო აქცია აქვს, ხომ აღარ სჭირდება ძიება, სად დავრეკო და როგორ. პირდაპირ გვირეკავს, იქვე ვთანხმდებით და ვაკეთებთ ყველაფერს ჩვენი მხრიდან. მათ, თავის მხრივ, მოჰყავთ ხან ბავშვები, ხან ლტოლვილები, მიუსაფართა სახლიდან მოხუცები. ბევრია, ამგვარი ერთობლივი პროექტი. ეს, ერთ-ერთი მაგალითია.

- როდესაც თეატრი ეძებს სპონსორს, როდესმე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სპონსორის მხრიდან ყოფილიყოს შემოთავაზება ურთიერთობის, ბარტერული გაცვლის ან რაიმე სხვა?

- არა. ერთად გავაკეთოთ, ასეთი სურვილი ხანდახან უჩნდებათ, მაგრამ როგორც კი უკვე მიდიხარ პრაქტიკულ განხორციელებამდე, იქვე იფუშება; ან კომპანიის ხელმძღვანელობა ბოლო მომენტში უარს ამბობს ამ პროექტზე, პრიორიტეტს აკეთებს სხვა რამეზე. რა უნდათ ძირითადად სპონსორებს ჩვენთან, საქართველოში? სპონსორებს ურჩევნიათ, ფული ჩადონ ისეთ პროექტში, რომელიც გაშუქდება ტელევიზიით და ამაზე ისაუბრებენ საინფორმაციო ამბებში, თუნდაც ეს იყოს ერთხელ. ერთჯერადი აქცია მოაწყოს ვაკის პარკში და ამას 5 მილიონმა კაცმა უყუროს, ვიდრე თეატრში სპექტაკლი დადგას, სადაც დაეტევა 200 მაყურებელი. გრძელვადიანი ურთიერთობისას, შეიძლება კომპანია საერთოდ აღარ არსებობდეს, მაგრამ პროგრამაში დარჩეს მისი ლოგო და სპონსორად მოხსენიებული იყოს. მართალია, ამან შეიძლება გვიან მოგიტანოს შედეგი, შეიძლება 2, ან 3 წლის შემდეგ. მით უმეტეს, თუ კარგი სპექტაკლები გამოვიდა, შენთვის დიდი პლუსია. იმიტომ, რომ სამომავლოდ... მაგრამ ჯერჯერობით ასე ურჩევნიათ.

- თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა?

- ასეთი გეგმა არა გვაქვს. კონკრეტულ პროექტზე კონკრეტულ გეგმას ვსახავთ. თუმცა, ამის მცდელობა და ამაზე მუშაობა თითქმის სულ არის, რომ ვიშოვოთ ასეთი ძლიერი პარტნიორი. თეატრში მოსული ნებისმიერი ბანკის თანამშრომლობის სურვილი ის არის, რომ ვთქვათ, ჩვენი ანგარიშები გადავიტანოთ მათ ბანკში. ფული ძირითადად ბანკს აქვს. მაშინვე ჩვენგან მიდის შემხვედრი წინადადებები. კი ბატონო, გადმოვალთ თქვენს ბანკში, თუ ჩვენ ვიქნებით პარტნიორები და არა იმიტომ, რომ უბრალოდ ბანკში რაღაცა პირობას მთავაზობ, რომ პროცენტი უფრო ნაკლები იქნება და ა. შ. თუ გინდა ჩვენთან ურთიერთობა, ასე ვიურთიერთოთ. ძალიან ბევრი ასეთი შეხვედრა გვქონია. მარკეტინგისა და პიარის ჯგუფი მოდის ხოლმე ამაზე, მაგრამ უკვე შემდგომ, ზემდგომი ბორდი მაინც თავს იკავებს.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს?

- აუცილებლად.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის?

- ჩვენი დღევანდელი ბიუჯეტი ანუ სახელმწიფო ბიუჯეტი 97-98% დაახლოებით არის ხელფასები. დანარჩენი თანხა - კომუნალურის ნაწილი. ჩვენ არანაირი სადადგმო თანხა არა გვაქვს, რომ შევქმნათ პროდუქცია. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მსახიობები, რეჟისორები, ტექნიკური პერსონალი, ადმინისტრაცია, მაგრამ აქ არ არის თანხა იმისთვის, რომ ახალი პროდუქცია შექმნა. ეს არის მუდმივი პრობლემა, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა თეატრისთვის - სადადგმო თანხის მოძიება. აი, ამიტომ გვიწევს კონკრეტულ პიესაზე, კონკრეტულ პროექტზე, სპექტაკლზე ფულის შოვნა. ვთქვათ, რუსთაველის თეატრს დიდი დარბაზი აქვს, ადგილმდებარეობაც მომგებიანია, იქ შეიძლება, რომ გაქირავებიდან შევიდეს დიდი თანხა და დააგროვოს გარკვეული ფულადი სახსრები. ჩვენ თეატრში ადგილების რაოდენობაა 184. ეს შემოსავალი ვერ გაწვდება იმას, რომ ახალი პროექტი სრულად დააფინანსო. გარდა ამისა, ის გადასახადებიც რაც გადასახდელია, რაც მიმდინარე რეპერტუარის აუცილებელი გაუთვალისწინებელი ხარჯებია. მოწვეული მსახიობები, სპექტაკლზე სუფრის გაშლა. ყველაფერი ეს იურიდიულად უნდა იყოს გაფორმებული.

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს თეატრში დამატებითი თანხების მოძიება?

- პროექტი როცა დგება და ბიუჯეტს დავადგენთ, მერე უკვე ყველა მეთოდით ვცდილობთ თანხის მოძიებას. შეგვაქვს მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში. მათ აქვთ „თავისუფალი თეატრალური პროექტები“ თანადაფინანსებით, ისინი სრულად არ აფინანსებენ, მაგრამ ის თანადაფინანსება ჩვენ როგორც წყალი ისე გვჭირდება. გარდა ამისა, სადადგმოსთან და მხატვართან ერთად სპონსორს, რომელსაც ბარტერზე წამოვიყვანოთ. ასეთი შემთხვევაც იყო, რეკვიზიტისთვის ვეძებდით ნახმარ მაცივარს, „ელიტ ელექტრონიქსმა“ კი ახალი მაცივრები გვაჩუქა. ანუ, კონკრეტულ ფულს არ ვეძებთ, ჩვენ ვეძებთ იმას, რაც გვჭირდება. გარდა ამისა, კულტურის სამინისტროში შეგვაქვს მაინც პროექტი, იქ ძალიან იშვიათად, რომ სპექტაკლი დააფინანსონ, სადადგმო თანხა გამოყონ, მაგრამ მაინც ვცდილობთ ხოლმე. რა თქმა უნდა, ცალკე სპონსორებთან, იგივე ბანკებთან, არ ვაკლებთ ძალისხმევას, სადაც უმრავლეს შემთხვევაში გვეუბნებიან უარს, ძალიან იშვიათად გვთანხმდებიან და მერე უკვე ვდებთ ხელშეკრულებას.

- რა პრობლემა დგას დღეს ყველაზე მეტად თეატრის წინაშე?

- თეატრის წინაშე ძალიან დიდი პრობლემები დგას. პირველ რიგში, ალბათ კულტურის პოლიტიკის შემუშავება. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მთავრობის მეთაურმა უნდა გააკეთოს ეს. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რა საჭიროა საერთოდ ეს კანონი. ნებისმიერ ადამიანს ან უცხოელს, რომელსაც ვუხსნი კანონს თეატრის შესახებ, მჭირდება ნახევარი საათი, რომ მივახვედრო - რა არის კანონი თეატრის შესახებ. ამერიკაში, ბრიტანეთში თეატრები სხვა პრინციპებით მუშაობს. მთავარი პრინციპი ის არის, რომ თეატრები უნდა განთავისუფლდნენ. თეატრები დღეს მაინც პოლიტიზირებულნი არიან. თითქოს თავისუფალი

სიპები მაინც პოლიტიზირებულია, რადგან კულტურის სამინისტრო, მინისტრი ნიშნავს სამხატვრო ხელმძღვანელს და დირექტორს. მე ვფიქრობ, უნდა განთავისუფლდეს, უნდა შეიქმნას ფონდები, უნდა იყოს ამ ფონდის საბჭოები და რა თქმა უნდა, იმ საბჭოში არ უნდა იყოს დაინტერესებული პირი. ვთქვათ, თეატრის მსახიობი, რეჟისორი, მაგრამ უნდა იყოს ამ თეატრთან დაახლოებული. ჩვენი თეატრის ასეთი ფონდი რომ შეიქმნას და ფონდის საბჭო, ამ საბჭოში აუცილებლად უნდა იყოს, მაგალითად, „მაგთის“ წარმომადგენელი. შეიძლება მან ვინმე გამოუშვას თავის წარმომადგენლად ამ საბჭოში. ეს შეიძლება იყოს მწერალი ან მისი თანამშრომელი. რა თქმა უნდა, ეკონომიკის სამინისტრო, იმიტომ, რომ ეკონომიკის სამინისტროსია ქონება. კულტურის სამინისტროდან წარმომადგენელი, იმიტომ, რომ იქიდან მოდის დაფინანსება. მერიის წარმომადგენელი, ვინაიდან მერია ძალიან აქტიურად მონაწილეობს თეატრების დაფინანსებაში. უკვე 4 საბჭოს წევრი გვყავს. რა თქმა უნდა, თუმანიშვილების ოჯახიდან იმიტომ, რომ პირადად მისი ღვაწლით არის ეს თეატრი დაარსებული. იგივე მამუკა ხაზარაძე. თეატრის დასიდან ერთი წევრი, ოღონდ არა თეატრის მსახიობი. ისინი დასხდებიან, დაწერენ კონცეფციას, იტყვიან, აი ეს თეატრი, ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს ასეთი. კონსულტაციები დასჭირდება, რა თქმა უნდა, ყველას; დასთან შეუძლიათ გაიარონ, თეატრმცოდნეებთანაც და კულტურის სამინისტროსთანაც. გამოყოფენ ფულს და გამოაცხადებენ კონკურსს. აი, ჩვენ გვინდა ასეთი თეატრი. გვაქვს ამდენი ფული. ვინ გააკეთებს ამას. თვითონ საბჭო აირჩევს სამხატვრო ხელმძღვანელს. ანუ კანონს ქმნიან კონკრეტული თეატრები და ამით განსხვავებული იქნება. მარჯანიშვილის საბჭო სხვანაირ კონცეფციას დადებს, რუსთაველის თეატრი კი საერთოდ განსხვავებულს. საზღვარგარეთ ასეა და ეს ძალიან კარგია. იქნება პროგრამული დაფინანსება. 3 ან 4-წლიანი ხელშეკრულება და თვითონ ეს საბჭო მოსთხოვს იმ პირობების შესრულებას, რაც პროექტში ეწერა.

– მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი თქვენს თეატრში?

– გააჩნია სპექტაკლს. არის სპექტაკლი, სადაც ბავშვები 7 წლამდე არ დაიშვებიან. ვცდილობთ ხოლმე, რომ გავაკონტროლოთ, მაგრამ არის სპექტაკლები, როცა მთელი ოჯახით შეუძლიათ მოვიდნენ. მაგალითად, მარმარინოსის „რომეო და ჯულიეტა“, „გოდოს მოლოდინში“ არ არის რეკომენდებული ბავშვისთვის იმიტომ, რომ ის ვერ გაიგებს. ამ მხრივ, ჩვენ მაყურებელს ყოველთვის ვაფრთხილებთ და თვითონაც კითხულობენ, თუ ბავშვით მოდის, არის საბავშვო თუ არ არის. ბოლო პერიოდში ჩვენთან ძირითადად დადის ახალგაზრდა, 35 წლამდე ასაკის მაყურებელი. თუმცა, ჩვენ თეატრს ჰყავს ძველი, იმთავითვე, დაარსებიდან მოყოლებული თავისი ერთგული მაყურებელი. ისინი მოდიან, ყველა სპექტაკლს ნახულობენ. ჩვენ გავაკეთეთ ნოვაცია, ვასწავლე სხვა თეატრებსაც და არ ვიცი, გააკეთეს თუ არა. გავიგე, რომ ყველაზე მეტი სტუდენტი არის უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, მინდა, რომ წავიდე, წავიღო ჩვენი ბანერი, აფიშა, დავდგა მაგიდა და გავყიდო ბილეთები. ჩვენ გვაქვს 50%-იანი სტუდენტური ფასდაკლება, მაგრამ შეგვექმნა პრობლემა. იურისტებმა გვითხრეს, რომ ეს არ შეიძლება. ეს ყველაფერი გავარკვიეთ, ვიყიდეთ ახალი სალარო აპარატი და გავედით უნივერსიტეტებში. ამით შევიძინეთ მაყურებელი იმიტომ, რომ ერთხელ რომ მოვიდნენ, ინტერესი გაუჩნდათ, აქ იყვნენ სტუდენტები, რომლებიც პირველად მოვიდნენ თეატრში. კვლევების მიხედვით, ითვლება, რომ მაყურებელი ქალაქის მოსახლეობის 3%-ია და აქედანაც შენკენ უნდა გადმოქაჩო, რომ არ წავიდეს რესტორანში. ჩვენთან მოსული მაყურებელი უკვე ინტერესდება – რა გადის მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველში და ის ხდება ზოგადად მაყურებელი.

– როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

– გარდა იმისა, რომ აფიშაა, ბანერია, სოციალური ქსელი მუშაობს ძალიან კარგად. ძირითადად მაყურებელთან ურთიერთობა გვაქვს სოციალური ქსელით. ინფორმაციას იღებენ იქიდან. ყველაფერი ინტერნეტ სივრცეში ხდება – შეკითხვები, ბილეთების დაჯავშნაც, ყიდვაც კი. ასევე ჩვენ გავაკეთეთ აქცია „ერთგული მაყურებელი“. ეს აქცია მდგომარეობდა შემდეგში, რომ მაყურებელი მოდიოდა, ყიდულობდა ბილეთს და თუ უნდოდა, რომ აქციაში მონაწილეობა მიეღო მოლარეს, აძლევდა ნაყიდ ბილეთს, მოლარე ურტყამდა უკან ბეჭედს. ამ ბეჭედს აწერია – „მე მიყვარს თუმანიშვილის თეატრი“. ის ბილეთი უკვე იყო აქციაში. შემდეგ მოსვლაზე რომ იყიდიდა ბილეთს, ამ აქციაზე შეძენილ ბილეთს აჩვენებდა და კიდევ დაურტყამდა ბეჭედს. მესამე ბეჭედზე ის ავტომატურად ხდებოდა ერთგული მაყურებელი. გავაკეთეთ ელექტრონული ბაზა, მის მონაცემებს ვიღებდით და შედიოდა ბაზაში თავისი ტელეფონის ნომრით, მეილით, ვჩუქნიდით საჩუქრებს. მათთვის ცალკე შეთავაზებები გვქონდა. დაგვიპატიჟებია წინასაპრემიერო ჩვენებაზე, შემდეგ როცა ეს ბაზა შევქმენით, ბარათები დავუბეჭდეთ მათი სახელითა და გვარით, თვითონაც კმაყოფილები იყვნენ. მათთან ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელ მსახიობთან გსურთ შეხვედრა და მივეცით დასის სია. პირველი აირჩიეს ზურა ყიფშიძე. ამის საფუძველზე დავიწყე პროექტი „შეხვედრები თუმანიშვილის თეატრში“. ეს გადავიღეთ, პირველ არხს აქვს არქივში. იმ შეხვედრაზე დავგეგმეთ მეორე შეხვედრა გოგა პიპინაშვილთან. ამას უკვე მოჰყვა ინტერესი, თუ როდის იქნებოდა შემდეგი შეხვედრა.

– 2011-13 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?

– სალარო აპარატით გასვლა სტუდენტებთან. ამის შედეგად საგრძნობლად იმატა მაყურებელთა რაოდენობამ. ჩვენი ძირითადი მაყურებელი კი არის ახალგაზრდობა.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა






რისთვის მიდიხართ თეატრში?
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
N = 331
11%
27%
30%
31%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
N =702
15%
15%
10%
6%
13%
9%
7%
3%
5%
4%
13%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საიპერო
სასაღლეო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის

საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?



რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?




რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N= 318
25%
20%
15%
10%
5%
0%
5%
18%
24%
3%
13%
19%
3%
14%
1%
წაკითხული მქონდა წაწარმოები
მიწდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
წაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =562
25%
20%
15%
10%
5%
0%
18%
8%
16%
21%
18%
10%
7%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფნეიბრივაღმრდელობითი შინაარსი
სარეჟისორო აზრი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N=541
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
20%
8%
26%
15%
6%
4%
21%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N=200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 18%
კი 47%
არა 35%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N =200
მთლიანად ვენდობი 6%
საერთოდ არ ვენდობი 31%
ნაწილობრივ ვენდობი 64%


უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
N =200
არა 38%
კი 62%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
90%
2%
6%
1%
N =134
კაფე
ღამის კლუბი
კარაოკე კლუბი
დისკოთეკა


რესპონდენტთა სქესი
N =200
მამრობითი
25%
მდედრობითი
75%

რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
ლევან წულაძე	45
რობერტ სტურუა	37
ზურაბ გეწაძე	34
თემურ ჩხეიძე	22
ქეთი დოლიძე	17
დავით დოიაშვილი	6
დათა თავაძე	5
გიორგი სიხარულიძე	4
ავთანდილ ვარსიმაშვილი	3
ნუგზარ ბაგრატიონი	3
ნინო ბურდული	2
ვანო ხუციშვილი	1
კოტე აბაშიძე	1
დავით მღებრიშვილი	1
გიორგი მარგველაშვილი	1
გოჩა კაპანაძე	1
გოგა ქაჩიბაია	1
ნანა კვასხვაძე	1
გიორგი აფხაზავა	1
თათია პაპიაშვილი	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
ზურა ყიფშიძე	35
ნინელი ჭანკვეტაძე	25
ვანიკო თარხნიშვილი	18
კახი კავსაძე	17
გიორგი ყიფშიძე	16
ნატა მურვანიძე	15
ნანუკა ლითანიშვილი	10
ნიკა თავაძე	9
პაატა ინაური	8
მურმან ჯინორია	7
ეკა ჩხეიძე	7
რუსუდან ბოლქვაძე	6
ალეკო მახარობლიშვილი	5
როლანდ ოქროპირიძე	5
ქეთი ასათიანი	5
გოგა პიპინაშვილი	5
მანანა კოზაკოვა	5
ნანა შონია	5
გივი ბერიკაშვილი	4
მალხაზ აბულაძე	4
ქეთა შათირიშვილი	4
გიორგი ნაკაშიძე	4

ბაია დვალიშვილი	4
ზაზა პაპუაშვილი	4
ნიკა წერედიანი	4
ია სუხიტაშვილი	4
მარინა კახიანი	4
ნინო კასრაძე	4
ნანუკა ხუსკივაძე	4
ნინო ბურდული	4
რამაზ იოსელიანი	4
ნანკა კალატოზიშვილი	3
აჩიკო სოლოღაშვილი	3
მზია არაბული	3
აპოლონ კუბლაშვილი	3
გია აბესალაშვილი	2
ზურაბ ბერიკაშვილი	2
გოჩა კაპანაძე	2
გიორგი ვარდოსანიძე	2
კოკო როინიშვილი	2
ეკა ნიჟარაძე	2
მაია გელოვანი	2
გიორგი ჭუმბურიძე	2
მიშა გომიაშვილი	2
კახა გეჯაძე	2
ლელა მებურიშვილი	2
დავით დარჩია	2
რუსკა მაყაშვილი	2
გიორგი ვარდოსანიძე	2
ზურა გეწაძე	2
დუტა სხირტლაძე	1
ლევან ხურცია	1
ლია კაპანაძე	1
ბაჩო ჩაჩიბაია	1
თამუნა ნიკოლაძე	1
დათა თავაძე	1
ნინო გაჩეჩილაძე	1
კახა მიქიაშვილი	1
ბაჩო ქაჯაია	1
ჯემალ ღაღანიძე	1
თინი დალაქიშვილი	1
ჯაბა კილაძე	1
ჟანრი ლოლაშვილი	1
ნოდარ მგალობლიშვილი	1
ლაურა რეხვიაშვილი	1
თემო ნატროშვილი	1
ზუკა პაპუაშვილი	1
ნინო ლეჟავა	1
ნინო ხომასურიძე	1
ჯაბა პაპუაშვილი	1

გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეინიშნებოდა ჩვენი საზოგადოების ფართო ფენების სულიერი მიდრეკილება თოჯინური წარმოდგენების მიმართ, რასაც მოწმობდა იმდროინდელი ხალხური სანახაობები და რიტუალები. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი თოჯინური წარმოდგენების ორ მიმართულებას: პირველი ძირითადად რელიგიას ემსახურებოდა და, გარკვეულწილად, მისტიკურ ხასიათს ატარებდა. მეორე მიმართულებამ კი ხალხის საყვარელი თავშესაქცევის ნიშა დაიმკვიდრა – ეს იყო ხალხური, სატირულ-იუმორისტული ხასიათის წარმოდგენები, რომლებიც საზოგადოების მანკიერ მხარეებს ამხელდა. საქართველოში თოჯინების პროფესიული თეატრი 1934 წელს საქართველოს სახალხო არტისტმა – გიორგი მიქელაძემ დააარსა. გამომდინარე იქიდან, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა ქართული თოჯინური დრამატურგია, მიქელაძესა და თეატრის მსახიობთა მცირე დასმა არჩევანი ს. ფედორჩენკოს პიესაზე შეაჩერა – „ჭუჭრუტანაში გავძვრები, ჩემსას კი მაინც გავხდები". პირველი დადგმის განხორციელება წილად ხვდა მიხეილ სარაულს. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება მიანდეს მ. გოცირიძეს, მუსიკა – ვ. შავერზაშვილს. ქართული თოჯინური სცენის ესკიზი შექმნა პეტრე ოცხელმა. თოჯინები გამოთალა მიხეილ სარაულმა. თოჯინების ქართულმა თეატრმა პირველი წარმოდგენა გამართა 1934 წლის 26 მაისს, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბში. პიესა საკმაოდ პრიმიტიული იყო, მაგრამ პირველი თოჯინური წარმოდგენის ფაქტი იყო მნიშვნელოვანი. სწორედ ეს დღე იქცა საქართველოში თოჯინების პროფესიული თეატრის დაბადების დღედ. მეორე სპექტაკლი უკვე ქართული პიესის საფუძველზე დაიდგა – გ. როსებას „ღორმუცელა ჭამია". პირველი ქართული სპექტაკლი 200-ჯერ დაიდგა და იგი 40 000-მა მაყურებელმა ნახა. თეატრის მიერ პირველ წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება სპექტაკლი „ცაცო" – გ.როსებას პიესის მიხედვით. დადგმას ფართოდ გამოეხმაურა პრესა. 1936 წელს თოჯინების თეატრი განსახკომის (განათლების სახალხო კომისარიატის) სისტემაში შეიყვანეს და წლიური დოტაცია დაუწესეს. ამასთანავე, თოჯინების თეატრს შეუერთეს ქ. ჯუღელის ინიციატივით ჩამოყალიბებული ლანდების თეატრი. ლანდების ეკრანი პირველად გამოიყენეს სპექტაკლში „წკიპა".

თეატრი წლების განმავლობაში განთავსებული იყო აღმაშენებლის ქუჩაზე ერთ-ერთ არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან შენობაში. ახლა თოჯინების თეატრი შენობის გარეშეა და წარმოდგენებს დასი კულტურის ცენტრ „მუზაში" მართავს. თოჯინების თეატრისთვის შენობის რეაბილიტაციის და საბოლოოდ მოგვარების საკითხი გაურკვეველი ვადით დღემდე გადაუჭრელია.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

დაარსების წელი - 1934 წელი

თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

თეატრის ხელმძღვანელი პირები – სამხატვრო ხელმძღვანელი – ელენე მაცხონაშვილი; დირექტორი – თეიმურაზ ბადრიაშვილი

თეატრის ელ ფოსტა - tatiakvaliashvili@gmail.com

ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - Helen-pepilota@yahoo.com; temobad@gmail.com;

ვებგვერდის მისამართი - puppets.ge

თეატრის მისამართი – იურიდიული მისამართი: აღმაშენებლის გამზირი #103

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:

მსახიობთა რაოდენობა - 16

შემოქმედებითი პერსონალი - 27 (ჯამში, მსახიობების ჩათვლით)

ტექნიკური პერსონალი - 27

ადმინისტრაცია - 10

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	150 000			
2012	341 250			
2013	360 000			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან

2011 წელი - 66 820 ლარი

2012 წელი – 50 129 ლარი

2013 წელი – 70 208 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;

სპექტაკლის დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი
ნ. გერნეტი, ი. გურევიჩი „ბატის ჭუკი“; რეჟისორი შ. ცუცქირიძე, მხატვარი შ. ცუცქირიძე, კომპოზიტორი მ. დავითაშვილი	5	5	2
მ. სუპონინი „ბუტია“; რეჟისორი გ. სარჩიმელიძე, მხატვარი გ. აბაკელია, კომპოზიტორი გ. კასრაძე	14	38	3
ე. სპერანსკი, ს. მიხალკოვი „მხიარული ზღაპრები“; რეჟისორი: შ. ცუცქირიძე, მხატვარი: რ. კიკნაძე, კომპოზიტორი: ჯ. ადამაშვილი	17	2	
თ. ფხაკაძე „ხავსისქუდას ოინები“; რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: გ. აბაკელია, კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე	5		
ხ. პაუკში „სიურპრიზი“; რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: ი. ტკაჩენკო; კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე	1	1	
მ. აბრამიშვილი „ფეხბედნიერი მეკვლე“; რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: ი. ტკაჩენკო, კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე		41	
ნ. ღვინეფაძე (ჩუკოვსკის მიხედვით) „ჩვენი აიბოლიტი“; რეჟისორი: შ.ცუცქირიძე; მხატვარი: გ. აბაკელია, კომპოზიტორი: მ. დავითაშვილი		39	
ა. ჩხიკვაძე (რ. კიპლინგის მიხედვით) „ონავარი სპილო“; რეჟისორი: ვ. მაღლაფერიძე, მხატვარი: გ. აბაკელია; კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე	2	5	
დ. მაცხონაშვილი „ფერადი ოცნების გზაჯვარედინი“; რეჟისორი: ე. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი		48	12
ა. ლინდგრენი „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“; რეჟისორი: ე. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი			25
ე. მაცხონაშვილი „ფერადი ნისლების სანაპირო“; რეჟისორი: დ. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი			11
ვ. ალავიძე, დ. მაცხონაშვილი „ფანტაზია“; რეჟისორი: დ. მაცხონაშვილი, მხატვარი: მ. სულხანიშვილი, მუს. გაფორმება: ე. ჭავჭანიძე			15

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი – 162
2012 წელი – 74
2013 წელი – 150

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი – 30 231
2012 წელი – 12 031
2013 წელი – 25 736

ბილეთის ფასი და ტარიფები
2011–2012 წლებში აბონემენტის ღირებულება იყო 8 ლარი, ბილეთის ფასი – 3 ლარი
2013 წლიდან აბონემენტი – 9 ლარი, ბილეთი – 4 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა ? – 7 000-დან 12 000 ლარამდე
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა ? – 1500 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? – 2 000–დან 3 000 ლარამდე
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? სპექტაკლში – 25 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - უმაღლესი – 900 ლარი, უმდაბლესი – 500 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით – არა
ქვეყნის გარეთ – 2011 და 2012 წელს თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი ძეხში (სომხეთი)

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
თბილისის თოჯინების თეატრი არის უნიმას (თოჯინური ხელოვნების მოღვაწეთა საერთაშორისო გაერთიანება) წევრი.
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) – არა
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა – დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დიახ, თეატრს ჰყავს 2 მუდმივი რეჟისორი
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი – დიახ, პროექტების მენეჯერი და პიარ–მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება – დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება – დიახ
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა – 29 წელი
ყველაზე ხანდაზმული – 59 წელი
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? – გივი ქუსიკაშვილი, 59 წლის. ბოლოს ითამაშა სპექტაკლში „ზღაპარი წითელქუდაზე“, 2011 წლის 24 ნოემბერი.
როლი – ოჩოპინტრე

2010-2013 წლების რეპერტუარი

ნ. გერნეტი, ი. გურევიჩი
„ბატის ჭუკი“;
რეჟისორი შ. ცუცქირიძე, მხატვარი შ. ცუცქირიძე, კომპოზიტორი მ. დავითაშვილი

მ. სუპონინი
„**ბუტია**“;
რეჟისორი გ. სარჩიმელიძე, მხატვარი გ. აბაკელია, კომპოზიტორი გ. კასრაძე

ე. სპერანსკი, ს. მიხალკოვი
„მხიარული ზღაპრები“;
რეჟისორი: შ. ცუცქირიძე, მხატვარი: რ. კიკნაძე, კომპოზიტორი: ჯ. ადამაშვილი

თ. ფხაკაძე
„ხავსისქუდას ოინები“;
რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: გ. აბაკელია, კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე

ხ. პაუკში
„სიურპრიზი“;
რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: ი. ტკაჩენკო; კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე

მ. აბრამიშვილი
„ფეხბედნიერი მეკვლე“;
რეჟისორი: მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი: ი. ტკაჩენკო, კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე

ნ. ღვინეფაძე (ჩუკოვსკის მიხედვით)
„ჩვენი აიბოლიტი“;
რეჟისორი: შ.ცუცქირიძე; მხატვარი: გ. აბაკელია, კომპოზიტორი: მ. დავითაშვილი

ა. ჩხიკვაძე (რ. კიპლინგის მიხედვით)
„ონავარი სპილო“;
რეჟისორი: ვ. მაღლაფერიძე, მხატვარი: გ. აბაკელია; კომპოზიტორი: ლ. მაჭარაძე
დ. მაცხონაშვილი

„ფერადი ოცნების გზაჯვარედინი“;
რეჟისორი: ე. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი

ა. ლინდგრენი
„ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“;
რეჟისორი: ე. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი

ე. მაცხონაშვილი
„ფერადი ნისლების სანაპირო“;
რეჟისორი: დ. მაცხონაშვილი, მხატვარი: ვ. ქორიძე, კომპოზიტორი: შ. მაცხონაშვილი

ვ. ალავიძე, დ. მაცხონაშვილი
„ფანტაზია“;
რეჟისორი: დ. მაცხონაშვილი, მხატვარი: მ. სულხანიშვილი, მუს. გაფორმება: ე. ჭავჭანიძე

შენობის შესაძლებლობები:
თეატრს არ აქვს საკუთარი შენობა, გაურკვეველი ვადით თეატრი განთავსებულია კულტურის ცენტრ „მუზას“ შენობაში და წარმოდგენებსაც იქ მართავს

ტექნიკური აღჭურვა
განათება - пж 500 ვატი – 35ც; пж 1000 ვატი – 2ც; с 1000 ვატი – 4ც; с 500 ვატი – 2ც; თოფი 300 ვატი – 2ც; თოფი – ჰალოგენი+გაზზე 600 ვატი – 2ც; შტატივი – 4ც; პულტი – პოლონეთის აწყობილი, 1969 წლის.

გახმოვანება - მიქშერის პულტი, „ვერმონა“ კომპლექტი 7030, დასარტყმელი დანადგარი კ–200, მინი დისკის დეკა016, მიქშერის პულტი, მიკროფონი 2ც, დინამიკები 3ც, მიკროფონი 3ც, ვიდეოპროექტორი, დივიდი 1ც.

საუბარი თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ელენე მაცხონაშვილთან და თეატრის დირექტორთან თემურ ბადრიაშვილთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

ელენე მაცხონაშვილი - ჩემი აზრით, ამ ეტაპზე არ არსებობს, მაგრამ გვაქვს მცდელობა და დიდი სურვილი. განსაკუთრებით ჩვენს შემთხვევაში არის ამის აუცილებლობა იმის გამო, რომ საკუთარი შემოსავლებიდან ვიხდით იჯარას, სადადგმო ხარჯებზე კი გვაქვს სერიოზული პრობლემა და დეფიციტი. ალბათ სახელმწიფოს მხრიდანაც სჭირდება კონკრეტულ ქველმოქმედს ან ბიზნესმენს ხელშეწყობა და მოტივაცია იმისთვის, რომ კულტურაში ჩადონ ფული, განსაკუთრებით კი თეატრში.

თემურ ბადრიაშვილი - სპონსორობის კულტურა საქართველოში არ არსებობს. ამას სჭირდება საკანონმდებლო ბაზა. ჩვენთან ყველაფერი წყდება ნაცნობობის, ახლობლობის და ალბათ, დღეს ვის რა შეგვიძლია ვთხოვოთ, - აი ამ დონეზე.

- თუ აქვს თეატრს ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზება?

თ. ბ. - უამრავი შეთავაზება გვაქვს, რომელიც პირდაპირ არის მიმართული სპონსორის ინტერესებზე, მაგრამ ძალიან ძნელია რეალური სპონსორის პოვნა, განსაკუთრებით კი გრძელვადიანის. შეიძლება სპექტაკლის ერთჯერადი დაფინანსება მოახერხო, მაგრამ რომ დაგიდგეს რომელიმე სპონსორი მხარში და ვთქვათ, ერთი სეზონი ჩაგატარებინოს, ასეთი არ მეგულება.

- თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

ე.მ. - სამწუხაროდ, მიზეზი დადგენილია. რეალობაა, რომ საბავშვო თეატრი რატომღაც არ არის პრივილეგირებული არც სახელმწიფოს, არც ქველმოქმედების, ან ბიზნესმენების მხრიდან, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. თქვენ იცით, რომ ბაქოს თოჯინების თეატრი არის პრივილეგირებული

სახელმწიფოს მხრიდან. აქვთ საუკეთესო შენობა, დაფინანსება, პროექტები. ჩვენთან ასე არ არის. აი, სულ მოგვყავს ხოლმე მაგალითი, რომ განათლების სამინისტროსთვის მხოლოდ უნივერსიტეტი რომ იყოს პრივილეგირებული, დაახლოებით ამ სიტუაციაში ვართ.

– ბოლო სამი წლის განმავლობაში თუ გითანამშრომლიათ რომელიმე ადგილობრივ ან საერთაშორისო კომპანიასთან, თუნდაც, ერთ კონკრეტულ პროექტზე?

თ.ბ. - ბოლო სამი წლის მანძილზე არ მახსენდება, მაგრამ ადრე იყო. მაგალითად, „ქოლგეითის“ სარეკლამო სპექტაკლი შეგვიკვეთეს, მაგრამ რეკლამა გაკეთებული გვქონდა გადატანითი მნიშვნელობით. შემდეგ იყო „იუნისეფის“ შეკვეთა - ბავშვთა უფლებების კონვენციის 10 წლისთავისადმი დავდგით სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა ბავშვების პრობლემებს.

– თქვენი თეატრი არის სპეციფიკური თეატრი, ძირითადად საბავშვო სეგმენტზე გათვლილი, თუმცა მე მაინც მგონია, რომ თოჯინების თეატრი მარტო ბავშვებისთვის არ უნდა იყოს და არც არის, საბავშვო სეგმენტში ძალიან ბევრი ბიზნესკომპანია მუშაობს. თქვენი აზრით, კომუნიკაციის პრობლემაა მათთან, თუ ისევ სახელმწიფო კანონმდებლობა არ უწყობს ხელს ამ კომპანიებს, რომ ითანამშრომლონ თქვენთან?

ე.მ. - ვცდილობთ, რომ თეატრის ცნობადობა ავიყვანოთ იქამდე, რომ მათთვისაც იყოს საინტერესო კონკრეტულ თეატრში და კონკრეტულ სფეროში ფულის დაბანდება.

– თქვენი აზრით, თოჯინების თეატრს როგორც ბიზნესპარტნიორს, განიხილავთ თუ არა ძლიერ და ერთგულ პარტნიორად და რა პრივილეგიები გაქვთ თქვენ, რომ დაინტერესდეს ესა თუ ის კომპანია?

ე.მ. - ამ შემთხვევაში ცოტა სპეკულირება გამომივა თემით, მაგრამ რეალობა ასეთია, ვისაც აინტერესებს, ცოტა მაღალფარდოვნად გამომდის, მომავალი თაობის ბედი, სწორად აღზრდა და იდეურად სწორად განვითარება, თავისთავად, კეთილი ნებაც უნდა იყოს. როცა ვლაპარაკობთ თეატრის ცნობადობის გაზრდაზე, ესეც მოიაზრება. გარდა ამისა, იქნებ ფული ჩავდე და სანაცვლოდ მივიღე რეკლამა. რეალურად მათ ეს სჭირდებათ.

– თქვენი აზრით, სპონსორთან ურთიერთობა არის მხოლოდ რეკლამა სპონსორისთვის, თუ ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა?

თ.ბ. - ორივე ვარიანტი მისაღებია. შეიძლება იყოს ერთჯერადი შეთავაზება და გავაკეთოთ ისეთი რამ, რომ ძალიან მოეწონოთ, ანუ რეალური რეზულტატი მიიღონ - რეკლამა. მე რომ ვიყო საბავშვო პროდუქციის მწარმოებელი, პირველ რიგში, თოჯინების თეატრთან დავამყარებდი ურთიერთობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უზარმაზარ აუდიტორიას შეგვიძლია მივაწოდოთ თუნდაც სარეკლამო ინფორმაცია. მაგრამ ვთვლი, რომ თოჯინების თეატრის მიზანი და დანიშნულება არ არის რაღაცის რეკლამირება. თვითონ თეატრი უნდა იყოს იმდენად პრესტიჟული, აფიშაზე რომ ეწერება, ამა და ამ თეატრს გაუწიეს დახმარება, ეს უკვე უნდა იყოს რეკლამა. სპონსორთან შეიძლება მოიძებნოს ურთიერთობის ათასნაირი ფორმა. შეიძლება აბონემენტებზე იყოს ამ ფირმის ლოგო და ესეც უკვე რეკლამაა იმიტომ, რომ ათასობით ოჯახში შედის ეს აბონემენტი. მე ვთვლი, რომ ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან, რამხელა საშუალება გააჩნია თოჯინების თეატრს. ამის პრეცედენტი ჯერ არ არის.

– ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ამ თეატრის წინაშე დგას არაშემოქმედებითი თვალსაზრისით? რა მდგომარეობაშია შენობა და სად არის გამოსავალი?

ე.მ. - დავიწყებ იქიდან, რომ თოჯინების თეატრს არა აქვს საკუთარი შენობა. სიმართლე რომ გითხრათ, აქამდე არ არსებობდა კონკრეტული გეგმა. რამოდენიმე უწყებას მივმართეთ კულტურის სამინისტროს, მერიის განვითარების ფონდს, ვინც პასუხისმგებელია ამ შენობაზე, კრიმინალად ვყავდით გამოცხადებული. იურიდიულ და ფინანსურ ვაკუუმში ვიყავით მოყოლილები. თუმცა, ბოლო შეხვედრის დროს მინისტრის მოადგილესთან გამოჩნდა საწყისი წერტილი და სავარაუდოდ, ამ თვის ბოლოს იქნება ეს შეკრება. დაიწყება გეოლოგების შესვლა შენობაში და შედგება ზუსტი ხარჯთაღრიცხვა. ყოველ შემთხვევაში, რომ ვიცოდეთ, რა თანხა ჯდება რეაბილიტაცია, რათა ეტაპობრივად დავიწყოთ რემონტი და არა მთლიანად აშენება-რეაბილიტაცია. მარტო პროექტი 70000-80000 ევრო ჯდება.

თ.ბ. - ჩემი გუმანით ვგრძნობ, ეს საკითხი ძალიან მალე უნდა დაიძრას იმიტომ, რომ სახელმწიფო პროფესიული თეატრია და როდემდე შეიძლება იყოს თეატრი შენობის გარეშე - დედაქალაქის ტრადიციული თეატრია, პირველი თეატრია ისტორიულადაც ამ მიმართულებაში. ახლა რაღაც ფონურ რეჟიმში მიდის ამაზე ფიქრი. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ ეს საკითხი სადღაც არის გადადებული. სამინისტროში დაგვპირდნენ, რომ ამ პროექტის შექმნას მალე დაიწყებენ.

– ბუნებრივია, რომ მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი თქვენთან განსაზღვრულია.

ე.მ. - განსაზღვრული არის მეტ-ნაკლებად. ბოლო სპექტაკლების საშუალებით ცოტა გავზარდეთ მაყურებლის ასაკი. მცდელობა გვქონდა, ეტაპობრივად გაგვეზარდა მაყურებლის სეგმენტი და როგორც დრო გვიჩვენებს, ამართლებს. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი დარჩება ბავშვი. ეს იქნება საბავშვო თეატრი, მაგრამ შემოქმედებითი დონე, ასე ვთქვათ, და ამ შემთხვევაში ბაზა, იძლევა იმის საშუალებას, რომ სამომავლოდ გავაკეთოთ საღამოს სპექტაკლები უფროსებისთვის, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ქვეყნის გარეთაც იქნება საქართველოს სავიზიტო ბარათი.

– მართალს ბრძანებთ, დღეს ევროპულ თეატრში ძალიან მოდურია თოჯინები ცოცხალი პლანით და დიდია ინტერესი.

ე.მ. - მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აღიარებული სპექტაკლია, რომელშიც არის თოჯინა, იქ ჩანს, რომ მეთოჯინის გაკეთებული არ არის, რაღაც ტექნიკაა, რომელიც დარღვეულია. სწორედ იმიტომ ვუსვამ ხაზს შემოქმედებით ბაზას, რომ ის, რაც შეიქმნება, იქნება უფრო გამართული, უფრო დახვეწილი და უფრო

ახლოს კონკრეტულად თოჯინური ხელოვნების განვითარებისთვის.

თ.ბ. - მარტივად რომ ვთქვათ, ის, რაც ახლა ვთქვით, რომ ძალიან მოდურია ქართულ თეატრებშიც სპექტაკლის თოჯინებით შეკმაზვა, ჩვენ პირიქით გავაკეთებთ, ანუ თოჯინების პრიორიტეტი იქნება და საჭიროებისამებრ შეიძლება დავამატოთ დრამის საშუალებებიც.

- 2011-13 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი. პროდუქცია, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა მაყურებელს?

თ.ბ. - ჩვენ ტრადიციული თეატრი ვართ. ანუ როცა ჩვენ შენობა გვქონდა, თეჯირზე კეთდებოდა ძირითადად სპექტაკლები. 2012 წელს პირველად ჩვენი თეატრის ისტორიაში დაიდგა სულ სხვა მეთოდით, სხვა ტიპის თოჯინების სპექტაკლი „ფერადი ოცნების გზაჯვარედინი". ამ სპექტაკლს საეტაპო მნიშვნელობაც ჰქონდა და მსახიობებისთვისაც ახალი ხილი იყო, ვიზუალურადაც სულ სხვანაირი სპექტაკლი იყო. მე მგონია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იმ პერიოდში ეს სპექტაკლია. თეატრი ახალ ეტაპზე გადავიდა.

ე.მ - როგორც არ უნდა იყოს, „ბატის ჭუკი" რჩება ამ თეატრის კლასიკად. ვერც ერთი სპექტაკლი ვერ შეედრება მოთხოვნადობით და მაყურებელთა დასწრებით. ყოველდღე რეკავენ და კითხულობენ, როდის იქნება „ბატის ჭუკი". ეს არის სპექტაკლი, რომელზეც მუდმივი ანშლაგია.

- ეს ძველი დადგმაა თუ განახლებული?

ე.მ. - ამ შემთხვევაში განახლებულია თოჯინები და დეკორაციები.

თ.ბ. - ელემენტარულად ცვდება თოჯინა. ამ წლების განმავლობაში მეათე რეინკარნაციაა, რომელიც განიცადა კონკრეტულად თოჯინამ.

- თქვენთან ცოტა რთულადაა საქმე. ქალაქგარეთ არაა, მაგრამ მაინც ძნელად მისადგომია „მუზა". როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

ე.მ. - მაყურებლის პრობლემა არ გვაქვს, ღია სალაროზეც კი აბსოლუტურად სავსეა დარბაზი. კვირაობით ვთამაშობთ და არის სრული დასწრება. კვირის დანარჩენ დღეებში კიდევ უფრო არა გვაქვს პრობლემა იმიტომ, რომ სააბონენტო სპექტაკლებია.

- ანუ სააბონენტო სისტემა მუშაობს?

თ.ბ. - ეს არის ალბათ ერთადერთი ფუფუნება, რაც ჩვენს თეატრს გააჩნია - მაყურებელი გვყავს. ძალიან დიდი მოთხოვნაა.

- რას აკეთებს დღეს თოჯინების თეატრი საერთაშორისო მიმართულებით მუშაობის კუთხით?

ე.მ. - ამ კუთხით რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. გვაქვს რამოდენიმე შემოთავაზება, რომელთაც ჯერ არ ვახმაურებთ. უკრაინიდან არის შემოთავაზება გასტროლზე და ერთ სპექტაკლზე. ვცდილობთ გავაკეთოთ სწორი არჩევანი. თანხები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოვიძიოთ და მაინც ვფიქრობ, როცა თეატრი ძიების პროცესშია, თუ რამეს გავიტანთ, ეს უნდა იყოს ძალიან ღირებული და საიმიჯო. ამ გზაზე ვდგავართ და მე მგონი, რომ ახლო მომავალში გადავკვეთ საზღვრებს.

- რამდენად საკმარისია სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის?

ე.მ. - ეს არის ყველაზე მტკივნეული საკითხი. სახელმწიფოსაგან დაფინანსებული თანხა, წელს გახდა 400 000 ლარი, რომელიც მთლიანად სახელფასო ფონდია, ანუ კომუნალური გადასახადები, იჯარა, რომელშიც მიდის შემოსავლის 70%. სადადგმო თანხა თეატრს საერთოდ არ რჩება. ხელფასიც, ამ ბიუჯეტის გათვალისწინებით არის მინიმალური, განსაკუთრებით ამ თეატრის და ამ სპეციფიკის მსახიობებისთვის, ან თუნდაც ტექნიკური პერსონალისთვის. მათ უწევთ დღეში სამი სპექტაკლის თამაში, მერე რეპეტიციები. ვიღაცა კიდევ ახერხებს დამატებითი სამუშაოს შოვნას, მაგრამ იმდენ დროს და ენერგიას ართმევს ეს თითოეულ ჩვენს თანამშრომელს, ვერ დავიტრაბახებთ, რომ ეს სესაფერისი ანაზღაურებაა.

- რას თვლით თეატრის შემოქმედებით წარმატებად ბოლო წლებში?

ე.მ. - გარანტირებული მეთოდით დავიწყებ, რომ ბოლო სამ თვეში გვქონდა სამი პრემიერა. შეიძლება ხარისხს არ მოიცავს რაოდენობა, მაგრამ ის, რომ თეატრი ისევ მუშაობს, მოქმედებს და მუდმივ ძიებაშია, განმსაზღვრელი ნამდვილად არის. ასეთი ამბიციური გეგმა გვაქვს, მომავალ წლამდე დაგეგმილია კიდევ შვიდი პრემიერა. ამით ვამაყობ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შვიდი სპექტაკლის თანხა უნდა მოვიძიოთ. შემოქმედებითი წარმატების განმსაზღვრელი იქნება ალბათ რეპერტუარიც, რომელიც ალბათ მეტ-ნაკლებად შეიქმნება ამ წლისთვის. ორიენტაცია აღებული გვაქვს კლასიკურ ნაწარმოებებზე, აქედან ორი არის თანამედროვე დრამატურგია და ორიც ქართული კლასიკური ნაწარმოები. ვთვლი, რომ ადაპტირებული საბავშვო ფორმებით, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს რეპერტუარში თანამედროვე ქართული დრამატურგია. შემოქმედებით წარმატებას განაპირობებს ჩვენი საამაყო დასიც, რომელსაც, კიდევ ერთხელ ვამბობ, პროპორციულად ვერ ვუნაზღაურებთ. წარმატებად ვთვლით იმას, რომ ღია არის ჩვენი თეატრის კარი და ვაპირებთ ვითანამშრომლოთ როგორც დამდგმელ, ასევე მოწვეულ რეჟისორთან. ჩვენს შემთხვევაში, პირიქით, ჭირს ამ სპეციფიკისთვის რეჟისორის პოვნა, ანუ ვიღაცას არ ვუშვებთ, ასეთი არ არის. აქ სხვა სპეციფიკაა.

თ.ბ. - გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ, შიდა რესურსი მოვიძიოთ. აი, ახლა ძალიან საინტერესო პროექტი გვაქვს, მსახიობები დგამენ, ანუ ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინა, მოიტანა ძალიან კარგი პროექტი. ჩვენ ვაძლევთ საშუალებას, რომ სპექტაკლი დადგას, ანუ მეთოჯინეების წრე იმდენად დახურული წრეა, რომ ყველა რესურსს ვიყენებთ. რეჟისორი შოთა ცუცქირიძე, რომელმაც „ბატის ჭუკი" დადგა, მსახიობი იყო ჩვენს თეატრში. მან დაიწყო რეჟისორობა და აქვს საეტაპო სპექტაკლები. ამ მხრივ

თეატრი არის ღია ყველასთვის. საზოგადოებაში გაისმა, რომ თეატრები დაიკეტა რეჟისორებისთვის. მაგრამ ჩვენ, პირიქით, ვცდილობთ, რაც შეიძლება ბევრი საინტერესო რეჟისორი შემოვიდეს თეატრში. კიდევ ერთს დავამატებ, რომ წარმატებას თავისი შინაარსი აქვს. წარმატების განმსაზღვრელი ინდიკატორი თეატრში და საერთოდ ხელოვნებაში არის მაყურებელი. ჩვენი მაყურებელი ყველაზე უფრო პირუთვნელი მაყურებელია. მათზე უფრო ობიექტური მაყურებელი არც ერთ თეატრს არა ჰყავს. ბავშვს თუ სპექტაკლი არ მოსწონს, არ გეტყვის, რომ მოეწონა აი, იმ რეაქციებზე, რასაც ვხედავთ დარბაზში, ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, სპექტაკლი შედგა თუ არა. ამ მხრივ, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ჩვენ შეგვიძლია ბავშვს კარგი გემოვნება ჩამოვუყალიბოთ და შეცდომაშიც შევიყვანოთ. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით ყოველი ახალი დადგმის პიესას, ამ პიესის ხარისხს, თემატიკას.

– ალბათ პრობლემა არის დრამატურგიისაც. მით უმეტეს, თანამედროვე ქართული დრამატურგიისა, რომელიც თქვენი სპეციფიკისგან განსხვავდება. როგორ მოიძიებთ დრამატურგიას, რეპერტუარის აგების დროს გიწევთ ინსცენირებების გაკეთება, თუ არის მზა ქართული პიესა, თუნდაც საბავშვო?

ე.მ. - არა მხოლოდ ქართული. ზოგადად თოჯინური პიესის დეფიციტია. ამიტომ ამ ეტაპზე გვქონდა განსაზღვრული, რომ კლასიკური ნაწარმოების ინსცენირებებს გავყოლოდით. დაზღვეული ვართ, რომ კარგი საბავშვო ნაწარმოების პოპულარიზაციას ვეწევით. მაგრამ სამომავლოდ ვაპირებთ, რომ ჩვენი თეატრის ბაზაზე მოხდეს რეჟისორების, მსახიობების და განსაკუთრებით კი დრამატურგების გაზრდა.

თ.ბ. - აქ ალბათ შემოქმედებითი ლაბორატორია უნდა გაკეთდეს, რათა ჩვენთან ერთად დაეუფლონ თოჯინური თეატრის სპეციფიკას.

ე.მ. - ეს პრობლემა დგას თეატრალურ უნივერსიტეტშიც. იქაც, სადაც ბატონი გივი სარჩიმელიძეა და მერე რა იქნება?!

– რა კრიტერიუმებით ხდებოდა რეჟისორების მოწვევა, როდესაც იყო მმართველის ინსტიტუტი და ახალა, როდესაც არის სამხატვრო ხელმძღვანელის ინსტიტუტი?

ე.მ. - ამ შემთხვევაში, ვთქვათ, შვიდი პროექტიდან, სამი სპექტაკლი არის ჩვენი თეატრის დამდგმელი რეჟისორის ხელმძღვანელობით, ერთი არის ჩვენი მსახიობების პროექტი, რაც შეეხება მოწვეულ რეჟისორებს, აქ კრიტერიუმი არის ალბათ მათ მიერ დადგმული სპექტაკლები და მათი შემოქმედებითი რეზიუმე, რომელიც ან მისაღებია, ან - არა. ამ შემთხვევაში უფრო მეტად თამამ და ექსპერიმენტების მოყვარულ რეჟისორებზე გვაქვს აქცენტი.

თ.ბ. - ზოგადად რეჟისორის მოწვევა თეატრში ნიშნავს იმას, რომ თეატრი ცდილობს, რაღაც ახალი შემოიტანოს თავის ცხოვრებაში. ჩემი მმართველობის პერიოდში მყავდა რამდენიმე რეჟისორი, რომლებიც დგამდნენ სპექტაკლს, მაგრამ ვიცით, რომ ყველა რეჟისორს თავისი სტილი, ხელწერა აქვს, ჯგუფი ჰყავს, რომელიც ერთი სტილის სპექტაკლებს დგამს. აქედან გამომდინარე, როცა ჩვენ ვცდილობდით მოგვეწვია რეჟისორი, ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო - განსხვავებული, ახალი სტილი შემოეტანა თეატრში. ზოგჯერ იმასაც ვითვალისწინებდით, რომ მოგვეწვია ნაკლებად პროფესიონალი თოჯინების თეატრის თვალსაზრისით, რადგან ის არ არის ჩაკეტილი შტამპებში, მაგრამ ვერ მოხერხდა ჩვენი დაკონტაქტება, იმდენად რაღაც უცნაური წამოვიდა მათი მხრიდან. ვერ გავრისკეთ. იმდენად ვერ ერკვეოდნენ თოჯინების თეატრის სპეციფიკაში და იმდენად სხვანაირად წარმოედგინათ მასშტაბების საშუალებები, რომ ჩემი აზრით, გაუგებრობა გამოვიდოდა. ამის გამო ჩვენ ვიწვევდით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ რეჟისორებს, რომელთაც საბავშვო თეატრებში მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

ე.მ. - დაკვირვებული ვარ, რომ თეატრებში დასადგმელად იწვევენ რეჟისორებს, რომელთაც ისედაც აქვთ საკუთარი თეატრი, სახელი, დიდება, ძალიან კარგი ბაზა და მხოლოდ იმიტომ, რომ მარკეტინგზეა გათვლილი. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ მივცემთ თავს უფლებას, რომ ქუჩაში დავინახე, საინტერესო ტიპია, მოვკიდე ხელი და წამოვიყვანე. ამაზე ორიენტირებული ვერ ვიქნებით, მაგრამ უფრო ვცდილობთ, აქეთკენ წავიდეთ, რომ ვიპოვოთ ადამიანი, რომლისთვისაც ეს თეატრი იქნება ისეთივე საინტერესო და მიმზიდველი, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის. ვთქვათ, თემურ ჩხეიძისთვის, რობერტ სტურუასთვის და ლევან წულაძისთვის ეს იქნება ჩვეულებრივი, რიგითი და არც მთლად სახარბიელო შემოთავაზება.

– მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პრობლემა და პროცესია თაობათა ცვლა და განახლება. როგორ ხდება და მოხდა თქვენთან დასის განახლება?

ე.მ. - გარკვეული სფერო არსებობს. მაგალითად, ფეხბურთი, სადაც ფეხბურთელს გასდის თამაშის ვადა. ჩვენთან შტატში გვყავს სულ 16 მსახიობი. ეს არის ძალიან ცოტა. აქედან გამომდინარე, იმის ფუფუნება, რომ ვიღაცა იმუშავებს დატვირთვით, წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია მათი დამსახურება, ოღონდ ამ შემთხვევაში მე მაქვს ცოტა მკაცრი და ალბათ არაჰუმანური დამოკიდებულება. თეატრი არ არის ადამიანი, თეატრი არის დაწესებულება და მას უნდა სჭირდებოდე. შეუძლებელია, შენ გჭირდებოდეს თეატრი. თეატრს უნდა სჭირდებოდეს თითოეული კადრი სასიცოცხლოდ. განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, როცა ზედმეტ კადრს ვერ შევინახავთ.

თ.ბ. - ჩვენი დაწესებულება - ეს არ არის საპენსიო ფონდი. დაწესებულება არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც სულ უნდა იყოს ფორმაში, სულ უნდა იყოს განახლებადი და სულ რაღაც ახალს უნდა ეძებდეს. პრეტენზია, დაწესებულებიდან გამიშვეს, ჩვენ კი არა, ეს სახელმწიფოს უნდა წაუყენონ, რომ ნორმალური პენსია იყოს, ნორმალური საარსებო პირობები შეუქმნას ადამიანებს. ამ დაწესებულებიდან კი ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მოვა დრო და უნდა წახვიდე იმიტომ, რომ შენ იმ ფუნქციას ვეღარ ასრულებ. განა ცუდი ხარ ან არაპროფესიონალი, უბრალოდ ფიზიკურად ვეღარ შეძლებ. ჩვენთან არის ძალიან მძიმე ფიზიკური შრომა. მარტო თოჯინის დაჭერა ხშირად ახალგაზრდებს უჭირთ. როცა პენსიის ასაკს 10 წლით გადაცდები,

აღარ უნდა გქონდეს დაწესებულების მიმართ პრეტენზია. რატომ არავის არ ახსენდება, რა გაუკეთა მათ თეატრმა?! მთელი ცხოვრება იმუშავეს თეატრში, ბავშვებთან ჰქონდათ ურთიერთობა, ამდენი სიხარული მიუღიათ თეატრიდან. მე მგონი, ცოტა უნდა შეიცვალოს ჩვენში მენტალობა. პირიქით, უნდა გადაუხადო იმ ორგანიზაციას მადლობა, რომელმაც მოგცა საშუალება, ყოფილიყავი არტისტი, დაფასებული ადამიანი.

- ძალიან მტკივნეული საკითხია კრიტიკოსთებთან ურთიერთობა. მე პირადად დამნაშავედ ვგრძნობ თავს. რამდენად არის მომართული თქვენი პროდუქციის მიმართ კრიტიკოსთა ყურადღება?

ე.მ. - დაახლოებით იგივე დამოკიდებულება აქვთ კრიტიკოსებს ამ თეატრის მიმართ. ეს არის მუდმივი პრობლემა. რატომღაც მეორეხარისხოვნად თვლიან და ეს არის ჩემთვის მიუღებელი. ამ შემთხვევაში პირიქით, მოთხოვნილებაც გვაქვს. პიარის ნაწილიც არის, რა თქმა უნდა, რომ ვიღაცა შენზე წერს კარგს ან ცუდს. მაგრამ ხარისხის განმსაზღვრელი ხომ არსებობს. თქვენი პროფესიის წარმომადგენლები არიან მეტ-ნაკლებად ხარისხის განმსაზღვრელები. ისევ და ისევ საბავშვო თეატრზე არის საჭირო მეტი ცენზურა, მეტი დაკვირვება. ეს არის დამატებითი შეფასება მაყურებლისთვის. გვაქვს ჩამოყალიბებული აზრი, გემოვნება. ყოველ შემთხვევაში, ეს აუცილებელია.

თ.ბ. - ტრადიციულად ასე მოდის, რომ დავუშვათ უნივერსიტეტზე უფრო მეტს ილაპარაკებენ, ვიდრე სკოლზე. მაგრამ ჩვენ ყველამ ხომ ვიცით, რომ უნივერსიტეტში ისე ვერ მიხვალ, სკოლა თუ არ გაიარე. ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ამიტომ შენ თუ საძირკველი არ ჩაუყარე ბავშვს სკოლაში, ის ვერასდროს მივა უნივერსიტეტში მომზადებული და წარმატებული. აი ასე არის ჩვენი თეატრიც. უნდა დამკვიდრდეს ეს აზრი, უფროსმა თეატრებმა უნდა დაგვიჭირონ მხარი, რომ ჩვენი თეატრიდან მაყურებელი მიუვიდეს აღზრდილი, იცოდეს, როგორ იჯდეს დარბაზში, როგორ უყუროს სპექტაკლს, როგორ გაიაზროს, რა არის სპექტაკლი. დღეს ჩვენ ამას ვცდილობთ და ვასწავლით. პედაგოგი გვყავს. უკვე წლებია ამას ვინარჩუნებთ. გვგონია, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ. თვითონ თეატრის თანამშრომლებს აქვთ უდიდესი პასუხისმგებლობა იმავე საზოგადოების წინაშე. სამაგიეროდ, საზოგადოებას არა აქვს არანაირი სიყვარული. აქცენტი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი თეატრია, არ კეთდება. ეტყობა, ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ მივიყვანოთ აქამდე.

ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „ბუდრუგანა-გაგრა“

მოკლე ისტორია

ხელისჩრდილებისთეატრი“ბუდრუგანა“შეიქმნა1982წელს,ქალაქთბილისში.თეატრისჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის რეჟისორ გელა კანდელაკს. “ბუდრუგანას“ პირველ დასში გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, სტომატოლოგი და სხვ.: ია ელუაშვილი (ელუა), ქეთევან შავდია, მარინა გვიჩია, ილონა გვიჩია, სოფო სიხარულიძე, მზია მჭედლიშვილი, მაკა ლორთქიფანიძე, პაატა ფაჩუაშვილი, ანა გოგორიშვილი, ნატო ზაზაშვილი, ელენე ფიფია და ნუგზარ პერონიძე - თეატრის მმართველი. „ბუდრუგანას“ მიზანი იყო საქართველოს ძნელად მისადგომ რეგიონებში ბავშვებისათვის სპექტაკლების ჩატარება. მისი პირველი ოფიციალური ჩვენება პარიზში, 1991 წელს, მარიონეტების კვირეულზე შედგა. პრემიერიდან მალევე თეატრმა არაერთი პრესტიჟული ფესტივალიდან მიიღო მოწვევა და წარმატებით მონაწილეობდა მათში.

თეატრის სახელწოდება „ბუდრუგანა-გაგრა“-თი 2002 წლიდან შეიცვალა, რადგანაც ის დაკომლექტდა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებით, რომლებიც ამავე დროს იყვნენ თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სტუდენტები და „საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობა კვალი XXI“-ს დამფუძნებლები: შოთა თურქია, ინგა კუკულაძე, ირაკლი ურიდია, ქეთევან ბესელია, ნინო ნემსვერიძე, ჯუმბერ თაკალანძე, ორესტ თოდუა, ვადიმ შუბითიძე, ზურაბ ქვაჩახია, ანჟელა აბშილავა, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია. დასს მოგვიანებით შეემატნენ: ანა ფარცვანია, ირაკლი მიზრახი, გოგა ქობალია, გიორგი ჭანტურია, ქეთევან ჭიტაძე, ლევან ჩაჩანიძე, ელენე ზუბაშვილი, თინათინ ჩხეიძე.

2010 წლიდან „ბუდრუგანა-გაგრა“ (რომელიც მანამდე თოჯინების სახელმწიფო თეატრის სხვენში რეპეტიციობდა) რობერტ სტურუასა და ზაალ ჩიქობავას ინიციატივით გადავიდა შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც სისტემატურად (მცირე სცენაზე) წარმოადგენს სარეპერტუარო სპექტაკლებს. იმავე წლიდან „ბუდრუგანა-გაგრას“ მიენიჭა სახელმწიფო თეატრის სტატუსი (ამ დროიდან მას იურიდიულად „აფხაზეთი“ ეწოდა).

სარეპერტუარო სპექტაკლების პარალელურად ჩრდილების თეატრი ყოველწლიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალში, ასევე მართავს სპექტაკლებს საქართველოს რეგიონებში.

„ბუდრუგანა-გაგრას“ სპექტაკლები მისაწვდომია თითქმის ყველა ასაკისა და ეროვნების მაყურებლისთვის. ისინი არ საჭიროებენ თარგმანს, რადგან წარმოდგენების გამომსახველობითი საშუალება ხელების მოძრაობა და მუსიკაა. თეატრს რეპერტუარში აქვს როგორც სპექტაკლები, ასევე საკონცერტო ნომრები. სპექტაკლების თემატიკა და სტილისტიკა მრავალფეროვანია, დაწყებული იგავური ფორმიდან, დამთავრებული მოდერნითა და მულტიმედიით.

გელა კანდელაკმა ხელის ჩრდილების სახით შექმნა სრულიად ახალი თეატრალური სისტემა. ეს სისტემა არის საოპერო და საბალეტო ხელოვნების თავისებურებების, პანტომიმის თეატრის ელემენტებისა და ანიმაციური ფილმის პრინციპების ორგანული ნაზავი, რომელიც დაფუძნებულია კლასიკური დრამატული თეატრის ძირითად მახასიათებლებზე. „ბუდრუგანა-გაგრას“ დასი ამჟამად შედგება თერთმეტი მსახიობისა და რეჟისორისგან (გელა კანდელაკი).

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სსიპ ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრი „აფხაზეთი“ - „ბუდრუგანა-გაგრა“
დაარსების წელი - 1982
თეატრის იურიდიული სტატუსი - სსიპ
დაქვემდებარება - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - გელა კანდელაკი (სამხატვრო ხელმძღვანელი), ზურაბ ქვაჩახია (დირექტორი)
თეატრის ელ ფოსტა - budruganagagra@yahoo.com, info@budrugana.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - budruganagagra@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - www.budrugana.com
თეატრის მისამართი - თბილისი, რუსთაველის 17.

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 11
შემოქმედებითი პერსონალი - 3
ტექნიკური პერსონალი - 2
ადმინისტრაცია - 3

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	70.000			
2012	77.000		10.000	
2013	90.000			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან - აისახება რუსთაველის თეატრის შემოსავალზე (თანხაში ვგულისხმობთ მხოლოდ რუსთაველის თეატრში გამართულ სპექტაკლებს. არ ვგულისხმობთ საზღვარგარეთში გამართულ გასტროლებს, რომლის შემოსავალი თეატრის ბიუჯეტზე არ აისახა).
2011 წელი - 6880 ლარი
2012 წელი - 6410 ლარი
2013 წელი - 3882 ლარი

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა 2011-2013 წლებში
ვგულისხმობთ მხოლოდ რუსთაველის თეატრში გამართულ სპექტაკლებს. არ ვგულისხმობთ საზღვარგარეთ და საქართველოს რეგიონებში ჩატარებულ გასტროლებს.
2011 წელი- 16
2012 წელი- 11
2013 წელი- 12

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი- 973
2012 წელი- 894
2013 წელი- 552

ბილეთის ფასი და ტარიფები - 6, 8 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 20 000
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? -
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 2000
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 500
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) 580 -220

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით
2011: გასტროლები - ნინოწმინდა, ბოლნისი, გორი; ფესტივალები - „თბილისი 2011 - თანამედროვე მუსიკის საღამოები“, „ანიმაციური ფილმების პირველი საერთაშორისო ფესტივალი - ნიქოზი“
2012: გასტროლები - ბათუმი, ქობულეთი, ბეშუმი, ნიქოზი; ფესტივალები - „თბილისი 2012 - თანამედროვე მუსიკის საღამოები“, „ანიმაციური ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი - ნიქოზი“
2013: გასტროლები - მამხუტი, გომბორი, ახალქალაქი, გორი; ფესტივალები - „თბილისი 2013 - თანამედროვე მუსიკის საღამოები“
ქვეყნის გარეთ
2011: ფესტივალები - სომხეთი თოჯინური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი „Toumanian Fairy Tale Day“; აზერბაიჯანი „Baku Internetional Puppet Theatre Festival“
2012: ტური - ლიტვაში 10 სპექტაკლი: კაუნასში, ვილკავიშკისში, ვილნიუსსა და პალანგაში. ფესტივალები - ირანი მობარაქის სახელობის თეირანის თოჯინური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი (3 სპექტაკლი)
2013: - ფესტივალი - ინდონეზია, ფესტივალი World Puppet Carnival

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 1 გასტროლი, საშუალოდ 300 ლარი
საზღვარგარეთ - 10-იდან 20 000 ლარამდე
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით UNIMA GEORGIA
ქვეყნის გარეთ - არა
ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ. - არ გვაქვს შენობა, მიუხედავად ამისა 2011-2012 წლებში ვმასპინძლობდით ლიტველი მსახიობების ჯგუფს „DEGAM“, რომელიც ეუფლებოდა, ხელის ჩრდილების ქართული თეატრის ხელოვნებას.
კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - 2012 წელს ლიტვურ ჯგუფთან თანამშრომლობით დაიდგა სპექტაკლი „ ბიჭუნა და თოლიები“
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - არ ვიცით, ფარავს მეორე მხარე
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - შესაძლოა
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ, თეატრის დამფუძნებელი და მუდმივი რეჟისორი გელა კანდელაკია.
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - შესაძლოა ზოგიერთ კოლეგასთან პროფესიული ურთიერთობა დადებითად აისახოს თეატრის საქმიანობაზე (ვგულისხმობთ ჩრდილების თეატრის ოსტატებს).

გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა 23 წლის
ყველაზე ხანდაზმული 39 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
39 წლის ანჟელა აბშილავა, “რა საოცარი დღეა”, 2013 წლის 21 დეკემბერი
(“ბუდრუგანა-გაგრას” დასიდან. დეკრეტშია).

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2013 წლის ოქტომბერი - გელა კანდელაკი დაჯილდოვდა თუმანიშვილის სახელობის პრემიით.

2011-2013 წლების რეპერტუარი

წელიწადის ოთხი დრო
სცენარის ავტორი და რეჟისორი: გელა კანდელაკი
კომპოზიტორი: თეიმურაზ ბაკურაძე
ახმოვანებენ: ეკა კვალიაშვილი, მალხაზ კუხიანიძე, ვახტანგ კომახიძე
სიმღერას ასრულებენ: კახი კავსაძე, კოტე, ნინო და თამარ ჟვანიები
მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, ქეთევან ჭიტაძე, ელენე ზუბაშვილი, ზურაბ ქვაჩახია, თინათინ ჩხეიძე, ლევან ჩაჩანიძე.

რა საოცარი დღეა...
ავტორი და რეჟისორი: გელა კანდელაკი
მუსიკალური კონსულტანტები: რევაზ კიკნაძე, ზურაბ ნადარეიშვილი, თამაზ ყურაშვილი, კესტუტის ვაიგინისი.
მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, ქეთევან ჭიტაძე, ელენე ზუბაშვილი, ზურაბ ქვაჩახია, თინათინ ჩხეიძე, ლევან ჩაჩანიძე.

ტექნიკური აღჭურვა
განათება - გვაქვს სპეციფიკური განათების სისტემა: dedolight-ის ორი ნათურა.
ახმოვანება - საბჭოთა წარმოების ხმის აპარატურა, რომელიც ხშირად გამოდის მწყობრიდან (სარეპეტიციოში), სპექტაკლებისას ვსარგებლობთ რუსთაველის თეატრის ხმის აპარატურით.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი - 260 ადამიანი
გასვლითი სპექტაკლებისას დარბაზების სივრცე ცვალებადია. მერყეობს 100-იდან 200 ადგილამდე

სცენის პარამეტრები
(ჩრდილების თეატრის სპექტაკლების ჩასატარებლად აუცილებელი პარამეტრები)
სცენის სიღრმე 4 მეტრი
სცენის სიგანე 5 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3 მეტრი

საუბარი თეატრის მენეჯერთან ქეთევან ჩიტაძესთან

- **არსებობს თუ არა სპონსორის კულტურა საქართველოში?**
- არა, მათთვის ხელოვნების ხელშეწყობა (თუნდაც ურთიერთდახმარების პირობებში) ნაკლებად მნიშვნელოვანია. არ აინტერესებთ ხელოვნება, რომელიც კომერციულ სარგებელს არ იძლევა. ამ სივრცეში კი კომერციულ სარგებლის მომტანია „ხელოვნება“, რომელიც შოუზეა ორიენტირებული. ვფიქრობთ, კომპანიებსაც (იშვიათი გამონაკლისით) არ აქვთ სურვილი, ჩადონ ფული მცირე პროექტებში. ასეთი კი ძალიან ცოტაა (მითუმეტეს ღირებული).
- **გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?**
- დიახ, გვაქვს - გავუწევთ რეკლამირებას სპონსორ კომპანიას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.
- **რომელ კომპანიებთან თანამშრომლობთ?**
- არც ერთთან

- **2011-2013 წლებში რომელიმე სპონსორთან, ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?**

- 2011 ოქტომბერ-ნოემბერი - მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. სპექტაკლები ბოლნისსა და ნინოწმინდაში

- **განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?**

- დიახ, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია წამოვიდა მოლაპარაკებაზე.

- **თეატრი ეძებს სპონსორს, ან თუ გქონიათ სპონსორის მხრიდან შემოთავაზების შემთხვევა?**

- 2011 წლის ბოლოს გვქონდა „თეგეტა მოტორსთან“ ურთიერთობის მცდელობა. მოლაპარაკება ვერ შედგა მათ მიერ შემოთავაზებული თანხის სიმცირის გამო.

- **თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა?**

- არა.

- **ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს და დროის რა მონაკვეთზეა გათვლილი?**

- დიახ, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას აფხაზეთის კულტურის სამინისტროსთან. ჯერჯერობით არაა ცნობილი თარიღები. უკვე მეხუთე წელია, ყოველწლიურად ვაგზავნით წერილებს ფონდ „ქართუში” (უპასუხოდ).

- **საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხმები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის?**

- ნაწილობრივ, სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხა გათვლილია სახელფასო ბიუჯეტზე და ყოველი ახალი გასტროლი, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, ყოველი ახალი ტექნიკური ხარვეზი დაკავშირებულია თანხების მოძიების პრობლემასთან.

- **როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?**

- სხვადასხვა პროექტის განხორციელების და სპონსორების მოძიების მეშვეობით.

- **ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?**

- ტექნიკური რესურსების მოძიების წინაშე. მუდმივად გვაქვს სურვილი, ვიაროთ საქართველოს რეგიონებში, რაც მოლაპარაკებების გარდა დაკავშირებულია ტრანსპორტისა და საწვავის არქონასთან.

- **მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?**

- 4 წლიდან 104 წლამდე ☺ - ასე გაიხუმრა ერთხელ ჩვენმა რეჟისორმა გელა კანდელაკმა. ჩვენი რეპერტუარის ერთი სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ ჰგავს, ვისთვის ზღაპარია, ვისთვის ფილოსოფია. სწორედ ამიტომ „წელიწადის ოთხი დრო“ გათვლილია როგორც 4 წლის ბავშვზე, ისე ხანდაზმულებზე. მეორე სპექტაკლი „რა საოცარი დღეა...“ ჯაზზეა აგებული და უფრო „ასაკოვან“ 13-14 წლიდან მაყურებელს გულისხმობს. თეატრი გათვლილია ყველა სეგმენტის მაყურებელზე, მათ შორის უცხოელებზე, რადგან არ ვიყენებთ ტექსტს.

- **რა იყო 2011-2013 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?**

- არ ვმუშაობთ მარკეტინგის მიმართულებით, არ გვყავს პროფესიონალი კადრი. სამწუხაროდ...

- **როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?**

- რეკლამა, სოციალური ქსელები, სატელევიზიო სიუჟეტები.

- **თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება 2011-2013 წლებში?**

- ნომინაცია „ჯადოსნური ხელების ანიმაცია“ ინდონეზიაში გამართულ ფესტივალზე World Puppet Carnival 2013 წელს; პრიზი ირანში გამართულ მობარაქის სახელობის თოჯინური თეატრების ფესტივალზე; ცოცხალ ჯაზთან ერთად გაკეთებული საღამოები რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე.

- **რა პრობლემების წინაშე დგას ყველაზე მეტად თეატრი შემოქმედებითად?**

- საჭიროა დასის გარკვეული ნაწილის პროფესიული დონის ამაღლება და ახალი ძალების მოზიდვა, რაც ყოველთვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. მიზეზი თეატრის მუშაობის რეჟიმია (არსებულ სპექტაკლზე მუშაობის პარალელურად - რაც ყოველდღიურ რეპეტიციებს გულისხმობს, საჭიროა ახალ სპექტაკლზე მუშაობაც), ჩრდილების თეატრის მსახიობი ყველაფერთან ერთად დგას ფიზიკური პრობლემების წინაშეც...

- **რა სიხშირით ანახლებთ დასს, როგორ და რა პრინციპით ხდება მსახიობთა მიღება-შერჩევა**

3-4 წელში ერთხელ ხდება მცირე ცვალებადობა (ერთი მსახიობი მიდის და ახალი მოდის). მსურველი გადის გრძელვადიან პრაქტიკას, პრაქტიკის პერიოდში მიღწეულ წარმატებაზეა დამოკიდებული მისი დასში შეყვანა. ხელების პლასტიკა, მსახიობის ოსტატობა, მუსიკალური სმენა, შრომის სიყვარული, ფიზიკური გამძლეობა - ეს ის თვისებებია, რომლებიც ჩრდილების თეატრის მსახიობისთვის აუცილებელია.

- **რა კრიტერიუმით იწვევთ თეატრში რეჟისორებს?**

- სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, ვცდილობთ, რომ გამოჩნდეს ჩვენი სპეციფიკით დაინტერესებული ადამიანი, რომელიც შეძლებს ჩვენს თეატრში მოღვაწეობას, მაგრამ ასეთი ჯერ არ ჩანს...

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

რუსული დრამატული თეატრი თბილისში დაარსდა 1832 წელს და არის კავკასიაში უძველესი. მას 2015 წლის შემოდგომაზე 170 წელი უსრულდება.

1934 წელს თეატრს მიენიჭა ალექსანდრე გრიბოედოვის სახელი. გრიბოედოვის თეატრი მუდამ იყო და რჩება ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად, ქართული თეატრალური სივრცის უძველეს წევრად.

რუსული თეატრის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში იღებს სათავეს, როდესაც თავადების სახლებში იდგმებოდა სამოყვარულო სპექტაკლები. 1845 წლის 20 სექტემბერს მეფისნაცვალის მიხაილ ვორონცოვის ბრძანებით თბილისში დაარსდა რუსული თეატრი. სპექტაკლები იმართებოდა კვირაში სამჯერ. 1846 წლის 20 სექტემბრისთვის ნათამაშები იყო 104 სპექტაკლი.

1855 წლის 10 აპრილს ახალი მეფისნაცვალის გენერალ მურავიოვის დანიშვნის შემდეგ რუსული დასი, ქართულ საბალეტო და საოპერო დასებთან ერთად, დაითხოვეს და ამ პერიოდში თბილისში აქტიურად მუშაობდნენ რუსული ანტერპრიზები.

1880-იან წლებში პიტოევების სახლში შეიქმნა თეატრი 300-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზით. 1887 წელს პიტიიევების წრის ბაზაზე დაარსდა "თბილისის საარტისტო საზოგადოება", ხოლო 1898 წელს დაიწყო "საარტისტო საზოგადოების" თეატრის მშენებლობა. 1974-1977 წლებში ხელახალი რეკონსტრუქციის შედეგად აიგო ახალი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანდა უნივერმაღი, თეატრი და მეტროპოლიტენის მიწისზედა ვესტიბiული. 2006-2008 წლებში თეატრს ჩაუტარდა მორიგი რეკონსტრუქცია და დაემატა ორი სართული, მთლიანად განახლდა დიდი და მცირე სცენების ტექნიკური აღჭურვილობა და მაყურებელთა დარბაზები.

1901 წლის 8 თებერვალს ალექსანდრე გრიბოედოვის პიესის "ჭკუისა მჭირს" დადგმით გაიხსნა "საარტისტო საზოგადოების" თეატრის პირველი სეზონი.

XIX საუკუნის დასასრულს - XX საუკუნის დასაწყისში თბილისის რუსულ თეატრში თამაშობდნენ რუსული სცენის უდიდესი მსახიობები - პ.სტრეპეტოვა, ა.იაბლოჩკინა, ვ.კომისარჟევსკაია, ა.სუმბათაშვილი-იუჟინი, კ.ვარლამოვი, მ.პეტიპა და მრავალი სხვა.

1904 წელს სეზონი გახსნა ვ.მეიერხოლდის დასმა "ახალი დრამის სამეგობრო", რომელიც 1907 წლამდე მოყვაწეობდა. 1915 წელს რეჟისორ ა.ტუგანოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა რუსეთის თეატრალური საზოგადოების არტისტების სამეგობრო. 1921 წელს სამეგობრო გარდაიქმნა რუსულ აკადემიურ თეატრად. 1932 წელს კი მთავრობის დადგენილებით თეატრს სახელმწიფო რუსული თეატრის სტატუსი მიენჭა და სეზონი გაიხსნა მ.გორკის პიესით "ფსკერზე", რომელიც კოტე მარჯანიშვილმა დადგა. 1939 წელს თავისი სადიპლომო ნაშრომი - სპექტაკლი "ვანიუშინის შვილები" წარმოადგინა გიტისის კურსდამთავრებულმა გ.ტოვსტონოგოვმა. ამ პერიოდში თეატრში ჩამოყალიბდა ბრწყინვალე სამსახიობო კოლექტივი: ლ.ვრუბლიოვსკაია, ზ.ბელეცკაია, ე.სატინა, ა.სემენოვა, ვ.ბრაგინი, კ.გარდინი, ა.ლიპნიცკი, კ.მიუფკე, ი.ოსიპოვი, ა.სმირანინი, ი.მაკსიმოვა და სხვა.

მოგვიანებით თეატრში მოვიდნენ ნ.ბურმისტროვა, თ.ბელოუსოვა, ნ.ლუსპეკაევი, დ.სლავინი, ი.რუსინოვი, მ.პიასეცკი, ი.შევჩუკი, ა.გომიაშვილი, ი.ზლობინი, ა.შენგელაია, თ.სიომინა, ა.ლევინი, მ.იოფე, ზ.კაზინეცი, ლ.კრილოვა, ჯ.სიხარულიძე, ე.კუხალეიშვილი, ე.ბაიკოვსკი, ე.კილასონიძე, ს.გოლოვინა, ზ.გრიგორიანი, ლ.გავრილოვი. ბოლო წლებში გარდაცვალებამდე თეატრის წამყვანი მსახიობი იყო ნიკო გომელაური, რომელმაც არაერთი როლი შეასრულა გრიბოედოვის თეატრის სცენაზე (ვრონსკი, თავადი პანტიაშვილი, ვოლანდი და მრავალი სხვა).

მას შემდეგ გრიბოედოვის თეატრში მუშაობდნენ როგორც საქართველოს, ასევე მთელი საბჭოთა კავშირის გამოჩენილი რეჟისორები. სხვადასხვა წლებში საუკეთესო დადგმათა შორის არის ი.ვაკელის "დიდი მოურავი" (ა.რუბინი, 1941); მ.გორკის "უკანასკნელები" (გ.ღვინიაშვილი, 1950); ა.გრიბოედოვის "ჭკუისა მჭირს" (ა.თაყაიშვილი, 1954); ა.არბუზოვის "ირკუცკის ისტორია" (ა.ვიპმანი, 1960); უ.გიბსონის "ორნი საქანელაზე" (ა.ჩხარტიშვილი, 1062); ფ.გუდრიჩის და ა.ჰაკეტის "ანა ფრანკის დღიური" (მ.კუჭუხიძე, 1964);. ბ.შოუს "ცეზარი და კლეოპატრა" (ა.გინზბურგი, 1966); ვ.დელმარის "დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს" (მ.პიასეცკი, 1970); ვ.კოროსტილიოვის "კომანდორის ნაბიჯები" (გ.ლორთქიფანიძე, 1971); ვ.კატაევის "ყვავილების გზა" (პ.ფომენკო, 1972); ა.ვამპილოვის "უფროსი ვაჟი" (ა.ტოვსტონოგოვი, 1975); გ.გორინის "ჰეროსტრატეს დავიწყება" (ა.ტოვსტონოგოვი, 1975); ნ.დუმბაძის "მარადისობის კანონი" (გ.ჟორდანია, 1981); ლ.რაზუმოვსკის "მვირფასო ელენა სერგეევნა" (გ.ჩაკვეტაძე, გ.ჟორდანია, 1982); ა.სტავიცკის "შოლომ-ალეიხემას ქუჩა" (ლ.ჯაში, 1986); ა.ჩეხოვის "ალუბლის ბაღი" (გ.ქავთარაძე, 1992); მ.ლაშერის "რასპუტინი" (გ.ქავთარაძე, 1993); ლ.ტოლსტოის "ანა კარენინა" (გ.ქავთარაძე, 1998) და ა.შ.

დღეს დასის წამყვანი მსახიობები არიან: ლ.არტიომოვა-მღებრიშვილი, ი.მეღვინეთუხუცესი, ვ.ხარიუტჩენკო, მ.ამბროსოვი, მ.არჯევანიძე, ვ.ქურასბედიანი, ვ.გაბაშვილი, მ.კიტია, ნ.დარჩიაშვილი, ი.კვიჟინაძე, კ.ყენია, ა.მამონტოვა, ა.ბარათაშვილი, ს.ნათენაძე, ქ.ფილიევი, ა.კუბლაშვილი, დ.სპორიშევი, გ.თურქიაშვილი, ნ.კიკაჩეიშვილი, ს.მარგალიტაშვილი, ო.მჭედლიშვილი, ს.ლომჯარია, ა.არუთინიანი. თეატრის რეპერტუარშია რუსული და საზღვარგარეთული თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებები.

1999 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა ავთანდილ ვარსიმაშვილი. მის მიერ დადგმული ბოლო წლების

სპექტაკლებს შორის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეზონანსი მოიპოვეს: ე.ზოლას "ტერეზა რაკენი" (1999); "Russian ბლუზი" (2001); ა.ცაგარლის "ხანუმა" (2005); მ.ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა"; (2009), ჯ.სობოლის "გეტო" (2010), ნ.გოგოლის "ქორწინება" (2011), ლ.ტოლსტოის "ხოლსტომერი. ცხენის ისტორია" (2012). ასევე ბოლო წლებში თეატრში დაიდგა სხვა რეჟისორების სპექტაკლები. ესენია: "დოსტოევსკი. ru", ა.პუშკინის "დონ ჟუანი" (ა.ენუქიძე), ბ.ბრეხტის "არტურო უის კარიერა", ა.კრისტის "ინგლისური დეტექტივი", ა.ოსტროვსკის "ჭექა-ქუხილი", პირველად ქართულ სცენაზე უ.შექსპირის "ზამთრის ზღაპარი" (ვ.ნიკოლავა), ე.რაძინსკის "მოჰკალ მამაკაცი" (გ.მარგველაშვილი), ი.ტურგენევის "მდგმური" (ნ.ლორთქიფანიძე).

სპექტაკლები იმართება კვირაში სამჯერ - პარასკევს, შაბათს და კვირას. აღსანიშნავია, რომ კვირას თამაშდება საბავშვო სპექტაკლი, რომელიც თეატრის რეპერტუარში მრავლადაა. ესენია: ა.შვარცის "კონკია", (ა.ვარსიმაშვილი), "მოროზკო" (ლ.ურბონავიჩუტე, ლატვია), ა.გრინის "ალისფერი იალქნები" (ა.ვარსიმაშვილი, ვ.ნიკოლავა), ჯ.როდარის "ჩიპოლინო" (გ.თოდაძე), ს.მარშაკის "12 თვე" (დ.პავლოვი, სანქტ-პეტერბურგი) და სხვა.

თეატრი აქტიურად მოგზაურობს და მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში. ასევე ყოველწლიურად თავის სცენაზე მასპინძლობს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესატივალის და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის სპექტაკლებს და მონაწილეობს ქართულ შოუ-ქეისში.

2012 წელს გრიბოედოვის თეატრი გახდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოს ჯილდოს - "ტოლერანტობის ქომაგის" პრემიის ლაურეატი. 2013 წელს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფორუმზე "ოქროს რაინდი" გრან-პრის მფლობელი გახდა სპექტაკლისთვის "ხოლსტომერი. ცხენის ისტორია". ამავე წელს თეატრმა მოიპოვა საუკეთესო რუსული თეატრის წოდება და პრემია "თეატრალის ვარსკვლავის" ლაურეატი გახდა.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სსიპ ალ.გრიბოედოვის სახ.პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1845
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - სამხატვრო ხელმძღვანელი - ავთანდილ ვარსიმაშვილი;
დირექტორი - ნიკოლოზ სვენტიცკი
თეატრის ელ.ფოსტა - griboedovi@mail.ru, griboedovtheatre170@ gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - varsi@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - www. griboedovtheatre.ge
თეატრის მისამართი - თბილისი, რუსთაველის გაზ. №2.

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 38
შემოქმედებითი პერსონალი
ტექნიკური პერსონალ**ი - 38**
ადმინისტრაცია- 35

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	399,600			
2012	1,097,400			
2013	1,216,295			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 76,225,0 ლარი
2012 წელი - 75,369,0 ლარი
2013 წელი - 121,714,0 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
2011 წელი - 108
2012 წელი - 111
2013 წელი - 116

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011წელი – 15 245
2012 წელი– 15 074
2013 წელი– 24 343

ბილეთის ფასი და ტარიფები
მცირე დარბაზი - 134 ადგილი - ბილეთის ღირებულება 5 ლარი
დიდი დარბაზი - 776 ადგილი - ბილეთის ღირებულება 5 ლარი
თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან 2011-2013 წლებში წლების მიხედვით იჯარა:
2011 წელი - 224 772
2012 წელი - 259 030
2013 წელი - 286 782
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 10000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 5000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 5000 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი - 1400 უმდაბლესი - 500

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით:
2012 წელი - ბათუმი;
2013 წელი - ქუთაისი.
ქვეყნის გარეთ:
2011 წელი - სანქტ-პეტერბურგი;
2012 წელი - ბაქო;
2013 წელი - სანქტ-პეტერბურგი, ხერსონი, ოდესა, მოსკოვი.

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 15000 ლარი
ქვეყნის გარეთ - 60000 (გააჩნია, რომელ ქვეყანაში მიემგზავრება თეატრი)
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - საქართველოს ხელოვან მუშაკთა პროფკავშირის წევრი
ქვეყნის გარეთ - არა
ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ.
2011 - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ბაქოს სამედ ვურგუნის სახ. სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი
2012 - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
2013 - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, მიხეილ თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი GIFT
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - არა
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - გვსურს
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში -გვყავს
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - გვსურს
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - გვსურს
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი – 2014 წელს შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. სამსახურის უფროსი - 1 ადამიანი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - გვსურს
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - გვსურს
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - მერაბ ქუსიკაშვილი (16.07.1992)
ყველაზე ხანდაზმული - გურამ ჩერქეზიშვილი (12.11.1934)
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
გურამ ჩერქეზიშვილი - 2013 წლის 23 თებერვალი - „საშობაო ზღაპარი“

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2011 - ტოლერანტობის ქომაგი
2013 - მაყურებელა სიპათიის დამოუკიდებელი პრემია “თეატრალის ვარსკვლავი“ ნომინაციაში “საუკეთესი რუსული თეატრი საზღვარგარეთ“;
გრან-პრი XI საერთასორისო თეატრალური ფორუმ “ოქროს რაინდზე“ სპექტაკლისთვის “ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ (“ხოლსტომერი”) (რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი)

2010-2013 წლების რეპერტუარი

„ალისფერი ყვავილი“
სერგეი აქსაკოვი
პრემიერა შედგა 2011 წლის 10 აპრილს
რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა
მხატვარი - თამარ მაჭარაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ლევან მიქელაძე
ქორეოგრაფი - დავით მეტრეველი
პროდიუსერი - ნიკოლოზ სვენტიცკი
მოქმედი პირნი:
მხეცი - არჩილ ბარათაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი
ლუმიერი - ვანო ქურასბედიანი
კოკსფორდი - ალექსანდრე მარგალიტაშვილი
მამა - ვალერი ხარიუტჩენკო
ანტონი - მიხეილ არჯევანიძე
გრიშა - დიმიტრი სპორიშევი
ფერია - ირინა მეღვინეთუხუცესი
დაშა - ნანა დარჩიაშვილი
მაშა - ინა ვორობიოვა
ალიონუშკა - ანა არუთინიანი
ფიფი - მედეა მუმლაძე

„ქორწინება“
ნიკოლაი გოგოლი
პრემიერა შედგა 2011 წლის 15 აპრილს
რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი - მირიან შველიძე
რეჟისორის თანაშემწე - დინა ბალაკირევა
პროდიუსერი - ნიკოლოზ სვენტიცკი
მოქმედი პირნი:
აგაფია ტიხონოვნა - მარიამ კიტია
არინა პანტელეიმონოვნა - ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი
ფეკლა ივანოვნა - ირინა კვიჟინაძე
პოდკოლესინი - აპოლონ კუბლაშვილი
კოჩკარიოვი - ოლეგ მჭედლიშვილი
იაიჩნიცა - მიხეილ არჯევანიძე
ანუჩკინი - დიმიტრი მერაბიშვილი
ჟევაკინი - ვალერი ხარიუტჩენკო
დუნიაშკა - ნანა დარჩიაშვილი
სტარიკოვი - მიხეილ ამბროსოვი
სტეპანი - ივანე ქურასბედიანი

„კასტინგი“
ნიკა კვიჟინაძე
პრემიერა შედგა 2011 წლის 23 დეკემბერს
რეჟისორი - ნიკა კვიჟინაძე
ქორეოგრაფია - დავით და გურამ მეტრეველები
სცენმოძრაობა, პანტომიმა - გიორგი ოსეფაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - დინა ბალაკირევა
მოქმედი პირნი:
მსახიობი - ირინა კვიჟინაძე
ნიღბები - ქრისტინე ბერუაშვილი, თამარ ბობოხიძე

„ალისფერი იალქნები“
ალექსანდრ გრინი
პრემიერა შედგა 2011 წლის 25 დეკემბერს
რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი - მირიან შველიძე
რეჟისორის თანაშემწე - ტატიანა ნათენაძე
პროდიუსერი - ნიკოლოზ სვენტიცკი

მოქმედი პირნი:
მეზღაპრე ეგლი - მიხეილ ამბროსოვი
მელუზინა - კარინა ენია
ასოლი - მედეა მუმლაძე
არტურ გრეი - ვასილ გაბაშვილი, ლაშა გურგენიძე
ლონგრენი - არჩილ ბარათაშვილი
მერი - ალა მამონტოვა
მენერსი - ოლეგ მჭედლიშვილი, მიხეილ არჯევანიძე
ლეტიკა - ალექსანდრე ლუბინეცი
მეთევზე, მატროსი - დიმიტრი სპორიშევი
ფონტენი, ასტრიდი, გამყიდველი - სოფიო ლომჯარია
მეორე გამყიდველი - ნინა ნინიძე
კაპიტანი, მენახშირე - ქრისტოფორე ფილიევი
მეყვავილე - ნინა კალატოზიშვილი

„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია“
ლევ ტოლსტოი
პრემიერა შედგა 2012 წლის 14 აპრილს
რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი
კომპოზიტორი - ზაზა კორინთელი (ზუმბა)
მუსიკალური გაფორმება - ელისო ორჯონიკიძე
მხატვარი - მირიან შველიძე
პროდიუსერი - ნიკოლოზ სვენტიცკი
მოქმედი პირნი:
ხოლსტომერი - ვალერი ხარიუტჩენკო, ივანე ქურასბედიანი, ლაშა გურგენიძე
ვიაზოპურიხა - ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, სოფიო ლომჯარია
გენერალი - მიხეილ არჯევანიძე
ვასკა - დიმიტრი სპორიშევი
ნესტორი - ალექსანდრე მარგალიტაშვილი
მილი - ვასილ გაბაშვილი
მატიე - მარიამ კიტია
თავადი სერპუხოვსკოი - აპოლონ კუბლაშვილი
ფეოფანი - დიმიტრი მერაბიშვილი
პატრონი - ოლეგ მჭედლიშვილი
მარი - ანა არუთინიანი
ბოშები - ნანა დარჩიაშვილი, ალა მამონტოვა, ვახტანგ ნიკოლავა
ცხენები: ნინა კალატოზიშვილი, მედეა მუმლაძე, ნინა ნინიძე, ალექსანდრ ლუბინეცი, მერაბ კუსიკაშვილი

„ჭექა-ქუხილი“
ალექსანდრ ოსტროვსკი
პრემიერა შედგა 2012 წლის 20 ოქტომბერს
რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა
კოსტიუმების მხატვარი - ნატა კობახიძე
რეჟისორის თანაშემწე - ტატიანა ნათენაძე
მოქმედი პირნი:
საველ დიკოი - მიხეილ არჯევანიძე
ბორის გრიგორიჩი - არჩილ ბარათაშვილი
კაბანიხა - ირინა მეღვინეთუხუცესი
ტიხონი - ივანე ქურასბედიანი
კატერინა - სოფიო ლომჯარია
ვარვარა - ანა არუთინიანი
კულიგინი - ოლეგ მჭედლიშვილი
ვანია კუდრიაში - ვასილ გაბაშვილი
ფეკლუშა - ნინო ნინიძე
გლაშა - ნინა კალატოზიშვილი
ქალბატონი - ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი

„თორმეტი თვე“
პრემიერა შედგა 2012 წლის 28 დეკემბერს
სამუილ მარშაკი

რეჟისორი და მუსიკალური გაფორმების ავტორი - დიმიტრი პავლოვი (სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი)
მხატვარი - თამარ მაჭარაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ტატიანა ნათენაძე
ქორეოგრაფი - დავით მეტრეველი
პროდიუსერი - ნიკოლოზ სვენტიცკი
მოქმედი პირნი:
დედინაცვალი - ირინა კვიჟინაძე
ქალიშვილი - ნინა კალატოზიშვილი
ნასტენკა - მარიამ კიტია
ჯარისკაცი - ქრისტოფორე ფილიევი
დედოფალი - ნინო ნინიძე
გოფმეისტერინა - ინა ვორობიოვა
დედოფლის მასწავლებელი - არჩილ ბარათაშვილი
კანცლერი - მიხეილ ამბროსოვი
მეყვავილე - მედეა მუმლაძე
თორმეტი თვე:
დეკემბერი - მიხეილ არჯევანიძე
იანვარი - ალექსანდრ ლუბინეცი
თებერვალი - ოლეგ მჭედლიშვილი
მარტი - ლაშა გურგენიძე
აპრილი - ვასილ გაბაშვილი
მაისი - ალექსანდრ ხლებნიკოვი
ივნისი - არტურ ბალასანიანი
ივლისი - დიმიტრი სპორიშევი
აგვისტო - გურამ ჩერქეზიშვილი
სექტემბერი - მიხაილ ამბროსოვი
ოქტომბერი - არჩილ ბარათაშვილი
ნოემბერი - ქრისტოფორე ფილიევი

“დონ ჟუანი“
ალექსანდრ პუშკინი
(ციკლიდან “პატარა ტრაგედიები“)
პრემიერა შედგა 2013 წლის 15 თებერვალს
რეჟისორი – ანდრო ენუქიძე
მხატვარი – აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება – ანდრო ენუქიძე
მოქმედი პირნი:
დონ ჟუანი – ოლეგ მჭედლიშვილი
დონა ანა – ირინა მეღვინეთუხუცესი, კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი
დონ კარლოსი – არჩილ ბარათაშვილი
ლაურა – სოფიო ლომჯარია
ლეპორელო – მიხაილ ამბროსოვი
ბერი – ქრისტოფორე პილიევი

“მაიაკოვსკი“
ინსცენირების ავტორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი
პრემიერა შედგა 2013 წლის 19 ივლისს
რეჟისორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი – მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება – ავთანდილ ვარსიმაშვილი
მონაწილეობენ: ივანე ქურასბედიანი, ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ნინო კიკაჩეიშვილი, დიმიტრი სპორიშევი, ნინო ნინიძე, მიხეილ არჯევანიძე, ნანა დარჩიაშვილი, სოფიო ლომჯარია, ალექსანდრე ლუბინეცი

“ზამთრის ზღაპარი“
უილიამ შექსპირი
პრემიერა შედგა 2013 წლის 4 ოქტომბერს
რეჟისორი – ვახტანგ ნიკოლავა
კოსტუმების მხატვარი – ნატა კობახიძე
მუსიკალური გაფორმება – ვახტანგ ნიკოლავა
რეჟისორის თანაშემწე – ტატიანა ნათენაძე

მოქმედი პირნი:
დრო - ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი
ლეონტი - არჩილ ბარათაშვილი
გერმიონა - სოფიო ლომჯარია
პოლიქსენი - ივანე ქურასბედიანი
პაულინა - ირინა მეღვინეთუხუცესი, კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი
კამილი - მიხეილ არჯევანიძე
მამილი – ანა არუთინიანი
პერდიტა – მედეა მუმლაძე
ანტიგონი, მწყემსი - ოლეგ მჭედლიშვილი
ფრეილინა - ნინო ნინიძე
ემილია – ნინა კალატოზიშვილი
ბადრაგი, ჯამბაზი - დიმიტრი სპორიშევი
მეზღვაური – ვასილ გაბაშვილი
ფლორიზელი – ლაშა გურგენიძე

“კონკია“
ევგენი შვარცი
პრემიერა შედგა 2013 წლის 27 დეკემბერს
დამდგმელი რეჟისორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი
რეჟისორი – გიორგი ჩხაიძე
სცენოგრაფია – მირიან შველიძე
კოსტიუმების მხატვარი – ნატა კობახიძე
მუსიკალური გაფორმება – ავთანდილ ვარსიმაშვილი
ქორეოგრაფი – გია მარღანია
მოქმედი პირნი:
კონკია - ანასტასია გარმატიუკი
პრინცი - ვასილ გაბაშვილი
მეფე - სლავა ნათენაძე
დედინაცვალი - ირინა მეღვინეთუხუცესი, კარინა ყენია
მეტყევე - ქრისტოფორე ფილიევი
ანა - ანა არუთიუნიანი
მარიანა - ნინა კალატოზიშვილი
ფერია - ინა ვორობიოვა, ნინო კიკაჩეიშვილი
კარისკაცები - ლაშა გურგენიძე, არჩილ ბარათაშვილი
ბიჭი - მერაბ ქუსიკაშვილი

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - აქვს
საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო დარბაზი - აქვს
ბუფეტი - აქვს
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიის თვის - არა

ტექნიკური აღჭურვა
განათება
Dimming: DIGITAL DIMMER 12X3.7kw - 300 channels
Lights: Quadro 1000w – 106 pcs
ITC profile – 107 pcs
JB-light varyScan 7-575 Lamp – 46 pcs
JB-light varyColor 7-575 Lamp – 6 pcs
JB-light Varyled 3.84 – 8 pcs
Control console: COMPULITE MICRON 4D

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
დიდი დარბაზი - 776 ადგილი, აქედან - პარტერი - 448, პირველი იარუსი - 100, მეორე იარუსი - 100, ლოჟები - 32
მცირე დარბაზი - 134 ადგილი

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე 24 მ. ავანსცენიდან ბოლო კედლამდე და (17+7)
სცენის სიგანე 12 მ.+ 6
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 18 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე 10 მ-დე
სარკის სიგანე 12 მ.
სარკის სიმაღლე 6 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე 11 x 1,5
სცენის წრის დიამეტრი 12 მ. (შიდა - 8 მ.)
შტანგეტების რაოდენობა 34+4
შტანგეტებს შორის ინტერვალი 25 სმ-დან 30 სმ.
სოფიტების რაოდენობა 7
მოძრავი პორტალების სიმაღლე 6 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე 1,2 მ.



განათება


Griboedov Theatre
Lighting Plan
Control console:
COMPULITE MICRON 4D
JB- LIGHTING
VSCAN 7
ETC
PROFIL25-50
qadro 220-1000
JB- LIGHTING
VLED 3-84
JB-LIGHTING
VCOLOR7
VSPOT
7 Lighiting Bar
VSPOT
VSPOT
Lighiting Bar
VSPOT
Bridge Lighting
Mobile Side 4
Mobile Side 3
Mobile Side 2
Mobile Side 1
VLED 3-84
VLED 3-84
VSPOT
VSPOT
5 Lighiting Bar
VSPOT
VSPOT
VSPOT
4 Lighiting Bar
VSPOT
VLED 3-84
VLED 3-84
VSPOT
VSPOT
3 Lighiting Bar
VSPOT
VSPOT
VSPOT
2 Lighiting Bar
VSPOT
VSPOT
VSPOT
1 Lighiting Bar
Portal
Portal
Portal
Portal
Footlights
VCOLOR
VCOLOR
VSPOT
VSPOT
VCOLOR
VCOLOR
Overhead the Hall
Box
Box
VCOLOR
VSPOT
VSPOT
VCOLOR

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ავთო ვარსიმაშვილთან

- გრიბოედოვის თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება 2011-13 წლებში?

- სპექტაკლი „ცხენის ისტორია“. ამ ნაწარმოების აღება თავისთავად უკვე გამოწვევა იყო. ძალიან მიყვარს ასეთი პროვოკაციების კეთება. შედეგმა ძალიან გაგვახარა ყველა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თეატრის ცხოვრებაში. ამ სპექტაკლმა მოგვიტანა რამდენიმე ძალიან კარგი გასტროლი, მოგვიტანა გრანპრი „ზალატოი ვიტიაზი“. 2013 ჩვენ წელს გავხდით რუსეთის თეატრალური პრემიის „ზვეზდა ტეატრალოვ“ მფლობელი, როგორც საუკეთესო თეატრი. ესეც, მე ვფიქრობ, ამ სპექტაკლის დამსახურება იყო, მათ შეაჯამეს სხვადასხვა თეატრების გამოსვლები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე და ჩვენ მოგვცეს ისეთი პრემია, რომელიც რუსეთის თეატრალური ოსკარია.

- რა პრობლემების წინაშე დგას დღეს თეატრი ყველაზე მეტად შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- როგორც ასეთი, შემოქმედებითი თვალსაზრისით მე ვერ ვხედავ პრობლემას, გარდა იმისა, რომ ეს არის რუსულენოვანი თეატრი და საქართველოში არცთუ ისე ბევრია რუსულენოვანი მაყურებელი. ანუ, აქ არ არის ლაპარაკი წმინდა წყლის რუსებზე, რომლებიც ისედაც ცოტანი იყვნენ საქართველოში. მთავარი პრობლემა არის ის, რომ ჩვენი მაყურებლების ძალიან დიდი პროცენტი რუსულენოვანი ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები უმცირესობაში არიან საქართველოში. არის მაყურებელი, რომელიც მოდის ჩვენთან, მათ ძალიანაც უნდათ სპექტაკლების ყურება, მაგრამ არ ესმით ენა. საქართველოში სადღაც 30 წელს ქვემოთ თაობამ არ იცის რუსული ენა. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემაა.

- რა სიხშირით აახლებთ დასს? როგორ და რა პრინციპით ხდება მსახიობთა შერჩევა?

- ვაახლებთ ასე ვერ ვიტყოდი, ახალ-ახალ სისხლს ვუშვებთ ასე სჯობია. იმიტომ რომ, როცა დასს აახლებ, მთლიანი დასი უნდა განაახლო. საკმაოდ ხშირად. ყოველწლიურად ჩვენ 2-3 მსახიობს მაინც ვიყვანთ. ძირითადი ნაკადი, ეს არის თეატრალურ ინსტიტუტში გახსნილი სპეციალური ჯგუფი. 15 წელია, რაც მე ამ თეატრში მოვედი, თეატრალურ უნივერსიტეტში აღვადგინე რუსულენოვანი, სპეცჯგუფების აყვანის ტრადიცია და ჩვენ ოთხ წელიწადში ერთხელ აგვყავს. ეს არის ჯგუფი სპეციალურად გრიბოედოვის თეატრისა. ამას ემატება ისიც, რომ ყოველწლიურად ჩვენ ვპოულობთ თითო ადამიანს, რომელსაც დამთავრებული აქვს ქართული ჯგუფი და კარგად ფლობს რუსულ ენას, მას აუცილებლად ვიყვანთ თეატრში. დენადობა არ გვაქვს, ისე, რომ ვინმე მიდიოდეს. ასე მიღებით კი ვღებულობთ და სულ უფრო და უფრო იზრდება გრიბოედოვის თეატრის დასი.

- რა კრიტერიუმით იწვევთ რეჟისორებს თეატრში?

- კრიტერიუმი ყოველთვის ერთია - ეს არის ნიჭიერება. მე ძალიან მიხარია, რომ ჩემ გარდა შტატში გვყავს სამი რეჟისორი. ეს არის გოგი მარგველაშვილი, შესანიშნავი ქართველი რეჟისორი, ანდრო ენუქიძე, ასევე შესანიშნავი ქართველი ახალგაზრდა რეჟისორი ვახო ნიკოლავა, რომელიც ჩვენი თეატრიდან არის აღმოცენებული. მან, ჩემთან, ჯერ სამსახიობო დაამთავრა და ძალიან აქტიურად თამაშობდა. შემდეგ ჩააბარა სარეჟისორო ფაკულტეტზე, დაამთავრა და შესანიშნავი შედეგები აქვს. უკვე სამი თუ ოთხი სპექტაკლი დადგა, მათ შორის შექსპირის „ზამთრის ზღაპარი“, ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი“ და ძალიან დიდი იმედს ვამყარებ მასზე. ვფიქრობ, რომ მან უნდა ჩაიბაროს ეს თეატრი მომავალში. შესანიშნავი რეჟისორია და თანაც ამ თეატრიდან აღმოცენებული. ამის გარდა, ჩვენ ვიწვევთ ხოლმე რეჟისორებს. შარშან გვყავდა მოწვეული ნუგზარ ლორთქიფანიძე სპექტაკლის დასადგმელად, გვყავდა რუსეთიდან პეტერბურგელი ძალიან საინტერესო რეჟისორი. კრიტერიუმი კი მხოლოდ ერთია, ნიჭიერება.

- თქვენ საუბრობდით ახალგაზრდა მსახიობების ჯგუფზე თეატრალურში, თქვენ ალბათ გყავთ სარეჟისორო ჯგუფიც?

- მე პირადად სარეჟისორო ჯგუფი მიმყავს. სამსახიობო მიჰყავს ანდრო ენუქიძეს. მე არ მაინტერესებს, ვერ ვმუშაობ მსახიობებთან.

- ე.ი. თქვენ ზრდით თქვენი თეატრისთვის რეჟისორებს და მსახიობებს.

- დიახ.

- გმადლობთ.

საუბარი თეატრის დირექტორთან ნიკოლაი სვენტიცკისთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორის კულტურა საქართველოში?

- დიახ, არსებობს.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი შეთავაზება გვაქვს საკმაოდ საინტერესო. ეს რუსული თეატრია და მისი პირველი ამოცანა და დანიშნულებაა, ხშირად დადგას რუსული კლასიკის ნიმუშები. ოთხი წელია, ჩვენ ამას ვაკეთებთ. ეს აუცილებელია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, რადგანაც დაიკარგა დიდი პერიოდი, რომ ისინი დაახლოებოდნენ და შეესწავლათ რუსული კულტურა. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ჩვენი თეატრისათვის, პროპაგანდისტული. კლასიკას ყოველთვის მოაქვს სიკეთე. მით უმეტეს, რუსული კლასიკა, კლასიკა მეზობლისა, რომელიც დროგამოშვებით აგრესიულია, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ.

- თანამედროვე რუსი დრამატურგები?

- ეს საინტერესოა, მაგრამ დასაწყისისთვის აუცილებელია მოვამზადოთ პლატფორმა. ქვეყანამ დიდი დრო დაკარგა.

– რომელ ადგილობრივ ან საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობთ?

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ვთანამშრომლობთ „ვითიბი“ ბანკთან მოსკოვში, ფონდთან „რუსული სამყარო“ და ადგილობრივიდან - „ქართუ ჯგუფთან“.

– 2011-13 წლებში რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- დიახ. „ვითიბი“ ბანკთან მოსკოვში. ჩვენ დავდგით სპექტაკლები „ოსტატი და მარგარიტა“, „ხანუმა“. სპექტაკლების გარდა ვაწყობთ ძალიან ბევრ ღონისძიებას. „ქართუ ჯგუფთან“ ერთად ყოველ წელს, არდადეგებზე ვდგამთ წარმოდგენებს ბავშვებისთვის, სადაც 5000 ბავშვს ვეპატიჟებით უფასოდ. სპექტაკლზე მოსულ ბავშვებს ურიგდებათ საჩუქრები. ვუშვებთ წიგნებს ქართველი ბავშვებისთვის. წელს ჩატარდა „აიბოლიტის“ წიგნის იუბილე. გამოვუშვით ამ წიგნის ადაპტირებული ვარიანტი. ეს საკმაოდ ძვირი პროექტია. აიბოლიტის წიგნი 5000 ბავშვს დაურიგდა. ასევე „ქართუ ჯგუფმა“ დააფინანსა თეატრის იუბილე.

– განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობაში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- დიახ. იმიტომ რომ ჩვენ ამ ქვეყანაში სიკეთის გარდა არაფერს ვაკეთებთ. ყველა ჩვენი პროექტი- როგორც თეატრის, ასევე „რუსული კლუბის“ - მიმართულია საქართველოს პოპულარიზაციისკენ. მაგალითად, წელს 200 წლის ხდება ლერმონტოვი. ვამზადებთ ბულატ ოკუჯავას საიუბილეო საღამოს, ბევრმა არ იცის, რომ მისი პირველი სამსახური იყო გრიბოედოვის თეატრი. ჩვენთან სტატისტად მუშაობდა. აქედან დაიწყო, ჩვენი კაცია. ვცდილობთ, რომ ვაჩვენოთ ეს უწყვეტი ხაზი და ნებისმიერ პროექტში, რომელსაც ვაკეთებთ, ვუთითებთ საქართველოს მნიშვნელობაზე. „რუსული კლუბი“ პოეტურ ფესტივალებს ატარებს. 50 ქვეყნიდან ჩამოდიან პოეტები და არა მარტო ლექსების წასაკითხად, ეცნობიან ქართველებს, ჩვენი პოეზია მსოფლიო ბაზარზე გადის. ეს არის ჩვენი დანიშნულება.

– რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა, კომპანიებთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- ორივეს ერთად.

– თეატრი მუდმივად ეძებს სპონსორს. თუ გქონიათ შემოთავაზება სპონსორის მხრიდან?

- ასეთი შემოთავაზება ყოფილა. მაგალითად, ჩვენ ახლა მივდივართ ბათუმში, 5 და 6 მარტს უნდა ვითამაშოთ ორი სპექტაკლი. „მაიაკოვსკი“, რომელიც ეძღვნება მაიაკოვსკის იუბილეს და საბავშვო სპექტაკლი - გრინის „ალისფერი იალქნები“. ორი სპონსორი გვეხმარება, თვითონ შემოგვთავაზეს, ესენია კომპანია „ორბი“ და „გზა“.

– თუ გაქვთ პარტნიორებთან აქტიური მოძიების გეგმა?

- ყოველდღიური.

– საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის?

- მე ვფიქრობ, რომ არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ ვეძებთ სპონსორებს. მაგრამ აუგსაც ვერ ვიტყვით სახელმწიფოზე, რადგანაც სახელმწიფოს უჭირს, არც ისე კარგად დგას ფეხზე ჩვენი ქვეყანა. ფეისბუქზე ვკითხულობ ხოლმე, პრობლემებია, ძალიან ცუდად ცხოვრობს ხალხი. იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც დღეს აქვს სახელმწიფოს, მე ვთვლი, რომ ეს ნორმალურია, მაგრამ არ არის საკმარისი. საერთოდ მსოფლიოში, როგორც ვიცი, არ არსებობს დრამატული ან საოპერო დასი, რომელიც თავის ბილეთებს ყიდის და ეს ფული ჰყოფნის არსებობისთვის, ეს არის შემოსავლის მხოლოდ 10%. მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგ თეატრს ეხმარება სახელმწიფო, ზოგს თეატრს - სპონსორი და ა.შ. იმიტომ რომ ვერც ერთი თეატრი თავის თავს ვერ ინახავს. ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. შეიძლება ლოკალურმა ჯგუფმა მეტ-ნაკლებად შეინახოს თავისი თავი, მაგრამ ყველაზე ძვირი იჯარაა. სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, ბილეთი, ყველაზე ცოტა, უნდა ღირდეს 100 დოლარი, ჩვენთან კი, ღირს 5 ლარი.

– როგორ ფიქრობთ რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- ვფიქრობ, რომ საჭიროა ყოველდღიური მუშაობა კომპანიებთან, რომლებსაც აქვთ შემოსავალი. ვფიქრობ, კომპანია, რომელიც გაფინანსებს, მან იცის, რომ აფინანსებს თავისი ბავშვების მომავალს.

– რა პრობლემის წინაშე დგას ყველაზე მეტად დღეს თეატრი?

- დიდი პრობლემაა მაყურებლის მოზიდვა. ყველაზე დიდი ფაქტორია ხალხის დამოკიდებულება. როდესაც ადამიანი ეძებს ფულს კვებისა და გადასახადებისთვის, მას თეატრისთვის არ სცალია. ადრე როცა თეატრში მოდიოდნენ, ქალი იცვამდა საუკეთესო კაბას, კაცი იკეთებდა ჰალსტუხს. სამწუხაროდ, ეს კულტურა წავიდა. მაგრამ რატომ წავიდა? განა იმიტომ, რომ მას არა აქვს გემოვნება, არამედ მას აღარ აქვს სახსრები.

– მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი თქვენს თეატრში?

- ჩვენ ბედნიერი თეატრი ვართ იმ მხრივ, რომ ვმუშაობთ, არ ვჩერდებით. მე ვიყავი რიგაში კონფერენციაზე, სადაც დაპატიჟებული იყო თითქმის ყველა რუსული თეატრის ხელმძღვანელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. რიგაში მაყურებლის 95% არის ეთნიკური რუსი და სულ სავსეა დარბაზი იმიტომ, რომ სხვაგან არ დადიან. ლატვიელები არ დადიან რიგის რუსულ თეატრში. ჩვენთან საქართველოში დარჩა 30000 რუსი. აქიდან 25% ის რუსია, რომელიც უკვე დაბერდა, თეატრში კი არა, მაღაზიაში ვერ დადის. ჩემი

მიღწევაა, რომ ჩვენი მაყურებლის 95% არის ეთნიკური ქართველი. ეს კი კარგად მეტყველებს ქვეყანაზე, ერზე და ჩვენს მუშაობაზე.

- ანუ ასაკობრივი ზღვარი მაინც როგორ განისაზღვრება?

- რამდენიმე წელია ვმუშაობთ ახალგაზრდობაზე. მართალია, ჩვენ არა ვართ მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მაგრამ ყოველ წელს ვდგამთ რამდენიმე საბავშვო წარმოდგენას. ეს ბავშვი, რომ გაიზრდება მოვა ჩვენთან იმიტომ, რომ ქართულ ინტელიგენციაში მოდაშია, რომ ბავშვი წაიყვანონ გრიბოედოვის თეატრში. ეს მოდაა, ტრადიციის გაგრძელება ან აუცილებლობა. წესიერი ოჯახი ფიქრობს ბავშვის მომავალზე. რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ ნატოში კარგია, მეზობელია ძალიან დიდი ქვეყანა. მე, როგორც ტურისტს, დღემდე 84 ქვეყანა მაქვს მოვლილი. მაგალითად, ტაილანდში ბიზნესმა აიძულა, ესწავლათ რუსული ენა. სადაც არ უნდა ვიყოთ, ევროკავშირსა თუ ნატოში, რუსეთის სახით გვყავს ტერიტორიულად ძალიან დიდი მეზობელი ქვეყანა. ახლა ასეთი ხაზი აქვს ძველ მთავრობასაც და ახალსაც. ჩვენ ვართ ტურიზმის ქვეყანა და ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოვა არა ევროპიდან და ამერიკიდან, არამედ რუსეთიდან. ამიტომ უნდა ისწავლონ რუსული. ყველა ჩვენი უდიდესი მოღვაწე სწავლობდა პეტერბურგში. მე შეიძლება უფრო მეტად პატრიოტი ვიყო, ვიდრე ნებისმიერი ქართველი.

- 2011-13 წლების თქვენი თეატრის ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?

- ვფიქრობ, ეს არის საახალწლო სპექტაკლები. ამ სპექტაკლებზე მოდის 25000-მდე ბავშვი და ის თეატრის მომავალია.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

- ყოველ წუთს ამაზე ვფიქრობთ. სამწუხაროდ, არც ერთ თეატრს არ შეუძლია განათავსოს რეკლამა ტელევიზიაში იმიტომ, რომ ეს ძალიან ძვირია. რუსეთის ნებისმიერ ქალაქში არის საერთო აფიშა. ადრე, 30 წლის წინ, ეს ჩვენთანაც იყო. ვფიქრობ, ეს უნდა დავაბრუნოთ. მაყურებელი უნდა მოვიდეს სალაროში და უნდა ნახოს რომელ თეატრში რა ხდება. მე ჩემს კოლეგებს ბევრჯერ შევთავაზე, მოდით, შევიკრიბოთ, დავდოთ ფული და დავბეჭდოთ საერთო აფიშა. გარე რეკლამის კულტურა მოისპო ამ ქვეყანაში, არ არის ადგილები. ბევრი უნდა იყოს. არც ერთი სარეკლამო დაფა ქალაქში არ არის. ეს არის საშინელება. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო არის უძველესი კულტურის ქვეყანა, მაგრამ ყველაფერი ამის საპირისპიროდ კეთდება.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N= 118
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
56%
8%
27%
5%
3%
1%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N =323
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
9%
32%
27%
31%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების წამოშვავარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N =760
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
15%
13%
8%
4%
13%
12%
6%
4%
4%
5%
16%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
სიუჟეტი
სპექტაკლი
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N= 383
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
5%
2%
42%
10%
2%
1%
11%
27%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =459
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
13%
7%
39%
12%
6%
3%
20%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =520
25%
20%
15%
10%
5%
0%
17%
9%
15%
21%
23%
7%
8%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფსიქოლოგიურ-ზეფსიქოლოგიური შინაარსი
სარწმუნო ამბავი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N =200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 22%
კი 34%
არა 45%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N =200
მთლიანად ვენდობი 5%
ნაწილობრივ ვენდობი 56%
საერთოდ არ ვენდობი 38%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ავთანდილ ვარსიმაშვილი	19
რობერტ სტურუა	12
ლევან წულაძე	9
ზურაბ გეწაძე	8
დავით დოიაშვილი	7
ირინა კვიჟინაძე	5
თემურ ჩხეიძე	3
ქეთი დოლიძე	2
ანდრო ენუქიძე	2
დავით ჩხარტიშვილი	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ვახტანგ ნიკოლავა	16
ირინა კვიჟინაძე	14
მიხეილ არჯევანიძე	6
ზურაბ ყიფშიძე	6
არჩილ ბარათაშვილი	5
ჯანო იზორია	4
მანანა კოზაკოვა	4
რუსუდან ბოლქვაძე	3
ნატა მურვანიძე	3
ლიუდმილა მღებრიშვილი	3
კახი კავსაძე	3
ნინელი ჭანკვეტაძე	2
ნიკა თავაძე	2
გიორგი ყიფშიძე	2
ზაზა პაპუაშვილი	2
არჩილ სოლოღაშვილი	2
ინა ვორობიოვა	2
ნანკა კალატოზიშვილი	2
გოგა პიპინაშვილი	2
აპოლონ კუბლაშვილი	2
დარეჯან ჯოჯუა	2
ბესო ბარათაშვილი	1
ივანე ქურასბედიანი	1
მერაბ ქუსიკაშვილი	1
ია სუხიტაშვილი	1
ლელა მებურიშვილი	1
გივი ბერიკაშვილი	1
ოლეგ მჭედლიშვილი	1
გია ბურჯანაძე	1
ბაია დვალიშვილი	1
ნიკა წერედიანი	1
ვანიკო თარხნიშვილი	1
ვასილ გაბაშვილი	1
ნოდარ მგალობლიშვილი	1
სოფო ლომჯარია	1
მარიშა კიტია	1
თამუნა ნიკოლაძე	1
ეკა ჩხეიძე	1

პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

თბილისის სომხური პროფესიული თეატრის დაარსება ძირითადად უკავშირდება გევორქ ჩმშკიანის სახელს. მან 1856 წელს თბილისში დააარსა და უხელმძღვანელა სომხურ თეატრს, რომელიც გახდა ის უძლიერესი ნიადაგი, რაზეც განვითარდა მომავლის ყველა შენაძენი. გ. ჩმშკიანი იყო ის პიროვნება, ვინც სომხური თეატრის ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანა რეალისტური თეატრის და თეატრმცოდნეობის ჩამოყალიბების მეშვეობით. ამავე დროს თბილისში იზრდება სომეხ მსახიობთა პირველი თაობა: მ. ამრიკიანი, ა. სუქიასიანი, ა. მანდინიანი, ს. მატინიანი, ქ. არამიანი, გ. მირაღიანი, ს. შაჰინიანი, სათენიკი და სხვები. თბილისში მოღვაწეობს მწერალი გ. სუნდუკიანი, რომელიც გახდა სომხური რეალისტური დრამატურგიის და თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. თბილისი გახდა არა მარტო სომხური რეალისტური თეატრის განვითარების ადგილი, არამედ უდიდესი გავლენა მოახდინა დასავლეთის სომეხი მსახიობების ნიჭის გამოვლინებაზე.

სწორედ თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქ თბილისში გამოავლინეს თავიანთი ნიჭი პ. ადამიანმა, სირანუიშმა, აზნივ ჭრაჩიამ, დავით თრიანმა და სხვებმა. თბილისის სომხური თეატრის სცენაზე გაცოცხლდა შექსპირის და ევროპის ცნობილი დრამატურგების უკვდავი პიესები. ევროპის კლასიკოსებთან ერთად თბილისის სომხური თეატრის კოლექტივმა დადგა რუს დრამატურგთა ნაწარმოებები. პირველად თბილისის სცენაზე სომხურად აჟღერდა ალ. გრიბოედოვის, ნ. გოგოლის, მ. ლერმონტოვის, ა. ოსტროვსკის არაჩვეულებრივი პიესები. თბილისის სომხური თეატრი გახდა ის მშვენიერი ადგილი, სადაც პირველად გამოჩნდა და აღიარება ჰპოვა უამრავმა მსახიობმა. აქ თავიანთ შემოქმედებით ბიოგრაფიაში პირველი და მნიშვნელოვანი გვერდი დააფიქსირეს მსახიობებმა: ო. აბელიანმა, ვარდუიმ, გ. ტერ-დავთიანმა, ფარანძემმა, გ. ავეტიანმა, დრამატურგმა ალ. შირვანზადემ. წლების მანძილზე სომხური თეატრი გახლდათ შემოქმედებითი სავანე გ. პეტროსიანის, ი. ალიხანიანის, ა. ბეროიანის, ა. მამიკონიანის, ვ. ფაფაზიანის, ა. მაისურიანის, ჟასმენის, ო. გულაზიანის, ჰასმიკის, ო. სევუმიანის და სხვებისათვის. თბილისის სომხურ თეატრში პირველი სარეჟისორო ნაბიჯები გადადგეს: არმენ არმენიანმა, სტეფან ქაფანაკიანმა, ოვი სევუნიანმა, უფრო გვიან კი - ლევონ ქალანთარმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის მარტში, ლევონ ქალანთარმა დააარსა სტ. შაუმიანის სახელობის თეატრალური დასი. შაუმიანის სახელობის თეატრში დაიდგა ნ. გოგოლის "ქორწინება", შილერის "ყაჩაღები", მ. მეტერლინკის "წმინდა ანტონიოს სასწაული". 1921 წლის მაისიდან სომხურ თეატრს მიენიჭა სახელმწიფო თეატრის სტატუსი.

1927-28 წლების თეატრალურ სეზონს ხელმძღვანელობდა მსოფლიოს კლასიკური თეატრის ერთ-ერთი წარმომადგენელი, განთქმული სომეხი ტრაგიკოსი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვაჰრამ ფაფაზიანი, რომელიც თავისი ტრადიციული როლების გარდა თამაშობდა ღარას როლს ეღიშე ჩარენცის სატირულ პიესაში "კაპკაზ-თამაშა".თეატრის დრამატული სტუდიის ხელმძღვანელმა, წარმატებას მიაღწია ამ თეატრში.

1936 წლის 29 მარტიდან თბილისის სომხური თეატრი შეუდგა განვითარების ახალ ეტაპს. სომხური დრამატული თეატრის კოლექტივი გადავიდა სრულიად ახალ შენობაში და ჰქონდა თავისი დადგმების სტაბილური რეპერტუარი. რეჟისორები გახლდნენ ა. აბარიანი და ფ. ბჟიკიანი. დაიდგა გ. სუნდუკიანის "კიდევ ერთი მსხვერპლი", ალ. შირვანზადეს "პატივმოყვარეობისათვის", "ნამუსი", "ავი სული", მ. გორკის "მტრები", ე. ბაჰათურის "თონდრაკელები", კ. გუცკოვის "ურიელ აკოსტა", ა. ოსტროვსკის "უდანაშაულო დამნაშავენი" და სხვა პიესები. ვოსკანიანმა, ა. ქაჯვორიანმა, ა. ლუსინიანმა, ო. აბელიანმა, დ. ამირბეკიანმა, ი. ალიხანიანმა, მ. ბეროიანმა, პაჰარემ, ბ. ნერსესიანმა, ვ. ეღშატიანმა, ნ. ვრუირმა და სხვებმა.

1941-45 წლებში დაიდგა კლასიკური და თანამედროვე ავტორების პატრიოტული პიესები: მურაცანის "გევორქ მარზპეტუნი", კ. სიმონოვის "ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა", ა. ქაჯვორიანის "დავით ბეკი" და სხვა. ამგვარად, რეალიზმის თემატიკა სამუდამოდ შევიდა თეატრის რეპერტუარში. თეატრის განვითარებაში სომეხ მოღვაწეებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. სომეხ და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთაურთიერთკავშირს მდიდარი წარსული აქვს. სომხური თეატრის სპექტაკლებში თამაშობდნენ ქართველი მსახიობები და პირიქით. სომხურ სპექტაკლებში ხშირად თამაშობდნენ ქართული სცენის სახელოვანი არტისტები: ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, ლევან ბაღაშვილი, გიორგი დარისპანაშვილი და სხვები. თბილისის სომხურმა თეატრმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე მაყურებელს გააცნო ქართული დრამატურგიის ნიმუშები, იყო დადგმული გ. ბერიაშვილის "ტირიფები მტკვრის პირას", გ. ნახუცრიშვილის "შაითან ხიხო", ო. მამფორიას "ეთიმ გურჯი", ო. ჩიჯავაძის "შვილები", ნ. დუმბაძის "მე ვხედავ მზეს" და სხვა ნაწარმოებები. თავისთავად ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს სომხური პიესების გმირებს და ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ჩმშკიანი, ა. მანდინიანი, პ. ადამიანი, ო. აბელიანი, სირანუიში, ა. ხარაზიანი, ვ. ფაფაზიანი და სხვა მსახიობები თავიანთი პირველი ნაბიჯებიდან ღრმა ასაკამდე მოღვაწეობდნენ თბილისის სომხურ თეატრში, ქართველი ხალხის წმინდა მიწა გახდა მათთვის არამარტო მშვიდი თავშესაფარი, არამედ ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების კერა.

1991 წელს თეატრმა შეიცვალა სახელწოდება, ამჟამად ის უკვე პეტროს ადამიანის სახელს ატარებს.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების თარიღი - 1956 წ.
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - დირექტორი: ლუიზა ხაჩატუროვა,
სამხატვრო ხელმძღვანელი: არმენაკ ბაიანდურიანი
თეატრის ელ ფოსტა - info@tbilarmtheatre.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - nbayanduryan@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - www.tbilarmtheatre.ge
თეატრის მისამართი - 0103 თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. #8, ტელ: 274-77-64. 274-76-96, 274-71-48

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 107
მსახიობთა რაოდენობა - 44
შემოქმედებითი პერსონალი - 12
ტექნიკური პერსონალი - 26
ადმინისტრაცია - 15

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	130000,00			
2012	402300,00			
2013	402300,00			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 10665, 74
2012 წელი - 3732
2013 წელი - 16103

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
2011- 2 პრემიერა, ს. ბელოვი "სასწრაფოდ გვჭირდება 5000 ევრო" – 12, ჯ. პატრიკი "ძვიფასო პამელა"- 3
2012 – 1 პრემიერა, ღ. აღაიანი - "ანაჰიტ"- 3
2013 – 7 პრემიერა, ფ.გ. ლორკა - "ბერნარდა ალბას სახლი" – 2, ს. ხალათიანი "- 40 დღე ამაღლებამდე"- 1, დ. კლდიაშვილი "დარისპანის გასაჭირი"- 2, გ. ნარეკაცი "გოდებათა მატიანე"- 1, რ. ნეში - "წვიმის გამყიდველი"- 13, ი.ფ. ცადოვი - "მე და შენ"- 1, ვ. საროიანი - "ჰეი, ვინმე"- 1

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 – 32
2012 - 20
2013 - 34

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 – 5313
2012 – 2419
2013 – 5493

ბილეთის ფასი და ტარიფები
ქალაქში – 5 ლარი, სოფლებში – 2-3 ლარი

2011-2013 წლების რეპერტუარი

ა. შატვერიანი - "ჩემი ქალიშვილის სასიძოები",
გ. სუნდუკიანი - "პეპო"
ო. თუმანიანი -"ზღაპრები",
ა. პარონიანი - "მია ბაღდასარი",
გ. სუნდუკიანი - "ხათაბალა",

რ. კუნი - “გაექეცი შენს ცოლს“,
გ. ერისთავი - “უჩინმაჩინის ქუდი“,
ა. ჩეხოვი - “ხუმრობები სიყვარულზე“,
ჟ. ანანიანი - “მილიონერი“.,
“ალადინის ჯადოსნური ლამპარი“,
ჯ. პატრიკი “ძვიფასო პამელა“,
გ. ხუგაევი “ჩემი სიდედრი“,
ღ. აღაიანი “ანაჰიტ“,
ს. ბელოვი “სასწრაფოს გვჭრდება 5000 ევრო“,
ფ.გ. ლორკა “ბერნარდა ალბას სახლი“,
ს. ხალათიანი “40 დღე ამაღლებამდე“,
დ. კლდიაშვილი “დარისპანის გასაჭირი“,
გ. ნარეკაცი “გოდებათა მატიანე“,
რ. ნეში “წვიმის გამყიდველი“,
ი.ფ. ცადოვი “მე და შენ“,
ვ. საროიანი ё“ჰეი, ვინმე“,
ა. აივაზიანი “დიპლიპიტო“.

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? – 1000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 200 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 400 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - დაახლოებით 400 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი - უმდაბლესი – 120 ლარი, უმაღლესი – 485 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - რუსთავი, ახალციხე, გასვლითი სპექტაკლები რაიონებში
ქვეყნის გარეთ - სომხეთი (ერევანი, გიუმრი, ალავერდი), საფრანგეთი
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 200-300 ლარი
ქვეყნის გარეთ - 1 დღე – 1000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს თეტრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი
ქვეყნის გარეთ - სომხეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - ა. ბაიანდურიანი, რ. მატიაშვილი, ლ. უზუნიანი
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) – დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - კლაუდია აკოპიანი - 21 წლის
ყველაზე ხანდაზმული - სერგო ეგიაზაროვი (საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი) – 92 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
2007 წელს სერგო ეგიაზაროვი სპექტაკლში - ა. პაპაიანის “უნდა გიყვარდეთ“
თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2012 წელს ლორის თეატრალური ფესტივალი – საუკეთესო ქალის როლი სნეჟანა იაგუბოვა სპექტაკლში გ. ერისთავი “უჩინმაჩინის ქუდი“,

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - კი
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - არა

ტექნიკური აღჭურვა
განათება – "Cuto"-ს ფირმის პულტი და 80 პროჟექტორი

გახმოვანება – რესპრომი EMC 1000, 2 მინი დისკი Sony-40,Sony-780, 6 დინამიკი AC 2-პროელი, 4-რესპრომი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით -
დარბაზი – 547 ადგილი (პარტერში - 338, იარუსზე - 209)

სცენის პარამეტრები:
სცენის სიღრმე - 14 მ
სცენის სიგანე - 9 მ
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 24 მ
იატაკიდან გამოყენებამდე - 9 მ
სარკის სიგანე - 11 მ
სარკის სიმაღლე - 8 მ
საორკესტრო ორმოს სიგანე - 3 მ
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - 2 მ
საორკესტრო ორმოს რკალი - 21 – 43 მ
სცენის წრის დიამეტრი - 9 მ
სცენის მარჯვენა ჯიბე - 20 კვ.მ
სცენის მარცხენა ჯიბე - 20 კვ.მ
შტანგეტების რაოდენობა - 33 ც.
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 20სმ
სოფიტების რაოდენობა - 4 ც.
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 4 ც.
მოძრავი პორტალების სიმაღლე - 9 მ
მოძრავი პორტალების სიგანე -11.5 მ

საუბარი თბილისის სომხური თეატრის ხელმძღვანელთან არმენ ბაიandურიანთან და დირექტორთან ლუიზა ხაჩატუროვასთან

- თქვენი თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება 2011-13 წლებში?

ა. ბ. - სპექტაკლები: გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი", რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი".

- რა პრობლემის წინაშე დგას ყველაზე მეტად დღეს თეატრი შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- დღეს თეატრში უფროსი თაობის პროფესიონალი მსახიობების ნაკლებობაა. აქედან გამომდინარე, რეჟისორები დგამენ პიესებს, სადაც ახალგაზრდა მსახიობები იქნებიან დაკავებულნი. ასევე წამყვანი ქართველი რეჟისორები მუდმივად გვპირდებიან, რომ დადგამენ სომხურ თეატრში სპექტაკლებს, მაგრამ ამაოდ. რობერტ სტურუა დაგვპირდა, ავთო ვარსიმაშვილი ალბათ წელს დადგამს. სურვილი გვაქვს, სომეხმა რეჟისორებმაც დადგან ქართულ თეატრში სპექტაკლები. 70-იან წლებში სომეხი რეჟისორები დგამდნენ ქართულ თეატრში სპექტაკლებს.

- რა სიხშირით აახლებთ დასს. როგორ და რა პრინციპით ხდება მსახიობების მიღება?

- ჩვენს თეატრთან არსებობს თეატრალური სტუდია. ვაცხადებთ სტუდენტების მიღებას და პრაქტიკულად ვიღებთ ყველას. რამდენი ბავშვიც შემოიტანს განაცხადს, ყველას ვიღებთ. ისინი სწავლობენ ორი წელი. სტუდია ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი ფაქტობრივად კულისებში იზრდებიან. შემდგომ სტუდიელებიდან ვიყვანთ შტატში მსახიობებს, ხოლო დანარჩენები რჩებიან ჩვენს მაყურებლად. ასევე, რამდენიმე წლის წინ, თეატრალურ ინსტიტუტში გახსნეს სომხური მიზნობრივი ჯგუფი ჩვენი თეატრისთვის. ასე რომ, მოწვეული მსახიობები არ გვყავს, ყველა - ადგილობრივია.

- რა კრიტერიუმებით ირჩევთ თეატრში რეჟისორებს?

- მთავარი ნიჭია და სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის უნარი. თითოეული შტატიანი რეჟისორი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ დგამს სპექტაკლს. რეჟისორი თვითონ ირჩევს დრამატურგს და დგამს. ეს თეატრის პრინციპია. ჩვენს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი არასოდეს ერევა რეჟისორის არჩევანში. ის დგამს სპექტაკლს და სამხატვრო საბჭო იღებს მას.

- იღებთ თუ არა თეატრში ახალგაზრდა რეჟისორებს?

- ჩვენი კადრია ახალგაზრდა რეჟისორი, რომელმაც დადგა სამი სპექტაკლი. ეს ახალგაზრდა სწავლობს სომხეთში, თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. ასე რომ, რეჟისორებსაც ჩვენ თვითონ ვამზადებთ და ვიღებთ შტატში. თუ შტატი არა გვაქვს, ვაძლევთ ერთი სპექტაკლის დადგმის უფლებას შეთანხმების საფუძველზე.

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

ლ. ხ. - მე ჯერჯერობით არ ვარ გარკვეული და მინდა გავარკვიო, რაში მდგომარეობს თეატრალური

სპონსორობა. მინდა გავიგო, თუ არსებობს თეატრში მუდმივი სპონსორები. რა თქმა უნდა, თითოეულ სპექტაკლს ჰყავს სპონსორი, ჰყავს მეგობრები, ბიზნესმენები, რომლებიც გვეხმარებიან და გვირიცხავენ თანხას.

- გაქვთ თუ არა თქვენ ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- ადრეც გვქონდა აქციები და ახლაც არიან ადამიანები, საქართველოშიც და სომხეთშიც, რომლებიც ცდილობენ დაგვეხმარონ, მაგრამ ისევ და ისევ გვაქვს დიდი სირთულე, - არ გვაქვს შენობა. ჩვენი შენობა ავარიულია. გვაქვს დასკვნა, რომ მაყურებლის შემოყვანა დარბაზში არ შეიძლება.

- თუ თანამშრომლობთ კონკრეტულ კომპანიებთან?

- არა.

- 2011-13 წლებში რომელიმე სპონსორთან ან რომელიმე ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

ა. ბ. - დიახ. ბოლო სპექტაკლი, გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“, დააფინანსა სომხეთის თეატრალურმა საზოგადოებამ და ჩვენ ვითამაშეთ სომხეთშიც. მათ ასევე დააფინანსეს გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, რომელიც ვითამაშეთ სომხეთში ფესტივალზე. წელსაც მივემგზავრებით სომხეთში, გვაფინანსებს ქალაქ გუმრის მერია, ვანაძოს მერია და ერევნის კულტურის სამინისტრო. რამდენიმე წლის წინ იქაური სომხური დიასპორის სპონსორობით გავემგზავრეთ პარიზში. ასე რომ თეატრს აქვს საშუალებები. თეატრის ბიუჯეტია 440 ათასი ლარი. თეატრში მუშაობს 107 ადამიანი. თუ ჩვენ არ მოვიძიეთ სპონსორი, ეს ბიუჯეტი ფაქტობრივად მხოლოდ ხელფასებს ჰყოფნის.

- განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- არა.

- რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა, კომპანიებთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- როდესაც თეატრი არ თამაშობს, ის მექანიკურად კარგავს სპონსორს. რატომ?! როდესაც შენ სტაციონარში თამაშობ, შენი მაყურებელი მოდის თეატრში, სადაც 600 ადგილი გვაქვს. სპექტაკლის წინ როდესაც აცხადებ, რომ გენერალური სპონსორია ესა და ეს, რა თქმა უნდა, ეს სპონსორი ხედავს, რომ შენ მას რეკლამას უკეთებ. მაგრამ, როდესაც თამაშობ რეგიონებში, სპონსორი არ წამოვა. ანუ, სპონსორობა, ჩვენს შემთხვევაში, დაკავშირებულია თეატრის რემონტთან. მე მგონი, რომ წელს დაიწყებენ რემონტს და ჩვენ გვეყოლება მუდმივი სპონსორი.

- გაქვთ თუ არა პარტნიორების მოძიების აქტიური გეგმა?

ლ. ხ. - სურვილი გვაქვს, თუ ეს გადასახადს არ ითვალისწინებს. ჩვენ ჯერ ეს არ ვიცით. ეს იქნებოდა კულტურის პროპაგანდა.

ა. ბ. - ჩვენ გვქონია შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვთამაშობდით მსახიობის სახლში, მოსულან სპონსორები შეუძენიათ ასი ბილეთი და დაურიგებიათ ისეთი ადამიანებისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა არა აქვთ.

- რამდენ სპექტაკლს თამაშობთ სეზონზე?

ა. ბ. - რემონტამდე ჩვენ ვთამაშობდით 60 სპექტაკლამდე. ახლა - 80-მდე, რეგიონებში - 40-45-ს. ზამთარში თეატრი ფაქტობრივდ არ მუშაობს. რემონტის შემდგომ ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის?

ა. ბ. - ადრე ცოტა იყო ბიუჯეტი. ახლა ძალიან კმაყოფილები ვართ. ვერ ვიტყოდი, რომ ეს ბიუჯეტი გვყოფნის, მაგრამ გამოვდივართ მდგომარეობიდან. წელს ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 40 ათასით. მსახიობების ხელფასია 350 ლარი. ძალიან ძნელია ამ შემოსავლით ცხოვრება. მე მგონია, მოვა დრო და სახელმწიფო გვეტყვის უარს დაფინანსებაზე, თეატრს თვითონ მოუწევს ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა. ჩვენ წელს გვაქვს პროექტი, ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ ვითამაშოთ ქართულ ენაზე. ასევე გვინდა რამდენიმე სპექტაკლი ვითამაშოთ როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე. ვფიქრობ, რომ გვეყოლება უფრო მეტი მაყურებელი და იქნება არაჩვეულებრივი აქცია.

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოზიდვა თეატრში?

- ვფიქრობ, რომ თეატრმა ერთი წლით ადრე უნდა გაყიდოს ბილეთები აბონემენტის სახით. სადღაც ოთხი რიგი უნდა იყოს დაჯავშნული. უნდა მოვიძიოთ სპონსორები, რომლებიც შეისყიდიან აბონემენტებს და დაურიგებენ იმ ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ შესაძლებლობა ბილეთების შეძენისა.

- რა პრობლემების წინაშე დგას ყველაზე მეტად დღეს თეატრი?

ლ.ხ.-ალბათ, დრამატურგია, სპონსორობა. არარსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ითანამშრომლებდნენ თეატრთან.

ა. ბ. - თეატრს არ ჰყავს განათლებული მაყურებელი. ასევე თეატრს უნდა ჰყავდეს კარგი მენეჯერი. დღეს ეს ყველა თეატრს აკლია. მენეჯერს შეუძლია აამაღლოს თეატრის ფინანსური დონე. მენეჯერს -მე ვგულისხმობ ძველი სახელწოდებით ადმინისტრატორს, რომელიც კარგად გაყიდის თავის პროდუქციას, გაუკეთებს კარგ რეკლამას. დღეს ისეთი ეპოქაა, რომ რეკლამის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება. და, რა არის დღეს უკეთესი და სარფიანი?! არსებობს ინტერნეტი. ჩვენ გვაქვს საკუთარი მაყურებელის ტელეფონის ნომრები. პრემიერების დროს ჩვენ ვუგზავნით შეტყობინებას. ეს ძალიან კარგად მუშაობს. ფეისბუქზე ვდებთ ინფორმაციას პრემიერის შესახებ და ესეც გვშველის. ადრე ჩვენ გვქონდა ჟურნალი ჩვენი მაყურებლის ტელეფონის ნომრებისა და ჩვენი ადმინისტრაცია ურეკავდა მათ სახლში. პრობლემაა ისიც, რომ ლიდერი არ ჰყავს თეატრს. როდესაც მაყურებელი მიდის თეატრში, ის არ ირჩევს, რას უნდა უყუროს, ის ფიქრობს,

ვის უნდა უყუროს. მისთვის სულ ერთია შექსპირს უყურებს თუ მოლიერს, მისთვის მთავარია, დაინახოს ის მსახიობი, რომელიც მას უნდა. აქტუალურია, გყავდეს მსახიობი, ვისთვისაც მაყურებელი მოვა თეატრში. დღეს ეს არ არის. გადავხედოთ 70-იან წლებს, როგორი ბუმბერაზი მსახიობები გვყავდა. სპეციალურად მოდიოდნენ სალაროში ბილეთის საყიდლად და კითხულობდნენ - მედეა თამაშობს, რამაზი თამაშობს და ა. შ. ალბათ, დროა საჭირო, რომ გაიზარდონ მსახიობები და გახდნენ პიროვნებები.

ლ. ხ. - საჭიროა ახალი ლიტერატურა, დრამატურგია, რომელიც მოიყვანს მაყურებელს თეატრში. კლასიკა ისე აღარ მუშაობს. სამწუხაროდ, ცოტაა საინტერესო მასალა თეატრებისთვის.

- როგორია თქვენს თეატრში მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- 15-დან 50 წლამდე.

ა. ხ. - ჩვენთან მოდიან არა მარტო სომხები, ქართველებიც. ყველა სპექტაკლი ითარგმნება ქართულ ენაზე. სომეხი მაყურებელი ქართულ სპექტაკლზე არ მოდის, უმეტეს წილად გრიბოედოვის თეატრში მიდიან რუსულ სპექტაკლებზე. საშუალო ასაკია 40-დან 50 წლამდე.

- რა იყო 2011-13 წლების ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი?

ა. ხ. - ეს იყო აბონემენტების სისტემა, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

ა. ხ. - ჩვენ გვქონდა მაყურებელთან შეხვედრები. მე-4 წელია, რაც სტაციონარი არ გვაქვს და ამ შეხვედრებს ვეღარ ვახერხებთ. ადრე სომხური ინტელიგენცია ბევრი იყო. მათ გარეშე თეატრის არსებობა შეუძლებელია. ისევე, როგორც სპექტაკლს უნდა მომზადება, ასევე მაყურებელიც უნდა მოამზადო სპექტაკლისთვის. მაყურებელი უნდა გაჰყვეს თეატრს.

ლ. ხ. - ჩვენ გვყავს თეატრის მუდმივი მეგობარი მაყურებელი, რომლებიც მოდიან სპექტაკლებზე და მოჰყავთ ახლობლები. ასევე გვეხმარებიან ბილეთების გავრცელებაში.

ა. ხ. - ესეც მნიშვნელოვანია, ჩვენ გავხსენით სომხური სპეცჯგუფი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. მათ უკვე ჰყავთ ქართველი მეგობრები, რომლებსაც იწვევენ თავიანთ სპექტაკლებზე. ეს თაობა ამ კავშირებს ამყარებს. იყო პერიოდი, კავშირი აღარ არსებობდა ჩვენ ერებს შორის. ფაქტობრივად ჩვენ ვართ სომხური თეატრი ქართულ ენაზე.

მიხარია, რომ დღეს მოხვედით თეატრში. ერთ-ერთი მთავარი ჩვენი პრობლემაა, რომ არ გვყავს თეატრალური კრიტიკა. სასურველია, რომ ჩაბარების დროს სპექტაკლს ესწრებოდნენ ქართველი თეატრმცოდნეები. ეს მნიშვნელოვანია. ნახონ რამდენიმე სპექტაკლი და დავსხდეთ და ვისაუბროთ. სომეხ კრიტიკოსებთან ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს. როდესაც ჩვენ გასტროლზე ჩავდივართ, ისინი მოდიან, ნახულობენ სპექტაკლს, მაგრამ ეს არ არის მუდმივი კონტაქტი. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ თეატრს ამ საქმეში.

ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

აზერბაიჯანული კლასიკური დრამატურგიის პირველი ნიმუშები, მ. ფ. ახუნდოვის ექვსი ცნობილი კომედია, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა ქ. თბილისში. იმ პერიოდის არქივიდან, საგაზეთო სტატიებიდან და სამეცნიერო კვლევებიდან ირკვევა, რომ ბარენბეკოვის ქარვასლის სარდაფში, ახუნდოვის პიესის "ლენკორანის ხანის ვეზირის თავგადასავლის" მიხედვით, აზერბაიჯანული ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივითა და მონაწილეობით განხორციელდა კომედია "არაბეთის ხანის ვეზირი". აზერბაიჯანული სახალხო სახლი, რომელიც აგრეთვე ცნობილი იყო ნარიმანოვის კლუბის სახელით, 1912 წლიდან 1947 წლამდე ფუნქციონირებდა და მსოფლიო კლასიკის ნიმუშებთან ერთად იდგმებოდა აზერბაიჯანული პიესები.

თეატრი, 2004 წლის 30 ივნისს ორმოცდაჩვიდმეტწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ აღდგა და თუ ადრე სპექტაკლებში ქალის როლის შესრულება მამაკაცებს უწევდათ, ახლა, თანამედროვე თეატრში თანაბარი უფლებებით თამაშობენ სპექტაკლებში ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მსახიობები.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, აზერბაიჯანულმა თეატრმა პროფესიონალური სტატუსით დაიწყო მუშაობა, რის გამოც ბაქოდან იწვევდნენ აზერბაიჯანულენოვან პროფესიონალ მსახიობებს. მათთან ერთად, სცენაზე თამაშობდნენ სხვადასხვა ეროვნების მსახიობები, რომლებიც კარგად ფლობდნენ აზერბაიჯანულ ენას და გულშემატკივრობდნენ თეატრს.

მრავალფეროვანი რეპერტუარი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ მოეწყოთ გასვლითი წარმოდგენები ქალაქის სხვადასხვა თეატრებში, მაგალითად სათავადაზნაურო თეატრში, სახაზინო თეატრში, ზუბალაშვილის სახელობის სახლში და "ავლაბარ პალასში"...

1910 წელს აზერბაიჯანული თეატრი ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის (ამჟამინდელი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა) სრულუფლებიანი წევრი გახდა. გამოჩენილი მსახიობის - ვასო აბაშიძის, მწერალ შალვა დადიანისა და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნიას დახმარებით გადაწყდა, რომ თვეში რამდენჯერმე ეთამაშათ აზერბაიჯანული სპექტაკლები იმ სცენაზეც და ქართული თეატრის შენობაშიც (ახლანდელი ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობა).

თბილისის აზერბაიჯანული დრამატული თეატრის განვითარებაში, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოჩენილი აზერბაიჯანელი ოსტატების - ჰუსეინ არაბლინსკის, აბულფატ ველის, სიდგი რუხულასა და ჰუსეინ გულუ სარაბსკის ჩამოსვლამ... ქართველი თეატრალური მოღვაწეები, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს და მაქსიმალურად ეხმარებოდნენ სპექტაკლების შემქმნელებს საინტერესო პროფესიული რჩევებით...

გენიალური მსახიობის - ვასო აბაშიძის ქალიშვილი ტასო აბაშიძე, რომელიც საქართველოს სახალხო არტისტი იყო, აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანულ წარმოდგენებში აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად. ითარგმნებოდა აღმოსავლური, რუსული, ევროპული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები ისეთი გამოცდილი რეჟისორების მიერ, როგორებიც იყვნენ: ი. ისფაჰანლი, ა. ტუგანოვი, მ. კირმანშახლი, უ. ულდუზა და ა. შ.

შექსპირი, შილერი, მოლიერი, გოგოლი, ჩეხოვი... იყვნენ მათი საყვარელი ავტორები და ყურადღებით, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თარგმანს. 1912-1913 წწ.-ში, მაყურებელთა სამსჯავროზე გამოვიდა 40-ზე მეტი სპექტაკლი, ხოლო 1929-1939 წწ.-ში თეატრმა დადგა 41 პიესა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. 1922 წელს, თეატრს მ. ფ. ახუნდოვის სახელი მიენიჭა. დასი ხშირად მოგზაურობდა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში, აგრეთვე საბჭოთა სივრცეში- ასტრახანში, კრასნოვოდსკში, აშხაბადში, სამარყანდში, ერევანში, ბუხარაში, ტაშკენტში. საზღვარგარეთ, ირანისა და თურქეთის რესპუბლიკებში.

თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა აღზარდა შემდეგში ისეთი ცნობილი მსახიობები - ალი-მირზა ალიხანოვი, ისმაილ ხაკი, ოსმან ჰეკი, კირმან შარხლი, იბრაგიმ ისფაჰანლი, ტასო აბაშიძე, მარგო ქავთარაძე, ალი ყურბანოვი, აბას ყურბანოვი, ალექსპერ სეიფი, გუარჩინ ალიევა, გოჰარ ხანიმი, ახმედ სალახლი, ალი ბაირამოვი, ალექსანდრ ტუგანოვი... ისინი წლების განმავლობაში ბაქოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქების წამყვანი თეატრების სცენებს ამშვენებდნენ, მათ შორის ბევრს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტის წოდება, აგრეთვე კულტურის დამსახურებული მოღვაწის სახელი...

თბილისის ჰ. ალიევის სახელობის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი 2004 წელს აღდგა თბილისის ძველ უბანში-აბანოთუბანში. აზერბაიჯანული დრამატურგიის პირველი ნიმუშები, ახუნდოვის 6 ცნობილი კომედია, მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დაიდგა თბილისში. აზერბაიჯანული სახალხო სახლი, რომელიც ასევე ცნობილი იყო ნარიმანოვის კლუბის სახელით, 1912 წლიდან 1947 წლამდე ფუნქციონირებდა და იდგმებოდა როგორც აზერბაიჯანული, ისე ქართული, რუსული და ევროპული პიესები. თეატრი, 2004 წელს, 30-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მაყურებელს და თუ ადრე, ქალის როლის შესრულება მამაკაცებს უწევდათ, ახლა, თანამედროვე თეატრში, თანაბარი უფლებებით თამაშობენ სპექტაკლებში ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მსახიობები. თეატრის არქივიდან, საგაზეთო სტატიებიდან და სამეცნიერო კვლევებიდან ირკვევა, რომ

იმ პერიოდში, ბარენბეკოვის ქარვასლის სარდაფში, ახუნდოვის პიესა "ლენკორანის ხანის ვეზირის თავგადასავლის" მიხედვით, აზერბაიჯანელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ინიციატივით და მონაწილეობით განხორციელდა კომედია "არაბეთის ხანის ვეზირი". 1910 წელს, აზერბაიჯანული თეატრი, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის (ამჟამინდელი კ. მარჯანიშვილის თეატრი) სრულუფლებიანი წევრი გახდა. გამოჩენილი მსახიობის, ვასო აბაშიძის, მწერლალ შალვა დადიანისა და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნიას დახმარებით, გადაწყდა, რომ თვეში რამოდენიმეჯერ ეთამაშათ სპექტაკლები ქართული თეატრის შენობაში. თბილისის აზერბაიჯანული თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა ოსტატებმა - ჰუსეინ არაბლინსკიმ, აბულფატ ველიმ, სიდგი რუხულამ, ჰუსეინგულუ სარაბსკიმ... მათ გვერდით წარმატებით თამაშობდა საქართველოს სახალხო არტისტი ტასო აბაშიძეც. შექსპირი, შილერი, მოლიერი, გოგოლი, ჩეხოვი- იყვნენ მათი საყვარელი ავტორები. ამ თეატრმა აღზარდა შემდეგში ისეთი ცნობილი არტისტები,რომლებიც შემდეგ ბაქოსა და სხვა რესპუბლიკების წამყვან სცენებზე თამაშობდნენ...

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის პროფესიული აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების თარიღი - 1873 წ.
თეატრის იურიდიული სტატუსი - სსიპ
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები : გოჩა კაპანაძე (სამხატვრო ხელმძღვანელი), ნატალია ქანანელი (დირექტორი)
თეატრის ელ ფოსტა - azeri-theatre@mail.ru
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა -
ვებგვერდის მისამართი - www.azeri-theatre.ge
თეატრის მისამართი გორგასლის #1

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 35
მსახიობთა რაოდენობა 12
შემოქმედებითი პერსონალი 8
ტექნიკური პერსონალი 7
ადმინისტრაცია 8

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	115 000			
2012	135 000			
2013	135 000			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 500 ლარი (დანარჩენი საქველმოქმედო)
2012 წელი - 1045 ლარი (დანარჩენი საქველმოქმედო)
2013 წელი - 1485 ლარი (დანარჩენი საქველმოქმედო)

2011-2013 წლებში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი - 20
2012 წელი - 25
2013 წელი – 35
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი - 800
2012 წელი - 1200
2013 წელი - 1500
ბილეთის ფასი და ტარიფები - 1 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 7 000-10 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 2 000 ლარამდე
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 1 500- 3 000 ლარამდე
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 300 -500 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - უმაღლესი 500, უმდაბლესი 300

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - 2011-ში თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რუსთავი, ლაგოდეხი, მარნეული, გარდაბანი, ციხისძირი
ქვეყნის გარეთ - თურქეთი, აზერბაიჯანი
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით 1 000 – 1 500 ლარი
საზღვარგარეთ 5 000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - არა
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - კი, ივთიხარ პირიევი (ბაქოს ირევანის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), განახორციელა სისხლიანი მავთულხლართები, თურგაევ ელიზადე (აზერბაიჯანი)
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - 10 000 ლარი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - კახა ლაზარიშვილი - პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი (დაასახელეთ ასაკი)
ყველაზე ახალგაზრდა 23 წლის
ყველაზე ხანდაზმული 35 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
გოჩა კაპანაძე - აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე , 2013 წ.
ასლან მამედოვი - აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს სპეციალური სიგელი

2011-2013 წლების სრული რეპერტუარი

ნ. დუმბაძე "დიდრო თურგაევ" - ელიზადე, გოჩა კაპანაძე, მხატვარი ტატიანა ძოწენიძე,
ჩეხოვის "ხელის თხოვნა" - გოჩა კაპანაძე, ანან ნინუა
ჩეხოვის "დათვი" გოჩა კაპანაძე, ანა ნინუა
ამირლი "ძველი სახლი" ნამიკ გაჯიევი (კონსულტანტი გოჩა კაპანაძე), გ. მამედოვა
მირზა ფათალი ახუნდოვის ლენქორანის ხანი - ნამიკ გაჯიევი (კონსულტანტი გოჩა კაპანაძე)
მირზა ფათალი ახუნდოვის ცოლი და ქმარი თურგაევ ელიზადე, გ. მამედოვა
დუმბაძის "თეთრი ბაირაღები" - გაჯიევი, გ. მამედოვა
ივთიხარ პირიევის "სასტიკი წრე" გოჩა და თურგაევი ტატიანა ძოწენიძე

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - არა
საგამოფენო სივრცე - არა
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა
1. განათება - თეატრს საერთოდ არ აქვს განათება
2. გახმოვანება – 2 დინამიკი, პულტი

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით
50 ადგილი

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან გოჩა კაპანაძე

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- არა. თუმცა, არიან გამონაკლისები. ინდივიდუალურად თუ ადამიანს უყვარს თეატრი. საქართველოში მეგობრობა, ნაცნობობა, სიყვარული ამ სულიერებისა, რაც მოჰყვებათ კიდევ ამ ახალგაზრდა მეცენატებს, კარგი გაგებით, სიყვარული თეატრის, მსახიობების მიმართ. ხანდახან ხდება ხოლმე. თუ კარგი იდეაა და კარგად მიაწვდი სპონსორს, შეძლებისდაგვარად გეხმარება, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- ჩვენ გვქონდა შეთავაზების რამოდენიმე ვარიანტი, მაგრამ არც ერთმა არ იმუშავა იმიტომ, რომ ,ასე ვთქვათ, აზერბაიჯანული კომპანიები არ მოდიან თანამშრომლობაზე, თუ მათ დირექტივებს არ მისცემენ იმ ქვეყნიდან, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან. ეს ძირითადად ხდება სამთავრობო დონეზე. თუმცა, მაინც არის ხოლმე გამონაკლისები. მაგალითად, კომპანია „სოკარი“ ხანდახან გვეხმარება რაღაც პროექტებზე. ძირითადად, ეს ახალი წლის და საბავშვო პროექტებია. ასევე, მოხდა ერთი-ორი სპექტაკლის დასპონსორებაც.

- ანუ „სოკართან“ გითანამშრომლიათ. საერთაშორისო დონეზე გამოდის ეს თანამშრობლობა.

- დიახ და ასევე გვეხმარება კულტურის სამინისტრო.

- არის აზერბაიჯანული თეატრი დღეს ისეთი პარტნიორი სპონსორისთვის, რომ ის დაინტერესდეს?

- პერსპექტიულად, კი. მაგრამ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა არ იძლევა ამის საშუალებას. პერსპექტივაში იმიტომ, რომ ეს არის ნაციონალური თეატრი, აზერბაიჯანული დიასპორა საკმაოდ დიდია და ვფიქრობ, თუ აი ახლა ამ გაჭირვების დროს დაუდგებიან თეატრს მხარში, მაშინ მათ პროდუქციას და სახელს ძალიან კარგად შეინახავს ისტორია. ამაზე უნდა იფიქრონ კომპანიებმა და სპონსორებმა. თუმცა მე გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი კოპროდუქცია, რომ ახლავე შეგვიძლია გავიტანოთ. ჩვენი თეატრის შენობა და ტექნიკური აღჭურვილობა სავალალო მდგომარეობაშია.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები?

- რა თქმა უნდა, არა. მთელი თანხა მიდის ხელფასებში.

- რა გზებით და რა ფორმებით ხდება დამატებითი თანხების მოძიება. ფაქტია, რომ მხოლოდ ხელფასებზე გყოფნით?

- მხოლოდ სპექტაკლებით. მაგალითად, დავუშვათ არის ახალი სახელები, ცნობილი დრამატურგები, არის იუბილე და შესატყვისი პერიოდის დროს ვდგამთ, არის ღონისძიება, რომელიც თავისთავად შინაარსობრივად ითავსებს იმას, რომ აუცილებლად პატრიოტული მომენტის გამო უნდა დააფინანსონ. მაგალითად, ყოველ თებერვალს ვაკეთებთ ხოჯალეს ტრაგედიაზე ლიტერატურულ კომპოზიციას, ან სპექტაკლს და ამაზე უკვე გარკვეული კომპანიები მოდიან დახმარების სახით, საერთაშორისო კომპანიებს ვგულისხმობ.

- რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ყველაზე მეტად თბილისის აზერბაიჯანული თეატრი?

- პირველ რიგში, ეს არის, კომპლექსურად ვიტყვი, შენობის პრობლემა, რომელიც ამორტიზებულია, არ ექვემდებარება და არ ეწერება თეატრალური შენობების შინაარსობრივ ფორმაში, არ არის ტექნიკურად აღჭურვილი, არ აქვს სარეპეტიციო დარბაზი. ეს არის სარემონტო მდგომარეობაში მყოფი შენობა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა არის აზერბაიჯანულენოვანი არტისტების აღზრდა. ცოტანი არიან და არ არის საშუალება, მოხდეს ახალგაზრდა თაობის ინტეგრირება, თეატრში მათი მოყვანა, მათი გაზრდა. ეს ძირითადად განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს და თეატრალური ინსტიტუტის პრეროგატივაა. ერთობლიობაში უნდა მოხდეს ეს, რომ თეატრს ჰქონდეს ბაზა, ბაზისი. არის თეატრალური უნივერსიტეტის ერთი გამოშვება და ამაზე მოხდა თეატრის აღდგენა-განახლება, მრავალი წლის განმავლობაში ეს თეატრი დახურული იყო და არ ფუნქციონირებდა. თავიდათავი ფინანსების არარსებობაა. შენობის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს. თეატრი არის სავალალო მდგომარეობაში. ამ შენობაში ცხოვრობს 10 ოჯახი. კონფლიქტური მდგომარეობაც არის, ამ მხრივ შეუთავსებლობაა თეატრის შენობასა და თეატრის ფუნქციურობას შორის. თეატრმა ფუნქციონირება რომ განახორციელოს, მას სჭირდება ყველა სადადგმო ატრიბუტიკა. არაფერი არ არის. უკვე დიდი ხანია, რაც ასეთი მდგომარეობაა. აქ ცხოვრობენ როგორც სომხები, ასევე ქართველები და რუსები. არის ამ ოჯახების გაყვანის პრობლემა. აზერბაიჯანული მხარე ამბობს, რომ ქართულმა მხარემ შეასრულოს თავისი მოვალეობა, რომელიც ადრე რომელიღაც მთავრობის დროს დაიდო, რომ ჩვენი, ქართული მხარე გაიყვანდა მოსახლეობას და აზერბაიჯანული მხარე მთლიანად გაარემონტებდა შენობას. 800 კვ.-ზე, რომელზეც არის განთავსებული შენობა, ის მაინც გარემონტდეს. და ნელ-ნელა თუ გამოიყოფა თანხები, ადამიანებს შესთავაზებენ ალტერნტიულ ფართებს. თბილისის ცენტრიდან გავიდეს, დათმოს და წავიდეს, ასეც არ შეიძლება. ქუჩაში ხომ არ დატოვებ ადამიანს.

- როგორია მაყურებლის სეგმენტი?

- ყველა თაობაა. ჩვენ გათვლა გვქონდა გაგვეზარდა აზერბაიჯანელი მაყურებელი. ისინი გადაჩვეულები არიან აზერბაიჯანულენოვან სპექტაკლებს იმიტომ, რომ 70 წელია არ იყო ეს თეატრი თბილისში. აზერბაიჯანული თეატრის ისტორიაში პირველად საქართველოში გავაკეთეთ თოჯინური სპექტაკლი. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ გვიწევს სხვადასხვა შენობაში თამაში, მაყურებელმა არ იცის, რომელ სტაციონარში იაროს. ამიტომ ეს ყოველთვის არის საპრემიერო მაყურებელი და არა ისეთი, რომელიც მოგყვება. გვყავს ერთგული მაყურებელიც, რომელთაც წინასწარ ინტერნეტით ვიწვევთ, მაგრამ მასობრივად

ჩვენ უფრო დავდივართ რეგიონებში, სადაც არის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა. ძირითადად ჩვენ ამ სეგმენტზე ვმუშაობთ.

- რა მოტივით დადგით საბავშვო სპექტაკლი?

- ბავშვებს და მათ მშობლებს რომ ჰქონოდათ უფრო მეტი მოტივაცია და ესწავლათ გზა აზერბაიჯანული თეატრისაკენ. თოჯინების სპექტაკლს და საახალწლო წარმოდგენებს ყოველთვის ჩვენს თეატრში ვმართავთ, რომ მათ იცოდნენ, სად ფუნქციონირებს აზერბაიჯანული თეატრი.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში რა იყო მარკეტინგულად ყველაზე წარმატებული პროექტი აზერბაიჯანულ თეატრში?

- „ხოჯალე". ეს არის ძალიან ახლოს მათ ცნობიერებასთან. ეს არის კონფლიქტი მეზობელ ქვეყანასთან, რომლის თემაც ყარაბახის კონფლიქტს ეხება. ეს არის ახლო, ისტორიულად ძალიან მოკლე დროის ამბავი ომის თემაზე და ამას ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა. ეს წარმოდგენა მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. გვქონდა ლიტერატურული კომპოზიცია „ომი", რომლითაც მოვიარეთ ბევრი აზერბაიჯანულენოვანი დასახლებული რეგიონი.

- ამ სპექტაკლებიდან რომელმა მოიტანა ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება?

- მე მაინც მგონია - ქამალ აბდულას „ერთი, ორი, სამი". ეს არის ცნობილი დრამატურგი, ფილოსოფოსი. ამ პიესას ჰქონდა ძალიან დიდი წარმატება. რეზონანსული, ფილოსოფიური წარმოდგენა გამოვიდა, სამსახიობო შემადგენლობაც ძალიან საინტერესო იყო და ივთი ხარპირიევის „ეკლიანი წრე".

- თქვენ აღნიშნეთ, ნაწილობრივ შემოქმედებითი თვალსაზრისით თეატრი რა პრობლემების წინაშე დგას. ეს არის დასის შევსება.

- დასის შევსება ასე თუ ისე ხდება. ყველაზე მთავარი მაინც არის შენობის სავალალო მდგომარეობა. მერე უკვე იქ სივრცის ცვლა, ეს იქნება პარტერში თუ უპარტეროდ, ეს იქნება სცენაზე თუ სცენის გარეშე. იქ ფორმის ძიება ხდება, მაგრამ ფორმის ძიებამდე ჩვენ ელემენტარული კუბიც კი არა გვაქვს, სადაც გავმართავთ წარმოდგენას, როცა მეკითხებით, რამდენი შტანგეტი, როგორი განათების სისტემა გვაქვს, ეს ჩვენთვის ფუფუნებაა.

- ანუ დასის განახლებაც არ ხდება?

- არა. მენტალური მდგომარეობის გამო აზერბაიჯანელი მსახიობი გოგონები პრობლემაა. ეს არ არის ახალი, საუკუნეებით მოდის და როცა ისტორიას ჩავხედე, ძალიან ჰგავს ეს შექსპირის თეატრის რეპერტუარს, სადაც, დავუშვათ, იმავე ქალებს თამაშობდნენ კაცები. აზერბაიჯანულენოვანი ისტორიული წიგნი გამოვიდა, 1 ტომი, რომ გადავხედე, ფოტოების მიხედვით სპექტაკლებში ქალების როლს უმეტესად კაცები თამაშობდნენ. ეს ხდება საუკუნის დასაწყისში. ახლა ისევ ვაცხადებთ სტუდიის მიღებას, მაგრამ გოგონები მაინც ნაკლებად მოდიან, არადა, უფრო გოგონები გვჭირდება.

- რა კრიტერიუმებით იწვევთ რეჟისორებს?

- რა თქმა უნდა, პროფესიული თვალსაზრისით. მე ორი მსახიობი მყავს, რომლებმაც დაამთავრეს თეატრალური უნივერსიტეტი საქართველოში. მე დიდ იმედებს ვამყარებ მათზე და ძალიან ვეხმარები, რომ მათ ისწავლონ მეორე პროფესია, რასაც რეჟისურა ჰქვია. თითქმის ყველა სპექტაკლის კონსულტანტი ვარ. მე რამოდენიმეჯერ შევთავაზე აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს, ჩვენს თეატრალურ უნივერსიტეტს, რომ გაიხსნას ერთობლივი სამსახიობო და სარეჟისორო ჯგუფი. ასეთი იდეაც მქონდა, რომ გახსნილიყო შერეული ჯგუფი ალიბეგლოსთვის და ჩვენთვის. იმიტომ რომ იქ არის ქართული თეატრი და მათაც, ისევე როგორც ჩვენ, საკმაოდ დიდი პრობლემები აქვთ შენობის და ინვენტარის მხრივ. ვიფიქრე, რომ თუ მომავალში გაიხსნება ჯგუფი, ეს იქნება თეატრალურ უნივერსიტეტში და, რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს შერეული, ნახევარი აზერბაიჯანული თეატრისთვის, ნახევარი ქართულენოვანი თეატრისთვის აზერბაიჯანში, კახში. ასეთი წინადადებით ვიყავი მისული, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი მიდის ფინანსებამდე და როგორც კი საქმე ეხება ფინანსებს, იქ ყველაფერი ჩერდება. იდეები ბევრია და საინტერესო, მაგრამ ბოლო ეტაპზე ინიციატივები აღარ ჩნდებოდა ხოლმე.

სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

თბილისის დრამატული თეატრი დაარსდა 1981 წლის 11 ნოემბერს, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ინდუსტრიულ უბანში- გლდანში, თეატრის დამაარსებელი გახლდათ ცნობილი ქართველი რეჟისორი ლერი პაქსაშვილი. ახალი თეატრის დაბადება უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა დედაქალის თეატრალურ ცხოვრებაში, თეატრის დაარსებიდან მოკლე ხანში რეპერტუარში გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „მთანი მაღალნი“, სწორედ ამ წარმოდგენას მიჩნევენ თეატრმცოდნეები ახალი თეატრის პირველ დიდ გამარჯვებად.

ლერი პაქსაშვილის დადგმული სპექტაკლები: იონა ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, გიორგი ნახუცრიშვილის „კომბლე“ , ოთარ მამფორიას „იეთიმ გურჯი“ და სხვა მრავალნი განსაზღვრავდნენ თეატრის იმდროინდელ რეპერტუარს, დამაარსებელმა ექვსი წელი იღვაწა დრამატულ თეატრში, შემდგომ წლებში თეატრს ხელმძღვანელობდნენ: იური კაკულია, ალექსანდე (ნუკრი) ქანთარია, გოგი ქავთარაძე, ცოტნე ნაკაშიძე, ნუგზარ ბაგრატიონ- გრუზინსკი (ერთხანს თეატრს ერთდროულად ეს სამი რეჟისორი ხელმძღვანელობდა). 1987 წლიდან თბილისის დრამატულ თეატრს დიდი ქართველი რეფორმატორი რეჟისორის-სანდრო ახმეტელის სახელი მიექნიჭა.

სრულიად ახალი სიცოცხლე დაიწყო თეატრმა რეჟისორ დავით ანდღულაძის მოღვაწეობის პერიოდში, ამ წლებში განხორციელდა პოსტსაბჭოთა სივრცისთვის მანამდე უცნობი ჰაროლდ პინტერის პიესა „ღალატი“. სპექტაკლს დიდი წარამტება და გამოხმაურება ჰქონდა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ხოლო ფრიდრიხ დიურენმატის „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი „წარდგენილი იყო რუსთაველის სახელობის პრემიაზე. ამ თეატრის სცენაზე წარმოდგენებს დგამდნენ რეჟისორები: გიგა ლორთქიფანიძე, თემურ აბაშიძე, თამაზ მესხი, ქეთევან ხარშილაძე, ლევან ყუფარაძე, ლია მირცხულავა, ზურაბ სიხარულიძე, ზინა კვერენჩხილაძე,

თეატრში დღემდე თამაშობენ მსახიობები, რომლებიც დაარსების დღიდან ახმეტელის თეატრის დასში ირიცხებიან: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ნელი ბადალაშვილი, მზია ტალიაშვილი, მარინა ხარშილავა, ვაჟა ციცილოშვილი, გია ჯაფარიძე, ვასილ შიხაშვილი, ლიკა ქუთათელაძე. დაარსების დღიდან თეატრის მთავარი მხატვარია აივენგო ჭელიძე. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ირაკლი გოგია.

შენობის შესახებ:

თბილისის დრამატული თეატრის (შემდგომში ახმეტელის სახელობის თეატრი) თავდაპირველად, გახსნის დღიდან 1990 წლამდე წარმოდგენებს მართავდა გლდანში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში, შემდეგ 1990 წელს თეატრმა შენობა მიიღო გლდანში, ვეკუას 8 ნომერში.

თეატრის დასახელება - სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრი
დაარსების თარიღი - 1981
თეატრის იურიდიული სტატუსი - ააიპ- არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
დაქვემდებარება - ქალაქ თბილისის მერია
თეატრის ხელმძღვანელი პირები: ირაკლი გოგია-სამხატვრო ხელმძღვანელი, ზვიად მებაღიშვილი-დირექტორი
თეატრის ელ ფოსტა - theatreakhmeteli@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - irakligogia@gmail.com zviadmebagishvili@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი -
თეატრის მისამართი - გლდანი, ვეკუას ქუჩა 8
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 15 ძირითადი
შემოქმედებითი პერსონალი - 6
ტექნიკური პერსონალი - 22
ადმინისტრაცია - 10

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011			200000	
2012			250000	
2013			500000	

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი-19386 ლარი
2012 წელი -18677 ლარი
2013 წელი -15027 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა; (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)
ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011- 88 სპექტაკლი
2012 – 105 სპექტაკლი
2013- 116 სპექტაკლი
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011- 4175
2012 - 5514
2013 - 4813
ბილეთის ფასი და ტარიფები (სათამაშო მოედნების და ადგილების მიხედვით)
ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი,
10 ლარი - პირველი რიგიდან მეექვსე რიგის ჩათვლით
7 ლარი - მეშვიდე, მერვე, მეცხრე რიგი

თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) 2011-2013 წლებში წლების მიხედვით

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? საშუალოდ 5-6 ათასი ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა?
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? დაახლოებით 3 ათასი - 5 ათასი ლარამდე (დარიცხული)
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? გამოსვლა- 31.25 (მინიმუმი) 62.50 (მაქსიმუმი) დარიცხვით ლარიდან
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - უმდაბლესი- 375 ლარი, უმაღლესი 750 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - ქუთაისი, ზესტაფონი , გორი, სამტრედია
ქვეყნის გარეთ - ედინბურგი
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - საშუალოდ 4-5 ათასი ლარი
საზღვარგარეთ - დაახლოებით 40- 50 ათასი ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით
ქვეყნის გარეთ
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) 2011-2013 წწ.
ახმეტელის თეატრის საიუბილეო წელი- 2012 წელი - ჩატარდა გამოფენები და სხვადასხვა თეატრებმა ითამაშეს სპექტაკლები
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - 2013 წელი-2013 წლის ნოემბერში თეატრს ჰქონდა პოლონური კოპროდუქცია, რომლის ფარგლებში პოლონელმა რეჟისორმა დარიუშ ეზერსკიმ ახმეტელის თეატრში ქართველ მსახიობებთან ერთად განახორციელა სლავომირ მროჟეკის პიესა“ პოლიცია“ , 2014 წლის თებერვალში თეატრს ჰქონდა ესტონური კოპროდუქცია , ესტონელმა რეჟისორმა კალევ კუდუმ ახმეტელის თეატრის სცენაზე ქართველ მსახიობებთან ერთად განახორციელა პაველ პრიაჟკოს პიესა“ტრუსები“
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - დაახლოებით 5- 6 ათასი ლარი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში.
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - პიარ სამსახური, ერთი ადამიანი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - ანა მატუაშვილი- 31 წლის.
ყველაზე ხანდაზმული- ალეკო ალავიძე-70 წლის.
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
2014 წლის 14 თებერვალს ითამაშა ჰენინგ ბერგერის პიესაში „წარღვნა“, რეჟისორი ნუგზარ გაჩავა .
თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2011 წელი: თეატრის მოღვაწეთა კავშირმა აივენგო ჭელიძე დაასახელა წლის საუკეთესო სცენოგრაფად სპექტაკლი სთვის „ვაჟა“

თეატრის მოღვაწეთა კავშირმა საუკეთესო მსახიობი მამაკაცად ამავე წელს დაასახელა - გია ჯაფარიძე- ვაჟას როლის შესრულებისთვის სპექტაკლში„ვაჟა“

2012 წელს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა მაია სხირტლაძე დააჯილდოვა წლის საუკეთესო კოსტიუმების მხატვრობისთვის სპექტაკლისთვის „ვაჟა“

2012 წელი- სპექტაკლი „მაგიის საოცრებანი“ დაჯილდოვდა თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ როგორც წლის საუკეთესო სპექტაკლი. რეჟისორი გოგა თავაძე

2012 წელს, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა ანკა კალატოზიშვილი- მხატვარი- აღიარა წლის საუკეთესო სცენოგრაფად სპექტაკლისთვის „მაგიის საოცრებანი“

2013 წელს ანკა კალატოზიშვილი - მხატვარი - დაჯილდოვდა თეატრალური პრემია დურუჯით საუკეთესო სცენოგრაფისთვის სპექტაკლისთვის: “ მაგიის საოცრებანი“

2011-2013 წლების რეპერტუარი

2011 წლის პრემიერები:
შადიმან შამანაძე
„ღია შუშაბანდი“
რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი.
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
სპექტაკლში გამოყენებულია ინოლა გურგულიას სიმღერა ავტორისეული შესრულებით
მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, გვანცა კანდელაკი, მამუკა მაზავრიშვილი. მზია ტალიაშვილი, ამირან ქაჩიბაია, ნუგზარ ყურაშვილი, კახა ჯოხაძე.
პრემიერა შედგა 2011 წლის 1 ოქტომბერს.

ნიკოლო მაკიაველი
„**მანდრაგორა**“
რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
კოსტიუმების მხატვარი: ბარბარა ასლამაზაშვილი
კომპოზიტორი ნინო ჯანჯღავა
მონაწილეობენ: კახა ჯოხაძე, ზაზა დოქსანოვი, ნელი ბადალაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ხატია მელქაძე, დათო გელაძე, ნოდარ ხუციშვილი
პრემიერა შედგა 2011 წლის 29 ოქტომბერს

„ვაჟა“
ავტორი და რეჟისორი ოთარ ბაღათურია
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
კოსტიუმების მხატვარი: მაია სხირტლაძე
მუსიკალური გამფორმებელი: ლექსო ტურიაშვილი
მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ვაჟა ციცილოშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე,იმედა ნატროშვილი
პრემიერა შედგა 2011 წლის 8 დეკემბერს

2012 წლის პრემიერები:
ზვიად მებაღიშვილი
„**სხვა ახალი ზღაპარი“**
რეჟისორი: ზვიად მებაღიშვილი
მუსიკალური გამფორმებელი: ლექსო ტურიაშვილი
მონაწილეობენ: ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე,კახა ჯოხაძე, ზურა იაშვილი, ზურაბ წიკლაური,თამთა პატაშური
პრემიერა შედგა 2012 წლის 2 იანვარს

ლაშა ბუღაძე
„**პანთეონი**“
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გამფორმებელი: ლექსო ტურიაშვილი
მონაწილეობენ: მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი,ვაჟა ციცილოშვილი, ნელი ბადალაშვილი,თამრიკო ტყემალაძე, მზია ტალიაშვილი, ლიკა ქუთათელაძე, ვალერი ტორონჯაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ანდრო სარიშვილი, კახა ჯოხაძე, ნიკა კვანტალიანი, ვახო ადეიშვილი, თამთა პატაშური
პრემიერა შედგა 2012 წლის 11 აპრილს

„შავი კეტები“
დათო ტურაშვილი
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გამფორმებელი: ლექსო ტურიაშვილი
მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ვასილ შიხაშვილი, ნელი ბადალაშვილი,თამრიკო ტყემალაძე, მზია ტალიაშვილი, ანა მატუაშვილი, ლიკა ქუთათელაძე, ნიკა კვანტალიანი, სალომე წურწუმია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ზურა ავსაჯანიშვილი
პრემიერა შედგა 2012 წლის 14 ოქტომბერს

„მაგიის საოცრებანი“
რიუნოსკე აკუტაგავას მიხედვით
ინსცენირების ავტორი და რეჟისორი: გოგა თავაძე
მხატვარი: ანკა კალატოზიშვილი
ქორეოგრაფი: ბაქარ ხინთიბიძე
მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე, ზურა ავსაჯანიშვილი
პრემიერა შედგა 2012 წლის 30 ნოემბერს.

2013 წლის პრემიერები:
„საშობაო სიზმარი“
ზვიად მებაღიშვილი
რეჟისორი: ზვიად მებაღიშვილი
მონაწილეობენ: ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ზურა ავსაჯანიშვილი, კახა ჟოხაძე, ანდრო სარიშვილი

„გასროლა“
ნილ საიმონი
რეჟისორი: გიორგი ქანთარია,
მხატვარი: აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება: ლექსო ტურიაშვილი
მონაწილეობენ: ბექნუ ქაფიანიძე, ნატალი მეტრეველი, კახა ჯოხაძე, გვანცა კანდელაკი, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, თამთა პატაშური, ჯაბა ჯაფარიძე, ვალერი ტორონჯაძე, თამარ ტყემალაძე
პრემიერა შედგა 2013 წლის 15 მარტს.

„სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“
ერიკ-ემანუელ შმიტი
რეჟისორი: გოგა თავაძე
მხატვარი: ანკა კალატოზიშვილი
ქორეოგრაფი: ბაქარ ხინთიბიძე
მუსიკალური გაფორმება: დავით თავაძე
მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, თაკო აზნარაშვილი, გაგა მახათაძე
პრემიერა შედგა 2013 წლის 16 ნოემბერს.

„პოლიცია“
სლავომირ მროჟეკი
რეჟისორი: დარიუშ ეზერსკი
მუსიკალური გაფორმება: დარიუშ ეზერსკის
მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი
პრემიერა შედგა 2013 წლის 7 დეკემბერს.

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
- ფოიე - დიახ
- საგამოფენო სივრცე - დიახ
- საკონფერენციო დარბაზი - დიახ
- ბუფეტი - არა
- წიგნის მაღაზია - არა
- ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა

განათება (სრული აღწერა, რას ფლობს თეატრი, რაოდენობა და დასახელება, რაც უკავშირდება განათებას
)სკანერი 4 ცალი - ROBE Scan 575 XT (სიმძლავრე 575W)
PAR 64 - 13 ცალი - eurolight (სიმძლავრე 1000W)
პროფილი 1 ცალი- ETCSource Four 26° Profiler (სიმძლავრე 750W)
PARNEL 4 ცალი - ETC Source Four 750 Watt PAR-Nel (სიმძლავრე 750W)
ლედპარი 20 ცალი - LED PAR 64 (სიმძლავრე 30HomefrontW)
განათების სამართავი პულტი - compulite spark 4D (Controls 1536 DMX channels)
განათების სამართავი პულტი- scene setter (48 chanel)
სი 8 ცალი -Eurolight Stage Floodlight (სიმძლავრე 1000W)
პროჟექტორი10 ცალი -Eurolight Theatre 1000 spot (სიმძლავრე 1000W)
პროჟექტორი 16 ცალი-Eurolight Theatre 500 spot (სიმძლავრე 500W)
პროჟექტორი 4 ცალი- Eurolight Theatre 2000 spot (სიმძლავრე 2000W)
"პუშკა" 2 ცალი - ეგრეთწოდებული პუშკა (სიმძლავრე575W)
დიმერი 7 ცალი - EUROLITE DPX-610 DMX dimmer pack Digital 6-channel dimmer pack
ბოლის მანქანა1 ცალი- smoke machin (სიმძლავრე 1200W)
თოვლის მანქანა 1 ცალი
სტრობოსკოპი 1 ცალი
ბუშტების აპარატი 1 ცალი

გახმოვანება - რვა დინამიკი, 2 მინი დისკი, 1 დივიდი, 2 პროექტორი, რვა მიკროფონი.

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით - 145

ჩამოთვალეთ თითოეულ დარბაზში (სფეციფიკის გათვალისწინებით) რამდენი ადგილია პარტერში, იარუსზე, ლოჟებში და ასე შემდეგ - პარტერი - 145, იარუსი-16

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ირაკლი გოგიასთან

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- რა თქმა უნდა, არა. ზოგადად კანონიც არ არის სასპონსორო ისეთი მოქნილი, რომ სპონსორი რამით იყოს დაინტერესებული. ალბათ, აქედან გამომდინარე, არა. მაგრამ საქართველოში რომ შემოიღონ კანონი სპონსორობის შემდეგ გადასახადების ამინისტიისა, ეს შექმნის კორუფციულ ბადეს იმიტომ, რომ ამის გარეშეც შექმნილა მსგავსი ბადეები სახელმწიფოსთან. მე ვიცი ქართული თეატრის „მოღვაწენის" დამოკიდებულება სახელმწიფო ფულთან. ქართული კინოთეატრები გაყიდეს ქართველმა კინორეჟისორებმა. როცა ჩავედი ზუგდიდის თეატრში, მოჭრილი დამხვდა ტერიტორიები. ეს არავის მიუტაცებია, ამას ყიდძნენ ქართული თეატრის „მოღვაწეები".

- თქვენი აზრით, სპონსორობა და სპონსორებთან ურთიერთობა ხანგრძლივ ურთიერთობაზე გათვლილი უფრო მომგებიანია თუ ერთჯერადი უნდა იყოს?

- მე მაინც ვარ ძალიან რადიკალური. როდესაც ტელევიზიით, ოფიციალური საინფორმაციო საშუალებებით ვიგებ, რომ საქართველოს კულტურის მინისტრს რჩება სამი მილიონი აუთვისებელი და პარალელურად ამას უყურებს რომელიმე ქართული კერძო კომპანია, ის მე აღარ დამასპონსორებს. იმიტომ, რომ სახელმწიფოს კულტურისთვის გამოყოფილი ფული რჩება და „კოკა-კოლამ" რატომ უნდა მომცეს მე ფული. ისიც უყურებს ტელევიზორს, ისიც შედის ფეისბუქზე, ისიც შედის ინტერნეტპორტალებზე. როცა დარჩა გურამ ოდიშარიას ქართული თეატრისთვის მისაცემი ფული აუთვისებელი, რატომ უნდა მომცეს მე გოგი თოფაძემ სპექტაკლისთვის ფული. ისიც ფიქრობს, მიდი რა, კულტურის პოლიტიკა დაგეგმე, ბიუჯეტი დაგეგმე და აითვისე ჯერ შენი ფული, რომელიც ამ გაჭირვებულ სახელმწიფოს აქვს ქართული თეატრისთვის. ანუ კარგი ეკონომისტები დასხდნენ ფინანსთა სამინისტროში და წინა წელს გამოყვეს ეს თანხა და მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პრეცედენტი მერიას არ ჰქონია. მერიას ერთი თეთრი რაც დარჩა პროცენტულად და წილობრივად პრემიად თბილისის ყველა კულტურის ორგანიზაციას გადაუნაწილა. ეს არის არა ვიღაცის ქება და არქება, ფაქტია მეტი არაფერი. კულტურის სამინისტროს მიეცა ფული კონსერვატორიისთვის, როიალი შეეძინათ, ან თეატრალური უნივერსიტეტისთვის ეყიდა სამი ფოტო კამერა მაინც...

- რამდენად არის საკმარისი ახმეტელის თეატრის ბიუჯეტი ნორმალური შემოქმედებითი პროცესისათვის?

- ჩემი მიზანია, შემოქმედებითად გამართლდეს ეს ბიუჯეტი, რაც ამ წუთას არის. ეს ჭეშმარიტებაა თეატრს მეტი თუ აქვს, კომფორტულად ხარ, მაგრამ მე მაინც ვარ თვითკრიტიკული, მინდა გავამართლოთ ჩვენი ბიუჯეტი იმიტომ, რომ არ არის ცუდი ბიუჯეტი. ვიღაც ზემდგომს რომ ვუთხრა, ცოტა მაქვს ბიუჯეტი, მე ვიცი, შეიძლება ზრდილობიანი ადამიანი ამას პირში არ შემოგახლის, მაგრამ გეტყვის, მოდი, გენაცვალე, ჯერ ეს აითვისე, ამით საქმე გააკეთე და თუ დაგჭირდა - აგერ ვარ. აქედან გამომდინარე, მოდი, ჯერ

ქართულმა თეატრმა იმ ბიუჯეტის შესაბამისი ადეკვატური რეპერტუარი, ადეკვატური შემოქმედებითი პროცესები აწარმოოს და ამის შემდეგ იქნება დანარჩენი. ქართულ თეატრს წლების განმავლობაში ჰყავდა დიდი ფინანსური დამხმარე და კედელი ბანკი „ქართუს“ სახით და ეს კედელი ფაქტობრივად ად მსახიობებს, მომღერლებს აცოცხლებდა და მე პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ დიდი შედეგები ვერ დავინახე, გარდა გამორჩეული ერთი თეატრისა, მარჯანიშვილის თეატრისა.

- ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ახმეტელის თეატრი, რომელს გამოარჩევდით?

- თუ გახსოვთ მერაბ ელიოზიშვილი. ძალიან კარგი მწერალი, კინოდრამატურგი, კარგი ადამიანი, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ამერიკაში დელეგაციას ახლდა. კინოსტუდიაში მუშაობდა და რომ ჩამოვიდა, მიესივნენ, მაშინ ამერიკაზე ცოტა ინფორმაცია გვქონდა. ყველა ვერ დადიოდა. რა ხდებაო, მერაბ, რა ხდებაო, მოგვიყევი, რა ნახეო. როგორ ვითარდებაო ამერიკული ხელოვნებაო. ვითომაც არა ვარ მე ამერიკანისტი ისე რომ გვეუბნებიან, დავეწიოთო, გავუსწროთო. კომუნისტური ლოზუნგი იყო. არ ვიყენებთ ამ ლოზუნგს, მაგრამ როგორ უნდა დავეწიოთო, ჩვენ ერთ მხარეს მივდივართ, ისინი მეორე მხარესო. ეს ზოგადად ქართული თეატრის პრობლემაა. ქართული თეატრი, როგორც ანალოგი ევროპული თეატრის, რომლის ფესვებიც ერთად არის, სადღაც შებრუნდა და სხვა გზით მიდის. რად გვინდა ჩვენ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, თუ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის წარმოდგენილი სპექტაკლების გამოცდილება არ მივიღეთ, არ გავიგეთ, იქ რა ხდება. რომ აყვედრი ევროპულ თეატრს. კი გვქონდა ხუთი სპექტაკლი, რომელიც არის ადეკვატური და ერთი ოცი სპექტაკლი, რომელიც ოციანი წლების რეპერტუარში ქართულ თეატრში იყო ორი გენიოსის დადგმული. ანუ პრობლემა არის მენტალური მოტრიალება ნორმალური თეატრისა, დროსთან ადეკვატური თეატრისაკენ. ამის შემდეგ უნდა მივხვდეთ, რომ ის გამოცდილება, რაც დაგროვილია ქართულ სახელოვნებო, განსაკუთრებით თეატრალურ უნივერსიტეტებში, სამი კერაა ასეთი საქართველოში, სადაც მსახიობსა და რეჟისორს ზრდიან, უნდა მიხვდნენ, რომ აღარ ჰყოფნის ის გამოცდილება და სხვა რიტმი უნდა თეატრს. ის რიტმი უნდა, რომელიც გააჩნია ამ წუთას კაცობრიობას. ჩვენ ვდგამთ დროსთან არაადეკვატურ პროდუქციას. თან გვინდა, რომ ძალდატანებით, ძალადობით შევაგუოთ ამას მაყურებელი. ამას ვერ ეგუება მაყურებელი, ამიტომაა ცარიელი დარბაზები.

- თუ დგას მაყურებლის პრობლემა თქვენს თეატრში და როგორ აპირებთ ამ პრობლემის გამოსწორებას?

- სწორი მენეჯმენტით და კარგი რეპერტუარით. მოსაწვევებით არც ჩვენ არა გვაქვს მაყურებლის პრობლემა, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ მარჯანიშვილის თეატრი არის ერთადერთი თეატრი, რომელიც სავსეა მაყურებლით. ვერ გავხლეჩთ ამ ერთ ადამიანს, მის დირექტორს ცხრად, რომ იგივე დავნერგოთ. ის ახალს არაფერს აკეთებს, უბრალოდ მას ევროპული გამოცდილება აქვს და ის ევროპული გამოცდილება, რაციონალურად მოაზროვნე რეჟისორთან ერთად, ადვილად დანერგა მარჯანიშვილის თეატრში. მაგრამ მარჯანიშვილის თეატრის ადგილმდებარეობას ნუ შევადარებთ გლდანის თეატრის ადგილმდებარეობას. ყოველთვის მუსირებს ფრაზა, რომ 350 ათასი ადამიანი ცხოვრობს გლდანში. აქედან ერთი პროცენტიც რომ დადიოდეს თვის განმავლობაში თეატრში, ჩვენ მეტი არ გვჭირდება. ეს არის ქალაქს მოწყვეტილი რაიონი, პატარა ცალკე ქალაქი, ქუთაისზე დიდია, ბათუმზე ორჯერ დიდი. კინოთეატრი დაიხურა იმიტომ, რომ კაცმა არ შეაღო იქ კარი, თეატრსაც ჯერჯერობით როგორღაც გადასხმით აცოცხლებდა და დღემდე აცოცხლებს თბილისის მერია და ისე არავინ არ შემოივლის, მოდი, ერთი თეატრში წავიდეთ. აქ მოტივირებულად მოდის მაყურებელი და ამიტომ ჩვენ კედელს ვურტყამთ თავს, შევქმნათ ისეთი რეპერტუარი, რომ საბურთალოზე ან ვაკეში მცხოვრები ადამიანი ადგეს, ჩაჯდეს ტრანსპორტში, ერთი საათი დაკარგოს გზაში და კონკრეტული წარმოდგენა ნახოს. ანუ ჩვენ არ გვაქვს უფლება - ტყუილად დავდგათ რაიმე.

- რას იტყვით საერთაშორისო მიმართულებაზე?

- თუ ცა არ ჩამოინგრა თავზე და რაღაცამ არ შეგვიშალა ხელი, ვგეგმავთ ორი სპექტაკლით გასტროლებს „პოლიცია“ მინსკში და „ტრუსები“ ბრესტში. ჩვენი გასტროლი მინსკში მროჟეკის დღეებს ემთხვევა და სხვადასხვა ქვეყნის თეატრები თამაშობენ. ასევე პოლონელი რეჟისორის სპექტაკლი „პოლიცია“ ივლისში მიდის გასტროლებზე პოლონეთში და სექტემბერში მროჟეკის ფესტივალზე ისევ პოლონეთში, ოქტომბერში ტარტუში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მინდა ავხსნა ამ ფესტივალების რაობა. ეს არის მთავარი და ჩემი სურვილია, რომ ქართულმა თეატრმა ნაკლებად დახარჯოს ფული ასეთ ფესტივალებში საერთოდ. უამრავ ჩანაწერს ნახავთ დიდი რეჟისორების, თუ როგორი ცუდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო თეატრის განვითარებაზე ე.წ. „ფრინჯმა“ ღია ფესტივალებმა. მსგავსი ფესტივალSი, რომელიც ტარდება, მე არ ვაკნინებ ამ ფესტივალს, ქართულ დასებსაც მიუღიათ მონაწილეობა როგორიც არის „ავენიონი“, იგივე შეიძლება ითქვას ედინბურგის ფესტივალზე, მაგრამ ძირითად პროგრამაზე არა და „ფრინჯზე“. საქართველოში დაიწყო ეს ტენდენცია, ჩვენ დავდივართ, თეატრალურ ოლიმპიადებზე, სადაც გამოვდივართ მოყვარულთა დასების გვერდით და აქ ჩამოგვაქვს დუბლიკატი სტატიები გაურკვეველი წარმოშობის კრიტიკოსის, რომელიც კრიტიკოსიც არ არის, კბილის ექიმია. იმ წუთში მოეწონა, დაწერა სტატია და ამით ბედნიერები ვართ.

- უცხოელი რეჟისორების თანამშრომლობა ახმეტელის თეატრთან? დავარქვათ ამას ერთგვარი ექსპერიმენტი. რა შედეგები მოიტანა და თუ აპირებთ ამ მიმართულებით მუშაობის გააგრძელებას?

- რა თქმა უნდა. ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას, ოღონდ უცხოელი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი ჩვენთვის არის საინტერესო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მან დადგა

ახალი ფორმით. დღეს ძალიან ადვილია პოსტსაბჭოთა სივრცეში კარგი რეჟისორების მოძიება, რომლებიც დადგამენ ისე, როგორც დგამენ ვთქვათ კლასიკოსი ქართველი რეჟისორები, ვისგანაც პირადად მე ვისწავლე პროფესია, მაგრამ ჩემთვის საინტერესოა, ვინც ასე არ დგამს, მან დადგას, რომ შემოვიდეს რაღაც მცდელობის დონეზე მაინც ფორმები. იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენი ექსპერიმენტი არ არის პრეტენზიული, რომ აი სასწაული დავდგათ და დავიპყროთ მთელი მსოფლიო. ეს არის ექსპერიმენტის დონეზე, თუნდაც მსახიობისა და იმ უცხოელი რეჟისორის მუშაობის დროს შემდგარი დუეტის ექსპერიმენტია. ის ვერგაგებაც ექსპერიმენტია. იმიტომ, რომ ორი ძალიან განსხვავებული მენტალობა ეჯახება ერთმანეთს.

- თუ გეგმავთ დასის განახლებას?

- დასის განუახლებლად, სჯობია, რომ ვიჯდეთ და არაფერი ვაკეთოთ. იმიტომ, რომ მსოფლიო დრამატურგიაში მოიძებნება სულ რამოდენიმე პიესა, რომელშიც არ არის ახალგაზრდის როლი. და ძალიანაც რომ გვინდოდეს ჩვენ, უფროსი თაობის კარგი მსახიობი ვერ ითამაშებს 20 წლის გოგოს. ჩვენ ამ წუთას შტატში გვყავს ერთი ახალგაზრდა მსახიობი. ძალიან კარგი მსახიობია, მაგრამ ერთი ახალგაზრდა მსახიობი გოგო ვერ შექმნის ამინდს.

- იმედია, აპირებთ ქართველი რეჟისორების მოწვევას. რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შერჩევა?

- ქართველი რეჟისორების მოწვევას ვაპირებ. რა თქმა უნდა, უმაღლესი პროფესიული თვისებების მქონე რეჟისორებისას. მე არ ვარ ტენდენციური, მომწონს თუ არა მისი შემოქმედება, მაგრამ აპრობირებული ასეთი რეჟისორების, იგივე არის მედეა კუჭუხიძე, გოჩა კაპანაძე, გოგი თოდაძე და რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქართველი ახალგაზრდა რეჟისორი, ვინც მოიტანს კარგ, ჩამოყალიბებულ შემოთავაზებას, მე თვითონ ჩემს დირექტორს ამოვიყენებ გვერდში, მოვიტანთ ფულს და დადგამს. ოღონდ ეს არ უნდა იყოს შადიმან შამანაძის „მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილში“.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N = 157
38%
30%
25%
4%
3%
0%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N = 258
21%
32%
27%
20%
0%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწოწების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N=529
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
28%
8%
8%
3%
11%
9%
6%
3%
3%
3%
18%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საოპერო
სიმღერა
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =324
50%
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
6%
3%
46%
8%
2%
3%
12%
20%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეტრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N = 349
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
12%
5%
49%
10%
5%
5%
14%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =363
25%
20%
15%
10%
5%
0%
16%
13%
22%
21%
22%
4%
2%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ზნეობრივ-ეღმრთეღლობითი შინაარსი
საინტერესო აზრი
მსახიობების ნაბეჭდვარი
რეჟისორის ნაბეჭდვარი
სცენოგრაფია
მუსიკა


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N = 200
კი 19%
არა 63%
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 18%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 200
ნაწილობრივ ვენდობი 25%
საერთოდ არ ვენდობი 70%
მთლიანად ვენდობი 5%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
რობერტ სტურუა	34
ლევან წულაძე	27
დავით დოიაშვილი	11
გაბრიელ გოშაძე	9
ამირან შალიკაშვილი	6
ავთანდილ ვარსიმაშვილი	4
თემურ ჩხეიძე	4
ოთარ ეგაძე	3
ირაკლი გოგია	3
გიორგი თავაძე	3
დათა თავაძე	1
გოჩა კაპანაძე	1
ოთარ ბაღათურია	1
ნანა კვასხვაძე	1
დავით ანდღულაძე	1
ნიკა თავაძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
ნანკა კალატოზიშვილი	12
კახი კავსაძე	11
ია სუხიტაშვილი	10
ზურაბ ყიფშიძე	10
ნინელი ჭანკვეტაძე	8
ნატა მურვანიძე	6
მიშა გომიაშვილი	7
მურმან ჯინორია	5
ბაჩო ქაჯაია	4
გივი ბერიკაშვილი	4
გიორგი ყიფშიძე	4
პაატა ინაური	4
რუსკა მაყაშვილი	4
გიორგი ვარდოსანიძე	4
ჯაბა კილაძე	4
კახა ჯოხაძე	3
ბაჩო ჩაჩიბაია	3
ლევან ხურცია	3
ნიკა თავაძე	3
კახა კინწურაშვილი	3
გიორგი ჭუმბურიძე	2
ნატუკა კახიძე	2
ანდრო სარიშვილი	2
ნანუკა ხუსკივაძე	2
ნინო ლეჟავა	1
კახა აბუაშვილი	1
თათული დოლიძე	1
ზურაბ ინგოროყვა	1
ეკა კახიანი	1
თემიკო ჭიჭინაძე	1
გოგა ბარბაქაძე	1
დათა თავაძე	1
მაია დობორჯგინიძე	1
აპოლონ კუბლაშვილი	1
ქეთი ცხაკაია	1
გია ბურჯანაძე	1
ლუკა ჩხაიძე	1
მაკა ძაგანია	1
არჩილ სოლოღაშვილი	1
ალეკო მახარობლიშვილი	1
მაგდა ლებანიძე	1
თორნიკე გოგრიჭიანი	1
ვაჟა ციცოშვილი	1
კატო კალატოზიშვილი	1
ირინა ჟღენტი	1

ჯაბა ჯაფარიძე	1
ბესო ზანგური	1
გოგა პიპინაშვილი	1
გიორგი ბოჭორიშვილი	1
ანი ალადაშვილი	1
ნესტორ კალანდარიშვილი	1
თამუნა ნიკოლაძე	1
ნინო გაჩეჩილაძე	1
ეკა ნიჟარაძე	1
ბაია დვალიშვილი	1
რუსუდან ბოლქვაძე	1
ნანი ჩიქვინიძე	1
ეკა ჩხეიძე	1
მარინა კახიანი	1
ნინო ჩხეიძე	1
აპოლონ კუბლაშვილი	1

პანტომიმის თეატრი

მოკლე ისტორია

პანტომიმით მხოლოდ XX საუკუნეში დაინტერესდნენ. პირველი ქართველი რეჟისორი, რომელმაც პანტომიმის დადგმა დაიწყო, იყო კ. მარჯანიშვილი. იგი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა და ეუფლებოდა პანტომიმას, პანტომიმურისპექტაკლისათვის შექმნა სამი ლიბრეტო და განახორციელა პანტომიმური სპექტაკლების დადგმა,რომლებმაც იმდროინდელ პრესაში ფართო მომსახურება ჰპოვეს.

პირველი პანტომიმა, რომელიც კ.მარჯანიშვილმა რუსეთში 1912 წელს დადგა, იყო ა. ვოზნესენკის "ცრემლები". მუსიკა ეკუთვნოდა ილია ალექსანდრეს ძე საცს. ვოზნესენსკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. ეს სპექტაკლი მიდიოდა უსიტყვოდ და იგი ქალაქ კიევშიგარნიზონის ჯარისკაცებს უჩვენეს. ამით კ. მარჯანიშვილს უნდოდა შეემოწმებინა, თუ როგორ გაიგებდა გამოუცდელი მაყურებელი ისეთ თავისებურ სპექტაკლს, როგორიც "ცრემლები" იყო. ცდამ წარმატებით ჩაიარა და შემდეგში კ.მარჯანიშვილს 1913 წელს თავისუფალი თეატრის რეპერტუარში უკვე შეაქვს პანტომიმა "პიერეტას მოსასხამი" (მუსიკა დონანისა). კ. მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით დადგმაზე მუშაობდა ა. თაიროვი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მარჯანიშვილმა დადგა ორი ქართული პანტომიმა - ,,მზეთამზე" რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში 1926 წელს და "ხანძარი" (ქუთაისში). 1930 წელს სპექტაკლ "მზეთამზეში" მარჯანიშვილმა დაამუშავა ლეგენდა,რომელშიც მოთხრობილია მეფის ასულის - მზეთამზის თავგადასავალი.

როგორც მარჯანიშვილი განსაზღვრავს, პანტომიმაში დაგენილი მოძრაობები არ არსებობს; ისინი მსახიობის შინაგანი მოქმედების მიხედვით ყოველ წუთს იცვლებიან.

მარჯანიშვილის სპექტაკლები ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული რიტმულობით, ლამაზი მიზანსცენებით, დიდი შინაგანი ემოციურობით. მის სპექტაკლებში მსახიობის მოძრაობაყოველთვის დატვირთული იყო შინაარსობრივად. იგი როგორც მოქანდაკე, ისე ძერწავდათითოეული მსახიობის სხეულს და თავის სპექტაკლებში ხშირად იყენებდა პანტომიმისელემენტებს. ასეთივე დიდ როლს ანიჭებდა პლასტიკას მეორე დიდი რეჟისორი ს. ახმეტელი. სწორედ ს. ახმეტელისა და კ. მარჯანიშვილის შემოქმედება, დააყენა ქართული ბალეტის შექმნის საკითხი, რაც ასე ბრწყინვალედ განახორციელა ვ. ჭაბუკიანმა. პირველი ქართული ბალეტი "მზეჭაბუკი" სწორედ "მზეთამზის" შთამომავალია.

პანტომიმის ქართული თეატრი პანტომიმის პირველი პროფესიული თეატრია ყოფილ სსრკ-ში. დაარსდა 1976 წელს თბილისში. დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია ამირან შალიკაშვილი. მნიშვნელოვანი დადგმები: ა. შალიკაშვილის „ოცნება და სინამდვილე" (1968), გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე" (1971), ევრიპიდეს „ელექტრა" (1972), ა. შალიკაშვილისა და გ. გაგუას „გაათავისუფლე სიმღერა" (1974), „უკანასკნელი ზარი" (1977); „მცირე მიწა" (ლ. ბრეჟნევის ნაწარმოების მიხედვით, 1979), ა. შალიკაშვილის „კიდევაც დაიზრდებიან" (1981), გ. დოჩანაშვილის „ფიროსმანი მეფე" (1984) და სხვა. საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1978). დასში ირიცხებიან (1984) მსახიობები: კ. მებუკე, გ. ოსეფაშვილი, რ. გრიგოლია, თ. ჯაუანიძე, ტ. გორგიშვილი, გ. ლაბაძე, ვ. შალიკაშვილი, გ. სიფრიმიშვილი, ჯ. აზოიანი, დ. სომხიშვილი, ი. მებუკე, მ. ალიმბარაშვილი, ლ. კიკონიშვილი, უ. ხიმშიაშვილი, მ. ჯანიაშვილი და სხვები.

პანტომიმის თეატრის დამაარსებელი და დღემდე ამ თეატრის ერთგული ხელმძღვანელი არის ამირან შალიკაშვილი. დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი 1960 წელს; თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დრამის მსახიობის სპეციალობით 1964 წელს. 1967 წლიდან არის ქართული პროფესიონალური პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი; 1965–1969 წწ. იყო მუსკომედიისა და 1969–1973წწ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობი; 1973–1975 წწ. ფილარმონიის პანტომიმის დასის ხელმძღვანელი; 1975 წლიდან არის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი; თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში პანტომიმის განხრის დამაარსებელი (1978); 1999 წლიდან ბათუმის სახელმწიფო ხელოვნების ინსტიტუტის პანტომიმის სარეჟისორო და სამსახიობო სახელოსნოს ხელმძღვანელი. არის ავტორი წიგნებისა: "პანტომიმა დუმილის პოეზიაა"(1999), "დუმილის შემდეგ"(2004), "ხილვები ფიროსმანზე"(2004), "ცრემლიანი შემოდგომა"(I, 2005; II, 2006).

ამირან შალიკაშვილი არის ღირსების ორდენის კავალერი, 1990 წელს მიიღო პრემია "საუკეთესო რეჟისორი პლასტიკაში", 1981 წელს დაჯილდოვდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიით.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
დაარსების თარიღი - 1965 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
დაქვემდებარება - ქ. თბილისის მერია
თეატრის ხელმძღვანელი პირები - ამირან შალიკასვილი
თეატრის მისამართი - ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი # 37

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა: 27
შემოქმედებითი პერსონალი:8
ტექნიკური პერსონალი: 5
ადმინისტრაცია: 5

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011			მუნიციპალური	
2012			მუნიციპალური	
2013			მუნიციპალური	

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 2935 ლარი
2012 წელი - 3444 ლარი
2013 წელი - 5568 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
თეატრის რეპერტუარი 2011 წ.
„კიდევაც დაიზრდებიან“ 2
„ოცნება და სინამდვილე“ 3
„ფიროსმანი მეფე“ 3
„კრიმანჭული“ 11
„სტუმარ-მასპინძელი“ 8
„ტიტუსი“ 5
სამყარო“, 1
„ტერენტი გრანელი“, 7
„შექსპირის სონეტები“ 4
„წმინდა გიორგი“ 7
„ქრისტე“ 8
„STOP AIDS 3
„ბლეფი“ 2

თეატრის რეპერტუარი 2012 წ
„ოცნება და სინამდვილე“ 8
„კრიმანჭული“ 11
„სტუმარ-მასპინძელი“ 14
სამყარო“ 2
„ტერენტი გრანელი“ 5
„შექსპირის სონეტები“ 4
„წმინდა გიორგი“ 5
„ქრისტე“ 6
„STOP AIDS“ 3
„ პროლოგი“ 5

თეატრის რეპერტუარი 2013 წ.
„კიდევაც დაიზრდებიან“ 6
„ოცნება და სინამდვილე“ 5
„დონ-ჟუანი“ 9
„კრიმანჭული“ 11,
„სტუმარ-მასპინძელი“ 9
„დანკოს გული“ 3
„ქრისტე“ 10
„სამყარო“ 3
„ტერენტი გრანელი“ 10
„შექსპირის სონეტები“ 5
„წმინდა გიორგი“ 10
„STOP AIDS“ 2

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წ. - 64
2012 წ. - 63
2013 წ. - 83

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წ. - 849
2012 წ. - 1084
2013 წ. - 1005

ბილეთის ფასი და ტარიფები - 2, 3,5,7,10 ლარი.
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა: 6000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა: 3000 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი: უმაღლესი - 1200, უმდაბლესი - 250 ლარი, სტუდენტებს: 100 ლარი.

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით: ბათუმი, ქუთაისი, საჩხერე, ამბროლაური,თელავი,
ქვეყნის გარეთ: საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი, სტასბურგი,
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით: 7000 ლარი.
ქვეყნის გარეთ: 50000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით: საქართველოს თეატრალური საზოგადოება.
ქვეყნის გარეთ: ევროპის პლასტიკის გაერთიანების წევრი.
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) 2011-2013 წწ.?
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა: დიახ.
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში: დიახ.
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში: დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი: მარკეტინგისა და PR სამსახურის უფროსი.
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება: დიახ.
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება: დიახ.
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა: 17
ყველაზე ხანდაზმული: 35

2011-2013 წლების რეპერტუარი

„კიდევაც დაიზრდებიან“ - ხალხური, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი: ამირან შალიკაშვილი, დადგმა და მუსიკალური კომპალაცია: ამირან შლიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, სალომე ოკუჯავა, ნინო აფციაური, ეკატერინე გაბაშვილი, ნათია ხაჩიძე, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, შოთა ქერაშვილი, გიორგი გურგენიძე, გიორგი ტიელიძე, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, მიშა ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„ოცნება და სინამდვილე“ - რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი: ამირან შალიკაშვილი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, ნინო აფციაური, სალომე ოკუჯავა, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, გიორგი ტიელიძე, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია.

„**ფიროსმანი მეფე**“ - პიესის ავტორი გურამ დოჩანაშვილი, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი: მამია მალაზონია, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: სალომე ფილიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, შორენა ზუბიაშვილი, ანა საბო, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, სოფიკო ლობჟანიძე, თამუნა მახარაძე, ეკა დობორჯგინიძე, დავით შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, გიორგი გურგენიძე, გიორგი ქობალია, გიორგი ტიელიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, ბონდო მამულაძე, გიგი ლორია, მიშა ლორთქიფანიძე.

„კრიმანჭული“ - რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი: მამია მალაზონია, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, ლუკა ჩხაიძე, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ვასო კიპაროიძე, შოთა ქერაშვილი.

„სტუმარ-მასპინძელი“ - რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი: მამია მალაზონია, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: სალომე ფილიშვილი, დავით შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, მიშა ზაქაიძე.

„ტერენტი გრანელი“ - პიესის ავტორი რევაზ მიშველაძე, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: სალომე ფილიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ნათია ხაჩიძე, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, გიორგი გურგენიძე, გიორგი ტიელიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„წმინდა გიორგი“ - პიესის ავტორი რევაზ მიშველაძე, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, სალომე ოკუჯავა, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ნათია ხაჩიძე, ეკატერინე გაბაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„**ქრისტე**“ - პიესის ავტორი რევაზ მიშველაძე, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ნათია ხაჩიძე, ეკატერინე გაბაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, დავით შალიკაშვილი, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„დონ-ჟუანი“ - კომპოზიტორი: გლუკი, რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი, დადგმა და მხატვრული გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ეკატერინე გაბაშვილი, ამირან შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე,

„შექსპირის სონეტები“ - რეჟისორი: დავით შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: დავით შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ეკატერინე გაბაშვილი, ამირან შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„**სამყარო**“ - რეჟისორი: დავით შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: დავით შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ეკატერინე გაბაშვილი, ნათია ხაჩიძე, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„**ტიტუსი**“ - რეჟისორი: დავით შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: დავით შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ამირან შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე.

„STOP AIDS“ - კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე, რეჟისორი: დავით შალიკაშვილი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: დავით შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ამირან შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი.

„დანკოს გული“ - რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ეკატერინე გაბაშვილი, ნათია ხაჩიძე, ირაკლი ბიბილური, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიშერაშვილი, ტატო გელიაშვილი, თორნიკე დიღმელაშვილი, ბექა დადვანი.

„**პროლოგი**“ - რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი უმცროსი, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ამირან შალიკაშვილი უმცროსი.

მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა ჩაგელიშვილი, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, ამირან შალიკაშვილი, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, შოთა ქერაშვილი, ვასო კიპაროიძე, გიგი ლორია, გიორგი ტიელიძე, მიხეილ ზაქაიძე.

„**ბლეფი**“ - რეჟისორი: ლუკა ჩხაიძე, მხატვარი, დადგმა და მუსიკალური გაფორმება: ლუკა ჩხაიძე.

მსახიობები: სალომე ფილიშვილი, სალომე ოკუჯავა, ლუკა ჩხაიძე.

შენობის შესაძლებლობები:

აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე: არა
საგამოფენო სივრცე: არა
საკონფერენციო დარბაზი: არა
ბუფეტი: არა
წიგნის მაღაზია: არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის: არა

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე: 9 მეტრი
სცენის სიგანე: 6 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე: 6 მეტრი
სარკის სიგანე: 6 მეტრი
სარკის სიმაღლე: 6 მეტრი
შტანგეტების რაოდენობა: 6 ცალი
შტანგეტებს შორის ინტერვალი: 1,5 მეტრი
სოფიტების რაოდენობა: 6 ცალი
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა: 6 ცალი

შენიშვნა: დღესდღეობით საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრს არ გააჩნია თავისი შესაფერი შენობა, ამიტომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

საუბარი თეატრის დამაარებელთან და სამხატვრო ხელმძღვანელთან ამირან შალიკაშვილთან

- რა დაიდგა თქვენს თეატრში 2011-13 წლებში, რამაც მოგიტანათ დიდი შემოქმედებითი წარმატება?

- 2008-09 წლებში ბატონი რეზო მიშველაძე მოვიდა ჩემთან და მომიტანა "ტერენტი გრანელის" სცენარი. მითხრა, ამირან, იქნებ ამ კაცს რამე ვუშველოთო და სპექტაკლი დადგაო. წავიკითხე, რა თქმა უნდა, მაგრამ წავიკითხე, როგორც ვიცი ხოლმე და გადავდე. გავიდა რამდენიმე ხანი და დამირეკა, რას შვრებიო, ამირან. უხერხულობა ვიგრძენი. ამხელა პიროვნებაა, თანამედროვე კლასიკოსია, ნოველების ავტორი, საოცარი ადამიანია. ბატონო რეზო, ვმუშაობ-მეთქი. მოკლედ, ერთი წელი ასე ვიწვალე. კიდევ რომ დამირეკა უკვე ჩემს თავს ვუთხარი, ამირან, რაღაცა მოიფიქრე-მეთქი. დავიწყე მუსიკის კეთება და სცენების დამუშავება. როგორც კი გავაკეთე მუსიკალური მონტაჟი, ვინაიდან მუსიკა მკარნახობს პლასტიკას, წავედი ბატონ რეზოსთან, მწერალთა კავშირში. ძალიან მნიშვნელოვანი რამ მქონდა შესათანხმებელი. თუ გახსოვთ, ტერენტი ამბობდა: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“. დავსხედით, ვისაუბრეთ და ვუთხარი, ბატონო რეზო, სხვა მოვიტანე-მეთქი. რა არისო?! ფინალი ასეა, ის სასაფლაოზე მიდის. სასაფლაოს შემდეგ ტერენტი მიდის, ხსნის ქრისტეს, უშვებს ხალხს და თვითონ ეკვრება ჯვარს. გაჩერდა. ძალიან რთული ნაბიჯი გადავდგი, ეს ხომ ჯერ არავის გაუკეთებია. ადგა, ფანჯარასთან მივიდა. მე მგონი, ჩაისუნთქა. არ ვიცი, ამირან, არ ვიციო. სპექტაკლმა რაღაც სასწაულად ჩაიარა. სხვათა შორის, აი

იქიდან დაიწყო სპექტაკლზე „წმინდა გიორგი“ ფიქრიც. წელიწად-ნახევარში დავდგი „წმინდა გიორგი“. ეს სკანდალური ისტორიაა, იმართებოდა მიტინგები, მოდიოდნენ შაოსნები, მაგრამ სპექტაკლი დღესაც რეპერტუარშია. ამას მალევე მოჰყვა „ქრისტე“.

– ანუ თქვენ თვლით, რომ რელიგიურ თემაზე შექმნილი სპექტაკლები იყო ყველაზე პროდუქტიული და ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია?

- ეს იყო ტრილოგია. მაშინ, როდესაც მე თეატრს ვქმნიდი, ცოცხალ ლეგენდებთან მქონდა ურთიერთობა. ჩვენი თაობა ცოცხალ ხორავას ვუყურებდით, ვასაძეს, ვერიკო ანჯაფარიძესთან ვთამაშობდი, მიშა ჭიაურელთან ვსაუბრობდი, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე მეგობრები იყვნენ, ეს იყო ყოველდღიური სკოლა. ბიჭები რომ მედეა ჯაფარიძეს დავინახავდით, ცუდად ვხდებოდით მისი სილამაზით. სხვა განტოლება გვქონდა და როცა დავიწყე მე ამის დადგმა, თითქმის სულ ყველა ჩემს გვერდზე იყო. ერთხელ ვერიკომ თქვა, რომ ჩვენ ვქმნიდით საბჭოთა კავშირის თეატრს და ეს მარგალიტი ნაგავში გადავაგდეთ და შენ რა კარგად ქენი, რომ ეს ამოიღე და ასე ლამაზად მოგვიტანეო. ეს სამი ტრილოგია ჩაითვალა და ნამდვილად ვითხოვდი დიდ აღიარებას. მაშინ იყო სწორედ, რომ დავიძახე - გენიოსი ვარ-მეთქი. ერთმა მითხრა, ამირან, ნუ იძახიო და რატომ, არა ვარ-მეთქი?! არა, ნუ ამბობ შენ! მაშინ შენ თქვი და მე აღარ ვიტყვი-მეთქი. მართლაც, ეს იყო საოცარი სამი სპექტაკლი. არნახული ამბავი დატრიალდა. წარმოიდგინეთ, რამდენიმე თვის წინ ჩვენ ვითამაშეთ რაჭაში. პირველ დღეს მოიყვანეს სკოლის ბავშვები. „ტერენტი გრანელი“ რომ ნახეს, მეორე დღეს მოვიდნენ მასწავლებლები და მშობლები. მესამე დღეს დარბაზში ნემსს ვერ ჩააგდებდით, ისეთი ამბავი იყო. არტისტებს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, რისი სოფლელი ხალხი, ნიჭს არა აქვს სოფელი და ქალაქი. გალაკტიონს არა აქვს სოფელი და ქალაქი და არც მე არა მაქვს სოფელი და ქალაქი. არნახული წარმატებით შემოვიარეთ რაჭა. იქ იყვნენ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და ისინიც გაოცებულები იყვნენ იმით, თუ როგორ მიდიოდა სპექტაკლი რაჭაში. ჩვენ რა საშუალებაც გვქონდა, განათება, ფარდაგი, ფარდები წავიღეთ და კულტურის სახლის სცენას ჩავაცვით. ამოისუნთქა ხალხმა. როგორ მდგომარეობაშია რაიონის თეატრები, ეს უკვე სხვა თემაა - მიტოვებული და მიგდებული.

– საზღვარგარეთ თუ გქონდათ წაღებული ეს ტრილოგია?

- „წმინდა გიორგი“ გვქონდა წაღებული პოლონეთის ქალაქ ვროცლავში. დიდი წარმატება გვხვდა წილად. მოვლილი გვაქვს საბჭოთა კავშირის დაახლოებით 150 ქალაქი. ახლა ვემზადებით ოდესაში გასამგზავრებლად. მიდის მოლაპარაკება ფინანსებთან დაკავშირებით. ევროპის 20 ქვეყანა მაქვს მოვლილი. „ელექტრა“, „ფიროსმანი“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „სტუმარ-მასპინძელი“. მაგრამ მაშინაც და ახლაც ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სპექტაკლებია, ძალიან ქართული სპექტაკლებია. ეს კიდევ ერთხელ მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ჩვენი თეატრი ერის საკეთილდღეოდ არსებობს და წმინდა ქართული თეატრია. დღესდღეობით ეს ძალიან რთულია. ძალიან დიდი იყო ფრანგული პანტომიმის ზეგავლენა, იმიტომ რომ, მარსელმა ყველა მოაქცია, ასე რომ, ზეგავლენების ტალღაც გადავიარეთ.

– ბატონო ამირან, რა გიქმნით ყველაზე დიდ შემოქმედებით პრობლემებს თეატრში?

- ამჟამად, რაც ყველაზე მეტად მიშლის ხელს, არის გაურკვეველი სიტუაცია ჩვენი თეატრის შენობის ირგვლივ, საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი და ვფიქრობდი, რა იქნება. უცებ გადაწყდა,რომ დაიწყება პანტომიმის თეატრის მშენებლობა და გადართული ვარ ამაზე. არ შეიძლება თეატრის აშენება, თუ რეჟისორი არ არის იქ. მან იცის, რა სჭირდება სცენას. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა თბილისში თეატრის აშენება გადაწყვიტეს, რეკონსტრუქცია და რემონტი - რამდენიც გინდათ. ეს იქნება საჩუქარი საქართველოსთვის. მე კიდევ ვამბობ, მე თავი დამანებონ, არაფერი არ მინდა იმის გარდა, რომ იქ შევიდეს მაყურებელი და ეზიაროს ამ პლასტიკურ სამყაროს. დღეს არ არსებობს თეატრალური სანახაობის სხვა გზა. თეატრი არის სიცოცხლე და მოძრაობა. თეატრი მარტო ლაპარაკი არ არის. იყო ასეთი რეჟისორი ედგარ ეგაძე, მოსკოვში მუშაობდა 30 წლის განმავლობაში. ის ამბობდა, რა ქენი, ბიჭო, 30 წლით წინ როგორ გაიხედეო. არაფერი არ გამიხედია. მე ჩემთვის მივდიოდი ჩემი სტიქიით. თუმცა, ჩემზე ამბობდა, როცა მე დრამატულ თეატრში ვთამაშობდი, ძალიან ბევრს მოძრაობსო. მაგრამ რა იყო ეს ძალიან ბევრი მოძრაობა, მე არ ვიცოდი. ეს არ იყო ხელების ქნევა და აკრობატიკა. ეს სულ სხვა ხელოვნებაა. მე მიმაჩნია, რომ პანტომიმა მაინც ჩვენი, ქართველების ხელოვნებაა. აქ აზრია და ქართველებს უყვართ, როცა აზრიან სპექტაკლს სთავაზობ. ჩვენ გვიყვარს არევ-დარევა სუფრაზე, მაგრამ აქ - არა.

– რა სიხშირით და რა პრინციპით აახლებთ დასს?

- ჩვენ გამოგვიმუშავდა ასეთი პრინციპი. მე თავის დროზე ძალიან შემიტყუა თეატრალურმა ინსტიტუტმა. 1978 წელს გაიხსნა კათედრა. ჯგუფს ავიყვანდი თუ არა, ერთი წლის შემდეგ პირდაპირ სცენაზე შემყავდა. შენაცვლებაც თანდათან მოდიოდა. სწორედ ამ პრინციპით გადარჩა ეს ჟანრი.

– დღეს თუ ასწავლით?

- რა თქმა უნდა, დღესაც მყავს ჯგუფი. ბათუმშიც მქონდა კათედრა, მაგრამ ჩამომართვეს. ვფიქრობ, არასწორად მომექცნენ. მაქვს ასევე თეატრთან არსებული სტუდია. აქაც მეცადინეობენ, შემდეგ აბარებენ ინსტიტუტში. ასაკობრივი შეზღუდვა არა გვაქვს - 7 წლიდან ვღებულობთ სტუდიაში. ამჟამად მათთან ჩემი მოწაფეები მუშაობენ.

– თქვენს თეატრში თუ არსებობს მოწვეული რეჟისორის პრაქტიკა?

- ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ამაზე ვფიქრობ. არის მოლაპარაკებები როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთ მცხოვრებ რეჟისორებთან. ტომაშევსკი და ვლადისლავ ფიალკა გარდაიცვალნენ, მაგრამ მათ დატოვეს თავიანთი მოწაფეები ჩეხეთსა და პოლონეთში, რომლებიც არიან ჩემი მეგობრები. მაქვს კულტურის სამინისტროს და მერიის თანადგომის იმედი, ალბათ, საიუბილეოდ დასების ჩამოყვანასაც

შევძლებთ. ეს იქნება დიდი მოვლენა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება. გადაწყვეტილი გვაქვს, რა ვითამაშოთ, ვდგამთ პრემიერას, მაგრამ „ტერენტი გრანელით“ გაიხსნება. ითამაშებს დასი და მე

თვითონ, მარტო ნახევარი საათი ვიმუშავებ სცენაზე. მაყურებელს ერთხელ კიდევ ექნება ყოველივე ამის ხილვის საშუალება.

– როდის იგეგმება თეატრის ახალი შენობის გახსნა?

– გვპირდებიან, რომ სექტემბერში თეატრში შეგვიყვანენ და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი სამუშაო.

– ალბათ უცხოელი ტურისტებისთვისაც საინტერესოა თქვენი თეატრი?

- დღეს ეს თეატრი მარტო უცხოელებზეა გათვლილი. ჩვენთან არის ანშლაგები უცხოელებზე. ჩემი მეგობარი იაპონიის ელჩი ყველა სპექტაკლს ესწრებოდა ხოლმე, სტუმრებიც მოჰყავდა. ის ამბობდა, აქ რომ მოვდივარ, ყველაფერი გასაგებიაო.

– თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

– სპონსორობის კულტურა საქართველოში არ არსებობს. ჩვენ გვყავს ძალიან ახლო მეგობარი თიბისი ბანკის დამკვირვებელი. დასამალი არაფერია, რომ ჩამოდის, ფულს ჩუქნის ხოლმე მსახიობებს, თვითონ დაჰყავს რესტორანში. ერთი სიტყვით, ძალიან შეგვეჩვია. მოხდა ასეთი რამ, შემთხვევით ცოლთან ერთად შემოვიდნენ სპექტაკლზე. დაესწრნენ სპექტაკლს და მთხოვეს სპექტაკლ „ტერენტი გრანელის“ შესყიდვა. დავთქვით დრო. მოვიდნენ, მოიტანეს მაგიდები, გაშალეს სუფრები ფურშეტისთვის და გადაიჭედა დარბაზი. ოთხი მილიონერი და ოცი ბანკის ხელმძღვანელი მოიყვანა. დაინგრა ტაშით დარბაზი. მე და ბატონი რეზო მიშველაძე გავედით კიბესთან. სპექტაკლი რომ დამთავრდა, დარბაზს მიმართა, მე თქვენ საქართველოს მარგალიტი გაჩვენეთ, ამას პატრონობა უნდაო. ბანკეტზე მითხრეს, ბატონო, ჩვენთვის 20000 დოლარი თვეში არაფერი არ არისო. დამთავრდა. ესპანეთში მივდივართ გასტროლზე. ჩემი შვილი გავუშვი თიბისი ბანკში, 1000 დოლარს მაინც მოგცემენ და ჯიბის ფული მაინც გექნებათ-მეთქი. რამოდენიმე ვიზიტის შემდეგ მიიღეს და ასეთი პასუხი გასცეს, თქვენ რომ დაგეხმაროთ, სხვასაც ხომ უნდა დავეხმაროთ. იგივე ამერიკელმა შემოგვთავაზა, გააკეთეთ სასწრაფოდ ფონდი და მე დაველაპარაკები იმ ხალხს, რომლებიც ჩადებენ თქვენს საქმეში ფულსო. ჩვენ მოვინდომეთ შალიკაშვილის ფონდის გახსნა, მაგრამ გავჩერდით და რატომ?! 60% მიაქვს ბანკს. ჩავთვალეთ, რომ უკვე აღარ ღირს ამის გაკეთება.

– აქვს თუ არა თეატრს სასპონსორო შეთავაზებები?

- არა გვაქვს, ჩვენი ერთადერთი შეთავაზება სპექტაკლია.

– სარეკლამო საშუალებების შეთავაზება თუ შეგიძლიათ?

- რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეგვიძლია.

– თუ გითანამშრომლიათ რომელიმე სპონსორთან?

– არა. ასეთი შემთხვევა არ გვქონია.

– 2011-13 წლებში თუ გითანამშრომლიათ ადგილობრივ ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან?

– კულტურის სამინისტრომ დააფინანსა ჩვენი მოგზაურობა პოლონეთსა და ესპანეთში. ახლა ოდესაში მივემგზავრებით და ვიმედოვნებთ, მერია დაგვაფინანსებს.

– ზოგადად როგორ ფიქრობთ, რამდენად არის თეატრი სპონსორისთვის ძლიერი პარტნიორი?

- მე მგონი, სპონსორისთვის პრესტიჟია, თეატრის დაფინანსება და მოვლა. მაგრამ მე როგორი პარტნიორი ვარ, არ ვიცი. მე ვიღებ ივანიშვილის დახმარებას, მაგრამ როცა თეატრს უჭირს, იმ ფულს თეატრს ვახმარ. ასეთი შემთხვევაც იყო, როდესაც ივანიშვილის დახმარება ავიღე, ამ თანხით დასი წავიყვანე საჩხერეში და ვითამაშეთ სპექტაკლი. ეს იყო პირადად ჩემი ინიციატივა და არც არის გასავრცობი. ასევე მხარში გვიდგას მერიის კულტურის სამსახური, მამუკა ქაცარავას სახით.

– ზოგადად, რა პრობლემები აქვს პანტომიმის თეატრს?

- მსახიობს არა აქვს გრიმი, საპონი, პირსახოცი, თასმა, კოლგოტი, ჩუსტი. გრიმი აღარ შემოდის, რუსეთში მზადდება მხოლოდ და იქაც არ იძლევიან. იყიდება გადამყიდველებთან, ჩვენ კი გვთხოვენ საბუთს. ამიტომ ჩემს მეგობრებს ვუგზავნი გარკვეულ თანხას და ისინი მიგზავნიან საბუთით. ასევე გვაქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა.

– და ამ თანხებს ბიუჯეტში ვერ დებთ?

– ვერ ვდებთ. ჩვენ გვაძლევენ გარკვეულ თანხას და ის უნდა მოიხმარო, ასე ვთქვათ, გადაანაწილო რაღაც-რაღაცეებში. მე ეს თანხა ჩავდე ხელფასში. სხვათა შორის, არც ერთ თეატრში არ არის ასეთი მაღალი ხელფასები. აი ასეთი ტიპის ხარჯებზე ჩვენ ვწერთ წერილებს და ისინი შემლებისდაგვარად ამას გვიკეთებენ. რაც შეეხება შემოსავალს, ჩვენ ვიბეგრებით და ეს არ არის სწორი. თეატრი უნდა იყოს თავისუფალი გადასახადისაგან. ადრე თეატრი არ იბეგრებოდა. ახლა წამოვიდა ეს ტალღა. ეს კი გვიქმნის ფინანსურ პრობლემებს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ პანტომიმის თეატრს ძირითადად ჰყავს უცხოელი მაყურებელი. როგორი ასაკობრივი კატეგორია დადის თქვენთან თეატრში?

- პანტომიმას ზღვარი არა აქვს. ის ხომ თვალთახედვითი არის, პატარასაც და დიდსაც მოსწონს, ამიტომ მე რომ მირეკავენ და მეკითხებიან, გაიგებს თუ არა 5 წლის ბავშვი. ვეუბნები, რომ მოიყვანონ. ჩვენ გვაქვს საბავშვო სპექტაკლი „წიგნი“.

– 2011-13 წლებში რომელი სპექტაკლი იყო ყველაზე გაყიდვადი?

– პატარა დარბაზია. სულ 80 მაყურებელი ეტევა. ახალი დარბაზი გათვლილია 250 მაყურებელზე. და

ბუნებრივია, იქ სხვა პირობები იქნება. ტრილოგია სულ ანშლაგებით მიდის. მაგრამ ჩვენ ერთი ტრაგედია გვაქვს, აქ პირობები არ არის. ვმუშაობთ სკოლებზე, სადაც ფასს ვაგდებთ, გვაქვს ურთიერთობა ვეტერანებთან, 10-20 მოსაწვევი მაქსიმუმ იგზავნება საელჩოებში. გვაქვს ასევე საქველმოქმედო პროექტები.

– როგორ გეგმავთ გასვლებს, საერთაშორისო ურთიერთობებს და რა მეთოდებით აპირებთ თქვენი პროდუქციის გატანას?

- აუცილებელი პირობაა, რომ იქიდან მოვიდეს მოწვევა, რასაც მე უკვე მიჩვეული ვარ. ჩვენ გვიცნობენ, ეს კავშირები არსებობს. ეს ხდება სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით. მოთხოვნა იგზავნება კულტურის სამინისტროში ან მერიაში. მახარებს ის ფაქტი, რომ აქამდე არც ერთი მოწვევა არ ჩამვარდნია.

– ფიქრობთ, რომ სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები საკმარისია თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების წარმართვისათვის?

- ახლა მთელი ჩემი ყურადღება მიმართულია თეატრის აღმშენებლობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს თანხა, 300 000 ლარი საკმარისი არ არის. ეს მიზერული თანხაა. ჩვენ არა გვყავს დაცვა, კაპელდინერები, რაც იმ ახალ სივრცეში ნამდვილად დაგვჭირდება.

– როგორ ახერხებთ დამატებითი თანხების მოძიებას?

- ვაქირავებთ დარბაზს. საერთოდ, თეატრი უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ. ბიზნესმენი არ არის დაინტერესებული და არ უნდა კულტურაში ფულის ჩადება. სახელმწიფომ გაიღო თანხები და სახელმწიფომ მიხედა ბოლომდე ჩემს თეატრს. მე ვერ გეტყვით, დაინტერესდება თუ არა ვინმე, მაგრამ გარანტი მაინც უნდა იყოს სახელმწიფო.

– პირადად თქვენთვის რას ნიშნავს სპონსორობა, ეს არის კომპანიებთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა თუ უბრალოდ ფულის შოვნის საშუალება ან ორივე ერთად?

- სპონსორი არის თეატრის გადარჩენის ერთ-ერთი ფაქტორი. ვთქვათ, რაღაც მოხდა, სახელმწიფომ ვერ დაგაფინანსა, სპონსორი აუცილებლად გვერდით უნდა იყოს, ანუ ის აღიქმება როგორც ხანგრძლივი პარტნიორი. ჩვენ მსგავსი პარტნიორული ურთიერთობა არასდროს არ გვქონია. სახელმწიფომ უნდა იცოდეს, ვინ და რა უნდა შეინახოს. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს ოპერა, დრამა, მუსკომედია, პანტომიმა, ცეკვა, სიმღერა. დანარჩენი, ვის დაეხმარება, ეს მისი გადასაწყვეტია.

თავისუფალი თეატრი

მოკლე ისტორია

თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს. „თავისუფალ თეატრს“ 2013 წლის 31 მარტს 12 წელი შეუსრულდება, ეს ბევრიცაა და ცოტაც. დღიდან დაარსებისა ‘‘თავისუფალი თეატრი‘‘ ინარჩუნებს ქართველი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი თეატრის სტატუსს, მისი სპექტაკლები არავის ტოვებენ გულგრილს.

„თავისუფალი თეატრი‘‘ პოპულარულია არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა ქალაქში, საკმარისია, ნებისმიერ ქალაქში დაკიდო ერთი აფიშა, რომელიც იუწყება, რომ აქ მალე გამართავს წარმოდგენას ‘‘თავისუფალი თეატრი‘‘ და ბილეთები უმალვე ქრება სალაროებიდან. „თავისუფალი თეატრი‘‘ უყვარს მაყურებელს, რადგან მის სპექტაკლებში ქართველი ახალგაზრდობა მუდამ ხედავს თავის სათქმელს.

„თავისუფალი თეატრი‘‘ მდებარეობს მეტრო „თავისუფლების მოედნის‘‘ უკან, სახელმწიფო კანცელარიისაკენ მიმავალ კიბეებთან. შენობას აქვს გემის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს ფორმა. (არქიტექტორი პაატა ჭავჭანიძე). თეატრს არ აფინანსებს სახელმწიფო, ის კერძოა და ეკუთვნის რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს.

„თავისუფალმა თეატრმა‘‘ მოახერხა და პირველივე სპექტაკლებიდანვე („კომედიანტები‘‘, „ჯინსების თაობა‘‘, „პროვოკაცია‘‘ და სხვ.) ჩამოყალიბდა როგორც სოციალურ - პოლიტიკური თეატრი და ქართველმა ახალგაზრდობამ შეიყვარა ის თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის გამო, იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი ქართული თეატრი, რომელიც თავის სპექტაკლებში ღიად დაუპირისპირდა იმდროინდელ ჩამყაყებულ იდეოლოგიას და სწორედ ამიტომ „თავისუფალი თეატრი‘‘ არა ერთხელ გახდა ხელისუფლების მხრიდან თავდასხმის ობიექტი, 2002 წლის თებერვალში პრეზიდენტ ე.შევარდნაძის ხელმძღვანელობით მთავრობის სპეციალური სხდომაც კი მიეძღვნა - ‘‘თავისუფალი თეატრის‘‘ დახურვის საკითხს. მაგრამ ქართველ ახალგაზრდებში მღელვარების გამოწვევის შიშით საკითხი გადაიდო.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ცხოვრობს თვითდაფინანსებით, მას უკვე ჰყავს თავისი დასი და ამის გარდა მუდმივად ასაქმებს 50-მდე მსახიობს. საზოგადოება უკვე იცნობს „თავისუფალი თეატრის‘‘ სახეებს: აპოლონ კუბლაშვილს, კახა მიქიაშვილს, მარიამ ჯოლოგუას, ბუბა გოგორიშვილს, კახა მიქიაშვილს, თიკო კორძაძეს, ჯაბა კილაძეს, სლავა ნათენაძეს, გოგა ბარბაქაძეს, მაია დობორჯგინიძეს, მამუკა მუმლაძეს, ქეთა ლორთქიფანიძეს, მიხეილ არჯევანიძეს, სანდრო მარგალიტაშვილს, თამუნა ნიკოლაძეს, გიორგი ჯიქიას, ვანო ქურასბედიანს, მარიამ ნადირაძეს, სალომე ჭულუხაძეს და სხვ. ამ თეატრის სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ და თამაშობენ ქართული თეატრის ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც არიან: გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, მარინე ჯანაშია, ირინა მეღვინეთუხუცესი, რამაზ იოსელიანი, დიმა ჯაიანი, ევა ხუტუნაშვილი, ვანო იანტბელიძე და სხვ. „თავისუფალ თეატრმა‘‘ ამ ათი წლის განმავლობაში ბევრ სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც ნახა, სწორედ „თავისუფალი თეატრის‘‘ სცენაზე დაიბადა და ცხრა წლის მანძილზე ამ თეატრის ნომერ პირველი ვარსკლავი იყო არაჩვეულებრივი მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური. ‘‘თავისუფალის‘‘ სცენაზე ითამაშა თავისი ბოლო როლები შესანიშნავმა მსახიობმა მიშა ჯოჯუამ.

„თავისუფალი თეატრის‘‘ სპექტაკლებს, დღიდან დაარსებისა, ყოველთვის ჰყავს მაყურებელი, ის ორშაბათის გარდა თითქმის ყოველდღე თამაშობს სპექტაკლებს. „თავისუფალი თეატრი‘‘ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული თეატრია, ის ალბათ ერთადერთი თეატრია, სადაც სპექტაკლებამდე ორი სამი კვირით ადრე იყიდება ბილეთები. „თავისუფალმა თეატრმა‘‘ სპექტაკლები უჩვენა საქართველოს ყველა კუთხეში,ის იყო პირველი თეატრი, რომელმაც მოახერხა და 2004 წელს უჩვენა სპექტაკლები მაყურებელს კონფლიქტის ზონაში - ცხინვალის რეგიონში. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ „თავისუფალი თეატრის‘‘ მსახიობებით დაკომპლექტდა ყველაზე პოპულარული ტელე სერიალები - „შუა ქალაქი‘‘ და „გოგონა გარეუბნიდან‘‘. არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ ‘‘თავისუფალი თეატრის‘‘ ბაზაზე შეიქმნა კინოსტუდია, სადაც გადაიღეს ისეთი მხატვრული ფილმები, როგორებიცაა: „იდიოტოკრატია‘‘, „ყველაფერი კარგად იქნება‘‘. „მიდი ძმაო, მიდი,‘‘ „იისპაჰან - ბათუმი‘‘. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს დღესაც არ აფინანსებს სახელმწიფო, თეატრი მადლიერია ქალაქ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის, რადგან რამოდენიმეჯერ მიიღო მათგან სპექტაკლების ერთჯერადი დაფინანსება და საგასტროლო გრანტები. 2012 წლიდან ‘‘თავისუფალი თეატრის‘‘ მსახიობები ღებულობენ ფინანსურ დახმარებას ფონდ „ქართუდან”. მრავალფეროვანია და შთამბეჭდავია „თავისუფალი თეატრის‘‘ საგასტროლო - საფესტივალო რუკა, ის არა ერთხელ იყო ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი, ფინეთი - ეს ის ქვეყნებია, სადაც „თავისუფალმა თეატრმა‘‘ წარმოადგინა თავისი სპექტაკლები და მიიღო იქ ყველაზე მაღალი შეფასებები. ბოლო წლებში დადგმულმა სპექტაკლებმა: „ძმები‘‘, ‘‘იდიოტოკრატია‘‘, „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები‘‘, „კავკასიური ცარცის წრე‘‘, „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ‘‘, „მშვენიერი ქართველი ქალი‘‘, „მექანიკური ფორთოხალი‘‘, „ვალსი ძილის წინ‘‘ - ერთი ორად გაზარდა თეატრის პოპულარობა და ჩააყენეს ის არა მარტო ქართული, არამედ ევროპის საუკეთესო თეატრების რიგში. „თავისუფალი თეატრი‘‘ კვლავაც ერთგულია იმ დევიზისა, რომლის დეკლარირება 12 წლის წინ მოახდინა: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს‘‘.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ
თეატრის დასახელება - „თავისუფალი თეატრი“
დაარსების თარიღი - 2001 წ.
თეატრის იურიდიული სტატუსი - არასახელმწიფო თეატრი
დაქვემდებარება - შემოქმედებითი კავშირი „თბილისის თეატრალური ცენტრი“
თეატრის ხელმძღვანელი პირები ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
თეატრის ელ ფოსტა - varsi@mail.ru
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - varsi@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - www.theatre.ge
თეატრის მისამართი - თბილისი, რუსთაველის პრ.2

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა 25
შემოქმედებითი პერსონალი –
ტექნიკური პერსონალი 14
ადმინისტრაცია 2

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 77 870 ლარი
2012 წელი – 68 682 ლარი
2013 წელი – 159 937 ლარი

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი– 310
2012 წელი – 280
2013 წელი – 327

ბილეთის ფასი და ტარიფები - 6–9–12–15 ლარი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 5 000 – 10 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 1000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 3 000 –5 000 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი: უმაღლესი - 300; უმდაბლესი – 600
გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით: 2013 წ. - 9-ჯერ
ქვეყნის გარეთ: 2013 წ. - 7-ჯერ
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა ?
ქვეყნის შიგნით: 3 – 5 000
ქვეყნის გარეთ: 12 – 23 000
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 21 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 56 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? – სლავა ნათენაძემ „რიჩარდ მესამეში“, კარდინალის როლი.

2010-2013 წლების რეპერტუარი

„გუშინდელნი“
შალვა დადიანის ნაწარმოების მიხედვით
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
მონაწილეობენ: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის (გიორგი შლუტაშვილის სახელოსნო) სტუდენტები

„თაფლობის თვე“
პიესის ავტორი: გაბრიელ ბარილი
რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე
მხატვარი: ნატა კობახიძე
მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი
პრემიერა: 2010 წ. 19 დეკემბერი

„ბრემენელი მუსიკოსები“
ძმები გრიმების ზღაპრისის მიხედვით
რეჟისორი: ვახო ნიკოლავა
მხატვარი: ნატა კობახიძე
მონაწილეობენ: ანა არუთინიანი, ნინო მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ვანო ქურასბედიანი, ვასილ გაბაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი
პრემიერა: 2010 წ. 26 დეკემბერი

„მშვენიერი ქართველი ქალი“
პიესის ავტორი: კარლო გოლდონი
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი: მირიან შველიძე
კომპოზიტორი: ვახტანგ კახიძე
მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე
პრემიერა: 2011 წ. 14 იანვარი

„სამი და“
პიესის ავტორი: ანტონ ჩეხოვი
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
მონაწილეობენ: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის (სანდრო მრევლიშვილის სახელოსნო) სტუდენტები
პრემიერა: 2011 წ. 1 მარტი

„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“
თამარ ფხაკაძის ნაწარმოების მიხედვით
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი: თამარ მაჭარაშვილი
მონაწილეობენ: სანდრო მარგალიტაშვილი, ანი ალადაშვილი, ვანო ქურასბედიანი, გიორგი ჯიქია
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2011 წ. 16 მარტი

„თოჯინების სახლი“
პიესის ავტორი: ჰენრიკ იბსენი
რეჟისორი: ვანო ხუციშვილი
მხატვარი: თეო კუხიანიძე
მუს. გაფორმება: გიორგი ჯიქია
მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი
პრემიერა: 2011 წ. 26 მაისი

„მგზნებარე შეყვარებული“
პიესის ავტორი: ნილ საიმონი
რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი
მუს. გაფორმება: თიკო ქათამაშვილი
მონაწილეობენ: სანდრო მარგალიტაშვილი, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე
პრემიერა: 2011 წ. 30 ივნისი

„მოჩვენებანი“
პიესის ავტორი: ჰენრიკ იბსენი
რეჟისორი: დავით დანელია
მხატვარი: ნინო ადამაშვილი
მონაწილეობენ:თამუნა ადამია, მამუკა მუმლაძე, ბესო მეგრელიშვილი, ნათია კვაშალი, ანდრო ბარათაშვილი
პრემიერა: 2011 წ. 23 ნოემბერი

„მექანიკური ფორთოხალი“
ე. ბერჯერსის რომანის მიხედვით
პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი: მირიან შველიძე
კოსტ. მხატვარი: ნათია ფრუიძე

მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სლავა ნათენაძე, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2011 წ. 21 დეკემბერი

„ხვალ შობაა“
პიესის ავტორი: ქეთი პატარაია
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
მხატვარი: ვანო ხუციშვილი
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გიორგი შანიძე, გუგა კახიანი, ანა ნიკოლაშვილი, კახა შარტავა
პრემიერა: 2012 წ 7 იანვარი

„ფსიქოტროპი“
პიესის ავტორი: ნინო სადღობელაშვილი
რეჟისორი: ვანო ხუციშვილი
მხატვარი: თეო კუხიანიძე
მონაწილეობენ: ელდინო საღარაძე და ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა საასახლის თეატრალური სტუდია ‘‘ცეტები‘‘-ს წევრები
პრემიერა: 2012 წ. 19 მარტი

„რვა მოსიყვარულე ქალი“
პიესის ავტორი: რობერტ ტომა
რეჟისორი: მაია ჩართოლანი
მხატვარი: გიორგი ხორავა
კოსტიუმების მხატვარი: მანანა კობახიძე
ქორეოგრაფი: მარიამ ნადირაძე
მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე, ანა მღებრიშვილი
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2012 წ. 17 აპრილი

„საძაღლე“
პიესის ავტორი: ნინო სადღობელაშვილი
რეჟისორო: ვანო ხუციშვილი
მხატვარი: თეო კუხიანიძე
მონაწილეობს: სლავა ნათენაძე
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2012 წ 26 მაისი

„ვიზიტი ფსიქოლოგთან“
იანუშ გლოვაცკის და ველენტინ კრასნოგოროვის პიესის მიხედვით
რეჟისორი: ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი
მონაწილეობენ:
ფსიქოლოგი - მაია ხორნაული
პაციენტები - გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულიხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე
პრემიერა: 2012 წ. 1 ივნისი

„წვიმის გამყიდველი“
პიესის ავტორი: რ. ნეში
რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე
მხატვარი: ჯეირან ფაჩუაშვილი
მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2012 წ 15 სექტემბერი

„მერე რა რომ სველია სველი იასამანი“
პიესის ავტორი: ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი: გოგი თოდაძე

მხატვარი: სოფიკო კიკაბიძე
მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, გიორგი ცერცვაძე, დავით კოლელიშვილი, კონსტანტინე მაჩიტიძე, მარიამ ქარქაშაძე
პრემიერა: 2012 წ 6 ოქტომბერი

„თამაშით შეპყრობილი“
პიესის ავტორი: ნონა კუპრეიშვილი
რეჟისორი: თინათინ ჭაბუკიანი
კომპოზიტორი: ეკა ჭაბაშვილი
მხატვარი: თამარ მაჭარაშვილი
მონაწილეობენ: თენგიზ წულაია, მაია ლომიძე, თემურ ხუციშვილი
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2012 წ. 3 დეკემბერი

„ვალსი ძილის წინ“
პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
მხატვარი: მირიან შველიძე
კოსტიუმების მხატვარი:ნატა კობახიძე
ქორეოგრაფი: გია მარღანია
გრიმი: ანა მურვანიძე
ლოტბარი: სალომე მაკარიძე
მონაწილეობენ:მარიამ ჯოლოგუა, ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, კახა მოქიაშვილი, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2013 წ. 17 იანვარი

„სათამაშო პისტოლეტი“
პიესის ავტორი: თამარ ბართაია
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი: მირიან შველიძე
კომპოზიტორი: ლექსო ტურაშვილი
როლებში:ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე
პრემიერა: 2013 წლის 8 თებერვალი

„ძვირფასი პამელა“
პიესის ავტორი: ჯონ პატრიკი
რეჟისორი: კოტე აბაშიძე
მხატვარი: მაია სხირტლაძე
მონაწილეობენ: რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, ქეთი ასათიანი, კოტე როინიშვილი, თემურ გვალია
სპექტაკლი დაიდგა ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით
პრემიერა: 2013 წ. 27 სექტემბერი

„რიჩარდ III“
პიესის ავტორი: უილიამ შექსპირი
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
მხატვარი: მირიან შველიძე
კოსტიუმის მხატ: ნატალია კობახიძე
ქორეოგრაფი: გია მარღანია
მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თიკო კორძაძე, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, კახა მიქიაშვილი, კახა გოგიძე, გიორგი ჯიქია, სლავა ნათენაძე, სალომე ჭულუხაძე,მამუკა მუმლაძე, დიმა მერაბიშვილი, ლაშა გურგრნიძე, შაკო მირიანაშვილი
პრემიერა 2014 წ. 23 იანვარი

„ჯულიეტა, ჯულიეტა“
პიესის ავტორი და რეჟისორი: იარი იუუტინენი
მხატვარი: იარი იუუტინენი, ლიისა სოფია პონტინენ
მონო სპექტაკლი ანი ალადაშვილის მონაწილეობით
პრემიერა 2014 წ. 20 მარტი

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - 20 კვ.მ
საგამოფენო სივრცე – 90 კვ.მ
საკონფერენციო დარბაზი – იგივე სივრცე
ბუფეტი – 60 კვ.მ
წიგნის მაღაზია – 12 კვ.მ
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის

ტექნიკური აღჭურვა
განათება – თანამედროვე უმაღლესი სტანდარტი
გახმოვანება –თანამედროვე უმაღლესი სტანდარტი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა
პარტერში – 100 ადგილი
იარუსზე – 20 ადგილი

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე - 6.50
სცენის სიგანე - 11
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 14
შტანგეტების რაოდენობა - 3
სოფიტების რაოდენობა - 2

საუბარი თეატრის დამაარსებელთან და სამხატვრო ხელმძღვანელთან ავთანდილ ვარსიმაშვილთან

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა - არა. საქართველოში სპონსორობის კულტურა არ არსებობს. და, როგორც ვიცი, ისტორიის მიხედვით, არც არასოდეს არ არსებობდა.

- თქვენ ის რეჟისორი ბრძანდებით, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია ორგანიზება, კომუნიკაცია ბიზნეს სექტორთან, კერძო თეატრი გაქვთ, რომელიც ამდენი წელია ფუნქციონირებს და კრიზისი არასდროს არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს გარედან.

- იცით, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სპონსორობაზე, ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობთ სპონსორობის ინსტიტუტზე საერთოდ და არა რაღაცა ლოკალურ, კონკრეტულ შემთხვევებზე, როდესაც მიხვალ და მეგობარს სთხოვ, რომ დაგეხმაროს. საერთო ჯამში ეს ინსტიტუტი არ არსებობს, იმიტომ რომ ბიზნესი არ არის დაინტერესებული სპონსორობით კულტურაში. მას არ აქვს ამისთვის საკანონმდებლო ბაზა. ამიტომ ხანდახან ის იღებს მონაწილეობას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უბრალოდ უნდა ამა თუ იმ კონკრეტულ კულტურულ პროექტთან იყოს გაიგივებული მისი სახელი და არა იმიტომ, რომ მას დაეხმაროს.

- აქვს თუ არა თავისუფალ თეატრს სასპონსორო შეთავაზებების პაკეტი?

- დიახ. ჩვენ ძალიან ბევრ ბანკს ვთავაზობდით. ამ პაკეტში იყო ჩამონაწერი, რომ ყველა ბილეთზე, აფიშაზე იქნებოდა მათი სახელი, დავარიგებდით ბუკლეტებს, გამოვაცხადებდით სპექტაკლის დაწყების წინ ან ანტრაქტზე და გადავუხდიდით მადლობას. მოკლედ, მთელი ის ჩამონათვალი, რაც მთელ ნორმალურ ბიზნესპაკეტებშია ჩადებული, მაგრამ არ მოდიან ამაზე. რატომღაც ქართული ბიზნესი თვლის, რომ თეატრში ფული არ უნდა ჩადოს, რადგან ცოტა მაყურებელი დადის და სწორედ ამ მიზნით და არა იმიტომ, რომ მას თეატრი არ უყვარს. ისინი თვლიან, რომ დავუშვათ, რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრებში, სადაც ბევრი მაყურებელი დადის, ეს კიდევ შესაძლებელია. ჩვენს შემთხვევაში თვლიან, რომ 100-კაციანი დარბაზია გავსებული. დავუშვათ, მთელი კვირის მანძილზე 700 კაცი მოდის, ეს გადამრავლებული 4-ზე, არ უღირთ. ის მომენტი, რაც დავუშვათ დასავლეთის ქვეყნის ბიზნესს აქვს, სადაც კანონმდებლობაც ეხმარება და დამატებით მას უნდა, რომ იყოს ელიტარულ ხელოვნებასთან გაიგივებული, სამწუხაროდ, ჩვენს ბიზნესს არ აქვს. უფრო მეტიც, ჩემთვის უთქვამთ, საერთოდ არ მინდა, თუ გინდა გაჩუქებთ ამ ფულს და არ მჭირდება რეკლამა, ნუ, რა რეკლამა უნდა მომიტანოს ამან. მას ურჩევნია, რომ დავუშვათ, იუმორინაში ან სატელევიზიო გადაცემებში ჩადოს თანხები, რომელსაც მასობრივად უყურებს, სამწუხაროდ, ვიმეორებ, უყურებს მაყურებელი, ვიდრე სერიოზულ ხელოვნებაში, სადაც თავისთავად ვერ იქნება ბევრი მაყურებელი.

- თქვენი აზრით, სპონსორთან ურთიერთობა ეს არის ერთჯერადი თუ რაღაცა ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა?

- სასურველია, რომ ეს იყოს ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში, ეს ერთჯერადი პარტნიორობა არ ამართლებს ხოლმე.

– ბოლო სამი წლის განმავლობაში თავისუფალ თეატრს თუ ჰყავდა პარტნიორი ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე არა მხოლოდ დამფინანსებლის რანგში?

- რა პარადოქსულიც და ამავე დროს სასიხარულოც არ უნდა იყოს, თავისუფალი თეატრის შემთხვევაში ძალიან ხშირად სპონსორად გვევლინება სახელმწიფო. რა თქმა უნდა, მე იგნორირებას ვერ გავუკეთებ ფონდ „ქართუს“ მონაწილეობას, პირიქით, ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ „ქართუსი“, რომელიც ბოლო სამი წელია გვეხმარება ფინანსურად, მაგრამ ეს არ არის სპონსორობა, ეს ქველმოქმედებაა. ჩვენ ხშირად ვურევთ ერთმანეთში ქველმოქმედებასა და სპონსორობას. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა ფონდს. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, დამფინანსებლად გვევლინება სახელმწიფო, სამინისტრო ან ქალაქის მერია.

– არის თუ არა თავისუფალი თეატრი ძლიერი პარტნიორი და რა ბერკეტები აქვს იმისათვის, რომ ბიზნესისთვის იყოს საინტერესო?

- საქმე იმაშია, რომ, სამწუხაროდ, ეს უმრავლესობისათვის არ არის საინტერესო. იმიტომ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია რაოდენობა ხალხის და არა ხარისხი. მას ურჩევნია ფილარმონიაში გაკეთებული აქცია დააფინანსოს, სადაც 2000 კაცი ეტევა, ვიდრე 100-კაციანი დარბაზი. ისინი ასე თვლიან, სამწუხაროდ. თორემ თავისუფალი თეატრი ნორმალურ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, იქნებოდა ძალიან სერიოზული პარტნიორი და რატომ იცით? იმიტომ, რომ ჩვენთან მოდის ინტელექტუალი თინეიჯერი. რეალურად ეს იყო, არის და მუდამ იქნება ყოველთვის ქვეყნის მომავალი. ამიტომ შენ თუ გინდა, რომ ქვეყნის ნამდვილ მომავალზე იქონიო შენი გავლენა და სახელი, უნდა იყო იმ ორგანიზაციის მხარეზე, ვინც იკრებს ამ ინტელექტუალურ ახალგაზრდობას. მე ვამაყობ, რომ ჩვენ ინტელექტუალური ახალგაზრდობა გვყავს მაყურებლად და არა, დავუშვათ, ის ადამიანები, რომელთაც საერთოდ არ აინტერესებთ ხელოვნება. და თუ ბიზნესს უნდა, რომ ამ ახალგაზრდებთან ჰქონდეს საქმე, მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, მათთვის ვართ კარგი პარტნიორები. მაგრამ თუ მას უნდა ისეთი მასა ხალხისა, რომელიც მხოლოდ რაოდენობაში აისახება და თან ისეთი მასა, რომელიც შორს არის სოციალური, კულტურული პრობლემებისაგან, მაშინ წავიდეს და ის დააფინანსოს.

– თქვენ ახსენეთ თავისუფალი თეატრის მაყურებლის სეგმენტი. მაგრამ კიდევ უფრო რომ გავშალოთ, რა სეგმენტი და რა ასაკობრივი ზღვარია?

- მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან ძირითადი 50% თუ არა, 60% - ეს არის 17-დან 30 წლამდე არა უბრალოდ სტუდენტობა, არამედ თავისი თაობის ინტელექტუალები. გულწრფელად მახარებს, რომ ისინი არიან ნაკითხი ახალგაზრდები, ისინი, ვინც დადიან სხვა თეატრებშიც, აინტერესებთ განათლების, კულტურის სფერო, აღელვებთ სოციალური საკითხები და ჩვენზე ადრე პასუხობენ გარკვეულ კითხვებს. ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ მაინც. რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს 30 წელს გადაცილებული მაყურებელი. გააჩნია სპექტაკლებს. არის სპექტაკლები, რომლებზედაც დადის 50 წლის ხალხი და კიდევ უფრო ხანდაზმულები. მაგრამ ძირითადი მაყურებელი ეს არის, როგორც გითხარით, 16 წლიდან 30 წლამდე განათლებული ახალგაზრდობა.

– როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თავისუფალ თეატრში?

- თავიდან ჩვენ გვქონდა ძალიან დიდი სარეკლამო კამპანია, თუ გახსოვთ, „რუსთავი-2“-ზე ინტენსიურად გადიოდა თავისუფალი თეატრის რეკლამა, შემდეგ ეს პერიოდი დამთავრდა. ჩვენზე ხშირად ლაპარაკობდნენ, რომ მაყურებელი გვყავდა რეკლამის გამო, თუმცა რეკლამა მხოლოდ ინფორმაციის მიტანაა პირველ ეტაპზე, შემდეგ აღარანაირი რეკლამა არ შველის თუ შენი სპექტაკლი არ ვარგა. შეიძლება პირველ ორ სპექტაკლზე გიშველოს, მე-3, მე-4 სპექტაკლზე აღარ გიშველის. ეს პერიოდი დამთავრდა და ჩვენ გადავერთეთ ჩვეულებრივ სარეკლამო რეჟიმში - ეს არის აფიშები, რომელსაც არ მოაქვს დიდი შედეგი. ეს რეალურად მხოლოდ იმისთვის არის, რომ დაფიქსირდეს, რას აკეთებს თეატრი. ძირითადი სარეკლამო კამპანია მიდის ფეისბუქის მეშვეობით, იმიტომ რომ დღეს სოციალურმა ქსელმა დიდი ცვლილებები მოიტანა და მაყურებელთან ყველაზე კარგი საკომუნიკაციო საშუალებაა. ამიტომ ჩვენ გვაქვს შექმნილი თეატრის გვერდი, თითოეულ სპექტაკლს კიდევ ცალ-ცალკე გვერდები აქვს გახსნილი და აქტიურად ვცდილობთ მოვიზიდოთ მაყურებელი. გარდა ამისა, ჩვენ უკვე გვყავს ჩვენი მაყურებელი, რომელსაც ვუყვარვართ. ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი. წლები დაგვჭირდა იმისათვის, რომ ჩვენი მაყურებელი გვყოლოდა და ეს მაყურებელი დადის. მათ მოჰყავთ თავიანთი მეგობრები, თავიანთი ნაცნობები.

– როგორ ფიქრობთ, თეატრმა როგორ უნდა მოიძიოს დამატებითი თანხები, - ბიზნესს არ აინტერესებს ,ძალიან ძნელია თეატრში ფულის ჩადება, სახელმწიფოს არ შეუძლია იმაზე მეტი, რითაც ეხმარება. თქვენი აზრით, რა ალტერნატივა არსებობს, საკანონმდებლო დონეზე ხომ არ უნდა მოხდეს დარეგულირება?

- საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს აუცილებლად. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ვერ ვეღირსეთ კანონს სპონსორობის და ქველმოქმედების შესახებ. ეს კანონები სულ არის რაღაც პროექტის დონეზე, იმის იქით არ მიდის. ვფიქრობ, ეს უნდა მოხდეს აუცილებლად ნაციონალური ლატარეის ხარჯზე. 90-იანი წლებიდან დაწყებული იმდენად აქტიურად ვსაუბრობდი ამ თემაზე, რომ ჩემს სიცოცხლესაც კი შეექმნა საფრთხე. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სახელმწიფო ნაციონალურ ლატარეას ყოველთვის აკონტროლებდნენ კრიმინალები. ისევე როგორც ჩვენი ბოლო ლატარეა, იმავე კეზერაშვილის ხელში აღმოჩნდა. მთელ მსოფლიოში კულტურა და სამოყვარულო სპორტი ნაციონალურ ლატარეაზე დგას. აი, ამ თვალსაზრისით უნდა შეიცვალოს უამრავი რამ ჩვენს ქვეყანაში. საკანონმდებლო დონეზე ბიზნესს უნდა ჰქონდეს გარკვეული შეღავათი, თუკი ის ასპონსორებს კულტურას. რა თქმა უნდა, ესეც ფაქიზად არის გასაკეთებელი. ეს ერთი სტატიის თემა არ არის. ამაზე ცალკე უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ. მთავარი, რისიც ეშინია ჩვენ სახელმწიფოს და ყოველთვის რისიც ეშინოდა, არის ის, რომ

კანონი სპონსორობის შესახებ ბოროტად არ იქნას გამოყენებული ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ და ამის გამო არ ღებულობენ კანონს. ეშინიათ, რომ ვიღაც N კულტურულ ობიექტს მოიფიქრებს ბიზნესი და იმ N კულტურულს ჩაურიცხავს და სახელმწიფოს - არა. მაგრამ ამას სჭირდება ძალიან სერიოზული მუშაობა და ელემენტარულად იმ მაგალითების აღება, რაც გვაქვს ევროპაში. ერთნიშნად შემიძლია ვთქვა, რომ პირველ რიგში, უნდა მოხდეს კანონმდებლობის დარეგულირება. ისე ვესაუბრებოდი ერთ ყოფილ მინისტრს ამაზე და ისიც დამეთანხმა, რომ აბსოლუტური მითოლოგიაა, რომ საზღვარგარეთ სახელმწიფო არ აფინანსებს თეატრებს, ვერ ვხვდები, ეს ვინ იდიოტმა თქვა თავის დროზე ამ ქვეყანაში და მერე რატომ დაიწყეს ამის გამეორება ჩინოვნიკებმა. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში კულტურის 100% ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ჩვენ ხშირად ვურევთ დასავლეთის ცნებას და გვგონია, რომ, სიტყვაზე, ამერიკის მაგალითი ჩვენ გამოგვადგება. დიახ, აშშ-ში ძალიან ცოტა თეატრს აფინანსებს სახელმწიფო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ იქ დღემდე არ არის განვითარებული დრამატული თეატრი და რატომ მოგვყავს ამერიკის მაგალითი. ან რატომ არ მოგვყავს საფრანგეთის, ინგლისის ან გერმანიის მაგალითი, სადაც ყველა თეატრი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. როდესაც ჩვენ ამერიკულ თეატრზე ვსაუბრობთ, ჩვენ გვავიწყდება ის, რომ ამერიკაში არის 5000-მდე ფონდი, რომელიც აფინანსებს კულტურას. მოდი, ჩვენ ერთი ფონდი მაინც შევქმნათ საქართველოში, რომელიც დააფინანსებს კულტურას და მერე ვისაუბროთ.

- როგორია თავისუფალი თეატრის საერთაშორისო ურთიერთობები. დამოუკიდებელ თეატრებს შორის მას უკვე რამდენი წელია ლიდერის პოზიცია უკავია ამ კუთხით.

- თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, არა მარტო დამოუკიდებელ თეატრებს შორის. საერთო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ჩვენ და მუსკომედია გავედით შვიდ-შვიდჯერ. ჩვენ მართლა ძალიან ბევრი მოწვევა გვაქვს და ეს არ არის უცხო. აი ორი წუთის წინ, სანამ თქვენ ამოხვიდოდით, მე ვესაუბრებოდი ჩილეს ფესტივალის ორგანიზატორებს. ჩვენი მთავარი პრობლემაა ფინანსები, თუ სახელმწიფო თეატრს აქვს იმის საშუალება, რომ გამოიყენოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ჩვენ ეს არ გაგვაჩნია. ანუ ვგულისხმობ, როდესაც გაქვს 700-კაციანი დარბაზი, როგორც დავუშვათ რუსთაველის თეატრს, შემოსავალი გაქვს გარანტირებული, იგივე სახელმწიფო შენ გიხდის ხელფასის, სადადგმოს, კომუნალურის ფულს და დამატებით შემოსავალი გაქვს, შენ შეგიძლია უამრავი გასტროლი დაგეგმო. სახელმწიფო ამ მხრივ დიდი დახმარებას უწევს თეატრებს.

- კულტურის სამინისტროს აქვს თანხები. თუ საზღვარგარეთ მიდის თეატრი, აფინანსებს?

- სამინისტროს ყოველთვის არ აქვს ამის საშუალება. თან გასაგები მიზეზების გამო კულტურის სამინისტროს პრიორიტეტში შედის სახელმწიფო თეატრები. მაგალითად, წელს ძალიან დაგვეხმარნენ. მე მათი მადლობელი ვარ და მიხარია. მაგრამ მახსოვს, როდესაც ჩვენ ნიუ-იორკში მივდიოდით, კულტურის სამინისტრომ ფული არ მოგვცა. მან პირდაპირ გვითხრა, რომ ვერ მოგვცემდა ფულს, ვინაიდან ჩვენ სახელმწიფო თეატრი არ ვართ. ამ დროს ეს იქნებოდა პირველი თეატრი, რომელიც ბროდვეიზე გამოვიდოდა. ჩვენ აფიშები უკვე გამოკრული გვქონდა ბროდვეიზე.

- და როგორ ამყარებთ ამ საერთაშორისო თეატრალურ ურთიერთობებს. ეს თქვენი პირადი კონტაქტებია, თუ პროდუქციაა ისეთი, რომ თქვენი ფაქტორი დიდ როლს არ თამაშობს?

- ერთიც და მეორეც. მარტო პირადი კონტაქტებით შეიძლება გამოვიდეს ერთხელ ან ორჯერ. მერე თუ არ დაინტერესდება, არავინ იზარალებს, როგორი მეგობარიც არ უნდა იყოს. როგორც გითხარით, ახლა ჩილეს ფესტივალთან ვთანამშრომლობ. რა მეგობარი უნდა იყოს, რომ ამხელა ხარჯი გაწიოს. თქვენ იზამდით ამას?!

- არა. ჩილეში მგონი არც ყოფილა ქართული თეატრი...

- არასდროს არ ყოფილა და ძალიან მონდომებული ვარ, რომ წავიდეთ იქ.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში რას გამოყოფთ თავისუფალი თეატრის შემოქმედებითი წარმატებიდან?

- მაინც მგონია, რომ „რიჩარდ მესამე". თუმცა, წინა სპექტაკლებს თუ განვიხილავთ, „ვალსი ძილის წინ" და „მექანიკური ფორთოხალი", ასევე წარმატებული სპექტაკლებია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე, ორ წელიწადზე მეტია, „მექანიკურ ფორთოხალზე" სრული ანშლაგი გვაქვს და წარმოუდგენელია მასზე მოხვედრა. „ვალსს" სანამ გავაჩერებდი, არ მომიხსნია, ასევე სრული ანშლაგები გვქონდა. გავაჩერეთ იმიტომ, რომ ჯერ ერთი ქალი დაორსულდა, მერე - მეორე. გადავირიე უკვე. მარიამ ჯოლოგუამ გააჩინა და ვიფიქრეთ, დავიწყებთ სექტემბერში და მაია დობორჯგინიძე დაორსულდა. შეცვლით არ ვცვლი იმიტომ, რომ გახსოვთ ალბათ, იქ პირდაპირ მათთვის არის დაწერილი. ამიტომ მენანება მათი შეცვლა. ახლა ვუცდით მაიას. მაგრამ იმის გამო, რომ ეს პერსონაჟები არიან 80 წლისანი, იმედი მაქვს, რომ დადგება პერიოდი, როდესაც ჩვენ ამას ვითამაშებთ.

- როგორ იკრიბება თავისუფალი თეატრის დასი ანუ როგორ არჩევთ მსახიობებს?

- დასი უკვე სამი წელია შემდგარია. იმ პერიოდში, სანამ დასს შევკრებდი, ბევრი თამაშობდა ჩემს სპექტაკლებში და ვისთანაც სიახლოვე დამყარდა, სწორედ ისინი დარჩნენ, მაგრამ იმ პერიოდში ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ისინი ყოფილიყვნენ შალვა გაწერელიას მოწაფეები. მე ძალიან გამიჭირდება იმის ახსნა, რატომ მიადვილდება ურთიერთობა შალვა გაწერელიას სკოლაგავლილ მოწაფეებთან. ჩემთვის ყოველთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვისი აღზრდილები არიან მსახიობები. მე მხოლოდ ერთხელ მქონდა მსახიობების აღზრდის მცდელობა და მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ არის და მეყო იმის ძალა, მეთქვა, რომ მორჩა, მე არ ვასწავლი. ამას სხვები უკეთესად აკეთებენ. როცა ამყავდა მსახიობი, ვიცოდი, რომ მიშა თუმანიშვილის მსახიობთან კარგად ვიმუშავებდი. მერე შალვა

გაწერელიას პერიოდი დადგა. მე მგონია, რომ მათ უკეთ ესმით ჩემი, ვიდრე სხვა სკოლის წარმომადგენლებს. ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აი, რომ გადახედოთ ჩემს მსახიობებს, აღმოაჩენთ, რომ ყველა ერთი, ძირითადად, შალვას სკოლის წარმომადგენელია. ამიტომაც კარგად ესმით მათ ერთმანეთის და ასევე მეც.

- თქვენ გარდა სხვა რეჟისორებიც თუ დგამენ სპექტაკლებს თავისუფალ თეატრში. რა კრიტერიუმებით იღებთ ამ რეჟისორებს და იწონებთ მათ პროექტებს?

- აქ არის ორი მიდგომა. პირველი, ესენი არიან ჩემი მოწაფეები, რომლებიც სწავლობენ ჩემთან, ამთავრებენ და ჩემი ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ, დგამენ. ახლა სრულიად ახალი გამოშვება წამოვა. ისინი უკვე მე-2 კურსზე არიან და იმედი მაქვს, რომ იმ 6 ახალგაზრდიდან სამი მაინც თავის სიტყვას იტყვის თეატრში. მოგეხსენებათ, ვანო ხუციშვილი უკვე შტატშიც ავიყვანე. მეორეა, როდესაც მოდის ახალგაზრდა და მოაქვს საინტერესო პროექტი. და უცებ ინტუიციურად ვხვდები, რა შეიძლება იყოს საინტერესო და რა არა. ხანდახან, თვითონ მერია მირეკავს და მთხოვს, რომ ვიღაცა N-ს დავადგმევინო, იმიტომ რომ პროექტი შეიტანა დაფინანსებაზე და სჭირდება ჩვენი თეატრის მოედანი. ამ შემთხვევაში მე ვთანხმდები მარტივი მიზეზის გამო, მაყურებელი თვითონ განსაზღვრავს, ღირებულია თუ არა ეს სპექტაკლი. ძალიან წყნარად მომიხსნია ჩემი სპექტაკლები, „ჯინსების თაობა“ უკვე მე-14 წელია გადის და არანაირი „შურის“ გრძნობა არ მაქვს. სანამ ჰყავს მაყურებელი, უნდა იყოს რეპერტუარში.

- შესაძლებელია თუ არა დასის განახლება და რამდენ წელში შეიძლება მოხდეს ეს თავისუფალ თეატრში?

- გეტყვით, რომ უკვე წელს დაიწყო. ჩემი ვარაუდით, ალბათ ერთ თვეში უკვე ოთხ მსახიობს გამოვცვლი.

- რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროცესი?

- ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი სისხლი ყოველთვის უნდა შემოდიოდეს და სულ ფორმაში უნდა იყვნენ ძველები, არ უნდა მოდუნდნენ. ამიტომ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რომ წელიწადში ერთხელ 4-5 ახალგაზრდას შემოვიყვანთ დასში, ხოლო 4-5 ძველგაზრდას დავემშვიდობებით. ეს მხოლოდ სასიკეთო იქნება თეატრისთვის.

- თავისუფალი თეატრი თქვენთანაც ასოცირდება და ნიკო გომელაურთანაც. მისი გარდაცვალების შემდეგ, რა თქმა უნდა, პროცესი გრძელდება და თეატრი წარმატებებსაც აღწევს, მაგრამ როგორია თქვენთვის მუშაობა ამ თეატრში ნიკო გომელაურის გარეშე?

- ძალიან რთულია, ნიკო ფორმალურად არ ყოფილა ჩემი მოწაფე, მაგრამ თითქმის ყველა ჩემს სპექტაკლში აქვს ნათამაშები. ის ფაქტი, რომ 32 როლიდან 29 - ჩემთან აქვს ნათამაშები, ვფიქრობ, ძალიან ბევრზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, მე გამიჭირდა ნიკოს გარეშე მუშაობა, თუმცა ზუსტად ამან გვიჩვენა, რომ თეატრს არ დატყობია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ ვიცი, ის, რომ ნიკო არ იყო. მაყურებელი ისევ დადის, როგორც დადიოდა და თეატრსაც ჰქონდა რამოდენიმე გამარჯვება ნიკოს გარეშეც. ეს ძალიან კარგია. ასეც უნდა იყოს. გარდაიცვალა მსახიობი და ამის გამო თეატრი გაჩერდა - ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი თეატრი იყო.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა






რისთვის მიდიხართ თეატრში?
N = 302
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
21%
31%
26%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N =457
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
14%
11%
4%
13%
15%
4%
2%
2%
2%
12%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
სიუჟეტი
სამეტლეტი
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =380
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
9%
6%
27%
23%
4%
2%
17%
12%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით


რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეატრში?
N =594
25%
20%
15%
10%
5%
0%
20%
24%
23%
17%
16%
თანამედროვე უცხოური
თანამედროვე ქართული
ისტორიული
ქართული კლასიკური რეპერტუარი
უცხოური კლასიკა


რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N=300
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
19%
18%
17%
5%
8%
13%
1%
17%
2%
წაკითხული მქონდა ნაწარმოები
მინდოდა მეწახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
ნაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =449
25%
20%
15%
10%
5%
0%
20%
11%
12%
21%
19%
10%
7%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფენომენოლოგიურად ლამაზი შინაარსი
საინტერესო ამბავი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N=504
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
17%
8%
25%
18%
8%
6%
18%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N =200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 19%
კი 33%
არა 48%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N=198
მთლიანად ვენდობი 8%
საერთოდ არ ვენდობი 17%
წაწილობრივ ვენდობი 75%


უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
N=200
კი 25%
არა 75%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
N 46
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
89%
9%
0%
2%
კაფე
ღამის კლუბი
კარაოკე კლუბი
დისკოთეკა


რესპონდენტთა სქესი
N = 200
მამრობითი
36%
მდედრობითი
65%

რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	ხსენებების რაოდენობა
ავთანდილ ვარსიმაშვილი	67
რობერტ სტურუა	65
გოშა გორგოშიძე	48
თემურ ჩხეიძე	40
ლევან წულაძე	39
გიორგი თავაძე	18
დავით დოიაშვილი	11
გიზო ჟორდანია	3
ვანო ხუციშვილი	2
დავით საყვარელიძე	2
ირაკლი გოგია	2
რევაზ ჩხაიძე	2
კიტა როყვა	1
ზურა გეწაძე	1
ვახტანგ ჯუღელი	1
ქეთი დოლიძე	1
ამირან შალიკაშვილი	1
კოტე აბაშიძე	1
თორნიკე მარჯანიშვილი	1
ანდრო ენუქიძე	1
გოგი თოდაძე	1
ნუგზარ ლორთქიფანიძე	1
მაია დობორჯგინიძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	ხსენებების რაოდენობა
აპოლონ კუბლაშვილი	52
გოგა ბარბაქაძე	49
ჯაბა კილაძე	39
ია სუხიტაშვილი	20
ზურა ყიფშიძე	16
კახა მიქიაშვილი	13
მარინა კახიანი	10
მურმან ჯინორია	10
ბაჩო ჩაჩიბაია	9
გიორგი ვარდოსანიძე	9
ნიკა თავაძე	9
თათული ედიშერაშვილი	8
რუსკა მაყაშვილი	8
კახი კავსაძე	8
ქეთა ლორთქიფანიძე	7
მაია დობორჯგინიძე	7
ნანუკა ხუსკივაძე	5
მარიამ ჯოლოგუა	4
ალეკო მახარობლიშვილი	3
ანი ალადაშვილი	3

გიორგი ჯიქია	3
ლაშა გურგენიძე	3
ლევან ხურცია	3
ლელა მებურიშვილი	3
გურანდა გაბუნია	3
მიხეილ არჯევანიძე	3
ნატო მურვანიძე	3
ნინელი ჭანკვეტაძე	3
ჟანრი ლოლაშვილი	3
ნანკა კალატოზიშვილი	3
ზესო ზანგური	3
აკაკი ხიდაშელი	2
კახა ჯოხაძე	2
თამუნა ნიკოლაძე	2
გიორგი ყიფშიძე	2
ზაზა პაპუაშვილი	2
მარიამ წადირაძე	2
თორნიკე გოგრიჭიანი	2
ნიკა კუჭავა	2
ნინო კასრაძე	2
ონისე ონიანი	2
მარინე ჯანაშია	2
გიორგი ჭუმბურიძე	2
ამირან ქაჩიბაია	1
ანა მატუაშვილი	1
ანრი ბიბინეიშვილი	1
არჩილ სოლოღაშვილი	1
ბაია დვალიშვილი	1
ბესო ბარათაშვილი	1
ბექა სონღულაშვილი	1
გივი ბერიკაშვილი	1
გიორგი ბახუტაშვილი	1
გიორგი გოგუაძე	1
გიორგი ნაკაშიძე	1
დავით როინიშვილი	1
ეკა ჩხეიძე	1
ზურაბ ინგოროყვა	1
თიკო კორძაძე	1
მაია ხორნაული	1
მამუკა მუმლაძე	1
მანანა კოზაკოვა	1
მიშა გომიაშვილი	1
ნინო ბურდული	1
პაატა გულიაშვილი	1
სალომე ჭულუხაძე	1
სანდრო მარგალიტაშვილი	1
ქეთი ცხაკაია	1

სამეფო უბნის თეატრი

მოკლე ისტორია

დაწყებული 1985 წლიდან, მსახიობმა იზა გიგოშვილმა ახალი მიმართულების თეატრი შექმნა. მისი ექსპერიმენტი ჯერ სასწავლო თეატრში განხორციელდა სპექტაკლით "უკვდავების სერაფიმები", რომელიც მისმა მეუღლემ, კინორეჟისორმა მერაბ თავაძემ დადგა, შემდეგ კი რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრში "მოვედ სიყვარულისთვის" (1991) დადგმა კვლავ მერაბ თავაძეს ეკუთვნოდა. 1993 წ. იზა გიგოშვილის და მერაბ თავაძის თაოსნობით გერმანიაში განხორციელდა ქართულ-გერმანული პროექტი "ოიდიპოს მეფე" და "ოიდიპოსი კოლონოსში". პროექტი, რომელიც მთლიანად გერმანულმა მხარემ დააფინანსა, ქართველი მსახიობების 15-კაციანი დასით თბილისის სხვადასხვა თეატრიდან, ქ. ესენში "გრილო-თეატრში" განხორციელდა. სპექტაკლის რეჟისორები იყვნენ მათიას კნისბეკი, მიხეილ ზევალდი და მერაბ თავაძე.

გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ იზა გიგოშვილი, მერაბ თავაძე და ნიკა თავაძე შეუდგნენ ახალი თეატრისათვის შენობის შერჩევას და არჩევანი სწორედ იმ ნანგრევებად ქცეულ შენობაზე შეაჩერეს. შენობის აღდგენას წლები დასჭირდა. 1997 წ. 18 ივნისს პირველი სპექტაკლი ჩატარდა. მას შემდეგ სამეფო უბნის თეატრი აქტიურად ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში. თეატრმა მრავალ თეატრალურ დასს უმასპინძლა: 2002-03 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრს; 2004 წლიდან კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრს; 2005 წელს - სოხუმის კ. გამსახურდიას სახელმწიფო დრამატულ თეატრს. ამ თეატრში მუშაობდნენ და აგრძელებენ მუშაობას ქართველი თეატრის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან: თემურ ჩხეიძე,რობერტ სტურუა, გოგა თავაძე, დათო საყვარელიძე, ცოტნე ნაკაშიძე, მაკა მახარაძე, მხატვრები: მურაზ მურვანიძე, გუგა კოტეტიშვილი, ანკა კალატოზიშვილი. მსახიობები: იზა გიგოშვილი, მედეა ჩახავა, თამარ სხირტლაძე, მარლენ ეგუტია, ნატა მურვანიძე, ნინო ბურდული, ნიკა თავაძე, ზაალ ჩიქობავა, ლევან ყოჩიაშვილი, ეკა ჩხეიძე, გიორგი ნაკაშიძე, ლეო ანთაძე, მალხაზ აბულაძე და სხვ.

2004 წ. თეატრში დაარსდა შემოქმედებითი სახელოსნო ბატონ თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (2003 წლიდან) არის საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ თავაძე.

შენობის შესახებ

შენობა, რომელშიც თეატრია განთავსებული, აგებულია 1875 წელს, როგორც მცირე ზომის ქარვასლა. XIX საუკუნის ბოლოს შენობა დაიწვა. მისი აღდგენა მხოლოდ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში მოხერხდა. ძირითადი რეკონსტრუქციის შემდეგ არსებულ შენობას თითქმის ორი მესამედი მოემატა. მასში დაარსდა 1 მაისის სახელობის კლუბი, სადაც მრავალი სხვადასხვა ეროვნების სამხატვრო წრე ფუნქციონირებდა, თეატრალურის ჩათვლით. 1988 წელს სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ, თბილისის სხვა მრავალ სახლთან ერთად, მნიშვნელოვნად დააზიანა. მას შემდეგ შენობა დაცარიელდა. უპატრონოდ მდგარი ისტორიული ნაგებობა ნელ-ნელა ინგრეოდა და ნადგურდებოდა. 1991-92 წლებში უბნის ნაგავსაყრელად იქცა, შემდეგ კი მოულოდნელად გაჩენილი ხანძრისგან თითქმის დაიწვა.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სამეფო უბნის თეატრი
დაარსების წელი - 1997
თეატრის იურიდიული სტატუსი -შპს
დაქვემდებარება - 49% მუნიციპალური
თეატრის ხელმძღვანელი პირები - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: მერაბ თავაძე,
გენერალური დირექტორი ნიკა თავაძე,
თეატრის ელ ფოსტა - rd-thweatre@caucasus.net
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - ntavadze@ymail.com
ვებგვერდის მისამართი - www.rd-theatre.ge
თეატრის მისამართი - თბილისი, აბესაძის ქ.10

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 25
შემოქმედებითი პერსონალი - 8
ტექნიკური პერსონალი - 12
ადმინისტრაცია - 7

2011-2013 წლებში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი - 130
2012 წელი - 140
2013 წელი - 170

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი -11700
2012 წელი - 12 600
2013 წელი - 15 300

ბილეთის ფასი და ტარიფები - 5,7,10 ლარი, სტუდენტური 3 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 8000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 2000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - სხვადასხვა
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - სხვადასხვა
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) - დამოკიდებულია გაყიდულ ბილეთებზე

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - ბათუმი, გორი,
ქვეყნის გარეთ - შვედეთი, მოლდოვა.
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით: 5000 ლარი
ქვეყნის გარეთ: 10000 ევრო
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი, 25 წუთიანი თეატრალური ფესტივალი არდიfest.
ქვეყნის გარეთ-პარტნიორული ურთიერთობა შვედეთთან
ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ.
ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალი არდიfest, თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ი ფესტივალი)
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში, შვედეთის ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო საქართველოში
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ. -10000 ევრო
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში -დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი - დიახ, გვყავს 2 ადამიანი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - გააჩნია ორგანიზაციებს
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - არა
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 22 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 55 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? - მედეა ჩახავა, "აქ ამ სავანეში" - თამარ სხირტლაძე, "ჩემი მეგობარი ჰიტლერი" - რევაზ თავართქილაძე

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2011 - საქართველოს თეატრალური კავშირის ჯილდო "წლის საუკეთესო სარეჟისორო დებიუტი" – "სხვისი შვილები" / "მახინჯი"

2013 წელს თეატრალური პრემია "დურუჯი" - ნომინაცია "საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი" - გადაეცა მიხეილ ჩარკვიანს სპექტაკლისთვის ,,კატცელმახერი".

2011-2013 წლების რეპერტუარი

25 წუთიანი სპექტაკლების მესამე ფესტივალი "არდიფესტი 2011"
2011 – **"მახინჯი"**
ავტორი: მარიუს ფონ მაიენბურგი, რეჟისორი: დათა თავაძე, თარგმანი: დავით გაბუნია, მხატვარი: თეიმურაზ მურვანიძე, მონაწილეობენ: სოსო ხვედელიძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია, გაგა შიშინაშვილი

2011 – **"ბრმა ფერი"**
ავტორი: პენელოპ სკინერი, თარგმანი: დავით გაბუნია, რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე, მხატვარი: თამუნა ლომიძე, კომპოზიტორი: ნიკა ფასური, მონაწილეობენ: სალომე მაისაშვილი, სოფი მაიერი, შაკო მირიანაშვილი/პაატა ინაური, გაგა შიშინაშვილი

2011 – **“ქუსლები ჭერში“**
ავტორი: რასმუს ლინბდერგი, თარგმანი : დავით გაბუნია, რეჟისორი: სალომე ჯოგლიძე, მხატვარი: ქეთი ნადიბაიძე, კომპოზიტორი: ნიკა ფასური, მონაწილეობენ: ქეთა შათირიშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, მაგდა ლებანიძე, შაკო მირიანაშვილი

2011 – **“ლივ შტაინი“**
ავტორი და რეჟისორი: ნინო ხარატიშვილი, მხატვარი: იულია ბიურლე-ნოვიკოვა, მონაწილეობენ: ნინო ბურდული, კატო კალატოზიშვილი, გია ბურჯანაძე, თამარ მამულაშვილი, იაკო ჭილაია, სალომე მაისაშვილი

2012 – **“სტრიპტიზი“**
ავტორი: სლავომირ მროჟეკი, ტექსტზე იმუშავა დავით გაბუნიამ, რეჟისორი: ნიკა თავაძე, მხატვარი: თეიმურაზ მურვანიძე, კომპოზიტორი: ნიკა ფასური, მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე

2012 – **“კატცელმახერი“**
ავტორი: რაინერ ვერნერ ფასბინდერი, თარგმანი: დავით გაბუნიას თარგმანი, რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი, კომპოზიტორი: ნიკა ფასური, მხატვარი: ლევან ოჩხიკიძე, მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, ანა წერეთელი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია, ანი გულიაშვილი, შაკო მირიანაშვილი, გიორგი შარვაშიძე, გიორგი ყორღანაშვილი, პაატა ინაური

2012 – “ფრეკენ ჟული“
ავტორი: აუგუსტ სტრინდბერგი, თარგმანი : დავით გაბუნია, რეჟისორი: დათა თავაძე, კომპოზიტორი: ნიკა ფასური, მონაწილეობენ: კატო კალატოზიშვილი, გიორგი შარვაშიძე, ქეთა შათირიშვილი, სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, ანა წერეთელი, პაატა ინაური

2013 – **“ტროელი ქალები“**
რეჟისორი: დათა თავაძე, ტექსტზე იმუშავა დავით გაბუნიამ/ კომპოზიტორი: ნიკა ფასური/ მონაწილეობენ: კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, სალომე მაისაშვილი, მაგდა ლებანიძე, ქეთა შათირიშვილი

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა
განათება - 80 ცალი ულტრა ლაითი 1000ვ ლინზური განათებით. 6 ცალი გაშლილი შუქისთვის 1000ვ, პარი 64 / 1000ვ. განათების მართვის პულტი ,,კომპიულაითი“, 1100 პროგრამის მახსოვრობით.
გახმოვანება - 4 ც. 600ვ დინამიკი, 2 მინიდისკის პლეიერი, გამაძლიერებელი, ხმის მართვის პულტი.

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 200 ადგილი

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე 12.5
სცენის სიგანე 14
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 7
იატაკიდან გამოყენებამდე 6
სარკის სიგანე 14
სარკის სიმაღლე 7
შტანგეტების რაოდენობა 6
შტანგეტებს შორის ინტერვალი 2
სოფიტების რაოდენობა 3

საუბარი სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელთან ნიკა თავაძესთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- ჩვენ რა სისტემითაც ვმუშაობთ, ეს არის ძველი სისტემა და მეორე მხრივ, ვცდილობთ, რომ დავნერგოოთ ურთიერთობის ახალი კულტურა ა. სპონსორული ურთიერთობა კანონის გარეშე არ არსებობს. ანუ უნდა იყოს სპონსორისთვის აუცილებელი მომხიბვლელი კანონი, რომ მას ინტერესი გაუჩნდეს, ამ ადამიანში ჩადოს თანხა. ბოლო პერიოდი, რაც ჩვენს თეატრში მენეჯმენტს ვახორციელებთ, ერთადერთი, რითიც სპონსორები ინტერესდებოდნენ, ეს არის მათი რეკლამა. ამ შემთხვევაში ისინი თავისი ბიუჯეტის რაღაცა ნაწილს გამოყოფდნენ იმისთვის, რომ შენ მისთვის რეკლამა გაგეკეთებინა. ეს არის ზღვაში წვეთი თეატრებისა და შემოქმედებითი ჯგუფებისთვის. ამიტომ ყველაზე მთავარი არის დაფიქრება ახალ კანონზე. ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ადამიანებს, დიდ კომპანიებს აქვთ სურვილი, გაიკეთონ რეკლამა, გახდნენ თანამონაწილეები შემოქმედებითი ცხოვრების და თუნდაც, შემოქმედებითი პროცესის, რათა მათი სახელი გაიგივდეს ამ პროცესთან. მაგრამ მათ სჭირდებათ საკანონმდებლო ბაზა იმისთვის, რომ ეს ნაბიჯი გადადგან. ისინი რომ გეხმარებიან, ამიტომ დამატებით არ იხდიან პროცენტს. ელემენტარულად რომელ სპონსორსაც, რომელ მეცენატსაც არ შევხვდი, ყველგან არის ამის პრობლემა. ანუ ასეთი თითქოს პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის დასარეგულირებელი. სამეფო უბნის თეატრის მაგალითზე თუ ავიღებთ, მე ყოველთვის მაინტერესებდა, თუ რამდენად შეუძლია თეატრს იარსებოს სპონსორის ან დაფინანსების გარეშე და რა ფენომენია ეს საერთოდ.

- როგორც მახსოვს, სამეფო უბნის თეატრს ჰქონდა სპონსორებთან მუშაობის გამოცდილება. რა ვალდებულებები ჰქონდა თეატრს და სპონსორს ერთმანეთის მიმართ?

- ეს არის მოლაპარაკების საკითხი. ყველა სპონსორთან ინდივიდუალური მოლაპარაკება არსებობს. გაფანტულია ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ერთი მთავარი ხერხემალი არ არსებობს - საკანონმდებლო ხერხემალი, რომელზეც შესაძლებელი იქნება, რომ ბევრმა შემოქმედმა ადამიანმა ააგოს თავისი ფინანსური ურთიერთობა სახელოვნებო სფეროსთან. რა თქმა უნდა, აქ ბარტერიც შეიძლება იყოს, სარეკლამო მხარეც, ეს ყველაფერი წვრილმანებია, ამაზე არც ღირს საუბარი. სამეფო უბნის თეატრი დაარსების დღიდან ცდილობს პროექტები აწარმოოს და რეალურად დღემდე თეატრმა ნოვატორული პროექტებით მოაღწია. დაძაბული 1997 წლიდან, როცა გავიხსენით, იქიდან დაწყებული ჩვენ ვცდილობთ, სულ რაღაც ისეთი კუთხით მივაწოდოთ მაყურებელს სივრცე, ან პროდუქცია, ან შევქმნათ პროექტი, რომ ყოველთვის იყოს ინტერესი. როგორც კი მაყურებლის ინტერესი ჩნდება, იქ უკვე ინტერესი სპონსორსაც უჩნდება და იმ ლოკალურ პროექტებში ინტერესი აქვს, რომ ჩადოს თანხა.

- არის თუ არა სამეფო უბნის თეატრი ძლიერი პარტნიორი სპონსორისათვის და რა პრიორიტეტები აქვს თეატრს ისეთი, რომ საინტერესო იყოს სპონსორისთვის?

- აქამდე ვცდილობთ, რომ ხარისხი შევინარჩუნოთ. მე მეჩვენება, რომ ამ თეატრის ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ ის არ ცდილობს კონვეერულ სისტემაში ჩაერთოს, რაც პრინციპში შესაძლებელია. ესეც სადავო მომენტია, ვიღაცისთვის შეიძლება ხარისხია, ვიღაცისთვის - არა. როდესაც ხარისხზეა ლაპარაკი, აქ ორმაგი რამ ჩნდება, ანუ სპონსორს ურჩევნია ხალხის რაოდენობა, ვიდრე შემოქმედებითი ხარისხი. არსებობენ სპონსორები, რომლებიც ფულს დებენ რაღაც სეგმენტში, რომელიც ჩვენს თეატრში დადის. ჩვენს შემთხვევაში, ესენი არიან ახალგაზრდები, ინტელექტუალური მაყურებელი, რომელიც სამეფო უბნის თეატრში დადის და ჩვენც ვცდილობთ, რომ ასეთ მაყურებელზე ვიმუშაოთ. ის მივაწოდოთ მაყურებელს, რაც ჩვენ მოგვწონს და მგონია, რომ ძირითადი მომენტი ეს არის. ჩვენთან წლების განმავლობაში იყო რუსთაველის თეატრი, კახა ბაკურაძის თეატრი, სოხუმის თეატრი. გარდა იმისა, რომ შესაძლებელია თანამშრობლობა სხვა თეატრებთან, შედგა პროექტიც, რასაც ერქვა თემურ ჩხეიძის სახელოსნო. გაჩნდა არდიფესტი. ამ პროექტმა სპონსორების ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრ ნიუანსზე იყო დამოკიდებული. ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყო, დიდი სარეკლამო მხარე ჰქონდა. მთავარია, დააინტერესო ადამიანი, გახადო მისთვის საინტერესო და მისთვის საინტერესო გახდება ყველაზე მეტად იმ ფინანსური თუ მორალური მოგებით, რაც შეიძლება რომ სპონსორმა ჩადოს. ეს არის ყველაზე მთავარი.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში მარკეტინგული თვალსაზრისით რა იყო ყველაზე მომგებიანი პროექტი თეატრისთვის?

- რამდენადაც ხმამაღლა არ უნდა ჟღერდეს, ჩვენი თეატრი ცდილობს ანალიზი გაუკეთოს დღევანდელი ქართული თეატრის მდგომარეობას. ჩვენი ყველა პროექტი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს. ეს არ არის უბრალოდ, მე თეატრი ვარ, ვაკეთებ პროექტებს, სპექტაკლებს ვდგამ და ა.შ. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ დაგვიდგება ეს მომენტი, როდესაც მოგვიწევს სერიოზულად გაანალიზება ჩვენი დღევანდელი თეატრის არსებობის, ანუ სად ვიმყოფებით ჩვენ და დიაგნოზს სანამ არ დავსვამთ, ჩვენ ვიქნებით თვითკმაყოფილებაში. ჩვენ უნდა ვიყოთ კმაყოფილები იმიტომ, რომ გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც გვეამაყებიან დღეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც-რაღაცეებს ანალიზი არ გავუკეთოთ და არ ვეძებოთ გზები, რომ უკეთესი რამ მოვიფიქროთ თეატრისთვის. პროექტი, რომელიც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - „არდიფესტი“ ზუსტად ამ ანალიზის შედეგად გაჩნდა, რამაც რეალურად გააჩინა შანსი, რომ ჩვენ ჩვენი ენერგიით დღევანდელ მდგომარეობას სკანირება გავუკეთოთ და დავგეგმოთ შემდეგი სვლები. გავაერთიანოთ ადამიანების ნიჭი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იყოს თემურ ჩხეიძის სახელოსნო, ანუ, დღეს ჩემი ყველაზე დიდი პრიორიტეტი ეს არის. მიხარია რომ მივაღწიეთ ამას, ბატონ

თემურს აქვს სურვილი მიიღოს ამ პროექტში მონაწილეობა. მისი ძალიან დიდი სურვილით და თაოსნობით კეთდება ყველაფერი და მოხარული ვარ, რომ ეს სამეფო უბნის თეატრშია, მაგრამ ეს შემთხვევითი არ არის, ეს ყველაფერი ჩვენ გაკეთებული გვაქვს მანამდე, ჩვენ პრაქტიკულად გაკეთებული გვქონდა თემურ ჩხეიძის სახელოსნო, სადაც ორი წლის განმავლობაში სარეჟისორო კურსი იყო. აქ კეთდებოდა სპექტაკლები და ამ სპექტაკლების შედეგად გაჩნდა რეალურად „არდიფესტი.“ გაიზარდა ეს სურვილი, რომ რატომ მაინცდამაინც იმ სახელოსნოში არსებულმა რეჟისორებმა, რატომ არ შეიძლება გააკეთონ სხვა რეჟისორებმაც 25-წუთიანი სპექტაკლები და რეალურად მოხდეს უკვე ჩვენება, დღევანდელი ჩვენებით შეგვიძლია მივხვდეთ, ხვალ რა იქნება. მიმაჩნია, რომ „არდიფესტი“ ყველაზე საინტერესო პროექტი იყო.

– როგორია მაყურებლის ასაკობრივი ზღვარი და სეგმენტი?

- მართალი გითხრათ, არ ვიცი მაყურებლის ასაკობრივი ზღვარი. აბსოლუტურად განსაზღვრული არა გვაქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა თაობა დადის. ძალიან მიხარია ის, რომ არის დიდი ამპლიტუდა - დაწყებული, ვთქვათ, სკოლის ასაკიდან უფროს ადამიანებამდე.

– როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა სამეფო უბნის თეატრში?

- ძირითადად მაინც სოციალური ქსელია. რეალურად მეჩვენება, რომ ყველაზე კარგი საშუალებაა, სწრაფად გავრცელდეს ესა თუ ის ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა სეგმენტი უფრო ძლიერია თეატრებში საერთოდ იმიტომ, რომ თეატრებმა აითვისეს ეს სარეკლამო საშუალება. არ არის ათვისებული Youtube, რომელიც მიმაჩნია, რომ ეს კიდევ ერთი დამატებითი სარეკლამო საშუალებაა, მაგრამ მას სჭირდება ასევე შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც შექმნის ვიდეორგოლებს, რომელიც თეატრებში დღეს ძალიან გართულებულია, ეს კი სერიოზულად მოიზიდავს მაყურებელს. ვთვლი, რომ ამ ორი ფაქტორით დღეს შესაძლებელია სერიოზული რეკლამის გაკეთება. ასევე მეჩვენება, რომ სატელევიზიო რეკლამა თეატრებმა უნდა დაივიწყონ. ეს აბსურდია, თუ აქ არ არის დასპონსორება ტელევიზიიდან ან თვითონ ტელევიზიას არა აქვს პოლიტიკა, რომ უსასყიდლოდ უკეთებს თეატრებს ამ დიდ საჩუქარს, თუ ეს კომერციაში გადადის, ტელევიზიის, ვთქვათ, რეკლამის გაკეთება - ეს არის დასავიწყებელი, მაგრამ თუ ტელევიზიები გამონახავენ თუნდაც ერთ წუთს იმისთვის, რომ ქართულ თეატრს დაეხმარონ, ეს იქნება ძალიან დიდი საჩუქარი თეატრისთვის.

– რა პრობლემის წინაშე დგას დღეს სამეფო უბნის თეატრი?

- ხშირად მეკითხებიან ჩემი კოლეგები, ჩემი მეგობრები არიან თეატრის ხელმძღვანელები, ჩვენ არ გვესმის, როგორ მუშაობს სამეფო უბნის თეატრი. იმიტომ, რომ ზომით არის დაახლოებით კინომსახიობთა თეატრის, რომელსაც, რა თქმა უნდა, სერიოზული დაფინანსება აქვს, მაგრამ როცა ვიცით, რომ კომუნალური გადასახადი იმავე თეატრის, რომელიც ინარჩუნებს ასე თუ ისე იმ წარმატებულ თეატრებში თავის სახელს, ეს იქნება ფესტივალი, ეს იქნება დაჯილდოება, რანაირად ხდება ეს. ეს ხდება. და მე მინდა მოვძებნო პასუხი იმისთვის, რომ ეს თეატრი წლების განმავლობაში ამას აკეთებს და ღირსია, ყურადღება მივაქციოთ. ეს არ არის ლაპარაკი იმისთვის, რომ ჩვენ რაღაცა მოვიპოვეთ და ამისთვის დაგვაფინანსონ - არა. თუ არსებობს კულტურის სამინისტრო, თუ არსებობს მერიის კულტურის სამსახური ვალდებულია, რომ შეამჩნიოს ჯგუფი, რომელიც დღეს ნიჭიერ პროდუქციას იძლევა. ეს არ უნდა იყოს რაღაცა დაობებულ, მოძველებულ სისტემაზე აწყობილი სტრუქტურა, რომლისგანაც თანხები გაედინება იქით, სადაც წლების განმავლობაში გაედინება. ამ სტრუქტურას სჭირდება თვალი, რამოდენიმე ადამიანი თუნდაც, რომლებიც დაინახავენ თუნდაც 15 წლის ასაკის ადამიანში ნიჭს. არ არის აუცილებელი, დაბერდე და მერე შეგამჩნიონ. მუშაობს? რაღაცა ჯგუფი შეიქმნა? აუცილებლად უნდა ხელისშეწყობა. ეს სისტემა ჩვენთან არ არსებობს. რაც არსებობს გენიალურად საფრანგეთში. როცა მეტროებიდან ამოჰყავთ ქუჩის მოცეკვავეები. აძლევენ სტუდიებს, აფინანსებენ და ხდიან ვარსკვლავებს. ისინი კი შემდგომ ქვეყნის სამსახურში არიან და აკეთებენ ქვეყნის საქმეს. და ძალიან ბევრი შეგვიძლია ასეთი შემოქმედი ჩამოვთვალოთ.

– რა კრიტერიუმებით ხდება რეჟისორების შერჩევა სამეფო უბნის თეატრში?

- სამეფო უბნის თეატრში რეჟისორების შერჩევის კრიტერიუმები არა გვაქვს. შერჩევა ხდება გამოცდილებით, რა სპექტაკლები აქვს გაკეთებული, რა პროექტის გააკეთებას აპირებს ადამიანი და არსებობს თუ არა ფინანსური უზრუნველყოფა პროექტისა. ანუ შემოქმედებითი იდეაა მთავარი, რას, როგორ ხედავს. ვესაუბრებით ამ ადამიანს და ამის შემდეგ განვსაზღვრავთ რამდენად აქტუალურია ეს სამეფო უბნის თეატრისთვის.

– ბოლო სამი წლის განმავლობაში შემოქმედებითი თვალსაზრისით რა წარმატება გქონდათ?

- მე ვფიქრობ, რომ ის სპექტაკლები, რომლებიც დაიდგა ბოლო წლებში ჩვენთან, ყველას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. თუნდაც ის, რომ 100 წლისთავს მიეძღვნა „ფრეკენ ჟიული“, რომელიც ჩვენთან განხორციელდა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი შვედეთთან ურთიერთობაში. „სტრიპტიზი“, რომელიც მიეძღვნა რეპრესიებს, რთული იყო ამ სპექტაკლის გაკეთება. ასევე ჩვენ ვიგრძენით, რომ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა ამ სპექტაკლმაც და მიშა ჩარკვიანის პროექტი „კატცელმახერი“. ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი, თანამედროვე თეატრის იმპულსი გაჩნდა ამ სპექტაკლში რაც საინტერესოა თავის ახალ ჯგუფთან ერთად, რომელიც თეატრს გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია ჩემთვის „ტროელი ქალები“, რომელიც დასპონსორდა უცხოეთიდან. პრემიერა ჩატარდა სტოკჰოლმში. სერიოზული შეფასება დავიმსახურეთ და ახლა თეატრი ამ სპექტაკლით ბელგიაში მიემგზავრება, სადაც წარსდგება ბრიუსელის მაყურებლის წინაშე.

- როგორ ამყარებთ საერთაშორისო კონტაქტებს და როგორ ახერხებს კერძო თეატრი - წავიდეს საერთაშორისო ფესტივალებზე?

- ის ფესტივალები, რომლებიც თბილისში ტარდება, ქართული თეატრის წინსვლისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რეალურად ძირითადი კონტაქტები არის ქართული ქეისიდან და იმ გასტროლებიდან გამომდინარე, რომლებიც ჩვენ ასე თუ ისე გავაკეთეთ და ძირითადად შვედური მხარე არის ამაში სერიოზულად ჩართული. ჩვენდა საბედნიეროდ, დავამყარეთ ეს კონტაქტი შვედეთთან.

- თუ აქვს სამეფო უბნის თეატრს სასპონსორო შეთავაზებები?

- ჩვენს თეატრს აქვს ბევრი ვერსია და პაკეტი სასპონსორო შეთავაზებისა. რომელიმე სპონსორი თუ წამოგვყვება ამ შეთავაზებაზე, ჩვენ ეს დათვლილი გვაქვს მარკეტინგულად, უფრო იაფი დაუჯდებათ რეკლამა, რასაც ისინი სისტემატურად აკეთებენ ტელევიზიით. ერთ-ერთი შემიძლია გავამხილო, ეს არის პროდუქტის პრეზენტაცია, რომელიც ამა თუ იმ კომპანიას გააჩნია. რეალურად ნებისმიერი პროდუქტის რეკლამა 100-ჯერაც რომ გაუშვა ტელევიზიით, ეს არის 15-30 წამიანი სარეკლამო დრო, სადაც შენ ამახსოვრებინებ ამ პროდუქტს, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ის როგორ უნდა გამოიყენოს, რამდენად საჭირო ხდება ესა თუ ის პროდუქტი მაყურებლისთვის, ვერ აფიქსირებს. ჩვენ ვთავაზობთ სპონსორს ასეთ რამეს, სპექტაკლის დღეს შესაძლებელია ჩვენ გავაკეთოთ პრეზენტაცია იმ ადამიანებზე, რომლებიც შეგვიძლია მოვიწვიოთ, მაგრამ სპონსორი ფარავს მოსაწვევების და სპექტაკლის თანხას და 200 კაცში აკეთებს არა 15-წამიან, არამედ 20-წუთიან რეკლამას, რომელიც მიმართული იქნება შედეგზე და ეს უფრო ბევრად მომგებიანია. ისინი იგებენ თანხას, მიზანი მიღწეულია იმ პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანით და ასევე იგებენ იმას, რომ მათ საპრეზენტაციო ჩვენებაზე რეალურად არ ეხარჯებათ მეათედი თანხისა. ასეთი რეკლამა უფრო ეფექტური გამოდის.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N=93
50%
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
46%
13%
20%
14%
4%
2%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N=318
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
17%
31%
18%
34%
0,3%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების წამოშვარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N=655
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
14%
18%
9%
4%
14%
12%
5%
5%
6%
4%
9%
კომედია
ფსიქოლოგიური ..
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საიპერი
სამალუხი
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N=431
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
5%
3%
32%
16%
2%
1%
23%
17%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეატრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N=557
25%
20%
15%
10%
5%
0%
23%
14%
13%
16%
17%
9%
9%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფანტაზიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა
საინტერესო აქცია
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N=581
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
12%
9%
27%
14%
8%
7%
23%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N=200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 14%
კი 39%
არა 47%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N=200
მთლიანად ვენდობი 5%
ნაწილობრივ ვენდობი 52%
საერთოდ არ ვენდობი 43%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
ლევან წულაძე	57
დათა თავაძე	42
რობერტ სტურუა	39
თემურ ჩხეიძე	31
ავთანდილ ვარსიმაშვილი	16
დავით დოიაშვილი	7
გიორგი თავაძე	3
გოშა გორგოშიძე	3
ნიკა თავაძე	3
გაბრიელ გოშაძე	3
რეზო ჩხაიძე	3
ვანო ხუციშვილი	2
გიორგი სიხარულიძე	2
დიმიტრი ხვთისიაშვილი	1
ნანა კვასხვაძე	1
მედეა კუჭუხიძე	1
ნუგზარ ბუცხრიკიძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**
ნატა მურვანიძე	31
ზურაბ ყიფშიძე	28
ნიკა თავაძე	25
კატო კალატოზიშვილი	23
პაატა ინაური	22
ია სუხიტაშვილი	21
ბარბარე (ბაია) დვალიშვილი	12
მურმან ჯინორია	10
ნანუკა ხუსკივაძე	10
ზაზა პაპუაშვილი	9
ქეთა შათირიშვილი	8
მიხეილ გომიაშვილი	8
კახი კავსაძე	8
გივი ბერიკაშვილი	7
სალომე მაისაშვილი	6
ნინელი ჭანკვეტაძე	6
რუსკა მაყაშვილი	6
გია ბურჯანაძე	6
ნინო ბურდული	5
ბაჩო ჩაჩიბაია	5
გიორგი ვარდოსანიძე	5
ჟანრი ლოლაშვილი	4
სოსო ხვედელიძე	4
მარინა კახიანი	4
ნანკა კალატოზიშვილი	4
აპოლონ კუბლაშვილი	4
ალეკო მახარობლიშვილი	4
ნინო კასრაძე	4
თათული დოლიძე	3
ქეთი ცხაკაია	3
ჯაბა კილაძე	3
გოგა ბარბაქაძე	3
გიორგი ყიფშიძე	3
ლევან ხურცია	3
გიორგი ნაკაშიძე	3
რუსუდან ბოლქვაძე	2
ეკა ჩხეიძე	2
მაგდა ლებანიძე	2
გიორგი ზანგური	2
ქეთი ჩხეიძე	2
დუტა სხირტლაძე	2
მანანა კოზაკოვა	2
იაკო ჭილაია 2	2
ლელა მებურიშვილი 2	2

პაატა გულიაშვილი 2	2
ირაკლი სანაია 1	1
ნატუკა კახიძე 1	1
გაგა შიშინაშვილი	1
გიორგი ჭუმბურიძე	1
დონარა გვრიტიშვილი	1
გოგა პიპინაშვილი	1
არჩილ სოლოღაშვილი	1
გიორგი შერვაშიძე	1
დავით პაპუაშვილი	1
გიორგი ნაკაშიძე	1
მარიამ ნადირაძე	1
ქეთა ლორთქიფანიძე	1
სალომე ჭულუხაძე	1
ნინო თარხან-მოურავი	1
გივი ჩუგუაშვილი	1
გიორგი პაპუაშვილი	1
დავით დარჩია	1
ნიკა კუჭავა	1
კახა მიქიაშვილი	1
დათა თავაძე	1
თამუნა ნიკოლაძე	1
დავით ხახიძე	1
ვამეხ ჯანგიძე	1
ნინო ბურდული	1
მარინე ჯანაშია	1
ონისე ონიანი	1
მაკა ძაგანია	1
გია აბესალაშვილი	1
გურანდა გაბუნია	1
ნანა ფაჩუაშვილი	1
ნანი ჩიქვინიძე	1

ილიას უნივერსიტეტის თეატრი

მოკლე ისტორია

თეატრი აშენდა 2002 წელს; ვაკის თეატრალური სარდაფი ფუნქციონირებდა 2007 წლამდე. 2006 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრი დაარსდა, ხოლო 2010 წლის 30 სექტემბერს გაიხსნა ილიაუნის თეატრი, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია.

ამჟამად ილიაუნის თეატრი ანტრეპრიზის პრინციპზე მომუშავე შემოქმედებითი სივრცეა, მას არა ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და მუდმივმოქმედი დასი. ყოველი ახალი წარმოდგენისათვის რეჟისორსა და მსახიობებს ხელახლა იწვევენ.

ილიაუნის თეატრის ძირითადი მისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის სტუდენტების პროფესიული ზრდა და ტრენინგია, თუმცა აქ ხშირად ხორციელდება სხვა თეატრალური პროექტებიც. ილიაუნის თეატრის პროფესიულ წარმოდგენებში ცნობილი მსახიობების გვერდით ყოველთვის არიან დაკავებულები უნივერსიტეტის სტუდენტები და კურდამთავრებულები, რაც მათი პროფესიული ზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - ილიაუნის თეატრი
დაარსების წელი - 2010
თეატრის იურიდიული სტატუსი - თეატრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია, შესაბამისად ცალკე იურიდიული სტატუსი არა აქვს. ფორმის მიხედვით - კერძო ანტრეპრიზა
გახლავთ დაქვემდებარება - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი
თეატრის ხელმძღვანელი პირები -

- გიგა ზედანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
- ნატალია თვალჭრელიძე, თეატრის ხელმძღვანელი

თეატრის ელ ფოსტა - theatre@iliauni.edu.ge
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - natalia.tvalchrelidze@iliauni.edu.ge
ვებგვერდის მისამართი - www.theatre.iliauni.edu .ge ან www.iliaunitheatre.ge
თეატრის მისამართი - ჭავჭავაძის გამზირი N32

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - სხვადასხვა (საშუალოდ 50 მოწვეული მსახიობი სეზონის განმავლობაში)
შემოქმედებითი პერსონალი - სხვადასხვა (საშუალოდ 10 მოწვეული რეჟისორი, მხატვარი, ქორეოგრაფი და ა.შ. სეზონის განმავლობაში)
ტექნიკური პერსონალი - 18
ადმინისტრაცია - 5

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა	ილიაუნი
2011					70,955.58
2012				12,000.00**	110,327.49
2013	5,000.00**		13,930.00**		245,269.15*

*2013 წლის ბიუჯეტი მოიცავს სარემონტო სამუშაოებსაც
** დაფინანსებული პროექტები

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 15 280.00 ლარი (აქედან 8 895.00 ლარი ოქტომბერ-დეკემბერის განმავლობაში)
2012 წელი - 10 696.00 ლარი (ავარიული მდგომარეობის გამო სპექტაკლები ტარდებოდა მხოლოდ კვირაში 3-ჯერ)
2013 წელი - 3 284.00 ლარი (რემონტის გამო წარმოდგენები მხოლოდ 5 თვის განმავლობაში იმართებოდა, კვირაში 3-ჯერ)
2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა
2011 წელი - 116
2012 წელი – 80 (ავარიული მდგომარეობის გამო სპექტაკლები ტარდებოდა მხოლოდ კვირაში 3-ჯერ)
2013 წელი – 68 (რემონტის გამო წარმოდგენები მხოლოდ 5 თვის განმავლობაში იმართებოდა, კვირაში 3-ჯერ)

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
თეატრმა ბილეთებისა და მოსაწვევების აღრიცხვის სპეციალური პროგრამა 2012 წლის ოქტომბერში

დაამონტაჟა, შესაბამისად 2011 და 2012 წლის პირველ ნახევრის შესახებ არასრული ინფორმაცია არსებობს (მხოლოდ გაყიდული ბილეთების შესახებ), სპეციალური აქციების, დახურული ჩვენებების, მოსაწვევების შესახებ ინფორმაცია ამ პერიოდში არ აღრიცხულა.

2011 – არა გვაქვს სრული ინფორმაცია, დაახლოებით 6000 მაყურებელი
2012 - არა გვაქვს სრული ინფორმაცია, დაახლოებით 4000 მაყურებელი (ავარიული მდგომარეობის გამო სპექტაკლები ტარდებოდა მხოლოდ კვირაში 3-ჯერ)
2013 – 4842 (რემონტის გამო წარმოდგენები მხოლოდ 5 თვის განმავლობაში იმართებოდა, კვირაში 3-ჯერ)

ბილეთის ფასი და ტარიფები
2011 წელს - ყველა სპექტაკლზე 5, 10 ლარი
2012 წელს - 5, 7, 10 ლარი
2013 წელს - 5, 7, 10 ლარი; სტუდენტური ბილეთი - 3 ლარი

თეატრის შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) 2011-2013 წლებში წლების მიხედვით

წლები	ფართით სარგებლობა (ლარი)
2011	165.00
2012	3,500.00
2013	4,300.00

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? – 5000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - არა გვაქვს
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - განსხვავდება პროექტების მიხედვით
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - მსახიობები იღებენ ანაზღაურებას ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობის მიხედვით
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) - თეატრს არა ჰყავს მუდმივმოქმედი დასი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით:
2012 წელი - ქალაქი გორის კულტურის სახლი
2012 წელი - ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
ქვეყნის გარეთ:
2012 წელი - კიშინიოვის ახალგაზრდული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „კლასფესტ“, მოლდოვა
2013 წელი - მინსკის ახალგაზრდული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „თეატრალნი კუფარ (თეატრალური ზარდახშა)“, ბელორუსია

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა ?
ქვეყნის შიგნით - საშუალოდ 1000 ლარი
საზღვარგარეთ - საშუალოდ 15 000 ლარი

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - დიახ
AITA-UITA - საუნივერსიტეტო თეატრების საერთაშორისო ასოციაცია
ვის მასპინძლობდა 2011-2013 წწ.
ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრს
ირლანდიურ კინო-ფესტივალს
ავსტრიულ კულტურის დღეებს
თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს 2011, 2012, 2013 წწ.
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - არა
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - არ გვქონია კოპროდუქცია
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა, თუმცა ვთანამშრომლობთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების ცენტრის რეჟისორებთან.

გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - მაყურებელთან და სპონსორებთან ურთიერთობის მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - მსახიობების განათლების/ტრენინგის/ გადამზადების რესურსებს თავად ვფლობთ
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 19 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 59 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? - მამუკა ლორია სპექტაკლში „ოპერა მაფიოზო“ – 2013 წლის 8 ივნისი
თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო -
თეატრალიზებული კონცერტი „არიქა დო ვარიქა“ - ჟიურის სპეციალური ჯილდო მინსკის ახალგაზრდულ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალზე „თეატრალნი კუფარ (თეატრალური ზარდახშა)“, ბელორუსია
თეატრალური პრემია „დურუჯი“, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – რევაზ თავართქილაძეს სპექტაკლში „სულის სამჭედლო, ანუ სისხლი სისხლის წილ“

2010-2013 წლების რეპერტუარი

2010 წელს გამოშვებული სპექტაკლები:
ავქსენტი ცაგარელი

„ჭკუისა მჭირს!“
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: შოთა გლურჯიძე
კომპოზიტორი: ნინო ჯანჯღავა
მონაწილეობენ: დავით გოცირიძე (რუსთაველის თეატრის მსახიობი), ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დავით გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი
პრემიერა შედგა 2010 წლის 30 სექტემბერს
2010- 2013 წ.წ. ნათამაშები სპექტაკლის რაოდენობა სულ: 51
2011 წელს: 16
2012 წელს: 13
2013 წელს: 12

„**ხარმსი**“
დანიილ იუვაჩევის ნოველების მიხედვით
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება: დავით ველიჯანაშვილი
მონაწილეობენ: დავით გოცირიძე (რუსთაველის თეატრის მსახიობი), მაკა ძაგანია, დავით ველიჯანაშვილი, თათია ბუაძე, სოფიო გვრიტიშვილი, თამთა ცინცაძე, დავით გიგოლაშვილი, მაია გელოვანი.
პრემიერა შედგა 2010 წლის 1 ოქტომბერს
2010- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლის რაოდენობა სულ: 22
2011 წელს: 6
2012 წელს: 4
2013 წელს: 7

„**ძრავა**“
იური ზოიფერი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვრები: ბექა სადაღაშვილი, თამუნა ჭავჭანიძე
კომპოზიტორი: ნიაზ დიასამიძე
მონაწილეობენ: დავით ველიჯანაშვილი, დავით გიგოლაშვილი, კახა გოგიძე, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი, მაკა ძაგანია, თათია ბუაძე, მეგი ჯამასპიშვილი, მაგდა ხურციძე
პრემიერა შედგა: 2010 წლის 24 ოქტომბერს
2010- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 13
2011 წელს: 6

„პატარა უფლისწული“
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
მხატვარი: გურამ ბრეგაძე
მუსიკალური გაფორმება: ზურა ინგოროყვა
მონაწილეობენ:
მარიამ კვიტაიშვილი, ბექა სტურუა, ერეკლე კილაძე, მარიამ შერაზადიშვილი, გიორგი ნიკოლაიშვილი, ირმა სახვაძე, პაკო თავზარაშვილი, ზურაბ მესხი, ომარ ეგრისელაშვილი, დაჩი ხასაია, სალომე ბუწაშვილი, თამთა შოშიაშვილი, ნათია ხუჭუა, ია ბრაგვაძე, ტატა ეჯიბაია, ანა ინგოროყვა, სალომე ტაბატაძე, მარიამ სირაძე, უჩა ცინდელიანი, დათო ხუნდაძე.
პრემიერა შედგა: 2010 წლის 17 ოქტომბერს
2010 - 2013 წ.წ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 7
2011 წელს - 1

2011 წელს გამოშვებული სპექტაკლები:
უილიამ გიბსონი
„ჯვალოს თოჯინა“
რეჟისორები: ოთარ ეგაძე, გაგა გოშაძე
მხატვრები - ბექა სადაღაშვილი, თამარ ჭავჭანიძე
კომპოზიტორი - ნინო ჯანჯღავა
მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, კახა გოგიძე, რუსიკო ბოლქვაძე, ვასიკო ოდიშვილი, ლელა თელია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი, მაკა ძაგანია, ქეთი ძოწენიძე, ანდრია ვაჭრიძე, მარი კალატოზიშვილი, გიგა ცერცვაძე, მაგდა ხურციძე
პრემიერა შედგა: 2011 წლის 8 იანვარს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 15
2011 წელს: 15

„რომეო და ჯულიეტა“
უილიამ შექსპირი
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
მხატვარი: გურამ ბრეგაძე
მუსიკალური გაფორმება: ზურაბ ინგოროყვა
მონაწილეობენ: ერეკლე კილაძე, მარიამ კვიტაიშვილი, ზურა მეხი, ზურა გაბუნია, მარიამ სირაძე სალომე ტაბატაძე, გიორგი ნიკოლაიშვილი, პავლე თავზარაშვილი, მარიამ შერაზადიშვილი, თამარ შოშიაშვილი, ირაკლი ჩუხუა, ბექა სტურუა, ანა ინგოროყვა, ტატა ეჯიბია, დაჩი ხასაია, უჩა ცინდელიანი, აკაკი ბერძენიშვილი, ნათია ხუჭუა, ირმა სახვაძე, ჯენი სამნიაშვილი, ანი გადაბაძე
პრემიერა შედგა: 2011 წლის 12 თებერვალს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 15
2011 წელს: 12
2012 წელს: 3

„სულის სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ“
ლაშა თაბუკაშვილის ,,ათვინიერებენ მიმინოს'' მიხედვით
რეჟისორი: გიორგი სავანელი
მხატვარი: ნანა კალანდარიშვილი
მუსიკალური გაფორმება: გიორგი სავანელი
მონაწილეობენ: რევაზ თავართქილაძე, ქეთევან შერვაშიძე, ვაკო კობერიძე, მზია ტალიაშვილი, გიორგი სვანიძე, თეკა კოხრეიძე, გიორგი სავანელი, სალომე ქალდანი,გიორგი იარაჯული, ანი ლორთქიფანიძე, თორნიკე ჩიხლაძე, გიორგი გურგული, ბეგი მეტონიძე, თამარ ადამია, დათო დავითაძე, ნათია კევლიშვილი, მარიანა კოდიაშვილი, დათო გოგიჩაიშვილი, ხატია ბრაჭული, თემურ რეხვიაშვილი.
პრემიერა შედგა: 2011 წლის 11 მარტს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 8
2011 წელს: 8

„ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი“
ედუარდო დე ფილიპო
რეჟისორი: შოთა კობიძე
მხატვარი: ალექსანდრე სლავინსკი
მუსიკალური გაფორმება: შოთა კობიძე
მონაწილეობენ: ირაკლი ბოლქვაძე, ნელი ვაშალომიძე, ლევან ბოჭორიშვილი, ნათია გოგრიჭიანი,

მარიკა იმნაიშვილი, მაია გოდუაძე, ირაკლი ცქიფურიშვილი, რეზი ბაღაშვილი, ალეკო ილარიონი, ბიძინა გოგიბერიძე, ანდრო სოლოშვილი, რამაზ ხომასურიძე, ანა ბეჟაშვილი, ლევან მამნიაშვილი, გიგა ცერცვაძე, ანა ყარალაშვილი, თამთა როსტიაშვილი, გელა ხახანაშვილი.
პრემიერა შედგა: 2011 წლის 26 მარტს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 5
2011 წელს: 5

„სხვისი ცოლი და ქმარი საწოლის ქვეშ“
ფიოდორ დოსტოევსკის მოთხრობების მიხედვით
რეჟისორი: ხათუნა მილოროვა
მხატვარი: ხათუნა მილორავა
მუსიკალური გაფორმება: ხათუნა მილორავა
მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ანა სანაია, დავით გელაძე, ქეთათო ჩარკვიანი, ამირან ქაჩიბაია, ზურაბ ქადაგიძე.
პრემიერა შედგა: 2011 წლის 16 აპრილს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 4
2011 წელს: 4

„ოპერა მაფიოზო“
ვასილ სტანილოვი
რეჟისორი: გაგა გოშაძე
მხატვარი: ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება: გაგა გოშაძე
მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, თამარ მაყაშვილი, მაკა ძაგანია, დავით ველიჯანაშილი, მამუკა ლორია (რუსთაველის თეატრის მსახიობი), კახა გოგიძე, ანდრია ვაჭრიძე, ვასილ ოდიშვილი, ზურაბ გაბუნია, მაკა შალიკაშვილი, ანა ოსეფაშვილი, დაჩი გოგსაძე, ზურაბ მარკოზაშვილი, ბექა კენკებაშვილი
პრემიერა შედგა: 2011 წლის 29 მაისს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 16
2011 წელს: 7
2012 წელს: 0
2013 წელს: 9

„კომედია ტრაგედიაზე ანუ ЧАЙКА“ ПО ГРУЗИНСКИ, ВО ВРЕМЯ РУССКОГО ЧАЕПИТИЯ.“
ლალი კეკელიძე
რეჟისორი: ლალი კეკელიძე
მხატვრები: ბექა სადაღაშვილი, თამუნა ჭავჭანიძე
მუსიკალური გაფორმება: ლალი კეკელიძე
მონაწილეობენ: მიშა არჯევანიძე, გიორგი კალანდარიშვილი, ქეთი ასათიანი, ლაშა ამბიძე, ნიკა წერედიანი, ანდრო ბარათაშვილი, ზაზა ვაშაყმაძე, მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, გიორგი მოსიაშვილი, გიორგი შაქარაშვილი
პრემიერა შედგა: 2011 წლის 17 ივნისს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 7
2011 წელს: 6
2012 წელს: 1

თეატრალიზებული კონცერტი
„არიქა დო ვარიქა“
რეჟისორები: ოთარ ეგაძე, თიკო ლუტიძე
მხატვრები: ნინო ჩიტაიშვილი, არჩილ კორძაია, ირაკლი გოგებაშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ეკა დავითაშვილი, ქეთი ძოწენიძე, სოფო პაპუაშვილი, ნიკუშა გიორგაძე, გიგა ცერცვაძე, თემურ კვარაცხელია, ნიკა ნანიტაშვილი, რევაზ ფიფია,ზურაბ გაბუნია.
პრემიერა შედგა: 2011 წლის 18 მაისს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 25
2011 წელს: 6
2012 წელს: 12
2013 წელს: 7

„როგორც გენებოთ“
უილიამ შესპირი
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე

მხატვარი: გურამ ბრეგაძე
მუსიკალური გაფორმება: ზურაბ ინგოროყვა
მონაწილეობენ: მარიამ შერაზადიშვილი, ერეკლე კილაძე, ანა ინგოროყვა, მარიამ კვიტაიშილი, სალომე ტაბატაძე, მარიამ სირაძე, პავლე თავზარაშვილი, ტატა ეჯიბია, ირაკლი ჩუხუა, დაჩი ხასაია, ზურა მესხი, თამუნა შოშიაშვილი
პრემიერა შედგა: 2011 წლის 9 ივლისს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 5
2011 წელს: 5

„ბლეზი“
კლოდ მანიე
რეჟისორი: სანდრო ელოშვილი
მხატვარი: ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ნინო მენთეშაშვილი, მაგდა ხურციძე, გიორგი ჭუმბურიძე, მეგი ჯამასპიშვილი, ნუცა ხვედელიძე, ლევან მამნიაშვილი, თათია გაბედავა, ქეთი ძოწენიძე, სალომე მიქაძე
პრემიერა შედგა: 2011 წლის 30 ივლისს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 22
2011 წელს: 8
2012 წელს: 9
2013 წელს: 5

„**ინსტინქტი**“
ჟან-ჟაკ ბრიკერი და მორის ლასეგი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ბაია დვალიშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, დავით გიგოლაშვილი
პრემიერა შედგა: 2011 წლის 14 ოქტომბერს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 16
2011 წელს: 8
2012 წელს: 8
2013 წელს: 0

„ფრანგული გარნირი“
მარკ კამოლეტი
რეჟისორი: სანდრო ელოშვილი
მხატვარი: სოფო კიკნაველიძე
მუსიკალური გაფორმება: სანდრო ელოშვილი
მონაწილეობენ: ბაჩუკი დოღონაძე, ნიკა გიორგაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია
პრემიერა შედგა: 2011 წლის 16 დეკემბერს
2011- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 25
2011 წელს: 3
2012 წელს: 15
2013 წელს: 7

2012 წელს გამოშვებული სპექტაკლები:

„სიზმრები სინანულისანი“
მიხაილ ბულგაკოვის პიესის „ივან ვასილის-ძე“ მიხედვით
გაქართულებული ვერსიის ავტორი: ბასა ჯანიკაშვილი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ნიკუშა გიორგაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მარი კალატოზიშვილი, ზუკა პაპუაშვილი, თამთა ცინცაძე, დათო ველიჯანაშვილი, დათო გიგოლაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, ზურაბ გაბუნია, თემურ კვარაცხელია, ნიკა ნანიტაშვილი, რევაზ ფიფია, გიგა ცერცვაძე, ზვიად ძულიაშვილი, ანი თალაკვაძე.
პრემიერა შედგა: 2012 წლის 22 მარტს

2012- 2013 წ.წ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 6
2012 წელს: 6

„ფსიქოზი 4:48“
სარა კეინი
რეჟისორები: ბუბა ბასიშვილი, გოგა ქაჩიბაია
მხატვრები: ბუბა ბასიშვილი, გოგა ქაჩიბაია
მუსიკალური გაფორმება: ბუბა ბასიშვილი, გოგა ქაჩიბაია
მონაწილეობენ: მასო მელქაძე, ნინო ლეჟავა, ეკა აბშილავა
პრემიერა შედგა: 2012 წლის 22 ნოემბერს
2012- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 8
2012 წელს: 5
2013 წელს: 3

„ევრიდიკე“
ჟან ანუი
რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია, გიგა ცერცვაძე, ლაშა ამბიძე, ირაკლი მგალობლიშვილი, მილენა ეგიაზაროვა, გვანცა ესართია, სალომე მუმლაძე, პავლე ინასარიძე, ანი ოსეფაშვილი
დახურული პრემიერა შედგა: 2012 წლის 29 დეკემბერს
2012- 2013 წწ. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 16
2012 წელს: 2
2013 წელს: 14

2013 წელს გამოშვებული სპექტაკლები:

„ხელის თხოვნა“
(თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მაგისტრანტის სადიპლომო სპექტაკლი)
ანტონ ჩეხოვი
რეჟისორი: ნიკოლას სარიდისი
მხატვარი: ჯგუფი „Slow Pulse Group“
მუსიკალური გაფორმება: რუსუდან კობიაშვილი
მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, გვანცა ესართია, ლაშა ამბიძე
დახურული ჩვენება შედგა: 2013 წლის 19 ივნისს
2013 წელს ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 1

„მუსიკალური ექსპრესი“
თეატრალიზებული კონცერტი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ზურაბ გაბუნია, ნიკოლოზ გიორგაძე, თემურ კვარაცხელია, გიორგი მოსიაშვილი, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, სოფიო პაპუაშვილი, რევაზ ფიფია, გიგა ცერცვაძე, ქეთევან ძოწენიძე, ზვიად ძულიაშვილი, ნუცა ხვედელიძე, დავით გიგოლაშვილი.
დახურული ჩვენება შედგა: 2013 წლის 28 ივნისს
(პრემიერა დაგეგმილია 2014 წლის აპრილში)
2013 წელს ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 1

„ლიფტი“
ისმაილ იმანოვი და ნათელა ოსმანლი
რეჟისორები: ირაკლი გოგია, გოჩა ხვიჩია
მხატვარი: მარიკა კვაჭაძე
მუსიკალური გაფორმება: ირაკლი გოგია, გოჩა ხვიჩია
მონაწილეობენ: ანი ზამბახიძე, ანდრია ვაჭრიძე
დახურული ჩვენება შედგა: 2013 წლის 4 დეკემბერს
2013 წელს ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ: 1

2014 წელს გამოშვებული სპექტაკლები:

„ჟლეტის ღმერთი“
იასმინა რიზა
რეჟისორი: დავით ჭაბაშვილი
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გაფორმება: დავით ჭაბაშვილი
მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ნატა ბერეჟიანი, გიორგი ბოჭორიშვილი, მაია ხორნაული
დახურული ჩვენება შედგა: 2013 წლის 10 დეკემბერს
პრემიერა შედგა 2014 წლის 7 თებერვალს
2013 წელს ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ – 2
2014 წელს (იანვარი, თებერვალი) – 4

„ბრიყვთა ვახშამი“
ფრანსის ვებერი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
მხატვარი: სანდრო ერისთავი
მუსიკალური გაფორმება: ელენე ნიჟარაძე
მონაწილეობენ: ზუკა პაპუაშვილი (რუსთაველის თეატრის მსახიობი), დავით გოცირიძე (რუსთაველის თეატრის მსახიობი), სოფო გვრიტიშვილი, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, თემო კვარაცხელია, მაკა ძაგანია
პრემიერა შედგა: 2014 წლის 17 იანვარს
2014 წელს (იანვარი,თებერვალი) ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ – 6

„ანტიგონე“
ჟან ანუი
დამდგმელი რეჟისორი: გაგა გოშაძე
რეჟისორი: ანდრია ვაჭრიძე
მხატვარი: გოჩა აგაშენაშვილი
ტექნიკური რეჟისორი: მაკა მეტრეველი
მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, დავით ველიჯანაშვილი, თამარ მაყაშვილი, თამთა ნავროზაშვილი, გია როინიშვილი, მაკა ძაგანია, გიორგი ჭუმბურიძე
პრემიერა შედგა: 2014 წლის 14 თებერვალს
2014 წელს (იანვარი, თებერვალი) ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა სულ – 4

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - აქვს
საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო დარბაზი - უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზები
ბუფეტი - აქვს, უნივერსიტეტის „უნიფუდი“
წიგნის მაღაზია - აქვს, უნივერსიტეტის „ლიგამუსი“
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - წიგნის მაღაზია თეატრის ახლომახლო ფუნქციონირებს ნივერსიტეტში

ტექნიკური აღჭურვა
განათება
პროჟექტორი სინათლის გაშლის კუთხე 15-30 გრ – 12;
პროჟექტორი სინათლის სხივის გაშლის კუთხე 25-50 გრ - 12
პროჟექტორი სინათლის სხივის გაშლის კუთხე 10 გრ - 12
პროჟექტორი სინათლის სხივის გაშლის კუთხე 19 გრ - 6
პროჟექტორი სინათლის სხივის გაშლის კუთხე 25-36 გრ - 6
პროჟექტორი სინათლის სხივის PAR - 24
ფერების შემცვლელების სამართავი პულტი -1
ფერების შემცვლელი აპარატი - 12
პროჟექტორი LED – 20
ფერშემცვლელი პროჟექტორი - 4
მულტიმედია პროექტორი NEC NP 115 - 1
თეატრალური განათების სამართავი პულტი - 1 (ძველი), 1 (ახალი),
საკონცერტო განათების სამართავი პულტი - 1 (დიდი), 1 (პატარა)
400 ანსი ლუმენიანი ვიდეოპროექციის აპარატი - 1

დიმერები 12 არხიანი - 6
დიმერები 6 არხიანი - 2
დამაბრავებელი განათების პროჟექტორი - 12
პროჟექტორი A561 ABD – 6
პროჟექტორი 4XL4/21T20 – 4
ბოლის აპარატი - 2
თოვლის აპარატი - 2
საპნის ბუშტების აპარატი -2
პროექციის კომპიუტერი - 1
გახმოვანება
დინამიკი პასიური 200 ვატი - 4
გახმოვანების აქტიური დინამიკი 100 ვატი - 2
აქტიური დინამიკი 700 ვატი - 2
გახმოვანების პასიური დინამიკი 100 ვატი, (1 საბბუფერით) - 2
გამაძლიერებელი იუნდ-700 – 1
პასიური დინამიკების გამაძლიერებელი - 1
ხმის პულტი ე-062 (იამაჰა) – 1
გახმოვანების სამართი შემრევი პულტი (ბერინჯერი) - 1
მინიდისკის ჩამწერ-რეპროდუქტორი (სონი) – 2
სტერეო გრაფიკული ეკვალაიზერი - 1
მიკროფონი (კაბელის) – 4
მიკროფონის შტატივი - 3
საჰაერო მიკროფონი - 4
კომპიუტერი -1

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით - 134
120 ადგილი პარტერში; 14 ადგილი აივანზე

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე - 14.50 მეტრი
სცენის სიგანე - 12.6 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე:
სცენის სიმაღლე ხიდამდე: 3.80 მეტრი,
სცენის სიმაღლე (ავანსცენა და არიერსცენა): 6.30 და 6.40 მეტრი,
სცენის სიმაღლე (შუა სცენა): 8.10 მეტრი.
იატაკიდან გამოყენებამდე - 5 მეტრი
სარკის სიგანე - 11.40 მეტრი
სარკის სიმაღლე - 4.20 მეტრი
საორკესტრო ორმოს სიგანე - არა აქვს
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - არა აქვს
საორკესტრო ორმოს რკალი - არა აქვს
სცენის წრის დიამეტრი - არა აქვს
სცენის მარჯვენა ჯიბე - 1.5 მეტრი
სცენის ამრცხენა ჯიბე - 1.5 მეტრი
შტანგეტების რაოდენობა - 7
შტანგეტებს შორის ინტერვალი - საშუალოდ 2 მეტრი
სოფიტების რაოდენობა - 6 (სტაციონარული)
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 5
მოძრავი პორტალების სიმაღლე - არა აქვს
მოძრავი პორტალების სიგანე - არ აქვს

საუბარი თეატრის ხელმძღვანელთან ნატალია თვალჭრელიძესთან

- რას ფიქრობთ სპონსორობის კულტურაზე საქართველოში?

- სპონსორობის კულტურით საქართველო მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის. არ არსებობს კანონი მეცენატობის შესახებ, რაც ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. თუმცა, გულწრფელად გეტყვით, რაც გავიხსენით რემონტის შემდეგ, გაცილებით გაგვიმარტივდა მათთან მუშაობა. არ ვიცი, რა მოხდა. 6 თვეა რემონტის გამო არ შევხებივართ სპონსორებს. გახსნისას კი შეუდარებლად უკეთესი მდგომარეობა დაგვხვდა, ვიდრე იყო მანამდე. ჯერ კიდევ პასუხი არა გვაქვს, თუ რატომ მოხდა ეს. შესაძლებელია, მიზეზი ის იყოს, რომ თეატრი განახლდა რემონტის შემდეგ. იმასაც ვფიქრობ, რომ სარეკლამო დროის გაძვირების

გამო, ძალიან ბევრი კომპანია ვეღარ აკეთებს ტელერეკლამას. შესაბამისად, ისინი, ვისთვისაც სეგმენტი არის ხალხი, რომელიც დადის თეატრში, ადვილად მოდიან ჩვენთან თანამშრომლობაზე. მათთვის ეს მოსახერხებელია, რადგან იაფი უჯდებათ პატარა თეატრის სპექტაკლის დაფინანსება. თან შეგვიძლია განვათავსოთ ბანერი, სარეკლამო ლოგო, სარეკლამო რგოლი, რომელიც ტრიალებს ფოიეში ეკრანზე, ასევე შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ სპექტაკლის პარტნიორია, სეზონის სპონსორია და ა.შ. თუმცა ზუსტი პასუხი შეკითხვაზე, რატომ გამარტივდა სპონსორებთან ურთიერთობა, ჯერ მიჭირს.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზება?

- რა თქმა უნდა, გვაქვს.

- და როგორ მუშაობს ეს შემოთავაზებები?

- სხვადასხვანაირად, გააჩნია კომპანიას. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვმუშაობთ ნებისმიერ კომპანიასთან. ეს შეთავაზებები მორგებული არის სპონსორების სხვადასხვა სეგმენტზე. არის, ვთქვათ, სეზონის სპონსორი, რომელთანაც გაცილებით უფრო მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. არის ერთობლივი პროექტები, სპექტაკლის დაფინანსება. შეიძლება რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში ფასდაკლებები შევთავაზოთ ბილეთებზე. სხვადასხვანაირი მიდგომა გვაქვს სპონსორებთან. არის კიდევ პატარა კომპანიები, რომლებმაც შეიძლება რაღაც ერთჯერადად დაგვაფინანსონ. ვთქვათ, როგორც „სტარბაქსმა“, რომელიც არ არის პატარა კომპანია, მაგრამ საქართველოში ახლა იკიდებს ფეხს, საჩუქრები გაუკეთა მაყურებელს სეზონის გახსნაზე. ესეც პატარა პარტნიორული შეთანხმება იყო. თანამშრომლობის ძალიან ბევრი და სხვადასხვანაირი ვერსია არსებობს. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ილიაუნის თეატრი უნივერსიტეტის ნაწილია. ამიტომ თეატრი მოიცავს არა მარტო 134 მაყურებელს სპექტაკლზე, არამედ 14000 სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებლებს.

-რომელ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობთ ან აპირებთ თანამშრომლობას სპონსორობის თვალსაზრისით? თანამშრომლობაში არ ვგულისხმობ მარტო იმას, რომ ვიღაცას გაუწიოთ რეკლამა...

- მესმის, თქვენ სპონსორობას ფართო გაგებით გულისხმობთ. დაგისახელებთ, ვისთანაც გვიმუშავია. მაგალითად, გვიმუშავია ბაზის ბანკთან, რომელმაც თავიდან ბოლომდე დააფინანსა ერთ-ერთი სპექტაკლი, ანუ ყველაფრის ხარჯი გაიღო, ბუნებრივია, რაღაც ლიმიტების ფარგლებში. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა ჟურნალ-გაზეთებთან და ისინი საინფორმაციო პარტნიორები იყვნენ. აქ ფინანსური არაფერი არ იყო ჩართული, თუმცა ისინი ავრცელებდნენ ინფორმაციას, აფიშას. ახლა ასეთი აქტიური ურთიერთობა გვაქვს „My video.ge“-სთან, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური მედიაა საქართველოში. მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ძალიან გვეხმარება როგორც „My video.ge“-ს ფარგლებში, ისე მის გარეთაც. აქაც არ არის არანაირი ფინანსური შეთანხმება ჩართული. ასევე, მაგალითად, ამასწინათ ახალი სპექტაკლის დეკორაციისთვის რაღაცა დაგვჭირდა და ერთ-ერთმა სალონმა უსასყიდლოდ მოგვაწოდა სკამები და რაც გვჭირდებოდა დეკორაციისთვის.

„ჰეილიქს ჯგუფი“ არის სრულიად არაჩვეულებრივი კომპანია; მან დაამზადა ილიაუნის თეატრის საიტი, რომელიც ძალიან დიდი გემოვნებით და კარგად არის გაკეთებული. ვგეგმავთ და მიდის მოლაპარაკებები სხვადასხვა კომპანიას, ვთქვათ იმავე ერთობლივი პროექტების ფარგლებში. ამაზე ლაპარაკი არ მინდა იმიტომ, რომ ჯერ არ არის გადაწყვეტილი და ბოლომდე მიღებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრიც, რომელმაც არაერთი სპექტაკლი დაგვიფინანსა უკვე.

ასევე მაგალითად, წინა სეზონში „ჯეოსელთან“ გვქონდა ძალიან აქტიური ურთიერთობა. ჩვენ „ჯეოსელის“ ზუმკლუბის წევრებს ორ ბილეთს ვაძლევდით ერთის ფასად. ანუ 50% ფასდაკლება ჰქონდათ ორ ბილეთზე და ისინი სანაცვლოდ SMS-ს შეტყობინებებს უგზავნიდნენ ზუმკლუბის წევრებს, რომ სცოდნოდათ, რა სპექტაკლი გვაქვს. ასევე ქალაქში რამდენიმე დიდი ბილბორდი გამოაკრეს ამ პარტნიორობის ხაზგასასმელად. წელს ასეთივე პარტნიორობას ვგეგმავთ „მაგთისთან“.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად გვქონდა სტუდენტური აქცია „იარეთ თეატრში!“ ეს აქცია მარტო ჩვენს პოპულარიზაციას არ ეწეოდა. საერთოდ თეატრში სიარულის კულტურის აღდგენას ემსახურებოდა და ამ სტუდენტური აქციის ფარგლებში სრულიად უსასყიდლოდ პირველი არხი ექვსი თვის მანძილზე უშვებდა 20-წამიან სარეკლამო რგოლებს.

- რამდენად საიმედო, საქმიანი და ძლიერი პარტნიორია ილიაუნის თეატრი სპონსორებისთვის და რესურსი აქვს მას? როდესაც სთავაზობთ სასპონსორო შეთავაზებას, რა ძირითად კრიტერიუმებს ასახელებთ?

- ილიაუნის თეატრი, პირველ რიგში, ახალგაზრდული თეატრია. ანუ ჩვენთან ურთიერთობა უნდა აინტერესებდეს მას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდული სეგმენტი. ილიაუნის თეატრი არის განათლების ერთ-ერთი მნიოშვნელოვანი კერის ნაწილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ასევე არსებობს თეატრალური ხელოვნების პროგრამა, რომელიც მომავალ მსახიობებს, რეჟისორებს ზრდის. ასევე, როგორც იცით, არის მაინორ (მეორადი) პროგრამაც, ანუ როდესაც ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს აქვს მეორე სპეციალობა, ჩვენს შემთხვევაში სამსახიობო ხელოვნება. გვქონდა შემთხვევა, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანი სწავლობდა მეორად პროგრამაზე და ვურჩიეთ, რომ გადმოსულიყო და ძირითად სპეციალობად გაეხადა თეატრალური ხელოვნება. რაც მან გააკეთა და ახლა უკვე ერთ-ერთი ცნობილი თეატრის მსახიობია. ასევე, უნივერსიტეტში არსებული თეატრი კარგი მაყურებელის გაზრდისათვის არის მნიშვნელოვანი.

მოკლედ, ვისთვისაც ახალგაზრდული სეგმენტი მნიშვნელოვანია, მათთვის საინტერესო უნდა იყოს ჩვენთან თანამშრომლობა, რადგანაც ამდენი სტუდენტია გარშემო. ასევე არის სეგმენტი პროფესორ-

მასწავლებლებისა, რომლებიც აქტიურად დადიან ჩვენს სპექტაკლებზე. ჩვენს წარმოდგენებში დაკავებული არიან როგორც ახალგაზრდა, ისე ძალიან ცნობილი და გამოცდილი მსახიობები, რაც იზიდავს იმ ტიპის მაყურებელსაც, რომელსაც ცნობილი მსახიობის ნახვა უნდა სცენაზე. ამრიგად, ფართო აუდიტორიაა და სწორედ ეს არის საინტერესო სპონსორებისთვის.

– რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა, ადამიანთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- ორივეს ნიშნავს, მაგრამ, მე მგონი, უფრო ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას. იცით, გულწრფელად გეტყვით, კარგი სპექტაკლი შეიძლება 200 ლარითაც დადგა. ფინანსები ძალიან მნიშვნელოვანია თეატრისთვის, მაგრამ არასდროს არ განაპირობებს ხარისხს. ძირითადად ვიხრები იქითკენ, რომ ბევრი ფული არ განაპირობებს ხარისხიან წარმოდგენას. ამიტომ ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია.

– თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მოსულა თვითონ სპონსორი, რაღაცა შემოუთავაზებია და თქვენთვის ის პირობები მიუღებელი აღმოჩნდა და არ იყო საინტერესო?

- არა, ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ. ყოფილა, რომ ვიღაცა მოსულა ისეთი შეთავაზებით, რასაც ჩვენ ვერ გავაკეთებდით. თუმცა ყოველთვის ვცდილობთ ხოლმე, რომ მოვნახოთ საერთო ინტერესი ყოველ კონკრეტულ წინადადებაში.

– თუ გაქვთ შემუშავებული პარტნიორების მოძიების აქტიური გეგმა?

- დიახ, პირდაპირ გვაქვს ჩამოწერილი, ვისთან ვიმუშავებდით და ასე ნელ-ნელა მათთან ვკონტაქტობთ.

– ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს და რა დროის მონაკვეთზეა ის გათვლილი?

- ფანდრეიზინგის კულტურა საქართველოში კარგად განვითარებული ჯერ კიდევ მაინც ვერ არის. ჩვენ ვცდილობთ გავთვალოთ გრძელვადიან მონაკვეთზე, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე და იმიტომ, რომ არასტაბილური სიტუაციაა ქვეყანაში, ეს შეუძლებელია. მაგალითად, არჩევნების დროს ყველა ჩერდება. პირდაპირ ვიღებთ ხოლმე პასუხს, რომ ძალიან გვიყვარს თეატრი, ჩვენთვის ეს პატივია, მაგრამ...

– ის თანხები, რასაც იღებთ სახელმწიფოსგან, ანუ ამ შემთხვევაში უნივერსიტეტისგან, არის თუ არა საკმარისი ილიაუნის თეატრის შემოქმედებითი სტაბილურობისთვის ანუ შემოქმედებითი წინსვლისთვის?

- თანხები არასოდეს და არსად არ არის საკმარისი, ყოველთვის მეტი გინდა. სპექტაკლების დასაფინანსებლად თანხების გარედან მოძიება მაინც გვჭირდება ხოლმე და ამას უპრობლემოდ ვახერხებთ. ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. კონკრეტული პროექტების განხორციელებას არსებული ბიუჯეტით ყოველთვის ვახერხებთ.

– რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- პირველ რიგში, პროფესიონალიზმია საჭირო. ანუ უნდა ისწავლო, როგორ დაწერო პროექტი ხელოვნების სფეროში, ეს ერთი. უნდა ისწავლო როგორ მიაწოდო ეს პროექტი ადამიანს, კომპანიას ან ადამიანთა ჯგუფს კომპანიაში, რომელთანაც მიდიხარ. მე ვერ ვიტყვი, რომ პირადი ნაცნობობა ბევრ რამეს წყვეტდეს. ჩემთვის მესამე სეზონია ილიაუნის თეატრში, ძალიან ბევრ ხალხს ვიცნობ, მაგრამ ეს მაინცდამაინც გადამწყვეტი არასდროს არ არის. ანუ თუ კარგად დაწერილი და მოფიქრებული პროექტია და თუ ზუსტად იცი, რას აკეთებ და როგორ აკეთებ, თუ ზუსტად იცი, როგორ მიაწოდო ეს პროექტი პოტენციურ სპონსორს, აუცილებლად გამოვა. ზუსტი პროექტის დაწერა, ზუსტი ბიუჯეტის გაკეთება, რომ მერე ეს ბიუჯეტი გეყოს, როგორ დათვალო და როგორ დაწერო, ამას უბრალოდ ცოდნა უნდა. ეს პროფესიის ერთ-ერთი ნაწილია და საბედნიეროდ სწავლებადია.

– ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას ილიაუნის თეატრი?

- ერთი კონკრეტული პრობლემის გამოყოფა ძნელია. ჯერ ერთი, ახალი თეატრია. მართალია, ისტორია აქვს, თეატრალური სარდაფის ისტორია, მაგრამ მე მგონია, რომ ილიაუნის თეატრი თეატრალური სარდაფისგან ძალიან განსხვავებული თეატრია, განსხვავებული სპეციფიკა აქვს და მისიაც. ისტორიის პატივისცემა აუცილებელია და კარგია, თუ ამ ისტორიის გამოყენებას ისწავლი. კარგია, რომ ეს ტრადიცია არსებობს იმ ძველ მსახიობებში, რომლებიც ახალგაზრდებთან თამაშობენ. თუმცა, ილიაუნის თეატრი სამი წელია არსებობს, ახალია და თავისი ადგილის პოვნა უნდა. ეს პრობლემა არ არის, უფრო გამოწვევაა. წინ წასვლა, განვითარება და თავის ნიშაში წარმატება სჭირდება.

- როგორია თქვენი მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- უფრო ახალგაზრდები დადიან. თუმცა არის სპექტაკლები, რომლებსაც ვერ დავნიშნავთ კვირის განმავლობაში, რადგან მოდის ის ხალხი, რომელიც მუშაობს. ანუ ვიცი ერთი-ორი სპექტაკლი, რომლებზედაც არის აბსოლუტური ანშლაგი შაბათ-კვირას, მაგრამ ხუთშაბათს მაყურებელი არ ეყოლება არასდროს იმიტომ, რომ იქ ახალგაზრდები კი არა, ასაკში შესული ხალხი დადის.

– ანუ ეს არის პროფესიული სეგმენტი?

- არა, ასე ვერ ვიტყვი. რადგანაც უკვე გაიცნო ეს თეატრი ხალხმა, შესაბამისად, მაყურებლის მატება შესამჩნევია. წინა სეზონშიც აშკარა მატება იყო. ამ სეზონის ბოლოსკენ უკვე გვინდა, რომ სეგმენტის კვლევა დავიწყოთ. თუმცა, ხაზგასმით ვერ ვიტყვი, რომ ეს არის მაინცდამაინც სტუდენტი მაყურებელი. მე რომ სტუდენტი ვიყავი, როცა არ უნდა მისულიყავი თეატრში, სულ ახალგაზრდები ისხდნენ პარტერში. ახლა უფრო შერეულია. ახალგაზრდებს აშკარად ხელახლა უნდა ვასწავლოთ თეატრში სიარული.

- ამ სამი წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებული რომელი მარკეტინგული პროექტი გახსენდებათ?

- მარკეტინგულად წარმატებული პროექტები იყო „ინსტინქტი“, „არიქა დო ვარიქა“. ყველაზე წარმატებული სპონსორების სიმრავლის თვალსაზრისით იყო ბულგაკოვის „ივან ვასილიევიჩის“ გაქართულებული ვერსია, „სიზმრები სინანულისანი“. ასევე წარმატებული პროექტი იყო „ჯეოსელთან“ პარტნიორობა.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

- ყველა შესაძლო ხერხს ვიყენებთ, იქნება ეს სოციალური მედია თუ ტელევიზიებთან ურთიერთობა, „Myvideo.ge“-სთან გვაქვს აქტიური ურთიერთობა, ისინი ჩვენს კლიპებს ავრცელებენ. ასევე, კლასიკური აფიშების გაკვრა ქალაქში, აფიშა სხვადასხვა საიტზე. არსებობს, მაგალითად, ასეთი საიტი „Teatri.ge“, სადაც აფიშა ქვეყნდება.

- გმადლობთ.

საუბარი რეჟისორთან ოთარ ეგაძესთან

- ბოლო სამი წლის განმავლობაში ილიაუნის თეატრში რას თვლით ყველაზე მნიშვნელოვან შემოქმედებით გამარჯვებად?

- უბრალოდ, რომ არსებობს. ძალიან საინტერესო მოდელი გამოვიდა თეატრთან არსებული სასწავლებელი. მე მგონია, რომ ძალიან დიდი ხნის წინ იყო ასეთი მოდელი, რომელმაც გაამართლა და ასე შეიქმნა თეატრალური ინსტიტუტი რუსთაველის თეატრის გვერდით. ეს მოდელი, როგორც თქვენ ეძახით, გარდამავალ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მუშა მოდელი არის. გარდა იმისა, რომ შენ ზრდი, ასე ვთქვათ, თეატრის წარმატების ხარისხს, პარალელურად შენ ზრდი იმ კადრს, რომელიც შენთან ერთად იზრდება. პრაქტიკულად სულ გაქვს ახალი შემოდინებები და არა ხარ დამოკიდებული სუროგატულ პროდუქტზე.

- ილიაუნის თეატრი არის განსხვავებული სპეციფიკის თეატრი, პროფესიონალ არტისტებთან ერთად სტუდენტებიც მონაწილეობენ სპექტაკლში. ანუ როგორ მიმდინარეობს თეატრში სასწავლო პროცესი?

- მძიმედ იმიტომ, რომ ეჩვევიან ყველა სისაძაგლეს, იმ უბედურებას, რაც უნდა დახვდეთ წინ. ამიტომ უფრო მომზადებული და რეალურად განწყობილნი არიან თეატრის მიმართ და არა ვთქვათ, ზოგად წარმოდგენებში მცხოვრები, არაპრაქტიკოსი ადამიანები. ჩვენ კარგი პრაქტიკა გვაქვს, ის ბავშვები, რომლებიც საბოლოოდ ჩვენთან რჩებიან ანუ ვინც თამაშობს, ჯერჯერობით ცოტაა ასეთი, ისინი თითქმის ყველანი გადიან სცენის მემანქანის, დამდუღებლის, დურგლის, გამნათებლის სტადიებს და, რაც მთავარია, როცა უკვე სცენაზე დგებიან, იციან, რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღეს თეატრი თავის ინფრასტრუქტურით მათი შემოქმედებისთვის. ამასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ქმნის იმ პატივისცემას, რომელიც არის თეატრის მიმართ. ჩვენს თეატრს კარგი მოდელი აქვს. აქ მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ რეალურად მომავალი თეატრი ასეთი იქნება, სადაც არსებობს დირექტორი, ადამიანი, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ თეატრმა იფუნქციონიროს. მას ჰყავს ადმინისტრაცია და რაც მთავარია, ჰყავს ძალიან მაღალი კლასის ტექნიკური პერსონალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დანარჩენი თვითონ იკრიბება.

- კიდევ ერთი სპეციფიკა, რაც განასხვავებს ილიაუნის თეატრს სხვა თეატრებისგან. აქ სტუდენტებს იღებენ შემოქმედებითი ტურების გარეშე ეროვნული გამოცდებით. თქვენ ხომ თეატრალურშიც გიმუშავიათ და ჯგუფები გყავდათ. იქ თქვენ არჩევდით, აქ - არა. როგორ არჩევთ და მუშაობთ მათთან?

- პროფესორი რუსიკო მირცხულავა მეხმარება შემოქმედებითი ფსიქოლოგიის წარმართვაში. და ერთდაგვარად მე ჩემი გამოცდილებით, 18 წლიდან ვასწავლი. 32 წელია ვასწავლი სამსახიობო ხელოვნებას. 1979 წლიდან თითქმის ყველა სტატისტიკა მაქვს, გამორიცხულია, რომ ჩვენ ორი ტურის მეშვეობით გავარკვიოთ, ადამიანი ნიჭიერი არის თუ არა. იმიტომ, რომ გარდა მასხარაობის გარკვეული სურვილისა, კიდევ არის უამრავი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს არტისტს. ეს არის მოთმინება, ეს არის თავისუფალი დრო, ეს არის საკუთარი ინფრასტრუქტურის მოწყობა - ცოლი, ბავშვი - ეს ძალიან რთული პროცესებია. ვამბობთ ხოლმე, რომ არტისტი ყალიბდება. არტისტი გოგო ყალიბდება 32-33 წლის ასაკში, ბიჭი - 36, სანამ ჩამოაყალიბებენ თავიანთ ირგვლივ ინფრასტრუქტურას. ეს შეეხება შემოსავლებს, მეუღლეს, ბავშვებს, მათ კეთილმოწყობას. და აი მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა ადამიანი ხდება სრულიად მოცლილი თავის პროფესიისთვის, მერე შეიძლება ჩვენ ვილაპარაკოთ, ის არტისტი დადგება თუ არა. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, შემოქმედებით ტურს არანაირი აზრი არა აქვს იმიტომ, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ სურვილია, რომ იმასხარაო. ამ სურვილში ნუ შევუშლით ერთმანეთს ხელს. იქნებ არ გამომივიდა კარგი მასხარაობა, სხვა რაღაცას მაინც ვისწავლი. კიდევ მეორე პრობლემაა, როდესაც ჩვენ გარკვეულ არჩევანს ვაკეთებთ, როდესაც, მე ვეუბნები ჩემს მეუღლეს, რომ შენ ხარ ის ერთადერთი ქალი, რომელიც მეყვარება მთელი ცხოვრება ეს გარკვეული ვალდებულებების აღებაა. ამ ვალდებულებებს სჭირდება რეალიზაცია. ხანდახან ძალიან უნიჭო ადამიანთან გიხდება ძალიან დიდი ხნის მუშაობა იმის გამო, რომ შენ ვალდებულება აიღე. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი ტურების არქონის ლოგიკა.

- რა შეიძლება იყოს ილიაუნის თეატრში ყველაზე დიდი პრობლემა შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- შემოქმედება. ძალიან რთულია შემოქმედება იმ პერიოდში, როდესაც პრაქტიკულად არავის არაფერი არ სჭირდება. ძალიან ძნელია, როდესაც არ არსებობს თავისუფალი გრანტი, რომელზედაც შეგიძლია იოცნებო ან რაღაცა გააკეთო, რომ ეს გრანტი მოიპოვო. არ არსებობს არანაირი კრიტერიუმი კულტურული პოლიტიკისა. ბოლო ორ მთავრობას არ ჰქონია არანაირი პოლიტიკა კულტურაში გარდა იმისა, რომ ხელოვანმა ხალხმა არ იჩხუბოს. ჩემი აზრით, არანაირი კრიტერიუმი, არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება კულტურის თაობაზე არ არსებობს. კულტურა არის ძალდატანებითი ფაქტორი. გუშინ ფეისბუქზე ვნახე განაცხადი, რომ კარგია თეატრში სიარული. კარგი კი არა, ეს აუცილებელია. გერმანიის სამომხმარებლო კალათაში, რომელიც ძალიან მწირია, შედის თვეში ორჯერ თეატრში წასვლა. ისინი თვლიან, რომ ძალდატანებით უნდა მიიყვანო ბავშვი თოჯინების თეატრში, მოზარდში, შემდეგ უნდა მიიყვანო რუსთაველის თეატრში. ასეთი კულტურული პოლიტიკა ჩვენ არა გვაქვს. დღეს რაც ხდება, იგივე თუნდაც, შოუბიზნესთან დაკავშირებული, ეს ერთი და იგივე პრობლემაა იმიტომ, რომ ჩვენ პრაქტიკულად არ ვზრდით მაყურებელს იმისთვის, რომ მათი შემოქმედება მივაწოდოთ. ჩვენ არ ვიცით, რა არის კარგი, რა არის ცუდი. ჩვენ შეგვიძლია ისეთ თემებზე ვიმსჯელოთ, რომელთაც პრინციპულად ნებისმიერი ნორმალური თეატრმცოდნე დაანგრევს ორ წამში. თუნდაც, ორი ლოგიკური ჯაჭვის შედეგად. აი, ლოგიკურად რომ გადააბამ, გამოდის ცუდი, ან პირიქით. მაგრამ ჩვენ ამას მოკლებული ვართ იმიტომ, რომ ბავშვობიდან გვეუბნებიან, კარგია ის, რაც არ ვიცი, რა არის. და თუ არ ვიცი, რა არის ეს, მაშინ როგორ შეიძლება ვიცოდე ეს კარგია თუ ცუდია. მე ატონალური მუსიკა ძალიან მიყვარს, მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცი ჰაიდნის სკოლა მთლიანად. აქედან გამომდინარე მე შემიძლია შონბერგზე ვილაპარაკო წყნარად. როცა მე პირდაპირ შონბერგით ვიწყებ, ჩემთვის სრულიად გაუგებარი არის დანარჩენი იმიტომ, რომ შონბერგიც არ მესმის საუბედუროდ. ატონალური მუსიკის გასაგებად ტონალური მუსიკა უნდა იცოდე. და როცა რაღაცა საშინელებას უყურებ და გგონია, რომ ეს გენიალურია იმიტომ, რომ ვერ ხვდები, რა ხდება შიგნით, ეს უკვე ემსგავსება რაღაც სასაცილოს. ამიტომ შემოქმედება ძალიან რთულია. შემოქმედება არის კონკრეტული გამეორების საშუალება. ანუ ალბათ ისეთი კარგი რამე მოიგონა თავის დროზე ჰაიდნმა, რომ მისი გამეორება შესაძლებელია. მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს ძალიან ბევრი კომპოზიტორი გვყავს, რომელთაც ჰაიდნის გამეორება შეუძლიათ. ცუდად ვამბობ ამას. რომელსაც შეუძლია მეორედ იგივე სპექტაკლი დადგას, რომელსაც შეუძლია ჟანრის გარკვევა. ჟანრს ახლავს თავისი გარკვეული თვისებები, მახასიათებლები, რომელიც ამას აკმაყოფილებს, ან - არა. მაგალითად, უმბერტო ეკოს ნაწარმოები იმით არის კარგი, რომ ყველა თავისებურად გაიგებს როგორც ხაზარულ ლექსიკონს. ეს ყველასთვის არის. მაგრამ ნაწარმოები, რომლებიც განგებ არის არეული იმის გამო, რომ მე ვერ გადავაბა, ამას ხელოვნებას ვერ დავარქმევ. ჩვენ უფრო ეს მოგვწონს, უფრო ადვილი არის. ისე, ვერ შემეკამათები. როცა ვერ გეკამათები, შენ ძლიერი ხარ და მაშინ მე უბრალოდ არ მესმის. რახან არ გესმის, უკვე მე შენზე ძლიერი ვარ, რასაც მინდა ვაკეთებ. ამას ვამბობ, ანუ კულტურის პოლიტიკა ზუსტად ასეთია სრულიად განუსაზღვრელი კრიტერიუმით. იმიტომ მაფინანსებენ მეც და აფინანსებენ „რაღაცას“ კიდევ, რომელიც ვერანაირად ერთმანეთში ვერ შედის. ან მე არ უნდა მომცე ფული, ან - იმას. რასაკვირველია, თუ შენ ატარებ გარკვეულ კულტურულ პოლიტიკას. მეორეა, როცა მე მოვალ შენთან და გეტყვი, იცი, სპექტაკლის დადგმა მინდა და მომეცი ფული. ეს ჩემი და თქვენი პრივატული ურთიერთობა არის. ჩვენ ვრისკავთ. არის კიდევ სხვა რაღაცეები. კულტურის სამინისტროს ფული არ არის კულტურის სამინისტროს ფული. ეს არის ჩემი და თქვენი გადახდილი ფული იმისთვის, რომ ჩემი შვილი იქნება კულტურული, განათლებული. მას ეცოდინება, რატომ არის ეს მუსიკა ცუდი და ეს ავტორი კარგი, რატომ ვცემ პატივს პროფესორს და რატომ არ ვცემ პატივს პროფესორის ასისტენტს; ეს ხომ უნდა ვიცოდეთ. აქედან გამომდინარეობს თითქმის ყველაფერი დანარჩენი იმიტომ, რომ კულტურული პოლიტიკა ჩვენთვის გაუგებარი პრობლემაა. ამიტომ საფრანგეთის კულტურის სამინისტროში 19 კაცი მუშაობს, ჩვენთან - 1700 მარტო შტატში არის, დანარჩენი მიწვეული სპეციალისტი. 87 მილიონი დაიხარჯა გასულ წელს კულტურაში, ოღონდაც არ ვიცით, რა შედეგებია. რა ვქენით ჩვენ? წამოვწიეთ ქართული ფოლკლორი? შევქმენით ახალი ტექნოლოგიური ადგილები, სადაც შეიძლება ღირდეს რეალიზაცია? ჩვენ შევქმენით ახალი გამოკვლევები თეატრმცოდნეობაში? რა გავაკეთეთ? არ ვიცი. ძალიან დიდი ფულია, 49 თეატრზე რომ გადავანაწილოთ, იმიტომ რომ თეატრი არის ადგილი, სადაც 5 ხელოვნება იკრიბება. გერმანიაში პრიორიტეტი თეატრია. თუ თეატრი არის კარგი, ე.ი. შენ კარგი ლიტერატურა გაქვს, კარგი მწერლები გყავს პირველ რიგში, კარგი მუსიკოსები გყავს, კარგი მხატვრები, კარგი ქორეოგრაფები, ნუ ხანდახან არტისტებიც კი. ანუ ეს არის რაღაცა ამონაჟური მთელი ერის კულტურისა. თუ ასე ძალიან მარტივად ავიღებთ ,თითო თეატრს ერგო ორ-ორი მილიონი ციფრებში. ის გალერისტი არსებობს იმისთვის, რომ ვიღაც კარგი მხატვარი მოვიდეს და გამიფორმოს სპექტაკლი, რეალურად კულტურა ამაშია.

- კიდევ ერთი სპეციფიკაა თქვენთან, არა გყავთ მუდმივმოქმედი დასი.

- ამისთვის დიდი ხანია ვიბრძვი. ყველა ამბობს, რომ უფრო იოლი შესანახია მუდმივმოქმედი დასი. ამავდროულად მე ვალდებულებებს ვიხსნი.

- და როგორ არჩევთ მსახიობებს?

- როგორც სურვილიც მაქვს. ასევე მირჩევენ ისინიც. უნდათ ჩემთან მუშაობა, მუშაობენ, არ უნდათ, არ მუშაობენ. დამთავრებული ამბავია.

- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ გინდათ არტისტის მოწვევა, მაგრამ ვერ წვდებით?

- მქონია. ეს არის ურთიერთშეთანხმება. ჩვენ თავის დროზე ვიბრძოდით იმისთვის, რომ არტისტი გამხდარიყო თავისუფალი ხელოვანი, მათ არ უნდათ ჯერჯერობით თავისუფალი ხელოვნებით გართობა, თორემ ეს ნიშნავს, რომ თვითრეალიზაცია უნდა გააკეთო. მაგრამ ამას მეორე პრობლემა აქვს - თავისი თავის რეალიზებაში რაღაც შედეგი უნდა ჰქონდეს, მსახიობი მაინც უნდა იყო მაღალანაზღაურებადი სპეციალისტი. მე რომ დღეს გადავწყვიტო ხრუშჩოვკის ტიპის სახლის აშენება, დამჭირდება ერთი-ორი წელიწადი, რომ ეს ვალი გადავიხადო, ანუ ჩემს მუშაობას რეალურად მატერიალური შედეგი არა აქვს. აქედან გამომდინარე, ჩემთვის თვითორგანიზებას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გაზრდის თვალსაზრისით თუ გააკეთებ, თორემ რეალურად მატერიალურად არაფერი არ არის.

- და კიდევ ერთი დეტალი, ილიაუნის თეატრში რეჟისორის მუშაობისთვის აუცილებელი პირობაა, რომ პროფესიონალ მსახიობებთან ერთად დაკავებული უნდა იყოს სტუდენტი?

- არა. ვიღაცა გვჭირდება, ვიღაცა - არა. ჩემი ერთ-ერთი გამოშვება თეატრალურ ინსტიტუტში არის ნანკა კალატოზიშვილი, დათუნა გოცირიძე და... ძალიან მიყვარს ნანკა, მაგრამ 16 წლის აღარ არის. მე ძალიან მარტივად ვამბობ, ანუ პრინციპად ეს არ არის მიღებული.

- ანუ სრული თავისუფლებაა.

- თავისუფლება ჯერ ვერ არის იმიტომ, რომ საკუთარი თავის პატივისცემა უნდა გქონდეს. აქედან გამომდინარე, სრული თავისუფლება გექნება. გარკვეული კრიტერიუმები არსებობს არჩევის, თუნდაც პერსპექტივას გიქმნის, რომ მავანისგან გამოვა, ან არ გამოვა არტისტი. მაგრამ უნდა ვცადოთ, იქნებ აქ რაღაცაში გამოვიდეს, განუწყვეტლივ ამ კომპრომისზე მიდიხარ. თეატრი კომპრომისების ხელოვნებაა იმიტომ, რომ თუ ქორეოგრაფმა, მხატვარმა, მუსიკოსმა და თავად რეჟისორმა მარტო ის გააკეთა, რაც მას უნდა, ჩათვალეთ, რომ სპექტაკლი არ გამოვა. ეს არის კომპრომისების ხელოვნება, სადაც დრამატურგი არ კვდება იმის გამო, რომ მისი ორი სიტყვა მოჭრეს. მაგალითად, იმავე ნანკას, დათუნას, ზვიად სხირტლაძეს რომ არ ეთამაშათ თავის დროზე ზუკა პაპუაშვილთან და სკოლსკისთან (დავით გიგოლაშვილი) ერთად, ბაიკოსთან (დვალიშვილი) სარდაფში „ქვირითობაში“ თუნდაც, მერე „ინსტინქტში“, ისინი ალბათ სხვანაირად გაიზრდებოდნენ. ეს პრინციპი დიდი ხანია არსებობს. უბრალოდ ამას ახლა კანონიერი ძალა მიეცა. როგორც თავის დროზე მივიდა ახალი თაობა რუსთაველის თეატრში, ისინი ხომ ჩვეულებრივად მივიდნენ.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა




თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ?
N =111
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
56%
13%
20%
10%
1%
0%
არ მაქვს თავისუფალი დრო
შორს ვცხოვრობ
ვერ ვყიდულობ ბილეთს
არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
არ მიზიდავს თეატრი
თეატრში არაფერი ხდება


რისთვის მიდიხართ თეატრში?
N= 321
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
15%
33%
20%
31%
1%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვწახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების ნამუშევარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწონების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N = 607
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
14%
8%
4%
14%
12%
5%
3%
4%
3%
12%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
სოციური
სამაღლები
ფიზიკური თეატრი
მერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =413
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
6%
3%
31%
16%
2%
3%
23%
16%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით

რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეატრში?



რატომ მოხვედით დღეს თეატრში?




რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N=569
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
19%
13%
15%
17%
18%
9%
9%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ფანტაზიორ-ალეგორიულობითი მინაარსი
სარეჟისორო ამბავი
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =579
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
14%
9%
26%
12%
9%
8%
22%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით

თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?



რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?



უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები



თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?





რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ლევან წულაძე	77
რობერტ სტურუა	44
ოთარ ეგაძე	40
ავთანდილ ვარსიმაშვილი	17
გაბრიელ გოშაძე	16
თემურ ჩხეიძე	15
დათა თავაძე	5
დავით დოიაშვილი	5
ანდრო ენუქიძე	2
ზურა გეწაძე	2
ალექსანდრე ელოშვილი	2
გიორგი სავანელი	1
გოჩა კაპანაძე	1
გიზო ჟორდანია	1
ვანო ხუციშვილი	1
დავით ჭაბაშვილი	1
გიორგი ქავთარაძე	1

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებათა რაოდენობა**
ზურაბ ყიფშიძე	20
ნატა მურვანიძე	20
კახი კავსაძე	19
მაკა ძაგანია	18
ია სუხიტაშვილი	18
ბაჩო ჩაჩიბაია	10
დავით გიგოლაშვილი	7
ნანუკა ხუსკივაძე	6
ზუკა პაპუაშვილი	6
ნინო კასრაძე	6
კახაბრერ გოგიძე	5
რუსუდან ბოლქვაძე	5
გოგა ბარბაქაძე	5
გიორგი ყიფშიძე	4
მიხეილ გომიაშვილი	4
ქეთი ცხაკაია	4
ბაია დვალიშვილი	4
მიხეილ გომიაშვილი	3
რუსკა მაყაშვილი	3
მაია ხორნაული	3
ზაზა პაპუაშვილი	3
ნინელი ჭანკვეტაძე	3
გიორგი ჭუმბურიძე	3
არჩილ სოლოღაშვილი	3
დუტა სხირტლაძე	3
ნანკა კალატოზიშვილი	3
ჯაბა კილაძე	3
ჟანრი ლოლაშვილი	2
ლელა ალიბეგაშვილი	2
ლელა მებურიშვილი	2
კახა აბუაშვილი	2
გიორგი ბოჭორიშვილი	2
ბესო ზანგური	2
კახა კინწურაშვილი	2
გიორგი ნაკაშიძე	2
ნინო ბურდული	2
დავით გოცირიძე	1
ვასიკო ოდიშვილი	1
ნინო ჭოლაძე	1
ნიკუშა გიორგაძე	1
გურანდა გაბუნია	1
ნინო ლეჟავა	1
აპოლონ კუბლაშვილი	1
სანდრო მირიანაშვილი	1
მარინა კახიანი	1

ნანა ფაჩუაშვილი	1
სლავა ნათენაძე	1
მარლენ ეგუტია	1
თამთა ცინაძე	1
ანდრია ვაჭრიძე	1
გიორგი ბახუტაშვილი	1
დავით როინიშვილი	1
ნატა ბერეჟიანი	1
ეკა დემეტრაძე	1
გიორგი ნაკაშიძე	1
მარინე ჯანაშია	1
მარიამ ნადირაძე	1
ზურა ინგოროყვა	1
გაგი სვანიძე	1
დათო ხახიძე	1
ალეკო მახარობლიშვილი	1
გივი ბერიკაშვილი	1
ეკა კახიანი	1
მურმან ჯინორია	1
მალხაზ აბულაძე	1
თემო კვარაცხელია	1
მარინა ჯანაშია	1
მარინა კახიანი	1
დათო დარჩია	1
კახა მიქიაშვილი	1
კატო კალატოზიშვილი	1
ქეთა შათირიშვილი	1
თამარ სხირტლაძე	1

თეატრი ათონელზე

მოკლე ისტორია

ქართულ თეატრალურ სინამდვილეში დაიბადა კიდევ ერთი ახალი თეატრი. მან ბინა ძველი თბილისის ერთ-ერთ მყუდრო , თბილსურ ეზოში გიორგი ათონელის ქუჩაზე დაიდო და სწორედ აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც "თეატრი ათონელზე".

"თეატრი ათონელზე" ჯერ მხოლოდ ხუთიოდე წლისაა, ამ მოკლე ხანში მან მოახერხა უკვე თავისი ადგილის დაკავება და რაც მთავარია, თავისი სიტყვა თქვა.

თბილისის ძველ უბანში, ერთ ლამაზ ეზოში, შეიძლება ითქვას ნაგავსაყრელად ქცეულ, მიტოვებულ სივრცეს გამოუჩნდა ადამიანი, რომელსაც უყვარს თეატრი და დააარსა თეატრი.

"თეატრი ათონელზე" დამფუძნებელი ბ-ნი რეზო სალუქვაძე, შეიძლება ითქვას, თეატრზე შეყვარებული ადამიანია, მისივე სიტყვებიდან გამოდინარე – "ავად გავხდი თეატრით". აქედან გამომდინარე, შეუდგა თეატრალურ სამყაროში პატარა თეატრის ჩამოყალიბებას, და ასე 2003 წლის ზაფხულში დაიწყო პატარა კამერული თეატრის ისტორია

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიტოვებული, დანგრეული სივრცე თეატრად ყალიბდებოდა და 2004 წლის შემოდგომაზე დასრულდა რემონტი. თეატრი აღიჭურვა უახლოესი მუსიკალური და განათებების აპარატურით. ფართის სიმცირის მიუხედავად, მოხერხდა სამოცდათხუთმეტადგილიანი პარტერის, რვაადგილიანი ლიჟის და ათადგილიანი ბენუარის ლოჟის განთავსება. განსხვავებით სხვა პატარა თეატრებისგან, ჩვენი თეატრის ყოველი რიგი ერთი საფეხურით მაღლდება, მაყურებელს სპექტაკლის ყურება და თავისუფლად ხერხდება მისი სრული აღქმა უადვილდება.

თეატრის "თეატრი ათონელზე" დამფუძნებელი ბ-ნი რეზო სალუქვაძე პროფესიით ინჟინერ-მშენებელია და თეატრის დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა ასეთი ნაბიჯის გადადგმა – "ბავშვობის სურვილი განვახორციელე და შევქმენი თეატრი მსახიობებისათვის, ვისთვისაც თეატრი მთელი ცხოვრებაა". სწორედ ეს დიდი სიყვარული და რუდუნება იგრძნობა თეატრის ყველა კუთხეში. ამ თბილი გარემოს შექმნაში რიდან დაარსებისა ბ–ნ რეზოს გვერდით ედგა და უდგას ქალბატონი ნანა ფაჩუაშვილი. შოთა რუსტაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი და სხვადასხვა პრემიის ლაურეატი. ქალბატონი ნანა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია და იგი მართავს თეატრის მხატვრულ მხარეს, სწორედ მისი დაუღალავი შრომით განხორციელდა არაერთი საუკეთესო სპექტაკლს ხორცი შეასხა აქვე უნად აღინიშნოს, რომ თეატრს არ ჰყავს შტატიანი დასი. აქ მსახიობები და რეჟისორები მოწვევით მუშაობენ. ესეც ჩვენს თეატრს განასხვავებს თავისი შინაარსით სხვა თეატრებისგან. თავის პატარა სივრცეში თეატრი ძირითადად ახორციელებს მცირე ზომისა და მაშტაბების სპექტაკლებს. "თეატრი ათონელზე" როგორც თეატრი შედგა 2004 წელს და სწორედ აქედან იწყება ერთი პატარა თეატრის, ჯერჯერობით პატარა ისტორია.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - "თეატრი ათონელზე"
დაარსების წელი - 2004 წ.
თეატრის იურიდიული სტატუსი - თეატრი
დაქვემდებარება - ი/მ რევაზ სალუქვაძე .თეატრი კერძო "ანტრეპრიზა"
თეატრის ხელმძღვანელი პირები - სამხ. ხელმძ. ნანა ფაჩუაშვილი. დამფუძ. და მმართველი რევაზ სალუქვაძე
თეატრის ელ ფოსტა - t-atonelze@mail.ru
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - atonelith@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - http://teoteo.site.ge/
თეატრის მისამართი - გ. ათონელის ქ.№31

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - მუდმივი დასი არ არსებობს
შემოქმედებითი პერსონალი -1
ტექნიკური პერსონალი - 3
ადმინისტრაცია - 2

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 5250 ლარი
2012 წელი - 4530 ლარი
2013 წელი - 2300 ლარი

2011-2013 წლებში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი - 25 სპექტაკლი
2012 წელი – 22 სპექტაკლი
2013 წელი – 18 სპექტაკლი

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 – 1900 – 2000
2012 – 1000 – 1200
2013 – 500 – 7000

ბილეთის ფასი და ტარიფები - 5,7,10 ლარი. 5 ლარი-ბენუარის ლოჟა. 7 ლარი- პირველი რიგი და ლოჟა. დანარჩენი 10 ლარი.
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა?- 1000-დან 5000-მდე.
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? – 300ლარიდან – 3000 ლარამდე
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? – 300 ლარიდან – 500 ლარამდე
გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით-ქუთაისი, ფოთი.
ქვეყნის გარეთ-პარიზი, ედიმბურგი, ლონდონი.

გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში -არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში -დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება -დიახ

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის, თეატრალური საზოგადოებისგან გადაეცა პრემია ნანა ფაჩუაშვილს სპექტაკლში "დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!" რეჟისორი - ქეთი დოლიძე

2011-2013 წლების რეპერტუარი

"**სახურავი**", რეჟისორი - ნანუკა ხუსკივაძე, პიესის ავტორი – სანდრო კაკულია, მხატვარი – ზურა მიქელაძე, კომპოზიტორი-მუს. აფორმება – მიშა მდინარაძე. მსახიობები: გიორგი სვანიძე, კახა ახვლედიანი, ანი გრიგალაშვილი, ანი ტყებუჩავა, კახაბერ შარტავა, ზურა ჯავახია, ლევან ხვიჩია, ნიკა ყიფშიძე.

"**ცილინრდი**", რეჟისორი – მამუკა ლომაშვილი, პიესის ავტორი – ედუარდო დე ფილიპო, მხატვარი – ზაზა კეკიეშვილი, მუს. აფორმება – მამუკა ლომაშვილი, ქორეოგრაფი – თამუნა ნადარეიშვილი. მსახიობები: დავით გელაძე, მაია ლომიძე, ლიკა ოყროშიძე, პაატა ვახტანგიშვილი, გიორგი ხარაიშვილი, ზურა იაშვილი.

"**თაღლითები**", რეჟისორი – ხათუნა მილორავა, პიესის ავტორი – ვ. კრასნაგოროვი, "სიყვარული გონების დაკარგვამდე" მიხედვით. მუს. გაფორმება – დავით გოგინავა. მსახიობები: დავით გელაძე, ნიკა ყიფშიძე, მაია ლომიძე, მამუკა ლომაშვილი, ვეკო ბუჩუკური, ნინი არჩაია, ელენე გოგინავა.

"დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო", რეჟისორი – ქეთი დოლიძე, პიესის ავტორი – ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი, მხატვარი – შოთა გლურჯიძე, მუს. გაფორმება – ქეთი დოლიძე, ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე. მსახიობები: ნანა ფაჩუაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი, ნუგზარ რუხაძე.

"მაკროპულოსის საიდუმლო", რეჟისორი – ნინო ლიპარტიანი, პიესის ავტორი – კარლ ჩაპეკი, მხატვარი – ქეთი ნადირაძე, კომპოზიტორი და მუს. გაფორმება – მიშა მდინარაძე, კოსტიუმების მხატვარი – იკა ბობოხიძე. მსახიობები: ნანუკა ხუსკივაძე, დავით დარჩია, თემიკო ჭიჭინაძე, დავით გელაძე, ანი იმნაძე, დათო მაცაბერიძე, გიორგი გოგუაძე [ნიკო გომელაური].

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე -1
საგამოფენო სივრცე -1
საკონფერენციო დარბაზი - 0
ბუფეტი -1
წიგნის მაღაზია - 0
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - 0

ტექნიკური აღჭურვა
განათება
3 - მოძრავი "სკანერი"
6 - "ლედი"
12 – პარ.64.
1 – კვამლის აპარატი
1 – თოვლის აპარატი
3 – შტატივი (სამფეხა)

გახმოვანება
2 – მინი DDV , (გამაძლიერებელი).
2 – დინამიკი (წინ, თითო 450V)
2 – დინამიკი (უკან, თითო 450V)
1 – მიკროფორნი.
– შტატივი მიკროფონის.

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 88 ადგილი
პარტერი- 61 ადგილი, ლოჟა I -9 ადგილი, ლოჟა 8 ადგილი, ბენუარი -10 ადგილი

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე -8 მ
სცენის სიგანე - 7მ
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 7მ
იატაკიდან გამოყენებამდე - 5მ
სარკის სიგანე -6მ
სარკის სიმაღლე- 4მ
სცენის მარჯვენა ჯიბე -1მ
სცენის ამრცხენა ჯიბე -1,5მ
შტანგეტების რაოდენობა - 3 (ფიქსირებული)
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 1,5მ

საუბარი თეატრის მენეჯერთან თიკა სალუქვაძესთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?
- ჩემი აზრით, არ არსებობს. ერთი შემთხვევა გვქონდა, მამუკა ხაზარაძემ დააფინანსა სპექტაკლი „ემიგრანტები" და თვითონ გახლდათ პროდიუსერი.
- თქვენს თეატრს თუ აქვს სასპონსორი შეთავაზებების პაკეტი?
- დიახ, გვაქვს, მაგრამ კომპანიებს არაფერი არ აინტერესებთ.
- რომელ ადგილობრივ ან საერთაშორისო კომპანიებთან გითანამშრომლიათ თქვენი მოღვაწეობის განმავლობაში?
- მხოლოდ და მხოლოდ „თი ბი სი ბანკთან". ასევე ვთანამშრომლობთ კულტურის სამინისტროსა და მერიასთან.
- განიხილავთ თუ არა თეატრს ხანგრძლივ, საიმედო პარტნიორად ბიზნეს სექტორისთვის?
- ამ ეტაპზე, არა. თეატრის შემოსავალი, ასე ვთქვათ, ყველაფერი მიდის ხარჯებში. ჩვენ მარტო სპექტაკლებზე არ ვმუშაობთ, დარბაზს ვაქირავებთ იჯარით, რათა თავი შევინახოთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა საშტატო ერთეულია, სულ 5 ადამიანია დასაქმებული, ეს თანხა ძლივს გვყოფნის.
- თქვენი აზრით, სპონსორობა ეს არის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ურთიერთობა თუ ერთჯერადი?
-ვფიქრობ, რომ ეს არის ერთჯერადი ურთიერთობა. მიიტან პროექტს და დაგაფინანსებს ერთჯერადად. ჩვენ არ გვქონია ხანგრძლივი ურთიერთობის შემთხვევა სპონსორთან.
- თუ გქონიათ შემთხვევა, რომ სპონსორი მოსულა და თქვენ გითქვამთ უარი იმიტომ, რომ მისი შემოთავაზება არ ყოფილა თქვენთვის მისაღები?
- ასეთი შემთხვევა არ გვქონია. პირიქით, ჩვენ ვეძებთ სპონსორებს.
- თუ ახორციელებთ ფანდრეიზინგს და რა ვადებზეა ის გათვლილი?
- ჩვენ ძირითადად ვმუშაობთ კულტურის სამინისტროსთან და მერიასთან.
- ტექნიკური ან ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე მეტად რა პრობლემის წინაშე დგას თეატრი?
- ტექნიკური თვალსაზრისით, თეატრს პრობლემა არა აქვს, ყველაფერი - განათება, გახმოვანება -ნორმალურ დონეზეა.
- ერთადერთი, სადადგმო თანხების მოძიება ჭირს?

- გეთანხმებით. ძალიან გვიჭირს.

- მაყურებლის რა სეგმენტი დადის თეატრში და როგორია ამ მაყურებლის ასაკობრივი ზღვარი?

- გააჩნია სპექტაკლს. ახლა გვაქვს მაგალითად, საბავშვო სპექტაკლი და ვმუშაობთ სკოლებზე. როცა „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!"-ს ვთამაშობთ, უფრო დადის 50 წელზე მეტი ასაკის მაყურებელი. თინეიჯერები ჩვენს თეატრში არ მინახავს. მე მგონი, სტუდენტებს თეატრი ნაკლებად აინტერესებთ.

- რომელია თეატრში ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი ბოლო სამი წლის განმავლობაში?

- ქეთი დოლიძის „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!" ამ სპექტაკლით გვქონდა არაერთი წარმატებული გასტროლი პარიზში, ლონდონსა და ედინბურგში.

- როგორია თქვენს თეატრში მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

- ათონელის თეატრს აქვს თავისი ფეისბუქის გვერდი, გვაქვს რადიორეკლამები. სამწუხაროდ, სატელევიზიო რეკლამა ძვირია და ვერ ვახერხებთ. ასევე გვაქვს გაკრული აფიშები.

- თქვენ ხართ კერძო თეატრი, რომელსაც დაფინანსება არა აქვს სახელმწიფოსგან, როგორ მოახერხეთ რამოდენიმე გასტროლი საზღვარგარეთ?

- ჩვენ კინომსახიობთა თეატრთან ერთად ვიყავით ედინბურგის ფესტივალზე. საფრანგეთში გასტროლი - ეს იყო კერძო მიწვევა და ლონდონის კი - კულტურის სამინისტრომ დააფინანსა.

- წარმატებული იყო ეს გასტროლი?

- პარიზში იყო ანშლაგი. მაყურებლის ტევა არ იყო დარბაზში. ედინბურგში როგორც არის ხოლმე ფესტივალებზე, ძალიან ბევრი ხალხი არ იყო. გვქონდა ძალიან კარგი პრესა. მივიღეთ ოთხი ვარსკვლავი.

- გმადლობთ.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ნანა ფაჩუაშვილთან

- თქვენ პირველი დღიდანვე ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხართ. როგორ იქმნებოდა თეატრი ათონელზე?

- დიახ, პირველივე დღიდან. ენთუზიაზმით და იმედით ვიყავით სულ სამი ადამიანი, რეზო სალუქვაძე, გოჩა კაპანაძე და თქვენი მონა-მორჩილი, პრინციპში ამ სამმა ადამიანმა გადავწყვიტეთ, რომ აქ თეატრი შექმნილიყო. გოჩა კაპანაძის პირველი სპექტაკლი „მოჩვენებანი თეატრში" საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. ჰქონდა მომავალი, იცით, რისი, რომ ახალი ენერგიით და ახალი ძალით ყოფილიყო აღვსილი ახალი თეატრი. მერე, როგორც ყოველთვის, ბევრი გაუგებრობის გამო, ჩემი ძალიან დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ბატონი რეზოს და გოჩა კაპანაძის ურთიერთობა არ შედგა. ამიტომ მომავლის რწმენა თითქოს დაიკარგა, მაგრამ ჩემs ხასიათში არის ბრძოლისუნარიანობა და მე რეზოს ვუთხარი, რომ ეს თეატრი მაინც იარსებებდა. რა თქმა უნდა, ანტერპრიზის პრინციპით გვქონდა ეს თეატრი, მაგრამ გარკვეული ბირთვი მაინც წყვეტს ხოლმე, რა ძალა უნდა ჰყავდეს თეატრს. უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა თეატრი, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო ხარისხი. როგორც კი დაიშალა გოჩა კაპანაძის გუნდი, რუსთაველის თეატრში დაიწყო ხანგრძლივი რემონტი და ბატონი რობიკოც, რაღაც უცნაურია, მაგრამ თავისუფალი იყო. ჩვენი დასის მმართველის, დათო უფლისაშვილის სახელით, მან შემომითვალა, ნანას თუ უნდა, მისთვის რამეს დავდგამო. რა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა. ორი პიესა გამოგზავნა მარლენ დიტრიხზე. წავიკითხე და შემეშინდა კიდევაც, მაგრამ რისი უნდა შეგეშინდეს, როცა ასეთი რეჟისორია. შემხვედრი წინადადება შევთავაზე რობიკოს, ამ თეატრში მთავარი არ არის, რომ მე, ნანა ფაჩუაშვილმა ჩემი ბენეფისი გავიკეთო. მინდა, რომ ამ თეატრში ახალგაზრდები მოვიდნენ და იყოს ახალგაზრდული თეატრი. და ვინაიდან შენ ახლა ქასთინგი გქონდა და აარჩიე ახალგაზრდები, ჩამოიყვანე ჩემთან. მე ჩემs საქმეს ვიწყობდი, მთავარი იყო, შექმნილიყო რაღაცა გუნდივით, რომელსაც თავისი მოყვარულები ეყოლებოდა და თეატრი იარსებებდა ახალგაზრდა სისხლით. ამაზე მითხრა, რომ შენ პიესა არ მოგეწონაო. პიესა არ მომეწონა კი არადა, დღემდე მაქვს გულში, მაგრამ ჩემთვის, როგორც ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის, სჯობდა, რომ თეატრს ეარსება. მე მგონი, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. შევთავაზე, რომ დაეწყო სპექტაკლზე მუშაობა ამ ახალგაზრდებთან და რობიკომ იქვე მითხრა, თუ კარგი გამომივიდა, რუსთაველის თეატრში წავიღებო. დაიწყო რეპეტიციები. რომ მოვდიოდი, ვხედავდი, რა ენერგიას ხარჯავდა, როგორ უნდოდა სპექტაკლი შემდგარიყო. როგორ ასწავლიდა ბესო ზანგურს, გოგა ბარბაქაძეს, გაგა სვანიძეს, ახალგაზრდა ბიჭებს და გოგოებს, ინსტიტუტიდან რომ ჩამოვიდნენ ათონელის თეატრში. 4 თვის შემდეგ რობიკომ მითხრა, ნანა არ გეწყინოს, სპექტაკლი უნდა წავიღო რუსთაველის თეატრში და პრემიერა იქ ვითამაშოო. და დარჩა ჩემი თეატრი ისევ ცარიელი, არც მე მქონდა ბენეფისი და არც მინდოდა. ხარ სამხატვრო ხელმძღვანელი და მოიწყო შენი ზეიმი, ეს ეგოიზმის უმაღლესი მწვერვალია, ცოტას კი ვნანობ. ერთი კარგი როლი შემრჩებოდა. როგორი იყო, იცით, მარლენ დიტრიხი სიბერეში, როდესაც უკვე ჩაიკეტა სახლში და არავის არ უშვებდა. მოკლედ - მარლენ დიტრიხი, რომ არავის არ უნახავს ისეთი. ძალიან მინდოდა და ვნანობ კიდევაც. მაგრამ ჩემი საქციელი სწორი იყო. წაიღო რობიკომ ეს და დარჩა ისევ თეატრი ცარიელი. კარგი რეჟისორის მოყვანა გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული, რომელიც ჩვენ არ გვქონდა. მოკლედ, ასე თუ ისე, მოვიწვიეთ ანდრო ენუქიძე, ირაკლი აფაქიძე თვითონ მოვიდა წინადადებით და არაჩვეულებრივი სპექტაკლი „ემიგრანტები" დადგა. რობიკომ მირჩია, ექსპერიმენტები ჩაატარეო. დავუჯერე და ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა. მაგრამ ძალიან ძნელია, რომ აღმოაჩინო ტალანტი, ბედიც უნდა გქონდეს. აღმოაჩენ და სხვაგან წავა.

- ჰქონდა თუ არა თქვენს თეატრს გასტროლები ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

- დიახ, გასტროლებზე გახლდით ამერიკაში, პარიზში, ედინბურგსა და ლონდონში ქეთი დოლიძის სპექტაკლით „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“.

- როგორი გამოძახილი გქონდათ?

- იცით, მე ვიტყოდი, რომ პარიზში უფრო მეტი ქართველია და უფრო მეტად მგრძნობიარე, ვიდრე ლონდონში. ეს ჩემი პირადი შეგრძნებაა. პარიზში სამივე სპექტაკლზე ბილეთები გაქრა. იმდენად გულთან მიიტანეს, კარებიც ღია იყო. მინდა აღვნიშნო და არც არის დასამალი, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ძალიან დიდი ქართველობა გამოიჩინა, მისი და რამაზ იოსელიანის დამსახურებაა ეს გასტროლი. ირაკლი ოქრუაშვილმა ქართველ ემიგრანტებს დაურიგა ბილეთები. სხვათა შორის, რამაზ იოსელიანს უთხრა, თუ გინდა, პირადად შენ დაგეხმარები, თუ გინდა, თეატრისთვის გავაკეთებ რამესო და რამაზს უთქვამს, თეატრს გაუკეთე რამეო. მე ვაფასებ ამას. საელჩოდან მოვიდნენ, მაგრამ შეზღუდულად, ელჩი არ მოვიდა, მოადგილეები არ მოვიდნენ, ვინაიდან ოქრუაშვილმა დააფინანსა. მაგრამ მაინც ძალიან ბევრი ქართველი მოვიდა. სპექტაკლის თემაა ემიგრაციაზე და ამიტომ ეტკინათ, ბოლო სპექტაკლზე კი საერთოდ კარი ღია იყო. ქუჩაში იდგა მაყურებელი და იქიდან უსმენდა.

- ათონელის თეატრის ისტორიაში შემოქმედებითი წარმატების თვალსაზრისით რომელ პერიოდს ან მოვლენას გამოჰყოფდით?

- ყოველთვის იყო წარმატება და აღმოჩენა. სამსახიობო შეფასებით გამოვყოფდი სპექტაკლს „ემიგრანტები“ იმიტომ, რომ ორი მართლაც კარგი მსახიობი იდგა სცენაზე. რეჟისორული თვალსაზრისითაც არ იყო იოლი დასადგმელი. ჩვენი თეატრი პატარა თბილი სახლია, თბილი სარეპეტიციო ადგილი, კარგი რამ შეიძლება გაკეთდეს მსახიობებისთვის და ეს ხელისშეწყობაც მე მგონი კარგია, როდესაც მსახიობი კომფორტულად გრძნობს თავს. ეს სპექტაკლი გამოვიდა ორივე პლანში, რეჟისორიც და მსახიობებიც არაჩვეულებრივად მუშაობდნენ.

- რომელ სპექტაკლს ჰყავდა ყველაზე მეტი მაყურებელი?

- „ემიგრანტებს“.

- „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანოს“ არა?

- მე იქ ვთამაშობ და სუბიექტური ვიქნები. ამ სპექტაკლით ჩვენ ბაქოში გვაქვს მიწვევა.

- რა პრობლემის წინაშე დგას შემოქმედებითად ათონელის თეატრი?

- ყოველთვის და ყველგან საჭიროა ფინანსები და მით უფრო თეატრში. თეატრი არ არის მომგებიანი. რაც არ უნდა ბევრი მაყურებელი ჰყავდეს, პატარა დარბაზია. თავად მსახიობებსაც უნდათ შრომის საზღაური. თან სპექტაკლი თვითონ ჯდება საკმარისზე მეტი. ჩვენ თეატრს აფინანსებს კერძო პირი და ამდენი წელიწადია რეზო სალუქვაძის ასეთი დამოკიდებულებით, ასეთი სიყვარულით არსებობს და როგორ არსებობს, მე ვერ გეტყვით.

- რა კრიტერიუმებით ირჩევთ მოწვეულ რეჟისორებს?

- ეს ჩემი გადაწყვეტილებაა, თუ ნორმალური რეჟისორი მოვა თვითდაფინანსებით, მე თანხმობას ვაძლევ. მაგრამ ეს იშვიათია.

- ბუნებრივია, დასიც არ არსებობს?

- არა, დასი არ არსებობს.

სტილიზებული ფოლკლორული თეატრი „ნაბადი“

მოკლე ისტორია

„ნაბადი“ არის ფოლკლორული თეატრი, რომელიც დაარსდა 2004 წელს. ეს არის თეატრი სიმღერითა და პლასტიკით თანამედროვე და ტრადიციული ფორმების შეხამებით. ეს არის ჩამონათვალი, რა თემებზეც დგამენ „ნაბადში“ სპექტაკლებს: საქართველოს კულტურა, ტრადიცია, ისტორია, ციტატები მითოლოგიიდან, ბიბლიიდან, ადამი და ევადან მოყოლებული დღემდე ის დასამახსოვრებელი მოვლენები, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელობით მიიპყრო კაცობრიობის ყურადღება, ქალღმერთი დალის თემა, ამირანოლოგია საქართველოში. კოლხურ ელინური ცივილიზაციის ურთიერთობა, სიყვარულის თემა, ომიანობა, სახალხო დღესასწაულები, ბერიკაობა. ასევე ქართული სუფრის და ღვინის თემა და სხვა. თეატრი „ნაბადი“ 5 წლისაა. ნინო ტურაბელიძეს ამ თეატრის დაარსებით უნდა, რომ საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს არა მარტო ქართულ სუფრაზე ჰქონდეთ წარმოდგენა, არამედ ქართულ კულტურაზეც. მისი თქმით: “ძალიან კარგი იქნება, თუ უცხოელ სტუმრებს და არა მარტო მათ ექნებათ წარმოდგენა და ცოდნა ქართული ფოლკლორის შესახებ. ჩვენზე რაც არის დამოკიდებული კი, რაც შეეხება ქართულს - ჩვენი ჯიშის, ჯილაგის და გენისას ყველაფერს წარმოვაჩენთ“.

რატომ ნაბადი? - ნაბადი ეროვნული სამოსის სახელია, ამავდროულად ნიშნავს დაბადებას, ნაშობს. ჩვენთან ამ სიტყვას დიდი დატვირთვა აქვს, რადგან პირველად დაიბადა ასეთი თეატრი საქართველოში. ამიტომაც ეწოდა „ნაბადი“, ანუ ნაშობი. შავი და თეთრი ნაბდები ფართო დატვირთვით გვაქვს გამოყენებული.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - სტილიზებული ფოლკლორის თეატრი „ნაბადი“
დაარსების წელი - 2004 წლის 18 სექტემბერი
თეატრის იურიდიული სტატუსი - შპს
დაქვემდებარება - კერძო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - დირექტორი ალექსანდრე ნაკაიძე, სამხატვრ ხელმძღვანელი - ნინო ტურაბელიძე
თეატრის ელ ფოსტა - nabaditheatre@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - nabadi.ge
თეატრის მისამართი - რუსთაველის 19

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა 16
შემოქმედებითი პერსონალი 20
ტექნიკური პერსონალი 1
ადმინისტრაცია 4

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 42 307 ლარი
2012 წელი - 11 445 ლარი
2013 წელი - 36 432 ლარი

ბილეთის ფასი და ტარიფები
პირველი კატეგორია - 68 ლარი
მეორე კატეგორია - 45 ლარი
მესამე კატეგორია - 35 ლარი
ბავშვები - 10 ლარი
სტუდენტი - 20 ლარი

გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - არა
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - არა
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - არა
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - არა
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 18 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 35 წლის (მუსიკოს-შემსრულებელი, გარმონი)

„**დაბადება**“ - ნინო ტურაბელიძე-რეჟისორი, ქორეოგრაფი
ტატა ნაკანი, ელენე გოგელა, ელენე შავიშვილი, თიკა ტყეშელაშვილი, გიორგი გულისაშვილი, პაპუნა იმნაძე, გიორი კაპანაძე, შოთა უტურაშვილი, გიორგი ბუაჩიძე, დავით ხუნაშვილი, ეთერ შაიშმელაშვილი, გიორგი გოგიჩაიშვილი, გიორგი ნათაძე.

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - საპრეზენტაციო
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - არა

ტექნიკური აღჭურვა
განათება - სკანერი, განათების პულტი, თოვლის აპარატი, ბოლის აპარატი
გახმოვანება - პულტი, მიკროფონები, დინამიკი 1

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით 30-40 ადგილი

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე 6მ.
სცენის სიგანე 4მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3მ.
სცენის წრის დიამეტრი 4 მ.

საუბარი თეატრის დამაარსებელთან და ხელმძღვანელთან ნინო ტურაბელიძესთან

- როგორ დაარსდა თეატრი „ნაბადი“?

- 20 წელი ვიყავი სუხიშვილების ერთ-ერთი სოლისტი. ჩემი მოგზაურობის დროს არაერთხელ შემხვედრია საქართველოში მყოფი უცხოელი, რომელმაც ვერ შეძლო მოკლევადიანი ვიზიტის გამო ჩვენს კულტურას ზიარებოდა. ჩემი მიზანი და ალბათ დიდი ხნის ოცნებაც იყო, დამეარსებინა ისეთი ადგილი, მყუდრო გარემო, სადაც საქართველოში სტუმრად ჩამოსული უცხოელი, თუნდაც ორიოდე დღით ნახავდა და გაეცნობოდა ჩვენს კულტურას. ვინაიდან მე თვითონ ვემსახურებოდი ფოლკლორის ისეთ ჟანრს, როგორიც არის ქორეოგრაფია, გადავწყვიტე, პლასტიკის ენაზე, ანუ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის ენაზე მომეყოლა ისტორიიდან, მითოლოგიიდან და ბიბლიიდანაც კი ციტატები. გავკადნიერდით. ჩვენი ისტორია ძალიან დიდია და გრძელი, საათნახევარში გაჭირდებოდა ყველაფრის გადმოცემა. ამიტომ ავიღეთ ის ეტაპები, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ისტორიისთვის. რა თქმა უნდა, ამას მარტო ვერ გავაკეთებდი. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაიზიარეს ჩემი პროექტი და მხარში ამომიდგნენ როგორც ფინანსური, ასევე შენობის, ადგილმდებარეობის მხრივ. წელს საიუბილეო 10 წელი გვისრულდება. თეატრს აქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი სპექტაკლი, რომელიც მოიცავს ადამ და ევადან პერიოდს, ჩართულია ქალღმერთები და ამირანოლოგია და ასე ნელ-ნელა, ციტატ-ციტატ ვყვებით საქართველოს ისტორიას პლასტიკის ენაზე. ამ 10 წლის განმავლობაში ეს სპექტაკლი შედგა იმიტომ, რომ ამ წლების განმავლობაში გვყავს უცხოელი მაყურებელი, რომელსაც ხშირად უწევს სამუშაო ვიზიტით ჩამოსვლა საქართველოში, ზოგიერთი მათგანი 18-ჯერ ყოფილა. რთულია თქვა, რომ 18-ჯერ შეიძლება ერთი სპექტაკლი ნახო, მაგრამ იმდენად მსუბუქია, ალბათ თეატრალურად იმდენად ლამაზია, რომ მოსწონთ, მოდიან და ნახულობენ. ამ ათი წლის მანძილზე თეატრი მასპინძლობს ქართველ და რა თქმა უნდა, ძირითადად უცხოელ მაყურებელს, რომ გაეცნონ და ნახონ ჩვენი კულტურა, შესაძლებლობა აქვთ გაიგონ, რანი ვიყავით ქართველები და რანი ვართ. თუმცა, მომდევნო ეტაპზე ომის პერიოდში, აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს დავდგით სპექტაკლი. რეჟისორად მოწვეული გვყავდა რეზო შატაკიშვილი ანუ დრამატურგია და პლასტიკა ერთად, ძალიან მძიმე გამოვიდა სპექტაკლი იმიტომ, რომ ომს ეხებოდა და ძალიან რთული, მძიმე საყურებელი იყო. ეს არ იყო მარტო რომელიმე კონკრეტული ომი, იწყებოდა ზეზვადან და მზიადან და ასახული იყო ის საშინელება, რაც ომმა შეიძლება მოიტანოს. გარეთ მძიმე ყოფა, შიგნით თეატრშიც მძიმე ყოფა და გადავწყვიტე, სპექტაკლი მომეხსნა. ეს სპექტაკლი ალბათ უფრო მშვიდ ატმოსფეროში უნდა ანახო მაყურებელს, სადაც ამ ემოციას არ განიცდი შენ თვითონ იმ წუთას. თეატრთან არსებობს ბავშვთა სტუდიაც. ბავშვებისთვის გვაქვს პატარ-პატარა სპექტაკლები

საახალწლო, სიყვარულის თემაზე, მაგრამ ეს არ არის კომერციული სპექტაკლები. განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისთვის, რათა ჩვენი შვილები ვაზიაროთ თეატრს, თვითონ იყვნენ თანამონაწილენი ამ პროცესისა და ნელ-ნელა შეეჩვიონ სცენას.

– ანუ ეს იყო მხოლოდ სტუდიის ბავშვებისთვის შექმნილი სპექტაკლი?

- დიახ, ეს არ იყო კომერციული პროექტი. ბილეთები არ იყიდებოდა. ეს იყო უბრალოდ პატარა სპექტაკლი, სადაც თვითონ სტუდიის აღსაზრდელებიც იღებენ მონაწილეობას ანუ ეგუებიან, ასე ვთქვათ, თეატრს. რაც შეეხება თეატრის მუშაობას, ჩვენ განვსხვავდებით საქართველოში მყოფი ყველა თეატრისგან. თუნდაც მარკეტინგის, მენეჯმენტის მხრივ, ცოტა სხვანაირი მიდგომები გვაქვს. ჩვენ სახალხო დღესასწაულებში ვიღებთ ინტენსიურად მონაწილეობას, ანუ 2005 წლის ახალი წლის საღამო გააფორმა ჩვენმა თეატრმა მთავარ მოედანზე ძველი მერიის წინ. არტგენის ფესტივალები ბათუმში და ასე შემდეგ. ქუთაისში გვქონდა წარმოდგენები. თუ ჩვენამდე ვერ ახერხებს მაყურებელი მოსვლას, ჩვენ მივდივართ მაყურებლამდე. ასევე გვაქვს სხვადასხვა საკონცერტო ვერსიებიც, სადაც ძალიან ხშირად სხვადასხვა დაგეგმილ ღონისძიებში აქტიურად ვმონაწილეობთ. აი ეს არის მოკლედ, რაც შემიძლია თეატრის შესახებ გითხრათ.

– მარკეტინგი ახსენეთ და უცებ გამიჩნდა ასეთი შეკითხვა, რომ დღეს ძალიან რთულია თქვენი ფინანსებით იარსებოთ. ალბათ ამ საქმეში გეხმარებიან სხვადასხვა ადამიანები, ესენი იქნებიან თქვენი მეგობრები თუ სპონსორები. ორიოდე სიტყვით გვიამბეთ, როგორ ახერხებს თეატრი ფინასნების მოძიებას და ფუნქციონირებას?

- სამწუხაროდ, ამ ათი წლის მანძილზე ჩვენი მაყურებელი ძალიან ხშირად სამთავრობო ორგანიზაციები და მათი სტუმრები არიან. ჩვენთან ნებისმიერი შემომსვლელი, დაწყებული პრეზიდენტიდან, მათი მეუღლეები და დამთავრებული თანამდებობის პირებით, როდესაც ნახულობენ ამ სპექტაკლს, უამრავ დახმარებას გვპირდებიან. ეს არის ერთადერთი თეატრი, რომელიც ასეთ კულტურას ემსახურება ძალიან მაღალ დონეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არავინ არ გვეხმარება. სამი წლის წინ ვიყავი კულტურის სამინისტროში, გვქონდა ამ თემაზე საუბარი, რომ ეს კერძო შენობაა და იჯარით ვართ, რა თქმა უნდა, მეპატრონე ჩვენ არ გვახდევინებს ძალიან ძვირს, რომ თეატრმა იარსებოს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან რთულია თეატრი შევინახოთ, ასე ვთქვათ, საკუთარი მხრებით, აი აქ მოღვაწე ადამიანებმა. ბავშვთა სტუდია გვეხმარება, რომ ელემენტარულად კომუნალურ ხარჯებს მაინც ავცდეთ. ჩათვალეთ, რომ ამ ათი წლის განმავლობაში დილიდან საღამომდე შრომის შედეგად ვინახავთ ამ თეატრს. მიუხედავად უამრავი ადამიანის დაპირებისა, სამწუხაროდ, ჩვენ დამხმარე არავინ არ გვყავს. სიმართლე გითხრათ, ბევრი პირადად მე მადანაშაულებს ამაში, რომ მე არ შემიძლია მივიდე ვინმესთან და რამე ვთხოვო. იცით, ისინი აქ მოდიან, ხედავენ, მპირდებიან. მე ვერავისთან ვერ მივალ და ვერ დავუწყებ თხოვნას, ამას ნამდვილად ვერ გავაკეთებ. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი დასისთვისაც მაქვს ნათქვამი მე, რასაც შემიძლია, გავაკეთებ. თუ ვინმე შემოგვეხიდება, ძალიან მადლიერი ვიქნები და მადლობას მარტო სიტყვებით არ გამოვხატავთ, ანუ შეგვიძლია ძალიან ბევრი რამ გავაკეთოთ მადლობის სათქმელად, ეს იქნება რეკლამა, პიარი თუ სხვა რამ. თეატრი მონაწილეობას იღებს არაერთ საქველმოქმედო აქციაში, სადაც არ არის ფინანსები. ორ თვეში ერთხელ ჩემი ბავშვები აგროვებენ ტანისამოსს, საკვებს და ვეხმარებით ბავშვთა სახლებს, ვმართავთ კონცერტებს, მაგრამ ჩვენ ამით პიარს არ ვიკეთებთ. თბილისში ყველა შადრევანი ჩვენი გახსნილია, ღვინის დაწურვაზეც ჩვენ მოვაწყვეთ ღონისძიება და ასევე პირველებმა გავაკეთეთ ღონისძiება სამების საკათედრო ტაძარში. აღარ დავწვრილმანდები და მოვყვები. ჩვენ სანამ ცოცხლები ვართ ჩემს შემოქმედებით დასთან ერთად, რა თქმა უნდა, მე ამას მარტო ვერ გავაკეთებ, ვიმუშავებთ დილიდან ღამემდე, რომ თეატრმა იარსებოს; ალბათ ადრე თუ გვიან გამოჩნდებიან ის ადამიანები და ეყოფათ კეთილგონიერება, რომ ამ თეატრს დაუდგნენ მხარში და თუნდაც ახალი სპექტაკლი შევქმნათ. ჩვენ ამისთვის დიდი ხანია მზად ვართ. თუმცა პატარ-პატარა პროექტებს დიდი ფინანსები არ სჭირდება და ჩვენი სახსრებითაც ვწვდებით ამას.

– თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში სპონსორობის კულტურა?

- მე სუხიშვილებში ვიყავი და ეს არასდროს არ მაღელვებდა და არ მეხებოდა. მაგრამ როდესაც მე ამ თეატრს შევეჭიდე, მქონდა ძალიან ბევრთან ამ თემაზე საუბარი. სამწუხაროდ, მეცენატები არ არიან საქართველოში. ნუ ეწყინებათ, ძალიან მინდა სწორად გაიგონ იმიტომ, რომ სარაჯიშვილები საქართველოში ნაკლებად არიან. ხელოვან ხალხს ეხმარებოდა ბადრი პატარკაციშვილი, იგივე ბიძინა ივანიშვილი და არიან ალბათ სხვა ბიზნესმენებიც, რომლებიც ეხმარებიან, მაგრამ ჩვენთან ნაკლებად გამოჩნდა ეს სურვილი და ერთი-ორი პატარა პროექტი შეიძლება გამოვყოთ, ისიც ბარტერული გაცვლის სანაცვლოდ. თუმცა მსმენია, რომ თუ რამეს დაგიფინანსებენ, ათმაგს ითხოვენ შენგან. ამიტომ ვარ მშვიდად. თუ ვინმე მართლა ქველმოქმედებას გააკეთებს, ხომ კარგი, ვინაიდან ეს თეატრი არ არის ნინოს თეატრი, ეს თეატრი არის ყველასი და აქ ყველა შემომსვლელმა იცის, რომ თეატრის დახმარებით ისევ თავიანთი შვილების საქმეს გააკეთებენ იმიტომ, რომ აქ ყველაფერი არის წმინდა ქართული. პატრიარქმა და არა ერთმა მოძღვარმაც გვითხრა, რომ ეს არ არის თეატრი, ეს არის ნამდვილი სახლი. თეატრი ის არის, რაც გარეთ ცხოვრებაში ხდება. რაც ამ თეატრში ხდება, ეს არის ჩვენი მე, ჩვენი მრწამსი, და თუ გამოჩნდება ვინმე, დიდი სიამოვნებით დავიხმართ.

– საერთაშორისო ასპარეზზე თუ გიცდიათ გასვლა?

- დიახ. ჩვენ სპექტაკლში გვაქვს ღვინის თემა, სადაც არის აღწერილი საქართველოში როგორ ზეიმობენ ლხინს. ამიტომ ღვინის კომპანიებთან ერთად გვქონდა გასვლა ყაზახეთში ღვინის პრეზენტაციაზე, რადგანაც თემატურად ძალიან ესადაგებოდა ერთმანეთს. რამოდენიმე წლის წინ ასევე ვიყავით ლიტვაში

საელჩოს მიწვევით. იქ წარმოვადგინეთ სპექტაკლი, ასევე ვიყავით გერმანიაში, კერძოდ ლაიფციგში, სადაც წარმატებით ვითამაშეთ ოთხი სპექტაკლი და ასევე ჩავატარეთ საქართველოს კულტურის დღეები, წაღებული გვქონდა ქართული პროდუქცია, თექის თოჯინები და ხელნაკეთი ნივთები. ძალიან კარგად მიგვიღო გერმანელმა მაყურებელმა. შემდეგ, ბადენ-ბადენის მერმა მიმიწვია და დიდი სურვილი ჰქონდა, იქ გვეთამაშა სპექტაკლი ულამაზეს რკინის თეატრში, დაგვეგეგმა მთელი ერთთვიანი გასტროლი, ვინაიდან ეს ადგილი ზაფხულში ტურიზმის ცენტრია და უამრავი მაყურებელი გვეყოლებოდა. მათ ასევე უნდოდათ თბილისთან დამმობლება. იქიდან რომ დავბრუნდი, უკვე მოხდა ის, რაც მოხდა აგვისტოში. ამ მოვლენების შემდეგ რატომღაც ეს კომუნიკაცია დაიკარგა, ჩვენ შორის ვინც იდგა, ის ადამიანიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და ეს ყველაფერი ჩაიშალა. უკრაინაშიც ვიყავით ქართული კულტურის დღეებზე. სამთავრობო ღონისძიება იყო. მე და ლაშა ონიანმა გავაკეთეთ ერთობლივი წარმოდგენა ხრესჩატნიკზე, შემდეგ აქ ფილარმონიაშიც გვქონდა და ამას დაემატა ჩვენი სპექტაკლები. უკრაინელ ხალხს ძალიან მოსწონს ჩვენი კულტურა და უკრაინელი არ ჩამოდის ისე, რომ არ შემოვიდეს ჩვენს თეატრში. ის კი არადა, ცეკვის სწავლასაც ხშირად ცდილობენ და მასტერკლასებს ვუტარებთ ხოლმე. ამერიკის საელჩოდან დაწყებული შვედეთის მთელი საელჩო ჩვენთან ეუფლებოდა ქართულ ცეკვას. შვედეთის ახლანდელ ელჩს, სანამ მოვალეობის შემსრულებელი იქნებოდა, უნდა მოეყვანა მეუღლე, რომელიც საქართველოში მუშაობდა. წყვილმა ჩვენს სტუდიაში შეისწავლა ცეკვა ქართული და სტოკჰოლმში თავიანთ ქორწილში იცეკვეს. ასე ხშირად ხდება. ჩვენთან ცეკვავდა იაპონიის კულტურის ატაშეც.

– ანუ ზრდასრული ადამიანებისთვისაც გაქვთ სტუდია?

- დიახ, არა მარტო ბავშვებისთვის, მოყვარულებისთვის. ყველა მსურველს ვასწავლით ქართულ ცეკვას.

– რა თქმა უნდა, ეს თქვენს ფინანსებზეც დადებითად აისახება?

- ეს არ არის ძვირადღირებული და სისტემატური, ეს არის დროებითი. ფინანსურად ბევრი არაფერი არ არის. უბრალოდ არის ის, რომ შენ, კულტურას აცნობ და აყვარებ სხვას.

– გარდა იმისა, რომ უცხოელი მაყურებელი გყავთ, არსებობს, ვთქვათ, ვინმე მედიატორი იგივე თქვენ შორის, რომ პირდაპირი კავშირები გქონდეთ?

- რა თქმა უნდა. ჩვენ გვაქვს მუდმივი ურთიერთობა ტურისტულ სააგენტოებთან. ასეთია „კავკაზუს თრეველი“, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ყოველდღიურად იხსნება ახალი სააგენტოები და შეიძლება გამოგვრჩეს. მაგრამ სამწუხაროდ, ტურიზმი შემცირებულია. ან ჩამოდის ისეთი კატეგორია, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს თეატრი და უფრო ექსტრემალები არიან. თუ შემოვიდა ერთი ან ორი ტურისტი, მერე უკვე მას თავის ნაცნობი მოჰყავს. ვთვლი, რომ პიარი მაინც გვაკლია. თავიდან რომ გავიხსენით, ძალიან დიდი ბუმი იყო - ზოგმა ექსპერიმენტი დაგვარქვა, ზოგმა - რა და მართლა შედგა. სარისკოც იყო, იმ პერიოდში - მით უმეტეს, ძალიან დიდი დაინტერესება იყო თეატრის მიმართ, რაც, სიმართლე გითხრათ, ომის შემდეგ შემცირდა. მანამდე მთელი ევროპა შემოდიოდა, მერე წამოვიდნენ ებრაელები, ირანთან სავიზო რეჟიმი რომ გაუქმდა ირანელები გვყავდნენ. ახლა უფრო - უკრაინელები და რუსები.

– ანუ თქვენ ერთი პრობლემა პიარი ახსენეთ. მარკეტინგის, მენეჯმენტის კუთხით, კიდევ არის რამე ისეთი, რაც აფერხებს თეატრის მუშაობას?

- ძალიან შეგვაფერხა ფასადის სარემონტო სამუშაოებმა. ძალიან ბევრმა უცხოელმა, ჯგუფებმა თქვა უარი, რომ მაპატიეთ, ჩვენ ამ სიბინძურეში ვერ მივალთო. წყალი ჩამოგვივიდა და თეატრი ძალიან დაზიანდა, დაგვეწვა აპარატურა. რაღაცეები გაგვიფუჭდა. გუშინაც ჩამოჟონა წყალმა შუა სცენაზე და პარტერში და ორი წელი თუ არ იყო, ვთქვათ, დაჟინებული მოთხოვნა - გინდა თუ არა უნდა ვნახოთ „ნაბადის“ სპექტაკლი, ჩვენ ვერ ვიმუშავეთ. ეს ორი წელია, რაც სამუშაოები მიდის. მოგვიხსნეს ბანერი, ამოიღეს ძალიან ძვირფასი კარ-ფანჯრები და ჩაგვისვეს ფანერის კარ-ფანჯრები, რომელიც უკვე იშლება. ჩვენი სახსრებით ოდნავ შევალამაზეთ იმიტომ, რომ ამ შენობას ფასადი საშინელ დღეში აქვს. გარედან რაღაცეები რემონტდება, ფასადს არავინ არ უყურებს. გვერდიდან გაამაგრეს, მაგრამ შიგნით ჩამონაჟონი წყლის გამო ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდით. ასე რომ თეატრი ამ სამშენებლო სამუშაოებმა ძალიან დააზარალა. დავკარგეთ დიდი დრო.

– შემოქმედებითი თვალსაზრისით თუ აქვს თეატრს გარკვეული პრობლემები და რა სიხშირით, როგორ და რა პრინციპით აახლებთ დასს?

- ჩვენთან იყვნენ სხვადასხვა ცნობილი ანსამბლებიდან წამოსული გოგონები, ბიჭები, მუსიკოს-შემსრულებლები, მომღერლები. დღეს ჩვენ ვმუშაობთ საკუთარ ბაზაზე აღზრდილი თაობით, უკვე ისინი არიან სცენაზე. ჩემი ასაკის კი, პედაგოგებად დარჩნენ. სისხლის ცვლა მიდის „ნაბადში“ ანუ თაობათა ცვლა, ვზრდით ახალ თაობას და ვაყენებთ სცენაზე. პრინციპში ეს მათი ძირითადი შემოსავალი არ არის. ჩვენი თეატრი მათთვის არის ჰობი, სულიერი საზრდო ანუ ისინი მუშაობენ, არიან სტუდენტები, სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. საღამოს მოდიან 8 საათზე, ცეკვავენ საათნახევარი, ერთობიან, ბედნიერები არიან და მიდიან სახლებში. ასე რომ ეს მათი სტაბილური სამსახური და ასე ვთქვათ, შემოსავლის წყარო არ არის. ამით ვერ იცხოვრებ იმიტომ, რომ ჩვენი შემოსავლები მწირია.

– მწირია ანაზღაურება, მაგრამ აქვთ?

- რა თქმა უნდა. სპექტაკლს ითამაშებენ და იმისდა მიხედვით.

– მოწვეულ რეჟისორს თუ უმუშავია თქვენს თეატრში?

- დიახ, მოწვეული გვყავდა ახალგაზრდა რეჟისორი რეზო შატაკიშვილი. შემდეგ გიორგი სიხარულიძე

დამეხმარა თეატრალიზებულ დადგმაში, ანუ გადაბმებში. თუ დავდგით ახალი სპექტაკლი, მაქვს რუსუდან ფეტვიაშვილის რამოდენიმე ახალი კოსტიუმი. თბილისის თემა გვინდა გავაკეთოთ თავისი მულტიკულტურით; ხოხობი და მიმინო დამიხატა რუსუდანმა, მაგრამ ვერ შევასხით ფრთები იმიტომ, რომ საქმე ისევ ფინანსებამდე მიდის.

- 2011-13 წლებში ყველაზე წარმატებული პროექტი?

- რაც არ უნდა ბევრი რამ მოხდეს ჩემს ცხოვრებაში და რაც არ უნდა ბევრი რამ მომხდარიყო, ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე იყო სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის კურთხევით ჩვენი გამოსვლა. ეს ცოტა სხვა გრძნობაა და ყველაზე ძვირფასია. სამების საკათედრო ტაძარი ახალი გახსნილი იყო, ჩვენი თეატრიც ახალდაარსებული იყო და მთავარ კარიბჭეში გადაცემა „ეტალონთან“ ერთად მიმდინარეობდა ბავშვების დაჯილდოება. თეატრმა „ნაბადმა“ გააკეთა ღონისძიების მცირე მონაკვეთი. ბევრი დიდი დღე გვქონია, მაგრამ ამაზე დიდი - არა მგონია. ყოველთვის ამას დავაყენებ წინ ჩვენს შემოქმედებით წარმატებაში, ჩვენი თეატრის ისტორიაში. როგორც კი გავიხსენით, მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა უწმიდესი და ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. თუმცა, ბევრი დიდი და კარგი პროექტი გაგვიკეთებია. 2006-07 წლებში ალექსანდრეს ბაღში ღონისძიება გვქონდა სახელწოდებით „ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობა, ჯანმრთელი ოჯახი ქვეყნის მომავალია“. ნიკოლ კიდმანისა და ტომ კრუზის ქორწილის დიზაინერის კოსტიუმებით, რომელიც ჩამოვიტანეთ ამერიკიდან, გავაკეთეთ დიდი პოდიუმი-ჩვენება. იქვე ბავშვების კონცერტი იყო. დავპატიჟეთ ყველა საელჩო, დაახლოებით 300 ადამიანი. აბსოლუტურად ყველა მოვიდა. აღმოჩნდა, რომ 800 კაცი მოვიდა. მთელი მოედანი გადაიკეტა. ჩვენი ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის 2005 წელს გავაკეთეთ პროექტი, ვასწავლეთ ქართველ ჟურნალისტებს ქართული ცეკვა და სიმღერები და დიდი ღონისძიება გვქონდა კუს ტბაზე. ასევე ჩვენი გაკეთებულია მის საქართველო 2004, 2005. უამრავ პროექტში ვიღებთ მონაწილეობას, მაგრამ სამების ტაძრის ღონისძიება სულ სხვაა.

მოძრაობის თეატრი

მოკლე ისტორია

დღეს საქართველოში თეატრთა ფართო არჩევანია მაყურებლისათვის, კახა ბაკურაძე სრულიად განსხვავებულს – „მოძრაობის თეატრს“ გვთავაზობს. დაარსდა 2001 წელს. თეატრი დამოუკიდებელია და წარმოადგენს დრამის, მიმოდრამის, მოძრაობისა და ფიზიკური თეატრის ჟანრების, საბალეტო,საბრძოლო და საცირკო ხელოვნებების, ფოლკის, თანამედროვე მუსიკისა და ვიზუალური არტის სინთეზს. მოძრაობის თეატრი 11 წელია, რაც მხოლოდ საკუთარი ძალებით ქმნის ყველაფერს. თეატრი თამაშობს ყველგან და ყოველთვის, მათი ერთადერთი პრობლემა სარეპეტიციო დარბაზის არქონა იყო. ქალაქის მერიამ, მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე „მოძრაობის თეატრს“ მიწა გამოუყო არენდით. ბაკურაძე და მისი დასი, სწორედ აქ დაიდებს ბინას. კახა ბაკურაძე და მისი დასი, ყოველდღიურად, კვლავ საკუთარი ძალებით ქმნის ყველაფერს და ამ ტერიტორიაზე აშენებს თეატრს. „თეატრში გავიზარდე, რადგან მშობლებიც მსახიობები მყავს და ბაბუაც მსახიობი იყო, ჩემი შვილებიც მსახიობები არიან და დღეს იქამდე მივედი, რომ საკუთარ თეატრს ვაშენებ.“ 2013 წლის სექტემბერიდან „მოძრაობის თეატრს“ საკუთარი შენობა აქვს, ისინი როგორც ქუჩაში, ასევე ამ შენობაში გამართავენ წარმოდგენებს.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი
დაარსების წელი - 2001 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - შპს
დაქვემდებარება - კერძო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - კახა ბაკურაძე
თეატრის ელ ფოსტა - movementtheatrepr@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - bakuradze.joseph@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - www.facebook.com/movementtheatretbilisi
თეატრის მისამართი - დავით აღმაშენებლის პრ.№182, მუშტაედის ბაღი

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 17
მსახიობთა რაოდენობა - 12
შემოქმედებითი პერსონალი - 12
ტექნიკური პერსონალი - 12
ადმინისტრაცია - 5

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
თავისუფალი დასწრება

ბილეთის ფასი და ტარიფები
სამომავლოდ - 25, 45, 60, 80

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 300 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 50 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 2.000, 3.000 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 200, 300 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) - გამომუშავების მიხედვით

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - მესტიაში, ქუთაისში, თელავში, ყვარელში, ზუგდიდში
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 3.000, 4.000 ლარი
საზღვარგარეთ - 20.000 ლარი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ, თუ შესაძლებლობა იქნება
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი - დიახ, მარკეტინგის მენეჯერი, პიარ მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ

მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა -17,18
ყველაზე ხანდაზმული - 48

ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
„შერეკილები“ - კახა ბაკურაძე
„დრო“ - კახა ბაკურაძე

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - გვაქვს რაღაცები, მაგრამ გვკიდია, მთავარია მაყურებლის ტაშები. We Tash-Tush!!!

2011-2013 წლების თეატრის რეპერტუარი

„კლაინმანი“
ავტორი - ვუდი ალენი
რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე
კომპოზიტორი - სანდრო ნიკოლაძე
მონაწილეობენ - გიორგი კორკოტაძე, კახა არევაძე, უჩა მჟავია, ამირან ქაჩიბაია, ალექსანდრე ჯაგაშვილი, თამარ აზნარაშვილი, ილია ჭეიშვილი, ეკა წილოსანი, იაკობ გოგოტიშვილი

„გამა“
დრამატული ცირკი
რეჟისორი - კახა ბაკურაძე
კომპოზიტორი - სანდრო ნიკოლაძე

„დრო“
რეჟისორი - შაკო გოგოლაძე
მხატვარი - კახა ბაკურაძე
მონაწილეობენ - შაკო გოგოლაძე, ლაშა რობაქიძე, გიორგი ღონღაძე

„შერეკილები“
ავტორი - ვუდი ალენი
რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე
კომპოზიტორი - სანდრო ნიკოლაძე
მონაწილეობენ - ეკა ცილისანი, იაკობ გოგოტიშვილი, ანი ცინცაძე, სალომე მიქელაშვილი, კახა არევაძე, ირაკლი ბიგვავა, ვატო წულუკიძე, ამირან ქაჩიბაია

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - არა
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - დიახ

ტექნიკური აღჭურვა
განათება - 52 პროჟექტორი, 3 დიმერი, 2 კვამლის აპარატი, თოვლის აპარატი, „კორკი“
გახმოვანება - ხმის aმწერი სტუდია, ფონოგრამა და ცოცხალი მუსიკა

დარბაზში მაყურებლის რაოდენობა სათამაშო მოედნების მიხედვით - 150 მაყურებელი

სცენის პარამეტრები
სცენა - 465კვ.მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 10 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 10 მ.
სარკის სიგანე - 12 მ.
სარკის სიმაღლე- 7 მ.
პავილიონის ტიპის დარბაზი, რაც დამჭირდება ყველაფერი მექნება.

საუბარი თეატრის დამაარსებელთან კახა ბაკურაძესთან

– თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- სპონსორობის კულტურა არ არსებობს.

– რაზე დაყრდნობით ამბობთ ამას. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე?

- ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარეც და რასაც ვუყურებ, არ არსებობს სპონსორობის კულტურა იმიტომ, რომ როგორც წესი, სპონსორები ფულს უკან არ ითხოვენ და ჩვენი სპონსორები მოგების შემთხვევაში გასპონსორებენ.

– არა, სანაცვლოდ ფულს არ ითხოვენ, მაგრამ რაღაც სარეკლამო საშუალებებს ხომ ითხოვენ? ამის მიცემა თქვენ შეგიძლიათ?

- რა თქმა უნდა, შემიძლია. მივცემ კიდევაც, თუ აქვს ვინმეს სურვილი, მივცემ ყველას. გადაიხადონ.

– და თუკი გამოჩნდება ვინმე, ვინც მოინდომებს თქვენთან თანამშრომლობას გაქვთ სასპონსორო შეთავაზების მსგავსი რამე ჩამოყალიბებული?

- მაქვს 2000 კვ.მ. სარეკლამო სივრცე. სიბრტყე მაქვს, ასე ვთქვათ, დამატებით იატაკი 465 კვ. ანუ 2500 კვ.მ. სარეკლამო სიბრტყე.

– ამას სთავაზობთ ასე პირდაპირ და როგორც უნდათ გამოიყენონ?

- დიახ, ჩამოკიდოს, მიახატოს გინდა გარედან, გინდა შიგნიდან.

– თუ გითანამშრომლიათ რომელიმე საერთაშორისო ან ადგილობრივ კომპანიასთან?

- რა თქმა უნდა. ძირითადად კორპორატიული საღამოებიდან და კერძო შეკვეთებიდან შემოგვდის ჩვენ შემოსავალი.

– მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი დაკვეთა და არა, ვთქვათ, რაღაცა სასპონსორო ურთიერთობა და ქველმოქმედება?

- ქველმოქმედებაც ბევრია იმიტომ, რომ ვაკეთებთ სულ რაღაცას. უნარშეზღუდულები, ვისაც სჭირდება სასწრაფო ოპერაციები და ა.შ.

– თვლით თუ არა, რომ სასპონსორო ურთიერთობებში ძლიერი და საქმიანი პარტნიორი ხართ?

- მე ვთვლი, რომ იმ დროზე წინ ვართ, რა დროც არის ამ წუთში ჩვენს ქალაქსა და ქვეყანაში. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის თეატრები სულ რამოდენიმე მეგულება მთელ პლანეტაზე. მე ახლა გამოცდილება მალაპარაკებს იმიტომ, რომ მოვიარე ჩვენი პლანეტა, ორი წრე დავარტყი ცეკვა-თამაშით და სულ რამოდენიმეჯერ აღმოვჩნდი ისეთ ადგილას, რა ატმოსფეროც ახლა აქ არის და რომელმაც თავისი გავლენა იქონია, რომ ზუსტად ისეთივე გამეკეთებინა. ზუსტად ისეთი არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ შიგთავსით და დამოკიდებულებით და დროის თვალსაზრისით ეს არის თანამედროვე ტიპის თეატრი. ეს არის მომავლის თეატრი. ჩვენ დროს ვუსწრებთ. რამდენად ვუსწრებთ დროს, ამას ვერ დავაკონკრეტებ იმიტომ, რომ ეს გამოჩნდება მაშინ, როცა ასეთი ტიპის თეატრები სულ ცოტა სამი-ოთხი მაინც გაჩნდება, აი აქედან მეოთხე თეატრამდე _ აი მაგდენით ვუსწრებ. 14 წლის წინ, რომ ჩამოვედი, ქუჩაში არავინ არ თამაშობდა, მუსიკოსების გარდა. ისინიც მიწისქვეშ უკრავდნენ. ეს სეგმენტი არ არსებობდა. ქუჩის თეატრები არ არსებობდა. 14 წელი გავიდა, რაც დავბრუნდი ემიგრაციიდან და უკვე რამოდენიმე ქუჩის თეატრი არსებობს. იმავე ბათუმელებს აქვთ თავისი თეატრი, ქუთაისში გაჩნდა ანალოგიური თეატრი.

– თქვენთვის სპონსორობა ეს არის ფულის შოვნის საშუალება თუ ეს არის რაღაცა ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა ამა თუ იმ კომპანიასთან?

- გააჩნია, რას გვთავაზობენ და რა უნდათ. რას ითხოვენ ჩვენგან. ეს შეიძლება იყოს ხანგრძლივი და შეიძლება იყოს ერთჯერადი ურთიერთობაც. ჩვენ მზად ვართ, საკმარისად მოქნილები ვართ იმისთვის, რომ შემოთავაზებაზე უარი არ ვთქვათ. გვქონდა ხანგრძლივი ურთიერთობებიც და ერთჯერადიც. არ ვიცი. იმ დღეს იყო შემოთავაზება, სახელს და გვარს არ დავასახელებ, 50 წლით უნდოდათ შენობის ქირაობა. ეს არ იყო ის თანხა, რომელსაც გვთავაზობდნენ. თანხა, რომელსაც გვთავაზობდნენ სპონსორები, არ შეესაბამებოდა იმ დროს რა დროითაც უნდოდათ შენობა. აქედან გამომდინარე, უარი ვთქვით. ბოლო 35 წელია ვმუშაობ მე ამ თემაზე, როგორც იქნა, საკუთარი თეატრი გვაქვს. ამ შემთხვევაში უნდა გადაიხადო სულ ცოტა 4-5 მილიონი, რომ რაიმე ანალოგია ავაწყო სადმე სხვაგან. მაგრამ არა. ჩვენ მშენებლები არა ვართ. შეიძლება ერთხელ გადადო სამი-ოთხი წელი, რომ საკუთარი თეატრი ააწყო, მაგრამ სულ ასეთ რეჟიმში ვერ იქნები. მაშინ ჩინელებივით უნდა ვიყოთ, რომლებიც ერთ შენობას ამთავრებენ და მეორეს იწყებენ. ეს გასაგებია იმიტომ, რომ ეს მათი მრწამსია. ჩვენი რომ ახალი შენობა დავდგათ, ხელგვეწიფება, შეგვიძლია რაღაც-რაღაცეების კეთება. ეს მეტყველებს ასე ვთქვათ, ჩვენი ტვინის, თუ სხეულის მოქნილობაზე.

– როგორ აპირებთ თეატრში დამატებითი თანხების მოძიებას? და საერთოდ ფინანსების მოზიდვას?

- სიმართლე გითხრათ, არავისი დიდი იმედი არ მაქვს. უფრო საკუთარ თავზე ვარ დამოკიდებული. არსებობს ასეთი საგანი - გამოყენებითი ხელოვნება. საგანია ეს თუ მეცნიერებაა?! ეს გამოყენებითი ხელოვნებაა, რამაც აგვაწყობინა ჩვენ ეს თეატრი. აი ახლა სკამზე რომ ზიხართ და თქვენს გარშემო რა სკამებიცაა, ეს ნარჩენებისგან არის გაკეთებული. ანუ რას ნიშნავს ეს?! თუ ვინმეს მოეწონება ასეთი სკამები და გამოთქვამს სურვილს, რომ შეიძინოს, სიამოვნებით გავუკეთებთ ახალს. ან ამას მივყიდით და ჩვენთვის გავიკეთებთ ახალს. მე ვფიქრობ, რომ გვქონდეს ასეთი კარგი თეატრალური კაფე, სადაც იქნება ნიღბები. თეატრალური მაღაზია არ არსებობს ჩვენს ქალაქში და არა მარტო ჩვენს ქალაქში, მთელ ქვეყანაში. სადაც მსახიობს შეუძლია მივიდეს და იყიდოს კაბები, წამწამები, პარიკი, გრიმი, რაღაც აქსესუარები. ნუ

ბიჟუტერიის მაღაზიები არის, რომ იქ რაღაცა შეიძინო. მაგრამ სპეციფიკური მაღაზიები არ არსებობს. მაგალითად, არის ნიღბები, მაგრამ ეს რაღაცა საკარნავალოა, თეატრალური ნიღბები არ არსებობს. ანუ ყველაფერი ის, რაც ამ საქმიანობას უხდება, ეწერება ამ საქმეში. სიტყვაზე, შენობების მოხატვა, სასიმაღლო სამუშაოები. ქალაქში თუ სიმაღლეზე რაიმე ჰკიდია, ყველაფერი არის ჩვენი დაკიდული იმიტომ, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ „KA2“-თან, არის ასეთი ექსტრემალთა კლუბი და მათთან ერთად გამოვიმუშავებთ დამატებით შემოსავალს. ჩვენ თამაშ-თამაშით შეიძლება ითქვას, მეორე პროფესია შევიძინეთ და ვფიქრობ, აი ეს მოგვეხმარება. იმ ჩვენს თეატრალურ კაფეში შეიძლება მოგეწონოთ ნიღაბი და იყიდოთ. ეს არ იქნება, რა თქმა უნდა, იაფი სიამოვნება, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვაგან ვერ იყიდი ასეთ ნიღაბს. და როცა დაგჭირდება, ზუსტად გეცოდინება, სად უნდა მოხვიდე და შეიძინო ნიღაბი. თუ არ მაქვს, მაშინ ყურადღებით მოვისმენთ, რა გჭირდებათ და ჩვენ იმ შეკვეთას შეგისრულებთ. ჩვენ გვყავს მხატვარიც, დიზაინერიც, არქიტექტორიც.

– როგორია მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი. პრინციპში, ალბათ შეუზღუდავია?

- იცით, თეატრი არის ყველასთვის. და თუ შენ შეგიძლია, რომ ბავშვების ყურადღება მიიქციო, წარმოიდგინეთ, რომ უფროსები კიდევ უფრო გაფაციცებით გისმენენ. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მაგარი სეგმენტი ბავშვები არიან. თუმცაღა ბავშვების თეატრი არ მომწონს იმიტომ, რომ ეს არ არის თეატრი. თეატრი არის უკვე გააზრებული და დაღვინებული ტიპების სამსახური. არ შეიძლება, რომ პატარა ბაღანას ათამაშო რაღაცა იმიტომ, რომ იმასაც ისედაც სჯერა, შენ შეგიძლია აჩვენო, დააინტერესო, გაართო, მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს, მერე შესთავაზო, რომ გახდეს მსახიობი, რეჟისორი. მანამდე ვთვლი, რომ უნდა დაიცადო ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, ჩვენ მშობლებსაც და საზოგადოებას გარკვეული წვლილი შეგვაქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში, თუმცაღა ჩემს ქვეყანაში პიროვნების პატივისცემა არ არსებობს, ჩვენს ქვეყანაში პატივს სცემენ თანამდებობას. ეს აგრესიული ტონი არ არის, ეს ფაქტია. ეს ქართულ მენტალობაში გვაქვს.

– რა იყო ამ სამი წლის განმავლობაში მარკეტინგულად წარმატებული პროექტი?

- ამ თეატრის მშენებლობა და მთელი გონების კონცენტრაცია იმაზე, თუ როგორ შეიძლება, შენ საკუთარი თეატრი გქონდეს. მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს შემთხვევით მოხდა. ეს წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებაა. ეს, რა თქმა უნდა, მშობლების მიერ ჩადებული, შენში ჩადებული ძალა და ღონე და ის განათლება და ის ამბებია, რაც მშობლებმა გაიღეს, რისი თავიც ჰქონდათ. ყველას ხომ არა აქვს ამის საშუალება. დედაჩემს, მაგალითად, ვერ წარმოედგინა, რომ ვთქვი, თეატრი უნდა ავაშენო-მეთქი. ეგონა, რომ გავგიჟდი. მერე მითხრა, როცა ავაშენე თეატრი. მე მეგონა, რომ გაგიჟდი, შვილოო. თურმე მართალი ყოფილხარო. იმიტომ რომ დრო ყველაფრის მკურნალია. იძახიან სიგიჟეებს, მაგრამ არავინ არ უჯერებს, არადა, დრო გადის. ჯორდანო ბრუნოს არ შევედრები, მაგრამ იქიდან რაღაცა ას წელიწადში ყველამ აღიარა ეს.

– როგორ აპირებთ ახალ თეატრში მაყურებლის მოზიდვას?

- მე მგონი, რომ უნდა შევთავაზოთ ისეთი რამე, რაც ამ ქალაქში არ არსებობს. ვერ ვიტყვი, რომ არ არსებობს პარიზში, არ არსებობს ლოს-ანჯელესში ან ფრანკფურტში, მაგრამ თბილისში ნამდვილად არ არსებობს. ჩვენ არა გვაქვს კაბარე, არა გვაქვს ვარიეტე, არა გვაქვს წესიერი ბორდელი, რასაც არ ვაღიარებთ იმიტომ, რომ შინაგანი თავისუფლება არა გვაქვს. მე ვცდილობ, რომ რაღაც ეს მომენტი გავუღვიძო იმავე მაყურებელს. არ არის აუცილებელი, რომ გაილეშოს. ისეც შეიძლება, რომ გაერთო. ცოტა მიიღო.

– ანუ თქვენს მაყურებელს შესთავაზებთ მაქსიმალურ რელაქსაციას, გახსნილობას, არავითარ აკადემიურობას...

- არა, საკითხთან თანამედროვე მიდგომას. იმიტომ რომ ყველა ეძებს ამას საქართველოში. მაყურებელი მოვიდა და ყველანი არიან ჩაცმულები და მაგარი დაძაბულები, სად მოხვდნენ. ხომ არ ეჩვენებათ. ეს როგორი თეატრია, ეს რა თეატრია. ეს თეატრი არ არის. კი ბატონო, გეთანხმებით. მე, უბრალოდ, მიყვარს თეატრი, მაგრამ არ არის ეს თეატრი. ეს არის თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი მოედანი, სადაც კარგად შეიძლება წარმოაჩინო თანამედროვე ხელოვნება. ისე როგორც არის. ჩვენ ხომ წარსულში ვცხოვრობთ, ჩვენ ხომ მიცვალებულებზე ვლაპარაკობთ, ცოცხლებს არ ვცემთ პატივს. თუ ვცემთ, თანამდებობებს ვცემთ პატივს. ეს უკვე აღვნიშნე. აქედან გამომდინარე, რა უნდა მექნა?! მე დავიწყე იქიდან, რომ იცით, ოდესღაც თეატრში იყო ასეთი წესი - ქუჩიდან რომ შემოდიხარ, უნდა გაიხადო ეს ლაბადა, ჩამოკიდო. მაგრამ რომ დაკარგოს. მაგრამ არ დაკარგავ. რომ შემოხვალ, თუ არ გაიხდი და აურას არ გამოიცვლი, თუ არ განეწყობი სანახავად, რისთვისაც მოხვედი, მით უმეტეს, როცა არ იცი, რას ნახავ და განწყობას არ გამოუძახებ, სიამოვნებას ვერ მიიღებ. ამას ვერ ვეუბნები პირდაპირ. ვიღაცეები მიხვდნენ და ჩამოკიდეს ეს თავისი ლაბადები, მაგრამ იყო ვიღაცა, ვინც შორიდან გვიყურებდა და არაფრის დიდებით არ ერთვებოდა. აი ასეთი მიმართულებაა და მე მგონი, რომ საინტერესო იქნება. მოკლედ, რომ ვთქვათ - კონკურენციის გარეშე ვართ. მე ასე ვხედავ ამას. შეიძლება დრამატული თეატრები უკეთეს სპექტაკლებს თამაშობენ თუ მეგავარსკვლავები არიან, მაგრამ მე ამომავალი ვარსკვლავები მყავს თეატრში და მანამ 80 წლის გახდებიან, გავხსნი მათ ვარსკვლავებს. იმიტომ რომ ახლავე სჭირდებათ მათ ვარსკვლავობა. თენგიზ არჩვაძეს ეხლა რომ გაუხსნეს ვარსკვლავი, მას ეს აღარ სჭირდება, ის მეგავარსკვლავია, იგივე ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, მათთვის 20 წლის ასაკში რომ გაეხსნათ ვარსკვლავი, ისინი იქნებოდნენ მსოფლიოში ცნობილი მსახიობები. თუმცაღა, პლანეტის სამ-მეოთხედზე მათ ყველა იცნობს. რასაც ვერ ვიტყვი იმავე გივი ბერიკაშვილზე იმიტომ, რომ ის სახალხო არტისტია. ეს თემა მარტო იმის პასუხია, რომ ხალხმა უნდა გაღიაროს. ხალხი გაღიარებს მას მერე, რაც შენ 20-30 წელი აკეთებ ამ საქმეს. შეიძლება

ვერ მიხვიდე იქამდე. ცაზე რამდენი ვარსკვლავია და ყველას სახელი ხომ არ ვიცით. რამდენის სახელი ვიცით?! თუ ასტროლოგს შეეკითხები ან ასტრონავტს, შეიძლება ყველა ჩამოგითვალოს და გალაქტიკის გარე მოვლენებიც მოგიყვეს. ის კი არა, რომელ პლანეტაზე რა კრატერს რა სახელი აქვს, იმას მოგიყვება. ასე რომ ამას მომავალი განსაზღვრავს. მე ვფიქრობ, რომ ეს თანამედროვე თეატრია და მე მოვიზიდავ ხალხს იმიტომ, რომ ჩვენთან არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების კულტურა, რასაც ხატავენ, თუ მღერიან, თუ ძერწავენ, ხომ არ არის კარგი. ლეონარდო უფრო მაგარი იყო, მაგრამ ლეონარდომ ის იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენც ვაკეთოთ ეს და ვავითაროთ.

– ანუ თქვენი თეატრის სპეციფიკა მოიზიდავს მაყურებელს?

- აუცილებლად. ეჭვიც არ მეპარება.

– საერთაშორისო ურთიერთობებს როგორ გეგმავთ და საერთაშორისო ბაზარზე როგორ აპირებთ გასვლას ან გადიხართ?

- თუ კარგად მუშაობ, თვითონ მოგაკითხავენ. ჩვენ დიდი სცენით ვიწყებთ იმიტომ, რომ ჩვენ დიდები ვართ. ცოტანი ვართ, მაგრამ დიდები.

– თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება რა იყო?

- ჩვენ მოვიგონეთ ორი ახალი პროფესია: ეს არის მოცეკვავე გამნათებელი იმიტომ, რომ განათება არ გვქონდა და ფანარებით ვაკეთებდით ამას და მივაგენით, ანუ დავნერგეთ აი ეს დრამატული ცირკი. აი ეს ჟანრი ამ ეტაპზე ყველაზე დიდი მიღწევაა, ასე ვთქვათ. არ ვიცი, ეს მოცეკვავე-გამნათებლები შეიძლება გადაშენდნენ, როგორც სუფლიორები.

– შემოქმედებითი თვალსაზრისით თეატრში არის რაიმე პრობლემა?

- ერთი არის, მატერიალური პრობლემა არსებობს, რომ გვქონდეს იმის საშუალება, გადავუხადოთ იმდენი, რომ კონცენტრირებული იყოს თავის სამსახურზე. და აღარ ირბინოს 4-5 ადგილას. მსოფლიოში როცა კაცი აჰყავთ სამსახურში, სამსახური ცდილობს, ის უზრუნველყოს, რომ ის სხვაგან აღარ წავიდეს. თუმცაღა არ იკრძალება ის, რომ შენ იმუშავო ორ ადგილას. თუ ახერხებ ამას, რატომაც არა. ჩემთანაც ახლა იგივე სიტუაციაა. თუ დაგიძახებენ გადასაღებად, დაგაკავებენ სხვა სპექტაკლში, რატომაც არა. ჩემთვის უკეთესია, რაც უფრო მეტს ითამაშებენ ჩემი მსახიობები, მით უფრო კარგი სახელიანები დამიბრუნდებიან უკან. ანალოგიურად დაამტკიცებენ იქ, რომ არიან კარგი მსახიობები. ამიტომ ორივე შემთხვევაში ჩემს წისქვილზე ასხამენ წყალს. მე რომ მქონდეს საშუალება, რომ კიდევ უფრო უკეთესად გადავუხადო მაშინ ეს ყველაფერი ორმაგდება და ათმაგდება. შენი მსახიობები კიდევ უფრო მოთხოვნადები ხდებიან და ყველას უნდა, რომ შენ, მსახიობთან ერთად დადგას. არსებობს ეს პრობლემა. მე ამჟამად ვახერხებ, რომ სხვადასხვა ასაკის ტიპები მყავდეს და ყველას თავის ფუნქცია ჰქონდეს, თუმცაღა მე ვთვლი, რომ ჩემი თეატრის კანიოკი არის ის, რომ თუ ცირკში ჟონგლიორი მარტო ჟონგლიორია და კლოუნი მარტო კლოუნია და საჰაერო ტანმოვარჯიშე მარტო საჰაერო ტანმოვარჯიშეა, ჩემთან ეს, რაც ჩამოვთვალე, ერთი პიროვნებაა. როგორც წესი, კლოუნები არიან აკრობატებიც, ჟონგლიორებიც, ილუზიონისტებიც, საჰაერო გიმნასტებიც და ა.შ. ანუ ეს ყველაფერი იკრიბება ერთ კარგ კლოუნების ჯგუფში. არ ვგულისხმობ ამ ცხვირება და ტრადიციულ ნიღბებს, რომლითაც ვიცით ჩვენ ეს სახელი. ვგულისხმობ შიგთავსს. მისი მომზადების დონეს და მის ინტელექტს. მე მყავს აქ რამოდენიმე ასეთი და რამოდენიმე, რომლებიც ამ გზაზე დგანან. ამომავალი ვარსკვლავები ტყუილად არ ვახსენე. მყავს ვარსკვლავიც. ერთიც და მეორეც. ოღონდ თვითონ არ იციან სამწუხაროდ. თავს არ უტყდებიან, რომ თავში არ აუვარდეთ. ორივე შემთხვევაში კარგად იქცევიან.

– რა სიხშირით აახლებთ ხოლმე დასს და რა სპეციფიკით ხდება მსახიობთა მიღება?

- ეს ხდება თავისთავად. აქ მე არ მაქვს რაღაცა ვაკანსიები, რომ ეს და ეს. არა. აქ უნდა მოხვიდე. ცოტა ხანი იცხოვრო ჩემთან ერთად და შენი ადგილი შენ თვითონ უნდა იპოვნო. თუ შენ შენს ადგილს ვერ იპოვნი, ე.ი. შეგიძლია მესტუმრო ხოლმე. აი ასე საყურებლად და თუ იპოვნი შენს ადგილს, მაშინ ჩემს სპექტაკლშიც მოხვდები და იმის საშუალებაც მოგეცემა, რომ რაღაცა გამოხატო შენი.

– აპირებთ თეატრში სხვა რეჟისორის მოწვევას?

- იცით, ამ შემთხვევაში არ მესმის სიტყვა მთავარი.აქედან გამომდინარე, მე აქ კიდევ მყავს ორი რეჟისორი. ჩემი ბიჭი და ჩემი მოწაფე. მყავს შვიდი ქორეოგრაფი. ვინ არის აქ მთავარი. მე არ ვგრძნობ, რომ მთავარი რეჟისორი ვარ. მთავარი არ არის, ვინ იტყვის მართალს. მთავარია, რომ მართალი ითქმება. ეს ხან მე ვარ, ხან შენ ხარ. სულ კარგი ტიპი კიდევ ვერ იქნები.

საუბარი თეატრის დირექტორთან იოსებ ბაკურაძესთან

– როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში და ამ მხრივ რა გამოცდილება გაქვთ?

- სამი წელია, რაც თეატრს საფუძველი ჩავუყარეთ და ჩვენი ძალებით ავაშენეთ. ეს თეატრი ხელნაკეთია. ამ მიმართულებით თეატრს დაფინანსება არ ჰქონია. სხვა მხრივ, შემიძლია ვთქვა, რომ სანამ ჩვენ ასე ვხეტიალობდით ქალაქიდან ქალაქში და მთელი საქართველო მოვიარეთ, იყო კონკრეტული პროექტები, რომელიც უფრო საპრეზენტაციო სახეს ატარებდა, ქუჩაში კარნავალის სახით რეკლამას ვუკეთებდით უამრავ დიდ და პატარა კომპანიას, ბანკი იქნებოდა, სარეცხი ფხვნილი თუ სხვა რამ. თუმცა, ეს იყო მათი პირადი ინტერესი. ის, რომ თეატრის სპონსორი გამხდარიყო რომელიმე კომპანია, ასეთი გამოცდილება ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა მცდელობა. ახლა, როცა უკვე აშენდა

თეატრი, უფრო ადვილია მათთვისაც, რომ ნახონ უკვე არსებული შენობა. მაშინ შეიძლება რისკის ფაქტორი იყო, უყურებდნენ ცარიელ ადგილს. არავის არ სჯეროდა, რომ თეატრს ავაშენებდით და ახლაც არავის არ სჯერა, რომ არაფრისგან თეატრი აშენდა და ჩვენ მილიონრები არ ვართ და ნამდვილად არ ვართ. ანუ ჩვენს პრაქტიკაში ჯერჯერობით ასეთი სპონსორობა არ არსებობს არც სახელმწიფოს და არც კერძო სექტორის მხრიდან.

– თუ გაქვთ სასპონსორო შეთავაზებების პაკეტი. ამ სივრცეში ახალი გადმოსულები ხართ და საშუალება გეძლევათ ამ მიმართულებით იმუშაოთ?

- ჩვენ გვაქვს კონკრეტული პროექტები სხვადასხვა კომპანიისთვის. ამ წლების განმავლობაში რაღაცეები გამოდიოდა. თეატრი 2000 წლიდან არსებობს. განსაკუთრებით ახალ წლებზე არის ხოლმე როგორც სახელმწიფო შეკვეთები საახალწლო ღონისძიებებზე, ასევე კერძო კომპანიების შეკვეთები. ისევ იქ ვბრუნდები, რომ ეს ყველაფერი საპრეზენტაციო სახეს ატარებს.

– ჩვეულებრივ გიხდიან თქვენ თანხას შესრულებულ სამუშაოში?

- ჩვენ გარკვეულ თანხას ვთავაზობთ და მიდის მოლაპარაკება. უამრავი ასეთი შეთავაზება გვაქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ აკადემიური თეატრი არ ვართ, ვცდილობთ, ყველანაირ სივრცეს მოვერგოთ. ანუ ჰორიზონტალურ სივრცეშიც ვთამაშობთ, ვერტიკალურშიც და ჭერზეც ვეკიდებით. ცეცხლოვანი შოუც გვაქვს და ულტრაიისფერ განათებაზეც გვაქვს წარმოდგენა. თეატრის საზღვრები სცენას და მარტო დრამატურგიას დიდი ხანია გასცდა. ეს ის პერიოდი აღარ არის, როცა რეჟისორი პიესაზეა მიჯაჭვული. უკვე პოეზიას დგამენ, ჩვენც ვცდილობთ, დროს ფეხი ავუწყოთ და გვინდა, რომ ყოველთვის თანამედროვე თეატრი ვიყოთ. როგორ გამოგვდის, ეს უკვე მაყურებლის შესაფასებელია.

– ანუ 2011-13 წლებში პროექტების დონეზე თანამშრომლობდით, თუ საერთაშორისო ან ადგილობრივ ორგანიზაციებთან გითანამშრომლიათ?

- ეს იყო ერთადერთხელ, ჩვენ ვალად გვაქვს სპექტაკლი, რომელსაც გამოვუშვებთ, ეს არის ჯემალ ქარჩხაძის „იგი“. ქალაქის მერიამ წლების წინ გარკვეული პატარა თანხა გამოყო, ეს იყო ალბათ 4-5 წლის წინ, სპექტაკლს აუცილებლად დავდგამთ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ასეთი შემოთავაზება არ ყოფილა. ასევე ჩვენს რეპერტუარში არის სპექტაკლი „გამა“, რომლისთვისაც ამ წელს ქალაქის მერიამ, მათი ინტერესიდან გამომდინარე, რაღაცა თანხა გამოყო. აფიშაზე იყო მერიის ლოგო, რაც სპონსორის ინტერესშია, რა თქმა უნდა, და პროექტიც მათ ჩაეთვალათ. მაგრამ, რომ ვთქვა, მასობრივად ხდება, როგორც სახელმწიფო თეატრების შემთხვევაში, არა.

– როგორ ფიქრობთ თქვენი თეატრი სასპონსორო ურთიერთობებში საქმიანი, ძლიერი და დასაყრდენი პარტნიორია?

- იცით, როდესაც ვხვდებით კომპანიების წარმომადგენლებს, ჩვენი თეატრის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმდენ სიახლეს ვთავაზობთ, რომ იბნევიან. ბოლოს მთავრდება იმით, რომ ვთანხმდებით. სამი წლის წინ არაფერი არ გვქონდა და მაშინაც სულ ქმედებაში ვიყავით და თეატრს გარკვეული შესაძლებლობები ჰქონდა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ ძლიერი, დასაყრდენი თეატრი ვართ.

– ანუ გაქვთ საკმაოდ დიდი პოტენციალი, რომელიც კარგად შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა სპონსორმა.

- ჩვენს გამოცდილებაშიც ყოფილა, რომ გვითქვამს უარი იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ წამს ვერ შევძლებდით.

– თქვენთვის სპონსორობა ეს არის ზოგადად ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა თუ მხოლოდ ერთჯერადი თანამშრომლობა ამა თუ იმ კომპანიასთან, ორგანიზაციასთან ან პიროვნებასთან, რომ კონკრეტული ფინანსური მხარდაჭერა მიიღოთ?

- ჩვენთვის ერთიც და მეორეც მისაღებია. თუ, ვთქვათ, ვინმეს სურვილი აქვს, რომ კონკრეტული სპექტაკლი დააფინანსოს, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, ისევე როგორც ხანგრძლივი პერიოდით ჩვენი დასპონსორებისა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უამრავი შესაძლებლობა გვაქვს, თეატრის შენობას ორივე მხარესაქვს დიდი სარეკლამო ადგილი, სადაც შეიძლება განთავსდეს მათი სარეკლამო ბანერი თუ კონკრეტული რამ მათი სურვილისდა მიხედვით.

– ყოფილა ისეთი შემთხვევა, მით უმეტეს, რაც ახალ შენობაში გადმოხვედით, რომ რომელიღაცა სერიოზულ კომპანიას შემოუთავაზებია თანამშრომლობა და არა ერთი, კონკრეტული პროექტის დაფინანსება?

- მე არ მახსენდება მსგავსი შემთხვევა. მოდიან, მოსწონთ, რომ განსხვავებული სივრცეა, აღფრთოვანებულები არიან. მანამდეც გიჟდებოდნენ, რომ აი ქუჩის კარნავალი და ა.შ. მე ვერ დავიბრალებ, რომ ჩვენ პირველები ვართ იმიტომ, რომ ბერიკების მაგალითი ყველამ იცის საქართველოში და ისინიც მოხეტიალე მსახიობები იყვნენ და დღესაც არსებობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ უფრო დიდი მასშტაბი მივეცით თავისი მუსიკალური გაფორმებით, დასარტყამი ინსტრუმენტებითა და რაც მთავარია, უამრავი ადამიანია კოსტიუმირებულ კარნავალზე. ეს ყველაფერი მოსწონთ, მაგრამ შეიძლება საკმარისად არ მოსწონთ ან საკმარისი ფული არ აქვთ, რომ სპონსორები გახდნენ.

– თქვენ კერძო თეატრი ხართ. რა თქმა უნდა, დაგჭირდებათ რეპერტუარის გამრავალფეროვნება და ფინანსების მოზიდვა. როგორ აპირებთ თეატრში დამატებითი თანხების მოძიებას?

- საიდუმლო უნდა გაგანდოთ. ყველა თეატრში მყავს მეგობრები და არ მინდა, რომ აუგი ვთქვა. სახელმწიფო დაფინანსება რომ არ იყოს, ვერც ერთი თეატრი ვერ იცხოვრებდა თავისი თანხებით. ასევე ჩვენც, ვაღიარებ, რომ გაყიდული ბილეთებით თავს ვერ შევინახავთ. ჩვენ ერთადერთი მაგალითი არ

ვართ. გარდა იმისა, რომ ჩვენ სტაციონარში შეგვიძლია თამაში, ამავე სტაციონარში შეგვიძლია უამრავი ღონისძიების ჩატარება. მაგალითად, წიგნის პრეზენტაციების ჩატარება სხვა თეატრებსაც შეუძლიათ და არ არის ეს ასეთი მასშტაბური, მაგრამ კონცერტი ნაკლებად, თან ნებისმიერი ჟანრის კონცერტი, იგივე საპრეზენტაციო სივრცე დიდი და პატარა კომპანიებისთვის და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ეს არის ერთი დიდი პავილიონი, სადაც თავისუფლად შეიძლება კინოფილმის გადაღება. თეატრს აქვს, ყველანაირი საშუალება. გარდა იმისა, რომ ჩვენი სტუდია გვაქვს, ვიღებთ და ვამონტაჟებთ. რამოდენიმე წლის წინ გავაკეთეთ პროექტი ერთ-ერთი არხისთვის, 40 ფილმი გადავიღეთ. შესაძლებლობა არის, რომ ჟანრობრივადაც გავაკეთოთ ეს საპრეზენტაციო საღამოები. ჩვენ ვმეგობრობთ და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან „KA2“, ვაკეთებთ საჰაერო შოუებს. ახლახანს ერთ-ერთი „ნიჭიერში“ გავიდა. გვინდა ავამუშავოთ ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომ ტურისტებთანაც გავაკეთოთ ასეთი შეთავაზება - რომელიმე რეგიონში, მთასა თუ ბარში დასათვალიერებლად ჩამოსულ ტურისტს იქ პატარა თეატრალური წარმოდგენა დახვდეს. დღესდღეობით ჩვენი რეალური შემოსავალი ისევ თეატრის გარეთ არის.

- ყველაზე მეტად დღეს რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?

- განვიცდით კადრების უკმარისობას. აი, მაგალითად, მე რომ მყავდეს სცენის მუშები, თუნდაც სამი კაცი, ლაპარაკი არ არის უფრო დიდ გუნდზე, ბევრად უკეთ ვიქნებოდით იმიტომ, რომ ამ სამუშაოს შესრულება ჩვენ გვიწევს, - მე ვიქნები, მსახიობი იქნება, მუსიკოსი იქნება თუ სხვა ამას არა აქვს მნიშვნელობა. ისევ და ისევ ფინანსებისკენ მივდივართ. არ გვყავს ლიტერატურული ნაწილის გამგე. ეს ყველაფერი თეატრისთვის აუცილებელია. რეალურად თეატრში ორი ადამიანი გვყავს შტატში - ბუღალტერი და დამლაგებელი. ფაქტი ფაქტად რჩება.

- როგორია მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- ჩვენ გვინდა, რომ ჟანრობრივად განსხვავებული სპექტაკლებით ავაწყოთ რეპერტუარი. იქიდან გამომდინარე, რომ მაყურებელს არჩევანის საშუალება ჰქონდეს, ვიღაცას მიუზიკლი უყვარს, ვიღაცას - პანტომიმა, დრამატული თეატრი და ა.შ. თეატრი ის ადგილია, სადაც ყველაფერს თამაშობენ. აქ ჩარჩოები არ არსებობს. ამიტომ ასე ვერ გეტყვით, ეს არის თანამედროვე თეატრი და ვისაც უყვარს თანამედროვე თეატრი, აქ ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. მახსოვს პრემიერა, პირველი სპექტაკლი „გამა“ რომ ვითამაშეთ, იქ სამი წლის ბავშვიც იყო და 80-ს მიტანებული ადამიანიც. ორივემ ძალიან წყნარად უყურა. ჩვენი თეატრი ყველასთვის არის, ანუ ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს, რომ რაღაც ინტელექტი გჭირდებათ, თუმცა ეს ამ ეტაპზე. მაგრამ პარალელურად ასეთი სპექტაკლებიც გვექნება და შესაძლებელი იქნება, ის მაყურებელიც მოვიდეს.

- 2011-13 წლებში რომელი იყო მარკეტინგულად ყველაზე წარმატებული პროექტი?

- თეატრს არსებობის მანძილზე სხვადასხვა პერიოდი ჰქონდა. ერთხელ დასი დაიშალა, ბენდი გვყავდა და ახლაც გვყავს. მაშინ ცოტა ბევრნი იყვნენ, თეატრმა მათ ხარჯზე გადაიტანა რაღაცა პერიოდი და პატარა წარმოდგენა გავაკეთეთ. ამ სამი წლის განმავლობაში არსებობდა სტუდია, რომელზეც მე გელაპარაკეთ. მაშინ ვიყავით რკინიგზელთა სახლში, შენობა არ გვქონდა და ზუსტად მაშინ დაიწყო თეატრის ფუძის ჩაყრა. ამ პერიოდში ძალიან გვიშველა აჭარის ტელევიზიისთვის გაკეთებულმა პროექტმა „ისინი“, ცნობილ ქართველ ადამიანებზე, 40 ორმოცწუთიანი ფილმი გადავიღეთ და ფინანსურად სარგებელი მივიღეთ.

- როგორ აპირებთ საერთაშორისო ურთიერთობების დაგეგმვას და საერთაშორისო ბაზარზე თქვენი თეატრის პროდუქტის გატანას?

- სამი წლის წინ ჩვენ ვიყავით ძველი კინოსტუდიის შენობაში. იქ, სამწუხაროდ, ხანძარი გაჩნდა თეატრში და დაიწვა. მერე უკვე რკინიგზელთა სახლში ცოტა ხანს შეგვიკედლა ნიკა მემანიშვილმა. სანამ ეს მოხდებოდა, ჩვენ გვყავდა კადრი, რომელიც მარტო ამ მიმართულებით მუშაობდა, რომ დაემყარებინა საერთაშორისო კონტაქტები. რამოდენიმეჯერ ჩვენ ვიყავით ფესტივალზე სომხეთში, უკრაინასა და თურქეთში მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს კულტურის დღეებში და მერე „დავიწვით“. ამ წამს ჯერ არაფერი დაგვიგეგმავს. „გამა“ ვითამაშეთ, მერე რაღაცა წყვეტა იყო, გათბობა უნდა გაგვეკეთებინა თეატრში და ერთი თვეც არ არის, რაც დავიწყეთ მუშაობა. სამომავლოდ გვინდა, კონკრეტული კადრი ავიყვანოთ, რომ ამ მიმართულებით იმუშაოს.

- საქველმოქმედო პროექტები თუ გქონიათ?

- ასეთი პროექტები ძალიან ბევრი გვქონია და აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას. ბოლოს, მაგალითად, სახელმწიფომ მიუსაფართა კარვები დადგა მოსკოვის პროსპექტზე და ახალ წელს ვიყავით იქ. ეს თავიდან ბოლომდე ჩვენი ინიციატივით მოხდა და საქველმოქმედო პროექტი იყო. ოჩოფეხებზე ვიდექით, სანტა და ელფები იყვნენ და გავახალისეთ ხალხი. „აქსისის“ ცენტრში ყაზბეგზე იყო შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის საქველმოქმედო აქცია და იქაც გვქონდა საჰაერო წარმოდგენა. ყველას არა აქვს ბედნიერება, რომ თეატრში მოვიდეს, თუნდაც ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში თუ იყო ისეთი სპექტაკლი, რომელმაც შემოქმედებითი წარმატება მოუტანა თეატრს?

- ეს იყო სპექტაკლ „გამას“ პრემიერა. როდესაც ეს იდეა კახა ბაკურაძეს გაუჩნდა, ცირკში ვაპირებდით სპექტაკლის განხორციელებას, რომ უფრო მასშტაბური ყოფილიყო. მიზეზთა გამო ეს არ გამოვიდა. ღვთის წყალობით, ჩვენ უკვე საკუთარი თეატრი გვაქვს და აქ გავაკეთეთ. საკმაოდ წარმატებული სპექტაკლი გამოვიდა, როგორც თეატრმცოდნეები, ისე ჩვეულებრივი მაყურებელიც აღფრთოვანდა. ვისაც ნანახი აქვს, დამეთანხმება, რომ საკმაოდ მასშტაბური გამოვიდა. უამრავი ჟანრის მონაცვლეობა იყო, - ესაა ფიზიკური

თეატრი, დრამატურგია, მუსიკა, პოეზია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, როცა კინოსტუდიაში ვიყავით, არ გვქონდა არანაირი საშუალება. გასასვლელში დავაგეთ სცენა და ღია ცისქვეშ ვთამაშობდით. მაყურებელსაც მოსწონდა. ასევე იდეა გვაქვს, კინოცენტრს დაველაპარაკოთ, რომ ზაფხულობით აი ამ აივანზე, სადაც არის დიდი მოედანი, რომელსაც ხუმრობით „ჩერნობილს“ ვეძახით იმიტომ, რომ არაფერი არ ხდება იქ, ათასში ერთხელ ვეტერანები თუ გაივლიან, დიდი ეკრანი გავაკეთოთ, ფილმებს რომ უყუროს ხალხმა. ჩვენი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ყველაფერი იყოს განსხვავებული იმასთან შედარებით, რაც არსებობს. კაფეშიც კი მაგიდები არ არსებობს და სკამიც თუ მოგეწონა, აიღებ და აქეთ დაჯდები მეგობართან ერთად. ყველაფერში სრული თავისუფლებაა.

- დასის მხრივ თუ გაქვთ რაიმე პრობლემები?

- თეატრში, სადაც პრობლემა არ არსებობს შემოქმედებითი თვალსაზრისით, ის თეატრი მკვდარია. პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს, რომ დასი გადაბერებულია, პირიქით, ჩვენთან მარტო ახალგაზრდები თამაშობენ, იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური თეატრია და ჩვენთან პრიორიტეტი მაინც ამას ენიჭება, შეიძლება დრამატული სპექტაკლი ითამაშო, მაგრამ ფიზიკურად კარგ კონდიციაში უნდა იყო. პრობლემა ის არის, რომ ძალიან ხშირად, როდესაც ამთავრებენ უნივერსიტეტს, ლაპარაკი აღარ არის თუნდაც არსებულ მსახიობებზე, ეს ყოველდღიური ტრენაჟი არ ხიბლავთ. რადგან ფიზიკური თეატრია, ტრავმებიც ხშირად ხდება, ეს გარდაუვალია. უმეტესობისთვის მსახიობობა არის მხოლოდ წითელი ხალიჩა და თავის დაკვრა. თუმცა პატარა საიდუმლოს გაგანდობთ, სულ მეგონა, რომ დიდ თეატრებში მეტია კონფლიქტი, ხშირად მინახავს, ორნი სხედან, შემოდის მესამე, ისაუბრებენ და რომ გადის, ის მასზე აუგს ამბობს. მერე რა, რომ დღეს ერთად არ თამაშობენ, ხვალ ხომ შეიძლება ერთად დააკავონ. მერე მივხვდი, რომ მთელი პრობლემა ის არის, რომ მსახიობები ყოველდღე არ ხვდებიან ერთმანეთს. არიან მსახიობები, რომელთაც საქმე არა აქვთ და ხლართავენ ინტრიგებს. ეს კი აუცილებელია თეატრისთვის.

თითების თეატრი

მოკლე ისტორია

1998 წელს, ქ. ბათუმში, ბავშვთა ხელოვნების სტუდია ,,მთიებში“ (ხელმძღვანელი ნ. ნიჟარაძე) რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის მიერ რამდენიმე ეტიუდის წარმატების განხორციელების შემდეგ თითების თეატრის შექმნის იდეა ჩაისახა. 1991 წელს ბათუმში ,,მსახიობის სახლში“ შედგა მოზარდთა თეატრ-სტუდიის ,,99+2“ პრეზენტაცია წარმოდგენით ,, ექსტრავაგანსა“. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო კოსტiუმირებული თითების საშუალებით, რამაც შთამბეჭდავი ზემოქმედება მოახდინა მაყურებელზე თავისი ორიგიnალურობით, სწორედ ამიტომ თეატრი-სტუდია ,,თითების თეატრად“ მოინათლა და მიუხედავად შემდგომში განხორციელებული სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენებისა, დღემდე ამ სახელს ატარებს, ხოლო პირველი სპექტაკლი ,,ექსტრავაგანსა“ მისი სავიზიტო ბარათია.

1993 წელს სტუდიური მუშაობის შედეგად შექმნილი სცენური ნოველების საფუძველზე რეჟისორმა ბ. კუპრეიშვილმა მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლი ,,პერმანენსე”. წარმოდგენა არავერბალურია, მასში პერმანენტულად, მაგრამ ერთი აზრობრივი კუთხით ნაჩვენებია ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობების ფილოსოფიური მხარე და მნიშვნელობა. 1993 წელს ბავშვთა ხელოვნების სტუდია ,,მთიებმა” და თეატრ-სტუდიამ წარმოადგინა კოროსტილიოვის ,,ფიროსმანი,“ მონაწილეობდნენ 8-12 წლის მოზარდები, რაც მეტ გულწრფელობასა და მიმზიდველობას ანიჭებდა სპექტაკლს და ხაზს უსვამდა თვით გმირის - ფიროსმანის შემოქმედების უშუალობას.

1993 წელს მაყურებელმა იხილა წარმოდგენა ,,ცოცხალი სურათები,, მოზარდებისავე მონაწილეობით (რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი ბ. კუპრეიშვილი, მხატვარი ნ. ნიჟარაძე). სპექტაკლი ასევე არავერბალურია, მასში წარმოდგენილია საყოველთაოდ ცნობილი ფერწერული ტილოებისა და ფოტოების სცენური განხორციელება. მოძრაობის, პლასტიკის შედეგად განხორციელებული სურათები გაცილებით დიდ მნიშვნელობას ღებულობენ და მაყურებელს წარუდგებიან, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთი ფიქსირებული მომენტი. 1994 წელს თეატრ-სტუდიამ მოიწვია რეჟისორი დ. მაცხონაშვილი, რომელმაც მაყურებელს წარუდგინა მიშელ დე გილდეროდეს ,,ესკორეალ”. 1994 წელს რეჟისორი ბ. კუპრეიშვილი აბსურდის ჟანრს მიმართავს. მან მაყურებელს წარუდგინა ს. ბეკეტის „უბრალოდ“ მოდი და წადი” ხანდაზმული სცენის ოსტატების მონაწილეობამ ნაწარმოებს სრულიად მოულოდნელი, ახლებური დატვირთვა შესძინა და მაყურებელს წარუდგინა, როგორც სხვა სამყაროში გადასვლისათვის, ცხოვრების უკანასკნელი წუთის შესახვედრად მზადება და ამქვეყნიური ყოფის ამაოების შეგრძნება.

1995 წელს მსახიობებთან - ზ. სტურუასა და მ. აბულაძესთან ერთად ბესო კუპრეიშვილმა წარმოადგინა მატი უნტის ,,A&B“ რომელიც ამავე წელს დაჯილდოვდა ნომინაციით ,,ყველაზე თამამი იდეისა და მისი განხორციელებისათვის”, ამრიგად, ,,თითების თეატრი“ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სტუდიური ან ერთი მიმართულებით მუშაობით, თუმცა განხორციელებულ სპექტაკლებთან ერთად სტუდიური მუშაობა გრძელდებოდა და 1994-95 წლებში თეატრ-სტუდიამ ბათუმში რამდენიმე ქუჩის წარმოდგენაც განახორციელა („პალმანდო“ „ბოლერო“, „გლობუსი“), რის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა საჯარო ზეიმის მოწყობა. 2007 წლიდან დღემდე „თითების თეატრი“ რეპეტიციებსა და სპექტაკლებს მართავს „კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ შენობაში, რისთვისაც მადლობას უხდის თეატრის ხელმძღვანელობას.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - „თითების თეატრი“
დაარსების წელი - 1998 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - შპს
დაქვემდებარება - კერძო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - ბესო კუპრეიშვილი
თეატრის ელ ფოსტა - besso-k@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - besso-k@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - www.fingers-theatre.net
თეატრის მისამართი - მარჯანიშვილის ქ. #8

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა:
მსახიობთა რაოდენობა - 5 მსახიობი +2 მოწვეული მსახიობი (ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი), ქეთი ცხაკაია (სპექტაკლი „ჰამლეტი”,მალხაზ გაბუნია (პროექტი „სევილიელი დალაქი“)
შემოქმედებითი პერსონალი - 4
ბესო კუპრეიშვილი - რეჟისორი;
ვახტანგ ქორიძე - მხატვარი;
გია მარღანია - ქორეოგრაფი;
ზურაბ გაგლოშვილი - მუსიკალური გამფორმებელი

	2012 წელი		2013 წელი	
სპექტაკლის დასახელება	მაყურებლის რაოდენობა	თანხა	ბილეთების რაოდენობა	თანხა
ექსტრავაგანსა	76	405	67	346
კედელი			54	300
ჩემი ჰამლეტი	206	1846	12	116

რეპერტუარი - 2011-2013 წლების
ამ წლებში განხორციელდა სხვადახვა პროექტი, რომლებიც არ არის თეატრის რეპერტუარში. ესენია :
„მოხეტიალე სული“
„წითელქუდა“
„სევილიელი დალაქი“
„ის - ალეატორია“

იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე 2011-2013 წლებში
ქვეყნის გარეთ:
2013 წ. ჩეხეთი, საქართველოს კულტურის დღეები პრაღაში
2012 წ. საფრანგეთი, საქართველოს კულტურის დღეები სტრასბურგში
2011 წ. ჰოლანდია, “Spoffin Multi-Arts Festival“

მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა 23
ყველაზე ხანდაზმული -43
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? - ქეთევან ცხაკაია - „ჰამლეტი“

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2011 წელს ქეთევენ ცხაკაიას მიენიჭა ყოველწლიური თეატრალური პრემია “დურუჯი“-ის ჯილდო “ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ ჰამლეტის როლის განსახიერებისათვის სპექტაკლში “ჩემი ჰამლეტი“

2011-2013 წლის რეპერტური

ჩემი ჰამლეტი
უილიამ შექსპირის მიხედვით
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და თითების თეატრის ერთობლივი პროექტი
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
კომპოზიტორი - იოსებ ბარდანაშვილი
მუსიკალური ადაპტირება ზურაბ გაგლოშვილისა
დამლაგებლის ტექსტის ავტორი - ნინო კანტიძე
პროექტის პროდიუსერი - როჯერ მაკ კანი (დიდი ბრიტანეთი)
მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია
მეთოჯინეები: ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებაღიშვილი

ექსტრავაგანსა
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
ქორეორაფი - გიორგი მარღანია
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
მუსიკალური გამოფორმებელი - ზურაბ გაგლოშვილი
მონაწილეობენ: თეონა მაღალაშვილის, ელენე ფირცხალავას, ზაალ კაკაბაძის, გიორგი მებაღიშვილის და მარიამ ავალიშვილის თითები

კ ე დ ე ლ ი

პინქ ფლოიდის მიხედვით
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
ქორეოგრაფი - გიორგი მარღანია
მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი
პრემიერა შედგა 2006 წელს, განახლდა 2013 წელს
ხანგრძლივობა: 50 წუთი, შესვენების გარეშე

საუბარი თეატრის დამაარსებელთან და ხელმძღვანელთან ბესო კუპრეიშვილთან

- თითების თეატრი დამოუკიდებელი თეატრია, არასდროს სახელმწიფო დოტაციასა და ბიუჯეტზე დამოკიდებული არ ყოფილა და უშუალოდ აქვს შეხება სპონსორებთან. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- სამწუხაროდ, სპონსორობის კულტურა არ არის. მაგრამ არსებობს სიტყვა, თუმცა... ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მივალ სპონსორთან, როგორ დაველაპარაკები. ყველა ეტაპი გავიარე, უფულობის, ფულიანობის, მერე ცოტა გრანტი, ისევ გრანტი, უფულობა ანუ სულ ჩემი თავისუფლებით ვცხოვრობდი. გეთანხმებით, ეს არის დადებითი, მაგრამ რაღაცას რომ იწყებ და ფული არ გყოფნის, იწყება პრობლემა, მაგრამ ამ პრობლემამ შექმნა „თითების თეატრი“. ზოგი ჭირი მარგებელიაო. რაც შეეხება სპონსორობის კულტურას, მე ვგრძნობ, რომ ჩვენი თეატრის მიმართ გაჩნდა სიმპათიები, ვიღაცა გვიცნობს, ვიღაცას ვუნდივართ და რომ მივდივართ მოლაპარაკებებზე მოდიან თანამშრომლობაზე. ყველაზე კარგი და დიდი დახმარება, რაც ჩვენს ცხოვრებაში ყოფილა, არის "ქართუ" ფონდი და ქალაქ თბილისის მერია, რომელიც ჩვენი პროექტების 90%-ს აფინანსებს. ერთი ორჯერ აქვთ უარი ნათქვამი, ისიც მე დავაგვიანე პროექტის შეტანა. რაც შეეხება ცალკე ურთიერთობას არასამთავრობო ან კომერციულ სტრუქტურებთან, ყოფილა შემთხვევები, უარი მიგვიღია, მომხდარა ისეც, რომ მაშინვე მოუციათ თანხა. არ ვიცი, რისი ბრალია, როგორ უნდა დაიხვეწოს ეს კულტურა.

- როგორ ფიქრობთ, საკანონმდებლო ბაზა შეცვლის სიტუაციას?

- ეს არის ყველაზე კარგი ვარიანტი. მე მგონი ეშინიათ, რომ იქაც არ მოხდეს გარიგებები. არის კომპანიები, რომლებსაც დაფინანსების სურვილიც აქვთ, მაგრამ ვერ გეხმარება. მივცეთ შეღავათი, დამატებითი ღირებულებისგან გავათავისუფლოთ, რადგან ის ქველმოქმედებას სჩადის. მაშინ შევიტანოთ კანონმდებლობაში ცვლილება. მე მგონი ინგლისში არის ეროვნული ლატარეა. ეს ძალიან კარგია. დახედავ და ყველა აფიშას აწერია როგორც სპონსორი. ეროვნული ლატარეა ჩვენთანაც არის, ხომ შეიძლება, რომ საქართველოს ლატარეის კომპანიას ვუთხრათ, რომ გაგათავისუფლებთ გადასახადისგან, მაგრამ აიღე შენ თავზე შეფობა იმიტომ, რომ ლატარეას ვთამაშობთ. მე პირადად ვთამაშობ კვირაში ორჯერ. ვყიდულობ ბილეთს, იქნებ გამიმართლოს. ასე რამდენი ვართ ხომ?! მე ახლა მოლაპარაკება მაქვს სტამბულში, ვაკეთებთ ერთობლივ პროექტს და წერილის გაკეთება მთხოვეს. მივედი აეროპორტის მფლობელთან და ნაცნობი აღმოვაჩინე. ქართულმა მომენტმა იმუშავა. ჩვენ გვიმართლებს, რადგან ჩვენ არ ვითხოვთ იმდენს, რამდენსაც ოპერის თეატრი. მე შეიძლება ერთი პროცენტი ვითხოვო მცირებიუჯეტიანი სპექტაკლებისთვის.

- თითების თეატრს თუ აქვს შემუშავებული სასპონსორო პაკეტები?

- ვიღაცეებთან მქონდა შეთავაზება და არ გაჭრა, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ და ჩავიქნიე ხელი. არ ვიცი, ახლა შეიძლება ამაზე ფიქრი?! მე ახლაც ვფიქრობ, სხვანაირად ვიშოვო შემოსავალი.

- თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სპონსორი მოსულა წინადადებით და თქვენ უარი გითქვამთ ან რაღაცა მოტივით არ გაწყობდათ ამ სპონსორთან ურთიერთობა?

- სამჯერ მქონდა ასეთი წინადადება და სამჯერვე მივიღე შემოთავაზება. ბოლოს თიბისი ბანკის ჟურნალს გავუკეთე პრეზენტაცია. დიდი კამათის შემდეგ დავუმტკიცე, რომ ის, რასაც ჩვენ ვთავაზობდით, უკეთესი იყო. მაგალითად, „ჯივიესის“ მარკეტინგმა შემომთავაზა კლიპის გაკეთება და ჩემი პირველი რეკლამა გახდა წლის საუკეთესო კლიპი პროდუქტის მომხმარებლის განხრით.

- თქვენი აზრით, სპონსორებთან ურთიერთობა ხანგრძლივი უნდა იყოს თუ ერთჯერადი? რომელი უფრო მომგებიანია თეატრისთვის?

- ჩემთვის ორივე მომგებიანია. შარშან ნოემბერ-დეკემბერში ოთხი პროექტი გავაკეთეთ.

საკმაოდ კარგი შემოსავალი შემოვიდა. ჩვენ შემთხვევაში თუ ვილაპარაკებთ, ამ მხრივაც გვაქვს ვარირების საშუალება. მე შემიძლია ერთი ან ოცი სპექტაკლი დავდგა, ვიფიქრო კომერციულ გასტროლზე და იქიდან შემოსულ შემოსავალზე. ყოველ შემთხვევაში, რაღაც შემოსავალზე შეიძლება იყოს ლაპარაკი.

- როგორია თითების თეატრის სპექტაკლებზე მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- მარჯანიშვილის თეატრმა რომ შეგვიკედლა, ჩემთვის ეს კომფორტია. არ მაინტერესებს, ვინ რას წერს, ვინ დაალაგა, ვინ მოიტანა აფიშა, ტელევიზია მოიყვანეს თუ არა. მარჯანიშვილის თეატრმა აიღო შეფობა. ერთადერთი მოლაპარაკება - ეს არის გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის განაწილება 50-50-ზე. ზემოთ, სადაც ჩვენ ახლა ვთამაშობთ სპექტაკლებს, ბილეთის ფასი შეადგენდა 11 ლარს. შევედი ადმინისტრაციასთან თხოვნით, რომ ჩვენს სპექტაკლებზე ბილეთის ფასი ყოფილიყო 5 ლარი,

საბოლოოდ შევჯერდით 6 ლარზე. ამან იმუშავა და რატომ. როდესაც საუბარია თითების თეატრზე, ვიღაცას უნდა ბავშვის მოყვანა. წარმოიდგინეთ, ოჯახიდან მოდიხართ ერთი ბავშვით - 11 ლარი იქნება თქვენი დანახარჯი, ორი - უკვე 22 ლარი. ამ თანხით ხალხი ცხოვრობს. ამიტომ მე მირჩევნია 11 ლარით დედაც მოვიდეს და ბავშვიც, ნახონ სპექტაკლი და დარბაზში იყოს მაყურებელი. აი ამის ფუფუნება მე მომცა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრამ და დაფინანსებამ, რომელსაც ხელფასზე გვაძლევენ. ჩვენ არ გვშია, არ ვართ სალაროზე დამოკიდებული. მე მირჩევნია ბევრმა ადამიანმა ნახოს ჩვენი სპექტაკლები. იქიდან რაღაცა პროცენტი გვრჩება ჩვენ, რა თქმა უნდა. ბატონი ბიძინას მოსვლამდე 31 დეკემბერს მე მქონდა გადაწყვეტილი, დამეხურა თეატრი. 10 დღით ადრე მოვიდა და გამოთქვა დახმარების სურვილი. ეს იყო გადარჩენა, თორემ დღეს თეატრი დახურული იქნებოდა. ფაქტობრივად, თეატრის მთლიანი შემოსავალი კომუნალურ გადასახადებს ხმარდებოდა; ხელფასი მე მრჩებოდა თვეში 15 ლარი, ბავშვებს - 4, 5 ლარი. მივხვდი, რომ ვეღარ ვიარსებებდით. აფიშის დაბეჭდვაზე, რადიოსა და ტელევიზიაზე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო ლაპარაკი. გაგვიმართლა. რაღაც პერიოდი მოვდუნდი, ვინაიდან თეატრს შემოსავალი გაუჩნდა, მაგრამ მივხვდი, რომ მოდუნება არაფრით არ შეიძლება, ჩვენ მოგვეცა შანსი იმისათვის, რომ განვვითარდეთ, ანუ მე მომცეს საშუალება, რომ შემოქმედებითად ვიფიქრო. არ ვიფიქრო ყოფით პრობლემებზე. 23-ჯერ ვართ გასული საზღვარგარეთ. ეს მერამდენე თაობაა არ ვიცი. მაგრამ უმეტესი ნაწილი გასული ვართ თბილისიდან და არა ბათუმიდან. იცით აქ რა მოხდა? ვიღაცა შემოვიდა, ვიღაცამ გვნახა. მოძრაობა მეტია. უცხოელი შემოვიდა და გვნახა, ვიღაცამ რაღაცა წაიკითხა, იმან იმას უთხრა და წაეწყო პროექტები. ლიტვაში მიმაქვს „ჰამლეტი“, უცბად ინგლისმა შემომთავაზა - დადგიო. შეიძლება თურქეთი გამოვიდეს. აგერ ბათუმი. რამდენი ხანია ვემზადები „პატარა უფლისწულისთვის“. უკვე არის მოფიქრებული და ახლა საჭიროა შესაბამისი ფინანსები. იმ ფულიდან, რაც ჩვენ გვერიცხება სახელფასო ფონდის სახით, ვიღებთ თანხის რაღაც ნაწილს და ვახმართ ახალი სპექტაკლების მომზადებას. აი ახლა სტამბულში კომერციული პროექტია და ჩემს საკუთარ ფულს ვდებ. გარდა იმისა, რომ რეჟისორი ვარ, პროდიუსერობაც დავიწყე. იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბიძინამ შეიძლება გვითხრას, რომ... მას შემდეგ, რაც აღარ მშია, დავიწყე ფიქრი, როგორ ვიცხოვრო, რომ არ ვიყო ვიღაცაზე დამოკიდებული. ამაზე დიდი საშინელება არაფერი არ არის. აი სპონსორებთანაც ასე მიდიხარ. ენა რომ ვიცოდე, საქართველოში ჩამოვალ მხოლოდ დასასვენებლად. ლიტვაში მითხრეს, უარზე ხომ არ იქნებით, თითების თეატრი რომ გავხსნათ ვილნიუსშიო. რატომაც არა, იყოს, ფილიალი იქნება. მაგრამ იქ იმავეს ხომ არ გააკეთებ. იქ უნდა დაიწყო ფიქრი ახალ სპექტაკლზე და ძალაუნებურად მიდიხარ. პრინციპში რატომ არ წავალ, ევროკავშირში მაინც ვიქნები ბოლოს და ბოლოს. რა კარგად გამოიყურებიო და კარგად ვიქნები, როცა ფორმაში ვარ. უკვე გინდა კიდევაც კარგად გამოიყურებოდე. როცა ცუდად ხარ, ეს ხომ გადამდებია.

- **რას გვეტყვით თქვენს ბავშვებზე. თითების თეატრის დასი ძირითადად არაპროფესიონალი მსახიობებისგან შედგება. რამდენიმე თაობა უკვე გამოიცვალა. რა კრიტერიუმებით არჩევთ მსახიობებს?**

- არ ვიცი. სულ ვფიქრობ, თეატრალურ უნივერსიტეტში რა საჭიროა გამოცდები. წამიკითხე პროზა. ყველამ ვიცით, რომ ეს არის მომზადებული. დაველაპარაკე. თუ შენ ჭკვიანი ხარ, მიხვდები, რომ ამისგან არაფერი არ გამოვა. მახსოვს, ბავშვები რომ ამყავდა ბათუმში, ეტიუდის გაკეთება შევთავაზე. ახლა რა იცის ქუჩიდან მოსულმა. გოგო გამოვიდა. უშნოდ დაიწია, ხელები აწია და გადმოეწია თმა, ნახევარი თავი აპარსული ჰქონდა. რაღაც პოზაში უნდოდა გადასვლა და სანამ გადადიოდა ამ პოზაში, ყველას უთხრა, ძალიან გთხოვთ, სიჩუმე იყოსო. ეს უკვე მომეწონა. მამზადებს, გადაიწია, დგას და უცებ დავინახე დარბაზში ბავშვები, ვისი რიგიც უნდა იყოს და ვინც გაიარა, სიჩუმეა. დაიჭირა ყველა და მათ შორის მეც. და უცებ აწია თავი, ცრემლები მოადგა თვალებზე, მე ვერაფერს ვერ გავაკეთებო და დაჯდა. ის დავტოვე. მეორე გამოვიდა, ერთი წამითო, გაიხადა ფეხზე. რაღაცა იდიოტობა გააკეთა. მე ეს ფეხზე გახდა მომეწონა, დამოკიდებულებაა, ცდილობდა, შესულიყო როლში. არ იცოდ,ა როგორ, დანარჩენი უკვე უნდა ასწავლო. მაგრამ მე დავინახე დამოკიდებულება. ჩემთვის არის მთავარი დამოკიდებულება. მე თუ დავინახავ, რომ ვიღაცას უნდა ეს აკეთოს, ვასწავლი.

- **კიდევ რა კრიტერიუმი შეიძლება იყოს?**

- მეტი არაფერი. მთავარია რიტმის გრძნობა ჰქონდეთ. აი „მზის სხივზე“ რომ დავიწყეთ ლაპარაკი, ელენე ონიანს ვთხოვე ერთი ორი ბავშვის მოძებნა. ერთი ათი დღე იარა მეტყველებაზე. გათავდა. და „მზის სხივში“ სათამაშოდ ავიყვანე ბალერინა. რაღაცა ნიუანსები არ იცოდა. მე ვიცი, რომ ეს უნდა ასწავლოს თეატრალურმა უნივერსიტეტმა. ვცდილობდი მესწავლებინა. მონდომებული იყო და ძალიან სწრაფად გაიარა ეს პერიოდი. სპექტაკლი „სევილიელი დალაქი“ პროფესიონალებთან რომ გადავიტანე, მივხვდი, რომ ყველა კარგად გამიზრდია. იმიტომ რომ გივი სარჩიმელიძე მყავდა მოყვანილი და 4 თვე ტრენინგი ჰქონდათ. მე წავედი. ვუთხარი 4 თვეში მოვდივარ და ვინც არ მომეწონებით, გაგიშვებთ-მეთქი. ორი კაცი გავუშვი. თოჯინები მაშინ არ იცოდნენ. მე ვთვლი, რომ მსახიობი უნდა იყოს უნივერსალური. ბატონო ბესო, მე თოჯინას ვერ დავიჭერ. რას ჰქვია მჭირდება სპექტაკლში. და რა ვქნა ახლა, ვერ გავიგე?! მე მჭირდება, რომ კლარნეტზე უკრავდეს გმირი. კლარნეტისტი უნდა მოვიყვანო. ხუთ კაცამდე ჩამოვედი. ახლა ექვსნი არიან. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს ყველაფერი. შემიძლია მოვიყვანო ვინმე და დავსვა მუსიკაზე. იმ ხელფასიდან, რასაც ჩვენ გვაძლევენ, ვინმე რატომ უნდა მოვიყვანოთ, ხომ სჯობია, ჩვენ დაგვრჩეს. ამიტომ, სადაც მივდივართ, ყველაფერს ჩვენი ძალებით ვაკეთებთ, ჩვენ ვხერხავთ, ჩვენ მიგვყავს მუსიკა და ამ მხრივ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემთვის კარგი არტისტი არის ის, ვინც უნივერსალურია. საშინელებაა, როდესაც მეუბნებიან, ისეთი პიესები არსებობს და შენ თაგვებზე დგამ რაღაცას. მესმის. ვიცი, რომ არსებობს, მაგრამ ჩეხოვი რომ დადგა სცენაზე, ორი ინტელიგენტი არტისტი უნდა გყავდეს.

- როგორ ადგენთ თეატრის რეპერტუარს?

- არ ვიცი. ეს სპონტანურად მოდის. პირდაპირ გეუბნებით, დავმჯდარვარ და მიფიქრია.

- კრიტერიუმი? მაგალითად, მაყურებელს ახლა ეს უნდა და აინტერესებს?

- არა.

- ან მეორე, დასი ამისთვის მზად არის? ან მესამე, აღტკინებული?

- მე უნდა ვიყო რაღაცისთვის მზად. მაგალითად, 1995 წლიდან „ჰამლეტის“ თემას ვატარებდი. ჯერ კიდევ ბათუმში მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ მივხვდი, პროექტისთვის ფულს ვერ ვიშოვნიდი. იყო ერთ კაცზე გათვლილი, რომელიც ილაპარაკებდა, როგორც ქეთი ცხაკაია ლაპარაკობდა, მაგრამ თოჯინები კი არ იყო. იქ მოდერნი ცეკვები უნდა ყოფილიყო, რომელიც ახალი შემოსული იყო. ყველა პერსონაჟი უნდა ყოფილიყო პლასტიკით, არც მეტი, არც ნაკლები უნდა ელაპარაკა და ყოფილიყო ვირთხა. ვირთხების სამყარო, ჰამლეტი - ვირთხიდან დაწყებული, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ვირთხების სამყარო უნდა შეცვალოს და იწყებდა თამაშს. იცით, ამ თამაშს ძაფებით რა ჰქვია? რუსულად ჰქვია „კალიბელ კოშეკ“. ანუ ვირთხებს უცებ კატის თამაშს სთავაზობდა. თითებიც სპონტანურად მოვიდა. ბათუმში კიდევ უფრო მეტ ექსპერიმენტებს ვატარებდით. მაგალითად, ვიღაც ტიპი მოვიდა და „სევილიელ დალაქში“ ესა და ეს გამიკეთეო. მე ვფიქრობდი, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ ბუფონადა კარგი იქნებოდა თოჯინებით, რაღაცა მოვსინჯე და ეს იყო. ვფიქრობდი სხვა რაღაცაზე, გამოვიდა სხვა.

- იმაზე თუ გიფიქრიათ, ვინმე სხვა რეჟისორს დაედგა თითების თეატრის დასთან?

- როგორ არა. გია მარღანია მოვიყვანე და დავადგმევინე „ტანგო“. ასევე გია მარღანიამ გააკეთა 35-წუთიანი პროექტი, რამოდენიმე ეტიუდი, ვთხოვე, ჩემი ძველი პლასტიკა გადაკეთებინა ქორეოგრაფიულად. მოხდა საშინელი რამ. მან, როგორც ცოცხალ ბალერინებთან, ისე დაიწყო დადგმა. მე ავუხსენი, რომ ეს იყო დადგმული, იუმორში როგორ იცეკვებდა მინიატურში დადგმული ცოცხალი ფეხები, ანუ რას აკეთებს ბალერინა. ტანგოც იუმორით იყო გაჯერებული, იქ რაღაცა გამოჩნდა, იქ რაღაც მიემატ - მოემატა. ანუ დიდი სიამოვნებით მოვიწვევ რეჟისორს. პირიქით, ვიღაცა ხომ შეიძლება მოვიდეს და გითხრას რაღაცა ახალი და დადგას.

- თითების თეატრის სპექტაკლების მეთოდებს და ხერხებს რომ ხვდებით ქართულ სპექტაკლებში, ამაზე რა რეაქცია გაქვთ?

- არანაირი. ძალიან მსიამოვნებს. მე მახსოვს, დიმა ხვთისიაშვილი ჩამოვიდა ბათუმში ჩემ მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე. დუტასთან ერთად მონოსპექტაკლი ჰქონდა გაკეთებული და იქ იყო ერთი სცენა, შენგან მაქვს მოპარულიო. ჩემი რატომ, მე ველოსიპედი კი არ აღმომიჩენია. უბრალოდ, დამებადა იდეა და დავდგი „ხორუმი“ - ასე წავიდა და წავიდა. ძალიან კარგად ჰქონდა გაკეთებული და არავითარი ხინჯი არ დამრჩენია, რომ გვპარავენ. შედით „youtube“-ზე და რამდენიც გინდათ, თითებით ვიღაცეები რაღაცას აკეთებენ. პირიქით, ეს ძალიან კარგია. კიდევ ავსტრიაში მივდივართ ირაკლი სუთიძის პერფორმანსით.

- ბოლო სამი წლის მანძილზე თითების თეატრის მნიშვნელოვანი შემოქმედებითi წარმატება. რას გამოყოფდით?

- პირველს, რა თქმა უნდა, „ჰამლეტს“, ოღონდ ქართულ ვარიანტს.

- რა შემოქმედებითი და ტექნიკური პრობლემების წინაშე დგას თითების თეატრი?

- ამ წუთში, იცით, რა პრობლემის წინაშე ვდგავართ? შეთანხმდეს მერია და საკრებულო ბიუჯეტზე. ქალაქის მერია დამპირდა, რომ „პატარა უფლისწულის“ ნაწილს დამიფინანსებს. ეს არის ერთადერთი ჩემი პრობლემა.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

სოხუმის სახელმწიფო ქართულ თეატრს, რომელიც თავის ისტორიას 1885 წლიდან ითვლის, დიდი ისტორიული და შემოქმედებითი ტრადიციები აქვს. მის სცენაზე მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მსახიობები და რეჟისორები. თეატრის რეპერტუარში მუდამ იყო წარმოდგენილი ქართული და უცხოური კლასიკა, თანამედროვეობის ამსახველი პიესები. თეატრი ყოველთვის ცდილობდა, თავისი დროის მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოეჩინა სცენაზე.

XX საუკუნის 90-იან წლებში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ თეატრი იძულებული იყო, მშობლიური კუთხე დაეტოვებინა და თბილისში დაედო ბინა.სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის თეატრს საკუთარი შენობა არ გააჩნია. სხვადასხვა დროს იგი წარმოდგენებს მართავდა შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, სამეფო უბნისა და თავისუფალ თეატრებში. მიუხედავად ამისა, თეატრი აქტიურად მუშაობს - დგამს ახალ სპექტაკლებს, მართავს გასტროლებს და მონაწილეობს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში.

ამჟამად თეატრი სპექტაკლებს მართავს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, მანამდე - მარჯანიშვილის თეატრში.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების თარიღი - 1885
თეატრის იურიდიული სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - დავით საყვარელიძე, ჯემალ ქირია
თეატრის ელ ფოსტა - jemalkiria@rambler.ru
ვებგვერდის მისამართი - http://teatrisokhumi.ge/
თეატრის მისამართი - ვაჟა-ფშაველას 16

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 57
მსახიობთა რაოდენობა 24
შემოქმედებითი პერსონალი 29
ტექნიკური პერსონალი 21
ადმინისტრაცია 7

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	291031			
2012	275340			
2013	315000			

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 146 44, 55 ლარი
2012 წელი - 6463, 20 ლარი
2013 წელი - 5932 ლარი

2011-2013 წლებში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი- 30
2012 წელი - 31
2013 წელი - 20

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011წელი - 3.000
2012 წელი - 3.100
2013 წელი – 2.000
ბილეთის ფასი და ტარიფები (სათამაშო მოედნების და ადგილების მიხედვით)

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 25.000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 3.000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 8.000 ლარი

რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 50 ლარი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - არა
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - დიახ, პიარ სამსახურის მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ
თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 25
ყველაზე ხანდაზმული - 74

ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში?
2010 წელს - ლიანა მიქაშავიძე, ნუცას როლი, სპექტაკლი „პრემიერა“.

2011 – 2013 წლების რეპერტუარი

„კომანის გულწითელა, თეთრი მტრედი“
ერთმოქმედებიანი სპექტაკლი
ავტორი - ირაკლი სამსონაძე
დამდგმელი რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - მირიან შველიძე
კომპოზიტორი - გოგი ჩლაიძე
რეჟისორის თანაშემწე - ლელა ბესელია
მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მამა ანდრია - თენგიზ ჭუმბაშვილი
იური ანუა - მერაბ ბრეკაშვილი
ოფიცერი - დათო ველიჯანაშვილი
აფხაზი მეომარი - პაატა კიკვაძე
დაურ ზუხბა - ნიკა წერედიანი
პრემიერა შედგა 2011 წლის 6 მაისს

„ჯალათები“
ერთმოქმედებიანი სპექტაკლი
რაჰმან ჰაკიმის პიესის ,,დამსჯელი #14“ მიხედვით
ინსცენირების ავტორი – მირზა მაჩიტიძე
სცენური ვერსია, რეჟისურა და სცენოგრაფია – ბექა ქავთარაძე
კომპოზიტორი – ვახტანგ მოსიძე
ქორეოგრაფი – კირა მებუკე
რეჟისორის თანაშემწეები – ლელა ბესელია, მარინა კიკალეიშვილი
მონაწილეობენ: მირზა მაჩიტიძე, ვახტანგ მოსიძე, ანა სოხაძე, ლევან გელბახიანი
პრემიერა შედგა 2011 წლის 2 ოქტომბერს.

„გუშინდელნი????“
შალვა დადიანი
სცენური რედაქცია - გოჩა კაპანაძე და მანანა გეგეჭკორი
დამდგმელი რეჟისორი – გოჩა კაპანაძე
მხატვარი – ანა ნინუა
მუსიკალური გაფორმება – გოჩა კაპანაძე
ქორეოგრაფი – კირა მებუკე
მონაწილეობენ:
მალხაზ პიტრიშაძე, მამასახლისი – ნუგზარ ჩიქოვანი
კეკელა, მისი ცოლი – ლორინა პაპუაშვილი – ელერდაშვილი
მათი შვილები:
აგრაფინა – რუსუდან მელაძე , ქეთი ჩაჩუა
ადიკო – ვანო დუგლაძე
ჯიბო კვანტრიშვილი, მამასახლისის მოწინააღმდეგე – პაატა კიკვაძე
კოწიია, თავადი – მერაბ ბრეკაშვილი
მისი კნეინა – ჯულიეტა პაკელიანი

ფაცია, მათი ქალიშვილი – თეონა გურამიშვილი
ბერდოსანი, გენერალი – ნუგზარ წერედიანი
მარგარიტა, მისი მეუღლე – მზია ქარჩავა
კნეინა ჩიტუნია – კირა მებუკე
ფოფოდია – მარინა სოლომონია
მაზრის უფროსი – ნიკა წერედიანი
ჯვებე ქოლორდავა – დათო ველიჯანაშვილი
თავადი გორგასლიანი – ზაზა ასანიშვილი
პრემიერა შედგა 2011 წლის 13 დეკემბერს.

„კინკასის უცნაური გარდაცვალება“
ჟორჟ ამადუ
ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი – გიორგი თავაძე
მხატვრები – ანა ნინუა, ქეთევან ნადიბაიძე
მუსიკალური გაფორება – დათა თავაძე
ქორეოგრაფი – ეკა არჩაია
სასცენო მოძრაობა – ამირან შალიკაშვილი (უმცროსი)
მონაწილეობენ:
„კინკასი წყალია ოხერი“ – მერაბ ბრეკაშვილი
ვანდა – ნინო შავგულიძე
ლეონარდო – დავით ველიჯანაშვილი
მაროკასი – მარინა სოლომონია
ედუარდო – ნუკრი კონსტანტინოვი
კურიო – პაატა კიკვაძე
მეტისი – გიორგი გასვიანი
კაპრალი მარტინი – ვახო მოსიძე
სოლიტერი – ზაზა ასანიშვილი
ოტასილია – ეკა არჩაია
თემოგანიერი კიტერია – ჯულიეტა პაკელიანი
მარია – კალა – ლონდა კაცია
ბაზრის პოეტი – დათო ბერაძე
წმინდანთა ხატებით მოვაჭრე – ნუგზარ წერედიანი
ექიმი – ნიკა ფაიქიძე
ექიმის შეყვარებული – თაკო აზნარაშვილი
მესაჭე მანუელი – ბესო ქარჩავა
პრემიერა შედგა 2013 წლის 9 თებერვალს.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან დავით საყვარელიძესთან

- რა იყო თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატება 2011-13 წლებში?

- როგორც საერთაშორისო ფესტივალის ქართული შოუქეისიდან მახსოვს, უცხოელებმა აღნიშნეს გოჩა კაპანაძის „გუშინდელნი“, რომელიც სოხუმის თეატრში დაიდგა. მე მაშინ ოპერის თეატრის მმართველი გახლდით და დიდად არ ვაქცევდი ყურადღებას დრამატულ თეატრს. უბრალოდ ასე მოხდა. მოვიდნენ ჩემთან სოხუმის თეატრის მესვეურები და მთხოვეს მათთან თანამშრომლობა. ჩემი სურვილი არც ახლა გახლავთ სამხატვრო ხელმძღვანელობა. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ მე შემიძლია ჩემი ორგანიზაციული ნიჭით წინსვლაში დავეხმარო თეატრს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვხედავ ამ თეატრის მიზანს, ანუ რას ემსახურება. შეიძლება შენობა ჰქონდეს თეატრს, ძალიან დიდი დაფინანსება მსახიობებს, ოთხი სცენა, მაგრამ მიზანი გაურკვეველი იყოს, თუ რას ემსახურება ეს თეატრი, საითკენ მიდის. სოხუმის თეატრს კი აქვს საშუალება და უფლება - ილაპარაკოს ისეთ თემებზე, რომლებიც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის დევნილობაში მყოფი ხელოვანების გაკეთებული საქმეები და სპექტაკლები. არსებობს სხვადასხვა დევნილობა - პოლიტიკური და იძულებითი და ა.შ. ანუ ჩვენ თუ ვილაპარაკებთ, როგორ უნდა შერიგდეს ორი ნაომარი ადამიანი, სად უნდა ვისაუბროთ ამ თემებზე ან მომავალში შერიგებაზე როგორ უნდა მოხდეს ჩვენი ურთიერთობა მეზობლებთან, რა თქმა უნდა, თეატრში. მე ვფიქრობ, რომ ამ თეატრს აქვს მიზანი და სწორედ ამ მიზანს უნდა მიებას ყველაფერი.

- რა პრობლემები დაგხვდათ სოხუმის თეატრში შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- შემოქმედებითი თვალსაზრისით ძალიან გამოცდილი და მომწიფებული დასი დამხვდა, ძალიან კარგი პოტენციალით. 2015 წელს თეატრს 130 წელი უსრულდება. თეატრს ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი. ანუ თეატრი არ არის მხოლოდ რაღაც პატარა ინსტიტუტი. ეს არის გაერთიანება იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც მათ გადაიტანეს. სხვანაირი ხალხი მუშაობს აქ და ახლა ფაქტობრივად

ახლიდან დაფუძნდნენ, ახალი სტრუქტურა შექმნეს, შემოქმედებითად არანაირი პრობლემა არ აქვთ. თან შენობაც აქვთ, რაც ძალიან მახარებს. უბრალოდ, ამ შენობას სჭირდება გარემონტება.

- ტექნიკური აღჭურვილობა?

- არსებობს რამდენიმე საერთაშორისო ფონდი, რომელიც დაგვპირდა, რომ გვიყიდიან და მოგვცემენ ტექნიკურ აღჭურვილობას. მთავარია, შენობა იყოს გარემონტებული. ჩვენს შენობას აქვს კარგი ადგილმდებარეობა უზნაძის ქუჩაზე და ხელის ერთი პატარა შევლებით შეიძლება გადაიქცეს საერთაშორისო ცენტრად, სადაც არ შეგრცხვება ნებისმიერი რანგის და დონის პატარა თეატრალური დასის მიღება.

- ასაკობრივად როგორ არის დაბალანსებული დასი?

- დასი არის ახალგაზრდული. რამდენიმე 7 ადამიანია, ვის მხრებზეც გადაიარა ყველაფერმა და თეატრი მოვიდა აქამდე. რასაკვირველია, ისინი შტატშიც არიან და უნდა ვეთაყვანებოდეთ. ბევრი თბილისელი მსახიობი მირეკავს, მოსვლა უნდათ და ჩვენთან თანამშრომლობა. რატომღაც ახალი თვალით შეხედეს სოხუმის თეატრს. დასი შესავსებია, მსახიობების ნაკლებობაა, ასარჩევია რამოდენიმე მსახიობი. თეატრი ხომ ცოცხალი ორგანიზმია, უნდა ვნახოთ, როგორ შეეწყობიან ერთმანეთს. რთული მექანიზმია, მაგრამ ამავე დროს, ფაქიზი და არ უნდა მოხდეს ორი უჯრედის დატაკება.

- ახსენეთ, რომ კადრები არის შესავსები. თქვენ, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, რა ნიშნით შეარჩევთ მსახიობებს, რა პრინციპით განაახლებთ დასს? არსებობს ორი მიდგომა. ყველა რეჟისორს აქვს თავისი მეთოდი. ეს მეთოდი არის სხვადასხვა. მიხეილ თუმანიშვილს ჰქონდა სხვა, რობერტ სტურუას აქვს სხვა? თქვენ?

- მე გარკვეული გამოცდილება შევიძინე ბრუკთან. ეს არის ენერგეტიკული სიახლოვე, აურა, რომელიც გიზიდავს, რომელიც გიქმნის კომფორტს. არიან ასეთი ადამიანები. ძალიან კარგ მსახიობებთან მიმუშავია, მაგრამ ვერ დავამყარე ეს ურთიერთობა. თუმცა, დრო სჭირდება ყველას. ვეძებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არსებულ ოჯახურ გარემოში დისონანსს არ შემოიტანენ. არიან კარგი მსახიობები, ერთ თეატრში კარგად მუშაობენ, მაგრამ ვერ მოერგნენ ახალ ორგანიზმს. თუმცა, ამის გადალახვაც შეიძლება, მაგრამ ამის დრო არ არის. აღარ მჭირდება ველოსიპედების ძიება. არსებობს ჩვეულებრივი ტექნოლოგიური ურთიერთობების დალაგება, რასაც საქართველოში არ ასწავლიან. ეს არის დასის შეკრება, გაერთიანება, ლიდერობა, ოღონდ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ადამიანები არ განიცდიდნენ ზეწოლას ხელოვანისგან. ეს უნდა ხდებოდეს ორგანულად, ფაქიზად, დიდ სულიერ კომფორტში და არ უნდა გამოიწვიოს სხვა ადამიანების და არსებული დასის, დავუშვათ, შეწუხება. ეს ძალიან მარტივია, როგორც კარგი მევენახე დაამყნობს ერთ ჯიშს მეორეზე და ზოგჯერ გაახარებს, ზოგჯერ - არა. ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს. ადამიანი ხომ ბუნებრივი მოვლენაა.

- თუმცა აქ პროფესიულ განათლებასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. დიპლომით მსახიობი უნდა იყოს?

- მსახიობი უნდა იყოს მსახიობი. ჩვენ გამოცდილ მსახიობს ვეძებთ. უნდა იყოს ნამუშევარი სხვა თეატრში, რომ მერე მიხვდეს განსხვავებას, დააფასოს ის გარემო, რასაც მე ვთავაზობ. ანუ შედარებისთვის უნდა ჰქონდეს განვლილი გარკვეული ეტაპი.

- აპირებთ თუ არა რეჟისორების მოწვევას და რა პრინციპით შეარჩევთ მათ?

- შერჩევა არის ძალიან პრაქტიკული, ერთი სიტყვით, ძალიან პრიმიტიული. მაგრამ უფრო თეორიული და პრაქტიკული. მე აღვნიშნე, რომ ამ თეატრს აქვს თავისი მისია, ისაუბრონ დევნილობაზე, ისაუბრონ იმ თემებზე, რომლის უფლება მოიპოვა ამ სამყაროში ამ თეატრმა და ამ დასმა, ჩვენ მიმართული ვიქნებით იმ პიესების მიმართ, რომლებიც ჩვენ დაგვაკავშირებს იმ პრობლემასთან, რომელიც გვაწუხებს. ამჯერად მაინტერესებს, როგორ უნდა მოხდეს ორი ნაომარი ადამიანის, ოჯახის ან ერის დაკავშირება. აი, ამ თემაზე საუბარი, განჭვრეტა მომავალი ჩვენი ურთიერთობებისა, ამაზე საუბარზე უნდა იყოს შეჯერებული, დავუშვათ, ყველაფერი. ასევე მინდა ეს თეატრი გახდეს ლოკალური. ვთქვათ, როდესაც მოლაპარაკებებზე ჩვენი სახელმწიფო მიდის აფხაზეთის თემაზე ჟენევაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ პარალელურად მე შევძლებ კულტურული დიალოგის გამართვას ისეთ ქვეყნებთან, ისეთ თეატრებთან, რომლებსაც იგივე პრობლემა ჰქონდათ. პალესტინა, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნის რამოდენიმე თეატრი, რომელიც დღეს დევნილობაში მოღვაწეობს. არსებობენ ასეთი ხელოვანი ადამიანები, რომლებიც დევნილობაში არიან და იცით, რომ ბეკეტი ირლანდიელი იყო, მაგრამ დევნილობაში ცხოვრობდა პარიზში. რუსთაველი საერთოდ ჯვრის მონასტერშია დამარხულიო, ამბობენ. იმის თქმა მინდა, რომ დევნილობა და ხელოვნება არის ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული. ანუ თემებიც, რეჟისორებიც ისე იქნებიან შერჩეული, რომ ამ მიმართულებით წავიყვანო. რასაკვირველია, ეს უფრო ახლო იქნება თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ თეატრთან, ვიდრე, დავუშვათ, სხვა არსებული დრამატული თეატრები. ამ თეატრში მოსულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მოდის განსხვავებულ თეატრში. ნახავს იმას, რაც არის ძალიან აქტუალური პოლიტიკურ-სოციალურ სივრცეში და ამ თემებზე დაყრდნობილი. ანუ მე ავირჩევ ისეთ რეჟისორს, რომელსაც ეს აწუხებს. მაგალითად, თემურ ჩხეიძემ დადგა სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია...“ კარგი სპექტაკლი გამოვიდა. თემა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ეს მაგალითია, როგორ უნდა მოხდეს თეატრში ამ თემის მოტანა. თუმცა, არის თანამედროვე ხერხები. მაგალითად, ახლა ვაკეთებ პროექტს - ბავშვები, 13 წლიდან, 22 წლამდე მცხოვრებნი გალის რაიონში და საზღვრის იქითა ნაწილში, აღწერენ იქაურ სიტუაციას და ცხოვრებას და აგზავნიან ტექსტებს. ეს ტექსტები იმდენად საოცარია, დატვირთული და ჩვენმა სახელმწიფომ სათანადოდ არ იცის, რა ხდება იმ ტერიტორიაზე დღეს, რომ ალბათ ახალი აზროვნების ტალღას გააჩენს. ჩვენ გაგვიჩნდება კითხვა. მაგალითად, ბურჟუაზიული ხიბლი აქვს თუნდაც სამეფო უბნის თეატრს, ძალიან ბურჟუაზიულ სპექტაკლებს დგამენ აქ ომზე, ტროელ ქალებზე

მიდის საუბარი. ეს აბსოლუტურად სხვა რაღაცაა, აქ არ არის ომზე საუბარი.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ გაქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული სარეპერტუარო პოლიტიკა.

- არა. მე არ ვიცი, რა იქნება. თუ დაიდგმება „მეფე ლირი“, აქცენტი გაკეთდება კორდილიას დევნილობაზე. „ორი ბატონის მსახურიც“ კი დევნილობაზეა იმიტომ, რომ სხვა ქალაქში ხვდებიან შეყვარებულები ანუ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ რომ ავიღოთ, სულ დევნილობაა. ომია, გარბიან და მისდევენ. ანუ პრიზმას შევცვლით და ვიზუალურადაც თანამედროვე თეატრს დავუმატებთ მანიფესტური ხასიათის თეატრს, რაც მე მგონია, რომ აკლია. ყოველ შემთხვევაში, თუ რეჟისორი დამიმტკიცებს, რომ უკეთესი რამ აქვს... მაგრამ არ ავიღებ ისეთ პიესებს, რომლებიც არის სხვა თემებზე. ვთქვათ, გასართობი, ბურჟუაზიული, - ამის დრო არა გვაქვს.

– რას შეცვლის თქვენი საქმიანობა სოხუმის თეატრში?

- მე მინდა ისეთი ადგილი შევქმნა, სადაც თქვენ მოდიხართ და ის თემა, რომელიც მაწუხებს, არის ფსევდო-ინტელექტუალური, ფსევდო-პატრიოტული, მაგრამ არა ბურჟუაზიული თეატრი, პირდაპირი გაგებით, სადაც ადამიანი ბურჟუაზიული ინტერესების, გართობის მიზნით დადის. ეს ცუდი კი არ არის, გენიალურია. მაგრამ არ შეიძლება ბურჟუაზიული იყოს იდეა და გაყიდო ისე, რომ გაწუხებს ეს პრობლემა. თქვენ ვერ დამისახელებთ საქართველოში ადამიანებს, ვისაც დევნილობაში ყოფნა აწუხებს სოხუმის თეატრზე მეტად. იმ ადამიანებზე მეტად, რომლებმაც მართლა ის გოლგოთა გამოიარეს, მსახიობებს ოჯახის წევრები დაეხოცათ. არა მგონია, რომ ამაზე კარგად ომზე ვინმემ ილაპარაკოს. მაგრამ ომზე კი არ ისაუბრებს, ისაუბრებს უფრო შერიგებაზე. როგორ უნდა შეხვდეს იმ ადამიანს, რომელთანაც ჰქონდა კონფლიქტი. თუ მე ოდნავ მაინც მექნება ფინანსური საშუალება, აუცილებელია აქ თანამედროვე მხატვრების მოზიდვა, რომლებიც ჩვენი თეატრის ვიზუალურ მხარეს გამოცვლიან. ძალიან დიდი პრობლემაა კოსტიუმის, დეკორაციების, რეკვიზიტის. მახსენდება საშინელი ბუტაფორია, საშინელი დეკორაცია ნებისმიერი დონის თეატრში. იგივე ჩემი სპექტაკლი მეზიზღება იმიტომ, რომ ვერ ვაღწევ იმ ხარისხს არცოდნის გამო. მე ხომ არ ვამზადებ ამ დეკორაციას?!. ხშირად უკვე გავურბივარ, სადღაც დამზადებულ ნივთებს ვიყენებ, რომ ბუტაფორიული სახე არ ჰქონდეს. ასევე არის აუცილებელი რეჟისორების ჩამოყვანა და დასარღვევია ენის ბარიერი. დღეს სცენაზე უნდა ვილაპარაკოთ საერთაშორისო ენაზე. ანუ დასი უნდა იყოს მულტიკულტურული აზროვნებით.

– და არსებული რესურსით ამას შეძლებთ?

- რატომ გგონიათ, რომ მარტო ამ რესურსით ვაკეთებთ. ჩემი რესურსი არის მთელი ევროპა. ჩვენთან ფრანგები ისევე იმუშავებენ, როგორც მეგრელები და სვანები. ანუ მარტო ქართველი საქართველოსთვის არის ცოტა სამარცხვინო. ჩვენთან რომ მოხვალთ, მოისმენთ ძალიან საინტერესო ნაფიქრ ტექსტს, შეიძლება ვიზუალურად ცეკვა-თამაშით არ იყოს გაჯერებული, მაგრამ იქნება ცოტა მანიფესტური, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, და მერე ვნახოთ, უკვე რა დონეზე შეგვიძლია ამის გაკეთება. ეს უბრალოდ სხვა თეატრია.

საუბარი თეატრის დირექტორთან ჯემალ ქირიასთან

– თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში სპონსორობის კულტურა და რა პერსპექტივები აქვს მას?

- ეს გახლავთ დევნილი თეატრი და დღეს რომ არსებობს, ამას თამამად ვიტყვი და ამას მთელი საქართველო ამბობს, ეს არის საქართველოს სახალხო არტისტის, ბატონი დიმიტრი ჯაიანის დამსახურება. ის გახლდათ 38 წლის, როდესაც გახდა სახალხო არტისტი. პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით მუხლებგადახეხილი დადიოდა თავის სამეგობროში, სპონსორებთან, მარტივი ენით რომ ვთქვათ, ფულიან ხალხთან. შემდეგ ეს როგორ გამოიყენეს გახსოვთ ალბათ, 2010 წელს გაგვიშვეს თეატრიდან. მოხდა ცუდი ფაქტი, მაგრამ არა უშავს. 1993 წელს თბილისში რომ ჩამოვედით, ცხრა წელი ვიყავით რობერტ სტურუასთან რუსთაველის თეატრში. ბატონი დიმიტრი ვისთან აღარ დადიოდა და ვისაც როგორ შეეძლო, ისე გვეხმარებოდა. არ შემიძლია არ გავიხსენო გუჯა ბუბუტეიშვილი, გია ჯოხთაბერიძე, მაგრამ ეს ყოველივე მაინც იყო გამომდინარე პიროვნული ურთიერთობიდან. ანუ ეს ინსტიტუტი საქართველოში ძალიან ძლიერია. სპონსორობის ინსტიტუტი, როგორც ასეთი, არ არსებობს საქართველოში. არსებობს ქველმოქმედება, მაგალითად ბიძინა ივანიშვილი, რომელიც სახალხო არტისტებს ეხმარებოდა. ფენშუის მიხედვით, ადამიანი რასაც მოიგებს, იმუშავებს, იმის 10% უნდა გაუშვას ქველმოქმედებაში. ყველას უყვარს თეატრში შესვლა, ყველას უყვარს ოპერა, მაგრამ თუ შენ არ დაეხმარე, მარტო სახელმწიფო ამას ვერ იზამს. იმიტომ რომ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ეს ინსტიტუტი, რასაც სპონსორობა ჰქვია, საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული.

ბევრჯერ მიმიღია სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობა. ყოველთვის არის პრობლემა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. რას ითხოვს მაყურებელი და რას ვაწოდებთ ჩვენ მას. ამათ შორის არის დაცული ბალანსი თუ არა. ვიცით, რომ შემოქმედი უნდა იყოს თავისუფალი. შემოქმედი, რასაც უნდა, იმას დადგამს. აბსოლუტურად არ აინტერესებს ეს ბალანსი, უნდა რომ იყოს თავისუფალი და დადგას პიესა, ითამაშოს. ეს თავისუფლება ზოგჯერ არის გაუგებარი. მას არ აინტერესებს, რას თხოულობს მაყურებელი, მას უნდა

რაღაცა ადგილი დაიმკვიდროს ან დადგას, რაღაც ძიებაშია. ჩემი აზრით, ასეთი სპექტაკლები არ ცოცხლობს თეატრში, მაგრამ საჭიროა, რომ იყოს თეატრში. კი ბატონო, მაშინ ისიც გააკეთე რასაც დღევანდელი მაყურებელი ითხოვს. შეიძლება ვიღაცას მოეწონოს, ვიღაცას არა. ვიღაცა დაგეთანხმება, ვიღაცა - არა, ეს ბუნებრივია.

- ანუ თქვენი აზრით, რასაც მაყურებელი ითხოვს, ის უნდა მიაწოდოს თეატრმა?

- დიახ. რა თქმა უნდა, შემოქმედი უნდა იყოს მუდმივ ძიებაში, უნდა იყოს ექსპერიმენტები, მე ამის მომხრე ვარ, მაგრამ ესეც უნდა იყოს დაცული, დაბალანსებული და მაყურებელზე გათვლილი.

- გაქვთ თუ არა შემუშავებული სასპონსორო შეთავაზებები?

- როდესაც მივდიოდით სპონსორებთან, ვთავაზობდით ჩვენს სარეკლამო სივრცეს, ეს იქნებოდა აფიშებზე, ბუკლეტებზე, ბანერებსა თუ ტელევიზიაში. არის ისეთი პროექტები, თუ თავიდან ბოლომდე დააფინანსებს სპონსორი, იგი გარკვეულ პროცენტს მიიღებს შემოსავლიდან. არც ეს არ არის განვითარებული. მაგრამ მე მაინც ასე დავსვამდი შეკითხვას, რას მიიღებს სპონსორი, თუ სპექტაკლი ან თეატრი დაასპონსორა. კომერციული თვალსაზრისით, ის ვერაფერს ვერ მიიღებს. უბრალოდ, მას უნდა ჰქონდეს ეკლესიაში მისვლის, სანთლების ყიდვის, სანთლების ანთების სურვილი. თეატრი ხომ იგივე ტაძარია, სიწმინდეა ენის. როდესაც ადამიანი სიკეთეს აკეთებს, ხომ არ ელის სამაგიეროს. ის რომ განიცდის უდიდეს სიამოვნებას, აი ეს არის ჩვენი სიამოვნება. დავუშვათ, ამ შემთხვევაში თუ მე ვარ სპონსორი.

- თვლით თუ არა, რომ პრესტიჟულია - იყო თეატრის სპონსორი? მოქმედებს თუ არა ეს კომპანიის იმიჯზე?

- რა თქმა უნდა. როგორც კი ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდება საქართველოში, ესა თუ ის ფირმა, კომპანია, პიროვნება თუ განაცხადებს, აი მე ვეხმარები ამას, მე ამას ვაკეთებინებ, პიროვნული ამაღლებაა ეს. მაგრამ სწორად უნდა გავიგოთ ეს ქველმოქმედება და სპონსორობა. შეიძლება ის ბოროტებას ჩადის. ანუ თუ ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა საქართველოში უნდა მოხდეს გათვლა, ვის როგორ ვეხმარებით, თანაც იმსახურებს თუ არა ის დახმარებას. ესა თუ ის პიესა, რა დონისაა, რა სიუჟეტია, რას ეხმაურება, რას აკრიტიკებს. თეატრს ხომ ოპოზიციონერობა არ უნდა, თეატრი ხომ თვითონ ოპოზიციაა. ხელოვნება ხომ თავად უკვდავებაა, მხოლოდ ოსტატს არ ეწვევა სიკვდილი. ვინ როგორ დაეხმარება, როგორ ჩამოყალიბდება, იმიტომ, რომ ჩვენ ამის კულტურა არ გვაქვს. სარაჯიშვილი და... ესენი იყვნენ ერთეულები, ისინი იყვნენ ქველმოქმედები. საქართველოში თითქოს უნდოდათ და ახლაც იყო ლაპარაკი, რომ ჩამოყალიბდეს მეცენატობის ინსტიტუტი. დავუშვათ, თუ რომელიმე მეცენატი ასპონსორებს თეატრს უნდა მიიღოს საგადასახადო შეღავათი.

- ანუ საჭიროა კანონი სპონსორობის შესახებ?

- დიახ, ამას სჭირდება სპონსორობის შესახებ კანონის დახვეწა. მე მქონდა ამაზე საუბარი თეატრალურ საზოგადოებაში ბატონ გოგი ქავთარაძესთან. რა თქმა უნდა, ბატონი გოგი მონდომებულია ეს საქმე მოაგვაროს, მაგრამ ჯერჯერობით ეტყობა, არ არის მომწიფებული, არავის არ აინტერესებს, არადა, ეს დიდი ხნის წინ უნდა მოწესრიგებულიყო. არის ამის დრო. მთელი თეატრალური სივრცე ამოისუნთქავს, თუ მეცენატობა ჩამოყალიბდება როგორც ინსტიტუტი. ეს იქნება დახვეწილი კანონი.

- 2011-13 წლების განმავლობაში თუ გახსენდებათ რომელიმე ორგანიზაცია, კომპანია, ეს იქნება საერთაშორისო თუ ადგილობრივი, ვისთანაც გითანამშრომლიათ. თუნდაც მათი თანადგომით დაიდგა სპექტაკლი?

- რა თქმა უნდა. მაგრამ სანამ გიპასუხებდეთ, მე ერთ პატარა დეტალს გავიხსენებ. 2010 წელს მე გამიშვეს თეატრიდან, მივიღე ინფარქტი. სულ ორი თვეა, რაც თეატრში დავბრუნდი. ჩვენთან აღსდგა სამართლიანობა. 12 კაცი, რომელიც გაგვიშვეს, დღესდღეობით ყველანი დავბრუნდით. ამიტომ ეს სამი წელი რას აკეთებდნენ, ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს. აღვადგინეთ სპექტაკლი „ირმის უკანასკნელი ბღავილი“, გავხსენით სეზონი. ეს არის ერთ-ერთი წარმატებული, ბრწყინვალე სპექტაკლი. საერთაშორისო სპონსორების ხელშეწყობით ჩვენ განვახორციელეთ გახმაურებული პროექტი „ზღვა, რომელიც შორია...“ ამ წლების განმავლობაში ერთადერთი ვიცი, რომ მამუკა ქაცარავა დაეხმარა თეატრს და მერიის ხელშეწყობით რამოდენიმე თავისუფალი თეატრალური პროექტი განხორციელდა.

- სასპონსორო ურთიერთობებში თქვენი თეატრი საქმიანი და ძლიერი პარტნიორია?

- მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის თეატრი პერიფერიაა, არასდროს ყოფილა პროვინციული თეატრი. ყველა თეატრალმა იცის, რომ სოხუმის თეატრი იყო ტრამპლინი. ყველა წამოვიდა სოხუმის თეატრიდან და შემდეგ გადანაწილდნენ თბილისის თეატრებში. სოხუმის თეატრი სწორედ ამითი არის ცნობილი. რეპერტუარში არც ერთი პროვინციული პიესა არ ჰქონია, ის ყოველთვის იდგა მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების გვერდით. ჩვენს თეატრში არის რეპერტუარიც, არის შემოქმედებითი პოტენციალიც. დღეს ეს გახლავთ დევნილი თეატრი და თუ ვინმეს სჭირდება გვერდში დგომა, გაძლიერება და პოტენციალის წამოწევა, მე მგონი, ჩვენ ვართ.

- თქვენთვის სპონსორობა - ეს არის ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა თუ მხოლოდ და მხოლოდ ფულადი სახსრების მოზიდვის საშუალება?

- არა. ეს არც ერთი წუთითაც კი არ უნდა იფიქროთ. ისევ პატარა გადახვევას გავაკეთებ, ხანდახან ქართველებს, ვიხმარ სლენგს, გვჩვევია „გადაგდება“. უნდათ, რომ აი დღეს იშოვონ ფული. მოდი, ნუ გადააგდებ და ითანამშრომლე. შეიძლება მეტი იშოვო. ამიტომ ერთი დღით ნუ ვფიქრობთ. ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იყოს გრძელვადიანი პარტნიორობა. გარკვეული ურთიერთობის შემდეგ შენი სპონსორი ხდება შენი ორგანიზმი. შემოდის შენთან. ერთი მთლიანი ხდება. აი ეს არის შერწყმა. თეატრი მაინც

სინთეზური ხელოვნებაა.

- თვლით, რომ სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები საკმარისია იმისთვის, რომ თეატრმა სრულყოფილად წარმართოს შემოქმედებითი მუშაობა?

- არა. მე არ მიყვარს ციფრებზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი ბიუჯეტის არც ერთი თეთრი არ არის სადადგმო ხარჯებისთვის გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, თეატრმა თუ არ განახორციელა სხვადასხვა პროექტი, მაშინ ეს რანაირი მუშაობაა, მარტო აიღე ხელფასი და სახლში წადი. ასე ვწვალობთ.

- ანუ თქვენ ძირითადად საშტატო ერთეულზე გაქვთ დაფინანსება?

- დიახ. პირველ კვარტალში შეგვპირდა საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომ დაგვიფინანსებს ერთ სპექტაკლს, წლის ბოლოსთვის კი, მეორეს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სამხატვრო ხელმძღვანელია ბატონი დავით საყვარელიძე, რომელსაც აქვს ძალიან დიდი კავშირები, ნაცნობობის სივრცე, უამრავი მეგობარი. მას აქვს საინტერესო პროექტები თანხების მოზიდვასთან დაკავშირებით. ასევე, შენობაში, სადაც დღეს აფხაზეთის კულტურის სამინისტრო იმყოფება, არის კარგი სივრცე და თუ თანხას მოვიძიებთ, შეიძლება დარბაზის გაკეთება. იქ შეიქმნება აფხაზეთის კულტურის ცენტრი. ამაზე ინტენსიურად მუშაობს ბატონი დავითი.

- თუ გისაუბრიათ ბატონ დავითთან, როგორ უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება?

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, მთელი თეატრი გახარებულია, რომ ბატონი დათო დღეს ჩვენთანაა. მე განსაკუთრებით იმიტომ, რომ დიდი ხნის მეგობრული კავშირები მაქვს. ახალი ჩამოსულები ვიყავით, ბატონმა დავითმა ჩვენთან დადგა „ვიწრო ბილიკი ჩრდილოეთისაკენ“, სადაც მთავარ როლს ბატონი გოგი გეგეჭკორი თამაშობდა. შეიძლება ეს მავანმა სხვანაირად გაიგოს, მაგრამ როდესაც ადამიანთან წლები გაკავშირებს, გიადვილდება ურთიერთობა. ამ მხრივ, ბატონი დათო საინტერესოა და მე მჯერა, რომ ის სასიკეთო ძვრებს მოახდენს სოხუმის თეატრში.

- მმართველობითი თვალსაზრისით ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?

- არც შემოქმედებითი და არც მმართველობითი კუთხით არა გვაქვს პრობლემა. ჩვენ გვაქვს ძირითადად შენობის და მეცენატობის პრობლემა.

- როგორია თქვენი მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- გეტყვით, რომ აბსოლუტურად ყველა თაობის მაყურებელი დადის სოხუმის თეატრში. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ კარგი სახელი და იმიჯი გვაქვს.

- 2011-13 წლებში რომელ პროექტს გამოყოფდით, რომელმაც მარკეტინგულად გაამართლა და შემოსავალი მოგიტანათ?

- მე კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ სამი წლის განმავლობაში, მე რამდენადაც ვიცი, მარკეტინგულად წარმატებული და შემოსავლიანი არაფერი ჰქონია თეატრს. მე სულ ორი თვეა რაც დავბრუნდი თეატრში. მაისში ლონდონში აფხაზეთის დღეებია და იქ ვართ მიწვეულები, ჩვენი მსახიობი მერაბ ყოლბაია პიესას ამზადებს. ბატონ დათოს აქვს თავისი მოსაზრებები. ასე რომ ვმუშაობთ.

- როგორ მუშაობს სოხუმის თეატრი მაყურებელის მოზიდვაზე?

- ჩვენ გვყავს ძალიან კარგი ჯგუფი. ადმინისტრატორები - კახა შარაბიძე, დათო ხვიჩია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური - ლიკა კაკულია. მთელი ამ წლების განმავლობაში მე მქონდა აწყობილი სისტემა, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ დაშალეს. ერთი თვე რომ არ მოვსულიყავი, თეატრი მუშაობდა, ყველამ თავისი საქმე იცოდა. დევნილი თეატრი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივმოქმედი სტაციონარი. ერთი თვით ადრე მე ვიძლეოდი რეპერტუარს. მოგეხსენებათ, მსახიობები სხვადასხვა ადგილას არიან დაკავებულნი და მათ წინასწარ იცოდნენ, თუ სად და როდის ექნებოდათ რეპეტიცია, სპექტაკლი. ჩვენ ამას ვახერხებდით, ჩვენ ვთამაშობდით ახმეტელის, თავისუფალ და მარჯანიშვილის თეატრებში, რუსთაველისა და სამეფო უბნის თეატრებში და ფაქტობრივად მოდებული ვიყავით სხვადასხვა თეატრს. ერთი ან ორი თვე გავდიოდით თბილისიდან და რეგიონებს ვემსახურებოდით. მოკლედ, რომ გითხრათ, ყველანაირ საშუალებას და ხერხს მივმართავთ, სადაც კი ხელი მიგვიწვდება.

- როგორ გეგმავთ საერთაშორისო ურთიერთობებს და საერთოდ, როგორ აპირებთ საერთაშორისო ბაზარზე თქვენი სპექტაკლების გატანას?

- ისევ და ისევ პიროვნული ურთიერთობებიდან და კონტაქტებიდან გამომდინარე. ჩვენი თეატრი ეგვიპტეში გახლდათ. ხშირად ვიყავით ბაქოში, ერევანში. გვაქვს მჭიდრო კავშირი უკრაინასთან და წელსაც ვართ მიწვეულები.

- საქველმოქმედო პროექტები თუ აქვს თქვენს თეატრს?

- ჩვენ ხშირად გავდიოდით რეგიონებში და ჩვენს დევნილ მოსახლეობას ვაჩვენებდით სპექტაკლებს. ამაში ჩვენ გვეხმარებოდა სახელმწიფო, გვიფინანსებდა გზას, სასტუმროს, გვაძლევდა დღიურს და ჩვენ უფასოდ ვთამაშობდით სპექტაკლებს.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

ცხინვალის ქართული თეატრის ფესვები დაკავშირებულია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, შექსპირის კონგენიალური მთარგმნელის ივანე მაჩაბლის სახელთან. 1875 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ივანე მაჩაბელი ცხინვალში ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად გამართული ადგილობრივი სცენისმოყვარეთა წარმოდგენის მოთავე იყო. იმ დროის გაზეთ „დროებაში“ (1875 წ. 12. 09. N104) ვკითხულობთ: „ცხინვალში წარმოადგინეს „გაყრა“ გ. ერისთავისა, აგვისტოს 31–ს, კვირა დღეს, უფ. ალექსანდრე ოჰანოვის სახლში საზოგადოდ წარმოდგენა მშვენივრად წავიდა, რომ თვით თბილისშიც იშვიათია ხოლმე ასე კარგად წარმოდგენა. კაცებში უნაკლოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა – პავლეს როლი, ივანე მაჩაბელმა – ივანეს როლი და ნატო გაბუნიამ სეკრეტრის როლი. ნინოსი და შუშანას როლები აღასრულა ანასტასია მაჩაბლისამ, მაკრინესი და თათულასი – ეფემია მაჩაბლისამ, ყარდაშვერდისა – ა. ალექსეევისამ. სამივემ თავიანთი როლები კარგად აღასრულეს, მაგრამ უმშვენიერესად, უნაკლოდ და სწორედ რომ არტისტულად აღასრულა თავისი როლი ეფემია მაჩაბლისამ... დანარჩენებსაც ურიგოდ არ უთამაშიათ“.

1892 წელს პატარა ლიახვზე ხიდის ასაგებად ავქსენტი ცაგარელის, ნატო გაბუნიას და ზაალ მაჩაბლის მონაწილეობით სცენისმოყვარულებმა წარმოადგინეს ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ხოლო 1894 წელს წიგნსაცავის დასახმარებლად ეფემია მაჩაბლის ხელშეწყობით დაიდგა: ვალერიან გუნიას კომედია „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ და ვოდევილი „ხოლვერობა“.1879 წელს სცენისმოყვარეებმა ცხინვალში კვლავ გამართეს წარმოდგენა, მოლიერის „ძალად ექიმი“, რომელიც ივანე მაჩაბელმა თარგმნა ფრანგულიდან. 1892 წელს განახორციელეს ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“. ამის შემდეგ ცხინვალში წარმოდგენების გამართვას უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცა. 1895 წელს წელს მდინარე ლიახვის პირას აიგო საზაფხულო სათეატრო შენობა „როტონდა“, რომელიც 1902 წელს ხანძარმა გადაწვა. 1911 წელს საგასტროლოდ მოიწვიეს ვ. ჩერქეზიშვილი. ცალკეული სპექტაკლებით ჩამოდიოდნენ: მაკო საფაროვა–აბაშიძისა, ვალერიან გუნია, კოტე მესხი. ცხინვალში ახალი სათეატრო შენობა 1909 წელს გაიხსნა. მაგრამ 1927 წელს ტირიფონის არხის მშენებლობის გამო აღებული იქნა. სცენის მოყვარეებმა, გრიგოლ მებურნუთოვის თაოსნობით, პროფკავშირების კლუბში გააგრძელეს მოღვაწეობა.

თეატრალური ცხოვრება ცხინვალში განახლდა 1929 წელს, როცა აშენდა თეატრის ახალი შენობა. 1931 წელს ოსური საკოლმეურნეო თეატრის და ადგილობრივი დრამატული წრის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის დრამატული დასი და კოსტა ხეთაგუროვის სახელი ეწოდა. 1934 წელს მუდმივი პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებას სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ვიქტორ მურღულია. 1935 წლიდან ერთ შენობაში მოღვაწეობა დაიწყო ქართულმა და ოსურმა პროფესიულმა დასებმა (რეჟისორად მოწვეული იყო გ. ჭანჭალეიშვილი). დასი ჯერ სამეურნეო ანგარიშზე არსებობდა, 1937 წლიდან კი მუდმივი დასის სტატუსი მიიღო. ქართული და ოსური დასის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა (1934–1942 წლები) ვიქტორ მურღულიამ განახორციელა: ე. ბრიტაუთის „ხაზბი“, გ. ბერძენიშვილის „ცეცხლი“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ (ამ სპექტაკლების მუსიკალური გაფორმებისათვის მოწვეულნი იყვნენ ქართველი კომპოზიტორები: აკაკი ანდრიაშვილი და ნიკოლოზ გუდიაშვილი). ამ პერიოდში სანდრო ახმეტელის ხელშეწყობით რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში მსახიობის ხელოვნებას ოცი ახალგაზრდა ეუფლებოდა ცხინვალიდან.

1942 წელს ცხინვალის ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი და მსახიობი გრიგოლ ლაღიძე (მოღვაწეობდა 1942–44, 1947–49 წლებში). განახორციელა სპექტაკლები: ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი“, ტ. კრიხელის „სტუმარი მთაში“, ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. კატაევის „ლურჯი მანდილი“, ჰ. პაჯიბეკოვის „არშინ მალ–ალან“, მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, ა. წერეთლის „ბაში–აჩუკი“. 1946 წელს ცხინვალის ქართულ თეატრს შეემატნენ საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები: ნელი მგალობლიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, ივანე საყვარელიძე, შალვა ლორთქიფანიძე. მათ წარმოადგინეს დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული სადიპლომო სპექტაკლი ა. დიუსოსა და ჯ. გოუს „ღრმა ფესვები.“ მრავალფეროვანი გახდა რეპერტუარი. დაიდგა ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“... მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1955–56 წლის სეზონში გერონტი პატარიძის მიერ დადგმული ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“.

გასული საუკუნის 60–იანი წლებიდან მოყოლებული, ცხინვალის ქართულ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ხშირად იცვლებოდა. ცალკეულ სეზონებში მთავარ რეჟისორებად მოღვაწეობდნენ: პავლე ფრანგიშვილი, სერგო ახალაძე, მიხეილ მეძმარიაშვილი, სიკო ვაჩნაძე, ნოდარ იონათამიშვილი, რემი შაფთოშვილი, ილო მაცხონაშვილი, ლეო შატბერაშვილი. 1974 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული უშანგი მინდიაშვილი და მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე სეზონის მანძილზე ცხინვალის ქართული თეატრი საინტერესო, ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეოდა.

სხვადასხვა წლებში ცხინვალის ქართული თეატრის ცალკეულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, თენგიზ მაისურაძე, გივი ბერიკაშვილი...

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში გამწვავდა ქართულ-ოსური ურთიერთობები, რაც პირდაპირ აისახა ქართული თეატრის ყოფაზე. ფაქტობრივად, თეატრს აღარ ეძლეოდა მუშაობის საშუალება შენობაში, სადაც წლობით ინაწილებდა სცენას ოსურ დასთან და სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ "სიმდთან" ერთად. 1990 წელს ქართულმა დასმა დიდი ძალისხმევის შედეგად აისრულა მრავალი წლის ოცნება: ცხინვალის ქართული თეატრი ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად და მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელი. პოლიტიკური ვითარება დღითიდღე მძიმდებოდა. გმირობის ტოლფასი იყო ამ დროს რეჟისორ ლერი პაქსაშვილის მიერ დადგმული დ. გაჩეჩილაძის "ბახტრიონის" თამაში თეატრის შენობაში, რომლის თავზეც "ოსური დროშა" ფრიალებდა... ეს იყო ქართული თეატრის უკანასკნელი სპექტაკლი ცხინვალის თეატრის შენობაში... მალე თეატრის მთელი კოლექტივი ლტოლვილად იქცა. ამ დროს თეატრის დირექტორად ახალი დანიშნული იყო ზაალ თედიაშვილი. ასევე ახლადდანიშნული იყო სამხატვრო ხელმძღვანელად გოგი გაბილაია. მათი ხელმძღვანელობით თეატრმა დედაქალაქში დაიწყო მძიმე შრომა. ეს იყო 1991 წელი... რეპერტუარის გარეშე დარჩენილი, დაქსაქსული დასი თბილისის სხვადასხვა შენობაში ატარებდა რეპეტიციებს ახალი სპექტაკლების შესაქმნელად. ახალგაზრდა, განსხვავებული ხელწერის, ნიჭიერი რეჟისორი გ. გაბილაია თავისი დასის წევრების მძიმე ცხოვრებას იზიარებდა და არაფერს იშურებდა თითოეულის ყოფის შესამსუბუქებლად. მან ულამაზესი სპექტაკლები განახორციელა: ა. სუმბათაშვილის „ღალატი" (მხატვარი შოთა გლურჯიძე, ოთარ-ბეგის როლზე მიწვეული იყო ზაზა კოლელიშვილი), იუჯინ ო'ნილის „სიყვარული თელებ ქვეშ", ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი", ბრანდონ თომასის „ჩარლის დეიდა", ალ. ქოქრაშვილის „საახალწლო ზღაპარი" და „სამი ძმის კოშკი". ამ პერიოდში, 1991-1999 წლებში დაიდგა სპექტაკლები: რ. ასკონას, ლ. ბერლანგას, ე. ფლაიანის „ჯალათი" (რეჟ. ზურაბ სიხარულიძე), რეზო გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი" (რეჟ. თორნიკე მარჯანიშვილი), მერაბ ელიოზიშვილის „ბერიკონი" (რეჟ. თამარ ხიზანიშვილი), გ. ნახუცრიშვილის "კომბლე" (რეჟ. გია კიტია), ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" (რეჟ. თამარ ხიზანიშვილი).

2011 წლიდან თეატრის მთავარ კონსულტანტად დაინიშნა გოჩა კაპანაძე. ამავე წელს ბატონმა გოჩამ განახორციელა გ. ერისთავის "უჩინმაჩინის ქუდი" და "აზნაურები" დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით. 1999-2002 წლებში სამხატვრო ხელმძღვანელი რეჟისორი დავით კობახიძე იყო, ამ პერიოდში განხორციელდა თ. აბულაშვილის „დღესასწაული თეთრი მაიმუნის სამეფოში" (რეჟ. გიორგი შალუტაშვილი, მხატვარი ნიკა შველიძე), ბოლო ათწლეულში შემოქმედებით პროცესს მოწვეული რეჟისორები წარმართავდნენ. ასე განხორციელდა: ი. სამსონაძის „ხილვები გზაგასაყართან" (რეჟ. ალექსანდრე ქანთარია), ე. თედიაშვილის „ანტრაქტი" (რეჟ. მალხაზ ასლამაზიშვილი), ალ. ქოქრაშვილის "ოტელო და ევა" (რეჟ. მალხაზ ასლამაზიშვილი), ფ. არაბალის "სადილი ქალაქგარეთ" (რეჟ. გოგი ოსეფაშვილი). თეატრის დამდგმელმა რეჟისორმა თამარ ხიზანიშვილმა განახორციელა სპექტაკლები: გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა", ზ. მეტრეველის "საყდრის ჩიტები" და რ. მამულაშვილის "მერხებზე ანგელოზები სხედან". 2008 წელს თეატრში მოწვეულ იქნა რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე, რომელმაც ორ წელიწადში წარმატებით განახორციელა სპექტაკლები: "გუშინწინ, გუშინ, დღეს" (აკაკის ლექსებით თქმული ამბავი), ალ. კასონას "მესამე სიტყვა" და ოსკარ უაილდის "ვარსკვლავბიჭუნა".

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1876 წელი
თეატრის იურიდიული სტატუსი - სსიპ
დაქვემდებარება - გარკვევის პროცესშია
თეატრის ხელმძღვანელი პირები - მმართველი: ზაალ თედიაშვილი; მთავარი რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
თეატრის ელ ფოსტა - machabelitheatre@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - zaza.tedi@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - www. tskhinvalitheatre.ge
თეატრის მისამართი - თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 127

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 60
მსახიობთა რაოდენობა: 28
შემოქმედებითი პერსონალი: 6
ტექნიკური პერსონალი: 19
ადმინისტრაცია: 7

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011	7 000 ლ.	249 000 ლ.		
2012	-	253 000 ლ.		
2013	279 000 ლ.	150 000 ლ.		

თეატრის შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან
2011 წელი - 2540 ლარი
2012 წელი - 13547 ლარი
2013 წელი - 6536 ლარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
„უჩინმაჩინის ქუდი“ – 2011 წელს - 7 სპექტაკლი; 2012 წელს - 6; 2013 წელს - 1
„ოკუპანტი“ – 2012 წელს - 1 სპექტაკლი
„აზნაურები?!“ – 2012 წელს - 8 სპექტაკლი; 2013 წელს - 2
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – 2012 წელს - 4 სპექტაკლი; 2013 წელს - 9
„მატარებელი“ – 2013 წელს - 7 სპექტაკლი

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 - 12 სპექტაკლი
2012 - 21 სპექტაკლი
2013 - 20 სპექტაკლი

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 - 2410
2012 - 4515
2013 – 7985

ბილეთის ფასი და ტარიფები – 5 ლ.
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? – 4800 ლ.
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 1500 ლ.
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? – 1500-დან 2500 ლარამდე
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 25-დან 50 ლარამდე 1 სპექტაკლი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - 625 ლ. (უმაღლესი -950 -უმდაბლესი-300)
გასტროლები2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით
2011 წელი: 7 გასვლა: გორი(2), სურამი, რუსთავი(2), კოდა, წეროვანი
2012 წელი: 8 გასვლა: რუსთავი, ახმეტა, ლაგოდეხი, ყვარელი,ზესტაფონი, სიმონეთი, წეროვანი, გორი
2013 წელი: 12 გასვლა: გორი (2), წეროვანი(2), კოდა(2), გარდაბანი, საგარეჯო, სიღნაღი, დვანი, დიცი, ქუთაისი.

რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 1000-დან 4000 ლარამდე

ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2011-2013 წწ.) - არა
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - ერთი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - დიახ
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - ცოტნე მეტონიძე - 23 წლის
ყველაზე ხანდაზმული - ნელი სალამაძე - 72 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში? - ნელი სალამაძე - 2013 წელს, - ქეთევან ყიფიანის როლი სპექტაკლში „მატარებელი“

2011-2013 წლების რეპერტუარი

„მესამე სიტყვა“
ალეჰანდრო კასონა
რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე
მხატვარი - ჯეირან ფაჩუაშვილი
მონაწილეობენ: ლენა მახნიაშვილი, მადონა ტეხური, გიორგი რევაზიშვილი, ბექა გოდერძიშვილი,

ცოტნე მეტონიძე, ქეთევან ლორთქიფანიძე, თინათინ კობალაძე, ვაჟა ციცილოშვილი, გიორგი მთავრიშვილი, მამუკა პავლიაშვილი, მარინა ჩაჩუა, ლია ბერიაშილი, თენგიზ ხიდაშელი.

„უჩინმაჩინის ქუდი“
გიორგი ერისთავი
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნანა ნემსიწვერიძის
მონაწილეობენ: გიორგი რევაზიშვილი, მამუკა პავლიაშვილი, მადონა ტეხური, თამარ გოგიძე, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი მთავრიშვილი, ანა ხურციძე

„**აზნაურები**?!“
დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნანა ნემსიწვერიძის
მონაწილეობენ: ნელი სალამაძე, ციალა გიგაური, ლენა მახნიაშვილი, მარინა ჩაჩუა, გიორგი რევაზიშვილი, მამუკა პავლიაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, თინათინ კობალაძე, მამუკა ტაბატაძე, მადონა ტეხური, თამარ გოგიძე, რამაზ ხომასურიძე, ლია ბერიაშვილი, ლელა კეკელაშვილი, დალი დოიჯაშვილი, ანა ხურციძე, მევლუდ სამადალაშვილი

„**ოკუპანტი**“ ანუ „**საუკუნის კაცის აღსარება**“
რევაზ მიშველაძე
რეჟისურა და სცენოგრაფია - ვახტანგ ნოზაძე
მსახიობი: პავლე ნოზაძე

„**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**“
ნოდარ დუმბაძე
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნანა ნემსიწვერიძის
მონაწილეობენ: რამაზ ხომასურიძე, ლენა მახნიაშვილი, მამუკა პავლიაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, თინათინ კობალაძე, მარინა ჩაჩუა, ანა ხურციძე, ცოტნე მეტონიძე, ნელი სალამაძე, ციალა გიგაური, მადონა ტეხური, დალი დოიჯაშვილი, ლია ბერიაშვილი, თამარ გოგიძე, მევლუდ სამადალაშვილი, გიორგი მთავრიშვილი, რევაზ გიორგობიანი, მარიამ რევაზიშვილი

„**მატარებელი**“ (იმპროვიზაციები დათო ტურაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით)
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
კოსტიუმების მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნანა ნემსიწვერიძის
მსახიობები: გიორგი რევაზიშვილი, მამუკა პავლიაშვილი, მარინა ჩაჩუა, ვაჟა ციცილოშვილი, თინათინ კობალაძე, ანა ხურციძე, ცოტნე მეტონიძე, ლენა მახნიაშვილი, ნელი სალამაძე, ციალა გიგაური, მადონა ტეხური, დალი დოიჯაშვილი, ლია ბერიაშვილი, თამარ გოგიძე, მევლუდ სამადალაშვილი, გიორგი მთავრიშვილი, რამაზ ხომასურიძე, რევაზ გიორგობიანი, მამუკა ტაბატაძე

საუბარი თეატრის ხელმძღვანელთან ზაზა თედიაშვილთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?
- სპონსორობის კულტურა საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული, ფაქტობრივად არ არსებობს.
- ცხინვალის თეატრს თუ აქვს სასპონსორო შეთავაზებების პაკეტი?
- რა თქმა უნდა, გვქონდა და გვაქვს კიდევაც ასეთი ტიპის პაკეტები. სამწუხაროდ, რეაგირება ფაქტობრივად არ არსებობს.
- რომელ კომპანიებთან თანამშრომლობთ თუნდაც თანხების მოძიების მხრივ?
- სამწუხაროდ, იმდენი იურიდიული და ადმინისტრაციული პრობლემაა თეატრის ირგვლივ მთელი ორი წლის განმავლობაში, ვერ ჩამოვყალიბდით ამ საკითხებზე, რომ რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციასთან გვეთანამშრომლა.
- საკმარისია თუ არა სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალური წარმართვისთვის?
- იმ რეალობაში, რომელშიც თეატრი დღეს იმყოფება, აბსოლუტურად არ არის საკმარისი.
- ყველაზე მეტად რა პრობლების წინაშე დგას დღეს ცხინვალის თეატრი?
- დარეგულირების ანუ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში ვართ და ვიყავით, შემდეგ

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში გადაგვიყვანეს, მაგრამ იქაც არ დარეგულირდა ეს სიტუაცია. ამიტომ ვართ გაურკვეველ მდგომარეობაში. ველოდებით ცვლილებას.

– როგორია თქვენი მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

– ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს.

– ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი რა იყო ცხინვალის თეატრისთვის?

- გოჩა კაპანაძის სპექტაკლები.

– როგორია თქვენს მიერ შემუშავებული მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

– იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი სტაციონარი არის გაურკვეველი და სულ დატვირთულია, სტრატეგიას ვერ ვთვლით. ძალიან სპონტანურად ვაკეთებთ ყველაფერს.

– თუ ფიქრობთ საერთაშორისო მიმართულებით და რა გიშლით ამაში ხელს?

– ვფიქრობდით, დაგეგმილიც გვქონდა. მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით ნიურნბერგის სათვისტომოსთან, სადაც გველოდებოდნენ სპექტაკლებით. ეს იყო 2010-12 წლებში, მაგრამ ვერ მივიტანეთ ბოლომდე ჩვენი დაფინანსების საკითხი. უარი მივიღეთ. მერე დაემთხვა ბევრი ფაქტორი. ასე, რომ ისინი სულ გველოდებიან. განსაკუთრებით გერმანიაში.

– რა კრიტერიუმებით იწვევთ რეჟისორებს თეატრში?

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია რეჟისორის პროფესიული დონე, მისი სპექტაკლების ხარისხი და ცნობადობა, გამოცდილება კოლექტივთან, არცთუ ისე მარტივ კოლექტივთან მუშაობის, როგორიც ცხინვალის თეატრია.

– რა სიხშირით ხდება ცხინვალის თეატრის დასის განახლება და როგორ იღებთ მსახიობებს?

- ეს არის ყველაზე მტკივნეული საკითხი, რასაც ვეხებით ჩვენს რეალობაში. მოგეხსენებათ, რომ ეს არის დევნილი კოლექტივი, ამიტომ დასი, რომელიც შენარჩუნებული იყო პირველადი სახით, დღემდე მოგვყვება. არის 5-6 მსახიობი, რომელთაც აღარ შეუძლიათ თამაში, მაგრამ ვინახავთ იმის გამო, რომ სხვა პერსპექტივა არ აქვთ. მათ თეატრისთვის ბევრი რამ გააკეთეს და ჩვენ მორალური უფლება არ გვაქვს დღეს ისინი დავითხოვოთ. ვცდილობთ, რომ განახლდეს დასი, ახალგაზრდების მოყვანა გვინდა, მაგრამ ეს ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ყოველწლიურ ტკივილზე, რასაც ბიუჯეტის დამტკიცება ჰქვია.

– შემოქმედებითი თვალსაზრისით რა პრობლემის წინაშე დგას ცხინვალის თეატრი?

- შემოქმედებითი პრობლემა ისევ და ისევ გამოხატულია მუშაობის არასტაბილური სისტემით, რაც თავისთავად მოქმედებს მსახიობების პროფესიონალიზმზეც და რეპერტუარის შენარჩუნებაზე. მტკივნეულია, რომ ხანდახან თვეში ერთხელ გვიწევს სპექტაკლის სწრაფად აღდგენა და გასვლა რომელიმე რეგიონში, ან სცენაზე გადასვლა და სპონტანურად თამაში. ეს თავისთავად აისახება შემოქმედებაზე.

საუბარი თეატრის მთავარ რეჟისორთან გოჩა კაპანაძესთან

– რა იყო ცხინვალის თეატრის ბოლო პერიოდის შემოქმედებითი წარმატება?

– ცოტა ძნელია ჩემს თავზე ვილაპარაკო. მგონია, რომ თეატრმა რაღაცნაირად ის კრიზისი გადალახა, რაც რამოდენიმე წელი ჰქონდა. ამ შემთხვევაში შემოქმედებითს კი არ ვგულისხმობ, არამედ სარეპერტუაროს იმიტომ, რომ უფრო მეტად იდგმებოდა, ასე ვიტყოდი, მაყურებლისთვის სპექტაკლები და არა იმისთვის, თუ რა უნდოდა თეატრს. მესმის, რომ ლტოლვილი თეატრები ხანდახან მიდიან კომპრომისებზე, რომ მაყურებელი მოიზიდონ და ამ თეატრს ჰყავს თავისი მაყურებელი. ყველა თეატრს თავისი ფუნქცია, თავისი სათქმელი, თავისი ესთეტიკა უნდა ჰქონდეს, ფორმას არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. სათქმელი - რატომ, რისთვის და როგორ. დღესდღეობით ცხინვალის თეატრს გააჩნია თავისი პოზიცია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ჩვენ ვმუშაობთ არა მარტო ქართულ რეპერტუარზე, მაგრამ მე მაინც მერჩივნა, რომ ყოფილიყო ისეთი პლასტი პრობლემატიკის, რომლის ადეკვატური ასახვა მოხდებოდა ფორმის მხრივ თეატრში. ამ თეატრს ჰყავს საკმაოდ კარგი არტისტული ძალები. ჩვენ ვიმუშავეთ კლასიკაზე, იგივე კლდიაშვილზე და ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო ფორმით დაიდგა „დარისპანის გასაჭირი“, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფორმით არ განხორციელებულა. საინტერესო იყო შემოქმედებითად მსახიობებისთვისაც. რამოდენიმე საკმაოდ კარგი მსახიობური მიღწევა იყო. მიხარია, რომ ყველა თაობა მუშაობს ამ თეატრში და რეპერტუარშია დაკავებული, თითქმის სულ ყველა, 2-3 კაცის გარდა, რაც იშვიათია, რადგან საერთოდ უფრო კამერულ სპექტაკლებზე არიან ხოლმე ორიენტირებული ასეთი მცირე ბიუჯეტით, ასეთ სავალალო მდგომარეობაში სხვის კედლებში შეფარებული თეატრები. ამ მხრივ მე ასეთი კომპრომისით არ მივუდექი თეატრს და ძალიან საინტერესო იყო კლდიაშვილი, ვფიქრობ ძალიან საინტერესო გამოვიდა დათო ტურაშვილის „მატარებელი“. ცხინვალის თეატრი ჩავიდა კონფლიქტურ ზონაში და ერთ-ერთმა პირველმა თქვა თავისი სათქმელი. იმიტომ, რომ ისინი სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული ამ მიწასთან. 25 თებერვალს ე.წ. გასაბჭოების დღეს, კოჯორში ვითამაშებთ სპექტაკლს „მატარებელი“ ღია ცის ქვეშ და ეს იქნება ამ თეატრის აქციაც, ჩვენი პროტესტიც, ჩვენი სათქმელიც, ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ თუნდაც ეს რომ გადაწყვიტა თეატრმა, არის ძალიან საინტერესო ფორმა. პიესაშიც სწორედ ამ დღეებზე არის საუბარი და ავტორს კარგად აქვს ეს ტკივილი დაჭერილი. თუმცა, ვიტყოდი, იმის გამო, რომ წლებმა ბევრი რამ მოიტანა, ამ პიესის დაწერიდან დღემდე უფრო მეტი იმპროვიზაციები იყო, ამიტომაც წერია აფიშაზე, იმპროვიზაცია დათო ტურაშვილის „მატარებლის“ მიხედვით. ამ მოკლე დროში, პირველად ვამბობ თქვენთან, ორ მასალაზე ვიწყებ ერთდროულად მუშაობას, სრულდება შექსპირის დაბადებიდან 450 წლისთავი და ეს არის

საიუბილეო წელი. ჩვენი თეატრი, სხვა თეატრებისგან განსხვავებით, შექსპირზე დაიწყებს მუშაობას. ძალიან კარგი სპექტაკლებია, იმავე დავით დოიაშვილის, ლევან წულაძის, ავთო ვარსიმაშვილმა განახორციელა „რიჩარდი“. მე სხვა ფორმით ვაკეთებ, ივანე მაჩაბლის თვალით დანახულ შექსპირს, რომელიც მან თარგმნა. ორიგინალურია და კიდევ უფრო ორიგინალური იქნება, თუ პიროვნება მაჩაბელი რატომ დაინტერესდა შექსპირით. ყველა პიესა მან არ თარგმნა, მან თარგმნა ის პიესები, რომლებიც ძალიან ახლოს იყო მის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობასთან. ის იწყებს „მეფე ლირით“ ილიასთან ერთად და ესეც საიუბილეოა სხვათა, შორის 140 წლის წინ მოხდა პირველი თარგმნა. ასე, რომ მინდა ეს პიესები გავაკეთო, ოღონდ ჩვენთან იქნება ნაკრები პიესებისა, რომლებიც მან თარგმნა. ივანე მაჩაბელმა თარგმნა 7 პიესა. ჩვენთან იქნება ამ პიესებით დრამატურგიულად ერთ ხერხემალზე აწყობილი სპექტაკლი. მოგეხსენებათ, რომ თვითონ მაჩაბელსაც ძალიან ტრაგიკული ბედი ჰქონდა და ძალიან მისტიკურად დაამთავრა სიცოცხლე. ის პიესები, რომელიც მან თარგმნა, მგონია, რომ წინათგრძნობაც ჰქონდა, მისტიკური პიესებია უმეტესობა. რა თქმა უნდა, ცხინვალის თეატრის დასი იქნება დაკავებული და ალბათ რამოდენიმე ახალ სახესაც მოვიწვევთ. რაც შეეხება მეორე თემას. უკვე ვმუშაობთ მე და ლიტნაწილი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებზე“. ეს არ იქნება მაინცდამაინც თამარაშენის, ცხინვალის პრობლები, ეს იქნება, და ახალს აბსოლუტურად არაფერს ვამბობ, იმ ძალადობაზე, იმ შინაგან უხეშობაზე, სიტლანქეზე, სიჯიუტეზე, უვიცობაზე, ხეპრეობაზე, ღალატზე, ორგულობაზე, ადამიანის მიერ ადამიანის დათრგუნვაზე, დაუნდობლობაზე. აქ, დავუშვათ, არ არის მხოლოდ, რომ მარგო გააუპატიურა ჯაყომ, თუმცა ესეცაა. მაგრამ იქ ხომ უფრო ღრმა სიმბოლოებზე და მეტაფორაზეა საუბარი. მე ნანახი მაქვს თემურ ჩხეიძის ბრწყინვალე სპექტაკლის სამი ვარიანტი - სატელევიზიო, მარჯანიშვილის თეატრში და მოსკოვის მხატის თეატრში. შევეცდები, რომ ამ მართლაც დიდ სპექტაკლს გავექცე ფორმის მხრივაც. პირველად იქნება ცხინვალის თეატრის ისტორიაში მოძრაობისა და მინიმალისტური ხერხებით განხორციელებული ჯაყოს ისტორია. აქ ჯაყო შეიძლება ქალიც კი იყოს. აქ უფრო მეტი იდეურ ჯაყოიზმზეა, პროვინციალურ ჯაყოიზმზეა საუბარი და არა, ასე ვთქვათ, მამრი როგორ აუპატიურებს მდედრს. არა. ეს ისედაც დევს ამ ნაწარმოებში. დღეს რატომ გვაინტერესებს ჩვენ ეს თემა, არა მარტო იმიტომ, რომ ლტოლვილი თეატრია ცხინვალიდან და ძალიან ბევრმა ჯაყომ და არა მარტო ოსი ეროვნების ჯაყომ, ქართველი ეროვნების ჯაყოებმაც საკმაოდ ბევრი რამ დამართეს ამ მხარეს და ამ თეატრს, ამაზე არ არის მარტო. მთლიანობაში ეს არის ძალიან საინტერესო სამუშაო. მე ერთ სიმბოლოს და ერთ მეტაფორას გეტყვით, რომელიც როცა წავიკითხე „ჯაყოს ხიზნებში“, მე მიმაჩნია, ალბათ მის ავტორს ასეც უნდა დაემთავრებინა ცხოვრება. აქ არის ერთი საინტერესო პასაჟი, როცა მარგო ქალაქიდან ჩამოყავს ჯაყოს და უკვე მოხდა გაუპატიურება. პირველი დილა, როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ ის გამოდის ხევისთავების ბოსტანში, თეიმურაზი მარგოს ათვალიერებინებს ბოსტანს და მარგო როგორი სხვა თვალით უყურებს საფრთხობელას, რომელიც იქ დგას. ეს არის სიმბოლო და მეტაფორა დღევანდელობისა და იმ პერიოდის საქართველოსიც. ამიტომ მე ამ მეტაფორას არა მარტო გამოვიყენებ, არამედ ჩემი ჭიპი, სპექტაკლის გასაღები, სპექტაკლის მარცვალი იქნება ეს მეტაფორა, რა დაინახა მარგომ ბოსტანში.

– რა შემოქმედებითი პრობლემები აქვს თეატრს?

- დასის გაახალგაზრდავება. მსახიობებს ვერ ვიღებთ იმიტომ, რომ ბიუჯეტი არ არის. ვფიქრობ, თუ ჯგუფი არ იქნა თეატრალურ უნივერსიტეტში, მაშინ სტუდია გაკეთდეს თეატრში, რომ დასი განახლდეს. მაგალითად, ახალგაზრდა რეჟისორმა ჩვენს თეატრში საახალწლოდ განახორციელა „კონკია“, რომელშიც კონკია იყო 35 წლის და ამ ასაკის უკვე კონკია არ არის. თუმცა, კარგმა მსახიობმა ითამაშა.

– რა კრიტერიუმებით იწვევთ რეჟისორებს?

- პირველ რიგში, ძირითადი კრიტერიუმი ნიჭიერებაა. გვინდა მოვიწვიოთ დიდი რეჟისორები, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან კარგ ფორმაში არიან. ძალიან გვინდა, რომ ჩვენს თეატრში სპექტაკლები განახორციელონ გიზო ჟორდანიამ, თემურ ჩხეიძემ, რობერტ სტურუამ. ეს ჯერჯერობით ოცნებების სფეროდანაა. თუმცა, თუ არ იოცნებებ, ვერც მიაღწევ. იმედი მაქვს, რომ თითოეულ მათგანს, ვინც დავასახელე, თუ დრო ექნებათ, იმის გამო, რომ პირველ რიგში, ისინი არიან ქართველი რეჟისორები და არა მარტო კლასიკოს რეჟისორებს ვგულისხმობ, ისევე როგორც სოხუმის თეატრში ყველა რეჟისორს, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ ის რეჟისორია, ერთი სპექტაკლი მაინც უნდა განახორციელოს ჰონორარის გარეშე. ეს არის თითოეული ჩვენგანის ვალი. ჩვენ არა ვართ ის ადამიანები, ვისაც არ შეუძლია ამის განხორციელება. იმიტომ რომ ბატონ ავთო ვარსიმაშვილს, ლევან წულაძეს, დიმიტრი ხვთისიაშვილს, ლევან სვანაძეს, გიორგი სიხარულიძეს, დავით მღებრიშვილს, ქეთი დოლიძეს, ნანა კვასხვაძეს, ბევრი გამომრჩა და ძალიან დიდი ბოდიში ჩემს კოლეგებს, რომლებსაც როგორც კი დრო ექნებათ, ჩვენი დიდი სურვილია, თეატრთან ითანამშრომლონ. მე მინდა, რომ ამ თეატრს ვუთხრა მადლობა. ამ თეატრს არც ერთი წუთი არ გაუჩერებია მუშაობა. ომის დროსაც კი ისინი იბრძოდნენ და თამაშობდნენ, გასვლითი სპექტაკლები ჰქონდათ კონფლიქტურ რეგიონებშიც. მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა თეატრის ხელმძღვანელს, ბატონ ზაზა თედიაშვილს. არის გუნდი, რომელიც მასთან ერთად მუშაობს. ესენი არიან ნამდვილი მაჩაბლის დასის წარმომადგენლები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან ქართული, ესმით ქართული სათქმელი და თეატრის დანიშნულება უფრო ფუნქციონალურია. როცა ამ თეატრში შევდივარ, ხანდახან მგონია, რომ შინაგანად ილიას შემდგომ ბევრი არაფერი შეცვლილა. რას ვგულისხმობ იცით, ხანდახან გიჭირს რაღაცა და უცებ თეატრში გულწრფელად გეტყვის ადამიანი, რომ შენზე უფრო გაჭირვებულია, მოწყვეტილია საკუთარ მიწას, კერას. მსახიობები საკუთარი დედის და მამის საფლავზე ვერ დადიან, მაგრამ ისინი დადიან ამ მიწაზე და ქართულ სიტყვას, ქართულ საქმეს ემსახურებიან. ამისთვის მათ და მათ ხელმძღვანელობას მინდა დიდი მადლობა გადავუხადო.

მულტი-პულტის სამყაროს თეატრი

მოკლე ისტორია

„მულტი-პულტის სამყაროს თეატრი“ ერთ-ერთი წარმატებული დამოუკიდებელი საბავშვო თეატრალური დასია საქართველოში, რომელიც პროფესიონალი მსახიობებისგანაა დაკომპლექტებული. “მულტი-პულტის სამყაროს თეატრი” 2011 წელს ჩამოყალიბდა და უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება სხვადასხვა ფესტივალზე. მათ შორის, აღსანიშნავია სპექტაკლი „წიქარა“ (რეჟისორი გოჩა ხვიჩია) ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით, რომლის მსოფლიო პრემიერა შედგა ბაქოს თოჯინების თეატრების პირველ საერთაშორისო ფესტივალზე. “მულტი-პულტის სამყაროს თეატრი” და სპექტაკლი „წიქარა“ საერთაშორისო ფესტივალზე დასახელდა საუკეთესო სპექტაკლად და დაჯილდოვდა სამი პრიზით (საუკეთესო სპექტაკლი, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს სპეციალური პრიზი და მაყურებლის სიმპათია). სპექტაკლის შესახებ გამოქვეყნდა არაერთი რეცენზია, სადაც კრიტიკოსები აღფრთოვანებას ვერ მალავენ სპექტაკლის ნახვის შემდეგ. თეატრი სპექტაკლით „წიქარა“ მიწვეული იყო ბელგოროდის თოჯინების თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 40-მდე ქვეყანა.

“მულტი-პულტის სამყაროს თეატრი” ყველაზე ახალგაზრდა თეატრია საქართველოში, რომელიც ორიენტირებულია მაღალ მხატვრულ ხარისხზე. მოკლე დროის განმავლობაში თეატრის მოქმედ რეპერტუარშია მსოფლიო ხალხთა ყველა დროის საუკეთესო ზღაპრები: “კონკია“, “მძინარე მზეთუნახავი“, “წითელკანიანთა ბელადი“... ასევე საუკეთესო ქართული ხალხური ზღაპრები “რწყილი და ჭიანჭველა“, “კომბლე“, “წიქარა,“„წითელი, ყვითელი, მწვანე...“(საგზაო წესებზე)... “მულტი-პულტის სამყაროს თეატრში” უკვე დაწყებულია მუშაობა ცნობილი ზღაპრების - “ჩექმებიანი კატა“, “ბურატინოს თავგადასავალი“ (კომპოზიტორ ალექსანდრ ერიბნიკოვის მუსიკის მიხედვით), “ნაცარქექია“ - მიხედვით ახალი სპექტაკლების მომზადებაზე.

მულტი-პულტის სამყაროს თეატრის ყველაზე წარმატებულიდა ლიცენზირებული პროექტი, მაინც თეატრალური სერიალი „მაშა და დათვია“. ამ თეატრმა კომპანია „Masha and the Bear LTD“ -გან მოიპოვა ლიცენზია არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ კავკასიის ქვეყნებში და პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანაში (ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა). აღნიშნული თეატრალური სერიალის უკვე ოთხზე მეტი სხვადასხვა სიუჟეტის წარმოდგენა შეიქმნა, რომელიც ანშლაგებით მიმდინარებდა თბილისის სხვადასხვა თეატრისა და ბაქოს ოპერისა და ბალეტის, ასევე აზდრამის სცენაზე.

თეატრი მუდმივად ორიენტირებულია ეროვნულ რეპერტუარზე და მსოფლიო ხალხთა საგანძურზე. იმ ზღაპრების დადგმაზე, რომლებმაც გაუძლო დროს, საუკუნეებს. მულტი-პულტის თეატრი ყოველთვის ითვალისწინებს მისი ერთგული მაყურებლის სურვილებს და მოსაზრებებს.

კონკრეტული მონაცემები თეატრის შესახებ

თეატრის დასახელება - მულტი-პულტის სამყაროს თეატრი
დაარსების თარიღი - 2010
თეატრის იურიდიული სტატუსი - შპს
დაქვემდებარება - კერძო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - ლილია ბერეჟნაია
თეატრის ელ ფოსტა - multipulti9@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - ivtolia@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - www.multi-pulti.ge
თეატრის მისამართი - რუსთაველის 20

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 60
მსახიობთა რაოდენობა 37
შემოქმედებითი პერსონალი 10
ტექნიკური პერსონალი 4
ადმინისტრაცია 9

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011				79 000 $
2012				147 000 $
2013				170 000 $

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა;
წიქარა - 35
ცეცხლო ალი აანთე - 21
წითელი, ყვითელი, შავი - 12
სამი გოჭი - 7
ორომტრიალი საზღაპრეთში - 17

კომბლე - 43
ცირკი - 4
ახალი წელი ჩვენს ქალაქში - 23
მულტი-პულტის საახალწლო ამბავი - 29
მაშა და დათვი - სურვილების ასრულება - 35
მაშა და დათვი მეორე ნაწილი - 56
მაშა და დათვი აღმოსავლეთში - 43

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2011 წელი - 72
2012 წელი -123
2013 წელი -195

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2011 წელი – 12 638
2012 წელი – 54 714
2013 წელი – 73 348

ბილეთის ფასი და ტარიფები - 5 -23 ლარი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 90 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 15 000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი? - 2000- 10 000 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი (უმაღლესი-უმდაბლესი) - 200-2000 ლარი

გასტროლები 2011-2013 წლებში
ქვეყნის შიგნით - რუსთავი - 2; გორი - 6; ბათუმი - 11, ქუთაისი - 7; ბორჯომი - 8; ზუგდიდი - 2; ხაშური - 2;
ახალციხე 2; წაღვერი 2, თელავი2.
ქვეყნის გარეთ - ბაქოს თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, ბაქო (აზერბაიჯანი), 47 წარმოდგენა, ასტანა (ყაზახეთი) 6; ალმა-ათა (ყაზახეთი) 10
რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა?
ქვეყნის შიგნით - 5 000
ქვეყნის გარეთ 10 000-15000
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის გარეთ - უნიმა

თეატრის მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 3
ყველაზე ხანდაზმული - 35

თეატრის პროდუქციაში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
ბაქოს თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი
წლის საუკეთესო სპექტაკლი; მაყურებლის სიმპათია

საუბარი თეატრის ხელმძღვანელთან ლილია ბერეჟნაიასთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- აბსოლუტურად არა. ჩვენ მივმართეთ რამოდენიმე კომპანიას, რომელთაც შეეძლოთ დახმარება გაეწიათ თეატრისთვის, მე მათ არ დავასახელებ, და არც ერთ კომპანიას დადებითი რეაგირება არ მოუხდენია თუნდაც, იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ სპექტაკლის საინფორმაციო სპონსორები.

- აქვს თუ არა თეატრს ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- რა თქმა უნდა. ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს. ჩვენ სპექტაკლებს ვთამაშობთ არა მარტო თბილისში, არამედ ყაზახეთში, აზერბაიჯანში. ჩვენ ასევე გველიან უკრაინაში და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ ქვეყნებში ძალიან ბევრი კომპანია გამოთქვამს სურვილს, როგორც საინფორმაციო, ისე ფინანსურ სპონსორობაზე. იმ ქვეყნისაგან განსხვავებით, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით.

- თქვენი აზრით, რატომ არ ინტერესდებიან საქართველოში სპონსორები თეატრში ფულის ჩადებით?

- საქართველოში გარკვეული მიზეზის გამო. არ არის განვითარებული თეატრში ბავშვების ტარების

კულტურა. მაგალითად, რომ ავიღოთ აზერბაიჯანი, იქ შეუძლებელია ბილეთების შეძენა სპექტაკლამდე ორი კვირით ადრე, თუნდაც „წითელქუდაზე“.

- თქვენი აზრით, რა არის სპონსორობა - ერთჯერადი თუ ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა?

- ჩვენ იქ ვმუშაობთ კინოთეატრებთან, რომლებიც ატრიალებენ ჩვენი სპექტაკლის ვიდეორგოლებს, ჩვენ ვმუშაობთ საინფორმაციო პორტალებთან, და მხოლოდ ფულში როდია საქმე, არამედ საინფორმაციო მხარდაჭერაშიც, ისინი ყიდულობენ ბილეთებს თანამშრობლებისათვის, ბავშვებისათვის საბავშვო სახლიდან. როდესაც ჩვენ ვუჩვენებთ სპექტაკლს საბავშვო სახლებისთვის ყოველმიზეზგარეშე არის უფასო. მათ ისინი მოჰყავთ, ჩვენ ვუჩვენებთ უფასოდ და სწორედ ეს არის მეგობრობა. ჩვენც ვაკეთებთ საქველმოქმედო საქმეს სტუდია „ანიმაკორტ“-თან ერთად, რომლებმაც ჩვენ მოგვცეს ლიცენზია. მაგრამ საქართველოში არც ერთი კომპანიას არ მოუმართავს ჩვენთვის, არც კი შემოუთავაზებიათ, მოდით ვაჩვენოთ რომელიმე სპექტაკლი ბავშვებს, ჩვენ გვინდა შევიძინოთ ბილეთები. როდესაც ჩვენ მოგვმართავენ სიტყვებით, ჩვენ გვინდა ვიყიდოთ, ჩვენ მათ ბილეთს არასდროს მივყიდით იმიტომ, რომ ჩვენ ვმუშაობთ ბავშვებისთვის და ვთვლით, რომ მშობლებს შეუძლიათ მოიყვანონ თავიანთი შვილები და იყიდონ ბილეთები. ბავშვებს კი, ვისაც არ ჰყავთ მშობლები, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვაჩუქოთ მათ ბედნიერებისა და სიხარულის წუთი და ვაჩვენოთ სპექტაკლი უფასოდ. უბრალოდ, ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ კიდევ ორგანიზება გავუკეთოთ მათ მოყვანას თეატრში. ამაში ჩვენ გვეხმარებიან ჩვენი პარტნიორები.

- ვინ არიან ეს პარტნიორები და რომელ კომპანიებთან გითანამშრომლიათ საქართველოში. თუ ხართ კმაყოფილი ამ კომპანიებთან თანამშრომლობით?

- გულწრფელად გითხრათ, საქართველოში ჩვენ არც ერთ კომპანიასთან არ გვითანამშრომლია.

- და „ბარამბო“ და „ენკი ბენკი“?

- „ენკი ბენკი“ კერძო ტელევიზია გახლავთ, ისიც ისეთივე სიტუაციაშია, როგორც ჩვენ. ორივე კომპანია, ასე ვთქვათ, ვეხმარებით ერთმანეთს, რითიც შეგვიძლია. რაც შეეხება „ბარამბოს“ ის ჩვენი პარტნიორია როგორც ანიმატორი.

- არის თუ არა მულტი-პულტის სამყაროს თეატრი საიმედო პარტნიორი სპონსორებისთვის და რა კოზირები აქვს, რომ იყოს კარგი პარტნიორი?

- აბსოლუტურად ყველა ბერკეტი გვაქვს, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში გაიგონ ყველაფერი საქართველოზე. ამიტომ უნდა იქონიონ ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობა. აგიხსნით - რატომ?! ჩვენი ტერიტორიები „მაშა და დათვის“ მიხედვით არა მარტო საქართველო, არამედ აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ბელორუსი და რუსეთია, ასევე თუ ჩვენ ჩავეტევით გრაფიკში, ეს შესაძლოა იყოს გერმანია, თურქეთი და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა იმიტომ, რომ მულტფილმს „მაშა და დათვი“ იცნობენ მთელ მსოფლიოში. ბევრმა ტელეკომპანიამ შეისყიდა მულტფილმი და ეს მულტფილმი გადის ეთერში მსოფლიოს ყველა ენაზე. „მაშა და დათვი“ რეიტინგით იმყოფება მე-15 ადგილზე, ეს არის ძალიან პოპულარული მულტფილმი. ჩვენი თეატრი იმყოფებოდა ბაქოში და „მაშა და დათვი“ აღიარეს საუკეთესო მულტფილმად და ჩვენი თეატრი ერთ-ერთ საუკეთესოდ, ვისაც კი გააჩნია „მაშა და დათვის“ ლიცენზია. ასევე ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება ტელეკომპანიასთან „კარპა ნეტვორკ“ და ჩვენ ვიქნებით ერთადერთი თეატრი რუსეთსა და სნგ-ს ქვეყნებს შორის მულტფილმითა და შოუ სპექტაკლებით „ბენ-10“. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ ვითამაშეთ რომელიმე ამ ქვეყანაში ჩვენი თეატრის ვიდეორგოლებით, ყველა გაიგებს ჩვენი სპონსორების შესახებ. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო იგივე „ბორჯომი“, რომელიც ერთ-ერთი სიმბოლოა საქართველოსი.

- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სპონსორი თვითონ მოსულა და თქვენ გითქვამთ უარი იმიტომ, რომ არ გაწყობდათ გამხდარიყო პარტნიორი?

- ასეთი რამ არასდროს არ ყოფილა.

- თუ ახორციელებთ თანხების მოძიებას სპექტაკლების დასადგმელად და რა ვადებზეა ის გაწერილი?

- არა, ჩვენ ვცდილობთ ყველაფერი საკუთარი ძალებით გავაკეთოთ. ჩვენ არავინ არ გვეხმარება. ანუ მე ვცხოვრობ თეატრით, მე სრულიად სხვა ბიზნესი მაქვს, რომელიც არ არის დაკავშირებული ბავშვებთან, ასევე მაქვს პარალელური ბიზნესი და მთელ შემოსავალს ვდებ თეატრში იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს თეატრი. მე დიდი სურვილი მაქვს, ბავშვებს ვუჩვენო ხარისხიანი, მდიდრული, მხიარული სპექტაკლები. მე ვცხოვრობ ამით, მე ძალიან მიყვარს ბავშვები.

- თეატრის ყველაზე წარმატებული მარკეტინგული პროექტი. თქვენ მეტყვით, რომ ეს არის „მაშა და დათვი“?!

- არა. აბსოლუტურად ყველა ჩვენი პროექტი წარმატებულია. როდესაც გასართობ ცენტრში დავდგით ზღაპარი „ნაცარქექია“ , შემდეგ „წიქარა“, ყოველთვის იმდენი ბავშვი გვყავდა და მოდიოდნენ 2-ჯერ, 3-ჯერ, რადგან ჩვენ ამას ვაკეთებთ დიდი სიყვარულით. ფესტივალზეც კი, რომელზეც პირველად მივიღეთ მონაწილეობა, ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი საუკეთესო. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს, ვგიჟდებით ბავშვებზე. ჩვენც ერთგვარად ბავშვები ვართ, რადგან ვიცით, რა სჭირდებათ მათ. იგივე სპექტაკლებს ვუყურებთ ბავშვების თვალებით, შეუძლებელია მოატყუო ბავშვი, ანუ ეს უნდა იყოს ხარისხიანი და ლამაზი.

- როგორია მაყურებლის მოზიდვის თქვენეული პოლიტიკა?

- არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაკეთდეს ცუდი სპექტაკლები. როგორც კი სპექტაკლი ცუდი გამოვა, ვეღარ შეიყვან მაყურებელს დარბაზში. ჩვენი მაყურებელი ბავშვია და სპექტაკლი აუცილებლად უნდა მოეწონოს. თუ მას მოეწონება სპექტაკლი, ის „აიძულებს“ მშობელს, წაიყვანოს მულტი-პულტის თეატრში.

- თქვენი თეატრი ახორციელებს ბევრ საერთაშორისო პროექტს. როგორ ხდება საერთაშორისო პროექტების შემუშავება და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ქართული თეატრისთვის, რომ მას საერთაშორისო ასპარეზზე იცნობდნენ?

- მე ძალიან მიყვარს საქართველო, ნახევრად ქართველი ვარ და მეჩვენება, რომ ხასიათით საერთოდაც ქართველი ვარ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც ვითამაშებთ სპექტაკლებს, იცოდნენ, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა - საქართველო. ალბათ, მათ ისედაც იციან, მაგრამ მე მინდა შევიტანო ჩემი წვლილი.

- ეს არის კერძო თეატრი და თქვენ თვითონ წყვეტთ, რომელმა რეჟისორმა უნდა დადგას თქვენს თეატრში სპექტაკლი. როგორ და რა კრიტერიუმებით არჩევთ რეჟისორებს?

- როდესაც მე ვხსნიდი თეატრს, მე მყავდა ძალიან კარგი დამხმარე ამ საქმეში - გოჩა ხვიჩია. ახლა ის ჩვენი რეჟისორია. ჩვენ იმდენად კარგად ვუგებთ ერთმანეთს, იმდენად კარგად ვგრძნობთ, რა შეიძლება მოეწონოთ ბავშვებს, რომ ჯერჯერობით არც კი ვფიქრობ რეჟისორის დამატებას. მე მქონდა ურთიერთობები, მოლაპარაკებები, მაგრამ კარგი რეჟისორის მოძებნა საკმაოდ ძნელია. რადგან რეჟისორი თვითონ უნდა იყოს ბავშვი. საქართველოში კი ასეთი ჯერ არ შემხვედრია.

- თქვენი აზრით, თქვენი თეატრის ყველაზე დიდი წარმატება რა იყო?

- ჩვენ დავიმსახურეთ ბავშვების სიყვარული.

- რა პრობლემების წინაშე დგას თქვენი თეატრი?

- დროის უკმარისობა. ის, რომ დღეში მხოლოდ 24 საათია.

- რას გვეტყვით იმ ჯგუფზე, რომელიც ქმნის ამ პროდუქციას?

- მადლობელი ვარ ღმერთის, რომ გავიცანი შესანიშნავი თეატრალური მხატვარი მარიკა კვაჭაძე. მას ისეთივე დამოკიდებულება აქვს თავის სამუშაოსთან, როგორც მე და ჩემ რეჟისორს, გოჩა ხვიჩიას. ანუ ჩვენ იმდენად ერთნაირები შევიყარენით - თეატრის სიყვარულით ანთებულები, რომ ყველა სპექტაკლი, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ, სიყვარულით არის სავსე. მსურს მათ ვუთხრა მადლობა. განსაკუთრებით, მარიკა კვაჭაძეს, რომლის დამსახურებაა ჩვენი თეატრის ლამაზი სპექტაკლები.

საუბარი თეატრის მთავარ რეჟისორთან გოჩა ხვიჩიასთან

- რა მიგაჩნიათ მულტი-პულტის სამყაროს თეატრის ყველაზე დიდ შემოქმედებით წარმატებად ბოლო სამი წლის განმავლობაში?

- დავიწყებ იქიდან, რომ სამი წლისაც არ არის მულტი პულტის თეატრი. რაც შეეხება წარმატებას, მე ვფიქრობ, თეატრისთვის ყველაზე წარმატებული იყო ბაქოს თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარებულ იქნა „წიქარა“ - ქართული ხალხური ზღაპარი. თუმცა, ამის შემდეგ ის პროექტები, რაც განახორციელა მულტი პულტის თეატრმა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, პროექტი „მაშა და დათვი“, უკვე მესამე სეზონია, მიდის. მესამე სერიის პრემიერა იყო ბაქოში, სადაც დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლს - 27 ანშლაგი ვითამაშეთ ოპერისა და ბალეტის თეატრში, ასევე ალმა-ათაში. ვფიქრობ, აბსოლუტურად ნორმალური და საკმარისი წარმატებაა საბავშვო თეატრისთვის.

- რა პრინციპით ხდება მსახიობების მიღება და განახლებადია თუ არა დასი?

- დიახ. ამ თეატრის თავისებურება არის ის, რომ ფაქტობრივად ყოველ სპექტაკლზე ხდება დასის გადახალისება. ჩვენ არ გვყავს მუდმივი მსახიობი შტატში. ვიწვევთ კონკრეტული პროექტისთვის, ქასთინგის მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის საბავშვო სეგმენტი, საბავშვო სპექტაკლები კი ძირითადად მუსიკალური სპექტაკლებია, ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, როგორ მღერიან, უკრავენ და ქორეოგრაფიულად როგორ არიან გამართულები მსახიობები.

- თუ გქონიათ მცდელობა, მოგეწვიათ რეჟისორი, რომელიც იმუშავებდა დასთან ან სხვა პროექტს გააკეთებდა თეატრში. თუ არ მოგიწვევიათ სხვა რეჟისორი, რატომ?

- ასეთი შემთხვევა გვქონია. გვყავდა რამდენიმე რეჟისორი, არ დავკონკრეტდები. სამწუხაროდ, ერთმა რეჟისორმა რატომღაც ვერ შეძლო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არასაკმარისად ხარისხიანი სპექტაკლი შექმნა და ამიტომ მოგვიწია მასთან დამშვიდობება. ამის შემდეგ იყო კიდევ რამოდენიმე რეჟისორთან მოლაპარაკება, თუმცა, პროექტამდეც ვერ მივედით. ასევე ვითანამშრომლეთ ორ რეჟისორთან. მათ დადგეს ძალიან კარგი სპექტაკლები, რომლებიც დღესაც არის რეპერტუარში.

- რა პრობლემის წინაშე ხართ შემოქმედებითი თვალსაზრისით? ანუ შემოქმედებითი პროცესის სტაბილურობას რა უშლის ხელს?

- ამ ეტაპზე ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ არა გვაქვს ჩვენი საკუთარი შენობა. ზოგადად გვიწევს ხოლმე როგორც სარეპეტიციო ფართის, ისე თეატრების ქირაობა, რომ გავმართოთ სპექტაკლები, ჩავატაროთ რეპეტიციები და ფაქტობრივად ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთვის ამ ეტაპზე. სხვა განსაკუთრებული პრობლემა არ გვაქვს. ყველა პრობლემა ასე თუ ისე მოგვარებადია, უბრალოდ, ამას თანხები სჭირდება.

- მულტი-პულტის თეატრი არის კერძო თეატრი, რომელიც საკუთარ თავს ინახავს ან ვერ ინახავს. მარკეტინგულად უნდა დაიდგას ისეთი სპექტაკლი, რომელიც გაისტუმრებს თუნდაც თავის ხარჯს, თუ მოგებას ვერ მოიტანს. როგორ არჩევთ და გეგმავთ რეპერტუარს?

- გეთანხმებით. მე გეტყვით, რომ მულტი-პულტის თეატრი საკუთარ თავს არჩენს იმიტომ, რომ არის სწორად გათვლილი მარკეტინგი. ძირითადად კეთდება კომერციული პროექტები. ვამბობთ ფილმი ან მულტფილმი იმიტომ, რომ ინტერნეტია, ტელევიზიაა და ძირითადად ზღაპრებზე მეტად პოპულარული არის შესაბამისად მულტფილმი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსწავლობთ, რა არის ყველაზე პოპულარული ბავშვებში და ამის შემდეგ ვიწყებთ მუშაობას, რომ ამ მულტფილმს თუ საბავშვო ფილმს მივცეთ სცენური სახე. შემდგომ ხდება მათ შემქმნელებთან მოლაპარაკებები, ურთიერთობები, ლიცენზიის აღება. შესაბამისად ლიცენზიის აღების შემდეგ ვდგამთ სპექტაკლს, ვახდენთ მულტფილმების სცენურ ინტერპრეტაციას.

- შემოქმედებითი თვალსაზრისით რამდენად მომგებიანია ქოფირაითის გაკეთება. „წიქარას", „კომბლეს" შემთხვევაში თქვენ გქონდათ ორიგინალური ინტერპრეტაცია.

- დავიწყებ იქიდან, რომ ეს არ არის ქოფირაითი. ის არის მულტფილმი, რომელიც არის 7-წუთიანი, იგივე „მაშა და დათვი" ავიღოთ. ჩვენ შემთხვევაში ვდგამთ სპექტაკლს, რომლისთვისაც იწერება პიესა, იქმნება დეკორაცია. აბსოლუტურად სხვა სპექტაკლს ვქმნით და ის არ არის ქოფირაითი. აქედან გამომდინარე, შემოქმედებითად ესეც საინტერესოა. ანალოგიურად გიწევს მუშაობა მსახიობებთან, მხატვართან, გიწევს მუშაობა მუსიკაზე, დეკორატორებთან, მეთოჯინეებთან. გადიხარ ყველა პროცესს, - იწყებ თავიდან და მიდიხარ ბოლოში. ჩვენ ვთამაშობთ მულტფილმის და სპექტაკლის ორიგინალ პრემიერას, ის არ არის ქოფირაითი და არც გადმოღებული ვინმესგან.

- რა მისია აკისრია მულტი-პულტის თეატრს და მისი ადგილი ქართულ სათეატრო სივრცეში?

- პირველ რიგში, მულტი-პულტის თეატრის მისია არის ის, რომ დავინახოთ სპექტაკლზე მოსული ბედნიერი ბავშვების თვალები. მათი საყვარელი გმირები, რომლებსაც მხოლოდ ეკრანზე ან ინტერნეტით ხედავენ, სცენაზე ცოცხლდებიან. ეს მათთვის სიხარულის და ბედნიერების მომტანია. ვფიქრობ, რომ საბავშვო სეგმენტში მულტი-პულტის თეატრს ერთ-ერთი ლიდერი თეატრის პოზიცია უჭირავს გამომდინარე იქიდან, რომ ის ქმნის იმ პროდუქციას, რომელიც ძალიან უყვართ ბავშვებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბილეთი ცოტა ძვირი ღირს, ვიდრე სხვა სახელმწიფო თეატრისა, სპექტაკლები მიდის ანშლაგებით. ეს კი არის ძალიან კარგი მაჩვენებელი და ყველაფერზე მეტყველებს.

- შეიცვლის თუ არა კურსს მულტი-პულტის თეატრი და რას გეგმავთ მომავალში?

- მე ვახსენე სიტყვა „კომერციული პროექტი" და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხარისხს ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ ორიენტირებული ვართ როგორც ხარისხზე, ისე კომერციაზე. იმიტომ რომ ხარისხიანი პროდუქცია უნდა გავიდეს ბაზარზე და შევთავაზოთ მომხმარებელს. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები არ იგეგმება ამ მიმართულებით. ვგეგმავთ ანალოგიურად ასეთივე პროექტების კეთებას, როგორიც არის „მაშა და დათვი" და რამოდენიმე ახალ პროექტს, რომელსაც წელს განვახორციელებთ.

რკინის თეატრი - ანდღულაძის არენა

თეატრის დასახელება - რკინის თეატრი - ანდღულაძის არენა
დაარსების წელი - 2011
თეატრის იურიდიული სტატუსი - შპს
დაქვემდებარება - კერძო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - გიორგი ტრაპაიძე
თეატრის ელ ფოსტა - davidandguladze@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ-ფოსტა - davidandguladze@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - www.facebook.com/samgroshianiopera
თეატრის მისამართი - ბუდაპეშტის №1

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 16
მსახიობთა რაოდენობა - 7
შემოქმედებითი პერსონალი - 7
ტექნიკური პერსონალი - 0
ადმინისტრაცია - 2

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონალური	მუნიციპალური	სხვა
2011				საკუთარი
2012				საკუთარი
2013			15 ათასი ლარი	საკუთარი

2011-2013 წლებში დადგმული სპექტაკლების სარეპერტუარო ჩვენების რაოდენობა
2011 - სეზონურად 15 (შემოდგომა, ზაფხული)
2012 - სეზონურად 17 (შემოდგომა, ზაფხული)

ბილეთის ფასი და ტარიფები - სამომავლო ვერსიები - 10 ლარი

2011-2013 წლების რეპერტუარი
ბ.ბრეხტის პიესის „სამგროშიანი ოპერა“ მოტივებზე „სულ სხვა ოპერა“
რეჟისორი - დ.ანდღულაძე
სცენური ვერსია - დ.ანდღულაძე, თ.ჯაფარიძე
კურტ ვაილი - არანჟირება გოგი ჩლაიძე
მუსიკოსები - გოგი ჩლაიძე, ნატო ესაკია
კოსტიუმების მხატვარი - ეკა მაღალაშვილი
მსახიობები - ზაზა თაგოშვილი, კახა ნოზაძე, ნოდარ სიმსივე, ანა ყაულაშვილი, გიორგი ტრაპაიძე, შალვა დევნოზაშვილი, გიორგი ცისკარიშვილი

საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა? - 35.000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა? - 10.000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი?
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი? - 3.000 ლარი
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარ სამსახურის მენეჯერი (რამდენი ადამიანი და რა პოზიციაზე მუშაობენ ისინი) - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადება - ვახორციელებეთ
მსახიობთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 21 წელი
ყველაზე ხანდაზმული - 28 წელი
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში, ვინ და რომელში?
2012 წელი - მექი დანა, იერემია პიჩემი, შალვა დევნოზაშვილი, გიორგი ტრაპაიძე

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა თეატრს:
ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ

საკონფერენციო დარბაზი- დიახ
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - დიახ
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება - მწირი, 7 ძველი პროჟექტორი
გახმოვანება - ერთი ფორტეპიანო და ერთი დამწვარი როიალი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - საპროექტო - 200 ადგილი, ცვალებადი, უნივერსალური

თეატრის შენობა - არქიტექტორი - ბუცა ჯორბენაძე
რეკონსტრუქციის ავტორები - დ.ანდღულაძე, ა.ჭელიძე

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე - 18 მ.
სცენის სიგანე - 14 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - ნაწილი 10 მ., ნაწილი 5 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - ნაწილი 10 მ., ნაწილი 5 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - 2 მ.
სცენის მარცხენა ჯიბე - 2მ.

საუბარი თეატრის დამაარსებელთან და ხელმძღვანელთან დავით ანდღულაძესთან

საუბარს უძღვება თეა კახიანი

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?
- არ არსებობს!
- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?
- დიახ, გვაქვს.
- რომელ კომპანიებთან თანამშრომლობთ? (საერთაშორისო ან ადგილობრივი)
- ჯერჯერობით არცერთთან, თანამშრომლობა რასაც ჰქვია, ჯერ არ ვთანამშრომლობთ.
- 2011-2013 წლებში რომელიმე სპონსორთან, ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში
- ვითანამშრომლეთ მერიასთან და საკმაოდ ნაყოფიერად, ეს არის პროექტი „ფერმა“ და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება და ასევე იმედი მაქვს, კულტურის სამინისტრო მეტი ყურადღებით მოექცევა თეატრალურ ხელოვნებას!
- განიხილავთ თუ არა თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?
- აუცილებლად განვიხილავთ! იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი შეთავაზებები, ასევე უნდა ითქვას, რომ სპონსორებსაც ჩვენ ავარჩევთ მომავალში!
- ანუ ყველასთან არ ითანამშრომლებთ?
- რა თქმა უნდა! იმიტომ რომ ჩვენი სპონსორი ამავდროულად არის ჩვენი მეგობარი, პარტნიორი. შესაბამისად, მათთან ურთიერთობას ჩვენ განვიხილავთ როგორც ხანგრძლივ, პარტნიორულ ურთიერთობას და არა როგორც მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებას.
- კი, მაგრამ ვინც თუნდაც დღეს გაძლევს ფულს, ის შენი მეგობარი არ არის? რა პრინციპით შეარჩევთ პარტნიორებს?
- არა, ის უფრო პარტნიორია. ჩვენ მას შევარჩევთ მისი მისწრაფებების მიხედვით, თუ რა მოტივით მოდის ჩვენთან თანამშრომლობაზე. თუ მას მხოლოდ რეკლამა უნდა, მხოლოდ თავის კომპანიის პიარი უნდა, ეს ჩვენთვის არ არის მოტივი, რომ ვითანამშრომლოთ. მათ ჩვენ ყველაფრის გათვალისწინებით შევარჩევთ, მისი წარსულით, აწმყოთი და პოტენციით. და ძალიან მნიშნელოვანია, თუ ის მიხვდება, რომ ჩვენთან უნდა ითანამშრომლოს! ეს ძალიან დიდი პლუსია, რაც არ უნდა სერიოზული კომპანია იყოს, ეს კიდევ ერთი პლუსი იქნება მისთვის. და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე ჩვენ ასეთი პარტნიორები გვეყოლება.
- გამოდის, რომ თქვენ ეძებთ თეატრის მოყვარულებს ბიზნესში…
- არა მხოლოდ! ჩვენ ვეძებთ კულტურულ ბიზნესმენებს! რომლებსაც გათვლილი აქვთ თავიანთი ბიზნესი გრძელვადიან წარმატებაზე და არა მხოლოდ პრაგმატულ მიზნებზე. თუმცა, რასაკვირველია, ამაში პრაგმატიზმიც იგულისხმება.
- და ვთქვათ, არსებობს ბიზნესმენი, რომელიც დაინტერესებულია თქვენი თეატრის ფასადზე საკუთარი ბანერის განთავსებით, რომელშიც იხდის კონკრეტულ თანხას...
- რასაკვირველია, ჩვენი თეატრის ფასადზე არ გავაკრავთ არაგემრიელი ხინკლის რეკლამას, ან რომელიმე სუსტი მარკის ავტომანქანის რეკლამას. გავაკრავთ მერსედესის ან ტოიოტას რეკლამას. ანუ პრინციპი გასაგებია?

- თეატრი ეძებს სპონსორს, ან თუ გქონიათ შემოთავაზების შემთხვევა სპონსორის მხრიდან?

- ჩვენ ახალდაარსებული თეატრი ვართ და ვიცრიუებ, რომ ვთქვა, მთელი ყურადღება სპონსორების ძიებაზე გვაქვს გადატანილი-მეთქი. არც შემთხვევა არ გვქონია, რომ თვითონ შემოეთავაზებინოთ რაიმე. ჩვენი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპექტაკლი გამოვუშვით ისეთ პერიოდში, როცა მთელი ქვეყანა გადართული იყო პოლიტიკაზე, როცა ჩვენს ქვეყანაში მძვინვარებდა პოლიციური რეჟიმი. ამ დროს ჩვენ „სულ სხვა ოპერა“ გამოვუშვით, ქვესათაურით „ცოცხების ოპერა“ და აქ სპონსორების მოძიებისთვის ნამდვილად არ დაგვრჩა არც ადგილი და არც დრო. არც არავითარი შემოთავაზება არ გვქონია. ეს გარდამავალი პერიოდი იყო. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ახლა დალაგდა ეს ყველაფერი და ის ადამიანები, ვისაც აქვს გარკვეული ფინანსური შესაძლებლობები, მიხვდნენ, რომ მათ უნდა ეძებონ, თვითონ მათ უნდა ეძებონ ისეთი ორგანიზაციები, ვინც მათ შემატებს ღირსებას, შემატებს იმიჯს. მაგალითად, მე რომ ვიყო მრავალმილიონიანი ორგანიზაციის მფლობელი, „რკინის თეატრთან“ სერიოზულად ვიმეგობრებდი, კი არ დავაფინანსებდი მხოლოდ...

- ეს იქნებოდა მომავალზე გათვლილი სტრატეგია? თუ ეს იქნებოდა რაღაც საზოგადოებაში კონკრეტული, მოკლევადიანი იმიჯის მოხვეჭის სურვილით გამოწვეული ქმედება?

- ეს იქნებოდა სწორედ მომავალზე გათვლილი სტარტეგია, აწმყოზეც და მომავალზეც. თქვენ სწორი ბრძანეთ, ეს იქნებოდა სტრატეგია და ტაქტიკა იქნებოდა ის, რომ ვეცდებოდი, პირობები შემექმნა თეატრისთვის. სტრატეგიული მიზანი ამ თეატრის მაქსიმალური პოტენციის გამომჟღავნება იქნებოდა, ვეცდებოდი, რეალიზება მომხდარიყო იმ პოტენციის, რომელიც ჭარბად არის „რკინის თეატრში“.

- თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა?

- ჩვენ, პირველ რიგში, აქტიური შემოქმედებითი გეგმა გვაქვს! ხოლო რაც შეეხება პარტნიორებს, მათი მოძიების გეგმაც გვაქვს, თქვენ იცით, რომ გვაქვს ასეთი გეგმა.

- ახორციელებთ თუ არა ფანდრეიზინგს და დროის რა მონაკვეთზეა ის გათვლილი?

- ის გათვლილია დაახლოებით ერთ სეზონზე, რომლის შემდეგ პარტნიორები მიხვდებიან, რომ აუცილებლად ჩვენთან უნდა დაამყარონ ურთიერთობა და ჩვენ გვექნება სწორედ იმ პარამეტრებით არჩევის საშუალება, იმ ღირებულებებით, რაც საუბრის დასაწყისში ვახსენეთ. მათი მოტივაცია ჩვენთან ურთიერთობაში ჩვენთვის მთავარია.

- საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები თეატრის შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის?

- მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო მერიას, მაგრამ ის თანხა, რაც მათ მოგვცეს, რა თქმა უნდა მწირია და ნორმალურად შემოქმედებითი ცხოვრების წარმართვაზე ლაპარაკიც არ არის. მაგრამ მათ გააკეთეს ის, რისი საშუალებაც ჰქონდათ, ამას ვერ დავუკარგავთ! ეს იყო რაღაც ნაპერწკალი, მართლა ნაპერწკალი, რომ ჩვენ ათი იმდენი გაგვეკეთებინა. და ნაპერწკალი ხშირ შემთხვევაში კოცონს ააგიზგიზებს ხოლმე... მაგრამ შემოქმედებითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის არა თუ კერძო თეატრის, არამედ სახელმწიფო თეატრებისთვისაც არ არის საკმარისი.

- სახელმწიფო თეატრებისთვისაც, ფიქრობთ, რომ არ არის საკმარისი? რუსთაველის თეატრს რამდენი აქვს დაფინანსება?

- რასაკვირველია, რუსთაველის თეატრისთვისაც არ არის საკმარისი, მე ვგულისხმობ, რომ არ არის საკმარისი იმისთვის, რა პოტენციასაც ატარებს ის დასი, რომელიც რუსთაველის თეატრში არის დღესდღეობით, ის შენობა, რომელშიც რუსთაველის თეატრი არის განთავსებული და ვგულისხმობ იმ შესაძლებლობებს, რისი გაკეთებაც იქ შეიძლება! აი, იმ სივრცეში, იმ სამ სცენაზე, თორემ დღევანდელი რუსთაველის თეატრისთვის შეიძლება ზედმეტიც იყოს ის დაფინანსება!

- დიახ, ახლა ამაზე ბევრს ლაპარაკობენ და ეს იმის მანიშნებელია, რომ მაინცდამაინც ფული არ განსაზღვრავს შემოქმედებით წარმატებას, 3 მილიონ ლარზე მეტი დაფინანსებით 4 პრემიერა მგონი არ არის საკმარისი.

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსთაველის თეატრში 200-მდე ადამიანი მუშაობს.

- კი, მაგრამ თეატრი დასაქმების ბიურო ხომ არ არის? თეატრი არის ადგილი შემოქმედებისათვის, სადაც უნდა იქმნებოდეს პროდუქტი, თუ ეს პროდუქტი არ იქმნება, ის თეატრი დასახურია და ბიუჯეტის ფული ამაში არ უნდა იხარჯებოდეს.

- აქვე, მაშინ მოგიყვანთ სხვა მაგალითს, გვერდზე თეატრში შეიძლება 24 სპექტაკლი გამოუშვან, მაგრამ იქედან არც ერთი იყოს ღირებული. მე შემიძლია კვირაში თითო სპექტაკლი გაგიკეთოთ. თქვენ დაახლოებით 10 წლის მანძილზე ერთ სპექტაკლს ვერ დამისახელებთ, რომელმაც ქართულ თეატრალურ სინამდვილეში რაღაც მოვლენა შექმნა.

- მაგრამ რაღაც პროცესს ხომ მაინც ვხედავთ, რასაკვირველია, თუ შედევრი იქმნება, კარგია, მაგრამ შედევრების რეცეპტები არ არსებობს, ამიტომ მაინც უმთავრესია, შემოქმედებით პროცესს ვხედავდეთ, მიმდინარეობდეს ის და იყოს ცოცხალი.

- შედევრებზე აქ არ არის საუბარი, აქ საუბარია მხოლოდ შემოქმედებით პროცესზე, როცა ხედავ, რომ ერთი-ორი რეჟისორის გარდა ყველა მოწოდებულია იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია გამოუშვან, არასწორია. მე მაგალითად შემიძლია საჯაროდ დავდო პირობა, რომ ჩემზე მეტს ვერავინ გამოუშვებს, მაგრამ ამაში არაფერი იქნება ღირებული. მომისმენია, იმითაც ტრაბახობენ, რომ ერთ კვირაში გააკეთეს სპექტაკლი. ეს უბრალოდ არასერიოზულია, თუ ის მთელი ცხოვრება არ ემზადება ამისთვის და მთელი ცხოვრება არ მუშაობს ან რაღაც გარკვეული დიდი პერიოდი იმაზე, რასაც თხზავს, მაშინ ის

არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ამაშია, რამოდენიმე წლის წინ როდესაც მოვიდა წინა მთავრობა, სწორედ ეს იყო მოტივი, რომ რაოდენობრივად შეექმნათ მეტი და ხარისხს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დღეს რომელ თეატრში შედიხარ და სად შედიხარ, არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, განსხვავება არ არის. საერთოდ პროფესიას კარგავენ მსახიობები. იმიტომ რომ ტექსტის დაზეპირება და კაპუსტნიკების კეთება არ არის თეატრის საქმე და ამაში 3 მილიონი არ უნდა იხდებოდეს.

- გეთანხმებით, ზოგადად საზოგადოების მიდგომა ძალიან შეიცვალა, მსახიობებიც აღარ არიან ოლიმპოს მთაზე, შეიცვალა მსახიობის ფუნქცია და როლი საზოგადოებაში.

- მსახიობის როლი ზოგჯერ გადაჭარბებულია ხოლმე და იქამდეც შეიძლება მივიდეს, რომ როცა ბრეჟნევი ჩამოვიდა ვერიკო დაახვედრეს და ეგ მე არ მიმაჩნია მსახიობის როლად.

- თუნდაც ეგ ფაქტი გამოხატავს იმას, რომ მსახიობი იყო ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იმ საზოგადოებისთვის და ბრეჟნევისთვის ზუსტად ვერიკო უნდა დაეხვედრებინათ...

- მსახიობი მნიშვნელოვანი ფიგურა არის თეატრში, მსახიობის იდეალური ვარიანტი არის ჟორა შავგულიძე, რომელიც არც ბრეჟნევებს და არც სტალინებს არ ხვდებოდა და არც ძმათა მათთა და იყო გენიოსი მსახიობი!

- მე მახსოვს შალვა გაწერელია უკრძალავდა თავის სტუდენტებს სერიალში და რეკლამებში გადაღებას...

- ეს კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ ახლა მე ვლაპარაკობ შემოქმედზე, რომელიც არის თავის საქმეში. მე დღევანდელ პოლიტიკოს მსახიობებს რომ ვუყურებ, გულწრფელად მეცოდებიან ისინი, ჩვენ გავაკეთეთ ის, რომ ამ ხალხს პროფესია დავაკარგვინეთ. მსახიობი მთელი თავისი გონებით და მთელი თავისი შინაგანი ენერგიით არ უნდა გადაერთოს ისეთ საქმეზე, რომელიც მისი არ არის, მით უმეტეს ოთხი წლის მანძილზე, კი საზოგადოებრივია ის და ძალიან საჭიროა, მაგრამ ეს მსახიობის საქმე არ არის!

- იქნებ ეს ჩვენი დროის გლობალური პრობლემაა, ბოდრიარი ამბობდა რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა მსახიობები გახდნენ პოლიტიკოსები და პოლიტიკოსები გახდნენ მსახიობები, რომ სპორტი გახდა ხელოვნება და ხელოვნება გახდა სპორტი, როცა პოლიტიკოსები გამოდიან ცისფერ ეკრანებზე, ისინი ყველაზე მაგარი მსახიობები არიან იმ მომენტში.

- კი ვეთანხმები, პოლიტიკაში დევს როგორც მსახიობის ელემენტი, ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, რეჟისურის ელემენტიც. თუმცა მაინც მე მირჩევნია ჟორა შავგულიძე, რომელიც ასე აქტიურად არ ერეოდა, თეატრის არავითარ კოლექტიურ კრებებში არ იღებდა მონაწილეობას. მაგრამ გვერდზე არის სერგო ზაქარიაძის მაგალითიც, რომელიც იყო გენიალური მსახიობი და რომელმაც თავისი სიცოცხლის ბოლო წლები შესწირა რუსთაველის თეატრის კეთილდღეობას. მაგრამ ის უკვე იმ საქმეს შეეწირა, ადმინისტრაციული მენეჯმენტის საქმეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ არა სერგოს დირექტორობა, მას კიდევ მრავალი როლი შეეძლო ეჩუქებინა და მრავალი სიხარული მოეტანა ქართველი მაყურებლისთვის და არა მხოლოდ ქართველი მაყურებლისთვის. საერთოდ გენიოსებისთვის არ არსებობს რეცეპტები, ცალსახად ვერაფერს იტყვი! ერთმანეთის გვერდით არის ჟორა შავგულიძის და სერგო ზაქარიაძის მაგალითი. მაგრამ როგორც წესი, სამი- ოთხი წელი ადამიანი რომ გადაერთვება სხვა საქმიანობაზე, ის უკვე ფორმაში აღარ არის, გაიხსენეთ იგივე ფედერერი, მე მისი ინტერვიუები მაქვს წაკითხული, ის ამბობს, რომ ორი კვირა ვერ ვივარჯიშე და აბსოლუტურად ფორმიდან ამოვვარდიო, რასაკვირველია, ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ასეთ მაღალ დონეზე, თორემ მსახიობი შეიძლება ნაბახუსევი მოვიდეს და სპექტაკლი ითამაშოს ან კარგი სადილიდან მოვიდეს, და ხშირ შემთხვევაში ასეც ხდება...

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- არის ძალიან ბევრი გზა, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სახელმწიფოსგან იმ გარემოს შექმნა, სადაც სახელწიფო არ შეუშლის ხელს თეატრის ფუნქციონირებას. როცა სახელმწიფო სტრუქტურები, თეატრის დამფუძნებლები ითხოვენ რაოდენობას და არ ითხოვენ ხარისხს, ეს ცალსახად ცუდია. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას ის პირობები, რომ თეატრები, მათ შორის კერძო თეატრები, ვითარდებოდეს. დღეს არავითარი პირობები არ არის შექმნილი, იმიტომ რომ თეატრალური ხელოვნების განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად არ არის აღიარებული, ამ დროს ყველაზე მაგრები აქ ვართ. არის ერთი-ორი რეჟისორი, მათ შორის ჩემს თავსაც ვგულისხმობ, რომლებიც ნებისმიერ ჟანრში, ნებისმიერი ქვეყნის თეატრალურ რეჟისორს გავუწევთ კონკურენციას. და ამიტომ მე ძალიან მიკვირს, სწორედ პრაგმატული თვალსაზრისით, რატომ არ არის ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი ეს? რომ აი ამით, ჩვენი თეატრით წარვსდგეთ მსოფლიოს წინაშე!

- ძალიან საინტერესოა, როდესაც პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ, საქართველოში არის ძალიან ბევრი თეატრი, ნამდვილად ფუფუნების საგანია ის, რამდენი თეატრიც ჩვენ გვაქვს და რამდენ თეატრსაც დღეს სახელმწიფო ინახავს, ამდენი სახელმწიფო თეატრის შენახვა დღეს საქართველოსთვის რენტაბელურია? ამას ალბათ კვლევა სჭირდება

- როდესაც საბჭოეთი არსებობდა, არავითარი პრობლემა არ იყო ამ თეატრების შენახვა. როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრიობა აღვიდინეთ, ეს გადმოგვყვა როგორც მემკვიდრეობა. ეს 37 თეატრი ერთ ქალაქში ხომ არ არის. რატომ არ უნდა დააფინანსოს მუნიციპალიტეტმა თავის რეგიონში ერთადერთი გაძვალტყავებული კულტურული კერა? რეგიონში, რომელშიც არაფერი არ არის საერთოდ არყის და ღვინის გარდა! ვნახე სიუჟეტი ერთ-ერთ რეგიონალურ თეატრზე, უშუქო, დანგრეულ თეატრზე, იქ ხომ ცოცხალი ხალხია? მსახიობები არიან! ჩვენ იმათ ვუთვლით იმ კაპიკებს? ამაზე ვაკეთებთ ეკონომიას? და რა ალტერნატივას

ვთავაზობთ? მეორე საკითხია, რომ რომელიმე რაიონისთვის არ არის თეატრი აუცილებელი, ასეთი ანეგდოტის მაგვარი ამბავიც დადიოდა, რომ სპექტაკლის დროს ბუფეტის თანამშრომელი შემოდიოდა და მეშვიდე რიგს მოხარშული სოსისის საჭმელად უხმობდა და მთელი მეშვიდე რიგი გადიოდა სპექტაკლიდან...

- მაგრამ არსებობს ასეთი მიდგომაც, რომ თუ ხალხს სჭირდება თეატრი, მაშინ ხალხი თვითონ შეინახავს თეატრს, არის თუ არა საქართველოში შესაძლებელი ამუშავდეს ასეთი მექანიზმი, რომ ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტზე არ იყოს მიბმული?

- მაშინ სოციალური ფონი უნდა იყოს ბევრად მაღალი. ხალხს ხელფასი უნდა ჰქონდეს მაღალი. მთელი რაიონის 90% რომ უმუშევარია, როგორ უნდა შეინახოს ხალხმა თეატრი? რასაკვირველია, ის დახურულია უკვე ხალხისთვის, თვითონ ხალხია დახურული ქვეყნისგან, ბილეთი ხომ უნდა იყიდონ? ავიღოთ ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, მაგალითად აშშ. მე მქონდა იმის საშუალება, რომ იქ სტაჟირებაზე ვყოფილიყავი. მე იქ ახალი ვერაფერი მითხრეს აბსოლუტურად, პირიქით, რასაც ჩვენ ვეუბნებოდით და ვუხსნიდით, ის აღმოჩნდა მათთვის ახალი.

- იქ ხომ აბსოლუტურად არ არის ის სისტემა, რაც ჩვენთან, უმეტესობა თეატრების არსებობს მეცენატობისა და სპონსორობის ხარჯზე, ჰყავთ პარტნიორები და მათთან აქვთ ძალიან მკაცრი ვალდებულებები.

- მე ვყოფილვარ ისეთ თეატრებში ამერიკაში, რომელსაც თეატრადაც თბილისში ვერ მოიხსენიებ და რომლის ხელმძღვანელსაც მაგიდაზე ეწყო შემოთავაზებების დასტა კომპანიებიდან და ამ ადამიანს ჰქონდა საშუალება, აერჩია ამ შემოთავაზებებიდან მისთვის საუკეთესო. ხომ ვერ მეტყვით, რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ სოციალური ფონი არის მაღალი. ჯერ ერთი ამერიკული თეატრალური კულტურა და ბროდვეის თეატრალური კულტურა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, სხვადასხვა თეატრალური კულტურებია, ბროდვეის თეატრი არის კომერციული თეატრი, რომელშიც იდება მილიონები და ათჯერ უფრო მეტ მილიონებს იღებენ იქედან და არის კიდევ ოფ ბროდვეი, რომელშიც გეთანხმებით, ჰყავთ პარტნიორები, მაგრამ, როგორც ვთქვი, ასარჩევად. რადგან იქ კანონმდებლობაა სხვანაირი.?

- ჰყავთ მეცენატებიც...

- მეცენატი კიდევ სხვა კულტურაა, ჩვენ ჯერ სპონსორობამდე ვერ მივედით, არა თუ მეცენატობამდე. შეიძლება, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ერთადერთი მეცენატი გამოჩნდა და რომ არ ის, შესაძლოა, რამოდენიმე თეატრი ფიზიკურად განადგურებულიყო, დანგრეულიყო. და ესეც კი ეჭვის ქვეშ დააყენა საზოგადოების რაღაც ნაწილმა, საბედნიეროდ მცირე ნაწილმა... მეცენატური კულტურა არ არსებობს ჩვენში საერთოდ!

- და ამ გარემოში კერძო თეატრებს არსებობის რა შანსები აქვთ?

- არანაირი შანსი არა აქვთ! გარდა ერთისა, რომ შექმნან იაფფასიანი წარმოდგენები, ყველას, ნიჭიერსა და უნიჭოს გაუხსნან კარი, რომლებიც თვითონ მოიტანენ სადადგმო ფულს, გაიყიდება 6 პრემიერა იმათ ნაცნობ-მეგობრებზე და რაც მთავარია, დაეშვან ყველაზე უფრო მასობრივი მაყურებლის დონეზე, რომ თეატრი გადარჩეს მატერიალურად, აი ეს არის რეალობა!

- და ამ პირობებში თქვენ ხსნით ახალ თეატრს!

- დიახ, მაგრამ ჩვენ რას და როგორ ვაპირებთ, ეს კიდევ სხვა საუბრის თემად დავტოვოთ.

- მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი თქვენი თეატრისთვის რა იქნება?

- საერთოდ, მას შემდეგ, რაც ჩემი ცხოვრების წესად სპექტაკლების შეთხზვა იქცა, მე მგონია, რომ რაც უფრო ფართო სეგმენტისთვის იქნება განკუთვნილი ნაწარმოები, უკეთესია! ოღონდ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ფართო სეგმენტის გემოვნება დააკმაყოფილო, მაგალითად ,მოხდა ასეთი რამ, როცა ჩვენ მივედით გლდანში და დავიწყეთ რეპერტუარის შენება, ნელ-ნელა აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვყავს საკმაოდ კულტურული და ძალიან კარგი მაყურებელი, რომელიც მე ასე ჭარბად სხვა თეატრებში არ მინახავს. მაყურებელი ხვდებოდა ჩვენს ენას, იღებდა ამ ენას. ხალხი რამოდენიმეჯერ მოდიოდა, კაპელდინერები სცნობდნენ. სამჯერ, ოთხჯერ მოდიოდნენ ერთი და იგივე სპექტაკლზე. ამდენად, მაინც ჩვენზეა დამოკიდებული, ოღონდაც ძნელია ეს როცა ერთი ხარ ბრძოლის ველზე, როგორც რუსები იტყვიან... მაგრამ იმ ერთსაც შეუძლია რაღაც შეცვალოს, ყოველი შემთხვევისთვის, თავის ირგვლივ მაინც!

- როგორია მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა თქვენს თეატრში?

- მხოლოდ და მხოლოდ კარგი სპექტაკლები, განსხვავებული რეპერტუარის, განსხვავებული თეატრალური ესთეტიკის შექმნაა ეს პოლიტიკა!

- და რა ნიშაა ახლა თავისუფალი თქვენი აზრით?

- ახლა ყველა ნიშა თავისუფალია! აბსოლუტურად თავისუფალია ყველაფერი, ცარიელი ადგილია მე რომ მკითხო! (იცინის)

- თქვენი თეატრის ყველაზე დიდი წარმატება?

- ეს იყო „სულ სხვა ოპერა“, იმიტომ რომ ეს ერთადერთი სპექტაკლია ჯერ-ჯერობით ჩვენს რეპერტუარში.

- ყველაზე დიდი პრობლემა?

- ყველაზე დიდი პრობლემაა იმ თეატრალური ესთეტიკის პოვნა, რაც აი თითქოს აქვეა და ჯერ მოუხელთებელია, ეს დაახლოებით შუა ზამთარში გაზაფხულის განწყობას რომ შეიგრძნობ, იმას ჰგავს და მოუხელთებელი რომ არის ეს შეგრძნება... ასევეა ის თეატრალური ესთეტიკა, რომელიც ახლა ვიგრძენით და გვინდა, რომ მოვიხელთოთ. მაგრამ აქ ალბათ იგულისხმება კონკრეტული შემოქმედებითი პრობლემები, და

აქ პრობლემაა ის, რომ ახალგაზრდები არ არიან მომართული ამ ძიებებისკენ. მათი მიზეზით ეს არ ხდება, მაგრამ გადართულები არიან იაფფასიან საქმიანობაზე. ის, რაც ახლა მიგაჩნიათ თქვენ ახალგაზრდების ძიებებად, არ კმარა, ეს ადრე ყოველ ჯგუფში ხდებოდა. და რამოდენიმე გამონაკლისი ამინდს ვერ ქმნის!

– გეთანხმებით, ჩემი აზრით, ალბათ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების სულ უფრო მცირე ნაწილი ირჩევს თავისი ცხოვრების გზად თეატრალურ სფეროს, იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს სფერო აღარ არის პოპულარული.

- რასაკვირველია, და მე შემიძლია კარგი უნივერსიტეტებიდან შევკრიბო სხვადასხვა კურსის სტუდენტები, მათ არ ექნებათ გავლილი სამსახიობო ოსტატობის კურსი და მათგან შევქმნა დასი და ისინი ილაპარაკებენ ბევრად უფრო თანამედროვე ენით, ბევრად უფრო თანამედროვე პრობლემატიკაზე და ბევრად უფრო თანამედროვე ფორმით! ეს იქნება უფრო მაღალი დონე, ვიდრე თქვენ რა თეატრალურ ძიებებსაც გულისხმობთ ახლა. ბევრად უფრო მაღალი დონე იქნება, ნამდვილად ეგრეა!

– ე.ი. სახელოვნებო განათლების პრობლემებს მივადექით, და არა მხოლოდ სახელოვნებო განათლების... ეს საკითხი შორს წაგვიყვანს...

- დიახ, და კითხვარს ძალიან ავცდებით, ისედაც აქ რამოდენიმე კითხვას ვერ ვუპასუხე, რადგან ჩვენ ჯერ - ჯერობით ჩამოყალიბების სტადიაში ვართ! მაგრამ ვიტყვი, რომ ჩვენს სამომავლო საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი ფენომენი იქნება ნიჭი და ახლის ძიების სურვილი!

– მე მგონია, რომ დღევანდელი ქართული თეატრი მეტყველებს არქაული ენით ან საერთო ევროპული საშუალო არითმეტიკულით.

- ვაღიარებ, როგორც კრიტიკოსს მშურს, რომ ეს შეფასება მე არ მეკუთვნის. ერთ წინადადებაში კომპაქტურად მოქცეული თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის ყველაზე აქტუალური თემები - ტრადიცია, რომლისგან განთავისუფლებაც ლამის გადაუჭრელ პრობლემად იქცა და ევროპული გამოცდილების გაუაზრებელი კალკირება თეატრის პრობლემათა რიგსაც სცდება და უფრო ფართო განსჯის თემად მოიაზრება. ცხადია, „რკინის თეატრი“ შეეცდება, სწორედ ეს, ორი პრობლემური მოცემულობა შეათავსოს ან გადაჭრას სპექტაკლში, რომელიც, როგორც რეჟისორი ამბობს, უკვე გამოსაშვებად მზად არის. ჯ. ორუელის „ცხოველების ფერმა“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამაშიც იყო შესული, თუმცა ეს მხოლოდ, ასე ვთქვათ, შავი რეპეტიცია იყო და პრემიერა ჯერ კიდევ წინ არის.

– „ცხოველების ფერმა“ ძალიან გახმაურებული ნაწარმოებია...

- დიახ, იმდენად, რომ ამ ნაწარმოებზე „Pink Floyd“ -მა მთელი ალბომი შექმნა სახელწოდებით “Animals“ - მაგრამ, ის დაწერილია პირდაპირ სტალინურ რუსეთზე, ღორებში ტროცკი, სტალინი და ძმანი მათნი იგულისხმებიან. როცა მუშაობა დავიწყე, მაშინ ძალიან ამაღელვა ამ მომენტმა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ დრამატურგია არ არის ნაწარმოებში და საინტერესო პერსონაჟებს უფრო გავყევი ვიდრე ამ ხაზს. იქ არის ყვავი - მოსე, რომელიც ორუელთან სულ რაღაცეებს იტყუება. მერე, რომ დავფიქრდი, ყვავი 300 წლის არის, მას ბევრი რამ აქვს ნანახი, ნაპოლეონის დროსაც მოესწრო, სულ დაფრინავს აქეთ-იქეთ, დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენი სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი გმირი სწორედ ეს ყვავი მოსე გახდა. თორემ სქემა, დემოკრატია როგორ მოდის და მერე ხდება დიქტატურა, ძალიან პრიმიტიულია და აღარ დამაინტერესა. ამიტომ გავყევი ამ პერსონაჟს, ამ ყვავს. ასევე, მოვიფიქრეთ ახალი პერსონაჟი, ადამიანის შვილი. ვისაც ცხოველების აჯანყების მერე ყრიან ფერმიდან, მათი შვილი, რომელიც ცოტა გონებაჩლუნგია. ის თამაშ-თამაშში, აქ, ამ ფერმაში დარჩება. ძალიან საინტერესოა ეს ტრანსფორმაცია - ადამიანი როგორ გადაიქცევა ცხოველად! მხოლოდ ეგეთ გონებაჩლუნგს შეიძლება ეს დაემართოს! მერე სხვადასხვა თემისა და მოვლენის განვითარების შემდეგ ეს ყველაფერი სადამდე მიდის, იცი? ადამიანის შვილს დააქორწინებენ ქათამზე, ახალი ჯიშის გამოყვანა უნდათ! აი, სოხუმში, მაიმუნების „პიტომნიკი“ იცი რატომ შეიქმნა? - ჩამყაყებული პოლიტბიურო 20-იან წლებში, მათი სპეცსამსახურები მუშაობდნენ იმაზე და ატარებდნენ ცდებს იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ თავიანთი პოტენცია, დაბერებულები იყვენენ უკვე და აი, ამაზე მუშაობდა საიდუმლო ჯგუფი! დიდ ფულს იხდიდნენ! ომიანობის დროს საიდუმლო ექსპედიციები მიდიოდა აფრიკაში. იქიდან ჩამოყავდათ საცდელი მაიმუნები. სინამდვილეში ამისთვის შექმნეს ეს მაიმუნების „პიტომნიკი“, ერთი-ორი ოპერაციაც გააკეთეს, და როგორც ამბობენ შედეგიანიც. ესენი, ჩვენიც, ჩვენს ფერმაში, იწყებენ ახალი ადამიანის შექმნას, აი, რაც მიშამ მოინდომა, ახალი ქართველის შექმნა! ყველა რეჟიმი აქეთ არის მომართული, თუ ის რეჟიმად ყალიბდება, ყველა ქმნის თავის ახალ ადამიანს, თუნდაც რაც ჰიტლერს უნდოდა, არიული რასის სახით. ყველა სისტემა ამას აკეთებს! ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნაწარმოებში ხომ წისქვილს, თითქოს კომუნიზმს, აშენებენ, ჩვენ გავაკეთეთ ისე, რომ მათი ამოცანა ახალი არსების შექმნაა, ახალი არსების შექმნის მოლოდინში არიან. ხოლო ფინალში მაიმუნები ჩამოდიან და ანგრევენ ყველაფერს, ინგრევა ყველაფერი და მოსე მიფრინავს! ასე რომ, ჩვენს ფერმას ვაკეთებთ! მაგრამ მთავარია როგორ ხდება ეს ყველაფერი, რანაირად ვითარდება ეს, ვინ აკეთებს ამას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამას ვერ მოვყვები. ახლა იქამდეც მივედი, რომ შეიძლება მთლიანად ამოვიღო ტექსტი, ამათ თავიანთი ენა აქვთ, რომელიც ჩვენ არ გვესმის. როცა ფერმას დაეპატრონებიან „პიარი“ სჭირდებათ და მოიწვევენ ჟურნალისტს, რომელიც გადასცემს რეპორტაჟს. სადაც მჭირდება, რომ სიუჟეტური ხაზი გაიმართოს, ამ ჟურნალისტის და მისი მომზადებული რეპორტაჟის მეშვეობით ვაკეთებ ამას. ვფიქრობ, რომ ახლა შეიძლება ამათ ტექსტი საერთოდ მოვუხსნა.

- არადა, მართლაც ლოგიკურია, ცხოველების ენა ხომ ჩვენ არ გვესმის?!

- ლოგიკას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მეტაფორა დაიბადოს, და თუ ის სწორია, უკვე თავის თავში ატარებს ლოგიკას! თეატრი ასეთია, საერთოდ ხელოვნება ასეთია. თუ მეტაფორა დაიბადა და ეს მეტაფორა არის გამართული, ის უკვე ყველაფერს თავის ადგილას ალაგებს და ამაში არის მყარი ლოგიკა, აი, ეს არის რთული. ახლა ჩქარა მინდა გამოვუშვა ეს „ფერმა“, მინდა ჩვენი დარბაზი ამუშავდეს და გადავიდე შემდეგზე...

- **კოსტიუმები**?

- თუ ფული გვექნა, მაშინ ნატურალურ ტყავზე და ბეწვზე გავაკეთებს აქცენტს, თუ არადა, მაშინ იდეით მოვიგებთ, აი როგორც ბრეხტთან, „სულ სხვა ოპერაში“ ხომ ყველაფერი ძალიან მარტივად გვქონდა გაკეთებული. მოკლედ, ყველაფერი დამოკიდებულია თანხებზე. ერთადერთი რაც ვიცი, არის ის, რომ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთო!

- თითქმის ბოლომდე მიგიყვანიათ ყველაფერი...

- ბოლომდე მიყვანილი მაშინ იქნება, როცა რეპერტუარი იდგება ფეხზე, კვირაში მინიმუმ სამი სპექტაკლით, პარალელურად იქნება გადაღებები ჩვენს ტელე თეატრში და ეს არის უკვე სხვა ეტაპი. ბოლომდე მიყვანა საერთოდ არ არსებობს... თეატრში ბოლო არ არის. მე გამოშვებულ სპექტაკლებსაც კი ვესწრებოდი. მართალია, ვიტანჯებოდი, მაგრამ ვესწრებოდი და სპექტაკლის ბოლოს მსახიობებს ვეუბნებოდი, რა შეცდომები დაუშვეს, ამას გარდა, თვითონ სპექტაკლში შემიცვლია სცენები, გადამიკეთებია, იმიტომ რომ მაყურებელთან ერთად ვხვდები სად არის ხარვეზები. ტყული არ არის, რომ მაყურებელი მეექვესე კომპონენტია, სიმართლე გითხრა, მერამდენეა არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად კომპონენტია. ერთად ცქერის ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია. ვხვდები შეცდომებს და მინდება გადაკეთება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაყურებელზე თამაშობ და ამას მაყურებლისთვის აკეთებ. არამც და არამც, თვითონ ნაწარმოების ლაფსუსებს ამჩნევ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვარ. ძალიან მეხმარება ეს. ზოგჯერ ტექნიკური პერსონალი შემომყავდა რეპეტიციაზე. ამიტომ დიდხანს ცოცხლობდა ჩემი სპექტაკლები ახმეტელში, მარჯანიშვილშიც... არ იშლებოდა. არაფერი არ უნდა მიუშვა თავის ნებაზე. ჩვენ ხომ ნგრევისკენ მივდივართ, როგორც ორგანიზმი ბიოლოგიურად მიდის სიბერისკენ და კვდომისკენ. თუ მიუშვი, ძალიან მალე დაიშლება სპექტაკლიც. რასაკვირველია თუ გაქვს ამის ენერგია და ხალისი. თუ არადა, გაამართლებ იმით, რომ სპექტაკლი პრემიერის მერე შენ დაგცილდა! მაგალითად, „38-ე“ პირველი რედაქციით, 4 საათი მიდიოდა. მერე, მე დიდხანს ვიჯექი და აბსოლუტურად სხვა სპექტაკლი გავაკეთე. მარტო კი არ შემცირდა, არამედ გადაკეთდა კიდეც. მაგრამ იქ სამი აქტი იყო პრინციპული, დეკორაცია იყო ეგრე, ჩანაფიქრით, ნელ-ნელა ყველაფერი წყლით უნდა დაფარულიყო, ადამიანისთვის რჩებოდა სულ უფრო ცოტა საარსებო სივრცე. სპექტაკლის მხატვარი თემურ ნინუა უნიჭიერესი კაცი იყო და ამ სპექტაკლისთვის, შმაგი სავანელთან ერთად, სრულიად შედევრალური დეკორაცია შექმნა.

თეატრი გლობუსი

2014 წლიდან თბილისის მერიამ თავის დაქვემდებარებაში შეიყვანა თეატრი „გლობუსი“. თბილისის სათეატრო რუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი მუნიციპალური თეატრი, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აქ უნდა განთავსებულიყო დეტალური ინფორმაცია თეატრის შესახებ, მაგრამ დაპირების მიუხედავად, თეატრის ხელმძღვანელობისგან დასმულ კითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით. ვფიქრობთ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან სანდრო მრევლიშვილთან დიალოგი, ნაწილობრივ, მაინც გასცემს პასუხს ზოგიერთ კითხვას.

საუბარი თეატრის დამაარსებელთან და სამხატვრო ხელმძღვანელთან სანდრო მრევლიშვილთან

- ბატონო სანდრო, გვიამბეთ „გლობუსის“ შექმნის თქვენეული ისტორია ანუ როგორ აშენდა და შეიქმნა „გლობუსი“

- „გლობუსის“ შექმნის იდეა იწყება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მოგეხსენებათ, ჩვენ თეატრი გვქონდა მეტეხის ტაძარში. იქ თეატრის არსებობამ ძალიან დიდი როლი ითამაშა თვითონ ტაძრის შენარჩუნების და რეაბილიტაციის საკითხში. მაგრამ უკვე 70-იანი წლების ბოლოდან მე დავიწყე ფიქრი ალტერნატიულ შენობაზე, რომ გავსულიყავი ტაძრიდან და სხვა სერიოზული შენობა მქონოდა, სხვა სივრცე, რომელიც, რა თქმა უნდა, გააგრძელებდა მაყურებელთან ურთიერთობის იმ ტრადიციას, რომელიც მეტეხის ტაძარში იყო ნაპოვნი. ეს დაემთხვა იმას, რომ 1976 წელს მხატვარმა მიშა ჭავჭავაძემ და მე დავდგით ვაჟა- ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ კრაკოვის თეატრ „სტუს“ შაპიტოს ცირკში. ნაღდი მიწა იყო, სხვა სტილის სპექტაკლი იყო და გამიჩნდა იდეა, რომ თბილისშიც მსგავსი რამ გაგვეკეთებინა. ამ იდეით მივედით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, ოთარ ჩერქეზიასთან. მან აიტაცა ეს იდეა, გამოგვიყეს საკმაოდ დიდი თანხა, გამოგვიყეს ადგილი, - ეს იყო მიტოვებული სპორტული მოედანი ალექსანდრეს ბაღში, სადაც ადრე ტრადიციულად თავადაზნაურობის ყაბახი იმართებოდა, ბარათაშვილმა სწორედ ამ შთაბეჭდილებით დაწერა. გავაკეთეთ პროექტი არა შაპიტოსი, არამედ განსხვავებული, ასე ვთქვათ, თაღის, დავარქვით მას თეატრალური კარავი და დავდგით 1980 წელს. სხვათა შორის, ეს კონსტრუქცია დღეს დგას რუსთავის საბავშვო თეატრში. ეს ჩვენი კონსტრუქციაა, რომელიც ჟიული შარტავას ვაჩუქე რუსთავისთვის. გავხსენით თეატრი და დავიწყეთ სპექტაკლების თამაში. საინტერესო სპექტაკლი გვქონდა „მწუხარე სახის რაინდი“ სერვანტესის მიხედვით, შემდეგ ავთო ვარსიმაშვილმაც დადგა იქ სპექტაკლი „ბალადა დონ ჟუანზე“. მოკლედ, ამოქმედდა ეს ყველაფერი ძალიან კარგად და საინტერესოდ, მაგრამ უცბად ერთ-ერთ პარტიულ მუშაკს გაუჩნდა იდეა, რომ იქ, შუა ქალაქში, რევოლუციური ტიპის სასაფლაო გაეკეთებინა ანუ მემორიალი და მთელი იმ ნაწილის ბაღის რეკონსტრუქცია მოხდა. ახლა იქ დგას ქვის მონუმენტი. ამ იდეას რა დაუდგებოდა კომუნისტურ პერიოდში, აგვაღებინეს ეს ჩვენი კონსტრუქცია და ეს ამბავი მივიწყებულ იქნა. შემდეგ როცა ჩვენ უკვე დედა ეკლესიას დავუბრუნდით დიდი სიხარულით და აღმაფრენით, მოგვცეს ტერიტორია, სადაც ახლა სამეფო უბნის თეატრია, ამას დაემთხვა სპიტაკის მიწისძვრა, ჩამოინგრა ყველაფერი და შიგ შესვლა აღარ შეიძლებოდა. დაგვპირდნენ რემონტს, მაგრამ მერე აირდაირია ქვეყნიერება და მერაბ თავაძის დიდი დამსახურება და ძალისხმევაა, რომ შეინარჩუნა თეატრის შენობა, მაგრამ ჩვენ მაინც შენობის გარეშე დავრჩით. თეატრს რომ ცხოვრება გაეგრძელებინა, პრაქტიკულად სახლი დავუთმე. „ძველ სახლში“ გაჩნდა იდეა კვლავ იმ ადგილზე, ალექსანდრეს ბაღში დაბრუნებისა. ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად დავიწყეთ ამაზე მუშაობა უკვე სხვა საფუძვლით და ამას ერქვა „გლობუსი“. მე დავარქვი ეს სახელი იმიტომ, რომ გლობუსი ერთგვარად აღორძინების სიმბოლოა. მთელი კონსტრუქცია, მაყურებელთან მუშაობა, ფიცარნაგი, მათი სარბიელი, ყველაფერი ეს არის ვიტროვიუსის ანტიკური გეგმით, ოღონდ პატარა მასშტაბით, წრეში ჩახატული მრავალკუთხედით და ა.შ. დავიწყეთ „გლობუსში“ მუშაობა. პირველი სპექტაკლი იყო „თეატრის მოტაცება“ შექსპირის ბიოგრაფიიდან. სხვათა შორის, მეორდება მისი ბიოგრაფიის ნაწილი და რატომ. ცნობილი ფაქტია, რომ გასხვისდა შექსპირის მიწის ნაკვეთი, სადაც თეატრი იდგა. მაგრამ თვითონ ნაგებობა ეკუთვნოდა ბერბეჯების კომპანიას. მიწის მეპატრონე არ უშვებდა ამ მიწაზე ბერბეჯების კომპანიას, მაგრამ ხელს ვერ ახლებდა ნაგებობას. იმიტომ რომ ნაგებობა ბერბეჯებს ეკუთვნოდათ. ერთ მშვენიერ ღამეს შექსპირის იდეით გადაიპარა თეატრი, დაშალა ეს ხის კონსტრუქცია, ძალიან კარგი დურგალი ჰყავდათ - სმიტი, დააწყვეს ორთვალეზე და გადაიტანეს უკვე ნაყიდ მიწაზე, ტემზის მეორე მხარეს ბანკსაიტში და იქ ააშენეს „გლობუსი“, რომელიც თქვენ იცით.

დავიწყეთ იქ მუშაობა, 2004 წელს გავხსენით. პრაქტიკულად ყველაფერი ეს დაიდგა სადადგმო ხარჯით. კაპიტალური მშენებლობა არ იყო ჩასმული გეგმაში და როგორც დეკორაცია, ასე კეთდებოდა მთელი ეს ნაგებობა, ჩვენი საკუთარი ხელებით პრაქტიკულად, მუშა არც გვყოლია. იქ თეატრი ფუნქციონირებდა. ხუთი სპექტაკლი დაიდგა. ორი მე დავდგი, დანარჩენი დადგეს და ნელ-ნელა მაყურებელმა დაიწყო სვლა, გაიყვანა ბილიკი. 2007 წელს ცნობილი კონკურსები რომ გამოცხადდა მმართველებზე, მე ამის აფიშირება არ მინდა, მაგრამ მე იმთავითვე არ ვიყავი ნაციონალური მოძრაობის მომხრე და პირიქით, სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი და მოხდა ისე, რომ მე პრაქტიკულად გამიშვეს თეატრიდან.

- იმ დროს ეს იყო მუნიციპალური თეატრი?

- დიახ, მუნიციპალური თეატრი იყო. ახლა მე არ ვთვლი, ჩემი რა დაიხარჯა, არავის არ ვაყვედრი აბსოლუტურად არაფერს.

- და ახლა?

- მოვედით დღევანდელ დღემდე. ამ განვლილი 7 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არაფერი არ გაკეთდა. ეს შესანიშნავი სივრცე, რომელიც შესანიშნავი იყო არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი კოლეგების შეფასებით, ახალგაზრდებისაც, ძველგაზრდებისაც, უცხოელების... გახსნის მეორე დღეს დათო საყვარელიძე ბაქოში წავიდა და ბაქოდან მომწერა ფაქსი, თქვენ არ იცით, რა გააკეთეთ, რა შესანიშნავია ეს ყველაფერიო. მოკლედ, ამ 7 წლის განმავლობაში ეს შესანიშნავი თეატრალური სივრცე და ის იდეა, რომ თეატრალური ქალაქივით ყოფილიყო. გარშემო უნდა ყოფილიყო საგამოფენო დარბაზები, ეს იდეაც დაიღუპა და დღეს იავარყოფილია აბსოლუტურად თავიდან ბოლომდე. ქაღალდზე როგორც იურიდიული პირი თეატრი „გლობუსი“ დარჩა. მისი ნაგებობა სრულად იქნა იავარყოფილი. ამას დაემთხვა ის, რომ ის შენობა, გაიყიდა მელიქ კაზარიანცის სახლი, სადაც პანტომიმის თეატრის სივრცეა განთავსებული, გაიყიდა მელიქ კაზარიანცის სახლი და პანტომიმის თეატრიც ქუჩაში აღმოჩნდა. მე არ ვიცი რატომ მოხდა ეს. პანტომიმის თეატრს მისცეს ეს ტერიტორია შენობის ასაშენებლად. მე არავითარი პრეტენზია არ მაქვს. პირიქით, ვცდილობ, რომ პანტომიმამ დაიდოს იქ ბინა, მაგრამ ქაღალდზე დარჩენილი „გლობუსი“, მერიის კულტურის სამსახურის და ჩემი ერთობლივი ძალისხმევით, კვლავ აღდგა და უნდა აღდგეს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული თანხა. ახლა რაღაც იმედი გაჩნდა, რომ აღდგება რეპერტუარი ჩემი და იმ ჯგუფის აქტიური მონაწილეობით, რომელიც ჩემთან იყო თეატრალურ ინსტიტუტში და ერთი-ორი სპექტაკლი შეიძლება წამოვიღოთ. ჩემი დაჟინებული თხოვნით, ახლა უკვე კონკურსი უნდა გავიარო სამხატვრო ხელმძღვანელზე, თუ ვინმე კონკურენტი იქნა კი ბატონო. მისი უფლებაა და იმ კომისიის, რომელიც განიხილავს კანდიდატურებს. თუ მოხდა ისე, რომ დავბრუნდი ეს ალბათ მოხდება ინტერვიუს გაფორმებამდე. ახლა დგას შენობის საკითხი. გვაქვს ეს შენობა, რასაც ჰქვია მსახიობის სახლი, რომელიც პრაქტიკულად ძალიან მძიმე დღეშია და ცოტათი ფუნქციადაკარგულიც. იმიტომ რომ არც სახსრები გვაქვს, ის დრო წავიდა, როდესაც საწარმოები გვქონდა, აღარ არის ეს ყველაფერი. ძალიან ძნელია თანხის მოზიდვა. საშინელ დღეშია ეს შენობა და მსახიობის სახლიც. „ქართუ“ ფონდი გვპირდება, რომ კაპიტალურ რემონტს გააკეთებს და ჰაიკლასის დარბაზი იქნება, მაგრამ ამ დარბაზის შენახვა მაინც ძალიან მძიმე საქმე იქნება. რაც უფრო კარგია დარბაზი, მით უფრო ძვირი შესანახია, თავისი აპარატურით, კაპელდინერით. და რადგანაც „გლობუსს“ ჯერჯერობით ამ სახელწოდებით აქვს მუნიციპალური დაფინანსება და ახალი კანონი თეატრის შესახებ უშვებს რეპერტუარულ თეატრს ანუ თეატრს აქვს რეპერტუარი და არა აქვს შენობა, გამოვნახეთ ასეთი გზა, რომ ეს ერთმანეთს მიებას ანუ რეპერტუარული თეატრი დაიქირავებს ამ შენობას და იმოქმედებს აქ. ეს ამ შენობასაც შეინახავს, ნელ-ნელა და ფინანსირება გაიზრდება და ის სცენის მემანქანე, ის გამნათებელი, დამლაგებელი ხომ ჩვენ უნდა შევინახოთ, კომუნალური გადასახადები ხომ ჩვენი ბიუჯეტიდან იქნება გადასახდელი. ბუნებრივია, ეს აცოცხლებს ამ დარბაზს. გარდა ამისა, შექმნის პირობებს, დარბაზში უამრავი რამ ჩატარდეს: მსახიობების საღამოები, რეგიონალური თეატრების სპექტაკლები. შედარებით უფრო შეღავათიან პირობებში. ჩემი აზრით, სწორი მიბმაა, რომელიც პერსპექტივას უქმნის ერთ დაწესებულებასაც და მეორესაც. და ასეთი ურთიერთობა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის ალბათ ნაყოფიერი უნდა იყოს. რაც შეეხება ძალიან საინტერესო თეატრალურ სივრცეს, კონსტრუქცია არის მაინც „გლობუსის“ სახით, ის, ვინც უნდა აუშენოს იქ პანტომიმის შენობა, იმან უნდა დამიშალოს კონსტრუქცია. ჩემს მეტი იმას ვერავინ დაშლის იმიტომ, რომ დაემხობა თავზე ვიღაცას და მოკვდება. რომელ ჭანჭიკს რა უჭირავს, ეს მხოლოდ მე ვიცი. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ამ ბაღში ავაწყოთ. სივრცობრივად ეტევა, არც ერთი ხე არ მოიჭრება. სარეაკრიაციო ზონა დარჩება, ეს ჩვენი ტერიტორიაა. ეს ბაღი და ეს განსხვავებული, ძალიან საინტერესო თეატრალური სივრცეც შენარჩუნდება. აი ასეთი ოცნებები არის და რამ უნდა შეგვიშალოს ხელი?! მე მთელი ცხოვრება სულ ვოცნებობ, რაღაც დონემდე მივიყვან ოცნების ასრულებას და მერე ისევ თავიდან იწყება.

- არსებობს თუ არა სპონსორობის კულტურა საქართველოში?

- სპონსორობის კულტურა საქართველოში რაღაცა სახით, რაღაცა დოზით არსებობს, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ არის მოყვანილი კანონში, სისტემაში. აქაც უმეცრებისგან, ან ჩაუხედავობისგან ბევრი რამე ისე არ კეთდება, როგორც უნდა გაკეთდეს. ღმერთმა გაუმარჯოს, პირად კონტაქტებს. ღმერთმა თქვენ ფული მოგცეთ. მე მოვიდე თქვენთან და გთხოვოთ, ლაშა, მოდი, დამიფინანსე სპექტაკლი. და მაძლევ რაღაცა თანხას. მაგრამ ეს არ არის სისტემა. ეს არ არის ის წყობილი გზა, რომელიც უნდა პრიორიტეტად და საფუძვლად იქცეს. ცნობილი ფონდები ვთქვათ, როკფელერის ფონდი, ისინი კი არ აფინანსებენ, იშვიათად აფინანსებენ ღონისძიებას იქ იქმნება ფონდი, შემდეგ ამ ფონდიდან საბჭო თუ სახელმწიფო ორგანოები ანაწილებენ ამ ფულს პრიორიტეტების მიხედვით. იდეალური კულტურის სამინისტრო და იდეალური ფონდი რომ წარმოვიდგინოთ, რომელიც ყველაფრის აზრზეა და უნდათ, რომ ხელოვნებაში ჩადონ ფული. აი მათ ჩადონ ფული ამ ფონდში და შემდეგ კულტურის სამინისტრო ან მასთან არსებულმა, ან ერთობლივმა, სერიოზულმა ძალიან მცოდნე ადამიანებისგან შემდგარმა საბჭომ გაანაწილოს ეს პრიორიტეტები. ისე კი არ იყოს, რომ მე ჩემი პირადი კონტაქტებით ვიშოვო ეს ფული. არა, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე განხილულ იქნას, რომ აი ახლა უჭირს ზუგდიდის თეატრს, ბოდიში თქვენთან სულყველასთან, რეჟისორებო, მაგრამ ზუგდიდის თეატრი უნდა გადავარჩინო. და აი ამ ფონდში დაგროვილი თანხა სასწრაფოდ გაიგზავნება ზუგდიდის თეატრში. თუ არის ასეთი ექსტრემალური სიტუაცია, მოდი, დაეხმარე ახალგაზრდა რეჟისორს, ძალიან

საინტერესოდ აზროვნებს. მოდი, დავუძახოთ მას, მივცეთ ფული და ვუთხრათ, რომელ თეატრშიც გინდა, აი 10 000, დადგი შენ ეს სპექტაკლი. ან გამოჩნდა ფიროსმანი, ღმერთმა ქნას. ანუ ეს უნდა იყოს არა პირადი სიმპათიების თუ ანტიპათიების დონეზე, თუმცა, ესეც ასე ვთქვათ, საქმეა. ეს უნდა იყოს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დონეზე. და განსაკუთრებით საქართველოში. საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ორი რამ: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მსუბუქი მრეწველობა და კულტურა. რაც არ უნდა გვიჩხიკინოს, ვინც არ უნდა გვიჩხიკინოს ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, დასავლეთიდან, თუ ძლიერი კულტურა გვექნა, ვერ მოგვერევა. შეიძლება მჭადის ერთი ნაჭერი წაგვართვას დროებით, მაგრამ იმ მჭადში თუ კულტურა დევს, ის მაინც დაბრუნდება იმ თავის დედასთან. პრიორიტეტი დღეს კულტურა უნდა იყოს, რამაც გადაგვარჩინა. ისტორიულად ჩვენ კულტურამ გვიხსნა.

– რამდენად საკმარისი იქნება თეატრ „გლობუსისთვის“ გამოყოფილი თანხები შემოქმედებითი პროცესის სვლისთვის?

- გმადლობთ, ამ საინტერესო შეკითხვისთვის. საყვედურს ვერ ვიტყვი, მაგრამ წელს გამოყოფილი თანხა ძალიან ცოტაა. ეს არის 150000 ლარი. ხომ გახსოვთ, ნიკოს რომ აგზავნის დედინაცვალი - ეს მჭადის ნაჭრები შენც ჭამე და ნიკორასაც აჭამეო, გამვლელ-გამომვლელსაც აჭამე და კიდევ მოიტანეო. ასეთ დღეში ვარ მე ახლა. ეს თანხა ძალიან ცოტაა, მაგრამ ალბათ გამოცდილება, ცოტათი გაცნობიერება მენეჯმენტის და ეკონომიკის საკითხებში განმაწყობს ოპტიმისტურად. ამ თანხას მოვიხმართ როგორც დიდ და არა როგორც მცირე თანხას. ვფიქრობ, რომ ამ თანხის ძალიან დიდ ნაწილს დავხარჯავ წლის პირველ ნახევარში. ამ შემთხვევაში ჩემ თავთან დავდე მკაცრი ხელშეკრულება - უნდა დავაკომპლექტო შემოქმედებითი ჯგუფი ერთ პროექტზე, ძირითადზე, როგორც ამ პროექტის შვილობილი, ორ-სამ კაციანი ჯგუფები შეიძლება იყოს. მაგრამ ერთი მთავარი პროექტი, რომელშიც მე ვფიქრობ დარჩეს სცენაზე 20 ახალგაზრდა მსახიობი, სრულიად თავისუფალი, აქტიური, რომ თავიანთი დრო მოიტანონ სცენაზე. უკვე ვიცი, რას გავაკეთებ, მიდის ამაზე მუშაობა და ამ სპექტაკლმა მოიყვანოს ხალხი თეატრში, რომ ეს იყოს ე.წ. საკასო სპექტაკლიც და ამავე დროს, არ დავთმო ის პრინციპები, რომელიც მაქვს - ესთეტიკური, მხატვრული, რომ ეს უბრალო საკასო სპექტაკლი არ იყოს. უბრალო საკასო სპექტაკლის გაკეთებას არაფერი არ უნდა. ძალიან ადვილია. მაგრამ ის, რომ ასე ვთქვათ, შენ შენი მსოფლმხედველობას, შენს მხატვრულ ფილოსოფიას, შენს კრედოს არ უღალატო და ამავე დროს, საკასოც გააკეთო, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. ამ შემთხვევაში პირველად უნდა საკასოსკენ გადავიხარო, ანუ „ჩემ ოფოფებს“ თავი უნდა დავანებო, მაგრამ მთლიან კომპრომისზე ვერ წავალ. თუ ეს ვერ გავაკეთე, მაშინ მე ჩემ თავს ეგრევე ვეუბნები - დაიხურე ქუდი და წადი. თუ ნათელი ამოცანა და მიზანი გაქვს, რომელიც უნდა გადაწყვიტო და პროფესიონალიზმის პრეტენზია გაქვს, უნდა მიაღწიო.

– როგორი იქნება მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

- თბილისი უცნაური ქალაქია. ტელევიზიით სპექტაკლის რეკლამა არ იმუშავებს, თუ გაფუჭებულმა ტელეფონმა არ იმუშავა. თუმცა, სათანადო ინფორმაციით. ანუ თბილისს რეკლამა კი არა, უფრო ინფორმაცია სჭირდება.

– და როგორ აპირებთ, რომ ეს ინფორმაცია გავიდეს? ანუ გამოიყენებთ პრესას, ტელევიზიას, სოციალურ ქსელს, ინტერნეტს?

- რა თქმა უნდა. თუმცაღა, სოციალური ქსელი ფეისბუქი ნერვებს მიშლის. იმიტომ, რომ ეს გახდა ნარცისიზმის, თვითრეკლამის დიდი მინდორი.

– თქვენც ხომ ხართ მომხმარებელი?

- მხოლოდ კომენტარს თუ გავაკეთებ. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, რა დონეზეა ჩვენი საზოგადოება. ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივიდეს, მაგრამ აი ეს მაინტერესებს, რაზე ფიქრობს. მე მსჯავრს არ ვდებ.

– თუ აპირებთ ამ იარაღის გამოყენებას მაყურებლის თვალსაზრისით?

- რა თქმა უნდა, ინფორმაციის თვალსაზრისით. და არა იმითი, რომ მე დავდგი ეპოქის სპექტაკლი და გთხოვთ, მოხვიდეთ ნახოთ. არა. ანუ ინფორმაცია და არა თვითრეკლამა. ჩემ წინაშე რა ამოცანაცაა, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია და გრანდიოზული, მაგრამ არ მინდა მაყურებელს და საზოგადოებას გრანდიოზულობის შთაბეჭდილება შევუქმნა. მოდით, ჯერ დავდგამ სპექტაკლს და გაჩვენებთ, მერე ახალგაზრდების რაღაცა ჯგუფს ვაჩვენებ, მერე კიდევ ვიღაცას და თუ ფასეული და ღირებული იქნა, ის დაიკავებს თავის ადგილს. და თუ არ იქნა, ძალით ამას ვერ გავაკეთებ. ამიტომ სიდინჯით მინდა, რომ ქარის მოტანილი ქარმა კი არ წაიღოს, არამედ ეს დინჯად, წყნარად დადგეს ფეხზე.

– პრობლემების წინაშე დგას ახლა „გლობუსი“, - შენობა არა აქვს, მაგრამ დაიწყება თეატრის ახალი ცხოვრება. ანუ ეს პატარა ბიუჯეტი მუნიციპალიტეტმა გამოყო თეატრისთვის, რომ დაიწყოს არსებობა და რა არის შემდგომი ეტაპის პრობლემა, რის დაძლევასაც თქვენ ეცდებით?

- ვფიქრობ, რომ არსებობს ორი ძირითადი გზა. თეატრისთვის ერთი არის მუდმივი დასი, თანამოაზრეთა კოლექტივი. მეორე არის, ასე ვთქვათ, ცალკეულ სპექტაკლებზე სადადგმო ჯგუფების შეკრება. მე წარმომადგენელი ვარ რეპერტუარული თეატრის ფილოსოფიისა. თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნის იმიტომ, რომ ნამდვილი, დიდი თეატრები ასე იქმნებოდა და ასე იქმნება. აი შემდგომი ეტაპი იქნება ამის ჩამოყალიბება. ანუ ჯერჯერობით, სპექტაკლზე იქნება ჯგუფი. ამ ჯგუფიდან, ვინც მოხვდება იმ ესთეტიკაში, რომელსაც მე ვფიქრობ, ისინი იქნებიან მუდმივი დასის კანდიდატები. მეორე პროექტიდან - ორი კანდიდატი, მესამედან - ორი ან სამი კაცი მოხვდება და პირველი ორი წლის განმავლობაში მოვანდომებ დასის ჩამოყალიბების პროცესს. ანუ იქნება სადადგმო პროექტები, აირჩევა ამ პროექტებით

პოტენციური თანამოაზრეები, რომლებიც საბოლოო ჯამში უკვე იმ თეატრს შექმნიან, თუ დამცალდა, რომელიც მეზმანება.

- თუ აპირებთ ამ კუთხით მუშაობას, რომ სპონსორები მოიზიდოთ, დამატებითი თანხები მოიძიოთ იმავე სახელმწიფო სტრუქტურებიდან ან რაღაცა ფონდებით, ან სპონსორებს შესთავაზოთ თუნდაც პროექტზე ურთიერთობა?

- რა თქმა უნდა. ამისთვის საქმეს სჭირდება, პირველ რიგში, დირექტორი. კანონში რომ ცვლილებები შევიდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ უარყო დირექტორის თანამდებობა. ეს სხვა რამეა. ეს თეატრია მაინც. რამდენიმე კანდიდატურა მყავს, მათ შორის ერთი ძალიან საინტერესო, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული რამდენიმე წლის წინ, შემდეგ ლონდონში მიიღო პროექტებში მონაწილეობა, მენეჯმენტს ეზიარა. ასეთი ჯგუფის შექმნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, საჭიროა დამატებითი თანხების და სპონსორების მოძიება. თუმცაღა, თეატრი მაინც სახელმწიფო ზრუნვის ობიექტია. იმიტომ, რომ იმ სახელმწიფო ბიუჯეტში ხდება გადამხდელთა თანხის აკუმულირება. თეატრი უცნაური მექანიზმია თავის, ინფრასტრუქტურით. ამა თუ იმ სახით ყოველთვის სახელმწიფოს პატრონაჟში იყო. ყვირიან ამაზე, ვინც არ იცის თეატრის ისტორია. თორემ თუ ავიღებთ იდეალურ დროს, შექსპირის დროსაც 30 თეატრი მოქმედებდა ლონდონში შუა საუკუნეებში. იქ იყო ლორდ კამერგერის თეატრი, ლორდ ადმირალის თეატრი ანუ ის სახელმწიფო იყო, სახელმწიფო აფინანსებდა მათ. იმ მაყურებლით, რომელიც ხახვისა და იაფი სუნით ყარდა, ის თავს ვერ შეინახავდა. ასევე თუ გადავხედავთ ანტიკურ თეატრს, რა ჰონორარებს იღებდნენ ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, ისინი ხომ, ასე ვთქვათ, თეატრის მენეჯერებიც იყვნენ. დიონისეებზე შეჯიბრებების დროს ისინი ყველაფერს აკეთებდნენ. უზარმაზარ თანხებს იღებდნენ. ვერც კი გადაიყვან დღევანდელ დოლარებში. მოლიერი მეფის დაქვემდებარების ქვეშ იყო და რა ექნა. გარეგნულად აბსოლუტურად მონარქისტი იყო. ყველა მის პიესაში ბოლოში შემოდიან ჯარისკაცები და ამყარებენ წესრიგს ლუდოვიკოს კარზე, მაგრამ თავისი სულით ობიექტურად სასტიკად წინააღმდეგი იყო მონარქიის. მაგრამ ხომ იყო მისი დაფინანსების ქვეშ. ასე რომ ამის უამრავი მაგალითია. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესოდ მუშაობს მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი. ძალიან გონივრულად, დიდი გულისყურით და ხელგაშლილად უდგას მხარში თეატრალურ წამოწყებებს.

- თუ გეგმავს თეატრი „გლობუსი“ საერთაშორისო მიმართულებით მუშაობას?

- ეს ცოტა მოდური გახდა. საზღვარგარეთთან მუშაობა ძალიან კარგია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საკუთარ ქვაბში მოიხარშოს თეატრი, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ მთავარი საქმე აქ, საქართველოში გვაქვს.

- როგორ წარმოგიდგენიათ „გლობუსის“ თეატრის რეპერტუარი? ანუ რა კონცეფციაზე იქნება დაფუძნებული და რა ჟანრობრივი მრავალფეროვნება იქნება თეატრში?

- ეს ძალიან რთული საკითხია. ჩემი აზრით, რა სტილისტიკაშიც არ უნდა შევიდეს თეატრი, რა ფორმებსაც არ უნდა შეეჭიდოს, დრამატურგია იყო და იქნება თეატრის საფუძველი.

- სხვათა შორის არავერბალურ თეატრშიც კი, სიტყვა დაბრუნდა.

- აგაშენათ ღმერთმა. მახსოვს პირველად 1975 წელს ვიყავით ვროცლავის თეატრალურ ფესტივალზე და მაშინაც იგივე ტენდენციები იყო. ახალი კი არაფერი არ არის. ბევრი იყო მოძრაობა, ეს ყოველთვის არის, მაგრამ დრამატურგია არის საფუძველი თეატრისა. რა სტილისტიკით, რა დოზით, რა მხატვრული ხერხებით - ეს სხვა საკითხია. მით უმეტეს, ჩვენთვის, ქართული თეატრისთვის ეს ძალიან სერიოზული სიღრმეა. იმიტომ, რომ ქართულ ენას დღეს საოცარი სიცოცხლე სჭირდება. ჩვენგან დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი მიზეზების გამო ირყვნება ენა და ცოტათი სხვა განზომილებაში შევდივართ. მთელი ჩემი ცხოვრება ვუყურებ ამ საუნჯეს, ქართულ შრიფტს და ყოველთვის ვერ ვმალავ აღტაცებას მისი უნიკალურობის გამო. ჩვენ ხომ როგორც ვამბობთ, ისე ვწერთ. როგორც ვწერთ ისე ვამბობთ. ზედმეტი ბგერა, ზედმეტი ასო-ნიშანი არა გვაქვს. რაღაცეები გვქონდა ზედმეტი, მაგრამ ილიას რეფორმამ ამოყარა ყველაფერი ზედმეტი და ასეთი დახვეწილი ენა თითქმის არ არსებობს. ამ გლობალიზაციის პერიოდში ამ ენას ძალიან სიფაქიზით სჭირდება მოპყრობა და აი ამის ერთ-ერთი ციტადელი დრამატურგია და თეატრი უნდა იყოს. საინტერესო პროცესები მიდის დღეს დრამატურგიაში. ღმერთმა ქნას, რომ ეს, ასე ვთქვათ, შარაზე გავიდეს.

- ანუ თქვენ აპირებთ კლასიკურ დრამატურგიაზე ორიენტირებულ უცხოურ თუ თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე ააგოთ თეატრის რეპერტუარი?

- თანამედროვე ტენდენციები უნდა იყოს. მაგრამ მე ვამბობ, რომ სწორედ თეატრის ენამ უნდა გადახარშოს ეს ყველაფერი. მაგალითად, გენიალური მოთხრობა არის სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“. ინგლისურად რომ წაიკითხოთ, ის მთლიანად სლენგზეა აგებული. დღეს ხომ ძალიან მოდებულია სლენგი ქართულში და როგორ უნდა მოერგოს ეს ქართულს. სცენაზე როცა ხასიათს ქმნი, იქ სლენგი შეიძლება აუცილებელიც იყოს, დიალექტიც აუცილებელი იყოს, მაგრამ როცა ის ხასიათში ზის, ის სხვა რამეა. ასე რომ ძალიან ბევრი ოცნება მაქვს ამ თვალსაზრისით, თუ მოვასწარი დროში. იმიტომ რომ ძალიან ბევრი თემაა ქართულ ისტორიაში, ძალიან ბევრი თემაა თანამედროვე ქართულ ცხოვრებაში, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში დღეს, საბჭოთა პერიოდში სიმართლე ხომ არ ითქმებოდა. სიმართლეს სცენაზე ან ეკრანზე თუ იტყოდი, ისიც დახურული ფორმით. ეს ცენზურა მთლად ცუდი კი არ იყო, იმიტომ რომ გაიძულებდა, მხატვრულად დაგეფარა, რომ ის ამოსაცნობი ყოფილიყო მხატვრულ ფორმაში. დღეს გაზეთში და ტელეეკრანზე ისეთი ამბები ისმის, რომ ყოველდღიური აქტუალობა დაკარგულია და ეს კარგიც არის. სოციალურმა თემებმა დღეს საზღვარგარეთის დრამატურგიაშიც დაკარგეს ფასი და იუჯინ ო’ ნილის

და თუნდაც მილერის დრამატურგია სხვა გრადაციაში გადაიზარდა. რაღაც მედიტაციის გზით მიდის დრამატურგია. ამის საზოგადოებრივი პრობლემის და მასშტაბის დონეზე აყვანა ძალიან ძნელია.

- და როგორი იქნება დასი. ეს იქნება ახალგაზრდული თუ მოგიწევთ მოწვევა?

- მხოლოდ ახალგაზრდები. ანუ სტილისტიკაც იქნება სტუდიური. აუცილებელი არ არის წვერი და ულვაში დაიკრა და იმიტაცია გააკეთო, რომ ოსტეოხონდროზი გჭირს. მთავარია, შენი გმირის შინაგანი ლოგიკა ამოიცნო და თუ შენ მოხუცის ლოგიკა ამოიცანი, შენ მოხუცი იქნები სცენაზე. ძალიან წინ წავიდა ტექნოლოგია. არ შეიძლება წინააღმდეგი იყო ტექნოლოგიის, მაგრამ მხოლოდ ტექნოლოგიის გამოყენების გულისთვის ის არ უნდა გამოიყენო. ეს უნდა იყოს მხატვრული აუცილებლობა. თორემ მულენ რუჟში ნიაგარას ჩანჩქერს დაგასხამენ თავზე. ამას თუ აყევი, მოქმედი მსახიობი დაგეკარგება. სცენა ხომ მოქმედი მსახიობია. გენიალური ქარის ბორბალი იყო თეატრში, დაატრიალებდი და ისეთი ქარი გამოდიოდა თეატრში ან iსეთი დახრილი სიბრტყეები იყო, შიგნით ლობიო ეყარა, გადმოატრიალებდი და ამ დახრილ სიბრტყეებზე წამოვიდოდა ეს ლობიოს მარცვალი და ისეთი წვიმა იყო სახურავზე, რომ ფანტასტიკური. აი ასეთი სტილისტიკა უფრო მომწონს მე დღეს. და ლოპე დე ვეგას დავესესხები, როგორც ყოველთვის - „ჩემთვის თეატრი არის ერთი სიუჟეტი, ორი მსახიობი და სამი ფიცარი“.

თეატრი „ფაბრიკა"

2013 წელს თბილისში კიდევ ერთი ახალი თეატრალური სივრცე შეიქმნა, რომლის მესვეურადაც "სტურუა პროდაქშენი" მოგვევლინა. თეატრი განთავსებულია ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში. სივრცეში, რომელიც სპექტაკლების გამართვის გარდა სხვა ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობასაც იძლევა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა ფონდმა "ქართუ". რობერტ სტურუას გაუჩნდა ახალი არენა მომავალში ახალი შემოქმედებითი ექსპერიმენტებისთვის. თეატრმა პირველი წარმატებული პრემიერა "მარია კალასი - გაკვეთილი" შესთავაზა მაყურებელს, სპექტაკლს ფართოდ გამოეხმაურა პრესა. სტურუას ახალ დადგმაში მისი შემოქმედების ახალი ფორმები და ხედვა გამოიკვეთა.

საუბარი „თეატრი ფაბრიკას" მენეჯერთან გია თევზაძესთან

- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სასპონსორო კულტურა საქართველოში?

- ვფიქრობ, რომ არ არსებობს. ეს არის ერთეულების მიერ პერსონალური და პირადი გადაწყვეტილებები. ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩვენთან კანონმდებლობა არ არსებობს სპონსორობის შესახებ. თუ ეს კანონი იქნება მიღებული, ვფიქრობ, რომ საკმაოდ გაიზრდება სპონსორების წილი იმ საქმეში, რასაც საერთოდ ქველმოქმედება ჰქვია.

- გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სასპონსორო შეთავაზებები?

- პრინციპში კი, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა არის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გინდა, რომ გააკეთო.

- რომელ საერთაშორისო ან ადგილობრივ კომპანიებთან თანამშრომლობთ?

- საერთაშორისო კომპანიას ვერ დავასახელებ, იმიტომ რომ არ გვქონია ეს პრაქტიკა. კონკრეტულად ამ შემთხვევაში „სტურუა ფროდაქშენი" მაქვს მხედველობაში და ადგილობრივი ერთადერთი კომპანია, ეს არის „ქართუ ჯგუფი", რომელთანაც გვაქვს ურთიერთობა. პრინციპში იქიდან დაიწყო ის ნაბიჯები, რასაც „სტურუა ფროდაქშენი" და „თეატრი ფაბრიკა" ჰქვია.

- 2013 წელს გაიხსენით, რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან თუ გითანამშრომლიათ კონკრეტული პროექტის ფარგლებში?

- კონკრეტული პროექტი არ ყოფილა. 2012 წელს დავიწყეთ პროექტზე „მარია კალასი" მუშაობა და „ქართუ ჯგუფმა" დააფინანსა.

- განიხილავთ თუ არა „თეატრ ფაბრიკას" სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?

- ვერ განვიხილავ, იმიტომ რომ „თეატრი ფაბრიკა" არ არის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული. ეს არის კერძო საკუთრება. ალბათ, კიდევ რომ მოგვინდეს პროექტის გაკეთება, ისევ და ისევ უნდა მივმართოთ იმ ჯგუფს, რომელმაც პრინციპში ეს ორგანო, ასე რომ ვთქვათ, აიპი „სტურუა ფროდაქშენი" და „თეატრი ფაბრიკა" შექმნა.

- ანუ თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ სხვა სპონსორს მიმართოთ?

- უბრალოდ ჩვენ ვერ მივცემთ თავს ამის უფლებას.

- რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა - კომპანიებთან ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობას თუ ფულის შოვნის საშუალებას?

- სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის ასეთი პრაქტიკა. აქ ძირითადად არის ერთჯერადი პარტნიორული ურთიერთობა, შემთხვევიდან შემთხვევამდე შეიძლება ვიღაცამ ხელი გაგიმართოს, მაგრამ 100-დან 99 უარს გეტყვის. რასაკვირველია, მრავალწლიანი ურთიერთობა უფრო მისაღები ფორმაა, ეს კომპანია იქნება, კერძო პირი, თუ, ასე ვთქვათ, სხვა, ვიდრე შემთხვევით რაღაცის ძიება.

- გქონიათ შემთხვევა თვითონ სპონსორის მხრიდან შემოთავაზებისა?

- ფაქტobrivad, არა.

- თუ გაქვთ პარტნიორების აქტიური მოძიების გეგმა. ანუ „თეატრ ფაბრიკის" შემთხვევაში, გასაგებია - არა, იმიტომ რომ ჯერჯერობით ეს არ არის სტრუქტურული ერთეული?

- ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, ვერაფერს გეტყვით.

- ამ შემთხვევაში თქვენ სახელმწიფოსაგან თანხა არ გაქვთ?

- არა.

- როგორ ფიქრობთ, რა გზებით უნდა მოხდეს დამატებითი თანხების მოძიება თეატრში?

- ეს გზა არის ერთადერთი, ან სახელმწიფომ უნდა დაგაფინანსოს ბიუჯეტიდან, ან გამოჩნდეს მეცენატი, რომელიც რაღაცას გაიღებს. სხვა არ არსებობს. შენით ვერაფერს ვერ გააკეთებ. კარგი პროდუქტიც რომ გქონდეს, იმდენად მწირია ბილეთებიდან შემოსავალი, რომ ვერაფერში ვერ გამოიყენებ. ვთქვათ, იჯარის საფასური რომ აიღო; რუსთაველის თეატრს შეუძლია ამის გაკეთება, დიდი სცენა აქვს. აქ, რომ გითხრათ, ძალიან დატვირთულია - არა. ზღვრული გადასახადი, რაც არსებობს, ყველას შეუძლია ამ თანხის გადახდა.

- რა პრობლემის წინაშე დგას ყველაზე მეტად თეატრი?

- ეს არის მატერიალური სახსრები, მეტი არაფერი.

- როგორია მაყურებლის სეგმენტი და ასაკობრივი ზღვარი?

- კონკრეტულად „თეატრ ფაბრიკის“ მაყურებელზე რომ ვილაპარაკო, ცოტა რთულია. თვეში ორ სპექტაკლს როცა თამაშობ, იმაზე რაღაცის აგება შეუძლებელია. შეიძლება თქვა, რომ ისევ და ისევ ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ბილეთის ყიდვა უმეტესობას არ უნდა. ცდილობს, რაღაცა გზებით მოხვდეს თეატრში. თუ ბილეთი გაიყიდა, ე. ი. ეს საინტერესოა. მე არ ვგულისხმობ გასტროლიორებს და ასე ვთქვათ, ექსტრაკლასის შემსრულებელი იქნება თუ სპექტაკლს, სადაც ქართველები უნდა გამოჩნდნენ პირველ რიგში, იმიტომ რომ უნდა გამოჩნდნენ. ხარისხზე იქ ლაპარაკი არ არის. „კავკასიურზე“, „რიჩარდზე“ ბილეთები თუ იყიდებოდა, იქ ზღვარი არ არსებობდა, მოდიოდა ყველა ასაკის მაყურებელი. დარბაზში რომ შეგეხედათ, დიდიც და პატარაც ერთ ჭკუაზე იყო. გამომდინარე იქიდან, რომ იქ სპექტაკლი იყო და კმაყოფილები იყვნენ ყველანი. მე ვთვლი, რომ გაყიდულ ბილეთზე მოსული მაყურებელი სხვა არის და შენ რომ იწვევ, ის სხვაა. როცა მომდის მოსაწვევი, 100%-დან 90%-ზე შეიძლება არ წავიდე. თუ მე თვითონ ვშოულობ ბილეთს და მივდივარ, მაშინ კმაყოფილი ვარ. რასაკვირველია, მოსაწვევსაც აქვს თავისი დადებითი მხარე, ფულს არაფერში არ იხდი. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არასწორი ფორმაა. თუ ჩვენ ამას დროზე მოვუვლით, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს თვითონ ცხოვრებაში, არა მარტო თეატრი მაქვს მხედველობაში, არამედ მთელი ის კულტურული არეალი, რომელიც დაკავშირებულია მაყურებელთა ბილეთიდან მიღებული შემოსავლით. როდესაც თეატრი დატვირთული იყო კვირის განმავლობაში, შაბათ-კვირას ხანდახან ორი სპექტაკლიც იყო, მაშინაც არ ჰქონდა თეატრს იმის შესაძლებლობა, რომ მატერიალური სარგებელი ენახა. და დღეს, როცა რამდენიმე დღე მუშაობ და რამდენიმე დღიდან, პროცენტულად რომ ავიღოთ, ფაქტობრივად 50% არ არის გაყიდული, რა აზრი აქვს ლაპარაკს. ისიც სასაცილო შემოსავალია; ანუ 50%-ზე მეტს მოსაწვევს გასცემ. ერთი ანშლაგი იყო სულ. რუსთაველის თეატრის ბიუჯეტი დღეს არის სამი მილიონი ლარი. აქედან ორი მილიონი დარიცხვით ხელფასებია. განათებას და გახმოვანებას, ამ ორ კომპონენტს, დოლარში სჭირდება მილიონ ოთხასი ათასი. საიდან უნდა მოიტანოს თეატრმა ეს ფული. უნდა გქონდეს ამისი ბაზა, რომ ეს შეძლო. არ არის ეს ბაზა. ამ თეატრს თავისი მოცულობით სამი სცენა აქვს, სამი დარბაზი. არ ჰყოფნის ის ხალხი, რომელიც დღეს მას ემსახურება. სამივე სცენა რომ დატვირთო ერთდროულად, არ ეყოფა. ორი სცენა იყო რუსთაველის თეატრში და 500 კაცი მუშაობდა. დღეს სამი სცენაა და 333 კაცია. დღეს მოგვცეს ასეთი დიდი დაფინანსება. ტერიტორიულად, ოპერის თეატრი და მარჯანიშვილის თეატრი ერთად აღებული არის რუსთაველის თეატრი. დაფინანსება გვაქვს ორივეზე ნაკლები. დაგვიმატეს სახელფასო ფონდი 420 ათასი, გადავანაწილეთ ეს ყველაფერი ხელფასზე. სხვა რამეს ვერ გააკეთებ. დანარჩენზე რატომ არ ფიქრობენ. თუ რუსთაველის თეატრი პრიორიტეტია, როგორც საგანძური, ხომ უნდა იყოს რაღაც განსხვავება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეა ეს. 2004 წელს შეძენილი ტექნიკა გვაქვს, რომელმაც უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ამ დროს, როცა ამ საკითხს ვაყენებთ, კულტურის სამინისტროს შეუძლია 8 მილიონი დაკარგოს. პასუხს ვერ მოგცემენ, მაგრამ რამეს რომ სთხოვ უარს გეტყვიან.

- თქვენი თეატრის მარკეტინგულად ყველაზე წარმატებული პროექტი?

- თეატრ ფაბრიკაში „მარია კალასი“. ამ სპექტაკლზე ძალიან დიდი მოთხოვნაა და უამრავი მოწვევა გვაქვს. უბრალოდ, ბატონი რობერტის გარეშე წასვლის სურვილი არ გვაქვს. არაჩვეულებრივი ნამუშევარია როგორც რეჟისორულად, ისე სამსახიობო ანსამბლით.

- როგორია თქვენს თეატრში მაყურებლის მოზიდვის პოლიტიკა?

- ყველა თეატრში ერთი და იგივე პრობლემაა. სამწუხაროდ, რეკლამა არ მუშაობს. თუ სპექტაკლი შემდგარია, მაყურებელს მოზიდვა არ უნდა. ვერავინ ვერ დამაჯერებს იმაში, რომ ვიღაცა მიდის სპექტაკლზე იმიტომ, რომ რეკლამაა სადმე ან აფიშა. არ არსებობს.

თეატრების რეიტინგი







გასტროლების აქტივობა ქვეყნის შიგნით



სარეპერტუარო სპექტაკლების შკალა



მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის საერთო შედეგები
სოციოლოგიური კვლევის ოფიცრების შეფასებები

მარიამ ცხოვრებაშვილი

მკვლევარის შთაბეჭდლებები

რთულია მკვლევარის საქმე, მით უფრო, თუ კვლევა თეატრს ეხება და თეატრალი საზოგადოების აზრის შეტყობა გსურს. ქართველი თეატრის მოყვარულები ძირითადად პრეტენზიულები და ამპარტავნები არიან. უმეტესობა მათგანს მიაჩნია, რომ მაღალგანვითარებული კულტურული არსებაა და სწორედ ამიტომ ყოველკვირა დაიარება თეატრში სულიერი საზრდოს მისაღებად, თუმცა ბევრ მათგანს მოსმენის კულტურაც კი არ გააჩნია. პასუხის გაცემაზე საუბარი ზედმეტია, როცა ხშირად ზედაც არ მიყურებდნენ, ისე ჩამივლიდნენ გვერდით, თითქოს არც ვარსებობდი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კეთილგანწყობილი მაყურებელი არ შემხვედრია. რა თქმა უნდა, იყვნენ ასეთებიც, ტომლებიც სიამოვნებით მთანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე და თქვენ წარმოიდგინეთ, მიღიმოდნენ კიდეც.

საკმაო დრო გავატარე ქართველ თეატრალ საზოგადოებასთან ურთიერთობაში საიმისოდ, რომ მათი დახასიათება შევძლო. რამდენიმე ტიპადაც კი დავყოფდი, თუმცა საერთო მახასიათებლებიც გააჩნიათ და ალბათ არავისთვის იქნება გასაკვირი, თუ ერთ-ერთ საერთო მახასიათებლად არაპუნქტუალობას დავასახელებ. ყველა თეატრში, რომელთანაც შეხება მქონდა, მაყურებელი აგვიანებს და ხშირად საშინელ არეულობას იწვევს მათი დაგვიანება სპექტაკლის მსვლელობისას. მოდიან ნახევარი საათის დაგვიანებით და მერე კიდევ ნახევარი საათი გაბოროტებულები ეძებენ კუთვნილ ადგილებს ჩაბნელებულ დარბაზში. კაპელდინერთა შენიშვნასაც არად დაგიდევენ, არც სხვა ადგილას დაჯდომა სურთ და საშინლად ბრაზდებიან, თუ სხვას აღმოაჩენენ თავიანთ ადგილზე წამოსკუპებულს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სპექტაკლის (თანაც პრემიერის) დაწყებას აყოვნებენ „ორი წუთით“, რადგან ვიღაც გავლენიანი ფიგურის ახლობელს აგვიანდება. დაგვიანებაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ და კიდევ ერთ საინტერესო საერთო მახასიათებელზე გავამახვილებ ყურადღებას;

რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენივე განსხვავებული აზრიაო - ამბობენ, თქვენც არ მომიკვდეთ, თეატრში ჯგუფად თუ წყვილ-წყვილად მოსული საზოგადოება ხშირად ერთ კითხვარს ავსებდა მათივე განმარტებით საერთო აზრის ქონის გამო. ასე ძირითადად მეუღლეთა წყვილები იქცეოდნენ და ერთ-ერთმა გულწრფელი გაკვირვებით მკითხა - საერთო აზრი გვაქვს ყველაფერზე და მაინც ორივემ უნდა შევავსოთ? ასევე მსგავს დამოკიდებულებას იჩენდა სავარაუდოდ „სადაქალოს“ ჯგუფი, რომლებსაც ყველას ერთი აზრი გააჩნდა და ამიტომ ერთ კითხვარს ავსებდნენ მხოლოდ. იყვნენ ისეთებიც, ვინც ყოველგვარი არგუმენტის გარეშე სასტიკ უარს აცხადებდა. ზოგიც თავს იმით იმართლებდა, რომ „გამოკითხვებს და სტატიტტიკებს არ ენდობა“, თავის აზრს არ გვიზიარებდა და საგულდაგულოდ ასაიდუმლოვებდა. ზოგიერთი ზედაც არ მიყურებდა, როდესაც ყურებამდე გაღიმებული ვესალმებოდი და ცხვირაწეული ჩამივლიდა გვერდით. მაყურებლის ეს ტიპი ეგრეთწოდებული „ძვირფასპალტოიანთა“ წარმომადგენელი გახლავთ. დაიარებიან საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენით და ძვირფასი ქურქებით, დალაპარაკების ღირსად არ გთვლიან და ამით თავის უპირატესობას გაგრძნობინებენ. ეს ხალხი ხომ მაღალ მატერიებს ეთამაშება და ისეთი მიწიერი რაღაცებისთვის, როგორიც მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვაა, არ შეიძლება მათი შეწუხება. ამათ საპირისპიროდ ვესტიბიულში მორიდებით მდგარ ადამიანებსაც შეამჩნევთ, თავი უცხო სხეულად წარმოუდგენიათ ახალ გარემოში და ჯერ კიდევ ადაპტირების პროცესში იმყოფებიან. ესენი ახალბედა თეატრალები გახლავთ, რომლებიც სულ ცოტა ხანია რაც თეატრის მოყვარულთა რიცხვში ჩაეწერნენ. როგორც წესი, ამ ტიპის მაყურებელი ყოველთვის მთანხმდებოდა გამოკითხვაში მონაწილეობაზე და დიდ პატივისცემადაც ღებულობდა ჩემს შეთავაზებას - შეევსო კითხვარი. ზოგიერთი კი თავს ღირსადაც არ თვლიდა, კვლევაში მონაწილეობა მიეღო არაკომპეტენტურობის გამო -ძალიან იშვიათად დავდივარ და ალბათ ვერ შევავსებ- წამჩურჩულებდნენ ხოლმე მორიდებული ახალბედა თეატრალები. მათგან განსხვავებით უფრო თამამად იქცეოდნენ მაყურებელთა ტიპი- ჩემი კლასიფიკაციის მიხედვით - კაპელდინერთა უბილეთო ნაცნობ-მეგობრები. ეს მაყურებელთა ის ტიპია, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ უბილეთოები არიან, მიჩნიათ, რომ მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ. ნაცნობობა ხომ ყველაზე ძლიერი იარაღია.

ჩემს გაოცებას იწვევდა, როდესაც რომელიმე მაყურებელთაგანი თავდ იჩენდა ინიციატივას მონაწილეობა მიეღო კვლევაში. ასეთი შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენდა, თუმცა მაინც გვხვდებოდა. ალბათ ერთ ათეულსაც ვერ ასცდება ამ ტიპის მაყურებელთა რიცხვი, რომელთაც თეატრის შესახებ ყველაფერი აინტერესებთ და სურვილი და ხალისიც გააჩნიათ თავისი აზრი დააფიქსირონ. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მათ რაღაც აწუხებთ, სურთ რაღაც შეცვალონ ან რაღაცას ხაზი გაუსვან და შეთავაზებას არც ელოდებიან ისე ერთვებიან კვლევაში. ბევრი საინტერესო შენიშვნა თუ კომენტარი დაგვიფიქსირებია ამგვარი მოხალისე მაყურებლისგან. მათგან განსხვავებით მაყურებელთა უმეტესობა უღიმღამოდ და ზერელედ, ყოველგვარი ხალისის გარეშე ავსებდა კითხვარს, თანაც გაქცეული, რადგან სპექტაკლის დაწყებამდე ბოლო წამებზე მოსულს ერთი სული ჰქონდა, თავისი სკამი მოეძებნა პარტეტში. მერე იქ მოკალათებულს მთელი სპექტაკლის განმავლობაში დრო გაეყვანა „ფეისბუკზე“ „პოსტვით“ ან „ტვიტერზე“ „ტვიტვით“ და როგორმე მალე და უმტკივნეულოდ მოეხადა თავისი არისტოკრატული ვალი კულტურის წინაშე.

ეს, რაც შეეხებოდა მაყურებელთა ზოგად მახასიათებლებს, მაგრამ თეატრების მიხედვით მაყურებელიც განსხვავებულია. ისევე, როგორც განსხვავებული გარემო და სიტუაცია დაგვხვდა ყველა თეატრში, მაყურებელსაც კი განვასხვავებ ყოველ მათგანში;

მარჯანიშვილის თეატრი:

ის დიდი ტრადიციების მქონე, დახვეწილი, დისციპლინირებული და მოწესრიგებული თეატრი გახლავთ. მარჯანიშვილში, ვესტიბიულიდან დაწყებული ტუალეტის ჩათვლით, ყველგან იგრძნობა დახვეწილობა და მაღალი ხარისხი. კაპელდინერებიც კოხტა უნიფორმებში გამოწკეპილები მკაცრად იცავენ წესრიგს, თუმცა ერთი შეხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ ზედიზედ რამდენჯერმე ვეწვიეთ ამ თეატრს, კაპელდინერებიც გავიცანით და თითქოს კეთილგანწყობითაც დაგვხვდნენ. ზემდგომი პირებისგან შეიტყვეს, ვინც ვიყავით და რომ უნდა შევეშვით თეატრში, თუმცა ყოველ მისვლაზე 10 წუთს მაინც გვაკარგვინებდნენ და კარებში გვაყურყუტებდნენ არგუმენტით -კი ვიცით, ვინც ხართ და გვითხრეს კიდეც, რომ უნდა შეგიშვათ მაგრამ წადით და მოსაწვევი გამოაწერინეთ, ჩვენ მკაცრად გაფრთხილებულები ვართ, უბილეთო ხალხი არ შევუშვათ- მოგვიჭრიდნენ ხოლმე და მერე ჩვენ ისევ თავიდან ვიწყებდით თეატრის ადმინისტრაციასთან დაკავშირებას, მერე იმათ დაკავშირებას კაპელდინერებთან და საბოლოოდ როგორღაც აღმოვჩნდებოდით თეატრში. კი ბატონო, კარგია წესრიგი და დისციპლინა. რაც შეეხება ბილეთიან მაყურებელს, სწორედ რომ თეატრის შესაბამისი გახლდათ. მოდიოდნენ კლასიკურ სამოსში „სათეატროდ“ გამოწყობილნი და ისე ჰგავდნენ სპეციალურად ამ თეატრისთვის მოკაზმულთ, თითქოს კაბები განგებ ინტერიერს შეუფერესო. როგორც წესი, ასეთი ხალხი გამოკითხვაში მონაწილეობაზე არ გვთანხმდებოდა, ალბათ კაბაზე ზედმეტი ნაკეცის გაჩენის თუ ეშინოდათ. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც არც კაბის დაკუჭვა და არც ორი ხელჯოხი უშლიდა ხელს აზრის გამოხატვაში. არ შემიძლია არ აღვნიშნო 83 წლის მოხუცი, რომელიც ვერ დააბრკოლა ხელჯოხებმა და უსათვალობამ, გამოთქვა სურვილი და თავად შეავსო კიდეც კითხვარი, მაშინ როდესაც ხშირად მასზე ბევრად ახალგაზრდები უსათვალობას იმიზეზებდნენ, რათა ჩვენგან თავი დაეხსნათ.

გრიბოედოვის თეატრი:

ეს თეატრი, თითქოს ცალკე სამყაროა. გამომდინარე იქიდან, რომ რუსულენოვანი მაყურებელი ჰყავს და სპექტაკლებიც რუსულ ენაზე იდგმება, იგი განცალკევებით დგას თითქოს სხვა სივრცეში და გარემოც, სიტუაციაც სხვაგვარია.

მათ ჰყავთ თავიანთი მსახიობები, თავიანთი რეჟისორები, თეატრმცოდნეები და მაყურებელიც თითქმის მხოლოდ მათ ასახელებდა. ჩვენ პრობლემა არ შეგვქმნია არცერხელ, კეთილგანწყობილი დაგვიხვდა ადმინისტრაციაც და პერსონალიც. როგორც აღვნიშნე რუსულენოვანი მაყურებელი ჰყავს ამ თეატრს, თითქმის ყველამ იცის ქართულიც, თუმცა უმეტესობამ არცთუ სახარბიელოდ. ხშირად უარს გვეუბნებოდნენ კვლევაში მონაწილეობაზე, რადგან არ შეეძლოთ კითხვა ქართულად ან ვერ კითხულობდნენ გამართულად. აღსანიშნავია, რომ გრიბოედოვის თეატრში ძალიან ბევრი სკოლის მოსწავლე დადის, ისინი ჯგუფად მოჰყავთ მასწავლებლებს და როგორც შევიტყვე, თეატრი ზრუნავს სკოლის ინფორმირებაზე სპექტაკლის გამართვის შესახებ. თუმცა როგორც აღმოჩნდა, აფიშიდანაც ბევრი იღებს სპექტაკლების შესახებ ინფორმაციას და იაღლიშებიც მოსდით. ერთ-ერთს მეც შევესწარი; მაშინ, როდესაც შექსპირის „ზამთრის ზღაპარი” დაიდგა, აფიშაზე ამოკითხული სიტყვა ზღაპრის შემდეგ, ჩვენმა ძვირფასმა თეატრალმა საზოგადოებამ თეატრში ბავშვების არმია მოიყვანა. განა ერთს და ორს მოუვიდა მსგავსი დაუფიქრებლობა, არამედ მაყურებელთა თითქმის სრულ უმრავლესობას. სასოწარკვეთილი კაპელდინერები ცდილობდნენ აეხსნათ მშობლებისთვის, რომ ეს შექსპირის პიესა იყო და სამი-ოთხი წლის ბავშვები ვერაფერს გაიგებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მახსოვს, როგორ ბრაზობდა ერთ-ერთი თეატრალი დედიკო - აფიშაზე ზღაპარი დაწერეს, ბილეთები კარგად გაყიდეს და ახლა გვეუბნებიან, ბავშვები ვერ გაიგებენო?! როგორც შემდგომ გადავამოწმე, აფიშაზე, იქ, სადაც უნდა ეწეროს ავტორის სახელი, გარკვევით ეწერა შექსპირი.

ოპერის და ბალეტის თეატრი:

გამომდინარე იქიდან, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი რემონტშია, საოპერო წარმოდგენები კონსერვატორიაში იმართებოდა, ხოლო საბალეტო - გრიბოედოვში. ამ წარმოდგენებზე მოსული ხალხი ძალიან განსხვავდება სხვა თეატრის მაყურებლისგან.ისინი სხვა კულტურულ განზომილებაში იმყოფებიან. ამ ხალხისთვის ცოტა უჩვეულო აღმოჩნდა სოციოლოგიური გამოკითხვა საოპერო წარმოდგენის წინ, თუმცა არა მიუღებელი. სიამოვნებით გვთანხმდებოდნენ და ფოიეში მდგარ ერთადერთ როიალზე დაყრდნობილები მონდომებით ავსებდნენ კითხვარებს. საოპერო წარმოდგენაზე მოსულ მაყურებელთა უმრავლესობა მართლა ხელოვნებისთვის იყო მოსული თეატრში, თუმცა ძვირფასპალტოიანთა ტიპის საზოგადოებაც შეიმჩნეოდა, მაღალ საზოგადოებაში ყოფნასა რომ ოპერაში სიარულით უსვამენ ხაზს და თავიaნთ დახვეწილ გემოვნებას აფიშირებას უკეთებენ. aსეთი ხალხი თავს არ იწუხებდა კითხვარის შევსებით - მოიცა ერთი, მოგცლია რას მოძახებით ან საერთოდაც იგნორით გვიქცევდნენ გვერდს. რაც შეეხება საბალეტო წარმოდგენაზე მოსულ მაყურებელს, ძირითადად ბავშვიანები გახლდნენ, სპექტაკლ “მაკნატუნას” გამო და ამიტომ ხშირად გვეუბნებოდნენ უარს. სპექტაკლის დაწყებამდე გამწარებულები დასდევდნენ ფოიეში მორბენალ ახალფეხადგმულ ბავშვს და შემდეგ სპექტაკლის მიმდინარეობისას ხმამაღლა, ენამოჩლექით უხმოვანებდნენ სცენაზე მომხდარ ყოველ მოვლენას შვილებს. აქა-იქ ატირებული ბავშვები კი თავის დახსნას ცდილობდნენ თეატრიდან, თუმცა - უშედეგოდ, მშობლების რწმენით სულიერი საზრდოს მიღება მსხვერპლს მოითხოვს, თავიდან იტირებს ბავშვი და მერე შეეჩვევა.

თუმანიშვილის თეატრი:

ეს გახლავთ თეატრი, სადაც სუფევს კამერული, იდეალური ატმოსფერო, გარემო ისეთია შექმნილი, შესვლისთანავე გრძნობ, რომ სახელოვნებო დაწესებულებაში ხარ და პერსონალიც კეთილგანწყობილი და თავაზიანი დაგვიხვდა. ასეთივეა მაყურებელიც, მათმა მხოლოდ მცირე რაოდენობამ განაცხადა უარი კვლევაში მონაწილეობაზე. არც არისტოკრატები და ვითომ ინტელიგენტები შეგვხვედრია და არც ცხვირაბზეკილი თეატრალები. ზერელედ და მოვალეობის მოხდის მიზნით შევსებული კითხვარების რაოდენობაც შედარებით მცირეა. თეატრში მდებარე კაფეში სულ მსახიობები და რეჟისორები ტრიალებენ და არც ეს უკანასკნელნი გვზარდებოდნენ კითხვარის შევსებაზე. არ ვიცი, დამთხვევა იყო, თუ ჩვენ შეგვხვდა aსეთი ხალხი, მაგრამ უფრო ალბათ, როგორიც არის თეატრი, ისეთივე ჰყავს მაყურებელიც.

მარიამ ცუცქირიძე

თეატრი VS თეატრი

შიში იმისა, რომ თეატრი კარგავდა აქტუალურობას, ფუნქციასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მრავალგზის უარყო იმ თეატრებმა, რომლებსაც ხშირად ვსტუმრობდი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის სამეფო უბნის თეატრი, ილიას უნივერსიტეტის თეატრი, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრი, ეს ის თეატრებია, რომელთა მაყურებლებიც გამოვიკითხე, კვლევითი პროექტისთვის „თანამედროვე ქართული თეატრის კვლევა.“ თითოეული მათგანი, ყოველ მხრივ უნიკალური და ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული აღმოჩნდა, როგორც სპექტაკლებით, ასევე მაყურებლებით. ერთი სიტყვით, ამ ერთი თვის განმავლობაში, იმდენად ღრმად შევისწავლე მაყურებელთა კატეგორიები, რომ ჩემთვის უკვე მარტივი მისახვედრია, რომელ თეატრში რა ტიპის მაყურებელი დადის:

რუსთაველის თეატრი - ბევრ სპექტაკლს დავესწარი, ყველგან სხვადასხვა ემოციით დატვირთული გამოვედი. ამ თეატრმა შეძლო და ჩემამდე მოიტანა იმ კატეგორიის პრობლემები, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ჩემთვის. მაყურებლების დამოკიდებულებასაც ვაკვირდებოდი, კითხვარების მიმართ ბევრი გულგრილობას ამჟღავნებდა. არ ვიცი, ამის მიზეზი რა იყო, სიზარმაცე, თუ უბრალოდ შეფასებისგან თავის შეკავება, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ ბევრ უარს ვღებულობდით კვლევაში მონაწილეობაზე, პირველი მიზეზი შესაძლოა სპექტაკლის თემატიკიდან გამომდინარე სპეციფიკური მაყურებლების არსებობაში მდგომარეობდა. ბუნებრივია, სპექტაკლ „ჰარირაზე“ მოსულ მაყურებელს, რომელსაც თან ახლავს მცირეწლოვანი ბავშვები, ვერ დააძალებ და თუნდაც 5 წუთის განმავლობაში ვერ გააჩერებ რესპონდენტად. სწორედ ამ მიზეზით შემიძლია ავხსნა განსაკუთრებით ბევრი უარი აღნიშნული სპექტაკლის დაწყებამდე.

რაც შეეხება გარემოს, სხვა თეატრებისაგან განსხვავებით, ყველაზე ძნელად რუსთაველის თეატრში ვახერხებდით შესვლას, მართალია, უარი არასოდეს უთქვამთ მითითებულ დღეს შესვლაზე, მაგრამ თითქმის არ ყოფილა დღე, დაცვის თანამშრომელს არ შევეყვანეთ პიარ მენეჯერთან და კვლავ და კვლავ არ აგვეხსნა, თუ რასთან დაკავშირებით ვიყავით მოსულები და რის გაკეთებას ვაპირებდით. თუმცა არ შემიძლია არ ვახსენო დაცვის სამსახურის უფროსი - მერაბ როხვაძე, რომელიც ძალიან გვეხმარებოდა კითხვარების შევსებაში და სპექტაკლზე დასწრებაში. ყურადღებას გვაქცევდა, არასოდეს ვავიწყდებოდით.

რუსთაველის თეატრი, ის თეატრია, რომელიც გემოვნების დახვეწაში დამეხმარა. სპექტაკლებში ხშირად ნახვამ, რადიკალურად შემიცვალა დამოკიდებულება იმ მსახიობებისადმი, რომლებიც აქამდე საუკეთესოები მეგონენ.

ია სუხიტაშვილი ის მსახიობია, რომლის მიმართ პატივისცემა და მისი შემოქმედების დაფასება არ დამკარგვია, პირიქით, ბევრად ძლიერ და გამორჩეულ მსახიობად მიმაჩნია ყველა მონაცემით. ასევე, რუსუდან მაყაშვილი, რომლის სიყვარული, განსაკუთრებით ბავშვებს ახასიათებთ. ლევან ხურცია, რომლის ენერგიას საზღვარი არ ჰქონდა, ბაჩო ჩაჩიბაია, რომლის სპეციფიკურმა ხმამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელთა შემოქმედებასაც გამოვყოფდი, თუმცა, რა თქმა უნდა, რუსთაველის თეატრი ბევრად უფრო ღრმა და მრავალფეროვანია, როგორც სპექტაკლებით, ასევე მსახიობებით.

სამეფო უბნის თეატრი - მომავალში, ამ თეატრის გაგონებისას ყოველთვის გამიჩნდება ასოციაცია თანამედროვეობასთან. ეს არის მომავლის თეატრი, რომელმაც შეძლო და დღეისთვის უამრავ აქტუალურ თემას შეეხო. სპექტაკლის ყურებისას, ყოველთვის მახსენდებოდა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც, ვფიქრობ, მიზანმიმართულად იყო გაჟღერებული, რაც მთავარია, გვიჩვენებდნენ გავრცელებულ პრობლემებს და მისი მოგვარების ორიგინალურ ხერხებს. ამ მხრივ, ღრმა შთაბეჭდილება დამიტოვა სამეფო უბნის თეატრმა. ახალგაზრდული თეატრი, მთელი კოლექტივით, მსახიობებითა და სხვა მომსახურე პერსონალით, აშკარად გამოირჩეოდა სხვა თეატრებისგან, მაყურებელიც კი განსაკუთრებული ჰყავდათ. შეხვდებოდით ნებისმიერი ასაკის მაყურებელს, რომელიც სპექტაკლის დასრულების შემდეგ, თანაბრად აღფრთოვანებული ბრუნდებოდა დარბაზიდან. ძალიან იშვიათად თუ ნახავდით რესპონდენტს, რომელიცუარს ამბობდა კვლევაზე, ალბათ, გარემოც შესაბამისი იყო კაფის ძველებური ნივთებით.

ილიაუნის თეატრი - კვლევის პირველ დღეს ძალიან შემეშინდა, რადგან მომიწია ურთიერთობა ახალგაზრდა, დამწყებ მსახიობებთან, კვლევისადმი მათი დამოკიდებულება საკმაოდ არასერიოზული იყო (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). კომპლექსებით სავსე ახალგაზრდებს ალბათ ერთი სული ჰქონდათ, როდის დადგებოდნენ სცენაზე. ჩემთვის მსახიობი ყოველთვის თავისუფალ და ღია პიროვნებასთან ასოცირდებოდა, ახალგაზრდა მსახიობები კი - განსაკუთრებით, თუმცა მათ პერსპექტივას არც ისე წარმატებულს ვხედავ. თეატრი და ზოგადად სასწავლო პროცესები, დარწმუნებული ვარ, ხელს უწყობენ მათ კარიერულ წინსვლას, თუმცა რეალობა სხვა იყო. რაც შეეხება სპექტაკლებს, კვლევის განმავლობაში რამდენიმე პრემიერას დავესწარით, რომლებიც ჟანრების მრავალფეროვნებით და მსახიობების რადიკალური გარდასახვით გამოირჩეოდნენ.

ახმეტელის თეატრი - გარემო - იდეალური, მსახიობები - მრავალფეროვანი, სპექტაკლები -საინტერესო და თანამედროვე, მაყურებელი კი შემთხვევით მოხვედრილი თეატრში. ერთხელ, სპექტაკლის დასრულების შემდეგ შემრცხვა კიდეც, რადგან რამდენიმე მაყურებლისა და კაპელდინერის გარდა ტაშს არავინ უკრავდა, გასაგებია, რომ სპექტაკლის დასრულება დროულად ვერ აღიქვეს, მაგრამ, როდესაც მსახიობი მაყურებელს თავს უკრავს, მაშინ რა უშლით ხელს, რომ მცირეოდენი აპლოდისმენტები მიუძღვნან მსახიობებს? ა, გამახსენდა, ეს ხომ სწორედ ის მაყურებლები არიან, რომლებმაც ბილეთის ფული მხოლოდ იმისთვის გადაიხადეს, რომ ახმეტელის თეატრიდან, სპექტაკლის მიმდინარეობისას „მხატვრული“, SMS-ები გაუგზავნონ მომლოდინე ოჯახის წევრებსა თუ შეყვარებულებს.

ძნელია, ნამდვილ მაყურებლად აღვიქვა პიროვნება, რომელიც სიზარმაცის ან მსგავსი მიზეზის გამო გვეუბნებოდა უარს კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. ნამდვილი მაყურებელი ხომ პირიქით, შეეცდება რაც შეიძლება მეტი მინუსი თუ პლუსი უჩვენოს მკვლევარებს და თავის მხრივ, შეეცადოს მცირე წვლილი შეიტანოს ქართული თეატრის განვითარებაში. მე, როგორც მომავალ მკვლევარს და სპექტაკლების მოყვარულს, თეატრების დარბაზების გავსებას ისეთი მაყურებლებით, რომლებიც უსიცოცხლოდ სხედან კომფორტულ სკამებზე და თეატრიდან გამოსულებს ვერ გაუგიათ სპექტაკლის მთავარი აზრი, მირჩევნია, დარბაზის მხოლოდ პირველი ორი რიგი შეივსოს, მეცოდინება მაინც, რომ ეს ადამიანი, როდესაც თეატრიდან გავა, ბევრს იფიქრებს თუ რა პრობლემატიკის ჩვენება უნდოდა რეჟისორს, რა შინაარსი მოგვაწოდა დრამატურგმა და როგორ მოიტანა მსახიობმა მაყურებლამდე.

მარიამ გედევანიძე

თბილისის თეატრები და მაყურებელი

დიდი ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს, ვიფიქრეთ, ყველაფერი ძალიან ადვილად გამოვიდოდა, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა. თითქმის ერთი კვირა დაგვჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ თეატრში მოსული საზოგადოების უმრავლესობა კვლევას საჭიროდ საერთოდ არ აღიქვამს, მაგრამ, საბედნიეროდ, შიგადაშიგ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთი ადამიანები, რომლებიც კვლევაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. სამწუხაროდ, გვხვდებოდნენ ისეთი მაყურებლები, რომლებისთვისაც ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, თავს იკავებდნენ ან თვლიდნენ, რომ ეს საკითხი მათზე უკეთ არავინ იცის და თავად რატომ უნდა მიეღოთ კვლევაში მონაწილეობა.

საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც კვლევას ინტერესით მიუდგნენ, ზოგი მეტისმეტად სერიოზულადაც კი, და გვთხოვდნენ, იმ საზოგადოების ნაწილს რაღაც მოვუხერხოთ, რომლებსაც თეატრში მოსიარულე ხალხი „გოიმი“ ჰგონიათ. სამწუხაროდ, ასეთ საზოგადოებას ჩვენ, მკვლევრები, ვერაფრით შევცვლით.

თეატრში მოსიარულე ხალხი შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს. მაყურებელი, რომლისთვისაც თეატრი ბევრს ნიშნავს, რომლებიც სპექტაკლის მიმდინარეობის დროს სრულ სიამოვნებას იღებენ და მაყურებელი, რომლებიც გასართობად დადიან და ხშირ შემთხვევაში საკუთარი ტელეფონებითაც კი ერთობიან. ისინი ამ დროს სიმყუდროვეს ურღვევენ იმ მაყურებელს, რომელმაც შეიძლება უკანასკნელი თანხები გაიღო სპექტაკლზე დასწრებისთვის. მსგავსი ტიპის „მაყურებლებისთვის“ სულ ერთია, მიიღებენ თუ არა სიამოვნებას სპექტაკლის ყურებისას. მათი სპექტაკლზე ყოფნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სათქმელი ჰქონდეთ, რომ ისინი თეატრებში დადიან.

თეატრებს რაც შეეხება, ყველა თეატრში კარგად მიგვიღეს, რადგან კვლევა, რომელიც ტარდებოდა, ყველა თეატრისთვის მნიშნელოვანი იქნებოდა. თეატრში მომუშავე პერსონალი თვლიდა, რომ ესეთი კვლევები კარგია და კარგის მომტანი იქნებოდა თეატრებისთვის, რადგან თვლიდნენ, რომ ამ კვლევის საშუალებით უკეთ მიხვდებოდნენ, თუ რა პრობლემებია თეატრში და შესაბამის რეაგირებას მოახდენდნენ.

ჩვენც ყველა თეატრში სიხარულით მივდიოდით, რადგან ვიცოდით, კარგად დაგვხვდებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ-ერთ თეატრში სრული ნდობა ვერ დავიმსახურეთ, რადგან PR-ის თანამშრომელმა მოგვთხოვა, რომ ყოველ მისვლაზე გაგვეფრთხილებინა და წინასწარ დაგვერეკა. ალბათ ეს ყოველი მისვლის წინ გაფრთხილება მოსაბეზრებელია და გაბრაზებულმა მოგვაძახა: „რით ვეღარ დამთავრდა ეს კვლევა“. ჩვენც ძალიან გვინდოდა მალე მოვრჩენილიყავით კვლევას, მაგრამ როგორი პრეტენზიულიც არის ეს თეატრი ,ისეთი პრეტენზიული იყო მაყურებელიც და ხშირად უარს გვეუნებოდნენ ანკეტების შევსებაზე.

ყველა თეატრს ყავს მუდმივი, გულწრფელი ან დროებითი მაყურებელი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმ სტრუქტურაზე, რაზეც თეატრია აგებული. თეატრს პოპულარულს ხდის ბევრი კომპონენტი, მაგალითად, მსახიობი, რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი და კიდევ ბევრი სხვა , რომელიც იზიდავს მაყურებელს. ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი ასეთი თეატრია „სამეფო უბნის თეატრი“, რომელსაც ჰყავს ძალიან ბევრი მუდმივი და გულწრფელი მაყურებელი, რადგან კვლევის მიმდინარეობის დროს ძალიან ხშირად ვხედავდით ერთსა და იმავე მაყურებელს. სამეფო უბნის თეატრმა ამ წარმატებას თავისი თემატურად საინტერესო რეპერტუარით მიაღწია.

დავით არჩვაძე

ტრაგიკული კომედია

ტრაგიკომედია, ყველასთვის ნაცნობი ჟანრია. აუცილებელი არ არის სპექტაკლის ნახვა, ვინაიდან მას შესაძლოა გადავაწყდეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში: სახლში, ტრანსპორტში და თუნდაც თეატრის ფოიეში.

- გამარჯობა, მცირე გამოკითხვა გვაქვს თეატრთან დაკავშირებით, თუ შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება? - ეს ჩემი, როგორც მკვლევარის მიმართვაა თეატრის ვესტიბიულში მყოფი საზოგადოების მიმართ, დაწყებული „ძვირფასპალტოიანებით“, დამთავრებული „გაცვეთილი ინტელიგენტებით“.

- უკაცრავად, ამ კითხვარს სანამ შევავსებ, მანამდე უნდა წავიკითხო? - გაიკვირვა ინტელიგენტმა ქალბატონმა და მელიის კუდი კისერზე შემოიგდო, მაღლა აწეული ცხვირი დაბლა დახარა და სათვალის ზემოდან მრავლისმეტყველად გამომხედა. მეც რაღა დამრჩენოდა, როგორც მას შეშვენოდა, მორიდებულად გავუღიმე და გამოვერიდე.

ყავარჯენზე დაყრდნობილმა, ხანდაზმულმა ქალბატონმა ჩემი ყურადღება მიიქცია. მე ვერ გავბედე მეთხოვა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება, რადგან არ მსურდა უხერხულ მდგომარეობაში არც მისი და არც ჩემი თავის ჩაყენება - გეთაყვა, ეს რა არის? - მოკრძალებულად მკითხა მოხუცმა და კითხვარი გამომართვა. შემდეგ ყავარჯენი კალამში გამიცვალა და შევსებას შეუდგა. როგორც მან აღნიშნა, 83 წლის გახლავთ, თუმცა მოხალისეობის სურვილი ისეთივე ძლიერი შერჩენია, როგორიც 23 წლის ასაკში გააჩნდა. არიან თინეიჯერები, რომლებიც უარს მონაწილეობის მიღებაზე მხოლოდ იმიტომ ამბობენ, რომ მათ ეზარებათ. ასე რომ ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

თეატრალ საზოგადოებაში გამოვარჩევდი კიდევ ერთ კატეგორიას - ხალხს, რომელთაც სურთ, თავიანთი სტატუსი - მაღალი ფენა - ჩაცმულობითა და მაკიაჟით გამოხატონ. მაგალითად, მსხვილი ქალბატონები. სულ არ უხდებათ ლოყებზე ხელოვნური ჩაწითლება, ვარდისფერი კაბა უფრო მსხვილს აჩენს მათ სხეულს და გამობერილ მუცელს ამ კაბის ქამარი, რომელიც ორ ნაწილად ყოფს ეგრეთწოდებულ ღიპს. შევნიშნე ახალგაზრდა გოგონაც, ასევე ხელოვნურად გალამაზებული. მისი შავი კაბა, რომელიც ტანზე ლამაზად მომჯდარი და პარტნიორზე ზემოქმედების მოსახდენად კეფიდან ჩახსნილი იყო, იმაზე მეტყველებდა, რომ წინა დღეს საგანგებოდ იყო შეძენილი, ან “ლოსკი” მართლაც ძალიან მაგარია.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის საერთო შედეგები

სულ გამოიკითხა 2200 მაყურებელი შემდეგ თეატრებში: ოპერისა და ბალეტის თეატრი; რუსთაველის თეატრი; მარჯანიშვილის თეატრი; თუმანიშვილის თეატრი; მუსიკისა და დრამის თეატრი; გრიბოედოვის თეატრი; მოზარდ მაყურებელთა თეატრი; ახმეტელის თეატრი; თავისუფალი თეატრი; სამეფო უბნის თეატრი;






რისთვის მიდიხართ თეატრში?
N= 3244
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
15%
28%
25%
30%
2%
გავიგო რაიმე ახალი
დასვენებისა და გართობის მიზნით
ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორების წამოშვვარი
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
მეგობრებში თავის მოწოწების მიზნით


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
N =6242
20%
18%
16%
14%
12%
10%
8%
6%
4%
2%
0%
18%
14%
9%
4%
12%
10%
7%
5%
5%
3%
13%
კომედია
ფსიქოლოგიური დრამა
მელოდრამა
ვოდევილი
ტრაგიკომედია
ტრაგედია
მუსიკალური კომედია
საოპერო
საბალეტო
ფიზიკური თეატრი
შერეული ჟანრის


საიდან იღებთ ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ?
N =3988
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
8%
3%
33%
18%
3%
2%
17%
16%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით
ზეპირი ინფორმაციით


რა ტიპის სპექტაკლების ნახვა გსურთ თეატრში?
N 6921
25%
20%
15%
10%
5%
0%
21%
23%
18%
19%
19%
თანამედროვე უცხოური
თანამედროვე ქართული
ისტორიული
ქართული კლასიკური რეპერტუარი
უცხოური კლასიკა


რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
N =2993
25%
20%
15%
10%
5%
0%
8%
14%
21%
3%
15%
21%
4%
11%
3%
წაკითხული მქონდა ნაწარმოები
მიწდოდა მეწახა საყვარელი მსახიობების თამაში
დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
მიმიზიდა აფიშამ
ნაცნობებმა მირჩიეს სპექტაკლი
მოვხვდი შემთხვევით
მაინტერესებს რეჟისორის ახალი ნამუშევარი
სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი


რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
N =5162
25%
20%
15%
10%
5%
0%
18%
11%
15%
20%
19%
8%
9%
სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
ზოგადადამზრდელობითი მიზანი
საინტერესო აზრები
მსახიობების ნამუშევარი
რეჟისორის ნამუშევარი
სცენოგრაფია
მუსიკა


როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
N =5145
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
16%
8%
29%
15%
7%
6%
19%
სატელევიზიო რეკლამით
სატელევიზიო სიუჟეტით
აფიშით
ინტერნეტ გამოცემით
პრესით
რადიოთი
სოციალური ქსელით


თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
N=2200
მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი 19%
კი 37%
არა 44%


რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
N= 2192
მთლიანად ვენდობი 9%
ნაწილობრივ ვენდობი 57%
საერთოდ არ ვენდობი 34%

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები
N= 2200
კი 45%
არა 55%


თუ უნდა ფუნქციონირებდეს, რომელი?
N=863
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
93%
2%
4%
1%
კაფე
ღაამის კლუბი
კარაოკე კლუბი
დისკოთეკა


რეჟისორები, პირველი ათეული
N=1719
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
26.64%
21.87%
9.77%
9.48%
4.77%
3.78%
3.43%
2.79%
2.68%
2.09%
ლუდან წულაძე (ქოლა)
რობერტ სტურუა
აკაიანდილ ვარსიმაშვილი
თემურ ზუხაძე
დავით დოიაშვილი
დათა თავაძე
გიორგი ბერიძე
ოთარ ეგაძე
ზურაბ ბაწაძე
გაბრიელ გიგაძე

მსახიობთა საერთო რეიტინგი



მამაკაც მსახიობთა საერთო რეიტინგი



ქალ მსახიობთა საერთო რეიტინგი



რესპონდენტთა სქესი



თბილისის თეატრები
რეჟისორების რეიტინგი:

სახელი, გვარი	ხსენების რაოდენობა	ხსენებების %
ლევან წულაძე (ჭოლა)	458	26.64
რობერტ სტურუა	376	21.87
ავთანდილ ვარსიმაშვილი	168	9.77
თემურ ჩხეიძე	163	9.48
დავით დოიაშვილი	82	4.77
დათა თავაძე	65	3.78
გოშა გორგოშიძე	59	3.43
ოთარ ეგაძე	48	2.79
ზურაბ გეწაძე	46	2.68
გაბრიელ გოშაძე	36	2.09
გიორგი თავაძე	35	2.04
ქეთი დოლიძე	22	1.28
ვახტანგ ნიკოლავა	16	0.93
გიზო ჟორდანია	13	0.76
ვანო ხუციშვილი	9	0.52
რევაზ ჩხაიძე	9	0.52
გიორგი სიხარულიძე	8	0.47
გოჩა კაპანაძე	8	0.47
ამირან შალიკაშვილი	7	0.41
ანდრო ენუქიძე	7	0.41

დიმიტრი ხვთისიაშვილი	7	0.41
ნიკა თავაძე	7	0.41
გურამ მელივა	5	0.29
დავით საყვარელიძე	5	0.29
ირაკლი გოგია	5	0.29
ალექსანდრე ელოშვილი	4	0.23
ნანა კვასხვაძე	4	0.23
ოთარ ბაღათურია	4	0.23
კიტა როყვა	4	0.23
გოგი თოდაძე	3	0.17
მანანა ბერიკაშვილი	3	0.17
ნუგზარ ბაგრატიონი	3	0.17
გიორგი ქავთარაძე	2	0.12
ვახტანგ ჯუღელი	2	0.12
კოტე აბაშიძე	2	0.12
ნინო ბურდული	2	0.12
გიორგი აფხაზავა	1	0.06
გიორგი მარგველაშვილი	1	0.06
გიორგი სავანელი	1	0.06
გოგა ქაჩიბაია	1	0.06
დავით ანდღულაძე	1	0.06
დავით მღებრიშვილი	1	0.06
დავით ჩხარტიშვილი	1	0.06
დავით ჭაბაშვილი	1	0.06
ელენე მაცხონაშვილი	1	0.06
თათია პაპიაშვილი	1	0.06
თიკო ქოიავა	1	0.06
თორნიკე მარჯანიშვილი	1	0.06
კოტე მირიანაშვილი	1	0.06
მაია დობორჯგინიძე	1	0.06
მედეა კუჭუხიძე	1	0.06
ნუგზარ ბუცხრიკიძე	1	0.06
ნუგზარ ლორთქიფანიძე	1	0.06
სულ	1719	100

მსახიობების რეიტინგი:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**	**ხსენებების %**
ზურა ყიფშიძე	168	7.23
ნატა მურვანიძე	142	6.11
ია სუხიტაშვილი	119	5.12
კახი კავსაძე	108	4.65
ნიკა თავაძე	104	4.48
გოგა ბარბაქაძე	74	3.19
აპოლონ კუბლაშვილი	72	3.10
ნინელი ჭანკვეტაძე	58	2.50
ჯაბა კილაძე	55	2.37

მურმან ჯინორია	55	2.37
ბაჩო ჩაჩიბაია	52	2.24
გიორგი ყიფშიძე	43	1.85
ნანუკა ხუსკივაძე	41	1.76
ნანკა კალატოზიშვილი	40	1.72
პაატა ინაური	40	1.72
მიშა გომიაშვილი	37	1.59
გივი ბერიკაშვილი	37	1.59
ზაზა პაპუაშვილი	35	1.51
მარინა კახიანი	31	1.33
რუსკა მაყაშვილი	30	1.29
ბაია დვალიშვილი	30	1.29
ლევან ხურცია	26	1.12
კატო კალატოზიშვილი	25	1.08
ნინო კასრაძე	25	1.08
ეკა ჩხეიძე	23	0.99
გიორგი ვარდოსანიძე	22	0.95
მაკა ძაგანია	21	0.90
მანანა კაზაკოვა	20	0.86
ვანიკო თარხნიშვილი	19	0.82
რუსუდან ბოლქვაძე	19	0.82
ალეკო მახარობლიშვილი	19	0.82
არჩილ სოლოღაშვილი	19	0.82
ირინა კვიჟინაძე	19	0.82
კახა მიქიაშვილი	18	0.77
ბესო ზანგური	18	0.77
ჟანრი ლოლაშვილი	17	0.73
გია ბურჯანაძე	16	0.69
ქეთი ცხაკაია	16	0.69
გიორგი ნაკაშიძე	15	0.65
ლელა ალიბეგაშვილი	15	0.65
ნინო ბურდული	15	0.65
ირინა კვიჟინაძე	14	0.60
ნინო ლეჟავა	13	0.56
ქეთა შათირიშვილი	13	0.56
ეკა ნიჟარაძე	12	0.52
გიორგი ჭუმბურიძე	11	0.47
ნიკა კუჭავა	11	0.47
ნიკოლოზ ლაგვილავა	11	0.47
როლანდ ოქროპირიძე	11	0.47
გურანდა გაბუნია	10	0.43
ნანუკა ლითანიშვილი	10	0.43
მარინე ჯანაშია	10	0.43
გოგა პიპინაშვილი	10	0.43
დუტა სხირტლაძე	9	0.39
თათული დოლიძე	9	0.39
თათული ედიშერაშვილი	9	0.39
მიხეილ არჯევანიძე	9	0.39

დავით გიგოლაშვილი	8	0.34
ზუკა პაპუაშვილი	8	0.34
თემურ გუგუშვილი	8	0.34
მაია დობორჯგინიძე	8	0.34
ქეთა ლორთქიფანიძე	8	0.34
კახა ჯოხაძე	8	0.34
კახა კინწურაშვილი	7	0.30
დავით დარჩია	7	0.30
დათო ხახიძე	7	0.30
აკაკი ხიდაშელი	7	0.30
მალხაზ აბულაძე	7	0.30
თამუნა ნიკოლაძე	6	0.26
თორნიკე გოგრიჭიანი	6	0.26
ონისე ონიანი	6	0.26
სალომე მაისაშვილი	6	0.26
პაატა ბარათაშვილი	5	0.26
არჩილ ბარათაშვილი	5	0.22
ბაჩო ქაჯაია	5	0.22
ბესო ბარათაშვილი	5	0.22
თამარ სხირტლაძე	5	0.22
კახა გოგიძე	5	0.22
მარიამ ჯოლოგუა	5	0.22
ნანა ფაჩუაშვილი	5	0.22
ნანა შონია	5	0.22
ნატუკა კახიძე	5	0.22
ნიკა წერედიანი	5	0.22
ნინო ანანიშვილი	5	0.22
ნინო გაჩეჩილაძე	5	0.22
რამაზ იოსელიანი	5	0.22
ქეთი ასათიანი	5	0.22
ზურაბ ინგოროყვა	5	0.22
ანი ალადაშვილი	5	0.22
ბუბა გოგორიშვილი	4	0.17
დათა თავაძე	4	0.17
ირმა რატიანი	4	0.17
კახა აბუაშვილი	4	0.17
კოკო როინიშვილი	4	0.17
კოტე თოლორდავა	4	0.17
მაია ხორნაული	4	0.17
მარიამ წადირაძე	4	0.17
მზია არაბული	4	0.17
სოსო ხვედელიძე	4	0.17
ჯანო იზორია	4	0.17
ზურაბ ბერიკაშვილი	4	0.17
ანკა ალექსიშვილი	3	0.13
ბექა სონღულაშვილი	3	0.13
გია აბესალაშვილი	3	0.13
გიორგი ბოჭორიშვილი	3	0.13

გიორგი ჯიქია	3	0.13
გოჩა დათუსანი	3	0.13
ლაშა გურგენიძე	3	0.13
ლუდმილა მღებრიშვილი	3	0.13
მარიკა მაჩიტაძე	3	0.13
ნინო ლორთქიფანიძე	3	0.13
ნოდარ მგალობლიშვილი	3	0.13
პაატა გულიაშვილი	3	0.13
მაგდა ლებანიძე	3	0.13
ანდრო სარიშვილი	2	0.09
გივი ჩუგუაშვილი	2	0.09
გიორგი ბახუტაშვილი	2	0.09
გიორგი ზანგური	2	0.09
გოჩა კაპანაძე	2	0.09
დავით როინიშვილი	2	0.09
დარეჯან ჯოჯუა	2	0.09
ეკა კახიანი	2	0.09
ეკატერინე შარიქაძე	2	0.09
ელდარ გეწაძე	2	0.09
ვამეხ ჯანგიძე	2	0.09
ზურა გეწაძე	2	0.09
თემიკო ჭიჭინაძე	2	0.09
იაკო ჭილაია	2	0.09
ინნა ვორობიოვა	2	0.09
ირაკლი ჩოლოყაშვილი	2	0.09
კახა გეჯაძე	2	0.09
ლევან ბერიკაშვილი	2	0.09
ლეო ანთაძე	2	0.09
ლიანა კალმახელიძე	2	0.09
ლევან ქობლიანიძე	2	0.09
მაია გელოვანი	2	0.09
მარლენ ეგუტია	2	0.09
მაყვალა ასპანიძე	2	0.09
ლელა მებურიშვილი	2	0.09
ნანი ჩიქვინიძე	2	0.09
ნინო თარხან-მოურავი	2	0.09
არმაზ დარაშვილი	2	0.09
სლავა ნათენაძე	2	0.09
ქეთი ჩხეიძე	2	0.09
ჯემალ ღაღანიძე	2	0.09
დავით გოცირიძე	2	0.09
თიკო კორძაძე	2	0.09
ანა მატუაშვილი	1	0.04
ანა ტყებუჩავა	1	0.04
ანდრია ვაჭრიძე	1	0.04
ანრი ბიბინეიშვილი	1	0.04
ბაჩი ლეჟავა	1	0.04
ბაჩო გაბრეშაშვილი	1	0.04

ნანა ბუთხუზი	1	0.04
გაგა შიშინაშვილი	1	0.04
გაგი სვანიძე	1	0.04
გიორგი გოგუაძე	1	0.04
გიორგი პაპუაშვილი	1	0.04
გიორგი რევაზიშვილი	1	0.04
გიორგი შერვაშიძე	1	0.04
გიორგი ჯიქურიძე	1	0.04
ნინო გომართელი	1	0.04
ამირან ქაჩიბაია	1	0.04
დავით პაპუაშვილი	1	0.04
დათო ხურცილავა	1	0.04
დარეჯან ხარშილაძე	1	0.04
დიმიტრი ტატიშვილი	1	0.04
დონარა გვრიტიშვილი	1	0.04
ეკა ანდრონიკაშვილი	1	0.04
ეკა დემეტრაძე	1	0.04
ვანო ქურასბედიანი	1	0.04
ვაჟა ციცოშვილი	1	0.04
ვასიკო ოდიშვილი	1	0.04
ვასილ გაბაშვილი	1	0.04
ზაალ ჩიქობავა	1	0.04
ზაზა კოლელიშვილი	1	0.04
ზვიად სხირტლაძე	1	0.04
ზურა ავსაჯანიშვილი	1	0.04
თამარ ბუხნიკაშვილი	1	0.04
თამარ მამულაშვილი	1	0.04
თამარ ნიკოლაძე	1	0.04
თამარ ტყემალაძე	1	0.04
თამთა ცინაძე	1	0.04
თემო ნატროშვილი	1	0.04
თენგიზ არჩვაძე	1	0.04
თინი დალაქიშვილი	1	0.04
ია შუღლიაშვილი	1	0.04
ირაკლი გოგოლაძე	1	0.04
ირაკლი სანაია	1	0.04
ნესტორ კალანდარიშვილი	1	0.04
თემო კვარაცხელია	1	0.04
ლაურა რეხვიაშვილი	1	0.04
ლია კაპანაძე	1	0.04
ლუკა ჩხაიძე	1	0.04
მაკა შალიკაშვილი	1	0.04
მამუკა ბოგვერაძე	1	0.04
მამუკა მუმლაძე	1	0.04
მანანა აბრამიშვილი	1	0.04
მარიამ ჩუხრუკიძე	1	0.04
მარიშა კიტია	1	0.04
მერაბ ქუსიკაშვილი	1	0.04

მერაბ შარიქაძე	1	0.04
ნინო ჩხეიძე	1	0.04
ნანა ლორთქიფანიძე	1	0.04
ნანული სარაჯიშვილი	1	0.04
ნატა ბერეჟიანი	1	0.04
ნატო მეტონიძე	1	0.04
ნიკოლაძე თამუნა	1	0.04
ნიკუშა გიორგაძე	1	0.04
ნინო ჭოლაძე	1	0.04
ნინო ხომასურიძე	1	0.04
ოლეგ მჭედლიშვილი	1	0.04
ირინა ჟღენტი	1	0.04
სანდრო დავითაშვილი	1	0.04
სანდრო მარგალიტაშვილი	1	0.04
სანდრო მირიანაშვილი	1	0.04
სოფო აბუაშვილი	1	0.04
სოფო ლომჯარია	1	0.04
შალვა ანთელავა	1	0.04
ცისია მეტრეველი	1	0.04
ჯაბა პაპუაშვილი	1	0.04
ჯაბა ჯაფარიძე	1	0.04
სულ	2326	100

მსახიობი მამაკაცები:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**	**ხსენებების %**
ზურა ყიფშიძე	168	12.10
კახი კავსაძე	108	7.78
ნიკა თავაძე	104	7.49
გოგა ბარბაქაძე	74	5.33
აპოლონ კუბლაშვილი	72	5.18
ჯაბა კილაძე	55	3.96
მურმან ჯინორია	55	3.96
ბაჩო ჩაჩიბაია	52	3.74
გიორგი ყიფშიძე	43	3.10
პაატა ინაური	40	2.88
მიშა გომიაშვილი	37	2.66
გივი ბერიკაშვილი	37	2.66
ზაზა პაპუაშვილი	35	2.52
ლევან ხურცია	26	1.87
გიორგი ვარდოსანიძე	22	1.58
ვანიკო თარხნიშვილი	19	1.37
ალეკო მახარობლიშვილი	19	1.37
არჩილ სოლოღაშვილი	19	1.37
კახა მიქიაშვილი	18	1.30
ბესო ზანგური	18	1.30
ჟანრი ლოლაშვილი	17	1.22
გია ბურჯანაძე	16	1.15
გიორგი ნაკაშიძე	15	1.08
გიორგი ჭუმბურიძე	11	0.79
ნიკა კუჭავა	11	0.79
ნიკოლოზ ლაგვილავა	11	0.79
როლანდ ოქროპირიძე	11	0.79
გოგა პიპინაშვილი	10	0.72
დუტა სხირტლაძე	9	0.65
მიხეილ არჯევანიძე	9	0.65
დავით გიგოლაშვილი	8	0.58
ზუკა პაპუაშვილი	8	0.58
თემურ გუგუშვილი	8	0.58
კახა ჯოხაძე	8	0.58
კახა კინწურაშვილი	7	0.50
დავით დარჩია	7	0.50
დათო ხახიძე	7	0.50
აკაკი ხიდაშელი	7	0.50
მალხაზ აბულაძე	7	0.50
თორნიკე გოგრიჭიანი	6	0.43
ონისე ონიანი	6	0.43
არჩილ ბარათაშვილი	5	0.36
ბაჩო ქაჯაია	5	0.36
ბესო ბარათაშვილი	5	0.36
კახა გოგიძე	5	0.36

ნიკა წერედიანი	5	0.36
რამაზ იოსელიანი	5	0.36
ზურაბ ინგოროყვა	5	0.36
დათა თავაძე	4	0.29
კახა აბუაშვილი	4	0.29
კოკო როინიშვილი	4	0.29
კოტე თოლორდავა	4	0.29
სოსო ხვედელიძე	4	0.29
ჯანო იზორია	4	0.29
ზურაბ ბერიკაშვილი	4	0.29
ბექა სონღულაშვილი	3	0.22
გია აბესალაშვილი	3	0.22
გიორგი ბოჭორიშვილი	3	0.22
გიორგი ჯიქია	3	0.22
გოჩა დათუსანი	3	0.22
ლაშა გურგენიძე	3	0.22
პაატა გულიაშვილი	3	0.22
ანდრო სარიშვილი	2	0.14
გივი ჩუგუაშვილი	2	0.14
გიორგი ბახუტაშვილი	2	0.14
გიორგი ზანგური	2	0.14
გოჩა კაპანაძე	2	0.14
დავით როინიშვილი	2	0.14
ელდარ გეწაძე	2	0.14
ვამეხ ჯანგიძე	2	0.14
ზურა გეწაძე	2	0.14
თემიკო ჭიჭინაძე	2	0.14
ირაკლი ჩოლოყაშვილი	2	0.14
კახა გეჯაძე	2	0.14
ლევან ბერიკაშვილი	2	0.14
ლეო ანთაძე	2	0.14
ლევან ქობლიანიძე	2	0.14
მარლენ ეგუტია	2	0.14
არმაზ დარაშვილი	2	0.14
სლავა ნათენაძე	2	0.14
ჯემალ ღაღანიძე	2	0.14
დათო გოცირიძე	2	0.14
ამირან ქაჩიბაია	1	0.07
ანდრია ვაჭრიძე	1	0.07
ანრი ბიბინეიშვილი	1	0.07
ბაჩი ლეჟავა	1	0.07
ბაჩო გაბრეშაშვილი	1	0.07
გაგა შიშინაშვილი	1	0.07
გაგი სვანიძე	1	0.07
გიორგი გოგუაძე	1	0.07
გიორგი პაპუაშვილი	1	0.07
გიორგი რევაზიშვილი	1	0.07
გიორგი შერვაშიძე	1	0.07

გიორგი ჯიქურიძე	1	0.07
დავით პაპუაშვილი	1	0.07
დათო ხურცილავა	1	0.07
დიმიტრი ტატიშვილი	1	0.07
ვანო ქურასბედიანი	1	0.07
ამირან ქაჩიბაია	1	0.07
ვაჟა ციცოშვილი	1	0.07
ვასიკო ოდიშვილი	1	0.07
ვასილ გაბაშვილი	1	0.07
ზაალ ჩიქობავა	1	0.07
ზაზა კოლელიშვილი	1	0.07
ზვიად სხირტლაძე	1	0.07
ზურა ავსაჯანიშვილი	1	0.07
თემო ნატროშვილი	1	0.07
თენგიზ არჩვაძე	1	0.07
ირაკლი გოგოლაძე	1	0.07
ირაკლი სანაია	1	0.07
ნესტორ კალანდარიშვილი	1	0.07
თემო კვარაცხელია	1	0.07
ლუკა ჩხაიძე	1	0.07
მამუკა ბოგვერაძე	1	0.07
მამუკა მუმლაძე	1	0.07
მერაბ ქუსიკაშვილი	1	0.07
მერაბ შარიქაძე	1	0.07
ნიკუშა გიორგაძე	1	0.07
სანდრო დავითაშვილი	1	0.07
სანდრო მარგალიტაშვილი	1	0.07
სანდრო მირიანაშვილი	1	0.07
შალვა ანთელავა	1	0.07
ჯაბა პაპუაშვილი	1	0.07
ჯაბა ჯაფარიძე	1	0.07
სულ	1386	100

მსახიობი ქალები:

სახელი, გვარი	**ხსენებების რაოდენობა**	**ხსენებების %**
ნატა მურვანიძე	142	15.15
ია სუხიტაშვილი	119	12.70
ნინელი ჭანკვეტაძე	58	6.19
ნანუკა ხუსკივაძე	41	4.38
ნანკა კალატოზიშვილი	40	4.27
მარინა კახიანი	31	3.31
რუსკა მაყაშვილი	30	3.20
ბაია დვალიშვილი	30	3.20
კატო კალატოზიშვილი	25	2.67
ნინო კასრაძე	25	2.67
ეკა ჩხეიძე	23	2.45
მაკა ძაგანია	21	2.24

მანანა კაზაკოვა	20	2.13
რუსუდან ბოლქვაძე	19	2.03
ქეთი ცხაკაია	16	1.71
ლელა ალიბეგაშვილი	15	1.60
ნინო ბურდული	15	1.60
ირინა კვიჟინაძე	14	1.49
ნინო ლეჟავა	13	1.39
ქეთა შათირიშვილი	13	1.39
ეკა ნიჟარაძე	12	1.28
გურანდა გაბუნია	10	1.07
ნანუკა ლითანიშვილი	10	1.07
მარინა ჯანაშია	10	1.07
თათული დოლიძე	9	0.96
თათული ედიშერაშვილი	9	0.96
მაია დობორჯგინიძე	8	0.85
ქეთა ლორთქიფანიძე	8	0.85
თამუნა ნიკოლაძე	6	0.64
სალომე მაისაშვილი	6	0.64
თამარ სხირტლაძე	5	0.53
მარიამ ჯოლოგუა	5	0.53
ნანა ფაჩუაშვილი	5	0.53
ნანა შონია	5	0.53
ნატუკა კახიძე	5	0.53
ნინო ანანიშვილი	5	0.53
ნინო გაჩეჩილაძე	5	0.53
ქეთი ასათიანი	5	0.53
ანი ალადაშვილი	5	0.53
ბუბა გოგორიშვილი	4	0.43
ირმა რატიანი	4	0.43
მაია ხორნაული	4	0.43
მარიამ წადირაძე	4	0.43
მზია არაბული	4	0.43
ანკა ალექსიშვილი	3	0.32
ლუდმილა მღებრიშვილი	3	0.32
მარიკა მაჩიტაძე	3	0.32
ნინო ლორთქიფანიძე	3	0.32
მაგდა ლებანიძე	3	0.32
დარეჯან ჯოჯუა	2	0.21
ეკა კახიანი	2	0.21
ეკატერინე შარიქაძე	2	0.21
იაკო ჭილაია	2	0.21
ინნა ვორობიოვა	2	0.21
ლიანა კალმახელიძე	2	0.21
მაია გელოვანი	2	0.21
მაყვალა ასპანიძე	2	0.21
ლელა მებურიშვილი	2	0.21
ნანი ჩიქვინიძე	2	0.21
ნინო თარხნა-მოურავი	2	0.21

ქეთი ჩხეიძე	2	0.21
თიკო კორძაძე	2	0.21
ანა მატუაშვილი	1	0.11
ანა ტყებუჩავა	1	0.11
ნანა ბუთხუზი	1	0.11
ნინო გომართელი	1	0.11
დარეჯან ხარშილაძე	1	0.11
დონარა გვრიტიშვილი	1	0.11
ეკა ანდრონიკაშვილი	1	0.11
ეკა დემეტრაძე	1	0.11
თამარ ბუხნიკაშვილი	1	0.11
თამარ მამულაშვილი	1	0.11
თამარ ნიკოლაძე	1	0.11
თამარ ტყემალაძე	1	0.11
თამთა ცინაძე	1	0.11
თინი დალაქიშვილი	1	0.11
ია შუღლიაშვილი	1	0.11
ლაურა რეხვიაშვილი	1	0.11
ლია კაპანაძე	1	0.11
მაკა შალიკაშვილი	1	0.11
მანანა აბრამიშვილი	1	0.11
მარიამ ჩუხრუკიძე	1	0.11
მარიშა კიტია	1	0.11
ნინო ჩხეიძე	1	0.11
ნანა ლორთქიფანიძე	1	0.11
ნანული სარაჯიშვილი	1	0.11
ნატა ბერეჟიანი	1	0.11
ნატო მეტონიძე	1	0.11
თამუნა ნიკოლაძე	1	0.11
ნინო ჭოლაძე	1	0.11
ნინო ხომასურიძე	1	0.11
ირინა ჟღენტი	1	0.11
სოფო აბუაშვილი	1	0.11
სოფო ლომჯარია	1	0.11
ცისია მეტრეველი	1	0.11
სულ	937	100

მაყურებლის სოციოლოგიურ გამოკითხვაში დასახელებული თეატრმცოდნეები თეატრების მიხედვით

თავისუფალი თეატრი
ნიკოლოზ წულუკიძე 9
გიორგი ყაჯრიშვილი
ნოდარ გურაბანიძე
მაკა ვასაძე
ლაშა ჩხარტიშვილი

რუსთაველის თეატრი
ლაშა ჩხარტიშვილი 11
ნიკოლოზ წულუკიძე 6
ირინა ღოღობერიძე 3
მაკა ვასაძე 2
გიორგი ყაჯრიშვილი
ნოდარ გურაბანიძე
ნათელა არველაძე
გუბაზ მეგრელიძე
დალი მუმლაძე
მერაბ გეგია
ნანა ბობოხიძე

ახმეტელის თეატრი
ლაშა ჩხარტიშვილი 5
ნიკოლოზ წულუკიძე 4
ნათელა არველაძე
ვასილ კიკნაძე

ილიაუნის თეატრი
ნიკოლოზ წულუკიძე 6
ლაშა ჩხარტიშვილი 6
მაკა ვასაძე 4
ირინა ღოღობერიძე 2
დავით ბუხრიკიძე 2
გიორგი ყაჯრიშვილი 2
ირაკლი გოგია

მუსიკისა და დრამის თეატრი
ნიკოლოზ წულუკიძე 3
მაკა ვასაძე 3
ირინა ღოღობერიძე 2
ნათელა არველაძე
მანანა გეგეჭკორი

მარჯანიშვილის თეატრი
მარიკა მამაცაშვილი 2
ნიკოლოზ წულუკიძე 2
მაკა ვასაძე 2
ლაშა ჩხარტიშვილი
დოდო ხურცილავა
გიორგი ყაჯრიშვილი

სამეფო უბნის თატრი
ლაშა ჩხარტიშვილი 8
ნიკოლოზ წულუკიძე 3
გიორგი გვახარია 2
ნათელა არველაძე
სოფო კილასონია
ვასილ კიკნაძე
თათია პაქსაშვილი

მოზარდ მაყურებელთა თეატრი
ნიკოლოზ წულუკიძე 4
ლაშა ჩხარტიშვილი
მაკა ვასაძე

გრიბოედოვის თეატრი
ინა ბეზირგანოვა 4

თუმანიშვილის თეატრი
ნიკოლოზ წულუკიძე 5
ლაშა ჩხარტიშვილი 2
მაკა ვასაზე 2
გოგი გვახარია 2
დავით ბუხრიკიძე
თამარ კიკნაველიძე

ოპერისა და ბალეტის თეატრი
გულბაათ ტორაძე 3
სოფო კილასონია 2
ნიკოლოზ წულუკიძე 2
გიორგი ჩართოლანი
ლაშა ჩხარტიშვილი

თეატრმცოდნეების და კრიტიკოსების საერთო რეიტინგი თბილისში

ნიკოლოზ წულუკიძე 44
ლაშა ჩხარტიშვილი 35
მაკა ვასაძე 14
ირინა ღოღობერიძე 7
გიორგი ყაჯრიშვილი 7
ნათელა არველაძე 4
ინა ბეზირგანოვა 4
გულბაათ ტორაძე 3
დავით ბუხრიკიძე 3
სოფო კილასონია 3
ვასილ კიკნაძე 2
ნოდარ გურაბანიძე 2
გიორგი გვახარია 2
მარიკა მამაცაშვილი 2
გუბაზ მეგრელიძე
დალი მუმლაძე
მერაბ გეგია
ნანა ბობოხიძე
თათია პაქსაშვილი
თამარ კიკნაველიძე
მანანა გეგეჭკორი
დოდო ხურცილავა

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსებული სპექტაკლების სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევა

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში 2011-2013 წლებში დაფინანსდა 69 პროექტი. ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით თბილისის 20-ზე მეტ სახელმწიფო, მუნიციპალურ, თუ კერძო თეატრში განხორციელდა ახალი სპექტაკლების დადგმა. ბოლო სამი წლის განმავლობაში სათეატრო სფეროში ცენტრმა დააფინანსა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების (ღონისძიება, იუბილე, გამოცემა, გასტროლები უცხოეთში, სათეატრო სივრცის შექმნა და ჩამოყალიბება) თეატრალური პროექტი, რომელთა რაოდენობამაც ჯამში შეადგინა 83 ერთეული.

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში პროექტის ვარგისიანობას განსაზღვრავს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება პროფესიონალი ექსპერტებისგან. კომისიის წევრები არიან თეატრმცოდნეები: ვასილ კიკნაძე, მანანა გეგეჭკორი, დოდო ხურცილავა და ნიკოლოზ წულუკიძე.

უკვე განხორციელებულ სპექტაკლებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სათეატრო კულტურის განვითარებისათვის. გარდა იმისა, რომ ცენტრის მიერ დაფინანსებულმა სპექტაკლებმა შეავსეს სახელმწიფო თეატრების რეპერტუარი და ხელი შეუწყო თეატრების აქტიურ მუშაობას, პროგრამამ გამოავლინა არა ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული რეჟისორი და მსახიობი. დაფინანსებულმა პროექტებმა სასოწარკვეთილ ახალგაზრდა რეჟისორებს პროფესიაში დაბრუნების და მუშაობის გაგრძელების შანსი მისცა, ვინაიდან ახალ თაობას უჭირს სახელმწიფო თეატრებში სპექტაკლების განხორციელების უფლების მოპოვება სახელმწიფო თეატრის ბიუჯეტის სახსრებით. ამ პრობლემის გადასაჭრელად ცენტრის მიერ გამოცხადებულმა ღია კონკურსებმა სულზე მოუსწრეს ახალი იდეებით ანთებულ რეჟისორებს.

ცენტრმა დააფინანსდა უკვე აღიარებული, წარმატებული რეჟისორების არაერთი სპექტაკლიც, რომელთაც (გარკვეულმა ნაწილმა) მნიშვნელოვანი მხატვრული შედეგები აჩვენეს მაყურებელსა და პროფესიულ წრეებს.

წარმატებული სპექტაკლების პარალელურად ცენტრის მიერ დაფინანსებული სპექტაკლების გრძელ სიაში შევხვდებით წარუმატებელ პროექტებსაც, რომლებიც უკვე აღარ არის ამა თუ იმ თეატრის მოქმედ რეპერტუარში, სპექტაკლების ნაწილი არ გამოირჩეოდა მხატვრული ხარისხით, ორიგინალური რეჟისორული გადაწყვეტით, მნიშვნელოვანი არტისტული ანსამბლით, ან კერძო აქტიორული ნამუშევრით. დაფინანსებული და შემდეგ განხორციელებული პროექტების არათანაბარი მხატვრული ხარისხი და ეფექტუნარიანობა ბუნებრივი და ლოგიკური პროცესია, რომელიც კარგად გამოხატავს ზოგადად ქართული თეატრის დღევანდელ მდგომარეობას, ტენდენციებს, უნარებს, მისწრაფებებს.

დაფინანსებული სპექტაკლებიდან: 17 წარმოადგენს თანამედროვე ქართულ, 12 თანამედროვე უცხოურ, 12 ქართულ კლასიკურ, 18 უცხოურ კლასიკურ დრამატურგიას. კონკურსში მონაწილე რეჟისორთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, დაინტერესებულია უცხოური კლასიკური და თანამედროვე ქართული დრამატურგიის განხორციელებით სცენაზე, თუმცა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, თითქმის თანაბარი მონაცემებით გამოირჩევა ქართული კლასიკური და თანამედროვე უცხოური დრამატურგიისადმი რეჟისორთა ინტერესი. დაფინანსებული პროექტებიდან უცხოური დრამატურგიის გადმოქართულების 6 შემთხვევა გვხვდება და რაოდენ სასიხარულოა, რომ ცენტრის მიერ დაფინანსებული სპექტაკლების რიცხვში გვხვდება ოთხი, დრამატული ჟანრისგან (ფორმისგან) განსხვავებული არავერბალური (თანამედროვე ბალეტი, ცეკვის თეატრი) პროექტები. სასიხარულოა, რომ ცენტრი და პროფესიონალთა კომისია მხარს უჭერს არატრადიციულ და თანამედროვე სათეატრო ჟანრებს. სწორედ, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტები და მაყურებლის წინაშე ცეკვის თეატრის სპექტაკლებით წარსდგა ახალგაზრდა დებიუტანტი ქორეოგრაფი, ცეკვის რეჟისორი თინათინ ქოიავა, რომელიც მარიამ ალექსიძის მსგავსად, პერსპექტიულ და იმედისმომცემ ხელოვანებად მოიაზრებიან პროფესიულ წრეებში.

დაფინანსებული 69 სპექტაკლიდან დღემდე თეატრების მოქმედ რეპერტუარში რჩება 54 სპექტაკლი, რომლებიც სხვადასხვა ინტერვალით წარმოდგენილია თბილისის თეატრების სცენებზე. 15 სპექტაკლი უკვე მოქმედ რეპერტუარში აღარ არის. მათმა უმრავლესობამ მაყურებელსა და კრიტიკოსთა შორის არ გამოიწვია ინტერესი. რეპერტუარიდან მოხსნილ სპექტაკლების რიგში არის ორი სპექტაკლი- „მემუარები“ (რეჟისორი ირაკლი გოგია, მარჯანიშვილის თეატრი) და „ოლივერი“ (რეჟისორი დავით საყვარელიძე, რუსთაველის თეატრი), რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო მოიხსნა რეპერტუარიდან.

ზემოთ აღნიშნული სპექტაკლების ავკარგიანობის დასადგენად თეატრმცოდნეთა შორის ჩავატარეთ გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს თეატრმცოდნეებმა: დოდო ხურცილავამ, ირინა ღოღობერიძემ, ნიკა წულუკიძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა, მაკა ვასაძემ, გიორგი ყაჯრიშვილმა, თამარ ქუთათელაძემ, მანანა თევზაძემ, მანანა გეგეჭკორმა, ანანო მირიანაშვილმა და გვანცა გულიაშვილმა. რამდენიმე თეატრმცოდნემ თავი შეიკავა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებისგან. ამ გამოკითხვამ დაადასტურა ისიც, რომ თეატრმცოდნეთა დიდი ნაწილი არის შემოქმედებითად და პროფესიულად პასიური. მხოლოდ გარკვეული ნაწილი ადევნებს თვალს თბილისის სათეატრო ცხოვრებას.

თეატრმცოდნეთა გამოკითხვის შედეგად რეიტინგში ყველაზე მაღალი ქულები დააგროვა:
თემურ ჩხეიძის „გრონჰოლმის მეთოდი“ (მარჯანიშვილის თეატრი) და მიხეილ მარმარინოსის „R+J ბედისწერა დაბნეულია, მესამე განზომილება“ (თუმანიშვილის თეატრი).

კრიტიკის აზრით საუკეთესო სპექტაკლები:
გაბრიელ გოშაძის „ანტიგონე“ (ილიაუნის თეატრი),
მარიამ ალექსიძის „ჰარირა“ (რუსთაველის თეატრი),
ნინი ჩაკვეტაძის „სუფთა სახლი“ (თუმანიშვილის თეატრი),
ავთანდილ ვარსიმაშვილის „რიჩარდ III“ (თავისუფალი თეატრი),
იოანე ხუციშვილის „საძაღლე“ (თავისუფალი თეატრი),
ირაკლი გოგიას „მემუარები“ (მარჯანიშვილის თეატრი),
თინათინ ქოიავას „სიყვარულისთვის“ (მუსიკისა და დრამის თეატრი),
დათა თავაძის „ზამთრის ზრაპარი“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი),
კახა ბაკურაძის „გამა“ (მოძრაობის თეატრი),
რუსუდან ბოლქვაძის „ზვავი“ (თუმანიშვილის თეატრი),
გიორგი სიხარულიძის „ვეფხი და მოყმე“ (თუმანიშვილის თეატრი),
მამუკა ტყემალაძის „მაცეკვე ტანგო“ (თუმანიშვილის თეატრი),
ზურაბ გეწაძის „პოლიცია“ (თუმანიშვილის თეატრი),
გიორგი თავაძის „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ (ახმეტელის თეატრი),
დავით საყვარელიძის „ოლივერ“ (რუსთაველის თეატრი),
გიორგი შალუტაშვილის „სათამაშო პისტოლეტი“ (თავისუფალი თეატრი),
ბესო კუპრეიშვილის „მზის სხივი“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი).

ყველაზე სუსტ, წარუმატებელ სპექტაკლების რეიტინგში მოხვდა:
გურანდა იაშვილის „პანთეონი“ (მუსიკისა და დრამის თეატრი);
ვახტანგ ჯუღელის „დოდოს მოლოდინში“ (მარჯანიშვილის თეატრი);
გოგა ქაჩიბაიას და ბუბა ბასიშვილის „ფსიქოზი 4:48“ (ილიაუნის თეატრი);
ქეთი დოლიძის „ანდეგრაუნდი“ (თუმანიშვილის თეატრი);
ოთარ ეგაძის „ბრიყვთა ვახშამი“ (ილიაუნის თეატრი);
ავთანდილ ვარსიმაშვილის „უფრო დიდი იდიოკრატია“ (თავისუფალი თეატრი);
ლელა ჭინჭარაულის „ევროჯორჯია - ფრანგულის გაკვეთილი“ (მარჯანიშვილის თეატრი);
ოთარ ბაღათურიას „იავნანამ რა ჰქმნა?“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი);

რეცენზიები თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსებულ სპექტაკლებზე

გიორგი ყაჯრიშვილი

„თამაში სიკვდილის მოლოდინში“

„მემუარები“
რეჟისორი - ირაკლი გოგია

დრამატული ნაწარმოები შექმნილი მხოლოდ ორი პერსონაჟისათვის, რა თემაზეც არ უნდა იყოს და რა ფაბულაც არ უნდა ჰქონდეს მას, ძირითადად პაექრობაა ორ პიროვნებას და შესაბამისად ორ მსახიობ-შემსრულებელს შორის. უმეტეს შემთხვევაში ესაა ქალი და მამაკაცი, ყოფილი ცოლი და ქმარი, ან ყოფილი საყვარლები, ადამიანები, რომელთაც იმდენი რამ აკავშირებთ ერთურთთან, რომ მათი ისტორია, წარსული თუ მომავალი ჩვენი განსჯის საგანი ხდება ხოლმე არა მხოლოდ იმ სასპექტაკლო დროის განმავლობაში, როდესაც ისინი სცენაზე დგანან, არამედ შემდეგადაც. დრამატურგთა ნიჭიერებიდან გამომდინარე ეს ისტორია ან საინტერესო და მძაფრია, ან ბანალური და ინტერესს მოკლებული. მახსენდება მაგ. თამაზ ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“, ლეონიდ ზორინის „ვარშავის მელოდია“, სვეტლანა პროფოფიევას „მოწმეების გარეშე“, ბერნარ სლეიდის „წელიწადში ერთხელ“, ფრანსუაზ საგანის „ხიჭვი“ და ბევრი სხვა. მათ შორის ისიც, რომელიც ერთი პერსონაჟის მონოლოგია მეორის წინაშე წარმოთქმული თუ გათამაშებული, სადაც მეორე ადამიანი მისი ცხოვრების მეგზური და მოწმეა. ჯონ მარლის „მემუარები (1977)“ იმ კატეგორიის პიესას მიეკუთვნება, რომელიც დასაწყისიდანვე გრთავს ავტორის მიერ შემოთავაზებულ ინტრიგასა და ფორმაში, რომელიც თანდათანობით მძაფრდება და აპოგეას დასასრულისკენ აღწევს. სარა ბერნარის, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი მსახიობის ცხოვრება ყოველთვის იყო ყველას ინტერესის სფერო. აქ იმის გახსენებაც კმარა, რომ ცნობილმა იტალიელმა დრამატურგმა გაბრიელე დ’ანუნციომ, რომელიც აღმერთებდა ელეონორა დუზეს და თითქმის ყველა თავისი პიესა მას მიუძღვნა, სარა ბერნარის თამაშით აღფრთოვანებულმა, მთავარ როლი „მკვდარ ქალაქში“ მას გადასცა, რაც შემდგომ ელეონორა დუზესა და დრამატურგის განშორების ერთ-ერთი მიზეზიც კი გახდა.

რიო-დე ჟანეიროში ტოსკას როლის შესრულებისას მიღებული სერიოზული ტრამვის შემდეგ სარა ბერნარის ცალფეხობას სცენაზე თითქმის ვერავინ ამჩნევდა. გარდასახვის გენიალური ნიჭი ამ მსახიობს საშუალება აძლევდა შეესრულებინა იფიგენია, ადრიანა ლეკუვრერი, მარგარიტა გოტიე, ლედი მაკბეთი, კლეოპატრა , ფრუფრუ, მედეა, ფედრა და ჰამლეტიც კი.

„ჩემი ორმაგი ცხოვრება“ სარა ბერნარის მოგონებათა წიგნია. ავტობიოგრაფიულ ჟანრში შექმნილი ემიციურად მძაფრია და წასაკითხად რთული - აღსავსე საინტერესო სახეებით, პიროვნებებით, მოვლენებით, განცდებით და რაც მთავარია - სიმართლით.

მართლაც აპირებდა თუ არა მსახიობი სიბერეში მოგონებათა მეორე ტომის შექმნას, ეს შესაძლებელია სულაც დრამატურგ ჯ. მარლის ფანტაზია იყოს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ავტორმა ზუსტად მიაგნო სარა ბერნარის ხასიათის მნიშვნელოვან დეტალებს და სცენაზე გადმოიტანა.

რეჟისორ ირაკლი გოგიას არჩევანი და ამ პიესის მარჯანიშვილის თეატრში განხორციელება, ისევე როგორც როლების გურანდა გაბუნიასა და ოთარ მეღვინეთუხუცესისთვის შეთავაზება, ჩემი აზრით, უკვე იყო დიდი წარმატების საწინდარი. გ. გაბუნიას და ო. მეღვინეთუხუცესის სცენური დუეტი ბევრჯერ გვინახავს და მასზეც ბევრი დაწერილა: ვ. კოროსტილოვის „მარტოობის დღესასწაული“ , უ. შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა“, ლ. როსებას „პროვინციული ამბავი“ ლ. ბუღაძის „ნაფტალინი“. თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ამ ორ შესანიშნავ მსახიობს ნაკლებად ვხედავთ სცენაზე. გურანდა გაბუნია - რეალისტური მიმართულების მსახიობი - თავისი სამსახიობო კარიერის განმავლობაში თამაშობს ყველაფერს - მთავარი როლებიდან დაწყებული, პატარა მეორე პლანის (მაგ. ჟ. ანუის „ანტიგონე“ - რეჟისორი თ. ჩხეიძე) და მონო სპექტაკლებით (ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი „მიტევების დღე“ - რეჟისორი ქ. დოლიძე) დამთავრებული, დღესაც არ ღალატობს თავის სტილს და ერთმანეთზე უკეთესი წარმატებით ახორციელებს ახალ და ახალ სასცენო სახეებს. „მოგონებები“ ჭეშმარიტად მსახიობური სპექტაკლია, ერთგვარი „მასტერ-კლასი“, როდესაც ორი შესანიშნავი აქტიორი გვთავაზობს არა მხოლოდ პერონაჟთა სრულ, ავტორისეულ ინტეპრეტაციას, არამედ იმ რთულ ტექნოლოგიასაც, რაც პარტნიორის შეგრძნებასა და მასთან ერთად სცენური სიცოცხლის განცდას გულისხმობს. სარა ბერნარის - გურანდა გაბუნიას „აპარტეს“, რასაც ძალაუნებურად დრამატურგიული ტექსტი მოითხოვს, პიტუმ - ოთარ მეღვინეთუხუცესმა დაუპირისპირა თამაშის ის სტილი, როდესაც იგი სარას ყველა მონოლოგის თანამონაწილეა, მაშინაც კი, როდესაც სცენაზე მისი, მხოლოდ მეორე პერსონაჟის ყოფნის აუცილებლობაა და მეტი არაფერი.

სპექტაკლის „უვერტურაში“, როდესაც ჯერ ფარდაც კი არაა ახდილი, სცენაზე მოთავსებულ მაქმანებიან მზის ქოლგას იმ სამყაროში შევყავართ, სადაც სულ მალე მეოცე საუკუნის ფრანგული თეატრის ლეგენდას და უდიდესი მსახიობს ზღვის სანაპირო სახლში სიბერის ხანს განმარტოებულს აღმოვაჩენთ. კედელზე (მხატვარი მარიამ კვაჭაძე) სარას მიერ განხორციელებული როლების მთელი მუზეუმია, ხოლო დიდ საწერ მაგიდაზე კი მიმობნეულია ახალი წიგნის საცდელი ჩანაწერები, რომლის შევსება- კორეექტურაშია გართული პიტუ - მისი პირადი მდივანი. სიცხისგან გათანგულს, ჩაძინებულ სარას

პიტუ რეალურ ცხოვრებაში აბრუნებს. სარა კოჭლობით (მთელი სპექტაკლის განმავლობაში მხოლოდ აქ გვიჩვენებს მსახიობი მის ფიზიკურ ნაკლს) მაგიდისკენ მიემართება. ყოველთვის აქტიურ, სისხლსავსე ცხოვრებას მიჩვეული მძიმედ განიცდის თავის უმოქმედობას. მოგონებათა წიგნის მეორე ტომზე მუშაობის დაწყებაც ამ განწყობის გამოძახილია. სცენაზე თამაშში შეყვარებული ხვდება, რომ მხოლოდ ესღა დარჩენია და იძულებულია, პაპანაქება ზაფხულის დღეები წიგნზე ფიქრში გალიოს. მზე - მისი მტერი კი გასაქანს არ აძლევს და მასთან პაექრობაც სპექტაკლში სიმბოლურ დატვირთვას იძენს. სარა ხვდება, რომ მისი დღეები დათვლილია და მზის უკვდავობა სულ უფრო მეტად და მეტად აღიზიანებს მის გონებას - „შენც დაიფერფლები“ იმშვიდებს სულს.

პიტუს - პირად მდივანსა და სარას შორის კავშირი იდუმალებითაა მოცული - სარა გამუდმებით რაღაცას მოითხოვს მისგან - ქოლგას, გრამოფონს, საწერ კალამს, ვარდისფერ ან ყვავილებიან საქაღალეს, კვლავ ქოლგას, ძველ ჩანაწერებს, პიესას და აშ. როგორც ჩანს, ეს მათი ურთიერთობის მთავარი ფორმაა, რასაც თან ახლავს საუბრები, მოგონებები და მათი აღნუსხვა. პიტუ დიდი გულისყურითა და მოთმინებით ასრულებს თავის მოვალეობასა და სარას ყველ კაპრიზსა და მოთხოვნას. ჩვენ წინ იშლება სარა ბერნარის - ქერა ლოკონებიანი, ზღვისფერ კაბასა და შავ მოსასხამში გამოწყობილი, ულამაზესი მწვანეთვალება ქალბატონის მთელი ცხოვრება. ყოველგვარ ნაკლს მოკლებული, უზადო (არც მისი ცალფეხობა იგრძნობა) სამოცდაათს მიღწეული მსახიობი სცენაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას „მულტიფუნქციურია“ - ხან საკუთარ ცხოვრების მეგზურების - დედის - იუდიტ ბერნარის, ხან დის - ჟანას ისტორიას გვიყვება, ხან სცენაზე მის მიერ განხორციელებულ პერონაჟებს - ფედრას, მარგარიტას, ტოსკასა და ფრუფრუს წამოგვიდგენს. გურანდა გაბუნია რეჟისორის (ი. გოგია) დახმარებით პოულობს იმ გამომსახველობით საშუალებებსა და ნიუანსებს, ხელის მოძრაობას თუ ჟესტიკულაციას, რიტმსა და ხმასაც კი, რაც საშუალებას აძლევს, ერთდროულად იყოს ერთმანეთისგან სრულად განსხვავებული - სარას დედაც, დაც, მის მიერ სცენაზე ნათამაშები პერსონაჟები ფედრას, მარგარიტაც და სხვ. სარასაც და მოგონებებში ამოტივტივებულ სხვა პერსონაჟებს მსახიობი გურანდა გაბუნია სხვადასხვაგვარად თამაშობს: თვით სარა ბერნარი მომთხოვნია, მკაცრი, კატეგორიული, ხანდახან მზრუნველი და კეთილგანწყობილი; დედა - იუდიტ ბერნარი - გადაპრანჭული, ქარაფშუტა, პარიზული სალონების მუდმივი წევრი, ზედმეტად ემოციური, ხელების გამუდმებული და გაუზრებელი მოძრაობებით და პრანჭვა-გრეხით, ჟანა- ახალგაზრდა, ოჯახის ნებიერი, სარას გამუდმებული მეტოქე, ალკოჰოლიზმით დაავადებული, ვისი კარიერის შექმნაზეც ზრუნავდა უფროსი და. გურანდა გაბუნია უმაღლესი ფილიგრანული ტექნიკის საშუალებით ყოველი მათგანისთვის პოულობს სხვადასხვა გამომსახველობით საშუალებას და სხვადასხვა ფერთა გამას და ჩვენ წინაშე ცოცხლდებიან იმ ადამიანთა პორტრეტები, რომელთა გარემოცვაშიც იყო ან ვისი ცხოვრებითაც იცხოვრა სცენაზე სარა ბერნარმა. მიუხედავად სპექტაკლის მშვიდი, წყნარი რიტმისა მასში მაინც იგრძნობა შინაგანი დაძაბულობა და დრამატიზმი. ეს ემოციური მუხტი კი აპოგეას აღწევს იმ სცენაში, როდესაც სარა ბერნარი „ტოსკას“ წარმოდგენაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ გვიყვება. მაგიდაზე შემდგარი სარა გრანდიოზული და ამაყი ფრანგული თეატრის დიდი ქალბატონი, იმ ტრაგიკულ წუთებს იხსენებს, როდესაც ფეხი იტკინა, რაც შემდგომ ფეხის დაკარგვის მიზეზი გახდა. „სად იყავი პაბლო?“ მშვიდად, მაგრამ, ნერვიულ ნოტაზე იწყებს გურანდა გაბუნია სარას ამ მონოლოგს, თანდათან განცდა და ემოცია მატულობს, ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ დაძაბულობისა და ტრაგიზმის გამო სადაცაა მსახიობს ხმა ჩაწყდება და უსულოდ დაეცემა ჩვენ წინაშე. მაგრამ აქვე ხვდები, რომ იგი შესანიშნავად მართავს საკუთარ გრძნობებს, თავის შესაძლებლობებს და გუარანდა გაბუნიას, ამ ყველაზე დრამატულ მომენტში, ზუსტად მიჰყავს მაყურებელი იმ დასკვნამდე, რომ დიდი მსახიობი ყოველთვის უმაღლეს საშემსრულებლო დონეზეა, რომც ფიზიკურად ტკივილი აწუხებდეს. ათი წელი გაუძლო სარა ბერნარმა ფეხის საშინელ ტკივილს და ამის გამო არც ერთ როლზე არ უთქვამს უარი.

არანაკლები ემოციითა და განცდებითაა დატვირთული შემდეგი სცენა - ექიმთან - „ამპუტაციის განაჩენის“ გამოტანის შემდეგ გურანდა გაბუნია მაყურებლისკენ ზურგშექცეულია. თუ როლების შესრულებისას მრავალი ცრემლი დაუღვრია, რისი მოწმეც ბევრი პარიზელი და არა მხოლოდ ისინი ყოფილან, ახალ საკუთარ ტრაგედიას არავის დაანახვებს. არავინ არ უნდა შეამჩნიოს მისი სისუსტე, მისი ცრემლი და ის განცდა, რაც მას იმ მომენტში დაეუფლა.

ცხოვრება კი გრძელდება - მწველი მზე ისევ ამოდის, ახალ გეგმებსაც ისევ ბოლომდე უნდა მიყვანა.

ფინალურ სცენას - გრძელი მოსასხამით - „ხანგრძლივი მსახიობური და ცხოვრებისეული შლეიფით“ გურანდა გაბუნია თამაშობს დიდი ემოციითა და ოპტიმიზმით, მის გვერდითაა ჟორჟ პიტუ - მისი სამუდამო მეგზური.

აქ ორივე მათგანში - სარა ბერნარსა და გურანდა გაბუნიას გამოხედვაში იკითხება ოსკარ უაილდის ცნობილი ფრაზა: „თუ მაინცდამაინც გადაწყვიტეთ სიკვდილი, მაშინ მოკვდით სცენაზე“ .

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნებთ, ოთარ მეღვინეთუხუცესი ამ სპექტაკლში მხოლოდ პარტნიორი არაა. რასაკვირველია, დრამატურგიულად (ტექსური მასალიდან) ე.წ. საბენეფისო პიესაში იგი მეორე პლანის პერსონაჟად გვევლინება. მაგრამ ამ უდიდესმა მსახიობმა შექმნა ისეთი სახე, რომელიც მთავარ მოქმედ პირს უთანაბრდება. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ოთარ მეღვინეთუხუცესმა ბოლოს შესრულებული როლებით გვიჩვენა, რომ მას ხელეწიფება კომედიური და გროტესკული როლებიც. გარდასახვის შესანიშნავი ტექნიკა, რომელსაც მსახიობი ფლობს, სწორედ ამის საწინდარია. ავიღოთ თუნდაც მისი გრამოფონით შემოსვლის სცენა - შესრულებული უზადო პლასტიკით (ქორეოგრაფი გ. ტიელიძე) და ოსტატობით. მისი სცენაზე გამოჩენის პირველი წუთიდან მყარდება უშუალო კონტაქტი სარა - გურანდა გაბუნიასთან

და ეს დუეტი თანაბარი ძალით გვიჩვენებს ამ ორი პიროვნების ურთიერთობის კოლიზიას. იუმორით, სიკეთით, მხარდაჭერითა და მზრუნველობით აღსავსე პიტუ ხშირად სარა ბერნარის საპირისპირო მხარეცაა და ხანაც მისი მეორე „მე“. მსახიობური შესრულების კასკადში ვერ გამოვყოფ ვერც ერთის უპირატესობას. ერთი მსახიობი რომ ამთავრებს თამაშს, მეორე იწყებს. ასე მაგალითად მაშინ, როცა პიტუ - ოთარ მეღვინეთუხუცესი ასახიერებს ხან სარას დედას, ხან დედათა მონასტერის წინამძღოლ სოფიას, როდესაც მსახიობი ხმასაც კი იცვლის, რომ ზუსტად განასახიეროს ეს სახე, ხან ჟაკს, ხან მისტერ ჟერარს, ექიმსა თუ ოსკარ უაილდს. ლირიზმითა და დრამატიზმითაა აღსავსეა ავანსცენაზე გადმოტანილი ოსკარ უაილდისა და სარას სცენა, სალომეას შექმის და ოსკარ უაილდის მიერ ციხეში გატარებული დღეების გახსენება. მაგრამ ამავე დროს თვით ჟორჟ პიტუსაც თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია და მთელი სპექტაკლის განმავლობაში მიმდინარეობს ეს გაუთავებელი სახეცვლილებები შესრულებული უმაღლესი მსახიობური ოსტატობით. დასაწყისში ვახსენე ორი პერსონაჟისთვის შექმნილი პიესა პაექრობაა-მეთქი. ისინი არც საყვარლები ყოფილან, არც ახლო ნათესავები და არც ოჯახის წევრები, ამიტომაც არც აქვთ რაიმე საბაბი ერთმანეთს ებრძოდნენ. მათ ძირითადად მხოლოდ მსახიობის მოგონებები აკავშირებთ. პიტუ კი ხშირად იყენებს ამონარიდებს სარა ბერნარის წიგნიდან, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ ამ წიგნის შექმნაში მისი ხელიც ურევია. დღევანდელ წარმოდგენაში ორი ღირსეული მსახიობის ჭიდილია, სადაც ორივე მათგანი იმარჯვებს.

ახლა გათენებული დღევანელი დღეც ისეთივე იქნება, როგორც გუშინდელი, ისევ სცენაზე თამაშის სურვილით, მოგონებებით დატვირთული, მცხუნვარე მზე და ქოლგა...

„სიკვდილს კი არ უნდა ელოდო, არამედ უნდა იცხოვრო!“ - ასე აპირებს სარა ბერნარი და გურანდა გაბუნია სიცოცხლის გაგრძელებას.

გიორგი ყაჯრიშვილი

ნეტავ ვიცოდე რისთვის ვკვდები!

„ანტიგონე“

რეჟისორი - გაბრიელ გოშაძე

ოცდამეერთე საუკუნის თეატრმა უარი თქვა დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ ფარდაზე, რომელიც მოქმედების დაწყების წინ იხსნებოდა. ამით, რასაკვირველია, დაიკარგა მოულოდნელობის ის ეფექტი, რაც ამ ფარდის ახდას მოჰყვებოდა, როდესაც უეცრად აღმოჩნდებოდი მხატვრის მიერ გაფორმებულ იმ გარემოში, სადაც სპექტაკლის გმირებს უნდა ეცხოვრათ. ახალ კი, შედიხარ მაყურებელთა დარბაზში თუ არა, უკვე იმ სამყაროში აღმოჩნდები, სადაც მოქმედება უნდა განვითარდეს. სპექტაკლის დაწყებამდე ითვისებ ამ სივრცეს, განსაკუთრებით კი ისეთი მცირე ფორმების თეატრში, როგორიცაა „თავისუფალი თეატრი“, „სამეფო უბნის თეატრი“ ან ილიაუნის თეატრი - თეატრები, რომლებიც „გროტოვსკისეულ“ სტილს ამკვიდრებენ და სადაც მაყურებელი ისე ახლოს ზის მსახიობთან, რომ წარმოდგენის უშუალო თანამონაწილეც კი ხდება. ამიტომაც ცხადია, სპექტაკლზე პირველ წარმოდგენას სცენოგრაფი გიქმნის და მის ავ-კარგიანობაზე ფიქრს წარმოდგენის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სწორედ მხატვრის ნამუშევრიდან იწყებ. ასე იყო ილიაუნის თეატრის ბოლო ჟ. ანუის „ანტიგონეს“ პრემიერაზეც. შავ ფერებში გადაწყვეტილ სცენა-თეატრონზე (მხატვარი გ. აგაშენაშვილი) მხოლოდ უშველებელი აიწონა-დაიწონას ტიპის საქანელა დგას, რაზეც გათამაშდება ეს უკვდავი ტრაგედია და ის აქსესუარები, რაც დროდადრო დასჭირდებათ მსახიობებს: აკვარიუმი ოქროს თევზით, ვენური სკამები და საკიდი, საბეჭდი მანქანა (ჟან ანუისთვის ამ ბრძანებების დასაბეჭდად), ჩაის ჭიქები და პლუშის სათამაშო დათუნია - მაცნე ანტიგონეს ტრაგიკული ნაბიჯების დასაწყისისა.

რასაკვირველია დამდგმელი რეჟისორი გ. გოშაძე (რეჟისორი ა. ვაჭრიძე) ტრადიციას არ არღვევს და წარმოდგენას ქორო, უფრო სწორად, წამყვანი ან თუ გნებავთ, თვით დრამატურგი ჟან ანუი (მსახიობი ა. ვაჭრიძე) იწყებს. მაყურებელთა დარბაზთან შეთამაშებისა და გაშინაურების შემდეგ იგი ამ ტრაგედიის მოკლე შინაარს, გვაცნობს, რისი მოწმეებიც ახლა უნდა გავხდეთ. თეატრონის უკანა კედელზე თანამიმდევრულად ჩნდებიან მთავარი მოქმედი პირების აჩრდილ-სილუეტები. ისინი ხომ მართლაც სულები არიან, რომლებსაც დრამატურგმა დროებით მიუჩინა ადგილი ჩვენ წინაშე და რომელთა დიდი ნაწილი სულ მალე ზეცას აფრინდება.

ეს სილუეტები თანდათან ცოცხლდებიან, ანტიგონე (თ. ნავროზაშვილი) იმ აკლდამიდან ამოცოცდება, სადაც სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა. პოლინიკესა და ეთეოკლეს სისხლით მოსვრილი პერანგები, კარიბჭის სხვადასხვა მხარეს რომ ჩამოკიდებს წამყვანი, ვერასდროს გაცოცხლდებიან - ისინი, რომელთა სიკვდილი იმ ბუნტის მიზეზი ხდება, რაც საბაბად გაიხადა ანტიგონემ და რაც ასე აღაშფოთებს კრეონს.

„ანტიგონეს“ ქართულ სცენაზე იმდენად დიდი და გრძელი ისტორია აქვს, რომელშიც ყოველთვის უდიდესი მსახიობები თამაშობდნენ, რომ არ დავიწყებთ ამ ისტორიის მოყოლას. იგი მართლაც რომ ყველასთვის ცნობილია. არც ისაა გასაკვირი, რომ რომელიმე რეჟისორს მისი დადგმის სურვილი გაჩენოდეს - მთავარი ისაა, შეძლებს თუ არა იგი რაიმე ახლის თქმას, შეძლებს თუ არა ახალი ფურცელი შესძინოს ამ სპექტაკლის ისტორიას.

თუ ანტიგონეს თებეს ციკლის ბერძნული მითიდან სოფოკლემ შექმნა ამ მითის სცენური ვერსია, ჟან ანუისთვის იგი მხოლოდ ფონია, რაზეც უნდა განვითარდეს ორი პიროვნების - ბიძისა და დისშვილის, ქვეყნის მმართველის, მეფის და მისი ერთ-ერთი ქვეშევრდნომის და მომავალი რძლის, კრეონისა და ანტიგონეს დაპირისპირება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ჟან ანუის პიესა თამაშის თამაშია და ავტორი არც კი ცდილობს ამის შენიღბვას - ღია ტექსტით აძლევს დავალებებს პერსონაჟებს, თუ როდის დაიწყოს პატარა ანტიგონემ - გმირი ანტიგონეს და ოჯახსა და საკუთარ სამშობლოზე მზრუნველმა კრეონმა - დიქტატორი და მბრძანებელი კრეონის თამაში. ეს მოცემულობაა და ეს მონაცვლეობა გამუდმებით გრძელდება.

რეჟისორმა არ გადაღალა არც თავისი თავი და არც მაყურებელი „ზედმეტი“ პერსონაჟებით. გაქრნენ ევრიდიკე, მსახური, ჩაფრები, ზოგიერთი მათგანი კი ერთ პერსონაჟში გაერთიანდა. მაგ ქორო, მსახური; მცველი. ყველაფერმა ამან უფრო შეკრა წარმოდგენა. გ. გოშაძემ კონცენტრაცია გააკეთა ანტიგონე-კრეონის დაპირისპირებაზე.

გაგა გოშაძემ სწორედ ამ თამაშის თამაშის წინ წამოწევა დაისახა მიზნად და ბოლომდე მისდევს მას. სცენაზე მედიდურად „გაწოლილი“ აიწონა-დაიწონაც ამის დასტურია და იმისა, რომ ანტიგონე და კრეონი ყოველთვის მის სხვადასხვა მხარეს არიან.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა რეჟისორის ზოგიერთი რეჟისორული ხერხები სწორხაზოვანი და ილუსტრაციულია, კარგი იქნება, თუ იგი შემდგომში თავიდან აიცილებს ამას.

სცენაზე კი დილაუთენია დაბრუნებული ანტიგონეა, რომელიც საგანგებოდ მალავს, სად იმყოფებოდა ღამით. კრეონის საყვარელ აკვრიუმზე იბანს მიწით მოთხვრილ ხელებს. ესეც გარკვეულწილად მისი პროტესტია და იმის დასტური, თუ როგორ აღიზიანებს მას ყველაფერი ის, რაც თითქოსდა სასახლეში მიმდინარე ბედნიერი ცხოვრების გამოხატულებაა. არც ისმენეს (მ. ძაგანია) და არც ძიძას (თ. მაყაშვილი) არ ანდობს თავის საიდუმლოს, განსაკუთრებით კი ისმენე აღიზიანებს - გაპრანჭული, შავ-თეთრ სამეჯლისო კაბაში, ფერუმარილნაცხები, საგანგებოდ დავარცხნილი, თითქოს უმაღლესი რაუტის შეხვედრაზე მიდიოდეს. მედიდური, გამუდმებით მბრძანებლური ტონით რომ საუბრობს - ზედგამოჭრილი დედამისი იოკასტაა. ანტიგონე კი უბრალი ჩითის ბალახონში, უხეში ჩექმებით, გამხდარი და თმაარეული. ისინი სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობენ, განსხვავებული იდეალებით, ამიტომაც აიწონა-დაიწონას სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. თუმცა ისმენე მაინც ცდილობს, საერთო ენა იპოვოს დასთან, გვერდით მიუჯდება და არწმუნებს, რომ „მაღალი იდეალები კაცების საქმეა“- თუმცა მათ შერიგებამდე კიდევ დიდი დროა. ანტიგონეს საუბარი ძიძასთანაც იმის დასტურია, რომ მისი გადაწყვეტილება ურყევია - მან უკვე საკმარისად „იცხოვრა“ და ახლა უკვე თავგანწირვით სიკვდილის ხანი დამდგარა.

ჰემონთან (გ. ჭუმბურიძე) შეხვედრაც ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული. თუ ჰემონი ამ შეხვედრით დიდ გეგმებს აწყობს, ბეჭედს ჩუქნის და მომავალი ოჯახის ბედნიერებას სახავს, ანტიგონესთვის ეს მასთან განშორებაა და გამომშვიდობების სცენა. აქ იგი უბრალო ანტიგონეა, გულუბრყვილო, რომანტიკული, შეყვარებული - ამიტომაც ტრაგიზმით აღსავსე. სამაგიეროდ მალევე, კვლავ ისმენესთან შეხვედრისას იგი ახლა იმ გმირ ანტიგონედ გადაიქცევა, რომელმაც თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და ბოლომდე მიიყვანოს ის, რაც ჩაიფიქრა.

კრეონი (გ. როინიშვილი) შავ-თეთრებში შემოსილი, გამოსვლისთანავე ჟილეტს გაიხდის და საყვარელ აკვარიუმს მიაშურებს, რუდუნებით მოვლილ ოქროს თევზების ცქერით ტკბება - მათ გამოაღვიძებს, შეეთმაშება კიდევაც - მოხდენილად მალავს შინაგან აღელვებას, აწი უკვე ჩადენილ ქმედებას. ცდილობს შექმნას იდეალური გაწყობისა და ოჯახური სიმშვიდის ილუზია, თუმცა მიცვალებულის ნეშტთან ნაპოვნი სათამაშო დათუნია, რომელიც თვითონვე აჩუქა დისშვილს ამ ილუზიიდან გამოიყვანს - მის წინაშე საქანელაზე თოკით მიბმული ანტიგონეა და იწყება მათი, გაუთავებელი, მართლაც რომ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება.

მთელი სპექტალის განმავლობაში ორივე მსახიობს დიდი ექსპრესიით და ემოციური დატვირთვით მიჰყავს ეს სცენები - თუ გია როინიშვილისთვის - უდავოდ ნიჭიერი, გამოცდილი, წარმატებული მსახიობისთვის ეს ადვილი და მარტივია, მას წილს არ უდებს ახალბედა, დამწყები და ახალგაზრდა შემსრულებელი.

დასაწყისში კრეონს სახეზე ღიმილიც კი დასთამაშებს. აქ იგი მზრუნველი ბიძაა და მომავალი სიმამრი. გ. როინიშვილის კრეონი ჯერ დიქტატორ მმართველად არ ქცეულა. იგი მის ხელთარსებული ყველა ხერხით ცდილობს ანტიგონეს დაყოლიებას. თავიდან, თავისთავში დარწმუნებულს, ეჩვენება, რომ ადვილად მიიჩნევს საწადელს - მირთმეულ ჩაის დააგემოვნებს, ანტიგონესაც სთავაზობს, მსახურთანაც საუბრობს და მის მიერ მომზადებული ჩაის შეუქებს, თუმცა იგრძნობა ნერვული ფონი. ისინი ხომ მაინც აიწონა-დაიწონას სხვადასხვა კუთხეში არიან. ანტიგონე უნდობელი და თვითნებაა - საქანელაზე შეხტება და ზევიდან დასცქერის კრეონს. ბრძოლა უპირატესობის მოპოვებისათვის აპოგეას აღწევს, კრეონის აზრით, ანტიგონე ზედგამოჭრილი მამამისია. ოიდიპოსის აუგად ხსენებას ვერ აპატიებს ანტიგონე - თ. ნავროზაშვილი - ეს ხომ მისი ის პატარა ქალიშვილია, რომელიც თვალებდათხრილ ოიდიპოსს კოლონოს ქუჩებში დაატარებდა და ბოლომდე პატრონობდა მას. ეს ხომ ის ანტიგონეა, რომელსაც თებეს მეფე ლაიოსის ცოდვამ უწია და ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელია, ვიზეც უნდა დამთავრდეს ღმერთების რისხვა წინაპართა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამო.

უეცრად გ. როინიშვილს - კრეონს ღალატობს თავშეკავება და ყვირს, ყვირის ისტერიულად, თუმცა მალე გონს მოეგება. სიტუაცია ზამბარასავით დაძაბულია, თუმცა არის მომენტი, როდესაც შერიგებამდე სულ

ცოტა დარჩა - ანტიგონე მიუახლოვდება, უკნიდან ეხვევა და კოცნის კიდევაც საკუთარ ბიძას, მაგრამ ეს არაა შერიგება, პირიქით, ბრძოლის შემდგომი ეტაპის დასაწყისია, და კვლავ ტრიალებს საქანელა. კრეონი და ანტიგონე მის სხვადასხვა მხარეს ჩამომსხდარან და საპნის ბუშტებით ერთობიან - ცხოვრება ილუზიაა, იდეალების მსხვრევა, რომელსაც ხელით ვერ დაიჭერ და სკდება საპნის ბუშტებივით.

კრეონმაც და ანტიგონემაც ხომ შესანიშნავად იციან, რომ ვერც კრეონი დაიხევს უკან და ვერ შეცვლის თავის ბრძანებას და არც ანტიგონე იტყვის უარს თვის განზრახვაზე და აუცილებლად უნდა დაიღუპოს. ეს ორივეს ბედისწერაა და ორივე უდრტვინველად მიყვებიან ამ გზას. მაშინ რატომაა საჭირო ყველაფერი დანარჩენი, რატომ ცდილობენ ისინი, ერთმანეთს სიმართლე დაუმტკიცონ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ესეც თამაშია - თამაში ერთმანეთზე გამარჯვებისა. და კარგად გათამაშებული სპექტაკლით და კარგად შესრულებული როლებით იგებს მხოლოდ მაყურებელი.

ამ სპექტაკლში ანტიგონე მხოლოდ იმიტომ იბრძვის რომ მოკვდეს, მხოლოდ იმიტომ, რომ კრეონმა მუდმივი სიცოცხლე არ მიუსაჯოს, რომელიც ასე ზარავს მას, მიხედავად იმისა, რომ ჰემონი უყვარს.

რატომ უნდა უნდოდეს სიკვდილი ანტიგონეს? იმიტომ ხომ არა, რომ არ უნდა მონობაში ცხოვრება. ხედავს, რომ კრეონი დიქტატორად ყალიბდება, იცის, რომ ჰემონი სუსტია და ვერ გაუწევს მამამისს წინააღმდეგობას და არც მაინცდამაინც დიდ პერსპექტივად მიაჩნია თავისი მომავალი და ის ტანჯვა, რომელიც ელის, მაშინაც კი, თუ ვაჟი გაუჩნდება. ხომ სავარაუდოა, რომ ისიც სახელმწიფო მანქანის და „პოლიტიკის“ მსხვერპლი გახდება.

კრეონი - გ. როინიშვილი კიდევ ერთ ხერხს მიმართავს - ამჯერად ძმების ისტორიას ყვება - ემოციურად, უმაღლესი მსახიობური ოსტატობით, სადაც მთხრობელიც და მთავარი როლის შემსრულებელიც იგია, აფრიალებს ძმათა სისხლიან პერანგებს - „ყველაფერი პოლიტიკაა“ ამბობს კრეონი - გ. როინიშვლი (როგორ ორმაგი სიმძლავრით ჟღერს ეს ფრაზა პარლამენტის ყოფილი წევრისგან!) და კულმინაცია - უეცრად ანტიგონე საქანელის თავზე მოექცევა, კრეონი კი ქვევით, თითქოს მიწაზეა გართხმული და უკვე მათი ბრძოლა ფიზიკურ შეტაკებაში გადადის. კრეონი ანტიგონეს მწარედ ნაკბენს აკვარიუმის წყლით იშუშებს და გადაწყვეტილებაც მიღებულია. ანტიგონე მიჰყავთ.

დილეგში მოხვედრილი ანტიგონე, როგორც კი გამოდის ამ თამაშიდან, მისთვის ჩდება კითხვა - „ნეტავ ვიცოდე, რისთვის ვკვდები?“ - ის კვდება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ არ იცოცხლოს. ბოლოს და ბოლოს კრეონიც მიხვდება ამას. ჰემონთან საუბარში ამბობს კიდევაც - „მან სიკვდილი აირჩია“ და აქ, ერთად - ერთხელ ხდება ამ ორი დაპირისპირებული ადამიანის თანხვედრა, ისინი აღარ იბრძვიან, ანტიგონემ აჯობა კრეონს. მან თავისას მიაღწია - კრეონისაგან მოიპოვა სიკვდილის უფლება და კრეონიც დათანხმდა.

ჰემონი თ. მაყაშვილი თამაშობს მკაცრ, მაგრამ სამართლიან და მოსიყვარულე ძიძას. ანტიგონე მისი ფავორიტია, რომელიც იოკასტას სიკვდილის შემდეგ მის ხელში აღმოჩნდა და მისთვის მზრუნველობა არ მოუკლია. პირველ გამოჩენისთანავე ხვდება, რომ ანტიგონე რაღაცას ატყუებს - კარგად იცის მისი ხასიათი და ისიც, რომ პაემანაზე წასვლისთვის არ დახარჯავდა დროს. თუ ამ საუბრის შედეგად ვერ აღწევს სიმართლის გაგებას, მეორე სცენაში მისთვის ყველაფერი ნათელია. ამიტომ განიცდის თ. მაყაშვილი - ძიძა ასე მწარედ ანტიგონეს აღსარებას და ზუსტად ხვდება, რომ ანტიგონეს გადაწყვეტილება საბოლოოა - მის მიერ უდედოდ აღზრდილი საყვარელი პირმშო ემშვიდობება მას. ასევე უაღრესად ემოციური და ტრაგიკულია მისი გამომეტყველება, მაშინ როცა საბოლოოდ ართმევენ ანტიგონეს. მის სახეზე უდიდესი ტკივილი და ტანჯვაა აღბეჭდილი. დამუნჯებულს, შეძრწუნებულს და განადგურებულს აღარაფერი დარჩენია, რა მდუმარედ გამომშვიდობების გარდა.

მ. ძაგაბიას ისმენე - მედიდური, მამაკაცების ყურადღებით განებივრებული, ქარაფშუტა ქალია. კრეონის წინაშე მორიდებამ და ალბათ პატივმოყვარეობამ მის ერთგულად აქცია. ოჯახში ლიდერობს და ცდილობს, ანტიგონე „გონზე მოიყვანოს“. არა გადაარჩინოს და იხსნას განსაცდელისგან, არამედ გადაარწმუნოს, დააბრუნოს „სამუდამო ტყვეობაში“. და მხოლოდ მაშინ, როცა ხვდება, რომ ანტიგონეს ბედი გადაწყვეტყილია, მძაფრად იმაღლებს ხმას და ამბობს იმას, რაც ყველაზე ძალიან აშინებს კრეონს - „შენთან ერთად წამოვა, მერე სხვებიც...“ მ. ძაგანია - ისმენე იცვლება და იგიც ასევე კატეგორიული და ძლიერი ხდება, როგორც მისი და ანტიგონე იყო.

კვლავ იბანენ ხელს აკვარიუმის თავზე, ახლა კი კრეონი და აკვარიუმის წყალი სისხლით იღებება - ჰემონის სისხლით.

სისხლისფერ წითელ კამზოლში გამოწყობილი კრეონი ტოვეს თეატრონს, სადაც ეს წარმოდგენა გათამაშდა და რომელიც ასევე წითლადაა გაფერადებული. მაყურებლისკენ ზურგშექცევით ნელ-ნელა ადის მაღლა, თუმცა ეს საფეხურები დაღმავალი კიბეა, რომელსაც იგი ქვემოთ დაცემისკენ, უფსკრულისკენ მიჰყავს და მსახიობის ზურგზე აღბეჭდილია ის ტანჯვა და ვაება, ის სიმწარე და ის კატასტროფა, რაც მის გულში ტრალებს, რაც მან განიცადა და რისი თავიდან აცილებაც ბედისწერამ არ არგუნა.

მაკა ვასაძე

განსხვავებული ჟანრის სპექტაკლები ერთ თეატრში

„Andergraund XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“

რეჟისორი - ქეთი დოლიძე

ინგა გარუჩავას და პეტრე ხოტიანოვსკის დრამატურგიულ ნაწარმოებზე - „Andergraund XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“ - ქეთი დოლიძემ ორჯერ იმუშვა. თავდაპირველად პიესა მოსკოვში, სტას ნამინის თეატრში დადგა (2011 წ.). წარმოდგენა თბილისში, 2013 წელს აღდგენილ საერთაშორისო ფესტივალზე „საჩუქარი“ (Gift), ვნახე. 2013 წლის მიწურულს კი პრემიერა თბილისში, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, შედგა. ჩემი აზრით, მოსკოვის და თბილისის სპექტაკლები ისე განსხვავდებიან, როგორც „ცა და დედამიწა“. უპირველეს ყოვლისა, სხვაობა მსახიობთა შესრულებას ეხება. მოსკოვურ, მიუზიკლის ჟანრში გადაწყვეტილ წარმოდგენაში, რუსი მსახიობების უნიჭო, უსმენო სიმღერა და მოუქნელი მოძრაობები, იმდენად გამაღიზიანებელი და მომაბეზრებელი იყო, რომ გრიბოედოვის თეატრში მცირე რაოდენობით მოსული მაყურებლის (სპექტაკლი სამუშაო დღეს 3 საათზე ითამაშეს) უმრავლესობა, მეორე მოქმედებიდან დარბაზი დატოვა. ამას გარდა, სხვაობა სპექტაკლის ფორმატსაც ეხება. თუმანიშვილის თეატრის ერთმოქმედებიანი წარმოდგენის ხანგრძლივობა საათი და თხუთმეტი წუთია. დაუსრულებელად აღიქმებოდა სტას ნამინის მუსიკალური თეატრის ორმოქმედებიანი სპექტაკლი. შედარებითი ანალიზით თავს აღარ შეგაწყენთ.

ქეთი დოლიძემ ორაქტიანი პიესა - „Andergraund XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“ - დაამუშავა, კუპიურები შეიტანა, ტექსტი შეამცირა, სასიმღერო ლექსები შეკვეცა, გადააადგილა, და, როგორც უკვე აღვნიშნე, თუმანიშვილის თეატრში ერთ მოქმედებად წარმოადგინა. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ტექსტუალურმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად დახვეწა პიესა, მიუზიკლის ჟანრში გადაწყვეტილი წარმოდგენა სრულყო და მაყურებლისთვის საინტერესო, სახალისო სანახაობა შეიქმნა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჟანრის სიმსუბუქის მიუხედავად, რეჟისორმა, დრამატურგიული ნაწარმოებიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებისთვის (და არა მარტო ჩვენი) საჭირბოროტო, მტკივნეული საკითხები გამოიტანა მაყურებლის სამსჯავროზე. სპექტაკლისა და პიესის შინაარსის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, ჩემი აზრით, რისი თქმა სურდა რეჟისორს. სიყვარულსა და მეგობრობაზე, ერთგულებასა და ღალატზე, რწმენასა და ურწმუნოებაზე, სიწმინდესა და უწმინდურობაზე, ნიჭიერებასა და უნიჭობაზე, პატიოსნებასა და ხელმრუდობაზე, თანალმობასა და არაგულისხმიერებაზე, ამპარტავნებასა და თავმდაბლობაზე, ნებისმიერი ეპოქის ჩინოვნიკურ „მსოფლმხედველობაზე“, უახლოესი ისტორიული წარსულისა და დღევანდელობის პრობლემებზეა სპექტაკლი. ადამიანებისთვის მტკივნეული თემები რეჟისორმა და მსახიობებმა, სპექტაკლის ჟანრიდან გამომდინარე: სიმსუბუქით, იუმორით, ზოგჯერ ირონიითა და ზოგჯერ გროტესკით მიაწოდეს მაყურებელს. ვფიქრობ, რეალობაში არსებული პრობლემებით დატვირთულ, სხვადასხვა პოლიტიკური ბატალიითა, თუ სოციალური სიდუხჭირით „დახუნძლულ“ საქართველოს მოსახლეობას, ზოგჯერ (ხშირად თუ არა) საჭიროა ამგვარი, გასართობი სახის წარმოდგენებით ესაუბრო. მით უმეტეს, როდესაც ასეთ კარგ მსახიობთა ანსამბლთან ერთად ქმნი სანახაობას.

პიესასა და სპექტაკლში მოქმედება „მიწისქვეშეთში“, მიწისქვეშა გადასასვლელში ვითარდება. დრამატურგებმა და რეჟისორმა მეტაფორულად, სათაურშივე მიუთითეს სათქმელის არსი - XXI საუკუნე ინტერნეტ სივრცეში გაშლილი „ჯოჯოხეთია“, რომელიც მთელ დედამიწას მოიცავს, XXI საუკუნის მიერ მოტანილი ცხოვრების წესი კი ყველგან ერთნაირად სასტიკი და ულმობელია. სწორედ, ამ ჯოჯოხეთური ცხოვრებიდან, მიწისქვეშეთიდან დაღწევას ცდილობენ სპექტაკლის პერსონაჟები. ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებული პერსონაჟი-მსახიობები ადამიანთა სხვადასხვა ტიპაჟს განასახიერებენ. ვის არ შეხვდები აქ: პატიოსანსა და ხელმრუდს, პრინციპულსა და უპრინციპოს, ნიჭიერსა და უნიჭოს, რომანტიკოსსა და პრაგმატიკოსს, მორწმუნესა და ურწმუნოს, წმინდასა და უწმინდურს... რეჟისორმა და მხატვარმა მიშა მდინარაძემ ყველა კინოკადრში მოათავსა. სცენოგრაფია სადაა, არ არის გადატვირთული დეკორაციით და რაც, მთავარია, რეჟისორის ჩანაფიქრს ზუსტად ესადაგება. სათამაშო მოედანი კინოეკრანის და ე. წ. „ზუმის“ პრინციპით აგებული კინოკადრის ასოციაციას ბადებს. ფიცარნაგზე სამი ლიუკია განთავსებული, სცენის ერთ კუთხეში მუსიკალური ინსტრუმენტები, მეორე კუთხეში კი თეჯირი და სავარძელია მოთავსებული, ორივე მხარეს მოგრძო, უზურგო ხის ორი სკამი დგას, კინოეკრანს კრავს რამდენიმე ფენად სცენის ორივე მხარეს ჩამოშვებული გვერდები, ერთ-ერთ მათგანზე მთელ სიგრძეზე გრეტა გარბოს პორტრეტია, სხვებზე ყვავილები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სანოტო ნიშნები და ანგელოზებია გამოხატული. სიღრმეში შეყავხარ, ასევე რამდენიმე ფენად აკეცილ, თითქოს ნახევრად დაგორგოლავებულ ეკრანებს, რომლებზეც ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები და სანოტო ნიშნებია ჩახატული. ყველაფერ ამას კი ასრულებს სცენის სიღრმეში, მთელ სიგრძეზე გადაჭიმული „ეკრანი“ - ლურჯი, ლაჟვარდოვანი ცა და მასზე გამოსახული ანგელოზი. რეჟისორი და მხატვარი მიგვანიშნებენ, რომ გამოსავალი ყველანაირი სიტუაციიდან, მიწისქვეშეთიდანაც კი არსებობს, მთავარია შენ, ადამიანმა მოინდომო...

პიესასა და სპექტაკლში ორი მთავარი პერსონაჟია: პრინციპული, პატიოსანი, იმავდროულად მეოცნებე-რომანტიკოსი დირიჟორი და ასევე პატიოსანი, უფრო მეტად მეოცნებე, ყველაფრისდა მიუხედავად ოპტიმიზმით აღსავსე, მთელი არსებით სასწაულის მომლოდინე, მათხოვარი ქალი. დანარჩენები, მათი ცხოვრების თანმდევი პერსონაჟები არიან: შეგირდი, შვილი, ყოფილი ცოლი, ქურდი, პოლიციელი,

ჩინოვნიკი, ყოფილი ცოლის ყეყეჩი ქმარი, შეყვარებული - შემდგომში მექორწინე წყვილი.

წარსულში ფეიქარ-მშრომელ ქალს, რეალობაში ულმობელი ცხოვრებისაგან გამათხოვრებულს, მზია არაბული განასახიერებს. ყმაწვილობიდან მოყოლებული, გრეტა გარბო - 20-იანი წლების კინოვარსკვლავი, მისი იდეალი, სათაყვანებელი ქალია. გამჭრიახი გონების მათხოვრმა, გრეტას იმიჯი, პურის ფულის შოვნის ხერხად გამოიყენა. მზია არაბულმა მაკიაჟის, კოსტიუმების, მიმიკისა და პლასტიკის საშუალებით, თავისი პერსონაჟი მართლაც საოცრად დაამსგავსა ყველა დროის ულამაზეს ქალბატონს. რამაზ იოსელიანის მაესტრო გხიბლავს უშუალობით, თითქოს უბრალო, მარტივი, მაგრამ ჩვენს დროში დეფიციტური ადამიანური თვისებებით. მსახიობმა - სითბოთი, მოყვასისადმი სიყვარულით, მიმტევებლობით, მადლიერების გრძნობით, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობით, ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების დანახვისა და მათში ამ ნიჭის გამოვლენის უნარით აღვსილი პიროვნების სახე შექმნა. ადამიანებისგან, ცხოვრებისგან ბევრჯერ „ნაცემი“, გულნატკენი, მაინც უბოროტო რჩება. რამაზ იოსელიანი ყოველთვის გამოირჩეოდა პლასტიkურობით, მაგრამ, მაინც, მინდა აღვნიშნო, „ანდერგრაუნდში“ მისი თავშეკავებული, გემოვნებით, ზომიერი მოძრაობებით შესრულებული ცეკვები. მზია არაბულის პლასტიკა კი ცეცხლოვანი, მგზნებარეა. მარიამ ალექსიძის დახვეწილი გემოვნებით შესრულებული სპექტაკლის ქორეოგრაფიულ ნახაზი მიუზიკლის სანახაობით მხარეს უფრო ეფექტურს ხდის. თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, უცხოეთში მომუშავე დიპლომატის, ვითომ სასტიკი, სინამდვილეში კი ამპარტავანი ბრიყვის პერსონაჟი განასახიერა პაატა ბარათაშვილმა ეკას მოქმედი ქმრის ეპიზოდურ როლში.

ახალგაზრდა შემსრულებლებიდან მინდა აღვნიშნო ვანო დუგლაძე - სიყვარულისა და მზურნველობის შედეგად, გამოსწორების გზაზე დამდგარი, გულუხვი და გულკეთილი ქურდი. წარმოსადეგი, გამომსახველობითი მიმიკის, ჟესტიკულაციისა და პლასტიკის მქონე ახალგაზრდა მსახიობი სამ სპექტაკლში მყავს ნანახი: ადიკო „გუშინდელნში“ (სოხუმის თეატრი, რეჟ. გ. კაპანაძე), სხვადასხვა პერსონაჟი „ჩიტის მოტანილ ამბავში“ (თუმანიშვილის თეატრი, ნ. დუმბაძის მოთხრობების მიხედვით, რეჟ. კ. მირიანაშვილი), ქურდი „ანდერგრაუნდში“. სამივე წარმოდგენაში ახალგაზრდა მსახიობმა განსხვავებული სახეები შექმნა. ზემოჩამოთვლილი მონაცემების გარდა, მას კარგი სასცენო მეტყველება აქვს, რაც ასე იშვიათია თანამედროვე ქართულ თეატრში. ქეთი დოლიძემ კიდევ რვა ახალგაზრდა მსახიობი დააკავა სპექტაკლში. რეჟისორთან ერთად მათ მეტ-ნაკლებად საინტერესო ტიპაჟები შექმნეს. ნიჭიერი, ორკესტრის ყოფილი სოლისტი, ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი პირდაპირი, „პირში მთქმელი“, იმავდროულად სამართლიანი და პატიოსანი პერსონაჟია ბექა ჯიბუტის კლარნეტისტი. მეოცნებე, მამაზე მზრუნველი, რომანტიkული შეყვარებული, ემოციური ბუნების მქონე ადამიანის ტიპაჟია - ირინა გიუნაშვილის - მაესტროს ქალიშვილი ნიტა. ცოტათი კეთილი გულის ბრიყვ, მაგრამ გაქნილ, „ხარკის ამკრეფ“ პოლიციელს თამაშობს გუგა კახიანი. საყვარელი ადამიანის ღალატის გამო დატანჯული, მონანიე ქალის (მაესტროს ყოფილი ცოლი ეკა) სახე შექმნა ანა მატუაშვილმა. მხიარული, ცხოვრებისგან ჯერ კიდევ გაურყვნელ, შეყვარებულ - მექორწინე წყვილს თამაშობენ თამუნა ბუაჩიძე და ილია ჭეიშვილი. გადაგლესილთმებიანი, წვრილი სათვალით, თვითდაჯერებული, „მაწაკი“ გაიძვერაა ზაზა ვაშაყმაძის ჩინოვნიკი. სპექტაკლის სარეჟისორო კონცეფციის, მიუხედავად ყველაფრისა სიკეთე, სიწმინდე მაინც იმარჯვებს („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“-ს პრინციპით) - განსახიერებაა ნიკა წერედიანის, შიგნიდან გამოკერებულ თეთრ ბუმბულებიან გრძელ ლაბადაში გამოწყობილი, იუმორის გრძნობის მქონე, კეთილი ანგელოზი.

მოქმედ პირთა კოსტიუმების მხატვარია სოფო ქორიძე, რომელმაც, სპექტაკლის ჩანაფიქრიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის, ეპოქის გამომხატველი, პერსონაჟთათვის დამახასიათებელი სამოსი შექმნა. მაგალითად, მზია არაბულის მათხოვარი, გრეტა გარბოს მიერ ნათამაშებ, რამდენიმე კინოროლს აცოცხლებს სცენაზე. აქედან გამომდინარე, იგი რამდენჯერმე იცვლის კოსტიუმს.

სპექტაკლის მუსიკალური რედაქტორია რუსუდან ბახტაძე. შერეული ჟანრის სპექტაკლში, ძირითადი აქცენტი, მუსიკალური თვალსაზრისით, მოცარტის ნაწარმოებთა ნაწყვეტების გამოყენებაზეა გაკეთებული. მიწისქვეშა გადასასვლელში სამათხოვროდ განლაგებული ორკესტრი, მაესტროს დირიჟორობით, სწორედ მოცარტს ასრულებს. ღვთიური გენიით დაჯილდოებული კომპოზიტორი, ალბათ, მაესტროს ყველაზე მეტად სათაყვანებელი, და, შეიძლება წარსულში (პრინციპულობის გამო საგიჟეთში მოხვედრამდე), მისი წარმატების ერთგვარი ქვაკუთხედი (საწინდარი) იყო. ჩართული სიმღერების ტექსტის ავტორები ინგა გარუჩავა და ჯანსუღ ჩარკვიანი არიან. მუსიკა ლექსებისთვის კი მიშა მდინარაძემ დაწერა. თითოეული პერსონაჟი თავისი არსის გამოსავლენ თითო სიმღერას ასრულებს. თუმანიშვილის თეატრის მსახიობთა უმრავლესობა კარგად მღერის, ამიტომაც ჩემთვის მოულოდნელი იყო მათ მიერ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნამღერის მოსმენა. მიუზიკლის ელემენტებით გაჯერებულ სპექტაკლში ცოცხალი შესრულება, ვფიქრობ, უფრო სწორი და ეფექტურიც იქნებოდა. მით უმეტეს, რომ სპექტაკლი, რეჟისორს ინტერაქტიული ფორმით აქვს გადაწყვეტილი. დასაწყისიდანვე მთელი სპექტაკლის განმავლობაში მსახიობები მაყურებელთან კონტაქტში შედიან. რეჟისორის კონცეფციით, სპექტაკლის დასაწყისშივე, პერსონაჟები მაყურებელთან კონტაქტს ამყარებენ და, მხოლოდ შემდეგ, დარბაზიდან ადიან სცენაზე (რამაზ იოსელიანის მაესტროს გარდა). წარმოდგენის მსვლელობის დროსაც, რამდენჯერმე ხდება მაყურებლის ჩართვა ქმედებაში. მაყურებლისა და პერსონაჟთა ამგვარი უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, მით უმეტეს ყალბად ჟღერს ფონოგრამაზე ჩაწერილი მსახიობების მოსმენა.

სანახაობითად ეფექტური ფინალი აქვს გაკეთებული ქეთი დოლიძეს (ტექნიკური რეჟისორი - სოფო დანელია). სცენის სიღრმეში, ლურჯი ცის ფონზე, ანგელოზის გამოსახულებიან ეკრანზე გრეტა გარბოს (ერთ-ერთი ფილმიდან ნათამაშები) პორტრეტი ცოცხლდება კინოკადრების პროექციის მეშვეობით.

ზემოთ ნახსენები კინოხერხის - „ზუმის“, გამოყენებით პორტრეტი ნელ-ნელა მსხვილდება, დიდდება, თითქოს მაყურებელთა დარბაზში უნდა გადმოვიდესო. სპექტაკლის ყველა მოქმედი პერსონაჟი სცენაზე აჩქარებული ნაბიჯით მიდი-მოდის. შემდეგ, პორტრეტი-კინოკადრი იწყებს დაპატარავებას, ბოლოს კი წერტილად იქცევა. სცენა ბნელდება. რამდენიმე წამში, თბილი, რბილი ფერებით ნათდება ლურჯი ცის ფონზე ანგელოზის გამოსახულებიანი ეკრანი, მის უკან სპექტაკლის მონაწილეები არიან განლაგებულნი, შუაში ანგელოზი დგას თეთრი, გაშლილი ფრთებით.

დასასრულს ერთი შენიშვნა მინდა გამოვთქვა. წარმოდგენის ფინალისკენ მზია არაბული იმედა არაბულთან ერთად ცეცხლოვან ტანგოს ცეკვავს. მაყურებლისთვის ცოტათი დამაბნეველია იმედა არაბულის ასეთი უეცარი და უცაბედი შემოყვანა სპექტაკლში. აღსაქმელად გაუგებარია, ვინ არის ეს პერსონაჟი: მათხოვარი-გრეტას საოცნებო მამაკაცი, თუ, მისი წარსულიდან მოსული გახსენება. გასაგებია, რომ რეჟისორმა შერეული ჟანრის წარმოდგენა კინომონტაჟის პრინციპზე ააგო, მაგრამ ალბათ, აჯობებდა, უფრო მეტი სიცხადე შეეტანა იმედა არაბულის უეცარ გამოჩენასა და გაქრობაში.

ირინა ღოღობერიძე

„მზის სხივი“ ბესო კუპრეიშვილის სპექტაკლებში

ჩვენი თეატრის მოყვარულები თუ პროფესიონალები ყოველთვის ინტერესით ელოდებიან რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის ნამუშევრებს თუნდაც იმიტომ, რომ მის სპექტაკლებში თითქმის ყოველთვის „რამე“ თუ პირველად არა, უჩვეულოდ მაინც უნდა ხდებოდეს. 1998 წელს, მაგალითად, მან პირველად მოსინჯა თითების მოძრაობით ამბის მოყოლა და ამ ხერხით რამდენიმე ეტიუდიც გააკეთა, ხოლო 1991 წელს უკვე პირველი სპექტაკლი, „ექსტრავაგანსა“ შექმნა და ქართულ, მოგვიანებით კი მსოფლიოს თეატრალურ სივრცეში შეიყვანა „თითების თეატრის“ ცნება. რამდენიმე წელი თეატრი ბათუმში მოღვაწეობდა, 2003 წელს თბილისში გადმოვიდა, მაგრამ თეატრის პრეზენტაცია მხოლოდ 2006 წელს შედგა. იმავე წელს შიქმნა პინკ–ფლოიდის კონცერტის „კედელი“ მიხედვით იმავე სახელწოდების სპექტაკლის პრემიერა.

2008 წელს მარჯანიშვილის თეატრის სხვენის სცენაზე რეჟისორი ახორციელებს „ჩემი ჰამლეტის“ დადგმას, მსოფლიოში არა, მაგრამ თავის შემოქმედებაში პირველად აერთებს თოჯინასა და მსახიობს და მათ ურთიერთობასა და პარტნიორობას ნამდვილად დიდი ოსტატობით წარმოგვიდგენს. მკითხველს აქვე შევახსენებ, რომ დამლაგებლის და არტისტობაზე, თუ უბრალოდ საინტერესო ცხოვრებაზე მეოცნებე ქალის წარმოსახვით შექმნილ სხვა პერსონაჟების გასახიერებისთვის, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ქეთი ცხაკაიამ 2012 წელს “დურუჯის” საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში გაიმარჯვა. 2012 წელს ასევე მარჯანიშვილის, ამჯერად უკვე დიდ სცენაზე, რეჟისორმა წარმოადგინა კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის მუსიკით შთაგონებული სინთეზური სპექტაკლი „მოხეტიალე სული“. ამ, ვიტყოდი, ცოტა ეკლექტურ სპექტაკლში თითების, თოჯინების, ბალეტისა და დრამატული თეატრების ესთეტიკისა და ელემენტების თანაარსებობას განსაკუთრებული სიღრმე სწორედ რომ სულიერებითა და საოცარი ჰარმონიულობით გამორჩეულმა მუსიკალურმა პარტიტურამ შესძინა. „მოხეტიალე სულის“ კვალდაკვალ იქმნება იუმორით სავსე პირველი საოპერო თოჯინური სპექტაკლი – როსინის „სევილიელი დალაქი“, სადაც თითების თეატრისა და თოჯინების ახლად შექმნილი თეატრის „მცირე პწკალა“ მსახიობები მონაწილეობდნენ.

ბესო კუპრეიშვილის თეატრში ყველამ ყველაფრის კეთება იცის, მათ ხელეწიფებათ მუსიკალური გაფორმება, დეკორაციის აწყობა, რაიმეს შეკეთება. როცა საჭირო გახდა, „თითების თეატრის“ სპეციფიკას შეჩვეული მსახიობები მეთოჯინეებიც გახდნენ, აითვისეს თოჯინების ტარება, თოჯინებთან მოძრაობა.

რეჟისორი ამბობს, რომ „ძალიან ბევრი დრო სჭირდება სპექტაკლის მოსამზადებელ პერიოდს, ფიქრს, განსჯას...“ ალბათ, სწორედ ფიქრის, ნაფიქრალის არაერთხელ მოსინჯვისა და სიღრმისეული მუშაობის შედეგია ისიც, რომ ისეთ სპექტაკლებშიც კი, სადაც ძალიან ცოტა ტექსტი ჟღერს, იგი დიდ ყურადღებას უთმობს ტექსტს, მსახიობის ხმას, მეტყველებას, ინტონაციას.

ბესო კუპრეიშვილის რეჟისურას ახასიათებს ის, რაც, ამ ჟანრის სპექტაკლებში, ალბათ, ყველაზე რთულად განსახორციელებელია. მხედველობაში მაქვს სცენური სივრცის პარამეტრების აბსოლუტური აღქმა. მან ზუსტად იცის, რა ზომის და როგორი თოჯინა გამოიყენოს, რა პლასტიკითა და ემოციით ამოძრაოს მეთოჯინეები, რომ მათ თანაგანცდისა და ნეიტრალობის წონასწორობა არ დაარღვიონ. მან იცის, რა ტიპის და რა ზომის დეკორაცია უნდა გაკეთდეს, როგორ გამოიყენოს თოჯინური სცენის კლასიკური აქსესუარები – შირმა, ფარდები, შემაღლება თუ სხვა. ის ყოველთვის გრძნობს, მაყურებლისგან რა მანძილზე უნდა განათავსოს მიზანსცენა, როგორ და რა ხერხით გაანათოს სპექტაკლი. ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი უმეტესწილად მწირი ტექნიკური აღჭურვილობით თუ სახსრებით ხორციელდება.

თავისი შემოქმედებითი კრედო ბესო კუპრეიშვილმა ერთ მოკლე წინადადებაში მოაქცია – „გვიყვარდეს ერთმანეთი“. აქედან გამომდინარე, თითქოს მუდმივად მზის სხივს დაეძებსო, მისი სპექტაკლების ძირითადი თემებია: ბოროტებასთან ჭიდილი, სიკეთის ძიება, მეგობრობა. ასევე მზის სხივით განათებული მეგობრობა იყო ნაჩვენები ერთმოქმედებიან თოჯინურ სპექტაკლში, რომელიც მან ანრი პოპესკუს ტექსტის „მზის სხივი“ მიხედვით დადგა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე სცენაზე წარმოადგინა (თარგმანი თენგიზ ჭელიძის, მხატვარი და თოჯინების ავტორი ვახტანგ ქორიძე, ქორეოგრაფი გია მარღანია, მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილისა).

ამბავი ამ, სამიდან ათ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ სპექტაკლში წყალივით გამჭვირვალეა. ერთ ძველ სარდაფში ორი ცოცხალი არსებაა დაბინავებული. ერთი – ნაცრისფერი თაგუნა პუფი – ნებსით, მეორე – ფეხმოტეხილი ფაიფურის ბალერინა – უნებლიეთ. ბალერინა ფაიფურის (თუ მარგალიტის?!) ცრემლებს ღვრის და მზის სხივზე ოცნებობს, თაგუნა კი მას ფეხსაც გაუმთელებს და მზის სხივსაც აჩუქებს. ფინალი, სამწუხაროდ, მაინც სევდიანია. ფეხმორჩენილ ბალერინას გაკვირვებული პატრონი ისევ ზევით ააბრძანებს და, ალბათ, თაროზე შემოდებს, თაგუნა კი ისევ სარდაფში რჩება და არავინ უწყის ზმანება იყო მისი ბალერინასთან მეგობრობა თუ სინამდვილე.

დარბაზში შესვლისთანავე უნებლიეთ ამბის თანამონაწილე ხდები. სცენაზე თითქოს „დიდების“ სპექტაკლისთვის შექმნილი სარდაფის დეკორაცია გხვდება, რომელიც ისეთი აბსოლუტური სიზუსტით არის გათვლილი, რომ მის პროპორციებს „ცოცხლად“ ანუ თავისით შემოსული პერსონაჟიც ვერ არღვევს. დეკორაციის ირგვლივ სიბნელეა, რომელიც სარდაფის ბნელ, გლუვ კედლებად იკითხება. სარდაფში, რა თქმა უნდა ვერგადაგდებული ძველმანებია, მაგალითად, რემონტიდან შემორჩენილი ფიცარი, რომელზეც გაურკვეველი დანიშნულების თოკია მიგდებული, ავანსცენაზე ლანდივით შემოსული სახლის პატრონი სკივრსა თუ ჩემოდანს ტოვებს და მიდის; სარდაფის მარჯვენა ზედა ნაწილში თაროების მაგვარი რამ მოსჩანს, ქვემოთ და მარცხნივ მორყეულ ტაბურეტზე სახლიდან გაძევებული მოხდენილი ბალერინა ზის და, როგორც ირკვევა, მოტეხილ ფეხს დასტირის. ეს თითქოს ზედახორად მიყრილი ნივთები მოქმედების განვითარების პროცესში, რა თქმა უნდა, კონკრეტულ დატვირთვას იძენს. თოკს თავმომწონე თაგუნა ხან საქანელად, ხან აკრობატული ნომრის ატრიბუტად იყენებს. თაროებით თუ სხვა ნაყარნუყარით გაძეძგილ კუთხეს კაბარეს სცენად გადააქცევს და სევდიანი ბალერინის გასართობად ჯამბაზის ექსცენტრიულ შოუს გაითამაშებს, კედელსაც გაღრღნის, რომ მეგობარს მორიდებული მზის სხივი შემოუყვანოს, მერე კი საიდანღაც წებოსაც გამოქექავს და მოტეხილ ფეხს შეუწებებს. თავბრუდამხვევ რიტმში დატრიალებული სცენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბალერინის ულამაზესი და პირდაპირი მნიშვნელობითაც ჰაეროვანი „სამადლობელო ცეკვა“, ან სცენა, რომელშიც აგრესიულ, წითელ ფერებში გადაწყვეტილი უცნობ–ნაცნობი ცხოველის ნაწილები მოულოდნელად შემოიჭრება, თითქმის მთელ სცენურ სივრცეს შეავსებს და მაყურებლის თვალწინ უზარმაზარ, საშიშ, მაგრამ ძალიან სასაცილო და გროტესკულ კატად გადაიქცევა. შეშინებასაც ვერ მოასწრებთ, ბალერინა ისე გაუმკლავდება! ამ მხიარულ და სევდიან ორომტრიალში თითქმის უხილავი და სტატიკური მეთოჯინეები თავის ალტერ ეგო თოჯინებს ზუსტი და ნატიფი პლასტიკით ამოძრავებენ.

ყველაფერი, რაც ბესო კუპრეიშვილის რეჟისურაზე უკვე აღვნიშნე, ამ სპექტაკლში ზედმიწევნით მუშაობს. ამასთანავე, აქ ისმის გემოვნებით შერჩეული მუსიკა, სადაც შლაგერებთან ერთად განცდისა თუ სიხარულის ლაიტმოტივად ისევ სოსო ბარდანაშვილის სახიერი მუსიკალური ფრაზები ჟღერს. არაჩვეულებრივად არის დაყენებული განათება და, რაც მთავარია, როლებს ამ სპექტაკლში ასრულებენ ძალიან მეტყველი, დახვეწილი და მოქნილი თოჯინები, რომლებსაც ასე ფაქიზად და ერთგულად ატარებენ და აცოცხლებენ მეთოჯინეები - ელენე მაცხონაშვილი, მაია სულხანიშვილი, ზვიად გაგლოშვილი, ვამეხ ჯანგიძე და ახმოვანებენ მსახიობები - მალხაზ გაბუნია, მაია სულხანიშვილი, ნინო პაპიაშვილი.

დაბოლოს, უნდა გამოვტყდე, რომ თოჯინურ თეატრზე პრაქტიკულად არასდროს დამიწერია. საჯარო გამოსვლებსა თუ განხილვებში საქართველოსა და უცხოეთშიც მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ წერას ყოველთვის ვერიდებოდი, მიმაჩნდა და ახლაც ასევე ვფიქრობ, რომ თოჯინურ და მით უფრო საბავშვო თოჯინურ სპექტაკლებზე მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ემოციითა და ლექსიკით უნდა გეწერა. სამაგიეროდ, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში მიყვარდა ამ ჟანრის სპექტაკლების ნახვა, მით უფრო ბავშვებით სავსე დარბაზში და ალბათ, იმ სპონტანური, ცალსახა რეაქციის გამო, რომელსაც ბავშვები კარგი და ხარისხიანი სპექტაკლების მსვლელობისას მყისიერად და ალალად გამოხატავდნენ.

ერთ კვირა შუადღეს სწორედ ასეთ მაყურებელთან ერთად აღმოვჩნდი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე დარბაზში. მზის სხივმა, რომელიც ამ კეთილი სპექტაკლიდან მოედინებოდა, დიდიც და პატარაც ერთნაირად გაგვათბო.

დავით ბუხრიკიძე

სუფთა სახლის “ჭუყიანი“ დიასახლისები

„სუფთა სახლი“
რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე

ვისაც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის შიდა სივრცე სათანადოდ არა აქვს შესწავლილი, ნამდვილად დაიბნევა, თუ სპექტაკლ “სუფთა სახლის“ ნახვას გადაწყვეტს. გასულ წელს ჩატარებული “არდი-ფესტის“ გამარჯვებულმა, ჯერ კიდევ ნახევრად ნორჩმა რეჟისორმა, ნინი ჩაკვეტაძემ ამერიკელი დრამატურგის, სარა რულის პიესის დასადგმელად თეატრის მეორე სართულზე მდებარე სარეპეტიციო სივრცე აირჩია. პუბლიკისთვის უცნობი დარბაზის ფანჯრები თეატრის შიდა ეზოს გადაჰყურებს, საიდანაც დროდადრო უცნაური ხმები, ძაღლების ყეფა, თუ მანქანების ხმაური ისმის. თუმცა ეს ყველაფერი ზუსტად ერგება როგორც პიესის, ისე სარეპეტიციო ოთახის ინტიმურ ატმოსფეროს.

ვერ ვიტყოდი, რომ სარა რული უცნობი ავტორია. თანამედროვე ამერიკულ დრამატურგიაში მას როგორც ათამდე პიესის ავტორს იცნობენ. ხშირად დგამენ ევროპაშიც. განსაკუთრებით, ბრიტანეთში, რაც ავტორის გამორჩეული იუმორის გრძნობით და გენდერული ‘‘ჭიდილის‘‘ ირონიული გააზრებით უნდა აიხსნას. მისი ერთ-ერთი ცნობილი პიესა, ,,ევრიდიკე‘‘ ბერძნული მითის ინტერპრეტაციაა: შეყვარებული ევრიდიკე ჰადესის სამეფოში, გარდაცვლილი შეყვარებულის ძებნაში მამას აღმოაჩენს, რომელიც იმდენად დიდ გავლენას მოახდენს ქალიშვილზე, რომ ორფეოსთან დაბრუნებას გადააფიქრებინებს...

“სუფთა სახლში‘‘ თუმანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობების გარდა, სამეფო უბნის თეატრის მსახიობები - სალომე მაისაშვილი და ზაზა ვაშაყმაძე მონაწილეობენ. ნინი ჩაკვეტაძის რეჟისორული ხელწერა კარგად იტევს მინიმალიზმს, სიმსუბუქესა და მხატვრული გაფორმების სისადავეს. მხატვარი გიორგი უსტიაშვილი დიდ, თეთრ ყუთს იყენებს, რომელიც ჩინური ზარდახშის მსგავსად, რამდენიმე პატარა კუბად იშლება. მოულოდნელ სცენოგრაფიულ სიახლეს სარეპეტიციო ოთახის ფანჯრები ქმნის, რომელთა მიღმა ღამის გაჩირაღდნებული ქალაქი ირეკლება. ასევე აკვარიუმი, წითელი კასტანიეტები და პატარა ნათურები, რომლებსაც პერსონაჟები ლამის ყოველ წუთს რთავენ.

გარემო, სადაც პერსონაჟები სახლობენ, ნაცნობი და ძალზე ინტიმურია: სისუფთავეზე “შექანებული‘‘, გაუთხოვარი ვირჯინია (ნინო ბურდული), მუდამ სამსახურით დაკავებული მისი და ლეინი (ეკა ჩხეიძე), ლეინის მეუღლე ჩარლზი (ზაზა ვაშაყმაძე), ჩარლზის შეყვარებული არგენტინელი ქალბატონი ანა (დარეჯან ხაჩიძე) და ბრაზილიელი მოსამსახურე მატილდე (სალომე მაისაშვილის საკმაოდ დამაჯერებელი ნამუშევარი), რომელიც პორტუგალიური ენისა და ანეკდოტების შესწავლაში ვარჯიშობს. ამ ექსცენტრულ პერსონაჟებს შორის თითქოს არავინაა მთავარი და ამავე დროს, ყველა საინტერესოა. თუმცა სიყვარულს ტრადიციულად მაინც შემოაქვს ვნებათაღელვა, ინტრიგა და ქარიშხალი... სხვათა შორის, პიესა თავად რეჟისორმა თარგმნა და რამდენიმე სცენა შეამოკლა კიდეც, თუმცა დიალოგები და იუმორი ამით არ დაზარალებულა. პირიქით, დროში კომპაქტურად ჩატეულმა და გათამაშებულმა სცენებმა, პუბლიკას აღქმის სიფხიზლე შეუნარჩუნა.

ეკა ჩხეიძის თავშეკავებულ, ეკლიან დრამატიზმსა და ნინო ბურდულის ნატიფ, ირონიულ ნიუანსებზე აგებულ თამაშში ცხადად იკითხება თუმანიშვილის სამსახიობო სკოლის ტრადიცია და იმასაც ხვდებით, რომ ულმობელი დრო სწრაფად ანადგურებს სკოლის ‘‘კედლებს‘‘. მოულოდნელი თვითჩაღრმავებით გამოირჩევა დარეჯან ხაჩიძე ანას როლში, რომელიც კარგა ხანია, მაყურებელს არ უნახავს სცენაზე. “სამეფო უბნიდან‘‘ დროებით ‘‘გადმოსახლებულებს‘‘ - სალომე მაისაშვილსა და ზაზა ვაშაყმაძეს კი განსხვავებული და მკაფიო ირონია შემოაქვთ სპექტაკლში.

მოკლედ, თუ გსურთ ‘‘სუფთა სახლის‘‘ დიასახლისების ‘‘ჭუჭყიანი‘‘ ვნებები, ეჭვიანობის სცენები, სარეცხის თოკზე გაფენილი ქათქათა სარეცხივით სტერილური ამერიკული იუმორი და ქართული იმპროვიზაცია ნახოთ, თუმანიშვილის თეატრის სარეპეტიციოს უნდა მიაკითხოთ.

დავით ბუხრიკიძე

“ჰარირა“ გურული კილოთი

მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიული ვერსია ჯანსუღ კახიძის სიმღერებზე

ვისაც მაესტრო ჯანსუღ კახიძის სიმღერები ახსოვს, ალბათ, ძნელად წარმოიდგენს, რომ მათი თანამედროვე ქორეოგრაფიის ენაზე ამეტყველება შესაძლებელია. გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდმა და კერძოდ, დამდგმელმა ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ ეს იდეა კომპოზიტორისა და დირიჟორის, ვახტანგ კახიძის მიერ ადაპტირებული სიმღერებითა და კომპოზიციებით შეძლო.

სპექტაკლი სახელწოდებით “ჰარირა“ რუსთაველის თეატრის დიდი სცენაზე ორჯერ წარმოადგინეს და მან მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია... და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ჯანსუღ კახიძის 20 სიმღერაა ჩატეული, რომელიც მაყურებელს ქართული სიმღერისა და თანამედროვე ქორეოგრაფიის ჯერ კიდევ მიუღწეველ, მაგრამ საამო რითმას აგრძნობინებს.

ექსპერიმენტებით შთაგონებულმა ახალგაზრდა ქორეოგრაფმა, მარიამ ალექსიძემ უკვე რამდენიმე თანამედროვე ბალეტი დადგა. მაგალითად, ზაფხულში, თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიურ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მისი ერთაქტიანი სპექტაკლი “V & V“ - დაახლოებით 25-წუთიან ქორეო-კომპოზიცია გია ყანჩელისა და იანის ქსენაკისის მუსიკის თანხლებით. ბალეტის მოყვარულთ, შესაძლოა, ასევე ახსოვდეთ მისი პროექტი სახელწოდებით “ალვა“, რომელიც 2012 წელს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქორეოგრაფიული მოვლენა გახდა.

ახალ სპექტაკლში “ჰარირა“ ქორეოგრაფი ახალი იდეების განხორციელებას უფრო თამამი თეატრალური ხერხებით ცდილობს. მაგალითად, სიჩუმის, ფიზიკური მოქმედებისა და მუსიკის მოულოდნელი კონტრასტით; ზოგჯერ ასიმეტრიული და მაყურებლისთვის საამოდ დამაბნეველი ქორეო-ხაზებითა და მოქმედების მოულოდნელი გადაკვეთით კახიძის სიმღერების ტექსტებთან. მოკლედ, თანამედროვე ცეკვის უსაზღვრო შესაძლებლობანი მარიამ ალექსიძეს საკმაოდ ნატიფი ექსპერიმენტის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

“ჰარირას“ დამდგმელი მხატვარი და სცენოგრაფიის ავტორი გოგი ალექსი-მესხიშვილი მინიმალური გამომსახველობითი საშუალებებით ქმნის და ავსებს სცენურ გარემოს; ქმნის თანამედროვე მასალით დამზადებულ სიმბოლურ საფეხურებს თუ მსუბუქ სვეტებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ხმაურიან გორგოლაჭებად გარდაიქმნება.

სპექტაკლში გამოყენებულია, აგრეთვე, ციტატები ცნობილი შვედი მწერლის, პერ ლაგერკვისტის ესედან “განთავისუფლებული ადამიანი“, რომელსაც რუსთაველის თეატრის მსახიობები ცეკვისას ან მოკლე პაუზების დროს წარმოთქვამენ. სხვათა შორის, ცეკვის პარალელურად ტექსტის გამოყენება ევროპულ ქორეოგრაფიაში არახალია და ამ ხერხს მარიამ ალექსიძემ რეჟისორ დათა თავაძის რჩევითა და მისივე თანამონაწილეობით მიმართა: შედეგი ნამდვილად საინტერესო აღმოჩნდა.

სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთევან ხიტირი, ლევან ხურცია. ასევე, მოწვეული მსახიობები: ნათია ბუნტური და ნატო კახიძე. თუმცა ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსახიობების პარალელურად, მაყურებელი სცენაზე ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის მოცეკვავეებს იხილავს: დავით ანანიაშვილს, თამთა ბახტაძეს, ეკატერინე ლომინაძეს, ლანა მღებრიშვილს, უილიამ პრატს, ეკატერინე სურმავას, სოფიო ფანცულიასა და შორენა ხაინდრავას.

“ჰარირა“ სწორედ იმით გამოირჩევა საბალეტო ან თანამედროვე ქორეოგრაფიული დადგმებისგან, რომ მასში რუსთაველის თეატრისა (და არამარტო ამ თეატრის) მსახიობები თითქოს როლებს უცვლიან პროფესიონალ მოცეკვავეებს. ეს გარკვეულ იუმორისტულ და ირონიულ ელფერს ანიჭებს წარმოდგენას. მსახიობთა აკვარელური, ფერადი სამოსი და ბალეტის მოცეკვავეთა ქათქათა სამოსი კი ხაზს უსვამს კონტრასტს და მათ ფიზიკურ შესაძლებლობას.

ჯანსუღ კახიძის სიმღერები სპექტაკლისგან დამოუკიდებლადაც საკმაოდ დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. თუმცა სპექტაკლში ისეა გამოყენებული, რომ მათში მსახიობები და მოცეკვავეები საკუთარ გრძნობებსა და განცდებს “კითხულობენ“. სიმღერები საცეკვაო ნოველების ფორმით ერთიანდება და მათი წყობა, ერთიანი მუსიკალური და დრამატურგიული სტრუქტურა პოეტურ-ირონიულ განწყობას ქმნის.

პროექტი გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდმა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით განახორციელა. ეს, ალბათ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ქორეოგრაფიულ თუ თეატრალურ ცხოვრებაში.

თავად მარიამ ალექსიძის შესახებ: 90-იანი წლების ბოლოს ციურიხის ოპერისა და ბალეტის მიწვევით იმავე თეატრის დასში ცნობილი ქორეოგრაფის, ჰაინც შპორელის ხელმძღვანელობით ცეკვავდა. შესრულებული აქვს სოლო და წამყვანი პარტიები, როგორც კლასიკურ დადგმებში, ასევე ჯორჯ ბალანჩინის ბალეტებში. როგორც მოცეკვავე, მონაწილეობდა თანამედროვე ქორეოგრაფების - ალექსეი რატმანსკის, ირჟი კილიანის, ფილიპ კოენის, ტრეი მაკენტაიერისა და გიორგი ალექსიძის დადგმებში. 2004-2009 წლებში თბილისის საბალეტო დასთან ერთად მონაწილეობდა სპოლეტოსა და ედინბურგის ფესტივალებში. საბალეტო დასთან ერთად საგასტროლოდ იმყოფებოდა იაპონიაში, ამერიკაში, ინგლისში, უკრაინაში...

უკვე რამდენიმე წელია, მარიამ ალექსიძე თანამედროვე ქორეოგრაფიის ურთულეს ლაბირინთებში არცთუ წარუმატებლად მიიკვლევს გზას. მისი ოპუსები: “დოვინ-დოვენ-დოვლი“, “აჭარპანი“, “ალვა“, “V&V“ და “ჰარირა“, სწორედ ამის დასტურია.

დავით ბუხრიკიძე

ვისია “ოლივერი“? და რა იქნება რუსთაველის თეატრში მიუზიკლების შემდეგ...

„ოლივერ“

რეჟისორი - დავით საყვარელიძე

ჩარლზ დიკენსის დაბადების 200 წლისთავი, საქართველოს ყველაზე მთავარმა - რუსთაველის სახელობის თეატრმა, ლამის 250 ათას ლარიანი ბიუჯეტის მქონე სპექტაკლით აღნიშნა. კლასიკური მიუზიკლის, “ოლივერის“ პრემიერას წინ უძღოდა სატელევიზიო პროექტი “ვინ არის ოლივერი“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს საშუალებას აძლევდა, თავად ამოერჩია ოლივერისა და ნენსის როლების შემსრულებლები. ასე რომ, დიდი და საფუძვლიანი ვნებათაღელვის შემდეგ პუბლიკამ სცენაზე საკუთარი რჩეულები იხილა: ნიკა ნოზაძე და პეტრე მალანია (ოლივერი) და მარიამ პაჭკორია (ნენსი).

ლაიონელ ბარტის მიერ 1960 წელს დაწერილი მიუზიკლი, რომელმაც თავის დროზე ბროდვეი დაიპყრო, მოგვიანებით საფუძვლად დაედო კეროლ რიდის 1968 წელს გადაღებულ ფილმს. ცნობილი ბრიტანული მიუზიკლისა და რუსთაველის სპექტაკლის “საერთო ენა“, საერთო ესთეტიკური საზღვრები ერთგვარი პირობითი ცნებაა, რომელიც თეატრმა და რეჟისორმა დავით საყვარელიძემ უნდა დაიცვას. საქმე ისაა, რომ ქართულმა თეატრმა დადგმის საავტორო უფლება ცნობილი თეატრალური პროდიუსერის, კამერონ მაკინ-ტოშისგან შეიძინა.

თითქმის ყველა ცნობილი მიუზიკლის ("მუსიკის ჰანგები", კატები", "კაბარე", "ოპერის აჩრდილი", "ჩიკაგო" და ა.შ.) საავტორო უფლებებს სწორედ მაკინტოშის ცნობილი საპროდიუსერო კომპანია ფლობს, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ აკადემიურ თეატრში მისი ნებართვის გარეშე დადგმული მიუზიკლი კანონგარეშედ ჩაითვლება. ასე რომ, "კანონების ენაზე" ამღერებული დიკენსის რომანი უფრო საერთაშორისო "ორიგინალიდან" გადმოწერილი ფერმკრთალი, მაგრამ მაინც საინტერესო ასლია.

სამი შესანიშნავი ეკრანული ვერსიიდან - რეჟისორი დევიდ ლინი (1948), კეროლ რიდი (1968) და რომან პოლანსკი (2005), ყველაზე გამორჩეული მაინც კეროლ რიდის ფილმია, რომელმაც ხუთი "ოსკარი" დაიმსახურა. სამივე ფილმში ფეიგინის როლს ბრწყინვალე მსახიობები თამაშობენ (ალეკ გინესი, რონ მუდი, ბენ კინგსლი). ასე რომ, რუთაველის სპექტაკლის წარმატებას მეტწილად სწორედ ფეიგინის როლის შემსრულებლის, გიორგი ნაკაშიძის ცეკვა-სიმღერა-თამაში განაპირობებს.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს, რომელმაც 2012 წლის პრემია "დურუჯი" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაიმსახურა, სულ რაღაც 5-6 დღე ჰქონდა, რათა ლონდონის მაწანწალა ბავშვთა "სასაცილო მბრძანებელის" როლი მოერგო. თავიდან, ფეიგინი დავით დარჩიას უნდა ეთამაშა. იგი პრემიერისთვისაც საგანგებოდ ემზადებოდა, თუმცა წარმოდგენის წინა დღეს ჯანმთელობის გაუარესების გამო ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა და პრემიერა ფრაგმენტების ჩვენებას დაემსგავსა. ასე თუ ისე, გიორგი ნაკაშიძე "ოლივერის" მთავარ გმირად იქცა და ცნობილი არია - "შეიძლება თუ არა ადამიანი შეიცვალოს?", ავანსცენაზე არცთუ ურიგოდ შეასრულა.

არტისტიზმი, ირონია, ყალთაბანდობა, სიძუნწე, ლირიზმი, ანცობა, პლუს მახვილოგონივრული მიგნებები და სიმდიდრისადმი დაუოკებელი ვნება - ასეთია დიკენსის მიერ აღწერილი ფეიგინის ძალიან მსუყე და ხატოვანი პერსონაჟი. ხშირად, ლიტერატურის კრიტიკოსები მასში შექსპირული პერსონაჟების გამონათებასაც კი ხედავენ, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

სასიამოვნო მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ დებიუტანტ მარიამ პაჭკორიას კარგი ხარისხის ვოკალი და შეუბოჭავი არტისტულობა, რომლის "არია ლუდხანაში" შთამბეჭდავია. ბუნებრივად ეწერება ბილ საიქსის როლში თემიკო ჭიჭინაძე, რომელიც შეძლებისდაგვარად, ბრუტალურ-რეალისტური მანერით "უსწორდება" დანარჩენ პერსონაჟებს... თუმცა კარგად ნამდვილად არ მღერის. ერთ დროს ცნობილი კომუნისტის, ჯუმბერ პატიაშვილის შვილიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილ -უმცროსი კი ყალთაბანდ დოჯერს პატარა ხარვეზებით, მაგრამ სიყალბის გარეშე თამაშობს - გულწრფელად, სახალისოდ, თავისუფლად.

მაყურებლის მიერ შერჩეული ნორჩების გვერდით, დროდადრო მოკრძალებულად ელვარებენ რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობებიც: თითქმის კომიკური პაატა გულიაშვილი (მისტერ ბამბლი), სახასიათო როლში "სახიფათოდ" შეჭრილი ნანუკა ხუსკივაძე (კორნის ქვრივი), და ტიმ ბარტონის ფილმების "გოთიკური" პერსონაჟების მსგავსი ნინო თარხან-მოურავი (მისის სონდერსი), რომელიც უფრო ჰელენა ბონემ-კარტერის პერსონაჟს ჰგავს. ის უფრო სახასიათო გარეგნობით გამოირჩევა და არა განსაკუთრებული ვოკალური მონაცემებით.

კარგად დადგმული მასობრივი სცენები, რომელშიც ოპერის მომღერალთა და მოცეკვავეთა ენერგია იგრძნობა, მეტ სიხალისეს მატებს სპექტაკლს. ორაქტიან და საკმაოდ დატვირთულ სანახაობაში ტედ კასკის ქორეოგრაფიული "ჩარევა" უფრო ზომიერია. იგი არ არღვევს თხრობის რიტმს. ორიოდე თვის წინ, ესტონელმა ქორეოგრაფმა ნინო ანანიაშვილის საიუბილეო კონცერტებზე სპეციალური ნომერი შექმნა სახელოვანი მოცეკვავისათვის, რომელშიც გაზავებული იყო ნინო ჩუბინიშვილის კოსტიუმები.

ლაიონელ ბარდის მუსიკას ოპერის გუნდი და ორკესტრი ჯერ კიდევ ვერ ერევა, აშკარად საგრძნობია ლაფსუსები, ხოლო ვოკალური და ქორეოგრაფიული ნომრები დასახვეწია. დირიჟორის ფუნქციას ირაკლი ჩოლოყაშვილი გულწფელი მღელვარებისა და ხარვეზების ფონზე ითავსებს. კაცმა რომ თქვას, ოპერას იმდენი კარგი დირიჟორი ჰყავს, რომ არა მგონია მას საგუნდო მუსიკაში თუნდაც კარგად გაწაფული მუსიკოსისა და მსახიობის დახმარება ასე ძალიან დასჭირდეს.

სტანდარტული და საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული რეჟისურა, მხატვრობა, სცენოგრაფია თუ ქორეოგრაფია იმის გარანტიას იძლევა, რომ მიუზიკლი "ოლივერ!" სანახაობას მოწყურებულ პუბლიკას თუ პატარა მაყურებელს გულს აუჩუყებს. იმედია, დასამახსოვრებელი და ხარისხიანი წარმოდგენების დასამკვიდრებლად აღარ დაგვჭირდება აკადემიურ თეატრებში "მამა მიას" ან "კატების" მსგავსი მიუზიკლების დადგმა; უფრო ზუსტად, ამ წარმოდგენების საერთაშორისო "ასლების" ყიდვა. კიდევ უფრო საინტრესოა "ქეთო და კოტესა" და "ოლივერის" დროში უცნაური თანხვედრა და ცეკვა-თამაშით შენიღბული ესთეტიკური პრობლემა, რომელიც მაინც აშკარად წარმოაჩენს "უპატრონოდ" დარჩენილი რუსთაველის თეატრის შინაგან, იდეურ კრიზისს...

არსებობს ლეგიტიმური კითხვებიც. პირველი - რატომ დაიდგა კლასიკური მიუზიკლი რუსთაველის თეატრში და არა ვთქვათ, თბილისის საკონცერტო დარბაზში, სადაც გაცილებით კარგი ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს. მეორე - რამდენად არის გამართლებული დრამატული თეატრის სეივცეში მიუზიკლებს შემოტანა-დამკვიდრება?!

დავით ბუხრიკიძე

ნაფტალინში შენახული პანთეონი

„ნაფტალინი“
რეჟისორი - გურანდა იაშვილი

ქართულ თეატრებში ლაშა ბუღაძის პიესების ნახვის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ რეჟისორებს მათი “აუტანელი სიმსუბუქე“ უფრო აინტერესებთ, ვიდრე ასე ვთქვათ, “თანამდევი, უკვდავი სული“. არც გაემტყუნებათ. დაახლოებით იმავე პრინციპით მოქმედებენ, როგორც ბედკრული და ფარმაკოლოგიური სერიალების მწარმოებელი ტელევიზიები - რაც მეტია გართობის დოზა, მით უფრო ივიწყებს პუბლიკა სინამდვილეში რა სურს.

პიესა “პანთეონი“, რომელიც ლაშა ბუღაძემ ალბათ “სახელოვან საბჭოთა ქართულ ინტელიგენციას“ ნატიფად ნაქსოვი ფარსისა თუ პაროდიის სურვილით მიუძღვნა, თეატრებში უფრო უხეშად გამოთლილ გროტესკს დაემსგავსა. ასეა მუსიკისა და დრამის თეატრში, სადაც პიესა მიხეილ თუმანიშვილის მოწაფემ, გურანდა იაშვილმა დიდი ხნის შემომედებითი პაუზის შემდეგ დადგა. განსხვავებული ტონალობისაა “პანთეონი“ ახმეტელის სახელობის თეატრში, რომლის რეჟისორია დიმიტრი ხვთისიაშვილი.

პარალელურ პრემიერებს ერთი საბედისწრო რამ - პიესასთან ჟანრობრივი აცდენა აერთიანებთ. არცერთი არ ჰგავს იმას, რაც ლაშა ბუღაძის ტექსტში უმთავრესია - პაროდირება დროისა და სისტემის ნიშნებზე. “პანთეონი“ ხომ საბჭოთა ინტელიგენციის ნავსაყუდელია, მიწისქვეშა სამეფოს მდინარე სტიქსი, რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ გადაცურავენ. რეჟისორებს მეტი ფანტაზია რომ გამოეჩიანათ და პიესაში, ვთქვათ ბულგაკოვის ან ზოშჩენკოს “მცირე მემკვიდრეობა“ ან პარალელები ამოეკითხათ, გაცილებით მეტს მოიგებდნენ მანძილშიც და ძალაშიც (ფიზიკის ტერმინები რომ მოვიშველიოთ).

მუსიკისა და დრამის თეატრში ბუღაძის “პანთეონის“ პრესისათვის ჩვენებას ისეთი ქარიშხალი მოჰყვა, რომ ძნელია რამე უარესი თქვა, ან მოიფიქრო. კრიტიკამ და ჟურნალისტებმა არ მხოლოს სპექტაკლს გამოუტანეს “განაჩენი“, არამედ ავტორსაც, რაც თავისთავად შეცდომა იყო. თუმცა ათვლის წერტილს გააჩნია. რეჟისორი გურანდა იაშვილი უფრო ზედაპირულ, ქორეოგრაფიულად გამართულ სანახაობს და ცალკეულ ნომრებად “დაშლილ“ სანახაობას ქმნის, ვიდრე მთლიან და სტრუქტურულად გამართულ სპექტაკლს.

ის, რომ მთამწმინდა ქართული ინტელიგენციის “საყოველთაო სანაღვლებელი“ გახდა, დიდი ხანია ცნობილია. ამ ვნებას აყოლილი მთავარი პერსონაჟები - ზეინაბ უნგიაძე, მომაკვდავი კომპოზიტორის, კონსტანტინე უნგიაძის მეუღლე (ნინო გომართელი) და ვერა ანჩაბაძე, მეცნიერ ვიქტორ ანჩაბაძის მეუღლე (მარინა ჯოხაძე) მთაწმინდის “პატარა ფართობისათვის“, ცხადია, თავდაუზოგავად და გროტესკულობამდე მისული ძალისხმევით იბრძვიან. და ეს გასაგები ვნებაა - ვინც პირველი მოკვდება, მთაწმინდაზეც ის დაიკრძალება.

ნინო გომართელი უფრო პროვინციულ და დამცინავ პერსონაჟს თამაშობს, მარინა ჯოხაძე კი ხელოვნურ დრამატიზმსა და ჭარბ გროტესკს მიმართავს. ორივე თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ორივე მცდელობა მიზანს სცდება. შესაძლოა ეს რეჟისორის ერთგვარი სქემარტური მიდგომითაც აიხსნას, რომელსაც მოქმედება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენს დროში გადმოაქვს. ფხიზელი მონდომების შემთხვევაში ალბათ დაგამახსოვრდებათ ცისია მეტრეველის (ელისო უნგიაძე), ტატო ჩახუნაშვილის (სანდრო უნგიაძე), გიორგი ყველაშვილის (კულტურის მინისტრი ნოდარ მუხიგული), ანა ზამბახიძის (ჟურნალისტი)... ვინძლო, არც ანანო მოსიძის მხატვრობა და კოსტიუმები გამოგრჩებათ მხედველობიდან და არც ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის ხშირი და სცენურ გარემოს არცთუ ზუსტად მორგებული ნომრები.

როგორც არ უნდა ჩავეძიოთ “პანთონის“ დაგმის ფსიქოლოგიურ თუ კონიუნქტურულ მოტივებს, მთავარი ისაა, რომ გურანდა იაშვილის რეჟისურა ზედმეტად წააგავს სატელევიზიო ესთეტიკით გამოჭრილ გროტესკულ შოუს, გამოკვეთილი აპარტეთი და ტექსიდან ამოგლეჯილი მონოლოგებით, ვიდრე ფარსს. თუმცა სასაფალოზე ჩუმად მისული, ღამის ფანრებით “შეიარაღებული“ მეტოქე-ქალბატონების ტრაგი-კომიკული სცენა დასამახსოვრებელია.

ტექსტისადმი და პიესაში წარმოსახული დროისადმი ერთგულება შეინარჩუნეს ახმეტელის თეატრში, სადაც დიმიტრი ღვთისიაშვილმა საბჭოთა ეპოქა-ეპოსის სურნელი შემოიტანა. ეს არის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნებისა და სცენის სიღრმეში ჩამოკიდებული ლენინის პორტრეტებით წარმოდგენილი სამყარო, სადაც მიმართვა - “ამხანაგო“, კიდევ უფრო დამცინავად ჟღერს.

ბუღაძის საკმაოდ ტევად და ვრცელ რემარკებს სპექტაკლში თავად რეჟისორი კითხულობს, რაც ჟამთააღმწერლის ფუნქციას, ან უკანაკნელი “საბჭოთა ინტელიგენტის“ მონოლოგის პაროდიას ჰგავს. მომაკვდავი კომპოზიტორისა (მამუკა მაზავრიშვილი) და მეცნიერის (ვაჟა ციცილოშვილი) საწოლები აქ სცენის საპირისპირო მხარეზეა განლაგებული. რაც სცენური სივრცის ათვისებისა და “პარალელური მონტაჟის“ საშუალებას იძლევა. მთაწმინდა რეალისტურად, ცნობილი ქართველების შავ-თეთრი ბიუსტებით, ფოტოებითა და საფლავებითაა წარმოდგენილი (მხატვარი აივენგო ჭელიძე), რომლის ფონზე გაუმართლებლად პათეტიკურად წაკითხული მონოლოგები უფრო ლიტერატურული თეატრის ასოციაციებს იწვევს.

გაუმართლებელია ხშირი და მომაბეზრებელი ქორეოგრაფიული ნომრები, რომლებიც გაურკვეველია ვინ დადგა (ყოველ შემთხვევაში პროგრამაში გვარი მითითებული არ არის). რაც უფრო არასაჭირო დივერტისმეტს წააგავს და არა დრამატურგიულად გამართლებულ სვლას. არც მსახიობთა თამაშია

მაინცადამაინც შთამბეჭდავი. ყველაზე დასამახსოვრებელია თამარ ბეჟუაშვილისა (ზეინაბ უნგიაძე) და ნელი ბადალაშვილის (ელისო) თამაში. დანარჩენები, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებენ: შალვა ბახტაძე (სანდრო უნგიაძე), ვაჟა ციცილოშვილი (ვიქტორ ანჩაბაძე), მზია ტალიაშვილი (ვერა ანჩაბაძე), ვალერი ტორონჟაძე (მინისტრი მიხიგული), კახა ჟორჟოლიანი (ვალერიან ლოლაძე), თამთა პატაშური (ექთანი).

ახმეტელის დასის მსახიობთა არცთუ ხარისხიანი თამაშისა და უკონცეფციო, უსახო რეჟისურის მიუხედავად, შენარჩუნებულია ავტორისეული ტექსტი. განსხვავებით მუსიკისა და დრამის თეატრისგან, სპექტაკლის ფინალიც ზუსტად ისეთივეა, როგორც ბუღაძის პიესის ფინალი, რომელიც ზეინაბ უნგიაძისა და პოლიციელის დიალოგით მთავრდება. ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რაც მუსიკისა და დრამის თეატრისა და ახმეტელის თეატრის სპექტაკლებს შორის არსებობს.

ბუღაძის პიესებს კიდევ ერთი თავისებურება აქვს - ისინი გაცილებით კარგია მოსასმენად და როცა რეჟისორი დიალოგს ზუსტად იცავს სცენაზე, ეფექტი უკეთესია, ვიდრე უცნაურად დაჭრილი, ან დამონტაჟებული სცენური სანახაობის ცქერისას, ჩამატებული ქორეოგრფიული ნომრით ან ტექსტისათვის სრულიად შეუსაბამო მუსიკით. მალე საბჭოთა საქართველოს არტისტულ "სინდრომით" შთაგონებული მაყურებელი ლაშა ბუღაძის კიდევ ერთ ცნობილ პიესას "ნაფტალინს" იხილავს. პიესა საქართველოს რამდენიმე თეატრში ერთდროულად იდგმება. ასე, რომ პანთეონს დახურვა ჯერ არ ემუქრება, მერე რა, რომ იქ ადგილი კარგა ხანია აღარ არის, ხოლო "მკვდრები ვერტიკალურად იმარხებიან"...

მაკა ვასაძე

„ჩიტის მოტანილი ამბავი"

რეჟისორი - კოტე მირიანაშვილი

თუმანიშვილის თეატრში, 2013 წლის ბოლოს განხორციელებული, მეორე პრემიერა - ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლია. კოტე მირიანაშვილმა მწერლის რამდენიმე მოთხრობა გაასცენიურა და სახელწოდებით - „ჩიტის მოტანილი ამბავი" - გააცოცხლა სცენაზე. დამდგმელმა, მოთხორობებიდან მისთვის საინტერესო ეპიზოდები აიღო, გადაამუშავა, ერთ ხაზად შეკრა და მისეული, რეჟისორული ხედვით წარუდგინა მაყურებელს. მოთხრობების: „ჩიტი", „დედა", „ქალაქში მიმინოს რა უნდა", „კორიდა", „მზე" და რომანიდან „მარადისობის კანონი" - დედა-შვილის დიალოგის - მიხედვით შექმნილ ინსცენირებას, კოტე მირიანაშვილმა ერთმოქმედებიანი სევდიანი კომედია უწოდა.

სპექტაკლის სცენოგრაფია სადა და მარტივია. სცენაზე რამდენიმე თეჯირი, სკამი, ორი პატარა მრგვალი ხის მაგიდა დგას, ზედ მოთავსებული ყავის ფინჯნებით. მხატვარმა - მურმან ბაღაშვილმა, სარეჟისორო კონცეფციის ვიზუალური გამოხატვისთვის, თანამედროვე თეატრისთვის დამახასიათებელი, ვიდეოპროექციაც გამოიყენა. სწორედ ამ შირმების გადაადგილებით, მონაცვლეობით ხდება სცენიდან სცენასა, თუ, ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლა. კოტე მირიანაშვილმა ნოდარ დუმბაძის მოთხრობებიდან აღებული სხვადასხვა სიუჟეტი ერთ ამბად შეკრა. მათ გამაერთიანებელ ხაზად კი მოთხრობა „ჩიტი" აიღო. სპექტაკლის პერსონაჟებიც ამ სხვადასხვა მოთხრობის გმირები არიან: ნოდარი და გვანჯი - ზემოხსენებული ნაწარმოებთა გმირების კრებითი სახეებია, ბედია - „ჩიტიდან" არის, სახელშეცვლილი ქვიქვი (მოთხრობაში აგრაფინა) - „ჩიტისა" და „მზის" - ტიპაჟების ნაერთია, ქალად ქცეული გულსუნდა - ფოსტის მუშაკი გერონტის პროტოტიპია „ჩიტიდან", ცვაფია - რეჟისორის გამონაგონია, თავად ჩიტი კი - „ჩიტიდან" და მოთხრობიდან „ქალაქში მიმინოს რა უნდა" აღებული მხატვრული სახეა.

კოტე მირიანაშვილმა სპექტაკლის დასაწყისი და ფინალი, პროლოგი და ეპილოგი, ვიდეოპროექციით თეჯირზე ფოტოგამოსახულების მეშვეობით გააერთიანა. ნახევრად ჩაბნელებულ, ლურჯი განათების ფონზე სცენაზე ორი მამაკაცი დგება ერთმანეთის პირისპირ. თეჯირზე ორ ადამიანს შორის წითელპალტოიანი პატარა ბავშვის ფოტო გამოისახება. ფოტო ბუნდოვანია, შესაძლებელია, რომ ეს „ბეწვის ხიდია", რომელზეც უფროსები ცდილობენ ბავშვის გადმოყვანას. ერთ-ერთი მსახიობი დგება ბავშვის გამოსახულების წინ. გამოსახულება თანდათან დიდდება, წითელი პალტო მის სხეულზე აირეკლება და მსახიობი ნელ-ნელა წინ მოიწევს. რეჟისორული მეტაფორა ნათელი და გასაგებია. სწორედ ამ წითელპალტოიანი ბავშვი-მამაკაცის ამბავს მოგვითხრობენ სპექტაკლის შემქმნელები. სისხლისფერი წითელი კი გმირის ისტორიის დრამატულ დასასრულზე მიგვანიშნებს.

კოტე მირიანაშვილმა, როგორც აღვნიშნე, სპექტაკლს სევდიანი კომედია უწოდა. რეჟისორმა, შეიძლება ითქვას, ზუსტად განსაზღვრა ნოდარ დუმბაძის კონკრეტულად აღებული მოთხრობების თუ ზოგადად მწერლის ნაწარმოებთა სტილისტიკა. მწერლის, სითბოთი და სიყვარულით გაჯერებულ, პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებთა კითხვისას, არა აქვს მნიშვნელობა, ვისთვის არის განკუთვნილი, ზრდასრულთათვის თუ ბავშვებისთვის, - ხან გეღიმება, გეცინება, ახარხარდები კიდეც, ხან კი სევდა შემოგაწვება გულზე და თვალიდან ცრემლიც წამოგცვივდება. მის ნაწარმოებებში არსებული კომიკური პერსონაჟების თუ სიტუაციების თანმდევია სევდიანი, ხშირად დრამატული მოვლენები.

სარეჟისორო კონცეფციით ორი ახალგაზრდა, შემდგომში სპექტაკლის პერსონაჟები - მწერალი ვანო და მისი მეგობარი გვანჯი - სადღაც სარდაფში წარმოდგენას ამზადებენ. კოტე მირიანაშვილი თეატრში

თეატრის თამაშის ხერხს იყენებს. ვანო დუგლაძისა და სოსო ხვედელიძის პერსონაჟთა ქმედითი ხაზი იმგვარად არის აგებული, ახალგაზრდა მსახიობთა მიერ ოსტატურად გათამაშებული (შესრულებული), რომ სცენაზე განვითარებულ ამბავში, ზღვარი რეალურსა და გამოგონილს შორის წაშლილია, უფრო სწორად, რეალობა, გამონაგონი, თუ მოგონება-გახსენება ერთმანეთშია გადახლართული. საბოლოოდ კი, რეჟისორმა და შემოქმედებითმა დასმა (კოსტიუმების მხატვარი მაია სხირტლაძე, კომპოზიტორი დავით მალაზონია, ტექნიკური რეჟისორი თამარ სესიაშვილი), პატარ-პატარა ეტიუდებისაგან, დასრულებული სპექტაკლი ააგო და ერთ მთლიანობაში შეკრა. მაყურებელმა შესაძლოა სხვადასხვაგვარად აღიქვას ვანო დუგლაძისა და სოსო ხვედელიძის პერსონაჟთა ვინაობა. ჩემი აზრით კი ისინი, ჩვენი სამშობლოსგან ძალით მოწყვეტილი, ჩვენთვის წართმეული, ულამაზესი, მტკივნეული მხარის - აფხაზეთის შვილები, აფხაზეთიდან ლტოლვილები არიან. სპექტაკლის მესამე მთავარი პერსონაჟი - ნინო ბურდულის ჩიტია, სცენაზე ვანოსა და გვანჯის ჩანაფიქრის, გათამაშებული წარმოდგენის, მთავარი მოქმედი პირი. ეს სამი პერსონაჟი: იდეის ავტორი, მწერალი ვანო, მისი ბავშვობის მეგობარი, იდეის განმახორციელებელი, მსახიობი გვანჯი და მათი ფანტაზიის ნაყოფი (თუ რეალობა) ჩიტი - თითქმის მთელი სპექტაკლის განმავლობაში სცენაზე არიან და ქმედებას წარმართავენ.

ნინო ბურდულის არტისტული ოსტატობით, პროფესიონალიზმით შესრულებულმა, თითქმის უსიტყვო როლმა, ჩემში, როგორც მაყურებელსა თუ კრიტიკოსში გამოწვეული ემოცია, ერთი სიტყვით შემიძლია გამოვხატო - აღრფთოვანება. ხელოვნებისა თუ ხელოვანის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა, ადამიანში ემოცია გამოიწვიოს, რაც შემდგომ - ემოცია, შთაბეჭდილება - ბადებს ანალიზს, განსჯას (აქედან გამოდინარე ხელოვნება ავითარებს აზროვნებას). თანამედროვე, პოსტმოდერნულ და დღეს უკვე პოსტ-პოსტმოდერნულ სათეატრო სივრცეში, ასე მოდური, არავერბალური თეატრის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ნინო ბურდულის მიერ განსახიერებული ჩიტი. სათეატრო პირობითობას, მაყურებელი მაშინ იღებს, თუ თამაშის წესს პროფესიონალები გთავაზობენ. ნინო ბურდულის სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებელი ხვდება, რომ იგი განასახიერებს ჩიტს. მსახიობი სცენაზე გამოსვლისთანავე სთავაზობს მაყურებელს - მე ჩიტს ვითამაშებ, ამყვები ამ თამაშში? ნინო ბურდულის, როგორც მსახიობის პროფესიონალიზმი, არტისტული ნიჭი, სწორედ იმაშია, რომ იგი თავიდანვე ითანხმებს მაყურებელს, მის მიერ შეთავაზებული თამაშის პირობაზე. პლასტიკით, მიმიკით, ჟესტიკულაციით, შინაგანი თუ გარეგანი ქმედებით, რიტმით, განცდით, გარდასახვით - აგებს ნინო ბურდული პერსონაჟის ქმედით-ემოციურ ხაზს. ფინალისკენ იგი ხან დედაა და ხან ჩიტი. ნოდარ დუმბაძის ტრაგიკულად დასრულებულ მოთხრობაში „ჩიტი“, ბედია ჩიქვანის კარზე მოფრენილი თავშაველა, თავის დაკარგულ შვილს, ბარტყს ეძებს. რეჟისორის ჩანაფიქრით კი ნინო ბურდულის ჩიტი დედად, ბედია ჩიქვანის გარდაცვლილ მეუღლედ, გვანჯის დედად გარდაისახება. სწორედ აქ გამოიყენა კოტე მირიანაშვილმა დედა-შვილის დიალოგი, რომანიდან „მარადისობის კანონი“.

პატარ-პატარა ეპიზოდ-ეტიუდებად შეკრულ სპექტაკლში, ვანოს მიერ თეჯირების გადაადგილების საშუალებით, ხან სალახანა-ლოთთან ერთად სარდაფში მოთავსებულ დუქანში აღმოჩნდები (მოთხრობიდან „დედა“), ხან ზღვის ბულვარზე მოთავსებულ ყავახანაში (მოთხრობიდან „ქალაქში მიმინოს რა უნდა“), ხან ბედიას კარ-მიდამოში (მოთხრობიდან „ჩიტი“), ხან ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გამართულ კორიდაზე (მოთხრობიდან „კორიდა“), ხან ზღვის სანაპიროზე მღვდელთან და მილიციელთან ერთად (მოთხრობიდან „მზე“), ხან ისევ ზღვის სანაპიროზე, ბედიას მეზობელ ქალბატონ ქვიქვისთან ერთად (მოთხრობებიდან „მზე“ და „ჩიტი“), ხან ფოსტაში (მოთხრობიდან „ჩიტი“) და შემდგომ, ისევ ბედიას კარ-მიდამოში. რეჟისორი და მხატვარი სხვადასხვა დეტალით ქმნიან გარემოს. მაგალითად, ეპიზოდში მღვდელი და მილიციელი ზღვის სანაპიროზე, მსახიობებს ვანო დუგლაძეს და სოსო ხვედელიძეს, სცენაზე ორი უზარმაზარი ლურჯი რეზინის ბურთი შემოაქვთ. ზღვაში ცურვის იმიტაციას სწორედ ამ ბურთების მეშვეობით ახორციელებენ. ძალიან საზრიანად, ეფექტურად და სახალისოდ არის გაკეთებული და შესრულებული ეს სცენა.

ჰომერულ სიცილს იწვევს მაყურებელთა დარბაზში ნანა შონიას მიერ განსახიერებული, მეგრელი ქალბატონი ქვიქვი. იქნება ეს მეგაფონით ხელში, სანაპირო ზოლის მეთვალყურის, თუ საკუთარი სახლის კარ-მიდამოში ჭკვიანური სახით „სიბრძნეების“ გადმომფრქვევი, ჭორიკანა ქალბატონის ეპიზოდი. ძალიან დამახასიათებელი, სასაცილო ფოსტის მუშაკის ტიპაჟი შექმნა დარეჯან ჯოჯუამ. ზევით აღვნიშნე, რომ ნოდარ დუმბაძესთან ეს პერსონაჟი კაცია. ვფიქრობ, რეჟისორმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დარეჯან ჯოჯუას მიანდო ამ პერსონაჟის შექმნა. ნანა შონიას ქალბატონი ქვიქვი, მოუხეშავი, სასაცილოდ კეკლუცი დარეჯან ჯოჯუას გულსუნდა და გადაპრანჭული, ბედიას შვილში შეყვარებული, ანა ნიკოლაიშვილის ლამაზმანი - დასამახსოვრებელი, ზუსტად, წარმატებულად მიგნებული და შესრულებული ქალთა ტიპაჟების ტრიოა.

ვახტანგ ახალაძის ბედია - კომიკური ელემენტებით გაჯერებული ტრაგიკული პიროვნების სახეა. იგი, უდროოდ დაღუპული მეუღლის გარეშე, ერთადერთი შვილის გამზრდელ მამას განასახიერებს. თბილისში სასწავლებლად გაგზავნილი შვილისადმი უზომო სიყვარულით გამოწვეული მონატრება ხდება მიზეზი მისი ტრაგიკულად დაღუპვისა. ეზოში შემოფრენილი ჩიტი თავშაველა აღუძრავს მას ცრურწმენობისთვის დამახასიათებელ აზრებს. თუმცა, რეჟისორის გადაწყვეტით, ეს ჩიტი მისი ბედისწერაა, მისი გარდაცვლილი მეუღლის მეტაფორაა, რომელიც ქმარს მოსალოდნელი უბედურების შესახებ აფრთხილებს.

სპექტაკლის მთავარ, წარმმართველ პერსონაჟებს (ნინო დუმბაძის ჩიტთან ერთად) - მთხრობელს, მეგობარს, რეჟისორს, ტორეადორს, მღვდელს, შვილს, სალახანა ლოთს, მილიციელს - ვანო დუგლაძე და სოსო ხვედელიძე განასახიერებენ. მსახიობებმა ერთ სპექტაკლში შეძლეს სხვადასხვა ტიპაჟის შექმნა. კარგი

ხმა, მეტყველება, პლასტიკა აქვთ ამ ახალგაზრდა მსახიობებს. ასაკის მიუხედავად, მათ უკვე რამდენიმე დასამახსოვრებელი სახე შექმნეს სხვადასხვა თეატრსა თუ სპექტაკლში.

ფინალამდე სცენა ძველი, გახუნებული ფოტოსურათის ექსპოზიცის სტილშია გადაწყვეტილი. აზრობრივად, საიქიოში ხვდებიან ერთმანეთს ოჯახის წევრები: დედა, მამა და შვილი. ვიზუალურად, თეჯირიდან შექმნილი სახლის ფასადის ფონზე, დედ-მამა დგას(?), მათ წინ კი ემბრიონის პოზაში შვილი არის გაწოლილი. სპექტაკლის ეპილოგი პროლოგის იდენტურია და მისი აღწერით თავს აღარ შევაწყენ მკითხველს. რეჟისორი სპექტაკლს ამთავრებს იმით, რითაც დაიწყო.

გიორგი ყაჯრიშვილი

„სახიფათო ექსპერიმენტი სახელად „მექანიკური ფორთოხალი“.

„მექანიკური ფორთოხალი“

რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი

დრამატულ ნაწარმოებში, როგორც წესი, ინტრიგა, თუ ის საერთოდ არსებობს, ხელს უწყობს დრამატული ქმედების განვითარებას. მსოფლიოს დრამატურგიაში ერთადერთი პიესა, სადაც ინტრიგა მის პირველსავე ფრაზაშია ჩადებული, არის ნ. გოგოლის „რევიზორი“– „ჩვენთან ჩამოდის რევიზორი“. ამ კლასიკური მაგალითის საპირისპიროდ რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა „თავისუფალი თეატრის“ ახალი სპექტაკლში „მექანიკური ფორთოხალი“, რაოდენ პარადოსულად არ უნდა მოგეჩვენოთ, საკუთარი ინსცენირებით მთავარი ინტრიგა დასასრულში გადაიტანა და იწყება მაშინ, როდესაც სპექტაკლი მთავრდება, ინტრიგა რომელშიაც დღეს ვცხოვრობთ. „მე მაქვს განცდა, რომ გასული საუკუნის 90 – იან წლებში ჩვენს ქალაქში ვიღაცეებმა სრულიად შეგნებულად და გეგმაზომიერად, სახიფათო ექსპერიმენტი ჩაატარეს და გამოიყვანეს ადამიანის სრულიად ახალი ტიპი, ამის გამო ძალიან ბევრი რამ, რაც დღეს 2012 წელს არ მოგვწონს ჩვენს ქვეყანაში, სწორედ იმ გამოყვანილი ადამიანების გამო ხდება“ – მოგვმართავს რეჟისორი და გვთავაზობს, ჩავერთოთ იმ დრამატულ ქმედებაში, რომელიც ჩვენ წინ გათამაშდება და მისი კოლიზია ჩვენს დღეებში მიმდინარეობს.

სპექტაკლის „მექანიკური ფორთოხალი“ პირველწყარო ენტონი ბერჯისის რომანი „მექანიკური ფოროხალი“, დაწერილი 1962 წელს, პოპულარული გახდა სტენლი კუბრიკის ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმის გამოსვლის შემდეგ 1972 წელს და რომელიც საკულტო ფილმად იქცა, ხოლო ალექსის, მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი მალკოლმ მაკდოუელი („ო, იღბლიანო“, „კალიგულა“, „მებაღე“), ინგლისის ერთ–ერთი საყვარელი კინომსახიობი გახდა. რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილის ვერსია არსობრივად განსხვავდება რომანისგან და ფილმისგანაც, თუმცა სიუჟეტურად მას მიჰყვება. 90–იანი წლების საქართველო, მოლოდინის, გადარჩენის, შიშის სინდრომით შეპყრობილი შესანიშნავად მოერგო ამ ნაწარმოებს, ხოლო აქ გამოხატული სისასტიკე, ადამიანის სიძულვილი და ტერორი „ზედგამოჭრილი“ აღმოჩნდა ერთი პატარა დანაშაულებრივი „კლანისათვის“, რომელიც სარგებლობდა შექმნილი ქაოსითა და ძარცვავდა, აყაჩაღებდა, ხოცავდა საქართველოს მოსახლეობას თბილისში და რეგიონებშიც. ამ თავაშვებულმა ჯგუფებმა გამდიდრების მიზნით შექმნეს ე.წ. „წილების“ ინსტიტუტი, გაძარცვეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც რაღაც სიმდიდრე კიდევ ქონდათ შემორჩენილი. ისინი ძალადობის მეთოდებს „მექანიკური ფორთოხალში“ აღწერილს, ისე იმეორებდნენ გეგონებოდათ ეს რომანი წაეკითხოთ ან ფილმი ჰქონოდათ ნანახი. ვარსიმაშვილის სცენიური ვარიანტის მკვეთრი განსხვავდება იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტისას ჩატარებული ოპერაციის შემდეგ კუბრიკის ალექსის – „მექანიკურ ფორთოხალს“ სულ მალე მოუწევს თავის „წინა ცხოვრებაში“ ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისგება, როდესაც მისი ყოფილი მსხვერპლები, ვინც მის ძალადობას გადაურჩა, ზუსტად ისევე მოიქცევიან, როგორც ადრე თვითონ იქცეოდა. „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლის ალექსი – „მექანიკური ფორთოხალი“ და მისი ძმაკაცები კი თბილისის ქუჩებშია არიან გამოშვებული, ახლაც ჩვენს გვერდით დადიან ისე რომ მათ ჯერ შურისგება არ სწვევით. რეჟისორმა ენტონი ბერჯისის მოგონილ ისტორიას რეალური, ნამდვილი, ჩვენი ცხოვრების უახლესი ისტორიის ამბავი დაუდო საფუძვლად.

90 – იანი წლების თბილისი, პარიზული პიგალის, ნიუ–იორკის თაიმ სქვერის და ვეს საიდის, ჰამბურგის რეპერ ბანის ქართულ ანალოგზე პეროვსკაის ქუჩაზე (მომიტევონ ამ ქუჩის მაცხოვრებლებმა, გასაგებია, ისინი არ მყავს მხედველობაში) „სისხლსავსე ცხოვრება“ ღამის საათებში იწყებოდა. აქ ყველაფრის ყიდვა შეგეძლო, სიგარეტიდან და სასმელიდან დაწყებული ღამის კომპანიონით დასრულებული. ჩემი მეგობარი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა და შეგვიანებულს უტრანსპორტობის და უფულობის „სახლშიმიუსვლელს“ ხშირად გამიტარები ღამე მასთან და „ქუჩური გარჩევის“ უნებურე მოწმე ვყოფილვარ. პირველი კერძო ბარიც აქ გაიხსნა. „დიმას ბარს’ ვეძახდით. დიმა ჩვენსვით უფულო იყო, ბარს როგორ გახნიდა, უბრალოდ მისი ერთსართულია ბინის რამოდენიმე ოთახი იქირავეს მავანმა და მავანმა და „გინესის“ ბარი გახსნეს. ეს ბარი დღესაც იქვეა, სახელი შეეცვალა მხოლოდ, მე მგონი „ჰაინეკენი“ უნდა ერქვას ახლა. ის ქალიც ისევ იქ ცხოვრობს, რომლის სახლთან სულ აურზაური იყო – ერთადერთი, რომელიც მთელი ღამე ვაჭრობდა, ყველაფრით, ქალებითაც კი. დილაობით ასფალტზე უხვად იპოვიდი გილზებს, ბოთლების ნამსხვრევებს, ქაღალდების ნაგლეჯებს, დაფლეთილ საფულეებსაც კი, რომელთა ყოფილი პატრონები ან საავადმყოფოში იყვნენ ან უკვე რესპუბლიკურ მორგში. ქალაქში დღისით და განსაკუთრებით ღამღამობით ტერორი სუფევდა.

„თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლი „მექანიკური ფორთოხალი“ – იმ წლების პეროვსკაიაზე ხდება. სცენაზე მოჩანს ამ ქუჩის ვიტრინები (საიდანაც ახლა ძვირფასიანი მაღაზიების ძვირფასად ჩაცმული მანეკენები იყურებიან), რომელზედაც გაკრულია სერგო ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ გაცვეთილ–შელახული ილუსტრაციები: „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა“, „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“, „ტარიელს ლომი მოეკლა, მით ხრმალსა სისხლი სცხებოდა“ (მხატვარი მირიან შველიძე). ილუსტრაციები, რომlebიც ძლიერ, თამარის ეპოქის საქართველოს მოგვაგონებს, მაგრამ მათ „ყავლი» გასვლით, ისევე როგორც ისეთ სიწმინდეებსა და ფასეულობებს როგორიცაა: გმირობა, მეგობრობა, თავდადება, სიყვარული. ომგადახდილი და დამარცხებული ახალგაზრდათა თაობის უმეტესი ნაწილი, სახელმწიფოს მიერ გაწირული და ღალატის მსხვერპლი, ომისშემდგომი სინდრომით შეპყრობილია, მათ თავaშვებულობას საზღვარი არა აქვს, „მხედრიონს“ ამოფარებულები ქალაქებში დათარეშობენ და შიშის ზარს სცემენ ისედაც დათრგუნviლ და შეშინებულ საზოგადოებას.

სცენის თავზე განთავსებულ ოთხ ტელეეკრანზე იმდროინდელი ქრონიკის კადრები მოჩანს: სოხუმის დაცემა, მომიტინგეები, ბუნკერის სცენები, პირველი პრეზიდენტის გამოსვლა, თენგიზ სიგუას ინტერვიუ, გვარდიელები, სროლები, სროლები, ომი რუსთაველზე, გადამწვარ გაპარტახებული უზენაესი საბჭოს შენობა, სამხედრო საბჭოს სხდომა და ედუარდ შევარდნაძე. ეს კადრები იმდროინდელ საქარველოში გვაბრუნებს.

ამ ვიტრინებზე ტანჯული ატლანტებივით ოთხი სხეული აკრულა. ესენი: – ალექსი (მსახiობი აპოლონ კუბლაშვილი), ჯორჯი ბიჭი (ჯაბა კილაძე), ბნელო (სანდრო მარგალიტაშვილი) და კოსტა (ლაშა გურგენიძე) – ძველი, განუყრელი მეგობრები არიან, „მხედრიონის ქსივათი“ რომ იწონებენ თავს ჩვენ წინაშე და დროის ნაყოფიერად გატარების მიზნით „საგმირო“ საქმეებზე მიემართებიან. გზაზე შემთხვევით შემხვედრი მასწავლებელი(მსახიობი სლავა ნათენაძე) და მისი წიგნები დაცინვის, შეურაცხყოფის, ცემის და ბოლოს მკვლელობის ობიექტი ხდება. ყმაწვილები ყველა გზეთ ცდილობენ „თვის გამოჩენას“: ალექსი, „ქარიზმატული“ ბელადი, სხვებთან შედარებით „გამოზომილი ქცევებით“, „წინა ცხოვრებაში“ ნაკითხი, მუსიკაზე შეყვარებული, ჯორჯი ბიჭი, რომელსაც ჯგუფის ლიდერობაზე აქვს პრეტენზია, თამამი, იდეათა გენერატორი, ყოველი „საქმის“ დამწყები და დამაგვირგვინებელია, ბნელო – ბნელი იდეებით მოცული, კარიერისტი და პატივმოყვარე, ისიც ჩხუბისთავი. კოსტა – თითქოსდა მათთან შემთხვევით მოხვედრილი და მათაყოლილი, პერიოდულად რომ ავლენს „გულუბრყვილობას“, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ „ერთი გუნდია“.

თავდასხმის გამო გაბრუებული და შეშინებული მასწავლებელი დიდხანს იტანს მათ თავხედობას, სიტყვიერ და ფიზიკურ დამცირებას, ძარცვას, მაგრამ წიგნების დახევის ფაქტს მოთმინებიდან გამოსული ვეღარ უძლებს და გამოხატული პროტესტი საბედისწერო აღმოჩნდება მისთვის. ამ ყმაწვილებისთვის მიცვალებულის შეურაცხყოფაც არაა უცხო, მსხვერპლის ჯიბეში აღმოჩენილ სასიყვარულო წერილებიც დაცინვისა და ქილიკის ობიექტი ხდება. როგორც ჩანს, ასეთი „გასვლები“ ქალაქში ახალგაზრდებისთვის ახალი არაა. მათ ქცევაში იკვეთება სისატიკის უკვე გამომუშავებული ხერხები, შეხმატკბილებული ქმედება, მსხვერპლის მიმართ სიძულვილი.

სპექტაკლის რეჟისორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი მათი „სისასტიკის“ ამ პირველ სცენად ვიტრინაზე აკრულ „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა” ფონზე გვიჩვენებს, იმის ხაზგასმით, ამ ბიჭებისათვის არაფერი წმინდა, თუნდაც ინტიმური აღარ არსებობს. შემთხვევით მოხუცი მასწავლებლის ლაბადაში ნაპოვნი ძველი სასიყვარულო წერილები ქილიკისა და დაცინვის ობიექტად იქცევა. ერთადერთ კოსტას სულში იღვიძებს სიბრალული და თანაგრძნობა უმიზეზოდ განწირულის მიმართ, რომელიც ვერაფრით მიმხვდარა, რით დაიმსახურა მოხუცმა სიკვდილი. მაგრამ ყველაფერი ამით არ სრულდება, აპოთეოზი ყმაწვილკაცების მიერ განტვირთვის მიზნით ატეხილი სროლაა, რითაც თავდება მათ „გმირობათა“ ყოველი ეპიზოდი. კოსტა აქაც თავის ამპლუაშია. ყოველი ასეთი დასასრული მას აშინებს, იმედს აკარგვინებს, გათამაშებული სიკვდილი სიმართალე ჰგონია და მისი განწირული კივილი ძმაკაცების დაცინვის საგანი ხდება – „ამან კიდევ რით ვერ ისწავლა“ – დასძახიან მას.

ვერც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ–ერთი წევრი, „სამშობლოს“ ძახილით რომ იწონებს თავს, გაუძვრებათ ხელიდან, რომლის აღსასრული იმ ვიტრინის წინ დადგება, სადაც „ტარიელს ლომი მოეკლა, მით ხრმალსა სისხლი სცხებოდა“ ილუსტრაციაა გაკრული, იმ ხურდა ფულში ჩაიხრჩობა, რაც ასე გულუხვად დააყარეს ბიჭებმა. ტელეეკრანზე კი ამ დროს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა ვრცელდება. დამგმელი რეჟისორი და მხატვარი ოსტატურად იყენებენ დადგმულ დეკორაციას, მოძრავი ვიტრინები, გარდა იმისა რომ გათამაშებული სცენების ასპარეზია, მეტროს ვაგონიცაა, სადაც მკვლელობათა ახალი რიგი ხდება, გატაცებული მანქანაცაა, რითაც საზოგადოებას აშინებენ და მზად არიან, უპატრონო ძაღლებსა და კატებსაც კი გადაუარონ გართობის მიზნით, ამავდროულად ისინი გათამაშებული ამბის აზრობრივ დატვირთვასაც იძენენ.

სპექტაკლის მესამე და მეოთხე ეპიზოდშიც ძმაკაცების მორიგ „გმირობებში“ ისევ ჯორჯი ბიჭითაოსნობს, სახლში შეჭრის ისევ ძველებური ხერხი, ძალადობა, შერაცხყოფა, ოჯახის უფროსის, მწერლის (ს. ნათენაძე) ახალ წიგნში „მექანიკური ფორორხალი“ ალექსის მიერ ამოკითხული ფრაზა: „ყოველგვარი მცდელობა პიროვნებას თავს მოახვიოთ კანონები, ამით მას მექანიკურ თოჯინად ვაქცევთ“ ხდება სპექტაკლის და რეჟისორ–ვარსიმაშვილის მთავარი სათქმელი.

ეპიზოდის ფინალი წინასწარ განსაზღვრულია, ყველა მათგანი სიკვდილით თავდება და მისი ხანგრძლიობა დამოკიდებულია მასზე, როდის, რამდენ ხანში გაჩნდება ამა თუ იმ მსხვერპლის მოკვლის საბაბი. ქვეყანა ქაოსშია, რასაც ეკრანზე მონაცვლეობით ნაჩვენები კადრებიც ადასტურებს და მასში განუკითხაობა სუფევს, „ზომბირებულ“ ყმაწვილებს ჩადენილ დანაშაულებზე პასუხს არავინ სთხოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ოთხი მეგობრის „გმირობებს“ მაინც ჰყავს დამკვირვებელი, დამდგმელ რეჟისორს მეტროში გამართულ ტრაგიკულ შეტაკების წინ სცენაზე შემოყავს თეთრხალათიანი, სათვალიანი ექიმი ქალი, რომელიც ჩაუვლის მათ და ისე, თითქოს სხვათაშორის გადახედავს ოთხეულს, რომ გადაამოწმოს, თუ როგორ მიმდინარეობს „ექსპერიმენტი“.

ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლით ჯგუფში მწიფდება კონფლიქტი, დგება „ავტორიტეტების“ ნგრევის, ლიდერის შეცვლის დროც. ალექსის მუსიკალურ სალონში დარჩენა და მეორე დღეს პეროვსკაიას კაფეში არგამოჩენა ყველასთვის მოულოდნელია, ხოლო ჯორჯი ბიჭისთვის კი რაღაცა ცუდის მანიშნებელი. ამიტომ შემდეგ, მარტოხელა მდიდარ ქალბატონზე თავდასხმაში საერთო გადაწყვეტილებით – „სულ ჩვენ, ერთხელ შენც“ – მოსთხოვენ ალექსის მეგობრები და შესრულების სიმძიმე მას ეკისრება. „დილეტანტური“ ქმედების დრო დამთავრდა, მათ წინ სერიოზული, დიდი საქმეები ელოდებათ, პოლიტიკური ანგარიშსწორებაც კი, რომლის შესრულება ლიდერმა უნდა ითავოს. მაგრამ „ღალატის“ მხვერპლი ხდება, მეგობრებისგან მიტოვებული, მარტო დარჩენილი ციხეში ამოჰყოფს თავს.

„ექსპერიმენტის“ მეორე ნაწილი, გამოსასწორებელი ოპერაცია, ტვინის განწმენდა, ფსიქიკაზე ძალმომრეობითი იერიში, შესრულებული ნატურალისტური ხერხებით, სახეზე დიდ ლინზაფარებული ალექსის განწირული ყვირილით – „განსაკუთრებით რაც მიყვარს, ის უნდა შემაზიზღოთ“ მთავრდება, რაც მეტყველებს, რომ ექსერიმენტი დასრულდა, იგი მზადაა, თავისუფალი საქართველოს მშენებლობაში ჩაებას. მისი განსაკუთრებული სიყვარულის ობიექტი კი ბეთხოვების მე-9 სიმფონიაა, მიძღვნილი პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილგელმ III-დმი, მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და თავისუფლების სიმბოლო, დაწერილი ფ. შილერის „ოდა სიხარულზე“ მიხედვით ალექსისთვის ფსიქოთერაპიის კურსად გადაიქცა. ეს უკვდავი ჰანგებს ახსენებს მას, რომ მასზე დაკისრებული მისია ბოლომდე არაა აღსრულებული და ისიც დღესაც დადის თბილისის ქუჩებში და ასრულებს ამ მოვალეობას.

ლაშა ჩხარტიშვილი

ისტორიული ქრონიკების კითხვა მოზარდ მაყურებელთა თეატრში

„არცა ვეყმოთ, არცა ვემონოთ...“

რეჟისორი - გეგა ქურციკიძე

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის 40 თანამშრომელი და, მათ შორის არაერთი მსახიობი, თეატრიდან დაითხოვეს, პატარების თეატრი მაყურებელს ახალ სპექტაკლს სთავაზობს.

თეატრის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ სეზონის ბოლომდე თეატრი კიდევ რამდენიმე საპრემიერო ჩვენებას გამართავს, რომელთა ნაწილი მაისის თვეშია დაგეგმილი.

გასულ კვირას თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი შეეცადა, მისი ერთგული აუდიტორია, რომელიც შესაშურად მრავალრიცხოვანია, საქართველოს ისტორიის ერთდროულად შორეულ და უახლოეს წარსულზე დაეფიქრებინა. ამ თეატრის უპირველესი ფუნქციაც ხომ, პატარა მაყურებლის გართობასთან ერთად, მის განათლებასა და მოაზროვნე პიროვნებებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი წვლილის შეტანაცაა. ამ თეატრშიც უნდა უყალიბდებოდეს მაყურებელს მოქალაქეობრივი პოზიცია და სწავლობდეს ცხოვრებას, ურთიერთობებს, ბოროტებისა და სიკეთის გარჩევას. სწორედ ამ მისიის შესრულების მცდელობად უნდა ჩაითვალოს გეგა ქურციკიძის სპექტაკლი-კომპოზიცია «არცა ვეყმოთ, არცა ვემონოთ“, რომელიც რეჟისორმა მწერალ მიხო მოსულიშვილის პიესის მიხედვით დადგა. პიესაში მოთხრობილია მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიული ფაქტების შესახებ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ქრონიკიდან, კერძოდ, 1801 წლის ანექსიის შესახებ. მოქმედება ჯერ რუსეთში მიმდინარეობს, შემდეგ ის საქართველოში გადმოინაცვლებს. მოქმედების ადგილის შეცვლასთან ერთად, პიესაში იცვლება დროც. სპექტაკლის დიდი ნაწილი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მნიშვნელოვანი, გმირული მომენტების რეტროსპექტივას წარმოადგენს. თემა, რომელიც რეჟისორმა თანამედროვე მოზარდებს შესთავაზა, დროულიცაა და აუცილებელიც, რადგან მოსწავლეებისთვის თეატრი საუკეთესო საშუალებაა სასწავლო მასალის აღსაქმელად, მაგრამ ფორმა, რომელიც რეჟისორმა შესთავაზა თანამედროვე მაყურებელს (რომელიც ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში იზრდება), ძნელი სათქმელია, რამდენად “ჩაითრევს“ მას მოთხრობილ ან ფრაგმენტულად გათამაშებულ ამბავში. არავის გასჭირვებია კოტე მახარაძის მონოსპექტაკლების ხილვა, რომელიც ზოგჯერ ოთხ საათსაც გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში მსახიობი იდეალურ მთხრობელად გვევლინებოდა, მაგრამ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობთა შემოქმედებითი პოტენცია არ კმარა მაყურებლის თვალებისა და გონების სცენისკენ მისაჯაჭვად. სპექტაკლში ერთგვარ მთხრობელად მსახიობი ლელა მახნიაშვილი გვევლინება, რომლის შესრულებაში ეტაპობრივად გამოსჭვივის გადამეტებული პათეტიკურობა. მხატვრული ტექსტის წაკითხვის მსგავსი ფორმა უკვე ისტორიული ქართული თეატრის კუთვნილებაა, დაკარგულია სისადავე და უშუალობა, რაც აფერხებს კონტაქტს მხატვრულად წაკითხულ ტექსტსა და თანამედროვე მაყურებელს შორის. ერთ-ერთ ეპიზოდში ის რუსთა მანიფესტს კითხულობს, რომელიც ძველი

ქართული ენითაა დაწერილი (რითაც დრამატურგმა ისტორიული კონტექსტი დაიცვა, მაგრამ არქაული ენა და ლექსიკა ძნელად გასაგებია თანამედროვე მოზარდი მაყურებლისთვის) და ის ადაპტირებულ ვერსიას არ წარმოადგენს. ლელა მახნიაშვილი ვერც ამ ეპიზოდში გაექცა პათეტიკურობას, თუმცა სპექტაკლის მეორე ნაწილში, როცა ის გარდაცვლილი შვილის დედის როლში გვევლინება, ავლენს ღრმა შინაგან დრამატიზმს, მისი თამაში ემოციურ გავლენას ახდენს მაყურებელზე და გამორიცხავს პათეტიკურობას.

გეგა ქურციკიძის სპექტაკლი ლიტერატურული კომპოზიციაა და მისი განხილვა მხოლოდ ამგვარი სტილის წარმოდგენების კრიტერიუმებითაა შესაძლებელი, რადგან ტექსტი, რომელიც სცენიდან ისმის, ზედმიწევნით ლიტერატურულია და არა დრამატული ან ქმედითი. მით უმეტეს, როცა წარმოდგენაში აქაიქ გვხვდება ლექსად დაწერილი ტექსტი, როგორც ე.წ. "სასკოლო მონტაჟში".

"სასკოლო მოტაჟის" მონაწილე მოწაფეებს ჰგვანან მსახიობები დიმა თარბაია და ბადრი გვაზავა, რომლებიც წარმოდგენის გარკვეულ ეპიზოდებში უხერხულად დგანან სცენაზე, მონოტონურად წარმოთქვამენ მონოლოგებს ან გადაჭარბებული მგზნებარებით შედიან დიალოგში სხვა მსახიობებთან. გრძელი მონოლოგების პარალელურად, სპექტაკლში რამდენიმე დიალოგსაც ვხვდებით. სწორედ ამ დიალოგების წყალობით აღიქმება წარმოდგენის სიუჟეტი, რომელსაც მეტისმეტი არტისტული მონდომებით, ძალების არათანაბარი გადანაწილებით ასრულებენ დიმა თარბაია, მერაბ შარიქაძე, ბადრი გვაზავა, სერგო შვეტკოვი და სხვები... სწორედ დიალოგების დროს იგრძნობა წარმოდგენის გარკვეული დინამიკა. რეჟისორი შეეცადა ისტორიული ქრონიკების თეატრალური ფორმით გაცოცხლებას მხატვრულ სურათებად, ეს მიზანი გარკვეულ ეპიზოდებში მიღწეულია კიდეც.

სპექტაკლის სცენოგრაფიული გადაწყვეტა ცნობილ ქართველ თეატრის მხატვარს აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე დარბაზის კამერული სცენა გადატვირთულია სტატიკური დეკორაციით, რომელიც კავკასიონის ქედის ასოციაციას ტოვებს, სცენის ჯიბეები შევსებულია გამჭვირვალე ფარდით, რომლის უკან რუს პოლიტიკოსთა და იმპერატორთა პორტრეტები მოჩანს. ისინი ეტაპობრივად ნათდებიან და სპექტაკლის ბოლოსკენ მათი სახეები მკრთალად მოჩანს. ეს პასაჟი აღიქმება, როგორც ერთგვარი ფონი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა 1801 წლიდან დღემდე. მსახიობები ძირითადად შავ ფერში გადაწყვეტილ კოსტიუმებში გვევლინებიან (გარკვეულ ეპიზოდებში შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მსახიობებს სარეპეტიციო უნიფორმა აცვიათ), ერთფეროვანი ტონალობა გარკვეული აქსესუარებით (ძირითადად, სამოსის და არა რეკვიზიტის) ირღვევა; ეპოქის ცვლილებასთან ერთად, სპექტაკლში შემოდის თანამედროვე ჯარისკაცის უნიფორმაც. მთლიანობაში სპექტაკლის სივრცითი გადაწყვეტა ილუსტრაციული ხასიათისაა.

სპექტაკლი, გარკვეულწილად, შემეცნებითი ხასიათისაა. მისი მიზანია, ისტორიის ჩვენების გზით მოზარდ მაყურებელში პატრიოტული გრძნობები გააღვივოს. მთელი მსოფლიოს, მათ შორის, საქართველოს სწავლების მეთოდიკა სახელმწიფო დონეზე გადასულია გამარტივების გზაზე. მეცნიერთა, ფსიქოლოგთა და პედაგოგთა ინსტიტუტები, ცენტრები, ჯგუფები მუშაობენ სწავლების მეთოდოლოგიის გამარტივებასა და გაიოლებაზე, იმისათვის, რომ სწავლის პროცესი ბავშვისთვის იყოს სასურველი, მარტივი, კომფორტული კომპონენტი, ერთგვარი თამაშის ნაწილი მისი ცხოვრების. სპექტაკლი «არცა ვეყმოთ, არცა ვემონოთ" ამ თვალსაზრისით გამართული არ არის. ის ტიპიურ გაკვეთილს ჰგავს, როცა მასწავლებელი მონოტონურად გვიყვება დრამატული ისტორიის ქრონიკებს. სუსტი სამსახიობო ანსამბლის ფონზე მაინც იკვეთება რამდენიმე მსახიობის ნამუშევარი, მათ შორის, აღსანიშნავია კახა ჭოლაძე და მერაბ შარიქაძე, რომლებიც სპექტაკლში სხვადასხვა როლს ასრულებენ. მათი უშუალობითა და მხატვრული დამაჯერებლობით შექმნილი ისტორიულ პერსონაჟთა მხატვრული სახეები რომ არა, ლიტერატურული კომპოზიცია ერთ მოსაწყენ გაკვეთილს დაემსგავსებოდა.

მსგავსი ტიპის სპექტაკლის შესაქმნელად რეჟისორს დრამატურგიული წყაროს არჩევისას მეტი სიფრთხილე მართებს, ან თავდაუდებელი შრომა ლიტერატურის დრამატულ, ქმედით ტექსტად გადასაქცევად, რათა თითოეული ფრაზა მოქმედების საფუძველიც იყოს და სპექტაკლის მამოძრავებელი ძალაც. გეგა ქურციკიძე ფსიქოლოგიური თეატრის ჟანრში მუშაობს (მან თემურ ჩხეიძის სარეჟისორო სახელოსნო დაამთავრა) და ამ მიმართულებით არაერთ წარმატებას მიაღწია, თუმცა მისი წარმატებების გარანტი მაშინ გამართული დრამატურგია იყო და არა საინტერესოდ საკითხავი ლიტერატურა.

მაკა ვასაძე

„ულეტის ღმერთი"

რეჟისორი - დავით ჭაბაშვილი

ებრაული წარმოშობის ფრანგმა მსახიობმა და მწერლმა იასმინა რიზამ დრამატურგიული მოღვაწეობა წარმატებით დაიწყო. მისი პირველივე ორიგინალური პიესები თუ თარგმანები უმაღლესი პრემიებით არის დაჯილდოებული. მოლიერის სახელობის პრიზი (საფრანგეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო სახელოვნებო სფეროში) რამდენჯერმე აქვს მიღებული: 1987 წ. „საუბრები დასაფლავების შემდეგ" ("Conversations after a burial" ორიგინალში "Conversations après un enterrement") საუკეთესო ავტორს, 1988 წ. ფრანც კაფკას „მეტამორფოზების" თარგმანისათვის, 1990 წ. „ზამთრის გადაკვეთა" ("Winter Crossing" ორიგინალში "La Traversèe de I'hiver") საუკეთესო დადგმისთვის. ჩვენი მაყურებლისთვის კარგად ცნობილმა პიესამ „ხელოვნება" ("Art") კი (მარჯანიშვილის თეტრში თემურ ჩხეიძემ დადგა 1999 წელს) ახალგაზრდა

შემოქმედს მსოფლიოში გაუთქვა სახელი: 1994 წ. „მოლიერის ჯილდო“ საუკეთესო ავტორს, პიესას და სპექტაკლს, 1998 წ. ლოურენს ოლივიეს სახელობის ჯილდო საუკეთესო კომედიისთვის, 1998 წ. „ტონი“ საუკეთესო პიესისათვის. ასეთივე წარმატებულია 2008 წ. დაწერილი პიესა „ჟლეტის ღმერთი“ (“God of carnage“ ორიგინალში “Le Dieu du carnage“) – 2009 წ. მიღებული აქვს ლოურენს ოლივიეს სახელობის ჯილდო ნომინაციაში საუკეთესო კომედია, ამავე წელს „ტონი“ საუკეთესო პიესისათვის. „ჟლეტის ღმერთი“ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა თეატრში დაიდგა, 2011 წ. რომან პოლანსკიმ პიესის მიხედვით ფილმი გადაიღო, რომელშიც ოთხი გენიალური მსხიობი: ჯუდი ფოსტერი (Jodie Foster), კეიტ უინსლეტი (Kate Winslet), კრისტოფ ვალცი (Christoph Waltz) და ჯონ რეილი (Jonh C. Reilly) მონაწილეობენ.

2014 წ. 7 თებერვალს ილიაუნის თეატრში დავით ჭაბაშვილის, როგორც თეატრის რეჟისორის, დებიუტი შედგა. სწორედ იასმინა რიზას გახმაურებული პიესა „ჟლეტის ღმერთი“ აირჩია ახალგაზრდა შემოქმედმა დასადგმელად. პიესა ფრანგულიდან, ილიას უნივერსიტეტთან არსებულმა თანამედროვე დრამატურგიის და პროფესიული თეატრალური ლიტერატურის მთარგმნელობითი კვლევის ცენტრის დირექტორმა, ქეთი კვანტალიანმა თარგმნა. მანვე იმუშავა რეჟისორთან ერთად დრამატურგიული ნაწარმოების სასცენო ვარიანტის შექმნაზე. შეიცვალა მოქმედ პირთა სახელები, პერსონაჟთა მიერ გახმოვანებული ადგილ-მდებარეობები, სიტუაციები ქართულ სინამდვილეს შეუსაბამეს და ა.შ. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ქეთი კვანტალიანის, როგორც მთარგმნელის კარგი ნამუშევარი. დრამატურგიული ნაწარმოების - სტრუქტურულ, აზრობრივ, იდეურ, ორიგინალთან მიახლოებულ გადმოცემასთან ერთად, მან გამართული, სწორი, თანამედროვე ქართულით და რაც, მთავარია, სათეატრო ენით შეასრულა თარგმანი.

იასმინა რიზას პიესა თანამედროვე ვერბალური თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამგვარ პიესებში, ქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი, ნაწარმოების დრამატურგიული ხაზის განვითარება, კონფლიქტის შექმნა თუ წარმოჩენა, პერსონაჟების მონოლოგებისა თუ დიალოგების საშუალებით ხდება. გაუცხოება, სულიერი სიმარტოვე, ნიღბის ტარება, აგრესია, თვალთმაქცობა, უსიყვარულობა, გულგრილობა - თანამედროვე, 21-ე საუკუნის ადამიანთა ტრაგედია არის გადმოცემული „ჟლეტის ღმერთში“. დრამატურგმა, ოთხი პერსონაჟის - ორი ქალისა და ორი მამაკაცის - დიალოგებსა, თუ მცირე ზომის მონოლოგებში, ასახა თავისი სათქმელი: ის საშინელი სულიერი მდგომარეობა, ის რეალობა, რაც დღეს არსებობს ჩვენ გარშემო და რაც აწუხებს იასმინა რიზას. შავკომედიად წოდებულ პიესაში არის დახვეწილი და არავულგარული იუმორიც. ფინალისკენ, კი დრამატურგმა ეს ყველაფერი გროტესკამდე მიიყვანა. პიესის დასაწყისში თავაზიანი, ზრდილი ორი წყვილი, ფინალში ვირთხის მსგავს აგრესიულ, დაუნდობელ წარმონაქმნებად იქცევიან. რომელია მათი ნამდვილი სახე? და სად არის გამოსავალი? ამაზე მკითხველმა, თუ მაყურებელმა თავად უნდა იფიქროს, გადაწყვიტოს, გააკეთოს არჩევანი. თითქოს აბსურდული კონფლიქტიდან დაწყებეული ამბავი - ერთი წყვილის შვილმა მეორე წყვილის შვილს ჯოხით ორი კბილი ჩაულეწა - ადამიანთა სრული კრახით მთავრდება. მშობლები, განსაკუთრებით დაზარალებული ბავშვის, ცდილობენ შვილების კონფლიქტის მიზეზის გამოძიებას და მოგვარებას. კონფლიქტის გამოძიებისა თუ მოგვარების პროცესში, თანდათან ისინი თავის ნამდვილ სახეს აჩენენ, აგრესია ერთმანეთის მიმართ წვეთ-წვეთად იზრდება. ადამიანის უფლებებისთვის ვითომდა მებრძოლი ქალბატონი, რომელიც ხელოვნებით არის გატაცებული და აფრიკის მოსახლეობის ჩაგრულ მდგომარეობაზე ფიქრობს, წუხს, ზრუნავს, სულ ცოტახანში აგრესორად გარდაიქმნება. გააფთრებული ფურიასავით, თვითდამტკიცების მიზნით ურტყამს საკუთარ ქმარს. რა არის ამ ადამიანებისთვის მთავარი ფასეულობები? და საერთოდ, არსებობს კი მათთვის ეს ფასეულობები? ნივთი, ანტურაჟი, იმიჯი არის მათთვის უფრო ძვირფასი, თუ საკუთარი შვილები? ამ ერთმანეთისადმი გაუცხოებულ ადამიანებს საკუთარი შვილებიც კი არ უყვართ. საკუთარი მე მათთვის უფრო მაღლა დგას, მაგრამ რა არის ეს მათი მე? ვირთხა - მეტაფორა ყველაზე ამაზრზენი მღრღნელის.

ვერონიკ და მიშელ უიები - სპექტაკლში თამარი და დათო (მაია ხორნაული, გიორგი ბოჭორიშვილი) დაზარალებული ბავშვის ბრუნო-სანდროს მშობლები არიან. ქმარი საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობს. ცოლი კულტუროლოგი, მწერალი, ხელოვნებათმცოდნე, კარგი დიასახლისი, გამომცემლობაში მუშაობს ნახევარ განაკვეთზე, როგორც აღვნიშნე, ადამიანთა უფლებების აქტიური დამცველია. სწორედ, მაია ხორნაულის თამარია ინიციატორი დამზარალებლის ფერდინანდ-გიორგის მშობლების (პიესაში: ანეტ და ალენ რეიების) - ნატას და თემოს (ნატა ბერეჟიანი, გიორგი ბახუტაშვილი) - ოჯახში მოწვევისა, ბავშვებს შორის კონფლიქტის მიზეზის ამოცნობის, მოგვარების მიზნით. მას სურს გაარკვიოს, აცნობიერებს და ინანიებს თუ არა დამზარალებელი ბავშვი თავის საქციელს. თემო წარმატებული ადვოკატია, ნატა ფინანსური მრჩეველი (პიესაში საინვესტიციო ბროკერი), ასევე წარმატებული საქმიანობაში, მაგრამ ცუდი დიასახლისი. სტრუქტურული თვალსაზრისით, რეჟისორმა სპექტაკლში არაფერი შეცვალა. იგი მისდევს პიესას. დავით ჭაბაშვილმა და ქეთი კვანტალიანმა, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ ტექსტში შეიტანეს ცვლილებები - ადგილმდებარეობები, სახელები, სიტუაციები. მაგალითად, მონტსურის პარკი სპექტაკლში ვაკის პარკად გადაკეთდა, ასპირან-დუნანის სკვერი კი - ვერის ბაღად. პიესაშიც და სპექტაკლშიც ლარნაკში ჰოლანდიური ტიტები დგას, პიესაში მუტონ-დუვერნეს მაღაზიაში ნაყიდი, სპექტაკლში კი ვერაზე მდებარე ყვავილების მაღაზიაში და ა. შ. სცენოგრაფიაც (მხატვარი გოჩა აგაშენაშვილი) თითქმის ზუსტად ასახავს იასმინა რიზას რემარკებში აღწერილ ოთახის ანტურაჟს. პიესაშიც და სპექტაკლშიც სცენა არ არის გადატვირთული დეკორაციით: სამი სავარძელი (მათ შორის ერთი ორკაციანი), ჟურნალების მაგიდა, რომელზეც ტიტებით სავსე ლარნაკი დგას, წიგნებისა და სხვა ნივთებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ე. წ. „წიგნის თაროები“ სცენის მარჯვენა და მარცხენა მხარეს განლაგებული, შუაში დიდი, თანამედროვე, პოსტ-პოსტ მოდერნულ სტილში შესრულებული ნახატი, ასევე რამდენიმე პატარა ზომის სურათი და 2

მომცრო, აფრიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის გამომხატველი ქანდაკება ამშვენებს თამარისა და დათოს (უიების ოჯახის) მისაღებ ოთახს.

იასმინა რიზას ერთმოქმედებიანი შავი კომედია 1 საათისა და 15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს ილიაუნის თეატრის სცენაზე. შემოქმედებითმა დასმა - რეჟისორმა, მსახიობებმა, მხატვარმა და ტექნიკურმა რეჟისორმა მაკა მეტრეველმა - კომპაქტური შეკრული სპექტაკლი შექმნეს. ამ მოკლე დროში მათ შეძლეს წარმოეჩინათ (დრამატურგიიდან გამომდინარე) ორი წყვილის მთელი ცხოვრება, მათი ნამდვილი, ნიღაბახდილი სახეები. მაია ხორნაულის თამარის სიმშვიდე, გაწონასწორებულობა, მშვიდობის მოყვარეობა, პროგრესულობა, მზრუნველობა და ა.შ. მოჩვენებითია. საკმარისია გარშემომყოფნი არ დაეთანხმონ მის აზრსა თუ დაგეგმილ ქმედებას ან, სცენაზე განვითარებულმა მოვლენებმა თამარის მიერ დასახულ გზას გადაუხვიოს, იგი გარეული ცხოველივით იწყებს შეტევას და „ღრენას“. ერთი ჭიქა კონიაკის მირთმევის შემდეგ კი, ნამდვილი აგრესორი ხდება - ხან, სტუმარს - ნატას, უთავაზებს მუჯლუგუნს და ხან ქმარს ურტყამს გამეტებით. ნატა ბერეჟიანის თავდაჭერილი, დახვეწილი მანერების ნატა კი, რაღაც მომენტში განერვიულებული პირდაპირ თამარის სათაყვანებელ წიგნებსა თუ ჟურნალებზე დაარწყევს. მას, ქუჩაში დათოს მიერ გაგდებული პატარა ზაზუნა ებრალება, მაგრამ როგორც მოგვიანებით ირკვევა, საკუთარ შვილზე ზრუნვითაც კი არ იკლავს თავს. გიორგი ბახუტაშვილის წარმატებული ადვოკატი თენგო, რომელიც შიგადაშიგ გარშემომყოფთა წინაშე, საერთაშორისო ასპარესზე გასვლით (ჰააგაში აქვს იურიდიული საქმეები) იწონებს თავს, ერთგვარ „მანქანად“ არის ქცეული. გამუდმებით მობილურზე საუბრობს და აგვარებს მსხვილი ფარმაცევტული კომპანიის პრობლემებს. ამიტომაც, მას ყველაზე მეტად უშლის ნერვებს „პროგრესული“ თამარი. გიორგი ბოჭორიშვილის დათო, ერთი შეხედვით რბილი ხასიათის ადამიანი, მზრუნველი, არა მარტო ცოლსა და შვილებზე, არამედ აბეზარ, მოხუც დედაზეც. სინამდვილეში მონსტრია, რომელსაც ქორწინება ღვთის მიერ ყველაზე საშინელ დასჯად მიაჩნია, საკუთარ შვილებს კი „პატარა ნაბიჭვრებს“ უწოდებს და მათ ცხოვრების ხორცმეტებად თვლის.

პიესაშიც და სპექტაკლშიც პერსონაჟთა სახეები, მოვლეთა რიგი მწყობრ რიტმში ვითარდება და რამდენიმე საკვანძო გადასვლით არის აწყობილი. პირველი კონფლიქტური სიტუაცია - თამარისა და დათოს (უიების) ოჯახიდან, დათოს მიერ გაგდებული ზაზუნა; მეორე - თამარის მიერ გამომცხვარი ნამცხვარი; მესამე - გარკვევა იმისა, სინამდვილეში ორი ბავშვიდან, ვინ არის დაზარალებული კბილებჩამტვრეული სანდრო თუ სანდროს მიერ „ჩამშვებად“ წოდებული „დამზარალებელი“ გიორგი; მეოთხე კონფლიქტი - ირკვევა, რომ სანდროს ბანდა ჰყავს. ეს ფაქტი მოგონებებს აღძრავს ორივე მამაკაცში, სწორედ აქ შემოდის უოლტერ სკოტის რომანტიული გმირის აივენჰოს თემა. აქედან იწყება ქალების და მამაკაცების დაპირისპირება-ბრძოლის თემა, რომელიც ფინალისკენ სრულდება იმის გამოვლენით, რომ ეს ოთხივე ადამიანი ვერ იტანს ერთმანეთს. გაუგებარია, საერთოდ ერთად რატომ ცხოვრობენ. მეხუთე კონფლიქტი - ძალადობის თემა ზოგადად. მეექვსე კონფლიქტი - ადვოკატისა და თამარის სიტყვიერი დუელი. მეშვიდე კონფლიქტი - ახალი მედიკამენტის ვარგისიანობაზე არასინდისიერად ჩატარებული კვლევა. მერვე კონფლიქტი - პროფესიები, ვინ სად და რაზე მუშაობს და ა. შ. შიგადაშიგ ძალადობის უსასტიკეს გამოვლინებად, აფრიკის კონტინენტზე, სუდანში დატრიალებული ე. წ. „დარფურის ტრაგედია“ (რომელიც 2004 წ. გაერომ განსაზღვრა, როგორც მსოფლიოს უსასტიკესი ჰუმანიტარული ტრაგედია) ხდება თამარისა და მისი მთავარი მოწინააღმდეგე თემოს შერკინების მიზეზი. სინამდვილე კი ის არის, რასაც თემო ეუბნება თამარს, კაცებს არ უყვართ თავდადებული, პრობლემების მომგვარებელი ქალები, რომლებიც ფიქრობენ და ზრუნავენ გლობალურ პრობლემებზე და არა მათზე, კაცებზე. კაცებს მგრძნობიარე, ემოციური ქალები უყვართ, გამჭრიახი, სიმართლისათვის მებრძოლი ქალები კაცებს დეპრესიაში აგდებენ. შეხედეთ თქვენს ქმარს, იგი დეპრესიაშიაო.

ყველაფრის საწყისი, საფუძველი, თავი და თავი კი ის არის, რომ ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის, ვერ უგებენ ერთმანეთს, ყველა თავის საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი და იქ იხარშება, აღარ შესწევთ უნარი საკუთარი სულიერი მდგომარეობა ერთმანეთს გაუზიარონ... ადამიანები მარტონი არიან... „ყოველთვის მარტო ვართ, ყველგან“ - ამბობს დათო-მიშელი ერთგან და კონიაკის დალევას სთავაზობს „ხოცვა-ჟლეტის ღმერთის“ მორწმუნე თემო-ალენს. ამიტომაც იქცნენ ისინი „ვირთხებად“.

სპექტაკლი, ისევე როგორც პიესა, იკვრება და მთავრდება ზაზუნა-ვირთხის თემით. თამარი ტელეფონით ესაუბრება თავის სკოლის მოსწავლე ქალიშვილს, რომელიც სახლიდან შეჭამს: ჭიას, ლოკოკინას... ყველაფერს, რაც ნაგავში იქნება, ისიც ჩვენსავით ყველაფრისმჭამელია... რაზეც თემო კომენტარს აკეთებს: დარწმუნებული ვარ, ეგ ვირთხა კარგ დროს ატარებს სადმე ნაგავში. თამარი - არა! თემო - რა იცით? მეტაფორა ნათელი და გასაგებია - ვირთხებივით ნაგავში მყოფი კაცობრიობა „მშვენივრად“ ვაგრძელებთ ცხოვრებას...

ახალგაზრდა რეჟისორმა დავით ჭაბაშვილმა ძალიან კარგი არჩევანი გააკეთა, როდესაც სადებიუტოდ იასმინა რიზას პიესა აირჩია თეატრში, სცენაზე დასადგმელად. სამწუხაროდ, იმავეს თქმა არ შემიძლია მსახიობთა შერჩევაზე. აქ, არ დავიწყებ სპექტაკლის ნაკლოვანებებზე ჩემი მოსაზრების გადმოცემას. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ილიაუნის თეატრის მსგავს მცირე ზომის მაყურებელთა დარბაზშიც კი, როდესაც არ გესმის, რას ბურდღუნებს სცენაზე მსახიობი, ეს უბრალოდ აღმაშფოთებელია.

ლელა ოჩიაური

შალვა გაწერელია „მოზარდში“ „კუკარაჩათი“ დაბრუნდა

ერთი წლის წინ, აპრილში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატ, რეჟისორ შალვა (მუმუშა) გაწერელიას (გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ) ხსოვნის საღამო გაიმართა. წლისთავი მის მიერვე ამავე თეატრში 29 წლის წინ დადგმული, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ ჩვენებითა და რეჟისორის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენით (ფოტოები, აფიშები, სპექტაკლების მაკეტები, ესკიზები) აღინიშნა.

შალვა გაწერელიამ ნოდარ დუმბაძის (ალბათ ყველასთვის ცნობილი, ერთ-ერთი უპოპულარულესი ქართული მოთხრობა) „კუკარაჩა“ 1986 წელს დადგა და თვითონვე იყო ინსცენირების ავტორიც (ეს ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სპექტაკლის კონცეფცია და სტრუქტურა ახალი ხაზების, დრამატურგიული „ჩადგმებისა“ და თავისუფალი ინტერპრეტაციის წყალობით, მთლიანად ამ ინსცენირებაზე აიგო). შემდეგ პირველად თვითონვე განაახლა 1992 წელს.

ამჯერად ის მსახიობმა და რეჟისორმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, სახელმწიფო და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატმა, ოთარ ბაღათურიამ (რომელიც სპექტაკლზე მუშაობის დროს შალვა გაწერელიასთან - მეორე რეჟისორი და მურტალოს როლის პირველი შემსრულებელი იყო) აღადგინა. (აღდგენა თბილისის მერიის კულტურული ღონისძეებების ცენტრის დაფინანსებით განხორციელდა, თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელ დიმიტრი ხვთისიაშვილის ინიციატივით).

ვისაც 80-იანი წლების საქართველოს თეატრალური ცხოვრება ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რა რეაქცია მოჰყვა ნოდარ დუმბაძის ამ მოთხრობის გამოჩენას თეატრალურ სივრცეში - ჯერ თემურ ჩხეიძის სატელევიზიო სპექტაკლით, 1982 წელს და შემდეგ შალვა გაწერელიას უცნაურად თამამი, „არასაბჭოთა“ და არატრადიციული „თბილისური“ ისტორიის სცენაზე წარმოდგენით - რელიგიის, ადამიანური ურთიერთობების, სატირული ეპიზოდებით ქართული მილიციის ყოველდღიურობიდან, მრავალეროვანი თბილისისა და საბჭოთა მოქალაქეებისთვიის „შეუფერებელი“ საზოგადოების, ძალიან ცოცხალი, ვიხმარ ამ სიტვას - „კოლორიტული“, აჭრელებული სამყაროს ცხოვრებიდან.

ბევრს ისიც ემახსოვრება, როგორი იყო შალვა გაწერელიას ეპოქის „მოზარდი“, რამხელა როლს ასრულებდა ის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, როგორ შეცვალა წარმოდგენა საბავშვო და საყმაწვილო თეატრის არსსა და ფუნქციაზე, შესაძლებლობებსა და მიზნებზე. რა და როგორი სპექტაკლები იდგმებოდა იქ, როგორი მსახიობები იყვნენ.

„კუკარაჩას“ აღდგენის პროცესში დამდგმელი ჯგუფი წინამორბედი 2 შემადგენლობიდან, ძირითადად, იგივე დარჩა (მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეემატა - მხატვარი - ნოდარ გაფრინდაშვილი, აღადგინა - აივენგო ჭელიძემ; კომპოზიტორი - დავით ტურიაშვილი, მუსიკალურად გააფორმა - ია საკანდელიძემ; ლოტბარი - გ. ლომთათიძე, ახალი - ალექსანდრა ლორთქიფანიძე; ქორეოგრაფები - ვლადიმერ ჯულუხაძე, ბექარ მონავარდისაშვილი; ლექსების ავტორი - ნ. ხუნწარია; რეჟისორის თანაშემწე - თამაზ ქარაული.

ოთარ ბაღათურიამ (მცირეოდენ ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით) ყველაფერს პირვანდელი სახე შეუნარჩუნა, მიზანსცენები თუ საერთო კონცეფცია მაქსიმალური სიზუსტით აღადგინა, პერსონაჟების გადაწყვეტაც გაწერელიასეული დატოვა, თუმცა, ისევე როგორც თავის დროზე, სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა, მსახიობებს თავისუფალი იმროვიზაციისა და სახეების ინდივიდუალური გახსნის საშუალება მისცა. ამის წყალობით, შეიკრა ერთიანი და საინტერესო არტისტული ნამუშევრების ანსამბლი, სახასიათო პორტრეტები - ინდივიდუალური და ჯგუფური; კომედიური და დრამატული, იუმორითა და სევდით აღსავსე, ცეკვითა და სიმღერით აწყობილი სცენები, რომლებშიც მთავარი ხაზი სიტუაციების კომედიურობას, აქტიურ და დინამიკურ ქმედებას, მოვლენათა ინტენსიურ ცვალებადობას წარსული და დაკარგული ადამიანებისა და დროის ნოსტალგიას, რეჟისორულ და სამსახიობო ფეიერვერკებს მიჰყავს.

სპექტაკლი თითქოს გაცოცხლებული ფოტოსურათებია, რომლებსაც ყოველი ახალი ეპიზოდის შემდეგ ფოტოგრაფი იღებს - კამერის წინ გაშეშებულ პერსონაჟებს ფირზე აღბეჭდავს. ისტორიას კი ორი ქუჩის მსახიობი ყვება, იხსენებს და ეს მონათხრობი თითქოს წარსულს, წარსულის აჩრდილებს აცოცხლებს. მოქმედება თბილისის ერთი პატარა, ძველი, დაბალსართულიანი სახლებით შემოსაზღვრული უბნის (შეიძლება ძველი თბილისური ეზოს) ფარგლებს, ფაქტობრივად, არ სცილდება. აქ ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ. ყველა ყველაფერს აკვირდება. ყველა და ყველაფერი აქ იყრის თავს. ყველაფერი აქ იწყება და აქ მთავრდება.

„კუკარაჩაში“, ფაქტობრივად, მთელი დასია დაკავებული და ყველა როლს (ერთეულების გამოკლებით) ორ-ორი შემსრულებელი ჰყავს. ესეც, ვფიქრობ, ამდიდრებს სპექტაკლის გადაწყვეტის თავისებურებებს, რადგან თითოეული მსახიობი სხვადასხვაგვარად მუშაობს და განსახიერებული პერსონაჟის სხვადასხვაგვარ სახეს ქმნის.

მათ შორის, რამდენიმე მსახიობია, რომლებიც საერთოდ ქმნიან „მოზარდის“ სახეს და თან პირველ სპექტაკლშიც იყვნენ დაკავებული - ბაბაიანცი - ლადო მექვაბიშვილი, ანჟელიკა - მარიკა გოგიჩაიშვილი.

მოშეს როლს აღდგენის შემდეგაც და პირველ და მეორე დადგმაში დიდი მსახიობი - რეზო თავართქილაძე ასახიერებდა. სამწუხაროდ, აღდგენილი პრემიერის შემდეგ რამდენიმე თვეში იგი გარდაიცვალა, თუმცა მოასწრო და მაყურებელს რამდენიმე განუმეორებელი სპექტაკლი აჩუქა, „მოზარდის“ ხელმძღვანელობამ კი მოასწრო და არტისტს, რომელიც ცხოვრების ბოლომდე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სცენაზე

იდგა, თეატრის წინ, რომელშიც მთელი ეს ცხოვრება გაატარა, ვარსკვლავი გაუხსნა.

მათ შორის არიან უფროსი თაობის სხვა, ისეთი მსახიობები, მაგალითად, როგორიც მოშეს როლის შემსრულებელი პალიკო ნოზაძეა, რომელიც, მაშინ (80-იანებში) - „მეტეხის“ თეატრის წამყვანი არტისტი იყო და „მოზარდელებს“ რამდენიმე წლის წინ შეუერთდა.

ბერტა ხაფავა „მოზარდის“ ვარსკვლავი იყო, მაგრამ „კუკარაჩაში“ არ მონაწილეობდა. ამჯერად მართას როლს ასრულებს.

მარიას სახეს ქმნის მაია ჩართოლანი, რომელიც „კუკარაჩა 2-ში“ იგივე როლში გამოდიოდა.

ამ სპექტაკლში საინტერესო გზა განვლო იოსებ მოლოდინაშვილმა, რომელიც პირველ დადგმაში კუკარაჩა იყო, შემდეგ ბაბაიანცი და ახლაც ბაბაიანცია.

ბუნებრივად შეიცვალნენ კუკარაჩას - კოტე თოლორდავა და ვახტანგ ჩაჩანიძე, ინგას - ნინო ლეჟავა და ნინო არჩაია - როლების ახალგაზრდა შემსრულებლები და უნდა ითქვას, თითოეულმა მათგანმა წინამორბედებისა და ახლაც ერთმანეთისგან განსხვავებული, მდიდარი და არაერთგვროვანი ხერხები გამოიყენა სპექტაკლის მთავარი პერსონაჟების რთული ბუნების ხაზების ასაწყობად, რაზეც მთელი სამსახიობო ანსამბლია დაფუძნებული.

მათ გარდა „კუკარაჩას“ მრავალფეროვან სამყაროს ქმნიან უმეტესად ახალი, შუა თაობისა და სრულიდ ნორჩი (ბავშვი) მსახიობები - ნინო ანდრიაძე, ხათუნა ბერძენიშვილი, ნინო გურულიშვილი, სოფიო ებრალიძე, ნათია კუპატაძე, ნინო ლეჟავა, თამარ ლოლაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, ანი მღებრიშვილი, ქეთევან ქიტიაშვილი, ასმათ ქურციკიძე, ეკა შარიქაძე, ქეთევან შერვაშიძე, მარინა ძიმისტარაშვილი, ეკა ხატიაშვილი, ანა ხუროშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, შალვა ანთელავა, ვახტანგ ახალაძე, შალვა ბახტაძე, გიორგი ბერიძე, ბადრი გვაზავა, გიორგი გოგიშვილი, დიმიტრი თარბაია, გიორგი კაჭახიძე, ლევან კაციაშვილი, რაჟდენ კერვალიშვილი, ნიკა კვანტალიანი, პაატა კიკვაძე, ნიკა ნანიტაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, ზვიად ურიდია, მერაბ შარიქაძე, იოსებ ხაინდრავა, კახა ჭოლაძე, ლაზარე კერვალიშვილი, ლუკა ქარაული, ზურაბ ხვთისიაშვილი, ირაკლი ხვთისიაშვილი.

იშვიათია (თუმცა ამის მაგალითები ქართული თეატრის შემყურეთ ნამდვილად გვაქვს), რომ შეიძლება 26 წლის წინ ნანახი როლი (თანაც არა მთავარი) ცოცხლად გახსოვდეს, მკვეთრადსახასიათო, მდიდარი შტრიხებით გამორჩეულობის გამო. ასე მახსოვდა (თუმცა მას შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი სახე შეუქმნია) - თამარ მამულაშვილის - ისხაკა (რომლის შესრულებისთვის იგი საუკეთესო მსახიობის პრემიით დაჯილდოვდა) და მაკა ბარდაველიძის (რომელიც თეატრში დიდი ხნის პაუზის შემდეგ დაბრუნდა) - მილიციონერი ქალი ქეთევანი. და სრულებით არ გამკვირვებია, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ეს ორივე ნამუშევარი ისეთივე ელვარეა, როგორც ოდესღაც იყო.

ზოგი მსახიობი დღეს ასაკობრივად აღარ „ერგება“ პერსონაჟს, რომელსაც ასახიერებდა, ზოგი აღარაა „მოზარდის“ დასში, ზოგი ამ ქვეყნიდან წავიდა, ზოგმა საერთოდ მიატოვა თეატრი და ახალ პროფესიაში იპოვა თავი; პირველი და მეორე შემადგენლობის ბავშვები კი გაიზარდნენ და ისინი ახალმა ბავშვებმა შეცვალეს.

დროც, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ისიც, რაც სპექტაკლში ხდება, თემატიკას და კონტექსტს ვგულისხმობ, ეპოქის სახეს, რაღაც თვალსაზრისით, „მოძველდა“, თეატრალურმა ფორმებაც სახე იცვალეს და სპექტაკლის იდეურ-პრობლემური ნაწილიც შეიძლება ვიღაცას ყავლგასულად ეჩვენოს. რაღაც - პათეტიკურად, რაღაც ხაზები - გულუბრყვილოდ. რაღაც ტექსტები - პლაკატურად. მაგრამ ამ შემთხვევასა და მოცემულობაში ეს არაა მთავარი.

„კუკარაჩა“ ქართული თეატრის კლასიკაა, მისი ერთ-ერთი მწვერვალი, რარიტეტი საგანძურის სკივრიდან, შალვა გაწერელიას ერთ-ერთი გამორჩეული, საეტაპო, დღეს უკვე „სამუზეუმოდ“ ქცეული სპექტაკლი, რომელმაც თავის დროზე გაუსწრო და ახლაც კი აჯობა დროს. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი ცხოვრება 21-ე საუკუნეში აღდგა და გრძელდება და ისიც, რომ „კუკარაჩა“ და შალვა გაწერელიას ეპოქის „მოზარდი“ ახალი „მოზარდის“ კონცეფციის გამომხატველადაც იქცა.

თუმცა, იყო ასეთი დროც (თუ ზუსტად მახსოვს, 1995-1996 წლებში), როდესაც მსახიობების ნაწილი შალვა გაწერელიას (რომელიც „მოზარდისთვის“ თავშესაფრის საპოვნელად დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა და რომელმაც თეატრის ხელმძღვანელის პოსტი, პროტესტის ნიშნად დატოვა) თან არ გაჰყვა, „ბრძოლაში“ მხარი არ დაუჭირა. მიატოვა. შედეგად - თეატრი დიდი რეჟისორის გარეშე - დიდი რეჟისორი კი - თეატრის გარეშე დარჩა.

მას შემდეგ „მოზარდის“ ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, მისი „ბედი ხან უკუღმა დატრიალდა და ხან წაღმა“. მართლა ბევრი რამ მოხდა, წინააღმდეგობებით, დაპირისპირებებით, უბინაობით, წინ და უკან („გზათა უკან“) წანწალით, მაგრამ ახლა თემას აღარ გავაგრძელებ. არც მოქმედ პირებს დავასახელებ და არც ისტორიის დეტალებს ჩავუღრმავდები.

უბრალოდ, წარსულის გახსენება ამ მხრივაც, ამ ჭრილში იმიტომ დამჭირდა, რომ აღმენიშნა - შალვა გაწერელია თავის თეატრში, რომელსაც 80-იან წლებში ახალი სახე, ცხოვრება, მიმართულება შესძინა და მოზარდთა თეატრი ყველას - „საბავშვო“, „საყმაწვილო“, „სადიდო“ - თეატრად აქცია, მხოლოდ მრავალწლიანი განშორებისა და ისიც, მხოლოდ გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა.

ლაშა ჩხარტიშვილი

განიმუხტეთ, დაისვენეთ და იცეკვეთ ტანგო!

მაცეკვე ტანგო
რეჟისორი - მამუკა ტყემალაძე

თანამედროვე ქართველ მაყურებელს დღეს, მგონი, აღარაფერი აოცებს. ქართული თეატრი ეტაპობრივად ჭრის ვიწრო თეატრალურ სივრცეს და მიმართავს ნებისმიერ ექსპერიმენტს, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის თვალსაზრისით. შესაბამისად, მაყურებელს დღეს აღარაფერი უკვირს, რომელიც ხან სცენიდან, ხანაც დარბაზიდან ადევნებს თვალს მსახიობის თამაშს, ხანაც სცენის გვერდითა სათავსოებიდან გათამაშებულ ეპიზოდებს, რომელთაც სცენაზე ეკრანის საშუალებით ვუცქერთ. უკვე ჩვეულებრივ ამბად (ტრივიალურადაც კი) იქცა მონიტორის, ანიმაციის, მულტიმედიის სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება თანამედროვე ქართველ რეჟისორთა სპექტაკლებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ტექნიკურად გაუმართავია და შედეგად რეჟისორის ჩანაფიქრი მხატვრულ ხარისხში მაყურებლამდე ვერ აღწევს.

მაყურებლის უჩვეულო განლაგებითა და მულტიმედიური ხერხებით გაჯერებული მორიგი ახალი სპექტაკლი განხორციელდა თუმანიშვილის თეატრში. ნინო მირზიაშვილის პიესა „მაცეკვე ტანგო“ რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ განახორციელა. ამ სპექტაკლშიც, რეჟისორმა მიმართა უკვე მრავალგზის აპრობირებულ ხერხებს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ წარმოდგენაში ყველაფერი ლოგიკურია და მხატვრულად გამართული, დახვეწილი, ე.წ. „ჭუჭყის“ გარეშე. თუნდაც ვიდეო გრაფიკა, რომელიც სცენის უკანა ფონზე არაერთხელ „ინთება“ სხვადასხვა ხედებითა და გამოსახულებით (ვიდეო - გრაფიკა ირაკლი ზურაბიშვილის). მულტიმედიური ხერხი ამ შემთხვევაში ლოგიკურად და ტალღისებურად „შემოდის“ სპექტაკლში, როგორც ფიქრი, წარმოსახვა და თან (რაც ძალიან მნშვნელოვანია) ტექნიკურად გამართულად, მათემატიკური სიზუსტით.

რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ „სცენა“ მაყურებელთა დარბაზში შეჭრა და „პარტერი“ მის ირგვლივ, დიაგონალზე განალაგა. ფორმით გადაჭრელებულ ქართულ თეატრში სცენური სივრცე ამგვარად ჯერ არავის გადაუჭრია, მაყურებლის ერთი ნაწილი სცენის შუაგულშია და არა გასწვრივ. მსახიობსაც საკმაოდ რთულ, ექსპერიმენტულ და ვფიქრობ, საინტერესო ხერხით უწევს ურთიერთობა მაყურებელთან. სპექტაკლში ბევრი რამ პირობითია, ბევრიც რეალისტური. ამ სტილისტიკის აღრევას მაყურებელი ვერ გრძნობს, ყველაფერი მისაღებია და ლოგიკური, არ ჩნდება ზედმეტი და პასუხგაუცემელი კითხვები. მაყურებელი იოლად, ბრმად, ნიჰილიზმის გარეშე მიჰყვება რეჟისორისა და მსახიობების მიერ შემოთავაზებულ ხერხს, რომელიც იმდენად დამაჯერებელია და გულწრფელი, რომ გადამოწმების სურვილი არ გიჩნდება, თანაც პიესის სიუჟეტი ისე სწრაფად, თანმიმდევრულად და დინამიკურად ვითარდება, რომ მას მიჰყვები და ყველაზე კრიტიკულ მაყურებელსაც კი არ რჩება დრო „ინტრიგნობისთვის“.

თუ არ ვცდები, ნინო მირზიაშვილისთვის „მაცეკვე ტანგო“ დებიუტია დრამატურგიაში და ახლა უკვე, შესაბამისად, ქართულ თეატრშიც. ის თუმანიშვილის ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსის „ახალი ქართული პიესა“ (ხელმძღვანელი ამავე თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე მანანა ანთაძე) აღმოჩენაა. სასიხარულოა, რომ თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში კიდევ ერთი ახალი სახელი გამოჩნდა, რომელმაც ამ სივრცეში დასამკვიდრებლად ერთი წარმატებული ნაბიჯი უკვე გადადგა პიესით „მაცეკვე ტანგო“, რომელიც ფრანგულ ბულვარულ კომედიას გვაგონებს. ქართული რეალობა და თანამედროვეობა, ქართველი გმირები - კაცები და ქალები, მათი ურთიერთობები ერთმანეთთან და თაობებთან ოსტატურად არის წარმოჩენილი პიესაში. დებიუტანტი დრამატურგი აშკარად ფლობს დრამატურგიის ხერხებს, ტექნიკას, სწორად, თანმიმდევრულად და ლოგიკურად ავითარებს მოვლენებს პიესაში, რომელიც მოდუნების საშუალებას არ გაძლევს, კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ რეჟისორი მსახიობებთან ერთად ამ პიესის ატმოსფეროს წარმატებით აცოცხლებს და სხვა მხატვრულ ხარისხში აჰყავს.

სპექტაკლში გათამაშებულია შეყვარებული წყვილის სიყვარულის წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორია, რომელშიც უნებლიეთ მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმარი ერთვება და იქმნება უამრავი კომიკური სიტუაცია. მსახიობის ოსტატობის ნამდვილ მასტერკლასს ჰგავს ნინელი ჭანკვეტაძისა და გია აბესალაშვილის თითოეული გამოსვლა სცენაზე. მსახიობები დეტალებით, ნიუანსებით სვამენ აქცენტებს, მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეები გლობალურია, ახლობელი და რეალური. სამსახიობო ანსამბლში ლოგიკურად ჩაეწერენ ახალგაზრდები: ქეთი ასათიანი (ნატო) და ბექა ჯუმუტია (ბექა), რომლებიც ახალგაზრდული ტემპერამენტით დაუოკებელნი იბრძვიან სიყვარულის გადასარჩენად, ისინი ხატავენ მეოცნებე, მებრძოლ, დადებით პერსონაჟებს, რომლებსაც არც ისე შესწევთ უნარი - გონივრულად მოაგვარონ პრობლემები, რომლის წინაშეც ისინი დგანან, რაც ლოგიკურია, მათში, როგორც ახალგაზრდებში, ემოციურობა უფრო სჭარბობს, ვიდრე რაციონალიზმი და სიდინჯე. გია აბესალაშვილი (გიორგი) ნატოს მამის მხატვრულ სახეს მდიდარი გამომსახველობითი ხერხების საშუალებით ქმნის, მისი გმირი სახასიათო ტიპაჟია, ბობოქარი, ემოციური, მკაცრი მამა, მაგრამ ძალიან კეთილი და გულუბრყვილო, იმპულსური. აივნის მეზობლებს განასახიერებენ ზაზა მიქაშავიძე (კოტე) და ნინელი ჭანკვეტაძე (ნელი), რომლებიც რამდენიმე ათეული წელია ცოლ-ქმარი არიან და მათი ისტორია მეზობელი ნატოს სიყვარულის ისტორიას ჰგავს. ნინელი ჭანკვეტაძე იმ ქალის ტიპაჟს ხატავს, რომელიც ოდნავ სასოწარკვეთილია და გულგატეხილი, რომელიც ცდილობს, თავისი ცხოვრება გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს. მსახიობი ამ როლშიც მოწოდების სიმაღლეზე დგას და დიდად ეხმარება სპექტაკლის საერთო წარმატებას.

მამუკა ტყემალაძის სპექტაკლი მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკასა და პოლიტიკურ ქვეტექსტებს, მასში უფრო სოციალური, მენტალური სახის პრობლემები შეიმჩნევა, რომლებიც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების წყალობით სპექტაკლში გადაიჭრება. სპექტაკლის პერსონაჟები როდი არიან იდეალურები, მათაც ბევრი შეცდომა აქვთ დაშვებული, აწუხებთ და სტკივა ყველაზე მნიშვნელოვანი - ურთიერთობის დეფიციტი. სპექტაკლში ყველაზე მწვავედ კომუნიკაციის პრობლემა დგას, დიალოგის გაუმართაობას ადამიანები კრიზისამდე, ჩიხამდე მიჰყავს, მეორე მხრივ, ზედაპირული ინფორმაცია არსებულ, ხელოვნურად შექმნილ პრობლემაზე ანგრევს ჭეშმარიტ და გულწრფელ ურთიერთობებს. მართალია, სპექტაკლზე „მაცეკვე ტანგო“ მისული მაყურებელი ბევრს იცინებს, ისიამოვნებს, დაისვენებს, მაგრამ თეატრიდან გამოსულს აუცილებლად მოუწევს ფიქრი იმ დეტალებზე, რომლებიც მის, ან მის გარშემომყოფთა ცხოვრებიდან ეცნო. აბა, ქართული თეატრი ტრადიციას ხომ არ უღალატებს, მსუბუქი კომედიითაც კი გარკვეულ პრობლემაზე არ დაგაფიქროს.

მანანა გეგეჭკორი

მეყვარება მოყვასი ჩემი, მთელი გულით!

„ძვირფასი პამელა“

რეჟისორი - კოტე აბაშიძე

რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნა თავისი პიესა „ძვირფასი პამელა“ ცნობილმა ამერიკელმა დრამატურგმა ჯონ პატრიკმა. ეს ნაწარმოები სამართლიანად ითვლება მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშად. უპირველეს ყოვლისა, პიესაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი ზნეობრივი პრობლემების გამო, რომლებიც ყოველთვის აღელვებდა ყველა დროისა და ქვეყნის მაყურებელს. ეს სცენური ნაწარმოები მართლაცდა ჩინებული დრამატურგის მიერაა დაწერილი. ჯონ პატრიკი არაჩვეულებრივად აგებს ამბავს, რომელიც აღსავსეა მოულოდნელი პერიპეტიებით, საინტერესო სიუჟეტური სვლებით, ტრაგი-კომიკური სიტუაციებითა და არაერთმნიშვნელოვანი, განსხვავებული ხასიათებით. ალბათ ამიტომ დაინტერესდა ამერიკელი დრამატურგის ამ ნაწარმოებით რეჟისორი კოტე აბაშიძე, რომელმაც იგი თავისუფალი თეატრის სცენაზე დადგა.

მხატვარ მაია სხირტლაძის მიერ შექმნილი სასცენო გარემო ზედმიწევნით შეესაბამება ავტორისეულ რემარკას: მიტოვებული სახლი, ძველი ავეჯი, ნაგავი - ცარიელი ბოთლები, ყუთები, აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი სხვადასხვა ნივთი... ერთი სიტყვით -- უბადრუკი სიღარიბის გამოხატულება. მხატვარს გმირთა ჩაცმულობაც თავიდან ბოლომდე გააზრებული აქვს. დეკორაციის მოყავისფროდან ყვითელში გარდამავალი ტონის გრადაციები ჩინებულად ეხამება პერსონაჟთა ტანსაცმელს, თან - კოსტიუმების ცვლილება სიუჟეტის კვალდაკვალ, თუ შეიძლება ითქვას, დრამატურგიულადაც ვითარდება.

თუ თამარ ნიკოლაძის გლორიას თავიდან საკმაოდ გამომწვევად და უგემოვნოდ აცვია, მისი გმირის ხასიათის შეცვლასთან ერთად, ჩაცმულობაც უფრო სადა ხდება. გია აბესალაშვილის სოლის კოსტიუმიც, სპექტაკლის მეორე ნაწილში ყავისფერ ტონშია გადაწყვეტილი. რაც შეეხება რუსუდან ბოლქვაძის პამელას - მისი გრძელი ჟაკეტი და ძველმოდური ბლუზა - ახალგაზრდობის დროიდან მორჩენილი ტანსაცმელია, იმ ხანიდან, როდესაც ქალბატონი კრონკი მდიდარი და ბედნიერი იყო, ფეშენებელურ სახლში ცხოვრობდა. ახლა კი მისი საცხოვრებელი დანგრეულია, პამელასაც აღარავინ ჰყავს, ტანსაცმლიდან კი ესღა შემორჩა.

სპექტაკლის დამდგმელი კოტე აბაშიძე თითქმის არ მიმართავს გარეგნულ სარეჟისორო ეფექტებს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი განხორციელება თავისუფალი თეატრის კამერულ სივრცეში ძალზე ძნელია. წარმოდგენის შემქმნელთა ყურადღება უმთავრესად მიმართულია პერსონაჟთა შორის წარმოქმნილი საინტერესო ურთიერთობებისკენ, პიესის სიუჟეტური ინტრიგის განვითარებისკენ ნიჭიერ მსახიობთა შეკრული ანსამბლის საშუალებით. ეს ინტრიგა პიესაში შესანიშნავად ისახება, ვითარდება და სრულდება. ჯონ პატრიკი და კოტე აბაშიძე, პერსონაჟ თეატრალის მეშვეობით, თამაშის ხერხსაც გვთავაზობენ, ესაა ე.წ. თეატრი თეატრში. ოღონდ სპექტაკლის ამგვარი გადაწყვეტა თვითმიზნური არ არის, იგი პიესის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ვინ არის თეატრალი? რატომ ჰქვია ასე? თეატრალი ხომ სასცენო ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანია, უფრო მეტად - მაყურებელი. კონსტანტინე (კოკო) როინიშვილის პერსონაჟი კი დრამატურგია, ახალგაზრდა მწერალი, რომელიც პიესას წერს. ზოგჯერ მოქმედი პირები, განსაკუთრებით პამელა, მისგან ჩაფიქრებული სიუჟეტის შეცვლას მოითხოვენ. აღწევენ კიდეც მიზანს, განსაკუთრებით ფინალში. თეატრალი მარტო მოვლენათა უბრალო კომენტატორი როდია, ეს სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რომელიც პერიოდულად მაყურებელთან პირდაპირ კონტაქტს ამყარებს, სწორედ რომ თავისებური შუამავალია ჩვენსა და სპექტაკლის პერსონაჟებს შორის.

სამი აფერისტი - გლორია (თამარ ნიკოლაძე), ბრედი (ბაჩო ქაჯაია) და სოლი (გია აბესალაშვილი) - ცდილობენ თავიანთ ბნელ მაქინაციებში ჩაითრიონ გულუბრყვილო პამელა (რუსუდან ბოლქვაძე). თავდაპირველად იმიტომ, რომ მის უბადრუკ, დანგრევის პირას მისულ საცხოვრებელს თავი შეაფარონ. მათ ხომ პოლიცია ეძებს იმის გამო, რომ შეღებილი შარდით სავსე ფლაკონებს ძვირადღირებულ სუნამოებად ასაღებდნენ.

თავდაპირველად პამელა მართლაც დაითანხმეს. ეს სასცენო პერსონაჟები არაჩვეულებრივად მომხიბვლელნი არიან. სწორედ ამით გამოიწვიეს მათ, ერთი შეხედვით მიამიტი ქალბატონი კრონკის ნდობა და სიმპათია. ამ მიუსაფარ, მარტოხელა მოხუცს ხომ ასე სწყურია ადამიანებთან ურთიერთობა! გლორიამ და ბრედმა თავიანთი ახალგაზრდული „უშუალობით“ მოხიბლეს, სოლმა კი, პირველ რიგში, „ერუდიციით“ - შოპენჰაუერის, სენეკასა და სტივენსონის ციტატებით. საქმე ისაა, რომ სოლომონ ფრანკლინი ადრე ტიპოგრაფიაში მუშაობდა ასოთამწყობად და იქ დასაბეჭდად შეტანილ წიგნებს კითხულობდა. მისი „ერუდიციაც“ ამგვარ გამოცდილებას ემყარება.

პიესაში ბევრი ტრაგი-კომიკური სიტუაციაა, მსახიობები ცდილობენ ამ ორი უკიდურესობის ზღვარზე ითამაშონ. ეს ადვილი საქმე არ არის. ზოგჯერ ჩინებულად ახერხებენ ამას, ხან - არც თუ ისე წარმატებით, მაგრამ მუდამ ამისკენ მიისწრაფვიან. თამარ ნიკოლაძის გლორია, პირველ ნაწილში, უფრო მეტად კომიკური პერსონაჟია. ერთი-ორი დამახასიათებელი შტრიხით გვიხატავს იგი მემავობიდან პროფესიონალურ აფიორაში გადასული ახალგაზრდა ქალის ხასიათს, ორი ზომით დიდი ფეხსაცმელი სიარულში ხელს რომ უშლის, ამიტომაც ხშირად იხდის და კვლავ იცვამს მას. თანდათანობით იგი სულ უფრო და უფრო გულთბილი, ადამიანური ხდება. მასში ამ თვისებებს კეთილშობილი პამელა აღვიძებს. მოხუცი თავდაპირველად გლორიას ბარბარას ეძახის. ეს შეიძლება ქალბატონი კრონკის სიბერესა და სკლეროზს მივაწეროთ. მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ბარბარა პამელას დაღუპულ ქალიშვილს ერქვა. გლორია მას ჰგავს. ამიტომაც შვილად მიიღო იგი.

გლორიას მსგავს მეტამორფოზას განიცდიან სოლი და ბრედიც. ეს გამოცდილი აფერისტები მუდამ ბეწვის ხიდზე გადიან. ყოველ წამს შეიძლება გაირკვეს, ვინ არიან ისინი სინამდვილეში. მათი მიზნები სავსებით ნათელია მაყურებლისთვის, მაგრამ პამელასთვის - არა. ან იქნებ იგი ყველაფერს ჩინებულად ხედავს, მაგრამ არ სურს დაამსხვრიოს ეს მოჩვენებითი სამყარო, ის ,,ბედნიერება,“ რომელიც ამ ადამიანთა სახით ეწვია? ამგვარი, მეტად რთული ემოციებისა და განსჯის ზღვარზე ცხოვრობს რუსუდან ბოლქვაძის პამელა კრონკი. ზოგჯერ მოხუცებულობის სკლეროზით შეპყრობილი ბებრუხანა, ზოგჯერ კი, მნიშვნელოვან, საკვანძო ეპიზოდებში, მისი გონება არაჩვეულებრივად ნათელია, მსჯელობა - ლოგიკური, გადაწყვეტილებები - თითქოს გულუბრყვილო, მიამიტური, მაგრამ უაღრესად კეთილშობილური. იგი თავისებურად ,,განაიარაღებს“ ამ ,,შებერტყილ“, ბევრის მნახველ აფერისტებს გადაჭარბებული უშუალობით, მიმნდობობითა და ერთგვარი ჰუმანური ინფანტილიზმით. პამელა ჩინებულად ხედავს, რომ ეს ადამიანები ბუნებით ფარისეველნი არ არიან. უკუღმართმა ცხოვრებამ აიძულა ისინი, კრიმინალ მატყუარებად ქცეულიყვნენ.

თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მსახიობმა, რუსუდან ბოლქვაძემ, რომლის შემოქმედების უძლიერესი მხარე სწორედ კომედიაა, კოტე აბაშიძის სპექტაკლში უარი თქვა მკვეთრად სახასიათო, კომიკური სახის შექმნაზე. ლირიზმით, უშუალობით, გულში ჩამწვდომი ემოციურობით, ამავე დროს - იუმორითა და ირონიით აღიბეჭდება მისი პამელა მაყურებლის მეხსიერებაში.

სოლიც, ბრედიც და გლორიაც თანდათანობით, მოხუცთან ურთიერთობის შედეგად, თავისებურად იცვლებიან. ერთი მხრივ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მიუსაფარი პამელა მათ მიერ მოწყობილმა ,,ბრმა შემთხვევამ“ (სახლის ჩამონგრევამ, ნაძვის ხის აფეთქებამ, საავტომობილო კატასტროფამ) იმსხვერპლოს, რომ მათ დაზღვევის თანხა დაისაკუთრონ. მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება და, მათდა ბედად, ვერც ერთი ეს დანაშაული საბოლოო მიზანს ვერ აღწევს, თითოეული მათგანი განიცდის ჩადენილს. თანდათანობით უფრო მოსიყვარულენი, გულთბილნი, ადამიანურნი ხდებიან. პერიოდულად სინდისის ქენჯნასაც განიცდიან.

მთელ ამ პროცესს მსახიობები სევდანარევი იუმორითა და გარკვეულო ირონიით წარმოაჩენენ. ამ სამყაროში ორგანულად შემოდის ქეთევან ასათიანის პაულინა იანკი. კოტე აბაშიძემ პოლ იანკი პაულინად აქცია, ანუ მამაკაცის როლი ქალის როლად გადააკეთა. ამით განსაკუთრებულად არაფერი იცვლება, უბრალოდ გაუგებარია, რას მატებს ეს სპექტაკლს მთლიანად.

საერთოდ პიესამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა. რამდენიმე ერთგვაროვანი სცენა შეერთდა. ამან სპექტაკლი უფრო კომპაქტური, შეკრული, სხარტი გახადა. თუმცა, ვფიქრობ, ამგვარი კუპიურები წარმოდგენას ყველა შემთხვევაში ვერ წაადგა. თუნდაც ფინალში. ჯონ პატრიკთან პამელა დიდ რაოდენობით საძილე წამალს სვამს და ხანძარს აწყობს იმისათვის, რომ მისი დაღუპვის შემდეგ მისმა ახალმა მეგობრებმა დაზღვევის თანხა მიიღონ. ყველანი გამოვარდებიან და ცეცხლს აქრობენ. პამელა კი ამასობაში გარდაიცვალა. სინდისის ქენჯნით შეწუხებული პერსონაჟები დაზღვევაზე უარს ამბობენ. სწორედ ამ მომენტში ქალბატონი კრონკი თვალს ახელს. აღმოჩნდა, რომ ეს უნებური სიმულაცია იყო. მოხუცს თურმე ჭიკარტების კოლოფში ძილის კი არა, თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბები ეყარა.

კოტე აბაშიძის სპექტაკლში კი ირკვევა, რომ პამელას გარდაცვალება კლინიკური სიკვდილი იყო. ჩემთვის ჯონ პატრიკის ვერსია უფრო დამაჯერებელია. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ნაწარმოების მთლიანი სიუჟეტური ლოგოკიდან, ვითარებათა საერთო კონტექსტიდან, ქალბატონი კრონკის ხასიათიდან და ნაწარმოების გრძნობათა ბუნებიდან. შესაძლოა იმან, ვისაც პიესა წაკითხული არა აქვს, ეს ხარვეზი ვერც შეამჩნიოს.

ასეთივე ცვლილება განიცადა ექიმთან სცენამაც. პიესაში წარმოდგენილია ეპიზოდი პამელასა და ექიმს შორის, საიდანაც ირკვევა, რომ მოხუცი აბსოლუტურად ჯანმრთელია, ექიმს კი რადიკულიტი აწუხებს. ამ მეტად კომიკური ეპიზოდის ფინალში, წელკავის ,,გამოცდილი მკურნალი“ პამელა მედიცინის მუშაკს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს, ხერხემლის მალებს უსწორებს და ტკივილს უხსნის. რადიკულიტის მოხსნა

ხომ მხოლოდ სითბოს და მზრუნველ ხელს შეუძლია, თვლის ქალბატონი კრონკი. აღფრთოვანებული ექიმი, მადლიერების ნიშნად, მას დაზღვევას უფორმებს. ასე მთავრდება სცენა, სადაც ვერ გაიგებ, ვინ ექიმია, ვინ - პაციენტი.

თავისუფალი თეატრის სპექტაკლში, პამელა და ექიმი ერთმანეთს საერთოდ არ ხვდებიან. ჩვენთვის უკვე ნაცნობი აფერისტები ჯერ ექიმის მოქრთამვას ცდილობენ. რომ არაფერი გაუვათ - იარაღით ემუქრებიან და, საბოლოოდ, პანიკურად შეშინებული მედიცინის მსახური სადაზღვევო პოლისს აფორმებს. არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვყო კოტე აბაშიძის სპექტაკლში მსახიობ თემურ გვალიას მიერ შექმნილი ექიმის არაჩვეულებრივად კომიკური და დასამახსოვრებელი მხატვრული სახე. არტისტი ძალიან დიდი ხანია სცენაზე აღარ გვინახავს. ახალგაზრდობაში იგი, უფრო მეტად, ლირიკო-დრამატულ პერსონაჟებს, ე.წ.გმირებს თამაშობდა. ,,ძვირფას პამელაში" კი წარმოგვიდგენს ხანში შესულ, შეშინებულ, აფორიაქებულ, რადიკულიტით გატანჯულ ექიმს. თამაშობს ძალიან კარგად, იუმორით, შესაშური ორგანულობითა და დამაჯერებლობით, გროტესკულ მანერაში, ზუსტად ისე, როგორც უნდა ითამაშო ჯონ პატრიკის ეს ტრაგი-კომედია. მართალი გითხრათ, სცენაზე რომ გამოვიდა, ვერც ვიცანი. მისი ეპიზოდი ერთ-ერთი საუკეთესოა სპექტაკლში ისევე, როგორც ორი ხანში შესული ადამიანის - პამელასა და სოლის სასიყვარულო სცენა, აღსავსე სინაზით, ამაღლებული რომანტიკით, მსუბუქი იუმორითა და სევდანარევი ირონიით.

პირველად ,,ძვირფასი პამელა" პრემიერაზე ვნახე. მართალი გითხრათ, მაშინ უფრო მომეწონა, ვიდრე რამდენიმე თვის შემდეგ, ხელმეორედ ხილვისას. მხედველობაში მაქვს სპექტაკლის დინამიკა, მისი ტემპო-რითმი. მეორედ ნახვისას იგი უფრო დუნე მეჩვენა, განსაკუთრებით პირველ ნაწილში. მართალია, მსახიობები თანდათან უფრო გათამაშდნენ, წარმოდგენაც უფრო სხარტი გახდა, მაგრამ, ვფიქრობ, პრობლემა პრობლემად რჩება. საქმე ისაა, რომ ამ სპექტაკლს იშვიათად თამაშობენ. ალბათ ამასაც თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ მაყურებლისათვის ისინი ნაკლებად საინტერესოა. ერთია სპექტაკლის დადგმა, მეორე - მისი სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მხოლოდ სისტემატური წარმოდგენით შეიძლება შენარჩუნდეს. მით უმეტეს, ისეთი სპექტაკლისა, რომელშიც მთავარია აქტიორული ანსამბლი, სპექტაკლისა, რომელიც სიკეთეზე, სიყვარულზე, კეთილშობილებაზე, სინდისის ქენჯნაზე, სათუთ ადამიანურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს.

,,მეყვარება მოყვასი ჩემი, მთელი ჩემი გულით! - ასე მიმართავს პამელა ღმერთს. შეიძლება მოყვასი ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორიც გინდა. ქალბატონ კრონკს ხომ არჩევანი არა აქვს. ამიტომ მოყვასებად მიიღებს ამ შემთხვევით ადამიანებს, ღმერთის საჩუქრად თვლის მათ, რადგან მოხუცი სხვას არავის სჭირდება. რამდენი ასეთი მიუსაფარი მოითხოვს ჩვენგან გულისხმიერებას, ადამიანურ სითბოს, თანადგომას. რამდენ ასეთ ადამიანს შეუძლია გააღვიძოს ბევრ ჩვენგანში მიძინებული, მივიწყებული გრძნობები, დაგვაფიქროს იმაზე, სწორად ვცხოვრობთ თუ არა და რას წავიღებთ ამ ქვეყნიდან სიკეთისა და სიყვარულის გარდა.

ლელა ოჩიაური

საბედისწერო „გასროლა" სათამაშო პისტოლეტიდან

„სათამაშო პისტოლეტი"

რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი

„თავისუფალ თეატრში" თამარ ბართაიას „სათამაშო პისტოლეტის" განხორციელებით (დაიდგა თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით), გიორგი შალუტაშვილმა, ერთი მხრივ, საზოგადოება თანადროულ საკითხებზე კამათში ჩააბა. ამასთან, ბოლო პერიოდში თავისი დადგმებისგან განსხვავებულ რეჟისორულ გადაწყვეტას მიმართა და ამითაც გამოიწვია მაყურებელში დისკუსია (როგორც საქართველოში, ასევე დიდ ბრიტანეთში, სპექტაკლის ჩელსის თეატრში წარმატებული წარდგენის შემდეგ), როგორც მხატვრული ანალიზის, ასევე ადამიანის დანიშნულებისა თუ მისი ყოფნა-არყოფნის, უფრო ზუსტად - როგორი ყოფნა-არყოფნის - მარადიულ თემაზე.

„სათამაშო პოსტოლეტი" - ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც ორ პარალელურ განზომილებში და რეგისტრსა თუ შრეზე ვითარდება - ორი ადამიანის ისტორიაა, რომლებიც რეალურად სულ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მრავალი წელი აკავშირებთ (წარსულიდან - ახალგაზრდობიდან თანამედროვეობამდე - მოხუცებულობამდე), რომლებიც შინაგანად (ფიქრებში, მოგონებებში და პირველი შეხვედრიდან მიღებული „გაკვეთილების" შედეგად), ფიზიკური სიშორის მიუხედავად, მუდამ ერთად არიან.

სახელგანთქმული, როლებით, თაყვანისმცემლებით განებივრებული პოპულარული მსახიობის იოსა (გიორგი აბაშიძე) და მსახიობობაზე, წარმატებაზე, პოპულარობაზე მეოცნებე და, რა თქმა უნდა, ცნობილ მსახიობში შეყვარებული 14 წლის გოგონა დეას (ანი ალადაშვილი) ამბავი. პირველი იმედგაცრუება. პირველი გულისტკივილი და ორმაგი გაკვეთილი, რომელსაც ორივე ერთმანეთისგან მიიღებს.

გიორგი შალუტაშვილი მოქმედებას ორი მიმართულებით აგებს, სცენას ორ პარალელურ სცენად ყოფს. ორივეს - დეასა და იოს - თავისი საკუთარი სივრცე აქვს, თავისი ხაზი, თავისი სათქმელი. მათი გზები ცხოვრებაში მხოლოდ რამდენჯერმე იკვეთება, სცენაზე (მხატვარი მირიან შველიძე გარემოს შესაქმნელად

სულ რამდენიმე ელემენტს იყენებს) კი, ერთ სივრცეში, ერთ სიბრტყეზე სხვადასხვა განზომილებიდან, სამოქმედო ადგილიდან, მდგომარეობიდან მუდამ ერთად არიან.

ეს ორი, დამოუკიდებელი სივრცე (გეოგრაფიულიც და დამოუკიდებლად წარმართული ცხოვრებისეული მანძილი) მუდმივად სერავს ერთმანეთს - ჩვენთვის - მაყურებლისთვის ხილულად - მათთვის კი - არა, მაგრამ როგორც მყარად შეკრული ჯაჭვის ერთ ღერძზე ასხმული რგოლები, ისეა აწყობილი და ერთი მეორეზე წაფენილი, ურთიერთგამომდინარე და განუყრელია, რადგან ყველაფერს მიზიდულობის „კანონი“ მართავს.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლში მესამე მოქმედი გმირიცაა - მუსიკოსი, რომელიც უშუალოდ მოქმედებაში არაა ჩართული, მაგრამ კიდევ ერთ - მესამე განზომილებაშია მოქცეული - მუსიკის ავტორი და შემსრულებელი ლექსო ტურიაშვილი, რომელიც სცენის სიღრმეში ზის და ცოცხლად აფორმებს მთელ სპექტაკლს.

ორივე - დეაც და იოც - ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხოვრობს და ფაქტობრივად განუყოფელ, მაგრამ თავის პირად ისტორიას ყვება (მონოლოგები ხშირად ერთმანეთს ედება, აგრძელებს, ეხმიანება და იშვიათად იქცევა დიალოგად, ამბავს კი უშუალოდ ჩვენ - მაყურებელს - გვიყვებიან. ნებისმიერი გარდასახვაც, „გადაცმაც“ (კოსტიუმების მხატვარი ნატა კობახიძე), სახეცვლილებაც, დროის მსვლელობისა და ადგილის ცვალებადობის ფიქსირებაც, მოვლენათა მონაცვლეობის შეგრძნებაც - ჩვენ წინაშე „თამაშდება“), თავის ხაზს ავითარებს, მაგრამ ვინაიდან მათი სულიერი მიჯაჭვულობა, შინაგანი კავშირი და საზოგადოების თავგადასავალიც უწყვეტია, ყველაფერი ერთ მთლიანობად აღიქმება .

ორი ადამიანის ისტორია - შეიძლება ითქვას, ზოგადად არატიპური, მაგრამ ბევრი სახასიათო და სპეციფიკური დეტალით, ფაქტით, ბევრი ადამიანის ისტორიის გამომხატველი და უფრო მასშტაბურად - საზოგადობის ბიოგრაფიის (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური) - მეტაფორად წარმოდგება, რომელიც კონკრეტულ მოცემულობას, ჩარჩოებს სცილდება.

სათამაშო პისტოლეტითა და სიკვდილის შიშით დამცირებული და მორალურად განადგურებული იო მამაც და უშიშარ მებრძოლად იქცევა, როდესაც ქვეყანა ომში ებმება, დეა - სახელგანთქმული მომღერალი ხდება, იო - სულიერი კრიზისისა და პირადული მარცხების დაძლევის შემდეგ - მსოფლიოში აღიარებული დრამატურგი. ორივე თავ-თავიანთი გზით მიდის. ქორწინდებიან. დეას შვილები ჰყავს - შემდეგ შვილიშვილები. იოს - არა. იოს ოჯახი (ორი) ენგრევა. დეასაც. იო ახალგაზრდა დედასა და მის შვილებს იშვილებს - ბაბუა ხდება და ბოლოს და ბოლოს ბედნიერია. დეა საოპერო მომღერლის საერთაშორისო კარიერაზე ამბობს უარს და შინ, სოფელში ბრუნდება. ისიც, ყველაფრის, არაერთი დანაკარგის მიუხედავად, ბედნიერია. ერთი სიტყვით, ცხოვრება მიდის, გრძელდება, როგორც ბევრის ცხოვრება, ადამიანი, პირად მოცემულობაში ჩაკეტილი, თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აყოლილი, მშვიდობის, ომის, ომისშემდგომი პერიოდების, წარმატების, წარუმატებლობის, ბედნიერებისა და უბედურების, სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესებს ჩვეულებრივ გადის და ჩვენ ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე ვართ.

გიორგი შალუტაშვილმა, ერთი მხრივ, შეინარჩუნა პიესის „მსვლელობა“ და წყობა და მეორე მხრივ, აქცენტი მისი სათქმელის მინიმალისტური ხერხებით გამოხატვაზე გადაიტანა, ამისთვის კი მსახიობი - როგორც პერსონაჟი და მის მიერ შექმნილი სახე - როგორც თაობის (საზოგადოების) მეტაფორა - ფსიქოლოგიური და განზოგადებული - გამოიყენა.

საინტერესოდაა გადმოცემული ამბავიც და თვითონ ამბავია საინტერესო. სიყვარულის, მიჯაჭვულობის, იმედგაცრუების, „კერპების დაცემის“, სულიერი კრიზისის და მისი დაძლევის ისტორიას ქვეყანაში მომხდარი მოვლენების, მათ შორის, ყველაზე მძაფრად და მკაფიოდ, ომების ისტორია სერავს, თუ პირიქით. სწორედ ეს ომები, რომლებიც საქართველოს თავს დაატყდა - 1991-1992 წლებში - თბილისის ომიდან დაწყებული, შემდეგ აფხაზეთსა და ბოლოს, 2008 წლის აგვისტოთი დამთავრებული - განსაზღვრავენ როგორც დეასა და იოს, ასევე, მთლიანობაში საქართველოს, საქართველოს ათასობით მოქალაქის ბედს. ადამიანების, რომლებსაც უშუალოდ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური თუ „კულტურული“ კრიზისიდან გამომდინარე, მოუწიათ სამშობლოს დატოვება, ადამიანების, რომლებსაც სწორედ ომის გამო გახდნენ იძულებული, სახლ-კარი მიეტოვებინათ და სხვაგან ეპოვათ თავშესაფარი. შემდეგ ეს მეტაფორად იქცევა და ზოგადად ადამიანების - სულიერი სიცარიელის, მიუსაფრობის, დაშვებულ შეცდომებსა თუ მეორე ადამიანის წინაშე პასუხისმგებლობის აუცილებლობის განზოგადებულ პორტრეტს ქმნის.

ფინალში ცხოვრება კვლავ ახვედრებს 2 ადამიანს ერთმანეთს (ალბათ სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო), წლების შემდეგ, როგორც ოდესღაც შეახვედრა. პირველ და მეორე შეხვედრას შორის დიდი დროა გასული და მსახიობებს პერსონაჟებში ამ ხნის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების (და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობაზე ასახული) განსახიერება უწევთ - ახალგაზრდობიდან ხანდაზმულობამდე, მოხუცებულობამდე, არაერთი დრამატული კოლიზიის გავლით, შინაგან ორთაბრძოლებთან, საკუთარ თავში ახალი უნარებისა და შესაძლებლობების აღმოჩენასთან ერთად.

მათ უწევთ ბევრი უთქმელი, ერთმანეთისთვის გაუმხელელი საიდუმლოს გათქმა თუ მთელი ცხოვრების განმავლობაში პასუხგაუცემელ კითხვაზე პასუხის პოვნა. ყველა იმ ნაბიჯზე პასუხისმგებლობის აღება, რაც სათამაშო პისტოლეტიდან „საბედისწერო“ გასროლას მოჰყვა.

გიორგი ყაჯრიშვილი

„R+J“+Z“ – სამი განზომილება

რეჟისორი - მიხეილ მარმარინოსი

უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ უკვდავ ქმნილებათა შორის ის ტრაგედია, რომელიც ყოველთვის იწვევს ინტერესს, როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა იყოს. დრამატულ სპექტაკლებზე რომ არაფერი ვთქვათ და იგი თითქმის ყველა თეატრის რეპეტუარში შეიძლება აღმოაჩინოთ, ამ ნაწარმოების 51 კინოვერსია და 6 საბალეტო ვარიანტი არსებობს.

მ. თუმანიშვილის თეატრში ბერძენი რეჟისორის მიერ განხორციელებული ეს ტრაგედია სეზონის ჰიტია და დღემდე იგი, ჩემი აზრით, სეზონის საუკეთესო წარმოდგენად რჩება. მაყურებელთა ინტერესი კი იმდენად დიდია, რომ ცარიელი ადგილის პოვნა შეუძლებელია, ისევე როგორც ბილეთების შეძენა წინასწარი შეკვეთის გარეშე.

მარმარინოსს მოსწონს თეატრის ყველანაირი სივრცის ათვისება და მაყურებლის ჩართვა ქმედებაში თეატრში შემოსვლისთანავე. ასე იყო მის პირველ ქართულ სპექტაკლში „მედეა, ორი წერტილი, მასალა“ (ჰ. მიულერი), როცა წარმოდგენის სანახავად მოსული მაყურებელი თეატრის კარებიდანვე, ჯერ კიდევ ძველი შესასვლელით, ერთვებოდა სასცენო ქმედებაში, დიდ გრძელ დერეფანს გაივლიდა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ბერძნული ქოროს და სპექტაკლის მონაწილენი იყვნენ ჩამწკრივებულები და ჩურჩულით მედეას საბედისწერო ცხოვრებისა და „არგონავტების“ შესახებ გვიყვებოდნენ. ასევე იყო „ეროვნულ ჰიმნში“, სადაც მაყურებელი ერთ დიდ გაშლილ ქართულ სუფრასთან სადილობდა მსახიობებთან ერთად. ასეა ახლაც. მაყურებელთა დარბაზის შესასვლელში ორ მაცნეს (გ. ნაკაშიძე, კ. კალატოზიშვილი) თავები მიუდვიათ ერთმანეთისთვის და მათ შორის უნდა გაჭრა სივრცე და გაიარო, ძალაუნებურად ყური მიუგდო მათ ბაასს, შექსპირის „რომეო და ჟულიეტას“ ფრაგმენტს – „ნეტავ ერთი შენ რა სევდა გიგრძელებს წუთებს!“. მ. მარმარინოსის სპექტაკლები ყოველთვის თანამედროვეა, იმას ასახავს რაც დღეს საქართველოში ხდება. მაგ. დღევანდელ სპექტაკლში, რუსთაველის პროსპექტზე ამ ცოტა ხნის წინ მომხდარი მკვლელობის ჩართვით და იმაზეც, რაც შეიძლება შეგემთხვეს, როდესაც ამ საღამოს თეატრის შენობიდან გახვალ, – პირველ მოქმედებაში კოსტიუმიზირებული საღამოსათვის მუსლიმებად გადაცმა – გუშინდელი ჩვენი ბრძოლა ბათუმში აზიზის სახელობის მეჩეთის აშენების წინააღმდეგ, სადაც ქალაქის მეორე ბოლოს, ქუჩაში წიფლის ხეებს შორის ჩხუბზე ყველა რომ ლაპარაკობს. ამ სცენების ნახვამდე კი თანდათან ეშვები მიხეილ მარმარინოსის ცნობიერების დინებაში და მიჰყვები მისი სპექტაკლის მთავარ მისიას: „ჩვენი მიზანია, კარგად ნაცნობი ისტორიები გამოვიყენოთ ჩვენთვის სრულიად უცნობი ამბების აღმოსაჩენად (ჯონათან ფოქსი). „R+J“ ბედისწერა დაბნეულია. “მესამე მეხსიერება“, მე ჩემთვის ამას „R+J“ მესამე განზომილებას“ ვარქმევ და შეგრძნებებს ორად ვყოფ: „R+J“ ორი სიბრტყისეული გაზომილებად, მათი სასიყვარული, ნაღვლიანი ისტორიას და მესამე სივრცული განზომილებად, მათემატიკაში Z-ით რომ აღინიშნება – იმ ასოციაციებად და შეგრძნებებად, ჩემში ამ სპექტაკლის ცქერის დროს რომ მიმდინარეობა, ანუ „R+J“+Z“.

შვიდი მაცნე – „მედიუმები, რეალური ცხოვრების ტვირთსა და პერსონაჟის ტვირთს შორის“ რომ არიან მოქცეულები, მოგვითხრობენ ისტორიებს, რომელთაც ერთი შეხედვით არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. იმ პატარა „ინფორმაციებს“ გვაწვდიან, რომელთაც ისინი საჭიროდ თვლიან, რომ ვიცოდეთ: დრო – ქვიშის საათია, MARLBORO – საწამლავია, ღამე – შავი ნაჭერია, მიწა – მიწაა, კვერცხი – სიცოცხლეა და ბაც… გატყდა, დამთავრდა სიცოცხლე – ასეთი ფაქიზი და ადვილად „გასაწირი“ – მერე მაცნე (პ. ინაური) მოვა და მორეცხავს, სიცოცხლისაგან კვალიც არ რჩება, ბედნიერება კი – საპნის ბუშტია. არც R+J სიკვდილია ჩვენთვის გაკვეთილი. ჩვენ ხომ ერთი ნაჭერი პურისთვის, მიწის ერთი ნაგლეჯისთვის შეგვიძლია ერთმანეთს თვალები დავჩიჩქნოთ. ხვდებით ახლა, მიხეილ მარმარინოსმა რატომ დადგა „რომეო და ჯულიეტა“ საქართველოში? ჯერ ვერა? კარგით, გავაგრძელოთ.

გარდატეხის ასაკში მყოფი ახალგაზრდის მოგონებები (მაცნე – პ. ინაური) თბილისურ ზაფხულს უკავშირდება, „კვირაა და ძველი ჩვეულების თანახმად, წვეულება ეწყობა“ – ჩვენ ხომ დავსწებულვართ ასეთ წვეულება-სადილებს, კერძს კერძი ცვლის, სტუმარს – სტუმარი, კაბებს – შარვლები, შარვლებს – ბიკინი, ჩაცმულობას – სიშიშვლე. ვსაუბრობთ, ვცეკვავთ, მერე რა რომ სხვა გვარის „დაუპატიჟებელი“ შემოგვპარვია, ნერვებს გვიშლის? აგერ არაა ვინმე მსურველი ... გვერდით გაიყვანს, სამუდამოდ დაავიწყებს აქეთკენ გზას. მაგრამ თუ ჩვენი ქალიშვილი ან ვაჟი შეუყვარდა? „შვილი ისე უნდა მოიქცეს, როგორც მშობელს სურს“, მერე რა, აგერ არაა შექსპირი? თუ არასასურველი სასიძო „გაიჩითა“, ტიბალტიც არ დააყოვნებს, ისე გააქრობს, რომ ვეღარც ბერი ლორენცო უშველის: „ჩემ მეგობარ მესკალთან ვიყავი... ისე გიორგი ჰქვია. კარში ელენესგან დატოვებული წერილი დამხვდა: „გამოვირე, მაგრამ ვერ გნახეთ“. სადღა ნახავ?

ნადიმის სამზადისი კი გრძელდება, მზადების პროცესი ხანგრძლივია, შვიდივე მაცნე შეშას აგროვებს, ყველა ერთად და ცალ-ცალკე მუდმივ მოძრაობაში. შემოაქვთ, გააქვთ, ალაგებენ, წმენდენ, დარბიან. სცენაზე გამუდმებული ფიზიკური ქმედებაა, რეჟისორ მარმარინოსის სპექტაკლების ამოსავალი წერტილი – ძირითადი პრინციპი, რითაც იგი განსხვავდება სხვა თანამედროვე რეჟისორებისგან, ფიზიკური ქმედებაა, მოძრაობა, შინაგანი შეგრძნება, მეიერჰოლდისეული, როდესაც მსახიობის დამოკიდებულება პერსონაჟთან ამ დროს სცენაზე ქმედების შედეგად მიღწეული შინაგანი ტემპო-რიტმით ვლინდება, ხოლო განწყობა და შეგრძნებები მხოლოდ მაშინ აქტიურდება, როდესაც ეს ტემპო-რიტმი ნაპოვნი და დაჭერილია. მხოლოდ

მაშინ ხდება მაცნეთა ყოველი სიტყვა ქმედითი, მხოლოდ მაშინ გრძნობს მაყურებელი იმ ვიბრაციას და იმ შეგრძნებებს, რასაც მსახიობი იმ მომენტში განიცდის და გადმოსცემს, რისთვისაც დგას იგი ახლა სცენაზე. ამიტომაცაა, რომ „R+J"-ში გამუდმებული მოძრაობაა, სირბილი (რომელიც, დარწმუნებული ვარ „გველაძუა" კრიტიკოსებს აღიზიანებს), რათა მიღწეულ იქნას ფიზიკური ქმედების ეს მდგომარეობა. ამიტომაცაა, რომ მაყურებელი რეჟისორმა სცენაზე და მის ახლო მიდამოებთან განათავსა, რის მეშვეობით მსახიობსა და მაყურებელს შორის ადგილი მინიმუმამდეა დაყვანილი.

სპექტაკლის დასაწყისი, უძრავი სცენა, თანამედროვე ხელოვნების ნახატს რომ მოგვაგონებს, სადღაც სალვადორე დალიცაა, სადღაც სხვაც. პირადად მე ამ სცენამ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, პოლონელი კინორეჟისორის ზბიგნევ რიბჩინსკის ფილმები გამახსენა. თეთრი ფონი, თეთრი მაგიდა, თეთრი სკამები. შვიდი მაცნე „სიტყვებს, სიტყვებს" გვთავაზობს ჰამლეტივით, ხოლო მასში ჩვენ იმ აზრს ვდებთ, რაც გვსურს, აზრებს, რომელმაც შეიძლება ჩვენი ბედი სამუდამოდ შეცვალოს: „ბედისწერა ადამიანს ისე ეთამაშება, როგორც კატა თაგვს", ხოლო თაგვის გამარჯვების შანსი – თეატრია. შეგვიძლია კი ჩვენი ბედისწერა შევცვალოთ, „სპექტაკლს შეუძლია პიესას გადაუხვიოს?" მაგრამ ჩვენსავე პიესას თუ ჩვენვე ვწერთ და ჩვენვე ვთამაშობთ? მაშინ რატომ ისეთს არ ვწერთ, სადაც ბედისწერაზე არ ვიქნებით დამოკიდებული? თუ ესეც ბედისწერაა?". „ბედისწერა, როგორც სიჩქარის საკითხი, სიჩქარე იწვევს ბედისწერას". სწორად ვცხოვრობთ? სწორად გვესმის სიტყვები? არა! პირი მაცნესავით (პ. ინაური) გვაქვს გამოტენილი, ვჭამთ ყველაფერს, ერთმანეთს და თან ვლაპარაკობთ, არავის ვაცდით, არავის ვუსმენთ – „არა, სხვა რამეს ვამბობ"– დაგვიჩემებია, იმიტომ რომ არავინ გვისმენს, ყველა თავისას ამბობს და ერთდროულად!

მესამე განზომილებაში ვინაცვლებთ და „ერთხელ თამარ მეფისა და დავით აღმაშენების გადაკვეთაზე ვიდექით... ხშირად ის, ვისაც ასე გამალებით ვეძებთ, თურმე ჩვენს გვერდით დგას და ვერ ვამჩნევთ" – „როზალინას გამო" წვეულებაზე მოსული რომეო „სხვას ეძებდა და სხვას შეხვდა".

მიხეილ მარმარინოსი გვთავაზობს, რომ „მოვლენები უნდა ვითარდებოდეს ასოციაციური სიჩქარით ფიქრშიც და მოქმედებაშიც" და იმ სასცენო სივრცეში, რომელიც მან ააგო, ასეც ხდება. სივრცე ორ დონედაა განლაგებული, პირველი – მაყურებელთა სავარძლებთან ახლოს, სადაც აქცენტირებულია ისეთი „ინტიმური" სცენები, როგორებიცაა „პირველი ღამე", „საწამლავი" და „სასაფლაო". მეორე – უფრო მოცილებული წინა რიგებიდან ძირითადი ასპარეზია, სადაც ხდება დანარჩენი ქმედება. მაგ. ცნობილი ღამის – აივნის სცენა. ეს ყველაზე რომანტიკული და ლამაზი ფრაგმენტი უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტადან" ყველგან კულმინაციურია რეჟისორული გადაწყვეტის თვალსაზრისით. ძალაუნებურად გვახსენდება, როგორ ხდებოდა ეს გ. ქავთარაძესთან (მ. ჯანაშია, დ. კვირცხალია), გ. მარგველაშვილთან (ი. სუხიტაშვილი, დ. როსტომაშვილი, ბ. ჯგუბურია), ძეფირელისთან... ორიგინალური და ძალიან შთამბეჭდავია ეს სცენა მარმარინოსთან. უშველებელი თეთრი მაგიდა, რომელიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას დგას, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს და დანიშნულებას იძენს (აქ ისევ მახსენდება ქმედითი, აზრობრივი და ვიზუალური თვალსაზრისით უნიჭიერესად გააზრებული მაგიდა თ. ჩხეიძის სპექტაკლში „გუშინდელნი" – რუსთაველის თეატრი), აივნად იქცევა, რომელზედაც ჯულიეტა (ქ. შათირიშვილი) თავის სტუმარს პირველ პაემანზე ელოდება. წითელ ფეხსაცმელს გაიხდის და ხელში უჭირავს, რათა უნებურად ნაბიჯების ხმით ოჯახის წევრები არ გააღვიძოს, ჩუმად, ფეხისწვერებზე მიიპარება აივნის კიდისკენ, საიდანაც სიბნელეში რომეოს სილუეტი მოჩანს, რომელსაც მთელი „ჯარი" ყვავილების შეუკრებია და მისთვის მოუტანია. ჯულიეტას თეთრი ბლუზა, შავი ბოლოკაბა და წითელი წინდები მოსავს. „სარკმელია აღმოსავლეთი, მზე – ჯულიეტა".

„რომეო, რომეო..." – სიბნელეში ამბობს ჯულიეტა და „გასაგნებული სიტყვა, სურვილის კვანტუმი, მწიფე ალუბალივით კედელს ეხეთქება და სისხისფერ კვალს ტოვებს". ჯულიეტა ფეხსაცმელს იცვამს, აივნიდან რომეოს მიძღვნილ ყვავილებისკენ ეშვება და ეშვება თავდაყირა (ეს სამყაროც ხომ თავდაყირა დგას, სადაც სიყვარული სიძულვილმა შეცვალა, ნდობა – გაყიდვამ, შეპირება – პირგატეხილობამ, ერთგულება – ღალატმა), ხელებით, რომლებითაც ლიანებს ჩაფრენილა, ნელ-ნელა იწევს ქვევით, წითელწინდებიანი და წითელფეხსაცმლიანი ფეხები ფოთლებში გაიელვებს. დაშვება რთული და ხანგრძლივია, მაგრამ სასიამოვნო და აი, ხელებით მიწას შეეხო, იღებს ყვავილებს, ბევრს, სხვადასხვას და სხვადასხვაფერს: „ისე ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა, რომ ხვალ დილამდე მსურს ვიძახო - „მშვიდობა შენდა" და აივნის სიღრმეში გაუჩინარდება.

მაყურებელთა ჩართულობის, თანამონაწილეობის მიზნით რეჟისორს შემოაქვს ინტერაქტიული მეთოდი. მაყურებელი თავიდან ფრთხილად და მორიდებულად, გაუბედავად, მაგრამ მაინც ერთვება ამ თამაშში, პასუხობს მსახიობთა შეკითხვებს, ამ დიალოგის ბოლოსკენ კი უკვე აქტიური ხდება და მიდის აზრთა გაცვლა-გამოცვლა თემებზე: – განგიცდიათ თუ არა რომეოსა და ჯულიეტას მსგავსი სიყვარული, უღალატიათ თუ არა ოდესმე და მათ შორის ყველაზე აქტუალური და შემდგომი ქმედებისთვის საჭირბოროტო კითხვა: „გახსოვთ თუ არა პირველი ღამე?"

დროდადრო მარმარინოსი მაცნეთ ტრაგედიის დანარჩენ პერსონაჟთა „ნიღბებს" არგებს. ძიძა, რომეო, ჯულიეტა, პარისი, ბერი ლორენცო გამუდმებით ცვლიან ერთმანეთს.

ჯულიეტა (ქ. შათირიშვილი) მოლოდინშია, რომეოს პასუხს ელის...

„ნებისმიერი მოლოდინი პატარა დრამატულ პიესას ჰგავს, რომელსაც მოქმედებებიც ახლავს. პირველი, მეორე... და ბოლოს შეიძლება კათარზისიც განიცადო". სპექტაკლის ეს ნაწილი ყველაზე ხანგრძლივია

მოვლეთა ჯაჭვში. მაცნე (კ. კალატოზიშვილი) მაგიდას წმენდს, გამუდმებით, დიდხანს. მეორე მაცნე – ჯულიეტა (ქ. შათირიშვილი) წერილებს წერს, სასიყვარულოს და კედლებზე აკრავს – „სადღაც აგზავნის“, სცენაზე ყველაფერი გაიყინა, გაშეშდა, ყველაფერი მოლოდინში. დანარჩენი ოთხი მაცნე (პ. ინაური, მ.გელოვანი, გ. ნაკაშიძე, მ. ლებენიძე) თეთრ სკამებზე გაშეშებულა, ერთად უკიდებენ სიგარეტს, ერთად უშვებენ კვამლს, ელიან. ჯულიეტაც ელის ძიძას – „9 საათი იყო, ძიძა რომ გავაგზავნე... 9 საათიდან 12 საათამდე სამი დაუსრულებელი საათია. ის კი ჯერ არ ჩანს“. მობრუნებულ, გადაღლ ძიძას ფეხები ტაშტში ჩაუყრია და იმის მაგივრად, რომ „ავი თუ კარგი“ ამბავი ამცნოს, პასუხს აგვიანებს და ვერ გადაუწყვეტია გაუმხილოს თუ არა ჯულიეტას რომეოსთან საუბრის შედეგი. სულ მალე კი მოვლენები ასოციური სიჩქარით განვითარდება. მერკუციოს, მერე კი ტიბალტის სიკვდილი და რომეოს – „ბედი დამცინის, ბედი დამცინის...“ მოქმედებათა ფინალი „გაძევება“ მარმარინოსისათვის „ჩვეული“ ხატოვანი და ასოციაციური შეგრძნებებით „დახუნძლული“ ერთგვარად აჯამებს აქამდე მიმდინარე მოვლენებს. სასჯელი გაძევებაა, ანუ ჯულიეტას გარეშე ცხოვრება უმძიმესია, ვიდრე სიკვდილი, უმძიმესია ჯულიეტასათვისაც. რომეო – „სწორედ ეს არის გაძევება, შენსკენ მოვდიოდე და არ შემეძლოს მოახლოება“.

ამიტომაც ყველაფერი კვდება, ყველაფერი სრულდება – ჯერ ერთ მიცვალებულს შემოიტანენ მერე მეორეს – ჯერჯერით, დაბალ გორგლაჭიან თეთრ მაგიდაზე დაყრიან, სცენური სივრცის პირველ დონეზე რომაა წამოწეული, „შავი ჭირის“ თუ საქვეყნო ცოდვათა მსხვერპლების გორად აქცევენ, მერე ისინი ძირს გადმოცურდებიან, რომლებმაც ერთმანეთის „დანაშაულთა“ სიმძიმეს ვერ გაუძლეს.

ბერი ლორენცო კი „ქადაგებს“ – „რა ჯანდაბად გვინდოდა სექსუალური რევოლუცია თუ მარტოებს გვძინავს?“

რომეო და ჯულიეტას „პირველი ღამეც“ მაყურებელთან ახლოს, წინ წამოწეულ სივრცეში გორგოლაჭიან მაგიდაზე ხდება. რეჟისორმა მოახერხა, ამ ღამის სხვა ინტერპრეტატორებისგან განსხვავებით, ნორჩი წყვილის სიყვარულისთვის გაესვა ხაზი, თავიდან აეცილებინა ბანალური სექსუალური მოტივები და ზედმეტი სიშიშვლეც- მაცნე-რომეო (პ. ინაური) ნახევრად შიშველია, ხოლო ჯულიეტა (კ. კალატოზიშვილი) ნახევრად ჩაცმული. მსახიობი ოსტატურად ახერხებს ჩვენს წინაშე ისე გაშიშვლდეს, რომ ეს სიშიშვლე ჩვენ ვერ შევამჩნიოთ. ყოველივე ეს როლან ბარტის სიტყვებთან - „პორნოს არა აქვს Punctum, არის მხოლოდ ის, რაც არის ... მეტი არაფერი“ მოფერებად, სასიყვარულო გრძნობების პირველ მცდელობად, გამოცდად აღიქმება. მაცნე (მ. გელოვანი) მკაცრ მოთხოვნაზე „ილაპარაკე“ პ. ინაურიც ყვება, ყვება ყველა დეტალის დაცვით, პაუზებით, იმ შეგრძნებების შესახებ, რომლებსაც ისინი მაშინ განიცდიდნენ: „ანდროგენი – მამაკაცი და ქალი, ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევდი“, რაზეც მალევე განკიცხვისა და ლანძღვის საბაბად გადაიქცევა „ღორო, ...გომბიო, ...წაკლა, არარაობავ, დედაკაცო“ („არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ – „ჰამლეტი“). ტოროლას ხმაზე მათი პირველი შეხვედრაც თავდება – „მიდი, ფანჯარა, დღე შემოუშვი და სიცოცხლე გაუშვი“. აქ ჯულიეტა უკვე სამუდამოდ ემშვიდობება თავის სიყვარულს. ისინი ხომ აღარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. აქვე თავდება რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ისტორიაც და იწყება რაღაც სხვა: მოულოდნელ შემთხვევათა მთელი მწკრივი – „ღალატიც“ – საქორწინო კაბა და ქორწილისთვის მზადება, თვითმკვლელობის მცდელობა და მხსნელი ბერი ლორენცოს (გ. ნაკაშიძე) მიერ წამლერებით, ქადაგებისათვის წარმოთქმულ აზრთა უწყვეტი ნაკადი მსახიობის მიერ უზადოდ, თითქოსდა მდორედ წარმოთქმული უდიდეს, შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და სრულიად დამაჯერებელი ხდება ჯულიეტასთვის (კ. კალატოზიშვილი). ეს „მუსიკალური“ მონოლოგი მისთვის ბედნიერების საწინდარია - „იმავ ღამეს შენი რომეო გაგაქროლებს მანტუისაკენ“.

საწამლავის მიღება – „თვითმკვლელობის“ შესასრულებად რთული სცენაა, მითუმეტეს რთულია ისეთ სპექტაკლში და ისეთ რეჟისორულ კონსტრუქციაში, როგორიც მ. მარმარინოსის „R+J“–ია. ჩვეულებრივ, კლასიკურ თუ ტრადიციულ წყობაში მოვლენათა თანამიმდევრული განვითარების შემდეგ მსახიობი ფსიქოლოგიურად მომზადებულია ამ სცენის აღსასრულებლად. ჯულიეტას აქამდელი „სცენიური ცხოვრება’ ამზადებს მსახიობს ამ სცენის მაღალ და დამაჯერებელ დონეზე შესასრულებლად და ლოგიკურია, რომ ასეთი წესით დადგმულ სპექტაკლებში არ იწვევდა დიდ სირთულეს. მაგრამ აქ, მსახიობთა მონაცვლეობა პერსონაჟის სახის შექმნაში ორმაგ რთულ ამოცანას უქმნის თითოეულ მათგანს. „საქორწინო“ კაბაში გამოწყობილი ჯულიეტა (ქ. შათირიშვილი) იმ „მოღალატე“ ქალთა სიის წევრია, რომლებიც ადვილად ივიწყებენ სიყვარულს, მშობლების ნება-სურვილს დამორჩილებულნი ადვილად ხდებიან მომავალი ბედნიერი იდილიის მსხვერპლნი, ხოლო რეჟისორის მიერ ამავდროულად ნაჩვენები მერე ან „გაორებული“ ჯულიეტა (კ. კალატოზიშვილი), რომელმაც ახლახან თავისი პირველი ღამე რომეოსთან გაატარა, სასიყვარულო ეიფორიის გავლენის ქვეშაა და სიამოვნებით მიიღებს საწამლავს – „მარტო უნდა ვითამაშო ეს სცენა?’ – წამოსცდება, მაგრამ მარტო არცაა. მის ყოველ მომდევნო ფრაზას საქორწინო კაბაში გამოწყობილი ჯულიეტაც იმეორებს სცენის სიღრმიდან და ეს ეჭვი საწამლავის მიღების თობაზე ორივე მათგანში განსხვავებულ ასოციაციებს ბადებს. ჯულიეტა – ქ. შათირიშვილისთვის პარისზე გათხოვებაზე თანხმობა ბერი ლორენცოს შურისძიებად აღიქმება, როცა ჯულიეტა – კ. კალატოზიშვილისთვის – „შემზარავია ეს ფიქრი“, რადგან „თუ არ მოვკვდები, ხომ სულერთია, ბნელი ღამე, შავი სიკვდილი...“ ან პარისზე იძულებით დაქორწინება. მოვლენები ისევ ასოციური სისწრაფით იცვლება –„ხომ ხედავთ, როგორ უკუღმა დატრიალდა ყველაფერი“ – მაცნე (პ. ინაური) ისევ იმის შესახებ შეგვახსენებს, რომ ინფორმაცია ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო დეტალის გარეშე ცვლის ყველაფერს – ბალთაზარის მიერ ჯულიეტას სიკვდილისა და დაკრძალვის ხილვას, „შავ ჭირს“ – „Venis Hora Eius

Veniet et Tua“ და საბედისწერო წერილის დანიშნულების ადგილას არმისვლას, პარისის სიკვდილს და მის დაკრძალვას იმ ფინალამდე მივყავართ, როდესაც ჯულიეტას მეტი აღარაფერი დარჩენია - შესძახოს: – „ხარბო, სულ შესვი? ერთი წვეთიც არ დამიტოვე?“.

ლელა ოჩიაური

ყველა ადამიანსა და ძაღლს აქვთ თავიანთი ისტორია

„საძაღლე“

რეჟისორი - იოანე ხუციშვილი

მიკროფონებითა და ხმის ჩამწერი აპარატურით აღჭურვილ ტელე თუ რადიოსტუდიაში შუახნის მამაკაცი შემოდის. უამრავი ჩემოდნით, ყუთით, გრაგნილით დახუნძლული. როგორც თანდათან ირკვევა, ამ ნივთებში მისი ცხოვრებაა. მთელი ქონება - რაც გააჩნია - მხოლოდ მოგონებებია (ფოტოები. გაზეთები, აფიშები...), რომლებსაც მუდამ თან ატარებს და ვინ იცის, უკვე მერამდენედ უზიარებს ვიღაც უხილავს, ვისი ხმაც სადღაც სიბნელიდან გაისმის. ამბავი, რომელსაც ჩვენ - მაყურებული - სულგანაბული და შეძრწუნებული, მონათხრობის ტრაგიზმის სრული შეგრძნებითა და თან აღტაცებული ვუყურებთ. რასაც ჩვენ - მაყურებელი - როგორც გაფრთხილებას აღვიქვამთ და ვფიქრობთ ადამიანის (ადამიანების) ბედზე, რომელსაც თანაგრძნობა მოელის ჩვენგან. რაც ჩვენ - მაყურებელს - იმაზე მეტად გვაფიქრებს, ვიდრე გვინდა რომ ვფიქრობდეთ, თუ რაღაცისგან გათავისუფლება და შინაგანი თავისუფლების განცდა გვჭირდება.

აღტაცებული, პირველ რიგში, მსახიობის ოსტატობით, მეორე მხრივ - ამბით, რომელსაც იგი წარმოადგენს და რომელიც თანამედროვეობის (ამავე დროს, მარადიულ) ბევრ პრობლემას წამოჭრის. მესამე - რეჟისურის, იმ წარმატებული მხატვრული ექსპერიმენტის, რეჟისორული ფანტაზიის მრავალფეროვნების გამო, რაც ყველა ეპიზოდში, ყოველ სცენაში მჟღავნდება და მრავალფეროვან სცენურ სამყაროს ქმნის.

ეს უცნაური „ექსპერიმენტი“ „თავისუფალ თეატრში ტარდება“, უცნაურ და ტრაგიკულ ისტორიას გვიამბობენ და ამ ისტორიის მთხრობელი - ნატანჯი და მარტოსული ადამიანი - ალე - მარტოა სცენაზეც და ცხოვრებაშიც, ვინაიდან იგი ყველამ - მთელმა საზოგადოებამ - გარიყა. ერთადერთი ადამიანი და მსახიობი, მთელი საათნახევრის განმავლობაში (რა თქმა უნდა, თუ მასთან მოსაუბრე ვიღაც უხილავის „ხმას“ არ ჩავთვლით, რომელსაც ექსპერიმენტი მიჰყავს და თავად რეჟისორს ეკუთვნის) - შეუდარებელი სლავა ნათენაძე - იოანე (ვანო) ხუციშვილის სპექტაკლში „საძაღლე“.

იოანე (ვანო) ხუციშვილმა ეს სპექტაკლი (დადგმულია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით) ნინო სადღობელაშვილის პიესაზე დადგა, რომელიც ჰატი ნეილორის პიესის „ივანე და ძაღლები“ მოტივებზეა აგებული და შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, ახალი ტექსტია, ინტერპრეტირებული და გარდასახული, კონცეფციისა თუ სათქმელ-პრობლემატიკის მხრივაც.

ამბავი თავისუფალი თეატრის ისედაც პატარა სცენაზე, გორგოლაჭებზე მიმაგრებული, ჯაჭვჩაბმული რკინის, გისოსებიანი და ცილინდრისებული კონსტრუქციით უფრო დაპატარავებულ „მოედანზე“ ვითარდება. სივრცის (რომელიც ხან სტუდიად წარმოდგება, ხან გმირის ბავშვობის სახლად, ხან ქუჩად, ხან პარკში მდგომ მდიდრულ სახლად, ხან მიწისქვეშა თავშესაფრად, ხან ძაღლების ბუნაგად და ხან შორეულ ბორცვად ქალაქიდან მოშორებით) ასეთი შემჭიდროვება კიდევ მეტად ზღუდავს და კეტავს სამოქმედო არეს, ზრდის უსასრულო წრეზე ბრუნვისა და იზოლირებული სამყაროს გამოუვლობის ფიზიკურ შეგრძნებას; ამავე დროს, დეკორაციის ასეთი პირობითობა აფართოებს და აზოგადებს საზღვრების მასშტაბებს, სათქმელის არაერთგვაროვნებასა და არაერთფეროვნებას უსვამს ხაზს, სხვა სივრცეების არსებობაზე მიუთითებს.

ჩაკეტილი გარემო წრეზე მოძრავი გისოსებითაა შემოსაზღვრული, რომლის (დეკორაციის) ყველა დეტალი მოძრაობს და მოქმედებაშია (მხატვარი - თეო კუხიანიძე) და ისევე აქტიურადაა ჩართული მოქმედებაში, როგორც მუსიკა (გააფორმა გიორგი ჯიქიამ, ენიო მორიკონესა და ჰანს ზიმერის მუსიკაზე), მოქმედი გმირის აღსარების ეტაპების, ავტობიოგრაფიული მონათხრობის (ფაქტების, რომლებიც მეხსიერებას შემორჩა, რადგან პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება-გარდაქმნასა და ფიზიკური არსებობის პროცესების მსვლელობაზე ახდენდა გავლენას) განწყობის, ემოციებისა და სულიერი მდგომარეობის განუყრელი ნაწილი.

ქვეყანა, ქალაქი, რომელშიც ალე ცხოვრობს, თანდათან ნადგურდება. ყველგან კრიზისია. შიმშილობა იწყება. ოჯახებს მანქანებით ძაღლები და შემდეგ ბავშვები ქალაქგარეთ გაჰყავთ და ტოვებენ. ძაღლები და ბავშვები მარტონი რჩებიან, უპატრონოდ და ახალ ცხოვრებას იწყენენ, რომ გადარჩნენ - მაწანწალების ცხოვრებას. მიუსაფრობასა და მარტოობაში იბრძვიან გადარჩენისთვის, სხვებს წირავენ, სახეს - ადამიანობას -კარგავენ და ყველაფერი სულერთი ხდება - ყველასთვის, საზოგადოებაში, რომელიც განწირულია.

სლავა ნათენაძეს ურთულესი ამოცანა აქვს შესასრულებელი - საათნახევრის განმავლობაში მარტოსულობის მთელი ამბავი მარტომ უნდა გადმოსცეს და გარდასახვის ერთი, ემოციური მდგომარეობიდან მეორეში, შემდეგ მესამეში, მეოთხეში... გადასვლა უმცირესი ნიუანსების მეშვეობით შეძლოს. ერთი არსების მეორედ გარდასახვის ეტაპებიც გაიაროს, 6 წლის ბავშვიდან ზრდასრულ მამაკაცად იქცეს და მთლიანი ცხოვრება - ადამიანებისა და ძაღლების - ზოგჯერ კი, ორივე ერთად - კალეიდოსკოპურად წარმოადგინოს.

მის მიერ შექმნილი პერსონაჟი გარდასახვის სხვადასხვა ფაზასა და ეტაპებს გადის - მას აღელვებენ და აფორიაქებენ მოგონებები, რომლებიც ბავშვობიდან იწყება, იწყება მაშინ, როდესაც ალე პირველ და სასტიკ დარტყმებს იღებს ადამიანებისგან, როდესაც იგი მათი ურთიერთობებისა და საქციელის გაცნობიერებას იწყებს და როდესაც პირველად რჩება მარტო - ქუჩაში - ძალადობით, სიძულვილით, სისასტიკით გაჯერებულ სამყაროში, რომელშიც თავის შეფარება არსად შეიძლება, საძაღლეს გარდა.

ეს ასაკოვანი მამაკაცი „ბავშვდება“, ბავშვის თათმანებში უყრის ხელებს, ხშირად ბავშვურ ენაზე მეტყველებს, ბავშვური ემოციით გამოხატავს წუხილს, რომელსაც ძალიან ადრე მოუწია, დიდად ქცეულიყო.

ამ გარდასახვების, მოქმედებების, მოძრაობების, სამყაროს სახეცვლილების მხატვრული ხერხებით გადმოცემისას კი რეჟისორს ფანტაზია არ ელევა და სცენა ჰგავს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება, ცოცხლობს და ვითარდება, მიედინება - როგორც ცხოვრება.

ყველაფერი ისეა გადახლართული, როგორც ალეს ცხოვრების ეპიზოდები, წარსული და აწმყო, იგი თავს იცავს მტრული გარემომცველი სამყაროს ძალადობისგან, ადამიანების უგულობისგან, უსიყვარულობისგან და მხოლოდ ერთგული ძაღლების იმედად მცხოვრები, თავადაც ძაღლად იქცევა - გარდაისახება, მაგრამ მაინც რჩება ადამიანად. რადგან ის თავისუფალია, ადამიანია, რომელმაც შეძლო ყველა წინააღმდეგობის, ყველა კომპლექსის, წარსულის ყველა მტანჯველი მოგონებისგან თავის დაღწევა და მანამდე არარსებული კარის თამამად შეღება.

და შემდეგ, როდესაც იგი მანათობელ სხივს დასდევს, მიჰყვება მის ნათებას, როდესაც კარს აღებს და მჭახედ განათებულ სივრცეში გადის, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა ფრაზას, რომელსაც „ხმა“ წარმოთქვამს და რომელიც რეალობაში გაბრუნებს - „ყველაფერი ჩაწერილია - ბოლო ფრაზის გარდა“. ალეს ბოლო სიტყვებია - „მე ადამიანი ვარ“ - სამყაროში ძალადობა, გულგრილი ექსპერიმენტი და ადამიანის - როგორც ცდის ობიექტად ქცევის მცდელობის პროცესი გრძელდება, მაგრამ ალე ამ წინააღმდეგობებს, ამ მახეებს, ამ ჯაჭვებსა და გისოსებს უკვე აღარ უშინდება - ის ადამიანია, თავისუფალი ადამიანი, რომელიც კათარზისს განიცდის და მასთან ერთად მაყურებელიც თავისუფლდება.

თუნდაც ასე იყოს, რომ მხოლოდ ალესა და მის მეგობარ ძაღლებს, განსაკუთრებით, თეთრ ძაღლს ესმით სხვა სულიერების - ცხოველებისა და ფრინველების ხმა, ადამიანების ჩურჩული, თოვლის დნობა, მხოლოდ მათ შეუძლიათ, როდესაც ბორცვიდან გადაჰყურებენ, წარმოიდგინონ, რომ ქალაქი და ცხოვრება მშვენიერია, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი ცხოვრება და მას არაფრის გამეორება არ სჭირდება, რომ როცა ადამიანი კვდება, მისი სული იცვლება და ესაა რაღაც მანათობელი მასში - ღმერთის ნაწილი, რომელსაც თუ აღმოაჩენს, ვერაფერი მოერევა.

თეა კახიანი

შევიბრალოთ თუ არა რიჩარდი?

„რიჩარდ III“

რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი

„თავისუფალ თეატრში“ უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამის“ განხორციელებას რამოდენიმე სარჩული უდევს. პირველი მარკეტინგია, რომლის წესებითაც ავთანდილ ვარსიმაშვილი თავისი პროდუქციის პოზიციონირებას რობერტ სტურუას პროდუქციასთან ჭიდილში ახდენს. მეორე - ძალაუფლებისათვის ბრძოლის თემატიკის აქტუალურობა. დამეთანხმებით, ყველა დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელ პრობლემას დღევანდელიც ემატება, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის გამოუძიებელი საქმით და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რეფრენით - „ყველანი ციხეში“! და მესამე - წელს უილიამ შექსპირის საიუბილეო წელია, მას დაბადებიდან 450 წელი შეუსრულდა!

რობერტ სტურუას წარმატებული სპექტაკლების ნუსხიდან არჩეული „კავკასიური ცარცის წრის“ შემდეგ ავთანდილ ვარსიმაშვილი „რიჩარდის“ საკუთარი ვერსიით, ერთი მხრივ, ალუზიის ხერხს მიმართავს, ხოლო მეორე მხრივ, სტურუას მიღწევების ხელშეუხებლობისა და სტერილურობის შესახებ გავრცელებულ წარმოდგენებს ანგრევს. რეჟისორის გადაწყვეტილება რამოდენიმე კურდღლის ერთდროულად დაჭერის მცდელობას ჰგავს, სადაც მთავარი კურდღელი მაინც მაყურებელია, რომლის მოსაზიდად მსგავსი მარკეტინგული გათვლები, დღეს, ელემენტარულ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს.

ამ პიესის განხორციელებისას მარკეტინგული მიდგომების პრიორიტეტი, მისი თემატიკის აქტუალურობას არ გამორიცხავს. პირიქით, ამ შემთხვევაში პროდუქტის შინაარსი მის შეფუთვას ემთხვევა კიდეც. მაგრამ მთავარი მაინც არც აქტუალურობაა და არც შეფუთვა. ვარსიმაშვილის „რიჩარდ მესამე“ შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც ცალკე აღებული თეატრალური დადგმა. ეს სპექტაკლი, არსებული თეატრალური დისკურსის ქსოვილში იქმნება, ამიტომ, საერთო ჯამში, თეატრალური ესთეტიკის მხრივ ვერ ვიტყოდი, რომ რამე ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე, პირიქით, ის ტრადიციული თეატრის გზას აგრძელებს. სიტყვისა და ქმედითი ანალიზის საშუალებით ახდენს პიესის შინაარსის რეპრეზენტაციას. ამბავი „რიჩარდის ცხოვრებასა და სიკვდილზე“ ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოეცემა მაყურებელს. სხვადასხვა თაობის რეჟისორთა ფარული და არც თუ ისე ახალი შეჯიბრით დაღლილი, მაგრამ თეატრში

მაინც მისული მაყურებელი, მართალია, სცენაზე კიდევ უფრო დიდ და მეტად საბედისწერო შეჯიბრის ამბავს ნახავს, მაგრამ მასში იმდენად ცოტა იქნება ახალი ფორმებისა და დამოკიდებულებების ასახვის წილი, ვეჭვობ, ამავე თემაზე სოციალური ქსელების კომენტარები უფრო ეფექტურად ჩააფიქრებდა ნებისმიერ მათგანს.

გაგიკვირდებათ, სად თეატრი და სად სოციალური ქსელები (?!) - სინანულით გავიმეორებ, ბოლო დროს სიცოცხლის პულსაციამ საკუთარი თავის გამოხატვა კომპიუტერის ეკრანზე უკეთ შეძლო. ქართულ თეატრს, ამ პულსაციის ხმაური აკლია. ხმაური, რადიკალიზმი, პროტესტის გრძნობა და ამ ყველაფრის გამოხატვის სითამამე. ყველაფერი ის, რაც მთლიანობაში მოძრაობას და სიცოცხლეს ქმნის. თეატრალური ტრადიციების სიმაღლეებიდან იმდენად აკადემიურად ვესაუბრებით მაყურებელს, რომ მას სადაცაა ძილი მოერევა... არადა, ავთანდილ ვარსიმაშვილი „ტიტუს ანდრონიკუსის“, მოგვიანებით კი „პროვოკაციის“ ავტორიც არის!

დღეს კი „რიჩარდ მესამე“ ძველი თაროდან ჩამოღებულ ქრონიკას ისე ჰგავს, როგორც არასდროს. ამიტომ მისი შეფასებისას ტრადიციულად ძალაუფლებისათვის ბრძოლის თემატიკიდან დავიწყებ საუბარს. ვიტყვი, რომ აქ ერთმანეთს ძალაუფლებისაკენ სწრაფვაში ეჯიბრებიან, რომ ერთადერთი ღირებულება ძალაა. რომ ყველაფერი დასაშვებია ძალაუფლების გასამყარებლად, მეტი გავლენისა და მართვის ბერკეტის მოსაპოვებლად. ეს თავისებური აზარტია, რომელმაც ეშხში შესვლა იცის და ეს ყველაფერი ისევ ტრადიციულად! ორივე რიჩარდი, გოგა ბარბაქაძისა და აპოლონ კუბლაშვილის შესრულებით, ასეთივე ეშხით მოქმედებს. მათი საშემსრულებლო ტექნიკა განსხვავებულია, პირველი უფრო ინტელექტუალურ ხასიათს ქმნის, მეორე - ემოციურს. სპექტაკლში დაპირისპირებული მხარეები თითქმის არ არსებობს, ნებისმიერი წინააღმდეგობა უსუსურია რიჩარდის ნების წინაშე. მხოლოდ მან იცის, ვის ეკუთვნის სიცოცხლე და ვის აღარ. რიჩარდი ანაწილებს საჭირო და არასაჭირო ადამიანების ბედს და მათი, გროვებად დაყრილი ცოცხალი ან მკვდარი სხეულების საშუალებით მიიწევს წინ. თითქოს ორ ნაწილად იყოფა ყველაფერი, ერთ მხარეს რიჩარდი დგას, ხოლო მეორე მხარეს მისი აურაცხელი მსხვერპლი. თუმცა, მიუხედავად რიჩარდის ხასიათის სიმტკიცის, ნების სიძლიერისა და მოხერხებულობის ჩვენებისა, აქაც, როგორც რობერტ სტურუას სპექტაკლში რეჟისორი გმირის დეჰეროიზაციას ახდენს, ამ პროცესის უკიდურეს გამოხატულებად, ის, ფინალში, მსახიობების მიერ სრულიად ნატურალისტურად შესრულებულ, დუჟმორეულ მთავარ გმირს წარმოგვიდგენს. სპექტაკლში რიჩარდის მსხვერპლთა მიმართ მაყურებლის თანაგრძნობის გამოწვევა არ არის ჩაფიქრებული, რეჟისორი ცდილობს აღძრას რაღაც ზიზღნარევი გრძნობა გამოყენებული მეთოდების და დამოკიდებულებების მიმართ. ეს განსაკუთრებით ჰასტინგსის (მ.მუმლაძე) მოჭრილი თავით დაუდევრად თამაშსა და მოგვიანებით მისი დეკორის ნაწილად ქცევის სურვილში გამოიხატა. ასეთი შეუბრალებლობა შეგვიძლია მარტივად ავხსნათ, და მარტივად მივხვდეთ, რომ დღევანდელი მსხვერპლი შესაძლოა ხვალ ახალი რიჩარდი ყოფილიყო და იქნებ უფრო სასტიკიც... ეს კონცეფცია რუსთაველის თეატრის ვერსიაში მძაფრად იყო გამოხატული. „თავისუფალი თეატრის“ „რიჩარდში“ კი ეს თითქოს თავისთავად იგულისხმება, როგორც ადამიანების ხილული სახის მიღმა არსებული სინამდვილე.

სპექტაკლის დამახასიათებელი ნიშანი, ასე ვთქვათ, გააზრებული ზედაპირულობაა. ეს დადგმა თითქოს ბარელიეფს ჰგავს, რომელიც სიბრტყიდან მხოლოდ მცირედით არის ამოწეული. სცენაზე აღმართული თეთრი კედელი სიბრტყის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს (მხატვარი მ.შველიძე). ამ კედელზე, როგორც „ვაითბორდზე“, დასაწყისიდანვე ვხედავთ მოქმედი გმირების სახელებს. მარკერ მომარჯვებული მსახიობები რომელიღაც „ვორქშოპის“ მონაწილეებს ჰგვანან, როდესაც მოქმედების განმავლობაში ამ ვაითბორდზე მუდმივად შლიან და წერენ პერსონაჟების სახელებს. შეიძლება ითქვას, აღნიშნული მეთოდით შემოქმედებითმა ჯგუფმა საქმე გაუადვილა ლიტერატურასთან არც თუ ისე მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ თანამედროვე მაყურებელს და საექსპოზიციო ნაწილში გმირების მარტივად იდენტიფიკაციაში დაეხმარა მას. თითქმის მთელი წარმოდგენა, მიზანსცენების უმეტესი ნაწილი ავანსცენაზე და ოდნავ დიაგონალურად დამონტაჟებულ პოდიუმზე მიმდინარეობს. ეს კონსტრუქცია, მოქმედების განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება, ზოგჯერ მაგიდაა, ზოგჯერ საპყრობილე, ზოგჯერ კი ცხედრების ჩასაფლავი სივრცე. პოდიუმი ტრიუმფალური თაღის მსგავს, დიდებისა და ძალაუფლების სიმბოლოსთან მიდის. ეს ძალაუფლებასთან მიმავალი ერთადერთი გზაა. იქ მოხვედრა მხოლოდ უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის ხარჯზეა შესაძლებელი. თუმცა საბოლოოდ, ამ „ტრიუმფალური თაღიდან“ ცხოვრების მაკიაველისტური ხედვა ისეთივე ილუზორულ პანორამად იშლება, როგორც წარმატებული ცხოვრების სხვა დანარჩენი რეცეპტი.

სპექტაკლში არის კონკრეტული მიგნებები, რაც მეტნაკლებად ასატანს ხდის ამ ტრადიციულ თეატრალურ ესთეტიკას. პირველ რიგში სპექტაკლისა და ჩვენი გადარჩენა რიჩარდისა და ლედი ანას დუეტმა შეძლო. ვარსიმაშვილის გადაწყვეტა პიესის ამ მონაკვეთის ახლებურ წაკითხვას და სტურუას სპექტაკლისაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს. რეჟისორი ლედი ანას რიჩარდის თანამძრახველად აქცევს. სამწუხაროდ არ ვფლობ ინფორმაციას, თუ სადმე, რომელიმე რეჟისორს მსგავსად გადაუწყვეტია ამ ორი პერსონაჟის ურთიერთობა. და მგონია, რომ გრძნობის შემოტანა ამ სიბრტყეში ზრდის გმირების მდგომარეობის დრამატიზმს. სტურუას სპექტაკლში ლედი ანა სამგლოვიარო პროცესიის თანხლებით პირველად ჩნდებოდა სცენაზე, ვხედავდით როგორ მოჰქონდათ ჰენრი მეექვსის გვამი ნატურალური ზომის საცხედრით. რიჩარდი არარსებულ სიყვარულში უტყდებოდა ლედი ანას. ის - კი როგორც მონუსხული მსხვერპლი, ნებდებოდა რიჩარდს. გვახსოვს ან წაგვიკითხავს იმ ხმაურისა და აჟიოტაჟის შესახებ, რაც იქვე, ამ საცხედრესთან მომხდარმა სექსუალურმა აქტმა გამოიწვია. დღეს თითქმის

შეუძლებელია ასეთი ტიპის სცენით მსგავსი რეაქცია გამოიწვიო. სექსზე მეტად დღეს სიყვარული უკვირთ, ამიტომ ვარსიმაშვილის გადაწყვეტა, თავისი დაუჯერებლობის ხიბლით, საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურება. ლედი ანა, ქ.ლორთქიფანიძე, თოკით მოათრევს გარდაცვლილთა ფერფლით სავსე პატარა სკივრს. თოკი ზურგზე გადასდის, თითქოს მხრებზე აწევს ეს ტვირთი. სწორედ ამ ტვირთიანად მოინადირებს რიჩარდი ლედი ანას გულს, და პიესისაგან განსხვავებით ისინი შეყვარებული ბოროტმოქმედები ხდებიან. მაკბეტისა და ლედი მაკბეტის თანამძრახველობას მოგვაგონებენ. თუმცა რეჟისორის მიერ მოფიქრებული მათი ურთიერთდამოკიდებულების ეს შესაძლო ვარიანტი არ ცვლის პიესის ფაბულას, რიჩარდი სულ მალე მიხვდება რომ მეფობის გასახანგრძლივებლად ელისაბედის (მ. ჯოლოგუა, ა.ალადაშვილი) ქალიშვილი უნდა შეირთოს ცოლად. ამიტომ ლედი ანას ლედი ანასვე თანდასწრებით გარდაცვლილად გამოაცხადებს. მოწამლული დედოფალი სულს რიჩარდის მხრებზე დალევს, ჩამოეკიდება მას, როგორც ყველაზე ძვირფასი მსხვერპლი და მძიმე ტვირთი. უნდა აღვნიშნო, ლედი ანას შემსრულებელი ქ. ლორთქიფანიძე, გარდა გარეგნული და სცენური ხიბლისა, ფლობს შინაგანი ენერგიის მართვის არაჩვეულებრივ უნარს, რაც მას ეხმარება, არ გადააჭარბოს როლის ყველაზე ექსპრესიული ნახაზის შესრულებისას.

მკვლელობათა სცენები, ალბათ, ცალკე განხილვას იმსახურებს. ორიგინალურია მეფე ედვარდის (კ.გოგიძე) მკვლელობის სცენა, სადაც რეჟისორი მოულოდნელობის ეფექტს მიმართავს. მეფეს ტრაპეზის დროს გონება ეკარგება, ვხედავთ, როგორ შვებით ამოისუნთქებს დამსწრე საზოგადოება, როდესაც წარმოიდგენს, რომ მეფე მოკვდა, მაგრამ ედვარდი ფხიზლდება და მშვიდად აგრძელებს ჭამას. სწორედ ამ დროს ყველა უსიტყვოდ ხვდება, რა იქნებოდა უპრიანი და სასურველი აქტიც ხორციელდება, ედვარდს საკუთარი ჩანგლით მოუღებენ ბოლოს. ამ სცენაში რეჟისორი სპეცეფექტს იყენებს, რითაც პირის ღრუში გაჩრილი ჩანგალი მკვლელობის დამაჯერებელ იარაღად წარმოგვიდგება. მართალია, სცენა ორიგინალობით გამოირჩევა და უხეში დამოკიდებულების სასურველ დემონსტრაციას ახდენს, მაგრამ მგონია, რომ საბოლოო ჯამში ის ზედმეტად ტექნიკური ხასიათისაა. ლედი ანას მკვლელობის სცენის გარდა, რომელიც ყველაზე ფაქიზად გაკეთებული მკვლელობის სცენაა მთელ სპექტაკლში, თითქმის ყველა სხვა დანარჩენი, თავისი მრავალჯერ განმეორებული, პოლიეთილენის პარკით მსხვერპლთა დახრჩობით, გარდაცვლილთა თავზე, ადამიანის არარაობისა და მტვრად ქცევის შეუქცევადობის გამომხატველი ტალკის ჰაერში გაფანტვით და სავსე ჭიქებიდან სისხლის კედელზე შესხმით ოდნავ კარიკატურულ იერს ატარებს და რა დასამალია, ღიმილის მომგვრელსაც.

„თავისუფალი თეატრის“ სცენაზე წარმოდგენილ ბარელიეფში სიღრმის დეფიციტზე ე. წ. „ფლეშბექის“ შეუძლებლობაც მეტყველებს. აქ არ იგრძნობა, რომ ინტრიგების ხლართვის, ადამიანების მონუსხვის უნაკლო უნარ-ჩვევებისა და ნებისმიერი საშუალებით მიზნის მიღწევის მზაობის მიღმა, ხეიბარი რიჩარდის ბავშვობა დგას, რომლის ამ ქვეყნად გაჩენა დედასაც არ გახარებია. რიჩარდის დედა (თ.კორძაძე) ოდნავ ჭკუიდან შემცდარ მოხუცებულს თამაშობს, რომელმაც თავისი გონებასუსტობა თავდაცვის იარაღად გამოიგონა. მას არ სურს გაიაზროს საყვარელი შვილების სიკვდილის ამბავი. მხოლოდ რიჩარდის საზარელი სახის და მისი წარმატების წინაშე ვეღარ იცავს თავს, ვეღარ ცხოვრობს ილუზიაში. რიჩარდი ხომ მისი რჩეული არ იყო. პიესაში არსებული, დედის ხასიათის და ბუნების გასახსნელი ის ნიშანი, რომ მას უბრალოდ არ უყვარდა საკუთარი შვილი, რიჩარდის დანაშაულებათა პირველად და ყველაზე ღრმა მიზეზადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ყელზე მარყუჟშემოხვეული იორკის ჰერცოგინია უსასტიკესად წყევლის შვილს, რომელსაც მარყუჟის მეორე ბოლო უჭირავს. თითოეულ სიტყვაზე ვიწროვდება მარყუჟი და თითქოს საკუთარი წყევლის, საკუთარი შვილის ხელით ან მიზეზით აღესრულება. მაგრამ თავისთავად საინტერესოდ მოფიქრებულ მიზანსცენაში არ იკითხება ის აშკარა მიზეზ-შედეგობრიობა, რომელიც დედის სიყვარულის გარეშე გაზრდილ რიჩარდსა და მის შემდგომ მოღვაწეობას შორის არსებობს. მითუმეტს, რომ რიჩარდი საკუთარ თავს დედის მსგავსად მიიჩნევს, და ლოგიკურადაც, შეუძლებელია ანგელოზის ფრთის ქვეშ ურჩხული გამოზრდილიყო. ამიტომ მგონია, რომ დედის მხატვრული სახე მეტ გაშლასა და ამოცნობას მოითხოვს.

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ეს პიესა ძალაუფლებისთვის მებრძოლთა თავზე წასაკითხ წყევლად გამოდგება, რომელიც შესანიშნავად განხორციელებული მხატვრული სახის, მარგარეტის (ს. ჭულუხაძე) წინასწარმეტყველებასავით აუცილებლად ახდება. თითქოს ეს დადგენილი სტრუქტურაა, თავისი დასაწყისით, განვითარებითა და დასასრულით. ერთგვარი სახელმძღვანელოც მომავალი რიჩარდებისათვის, რომლებმაც შესაძლოა კარგად იციან საკუთარი არჩევანის ფასი, ზუსტად იციან, რომ თუ სამოთხეში ვერ შევლენ, ჯოჯოხეთში აუცილებლად შეგრიალდებიან! რასაკვირველია, აქ არ არის საუბარი მორალსა და დიდაქტიკაზე, არც შექსპირი წერდა იმაზე, თუ როგორი არ უნდა ყოფილიყო მმართველი, მას ადამიანის ასეთი შინაგანი კონსტიტუციის მდგომარეობა და დამანგრეველი შედეგები აინტერესებდა. რას ნიშნავს, როდესაც საკუთარ თავში არაფერია აკრძალული, როდესაც სიკეთისა და ბოროტების კატეგორიები აღრეულია, როდესაც სამართლიანობა სუსტების მიერ ძლიერების შესაჩერებელ იარაღად არის მიჩნეული, რას ნიშნავს, როდესაც ასეთი დაწყევლილი ხარ?! ამ რაკურსით მოულოდნელად სიბრალულის გრძნობა ჩნდება და ფინალში, როდესაც, სტურუას გრანდიოზული, ლამის კონტინენტური შეჯახების მსგავსი სცენის ნაცვლად, „თავისუფალი თეატრის“ სუსტად განათებულ სცენაზე მარტო დარჩენილ, დაბეჩავებულ, ცრემლმორეულ რიჩარდს ვხედავთ, ერთადერთი, რაც ნერვებს გვიშლის, სწორედ ეს, საიდანღაც ჩვენში გაჩენილი ადამიანური სიბრალულის გრძნობაა... თავისი თანმდევი კითხვით, შევიბრალოთ თუ არა რიჩარდი? თუ ამას ვერ შევძლებთ, იმას მაინც მივხვდებით, რომ საბოლოო ჯამში, ჩვენსა და რიჩარდს შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბშია.

და კიდევ, მართალია, ამჯერად რეჟისორული კონცეფცია გახდა უმთავრესი განხილვის საბაბი, მაგრამ სპექტაკლის ნახვამდე არანაკლებ ინტერესსა და მოლოდინს ამა თუ იმ როლში უკვე ცნობილი სახეების და უბრალოდ ჩვენი მეგობრების ნახვა იწვევდა. საბედნიეროდ, მიღებულ შედეგთან დაკავშირებით მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, „თავისუფალ თეატრს“ ჰყავს ძლიერი სამსახიობო ანსამბლი, რომელმაც ამ სპექტაკლით აჩვენა, რომ შეუძლია ნებისმიერი სირთულის ამოცანას თავი გაართვას. შეუძლია გამოიწვიოს ინტერესი და რაც ყველაზე სასურველია, შექმნას და დაამკვიდროს თავისი სტილი, რაც ვიმედოვნებ, ჯერ კიდევ წინ არის!

ირინა ღოღობერიძე

ქალთა სამყარო სპექტაკლში „სეზარი და დრანა“

„სეზარი და დრანა“

რეჟისორი - რუსუდან კობიაშვილი

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რეჟისორთა სამაგისტრო ჯგუფი, რომელსაც 2011–2013 სასწავლო წლებში ბატონი გიზო ჟორდანია ხელმძღვანელობდა, აშკარად წარმატებული აღმოჩნდა. სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას ექვსი მაგისტრანტიდან ოთხმა სადიპლომო სპექტაკლები წარმოადგინა. აქედან ორს უმასპინძლა ახმეტელის (ვამპილოვის „პროვინციული ანეკდოტები“, რეჟ. კონსტ. როინიშვილი) და ილიას უნივერსიტეტის („ჩეხოვის „ხელის თხოვნა“, რეჟ. ნიკოლაოს სარიდისი) თეატრებმა; ხოლო ორი, ნანა ჭავჭავაძის „პარად ალე“ (რეჟ. როლანდ ქარდავა) და იზაბელ დორეს „სეზარი და დრანა“ (რეჟ. რუსუდან კობიაშვილი) თბილისის მერიის დაფინანსებით მარჯანიშვილის „სხვენში“ და თეატრში ათონელზე დაიდგა. თუმცა, იყო დაფინანსება თუ არა, ყველა თეატრი დარბაზს, ტექნიკურ აღჭურვილობას თუ მსახიობებს მაგისტრანტებს უსასყიდლოდ უთმობდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ოთხივე სადიპლომო სპექტაკლის ხარისხობრივი დონე გარკვეულწილად სწორედ თეატრების თანადგომამ და პროფესიონალ მსახიობებთან მუშაობამ განაპირობა. ალბათ დასანანია, რომ ეს ტრადიცია დღეს თითქმის დაიკარგა და მომავალ მსახიობებსა თუ რეჟისორებს პროფესიონალებთან ერთად სცენაზე დგომის საშუალება იშვიათად ეძლევათ.

სწორედ დებიუტანტი რეჟისორისა და პროფესიონალი მსახიობის თანამშრომლობა გახდა იმის მიზეზი, რომ წარსადგენად ფრანგი ავტორის იზაბელ დორეს პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „სეზარი და დრანა“ შევარჩიე. ამ სპექტაკლში ორი დებიუტანტი იყო წარმოდგენილი – თავად პიესის ავტორი, იზაბელ დორე და მაგისტრანტი რუსუდან კობიაშვილი. პროფესიონალი კი მონოსპექტაკლში, სოხუმის თეატრის მსახიობი ლილი ხურითი გახლდათ. ჩვენს მაყურებელს ნამდვილად დაამახსოვრდა მისი საიდა (გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“, რეჟ. თემურ ჩხეიძე), სერაფიმა (მიხეილ ბულგაკოვის „სრბოლა“, რეჟ. რობერტ სტურუა), ნინა ზარეჩნაია (ანტონ ჩეხოვის „თოლია“, რეჟ. გოგი ქავთარაძე), ქალი (ჟან კოქტოს „ადამიანის ხმა“, რეჟ. ბექა ქავთარაძე).

იზაბელ დორეს პირველი პიესა „სეზარი და დრანა“ ერთაქტიანი პიესების საერთაშორისო კონკურსისათვის „ვალანსის სცენა“ 1992 წელს დაიწერა და მომდევნო წელს ვალანსის თეატრშივე დაიდგა. 1995 წელს მსახიობმა ჟული ვენსანმა შექმნა პიესის რადიოვერსია, რომელიც ტოკიოს რადიოგადაცემათა საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესოდ დასახელდა. ამის შემდეგ პიესა ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, სლოვენიურ, ჩეხურ და სხვ. ენებზე. ქართული თარგმანი, თანაც ძალიან კარგი, ქეთი კვანტალიანს ეკუთვნის და შესულია 2005 წელს გამომცემლობა „საარის“ მიერ გამოქვეყნებულ კრებულში „თანამედროვე ფრანგული თეატრი“. აქვე უნდა ითქვას, რომ თეატრთან ურთიერთობა დრამატურგმაც და ჩვენმა მაგისტრანტმაც მსახიობობით დაიწყო. იზაბელ დორემ პარიზის “ფლორანის სკოლის“ დამთავრების შემდეგ ბეტი პირსის როლი გაასახიერა გახმაურებულ სპექტაკლში „სეილემის გრძნეულები“, მაგრამ „სეზარი და დრანას“ წარმატების შემდეგ თეატრს თავი დაანება და პიესების წერას მიჰყო ხელი.

რუსუდან კობიაშვილს მსახიობობის გაცილებით ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ახმეტელის თეატრში. ითამაშა იანო აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ , ადოლფინა“ ფრიდრიხ დიურენმატის „ვიზიტში“ (რეჟ.დავით ანდღულაძე), ქეთრინი არტურ მილერის „ხედი ხიდიდან“ (რეჟ. ნუკრი ქანთარია). მას იღებდნენ კინოში („თბილისი, თბილისი“, რეჟ.ლევან ზაქარეიშვილი; „ქუჩის დღეები“, რეჟ.ლევან კოღუაშვილი) და იწვევდნენ სერიალებში (ყავა და ლუდი, კლინიკა, მსაჯულები...), რუსუდანმა თავი მოსინჯა აგრეთვე, სკოლებში კონკრეტული ასაკისათვის განკუთვნილი და სასკოლო თემატიკაზე მიზანმიმართული პატარ-პატარა პიესების დადგმით, მაგ: „მეგობრობის გაკვეთილი“, „პლუს-მინუს მათემატიკა“ და ა.შ. ერთი სიტყვით, ვიდრე ახალი პროფესიის შეძენის მიზნით სწავლას გააგრძელებდა, რუსუდანმა საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი გამოცდილება შეიძინა, რაც აისახა კიდეც, თუნდაც პიესის შერჩევაში ან ერთადერთი გმირის კონკრეტულ შემსრულებელზე ორიენტირებაში. კარგად მახსოვს, როგორ ნერვიულობდა, ვიდრე ქალბატონ ლილი ხურითს დაითანხმებდა.

ვფიქრობ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ რუსუდან კობიაშვილის სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფში მხოლოდ მანდილოსნები აღმოჩნდნენ. დრამატურგი, მთარგმნელი და მთავარი როლის შემსრულებელი უკვე ვახსენე. ამასთანავე, ორიგინალური მუსიკა სპეციალურად სპექტაკლისთვის კომპოზიტორმა მაია

გოქსაძემ შექმნა, სპექტაკლი დანიაში მოღვაწე მხატვარმა თამარ კობიაშვილმა გააფორმა. რუსუდანს არც დაუმალია, რომ სპექტაკლზე მუშაობის პროცესი მისთვის ძალიან ადვილი იყო: „ქალების სამყარო შევიყარეთ, ერთ ენაზე ვლაპარაკობდით, ერთნაირად გვესმოდა ბოშა ქალის ამბავი. ყველა ქალი ხომ თავისთავად ბოშაა, თუნდაც იმიტომ , რომ თან ატარებს თავის წარსულსა და მომავალს.“

პიესის სიუჟეტი მართლაც მარტივი და შეიძლება ითქვას არახალიცაა. გაურკვეველი ასაკის ბოშა ქალი დრანა ზამთრის სუსხსა და უამინდობაში თავის, ბებერ ცხენ სეზართან ერთად გზას ადგას და მას, აწ უკვე ერთადერთ ახლობელ, სულიერს ესაუბრება. დრანა ტუქსავს, ეფერება, ამხნევებს ღონემიხდილ ცხენს, უყვება ომითა და სხვა ჭირ-ვარამით სავსე ცხოვრებას, იხსენებს სიყვარულს, შვილებს... დრანა გრძნობს სიკვდილის სიახლოვეს, მაგრამ ბოლომდე იბრძვის, რადგან სიცოცხლე მისთვის მაინც ბედნიერი უსასრულობაა.

პიესაში სამი მოქმედი პირია – დრანა, დრანას დედა და ქმარი. რუსუდან კობიაშვილმა პერსონაჟები მინიმუმამდე დაიყვანა, ტექსტი ლოგიკურად შეკვეცა და ყველაფერი დრანას ერთ უწყვეტ, სულმოუთქმელ, ემოციით დამუხტულ მონოლოგში მოაქცია. პატარა ექსპლიკაციაში მაგისტრანტმა ძირითადი თემა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „პიესა შემეხო, რადგან მასში ამოვიკითხე პატარა, ლოკოკინა ქალის ბედი, რომელიც ფუთაში გამოკრულ თავის ამბავს და მთელ თავის ცხოვრებას თან დაატარებს. პიესაში დავინახე, როგორ შეიძლება გაამლიეროს განსაცდელმა ადამიანი, ქალი“.

სპექტაკლის დეკორაცია თუ აქსესუარები მინიმალურად არის გამოყენებული. ყველაფერს, კოსტუმი იქნება ეს მუსიკა, თუ მონოლოგის ინტონაციური ხაზი, მაქსიმალურად მოცილებული აქვს ბოშური შეფერილობა. აქ ვერ ნახავთ ფერად-ფერად კაბებს ან მხრებზე მოხდენილად მოგდებულ ფოჩებიან შარფებს. სპექტაკლში არც ბოშური რომანსები ისმის, მაია გოქსაძის მუსიკალური ფრაზები ისევ დრანას ამბავს გვიყვება. ერთადერთი მელოდია, რომელსაც ლილი ხურითი რაღაც არქაული სენსუალობით ღიღინებს ერთ-ერთი ლაიტმოტივის გადამღერებაა მხოლოდ და ბოშურ-მეგრული იავნანას მაგვარ სინთეზად გაისმის. სცენაზე ბოშური ყოფის ერთადერთი ტრადიციული ელემენტია დატოვებული – ფარდებჩამოფარებული და, როგორც სპექტაკლის მსვლელობისას ირკვევა, ლამის მარტო ჭინჭებით სავსე ფურგონი, რომელიც დრანას „მეხსიერების ფუთის“ პირდაპირი მინიშნება და ანალოგია. ამგვარად, მაყურებლის წარმოსახვას ამუშავებს მსახიობის მონოლოგი, მისი პლასტიკა, მრავალფეროვანი მოდულაციებით სავსე თბილი და მდიდარი დიაპაზონის ხმა. მაგალითად, თეთრი ნაჭერი, რომლითაც არტისტი ფურგონს სცენაზე შემოათრევს და კუთხეში მიაგდებს, ბებერ, გადაღლილ ჯაგლაგად იკითხება; ფურგონიდან გადმოღებულ ნაირფერ ჭინჭებს იგი ხან ჩვილ ბავშვად მოგვაჩვენებს, ხან სასიყვარულო სარეცლად თუ უდროოდ დაღუპული ქმრის ახალგაზრდა სხეულად ან ჩრდილად ქცეულ ცხედრად. მსახიობი ოსტატურად უმკლავდება მონოსპექტაკლის სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა სირთულეს. შესაბამისი ტემპო-რიტმის დაჭერით იგი მთელი სპექტაკლის მანძილზე ახერხებს მაყურებლის ყურადღების მართვასა და კონცენტრაციას, სიყალბეს არ აკარებს უწყვეტი მონოლოგის ინტონაციურ ქარგას და, რაც მთავარია, ზუსტად და ბუნებრივად მუშაობს მაყურებლის პირისპირ, „მსხვილ პლანზე“.

სადად და ფაქიზად აგებულ მიზანსცენაში რუსუდან კობიაშვილმა ერთი – ორჯერ ჩართო პროექცია – სწრაფმავალი გზა, რომელიც, ალბათ, დრანას ცხოვრების სრბოლის მეტაფორად იყო გააზრებული. უნდა ვთქვა, რომ ოდნავ სწორხაზოვანი და ტექნიკურადაც გაუმართავი მომეჩვენა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექცია ერთგვარად მაინც გამართლებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მსახიობს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა, მაყურებელი კი ვიზუალური ეფექტის ზემოქმედებით სპექტაკლში ჩართულობის დინამიკას არ კარგავდა. ამასთანავე, შესაძლოა ჭარბი განათების გამო ოდნავ პათეტიკურად (თუ ემოციურად?) იკითხებოდა სპექტაკლის ფინალი – დრანას ამ ქვეყნიდან უკანასკნელ, უკვე უსასრულო მოგზაურობაში წასვლის სცენა. შესაძლოა, პათეტიკური მუხტი სპექტაკლის ბოლო რეპლიკამ და მრავალწერტილმაც განაპირობა: „სეზარ, გასწი.. გაფრინდი! ყველაფერი ძველებურადაა, ყველაფერი თავიდან იწყება, სეზარ...“ ან იქნებ, ქალთა იმ სამყარომ, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი ქალის ამბავი ათონელის თეატრის სცენაზე გააცოცხლა, დასაწყისშივე აღებული ემოციური მუხტის განელება არ ისურვა და ბოლო სიტყვა ძლიერ კრესჩენდოზე გაწყვიტა?

სადიპლომო სპექტაკლებს ჩვეულებრივ ხანგრძლივი სცენური ცხოვრება არ უწერია. „ცეზარი და დრანა“ ამ შემთხვევაში მაინც გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან, რამდენადაც ვიცი, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სპექტაკლის რადიოვერსია გააკეთა. თუმცა, მაინც ვისურვებდი, რომ დებიუტანტი რეჟისორის და ძალიან კარგი არტისტის ერთობლივი ნამუშევარი რომელიმე თეატრის სცენაზე ერთი სეზონი მაინც დარჩენილიყო.

თამარ ქუთათელაძე

ფრანსის ვებერის „ბრიყვთა ვახშამი“ ილიაუნის თეატრში

„ბრიყვთა ვახშამი“
რეჟისორი - ოთარ ეგაძე

2013-2014 წლის თეატრალური სეზონი ილიაუნის თეატრმა ფრანგი დრამატურგის ფრანსის ვებერის პიესა „ბრიყვთა ვახშამი“ პრემიერით გახსნა (პიესა ფრანგულიდან თარგმნა ქ. კვანტალიანმა, რეჟ. ო. ეგაძე, მხატ. ს. ერისთავი, ქორ. ს. გვრიტიშვილი, მუს. გაფ. ე. ნიჟარაძის). წარმოდგენაში ცნობილ ქართველ მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ოთარ ეგაძის მიერ ასეთი შერეული პრინციპით განხორციელებული დადგმა, დამწყებ მსახიობთა პროფესიული ოსტატობის დახვეწისათვის ერთ-ერთი ორიგინალური ხერხია, თუმცა იმავდროულად იგი გარკვეულ გავლენასაც ახდენს დადგმის მხატვრულ ღირსებაზე.

სპექტაკლში სცენაზეა კულისებიანი ინტერიერი, დივანი ჭრელი ბალიშებით, ნარინჯისფერი ტორშერი, მაგიდა და სკამები. ოთახის ჭრელი კედლები ასეთივე ჭრელი სურათებითაა მოფენილი და სცენოფრაფიაში მკაფიოდ გაცხადებული განწყობა, კიდევ უფრო ცხადი ხდება წარმოდგენის მსვლელობისას. მიუხედავად მხატვრულ გაფორმებაში მოჭარბებული უხვი ფერებისა, სცენური გარემო მხიარულების განცდას არ ბადებს. ამ უცნაური ქაოტური ხაზებით, თითქოს ბინადართა რეალობისაგან გაჭრის ვნება, შინაგანი დისკომფორტის, გაუცნობიერებელი სევდისა და სიცარიელის დათრგუნვაა განზრახული. აქ მოწყენილი და დეპრესიული ადამიანები სახლობენ.

რეჟისორი ესწრაფვის, მაყურებელს შესთავაზოს გაუგებრობებით სავსე კასკადი ჩახლართული და კომიკური სიტუაციებით აღსავსე კომედიისა. მიუხედავად ჟანრის მსუბუქი ფორმისა, ფრანგული პიესიდან ჩვენს ცნობიერებაში უხვად აღწევს ქართული რეალობისთვისაც დამახასიათებელი პრობლემების სპექტრი. მოვლენების განვითარების შედეგად ნათელი ხდება, რომ კომედიის ხალისიანი გარსი ვერ მალავს მასში კარგად შეფუთულ სულიერ ტკივილებს.

ერთფეროვანი და მოსაწყენი რეალობისაგან გატანჯული თაობის ურთიერთობათა გაუფასურებას პიკისთვის მიუღწევია და თითქოსდა განსხვავებულ იერარქიულ საფეხურზე მყოფნიც ერთგვაროვნად დაკნინებულან. პარიზის ცნობილმა გამომცემელმა ზუკა პაპუაშვილის პიერ ბროშანმა და მისმა ექსცენტრიკულმა მეგობრებმა, ერთობ ახირებული გასართობი მოიგონეს: თითოეული მათგანი ვინმე ახალგაცნობილ და ბრიყვად მიჩნეულ პიროვნებას ოთხშაბათობით ვახშამზე იწვევს. მას დასცინიან, ლაღობენ, წვეულ სტუმართაგან ყველაზე სულელის აღმომჩენი კი, საღამოს ტრიუმფატორი ხდება.

სპექტაკლის გმირები კომფორტისმოყვარე საშუალო ასაკისა და კლასის წარმომადგენელი, ანუ ერის უმთავრესი ხერხემალი, მისი სახე და გონია. სამეგობროს მორიგი, ტრადიციული ნადიმი ჩაიშალა. მის ერთ-ერთ მონაწილეს წელკავი დაემართა და მოძრაობის უნარი დაკარგა, მაგრამ მისი შერჩეული ბრიყვი, მასპინძელს შინ ესტუმრა და მისდა უნებურად დაუვიწყარი საღამოს ინსპირატორიც გახდა.

მსახიობი ლევან მამნიაშვილი მანერულად განასახიერებს პაციენტის დასახმარებლად წვეული ოჯახის მკურნალი ექიმი არშამბოს როლს და თავის გმირს ექცენტრიკული შტრიხებით წარმოგვიდგენს. იგი საოპერო არიების ღიღინით იხალისებს პროფესიული მოვალეობის აღსრულების ერთფეროვან დღეებს. ის მომღერლის იმიჯმორგებული, მსუბუქად დახტის სასცენო ფიცარნაგზე და ყელს წითელი ბაფთა უმშვენებს.

სცენაზეა არასრულფასოვანი, დეგრადირებული მამაკაცების მოდგმა, - განძარცვული ღირებულებების, ინტელექტის, გემოვნებისა და სულიერი ღირსებებისაგან. პიერს თავისი ცოლი მეგობრისათვის აურთმევია, დავით გიგოლაშვილის ფრანსუა პინიონს მისგან გაქცეულ ცოლზე ნოსტალგია თრგუნავს, დავით ველიჯანაშვილის ჟუსტ ლებლანი შეურაცხყოფილია მეგობრის მიერ მისი ცოლის მიტაცებით და თემო კვარაცხელიას ლუსიენ შევალიც მალე გახდება ცოლის ღალატის თვითმხილველი. თითოეული მათგანი ყოფით, უსახურ, ერთგვაროვან არსებათა სახეებს ქმნიან სცენაზე და მოვლენების განვითარების შედეგად ნათელი ხდება, რომ ამ დეგრადირებული, უნებისყოფო და ექსცენტრიკული ,,ძლიერი სქესის'' მოწყენილი პარტნიორები უმიზნო არსებობისაგან თავდახსნის მიზნით, თავდავიწყებით დაეძებენ ახალ მეწყვილეს, უკეთესის ძებნაში კი წინამორბედზე არასრულფასოვანი მამაკაცის მსხვერპლი ხდებიან.

ერთგვაროვანია სოფო გვრიტიშვილის კრისტინ ბროშანის გამომსახველობითი ხერხები. მსახიობი მხოლოდ მანერული ცეკვადი პლასტიკით ცდილობს დახატოს ქარაფშუტა ქალის სახე. მაკა ძაგანიას მარლენ სასორი კი, მარტივი ხერხებით, - უხვად ასხმული სამკაულების ჟღარუნითა და მთვრალი ქალის ხელოვნური მეტყველებით წარმოგვიდგენს სპირიტუალიზმით გატაცებული, პიერზე უგონოდ შეყვარებული ქალის პორტრეტს. მსახიობები ვერ ახერხებენ სახიერად, ქმედითად შექმნან მათი რჩეული მამაკაცის უყურადღებობით განრისხებული ქალის ხასიათი, მანერულობისაკენ მიდრეკილი პიროვნების ვნება და ამბოხი.

დავით გიგოლაშვილი თანმიმდევრულად, გააზრებულად და ბუნებრივად წარმოაჩენს პირად ცხოვრებაში ხელმოცარული, თავმდაბალი და ექსცენტრიული ფრანსუა პინიონის სახეს. მან ზუკა პაპუაშვილის უაღრესად თავდაჯერებული პიერი თავადვე გადააქცია ბრიყვად, სნობ მამაკაცს ცოლი და საყვარელი დააკარგვინა, გადასახადების ინსპექტორი შინ სტუმრად და მისდა უნებურად აიძულა ეღიარებინა, რომ მისმა რჩეულმა ,,ბრიყვმა'', ,,ყველა ბრიყვის სახელით, წარმატებით იძია შური''. სპექტაკლისა და პიესის

ეს უმთავრესი ფაბულა კი, დადგმაში ვერ იქნა მკაფიოდ წარმოჩენილი. რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობი მხოლოდ ჟესტით, სახისმეტყველებითა და მოძრაობის უნარწართმეული კაცის პლასტიკით წარმოადგენს გმირს. სპექტაკლის მსვლელობისას, მის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების გამოვლენის ასასახად, რომელმაც მის მიერვე ბრიყვად აღიარებული კაცის წინაშე გააცნობიერა საკუთარი სიბრიყვე, ადეკვატური გამომსახველობითი ხერხები მოვლენებზე გამომსახველი რეაგირებისთვის მიუგნებელი რჩება.

სპექტაკლი კომპოზიციურად შეკრულია და წარმოდგენის მიწურულს რეჟისორი კიდევ ერთ ინტრიგას უწყობს მაყურებელს. იგი ქმნის მახვილგონივრულ ფინალს და თავად საზოგადოებას უტოვებს ლოგიკური დასასრულის შეთხზვის უფლებას. ზუკა პაპუაშვილის პიერი იღვიძებს და ვეღარ იხსენებს, სცენაზე განვითარებული მოვლენები ცხადში გადახდა, სიზმარში ნახა თუ წინ ელის მისი განმეორება.

თამარ ქუთათელაძე

„იავნანამ რა ჰქმნა?!"

რეჟისორი ოთარ ბაღათურია

ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრის სცენაზე განხორციელებული იაკობ გოგებაშვილის შედევრი „იავნანამ რა ჰქმნა?!" ადრეც რამდენჯერმე დაიდგა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე. წარმოდგენის ამჟამინდელი რეჟისორი თეატრის უფროსი თაობის ერთ-ერთი ცნობილი სახე ოთარ ბაღათურიაა. იგი შეეცადა, ნაწარმოებში გაჟღერებული პრობლემა თანამედროვე აქცენტებით შეევსო.

სცენოგრაფია წარმოგვიდგენს კეთილშობილ ქართულ და დაღესტნურ ოჯახებში განვითარებულ დრამატულ ისტორიას. სცენური სივრცე ორ ნაწილადაა გაყოფილი. სცენის ზედა მონაკვეთში მერაბ ბრეკაშვილის ნაიბისა და მისი მეუღლის (ნინო ანდრიაძე) ოჯახი სახლობს. სცენის ფიცარნაგზე კი ნიკოლოზ ნანიტაშვილის ზურაბ ქართველაძისა და სალომე მაისაშვილის მაგდანის ქართულ ოჯახში მიმდინარე მოვლენები ვითარდება. რეჟისორს ორივე წყვილი, ეროვნული ცეკვის ეფექტური ფრაგმენტით შემოჰყავს სცენაზე.

სპექტაკლს უძღვებიან ქართველი და დაღესტნელი მთხრობელები. ორივე მათგანი საშუალო ასაკის ღარიბი, მეზობელ ერებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტისა და მის შედეგად წარმოქმნილი დრამატული მოვლენების თვითმხილველია. მათ წინაშე არსებული ნანგრევები ორივე მათგანს ახლო წარსულში განვითარებული ტრაგედიის მოგონებას უღვივებს და ერთმანეთის მიმართ არცთუ დიდი ნდობით გამორჩეული ორი მტრულად განწყობილი ერის წარმომადგენელი, თანმიმდევრულად ყვება ოდესაღაც ნანგრევების ადგილზე მცხოვრები ოჯახების ისტორიას, რაც პატარა ქეთოს დრამატულ ხვედრს უკავშირდება.

თამარ ლოლაშვილის წამყვანი მედიდურად ეპყრობა სოსო მოლოდინაშვილის დაღესტნელ მთხრობელს, რომელიც შემრიგებლური ტონით ცდილობს ურთიერთობის ნორმალიზებას. ორივე წამყვანი აცნობიერებს, რომ მშობლიურ სოფელში განვითარებული ტრაგედია, მერკანტილურ ინტერესებს, ორი უმწეო ღატაკის სიხარბეს უკავშირდება, რაც თითქმის იდენტურია ორ ერს შორის დამკვიდრებული აგრესიასა და გაუცხოებისა. წამყვანის როლის განმასახიერებელი თეატრის ეს ორი ცნობილი მსახიობი მხოლოდ გვიყვება სცენაზე მიმდინარე ისტორიას, თუმცა თხრობის პროცესში მათი ყურადღების მიღმა რჩება საბავშვო თეატრისათვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მაყურებელთან ურთიერთობისა და გამომსახველი მეტყველების კულტურა. გარდა ამისა, სპექტაკლში არ არის გამოკვეთილი თუ რა გავლენას ახდენს მათი დიალოგი მთხრობელთა ურთიერთობაზე, ან მათი დამოკიდებულება ტრაგედიის შედეგებისადმი. ორივე მათგანი ერთმანეთისადმი ბოლომდე დისტანცირებულია. სიღატაკე და გაუგებრობა ანადგურებს ორივე ოჯახის კეთილდღეობას, ხოლო მეზობელ ერებს შორის აკანონებს მტრობის აულაგმავ აგრესიას, რაც წარმოდგენის ავტორების მიერ ვფიქრობ ბოროტების უმთავრეს წყაროდაა მიჩნეული, მაგრამ არ ხდება ამ მოვლენის ფართო მასშტაბში გააზრება, მისი სახიერად წარმოჩენა.

დიმა თარბაია და გიორგი გოგიშვილი წარმოგვიდგენენ სიღატაკით დათრგუნვილ, ლუკმა-პურის შოვნით გატანჯულ მაწანწალა ლეკებს. მათი ხასიათები კონტრასტულია. თუ გიორგი გოგიშვილის მხატვრული გმირი გაბედულია, საზრიანი, დიმა თარბაია - მორჩილი, შიშით დათრგუნვილ-დაბეჩავებული მაწანწალაა. შიმშილის დაუთრგუნავი გრძნობა კი ორივე მათგანს უბიძგებს მიიღონ სახიფათო გადაწყვეტილება, - ჯერ შეიჩვიონ მომხიბლავი, თამამი, ნიჭიერი პატარა ქეთო, შემდეგ გაიტაცონ და უშვილო ნაიბს სარფიანად მიჰყიდონ. ღატაკთა მიერ ბავშვის გატაცება და მის შედეგად განვითარებული დრამატული მოვლენები კი - ორი მოსიყვარულე ოჯახისა და მათი თანამოაზრე, ძალადობით აღშფოთებული ახალგაზრდების მსხვერპლით მთავრდება.

წარმოდგენაში მონაწილე მარიამ ჯანხოთელი სცენაზე ქმნის ახალგაზრდა მშობლებისა და ნინო ლორთქიფანიძის ემოციური, მოსიყვარულე ძიძის მზრუნველობით განებივრებული, მკვირცხლი, ენაკვიმატი პატარა ქეთოს პორტრეტს.

ეფექტურადაა დადგმული წყვეტილი სინათლის ჭავლში გახვეული ლეკებისა (ზურაბ არუსია, რაჟდენ კერვალიშვილი, ზვიად ურიდია) და ქართველების (გიორგი ბერიძე, ნიკა კვანტალიანი, გიორგი ჯიქურიძე, მამუკა ბოგვერაძე, ვამეხ ჯანგიძე) შერკინების ქორეოგრაფიული სცენები. ემოციურად და

მხატვრული სახიერებითაა გამოვლენილი კვლავ ბიოლოგიური მშობლების გარემოცვაში მოხვედრილი, უკვე დაქალებული მარიამ ჩუხრუკიძის მიერ შექმნილი ქეთოს ხასიათი. მსახიობი შთამბეჭდავად თამაშობს მისი გმირის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებს. იგი მკაფიოდ უჩვენებს თავს დატეხილი გაუგებრობით შეშინებული, დაბნეული ახალგაზრდა ქალის მეხსიერებაში თუ როგორი წვალებით იღვიძებს დედის მიერ ბავშვობისას მისთვის არაერთხელ ნამღერი, საყვარელი და დაუვიწყარი ,,იავნანას'' მელოდია. მსახიობი თანმიმდევრულად და გააზრებულად თამაშობს ამ მოკლე, მაგრამ ეფექტურ ეპიზოდს. არანაკლებ ემოციურია მისი მომდევნო სცენაც, როდესაც გაფხიზლებული და სიმართლის შეცნობით თავზარდაცემული ქეთო სიკვდილს არჩევს მოსისხლე მშობლების წყვილს შორის არჩევანს.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენაში გაჟღერებული, თეატრის მიერ მოძიებეული და მაყურებლისათვის სრულიად უცნობი ხალხური ,,იავნანა'', სპექტაკლის ყველაზე ემოციურ სცენას უკარგავს ეფექტს. ვფიქრობ, სპექტაკლი არ წარმოადგენს ეროვნული ფოლკლორის მივიწყებული ნიმუშების რეანიმაციის ასპარეზს, მით უფრო საბავშვო წარმოდგენაში, სადაც პატარა მაყურებლისთვისაც ნაცნობი უნდა იყოს დედის შვილთან ურთიერთობის ამ პირველი და სახელოვანი ,,დამაძინებლის'' ტექსტიცა და მუსიკალური ქსოვილიც.

თამარ ქუთათელაძე

,,სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე''

რეჟისორი - გიორგი თავაძე

სანდრო ახმეტელის თეატრში განხორციელებული პრემიერა ერიკ ემანუელ შმიტის ,,სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე'', გასული წლის ნოემბერში იხილა მაყურებელმა (რეჟ. გ. თავაძე, მხატ. ა. კალატოზიშვილი, ქორ. ბ. ხინთიბიძე, მუს. გამფ. დ. თავაძე). სპექტაკლი მხოლოდ სამიოდე თვეს ითვლის, მაგრამ თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ორიგინალური დრამატურგის ერიკ ემანუელ შმიტის სახელოვანი პიესის დამდგმელმა რეჟისორმა გიორგი თავაძემ, წარმოდგენა ეფექტურ თეთრ გარემოში შექმნა. სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარზე მოხვედრილი ხუთი პიროვნება აქ მოუთმენლად ელის უზენაესის განაჩენს. ამ მოლოდინს კი, თითოეული მათგანი განსხვავებულად ეგუება, თუმცა სწორედ ამ შეგუებისა და სცენურ გმირთა შინაგან სამყაროში წარმოქმნილი პროცესების, მათი ურთიერთობების, საკუთარი ცხოვრებისეული წესის გააზრების, სიცოცხლისადმი დამოკიდებულების ცვლილება ან ერთგულება თუ გარდაქმნის სანახაობრივად წარმოჩენა სპექტაკლში არცთუ მარტივი აღმოჩნდა. თავისთავად სტატიკური პიესა, მოქმედების მწირ შესაძლებლობას ქმნის, რაც კიდევ უფრო ართულებს რეჟისორის ფუნქციას. ადამიანური არსებობის ტრაგიზმით გაჯერებული დრამის საინტერესო ტექსტუალური მასალა, რომელსაც მოქმედი პირები წარმოთქვამენ უცვლელ ოთხ კედელში გამომწყვდეულნი, ვერ კარნახობს რეჟისორს ეფექტურ ფონს წარმოსახვისთვის, სადაც უნდა შეითხზას სანახაობრივად ხილული სცენურ გმირთა მიერ გაცხადებული ტექსტის ქვეტექსტი.

ქალთა გულების მპყრობელი, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოყვარე, უმიზნო არსებობისაგან თავგაბეზრებული და ლამის თვითმკვლელი ჟულიენ პორტალის როლის განმასახიერებელი ბექნუ ქაფიანიძე, რადიკალურად განსხვავდება მის მიერ განსასახიერებელი სახისაგან. გამხდარი მსახიობის ფსიქო-ფიზიკური აპარატი ვერ წარმოსახავს ნერვული, დეპრესიული, ,,სუსტი სქესის'' ყურადღებით განებივრებული, ქარიზმატული და აზარტული კაცის სახეს, რომელშიც, მისივე თქმით, ვერც ერთმა ქალმა ვერ შეძლო ერთგულების გრძნობის გაღვივება. ბექნუ ქაფიანიძის ჟულიენ პორტალი მშვიდი, ოდნავ დაბნეული, მაგრამ სიცოცხლისმოყვარე და სულიერად ფაქიზი ახალგაზრდა კაცია, რაც სრულ დისონანსშია თავად მსახიობის მიერვე გაჟღერებულ ტექსტთან. გვანცა კანდელაკის მომხიბლავი, ხალისიანი, თამამი და პოეტური ლორა, მალევე ახერხებს მასში თავდავიწყებული სიყვარულის გაღვივებას.

ნინო ანდრიაძის მარია მარტენი დაუფასებელ შრომაში გახარჯული, პატივაყრილი და გაუხარელი ცხოვრებისაგან ტანჯული ქალი, განგებას მისივე უმთავრესი საქმიანობის, - დამლაგებლის შრომის ატრიბუტთა დანამატად უქცევია. მსახიობი სცენაზე ქმნის დაღლილი, გაბოროტებული, პროზაული მარია მარტენის სახეს. მუდამ ჩვარჩაბღუჯული ნინო ანდრიაძის გმირი, მოზღვავებული ენერგიით ისტერიულად წმენდს და ალაგებს სცენის ისედაც ქათქათა, მოწესრიგებულ გარემოს და ირგვლივ მყოფთაც დაუსრულებლად სთავაზობს საკუთარ სამსახურს. მსახიობი წარმოაჩენს თავის სულიერ სამყაროში მიმდინარე ტრაგედიას, მაგრამ შექმნილ ხასიათსა და ქალურ ღირსებებს უმალ აკნინებს სცენაზე უხვად გაჟღერებული სკაბრეზული ფრაზები.

მსახიობი აკაკი ხიდაშელი შთამბეჭდავად თამაშობს ეგოცენრისტული ვნებებით შეპყრობილი რესპექტაბელური, ხარბი პრეზიდენტი დელბეკის სახეს. იგი აღშფოთებულია მისი მრავალწლიანი მაქინაციებით ნაგროვები ქონებისადმი არაპრაქტიკული ოჯახის წევრების უდიერი დამოკიდებულებით. ადამიანური არსებობისა და რელიგიისადმი ორმაგი სტანდარტებით განწყობილი ეს სარგებლისმოყვარე საქმოსანი, რომლისთვისაც ფულის სიყვარულია უმაღლესი და ურყევი ღირებულება, მხოლოდ იმისთვის იბრძვის სიცოცხლის უფლების დასაბრუნებლად, რომ კვლავ დაისაკუთროს და საკუთარი სახელის უკვდავყოფას მოახმაროს თავისი ქონება.

ნუგზარ ყურაშვილის მაგი რაჯაპური სიცოცხლისმოყვარე, ყოფითი მამაკაცის სახეა. მის კეთილშობილურ გადაწყვეტილებას, - დღესასწაულად გადააქციოს საკუთარი სიკვდილი და გარდაცვლილ

ქალიშვილს მიმსგავსებულ გვანცა კანდელაკის პოეტურ ლორას ბედნიერებას შესწიროს გული, კიდევ უფრო ამყარებს რეჟისორის მიერ შეთხზული ექიმისადმი გაღვიძებული სასიყვარულო მიზანსცენა, რომელიც ვფიქრობ, წინამორბედ სცენებში ქმედითად ვერ იქნა მოტივირებული და განვითარებული.

სიკვდილის მსახურად ქცეული ანა მატუაშვილის ექიმი, მთელი სპექტაკლის განმავლობაში ერთგვაროვანი გამომსახველობითი ხერხებით, მოჭარბებული ინფერნალური სიცილითა და სხეულის დეფორმირებული მოძრაობით წარმოგვიდგენს განსასახიერებელი გმირის სისასტიკეს. ამიტომაც, ამ გამყინვარებული, თითქმის გაქვავებული არსების სულიერ სამყაროში მოულოდნელად აფეთქებული სიყვარული, წინამორბედ სცენებში რეჟისორის მიერ გამოკვეთილად უნდა ყოფილიყო მომზადებული. მას შემდეგ კი, რაც რადიკალურად სახეცვლილი ეს გაუხეშებული ქალბატონი თავისუფლების მოსაპოვებლად გააფთრებული ეკვეთება დასანგრევად ,,სიკვდილის ყუთს'', კვლავაც უკვალოდ ქრება მისი სულ ცოტა ხნის წინ თითქოსდა წამლეკავი ვნება. უფუნქციოა ექიმის ასისტენტთა, სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე შეყოვნებულთა მეთვალყურედ ქცეული ანგელოზთა წყვილის (გაგა მახათაძე და თაკო აზნარაშვილი) სახეები, ხელოვნურია მათი ღიმილი და სპექტაკლის მსვლელობისას, ერთმანეთისადმი სრულიად გულგრილი ამ თეთრსამოსიანი ფრთოსნების უეცარი ნაზი ამბორიც მხოლოდ გაუგებრობას იწვევს.

დრამატურგის ცენტრალური და ცხოვრებისეული ტრაგიზმის ამსახველი თეზა, - ,,სიკვდილი არც ჯილდოა და არც სასჯელი, ცხოვრება კი ყრუ და ბრმაა, ის დასცინის სიმამაცესა და ღირსებას. ცხოვრება ისეთია, როგორიც არის'', სპექტაკლში ვერ წარმოჩნდა მთელი თავისი სიმწვავით.

ლაშა ჩხარტიშვილი

მოხედვა რიტუალისკენ, ანუ სახიობა ჩვენს თანამედროვეობაში

„ვეფხი და მოყმე“

რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე

დღეს აღარავინ კამათობს იმაზე, რომ თეატრი რიტუალიდან წარმოიშვა და მას ბევრი საერთო აქვს ლიტურგიასა და ზოგადად რელიგიასთან. უძველესი ქართული თეატრალური წარმოდგენების ფესვებიც სწორედ სინკრეტული ხანის წარმართულ რიტუალებში უნდა ვეძიოთ. მით უმეტეს, ქართველს ძალიან უყვარს ყველაფრის გათეატრალიზება. დროთა განმავლობაში თეატრმა დაკარგა კავშირი რიტუალთან და ეძებდა ახალ ფორმებს გამოსახვისთვის.

21-ე საუკუნეში ევროპულმა თეატრმა კვლავ დაიწყო კავშირის აღდგენა რიტუალთან. ამ მხრივ განსაკუთრებული კვლევები და ექსპერიმენტები ჩაატარა პიტერ ბრუკმა. საქართველოში კი მეტაფორული ენა, რომელსაც მცირე კავშირი აქვს რიტუალთან, საბჭოთა პერიოდში ობიექტური მიზეზების გამო უფრო პოპულარული იყო, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში. ასეა თუ ისე, რიტუალთან ქართული თეატრის მიბრუნების მცდელობა დასაფასებელია და მაყურებლისთვის საინტერესო. პლაკატურობამ და გამომსახველობითი საშუალებების სიშიშვლემ თითქოს მრავალფეროვნება დაუკარგა თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი რეჟისორები მუდმივად ეძიებენ ახალს, ორიგინალურს, განსხვავებულსა და განსაკუთრებულს, მაგრამ რიტუალური თეატრი თითქმის არასდროს გამხდარა ჩვენი რეჟისორების ინტერესის და გატაცების საგანი.

კინომსახიობთა თეატრის აფიშიდან ვერ შეიტყობს მაყურებელი, რომ გიორგი სიხარულიძის ახალი სპექტაკლი „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ ფაქტობრივ რიტუალია, ერთგვარი მისტიკური თეატრალიზებული ხილვა. მართალია, გიორგი სიხარულიძე სპექტაკლის ბოლომდე ვერ უნარჩუნებს რიტუალის ფორმას (საქართველოს გაერთიანების თემა წარმოდგენაში უადგილოდ შემოიჭრება, რაც ვფიქრობ, რბილად რომ ვთქვათ, აფუჭებს სპექტაკლის განსაკუთრებულ ფორმას და გადაწყვეტას), მაგრამ წარმოდგენა უდავოდ ახდენს მაყურებელზე გარკვეულ შთაბეჭდილებას და იწვევს არაერთგვაროვან ემოციებს.

სპექტაკლს არაერთი ღირსება აქვს:

რთული საშემსრულებლო კონსტრუქცია მსახიობისთვის, სადაც ხმოვანი ვოკალური ბგერები, მოქმედების რიტმი და ტექსტი არა მხოლოდ სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან, არამედ დაცულია სიზუსტე მათ მონაცვლეობასა და სინთეზში. რეჟისორის მიერ მსახიობთათვის შეთავაზებული პარტიტურა ერთდროულად აერთიანებს კონცენტრირებას ვოკალზე, ტექსტის სიცხადესა და პლასტიკაზე. შესაბამისად, მსგავსი პარტიტურა ყველა მსახიობისთვის როდია მარტივად დასაძლევი. ვფიქრობ, მსახიობთა გან ლიდერის პოზიცია მზია არაბულს უჭირავს, ის არა მხოლოდ წარმართავს სპექტაკლს, როგორც პროოგონისტი, არამედ წარმოადგენს სპექტაკლის ხერხემალს, ყველაზე ძლიერ, გამართულ ნაწილს სამსახიობო გუნდიდან. ფაქტია, რომ მსახიობთაგან მხოლოდ მზია არაბულმა დაძლია რთული პოლიფონიური ქსოვილის სადა ხერხებით მაყურებლამდე ისე მოტანა, როგორც ეს რეჟისორს ჰქონდა ჩაფიქრებული. ამ ბარიერის დაძლევაში მზია არაბულს მხოლოდ გამოცდილება როდი დაეხმარა, მაყურებელი გრძნობს, რომ მსახიობს ბევრი აქვს ნამუშევარი საკუთარ თავთანაც ერთმანეთის პარალელურად ვოკალზე და ზუსტ ქორეოგრაფიულ ნახაზზე.

ქორეოგრაფებს - ვეკა პირმისაშვილს და ნათია მეტრეველს სპექტაკლის ისეთივე კონცეფცია და ქორეოგრაფიული ექსპლიკაცია აქვთ მოფიქრებული, როგორც თავად რეჟისორს. მათი ნამუშევარი სპექტაკლის მსვლელობის მთელ მანძილზე ჩანს, რაც გამოიხატება მსახიობთა თითოეულ მოძრაობაში,

ქოროს გადაადგილების კომპოზიციაში... თუმცა ვერ ვიტყვი იმავეს მუსიკალურ გაფორმებაზე, რომელიც თავად რეჟისორთან ერთად ანი მურღულიას ეკუთვნის. მუსიკალური კომპოზიციების მთავარი სისუსტე მსახიობთა მიერ მათი სიყალბეშერეული შესრულება იყო. შესაძლოა ვეფხის დედა ანა მატუაშვილი ტექნიკურად სწორად ასრულებდა თავის პარტიას, მაგრამ მისი ხმა რთული მოსასმენი იყო მაყურებლისთვის და ეს სულაც არ გამომდინარეობდა სიუჟეტიდან, ანა მატუაშვილის მიერ შესრულებული ვოკალური მოთქმა-გოდება უფრო უხერხულობის ჟრუანტელს გვრიდა მაყურებელს, ვიდრე ტრაგედიით გამოწვეულ შემზარავ განცდას. მისი დიაპაზონი ამ კუთხით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ქოროს.

კომფორტული გარემო შექმნა მსახიობებისთვის მხატვარმა ზურაბ გოგორიკიძემ, რომელმაც მინიმალისტური დეკორაციით შექმნა შესაბამისი გარემო სპექტაკლში. სცენური სივრცე, მართალია, ერთ ფერშია გადაწყვეტილი, მაგრამ მრავალფეროვან საშუალებას იძლევა მოქმედების ადგილის გამოსახატად. სტილიზებული ეთნოგრაფიული კოსტიუმები შავ ტონს არღვევს და პერსონაჟებს კარგად გამოკვეთს სცენური სიბრტყიდან...

მინიმუმამდეა დაყვანილი მოყმის (გაგი შენგელია) და ვეფხის (გუგა კახიანი) ფუნქციები სპექტაკლში. შესაბამისად, მსახიობები ვერ ასწრებენ გამოავლინონ საკუთარი დამოკიდებულება იმ პერსონაჟებისადმი, რომელთაც ისინი წარმოგვიდგენენ და ლოგიკურია ისიც, რომ სპექტაკლში არ ჩანს მათი ხასათები. იმ მაყურებლისთვის, რომელსაც არასდროს წაუკითხავს ხალხური ბალადა ვეფხისა და მოყმის ორთაბრძოლაზე, რთული გასაგები იქნება რა ტიპის პერსონები არიან ვეფხი და მოყმე, განსაკუთრებით მოყმე, რომელიც მართალია პირტიტველაა (როგორც ბალადაში), მაგრამ მისი აღნაგობა ფიზიკური სიძლიერის ეჭვს ბადებს. საერთოდ, სპექტაკლში ტექსტის გარეშე მსახიობები უფრო დამაჯერებლები და მეტყველები იყვნენ. თვით მზია არაბულიც კი, რომელიც ქართული სცენის ნამდვილი ოსტატია. მისი მიმიკა-შეფასებები და დამოკიდებულება სიტუაციაში პარტნიორების მიმართ გაცილებით მაღალმხატვრულ ხარისხში იყო გადმოცემული. ურთულესი პარტიტურა აქვს მზია არაბულის დედას, რომელიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დედაა-განცდებით და ემოციებით, მაგრამ მის ემოციურობას, ყოველთვის რაციო სძლევს. ეს მეტამორფოზა სპექტაკლში ზუსტად არის გადმოცემული. მსახიობი აღწევს გარდასახვის მაღალ ხარისხს - მისი დედა თვითდაჯერებული და საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებულია. ხასიათის ამ ცალსახა თვისებას მზია არაბული ირონიის ელფერსაც ამატებს, მაშინ, როცა უმძიმესი ტრაგედიის დროს მხნედ გამოიყურება, ვიდრე ბედკრულ ქალად. სწორედ, ამ დროს აღმოხდება მსახიობს ფრაზა - „ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარია...“, რომელიც თვითდამშვიდებას უფრო წააგავს.

საბოლოო ჯამში, გიორგი სიხარულიძის სპექტაკლი ქართული თეატრისთვის მნიშვნელოვან ტენდენციას ავლენს, რომელიც მომავალში, ამ მიმართულებით ძიებების გაგრძელების შემთხვევაში, საინტერესო რეზულტატად გადაიქცევა. უძველესი ქართული სათეატრო ჟანრის სახიობისადმი მიმართვა გიორგი სიხარულიძის მიერ დასაფასებელი და წასახალისებელია, მთავარია, სახიობის ჟანრში პლაკატური ფორმით არ განმეორდეს არც ერთი მხატვრული თემა, თუნდაც ეს პატრიოტიზმი და საქართველოს გამთლიანების იდეით იყოს ნაკარნახევი.

მანანა გეგეჭკორი

ვეძებთ ნაბირალას!

„გრონჰოლმის მეთოდი“
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე

,,ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არც ერთი თანამედროვე პიესა ისე არ მომწონებია, როგორც ჟორდი გალსერანის ,,გრონჰოლმის მეთოდი.“ დეტექტივის პრინციპით დაწერილი (თუმცა დეტექტივი არ არის) პიესა, იმედი მაქვს, ბოლომდე შეინარჩუნებს მაყურებლის ყურადღებას. არ შევუდგები იმის მოყოლას, თუ რაზეა ის. ამაზე, ვფიქრობ, თითოეული მაყურებელი საკუთარ დასკვნას გამოიტანს. ძალიან მინდა, ყველა ისე შეწუხდეს დასმული პრობლემით, როგორც ეს მე დამემართა პიესის კითხვისას.“ თემურ ჩხეიძე.

თანამედროვე ქართულ თეატრში გამოჩნდა პიესა, რომელიც სიღრმისეულად ასახავს საზოგადოებაში დღეს საფუძვლიანად დამკვიდრებულ მნიშვნელოვან სატკივარს, პრობლემას, რომელმაც ჩვენში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი. სამწუხაროდ!

საინტერესოა, რომ ეს პიესა ქართული არ არის. იგი თანამედროვე ესპანელმა დრამატურგმა ჟორდი გალსერანმა დაწერა. მას ,,გრონჰოლმის მეთოდი“ ჰქვია.

როგორც ჩანს, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესში საქართველოს ჩართვას, ჩვენი ქვეყნისათვის მრავალ პოზიტიურ შედეგთან ერთად, ნეგატიურიც მოაქვს. რას იზამ, ყველა მოვლენას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე. ,,გრონჰოლმის მეთოდში“ გამოვლენილი ფსიქო-სოციალური პრობლემატიკა, თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების ერთ, მეტად მნიშვნელოვან ასპექტს ეხება. იგი არა მარტო ესპანელთა და ქართველთა, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს ტკივილს წარმოადგენს.

ჟორდი გალსერანის პიესა მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ დადგა. ,,გრონჰოლმის მეთოდი“ ჩინებულად თარგმნა მწერალმა თამაზ გოდერძიშვილმა. ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სწორედ იგი მუშაობს თ.ჩხეიძესთან პიესების თარგმანსა თუ პროზის ინსცენირებაზე. ამ შემთხვევაშიც

ძალიან კარგი შედეგი მივიღეთ.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ რეჟისორი სანკტ-პეტერბურგიდან სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნდა. ამიტომაც იმედი მაქვს და მიხარია, რომ ქართველ მაყურებელს ამიერიდან, მის შემოქმედებასთან შეხვედრის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება, ვიდრე უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

სანამ უშუალოდ სპექტაკლზე ვისაუბრებ, მინდა პიესის ავტორზე მოგითხროთ, მით უფრო, რომ ქართული თეატრალური საზოგადოება მას თითქმის არ იცნობს. ჟ.გალსერანის ,,გრონჰოლმის მეთოდი“ ჩვენში პირველად დაიდგა.

მსოფლიოში სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი და მთარგმნელი ჟორდი გალსერანი 1964 წელს დაიბადა. დაამთავრა ბარსელონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს პიესების წერა დაიწყო. მისი დრამატურგიული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: ,,სერფინგი,“ ,,მიჯაჭვული სიტყვები“(ამ პიესის მიხედვით გადაღებულია ფილმი, ჟ.გალსერანს კი მიენიჭა პრემია ,,ბორნი“ თეატრალური ხელოვნების სფეროში, კრიტიკის პრემია, აგრეთვე პრემია საუკეთესო სცენარისათვის ფანტასპორტოს ფესტივალზე), ,,დაკოტა,“ ,,გაქცევა,“ ,,კარნავალი,“ ,,კანკუნი,“ მიუზიკლი ,,გაუდი,“ ,,გრონჰოლმის მეთოდი“(მის საფუძველზე ფილმი გადაიღო რეჟისორმა მარსელო პინეირომ). ჟ.გალსერანის სცენარის მიხედვით გადაღებულია ფილმი ,,სიმყიფე“(რეჟ. ჟუამ ბალაგერო). ამჟამად დრამატურგი მიუზიკლ ,,მეფე-ლომის“ ესპანურენოვან ადაპტაციაზე მუშაობს. ჟ.გალსერანი რამდენიმე მოთხრობის ავტორია, ესპანურად თარგმნა კარლო გოლდონისა და ნილ საიმონის პიესები, ნიკოლოზ გოგოლის ,,რევიზორი.“

,,გრონჰოლმის მეთოდი -“ ჟ.გალსერანის ყველაზე პოპულარული პიესა - მრავალ ენაზეა თარგმნილი. იგი მსოფლიოს არა ერთ თეატრში დაიდგა. თ.ჩხეიძემ ეს პიესა, თავდაპირველად, 2012 წლის ნოემბერში სანკტ-პეტერბურგის გ.ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში დადგა. სპექტაკლის მხატვარი იქაც გიორგი ალექსი-მესხიშვილი იყო.

ეს ნაწარმოები, ერთი შეხედვით, დეტექტივია. მართალია, იქ არ არის დევნა, მკვლელობა, გამოძიება, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ მაყურებელი, უპირველეს ყოვლისა, მაინც სიუჟეტს ადევნებს თვალს, მოვლენათა თანმიმდევრობას, პერსონაჟთა სცენურ ქმედებას. მას აინტერესებს, რით დამთავრდება ეს დაძაბული, ხშირად დაუნდობელი ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა. თუმცა დეტექტური კოლიზია, სიღრმისეული პრობლემებით აღსავსე ამ პიესის მხოლოდ ზედაპირული შრეა.

თემურ ჩხეიძე ფსიქოლოგიური თეატრის, განცდის ხელოვნების ერთგულია მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. ამ პრინციპისთვის მას არასოდეს უღალატია როგორც წარმატებულ, ასევე - ნაკლებად წარმატებულ სპექტაკლებში. ჟ.გალსერანის ფსიქო-სოციალური დრამა არაჩვეულებრივად ეხმიანება არა მარტო რეჟისორის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის სატკივარს, არამედ, მის უმთავრეს შემოქმედებით მრწამსსაც. ჩინებულ შესაძლებლობას აძლევს საკუთარი თეატრალური გამომსახველი საშუალებების სცენაზე სრულად წარმოჩენისათვის. თავადაც წერს ამის შესახებ: ,,ხდება ის, რასაც თავიდანვე ვვარაუდობდი. რეპეტიციიდან რეპეტიციამდე პიესა სულ უფრო რთული და საინტერესო ხდება. საუკეთესო მასალაა ფსიქოლოგიური თეატრისათვის. დიდი ხანია არ შემხვედრია თანამედროვე პიესა, რომელზედაც ასე საინტერესო იქნებოდა მუშაობა. შესანიშნავად მიდის რეპეტიციები, ერთობლივად ვეძებთ განწყობილებათა, აზრთა, და საქციელთა საწყისებს. დრო გვაჩვენებს, რამდენად სწორია ჩვენი ვარაუდები“... მართალია, თ.ჩხეიძე ყოველივე ამას სანკტ-პეტერბურგის წარმოდგენის დადგმის პროცესში წერდა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ქართულ სპექტაკლზე მუშაობაც ასეთივე საინტერესო და სასიამოვნო იყო მისთვის და მისი არტისტებისათვის. ეს სპექტაკლის ხილვისას აშკარად იგრძნობა.

სცენაზეა მსხვილი ჰოლდინგის თანამედროვე ოფისი. დღეს ასეთებს საქართველოშიც ხშირად ვხვდებით. ფირმა ,,დეკიამ“ კონკურსი გამოაცხადა მაღალანაზღაურებადი, პრესტიჟული თანამდებობის დასაკავებლად. საკონკურსო შერჩევის შემდეგ, ერთ ადგილს ოთხი კონკურენტი ეცილება ერთმანეთს. ვის აირჩევს ფირმა? ვინ გაიმარჯვებს და რა გზით?

თავიდან, ერთი შეხედვით, ყველაფერი ჩვეულებრივი გასაუბრებით იწყება. ეს, თითქოსდა ფორმალური შემოწმება, თანდათანობით, ხან მოხდენილი ინტელექტუალური პაექრობის სახეს იღებს, ზოგჯერ პოპულარულ თამაშ ,,მაფიოზობანას“ გვაგონებს, დროდადრო კი, სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული ე.წ. ,,როლის თეორიის“ მეთოდების გამოყენება ხდება. გრონჰოლმის მეთოდი ადამიანის შინაგანი ბუნების გამოვლენის არა ერთ, ხშირად უღირს და ეშმაკურ ხერხს ეყრდნობა იმისათვის, რომ ხელმძღვანელის პოსტი ფირმისათვის ყველაზე მისაღებმა კანდიდატურამ დაიკავოს. როგორი უნდა იყოს თანამედროვე ლიდერი? რა მოთხოვნებს უყენებს მას საზოგადოება? ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია დაქირავებულ ფსიქოლოგთა დახმარებით, გრონჰოლმის მეთოდით, რომელიც გარკვეულ ვითარებებზე დამოკიდებულ ადამიანს ან მტაცებლად აქცევს, ან - მის მსხვერპლად. მთავარია, ტესტების საშუალებით ამოვიცნოთ ნაძირალა, რომელიც თავს წესიერ ადამიანად გვაჩვენებს. მოქმედება მიმდინარეობს მასიური კედლების მქონე დახშულ სივრცეში, რომლის ცენტრშიც, შუშის მაგიდის თავზე - უზარმაზარი პროჟექტორია, მაგიდის გარშემო - ტყავის საოფისე სავარძლები - უსახური, უსიცოცხლო, ასკეტური, ამავე დროს, სტანდარტული სამყარო. ორი კარი აივანზე გადის. იგი სიმწვანეშია ჩაფლული. მხატვარი გ.ალექსი-მესხიშვილი თითქოს მიგვანიშნებს - აქვე, ახლოს მშვენიერი, სისხლსავსე, ნამდვილი ცხოვრება ჩქეფს, წარმოდგენის გმირები კი უსიცოცხლო სამყაროში ჩაკეტილან.

სპექტაკლის მოქმედება რეალურ დროში მიმდინარეობს. წარმოდგენა იმდენ ხანს გრძელდება (2 საათსა და 15 წუთს უანტრაქტოდ), რამდენი ხანიც, სავარაუდოდ, დაჭირდებოდა ამ თავისებური ექსპერიმენტის

ჩატარებას ცხოვრებაში - ფირმა ,,დეკიას“ სტოკჰოლმის სათავო ოფისის ხელმძღვანელის, ისაია გრონჰოლმის მეთოდის პრაქტიკულ განხორციელებას.

2 საათის განმავლობაში, სტერილურსა და შემაშფოთებლად ცივ გარემოში, სამი მამაკაცი და ერთი ქალი, რომლებსაც წარმატებული ფირმის ხელმძღვანელის პოსტის დაკავება სურთ, შემოწმებას გადიან. ისინი ვალდებულნი არიან უპასუხონ ნებისმიერ, თვით ყველაზე ფარულ, ინტიმურ საკითხსაც კი, რადგან მოსამსახურის პირად ცხოვრებასაც ფირმა აკონტროლებს. კანდიდატს არა აქვს სხვისი შეცოდების, თანაგრძნობის უფლება. სამსახურის მსურველთაგან სამი, საბოლოოდ ფირმის ფსიქოლოგი აღმოჩნდება. მხოლოდ ერნანდოა ულმობელი ექსპერიმენტის მსხვერპლი. თუმცა იგი, შემოსავლის გულისათვის, ყველაფერზე წავა.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლში ოთხი მსახიობი თამაშობს - ოთხი ნიჭიერი ადამიანი, შესანიშნავი პროფესიონალი, გამოცდილი არტისტი: ეკა ჩხეიძე (მერსედესი), ნიკა თავაძე (ერნანდო), ალეკო მახარობლიშვილი (ენრიკე) და აპოლონ კუბლაშვილი (კარლოსი). ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა წარმატებული დებიუტი მივულოცო აპოლონ კუბლაშვილს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. სამ მსახიობს მარტო საკუთარი პერსონაჟის შექმნა კი არ უწევს, არამედ გრონჰოლმის მეთოდით გათვალისწინებული ე.წ. შემოგზავნილი პირებისა, თან, სხვადასხვა შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული ტიპაჟებისა. ისინიც შერჩევის ამ სასტიკი სისტემის მსხვერპლნი არიან, ერთგვარი ადამიანური მასალა, რომელმაც დღეს ერთი პიროვნება უნდა ითამაშოს, ხვალ კი - სრულიად სხვანაირი ადამიანი. ოღონდ არა სცენაზე, არამედ ცხოვრებაში. მათი ფანტაზია და იმპროვიზაციის უნარი მხოლოდ მეთოდით გათვალისწინებული სქემის მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული.

თემურ ჩხეიძემ არაჩვეულებრივი სამსახიობო ანსამბლი შექმნა, ჩინებული კვარტეტი, რომლის სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერ შემსრულებელთა ,,თანახმიერებაშია.“ ზოგ სცენაში ერთია სოლისტი, ზოგან - მეორე. ხან დუეტი თამაშდება ჩვენ თვალწინ, ხან - ტრიო, ხან - სოლო-მონოლოგი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს შესანიშნავ პროფესიონალთა შეკრული კვარტეტია, რომელსაც რეჟისორი თ.ჩხეიძე ხელმძღვანელობს. სწორედ ესაა ამ სპექტაკლის უპირველესი ღირსება.

როგორც მოგახსენეთ, პიესაში ოთხი მსახიობია, მაგრამ სპექტაკლში, ვფიქრობ, ხუთი პერსონაჟია. არის კიდევ ერთი, უხილავი, მაგრამ ძალზე აქტიური მოქმედი პირი - ფირმის ხელმძღვანელი, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. მის მიერ კანდიდატებისათვის დავალებების შეთავაზება თავისებურად ხდება, თან - გარკვეული პერიოდულობით, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საჭიროდ თვლის. ალბათ გახსოვთ, როგორ მიმართავს ცნობილი ზღაპრის პერსონაჟი ალი-ბაბა ჯადოსნური გამოქვაბულის კარს: ,,სეზამ, გაიღე!“ ,,გრონჰოლმის მეთოდში“ ამგვარი კარის მოვალეობას სცენის სიღრმეში მოთავსებული სარკმელი ასრულებს - თავისებური საფოსტო ყუთი. სანამ არ გაიღება, ვერც ამჩნევ. ექსპერიმენტის მონაწილენი დავალებებს სწორედ იქიდან იღებენ. ყველასათვის ნაცნობი, ლირიკული, იდილიური მელოდიის (ბეთჰოვენის ,,ელიზასათვის“) ფონზე სარკმლიდან ახალ-ახალი დავალებები იგზავნება. ფირმის უხილავი უფროსის მუდმივი არსებობის თავისებურ სიმბოლოდ გვევლინება აგრეთვე ცენტრში დაკიდული პროჟექტორი. მას პერსონაჟები ზოგჯერ პირდაპირ მიმართავენ, როგორც სავარაუდო ვიდეოთვალს.

შემოწმების პროცესში კანდიდატები რამდენიმე განსხვავებულ დავალებას ასრულებენ. საბოლოო ჯამში, მათი მიზანი სასტიკი, არაადამიანური და ულმობელია: ადამიანის ფსიქიკის ღრმა, ზოგჯერ მისთვისაც კი ფარული შრეებიდან, რაც შეიძლება მეტი სიბინძურე ამოატივტივონ - ცინიზმი, გულგრილობა, ბოროტება, თვალთმაქცობა, ანგარება, ეგოიზმი და ა.შ. ტესტირება რამდენიმე ეტაპად ტარდება:

1. უნდა ამოიცნონ დეპარტამენტის შტატიანი თანამშრომელი.
2. სამმა მონაწილემ უნდა გადაწყვიტოს, განაგრძობს თუ არა მუშაობას საზღვარგარეთულ პროექტზე ენრიკე, რომელმაც ცოლს უღალატა, შემდეგ კი გაშორდა.
3. ,,ჯადოსნური სარკმელი“ მოთამაშეებს ტორეროს ქუდს, ჯამბაზის ჩაჩს, პოლიტიკოსის ცილინდრსა და ეპისკოპოსის მიტრას სთავაზობს. მათ ეს ქუდები უნდა მოირგონ ისევე, როგორც მათ მფლობელთა როლები და დაუმტკიცონ ერთმანეთს, რომ მხოლოდ ერთ მათგანს ეკუთვნის პარაშუტი ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან.
4. კანდიდატებმა უნდა გადაწყვიტონ, დარჩეს თუ არა ფირმაში სამუშაოდ კარლოსი, რომელმაც სქესის შეცვლა გადაწყვიტა.
5. და ბოლოს, ე.წ. ,,ორმაგი ამოცანის“ პრინციპი: სცენაზე დარჩენილმა ორმა კანდიდატმა - ერნანდომ და მერსედესმა - ერთმანეთისაგან დაფარული დავალებები უნდა შეასრულონ. პარტნიორს ის უნდა გააკეთებინო, რაც შენს კონვერტში წერია. ერნანდომ უნდა აატიროს ,,რკინის ლედი“ მერსედესი, რომელმაც ტესტირება დედის გარდაცვალების გამოც კი არ დატოვა. ნიკა თავაძის გმირი ამ ამოცანას ჩინებულად ართმევს თავს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა. ერნანდო ერთადერთი კანდიდატი აღმოჩნდა. და უცებ, მოულოდნელი სიუჟეტური სვლა, რომლისკენაც ასე ოსტატურად მივყავდით რეჟისორსა და მსახიობებს სიტუაციის თანდათანობითი დაძაბვით - აღმოჩნდა, რომ ერნანდოს გარდა ყველა ანგაჟირებული ფსიქოლოგია. მაყურებელი ამ მოვლენას ტაშით შეხვდა. დეტექტივი დასრულდა. მაგრამ ,,გრონჰოლმის მეთოდი“ დეტექტივი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტამდე ვერ მიხვდები, ვინ არის ნამდვილი კანდიდატი და ვინ - მოჩვენებითი. ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც თითქოს ყველაფერზე პასუხი გაცემულია, მაინც რჩება კითხვა: დანიშნავენ თუ არა პრესტიჟულ თანამდებობაზე ერნანდოს.

აღმოჩნდა, რომ იგი გამარჯვებას ნაადრევად ზეიმობს. ფსიქოლოგთა საბოლოო დასკვნის თანახმად,

ერნანდოს აგრესიულობა და თავდაჯერებულობა ყალბი, ნაძალადევი და მოჩვენებითია. სინამდვილეში იგი უიღბლო და უბედური კაცია. დედის გარდაცვალების შემდეგ ღრმა და ხანგრძლივ დეპრესიაში ჩავარდა (ეს კი ფირმის თანამშრომლისთვის სასტიკად აკრძალულია), ცოლთან გაყრილია, ჰომოსექსუალ ძმასთან ურთიერთობა არა აქვს, ემპათიას (თანაგრძნობას) არ ავლენს არც ერთ სიტუაციაში. ფირმას კი ასეთი ადამიანი არაფრად უნდა. მას არ ესაჭიროება კარგი კაცი, რომელიც თავს ნაძირალად ასაღებს. იგი ეძებს ნაძირალას, რომელიც კარგ კაცს ძალიან ჰგავს.

მარტო დარჩენილი ერნანდო ჩაკეტილი სივრციდან, ერთგვარი ჯადო წრიდან ვერ გადის. გამოსავალი არ არის. როსინის მუსიკის ფონზე პროჟექტორი ამოძრავდა, თვალისმომჭრელი სინათლე ჯერ ერნანდოს შეანათა, შემდეგ კი მაყურებელთა დარბაზს რამდენჯერმე გადაუარა. არა მარტო იმის საჩვენებლად, რომ სპექტაკლი ყოველ ჩვენთაგანს ეხება, არამედ კიდევ ერთი კანდიდატის მოსაძებნად. დიახ, ყოვლისმხილველი ვირტუალური თვალი ახალ მსხვერპლს ეძებს. ვინ იქნება შემდეგი?

ლელა ოჩიაური

საიდანაც შემხვედრი ქარები ქრიან...

„ზამთრის ზღაპარი“

რეჟისორი - დათა თავაძე

საქართველოში და ქართულ თეატრში „ტრადიციულად“ უყვართ უილიამ შექსპირი და სიამოვნებითაც (ხშირად) დგამენ მის პიესებს და უმეტეს შემთხვევაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა), კარგადაც გამოსდით დადგმა.

2013 წლის ოქტომბერში უკვე გარდასულსა (ისტორიად ქცეულს, ამ ისტორიაში ადგილდაკავებულსაც და დავიწყებულსაც) და სცენაზე ჯერ კვლავ არსებულს, სახელგანთქმული დრამატურგის კიდევ ერთი და ნაკლებადცნობილი პიესა „ზამთრის ზღაპარი“ მიემატა - გრიბოედოვის - ვახტანგ ნიკოლავასა და დათა თავაძის - მოზარდმაყურებელთა - თეატრებში - რეჟისურით. ამ სპექტაკლებზე მუშაობა ფაქტობრივად ერთდროულად მიმდინარეობდა და პრემიერებიც რამდენიმე დღის ინტერვალით გაიმართა - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პერიოდში და საქართველოში - პირველად. ამდენად, თუ ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობას მივანიჭებთ, შეიძლება ითქვას, რომ ორივე თეატრი პირველობას იყოფს.

ამჯერად მოზარდ მაყურებელთა თეატრზე შევჩერდები (და აქვე აღვნიშნავ, რომ დათა თავაძის სპექტაკლი განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით). ყოველთვის არსებობს თემის ვარიაციები და ამა თუ იმ პიესის ინტეპრეტაციები (ჰამლეტის შემთხვევაში, განსაკუთრებით), თუმცა, დათა თავაძის ვერსია, ზოგადად შექსპირისა და კონკრეტულად, ზემოხსენეული პიესის, საკმაოდ განსხვავდება ჩვენი წარმოდგენებისგან, როგორი „უნდა იყოს“ შექსპირი თეატრში, თამამად არღვევს „წესებსა და ნორმებს“ და პიესის (შექსპირის) ახალ და მოულოდნელ, საკმაოდ არაორდინარულ წაკითხვას „გვთავაზობს“.

ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ დათა თავაძემ, ამ, დავარქვათ, ექსპერიმენტული, სპექტაკლით პირველად „დატოვა“ (შეიძლება ეს ფაქტიც ერთგვარ „ექსპერიმენტად“ ჩავთვალოთ) „სამეფო უბნის თეატრის“ კედლები (სადაც უკვე არსებული დადგმებით - „სხვისი შვილები“, „ფრეკენ ჟული“, „მახინჯი“, „ტროელი ქალები“ - თეატრალურ წრეებსა თუ საზოგადოებაში - გამორჩეულად საინტერესო ახალგაზრდა რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა) და ახალ სივრცეს, ახალ გარემოებებსა და ახალ დრამატურგიას, ვფიქრობ, მშვენივრად მოერგო. თუ „პირველობას“ კონტექსტში კიდევ ერთხელ ვახსენებ, აღვნიშნავ, რომ დათა თავაძისთვის ეს პირველი შექსპირია, რაც ბუნებრივიცაა, მისი ახალგაზრდობიდან გამომდინარე. ალბათ ისიც „ბუნებრივია“, რომ სწორედ ასეთი „შექსპირისკენ“ გაუწია გულმა. „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „მეფე ლირისა“ თუ „რიჩარდ III-ის“ დროც ალბათ მოვა.

„ზამთრის ზღაპარი“ შექსპირის ერთ-ერთი ბოლო (1610 წელი) პიესაა, „ქარიშხლამდე“, „ციმბელინსა“ და „მეფე ჰენრიხ VIII-მდე“ დაწერილი. ის არ შედის დრამატურგის საუკეთესო თუ „მეორე რიგის“ ქმნილებების რიცხვში, თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, უცხოეთის თეატრებში, ასე თუ ისე, დროდადრო დგამენ. საქმეს ისიც „ართულებს“, რომ თვითონ პიესაა არათანაბარი და არაერთგვაროვანი. ისიც მიჩნეულია, რომ ორი აქტი, რომელთაგან პირველი - ფსიქოლოგიური დრამაა, მეორე - კომედია, სხვადასხვა მანერას, ფორმას, სტილს მოითხოვს, ერთი მთლიანი თეატრალური რეალობის შექმნასა და შუალედის „გამოყვანას“ ხელს უშლის.

დათა თავაძემ, პიესის მთარგმნელთან, დრამატურგ დავით გაბუნიასთან (ეს ორი ახალგაზრდა ყოველთვის შესანიშნავად თანაავტორობს) ეს ბარიერი ორი ძირითადი ხერხის არჩევით მოხსნა - სპექტაკლი დრამად აქცია და გაამთლიანა, ტექსტთან სიახლოვის მიუხედავად, ბევრი რამ შეცვალა, გადაასხვაფერა და პიესა თავისებური ინტერპრეტაციით წარმოადგინა. მან შექსპირის დრამატურგიის წაკითხვის შესაძლებლობის არაერთი ახალი წახნაგი გახსნა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თამამი და თავისთავადი, არასტანდარტული აზროვნების რეჟისორია.

მან პიესას „ჩამოაცილა“ ან თითქმის ჩამოაცილა კომედიის ნაწილი (მეორე აქტში პირველ ორ სცენას თუ არ ჩავთვლით, რასაც შეიძლება კომედიის ელემენტებით გაჯერებული უფრო ვუწოდოთ), მხოლოდ

ტრაგედია „დატოვა“. ფსიქოლოგიური დრამის უხვი ელემენტებითა და ადამიანის ფსიქოლოგიის იდუმალი შრეების თავისებური გამომზეურებით ააწყო და უცნაურად შეუთავსა ექსპერიმენტული „თეატრის“ მანერასა და სტილს, არაერთი ასოციაციის, ციტატის, რეალობასთან პარალელის, საზოგადოებაში არსებულ და გამეფებულ ჩვევებსა და თეატრალურ ხერხებთან გადაძახილზე დაყრდნობით. პიესას „სტატუსი“ შეუცვალა და ეს მოხდა არა რაღაც განსაკუთრებული ახირებულობის, არამედ სპექტაკლის იდეის, პრობლემატიკის, პოზიციის გულახდილად, პირდაპირ და გახსნილად, ოღონდ უხვი მეტაფორების გამოყენებით გამოხატვის სურვილის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ ასე ხედავს სამყაროს და ასე აზროვნებს თეატრში. იმის გამო, რომ სწორედ ასეთი ხელწერა აქვს და ნებისმიერი ამბის „მოყოლა“ ამგვარად შეუძლია.

ესაა „ზღაპარი“, რომელიც კეთილად არ ვითარდება და არც მთავრდება - მოჩვენებითი, ერთი მხრივ, „სტანდარტული“ და მასთან ერთად, „ზღაპრული“ თუ ილუზორული კეთილი ბოლოს მიუხედავად.

ესაა „ზღაპარი“ ურწმუნოებაზე, რომელიც ერთი ადამიანის ურწმუნოებიდან საზოგადოების უნდობლობის ხარისხში ადის.

ესაა „ზღაპარი“ იმაზე, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის აღარ ესმით ან ერთს აღარ შეუძლია გაიგოს, საღად აღიქვას, რა ხდება მის გარშემო და სამყარო მტრულად და პირქუშად ესახება.

ესაა „ზღაპარი“ ღალატზე, უფრო სწორად, ეჭვზე, რომელიც პირადიდან სახელმწიფო ღალატის დონემდე ზოგადდება. საზოგადოების როლსა და ადგილზე, მოვალეობებსა და ვალდებულებებზე, სიძულვილად ქცეულ სიყვარულზე და ახალი სიყვარულის დაბადებაზე,

ესაა „ზღაპარი“ უნდობლობაზე, რომელიც აბრმავებს და ყველაფერს ანგრევს - ცხოვრებასა და სიცოცხლეს, აწმყოსა და მომავალს, ოჯახსა და ქვეყანას, მეგობრობასა და მშვიდობას, რომლის წინაშეც ყველაფერი უძლურია - თავდადებაც, ერთგულებაც, სიყვარულიც, ერთგული მსახურებაც, მომავალიც და უკვე წარსულად ქცეული აწმყოც, როდესაც ყველაფერი დაიწყო და მალევე დასრულდა.

ამ და ასეთი ზღაპრის მოსათხრობად დათა თავაძე სპეციფიკურ და მკვეთრად გამოხატულ სარეჟისორო ხერხებს იყენება და ეს ფაქტობრივად ყველა დეტალში იჩენს თავს. პერსონაჟებს (თამარ მამულაშვილი - ჰერმიონე - ლეონტის მეუღლე, დავით ხახიძე - ლეონტი - სიცილიის მეფე, ვამეხ ჯანგიძე - პოლიქსენე - ბოჰემიის მეფე, ია ჭილაია - პოლინა, გაგა შიშინაშვილი, სალომე მაისაშვილი - პერდიტა, რატი გოგუაძე - ოტროველა - მისი ვაჟი; გიორგი შავგულიძე, სოსო ხვედელიძე - კამილო - სიცილიელი დიდებული, პალიკო ნოზაძე - მწყემსი -პერდიტას მამობილი, ანა ზამბახიძე, ნიკა ნანიტაშვილი - ფლორიზელი - ბოჰემიის პრინცი, ლუკა ქაჩიბაია - მამილიუსი - ლეონტის ვაჟი, მარიამ ჩუხრუკიძე) „შერეული“, თანამედროვე, მოთანამედროვეო, მე-19 საუკუნისა თუ მე-20 საუკუნის დასაწყისის კოსტიუმები აცვიათ. სადა დეკორაციაში, ფაქტობრივად ცარიელ სივრცეში (სასახლის მორკალული კედელი, მაგიდები, ურიკა, კარი) არსებობენ (მხატვარი ქეთი ნადიბაიძე) და შექსპირის ენასთან ერთად დროდადრო საკმაოდ თანამედროვე ენაზეც მეტყველებენ (პიესა დავით გაბუნიამ თარგმნა, როგორც აღვნიშნე). მათი მეტყველება მანერულია, რაღაც შემთხვევებში - უტრირებული. ისევე, როგორც ქმედება. იყენებენ მიკროფონებს. მიმართავენ „დეკლამირების“ ფორმებს. უსასრულოდ იმეორებენ ერთსა და იმავე ტექსტებს. არ უსმენენ ერთმანეთს და როგორც მრავალხმიან სიმღერაში, ერთმანეთს „ადებენ“ თავიანთ პარტიებს, ოღონდ განსაკუთრებული „ხმისშეწყობის“ გარეშე. სარწყავიდან რწყავენ მიწას და წყალს წვიმასავით თავზე ასხამენ ბოთლიდან, მაშინ, როდესაც რაღაც ახალი და საბედისწერო უნდა მოხდეს. ეს ადამიანები ცხოვრობენ სამყაროში, რომელიც ორჯერ იცვლება და სარკისებრ არეკლავს ერთმანეთს, რომელშიც „ფიზიკურად“ შეიგრძნობ ზამთრის სიცივეს, უცნაური, თითქმის მუდმივი, „ცივი“ მუსიკის (კომპოზიტორი ნიკა ფასური) თანხლებით გაჯერებულს, რომელიც მონოტონურად და უსასრულოდ ტრიალებს.

არის ასეთი ზღაპრები - ცუდი სიზმარივით - მთავრდება და უსიამოვნო შეგრძნება, სევდა და შიში გრჩება, თუნდაც ბოლო კეთილი იყოს, ოღონდ ყველასთვის არა. რადგან „ავანსცენაზე“ სიკვდილი უკვე გამოვიდა და კიდევ მეტად აცივდა.

აუნაზღაურებლად გაფლანგული დრო, დაწყვეტილი კავშირები, განშორება უფრო რეალურია, ვიდრე მოჩვენებითი (თუ მოჩვენებული) გაცოცხლება, რისიც არ გჯერა, რადგან უკვე იყო ეჭვი, წარმოსახვითი ღალატი, მტრობად ქცეული მეგობრობაც, სიკვდილით დასჯაც, სასიკვდილოდ გაწირვაც, სიკვდილიც, რასაც არაერთი დანაკარგი მოჰყვა და რისი დაბრუნებაც შეუძლებელია.

ეს წრე დაუსრულებლად ბრუნავს, ბრუნავს და არაფერი იცვლება ან უკვე აღარაფრის შეცვლა აღარაა შესაძლებელი. ყველაფერი იყინება ზამთარში, როდესაც ბუხრის წინ ზღაპრებს ყვებიან და არსებობს მათი ფუჭი ახდენის მოლოდინი, სამყაროში, რომელიც ასეთი სასტიკია დღეს და რომელშიც ყველა ილუზია იმსხვრევა. ესაა ჩვენი დროის ერთ-ერთი ნიშანთაგანიც და სამწუხარო რეალობაც.

ძალიან პირქუში და ზამთრის სიცივესავით დამღლელი რეალობა, რადგან სიცარიელე და სიცივე, რომელიც ყველა დეტალში, მიზანსცენასა თუ ხაზში, მონოტონურ ხმებში, სულ რამდენიმე მუსიკალურ ტაქტში რომ გამოსჭვივის, არ იძლევა ამბის ზღაპრულად დასრულებისა თუ იმედით წაკითხვა-აღქმის საფუძველს.

ამ გამოგონილ სამყაროში - შექსპირთან სრულიად „მოულოდნელ“ ადგილებში მოთავსებულ სამეფოებში და დათა თავაძესთან კიდევ უფრო გაპირობითებულ სივრცეებში, „საიდანაც შემხვედრი ქარები ქრიან“, სახელმწიფოებში, რომლებსაც მხოლოდ ერთი „კედელი“ ჰყოფთ - შემობრუნდება დეკორაცია და სიცილიიდან ბოჰემიაში აღმოჩნდები ან პირიქით. აღმოჩნდები სამეფო დარბაზებში და ზღვის ნაპირებზე, მწყემსის ქოხებსა თუ საპატიმროებში. მოქმედების ადგილები იცვლება და დაზიანებული, ბათქაშჩამოყრილ

თუ სარემონტო კედლებიანი (თუმცა გაქათქათებულ სუფრებიანი მაგიდებით, რომლებზეც და გარშემოც არაერთი სცენა თამაშდება, რომლებსაც დიდხანს უსხედან და მექანიკური მოძრაობებით ხან რას და ხან რას სვამენ, სხვადასხვა დროს, მოქმედი გმირები) ზამთრის სიცილიიდან ბოჰემიაში, ზაფხულში გადადიხარ, სადაც ახალი ისტორია, უფრო ზუსტად, ძველის გაგრძელება გხვდება, შემდეგ ისევ უკან დასაბრუნებლად და ადამიანის მარტოსულობასთან შესახვედრად. მარტოობის გასაზიარებლად, რომელიც მეფემ საკუთარ თავს თვითონ მიუსაჯა.

გადიხარ გზას ვიწრო დერეფნებსა და ზურგზე მოკიდებულ კარებს თუ მათივე მინიატურულ მოდელებს მიღმა, დაკაკუნებისას უმალვე რომ იღებიან, თუ მინის, ნათურებშემოვლილ, ყუთში, რომლის მყიფე კედლები მხოლოდ ინახავს, მაგრამ ვერ აჩერებს და აბრუნებს დროს.

ეს წარსულია, რომელიც არასოდეს ქრება, რომელსაც მუდამ თან ატარებ, თან დაგყვება, ვერ იშორებ. წარსული, რომელიც სავსეა მოგონებებით, გარდაცვლილი პატარა უფლისწულებით, როგორც ოდესღაც, კვლავ სათამაშოები რომ ჩაუკრავთ გულში - სურათზე აღბეჭდილივით და ძველი ფოტოებივით გაცრეცილი გამოსახულებით; მარად ახალგაზრდა და მშვენიერი დედოფლებით, რომლებიც ასევე მხოლოდ ხსოვნას შემორჩენიან, დაშვებული შეცდომის გამო დაუსრულებელი სინანულისა და ტანჯვის საფასურად.

ის, რასაც დასაწყისში ვხედავთ, არა ჩვენი, არამედ ბოჰემიის მეფის წარმოსახვაა, რაც მატერიალიზდება და სცენაზე განვითარებული მოვლენები რეალურ სახეს იძენენ. ეს ისაა, რასაც მეფე ხედავს და არა ის, რაც სინამდვილეში ხდება, მაგრამ რაც ყველა მომდევნო „ნამდვილ“ თუ წარმოსახვით ამბავს უდებს სათავეს.

ის, რაც ფინალში ხდება, ჩვენს წარმოსახვასთან იგივდება, ჩვენს მოგონებებთან, სინანულებთან, დანაკარგის დაბრუნების მწვავე სურვილთან. მაგრამ ესეც მაინც წარმოსახვაა, ილუზიაა, რომელიც ადვილად შეიძლება დაიმსხვრეს. დაიმსხვრეს, როგორც ყინული ან მინა, რაც არ წებდება და არ მთელდება.

დათა თავაძის ზღაპრის ნახვის შემდეგ, ნუგეშად მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, სიყვარულის იმ შედეგით დავტკბეთ, რომელსაც ახალგაზრდები - ორი სამეფოს მეფეების შვილები (რომლებიც ბედისწერამ შეახვედრა), ჯილდოდ იღებენ. ყველას მაგივრად, ყველა უფლისწულისა და მეფის ასულის, ყველა მეფისა და დედოფლის, ყველა დიდებულისა და სეფექალის, ყველა მწყემსისა და გლეხის, ყველა მსახურისა და ჯარისკაცის ნაცვლად, რომლებსაც ზამთრის სიცივეში არ გაუმართლათ.

ამ სპექტაკლით ჯილდო დათა თავაძემაც მიიღო, იმისთვის, რომ თავისუფალი ექსპერიმენტის ჩატარება გაბედა, იმისთვის, რომ ეყო სითამამე და უილიამ შექსპირის ერთ-ერთ ყველაზე „ბუნდოვან“ პიესას დაუკავშირდა , იმისთვის, რომ ზამთარმა არ შეაშინა.

ნერონ აბულაძე

გთხოვთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე, მოსალოდნელია ზვავსაშიშროება....

„ზვავი“

რეჟისორი - რუსუდან ბოლქვაძე

თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში დღემდე არის ერთი სოფელი, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს (სავარუდოდ, გაზაფხულის დადგომამდე)-მოსახლეობა თითქმის არ ლაპარაკობს. მათი რწმენის მიხედვით ამ პერიოდისათვის დაუშვებელია ხმამაღლა საუბარი, რადგან შესაძლოა ზვავი ჩამოიშალოს და მთელი სოფელი გაანადგუროს. ისინი ელოდებიან მდინარის შესაბამის დონემდე ადიდებას, რაც ნიშანია იმისა, რომ უკვე შესაძლებელია ხმაური, ვინაიდან ზვავსაშიშროებამ უკვე გადაიარა. ეს ამბავი 19 თებერვალს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში თურქმა მწერალმა და დრამატურგმა თუნჯერ ჯუჯენოღლუმ გვიამბო და ისიც დასძინა, რომ პირველად მანაც თავისი კონორეჟისორი მეგობრისგან მოისმინა. თურქი მწერალი თბილისს საგანგებოდ თავისი პიესის-,,ზვავი“ პრემიერის სანახავად ეწვია, პიესის, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ამბავი უდევს საფუძვლად. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ,,ზვავის“ პრემიერა ქართულ სცენაზე უკვე მეხუთედ (ფოთის თეატრი, ბათუმის თეატრი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, მარჯანიშვილის თეატრი, კინომსახიობთა თეატრი) შედგა და რუსეთის სხვადასხვა თეატრებმა თექვსმეტჯერ განახორციელეს, რომ არაფერი ვთქვათ თურქულ სათეატრო სივრცეზე, ავტორი ნამდვილად უნდა უმადლოდეს მეგობარ კინორეჟისორს, რომელმაც, ფაქტობრივად მზა, დასრულებული ამბავი უამბო. რაც საუკეთესო საფუძველი აღმოჩნდა პიესის შესაქმნელად. თურქული სოფლის ეს ადათი და რწმენა თავისთავად საინტერესოა, ბატონ თუნჯერს კი მხოლოდ ისღა დარჩენოდა, გამოეჩინა შესაბამისი დრამატურგიული ალღო და მზა მასალა, ე.წ. ,,ბალკა“ (როგორც ამას დრამატურგი ირაკლი სამსონაძე უწოდებს) ინდივიდუალური სახე-გმირებით გაეცოცხლებინა. ასეც მოიქცა: არსებული პატრიარქალურ ადათს კონკრეტული ოჯახის პრობლემა დაუპირისპირა და შეპირისპირების ამ საკმაოდ ემოციურ კონტექსტში ჰუმანიზმის, სიცოცხლის მარადიულობის იდეა გამოხატა.

ზვავსაშიშროების დროს მთელი სოფელი მხოლოდ ჩურჩულით საუბრობს... აქ ქორწინებისა და შემდგომ მშობიარობის საკითხიც მკაცრადაა განსაზღვრული. წელიწადის ამ დროს დაუშვებელია ბავშვის გაჩენა, ვინაიდან ახალშობილის ტირილი ზვავის ჩამოშლის უცილობელი წინაპირობაა. ამდენად შეუღლებული წყვილების ერთად დაწოლაც საერთო ოჯახური შეთანხმების შემდეგაა შესაძლებელი. მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება წყვილს შორის დროზე ადრე ,,შეცოდვის“ ფაქტი, რომლის გამოაშკარავების შემდეგაც

,,საქმე“ სოფლის უხუცეს მრჩეველთა საბჭოს გადაეცება. ოჯახს არ აქვს მომხდარი ფაქტის დამალვის უფლება, რადგანაც საფრთხე მთელ სოფელს ემუქრება... ასეთ დროს კი მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ერთპიროვნულია... ჯობია ერთი ადამიანი დაიმარხოს ცოცხლად, ვიდრე მთელი სოფელი განადგურდეს. აქ ყველა და ყველაფერი ერთ უმთავრეს რწმენას ემორჩილება, რომლის წინაშეც ამხედრებას ვერავინ გაბედავს..

პიესა სოფლის მკვიდრი,ერთი ჩვეულებრივი ოჯახის მდგომარეობას გვაცნობს, რომელიც ექვსი წევრისაგან შედგება. მოხუცი ბებია, ბაბუა, შვილი, რძალი და შვილიშვილი ახლად შეუღლებულ ფეხმძიმე ცოლთან ერთად ჩვეულებრივად განაგრძობენ ცხოვრებას. თავისთავად ოჯახმა თავიდანვე იზრუნა, რომ ქორწინების შემდეგ წყვილს სარეცელი ზუსტად იმ დროს გაეზიარებინა, როცა ბავშვის გაჩენა ზავსაშიშროების პერიოდს არ დაემთხვევოდა. ერთი შეხედვით ასეც მოხდა. მდინარის საბოლოდ შევსებას მხოლოდ ერთი თითის დადებაღა აკლდა, ხოლო ბავშვის გაჩენამდე კი ჯერ კიდევ მთელი თვე რჩებოდა. ასე, რომ ოჯახი მშვიდად განაგრძობდა ყოველდღიურ ყოფასთან თანაარსებობას, რომ არა ერთი მოულოდნელი გარემოება… რძალს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. მიუხედავად ახალგაზრდა წყვილის წინააღმდეგობისა, ვარაუდის დასაზუსტებლად ბებიაქალი იქნა მოწვეული, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა ნაადრევი მშობიარობის ფაქტი. წესისამებრ საბოლოო ვერდიქტი სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გამოეტანა. სოფლის უხუცესმა, როგორც ადრე, 50 წლის წინათ, ამჯერადაც ფეხმძიმე რძლის ცოცხლად დამარხვა ბრძანა. განაჩენის სისრულეში მოყვანას შვილიშვილი აღუდგა წინ. ვიდრე ოჯახი და უხუცესთა საბჭო რამეს მოიმოქმედებდა, ახალშობილის ტირილის ხმაც გაისმა, მაგრამ ზვავი არ ჩამოშლილა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბილო ცრურწმენას.

პიესა ჟანრობრივად ყოფითი დრამის სახითაა წარმოდგენილი. ავტორი უარს ამბობს ყოველგვარ მოდერნისტულ თუ პოსტმოდერნისტულ ტენდენციებზე და სიუჟეტს მარტივად, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ლოგიკური თანმიმდევრობით გვიყვება. სადა, მარტივ დიალოგებსა და წერის თავისუფალ მანერას მაყურებელი იოლად აღიქვამს. ავტორს ნამდვილად ყოფნის შემოქმედებითი შესაძლებლობა საიმისოდ, რომ კონკრეტული ოჯახის ყოფა და ადათ-წესები განაზოგადოს, რაც ნაწარმოებს საინტერესოსა და აქტუალურს ხდის. ამის დასტურად კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიესის დადგმის ინტენსივობაც შეიძლება მივიჩნიოთ. ისეთი კლასიკური მწერლობის ქვეყანა, როგორიც რუსეთია, ნამდვილად არ განიცდის დრამატურგიული ნაწარმოებების სიმწირეს, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პარალელურად საუკეთესო მთარგმნელობითი კულტურა გააჩნიათ. ამდენად, თუკი რუსულმა თეატრმა მეთექვსმეტეჯერ დაუთმო თუნჯერ ჯუჯენოღლუს ამ პიესას თავისი სცენა და ქართულმა თეატრმაც არაერთხელ მიმართა, უდავოა, რომ ნაწარმოების თემატიკა დღეისათვის კიდევ უფრო განსაკუთრებული აქტუალობით ჟღერს.

მსოფლიოს კლასიკურმა დრამატურგიამ არაერთხელ მიაპყრო ყურადღება პატრიარქალიზმს, რომელიც პიროვნული თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს. ,,მასა“ ინდივიდის პირისპირ, დრომოჭმული ტრადიციული შეხედულებები და თანამედროვეობა - ეს ის თემებია, რაც ოდითგანვე აღელვებდა კაცობრიობას. სწორედ ამიტომაც თურქი ავტორი ბოლომდე ჩაეჭიდა მეგობრის მონათხრობს და დაპირისპირებათა ამ რთულ კონტექსტში და შიშის მარადიული პრობლემაც მთელი სიმძლავრით აახმაურა.

სპექტაკლი ავტორისეულ ტექსტს ლოგიკური თანმიმდევრობით მიყვება. მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე, რომელმაც ამჯერად რეჟისორის პროფესია მოირგო, ლიტერატურულ პირველწყაროში განსაკუთრებულად არაფერს ცვლის. ის კმაყოფილდება დრამატურგიული ფორმით და უმთავრეს ყურადღებას შესაბამისი ატმოსფეროს შექმნასა და ხასიათების სრულად წარმოჩენისკენ მიმართავს. უნდა ითქვას, რომ მსახიობს ეს საკმაოდ კარგად გამოუვიდა. სადადგმო ჯგუფმა არც ავტორი დატოვა უკმაყოფილო და არც მაყურებელი. მხატვრული გაფორმების (ნინო ჩიტაიშვილი) თვალსაზრისით წარმოდგენა მიზანმიმართულად თეთრისა და შავი ფერების კონტრასტშია გადაწყვეტილი. სიმბოლურად კეთილისა და ბოროტის მარადიული დაპირისპირების პარალელურად, თეთრი ფერი თოვლის, ყინულად ქცეული ტრადიციის ერთგვარი გამოხატულებაცაა. დასაწყისში რეჟისორი პროექტორის საშუალებით ზვავის ჩამოშლის დოკუმენტურ კადრებს გვიჩვენებს, მომდევნო სცენაში კი ზვავის სიმბოლოს თეთრი, სამკუთხა დეკორატიული დეტალი წარმოადგენს. ირგვლივ ყველაფერი სითეთრეშია ჩაფლული, თითქოს დროსა და სივრცეში გაიყინა მკვიდრთა ყოფა და ადათი, თითქოს აღარ არსებობს არანაირი სიცოცხლს ნიშან-წყალი...

ამაზრზენ სიჩუმეს ფეხმძიმე რძლის ბორგვა არღვევს, რომელსაც მუცელი ასტკივდა. მომდევნო სცენები უკვე მონაცვლეობით გვაცნობს სხვა პერსონაჟებსაც. ოჯახი იღვიძებს, ნელ-ნელა იწყებს მოძრაობას და ელოდება მდინარის სიდიდის განსაზღვრულ ნიშნულამდე მიღწევას. რეჟისორი ყოფითი დრამის ჟანრის ყველა კანონის დაცვით მოქმედებს, უარს ამბობს ალტერნატიულ ინტერპრეტაციაზე და მაქსიმალურად ცდილობს, არ აცდეს მოქმედების განვითარების ავტორისეულ თანმიმდევრობას.

სპექტაკლის მსვლელობისას ერთიან სითეთრეში შავ წერტილებად ბებიაქალისა და სოფლის უხუცესი მრჩევლის პერსონაჟები იჭრებიან, რომლებიც როგორც მოსასხამს, ისე ირგებენ ზვავის სიმბოლოს აღმნიშვნელ სამკუთხა დეტალს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი თავისთავში ატარებენ პატარა ზვავებს… შიში გარესამყაროს მიმართ-ეგზისტენციალიზმის ეს ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი, თუნჯერ ჯუჯენოღლუს ტექსტში ოსტატურადაა მოდიფიცირებული. პატრიარქალური ადათ-წესებისა და შეურყეველი რწმენის მიღმა სწორედ შიშის ფაქტორი მოქმედებს, რომლის დაძლევასაც პერსონაჟები ვერ ახერხებენ. ვერც ზოგადად ზვავთან მიმართებაში და რასაკვირველია, ვერც საკუთარ თავებში. რუსუდან

ბოლქვაძემ ზუსტად განსაზღვრა ნაწარმოების ყოველი პლასტი, ძირითადი იდეა... გაზაფხული ერთგვარი სიცოცხლის სიმბოლოა, ახალი სიცოცხლის მოლოდინშია პიესაში წარმოდგენილი ოჯახიც. დასასრულს კი სიცოცხლისა და სიყვარულის პირისპირ პატრიარქალიზმის შეურყეველოი მთა აღიმართა, ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს, ან - მეორემ. დრამატურგის მიზანი საბოლოოდ სიცოცხლის, სიყვარულისა და ჰუმანიზმის მარადიულობის იდეის გამოხატვა აღმოჩნდა.

რეჟისორის კიდევ ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს სამსახიობო ანსამბლის (ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი, ნიკა წერედიანი, ანრი ბიბინეიშვილი, გუგა კახიანი) შერჩევა, რომლებმაც ფსიქოლოგიურად მართალი თეატრის პრინციპების შესაბამისად მხატვრულად დამაჯერებელი სახეები შექმნეს. ამ შემთხვევაში თავს შევიკავებ კონკრეტული პერსონაჟის განხილვისაგან. თითეული მათგანი პროფესიულად უდგება დაკისრებულ ფუნქციას. შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობთა შენელებული მოძრაობა (სასცენო მოძრაობა-ზურაბ ბეგლაშვილი) არ იკითხება და შეუსაბამობაში მოდის სპექტაკლის ჟანრთან... სხვა მხრივ შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლი შედგა.

მაკა ვასაძე

„პოლიცია“

რეჟისორი - ზურაბ გეწაძე

სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებულმა, თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა, პოლონელმა დრამატურგმა სლავომირ მროჟეკმა შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც კომუნისტური იდეებით გატაცებულმა ჟურნალისტ-კარიკატურისტმა და პროზაიკოსმა დაიწყო. ამის შესახებ, 1988 წ. შექმნილ ესეისტური ჟანრის ავტობიოგრაფიაში - „ჩემი ავტობიოგრაფია“ - წერს: „ოცი წლისა, მზად ვიყავი თვალდახუჭულს მიმეღო ნებისმიერი პოლიტიკური იდეა, რომელიც რევოლუციური იქნებოდა. ვინაიდან იმ ასაკში რევოლუცია პირადად ჩემში ბობოქრობდა“ (გულისხმობს მომწიფების ჰორმონებს. თარგმანია ჩემია - მ. ვ.). 1930 წელს ფოსტის მუშაკის ოჯახში, კრაკოვთან მდებარე პატარა სოფელში, დაბადებული მწერლის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მეოცე საუკუნის პოლონეთის ისტორიის კატაკლიზმებით აღსავსე პერიოდს დაემთხვა. მისი სამშობლოს ანექსიას - ჯერ ფაშისტური გერმანიის მიერ, შემდეგ კი ე. წ. „გათავისუფლებას“ საბჭოეთის წითელი არმიის მეშვეობით. კომუნისტური იდეებით გატაცება სულ რაღაც 3-4 წელს გაგრძელდა. ამის შესახებ ირონიით წერს მროჟეკი: „მე მაინც გამიმართლა, ხომ შეიძლებოდა დავბადებულიყავი 1913 წ. გერმანელად. მაშინ, ხომ აუცილებლად გავხდებოდი ჰიტლერ-იუნგერი, ვინაიდან ე. წ. აგიტაცია-გადაბირება ერთი და იმავე მეთოდებით ხდებოდა. (...) ამ შემთხვევაში, გამოფხიზლების, გაცნობიერების გარეშე, ფრონტზე დაღუპვის შესაძლებლობაც უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე გარდაცვალება ისე, რომ ვერ მოსწრებოდი სტალინის სიკვდილს“.

სხვადასხვა ცხოვრებისეული პერიპეტიების მიუხედავად, წარმატება და აღიარება სამწერლო ასპარეზზე, დასაწყისიდანვე თან სდევდა. საკმარისია გავიხსენოთ მროჟეკის მოთხრობების კრებულები: „სპილო“ (1957), „ქორწილი ატომიცაში“ (1959), „წვიმა“ (1962) და ა. შ. „პოლიცია“, მისი პირველი პიესაა, რომელიც დაწერისთანავე (1958) დაიდგა პოლონეთში. დრამატურგიული დებიუტიც წარმატებული აღმოჩნდა. სწორედ დრამატურგიამ მოუტანა მროჟეკეს მსოფლიო აღიარება, როგორც აბსურდის თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს. სემუელ ბეკეტის, ეჟენ იონესკოსა და ტომას ბერნჰარდის ნაწარმოებების გვერდით მოიაზრება მროჟეკის პიესები: „ტანგო“, „ემიგრანტები“, „მეფე“, „სტრიპტიზი“, „სიყვარული ყირიმში“, „კონტრაქტი“, „პორტრეტი“ და სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ, რადიკალურად იცვლება მისი მსოფლმხედველობა, სამყაროს აღქმა. „ჩვენი სამყაროს სიდიადის და ჩვენს პლანეტაზე ცხოვრებისათვის უსასრულო შესაძლებლობების აღქმა, მხოლოდ ატლანტიკის ოკეანის გადაკვეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ფეხის დადგმის შემდეგ დამეუფლა. ეს 1959 წ. მოხდა, ჰარვარდის უნივერსიტეტში საერთაშორისო საზაფხულო სემინარზე მიწვევის წყალობით. სემინარს უძღვებოდა იმ პერიოდში პოლიტოლოგიის მეცნიერებათა პროფესორი, ჰენრი კისინჯერი. მე მომეცა შესაძლებლობა, ბურუსიდან ამოცურებული თავისუფლების ქანდაკება მეხილა, - ჩემამდე, აქ ჩამოსულ მილიონობით ადამიანთათვის, აშშ-ის საფირმო ნიშანი. ამერიკაში ცხოვრების იმ ორმა თვემ, ძირეულად შემცვალა. თუმცა, ჩემთვის, დღემდე გაუგებარია, ამ გარდაქმნების ბუნება და მისი შედეგები“, - წერდა მროჟეკი „ჩემს ავტობიოგრაფიაში“.

1964 წლიდან სლავომირ მროჟეკი, იძულების წესით (სოციალისტური პოლონეთის მთავრობის ზეწოლით), ემიგრაციაში მიდის: იტალია, პარიზი, მოგვიანებით საფრანგეთის მოქალაქე ხდება. 1990 წლიდან დიდხანს ცხოვრობდა მექსიკაში (თავის მეორე მეუღლესთან ერთად). გარდაიცვალა ნიცაში.

მროჟეკის პიესები ხშირად იდგმებოდა და დღესაც იდგმება სხვადასხვა ქვეყანაში. მისი დრამატურგიისადმი ინტერესი თითქმის არასდროს შენელებულა, თუ არ ჩავთვლით, სოციალისტურ პოლონეთში, რამდენიმეწლიან აკრძალვას. მროჟეკის პიესები ყოველთვის იქნება თანადროული, ვინაიდან დრამატურგი ასახავს, „აშიშვლებს“ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსურდულ ფორმებს, რომელთაც ავითარებს პერსონაჟების ლოგიკურ-აბსურდულ მსჯელობაში. მროჟეკი კლასიკოსია, ვინაიდან მის

პიესებში არსებული ამბავი და სიტუაციები ყოველ ეპოქაში თანადროულია. მკითხველი თუ მაყურებელი, მროჟეკის შემოქმედებაში ხედავს, აცნობიერებს - მათ გარშემო არსებული ცხოვრების აბსურდულობას. გარდა ამისა, ზოგიერთი თანამედროვე აბსურდისტი დრამატურგისგან განსხვავებით, მროჟეკი წერს ე. წ. „სავსე“ ფრაზებით, არ იყენებს დღეს ასე მოდურ ვულგარიზმებს, მის პიესებში არ არის შიშველი სხეულები და არც ძალადობის სცენები. იგი თავის პიესებს პერსონაჟთა დიალოგებზე, მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა და ფრაზებზე აგებს, სადაც ჩადებულია განსჯა, ფიქრი, სიჩუმე... ამგვარად გადმოსცემს მროჟეკი ადამიანთა ცხოვრების აბსურდულ სიტუაციებს, თუ სახელმწიფოებრივი მოწყობის აბსურდულ ფორმებს.

ბოლო წლებში მროჟეკის პიესები ხშირად იდგმება ქართულ სცენაზე. „ემიგრანტები“ ზურა ყიფშიძის და გოგა პიპინაშვილის მონაწილეობით, ირაკლი აფაქაძიემ დადგა თეატრში ათონელზე; დათო საყვარელიძემ და დათო დოიაშვილმა პიესის - „სახლი საზღვარზე“-სხვადასხვა ინტერპრეტაცია შესთავაზეს ქართველ მაყურებელს; „ქვრივები“ - მალხაზ ასლამაზიშვილმა მარჯანიშვილის თეატრში „სხვენზე“ განახორციელა; სამეფო უბნის თეატრში ნიკა თავაძემ დადგა „სტრიპტიზი“. 2013 წელს „პოლიციის“ ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია იხილა ქართველმა მაყურებელმა. ახმეტელის სახელობის თეატრში პოლონელმა რეჟისორმა დარიუშ ეზერსკიმ ქართველ მსახიობებთან ერთად დადგა. ცოტათი ადრე, პრემიერა შედგა თუმანიშვილის თეატრში - რეჟისორმა ზურა გეწაძემ მროჟეკის „პოლიციის“ თავისი კონცეფცია შემოგვთავაზა.

„პოლიცია“ (60-იან წლებში ცენზურის გამო, თავად ავტორმა, სათაური შეცვალა და დაარქვა „პოლიციელები“) ერთგვარი იუმორით გაჯერებული იგავია იდეალურ ქვეყანაზე, სახელმწიფოზე, სადაც უკანასკნელი (ბოლო) პოლიტპატიმარი ინანიებს ახალგაზრდობაში ჩადენილ „ცოდვებს“ (გენერალს ხელნაკეთი ბომბი ესროლა, რომელიც არ აფეთქდა) და გენერლის ადიუტანტი ხდება. ქვეყნის, რეჟიმის ერთგული სერჟანტი-პროვოკატორი (რომლისთვისაც მუნდირის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია) კი იძულებულია ტერორისტობა დაიბრალოს და ციხეში ჩაჯდეს. ციხე ხომ პატიმრის გარეშე წარმოუდგენელია, ფუნქციონირებას შეწყვეტს. საბჭოეთში, და, არა მარტო საბჭოეთში, არამედ ყველა დიქტატორული, პოლიციური წყობის სახელმწიფოში, არსებობს ამგვარი აბსურდული ლოგიკა, - მტერი თუ არ არსებობს, ის უნდა გამოიგონო... თუკი 1958 წელს მროჟეკი, იდეალურ ქვეყანაში, ალბათ, „საბჭოეთსა“ და „ფაშისტური გერმანიის“ სახელმწიფოებრივ წყობას გულისხმობდა, დღეს მსგავსი აბსურდული, „იდეალური“ ქვეყნის მოდელი, XXI საუკენეში არსებულ, ნებისმიერ სახელმწიფოს შეგვიძლია მივუსადაგოთ (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად). თავად მროჟეკი პიესის შესავალში წერდა: „პიესაში არაფერია იმაზე მეტი, რაც პიესაშია. ტყუილი მცდელობაა, მასში რაღაც მინიშნებების აღმოჩენა, ასევე მისი განხილვა, როგორც მეტაფორული წყობის ნაწარმოებისა, საკუთარი ხედვით მისი ინტერპრეტირება. (...) ეს არავითარ შემთხვევაში არც ფარსი არ არის. (...) ეს არ არის არც „თანამედროვე“ და არც „ექსპერიმენტული“ პიესა. მე მგონია, არ წარმოადგენს საჭიროებას ახსნა იმისა, რაზეა პიესა, რა იგულისხმება“.

ვფიქრობ, რომ მროჟეკის წინასიტყვაობა, ნაწილობრივ მაინც, ცენზურისათვის იყო დაწერილი. რა თქმა უნდა, სპექტაკლი მაშინ არის ღირებული, როდესაც რეჟისორი საკუთარ ხედვას, ინტერპრეტაციას, კონცეფციას სთავაზობს მაყურებელს. არა აქვს მნიშვნელობა, მროჟეკს დგამს, თუ შექსპირს. ჩემთვის, ამიტომაც იყო საინტერესო, ახმეტელის და თუმანიშვილის თეატრებში, ორი განსხვავებული ხელწერის რეჟისორის ნამუშევრის ნახვა. პოლონელი დარიუშ ეზერსკის და ქართველი ზურაბ გეწაძის სპექტაკლები განსხვავდებოდა ფორმითაც და კონცეფციითაც. სპექტაკლების შედარებითი ანალიზით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთს ვიტყვი. დარიუშ ეზერსკის სპექტაკლში მროჟეკის დიქტატორული, პოლიციური სახელმწიფოს მოდელი, ამგვარ სახელმწიფოში სულისშემხუთველი არსებობის გაუსაძლისობა, უფრო მეტად გამძაფრებულია. შეცვლილი ფინალი კი დრამატიზმით არის აღსავსე - დახვრეტილი პატიმრის სხეული დარბაზიდან გამოსულ მაყურებელს კარში დაგდებული ხვდება. ვინ გადააბიჯებს მას და გაივლის?

ზურაბ გეწაძის სპექტაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მროჟეკის პიესის არსისა და ფორმის გამომხატველია. რეჟისორმა მხოლოდ მცირე კუპიურები გააკეთა პიესაზე მუშაობისას. ახმეტელის თეატრის სპექტაკლისგან განსხვავებით, კი არ შეამცირა, არამედ ხაზგასმულად გაამლიერა, მროჟეკის პიესის აბსურდული იუმორი. რეჟისორმა სპექტაკლის დასაწყისი - ჩახვეული ფირის, გაფუჭებული ფირფიტის, ერთი და იმავე კადრის „დაუსრულებლად“ განმეორების - პრინციპით ააგო. პიესა პოლიციის უფროსის მიერ შედგენილ მონანიების ტექსტზე პატიმრის ხელის მოწერით იწყება. მკითხველი პოლიციის უფროსსა და პატიმარს შორის გამართული დიალოგიდან იგებს, რომ ეს ამბავი უკვე 10 წელია გრძელდება. სპექტაკლში, მალხაზ აბულაძის პოლიციის უფროსი გამოთქმით კითხულობს ტექსტს, გიორგი ყიფშიძის ზოლიან ფორმაში გამოწყობილი პატიმარი მოწყენილი უსმენს და მონანიების ტექსტზე ხელის მოწერაზე უარს ამბობს. შემოდის ციხის რიგითი თანამშრომელი, რაღაც დანადგარით ხელში, პატიმრის სხეულში დენს გაუშვებს. გიორგი ყიფშიძის პერსონაჟი კონვულსიებში ეცემა ძირს. გულწასულს, ფეხებში ჩაჰკიდებენ ხელს და სცენიდან გაათრევენ. სინათლე ქრება, შემდეგ ინთება და იგივე მეორდება რამდენჯერმე. მუსიკის, განათების, აჩქარებული კადრის პრინციპის გამოყენების მეშვეობით, რეჟისორმა პატიმრის ათწლიანი გაუსაძლისი მდგომარეობა ასახა. ადამიანმა ვეღარ გაუძლო ფიზიკურ, მენტალურ ზეწოლას და ფარ-ხმალი დაყარა. გიორგი ყიფშიძის პატიმარიც თანხმდება ხელის მოწერაზე. ზურაბ გეწაძემ სიტუაციის იუმორნარევი აბსურდულობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ძალიან ეფექტურია რეჟისორის გადაწყვეტა სანახაობრივი თვალსაზრისითაც.

შოთა გლურჯიძის სცენოგრაფია ზუსტად ასახავს პიესის არსს. მხატვარმა მსახიობ-პერსონაჟთა თავისუფალი სამოქმედო გარემო შექმნა. სპექტაკლი თუმანიშვილის თეატრის ექსპერიმენტულ (მცირე)

სცენაზე თამაშდება. მხატვარმა მაქსიმალურად აითვისა სივრცე, ისე რომ მსახიობებს მოქმედების არეალი არ შეუზღუდა. დეკორაცია მოქნილია, რამდენიმე შტრიხის ცვლილებით, ციხის უფროსის კაბინეტი სერჟანტის ბინის მისაღებ ოთახად გადაიქცევა. მხატვარს გათვალისწინებული აქვს მროჟეკის დეკორაციასთან დაკავშირებული მითითებებიც. სცენაზე ზედმეტი არაფერია. პოლიციის უფროსის საწერი მაგიდა, სკამი-სავარძელი, პატიმრისთვის განკუთვნილი ტაბურეტი ჯაჭვითა და ბოქლომით იატაკზე მიმაგრებული, ერთ მხარეს შავი, ძველებური ხის საკიდი, მეორე მხარეს კი მოგრძო მაგიდა დგას, ზედ ყვავილების ქოთნით. ყვავილების დიდი ქოთანი იატაკზეც არის მოთავსებული. სცენის სიღრმეში კედელზე კარია, საიდანაც შემოდიან და გადიან პერსონაჟები. აქვეა ჩამოკიდებული ინფანტისა და მისი ბიძის, რეგენტის პორტრეტი (მროჟეკის რემარკაში ცალ-ცალკე პორტრეტებია). რაც მთავარია, „იდეალური“ ქვეყნის მმართველთა პორტრეტის გვერდით, ჩარჩოში ჩასმული წამების იარაღები განათავსეს მხატვარმა და რეჟისორმა. სატირული მეტაფორა ნათელი და გასაგებია.

რეჟისორმა ცვლილება შეიტანა პერსონაჟთა ტიპობრიობასა და მათი ქმედითი ხაზის განვითარებაში. მალხაზ აბულაძის პოლიციის უფროსის ქცევებში, სიდინჯესა და ირონიასთან ერთად, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, არჩევანის გაკეთების სისწორეში ორჭოფობა, ყოყმანი შეიმჩნევა. პატიმარი, ყოფილი მეამბოხე, შემდგომში გენერლის ადიუტანტის ქმედითი ხაზი პრინციპში მროჟეკის მიერ შექმნილი სახის მსგავსია. პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი, გულანთებული მეამბოხე, გამჭრიახი გონების მქონე ადამიანი, მაყურებლის თვალწინ გარდაიქმნება რეჟიმის მსახურად. უფრო მეტიც, იმდენად გულმოდგინე მსახური ხდება, რომ მას ელვის სისწრაფით აწინაურებენ. იგი მოკლე დროში სწორედ იმ გენერლის ადიუტანტი ხდება, რომელსაც 10 წლის წინ ბომბი ესროლა. ნერვული, ქანცგამოლეული, მაგრამ იდეის ერთგული გიორგი ყიფშიძის მეამბოხე, ფინალისკენ მაყურებელს ელეგანტურ ადიუტანტად გამოეცხადება. ვანიკო თარხნიშვილის პოლიციის სერჟანტ-პროვოკატორი, შემდგომში პატიმარი, გამუდმებით მარშირებს. მსახიობმა და რეჟისორმა, სხვასთან ერთად, ამ შტრიხით გამოხატეს მონური სიყვარული და მორჩილება რეჟიმისადმი. პოლიციელის ფორმა მისი სხეულის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, ამიტომაც პროვოკატორის სამოქალაქო ტანსაცმელი - ლაბადა და ქუდი, მოუხერხებელი სატარებელია. კიდევ ერთი დეტალი დაამატა რეჟისორმა ვ. თარხნიშვილის პერსონაჟს. მასთან სახლში მისულ პოლიციის უფროსს ცოლი დახვდება, რომელიც ქმრის საცვლებს სამხედრო ლაცკანებს აკერებს. ისედაც აბსურდულ, გროტესკულ დრამატურგის ტექსტს და სიტუაციას, ზურაბ გეწაძემ კიდევ უფრო მეტი სატირა შესძინა. ამასთან, მეუღლის პერსონაჟი, ქალად გადაცმულ ნიკა წერედიანს ათამაშა, რომელიც სპექტაკლში: სასაცილო, ულვაშებიანი, ღიპიანი ჯალათი-პოლიციელის ტიპაჟსაც ქმნის. თემო ნატროშვილის გენერალი კი მშიშრა, კეკლუცი, ე. წ. „ქალოია“ კაცის განსახიერებაა.

„იდეალურ“ - პოლიციურ ქვეყანაში მოსახლეობა ყველაფრით კმაყოფილ ზომბებად, ყურმოჭრილ მონებად არიან ქცეულნი. რეჟიმმა ყველა დაიმორჩილა, უკანასკნელი პოლიტმატიმარიც კი. სასაცილოა, რომ სწორედ ეს ხდება კონფლიქტის მთავარი მიზეზი. უპატიმრო სახელმწიფოში ციხეს ფუნქცია ეკარგება. პოლიციის უფროსი „გენიალურ“ გეგმას მოიფიქრებს ციხის გადასარჩენად. ყველაზე ერთგულ პოლიციელ-პროვოკატორს დაითანხმებს დაიბრალოს რეჟიმისადმი უკმაყოფილება, დაუმორჩილებლობა, ტერორისტობა. პოლიციელ-პროვოკატორი პოლიტპატიმრად იქცევა. გენიალურად აქვს მროჟეკს ჩახლართული კვანძის გახსნა გაკეთებული - პოლიციელ-პროვოკატორი მართლაც ხდება მეამბოხე. ზურაბ გეწაძემ „იდეალური“ ქვეყნის მოსახლეობის მონური ფსიქოლოგიის წარმოჩენის ხაზგასასმელად კიდევ ერთი დეტალი შეიტანა სპექტაკლში: ქვეყნისა და რეჟიმისადმი სახოტბო ჰიმნის შემსრულებელ ბავშვთა გუნდი. მარშირების ტემპში მოსიარულე ბავშვები (დაახლოებით 10-12 წლის) პოლიციელ-პროვოკატორის ერთგვარი „დანამატები“ არიან. რეჟისორმა მაყურებელს თვალნათლივ დაანახა - ამგვარი „დამახინჯებულად“ აღზრდილი ბავშვებისგან, შეიძლება აღიზარდონ მათი ლიდერის მსგავსნი. - როგორ გაიცანით ერთმანეთი? - ეკითხება პოლიციის უფროსი პროვოკატორის ცოლს. - ერთმანეთს ვაბეზღებდით ხოლმე... და საბოლოოდ კარგად გავიცანით ერთმანეთიო - უპასუხებს იგი. იქვე ირკვევა, რომ შვილები „კარჩაკეტილში“ ჰყავთ. - გამოვუშვათ? ეკითხება პოლიციის უფროსს. - არა, არ არის საჭირო, არ მინდა აღზრდის პროცესში ჩავერიოო, იღებს პასუხად. ამაზე მეტი სარკაზმი თითქოს წარმოუდგენელია. მაგრამ, იქვე, ვანიკო თარხნიშვილის, სუპერმენივით საკუთარ სახლში ფანჯრიდან თოკით შემოფრენილი პერსონაჟი (პიესაში იგი ფანჯრიდან შემოძვრება, თოკით შემოფრენა რეჟისორის მოფიქრებული ხერხია), აოცებს არა მარტო მაყურებელს, არამედ თავად მალხაზ აბულაძის პოლიციის უფროსსაც კი. სერჟანტი ყველაფერს აკონტროლებს, საკუთარი სახლის სახურავსაც. - ჩემი ცოლი სახლშია? - ეკითხება პოლიციის უფროსს. - სახლშია, ახლა გავიდა, უნდოდა ენახა, კიბეზე ხომ არ იდექი. სერჟანტი - ჰო, გასაგებია. ის ყოველთვის კიბეზე გვიგდებს ხოლმე ყურს. „იდეალურ“ ქვეყანაში ოჯახიც „იდეალურია“.

სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის აბსურდული ქცევა? ფინალური სცენა. სერჟანტი-პროვოკატორი პატიმრის ფორმაში დაკითხვის ოთახში ტაბურეტზე ზის. პოლიციის უფროსი მონანიების ტექსტს უკითხავს. თანდათან ვანიკო თარხნიშვილის და მალხაზ აბულაძის პერსონაჟები აცნობიერებენ, რომ სერჟანტი მეამბოხედ იქცა. პოლიციის უფროსის გეგმა კრახს განიცდის. პატიმრის დაკითხვაზე თემო ნატროშვილის „კეკლუცი“ გენერალი და გიორგი ყიფშიძის - წარმოსადეგი ადიუტანტი, ყოფილი პოლიტპატიმარი - მოდიან. აქ, ერთმანეთს, ლიდერობაში ეჯიბრებიან პოლიციის უფროსი, გენერალი და მისი ადიუტანტი. სადავეებს, ხან ერთი კარგავს, ხან, მეორე, ხან, მესამე. აზროვნებადაბრუნებული სერჟან-პროვოკატორი მათი „შეჯიბრის“ შემყურე საბოლოოდ გარდაიქმნება მეამბოხედ. გიორგი ყიფშიძის ადიუტანტის გეგმა: მეტი დამაჯერებლობისათვის, რომ რეჟიმის უერთგულესი ჯარისკაცი მართლაც პოლიტმატიმრად იქცა -

მან გენერალს ბომბი უნდა ესროლოს - განხორციელდება. აქ, ისევე როგორც, მთელ პიესაში, პერსონაჟთა ქცევის ორგვარობა იკვეთება. პიესაშიც და სპექტაკლშიც პერსონაჟთა ხასიათები არაერთგვაროვანია. მაყურებელმა თუ მკითხველმა თავად უნდა გააკეთოს დასკვნა - ვინ ვინ არის. პიესაშიც და სპექტაკლშიც, ბომბის აფეთქების შემდეგ, სხვადასხვა ბრალდების წაყენებით ყველა ერთმანეთს ბორკილს ადებს. მათ კი მეამბოხედ ქცეული სერჟანტი პროვოკატორი აპატიმრებს. კედლიდან ჩამოაგდებს ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის პორტრეტს, ფეხით თელავს და თან გაჰყვირის: გაუმარჯოს თავისუფლებას, ჩვენ გავიმარჯვეთ! ზურაბ გეწაძემ სპექტაკლში გაამძაფრა მროჟეკის აბსურდული ფინალი. სცენაზე შემოდის მარშირების რიტმში მოსიარულე ბავშვთა გუნდი და თავისი ლიდერის გვერდით დგება. ახლა, ისინი, მეამბოხე და მისი ერთგული „პიონერები“, თუ, „ჰიტლერ-იუნგერები“, სამშობლოსა და თავისუფლების სახოტბო ჰიმნს ასრულებენ. ვფიქრობ, მროჟეკის ფინალი, მართალია, სატირის შემცველია, მაგრამ უფრო ოპტიმისტურია. ზურაბ გეწაძე კი იმედს არ გვიტოვებს: ადამიანთა აზროვნებაში - შეიცვალა ფორმა, მაგრამ შინაარსი იგივე დარჩა.

მროჟეკის პიესა ასახავს ადამიანთა უაზრო, ცხოვრებისეულ მისწრაფებათა ამაოებას, აბსურდულობას. იგი არ იძლევა მზა პასუხებს. რეჟისორს, მკითხველს, მაყურებელს უტოვებს განსჯისა და არჩევანის უფლებას.

მაკა ვასაძე

მარჯანიშვილის თეატრის საშობაო საჩუქარი

„საშობაო სიმღერა“

რეჟისორი - ლევან წულაძე

2013 წლის მიწურულს მარჯანიშვილის თეატრმა სიყვარულით, სიკეთით, სილამაზით აღსავსე სპექტაკლი - „საშობაო სიმღერა“ - აჩუქა - ბავშვებს, მოზარდებსა და მოზრდილებს. ლევან წულაძე არა მარტო ნიჭიერი რეჟისორი, უნიჭიერესი სცენოგრაფიც აღმოჩნდა. მან, როგორც სცენოგრაფმა, მანამდეც იმუშავა რამდენიმე სპექტაკლზე და საკმაოდ საინტერესო ნამუშევრები შექმნა. „საშობაო სიმღერის“ მხატვრულ გაფორმებაში კი, შალვა ჩაგუნავასთან ერთად, ჩარლზ დიკენსის გენიალური მოთხრობის სული ვიზუალურად გამოხატა. მწერალი მოთხრობის წინასიტყვაობაში წერს: „მოჩვენებების ამ პატარა წიგნში შევეცადე ისეთი იდეა წარმომეჩინა, რომელიც მკითხველს არ გაანაწყენებდა არაც საკუთარი თავის, არც სხვების, არც საშობაო დღესასწაულის და არც ჩემს მიმართ. დაე, ეს წიგნი სამუდამოდ დარჩეს თქვენს სახლებში და ნურავინ შემოდებს მას თაროზე“. ლევან წულაძის სპექტაკლი, ალბათ, სამუდამოდ დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში. ისევე, როგორც დარჩა რუსთაველის თეატრში წლების წინ (1992-93 წ.) რობერტ სტურუასა და ოთარ ეგაძესთან ერთად, ამავე ნაწარმოების მიხედვით დადგმული „საშობაო სიზმარი“.

ჩარლზ დიკენსის შემოქმედებაში შერწყმულია, ერთი შეხედვით, თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებელი: პოეზია - პროზა, სოციალური სიდუხჭირე - ცხოვრებისეული პრობლემების ბავშვური ხედვა, რეალობა - თეატრალობა, მორალური, სულიერი დრამები - სამყაროს ხედვა ნათელ ფერებში. მის ნაწარმოებებს ლაიტმოტივად გასდევს რწმენა სიკეთის, სიყვარულის, რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო ადამიანისთვის შექმნა. ადამიანს კი მისცა შესაძლებლობა - ყველაზე სანუკვარი, ნათელი, კეთილშობილი ოცნებები აიხდინოს. დიკენსის მსოფლმხედველობის, სამყაროს აღქმის კვინტესენცია გახლავთ „საშობაო სიმღერა პროზაში“, მისი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო პოეტური ნაწარმოები - სიყვარულის, სიკეთის ჰიმნი. სათაური ორიგინალში ასე ჟღერს: “A Christmas Carol in Prose, Being a Ghost Story of Christmas“, სიტყვა Carol კი ჰიმნადაც ითარგმნება. მოთხრობის მთავარი გმირის: გულცივი, ძუნწი, ფულზე შეყვარებული ებინიზერ სკრუჯის მორალური, ზნეობრივი გარდაქმნა - ნაწარმოების დედააზრია. (Scrooge ინგ. ზმნა - Screw-დან ნაწარმოები სიტყვა - დაჩაგვრის, სიძუნწის, სიხარბის აღმნიშვნელი). ფიზიკურად ცოცხალი სკრუჯი, სულიერად და მორალურად ცარიელი, მკვდარი იყო. საშობაო სულებისა, თუ, სულის სიღრმეში, ქვეცნობიერში შერჩენილი სინდისის „ათამაშებული“ წარმოსახვის, ფანტაზიის, ან თუნდაც, სიზმრის წყალობით ხდება ღირებულებათა გადაფასება. მან შეძლო, ოდესღაც მასში არსებული „სულის“ გაცოცხლება, სიკეთისა და სიყვარულის გამოღვიძება და დაიწყო „სიკეთის ქმნა“, „სიკეთის თესვა“. ეს ყველაფერი კი შობის - განახლების, გარდაქმნის, გარდასახვის, ახლის დაბადების - დღესასწაულის წინადღეს, უფრო სწორად, წინასაღამოს ხდება.

შინაარსობრივ-იდეური ხაზის მომხიბვლელობასთან ერთად, მოთხრობას აქვს თეატრალიზებული, სადღესასწაულო სანახაობითი (ვგულისხმობ სახალხო, ქუჩის, ბალაგანურ სანახაობებს) - ცოდვილის გარდაქმნის მითზე აგებული - პირობითი ფორმა. იგი თითქოს სცენისთვის არის დაწერილი. აქ ვხვდებით ხილულს და უხილავს (შობის სულები), პირობით გადაადგილებას დროსა და სივრცეში, დაყოფილს აქტებად (მოთხრობაში ე. წ. „სტროფებად“) და მათ გამაერთიანებელ ინტერმედიებად, ხმოვან ეფექტებს (საათისა და სამრეკლოს ზარების რეკვა), მთხრობელ-წამყვანს. პერსონაჟთა გადმოცემაში კი გაზვიადებულია მათი შინაგანი სამყაროს თუ ქცევის ამსახველი ზოგიერთი მახასიათებელი, თითქოს ისინი ბალაგანური თეატრის სცენისთვის არიან შექმნილი. მოთხრობაში ამბის გადმოცემა დრამატურგიული ხერხებით ხდება.

ალბათ, სწორედ, მოთხრობაში კოლორიტულად გადმოცემული ისტორიული დეტალების,

სანახაობითობის, ამბის პოეტურად თხრობის, ფანტასტიკის, მორალურობის, ლირიკის, საკრალურობის არსებობის გამო მიუბრუნდა ლევან წულაძე მეორეჯერ დიკენსის „საშობაო სიმღერას“.

რეჟისორმა სასცენო ვარიანტის შექმნისას გაითვალისწინა მოთხრობაში არსებული ბალაგანური თეატრის პრინციპები. უფრო სწორად, ლევან წულაძემ ამბის გადმოცემაში, სპექტაკლის ფორმაში კომედია დელ არტეს, აგრეთვე ქუჩის მარიონეტების თეატრის ხერხები გამოიყენა. წარმოდგენას წამყვანი იწყებს. ჩამოშვებული ფარდის წინ, ავანსცენის მარცხენა მხარეს ძველი ნივთები: ყუთები, აბაჟური, გალია, სავარძელი აწყვია. ე. წ. სასცენო ორმოში ძველებური, ორი საწერი მაგიდა - „სეკრეტერი“ არის განლაგებული, რომლებზეც სამელნეები და ბატის ფრთისგან გაკეთებული საწერკალმები აწყვია. ნათდება სცენის შუა ნაწილი, ფარდა შეირხევა, შეერთების ადგილიდან ამბის მთხრობელი, ე. წ. წამყვანი - ლოთი ჯო (თენგიზ პაპიძე) გამოყოფს თავს და ბავშვებით სავსე დარბაზს მიმართავს: „რა ხდება?“ (იმეორებს რამდენჯერმე). „გამახსენდა, დამდეგ შობას გილოცავთ, ბრიტანეთის იმპერიავ და ჩემო თავო“ - ამბობს იგი, ფარდა იხსნება და ფეერიული სანახაობა იწყება.

სცენაზე არსებული დეკორაცია, ლონდონის ქუჩას მოგაგონებს. ერთ მხარეს ლონდონისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სახლია ჩამწკრივებული, მეორე მხარეს სამრეკლო დგას, რომელიც ხიდით უერთდება სახლებს. სამრეკლოს, დიკენსის მოთხრობაში, ძალიან მნიშვნელოვანი, ქმედითი ადგილი აქვს მინიჭებული. ძალიან კარგად არის მოფიქრებული ამბავში არსებული სხვადასხვა მოქმედების ადგილის წარმოჩინება. მაგალითად: როდესაც მოქმედება სკრუჯის ოფისში მიმდინარეობს, ავანსცენაზე ჩამოეშვება, ფანჯრებად და კარად დაყოფილი, „შუშის“ კედელი. ორმოდან ამოდის ზემოხსენებული მაგიდები და სკამები, სკრუჯის საოფისე ინვენტარი. „შუშის“ კედლის მიღმა ლონდონის ქუჩა ჩანს. საშობაო სულების გამოცხადებისას, „შუშის“ კედელი ზევით ადის და დიდი ზომის სარკე ჩამოეშვება. თითქოს ამ სარკიდან გადადის სკრუჯი (ბესო ბარათაშვილი) წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში. სპექტაკლში სარკე - ამიერ-იმიერი ცხოვრების მეტაფორაა. არაჩვეულებრივად არის გაკეთებული სპექტაკლის განათება. სწორედ განათების და სხვადასხვა სასცენო ტექნიკური საშუალებით, რეჟისორი ამოგზაურებს მაყურებელს სკრუჯის ცხოვრებაში და მასთან ერთად გადის ირეალურ სამყაროში. ვიზუალური, სანახაობითი ეფექტის გარდა, ამ მოგზაურობას, მორალური დატვირთვაც აქვს. მაყურებელი (რომელთა უმრავლესობა ბავშვები არიან) სკრუჯთან ერთად აცნობიერებს, რომ მატერიალური სიმდიდრე, ფული, ნივთები, ქონება არ არის ცხოვრების მთავარი ფასეულობა. მოყვასის სიყვარული, სიკეთის თესვა, თანალმობა, გულუხვობა არის მთავარი ცხოვრებაში. მაყურებელში შობის მოახლოების შეგრძნებას ამძფრებს სცენაზე ულამაზესად წამოსული თოვლი. მოკლედ ვიტყვი, ლევან წულაძემ და შალვა ჩაგუნავამ სპექტაკლის სცენოგრაფიაში დიკენსის „საშობაო სიმღერის“ სული ასახეს.

მოთხრობაშიც და სპექტაკლშიც, სკრუჯის გაადამიანურების პროცესი, გარდაცვლილი პარტნიორის ჯეიკობ მარლის სულის გამოცხადებით იწყება. სკრუჯი იმდენად ხარბი და ძუნწია, რომ ჯეიკობის გარდაცვალების შემდეგაც კი, არ ცვლის ფირნიშზე მათ მიერ დაარსებული ბანკის სახელწოდებას. იმისდა მიუხედავად, რომ ნერვები ეშლება ხოლმე, როდესაც მის, აწ უკვე ერთპიროვნულ მმართველობაში არსებულ ბანკში შემოსული ადამიანები ჯეიკობ მარლის უწოდებენ ხოლმე. სპექტაკლში წარწერის სიძველის მისანიშნებლად ლევან წულაძემ გახუნებული და ასოებდაკარგული წარწერა გააეკეთა. სხვასთან ერთად, ამქვეყნიური ცოდვებისათვის ჯოჯოხეთში მოხვედრილი ჯეიკობის ხვედრია მძიმე ჯაჭვების თრევა. ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე, ერთი ადგილი მოწითალო-იასამნიფერი ფერებით ნათდება, ბოლის ბურუსში მოცული ჯეიკობი (ზაზა იაკაშვილი) სცენის ლიუკიდან (ჯოჯოხეთიდან) ამოდის ნელ-ნელა სცენაზე. იგი აფრთხილებს სკრუჯს, რომ თუ არ შეიცვლის ცხოვრების წესს, მასაც იგივე ელის გარდაცვალების შემდეგ. - ხომ ხედავ, მე რა დამემართაო. დასახმარებლად კი საშობაო სულებს უგზავნის.

რეჟისორმა, რა თქმა უნდა, მოთხრობის სიუჟეტი შეამოკლა. თხრობა კიდევ უფრო ქმედითი გახადა. შეიტანა ცვლილებები, როგორც ამბავში, ასევე პერსონაჟებში. ზოგი რამ ამოაგდო, ზოგიც ჩაამატა, ზოგი პერსონაჟი დაამატა (მაგალითად: მოგვები), ზოგის ტიპობრიობა, ხასიათი, სქესი შეცვალა (მაგალითად: საშობაო სულები) და ა. შ. ყველაფერი ეს, სპექტაკლისათვის აუცილებელი, ამბის ქმედითად გადმოცემისთვის გაკეთდა. ფარდა იხსნება, ლონდონის ქუჩაში ხალხი მიდი-მოდის, ერთმანეთს ესალმებიან, სცენაზე რჩებიან მისის დილბერი (ეკა მჟავანაძე) და პატარა, კოჭლი ტომი (დიმა გოზალიშვილი). მისის დილბერი ტომს შობის ამბავს უყვება. ფიზიკურად სუსტი, მაგრამ კეთილშობილი, სულიერად ამაღლებული ბავშვის ფანტაზიაში მოგვების სცენა ცოცხლდება. პატარა ტომი მეოცნებე სახით კითხულობს: მისის დილბერ ლონდონშიც ჩამოივლიან ხოლმე მოგვები? მისის დილბერი უდასტურებს, - კი ტომ, ყოველი შობის დღესასწაულის წინ. ლევან წულაძემ ისე ლამაზად და ისეთი იდუმალებით გააცოცხლა ტომის ფანტაზია, რომ ბავშვებს კია არა (დარბაზში მსხდომ მაყურებელთა უმრავლესობას), უფროსებსაც სული შეეკრათ. ულამაზეს, აღმოსავლური ტიპის კოსტიუმებში გამოწყობილი, ე. წ. „ოჩოფეხებზე“ შემდგარი (მაღალი ხის ფეხსაცმელები) მოგვები, შესაფერისი იდუმალი მუსიკის და განათების თანხლებით, ჩაივლიან სცენაზე.

უკვე აღვნიშნე, რომ რეჟისორმა ზოგიერთი პერსონაჟის სახეში ცვლილებები შეიტანა. ეს ეხება მისის დილბერსაც. მოთხრობაში, დიკენსს იგი ფინალისკენ შემოჰყავს და სულ სხვა ფუნქციას აკისრებს. იგი მრეცხავია, რომელიც მედღეურ ქალთან და მეკუბოვის დამხმარესთან ერთად, მომავლის სულის მიერ გამოწვეული სკრუჯის ხილვების პერსონაჟია. სამივენი - უპატრონოდ გარდაცვლილ სკრუჯს ქურდავენ, ნაქურდალი ნივთები კი მეძველმანესთან მიაქვთ გასაყიდად. სპექტაკლში ლევან წულაძემ იგი სკრუჯის მნე ქალად და კეთილშობილ პერსონაჟად აქცია.

ცვლილება განიცადეს საშობაო სულების ტიპაჟებმაც. ამავდროულად, რჟისორმა სამივე პერსონაჟის სცენური სახის შექმნისას, გაითვალისწინა ავტორისეული მინიშნებები და დახასიათება. უპირველეს ყოვლისა, ცვლილება შეეხო სქესს. დიკენსთან წარსულის, აწმყოსა და მომავლის საშობაო სულები მამაკაცთა სქესს მიეკუთვნებიან. სპექტაკლში რიგით მეორე - დამდეგი შობის სული - ქალთა სქესის წარმომადგენელია. რეჟისორის ჩანაფიქრით, ნანი ჩიქვინიძემ - მოწიფული ასაკის, კეკლუცი, გამჭრიახი გონების, ნატიფი იუმორის მქონე, მშვენიერი ქალბატონის სახე შექმნა. ლევან წულაძის კონცეფციით სკრუჯი და დამდეგი შობის სული დაახლოებით ერთი ასაკის არიან. მათ შორის ფლირტი იბმევა. სკრუჯს ის შეუყვარდება კიდეც და ეხვეწება, არ დატოვოს. ეფექტურად არის დადგმული ნანი ჩიქვინიძის პერსონაჟის შემოსვლა სკრუჯის ზმანებაში. სცენის სიღრმეში ბოლით და განათებით ბურუსი იქმნება. ბურუსიდან თვითმართვადი ეტლი გამოცურდება, რომლიდანაც, შავ-თეთრ ფერებში გადაწყვეტილ კოსტიუმში გამოწყობილი, დიდი შლაპით თავზე, მშვენიერი ქალბატონი გადმობრძანდება. ბრიტანელი, მაღალი წრის წარმომადგენელი ქალების ტანსაცმლის სტილშია გადაწყვეტილი ნანი ჩიქვინიძის კოსტიუმი. ბესო ბარათაშვილის სკრუჯი დანახვისთანავე მოიხიბლება მისით. მათ შორის გაბმული დიალოგი იუმორით არის აღსავსე. მაგალითად, სკრუჯი ეკითხება თვითმართვად ეტლზე, ეს რა არისო (აქამდე მას ასეთი რამ არ უნახავს). ეს მექანიზმი ლეონარდომ მაჩუქაო, უპასუხებს სული. ასეთ კომერსანტს არ ვიცნობ, ამბობს სკრუჯი. კეკლუცი სული პატარ-პატარა მიწიერ სიამოვნებებზეც არ ამბობს უარს. სკრუჯის ბანკში, მოვალეებისაგან გირაოში ჩადებულ ნივთებში, მეზღვაურებისგან ჩამორთმეული სასმელით სავსე ბოთლის აღმოჩენისას სიხარულს ვერ მალავს. მას ცოტ-ცოტა დალევაც უყვარს. ამიტომაც, უარს არ ამბობს სკრუჯის მიერ შეთავაზებულ სასმისზე და „ზევიდან“ უკმაყოფილო მითითების მიუხედავად გადაჰკრავს კიდეც რომს.

პირველი, წარსული შობის სული, მოთხრობაში გარეგნულად, ერთდროულად მოგაგონებთ მოხუცსა და ბავშვს. სპექტაკლში კი ბექა გოდერძიშვილის პერსონაჟი, ჩემს აღქმაში, დიუმას რომანებში აღწერილ მუშკეტერს წააგავს. ზოგს შეიძლება რობინ ჰუდის გმირი გაახსენოს. ამ ასოციაციებს მისი კოსტიუმი და აქსესუარებიც იწვევს. ბექა გოდერძიშვილის წარსული შობის სული - ტანადი, სიმპათიური, გულღია, მექალთანეს ნიშნებით - მხიარული მამაკაცის ტიპაჟია. რეჟისორმა პირველი შობის სულის სახის შექმნისას, დიკენსთან მეორე სულისთვის დამახასიათებელი შტრიხები გამოიყენა.

დიკენსის მოთხრობაში, ყველაზე უფრო მკაცრი და იდუმალებით მოსილი, მესამე მომავალი შობის სულია. ლევან წულაძემ მოთხრობის ერთი პერსონაჟი გაორა. ნინო სურგულაძემ (კოსტიუმების მხატვარი) თემო კილაძის და ნინო დუმბაძის პერსონაჟები შავი, დიდებულების აღმნიშვნელი კოსტიუმებითა და ნიღბებით შემოსა. მოთხრობაშიც მესამე სული შავ, გრძელ, კაპიუშონიან ლაბადაშია გამოწყობილი, რომელიც ღრუბლისა თუ ბურუსის მსგავსად, მიწის ზემოთ ამაღლებული, მიცურავს სკრუჯისკენ. დიკენსთან, იდუმალების საბურველში გახვეული ეს პერსონაჟი, მკითხველში სიცოცხლის მცელავი, სიკვდილის ანგელოზის სიმბოლოს ასოციაციას ბადებს. რეჟიორმა და კოსტიუმების მხატვარმა ავტორისეული აღწერა გაითვალისწინეს. სპექტაკლშიც, თემო კილაძის და ნინო დუმბაძის სულები, იდუმალებით მოსილნი არიან. მოთხრობაშიც და სპექტაკლშიც, წინა სულებისგან განსხვავებით, არ ლაპარაკობენ, მხოლოდ დაჰყავთ სკრუჯი მის მომავალში და უჩვენებენ - რა სასტიკი აღსასრული ელოდება. ძალიან ეფექტურად გადაწყვიტა ლევან წულაძემ სკრუჯის მესამე ზმანების დასაწყისი. მომავალი შობის სასტიკი სულები, როგორც მათ დამდეგი შობის სული უწოდებს, ზემოდან დაეშვებიან სცენაზე და თოვლის ქარბუქს აყენებენ.

ლევან წულაძემ სპექტაკლში დიკენსის მოთხრობის იდეა გააცოცხლა - რა საცოდავია გულგაციებული, გრძნობებდაბლაგვებული ადამიანი, რომელსაც აღარ აქვს უნარი სიყვარულის, სიხარულის, არ იცის, რა არის სიკეთე, თანალმობა. დამდეგი შობის სული, დამშვიდობებისას სკრუჯს ეუბნება: უმეცრება და სიღატაკე დაღუპავს ადამიანს! სკრუჯის „ღმერთი“ ფულია, ამიტომაც მას, არც შობის წამს და არც სიკეთის ქმნის. დიკენსის ჰუმანურობა სწორედ იმაშია, რომ მან არ გასწირა ადამიანი, მისცა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მწერლის მთელი შემოქმედება, რომანები და მოთხრობები („დევიდ კოპერფილდი“, „ოლივერ ტვისტი“, „ნიკოლას ნიკლბი“ „საშობაო მოთხრობები“ და ა. შ.) გამსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობის არსით - სიყვარული და არჩევანის შესაძლებლობა. დიკენსს უყვარს ადამიანი, ადამიანის სიყვარული არის ასახული სპექტაკლშიც. მოთხრობისგან განსხვავებით, რეჟისორმა სპექტაკლში ყველა სხვა პერსონაჟი დადებითი თვისებით აღჭურვა, ეკატერინე ჩხიკვიშვილის ავაზაკიც კი. იგი იპარავს იმისთვის, რომ ღარიბებს მისცეს. უკიდურესად გაჭირვებული ბობ კრეჩეტის (ირაკლი ჩოლოყაშვილი) ოჯახიც უკანასკნელს გაიღებს, გაუნაწილებს მათზე უფრო ღარიბებს. სიკეთის განსახიერებაა ირმა ბერიანიძის ბობის მეუღლე, შვილები: მარტა (მაია კაციტაძე) და მათი უმცროსი, ჯანმრთელობა შერყეული ვაჟი ტომი (დიმა გოზალიშვილი) გაოცებენ ჰუმანურობით. ლევან წულაძემ სპექტაკლში შემოიყვანა კიდევ ერთი პერსონაჟი, მისტერ ფიუზინგის (სკრუჯის პირველი დამსაქმებლის) მეუღლე - მისის ფიუზინგი. თემურ კილაძის და ნინო დუმბაძის ტიპაჟები, საყვარელი, კეთილი, გულუხვი, გარეგნულად ტიპიური ინგლისელები არიან. რეჟისორმა სკრუჯის ავკაცობის ხაზგასასმელად, ეს წყვილი, რომლებმაც სკრუჯი ფეხზე დააყენეს, სამსახური მისცეს, გამოკვებეს, მისი მოვალეები გახადა. სკრუჯმა გააკოტრა ისინი და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ვალის გადაუხდელობის გამო ციხეში - „ტაურში“ უშვებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ლევან წულაძე, თავად ყველაზე უფრო დრამატულ სიტუაციებსაც კი, იუმორით აწვდის მაყურებელს, სპექტაკლი ხომ ძირითადად ბავშვებისთვის დაიდგა. სკრუჯის წარსულში მოგზაურობის დროს იგი ხვდება თავის პირველ და ერთადერთ სიყვარულს ანაბელს. რეჟისორმა გააერთიანა მოთხრობაში აღწერილი რამდენიმე ეპიზოდი და ვიზუალურად ლამაზი, ეფექტური სცენა შექმნა. მისტერ

და მისის ფიუზინგები წინასაშობაო კარნავალს აწყობენ. სცენაზე მხიარულება და ხალისიანი განწყობა სუფევს. ეკა ნიჟარაძის მთლიანად თეთრ კოსტიუმში გამოწყობილ ანაბელს, ასევე თეთრ დანადგარზე შემდგარს შემოაცურებენ სცენაზე. ეპიზოდის ფინალში ლამაზი, სათნო ანაბელი სკრუჯს უბრუნებს ნიშნობის ბეჭედს, - შენ ჩემზე მეტად ფული გიყვარსო.

მოთხრობისგან განსხვავებით, ოდნავ სახეცვლილნი არიან სკრუჯის დისწული ფრედი - ნიკა კუჭავა და მისი მეუღლე მერი - თამარ ბუხნიკაშვილი. სიყვარულის, კეთილშობილების, სათნოების, მიმტევებლობის განსახიერებანი არიან ისინი სპექტაკლში. რეჟისორმა მოთხრობაში არსებული ფრედის ხასიათის თვისებები გადაანაწილა მერიზე.

სცენოგრაფიასთან ერთად, ზურა გაგლოშვილის არაჩვეულებრივად შერჩეული მუსიკალური გაფორმება ქმნის სპექტაკლის განწყობას.

წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრება-გაანალიზების წყალობით სკრუჯი გარდაიქმნება და იწყებს სიკეთის ქმნას. სპექტაკლში, ისევე როგორც მოთხრობაში, სიყვარული და სიკეთე იმარჯვებს.

გვანცა გულიაშვილი

„ჩემი საუკეთესო მეგობარი“

რეჟისორი - იოანე ხუციშვილი

ქართულ თეატრალურ სივრცეში, ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალურია გასართობი ხასიათის, მსუბუქი კომედიები, ხშირად ამის მთავარ მიზეზად, მსგავსი ტიპის წარმოდგენებისადმი საზოგადოების ინტერესი სახელდება. მაყურებლის სრული უფლებაა მიიღოს სიამოვნება და გაერთოს, განიტვირთოს თეატრში, თუმცა გარდა გართობისა თეატრს აქვს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, აჩვენოს მხატვრული ფორმით, ალეგორიისა და გროტესკის გამოყენებით მტკივნეული და ზოგჯერ მწარე რეალობაც. თანამედროვე ცხოვრების რიtმი, გამუდმებულად მზარდი კონკურენცია (რომელსაც თეატრი ტელე, თუ ინტერნეტ მასკულტურისაგან განიცდის), აიძულებს თეატრის რეჟისორს, მაქსიმალურად გაითვალისწინოს მაყურებლის დაკვეთა და შესაბამისად თანამედროვე ქართულ თეატრშიც მსუბუქი რეკრეაციული ფუნქცია დღეს უდაvოდ დომინანტია. ამის საწინააღმდეგოდ, ვანო ხუციშვილი არ ღალატობს საკუთარ ხელწერას და მაყურებელს კვლავ სთავაზობს ღრმა, საინტერესო და დამაფიქრებელ წარმოდგენას. თავისუფალი თეატრის სცენაზე ვაცლავ ჰაველის "ვერნისაჟის" მიხედვით ახალი სპექტაკლი დაიდგა.

ვაცლავ ჰაველი, როგორც მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ადამიანი, ყოველთვის მოვლენათა ეპიცენტრში იყო. ის არ ყოფილა მხოლოდ მწერალი, დრამატურგი, ან თუნდაც პოლიტიკოსი. " ადამიანი წინასწარ არ გეგმავს, რომ ერთი წელი მოქალაქე იქნება, მომდევნო წელს კი- მწერალი" - აღნიშნავდა თავად ჰაველი. მისი მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიციის გამო არაერთგზის დევნილი და თავისუფლება აღკვეთილი, ბოლომდე დარჩა საკუთარი იდეალების ერთგული, შეიტანა უდიდესი წვლილი ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარებაში და დატოვა ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო დრამატურგიული თუ ესეისტური მემკვიდრეობა. 1963 წლიდან აქტიურად იწყება ჰაველის პიესების გასცენიურება. მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო საკუთარ სამშობლოში ხშირად ექმნებოდა ბარიერები, თუმცა ევროპის არაერთი თეატრი აქტიურად დგამდა ჰაველის პიესებზე სპექტაკლებს. 1978 წელს სახელმწიფოსთვის „ძირგამომთხრელი" საქმიანობისთვის ჰაველი დააპატიმრეს და სწორედ ამის საპასუხოდ ვენაში დაიდგა მისი "პროტესტი", ხოლო ვარშავაში სამი პიესა: "აუდიენცია", "ვერნისაჟი" და "პროტესტი". 1989 წლიდან ჰაველი სათავეში ჩაუდგა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანთა გაერთიანებას და დაიწყო რევოლუცია თეატრში, მისი გათავისუფლება იდეოლოგიური მარწუხებისაგან. ამ გაერთიანებას ჰქონდა ეპიგრაფი: "ნუთუ ეს შესაძლებელია?" რაზედაც ვაცლავ ჰაველი პასუხობდა: "პოლიტიკა შეუძლებლის ხელოვნებაა." ვაცლავ ჰაველის "ვერნისაჟი" პირველად ვარშავაში ითამაშეს გასული საუკუნის 70-იან წლებში. 2013 წლის გაზაფხულზე კი საქართველოში თავისუფალი თეატრის სცენაზე თამაშობენ ამავე პიესის მიხედვით შექმნილ სპექტაკლს "ჩემი საუკეთესო მეგობარი." პრობლემა რომელიც პიესაშია დასმული, აქტუალურია დღესაც და იქნებ დღეს კიდევ უფრო მეტად... ადამიანი, რომელმაც დაკარგა ძირითადი მეტაფიზიკური რწმენა, აბსოლუტის გრძნობა, დამოკიდებულება მარადიულისადმი, აზრი, შეგრძნება, ანუ მტკიცე საფუძველი ფეხქვეშ. ეს არის სულიერება დაკარგული მატერიალიზმი, სადაც ნივთები ფლობენ ადამიანებს და არა პირიქით... სამყარო, რომელიც მხოლოდ შეთხზულ, გამოგონილ ბედნიერებას ეფუძნება, სადაც ადამიანი სრული უიმედობის, უმომავლობის განცდას ზედაპირული კეთილდღეობით ნიღბავს. ფასადური ბედნიერება, რომელმაც საზოგადოებრივი აზრი უნდა შექმნას, მთლიანად ანადგურებს პიროვნების ღირებულებებს და მათი გადაგვარებითა და დეგრადირებით ქმნის ადამიანური არსებობის აბსურდულ სურათს. მიხალისა ადა ვერას ოჯახი სახელმწიფოს მიკრომოდელია. აქ ყველა ნივთს საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი ადგილი აქვს. ყველაფერი დიდი შრომისა და რუდუნების ფასადაა შექმნილი. ბინის პატრონებისათვის კი ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი აღარაფერი არსებობს. გოთური მადონა-კედლის პატარა ნიშაში, თურქული ხანჯალი ბუხრის თავზე და ძველი ეკლესიიდან საგანგებოდ, თუ საიდუმლოდ მღვდლისგან ნაყიდი ბაროკოს სტილის საღსარებო... რაც მთავარია, ეს ყველაფერი იქმნება არა თავად მეპატრონეთა სიამოვნებისთვის, არამედ საზოგადოების თვალის ასახვევად, მეგობარი უნდა მოვიდეს სტუმრად... მეგობარი-საზოგადოება,

რომლისთვისაც შეიქმნა იდეალურად მოწყობილი ბინა-იდეალური სახელმწიფოს მოდელი... მეგობარი ბედი (ბედრჟიხი) ინტელიგენტის რაფინირებული გარეგნობით, ოდნავ დაბნეული, მაგრამ თითქოს უფრო თავისუფალი ვიდრე მასპინძელი, ყვავილებით ასაჩუქრებს დიასახლისს და ბინას მოავლებს თვალს. აქ, ყველაფერი განუახლებიათ! ვერასა და მიხალის მოლოდინით სავსე წუთებს ცვლის იმ წუთებით ტკბობის ბედნიერება, როცა საკუთარი "შემოქმედება" შეგიძლია წარუდგინო უახლოეს მეგობარს-"როცა აქაურობას ვაწყობდი, ხშირად ვფიქრობდი შენზე, რას იტყოდი, როცა ნახავდი..." აი, რისთვის წვალობს მიხალი, რა უდევს საფუძვლად მის მონდომებას, შექმნას ბინა უმაღლესი გემოვნებითა და კომფორტით, აქ ყველაფერი მხოლოდ გარეშე თვალის მოტყუებისათვის გაკეთდა. ეს არ არის ალეგორია რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური წყობისა თუ რეჟიმის, ეს უფრო ზოგადად იმ ტიპის სახელმწიფო პოლიტიკის გაქილიკებაა, სადაც ხელოვნურად ცდილობენ, საზოგადოებას შეუქმნან იდეალური წყობილების განცდა, სადაც თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, ამ ყველაფრის შექმნაში კი უდიდესი შრომაა ჩადებული, მაგრამ ნივთების და ზოგადად უკიდურესი მატერიალიზმის უკან დიდი სიცარიელეა, აბსურდი, რომელსაც მოუცავს ადამიანური არსებობა. ბედი გაოგნებულია, ვერ ხვდება, რას ასწავლიან მიხალი და ვერა. გამუდმებით უკიჟინებენ, მიბაძოს მათ და შეუდგეს საკუთარი ცხოვრების დალაგებას, თუმცა ბედს სულაც არ ეჩვენება, რომ მას რამე აქვს არეული, არ ეთაკილება ქარხანაში მუშაობა და არც საყვარელ ქალთან დაულაგებელი ურთიერთობა მიაჩნია აბსოლუტურ ტრაგედიად, ან იქნებ ისიც თავს იტყუებს? - "მე ყველაფერი კარგად მაქვს..."

რელიგიური ნიჰილიზმის თემა საინტერესო და მძაფრი მიზანსცენით შემოაქვს რეჟისორს სპექტაკლში. ძველი სააღსარებოდან სათითაოდ ამოღებული და ამოკითხული სხვათა ცოდვები ვერას, მიხალისა და საბოლოოდ ბედის მხიარულების მიზეზი ხდება... არის მათ არსებობაში ტკივილი, გამოგონილი ბედნიერების მოულოდნელი, წამიერი დაკარგვის განცდისას, მაგრამ ადამიანის სურვილი - გადაირჩინოს თავი, გამუდმებით მიისწრაფვის საკუთარი თავის მოტყუებისაკენ. მაგრამ ბედი მაინც ვერ ხვდება, რაშია მიხალისა და ვერას ბედნიერების ქვაკუთხედი, გრძნობს, რომ მთელი მათი არაჯანსაღი მისწრაფება, როგორმე დაარწმუნონ, რომ ბედნიერება თუნდაც კეთილმოწყობილ ბინაშია, მას თრგუნავს, ეს პროტესტი სულაც არაა. ეს უუნარობის განცდაა. მიხალი თვლის, რომ "ადამიანი ისე ცხოვრობს როგორც ბინა აქვს მოწყობილი..." ვერა კი ამაყია საკუთარი ქმრით რადგან "მხოლოდ ნივთების სიყვარული არ არის საკმარისი, ამას შნო და შესაძლებლობა სჭირდება..." და ეს ყოველივე მის მიხალს გენიალურად გამოსდის, აი ბენს კი მსგავსი უნარები(შნო, შესაძლებლობა) არც გააჩნია და არც მათი გარდაუვალი აუცილებლობისა სჯერა. მიხალი თავს იწონებს საკუთარი ბინით, მეუღლის მიმზიდველი სხეულით, ვერას კულინარიული და ინტიმური ფანტაზიებითა და მიღწევებით და სულაც არ ეხამუშება ვნება, რომელიც აშკარაა ვერასა და ბედს შორის და რომელიც კარგა ხნის ფარულ ურთიერთობას წააგავს. მიხალისათვის მთავარია, რომ მისი მეუღლე უზადო გარეგნობის ქალია და რა მოხდა, თუკი მისი სურვილი ვერც ბედს დაუთრგუნავს საკუთარ თავში. ვერას პერსონაჟი ერთი შეხედვით მსხვერპლს მოგაგონებთ, ეს ქალია, რომელიც თითქოს მეუღლის აკვიატებულ იდეებს ემონება და ემორჩილება, იმიტომ რომ სხვა გამოსავალი არ აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდი ინტრიგაც დევს მის ქალურ მომხიბვლელობასა და ზრახვებში, შესაძლოა თავად ვერაა როგორც მაცდუნებელი ქალის სიმბოლო, მიზეზი მიხალის პარანოიისა... ბედი კი კვლავ განიცდის, ითრგუნება, უჭირს გამორკვევა, ის საზოგადოების იმ ნაწილის სიმბოლოა, რომელსაც თითქოს სურს შეინარჩუნოს სულიერება, არ დაემონოს მატერიალისტურ, პრაგმატულ ფასეულობებს, მაგრამ არ ჰყოფნის ბოლომდე ბრძოლის ნებისყოფა... მიხალი ბედისათვის ცდილობს, უფრო ნათელი გახდეს მისი არსებობის მთავარი ფორმულა და რეზინის ხელთათმანმომარჯვებული შეუდგება ვაშლის თქვლეფას ცხოველური ჟინით, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანსცენაა, სადაც რეჟისორი მთავარ შტრიხს უსვამს ხაზს, მიხალი, როგორც ცხოველი, ისე მიირთმევს ვაშლს, მაგრამ ამის საპირისპიროდ ის ბედს უხსნის, რომ ადამიანისთვის არ უნდა იყოს სულერთი, რას ჭამს, როგორ ან საიდან... "ეს არის მისი არსებობის დისონანსი! ბავშვი-მომავლის სიმბოლო! მიხალსა და ვერას ფასადურ ბედნიერებაში, შვილიც ისეთივე ფანტაზიის ნაყოფია, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი გყავდეს შვილი, ის თავისუფლად შეგიძლია გამოიგონო, მთავარია გესმოდეს, თუ რა უნდა შეუქმნა, რა სტარტი უნდა მოუმზადო შენს შვილს, როგორ სოციუმსა და მატერიალურ კეთილდღეობას შეუქმნი მას, აი რა არის მთავარი. ამ შემთხვევაშიც რეჟისორი ალეგორიულად აკრიტიკებს სახელმწიფოს მოდელს, რომელსაც მომავალი არ გააჩნია, მაგრამ ამ მომავლისათვის ზრუნავს, უკიდურესად ყალბი, დამთრგუნველი და ზედაპირული ფასეულობებით. ბავშვის იმიტირებას ვერა მთელი არსებით ცდილობს და ბედიც თითქოს სადღაც იჯერებს კიდეც, რომ ამ "სვებედნიერ" ოჯახში ახალი სიცოცხლე იზრდება, ბედი მოტყუებული საზოგადოებაა, რომელსაც მომავლის იმედს, მასზე ზრუნვის აუცილებლობას ახვევენ თავს, სწორედ მაშინ, როცა მომავალი უბრალოდ არ არსებობს! რთულია, ცალსახად განისაზღვროს სპექტაკლის ფინალური სცენა. ამ შემთხვევაში რეჟისორმა მთლიანად მაყურებლის ფანტაზიას, შეხედულებებს, წვდომის უნარს მიანდო წარმოდგენის დასასრულის გააზრება. ერთი შეხედვით ვერა და მიხალი საკუთარ გამონაგონ ბედნიერებაში იგუდებიან გაზით, მეორეს მხრივ კი იქმნება ილუზია, რომ მათ დაღუპვაში ბედის ხელი ურევია. ბედის თვითმკვლელობა კი იმ ბრძოლის დასასრულს ჰგავს, სადაც გამარჯვებული მხარე არ არსებობს, რადგან ნებისმიერი გაბრძოლება პოლიტიკური წყობილების მანკიერების წინააღმდეგ, როგორც წესი, სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს... პროფესიული ოსტატობის თვალსაზრისით, სპექტაკლის სამივე მსახიობი, შეიძლება ითქვას, თანაბრად იმსახურებს დადებით შეფასებას. მიხალის როლის შემსრულებელი შაკო მირიანაშვილი ქმნის მანიაკალური

ფსიქოზით დაავადებული პედანტის სახეს. მისი მანერულობა (ზედა ტუჩის ქაჩვა, თუ არაადეკვატური სიცილი) არ სცდება ზომიერების ფარგლებს. ვერას პერსონაჟს შედარებით გამოუცდელი ნუცა სულაბერიძე განასახიერებს, გარკვეულ მომენტებში თითქოს დამაჯერებლობის პრობლემას ვერ ლახავს მსახიობი, მაგრამ წარმოდგენის განვითარების პარალელურად, მისი, როგორც პერსონაჟის, განვითარებაც ხდება და მასახიობიც უკეთ ავლენს პროფესიულ შესაძლებლობებს. ბედრჟიხს - ილია ქორქაშვილი განასახიერებს. ის ზუსტად ირგებს დაბნეული, შეშინებული, ვნებასაყოლილი ახალგაზრდა მამაკაცის ხასიათს, შესაძლოა, უფრო მეტის მოლოდინი ჰქონდეს მაყურებელს ამ პერსონაჟის მიმართ, მაგრამ სწორედ მის გაურკვევლობასა და პასიურობაშია რეჟისორული ჩანაფიქრის მთავარი ინტრიგა, ის, ერთი მხრივ, მთავარი ფიგურაა, მაგრამ მეორე მხრივ ყველაზე სუსტი, როგორც გაპიროვნებული სიმბოლო საზოგადოების, რომელსაც უჭირს რეალობაში გამორკვევა. დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ვანო ხუციშვილის სპექტაკლებისათვის, განსაკუთრებულად დამახასიათებელია დროის, აქტუალური პრობლემების და საზოგადოებისათვის მტკივნეული თემების მძაფრი განცდა. ეს ალღოა, რომლითაც შეიძლება მხოლოდ იამაყოს ნებისმიერმა რეჟისორმა. დღეს, როცა ნებსით თუ უნებლიეთ ხდება გარკვეულ პროცესებში ადამიანების ჩართვა, მათთვის ბოლომდე აღუქმელი და ხშირად დამაბნეველი ფსევდოღირებულებების თავს მოხვევა და მანიპულირება, სპექტაკლი -“ ჩემი საუკეთესო მეგობარი“, თავისუფლად, შეიძლება ჩაითვალოს, საუკეთესო მეგობრულ რჩევად რეჟისორისგან.

სოციოლოგიური გამოკითხვის მარგალიტები

1

9 როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სატელევიზიო რეკლამით
2. სატელევიზიო სიუჟეტით
3. აფიშით
4. ინტერნეტ გამოცემით
5. პრესით
6. რადიოთი
7. სოციალური ქსელით

2

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი

ასაკი

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

3

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი

ასაკი

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

4

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი

ასაკი

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

5

2 თუ არ დადიხართ თეატრში ხშირად, რატომ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. არა მაქვს თავისუფალი დრო
2. შორს ვცხოვრობ
3. ვერ ვყიდულობ ბილეთს
4. არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
5. არ მიზიდავს თეატრი
6. თეატრში არაფერი ხდება

6

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

ვენდობ

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

ვერცხლა ვერ ვერ ვერ ვერ

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი – მდედრობითი
ასაკი – 12 წელი

განათლება სკოლის მოსწავლე
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა [illegible]

7

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

ვერ ვენდობ ზვიადი

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

ეს საჭიროა, თეატრში უნდა იყოს სპექტ. აკრ. ასევე უნდა იდგეს!

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

11

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

11

სქესი
ასაკი ‘სილაგაძე’ თამარი 62 წლის

განათლება უმაღლესი
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა ახმეტელში

8

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?
1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?
1. არა
2. კი
გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 22

განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

9

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?
1. არა
2. კი
გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 57

განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

10

7 რატომ მოხვედით დღეს თეატრში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. წაკითხული მქონდა ნაწარმოები
2. მინდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
3. დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
4. დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
5. მიმიზიდა აფიშამ
6. ნაცნობებმა მირჩიეს მენახა სპექტაკლი
7. მოვხვდი შემთხვევით
8. მაინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი
9. სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი

8 რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
2. ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი
3. საინტერესო ამბავი
4. მსახიობის ნამუშევარი
5. რეჟისორის ნამუშევარი
6. სცენოგრაფია
7. მუსიკა

9 როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სატელევიზოო რეკლამით
2. სატელევიზიო სიუჟეტით
3. აფიშით
4. ინტერნეტ გამოცემით
5. პრესით
6. რადიოთი
7. სოციალური ქსელით

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი

ასაკი

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

11

7 რატომ მოხვედით დღეს თეატრში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. წაკითხული მქონდა ნაწარმოები
2. (2.) მინდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
3. დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
4. დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
5. მიმიზიდა აფიშამ
6. ნაცნობებმა მირჩიეს მენახა სპექტაკლი
7. მოვხვდი შემთხვევით
8. მაინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი
9. სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი
10. (10) მინდა ვნახო ჩემ საყვარელ.

8 რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სპექტაკლში დასმული პრობლემატიკა
2. ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი
3. საინტერესო ამბავი
4. მსახიობის ნამუშევარი
5. რეჟისორის ნამუშევარი
6. სცენოგრაფია
7. მუსიკა
8. (8) ყველაფერი ერთად.

9 როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სატელევიზიო რეკლამით
2. სატელევიზიო სიუჟეტით
3. აფიშით
4. ინტერნეტ გამოცემით
5. პრესით
6. რადიოთი
7. სოციალური ქსელით
8. (8) [illegible] ინტერესი ქართულ [illegible] [illegible].

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. (1.) კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. (1.) ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. (1.) არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

[redacted], [redacted] [illegible] [illegible].

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] [illegible].

სქესი [illegible]
ასაკი 28

განათლება [illegible]
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა [illegible]

12

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი ქალი

ასაკი 26

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

13

4 განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?(შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. კომედია
2. ფსიქოლოგიური დრამა
3. მელოდრამა
4. ვოდევილი
5. ტრაგიკომედია
6. ტრაგედია
7. მუსიკალური კომედია
8. საოპერო
9. საბალეტო
10. ფიზიკური თეატრი
11. შერეული ჟანრის

14

4 განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?(შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. კომედია
2. ფსიქოლოგიური დრამა
3. მელოდრამა
4. ვოდევილი
5. ტრაგიკომედია
6. ტრაგედია
7. მუსიკალური კომედია
8. საოპერო
9. საბალეტო
10. ფიზიკური თეატრი
11. შერეული ჟანრის

15

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

16

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

[illegible]

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი [illegible]

ასაკი [illegible]

განათლება [illegible]

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა [illegible]

17

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი [illegible]

ასაკი 57

განათლება

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა [illegible]

18

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

[illegible]

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1 [illegible]

19

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

[illegible]

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი [illegible]

ასაკი 22

განათლება [illegible]

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა [illegible]

20

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

[illegible]

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი [illegible]

ასაკი 51

განათლება უმაღლესი

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა საბჭოთა ყბნის თეატრი

21

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

[illegible]

22

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

[illegible]

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

[illegible]

სქესი [illegible]

ასაკი 19

განათლება ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი.

რომელ თეატრში შეივსო ანკეტა საბჭოთა ყბნის თეატრი.

23

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

[illegible] !

24

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

[illegible]

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

25

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 15

განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა :

26

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 60

განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

27

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 18

განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

28

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 22 წლის

29

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი
განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

30

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი 38
განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

31

9 როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. სატელევიზოო რეკლამით
2. სატელევიზიო სიუჟეტით
3. აფიშით
4. ინტერნეტ გამოცემით
5. პრესით
6. რადიოთი
7. სოციალური ქსელით

10 თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასება მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე ნახოთ სპექტაკლი?

1. კი
2. არა
3. მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ ვეცნობი

11 რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?

1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
2. საერთოდ არ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ კრიტიკოსი)

12 უნდა ფუნქციონირებდეთ თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები?

1. არა
2. კი

გთხოვთ მიანიშნოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი?
კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა (ხაზი გაუსვით)

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი
განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

32

13 რომელი რეჟისორის სპექტაკლებზე დადიხართ ყველაზე ხშირად/რომელი ქართველი რეჟისორის სპექტაკლები მოგწონთ?

14 რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?

სქესი
ასაკი
განათლება
რომელ თეატრში შეივსო ანკეტა

შენიშვნებისათვის

ISBN 978-9941-0-5269-9